პოეტები საქართველოსი

ტომი II

თბილისი
2023

შემდგენელ-რედაქტორ-გამომცემელი

საზოგადოება „საქართველოს პოეტები“-ს დამფუძნებელი
და ხელმძღვანელი, საქართველოს მწერალთა, შემოქმედთა კავშირის წევრი,
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი,
ტაო-კლარჯეთის სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი,
მარიკა ბარათაშვილის პრემიის მფლობელი, ასევე, მიღებული აქვს სამშობლოს
ერთგულებისთვის და პატრიორული ლექსებისთვის პირველი ხარისხის ოქროს
მედალი, სამეცნიერო საქმიანობისთვის დავით აღმაშენებლის ოქროს მედალი,
შ პ ს „სალიტოს“ დირექტორი, შ პ ს „გომავანის“ პარტნიორი, ოთხი საკუთარი და
ოცდათვრამეტი საერთო კრებულის თანაავტორი, სამართალმცოდნე,
პედაგოგი **მანანა სამყურაშვილი**

თანაავტორთა შერჩევითი კომისიის წევრები:

მანანა სამყურაშვილი – ტაო-კლარჯეთის
სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსი
ნელი საგინაძე – ტაო-კლარჯეთის სამეცნიერო
აკადემიის აკადემიკოსი
თენგიზ ფანცულაია – ჯუმბერ ლეჟავას სახელობის
სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსი

© ავტორთა ჯგუფი, 2023

გამომცემლობა **„უნივერსალი“, 2023**

თბილისი, 0186, ა. ჰოლიტყოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-344-6 (ყველა ტომისათვის)
ISBN 978-9941-33-411-5 (II ტომისათვის)

დავდგეთ იქ სადაც ქარიშხალია
და სიმხლიანი დგას ანგელოზი.
ახალ ეროვალებს ვწიოთავთ სიცოცხლეს
ჩვენ, პოეტები საქართველოსი!..

ეალაყიონი

წინასიტყვაობა

გულთამამად მოუძღვებიან პოეტები ჩვენს ოცნების კარავში – თავიანთ გონით ნაძერწ პოეზიას, სიყვარულს აფრქვევენ არეზე სხვათა გასაგონად და გულსაფერებლად. ძლიერი ხვთის სიტყვის მღაღადებელნი ბულბულებივით გალობენ, სიხარულს მეცხრე ცაზე აჰყავთ და ძლიერი ფრთათა ტყლაშუნით კიდით-კიდეს ავლებენ შორსმჭვრეტელ თვალს.

ვარდის სურნელით გაჯერებული პოეზია, მარგალიტების მძივებად ასხმული ლექსები, სამყაროს ყელზე აბნევია, შვენია ვით დედოფალს ოქროს გვირგვინი თვალმარგალიტებით და ძვირფასი ქვებით მოჭიქული ღვთის ხელ შევლებული მოქარგულ-ნაძერწი...

ამ ულამაზესი, უფაქიზესი მძივების ქარგვაში რამდენი ღამეა ნათევი. ვინ იცის ფიქრმა რამდენჯერ დასერა ცის ტრამალები და ლაჟვარდები...რამდენჯერ გადათვალა მზის ოქროს სარკეში თვალის ძირებში შემჩნეული ღარები.

ვინ იცის ცად აფრენილი სულით როგორ ეჭიკჭიკა და ესალბუნა უფლის კალთიდან სამყაროს... რამდენჯერ ჩაეკრა დედა მარიამს ნატკენ გულში და შვილზე ატირებულს ნუგეშის ნაცვლად შველა სთხოვა...

კრებული „პოეტები საქართველოსი“ ღვთის კიდობანია, რომელშიც ლამაზი ენით ნაქარგი უფლის-გან ბოძებული, ოქროს სიმებით ნაძერწი სიტყვა უკვდავ, მარადიულ ბინასა პოულობს...

ეს უნიკალური კრებული არის უფლის საგალობელი, რომელსაც ისმენს სრულიად კაცობრიობა და სამყაროს შემოქმედი...

დაილოცოს ღვთის ძლიერება და მისი ლოცვით შექმნილი, შემოქმედ პოეტთა ღრმად მოაზროვნე გონი და ოქროს კალამი, ვის ხელსაც სულის სალხენად და საკურნებელად რითმის ძიება და ლექსის ქარგვა ბედად დააბედა ბედის მწერელმა და უფლის ძლიერმა ძალამ.

თითოეულ, ღრმადმოაზროვნე თანაავტორს ვუსურვებ ჯანსაღი სულით და ჯანით, ფიქრთა ოქროს ნალიანი ცად მოზრიალე მუზის რაშებით გეპოვოთ ღაჟვარებში მობნეული რითმების მარგალიტები და გექარგოთ თქვენი პირმშოების ფრთები და გული. ყოველი ლექსი, რომელიც თქვენი სულიდან იბადება, პირმშოა და ისევე საყვარელი ვითა დედის უბით და ხელით ნაზარდი შვილი.

გზას დაგილოცავთ უკვდავებისკენ მიმავალ გზაზე მოქარგულ ოქროს ეტლით მავალო პოეტებო, ხელთ არსებული ოქროს საწმისით მეტი მარგარგალიტები და ცად მბზინავი ბრილიანტების ბაღჩა-ბაღები გეპოვოთ, თქვენი და სხვათა გულის სალხენად.

მანანა სამყურაშვილი

მარადიულობის გზით
მავალი მენიოსები!
ვოეზიის ვორიფვები !
მეხლი მოიდრეკთ
ქართველნო!

ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ

1.

და დამარხულ არს ენაჲ ქართული
დღედმდე მეორედ მოსლვისა მისისა საწამებელად,
რაითა ყოველსა ენასა
ღმერთმან ამხილოს ამით ენითა.

2.

და ესე ენაჲ
მძინარე არს დღესამომდე,
და სახერებასა შინა ამას ენასა
ლაზარე ჰრქვიან.

3.

და ახალმან ნინო მოაქცია
და ჰელენე დედოფალმან.
ესე არიან ორნი დანი,
ვითარცა მარიამ და მართა.

4.

და მეგობრობაჲ
ამისთვის თქვა [მახარებელმან],
ვითარმედ ყოველი საიდუმლოი
ამას ენასა შინა დამარხულ არს.

ღმრთისმშობლისანი

1.
ღმრთისმშობელი და ყოვლადპატიოსანი
დედა, ქალწული, მშვენიერი შროშანი,
მას ახარებდა ანგელოსი ფრთოსანი,
შენგან იშვების მეფე გვირგვინოსანი,
და მას ჰმონებდეს მეფე მრავალ-ყმოსანი.

2.
შენ ხარ ვენახი, ახლად აყვავებული,
მორჩი, კეთილი, ედემში დანერგული,
ალვა სულნელი, სამოთხით გამოსრული,
ღმერთმან შეგამკო,ვერავინ გჯობს ქებული,
და თავით თვისით მზე ხარ გაბრწყინვებული.

ვეფხისტყაოსანი

1.
რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა მოგვცა ქვეყანა,გვაქვს უთვალავი ფერითა,
და მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მისმიერითა.

2.
ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ,სახე ყოვლისა ტანისა
შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა,
მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდიდმდე გასატანისა,
და ცოდვათა შესუბუქება, მუნ თანა-წასატანისა.

3.
ვის შვენის,– ლომსა,– ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა,
– მეფისა მზის თამარისა, ღაწვ-ბალახშ,თმა -გიშერისა,––
მას,არა ვიცი, შევჰკადრო,შესხმა ხოტბისა შერისა?
და მისთა მჭვრეტელსა ყანდისა მირთმა ხამს, მართ მიშერისა.

4.
თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცვარ-დათხეული,
ვთქვენი ქებანი ვისნი მე არ – ავად გამორჩეული,
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული,
და ვინცა ისმინოს დაესვას ლახვარი გულსა ხეული.

5.
მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა,
ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე-კბილისა,
ბროლ-ბალახშისა თლილისა, მის მიჯრით მიწყობილისა,
და გასტეხს ქვასაცა მაგარსა, გვრდემლიტყვიისა ლბილისა.

ელეგია

მკრთალი ნატელი სავსე მთვარისა
მშობელ ქვეყანას ზედ მოჰფენოდა
და თეთრი ზოლი შორის მთებისა
ლაჟვარდ სივრცეში დაინთქმებოდა.

არსაიდან ხმა, არსით ძახილი!...
მშობელი შობილს არრას მეტყოდა,
ზოგჯერ-კი ტანჯვით ამოძახილი
ქართვლის ძილშია კვნესა ისმოდა!

ვიდექ მარტოკა... და მთების ჩრდილი,
კვლავ ჩემს ქვეყნის ძილს ეალერსება...
ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,
როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!

ლოცვა

მამაო, ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა!
მუხლმოდრეკილი, ლმობიერი ვდგევარ შენ წინა,
არცა სიმდიდრის, არ დიდების თხოვნა არ მინდა,
არ მინდა, ამით შეურაცხ-ვჰყო მე ლოცვა წმინდა....

არამედ მწყურს მე განმინათლდეს ცით ჩემი სული,
შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენთოს გული,
რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან,
გთხოვდე: „შეუნდე, – არ იციან, ღმერთო, რას იქმან!“



ნათელას სიმღერა

ჩონგურს სიმები გავუბი,
მოვმართე ნელე-ნელაო,
შევუხმატკბილე ერთმანეთს:
„ოდელა-დელა-დელაო“.

თავ-თავის ჰანგით თავის ხმით
წკრიალობს ერთად ყველაო,
ერთი-მეორის თანხმობით:
„ოდელა-დელა-დელაო!“

ერთი მათგანიც რომ გაწყდეს
მაშინვე უნდა შველაო,
რომ არ გაფუჭდეს ჩონგური,
„ოდელა-დელი-დელაო!“

ჩონგური სქართველოა,
სიმები ჩვენ ვართ ყველაო,
სხვადასხა კუთხის მცხოვრები:
„ოდელა-დელი-დელაო!“

ჩვენც ხომ სიმების სისუსტემ
სინათლე დაგვიბნელაო!..
ბნელში რა სასიმღეროა:
„ოდელა-დელი -დელაო!“

შორიდან შემოგვეპარა
მტერი, ვით ტურა- მელაო,
და სულ სხვა ხმაზე გვამღერებს,
არ მოსწონს „დელი-დელაო!“

მწყერიც კი ცხოვრობს თანხმობით
ფუტკარი... ჭიანჭველაო!..
და ჩვენ რად ვმღერით ცალ-ცალკე:
„ოდელა-დელი-დელაო?!“

ერთობა ჩვენთვის ტახტია,
მტრებისთვის სახრჩობელაო!..
მტრებს „ვაი დედა“ ვაძახოთ
და ჩვენ ვთქვათ: „დელა-დელაო“.

ლმარა! ამდენმა ცრემლებმა
სიმები დამისველაო!..
ვერც ვუკრავ!.. ვეღარცა ვმღერი:
„ოდელა-დელი-დელაო!“

ა რ წ ი ვ ი

არწივი ვნახე დაჭრილი,
ყვავ-ყორნებს ეომებოდა,
ეწადა ბეჩავს ადგომა,
მაგრამ ვეღარა დგებოდა,
ცალს მხარს მიწაზე მიითრევს,
გულისპირს სისხლი სცხებოდა.
ვაჰ, დედას თქვენსა, ყოვებო,
ცუდ დროს ჩაგიგდავთ ხელადა,
თორო ვნახავდი თქვენს ბუმბულს
გაშლილს, გაფანტულს ველადა!

სიმღერა

(ვუძღვნი ახალგაზრდა მგოსნებს)

არც-რა ტანთ მცვია, არც ფეხთა,
დავდივარ დედიშობილა,
მეც იმათ ჯოგიდამა ვარ,
ვინც სიღარიბით ცნობილა
ამ წუთისოფლის თორნეში
ბევრი სხვა გამოცხობილა.
ჩემს გარდა ასეთს ყოფაში
მრავალი სხვაცა ყოფილა.
ყველას სამარე მიგველის,
ვინც დედის მუცლით შობილა.
საგმობიც ვიყო, ქედს არ ვხრი,
თავი მდიდარი მგონია.
ისეთი, თქვენმა ძმობამა,
ჯერ არვის გაუგონია.
მთლად მე მეკუთვნის ქვეყანა:
მთაში – მთა, ბარად – ბარია,
ზღვა და ხმელეთი ერთიან,
ცას – ვარსკვლავების ჯარია,
დილით მზე მანათობელი,
ღამის გუშაგი მთვარია,
მდიდართ სიმდიდრით ღიღინი,
ბეჩავთ ქვითინი მწარია,
ავდარი, ჟინჟლი, ცის ქცევა,
ცა მოწმენდილი, დარია;
დილით გაფურჩნა ვარდისა,
მთელი იმისი გვარია;
ია, უღრანს ტყეს მოსული,
თალხ-კაბა, ენა-მტკბარია,
კლდის თავს გაშლილი პირიმზე, –
მთის სასახელო ქალია;
მარგალიტივით მდელოზედ
ბრჭყვიალა დილის ცვარია.
ზამთრის ზვავების ქუხილი,
გაზაფხულს წვიმის ღვარია,
იქ ჯოჯოხეთი, სამოთხის
თუ დამიკეტეს კარია.
ხარს ვგევარ ნაიალაღარს,
რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ;
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! –
მძინარიც იმას ვდუდუნებ;
საწყალთ საწყლობა რო მესმის,
იმათ ვარამზე ვწუწუნებ;
არცროს უსაქმო არა ვარ,
მუდამ ვკოწიწობ, ვჩუჩუნებ.
ცოტა მაქვს, ცოტას ვჯერდები,
ბეჩავთაც გავუზიარებ.
სიკეთისათვის სიკეთეს
არავის დავუგვიანებ.
ავის თქმით, ავის ქცევითა
გულს არვის დავუზიანებ.
ხარს ვგევარ ნაიალაღარს,
რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ:
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! –
მძინარიც იმას ვდუდუნებ;
საწყალთ საწყლობა რო მესმის,
იმათ მაგივრად ვწუწუნებ;
ხანდახან ჟინი ამიღებს,
სიმღერას დავაგუგუნებ!

ქარი ქრის

ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის
ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ
ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის
სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ.
ისევ წვიმს, ისევ თოვს, ისევ თოვს
ვერ გპოვებ ვერასდროს, ვერასდროს
შენი მე ხატება დამდევს თან,
ყოველთვის, ყოველ დროს, ყოველგან
შორი ცა ნისლიან ფიქრებს ცრის,
ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის

უსიყვარულოდ

უსიყვარულოდ
მზე არ სუფევს ცის კამარაზე,
სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება
სასიხარულოდ....
უსიყვარულოდ არ არსებობს
არც სილამაზე,
არც უკვდავება არ არსებობს
უსიყვარულოდ.
მაგრამ სულ სხვაა სიყვარული
უკანასკნელი,
როგორც ყვავილი შემოდგომის
ხშირად პირველს სჯობს,
იგი არ უხმობს ქარიშხლიან
უმიზნო ვნებებს,
არც ყმაწვილურ ჟინს, არც ველურ ხმებს
იგი არ უხმობს...
და შემოდგომის სიცივეში
ველად გაზრდილი,
ის გაზაფხულის ნაზ ყვავილებს
სულაც არა ჰგავს...
სიოს მაგივრად ქარიშხალი
ეალერსება
და ვნების ნაცვლად უხმო ალერსს
გარემოუცავს.
და ჭკნება, ჭკნება სიყვარული
უკანასკნელი,
ჭკნება მწუხარედ, ნაზად, მაგრამ
უსიხარულოდ.
და არ არსებობს ქვეყანაზე
თვით უკვდავება,
თვით უკვდავებაც არ არსებობს
უსიყვარულოდ!

სამშობლო ხევსურისა



სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი,
სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი,
სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ, - ჩემი სამშობლო ის არი.

არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..

მე მირჩევნია შავი კლდე, თოვლიან-ყინულიანი,
ორბი რომ ბუდობს, ჩანჩქერი გადმოჰქუხს
ბროლიწყლიანი,
ჯიხვი და არჩვი მეყოფა, ხორცი აქვს მარილიანი...

არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..

ბარად რომ ვიყო ლაღადა, სული მთისაკენ იხარის,
სალი კლდე ანდამატივით გულს სულ იქითკენ იხარის,
იქ მიჯობს შავი სიკვდილი, ბარში სიცოცხლეც იმწარის!..

არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..

ბარად რომ მომცე დიდება, ქონება უთვალავია,
სასახლე ოქროს ტახტითა, ჯარი და ზღვაზე ნავია,
არა ვინდომო ეგენი, არ მოკვდეს ჩემი თავია...

არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..

სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია, ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა...

არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..

ლადო ასათიანი

სალაღობო

ხომ ლამაზია ეს ჩემი ცოლი, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა,
ატმის ხესავით აფეთქებული და მოქნეული გავაზივითა.
ხომ ლამაზია ეს საქართველო, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა,
ფართოდ გაშლილი და მოხატული
თამარ დედოფლის დარბაზივითა.

„კაცის გული ისეთია,
ვით მორევი შავი ზღვისა:
რაგინდ კარგი ცოლი ჰყავდეს,
მაინც ენატრება სხვისა!"

დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს,
გაისარჯოს და ბრძოლაში დაიხარჯოს!
გაუმარჯოს საქართველოს მზეს და ზეცას,
საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

დაუკარით! ჯერ ხომ სისხლი გვიდგას ძარღვში,
ჯერ ხომ საროს ფოთლები არ გასცვენია,
ჯერ ხომ მცხეთის სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში
საქართველოს ცხელი გული ასვენია!

დაუკარით! და იმღერეთ ისე მაგრად,
რომ ფილტვები გვეტკინოს და დაგვებეროს!
დაუკარით, რომ ჭაბუკნი ვიყოთ მარად,
რომ ცხოვრებამ ვერასდროს ვერ დაგვაბეროს!

დაუკარით! და იმღერეთ შადიანი,
ფიცხელ ომში რომ მღეროდა მაჩაბელი.
დაუკარით ძველებური დარდიანი,
დაუკარით არწივების ასაფრენი!

ცხრა ლახვარი რომ დამარტყათ ცხრაჯერ გულში,
მტრის ჯინაზე ცხრაჯერ მწარედ გავიცინებ,
დავიღლები საქართველოს სიყვარულში,
სასთუმალზე ერთხელაც არ დავიძინებ!

დაუკარით! მოასწარით, თორემ ჰერი...
და სიბერეც ძუ მგელივით მოგვიხტება,
დაუკარით ძველებური მოსალხენი:
– შავგვრემანებს შავი ჩოხა მოგვიხდება!

დაუკარით ძველებური ლოთიანი,
საათნოვა რომ მღეროდა შაითანთან,
დაუკარით! განა ყველა ლოთი არი?!
განა ყველა სიყვარულით დაიშანთა?!

დაუკარით ძველებური ლოთიანი,
თორემ დარდი ღრუბელივით გასივდება,
გაფრინდება სიყმაწვილე შფოთიანი,
წრფელი გული, ცხელი გული გაცივდება!

„ვაჟკაცსა გული რკინისა,
აბჯარი თუნდა ხისანი,
თვალნი ქორებულ მხედავნი,
ზედ მუხლნი შავარდნისანი".

ხომ ლამაზია ეს ჩემი ცოლი, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა,
ატმის ხესავით აფეთქებული და მოქნეული გავაზივითა.
ხომ ლამაზია ეს საქართველო, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა,
ფართოდ გაშლილი და მოხატული
თამარ დედოფლის დარბაზივითა!

ღმერთი და ხელები

იოსებ ნონეშვილი

მაღალ ტახტრევანზე იჯდა მამაღმერთი,
თეთრი ღრუბლები ეწყო ბალიშებად,
მყინვარი შანდლად ედგა,
შიგ მზე სანთლად ენთო
და ხალხს ელვის კვერთხით სურვილს ანიშნებდა.
წყალობა უფლისა თურმე ყველას მისწვდა,
მიწის ყველა მკვიდრი თავისთან შეჰყარა,
გაშლილ ხელისგულზე ედო დედამიწა,
რომ კაცთა მოდგმისთვის გაეყო ქვეყანა.

მის წინ რიგში იდგენენ ზანგნი თუ არაბნი,
ფრანგნი თუ... ვინ მოსთვლის ღვთის ნებას მინდობილთ.

ზოგს ველი არგუნა, ზოგს მთების ქარაფი,
ზოგს ცხელი უდაბნო, ზოგს ვრცელი მინდორი,
ზოგს მთა მოუწია, ზოგს მთის კალთები.
უფლის განაჩენი არ იყო სადაო.

მხოლოდ ამ გრძელ რიგში არ ჩანდნენ ქართველნი,
რიგი და ქართველი? საიდან სადაო.

და როცა პირწმინდად დარიგდა მთა ბარი,
გოჯიც კი მიწისა არ დარჩა უბრალოდ,
უეცრად ჩვენები, სად იყვნენ სად არა,
წარუდგნენ და ჰკითხეს:
ჩვენ რა ვქნათ უფალო?

მიწის ამზომველნი სულს ძლივსღა ღაფავდნენ,
ფრიად დამაშვრალი ჩანდა თვით მეუფეც,
განცვიფრდა:
ვინა ხართ, სადა ხართ აქამდე?
მთელი დედამიწა გავყავი მე უკვე...

ქართველნი გახლავართ,
გავშალეთ ნაბდები ...
შენი სადგეგრძელო თასებით
დავცალეთ,
რიგს ლხინი ვარჩიეთ, გაქეთ და
გადიდეთ
და დაგვაგვიანდა ჰე ღმერთო
მოწყალევ...
დავლოცეთ შენს მიერ შექმნილი
სამყარო,
მეუფევ მაღალო!

და რადგან ეს მიწა ყველას გაუყავი,
ცუდი თუ კარგი კუთხე გაეცი მთლიანად.
რა უყოთ, ნუ სწუხარ, შენ კარგად იყავი,
ოღონდ დაგვიცალე ეს ერთი ფიალა!
.....ალპებად,
ანდებად,
თუ კავკასიონის მთებად,
აიწიენ წარბები შეკრული...

სად დაგაბინაოთ? – არ არის იოლი,
ასეთი ლამაზნი.
მამაცნი
ერთგულნი...
სულ ყველა გავეცი, ბილიკიც, ჭიუხვიც,
მარტო დავიტოვე პატარა წალკოტი,
იქ კალთა დავბერტყე სიტურფის, სიუხვის,
საჩემოდ სამოთხის ხეხილით ვამკობდი,
მე ჩემთვის მინდოდა მზიური ქედები
და რადგან მიწის სხვა ნამცეციც არ არის,
ზეცაში ვიცხოვრებ...
ხოლო ეს ედემი –
თქვენთვის დამითმია.
დე, იყოს ალალი!

და ასე წაბრძანდა ღმერთი ცათა შინა,
და ჩვენ დაგვიტოვა ღვთიური მთა-ბარი,
მიტომ საქართველოს რა არ გააჩნია
ქუხს მისი სიტურფის,
სიუხვის ამბავი...

ჩვენი დროის ქართული პოეზია



ამირან ამირანაშვილი

მიწყალე მე, ღმერთო!

მიწყალე მე, ღმერთო, მიწყალე მე,
უძლური ვიყავ, ძალი მიბოძე,
მშიერი ვიყავ, შენ დამაპურე,
უსასოს სასო არ წარმიკვეთე.
შიშველი ვიყავ, მადლით შემმოსე,
დაცემულ ვიყავ და აღმადგინე.
ავად ვიყავი, მომინახულე.
დიდი სცენიდან ჩამომიყვანე,
ცოდვების ზღვიდან გამომათრიე.
ხელი დამასხი, თან წამიყვანე,
უღირსი მონა – მოძღვრად მაქციე.
მიწყალე მე, ღმერთო, მიწყალე მე,
გმადლობ, უფალო, მკვდრეთით აღმდგარო.
გმადლობ, მარიამ, დედაო ღვთისავ.
გმადლობ, გიორგი, უძლურთ მკურნალო.
მადლობა, ნინო, ქალწულო წმინდავ.
დიდნო წმინდანნო, დავით და თამარ,
დედა ქეთევან, დიდო მოწამევ.
ღვთით გამოხსნილნო ადამ და ევა,
მთელი სამყარო თქვენით ვიწამე...
ჯოჯოხეთს დავგმობ იესოს მადლით,
ლოცვებისათვის მიხმობს უფალი.
ღმერთო! მაჩვენე ჩემი ქვეყანა,
განწმენდილი და თავისუფალი.

ფერისცვალება

თაბორის მთაზე ფერი იცვალე,
სულად აენთე, როგორც სანთელი...
სულიერ შვილებს მოსჭერი თვალი,
სულში შემოდის შენი ნათელი...

ჩვენო მფარველო, მანათობელო,
ყოვლის შემძლე და ყველას მშობელო,
ხელს ნუ გაგვიშვებ შენს ცოდვილ შვილებს,
შემწყნარებელო, მაცხოვნებელო.

იქნებ და მართლაც მეტის ღირსნი ვართ,
ვერ ვამზიანეთ ჩვენი წარსული,
შენს მცნებებს წრფელი გულით ვერ ვიცავთ,
შემოვიხიეთ სინდის-ნამუსი...

გემუდარები, ერთად ნუ განგვსჯი,
ზოგი ხომ ვცდილობთ სწორად ვიაროთ.
ჩვენ წინ იმხელა ცოდვის ზღვა არის,
გვასწავლე, როგორ გადმოვიაროთ.

დედა ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე,
გადმოგვაფარე შენი მანტია...
ქმენ სასწაული, გადაგვარჩინე,
ყველაფერს დავთმობთ, რაც გვაბადია.

გედის სიმღერა

სიკვდილის წინ ერთხელ მღერი,
რა გამღერებს, თეთრო გედო?
ალბათ, ნაღველს ვეღარ იტევ,
თავი უნდა გაიმეტო?!

მხოლოდ კლდის ძირს გამოძებნი,
ეთხოვები, შენ თავს – სტირი...
ჩვენ სიმღერად გვეჩვენება,
შენი მწარე დანატირი.

ყველა რაინდს შეშურდება,
გადაწყვეტა შენი მშვიდი,
თავს იკლავ და არ გჭირდება,
არც მახვილი და არც მშვილდი.

სიმღერას რომ დაასრულებ,
მწვერვალს აღწევ სიმაღლისას
და ზემოდან გადმოხედავ
ამ ცოდვიან დედამიწას.

ყელს იღერებ, ფრთებს იკეცავ,
მშვიდად სკდება შენი გული...
კაცთ მოდგმიდან თანაგიგრძნობს,
ვისაც იპყრობს სიყვარული.

როცა ვინმეს შეიყვარებთ,
სიმღერა გახსოვდეთ გედის...
ღირსეულად იცხოვრეთ, რომ
კმაყოფილი იყოთ ბედის.

დავფიქრდეთ, ერო!

განსაცდელები და სასჯელები
დაბადებიდან თან დაგვყოლია...
ტრფობით ეწამა დიდი რუსთველი,
და წიწამურთან მოკლეს ილია.

ურჯულოებმა როგორ შებღალეს,
გურამიშვილის სულის საუნჯე.
არ შეიბრალეს ბარათაშვილი,
მისი მერანი ვერ დაამუნჯეს.

გალაკტიონი ლირს დაემსგავსა,
დარჩა ყველასგან მიტოვებული...
მისი სახელის გაუკვდავება
ქვეყანას დარჩა ლურჯი კრებული.

გრანელს შეუკრეს თეთრი ხალათი,
არ დაეწერა სიტყვა მართალი.
წუთისოფელში მეფობს სიყალბე,
ვერვინ იპოვა აქ სამართალი.

სულხან-საბასთვის ვერ გაიმეტეს,
მონასტრის გარეთ ერთი კელია...
საკუთრ მიწას მოსწყვიტეს ბერი,
სხვაგან ეწამა დიდი გენია.

სოფელ ჩოხიდან მოვიდა ბიჭი,
გულანთებული, ავსილი ნიჭით,
ჩვენი გოდერძი მშიერი მოკლეს...
პატიოსან ხალხს ყოველთვის გვიჭირს.

კიდევ რამდენი დავასახელო,
ერის სირცხვილად კმარა ნიკალა,
კიბის ქვეშ მოკვდა დიდი მხატვარი,
შურმა და მტრობამ ვერ გადიკარა.

დავფიქრდეთ, ერო, ჩვენს მომავალზე,
საკუთარ შვილებს როგორ ვექცევით...
ჩვენც დაგვიდგება განკითხვის ჟამი
და უფლის რისხვას ვერ გავექცევით.

ქრისტეს მშობელო!

დედაო ღვთისა „ივერონისა“,
ბადალი არ გყავს, ქრისტეს მშობელო.
დედათა შორის გახდი სიმბოლო,
შენ ერთადერთო, ამაღლებულო.

წარმართ დევნაში, პირუტყვთ სადგომში,
ბაგაში შობე სამყაროს მხსნელი,
ცისკრის ვარსკვლავი თავს დაგნათოდა,
აღაფრთოვანე ვარსკვლავთ მრიცხველი.

გულით ახარე სვიმონ მართალი,
როცა იესო ჩაიკრა მკერდში.
მან განტევება შესთხოვა უფალს,
რადგანაც იყო ღრმა სიბერეში.

ოცდაათ წლისამ იოანესგან,
იორდანეში იღო ნათელი.
მოციქულებთან იყარე კენჭი,
საქართველოა შენი წილხვედრი.

მწუხრშემოსილმა იხილე ჯვაცმა,
დაფლვა, გლოვა და უფლის აღდგომა.
შენც განიცადე გარდაცვალება,
ამაღლება და უფალთან ჯდომა.

დედაო ღვთისავ, ჩვენო მფარველო,
განსაცდელშია დღეს საქართველო.
ხელაპყრობილი დედაშვილს შეგთხოვთ,
დაგვიფაროთ და კვლავ გაგვამრთელოთ.

მადლობა უფალს

ორმოცდაერთი წელია,
რაც უფალს ვემსახურები,
სიონის ტაძრად ვგალობდი,
თეატრში ნამსახურები.

დავით მეფის პარაკლისზე
წარმოვთქვი მეფის გალობა,
ხელი დამასხეს დიაკვნად,
მდაბლად მივიღე წყალობა.

ვარძიაში პროტო გავხდი,
თამარის ნალოც ტაძარში,
რვა წლის მანძილზე პატრიარქს,
თან ვახლდი, ვით თანამგზავრი.

იყო კონსტანტინოპოლი,
მომისინჯეს ვატიკანიც,
მაგრამ უფალმა არ დამთმო,
მიბოძა მართლის აკვანი.

ვერ დამითანხმეს, არ გავხდი,
მფლობელი ეშმაკის ტახტის.
ჩემს სამშობლოში ვარჩიე,
მოძღვრება უმცირეს ტაძრის.

ვინც ამაღლდნენ დამცინიან,
ვისაც ვზრდიდი თავზე მაზის,
ბევრმა გვერდით ჩამიქროლა,
არც კი ფიქრობს მაღლა რად ზის.

ზოგი მორცხვად მიბოდიშებს,
წინამძღვრები, ჩინოსნები,
ვხედავ მათთან ვერ ვივარგე,
გარს მახვევია მგოსნები...

მთავარია უფლის ნება,
არ დამტოვოს მაცხოვარმა,
„ძმები“ თუ ვერ დამლოცავენ,
ჯობს დამლოცოს მათხოვარმა.

ქართველ მეფეთა სადიდებელი!

ო, დიდებულო, კეთილმსახურნო,
დიდო მეფენო ივერიისა,
მუხლმოდრეკილი თქვენზე ვლოცულობ,
უღირსი მღვდელი, მე, მონა ღვთისა.
ვიდრე ქრისტემდე ტოლს არ ვუდებდით,
დიდ იმპერიებს ვუსწორდებოდით,
ხან იმარჯვებდით სისხლის მსმელებზე,
ბევრჯერ გმირულად ეწირებოდით!
მირიან მეფემ ადიდა ქრისტე,
ჭეშმარიტ სჯულზე მონათლა ერი,
მან დაამსხვრია წარმართთ კერპები,
იესო ხდება მათი მფარველი...
სიკვდილს ეძებდა უფალ ქრისტესთვის
მეფე ვახტანგი გორგასლიანი,
სამშობლოსათვის და უფლისათვის,
დღესაც მიგვიძღვის ხელში ხმლიანი...
დიდო მეფეო, წმინდაო დავით,
როგორ შეგბედო სიტყვა ქებული,
გაამთლიანე კავკასიონი,
მსოფლიო დარჩა გაოცებული.
მეფეო თამარ, ღვთითკურთხეულო,
სხვა ქალს მეფობა არ ღირსებია,
შენ ააყვავე მთელი ქვეყანა,
სუყველგან შენი ნაკვალევია,
შენი შვილები გაანებივრე,
რუსუდანი და ლაშა გიორგი,
შენს ბრწყინვალებას ფარავს ღრუბელი,
დედა ღვთისმშობელს გაჰყევი მგონი...
დაბოღმილ მტრებმა იძიეს შური,
ქვეყნად ღალატმაც იჩინა თავი,
შინა შუღლმა და გაუტანლობამ,
დრო დაუყენა სამშობლოს ავი...
დავითისა და თამარის საზღვრებს,
რღვევა დაუწყეს დაუნდობელი,
გარეშე მტერი გვაწიოკებდა,
აღარ დაზოგა შვილმა მშობელი.
სამთავროებად დაინაწილეს,
ყველა სამთავროს დაბრძანდა მეფე,
ააგეს კერძო ციხესიმაგრე,
ქვეყანა გახდა სუსტი და მყიფე,
დიდი გიორგი, შვილი პაატა,
ზოგჯერ თუ გმირი გამოჩნდებოდა,
ბოროტებით და ინტრიგანობით,
სამშობლოს გარეთ იდევნებოდა!
მძევლად ითხოვდნენ მეფე დედოფალს,
თორემ ქვეყანა აოხრდებოდა,
თეიმურაზმა გასწირა დედა,
წამებულის ხმა ზეცას სწვდებოდა...
მერე ჭაბუკებს ასაჭურისებს,
სასტიკი შაჰი აღარ ცხრებოდა,
პაატას თვითონ მოჰკვეთა თავი,
მას ჯალათები არ სჭირდებოდა...
ჩემო ძვირფასო დიდო ერეკლე,
როგორ გავბედე შენთან თამაში,
ეს თავხედობა შემინდე, მეფე,
მაია წყნეთელს ბრალს ვდებ ამაში...
იმერთა მეფევ, სოლომონებო!
„ლომებრ მყეფენო, მტერთ სისხლ მჩქეფენო“,
თქვენგან ბოძებულ ჩხარში ვცხოვრობდი,
მადლობას გიხდით, იმერთ მეფენო!
დღესაც ბოგინობს ამირანთ-შვილნი,
მურზაყან ჩაჩბას შთამომავალი,
ხრესილის ომში გამარჯვებულმა,
დაგვიჯილდოვე ჩვენ წინაპარნი.
იმერეთიდან განდევნე ურდო,
თან მიაყოლე მოღალატენი,
მუჰამედის რჯულს გადაარჩინე,
ზღვისპირეთამდე მთელი კოლხეთი.
ღვთისმშობლის წილხვედრს, დღეს საქართველოს,
აღარც მეფე ჰყავს და არც პატრონი,
მხოლოდ უფალი გვიცავს, გვიფარავს,
როცა ღმერთთან ვართ, არ ვართ მარტონი!

მშვიდობა ყოველთა

მშვიდობა უფლის მადლია
ომი კი ბორტთ ხვედრია,
უფალი ლოცვით გვმფარველობს,
ბოროტი ცეცხლის ალებით.
მშვიდნი სიყვარულს ქადაგებს,
სამოთხე მშვიდთა ხვედრია,
ბოროტს დღედაღამ არ სძინავს,
სუსტებს ადვილად ხედნიან.
მშვიდნი სალოცავს ამშვენებს,
სულების განსაწმენდელად,
ბოროტი მუდამ მზად არის,
ქვეყნისა დასანგრევებლად.
მშვიდს პატიების ნიჭი აქვს,
მას ძალუძს ცოდვილს შეუნდოს,
ბოროტი ყველგან შარს ეძებს,
ყველაში ხედავს მტრის ურდოს.
კეთილი მშიერს აპურებს,
მწყურვალს წყალს დაალევინებს,
ბოროტი წაგლეჯს, წაგართმევს,
სულსაც არ მოგათქმევინებს.
მოდით მშვიდობით ვიცხოვროთ,
სიყვარულს მივცეთ დინება,
ბოროტი ბოღმით დამხრჩვალი,
ჯოჯოხეთს მიედინება.

ერთად ვილოცოთ

სულ დაბოღმილი რატომ დადიხარ?
გესალმებიან არ იღიმები.
ეშმაკის კლანჭებს შეუბორკიხარ,
გარს გახვევია შხამის ხუნდები.
მცხოვან ასაკმა ვერ გამოგიხსანა,
ვეღარ გაძეხი თბილი ტახტებით,
რაც მაღალ ტრამპლინს იპყრობ სახტომად,
მით ჯოჯოხეთის კუპრში ჩახტები.
ფიჯობს მიბაძო იესო ქრისტეს,
განკაცებულმა ჩვენთან იცხოვრა,
მოდი და მასთან ერთად ვილოცოთ,
ჯოჯოხეთიდან არ გაჭრის თხოვნა.

ისევ მოვა გაზაფხული

არ ვიცი რას დავაბრალო,
რა წარმოქმნის სევდის ღრუბელს,
გული დარდით შეპყრობილა,
სული სევდას ძლივსღა უძლებს.
სახე ფიქრით მოღუშული,
თითქოს წვიმას ელოდება,
თვალებიდან მომსკდარ ცრემლებს,
გზად ნისლები ეღობება.
დინჯად ვუვლი ტაძრის ეზოს,
ვეფერები ვარდის ბუჩქებს,
მახსოვს ვარდმა გაზაფხულზე,
როს კოკრები გადაფურცლეს.
მათაც სევდა შევამჩნიე,
უმზეობით მოიწყინეს,
იმ თბილ დღეებს იხსენებენ,
გაზაფხულზე რაც ილხინეს.
ნუ მოიწყენთ დაელოდეთ,
სევდას შეცვლის სიხარული,
ცივ ზამთარსაც ერთად დავძლევთ,
კვლავ გვეწვევა გაზაფხული.

შემოდგომის ჰანგები

შემოდგომის დიდებული დილაა,
გრილი სიო სულის სიმებს ეხება.
მელოდია საგალობელს წააგავს,
ტკბილი ჰანგი სიყვარულის შეხება.
მზის ალერსი ჩაგეღვრება თვალებში,
გადიშლება სიჭაბუკის კადრები,
მთელ სამყაროს შემოუვლი ფიქრებით,
დაქანცული სავარძელში ჩავჯდები.
იგრძნობ მხრებზე მძიმე ტვირთი გკიდია,
რასაც ადრე მსუბუქად ატარებდი.
რა ვიცოდი სიჭაბუკის ცოდვები,
სიბერეში თუ არ შემიბრალებდით.
ახლა კი გთხოვთ, რომ გულწრფელად
შემინდოთ,
სიყმაწვილით დაწყვეტილი ჯაჭვები,
მერიდება უფალს როგორ შევხედო,
კარიბჭესთან მათხოვრად, რომ წარვსდგები.

ა მ ი რ ა ნ ი

კავკასიონის ციცაბო კლდეებს
შემორჩა მძიმე ჯაჭვების კვალი,
როცა ეხები ამ ჯაჭვის ნაგლეჯს,
გაგახსენდება მამულის ვალი.

მაშინ ვრწმუნდები, ქართველმა ხალხმა
მხსნელად გიწამა, კლდეს მიჯაჭვული,
ღმერთის ნაშობი, უკვდავი გმირი,
დაუძლეველი, გოლიათური.

ერი მოგენდო მებრძოლ ამირანს,
ბოროტს და ავსულს რომ ამარცხებდი.
სადილად ბუღა კამეჩს შეჭამდი,
ერთ-ორ ქვევრ ღვინოს დააყოლებდი.

კავკასიონზე ვერვინ შემოდგა,
ყველა მომხვდური იქცა მიწადა,
ბადრი, უსუპი, თვით ამირანი
ყველამ იცოდა, ამ მთებს იცავდა.

შენი სახელი დღესაც მამხნევებს,
შენგან ვისწავლე ძმობა კაცური,
როდესაც მიჭირს, მუდამ მამხნევებ,
შენი ძალით ვარ მუდამ დაცული.

მკერდით დაიცავ მშობლიურ მიწას,
როცა უმიზნო ტყვიას ახლიან...
შენი ნათლია საქართველოა,
კავკასიონი შენი სახლია.

მუდამ სიმართლე მიყვარდა

არასდროს ვიყავ გამცემი,
მლიქვნელი ენატანია,
მუდამ სიმართლე მიყვარდა,
არც არვინ მომიქრთამია.
სკოლაში მუდამ ვცდილობდი,
ჩაგრულის მხარე დამეცვა,
არავის ვაჩაგვრინებდი,
თუ ვინმეს კარგად არ ეცვა.
მეც ბევრჯერ შემომხვევია,
ძმების ნახმარი სამოსი,
განსაკუთრებით მიჭირდა,
ცეკვისთვის ტანისამოსი.
ზოგჯერ სკოლა მიკერავდა,
ზოგჯერ კიდევ ნათესავი,
სამაგიეროდ ვცეკვავდი,
ჩემი ცეკვით ვიყავ მთრალი,
თბილიში რომ ჩამოვედი,
ბევრმა არ გამიღო კარი,
ისეთი მორცხვი ვიყავი,
კიბის ქვეშ ამოვყევ თავი.
ფიროსმანივით ვიცხოვრე,
რამდენიმე თვე დავყავი,
როცა მოვხვდი სტუდქალაქში,
პარიზში მეგონა თავი.
ოცდათვრამეტი წლის ვიყავ,
თითქმის გავხდი პარიზელი,
ეიფელი როს დავტოვე,
და კვლავ დავრჩი მე ჩხარელი.



დეკანოზი ილია (ნუგზარ) ჩიკვაიძე
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი
დაბადების ადგილი – თბილისი

* * *

ვდგავარ სამყაროის მწვერვალთან,
ცაზე რიჟრაჟის მზე თვლემს,
სიცოცხლის ეშხში შევალ და
მივეახლები ბეთლემს.

და ცრემლი მეწყრად დიოდა,
სულს რომ დაღლიდან მისდევს...
ოცდაათ ვერცხლად იუდამ
როგორ გაჰყიდა ქრისტე...

სისხლში ახრჩობენ რაინდებს,
ცეცხლში აშთობენ კოკორს,
ღმერთიც რომ აღარ დაინდეს,
კაცს დაინდობენ როგორ!

ღმერთული სხივი თრთის მთებთან,
მმეხავს ლერწებით ნატირს,
ვარ მონადირე, მივსდევ და
ვეღარ ვეწევი ნადირს.

ზეცაზე ისევ მზე თვლემდა...
ღაწვზე ცისკარი თრთვილობს...
ხან ვევედრები ბეთლემს და
ხან ვევედრები ილორს.

სისხლად ამოსდუღს მარტყოფი,
ურვაც ინთება დავის,
ვაიმე, ძალა არ მყოფნის,
შემომეშველე დავით!

კლდეებზე მწუხრი არბოდეს,
შეჰკრავს კვეტართან კამარს,
ვაიმე, მუხლი არ მომდევს,
ვაი, დედავ და თამარ!

გლოვა ამოვა კავთამდის,
ცას ვაჩერდები მწყურვალ,
იჩქარე, თორემ გავთავდი,
უფრო აყეფდა ურვა.

და ლოცვა მეწყრად დიოდა,
სულს რომ დაღლიდან მისდევს,
ოცდაათ ვერცხლად იუდამ
როგორ გაჰყიდა ქრისტე.

„არსაიდან ხმა“, ღმერთმანი,
არც ნატამალი ხიდის,
კაცობრიობა ერთმანეთს
როგორ ჰკაფავს და ჰყიდის.

შუქიც ინთება კელაპტრის,
მწუხრიც მთას კისერს უყვლეფს,
იჩქარე, თორემ ვერაფრით
ვეღარ დაამსხვრევ უღლებს.

ვდგავარ სამყაროს მწვერვალთან,
ცაზე რიჟრაჟად მზე თვლემს,
სიცოცხლის ეშხში შევალ და
მივეახლები ბეთლემს.

ციკლიდან „ილია მართალი“

* * *

შენ მოინატრებ იმ წარსულ მნათობს
თმაჩამოვერცხლილ კლდე-მთა-ტყეებში,
შენ სიცოცხლეთი აღავსებ ნათელს
და გამოაწრთობ ქართვლის დღეებში,
და შორეთიდან მოფერნილ მერცხალს
დააბინავებ მზის ბუდეებში.

შენა ხარ მტერზე ლაშქრის მისევა,
ეს ბრძოლა შენგან დაისწავლება
შენგან ვიაზრე წინაპრისეულ
ფარზე და ხმალზე ხელის წავლება,
წამოდექ, თორემ ამ ქარ-გრიგალში
სამშობლოს ცეცხლი ჩაინავლება.

ამ საუკუნის შავ-ბნელ დილეგში
ტანჯვა და ფიქრი საახოვანო
ჩამწყვდეულია ისე ვით ლეში,
მამავ და ჩვენო სულო მხცოვანო,
მაგ დაღლილ შუბლით, ჩვენს ტკივილებში,
ათასჯერ უნდა გაიხმოვანო.
ეს გზები შენთვის წიწამურია,
ამ გზაზე ბინდი ამოჭაობდა,
ამ გზაზე შენი ეტლის ნათება
ჩამავალ მზისებრ მიქანაობდა
და ცისარტყელით შემოხატული
ამზევდა სული და არ დაობდა.

წარსული შენში განათდა მზეებრ
და თვალთაგან სისხლი წამოუვიდა,
ამ საუკუნის გაცრეცილ დღეებს,
იმ ქართულ დღეებს, რა მოუვიდა,
სამოთხის ბაღში ჩამოჭკნა ვარდი
და სული ეკლად ამოუვიდა.
სულმოუთქმელი ტანჯვებით გელი,
ჩანჩქერნი მთიდან ჩამორბიანო,
მუნ წყაროსთავთან სისინებს გველი
ნესტარნი გულზე მოუდვიანო,
მზით შემკობილო მამულის მცველო,
გევედრი, აღარ დაიგვიანო.

გამოხსნავ, ჟამთა სანეტაროთა,
ფოლიანტებში ღამის მთეველო,
ქართული ცეცხლის კელაპტარო და
წყალობავ, ცაზე მისაკმეველო,
დაღლილთა ჩვენთა სულის ნათებავ,
თვალებში ცეცხლად დაუტეველო.

ეს საუკუნე, იმ შავ-ბნელ ურჩხულს,
ებრძვის და თითქოს ქვეშ მოჰყოლია,
ამ ტკივილებით ამღვრეულ სულში
გარდასულ გრიგალს დაუქროლია...
შენ ჩაგრჩენია ტკივილი გულში
და ეს ტკივილი მთების ტოლია...
მამულის მთებზე დამდგარა ღამე
გაუვლელი და დაუსაბამო,
ამ უდაბნოში მზის მცხუნვარება
შენ მოგიჩრდილა სულხან-საბამო,
აქ კლდე-ღრეებში გოდებით დადის
და ცრემლიანად მოსთქვამს საღამო.

ცავ, ბინდებით რომ ვერ იბინდები,
მთებშიც დიდების მაცნედ წახველი...
რად ჩაინავლა ძველი დიდება –
მზე – ოდითგანვე განუზრახველი,
როგორ მჭირდები!
გამეღვიძა და
აღმომხდა კვალად შენი სახელი.

შენა ხარ მტყერზე ლაშქრის მისევა,
ეს ბრძოლა შენგან დაისწავლება,
შენგან ვიაზრე წინაპრისეულ
ფარზე დეა ხმალზე ხელის წავლება,
წამოდექ, თორემ ამ ქარ-გრიგალში
სამშობლოს ცეცხლი ჩაინავლება.

წიწამურთან, გოდება ილიაზე

რა ძნელია დაფნით მოგდევს,
როცა ერის სანათელოდ
„მიდიოდე და ფიქრობდე,
ეს რა არის საქართველო“.

ლოდებს ანთებს მისტერია,
აატირებს ძაძით ვნებებს,
ღრუბლები ცას მისტირიან,
და სულ მთისკენ აცილებენ.

მსურდა გზები მევლო გზნებით,
ეს დიდი ხმა არის ქედთა,
ხარ პოეტი მეოცნებე
და ქართველი ხარისქედა.

წყურვილს მთები მომიკლავენ,
ცოტა მომეც, ბევრი მთხოვე...
ჰა, ეს სული, ჩემი მკლავიც
მიაჭედე სვეტიცხოველს.

ცადატყორცნილ მზიან ღამეს
ძირს არ დახრის ჯერაც ციხე,
თუმც ამჩეხეს და მაწამეს,
ხრმალზე ხელი ვერ ავიღე.

მე ქართული მიწა მსურდა,
მე ვიწვოდი მეტი ცოდვით,
მე ვიდექი წიწამურთან,
შენი მოკვლაც მე ვიცოდი.

გული დარდით დაღარულა,
ცხარე ცრემლში მალავს ტყვიებს,
მამავ, ტყვიადახალულო
ეს მკვლელობა მაპატიე!..

* * *

ნისლიან მთებში ვნებით მზე წვება,
შორეთში თრთიან შენი ბაგენი;
ცოდვილ მიწაზე ბევრი გეძებე,
მაგრამ, ძვირფასო, ვერ მოვაგენი.

აინთო ცრემლში ვნების ღელეთი,
სიცოცხლის მკერდი მიყოფს იარებს;
უცბად დატოვე მთელი ხმელეთი
და თითქმის ზეცა მიმოვიარე.

უფლეთში სევდა შეინახება,
დაღლილი ზეცა მთვარემმოიცვა...
ვერსად ვერ ვპოვე შენი სახება,
შვება ამ ჩემი სამეფოისა.

სიცოცხლე ახოს მზერად მიჩეხავს,
აღანთებს სულეთს თვალის იერი;
იქნებ შენ ახლა ბეატრიჩე ხარ
და გეტრფის დანტე ალიგიერი.

ღრუბელი მწუხრად შემომეღვარა,
აღანთო გულის ღამემ ფიცარი;
იქნება სადმე შემომეყარე,
იქნება გნახე და ვერ გიცანი.

თოვლეთი ზეცას ნამქრად გადაჰყვა,
ტკივილი მთებზე წამობს ხატებად,
გეძებ და გეძებ, მაგრამ სადა ხარ,
ინებე, ღმერთო, გამოცხადება.

გული ურვით და ვნებით დამეპო,
სხივებმა ცაზე ბინდი მოთვალეს;
შენ გელოდება ჩემი სამეფო,
შემობრძანდი და იდედოფალე...

მონანიება

წმ. ილია მართლის მკვლელობაზედ

ისმინე, ცაო და ყურად-იღე,
ქვეყანაო, რამეთუ უფალი იტყოდა:
ძენი ვშვენ და აღვამაღლენ, ხოლო
მათ შეურაც-მყვეს მე.
ისაია.

მთა-გორებს ბინდის შვენით კარავი,
წამებს წამებით მიაქვთ ქარეთი,
მაგრამ სიცოცხლეს ვერ იფარავენ
ანგელოსების სიანკარეთი.

ქართვლის დღეებმა მძევლით იდინეს,
შეხედე, თერგი ელავს წვალებით...
იტირე, სისხლის ცრემლით იტირე,
იტირე, შენ კი გენაცვალები...

ტკივილებს სისხლში თურმე დრო გეშავს,
იტირე, უფლის ხმათა ზიარო...
იქნება ურვა გულზე მოგეშვას,
იქნება ურვამ გადაგიაროს.

არაგვზე ბინდი დადგა ჩეროთა,
სოფელი ტანჯვას მიაქვს უთვალო,
არ ვიჩქაროდი, რადგან მჯეროდა,
შენ ვერ გესროდენ ტყვიას, უფალო.

სისხლიან ნისლებს ფარავს მთის ჩქამი,
მარად ლაღი და მარად მყეფარე,
ვაიმე, ღმერთო, რად არ ვიჩქარე
და ტყვიას მკერდით არ ავეფარე.

შეტოტრტმანდება მთვარე ტივივით,
ბედაურს რისხვა შვენის მხედრიანს,
შენი ხვედრია მწარე ტკივილი,
ვნება და სისხლიც შენი ხვედრია.

არაგვზე სისხლი ალაპარაკდა,
გრიგალებს ურვა მეხავს ღვარებით,
მე მთელი ღამე ვდგავარ არაგვთან
და საუკუნეს ვეხარხარები.

მიდამოს ბინდი შვენის ველების,
ძნელია ახლა ღმერთთან შეშვება,
ურჯულოთაგან შენი მკვლელობა
მტანჯავს და, ვაგლახ, აღარ მეშვება.

ტკივილებს მთები აგვიალებენ,
თვალებმა ნისლებს რატომ შეხედეს,
მე ცოდვილი და ნაგვიანები
წიწამურში რომ ამოვეხეტე.

ეს ცოდვა ეგრე ვერ იყიალებს,
მიწიდან სისხლი ჟონავს იებად,
მკერდ-სისხლიანი ჩემი ღრიალი-
შენი მკვლელობის მონანიება.

ეს საუკუნე ფრესკებს წაბოლავს,
რისხვა და სისხლი რად არ მაშინებს,
მე არაგვიდან შენსკენ წამოველ,
ვაიმე, რომ ვერ გადაგარჩინე...

* * *

სიცოცხლე მთისფერ მითებს შლის,
როგორც ცახცახი ზეგნის,
ელვარებს უფლის თითებში
მარტოდ შექმნილის ნეკნი.

მივარვარდება მზე ვაშლთან,
წყურვილს წყურვილებს ატანს,
ანთებს მაცდურად ევას და
ხელი წასცდება ადამს.

სირცხვილი სირცხვილს ვერ უმზერს,
ჟამი თანდათან რო თლის,
ახარხარდება სხეულზე
აშრიალება ფოთლის.

ზეცაზე ნისლი გათოვდა,
სისხლი მოლალავს გვარ-ტომს,
ვიღაც დარჩება მარტო და
რა ეშველება მარტოს.

სიცოცხლე ფეთქავს სადარე,
როგორც მიმწუხრი კეტის...
ვაი, რომ ერთად ატარებს
ღმერთი ბოროტს და კეთილს.

ღამე აინთო თარეშად,
სისხლი ანთხია თოფმა,
მათ ერთმანეთის გარეშეც
გაუჭირდებათ ყოფნა...

სოფელი ურვას არ გვილევს,
მისდევს ზეცისკენ ვექტორს,
რა აწუხებდა აქილევსს,
რა ამხედრებდა ჰექტორს?!

უფალი ცრემლით დასტირის
გაუმაძღებს და ხარბებს,
თურმე კაციც და ნადირიც
ერთიმეორეს არბევს.

სოფელი წყალში როდი დგას,
ცეცხლის ყიჟინიც ახლავს...
კაცობრიობა ოდითგან
სისხლით დაეძებს სახრავს.

სისხლი აღინთო დღეისაც,
აჰყვა დასევდილ დუდუნს,
მე რა ვიცოდი კეისარს
ლახვარს ჩასცემდი, ბრუტუს.

ჟამი სიცოცხლეს აბერებს
სისხლის ცრემლებით მტირალს,
სისხლი იღვრება და მერე
შეცვლის ტირანი ტირანს...

ააღრიალებს დრო ეხოს...
ჰკივის იარა ლოდის...
ბოლო როდისღა მოეღოს
მონის საბრალო ლოდინს.

ცას სწვავს ბინდებად ბიწი და
აბუბუნდება რიწა,
რაც აფრინდება მიწიდან,
კვლავ უბრუნდება მიწას...

უფალი ამბავს აბარებს
სვეტიცხოველს და ვერსალს...
რომ შენთვის გათხრილ სამარეს
ვერ გაექცევი ვერსად...

სისხლი იელვებს და ურვა
თრთის ფერმიხდილი ხვადის,
სადაც სიცოცხლე ხმაურობს,
იქვე სიკვდილი დადის.

მარადი ცრემლი ვიღას სდის,
გვემა უნთიათ რატომ?!
ან საუკუნეს რიღასთვის
შემოუტია ბათომ?!

გოლგოთისაკენ მინდია,
სხვები – სიცოცხლის კართან,
ურვით და სისხლით მიდიან,
რომ არ ემსგავსონ მკვდართა.

ახარხარება თრთის ღიმთა,
ქარი მოუხმობს მხედრებს,
მერე სისხლიან კლდის ქიმთან
დაემხობა და გვედრებს.

ვისმენ ამ სოფლის დუღილთან
ერთად ტირილს და კისკისს...

მითხარ, უფალო, თუ ღირდა
ქვეყნად ამხელა რისკი.

თავზე ყორანი დაგვძახის,
სისხლი აღანთებს ღადარს,
მითხარ, უფალო მაგ ზრახვის
ბოლო მიზანი სად არს.

სჩანდა ქართლი და კოლხიდა,
ჟამი უსევდა ზედ ყვავს,
ტოტებს ამსხვრევდა კოხი და
ლოდზე ეყარა სეტყვა...

სონეტი

არსება ჩემი აჩრდილი და ლანდია ღმერთის,
ღმერთული ტრფობა თვალად, მინდა, შემოგბრიალო,
დღეს ამ მიწაზე ერთგულებად დავდივართ ერთად,
ხვალ რას გვიმზადებს ბედისწერა, ჩემო ტრფიალო.

მდინარის სევდამ ცივნეული ლოდები დახრა,
მოდიხარ ჩემში, ქანდაკება ხარ ფერმიხდილი;
დღეს ასე, ხვალ კი უცილობლად მოხდება გაყრა
ისე ვით სხეულს, ერთმანეთსაც გაგვყრის სიკვდილი.

ეს გარდასახვა სხეულისთვის დაგვბინდავს მაშინ,
ამ წუთისოფლის მწუხარეა მზე ნისლეული;
ვშიშობ, ვაი თუ ჩემზე ადრე წახვიდე ცაში
და მე სატირლად დამიტოვო შენი სხეული.

მშვიდი ვარ, დაე, სინათელემ მინისლოს დავა,
ვინ შეიმეცნოს ამ ცხოვრების იწილ-ბიწილო;
მე სხეულიდან შენზე ადრე იმისთვის წავალ,
შენი იქ წასვლის სატანჯველი რომ ავიცილო.

მე გიმზერ ახლა სიყვარულის კვნესაში ხვეულს,
შენ ტრფიალება მაღალი და გშვენის ეული,
მე ნუ შემასწროს შემოქმედმა შენს დაცლილ სხეულს,
შენ დაგეტიროს სულგაყრილი ჩემი სხეული...

მთის მწვერვალები

შენს ლაშქრობებში აღმერთებდნენ მზისფერ უკუნეთს,
შენი დამხობა – მუნ დაემხო – ვინც დაიჟინა;
ქართული ცეცხლით ავსებულა მზის საუკუნე,
ქართულ ზრახვებში გაწვართულა უშენი ყიჟინა.

გულს ბალღამივით ცოდვის ცეცხლი წაეკიდება,
სჩანს მწვერვალები ამ ცეცხლისგან შეულახველი;
არავინ უწყის, რა იქნება შენი დიდება,
არავინ იცის, სად იწრთობა შენი სახელი.

ხარ-ირემს მთაში ღრუბლის ცური მოუწოვია,
მზიანი ღამე გაკვართულა ტაძრის თაღებში;
შენს სამართალში ცრუ სიმართლეს ვერ იპოვიან,
ცრუ განდიდებაც არ ყოფილა შენს განზრახვებში.

შენს ასპარეზზე დარახტულან საბედაუროდ,
რისი განმგები, რისი მონა, რისი ბატონი...
შენს ხმელ ძარღვებში სიყვარული სისხლად ხმაურობს
და შარავანდად დაგდგომია მზის კაბადონი.

ცეცხლოვან დღეებს ერკინება მშვიდი უკუნი,
შენს ჩამქრალ თვალებს ნაპერწკალი კვლავ გასჩენია,
ლაშქარ-ბრძოლებში ხმალ-აბჯარმა დაიგუგუნა
და ასპარეზად ეს ქვეყანა, ისევ შენია...

ამ საიდუმლო განგებაში დღეები ვლიან,
დღეები ვლიან ტკივილით და ღვთიურ წვალებით;
მთის მწვერვალები მყესეულად მწვერვალებს ცვლიან
და მთიდან მთაზე გადადიან ეს მწვერვალები.

ო, როგორ მინდა, წავიდე სოფლად

ჩვენს ეპოქაში უწმინდეს ალაგს
არღვევენ სართულ-სართულ სახლები,
დავტოვებ ქუჩას, დავტოვებ ქალაქს,
და ორღობეებს მივეახლები.
მამულის სევდას, დარჩენილს ობლად,
ამ სივრცეებში მიუხარია;
ო, როგორ მინდა წავიდე სოფლად,
სოფელში ჩემი ნიშა ხარია.
სოფელში ჩემი ქვეყანა ღვივის,
ტანზე ქართული ჯვალო აცვია,
ვენახში ვაზებს უგალობს ქვრივი
და ცხოვარს უხმობს მწყემსი ქაცვია.
დასაბამიდან მაწუხებს შიში,
შიშნეულ დღეებს ლოცვებს მივაგებ,
მზით მიმორხეულ ვენახის ჩრდილში
მამა-პაპეულ საფლავს მივაგენ.
და საუკუნის სისხლიან მზერით
მთებიდან ბარში ჩამოვივაკე.
ბილწავენ ცას და მარხავენ სოფელს,
ვაჭრულად ზომვენ არშილ და არშილ,
რად მიბნელდები სინათლევ, თვალში,
სინათლევ, თვალში რად მიბნელდები.
თუმც უძნელდებათ საფლავის გაჭრა,
რადგან მძიმეა მიწის ბელტები.
კარგავენ და არც კარგავენ იმედს,
ყიდიან მიწას, ჯიუტს, ქვებიანს,
და პროცესიას, ესოდენ მძიმეს,
ხელჩაქნეულნი მიუყვებიან.
ჩვენს თავზე ქარად გადავლილ ქარებს,
დღე დღევანდელი მოაქვთ ყვავილად,
უკანასკნელი აქ დაკლეს ხარი
და ხარმა დარდი ცას შეჰბღავილა.
ეს შებღავლება ტკივილებს იწვევა,
ჭრილობა გულში განუკურნელი...
და ხარის სისხლით ჩაჩეხილ მიწას
საქართველოსი ასდის სურნელი.
მამულის მთებში რაინდებს სძინავთ,
დაეზმანებათ კდემა ქალური;
თვალებში სევდა დაიდებს ბინას
ნაცრისფერი და ეპოქალური.
ამ ძილ-ღვიძილში სიცოცხლე მოჩანს,
სიკვდილი მასში ჩამარხულიყო,
აევსო მიწა მამულის დრო-ჟამს
და მიწა იგი უკვე ხნულიყო.
ამ უღმერთობით დაშრეტილ დროში
ეკალში ვარდი ამოსულიყო.
ქართულ ყანაში ჩაიქცა ოფლად,
ქართული სისხლი დაუმხობელი...
ო, როგორ მინდა, წავიდე სოფლად
და კიდევ ერთხელ ვნახო სოფელი.

არქიმანდრიტი სერაფიმე (გოგი) ფილია
მღვდელთმსახური, არქიმანდრიტი

ჰოი დედამიწავ! საით მიგორავხარ?
ЭХ ЯБЛОЧКО КУДА Ж ТЫ КОТИШЬСЯ

ჰოი დედამიწავ! საით მიგორავხარ?
ქუჩის ამორძალმა ფული გამომძალა,
ასე სიბრმავისგან როგორ
გამომთვრალხარ?
სილა გამარტყა და ზეცას ამოსძახა.

კოკისპირულად როდესაც წვიმდა,
და შევნატრობდი ღამეს მთვარიანს,
აღარ მტკიოდა და აღარ მწყინდა,
ბორკილ დადებულს ისე ძალიან.

თუმცა ქვითკირის კედელს ვერ ავცდი,
თვალებს დუმილით დახრილს დარდიანს,
სიყვარულს სიტყვის თქმას რომ არ აცლი,
ვეღარ აიცდენ ამინდს ავდრიანს.

მე კი ვიცი რომ ზღვარსაც გადავცდი,.
და უშნოდ ვბაძავ ომარ ხაიამს,
კალმის აღებას სული არ მაცლის,
თუმცა გულისთქმას ყვარობს ნაღვლიანს.

წყლის გაღმა სველი ავდარი დაქრის,
წყლის გამოღმა კი ავი დარია,
კალამს ხელს ვკიდებ ფურცელზე დახრილს,
სიმართლის თქმა რომ გულით სწადია.

ნიღაბის მიღმა ცხოვრება რა ღირს?
თუმცა რომ ფასობს ეს ხომ ცხადია,
და ვემსგავსები სიკვდილით დასჯილს,
მუდამ სიცოცხლე რომ უხარია.

თავისუფლებას თუკი არ გაცვლი,
ღირსებას ნიღაბს ახდი ბრალიანს,
მაგრამ მერჯულე კანონებს არ ცვლის,
და ბორკილებით ვხვდები განთიადს.

კოკისპირულად როდესაც წვიმდა,
სადღაც დარაბებს მიღმა ქარია,
ბორკილით წინსვლა ყოველთვის ჭირდა,
ჭირდა ყოველთვის წინსვლა ძალიან.

ჰოი დედამიწავ! საით მიგორავხარ?
ქუჩის ამორძალმა ფული გამომძალა,
ასე სიბრმავისგან როგორ
გამომთვრალხარ?
სილა გამარტყა და ზეცას შემოსძახა.

ხულიგანი ხარ...

ხულიგანი ხარ! როცა ქარიშხალს,
გაჰყვები ნებით და მის წიაღქვეშ,
მშვიდად მოკრიფავ ეკლიან ვარდებს,
და ჯვარს დაიწერ ლურჯთვალ იაზე.

მოგონებები დღეთა მათ სევდით,
დაგაყენებენ დილის წირვაზე,
ანთებულ სანთლით და რკინის მკერდით,
კავკასიონის ქედის მიჯნაზე.

სამყაროსაც კი გახედავ ეჭვით,
კაცის კი გჯერა თუნდაც სიტყვაზე,
ხულიგნად რჩები! როცა ტყვედ მყოფი,
ღირსებას იცავ მტერის ჯინაზე.

ხულიგანი ხარ! რომ მოგაწვება,
მაჯებგადახსნილს დარდი სუფრაზე,
და ერთი ნახვით რომ შეიყვარებ,
სულით და ხორცით გულის ყურამდე.

ვიღაც მეჩეთში კითხულობს ყურანს,
სული კი ადის ტაძრის გუმბათზე,
ბორკილდადებულს რომ გიძნელდება,
ამყად გავლა ნაცნობ ქუჩაზე.

ხულიგანი ხარ! როცა მიდიხარ,
შუბლით პირისპირ ნასროლ ტყვიაზე,
ღმერთო შემინდე! ბოლოს რომ დაწერ,
სისხლიან ხელით ცოდვილ მიწაზე.

ხულიგნად რჩები, როცა სიკვდილსაც,
ღიმილით ხვდები და მის ყვრიმალზე,
ცრემლსაც შენიშნავ სინანულისაც,
რომ გაგაღვიძა დილით სისხამზე.

ხულიგანი ხარ! როცა ქარიშხალს,
გაჰყვები ნებით და მის წიაღქვეშ,
მშვიდად მოკრიფავ ეკლიან ვარდებს,
და ჯვარს დაიწერ ლურჯთვალ იაზე.

და მიდიოდა შუა გზაზე კაცი განსხვავებული ფიქრთა ამალით

თუ მართლა გინდა რომ გაგიხარდეს,
ცხადში იხილო სიზმრად ნანახი.
თავისუფლებას უნდა მიჰბარდე
უნდა გიყვარდეს გწამდეს ნანატრი.

როცა რატომღაც ვიღაც იმარჯვებს
გონებას ბორკილს ადებს მავანი,
ფიქრობ რომ ალბათ აღარ გიმართლებს
და აქ იწყება გზის გასაყარი.

და მიდიოდა შუა გზაზე კაცი
განსხვავებული ფიქრთა ამალით,
ყიფიერებამ დაკარგა ფასი,
სადღაც მესამედ ყივის მამალი.

ოქტომბერმა სანთლით ხელში

გაყვითლებულ ფოთლებს ტყეში,
და უამრავ ფერთა ცვენას,
ოქტომბერმა სანთლით ხელში,
ღამე მთვარე შეაშველა.

კვლავ შეწყვიტა სულში გავლით,
მეტყველებამ ფიქრთა დევნა,
ფოთოლცვენამ ხელში კალმით,
ისევ ლექსად გაიელვა.

სევდიანი ცაში ფრენა,
ღრუბლებს იქეთ გადადევნა,
ამ საღამოს ფენა-ფენა,
სიყვარული დაგვათენა.

შემოდგომის მწუხრის ავდარი

მოსაღამოვდა, დღის სიტურფეს გაუჩნდა ბზარი,
მზემ ჰორიზონტზე გააჩაღა მწუხრის ხანძარი,
ცას მთელს კიდეზე მოსდებოდა წითელი ალი,
და ბობოქრობდა კარს მომდგარი ცივი ზამთარი.

ჯერ არ ბნელოდა მაგრამ წუხდა დაღლილი ქარი,
ნოემბერს სევდამ აუტეხა აყალ-მაყალი,
თვალცრემლიანი ხატების წინ შავებში მდგარი,
ჩუმად ტოვებდა ნავსაყუდელს, შემოდგომის მწუხრის ავდარი.

შემოდგომა კი ჭექდა და ქუხდა

გაშიშვლებული ხეებით ურცხვად,
თავს მაწონებდა თვით სილამაზე,
შემოდგომა კი ჭექდა და ქუხდა,
კავკასიონის სამხრეთ კალთაზე.

გაშიშვლებულა თვით დრო და სივრცე,
ნოემბრის სუსხის გზის გასაყარზე,
სიყვარულს მინდა სიცოცხლე მივცე,
და დავიფერფლო გულის მაყალზე.

გაშიშვლებულა თვით ცა და მიწა,
ბედი კი მიხმობს შორით სავალზე,
მახსოვს ის შენი ნათქვამი სიტყვა,
რომ მიპასუხე მორცხვად სალამზე.

ხელის მომკიდედ გაჰყევი ცისკარს,
მე კი ჯვარს ვიწერ საწერ კალამზე,
ეს შემოდგომა შენსავით მიყვარს,
თუმცა ვყვარობდი ზაფხულს მანამდე.

გაშიშვლებული ხეებით ურცხვად,
თავს მაწონებდა თვით სილამაზე,
შემოდგომა კი ჭექდა და ქუხდა,
კავკასიონის სამხრეთ კალთაზე.

ძნელია რომ თქვა...

თითქოს ძნელია, რომ თქვა ყოველთვის,
რაღაც, რატომღაც რაც სათქმელია,
როცა გარშემო ამოუცნობი,
ფიცხი მყვირალა ნოემბერია.

როცა უხვი და მწიფე ფიქრები,
შენგან ქმედებას მყისვე ელიან,
რეალობაში გარდმოსულები,
აღარ ცხრებიან ათმაგდებიან.

როცა ოცნება და სინამდვილე,
ტყუპი და-ძმანი უცხოვდებიან,
და შეცდომები გულის ტკივილით,
ამ წუთისოფლის გზას მიჰყვებიან.

ძნელია ითქვას როცა სიმართლე,
ალესილ ხმალზე უფრო მჭრელია,
თავხედობა კი ზღვარგადასული,
ბევრისთვის მზეობს, თუმცა ბნელია.

როცა მისწვდება შენს გულს სიახლე,
სულში ჩახედვა კი კვლავ გრცხვენია,
გხიბლავს და გათრობს მისი სიმაღლე,
რაც რომ სათქმელად ძნელზე ძნელია.

ცხოვრების არსი და მისი წვდომა

შემოვიარე მთელი ქვეყანა,
სინდის- ნამუსის მინდოდა პოვნა,
ვერ ვნახე, თუმცა სულში პატარა,
გულის სიტყვათა შევკარი კონა.

ბევრი რამ ვნახე და შევიყვარე,
რაც კი ამ ქვეყნად არსებობს ცოდნა,
შეცდომებს თავი რომ დავუხარე,
მაშინ ვიგრძენი მყოფობის წონა.

სიმდაბლეს როცა გულით შეიხებ,
მაშინ თავისით გაქრება წყრომა,
უძღებ შვილსაც კი მაშინ შეიძენ,
დაგიბრუნდება ურჩიც კი მოვა.

როცა არჩევანს სწორად აირჩევ,
და არ გახდები ვიღაცის (სურვილის) მონა,
თავისუფლების, მაშინ გაიგებ,
თუ რა ადვილი ყოფილა პოვნა.

მაშინ მიხვდები თუ რა ძნელია,
სინდის-ნამუსთან გვერდი-გვერდ დგომა,
დაკარგულს სახლში როცა გელიან,
სიყვარულია და არა ტრფობა.

შეუცნობელი სულის და გონის,
მუდამ ძიება და მისკენ ლტოლვა,
თუ რა ყოფილა ადამიანის,
ცხოვრების არსი და მისი წვდომა.

შემოვიარე მთელი ქვეყანა,
სინდის-ნამუსის მინდოდა პოვნა,
ვერ ვნახე, თუმცა სულში პატარა,
გულის სიტყვათა შევკარი კონა.

ღმერთო, ისმინე ჩემი ვედრება

მთვარეს ეძინა, მაგრამ სადღაც შორს,
ერთი ვარსკვლავი კვლავ ელვარებდა,
გონება გულთან ისევ კამათობს,
მე კი ფიქრისგან ენა დამება.

უკვდავებისთვის დაბადებული,
სული ვერ უძლებს მაინც წამებას,
და უღმერთობით შეგინებული,
მახეში თავის ნებით გაება.

ჭეშმარიტების ძებნის სიმძიმე,
თავისუფლების გაელვარება,
თითქოს ახლოა მაგრამ სიმშვიდე,
სინამდვილეში კვლავ მემალება.

ღმერთთან ჭიდილში ვიღაც სადღაც კი,
კვლავ ასე ფიქრობს რომ ის არ ცდება,
მინდა ჩამოვხსნა სიკვდილს ნიღაბი,
რომ დაგანახოთ გარდაცვალება.

მყოფობის ცენტრში სულის კოსმოსში,
მოვკლა სიკვდილის ცხადში ზმანება,
რომ შეიმეცნოთ უკვდავებაში,
ჯვარცმულ სიტვაში გადასახლება.

თუმცა გულისთქმა ისევ არ მაცლის,
გთხოვო პირადად რაც მე მეხება,
თავისუფლების გზაზე მავალის,
ღმერთო ისმინე ჩემი ვედრება.

მთვარეს ეძინა, მაგრამ სადღაც შორს,
ერთი ვარსკვლავი კვლავ ელვარებდა,
გონება გულთან ისევ კამათობს,
მე კი ფიქრისგან ენა დამება.

მივდივარ
მაგრამ წასვლა არ მინდა

მივდივარ, მაგრამ წასვლა არ მინდა,
ვიცი, ბევრი რამ დამრჩა სათქმელი,
სადღეგრძელოს დროს ჭიქა გამიტყდა,
და....ულეველი დარჩა სათქმელი.

მივდივარ, მაგრამ რატომ არ ვიცი,
მე რომც გავჩერდე დრო არ დამიცდის,
დრო, მამისმკვლელი(კრონოსი)
მან ხომ არ იცის,
სული, სირღმეში თუ რას განიცდის.

მივდივარ, თითქოს ნატვრა ამიხდა,
მეგონა წასვლას ვერვინ დამიშლის,
გონება ფიქრით ავად გამიხდა,
თუმცა საფიქრალს მაინც არ იშლის.

მივდივარ, მაგრამ საით ვინ იცის,
ეს დღეც ფიქრების წვაში ჩაივლის,
მერე ლექსებად სულში გაივლის,
და თეთრ ფურცელზე სუფრას გამიშლის.

მივდივარ, წასვლის ხმა კი არ ისმის,
დრო, ამ წასვლასაც ბრალში ჩამითვლის,
წუთის სოფელში წუთებს დამითვლის,
სინამდვილე კი კარებს გამიხსნის.

მივდივარ, მაგრამ წასვლა არ მინდა,
ვიცი, ბევრი რამ დამრჩა სათქმელი,
სადღეგრძელოს დროს ჭიქა გამიტყდა,
და....ულეველი დარჩა სათქმელი.

ნეტავ
როგორი იქნება დილა?

ნაზი და.ტკბილი იყო ბავშვობა,
ფიქრები წრფელი, გულში ჩაფლული,
უმანკო სულის ტრფობით გართობა,
ბევრჯერ ნანატრი გულით აღთქმული.

დრო და სივრცეში გამოპრანჭული,
ლამაზი როგორც ნორჩი ქალწული,
მოგონებებში უკვე ზრდასრული,
დაუვიწყარი მაგრამ წარსული.

ლამაზი იყო ის გაზაფხული,
ის სიყვარული ზღვარგადასული,
გონება სულის ფსკერზე დასული,
თავისუფალი ნებით მართული.

ლამაზი იყო ის აღმაფრენა,
წუთი სოფელში გადაკარგული,
შიშველ ფეხებით ზეცაში ფრენა,
ტრფობა და ლტოლვა გულში მალული.

ასეთ ფიქრებში ვეხვევი ხშირად,
გრძნობათა ქსელში ვნებით გაბმული,
ნეტავ როგორი იქნება დილა?
ჯერ არ ნახული და ჯერ არ თქმული.

ნეტავ როგორი იქნება დილა,
სადაც იცხოვრებს ზეცად ასული,
ცოდვებით სავსე და თანაც წმინდა,
გონება სულზე გადაჯაჭვული.

მაგრამ....

სევდას და ტკივილს მე ყოველ დილით,
როგორც ხმელ ფოთლებს ვაგროვებ და ვწვავ,
ნამწვავს ხან ოქროს, ხან ვერცხლის სინით,
დროსა და სივრცის ქარიშხალს ვატან.

მასვე ვაყოლებ სევდიან ღიმილს,
ჩემ ნამოქმედარს რომ გადამალავს,
მაგრამ იდუმალ სინდისის ჩივილს,
ვერასდროს ვერვინ ვერ გადაფარავს.

გარდაცვალებას მოსულს შენამდე, მარადისობა ცოლად შეირთავს.

გონება გულის ფსკერს რომ მიაღწევს,
სული ხორცს ტაძრად მაშინ აღითქვავს,
და ცნობიერი ყოფით სილაღეს,
ჯვარზე გაკრულის რწმენით დაიცავს.

ჭეშმარიტება მაშინ იმარჯვებს,
გრძნობებს და ვნებებს როცა გარიყავ,
მაშინ მიაღწევს სული სიმაღლეს,
სამყაროს მიღმა როგორც გარიჟრაჟს.

და როგორც ცაში აჭრილ შევარდენს,
უძირო ზეცა გულში ჩაგიკრავს,
კვლავ სიყვარული შეცვლის ყველაფერს,
უკვდავება კი დროსაც გაყინავს.

გონება ჩავა სულის ფსკერამდე,
სივდილს, სიცოცხლე როცა გამიჯნავს,
გარდაცვალებას მოსულს შენამდე,
მარადისობა ცოლად შეირთავს.

ალგორითმები

თუმცა ზრდილობას დამიწუნებენ,
კითხვებს მუდმივად მოსდევს კითხვები,
რითმების მიღმა თავს იწონებენ,
ღრმად შენიღბული ალგორთმები.

როცა გაქრება მღვრიე სიშორე,
გრძნობად და ვნებად გარდაიქმნები,
და დარწმუნდები რომ ეს სიცოცხლე,
არ არის მხოლოდ მარტო სიტყვები.

სიტყვების მუღმა, მაშინ მიხვდები,
რომ ბობოქრობენ გულის ბიძგები,
ანთებულ სანთლად ისევ შიშვლდები,
სამოთხის ვაშლის ნებით მიმღები.

რითმების მიღმა ფარულ ფიქრების,
თავისუფალი, მონად ვიქეცი,
რღმად შენიღბული ალგორითმების,
შემეშინდა და გამოვიქეცი.

ჟღალი პარასკევი

ცხოვრება თითქოს ხურავს დარაბებს,
გული ძრწის სულს კი დაურცხვენია,
ისევ მივყვები სევდის აღმართებს,
დღეს ხომ წითელი პარასკევია.

ემოციები გულის ფსკერიდან,
ყოფით სიზმარში იპარებიან,
მარტოობაში მარტოობიდან,
გადასვლით მაინც მარტო რჩებიან.

ფიქრები გულში აღძრავენ ზრახვებს,
და ურჩხულებად გადიქცევიან,
ჩხრიალებს ვერცხლი, ვიღაც კი აღწერს,
ღმერთს თვით ღმერთისგან როგორ დევნიან.

წუთისოფელი ვერ ასცდა ამ დღეს,
ეს ცხოვრება ხომ განსაცდელია,
სიკვდილს სიკვდილით ჯვარცმული ამხელს,
დღეს ხომ ის ჟღალი პარასკევია.

თუკი უპოვნი რწმენას გასაღებს,
მაშინ არც ისე ძაან ძნელია
როცა ცხოვრება ხურავს დარაბებს,
და თვით სახლშიც კი აღარ გელიან.

მშვენიერება და სილამაზე

მშვენიერება და სილამაზე,
ხილული ქვეყნის მაშინ არ კმარობს,
რომ აღმოაჩენ უძირო ცაზე,
სულის სირღმეში ნამდვილ სამყაროს.

როცა გულიდან წამოსულ გრძნობებს,
ცივი გონებით გაშლი საღამოს,
და სინამდვილის ჭეშმარიტ ცნობებს,
გონება ნაზად ჩუმად გაგაცნობს.

მაშინ მიხვდები ამ ლურჯი ცის ქვეშ,
რომ სილამაზე არის სადაო,
და უსასრული სამყაროს სივრცე,
მოგეჩვენება რაღაც საბრალო.

მაშინ მიხვდები რომ სინამდვილე,
სულიერ გონის წიაღში ხარობს,
თუმცა ცხოვრება გაიადვილე,
აზროვნებ ფიქრობ და მაინც წვალობ.

მშვენიერება და სილამაზე,
ხილული ქვეყნის მაშინ არ კმარობს,
რომ აღმოაჩენ უძირო ცაზე,
სულის სირღმეში ნამდვილ სამყაროს.

გთხოვ მაპატიე...

სინამდვილიდან გამოქცეულმა,
ისევ გაქცევით შველა ვარჩიე,
როგორ სიძნელედ გადაქცეულა,
ერთი სიტყვის თქმა გთხოვ მაპატიე...

როგორი ძნელი ყოფილა თმენა,
სული ბოღმისგან ტყვედ რომ ვაქციე,
თავისუფლება სიცოცხლის ზენა,
ციხესიმაგრედ გადავაქციე.

როგორი ძნელი ყოფილა შველა,
გაქცეულს ტყვია რომ დავაწიე,
მინდოდა მაგრამ ვერ შევძელ გჯერა?
ჯვარი ვზიდე და ვეღარ ავწიე.

როგორი ძნელი ყოფილა სმენა,
მეგობარი რომ გვერდზე გავწიე,
ღალატის ვერცხლი, ვერა და ვერა,
ოქროდ ვერაფრით გადავაქციე.

როგორი ძნელი ყოფილა როცა,
ფიქრებს ლექსების წერა ვარჩიე,
ამის უფლება თვით ღმერთმა მომცა,
გთხოვთ მაპატიეთ! გთხოვ მაპატიე....

ასე ლაღად ვიწყებ დღეს

დილით ალიონზე მთხოვა სადღეგრძელო,
გაბრდღვიალებულმა მზემ,
დილა მშვიდობისა ჩემო საქართველო,
ასე ლაღად ვიწყებ დღეს.

გვიან შემოდგომის დილის სუსხი მათრობს,
გული ისევ მიძგერს მხნედ,
დილა მშვიდობისა სიყვარული გვამცნობს,
ოო! რა ბედნიერად ჟღერს.

გულით მისალმებას წესად თუ დაიდებ,
ღმერთი შეგაყვარებს მტერს,
ამას მაშინ ხვდები როცა გააღვივებ,
სულში სიყვარულის ცეცხლს.

დილით ალიონზე მთხოვა სადღეგრძელო,
გაბრდღვიალებულმა მზემ,
დილა მშვიდობისა ჩემო საქართველო!
ასე ლაღად ვიწყებ დღეს.

თავისუფლების გზაზე მავალნო

ნოენბრის მწიფე სუსხიან დილას
ალბათ ბევრია კვლავ დასანანი,
ზამთრის ლოდინში ჩაფლულ ქვეყანას,
წამოუფარავს თავზე საბანი.

შიშვლად დარჩენილ ცად აწვდილ წიფელს,
შემოძარცვია მწვანე საფარი,
შორიდან მოსულ მგზავრივით დაღლილს
ვფიქრობ ბევრი გვაქ კიდევ სავალი.

ისმის კითხვები და პასუხები,
ჩემს გულს ჭირდება როგორც წამალი,
უკან ვერასდროს ვერ დავბრუნდები,
თუმცა დამცინებს ალბათ მავანი.

ვცდილობ რომ შევძლო როგორმე მივცე,
იმედს და მიზნებს კვლავ გასაქანი,
მაგრამ ცხოვრებას გვკარნახობს ისევ,
ფარსადანი და ამილახვარი.

ვერ გაგვიგია ამ ლურჯი ცის ქვეშ,
ეს პროლოგია თუ შესავალი,
გავცეთ პასუხი შეკითხვებს მყისვე,
თუ კვლავ ვეძებოდ თავშესაფარი.

ნოემბრის მწიფე სუსხიან დილას,
ალბათ ბევრია კვლავ დასანანი,
ძნელია კაცი სუნთქავდე მშვიდად,
თავისუფლების გზაზე მავალი.

სწორი არჩევნის ლოდინით მზირალს,
ხელში მიჭირავს ისევ კალამი,
დილიდან მინდა გაჩუქოთ ყველას,
ჩემი გულწრფელი ტკბილი სალამი.

როდესაც ცხოვრების ნიავქარი...

როდესაც ცხოვრების ნიავქარი,
შორიდან გიღიმის და გაგირბის,
თუმცა კითხვები ბევრი იბადება,
მაგრამ პასუხები არ ისმის.

ზამთარი ზაფხულს ჩაანაცვლებს,
მაგრამ ისიც მალე ჩაივლის,
სულში მიჯაჭვული პატიმარი,
გეძახის მაგრამ არ გიცდის.

დღეს ალბათ ვიღაც ისევ დაიბადა,
ვიღაცას კვლავ სიკვდილი გაუვლის,
ვიღაც დღეს პირველად გამიჯნურდა,
ვიღაც კი სიყვარულს გაურბის.

თუმცა წარსულია მაგრამ არ გშორდება,
აღმაფრენა დროს არ განიცდის,
როცა გაიხსენებ გული გიღონდება,
სულში ჟრუანტელი დაგივლის.

დრო ისევ სივრცეში აიმღვრევა,
ცხოვრება საუკუნეს ჩაითვლის,
ნეტავი მერე რა იქნება?
ვინ იცის? ვინ იცის? ვინ იცის?

როდესაც ცხოვრების ნიავქარი,
შორიდან გიღიმის და გაგირბის,
თუმცა კითხვები ბევრი იბადება,
მაგრამ პასუხები არ ისმის.

ქარიზმა...მადლი

შეყვარებულმა ისევ და ისევ,
ჩუმად მოვსტაცე ცისკარს აისი,
ფენომენალურ სამყაროს ცის ქვეშ,
კვლავ ჩემს ლექსებში მისი ხმა ისმის.

გული გავხსენი და დრო და სივრცე,
მარგალიტებად გულში ჩავისვი,
სიყვარული კი მუდამჟამ მყისვე,
ჩემი ცხოვრების მცველად დავისვი.

როცა სიცოცხლე ძარღვებში გიჩქეფს,
სული განთიადს სუნთქვად განიცდის,
ღვთის მადლი შენში საუბარს იწყებს,
და დღე მთავრდება ჩუმი დაისით.

დედის საფლავზე

მზემ მწუხრის ნიშნად დაღუნა თავი,
ბნელდება, მე კი კვლავ მზე მწყურია,
არ მასვენებენ ფიქრები მთვრალი,
და მენატრება რაც წარსულია.

წამი ობოლის ცრემლის დამტევის,
ყველა სხვა წამზე ბევრად ჩუმია,
ვდგევარ საფლავზე და მონატრების,
გულში უწყვეტი გაზაფხულია.

ვდგევარ საფლავზე ყოველი წამი,
დედა!უშენოდ რთულზე რთულია,
ცრემლსაც კი გულში უჩნდება ბზარი,
დედა! მიყვარხარ ალილუია.

ძნელია ზიდო ის მძიმე ჯვარი,
უდედოდ გაზრდილს რომ აუღია,
გადაიხადო ცხოვრების ვალი,
როცა დედასთან ყოფნა გწყურია.

მე წუთისოფელს ჩავხედე თვალში

შემოვატარე ფიქრებს ქვეყანა,
და სინამდვილის შევცურე ზღვაში,
იმის ძებნაში რაც არ მებადა,
მხოლოდ ჭაღარა შემომრჩა თმაში.

ბევრი ვიხილე რაც არ მენახა,
და ამ უძირო მოწმენდილ ცაში,
დრომ სიმარტოვე შემომინახა,
სხვა ყველაფერი დავკარგე გზაში.

დავკარგე გზაში და დავიჭირე,
თევზი სიყალბით ამღვრეულ წყალში,
შემოდგომას კი ფოთოლთ სიყვითლე,
და ფოთოლცვენა კვლავ ედგა მხარში.

შემოვატარე ფიქრებს ქვეყანა,
მე წუთისოფელს ჩავხედე თვალში,
იმის ძებნაში რაც არ მებადა,
მარადისობის (კვლავ სიყვარულის)
აღმოვჩნდი ვალში.

ამოუცნობი ეს სენსაცია

უკიდეგანო სივრცის გრაცია,
დრომ შეიმოსა და ფიქსაცია,
გონების გულში ემიგრაცია,
აფრთხობს და ხიბლავს ჩემს სუბსტაბციას.

ამოუცნობი ეს სენსაცია,
დროს თითქოს სივრცე გაუძარცვია,
სიკვდილ-სიცოცხლის სუბლიმაცია,
ითხოვს მყოფობის კვლავ ლუსტრაციას.

გიორგობის თვეს

შემოდგომის მწუხრი შეუმოსავს მზეს,
ველოდები გულით გიორგობის თვეს,
ლექსად გეტყვით სალამს მოყვარეს და მტერს,
სალოცავად დამშვრალ გზააბნეულ ერს.

ტყე-დევების ჯოგი მოსდგომია ველს,
და ოქროსფრად კრძალვით,მორცხვად
იცვლის ფერს,
შეუმოსავთ სუსხი ცამდე აწვდილ მთებს,
სამყარო კი მწუხრით შენდობას თხოვს ღმერთს.

დადუღებულ მაჭრით ჩაისველებს ყელს,
და ამირევს მთვარე წუთისოფლის გზებს,
ოცნებებში ნანატრს შემახვედრებს ბედს,
უკვე გაზრდილ ობოლს გამომიცხობს კვერს.

გადამისმევს თავზე ალერსიან ხელს,
დამილოცავს ყანწით ფუძესა და ჭერს,
წუთისოფლის საკმარს აღარ ვკმარობ დღეს,
არჩევანი სხვისობს არადანის მეს.

შემოდგომის ცის კარს კრძალვით ვუხრი ქედს,
ფოთოლცვენაც რაღაც სხვაფერია დღეს,
ამ სიტყვებში ერთი საიდუმლო დევს,
ველოდები გულით გიორგობის თვეს.

დაივიწყებ წამში ყოველივე ძველს,
გიორგობის თვეში თუ აიდგავ ფეხს,
და შეიგრძნობ ცხადში თუკი გული ძგერს,
შემოდგომის ბლუზი რომ სხვაგვარად ჟღერს.

სიცოცხლე მწადდა და თან მტკიოდა

ლამაზ წესრიგით გამრუდებული,
გონი უაზროდ მიმოდიოდა,
მართალ ყოფაში დარწმუნებული,
კაცი ყირაზე გადადიოდა.

რჯულის წყევისგან გაწბილებული,
გულს კვლავ ტკიოდა სულს კი შიოდა,
ოცდაათ ვერცხლად გამეტებული,
ღალატს რატომღაც სულ მპატიობდა.

ასეთ ყოფაში იღბალით მთვრალი,
სიბრმავე ცისკრის მზეს უჩიოდა,
ჭეშმარიტებას დათხრილი თვალი,
რეალობაში ცრემლად სდიოდა.

შემოქმედისგან მოწოდებული,
სამყარო ნაზად კვლავ მიღიმოდა,
და განთიადზე შეყვარებული,
მთვარე ღამესთან ერთად ტიროდა.

ცრემლი სდიოდა, თან მიცინოდა,
სულში სინდისი უხმოდ კიოდა,
აღარ მტოვებდა, არც მიდიოდა,
სიცოცხლე მწადდა და თან მტკიოდა.

მონა ყოფისთვის გამზადებული,
კარგ ბატონს უფრო მეტად ძიობდა,
და წუთისოფელს დახამებული,
ხელიდან ხელში გადადიოდა.

მაყვალა გონაშვილი
პოეტი
მწერალთა კავშირის თავმჯდომარე

***

მე ქალი ვარ და, ჰოი, ღმერთმანი,
ბევრი არაფერი შემიძლია, უფლისწულო.
სიყვარულის ქათიბს მოგიქსოვ,
ფიფქივით მოგიკვდები ხელისგულზე.
მე ქალი ვარ და, ჰოი, ღმერთმანი,
ბევრი არაფერი შემიძლია, უფლისწულო.
იმ მოქათქათე ღრუბლის ფთილიდან
ერთგულების ძაფს დავართავ.
მე ქალი ვარ და, ჰოი, ღმერთმანი,
ბევრი არაფერი შემიძლია, უფლისწულო.
სამ ვაჟს გაჩუქებ, მთვარის სწორს, და
სამივეს შენი თვალები ექნება.
მე ქალი ვარ და, ჰოი, ღმერთმანი,
ბევრს არაფერს გთხოვ, უფლისწულო,
დამინახე!

***

როცა შემოხვალ მარტოობის
უფერულ ტაძარს
და მიუწვდომელს
როცა მისწვდები,
დაგავიწყდება ჩემი ლექსები,
და მეც სულ ისე დაგავიწყდები.
მე ავტირდები,
წამოვალ წვიმად,
ცა ყვავილებით
მიწას დაფარავს,
გავა დრო, მაინც ინანებ ბოლოს
ერთი სულელი გოგოს დაკარგვას.

***

ვით თესლი ხნულში – მზის აკვირტებას,
ვდგავარ და გელი მთელი წელია,
ჩემი სულიდან წამოსულ წვიმებს
შენამდე ვერც კი მოუღწევიათ,
არ გაიმეტა ბედმა – ავბედმა,
ჩემთვის ღიმილი და თეთრი ფარჩა,
თვითმკვლელობამდე შენი უარი
და კიდევ, ერთი ნაბიჯი დამრჩა.

***

დამიმახსოვრე? რად გიკვირს მერე?
მე ხომ ამქვეყნად არავის ვგავდი,
მიყვარდა კაბა წვიმების ფერი
და გზებზე მტირალ ყვავილებს ვრგავდი.
დღეს ჩვენი გზებიც გაიყო ორად,
გზები, ჰე, გზები, საით მიდიან?
მე მარტოსული მივყვები ბილიკს
და მხრებზე თქვენი ტვირთიც მკიდია.

ათასმეორე ღამე

სამსალანარევს რად სვამ შარბათს ყოფის ჯამიდან,
მის ფსკერზე როდი ილექება ჩვენი წარსული,
მუდამ თან დაგვდევს, როგორც სისხლის ჯადო-შელოცვა
თვალის უპეზე ნემსის წვერით ამოკაწრული.
ქალს ეძებდი და ჩამოგემსხვრა ნეკნი მრავალი,
მარცვლე ამაოდ ვარსკვლავების კრიალოსანი,
ყური დამიგდე, დავამღერებ ისეთ ბეითებს,
რომ გაოცდება დუნიაზე ყველა მგოსანი.
რით განუგეშო? ხომ გაკმიე სიტყვების საბრი?
შენთვის ვაკვნესე, ავატირე უდი და ჩანგი,
და როგორც ღამის ფარფალია, თუმც შიშით ვკრთოდი,
სანთლების შუქზე ფრთებგაშლილი, თამამი ვჩანდი.
მომენდე გულით, საუკუნო როდია ჭმუნვა,
წარმავალია მწუხარებაც სიხარულივით,
მე კი მრავალი ღამე სიტყვის გასვი ბადაგი,
მუცლით მეზღაპრედ გადავიქეც შენი გულისთვის.
ზეცის ზეწარი გავშალე და მოგესურვილე
და წუთით მაინც დაგავიწყე წუთისოფელი,
იქნებ მომენდო და დამინდო და დამებედო,
რადგან ცხოვრება იფრითია დაუნდობელი.
რომ არ მოგეკალ, წყაროსავით გიკლავდი წყურვილს,
ღამე წიგნივით ვფურცლე, ვფურცლე და არ გათავდა,
მე კი გავთავდი, დავილიე, როგორც სანთელი,
სანამ მზე ზეცის ლურჯ მინდორზე ამოთავთავდა.
გაქრა შიში და ტანჯვის გზებით მეწვია სიბრძნე: –
გრძნეული ქალი ააცეკვებ ავსულს, შეითანს,
თუკი იპოვე ცხოვრებაში შენივე თავი,
თუკი შესძელი, თავი შენი თავად შეიცან...
თუმც ყველა ქალი როდი არის ღირსი დანდობის,
თუმც ყველა კაცი ერთგულების როდია ღირსი,
რად უნდა ქება ბრძენს, ისედაც არის ქებული,
ბოროტს სასჯელად ბოროტებაც ეყოფა თვისი.
სხვა რაღა გითხრა, ისეც ბევრი სიტყვა დავხარჯე,
კმაყოფილი ხარ ათასერთი ღამით ძლეული.

სიტყვის პერანგი ჩაგაცვი და სიტყვით მოგნუსხე,
ჩემი ხარ მთელი სულითა და მთელი სხეულით.
მე კი კვლავ მაკრთობს ათასმეერთე ღამე – გიშერი,
ცაზე ხმალივით კრთოდა მთვარე, ვერ ვიძინებდი,
უკვე მომენდე და ალაჰიც ვეღარ გიშველის...
ათასმეორე ღამე დადგა შურისძიების!

ეს მე ვარ, დავარ...

მას სიბრძნისა სასწავლებლად
თვით მეფემან მისცა შვილი
შოთა რუსთაველი

სახელად მქვია მე დავარ!
დიდი ხელმწიფის და ვარ.
ვისთვის გულქვა და ზვიადი,
ვისთვის მე სიბრძნის ზღვა ვარ
და უთენარო სოფელში
მრუმე ჯანღივით დავალ.
არ მომასვენა ცოდვებმა
მდია ნადირის გეშით,
სამოთხის კარს ვინ გამიღებს,
უსიყვარულოდ შეშლილს?
შევრჩი ჯოჯოხეთს, ჯოჯო ხეს
ცრემლებს ვაპკურებ პეშვით.
აქ მზე არ მზეობს, უკუნეთს
გაჰკვეთავს მთვარის ეშვი,
დგას ჩემში დიდი ტკივილი,
ვით მიწის ძალა ხეში,
მე სიბრძნის ყველა წიგნს გავცვლი
მიჯნურთა სიშლეგეში.
მახსოვს ხელმწიფის მუქარა,
აქაც ჩამესმის ის ხმა,
ქაჯებმა ვერა დამაკლეს,
გამწირა ჩემმა სისხლმა,
უსიყვარულოდ სიბრძნის ხე
რა მწარე ნაყოფს ისხამს.
განა სულ ასეთი ვიყავ,
ვით ნაავდრალი ზეცა,
ერთ დროს მეც ვიყავ მზის სწორი,
მეც გაზაფხული მეცვა.
ცრუ და მუხთალმა სოფელმა
მალე მიცვალა სახე,
დამცინა წერა-მწერალმა
ქაჯებთან მეინახემ,
ფერადი ჭიჭნაურები
სკივრებში გადავნახე,
სულ წყევლა-ცრემლით დავკემსე
ღამე-ქვრივთათვის მახე.
გული ჰგავს გამსკდარ ბროწეულს,
წამით დამადეთ ხელი,
მე რა ბრალი მაქვს, სოფელი
იყო ავისა მქმნელი.
წიგნს შევრჩი გახსნილ ჭრილობად,
როგორც ღაწვს ცრემლი, სველი.
ეს მე ვარ დავარ, მეფის და,
ერთ დროს ბრძენი და ქველი.

შენს საუფლოში

გადამიარეს გულზე წვიმებმა,
სიმარტოვეში ჭკნება აპრილიც,
რად მახსენდები ასეთი ელდით?
სიზმრის ახდენას რატომ დამპირდი?
ვიცი, ჩემს ყოფას ჰქვია ცხოვრება,
ვიცი, ამ კედლებს ოჯახი ჰქვია,
იქ კი, საოცარ შენს საუფლოში,
სულ სხვანაირი ქარები ქრიან.
სულ სხვანაირად თენდება დილა,
სულ სხვანაირი ფერი აქვს ნისლებს,
იმ ნისლებივით ჩამოვიღვრები,
ღმერთი შენს ხილვას თუკი მაღირსებს.
იმ ტკივილისთვის, იმ სიშორისთვის,
იმ სიგიჟისთვის გიხდი მადლობას,
მოდი, გააღე გალიის კარი
და გამახსენე ახალგაზრდობა.
იცი, რა ტანჯვა გამოვიარე?!
მთელი წელია ვცხოვრობ ულექსოდ,
მოდი, მომხვიე მხრებზე ხელები
და გამაცოცხლე, სულზე უტკბესო,
წუთივით წავა წუთისოფელი,
მალე ვიქცევით უსულო ქვებად,
შენ შემოგევლოს ჩემი სიცოცხლე,
რომელიც ახლა სხვის ჭერქვეშ ქრება.

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო
სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი და
ჟურნალ,,ათინათის“ მთავარი რედაქტორი

სუსტი მე არ მეგულება

სხვამ თუ გინდა იცურავოს,
ვნების ცეცლში გამოიწვას,
გავიმეტებ სიტყვას,,ბრავოს“
ჩემი მათთან არ დაიწვას.
სული წმინადა ქართველ ქალებს,
გაკრული აქვთ გულის ფიცარს,
ვაქებ ამ ჩემს ამორძალებს,
და ვამაყობ სინდისს ვფიცავ.
წინაპრებიც კარგი მყავდნენ,
ახლაც არის ბევრი გმირი,
ხოცავდნენ და მათ სისხლს სვამდნენ,
ვიხსენებ და ახლაც ვტირი.
ზოგი მამულს ეწირება,
ისე როგორც ქეთევანი,
რომ დაკეპონ ნაწილებათ,
რომ აჩუქონ ტახტრევანი...
მათ სისხლში აქვს ერთგულება,
ასეთია ქართვლის ქალი,
სუსტი არსად მეგულება,
ქართველების ამორძალი!

რა ქნას კრავებმა

ღმერთს ვევედრები საქართველოს
მადლად მაქციოს,
მოვსპო, დავჩეჩქვო, ბოროტება გავაცამტვერო,
ქარიშხალები ნიავად რომ გადავაქციო,
რა ქნას კრავებმა, ლომები რომ გადაემტერნონ!.

მეც რომ დავსახლდე

დაველოდები გათენებას... დაველოდები,
გაჟინიანდა, გაკაპასდა, ღამის წყვდიადი,
ფიქრები დარბის წინ და უკან როგორც მოდელი,
ამორიჟრაჟდი სამშობლოს მზევ, ამოზვიადდი.
უიმედობავ, გათენების დღის მაყარიხარ,
მზით მსურს აშენდეს, მოპირკეთდეს, გონის სასახლე,
მიწავ ქართვლისავ, ღვთისმშობელის წილნაყარიხარ,
მწირი ადგილი შემახვედრე მეც რომ დავსახლდე!

ირუსთაველონ

ძნელბედობის ჟამს გიხმობ დედაო
და თავდახრილი შეგთხოვ სათხოვარს,
ულუკმაპუროდ ხალხი კვდება და...
გვერდს ვეღარ ვუვლი ამდენ მათხოვარს.
სულის შიმშილსაც ბევრი განიცდის
გათითოკაცდა უკვე სამყარო,
მე დარდის დიდ მთებს მიტომ გავცილდი,
იქნებ იმედებს გადავეყარო.
დედაშვილობის რწმენით ვძლიერობ,
თუმცა ჯეჯილი აღარ მთაველობს,
ერის შვილებმა იბედნიერონ,
ითამარონ და ირუსთაველონ!

სულის ტაძარი

დინჯი სიტვებით მოსაუბრენი,
მიყვარან ისე ვით ჩემი შვილი,
თუგინდაც იყვნონ გარეუბნელი,
თუ სამშობლოსთვის გაიღეს წვლილი.

მიყვარს ერთგული ქმარი და ცოლი,
აცაბაცა რომ არ დარბის სხვაგან...
მათ რომ იციან დიდიც, და ტოლიც,
უფრთხილდებიან ჯიშსა და ნაგრამს.

მიყვარს ოჯახში მშვიდი გარემო,
და თუნდავ იყვნონ მიუსაფარნი,
მათთან მსურს ღვინო დავაგემოვნო,
სადაც მეგულვის სულის ტაძარი!

უწმინდესო

ხორცი ლპობადია ამბობს უფალი და...
სული უკვდავია ვითარც დედამიწა,
უძლურს ჩამომცვივდა ცრემლის კურცხალი და...
შენმა მოფერებამ დარდი დამავიწყა.
ჩემი იმედი ხარ ტკბილო უწმინდესო,
შენით იფურჩქნება კვირტი გამოსული,
შენს მზეს ვევედრები ჯერ არ ჩავიდესო,
100 წელს გაგითენდეს, წლების გაზაფხული!

დარდო

დარდო ნეტავი იყო მცენარე,
ბაბუაწვერას მინდა რომ გავდე,
ერთხელ მეც ვიყო პირმომცინარე,
მომავლისათვის საღ ნერგებს ვრგავდე.
ნეტავ ქრებოდე, სულის შებერვით,
შორს ცის სივრცეში იფანტებოდე,
რად მინდა ლექსი თუნდაც შედევრი,
ჩემი მკითხველი იტანჯებოდეს.
ან რა გული გაქვს ცდილობ დამტანჯო,
არ გინდა ტკბილად მითენდებოდეს,
რაზე სულსწრაფობ ქვაზე დამხატო,
რად ცდილობ შენით მე რომ ვკვდებოდე!

ერთად და საქართველოსთვის

იცოცხლეთ სამარადისოდ,
იარეთ წინ და აკეთეთ...
გულით შვილებო, ვარდისფრობთ,
მტერსაც კი გამოაკეთებთ.
რაა სიცოცხლე თუ სულში,
მზის სხივმა არ დაივანა,
იმრავლეთ ამ ჩვენს მამულში,
ააცისკარეთ ქვეყანა.
ვულოცვავ თენგოს ამჯერად,
დაბადების დღეს შვილის ტოლს,
სიტყვას არ დავწერ ერთჯერადს,
არ ვითამაშებ დედის როლს.
დედა ვარ სულის სალბუნად,
განძი ეს ჩემთვის ლოცვაა,
ღმერთმა სიმდირედ მარგუნა,
რწმენა განა ეს ცოტაა.
წარმავალ წუთისოფელში,
ერთად იარეთ შვილებო,
არ გამარჩიოთ მშობელში,
მართლაც შვილივით ტკბილებო.
გახსოვდეთ მუდამ ერთი რამ,
ვინა ხართ რისთვის მოხვედით,
მე თუ მზის კონას ერთად ვკრავ,
თქვენა ხართ ხვალის მორბედი.
აბა, ერთად და მარადის,
საქმით და საქართველოსთვის,
მტერს სდიეთ სახლის კარამდის,
გამარჯვებით და ბოლომდის!

წმინდანები გამიმრავლე

განა რამეს ვითხოვ ისეთს,
ან ქონებას დავხარბდები,
ღმერთო მხედავ კიდეც მისმენ,
სიმდიდრისთვის არ ვბრმავდები.
ამისრულე ის რაც წარსულს,
ტკივილებით უკვნესია
ნეტავ ღმერთო, ეს ვის არ სურს,
ღვთით მსაჯულთან რა წესია.
წმინადანად მსურს აღიარონ,
მოურავის გმირი შვილი,
რომ გმირებმა კვლავ იარონ,
ბრძოლის ველზე გამოწრთვნილი.
ქეთევანის შვილიშვილებს,
ავთანდილს და ლევანიკოს,
განა სხვაგან გავაშვილებ,
ძეგლს დაუდგავ აქ რომ იყვნონ.
სააკაძეს ბრძოლის ველზე,
ხომ მოუკლეს ავთანდილიც,
ის გადარჩა ალალ ბედზე
დარჩა გულმკერდგაპობილი.
სიტყვებს მე არ გადავღებავ,
რითმებსაც არ გამოვპრანჭავ,
გთხოვ უფალო კვლავ შეგბედავ.
დრო გადიქცა ყვავ-კაჭკაჭად.
ვილოცები დარდის ქალი,
რწმენითა და ცხარე ცრემლით,
გვერდს მიმშვენებს ამორძალი,
შემოგცქერის გაოცებით.
განა რამეს ვითხოვ ღმერთო,
კრავს მივსტირი უცხო მიწას,
თვალს ცეცხლები წამომენთო,
იმედებიც დამიმიწდა.
რახანია ეს სათქმელი,
ვთქვი და არად არ ჩააგდეს,
დამიხურეს გულს სარქველი,
სიტყვაც კლდიდან გადააგდეს.
რად იომებს მომავალი,
არ მონათლეს გმირი- გმირად,
დრო სულ არის წარმავალი,
პაატა ერს შეეწირა.
ახლაც ტირის ქართვლის დედა,
ცრემლით მოთქვამს ღამის მთვარე
ღმერთო, ისევ შენ შეგბედავ,
წმინდანები გამიმრავლე!

სანამ დროა

მოდი გენაცვალე... მომახარე,
რომ შენ გააბრწყინებ ხოდაბუნებს.
შენით ახალ ვაზებს გავახარებ,
იქნებ ერი სულ არ განადგურდეს.

მოდი პაწაწინავ ჩემს უბეში,
წვიმს და გულში უნდა გადაგმალო,
ციცქნავ, საქართველოს ხარ ნუგეში,
იქნებ მიწები შენ ჩაგაბარო.

მოდი მოგეფერო, ჩაგეხუტო,
ღამით ზღაპრებსაც კი მოგიყვები,
ოღონდ შენ მაინც არ გამებუტო,
ღარიბს, ნურასოდეს გამეყრები.

მოდი, სანამ დროა, სანამ მზეა,
თორემ ანგელოზო, გაწვიმდება,
მოდი, სანამ გხედავ, სანამ დღეა,
შენით საქართველო გაბრწყინდება!

* * *

,,ჩემი წილი საქართველო გარეჯშია,»
უდაბნოში გულმხურვალედ გვლოცავს ბერი,
სამყაროში ყველა ძალა ღვთის ხელშია,
ნეოფიტეს დაულოცე ღმერთო ერი!

ვის ვესაუბრო

რამდენი რამე ვისაუბრე შენთან ძირულა,
რამდენი რამე გავიხსენე ჩემი წარსულის,
ჩემი ბავშობა ამ ტალღებში მიძირულა და...
რამდენი მზეა უბედობით ადრე ჩასული.
ვდგავარ იმ ხიდზე სადაც იყო ჟივილ-ხივილი,
ვდგავარ მარტოკა სად წავიდნენ ის ვინც მიყვარდნენ,
სად არის ლევი, რომ შვენოდა სახეს ღიმილი,
ძმადნაფიცები მისნაირად როგორ მიყვარდეს.
სად არის თამაზ, იუზა და ჩემი ბეჟანი,
ან ამირანი პატარა რომ ხელით დამყავდა,
დათამ დაგვხოცა ეს კი იყო სულის ჟეჟვა და...
იმ ბედისწერას, მზეჭაბუკი რატომ მიყავდა.
ვის ვესაუბრო ტირიფებსაც ცრემლი ჩამოსდის,
დუმს არემარე, უხმაუროდ გლოვობს გარდაცვლილთ,
ტყესაც კვირტები ძველებურად აღარ გამოსდის,
სად ხართ ბიჭებო, მთის კლდეებიც ყვირის
დამარცვლით.
ცელქს და ონავარს ჩემს ბავშობას ისევ შევაძახე,
ხითხით- ხითხითით, რომ მივდევდი ტალღის დინებას,
შენ ბედ- მსაჯულო, სიცოცხლე რომ ამიძანძახე,
რომც გარდვიცვალო, არასოდეს მოვალ წვიმებად.

კვლავ დავლოცავ

ბედისწერის დიდ აღმართებს,
არა ერთხელ შევერკინე,
ბედით რასაც გულს დავმართე,
სჯობდა ძაღლებს დავეკბინე.
ძაღლის სისხლი მექნებოდა,
დავძიძგნიდი კბილით მავანს,
ძაღლი მაინც მერქმეოდა,
ახლა ვინ ვარ, ანდა რა ვარ.
შეფენილან ტურა-მგლები,
მგელი ყველგან დარდიმანდობს,
მე სიკეთით მიმდის წლები,
რა ვქნა მე ვერ ვშადიმანობ.
კვლავ დავლოცავ წრფელი გულით,
ასეთებით გავფხიზლდები,
ვარ მეორედ გადარგული...
ხელმეორედ გავიზრდები.
ისევ უფალს ვევედრები,
კვლავ სიკეთის სხივი მენთოს,
თუკი წლებით დავბერდები,
მთავარია ჩემს გულს ვენდო.
ჩემი გულის ყველა ძაფი,
თრთის სიკეთის მადლის ფიქრით,
გავაგრძელებ შრომას ჯაფით,
მერე წავალ ფრენით იქით!

დავით გარეჯში

მარადისობის უმანკო სული,
ლუცი ფერები ჩანდა კანდელში,
მიმოვდიოდი ადრე წარსულში,
სიმშვიდე ვპოვე დავით გარეჯში.

უდაბნო თითქოს ზღვას მივამგვანე,
იშლება სივრცე და იკარგები,
სიმშვიდე სადაც არავინ გავნებს,
კლდეებს ეკვრვრები და ექარგები.

სასწაულები ვიხილე თვალით,
სინამდვილეა, არა ოცნება,
გადავიხადე ტკივილის ვალი,
ნაიარები ვგრძნობ მიხორცდება.

მისვლას ვჩქარობდი, მიმიხაროდა
და თთქოს ვფრენდი არ ვიცი რატომ,
მთას კლდე ეკიდა ხე არ ხარობდა,
წამოვედი და კვლავ მისვლას ვნატრობ.

უდაბნო სადაც მხოლოდ ქარია,
სამლოცველოა კლდეში ნაგები,
ყურს ჩამესმოდა სულის არია,
მე შევიგრძენი ძალა განგების!

ქარელში წყარო

(დავით ალელიშვილს)
მამისეული წყარო ატირდა,
გარდაცვალების ნისლი ჩამოწვა,
დავთის სული აქ თუ მოფრინდა,
ბავშობის ჰამაკს წყარო გამოწნავს.
აქ დარბის მისი უმანკო წლები,
საქართველო ხომ მისი სახლია,
მამისეული წყაროს წყლის ხმები,
დარდით ერთმანეთს თავებს ახლიან.
დაო იზოლდა, მოგისამძიმრებ,
მეც ეგ სიმწარე მომდევს მზითებად,
წუხს იმერეთიც მიწას ამძიმებს,
გადავიქეცი დარდის ზვირთებათ.
გულს დამემატა შენი ტკივილი,
შენთან შეხვედრას, ველოდებოდი,
სამძიმარიც კი დარბის კივილით,
თუმც სულთა კავშირს არ დავშორდებით.
ირწმუნე დაო, შენი დავითი,
ისრაელსა და ქარელს დალოცავს,
მამის სახელის წყაროც განიცდის,
მის სულს ავედრებს ყველა სალოცავს.
კვლავ გაგრძელდება ყოფნის ცხოვრება,
შენ დაბადბას მოგილოცავენ,
სული კეთილი განმეორდება,
მერიდიანის ბილიკს მორთავენ!

კვლავ დავლოცავ

ბედისწერის დიდ აღმართებს,
არა ერთხელ შევერკინე,
ბედით რასაც გულს დავმართე,
სჯობდა ძაღლებს დავეკბინე.

ძაღლის სისხლი მექნებოდა,
დავძიძგნიდი კბილით მავანს,
ძაღლი მაინც მერქმეოდა,
ახლა ვინ ვარ, ანდა რა ვარ.

შეფენილან ტურა-მგლები,
მგელი ყველგან დარდიმანდობს,
მე სიკეთით მიმდის წლები,
რა ვქნა მე ვერ ვშადიმანობ.

კვლავ დავლოცავ წრფელი გულით,
ასეთებით გავფხიზლდები,
ვარ მეორედ გადარგული...
ხელმეორედ გავიზრდები.

ისევ უფალს ვევედრები,
კვლავ სიკეთის სხივი მენთოს,
თუკი წლებით დავბერდები,
მთავარია ჩემს გულს ვენდო.

ჩემი გულის ყველა ძაფი,
თრთის სიკეთის მადლის ფიქრით,
გავაგრძელებ შრომას ჯაფით,
მერე წავალ ფრენით იქით!

გაზაფხულის ფერი

სული ლაბირინთებს დასთამაშებს,
სული... ნაზია და ქორფა,
მთვარე ერთგულებით დაგკაშკაშებს,
ქალს, ლამაზსა და კოხტას.

დედავ, ბებიავ და გულით წრფელო,
ლექსი რომ გწვევია უფლით,
გლოცავ სიყვარულით რომ დათესო,
სიტყვა, სამშვენისი სუფრის.

გელას დაგილოცავ შენს მეუღლეს,
იცის ხელოვნების ფასი,
ვაჟკაცს, ძლიერსა და ღვთით მოუღლელს,
არის თბილიცა და მკაცრიც.

გლოცავ, ქალბატონო გაიხარე,
ზარდე თაობები ბევრი,
ამ ლექსს სიყვარული დავაბარე,
თბილი, გაზაფხულის ფერი!

ქ ა ლ ი

ქალი ტკივილების მალამოა,
ქალი სიმშვიდეა სულის,
ქალი დილაა და საღამოა,
ქალი ცხოვრებაა სრული.

ქალი დიდი გრძნობის საუფლოა,
ქალი სამყაროა დღეთა,
ქალი მე მგონია ცა უფროა,
ქალია ღვთისმშობელი დედა.

ქალი სურნელია, სიმშვიდეა,
ქალი სიცოხლეა შენი,
ქალი ოჯახია, სიმდიდრეა,
ქალი ცას და მიწას შვენის.

ქალი ვარდია და ყვავილია.
ქალი ბროწეულის ხეა,
ქალი დედამიწის ყამირია,
ქალი დილის ცისკრის მზეა.

ქალი ამტანია, გამტანია,
ქალი ერთგულია გრძნობის,
ქალი რკინაა და მეტალია,
ქალი გელოდებათ წლობით.

ქალი ჩვილ ბავშვების აკვანია
ქალი დედაა და მული,
ქალი ლიდეია, წამყვანია,
ქალი ცას და მიწას უვლის.

ქალი ია არის, ვარდებია,
ქალი სათუთია, ნაზი,
ქალი სასიცოცხლო კადრებია,
ქალი სიბრძნეა და აზრი!

შემსვან ვით ტკბილი ბადაგი

მოთმენის გზები ჩავრაზე,
გულში დავმარხე ცრემლები,
სიკეთით წლები დავრაზმე,
ტკივილით მონაცრემლები.

ყველგან იავარდს ვაგზავნი,
თუმცა მწყინს არ გავბრაზებდი,
სიკეთის ქმნაა მიზანი,
მიყვარან ახალგაზრდები.

ჩამოთოვს...ნოემბერია...
ფიფქებს მოყვება ყინვები,
ტკივილი ისეც ბევრია,
გახშირდა სულის წვიმები.

მოთბინების ძაფს არ ვწყვიტავ,
ვსანთლა ძაფს ბამბის კანაფებს,
ვიტანდი, ისევ ავიტან
მშვიდობის სანთელს დავანთებ.

ვაზი არ უნდა მოყინოს,
თოვლი არ გახდეს მიზეზად,
ვითმენ, არავის ეტკინოს,
არ ამატიროს სიზმრებმა.

ჩემთვის დღეც უკვე ბნელია,
მაინც სიკეთის მთა დავდგი,
თუმცა ეს ძალზე ძნელია,
შემსვან ვით ტკბილი ბადაგი!

დაგლოცავთ

ვიცი რომ ძალა აქვს ჩემს ლოცვას
ისე ვით ენგურის ტალღები,
გიმღერებთ შოპენს და მოცარტსაც,
გადამსკდეს დარდების ძარღვები.

დაგლოცავთ მოხუცს და მომავალს,
ჩიტების გული აქვთ პატარებს,
ცივ ფიფქებს გავათბობ რომ მოვა,
სიკეთის ნერგებს ვახარებ.

დამკაწრეს გული და მტკიოდა,
თევზივით ვდუმდი და ვითმენდი,
ბედისგან თუმც გული ტიროდა,
ტუჩებით დავკნიტე თითები.

დაგლოცავთ, მწვერვალზე იარეთ,
აგცილდეთ დარდი და ვარამი,
მოგირჩენთ ლოცვებით იარებს,
სიკეთით აგივსეთ მარანი!

დინჯი პედაგოგი

სულ საუბრობს ნანა დინჯად
გიხსნის იმას რაც არ იცი,
წიგნებს ისეც შეემიჯნა,
ჩემი გულის დასაფიცი.

კერავს, ქარგავს, პედაგოგი,
წიგნებიც კი მომიქარგა,
ფულსაც ხარჯავს გამოზოგვით
ბევრჯერ საკითხზე მიქადაგა.

აცხობს, ქადას, ხაჭაპურსაც,
ოქროს ხელი აქვს ჩემს გოგოს,
ბებო ბევრჯერ დააპურა,
მეფერება თანაც როგორ.

თუ რამ მტკივა წამალს მაძლევს,
ვით ექიმი მიხსნის ისე,
ასი წელი ალბათ გავძლებ,
ფულს არ მოგთხოვს თუ არ მისცემ.

მხოლოდ ერთი ხე იდგა

ერთი ხე იდგა მხოლოდ იმედად,
იდგა გარეჯში ნაზი ტოტებით
ფოთლის შრიალმა დამაიმედა,
სულიერების ნატურმოტებით.
და მაინც მიწა დარდით კვნესოდა,
სიცარიელე დაბატონობდა,
სხვების არ ვიცი მე კი მესმოდა,
გარეჯს თვით ღნერთი რომ პატრონობდა.
გმადლობ უფალო ვნახე ბერები,
ნეოფიტე და მამა ფილიპე,
იქ სხვანაირად მოსჩანს ფერები,
იქ სხვანაირად ათბობს დილის მზე.
უცხო მგზავრივით არ ვიქცეოდი,
საუკუნის წინ მეც იქ ვცხოვრობდი,
ასე მეჯერა, არა ვცდებოდი,
როცა ვრძოლობდნენ მტერთან ვომობდი.
არ მეთმობოდა რომ მოვდიოდი,
ვნახე გარეჯში რაღაც სართო
მეც წარსულიდან ამოვდიოდი,
ასე იოლად როგორ დამეთმო!

ჩანს ეკლესია

ცად აწვდენილი ბინების გვერდით
რა უამრავი მანქანებია,
დიდო უფალო, მხოლოდ შენ გვედრი,
რწმენა ეს სულის მანანებია.

სჩანს ეკლესია, თუმცა პატარა,
ჩემი სიცოცხლის იმედის წყარო,
დღეს გულს მოვნათლავ მართლაც ამტანად,
ვცდილობ კვლავ ისევ რომ გავიხარო.

ცავ გევედრები, არ გაავდარდე,
თოთო ბავშვივით, გთხოვ არ იტირო,
დარდით კლდეებზე არ გადავარდე,
მაშინ ჩიტებმა როგორ იფრინოს.

ღმერთი თვით გულში უნდა სახლობდეს,
სიყვარული კი იყოს მთავარი,
ყველა ერთმანეთს უნდა წყალობდეს,
მკვდრეთით აღსდგება მეფე თამარი.

დაიბადება ილია, შოთა,
გული დაიწყებს ზღვასავით ფოფინს...
ფიქრსაც სურნელის ფერებით მოვრთავ,
გულს საარსებოდ იმედი ყოფნის.

ბედისწერავ

გელოდები, ისე როგორც დილის ცისკარს,
დამიმშვიდე შფოთიანი დაზამთრება,
მე ხომ ყველას შვილებივით გულში ვიკრავ,
ეს სიკეთე რატომ მხვდება წარმართებად.

გელოდები, ნუთუ ერთხელ არ მეკუთვნის,
ბედისწერავ, რომ მეწვიო სახლში სტუმრად...
თუ სხვის ტკივილს მოვარჩენ და გულს
შევფუთნი,
ამიხსენი შენ რატომ ხარ ჩემთან უბრად.

გელოდები, ბედისწერავ გამახარე,
ჯვარს გაკრული ჩემნაირად არვინ არის,
ქარი დაძრწის, ძველებურად დახარხარებს,
საიმედოთ შემომიღე დილით კარი!

სულის ქორონიკონი

გარეჯი
მამა ნეოფიტეს

ღირსი გამხადე ლექსის მოძღვნისა,
ლოცვით გარეჯს რომ გულით პატრონობ,
მადლობა უფალს ეს რომ მეღირსა,
მეც გეფერებით მამავ ბატონო,
ნათლის სვეტივით, გულს რომ მიშუქებ,
ულამაზესი ათინათებით,
კურთხევა მომეც შევაჩუქურთმო
მოგართვა ლექსის ამანათები,
დიდი მადლია, ნატყვიარ გარეჯს,
დილა-საღამოს მიწა აკურთხო,
ქართულ სულს იცავ შინა და გარეთ,
ეშმაკი, რომ არ დაესაკუთროს.
ვიწვალე, სიტყვა ფიქრში გავფილტრე,
ვწუხ, ეს კალამი რას ჭირვეულობს,
მსურს მოგეფერო, შენ ნეოფიტე,
უფლის თვალივით გამორჩეულო.
მიიღე ლექსი გულში ნაძერწი,
სულ მთლად უბრალო, მცირე სტრიქონი,
ლექსიც არაა რაღაც ნაწერი,
მიიღე სულის ქორონიკონი!

მომეცით ნება

(ეთო და მარი)

გადავითვერი, შევიგრძენი სიცოცხლის ფასი,
ეთოვ და მარი, საქართველოს სურნელი აგდით,
თქვენ შემოგევლეთ, სიყვარულის სასმისი მასვით,
დღე გამითენეთ... წმინდა ნინოს ღთიური მადლით.

გამოიდარა, წვიმის შემდეგ დღე ამზიანდა,
ათინათებით გადაბრწყინდა კვლავაც
საწუთრო,
შემომეშველეთ, თორემ ისეც დამაგვიანდა...
მომეცით ნება სამუდამოთ მიგისაკუთროთ!

სივრციდან გავხედე

წყალობა გამომყვა მამაო გარეჯის,
ვიგრძენი ხელს ვართმევ ცას როგორც მეგობარს,
თითქოსდა ზეცაში ფეხითაც ავედი,
სივრციდან გავხედე გარეჯის ხეობას.

მადლობა მინდოდა რომ მეთქვა უფლისთვის,
რომ გაჩნდი ასეთი მლოცველი მამაო,
მადლობა იმ წამის თუნდ ამოსუნთქვისთბის,
დაღამდა ლოცვაში ნოემბრის საღამო.

დამთავრდა წირვა და შემდეგ კი ტრაპეზზე,
დღე ჰგავდა მზის სხივებს ლამაზ და ბრწყინვალეს,
ყვებოდი წარსულზე ჩვენს მამაპაზე,
ლოცავდი ბარსა და მთის ლამაზ მყინვარებს!

დავით გარეჯში

მე ეს კედლები მირჩევნია ყველა სიმდიდრეს,
დავით გარეჯის კლდის კარშია სულის სიწმინდე,
საძირკველიდან სიყვარული ამობიბინდეს,
სულის შიმშილი გახშირდა და ხელს არ ვიწვდიდეთ.

დამშეული ვართ გთხოვ უფალო, მოგვეც საკვები,
თუ რამ გაგვაჩნდა სხვებს მივეცით დავრჩით მშიერი,
ბევრიც არ გვინდა, ერთი ლუკმა, თუნდაც საკენკი,
არ შეიცვალოს საქართველომ სახის იერი.

აი, მოვედი აღსარება ვთქვი და დავდუმდი,
ნაკლი ვეძებე ჩემს ერში და აღმოვაჩინე,
წიწილებივით დაფანტულებს მტერი დაგვბუდნის,
გათითოკაცდა საქართველო, გადამირჩინე!

ცაში ასეთს მიმელიან...

გულს არ დავღლი სიბოროტით
სიძულვილი მტრის არ ვიცი,
არ გავხდები გულბოროტი,
ჩხუბ-კამათით განაფიცხი.

გულს თავისი ისეც ყოფნის,
უძლურია გული ბედთან,
ბედი მეც და სხვასაც ჯობნის,
ან რას იზამს გული ყბედთან.

ახლა გული ჩემს ხელშია,
გულს შურს როგორ მივაკარებ,
ზოგი გრძნობის ქარცეცხლშია,
ზოგსაც ქმარი დაკანკალებს.

გაიხარონ...მიხარია,
იზეიმოს მათმა ფუძემ,
ჩემები კი ცად არიან,
ბევრი ფიქრობს როგორ ვუძლებ.

მადლის თესვამ მომცა შვება,
მართლაც ვიცი რას ვაკეთებ
სანამ ფიქრი გაავდება...
სანამ ქარი დამაფეთებს.

ვუფრთხილდები სინდისს- ნამუსს,
ზეცას წავალ ვალმოხდილი,
როს აქ მიწა იწყებს ხრამუნს,
ვაზი რჩება ტანმოხრილი.

გული ისეც მიილია,
უბოროტო ნაზ- ფაფუკა,
ცაში ასეთს მიმელიან...
მადლი მიმდევს გულს პადრუქათ.

მივუტევე კაცთ მოძულეს,
არ ავყევი გავეცალე,
ლოცვას ვგზავნი ყველგან ულევს,
მიყვარხართ და გენავალეთ!

ცელქი ვერხვები

ხან შეღამდება ავდრით საწუთრო,
ხან ენძელებით ასურნელდება,
რწმენით გული რომ დაისაკუთროთ,
ქარი არასდროს გასულელდება.
ყველგან სიმშმვიდის ხმები ისმოდეს,
წუთისოფელში რაა საუბრო,
ბოდბელ ანასგან ბოდბეს იცოდნენ,
პოეტები, რომ ღმერთთან ვსაუბრობთ.
მოსწავლებთან ჟღურტულ-ჟღურტულით,
დროს ატარბდა ცელქი ვერხვები,
დარდი გაბრუნდა ბურდღუნ- ბურდღუნით,
დაჭიჭიკობდნენ ჩვენს წინ მერცხლები!

ვფიცავ

მე შენით ვცოცხლობ ცამეტი წელი,
გეალერსები როგორც შვილს ისე,
ეს სიყვარული ისეა წრფელი,
როგორც ზეცაში უფალი ქრისტე.
,,ათინათს" შენი მადლი მფარველობს,
და შენი ძალა გონს და ნიჭს იცავს,
ნინოწმინდაო, გულის მთაველო,
შენს ხატს არ შევცვლი ალალად გფიცავ.
ბევრჯერ მაწვიმდა და თოვდა კიდეც,
ბევრჯერ თვალიდან ცრემლებიც წამსკდა,
გზად შევეყარე უვიცს და ფლიდებს,
გაუძელი და გული არ გასკდა.
ხალხს ვემსახურო ვარ მზადყოფნაში,
რწმენა ყოველთვის მომაძლიერებს,
როს მახვდრებენ დარდს და შფოთვაში,
ისევ სიკეთე მაბედნიერებს!

გიყოფთ

ვისთვის ვარდებია სათაყვანო,
ვისთვის ნიავი რომ გასუსულა,
მე კი დარდი უნდა გადვყარო,
გარეჯს მიმოზები ამოსულა.

ტოტი მორთმეული წმინდა ბერის,
რარიგ ძვირფასია სანუკვარო,
ჩემი სულისაა შესაფერი,
ქარი არ მინდა რომ მიეკაროს.

ყველა თქვენი იყოს ყვავილები,
მინდვრის იები და ეიფელიც,
ესაა ჩემი დილილმები,
აქაა სულის ასაფრენი.

ახლა სკამზე ვზივარ პოეტესა,
ხედავთ მარტოდ ვარ და არვის ველი,
სჯობდა სული მთებში მომეწყემსა,
იქნებ შემხებოდა უფლის ხელი.

არ ვარ წუწუნა და შურიანი,
და არც მითელია მთა და ბარი,
დედა უნდა იყოს გულიანი,
წმინადად რომ შეაღოს უფლის კარი.

მამა ნეოფიტეს სანახსოვროდ,
ტოტებს ცივ ნიავს არ მივაკარებ,
გიყოფთ, თქვენიც იყოს სანახევროდ,
თუ თქვენც გამოაღებთ უფლის კარებს!

ნინო უძილაური – მშენებელ-ინჟინერ-პედაგოგი
პოეტი, მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი
დაბადების ადგილი – ყვარელი

სტრიქონი ფერში

კალამი ხატავს სტრიქონებს ფერში,
მუზა ასწორებს ნააზრევს განცდილს,
ჯიში, ჯილაგი, შერწყმული გენში,
ფესვებს ნამავს და სიცოცხლეს აწვდის.

გამხმარ ყვავილებს, ფოთოლთა აჩრდილს,
ციდან მანანის მარცვლები აწვიმს,
ზეცას მომზირალს, ჩემს ხელებს აწვდილს
ხედავს უფალი. განათდა. არც წვიმს.

შენ ხარ მსოფლიო

შენ ხარ მსოფლიო,
ჩატეული უფლის წამწამში,
მზის ათინათში შემჩნეული ალმასი, ლალი,
შენ ხარ ჰაერი, სიყვარულით გაჯერებული,
ბედნიერებავ, დღესაც შენით დავდივარ მთვრალი.

შენ ხარ მსოფლიო
ჩემი გული, ჩემი ფიქრები,
ხარ უსასრულო ნეტარება ყოველი დილის
და თუ ოდესმე მე შენ გვერდით აღარ ვიქნები,
სიცოცხლის ფერი დაგიმშვენებს უხილავ ბილიკს.

აღმართს

ამოვუყვები აღმართს,
ვეძებ მტყუანს და მართალს,
მხოლოდ ღმერთია რაც მწამს,
ხან ფხიზელსა და ხან მთვრალს.

გულს მაწევს დარდის ლოდი,
შემოვეფარე ბრმა წამს,
თუ გეცოდები მოდი,
ოღონდ ნუ მკითხავ, რად მწამს.

მე მაპატიე

მახათას გამოვეშურე,
შენც მოუყვები აღმართს,
მე მაპატიე ცრემლები,
რომ გისველებენ მაგ თვალს.
შემინდე, რომ ვარ დაღლილი
და შევეფარე ამ მთას,
დღეს გავაჩერე სამყარო,
საყვედური რომ არ თქვას.
მე მაპატიე ცრემლები,
რომ გისველებენ მაგ თვალს.

შიში

შიში სიცოცხლის,
შიში სიკვდილის,
შიში დაკარგვის რწმენის,
ვიწრო ბილიკზე,
ვიწრო სავალზე,
გონებით ფიქრი მელის...
თმენა ტკივილის,
თმენა სიყალბის,
ვალდებულება თმენის,
ღმერთო მაღალო,
ღმერთო ძლიერო,
გამაძლებინე ბევრის.

არსთა გამრიგე

სადღაც ზის არსთა გამრიგე,
და ბედისწერას განაგებს,
ვერც ვერასოდეს გავიგე,
ბოღმა და შური ვის გვარგებს.

შემთხვევით ხდება ყოველი,
შემთხვევა საფიქრალია,
რა ნაბიჯებსაც მოველი,
აზრთა გამრიგეს ბრალია.

დაწერე, ბედის მმართველო,
გამილამაზე ცხოვრება,
ნუ მეტყვი, გონი გმართებსო,
სევდაც ნუ მომაგონდება.

სად ზიხარ, არსთა გამრიგე,
სად წერ სიცოცხლის მარცვალებს...
ჯერ სიყვარულით გამრიყე,
ახლა კი, ეჭვით მაწვალებ!

წვიმის წვეთები

წვიმის წვეთები მიღვიძებს სევდას,
ფიქრები ისევ ჩარჩოებს გასცდა,
ცხოვრების არსი და წვიმის წვეთი,
გავაიგივე სიცოცხლის გზასთან..

წვიმა წვეთებით თუ ნამავს მიწას,
წვიმის წვეთები აზვირთებს ზღვასაც.
სიცოცხლე მჩუქნის ცხოვრების ხალისს
და ეს სიცოცხლე მადლია ალბათ.

დავაღალატე თავად ღალატი

წუხელ მთვარესთან დაგაღალატე,
მთვარე მიცქერდა შენი თვალებით,
წუხელ ზღვასთანაც რომ გიღალატე,
ზღვა სიყვარულის მწვავდა ალები.
მერე გარიჟრაჟს გავეარშიყე,
თითქოს მკოცნიდნენ შენი ტუჩები,
ეს სიყვარული და კაეშანი,
მათრობდა, ალბათ ვერც ვიურჩებდი.
სიყვარულისგან ღამენათევი,
სხივებში ჩანდა შენი ფერება,
და გული წრფელი, თბილი, ნათელი,
დილის მზის სხივით რომ მეფერება.
მე ამ ღალატით დავგმე ღალატი,
დავგმე და სევდაც შემომეხეთქა,
სიყვარულია მხოლოდ მთავარი,
სიყვარულს სიტყვა ეთქმის ღმერთებთან.
მიყვარს ეს გრძნობა, წრფელი, ხალასი,
მარადიულად გულში რომ ფეთქავს,
დავაღალატე თავად ღალატი,
დავაღალატე...რადგან ბევრს ბედავს!

გადამეყარე

გადამეყარე გზად მარტოდმყოფელს,
გულს სინანული შეუხიზნია,
არ მსურს შემეტყოს სიტყვათა
მფლობელს,
ამ ქვეყანაზე ვის რა ხინჯი აქვს.

ვერმიხვედრილი ზეიმობს ჯერაც,
მიხვედრილს თავი ძირს დაუხრია,
წუთისოფელი გაჰყურებს ზეცას,
ცოდვა-მადლი კი კვლავ სადღაც ყრია.

დროებით აღმა და დაღმა ნაბიჯს,
გული, გონება დაუბინდია,
უფალი ყოველ ჩვენს ნაბიჯს განსჯის,
უფლისკენ მხოლოდ მადლით მიდიან!

შემომეყრება ამ გზებზე ისიც,
ვისაც სურს გონი ვნებებით მართოს,
სიკეთისა და სიცოცხლის იქით,
უფალმა მსგავსი არ დამანახოს.

უკიდეგანო ცოდვის მორევში
გარკვევა მიჭირს, საით ვიარო?!
გზად ვიხედები სულის სარკეში,
ჭეშმარიტებავ, რომ გეზიარო!

შემოდგომის კალათს

შემოდგომა შემოადგათ ფოთლებს,
ფერებს იცვლის ირგვლივ არემარე,
შემოდგომას ფოთოლცვენა მოსდევს,
სიშიშვლე კი არ აწუხებს მთვარეს.

მომეხვიე, შემიფარე, მალე,
შემომასხი უჩინარი ფრთები,
გაზაფხულიც თუ დადგება ხვალე,
შემოდგომას აღარ შევუკრთები.

მზის სხივებსაც ძალა აღარ სწყალობს,
სასოება კართან ტოვებს ბარათს,
სიყმაწვილის გალეწილა კალო,
შემოგიდგამ შემოდგომის კალათს.

მხოლოდ ერთხელ

მხოლოდ ერთხელ,
ერთადერთხელ,
 მოგეფერო უნდა,
ჩავეხუტო მაგ შენს მკერდს და
 ჩუმად ვიყოთ თუნდაც...
დილა ერთად გავათენოთ,
 მთელი ღამე წვიმს და,
ერთმანეთი დავამშვენოთ,
რადგან ასე გვინდა!

მხოლოდ ერთხელ,
ერთადერთხელ,
დავივიწყოთ დარდი,
ბაღს ვესტუმროთ,
იქ სიკეთეც, ფეხაკრეფით დადის!
სხვა რა არის ჩვენი ყოფა,
დროც რა სწრაფად გადის,
ფერადოვან სიზმრად ყოფნას,
აქ არავინ გვაცდის?!

მაგდა გოშნიაშვილი – ექიმი, პოეტი,
მწერალი-რომანისტი
დაბადების ადგილი – თელავი (კახეთი)

ჩადრის ქვეშ

ჩადრის ქვეშ თვალები ცა და ფირუზები,
ჩადრის ქვეშ ფერ- სახე თეთრი მარმარილო,
სული ეული გაქვს სახლში ჩაკეტილი,
ქმარი სხვა ცოლთან ერთობა, პურ- მარილობს.
თვალებს მცველად უდგას ღობე წამწამების,
მზერა გამჭოლი, სხეულში იხედება,
ტანი ლერწმის სიგრძე ჯიუტ გრაციებით
თითქოს ეს ესაა კვიცი იხედნება.
შენი სახლიკაცი სიცხეს ეომება,
ქალი დაიბედა მზის სხივ უნახავი,
ჩადრში შეგფუთა, დაარქვა ტრადიცია
შენც ამ ტრადიციას ნამუსს უნახავდი.
მკაცრი ყოფილა უდაბნოს კანონები,
მზეს ქვიშის ხვატში ჩაუდგამს ტახტრევანი,
ოაზისს გასცდა საპალნე აბარგული,
მწკრივს მიუყვება უდაბნოს ქარავანი.
გულში ჩამივარდი, სახელიც არა ვიცი,
დედამ რა დაგარქვა, ქმარი რას გეწადის?
უნდა დავარღვიოთ, რა ვქნა, წეს- ადათი
თუკი სიყვარულის განგაში გვეძახის.
ქარავანს გავაცილებთ, ჩადრსაც შემოგხსნი,
ჩვენს ღმერთს გაზიარებ, დაგარქმევ ფერიდეს
უდაბნოს მკაცრ კანონს შევცვლით სათნოებით
მე მენდე, ვფიცავარ, მუსლიმ ქმარს ერიდე.
ჩადრის ქვეშ ფირუზებს რომ მალავ ძველებურად,
ნუ მორცხვობ, გვერდში გამოჰყევ ფალავანს
უდაბნოს კანონები კვლავაც უცვლელია
მიიღებს, გააცილებს აქლემთა ქარავანს.

ო, როგორ მიყვარხარ!

ო, როგორ მიყვარხარ, ჩემო ქარბორბალავ,
გადარებ ლაჟვარდებს, გადარებ
ცის ტატნობს.
ერთხელაც იქნება უზომოდ დავლევ და
მერე იჩივლე ღვინო რომ დამათრობს.

ო, როგორ მიყვარხარ ჩემო საოცრებავ,
გადარებ ქარაფებს, შლეგიან ზღვის ტალღებს,
უშენოდ მდუმარე დღეებს ვერ ავიტან,
ვერც თავს გავიტან, უშენოდ რა გაძლებს.

გადარებ მზიან და დარიან გაზაფხულს
კვირტებს რომ მოიყვანს ცელქობის მადაზე.
ატმის ყვავილებს დაფანტულს მიწაზე,
რომ ვაგროვებ და ვიკერებ კაბაზე.

ო, როგორ მიყვარხარ ასეთი ცუდიც კი,
სიბრაზით დავლეწავ მზის სხივებს წვივებში,
ნერვებს მოგიშლი და ეჭვებით გაგჟღენთავ,
ხელკავით რომ ვივლი გრძნობებთან წვიმებში.

ო, როგორ მიყვარხარ – შენ კიდევ არ გჯერა...
ცას ჩამოვიწოდებ შენს გამო ციდანო.
ასე საოცარი რა დედამ გშობაო...
გოგოს შეუყვარდი სულ ერთი ციდასო.

მ ა მ უ ლ ს !!!

მამულო ჩემო, ჭირ ნახულო, შავ დღე ნახულო,
მოსავლიანი ხორბლის თესლი გვაგემე პურად,
რომ ვარცლში ცომი ამოვზილოთ მარილ წყლიანი,
გავინაწილოთ ქართველებმა ერთურთში ძმურად.

მამულო ჩემო, ოდეს იყავ დარუბანდამდე,
ნიკოფსიიდან იწყებოდა შენი სათავე.
არ ვიცი როგორ გაკოწიწო, დღეს რა გიშველო,
ვხედავ ვერაფრით იმორჩილებ შენსკენ სადავეს.

შეხედე ერთი, რა დღეშია– მარტი ხალისობს,
აპრილს ხეებზე დაუნთია ყვავილთა ცეცხლი,
შენ ვინ გაგწირა, ვინ გირყია მიწა ფესვიდან,
მაინტერესებს ვის უღირდი რამდენი ვერცხლი?!

დროშამ დავითის და თამარის საუკუნიდან
იარა ბევრი, აქამომდე სწერია ჯვარი.
შენ მტრის თვალები გიყურებდა, სისხლით შეგღება,
მაგრამ გმირულად დააღწიე ვაებას თავი.

მამულო ჩემო, შენს მიწაზე ოდა დახავსდა,
კაცი არაა შემოსძახოს,,მრავალჟამიერ,,,
გადავიხიზნეთ, მივაშურეთ უცხოურ ქვეყნებს,
ხალხი მოგაკლდა იმიერს და აქეთ ამიერს.

შენ ხარ ვენახი– რქაწითელი რომ დაგვიმარცვლე,
ყურძნის ნაჟური დღეს შენს მიწას ცრემლებად სცვივა.
ვიცი გათბობდა ნაბიჯები ყველა ჩვენგანის,
დღეს კი უჩვენოდ ემიგრანტის ბედიცა გტკივა.

მამულო ჩემო, მიგატოვეთ, თუმც დავბრუნდებით,
რადგან ყივილი მიწის ჩვენში კვლავაც გაისმის,
დადგება ჟამი ქართველები საქართველოში
დავბრუნდებით და გამარჯვების ზალპი გაისვრის.

სხვა გოგოს გულში

დადგება ალბათ დრო და მომენტი,
როცა მე წავალ, შენში სხვა მოვა.
ჩემს გულში თოვა მოიტანს ნამქერს,
სხვა გოგოს გულში ვარდი ამოვა.
სხვა გოგო გეტყვის როგორ უყვარხარ,
როგორ გელოდა იასამანთან,
უშენოდ როგორ უჭირდა მარტო
და სიყვარულით დააავადდა.
ის გოგო შენი სიცოცხლის არსი
და შთაგონების გახდება წყარო.
ეჭვი მკლავს, ვიცი, ვიცი არ ვცდები
შენ მიმატოვე იმ გოგოს გამო.
იმ გოგოს გამო ცაზე გაავდრდა,
წვიმამ დატორა გზა და შუკები.
არა და შენსკენ მეჭირა თვალი,
არ ილეოდა დრო და წუთები.
არა, არაფერს არ ვაზვიადებ,
არც რამეს ვამბობ გადამუქებით.

* * *

აი ამ მხარეს საქართველო ჰქვია
სახელად,
სადაც აპრილი იმოსება ფერთა
კვირტებით...
რაც ლექსი ვწერე ნამცეცია
სიტყვებით თქმულთა,
მიხვდებით ალბათ როცა ნახავთ
თქვენ გაკვირვებით !

შ ი რ ა ქ ი

კლდის ნაშალზე შემომდგარან ჯიხვნი,
კლდის წვეროდან აფრენილა ხუნდი,
ცის ლაჟვარდებს ეცნობიან ფრენით,
ხოლო ჯიხვებს მოუწყიათ ბუნტი.

ისმის რქათა ხანჯლაობის ხმები,
კლდიდან კლდეზე საპასუხო ექო,
რა ბიბინებს საძოვრების კალთა?
ქურციკები ხტიან მწვანე ბექობს.

ნათელი ტყე მიუყვება ზეგანს,
ბროწეული, ბალღოჯი და ღვია.
ამ თვალწარმტაც საქართველოს ზღაპარს
ვაშლოვანის ნაკრძალი ტყე ჰქვია.

ელიას მთა განთქმულია მღვიმით,
მთას მლაშე ტბა გარს ევლება დაბლა,
პანტაშარას ხეობაში ჩიტებს
საკუთარი აუგიათ დაბა.

საოცრება სად გინახავთ მსგავსი
ერთდროულად ტყე, უდაბნო, სტეპი.
ლეოპარდის გეშინოდეთ მხოლოდ
მომთაბარედ აბიტანტობს კენტი.

ფასკუნჯების გადაფრენა ნახეთ
და ნარნარი დურუჯის და გნოლის.
თუ შირაქის ინახულებთ ზეგანს
გეფიცებით, არ შეცდებით მგონი.

კლდეზე ორი შემომდგარა ჯიხვი,
გზას ერთმანეთს არ უთმობენ ურჩად,
ამ ჭიდილში მიეპარა ჯიქი
საბრალონი ვეღარ გადაურჩა.

ნათელი ტყე აშრიალებს ბერყენს,
ჭალაფშატას, ბალღოჯსა და ღვიას,
რაც აღვწერე ამ თვალწარმტაც ადგილს
ვაშლოვანის ნაკრძალი ტყე ჰქვია.

ემიგრანტობა- ეს, ბრძოლა, ომია!

სევდის მორევო, რა სიღრმე გქონია...
გულდადაგული ვწერ- ვლექსავ სონეტებს.
ემიგრანტობა ნამდვილი ომია!
რაც უნდა ფეხქვეშ გიყრიდნენ მონეტებს.
ემიგრანტობა- ეს, ბრძოლის ველია
მარტო თავთან და ყოფასთან ყოველდღე!
ოჯახი შორსა გყავს, წუხან და გელიან,
შენ კი უფალი ჩაგძახის, მომენდე!
ემიგრანტობა- ეს, განაჩენია
ცხოვრების სამსჯავროდ გამოტანილი.
სხვა იყო შენს წინ, დღეს შენი ჯერია,
დაგათრობს წითელი ღვინის ტანინით.
ემიგრანტობა – ცრემლია დედისა,
შევადრი ვირუსებს, სახადს, ბატონებს.
დედა ვატირე, იმ ქალის ბედისა
ჩემებრ ლამაზ წლებს ვინც სხვაგან აგორებს.
ემიგრანტობა- თმენათა ზღვარიდან
იწყება, გრძელდება სამშობლოს კივილით.
შვილებს მშობლების წინაშე ვალით და
მათთან დაშორების დიდი ტკივილით.
ემიგრანტობა- ქაღალდის ფრანია.
სიო სით წაგიღებს თავად არ იცი.
როცა მშობლიურ მიწაზე დარია,
იქ არ ხარ, ნატრობ, გტკივა და განიცდი.
სევდის მორევო, რა სიღრმე გქონია..
გულამოვარდნით ვკითხულობ სონეტებს.
სადაც არა ხართ, იქ კარგი გგონიათ,
ფიქრობთ ხეზე კრეფენ რკინის მონეტებს.
გულწრფელად გეტყვით- ეს, არა სწორია!
თუ დამიჯერებთ- ნამდვილად ომია!
გამარჯვებულიც არავინ ჰყოლია,
სევდის მორევი საშიშიც ჰქონია.
ყველა ემიგრანტს შავ ზღვაზე თოლია
სხვისას ურჩევნია, ასე მგონია!
თამამად ვიტყვი, ჩვენი საქართველო,
დღეს ემიგრანტების მხრებზე მდგომია!

გასაუბრება ასაკთან

შემომხედეთ... ალბათ, უკვე, ვეღარა მცნობთ,
წარსულს გაჰყვა ყმაწვილობის ციალი.
ეჰ, რა სწრაფად მიფრინავენ ტკბილი წლები
და გვაბერებს, დროის ორომტრიალი.

ნაოჭები ორღობეში სავალ გზას ჰგავს,
ტუჩთან, თვალთან და მთლიანად სახეზე.
ეს ცხოვრება მუხანათი რამ ყოფილა,
მახეს გვიგებს კლდიდან გადასახედზე.

თმას მბზინვარეს დაკარგვია ბზინვარება,
შავი თმები ადგილს უთმობს ჭაღარას.
წელი წელზე გვემატება და ვბერდებით,
ხვალ, ზეგ, მასზეგ ან ვიქნებით ან არა.

ასე უთქვამთ, შუბლი ვისაც დახაზვია,
ჩადენილი ცოდვის უჩანს ღარები"
მართალია, მწყრალადა ვართ სიბერესთან,
თუმცა გულში ველტვით, ვეთაყვანებით.

თქვენ სიბერე განაჩენი არ გეგონოთ,
მოჰყავს, მიჰყავს წლებს თავისი ამალა.
მეკითხებით რამდენი წლის იქნებიო,
მე გპასუხობთ: –
,,არ მჭირდება დამალვა."

იმ ასაკის ვარ, როგორიც გეჩვენებით
გმადლობთ, სწორად შეაფასეთ,
არ ცდებით!
დაივიწყეთ თქვენც სიბერე, ნაოჭები,
ბედის ვერდიქტს ვერასოდეს აცდებით!

დღევანდელობის ელეგია

კარ დალურსმულში, ფანჯარა დახავსულში,
შენ, სიბნელეში ჩაგკეტეს, ელეგია!
ყველა უღირსობა, რაც რამ ზის ჩვენს სულში,
დროთა მდინარებით მწარეშედეგია!
ქალი ვუალიდან –ტანზე გახდილია,
პატიოსნებიდან– ნამუს აყრილია,
კაცი, ადრე გმირი, ფარ–ხმალ დაყრილია,
ვაგლახ, გზა სავალი აღარ დაგვრჩენია!
კვარცხლბეკს დააყენონ უნიჭობა უნდათ,
დიდი ტიტულებიც ფარსად მიანიჭეს,
სიცოცხლესაც სწონის, თურმე, რკინის ხურდა,
სიყალბე და ცოდვა ერთად მიაბიჯებს.
დააქვს სილა ქარებს ოაზისის პირას,
ვერც გაიგებ წყურვილს მოგიკლავენ შხამით,
ისე ჩაგვისაფრდა ეშმა ბუჩქის ძირას,
თუ არ აყურადე, არც კი ისმის ჩქამი.
კაცი მლაშე სიტყვებს ჭრის უშნო თარგებად,
კაენს ემსგავსება ბოროტ, ღვარძლი გულით.
აბა, რა გეგონათ, ცოდვა იკარგება?
გზა–გზა გვეფინება, როგორც თაიგული!
გავკადნიერდები, ეს ხომ ბევრჯერ მითქვამს,
ტაშს უკრავენ ხელით ნაკეთ ორიგამებს.
ადრე მეფის კარზე პირში სათქმელ სიტყვას,
ლექსად აჟღერებდა ბრძენი მოიგავე.
ანდაზ –იგავებში ბევრი ვირონიე,
დღესაც ყურადღებით ვკითხულობ ეზოპეს.
მიყვარს სამართალი, ვგმობ რა ირონიებს,
მე უსამართლობას წინ გადავეღობე.
ელეგია, თუმცა, მიეჯაჭვა ლოგინს,
ადამიანს გული უცემს ვაი– ვიშით,
მოასწარით კითხვა ჩემი მონოლოგის,
სანამ გადარეცხავს წყალი ნაწერს ქვიშით.

მე ქართველი ვარ

მე ქართველი ვარ, საქართველოს მიწა თან დამაქვს,
მიწასთან ერთად დავატარებ გამხმარ ბალახებს.
არ მერიდება, როცა ვხვდები უცხო რჯულის ხალხს,
ვაცნობ ჩემს მხარეს, ცრემლით ქართულ მიწას ვანახებ.

ცეკვა ისეთი გვეხერხება, ბრძოლის სადარი,
დაბადებიდან ნიჭი ლექსის, გულივით დაგვყვა,
ქართულ ასოებს, ქართულ ანბანს დედამიწაზე
სხვის დამწერლობას ვერ შეადრით, ბადალი არ ჰყავს.

ვუხსნი.– ზაფხული იქ მწვანეში იმოსავს კაბას
და გაზაფხულის მიწას ხეთქავს ლურჯთვალა ია,
მეკითხებიან შენს სამშობლოს საქართველო თუ
ადამ და ევა რომ ცხოვრობდა, ის მიწა ჰქვია?!

ასე ტკბილია დალოცვილი?–გაუკვირდებათ...
დიახ, ვენახში გლეხი ცქერით ამეფებს ყურძენს.
და შემოდგომა ქარვასავით ჯდება ბადახში,
ამ მონატრებას, სხვის მიწაზე, ვერაფრით ვუძლებ.

მოგიტეხიათ თქვენი ხელით სიმინდის ტარო?!
როდესაც გატკბობს სიმწიფეში შესულა ყანა,
როგორ შრიალებს ცად ასული მისი ლერწამი?
ეს საოცრება დავიჯერო გინახავთ განა?

ახლა ბადაგი მოთუხთუხე და მოელვარე
და ჩურჩხელები ხარიხაზე ასხმული მძივად,
და ფიქრებსაც კი შემოდგომად ვიმოსავთ ტანზე,
უშემოდგომოდ მონატრების ცრემლები მცვივა.

ვერც წარმოიდგენთ როგორ ღელავს ქვევრებში ღვინო,
მაჭარმა ლამის ამოხეთქოს მისი ყელიდან,
სიტყვა,,ჭაშნიკი,, გაგიგიათ?– არ ითარგმნება!
ყანწი გადადის ალავერდით ხელში ხელიდან.

მოგისმენიათ მთვრალი კაცის,, ღვინო კახურო,,?
არ აქვს მნიშვნელი თეთრია თუ ფერად წითელი.
ჩვენთან აკვანში იზრდებიან ხვადი ლომები,
ვაჟა– ფშაველას აყვარებენ,,ხმელი წიფელით,,

მერე მოაწევს თოვლიანი ზამთრის მირაჟი,
თეთრი საბნის ქვეშ გაეხვევა შარა და შუკა,
კალენდარს ბოლო ოცდათერთმეტს შევაცლი სევდით,
ემიგრანტობის ამ ერთ წელსაც დავტოვებ უკან.

ჩემი ყველაფერი ხარ!

ჩემი ბასტიონი ხარ,
ჩემი კლდე და მწვერვალი,
აფრენილი მიმინო,
დაგეშილი მწევარი.
მოვარდნილი რიონი,
აწყვეტილი მერანი.
დაწერილი ლექსი ხარ
თეთრზე ლურჯი მელანით.
დაკუწული გვირილა,
სისხლისფერი ყაყაჩო.
მინდა მოგეხვიო და
სიყვარულში დაგახრჩო.
ჩემი სალოცავი ხარ
ზედაშე და საყდარი,
გულში შემოვარდნილი
სტიქია თუ ავდარი.
მზე ხარ ღრუბლის საცერში
გადაცრილი სხივებად,
ველზე ღიღილოები
დაფანტული მძივებად.
მინდორს დაკერებული
გულისპირზე ღილებად.
ცისარტყელა შვიდფერა
წვიმის გადაღიმება.
თოვლი მოზვავებული
კლდიდან ჩამოწოლილი,
ჩემი ოქრო კარატში
მისხლად გამოწონილი.
ღამით მთვარე ნამგალა,
ერთი კოცნა და განცდა.
ზღურბლს რომ გადააბიჯა,
ვნების საზღვარს გადაცდა.
ჩემი ქაღალდის ფრანი,
ძაფზე ხელის გაშვება.
სიყვარულის მორევში
ძირს თავით გადაშვება.
შენი ხელის თხოვნა და
ჩემი ბოლო დასტური..
მერე ჩვენი ქორწილი
ღვინო ალადასტურით.
შენ ხარ ჩემი ევრიკა...
მთელი ჩემი სამყარო...
ღმერთო, ვინც მაპოვნინე
გთხოვ, მას აღარ გამყარო!

ლაბირინთში დაკარგული

გამოსასვლელს ვეძებ
არიადნეს ძაფით,
არ ვარ გმირი ზღაპრის,
არც ბერძნული მითის...
ვარ უბრალოდ ქალი,
დაკარგული დროში,
ღალატი და მტრობა,
შური რომ არ იცის.
ვარ ბალახი კლდეზე,
რომ გაიდგა ფესვი,
მზის სხივივით სწრაფი,
ჭირ–ვარამის გამძლე,
ერთადერთი ღმერთი,
ვინაც ცხოვრობს ჩემში –
სიყვარულის ღმერთი
თუ შეძლებს და დამძლევს!
მე მომავალს ვხატავ
წარსულ დღეთა ფუნჯით
და ორივე ერთად
მუქ ფერებში ჩაჯდა.
იმ წარსულის კვალი,
განაჩენი ურჩი
ჩემთვის არის ქალის
უმკაცრესი დასჯა.
გამოაღეთ კარი,
სტუმარი ვარ ღვთისა,
მაშვრალი და მთვრალი
ამ ცხოვრების დელგმით,
ცარიელი დამაქვს
ტყავის ფულის ქისა,
პოეტი ვარ მხოლოდ,
ჩემი სიტყვა მეთქმის.
ლაბირინთში უცხოს
ამრევია გზები,
ვუხმობ არიადნეს,
დახმარება მინდა.
დიონისე მისხავს
წითელ ღვინოს, ვთვრები,
ალბათ, სიმთვრალეში
გზის დაკარგვა ღირდა.
სიფხიზლეში შლეგი,
ვარ ღამეში მარტო,
როცა ფანჯრის მინას
მთვარე აწყობს ტორებს,
განთიადი ცდილობს
დილამდე გამართოს,
ხატავს ნაფეხურებს
და ნაკვალევს ტოვებს.
ლაბირინთის კარებს
ვეხეთქები თავით,
გამოვრბივარ გარეთ...
უარესი მელის,
არიადნე გმადლობ,
თავს ვუშველე ძაფით,
დღემდე არ გაშვება
მინდა ძაფზე ხელის...
ლაბირინთის კართან
დავიკარგე ისევ,
თუმც მომაბეს ძაფი
და ვიქეცი ფრანად!
ბუდიდან ხტის გული,
არითმიით მიცემს,
ირგვლივ ყველაფერი
მიწამ გადაფარა!

ტკივილამდე

იქნებ შემიმშრალო თვალზე ეს ცრემლები,
რა ვქნა თუ მიყვარხარ უთმენ ტკივილამდე,
სანამ შენს ლოდინში ზღვრამდე გავხელდები
გულის ძახილიდან სულის კივილამდე.

ღამე ჭედურია ცაზე ვარსკვლავებით,
ცის თაღს მცველად უდგას ვერცხლის
სატევარი,
როგორც ჩვილით ხელში დედა უძილარი
ღამე ფიქრებს მირწევს მთვარის
თეთრ მკლავებში.

დილა ხელის გულზე პეშვში მოვიმწყვდიე,
როგორც ასაწონი ოქრო კარატებში,
ცრემლი დაბნეული, შენთვის მთვარის შუქზე
დილით მიმოძებნე, კრიფე ბალახებში.

ვარდი გახელებით წითლად აიკოკრა,
ნამის მაქმანებით კაბა დაისერა,
მე რომ შემიყვარდი, შენ რომ არ გიყვარვარ
ვისაც არ ვუთხარი, არვინ დაიჯერა.

ხოდა, შენს ლოდინში სანამ გავხელდები
გულის ძახილიდან სულის კივილამდე,
ცრემლი შემიმშრალე თუნდაც ერთი კოცნით,
მოდი, გელოდები ვითმენ ტკივილამდე.

მე ის საქართველო მენატრება

მე ის საქართველო მენატრება,
სადაც სითბო და ღიმილია,
სადაც კაცი კაცთან არ უღლდება,
ქალია – კაცის იდილია.

სადაც,,გამარჯობა,,. გულს გიხარებს,
მზე არწევს ცაზე ღრუბლის აკვანს,
სადაც სიტყვები,,შენ გენაცვალე,,
ძვალსა და სისხლში ერთად ატანს.

სადაც კვლავ მღერიან,,შავლეგო,, -ს და
ვაჟკაცს აბჯარი აუსხია,
სადაც სხვის ტკივილზე დედა ტირის,
,, ნატვრის ხეს,, ნატვრა დაუსხია.

,,ჰერიო ბიჭებო,,-ს ღიღინებენ,
იწყებენ სწავლას,,დედა ენით,,
სამოთხის კარები ღიაა და
ღმერთი გმასპინძლობთ, კართან გელით.

სადაც სამართალმა პური ჭამა,
შური და ტყუილი არ იციან.
გული როცა გიწუხს, ავადა ხარ
სხვები გარშემო განიცდიან.

სადაც ხავსი არ ჭამს ბებერ ოდას,
ბუხარში ხმელი შეშა იწვის,
სადაც სიზარმაცე დაამარცხეს
თავჩაღუნული ყველა იღწვის.

სადაც ძმა ძმის სისხლით არა ძღება,
ერთად ცხოვრება უხარიათ,
მშობლებზე თანაბრად ზრუნავენ და
ოჯახი დიდი დუღაბია.

ჰო, მართლა,.,,წინ წყარო,,. დამავიწყდა,
ეს ხომ ბულბულის ჰანგებია.

ზღურბლთან მასპინძელი მოსულ სტუმარს
ფიანდაზებად დაჰგებია.

მე ის საქართველო მენატრება
კოტეს ქეთო რომ ჰყვარებია.
ქართველი ქალების სილამაზე
ღვთიურ ანგელოზს ჰგვანებია.

სადაც მომაკვდავ კაცს იმედი აქვს,
რომ უკვდავების წყალი კურნავს,
ქართველ კაცს სიმბოლურად ვაჟკაცობის
ნამუსის ქუდი ისევ ხურავს.

სადაც ვაზის ძირი დალოცვილი
ყურძნის მაგიერ ქარვას ისხამს.
მამლის ყივილი რომ წამოგაგდებს
ძილს არ დაგაცდის დილის სისხამს.

მე ის საქართველო მენატრება
ნაკურთხი დავითის, თამარის,
სადაც არ უნდა ვსტუმრობდე, მაინც
ჩემი საქართველო აქ არის.

მინდა დავიბრუნო ის საზღვრები
როცა ჩამომაჭრეს მძინარეს.
ვერა, ვერ გავატან მამა- პაპის
ნაშრომს, ნამოღვაწარს მდინარეს.

აბა რომელ ერთი ჩამოვთვალო,
თქვენ გააგრძელეთ დანარჩენი,
საქართველოს რომ გულით ვატარებ
გამომიტანეთ განაჩენი.

ღმერთო შემეწიე, მიდღეგრძელე,
შენ დამილოცე საქართველო,
შენ დაგენაცვლები ჩემო კუთხევ,
ჩემო მთებო და მინდორ-ველო.

მე სიყვარულში მხოლოდ მაშინ გამოგიტყდები!

ცის ემბაზიდან დაიცლება, როდესაც წვიმა,
მთვარე, როდესაც გასაღებით გახსნის სიბნელეს...
მე, სიყვარულში მხოლოდ მაშინ გამოგიტყდები,
როდესაც გედი სიკვდილის წინ ერთხელ იმღერებს.

როცა რიჟრაჟი გადაწვება ბავშვივით მკლავზე,
სიმწიფისაგან ალუბლები დაითვრებიან,
მე, სიყვარულში მხოლოდ მაშინ გამოგიტყდები,
ყაყაჩოები სისხლისგან რომ დაიცლებიან.

როცა ფერიას ბუდუარში გაეღვიძება,
ყველას უჩუმრად პირს დაიბანს ყვავილთა ნამით,
მე, სიყვარულში მხოლოდ მაშინ გამოგიტყდები,
როცა სამოც წუთს დააკლდება ის ერთი წამი.

მთის კალთებიდან მზე რომ ბარში ჩამოგორდება,
პურის ფქვილივით, დედამიწას დააცრის სხივებს,
მე, სიყვარულში მხოლოდ მაშინ გამოგიტყდები,
როცა ხეები აისხავენ კვირტების მძივებს.

როცა დაისი მიაცილებს დილას ღამესთან
და ვარსკვლავების აინთება გირლიანდები.
მე, სიყვარულში მხოლოდ მაშინ გამოგიტყდები,
ამედევნება, როცა, შენი ჩრდილი ლანდების.

როცა ალიონს მომახარებს მამლის ყივილი,
ფანჯრებს გამოვხსნი, ფანჯარასთან
დამხვდები რაშით,
თვალებს თვალებში გაგიყრი და აღარ გაწვალებ,
გამოგიტყდები სიყვარულში, ძვირფასო, მაშინ!

ჩემს სულში

ჩემს სულში ცხოვრობს ყველა
ქალღმერთი,
კაცი და ღმერთი, არა სატანა...
მე შემიძლია სიყვარულიც და
ჭირის დროს სულის კბილით გატანაც.

ჩემს სულში ცხოვრობს მავრი ოტელო,
არა ვპატიობ ღალატს და ტყუილს.
როდესაც ჩემგან თავსხმას ელიან,
მე ვამჯობინებ სიჩუმეს, დუმილს.

ჩემს სულში ცხოვრობს მონაც და მეფეც,
საკარნავალო ოქროს დრაკონიც,
ხანდროს ვახერხებ მუზებთან ჭიდილს
ისეთს, რომ სიტყვებს ლექსად ავკონი.

ჩემს სულში ცხოვრობს ევა და ქალი,
ადამიანი–ღმერთის ქმნილება.
რომ შეუძლია გულით ყველასთვის
სიკეთის ქმნა და განაწილება.

ჩემს სულში ბევრი იარა ცხოვრობს,
ბევრ დარდს ვინახავ ჩუმად უბეში.
მე დარდიანიც ვახერხებ, ვცდილობ
თვალცრემლიან კაცს მივცე ნუგეში.

ჩემს სულში ცხოვრობს ყველა
ქალღმერთი...
აფროდიტედან ზევსის ატემდე,
მსურს სიყვარული მქონდეს იმდენი
მთელს სამყაროზე ყველგან ვატევდე.

ქალღმერთი

გადავიქეცი მე აფროდიტეთ
და შეგეხიზნე გულის საფარ ქვეშ,
რადგან ნაშობს და მოვლენილს ქვეყნად
მე სიყვარულის ღმერთი დამარქვეს.

ზღვაზე მივლია ფეხით ულევი,
ქაფი დამიხვდა ბევრჯერ მორევად.
შენს გულში ისე შევიპარები
სხვა ქალი ჭკუით ვერ მომერევა.

ისე დაგინთებ ჭიაკოკონას,
რომ ნაპერწკლები აცეკვდებიან
და მუცლის შიგნით გადარეული
ჭრელი პეპლები აცეტდებიან.

მერე მიხვდები თურმე ქაფიდან
რისთვისა მშობეს ქალი და ღმერთი.
როცა ჭკუიდან გადამიცდები
არ გენდომება ვინმე ჩემს მეტი.

ზღვასთან დამიცდი, მე– აფროდიტე
ტალღების სრბოლით შემოგეგები.
ტკბილ სიყვარულის ნაყოფს გაგემებ,
თვალი არ წაგცდეს სხვისკენ ეგების.

გადაქცეული უკვე ქალღმერთად
შეხიზნული ვარ შენს გულის საფარს,
ზღვა კი ნაპირთან ეჭვით და შურით
სილაზე დრო–დრო ტალღებსა ღაფავს.

მე აფროდიტეს, ზღვის ტალღის ქაფის
ეროტიკა და ნიუ წამართვი,
მიმითვისე და დამისაკუთრე
თან სიყვარულის ღმერთი დამარქვი.

მე

მე იალაღზე გაშლილ ცხვარს ვგავარ
და გალიიდან გამოფრენილ ჩიტს,
რა ვქნა თუ შენში შემოფრენა მსურს
და მხოლოდ შენი სიყვარული მჭირს.
    მეც ბატონები ვიხადე ტკბილი
    როდესაც შენგან პირი ინაცვლა
    და ფრენა–ფრენით, თამაშ–თამაშით
    ჩემთან სხეულში გადმოინაცვლა.
ნაკადული ვარ ქვებზე რაკრაკა
ხმაურ–ხმაურით ხევს რომ აბრუებს,
მე ის ქალი ვარ სიყვარულისთვის
დედამიწას რომ გადაბრუნებს.
    მე ჩანჩქერი ვარ კლდიდან ნახტომით
    თავს რომ იკლავს და მაინც არ კვდება.
    მე ის ქალი ვარ, ვისშიც გრძნობები
    გაუხუნარი რჩება– არ ცვდება.
მაგრამ ჩიტი ვარ ფრთა რომ მომტეხეს
ცელქმა ბავშვებმა ტოტზე შურდულით,
შენთან რაფაზე რომ ვერ მოვფრინდი
და ვერ გითხარი ყურში ჩურჩულით:
    მე ვარ ის ქალი, ვისაც უყვარხარ
    და შეუძლია თავის გაწირვა.
    შენი სიცოცხლის თუნდაც სანაცვლოდ
    დანაწევრება ათას ნაწილად.
მე ვარ ის ქალი ვისაც უყვარხარ
და ბავშვობიდან თვალი უდგია,
ვარ ის ყვავილი ჩემს უნებართვოდ
სხვის ეზოში რომ გადაურგიათ..
    სხვის ეზო–ყურეს ხიბლს ჰფენს დღეს, მაგრამ
    შენი ეზოსკენ უჭირავს თვალი,
    უსიყვარულოდ რომ გაათხოვეს,
    უსიყვარულოდ გითხოვეს ქალი.
მე იალაღზე გზა ამბნევია
და გალიიდან გამოფრენაც მსურს,
რა ვქნა, ვეცადე, ვერ დაგივიწყე
თან შენი ცოლის ცოლობაცა მშურს.
    მე იალაღზე გაშლილ ცხვარს ვგავარ
    და გალიიდან გამოფრენილ ჩიტს,
    რა ვქნა თუ შენი სიყვარული მკლავს
    და ჟინი შენი სიყვარულის მჭირს.

ჩემო მამულო

ჩემო მამულო, ჩემი მიწის ყველა მტკაველო,
შენი სურნელი, შენი ძალა მომეც ზიარად,
რომ გამიბრწყინდეს შენი მადლით ზეცა უღრუბლო
და ყველა ფიქრი, ყველა საქმე გაგიზიარო.

რომ შენი ერთი ყლორტი ვიყო ამოხეთქილი,
ვიცოცხლო მერე შენდა ლხენად,შენს საიმედოდ!
მომეცი სითბო, სიმამაცე, მომეცი რწმენა
და დასაკარგად არასოდეს არ გამიმეტო.

ჩემო მამულო ვგრძნობ შენს ტკივილს
და მეცა მტკივა... ჩემი კრწანისი, მარაბდა და ჩემი შამქორი.
ვიტყვი, თუ მიყვარს სხვაზე მეტად ჩემი მამული
მოვიდეს ვინმე, გამიბედოს, აბა ჩამქოლოს?!

ჩემო მამულო გაპოხილო გმირების სისხლით,
დღეს აქამომდე მოყვანილო ვაგლახ წვალებით,
მეფე დავითმა როგორც შეგკრა ქართულ დროშის ქვეშ
მსურს ისევ ისე დაგინახო ჩემი თვალებით.

ჩემო მამულო ნადიდგორალ– ნაშამქორალო,
რამდენი მტერი ილესავდა შენს კართან კბილებს,
და დღეს ეს მიწა ბუმბულად რომ ფარავს რაინდებს
შემოუნახეს ჩვენს მომავალს– ჩვენს შვილთა შვილებს.

ჩემო მამულო ბევრი მტერი უკუ გიგდია,
შინ ვაჟკაცები ბრუნდებოდნენ ბრძოლის ველიდან
გზა–გზა დაჭრილი–არა კვნესით, არმედ სიმღერით,
სისხლმოსვრილ დროშას გადასცემდნენ ხელში ხელიდან.

ხერხეულიძის დედას ხოტბა–– გმირი ქალია,
ალგეთს გვიმრავლე კვლავ ლეკვები როგორც რკო მუხის,
შენს ცხელ მიწის გულს ჩაგვახუტე ყველა ქართველი,
არ დაგვზარდება ქედის მოხრა,მოკეცვა მუხლის.

ჩემო მამულო დღეს მე ვდგავარ შენს მყარ ფესვებზე,
დამლოცე – შევძლო, შეგეწიო და ვინაყოფო,
დალოცე შენი ყველა კუთხე ამერ–იმერი
და ქართველები მუშტ შეკრულნი ერთად გვამყოფოს.

შემოგვინახე ოქროს ფონდში წლები მძივებად,
მემატიანევ, კვლავაც წერე,, გმირთა ვარამი”,
რომ არ ჩანავლდეს ისტორია ხვალ– ზეგ წარსულის
და არ მოჩლუნგდეს დასაწერად მწერლის კალამი.

ეთერ ჭელიძე – ფინანსისტ ეკონომისტი
ამჟამად მუშაობს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში
დაბადების ადგილი – მესტიის რაიონი, სოფელი უშგული

ერთად ...

გამოდი კარში, მხარი ამიბი,
გაწყვიტე დარდი მძივად ასხმული.
ჩამიკარ გულში, ყრმა ვარ, ტარიგი...
დააშრე თვალი ცრემლდანამული...

ამკინძე თუნდაც სტრიქონად ხვალის,
იმედის ტალღად მაქციე კაცთა,
არ მინდა სხვა რამ, ძოწი და ლალი,
სიმშვიდე მინდა ყველაფრის ნაცვლად...

რამდენი ვინმე, ნებით თუ ძალით,
საკუთარ მრწამსის არეალს გასცდა,
უცხო სურნელის, უცნობი მგზავრი
საკუთარ მყოფადს რამდენჯერ ასცდა!

წამოდი ჩემთან, დამიდექ მხარში
და ჩემთან ერთად შეუდექ აღმართს,
სამყარო როგორც მშიერი ბავშვი
საშოვარზეა წასული სადღაც...

წამოდი, ერთად დავანთოთ თუნდაც
პატიების და შენდობის ცეცხლი,
შემოვირიგოთ ერთხელაც უნდა
ჩვენი ცოდვებით დაღლილი ღმერთი!

გუშინ...

გუშინ ბავშვობამ მეც ჩამომსვა
უცნობ ქუჩაზე,
არც კი ვიცოდი, წავსულვიყავ
საით და როგორ...
ფეხდაუდგმელმა ვერ ვიგუე უცხო
გემბანზე,
იდგა ჩემი მე, ისე როგორც
უცნობი გოგო!

ვერც გამვლელის ხმამ შემაჩერა,
ვერც საკუთარმა,
ვდიე ვერხვების მოშრიალე
ფოთლების როკვას,
ვერ გამივაკა ვერა ძალამ
გზა ოღრო ჩოღრო,
გავრბივარ სადღაც, სკოლის ზარი,
რეკავს და რეკავს...

და ჩვენ ბავშვობა არასოდეს
არ გვტოვებს თუნდაც,
ცხოვრებამ ბევრჯერ შემოგაწნას
მათრახი ეკლის,
ქვეცნობიერში ისევ ცხოვრობ
იმ სკოლის ბავშვთან
ტოვებ, მიდიხარ და მისი ხმა
მოგდევს და გესმის...

და როგორც ქალი!

ღამის გომურში შედენილი
შუქის ნამცვრევი,
ვით სველი ტილო
მშრალ სხეულზე მოგეკვართება
და მოთმინების
და დუმილის შოლტით ნაცემი,
დრო საცნაური,
უცნაურად მოგელანდება...

შენ, როგორც ქალი
ცხრაკლიტულის უცხო დარაბებს,
ვერც დარისხავ და ვერც
განგაშის ზარებს ატეხავ,
რადგან ქალი ხარ
ღირსებას და მანდილს ატარებ.
სიტყვა, რომელიც შენგან იშვა,
ვეღარ გატეხავ...

როგორ ხარ?

ვერ გითხარი, რომ მტკიოდა...
სულს მიწიწკნიდა ყოფა,
ცას რაც ცრემლებად სდიოდა,
შევიშრე მარტო მყოფმა.
კლდეში გამოვჭერი სახლი,
სარკმელი არსით ჰქონდა,
იქ დაივანა სულმა,
ქარიც არსაით ქროდა...
წყალი მომწყურდა, ისიც
კლდეს დაედინა მადლად,
პეშვში კანკალებს წვეთი
ღამის ცრემლების მსგავსად!
მუზას მოშივდა, ფურცლად
სიპი კედელი ვქარგე
და რაც სათქმელი მქონდა,
კედელზე ამოვქარგე.
სულ ერთი იყო დღე და
სულ ერთი იყო ღამე,
ცხოვრების მშრალი გვერდი
კლდის ნაჟურ ცრემლით ვნამე...
ქვა გამოვწურე პეშვით,
ცრემლი ვადინე მასაც
და სიყვარულის ენით
ავახმიანე ვაგლახ!

სიტყვა!

კაცი სიტყვით ფასდება,
სიტყვა ღვთისგან ქმნილია,
როგორც ადამიანი,
ისიც უფლის შვილია!
    სიტყვას ვეღარ იყიდი,
    მას ანბანი სჭირდება,
    გული რასაც კარნახობს
    გონებიდან დინდება!
სიტყვა ზოგჯერ ტკბილია –
თაფლია და შარბათი,
გულს მალამოდ ეცხება
თბილი ბგერის ღაღადი...
    ხან ბასრი და მჭრელია
    ალესილი ხმალივით,
    ნასროლ ტყვიას იცილებს
    აღმართული ფარივით!
სიტყვა? სიტყვა ქალსა ჰგავს,
გიყვარდეს და ეფერო,
რუდუნებით ჩამოქნა,
სული უნდა შთაბერო...
    სიტყვა სალი კლდეა და
    სიტყვა ზღაპრის გმირია
    სივრცე უკიდეგანო
    დაუპყრია, უვლია...
სიტყვა ყველაფერია–
სუნთქვაა და აორტა,
შეგრძნებაა სიცოცხლის,
არსებობის გამოცდა!
    სიტყვა ზოგჯერ მტერია,
    ისე, როგორც მოყვარე,
    სიტყვა ზოგჯერ ბრძენია,
    სიყვარულის მოხარკე...
სიტყვა ცაა, ხმელეთი,
უფლის თბილი კერია!
სიტყვა არაფერია,
სიტყვა ყველაფერია!

,,სინანულის გალობანი“...

ბოლო ღრუბელი გამოვწურე და,
ბოლო პანაშვიდსაც დავესწარი.
შესანდობარი დავცალე და
სიკვდილსაც ასე გავეცანი...
    სუფრასაც ერთად მიუსხედით.
    ქვესკნელ-ზესკნელი შევაჯამეთ,
    იგი თავისი მისტიკებით
    მე ჩემი დამბაჩა შევამზადე...
იდგა მდუმარება საკვირველი...
თითქოს,,სინანულის გალობანი“
და კითხვა კითხვით მივაკვლიეთ,
ლამის, თაობიდან თაობაში....
    ყველგან, ყველაფერში ბრალეული...
    აღარ მოვერიდე, ვამუნათე...
    ყველა პანაშვიდის,,მზარეული“,
    სული, ცრემლებითვე დაუკაწრე.
სული? შემეშალა სადღა ჰქონდა,
მხოლოდ საძვლო იყო დარჩენილი,
ქარებს ლუკმა-ლუკმა მიმოჰქონდათ
მისი სხეულის ნარჩენები...
    აღარ შემეპუა, მაცალეო,-
    გულო ამოიღო, ივალალა...
    ბარემ ტკივილისგან დამცალეო,
    უფლის საფეხურზე მიმავალმა.
სადღაც გამიყოლა ოაზისის
იდგა გარიჟრაჟის ჟრიამული,
უფალს, თავის ტაბლას შემოესხა
ჰქონდათ სანადიმო მხიარული...
    იდგა ნახანძრალი სილუეტი,
    კაცთა მოდგმისაგან ნაწყევარი...
    ცოცხლად გარდაცვლილი მიწურეთში,
    რომელსაც არ ჰქონდა არჩევანი...
ბოლო სასმისი დავცალე და,
სიკვდილის პანაშვიდსაც დავესწარი,
შესანდობარი გამოვცალე და
სააქაოსკენ დავიძარი...

საქართველო ჩემო...

დაუკარით მდუმარების ტაში
გაიტანეთ სიზმარეთში ლელო,
ჩაურაზეთ მყუდროებას კარი
იღაღადეთ -ჩემო საქართველო!
    აგალობეთ დალოცვილი ჰიმნი
    შევახსენოთ ცოცხლები ვართ ისევ,
    სიყვარულის ილუზია,,მინი“
    მტერს მოარულს გაბრუნებს მყისვე...
აკოპირეთ წინაპრების მრწამსი.
ნაკოწიწებს, მტერი კვლავ რომ ჩემობს,
გააცილეთ ქართველები მარშით
და იძახეთ: -საქართველო, ჩემო!
    გამოცალეთ მდუმარების თასი,
    ურგებია უთავთავო ყანა.
    უმასპინძლოდ დარჩენილი სახლი,
    კმარა, გესმით?...გაიგონეთ კმარა!!
უცხო კედლებს შეხიზნული ქალის,
ნერვაშლილი ისევ გმინავს ღამე,
დედის კალთას მოწყვეტილი ბალღი,
ცაში ღრუბელს დედასავით დასდევს!
    ჩუ შეწყვიტეთ მდუმარების მარში,
    საქართველო მაპოვნინოთ ეგებ,
    მე ვარ დედადაკარგული ბალღი,
    ქართველების საქართველოს ვეძებ.

დარდის გორგალი...

მიგორავს დარდის ბორბალი
ვინ იცის საით, ვისთან,
თუ გინდა აქვე მომკალი
ოღონდ ნუ წახვალ ძმისას.
მიგორავს უმისამართოდ
ცისკარს მიადგა სხვისას,
ნუ გამაგონებს სიავეს
ნურასდროს, ჩემი დისა!
ცხოვრება დენთის წვეთია,
იქნებ დაიწვა მზისგან,
მერე ალალად გეტყვიან
თავი დაიცავ მისგან...
კარს ჩამოივლის ბორბალი
განურჩეველად ვისაც,
თუ გინდათ აქვე მომკალით,
სულს ნუ შესცივა ძმისა!

ობოლი ფოთოლი

სახლიდან გასულს ამედევნა
ჭრელი ფოთოლი.
მივდივარ, ისიც ნაბიჯ-ნაბიჯ მომდევს
ფარფატით,
თურმე ყოფილა ჩემი ხვედრის,
ჩემებრ ობოლი,
დავაბინავე ჩემი სულის უბის კალთაში...

ჯერ იუცხოვა, მიყუჩდა და შემოდგომისგან
ამოყვითლებულ გუგებიდან ცრემლი
დასდინდა.,
თუმც ცხოვრებისგან გაროზგილს და
ჯერ ვერ შენდობილს,
მზემ ისაკლისა გაზაფხულის,
ისიც ატირდა...

იშვა ახლიდან... გადარჩენის
ჩადგა წყურვილი...
უდაბნოს ხვატში გზაუკვალავს
გასცდა ტრამალებს,
და მიდიოდა ბარიკადებს
ფიქრშებურვილი,
შემოდგომიდან შემოდგომის
უცნობ ამალებს!

სახლიდან გასულს ამედევნა
სველი ფოთოლი,
თვალნამიანი აიტუზა რკინის კარებთან,
ისიც ყოფილა ჩემნაირი,
ჩემებრ ობოლი
და ამიტომაც დაგვამგზავრა
ბედის ქარებმა...

ქარი, დრო და მზე

ქარი დილის საათის
ციფერბლატზე თამაშობს,
ისრებს ეფლირტავება
დრო რომ გაათამაშოს!

მედიდურობს, ხან თითქოს
ნიავივით ჩვილია,
რადგან იგი ბუნების,
ცის და მიწის შვილია...

ხან სამყაროს ზე-ძალის
თავი, მეფე ჰგონია,
ისე გვედიდგულება
უცებ შეგვყრის ფორიაქს.

რომ თვითგადარჩენისთვის
ბრძოლის წესებს ეჩვევი,
ჭრელყვითელა ფოთლებში
განცდებითვე ეხვევი.

არც ბუნების ამორძლებს,
ხეებს, ინდობს ცხადია.
ყურთა სმენას აოგნებს,
ტოტებს აცლის ადრიან...

ხან მზეს ეპირფერება,
ხანაც, წვიმის დედოფლებს
და ნიავის აკვნიდან
მწვანედ შემოგიფოთლებს...

ერთურთს ეჯიბრებიან
დრო, ქარი და ქართამზე,
მერე ამბებს ჰყვებიან
წუთისოფლის ქალაქზე...

ვეძებ უფალო!

შენ კარებთან ვარ მუხლმოყრილი და უმეტყველო,
ბევრი რამ მინდა გაუწყო და ბევრიც მოგითხრო...
მჭირს უნდობლობა ამა სოფლის მტრის და მოყვასის,
ვერ დავეწაფე გულწრფელობას შენი მოწაფის!

უზენაესო, ყოველი ხომ შენგან ქმნილია,
შენივე ნებით მოვლენილი, შენგან შობილი...
რამდენი ქარაფ-წარაფები გამომივლია,
ნეტავ თუ ვდგავარ მე შენ გზაზე, შენივ ხმობილი?...

გზას აცდენილი ნეტავ საით ვიქარტეხილებ,
მსჯავრის ლოდინში დატრიალდეს ჩარხი ბედისა,
შენივე ნებით, კვლავ გეძახი უარყოფილი
და აღსრულება ამ ნებისა აღარ მეღირსა...

კაცობრიობა უცნაურ სენს ეპირფერება,
მეჩოთირება შურისა და გესლის სამყარო,
ო, როგორ მინდა სულის ტაძრის მოპირკეთება,
დედამიწაზე,,უცნობ“ ძალებს ბინდი გავყარო!

წაშლილი არის ნდობის ზღვარი, ყრუა კედელი,
რადგან ჩვენ შორის აღმართული აღარ ინგრევა,
გაზულუქებულ,,ღვთის მსახური“ს ლოცვას ვედრები,
ჩემგან გაცემულ,,ორი თეთრით“ მადლს რომ მპირდება!

მე მომიტევე, ახლაც ვცოდავ სიმართლისათვის,
თითოეული სიტყვისათვის გავიშოლტები...
და მაინც მოველ ტაძრის ზღურბლზე თვალის ცეცებით
და გულის მუჭში ვერ დატეულ დარდს არ ვნებდები...

მოვედი შენთან, შენს კარებთან, ყრუ, უმეტყველო...
ობმოდებული ჯაჭვის რგოლის უხმო ჟღარუნით,
დგას რწმენის პერანგ შემოხეულ-შემოფლეთილი,
კაცობრიობა გზასაცდენილ მრუში ქალივით...

შენ კარებთან ვარ ატუზული, რადგან ვერ ვპოვე
ოქროს საწმისი გაბნეული, სადღაც ზეკართან...
ბედნასეტყვარი ჩემი ერის ციდა სამოთხე,
ვეძებ უფალო, ვერ ვპოულობ, სად დამეკარგა?!

ხელი ჩაჰკიდე...

ხელი ჩაჰკიდე უფალო
კაცთა მოძულე კაცს,
საკუთარ ნაკლს რომ გაურბის
სხვას ზეზეულად კლავს...

სმენა მიეცი უფალო
რადგან არ ესმის ხმა,
საკუთარ ცოდვის სიმრავლეს
ხამს მოყვრისათვის, ხამს!

თვალი მიეცი უფალო,
რადგან სიბრმავის სწამს
და აღმართები მოყვასის
მის მყოფადობას კლავს...

გონი მიეცი უფალო,
შენთან გაკვალოს გზა...
არ ჩაუტეხოს ბილიკი
შენთან მომვალ მგზავრს!

გული დაუთბე უფალო!
თვითდაჯერებულ მსჯავრს,
ადამიანი ეჩვევა
შენგან ბოძებულ ჯვარს...

***

მაჩუქეთ ერთი წუთი
რომ არა სცემდეს ბოლთას,
თვალს არა ჰქონდეს ბინდი
ყურს არ ესმოდეს მოთქმა...
წუთი მათხოვეთ ერთი
სიტყვა არ ჰგავდეს ამბოხს,
ფიქრი გონს ჰგავდეს ნამდვილს,
გჯეროდეს რასაც ამბობ...
მიბედნიერე ის, ვინც,
ჩემში ცხოვრობს და მიძმობს,
ისე ნურასდროს შემშლი
რომ ვერასოდეს გიხმო!..

გულს გიკლავს სხვისი მზაობა?!

რად დაიბადე არ მითქვამს,
არც გკითხავს ოდეს მავანი.
მაგრამ უფალსაც არ უთქვამს
-,,რაც მოგეც, იყოს ალალი“...
რადგან სულ ჭინჭრის სუსხი გჭირს,
აღზევებულის თვალთვალი.
სხვათა მზაობა ისე გწყინს
ლამის დაიწყო ფართხალი...
შენ აშიარებ ბინდშეყრილ
ღვარძლით, უზნეო სტატიას,
ვერ განიკურნე გესლისგან
გჭირს ალბათ ბოლო სტადია!
სამწუხაროა, რომ შენში
სიკეთის მტვერიც, მტერია,
და ღვარძლით ზე-ამაღლებულს
თავი გგონია გენია!
ვინ ხარ რო ასე ქედმაღლობ,
შენი იწილო ჭინჭებით
სანამდე ცის შუქს ნახავდე
ღმერთმა დაგაძრო კიჭები?
ცოდო ხარ, აუტანიხარ
მაგ სტყვა,,კაზმულ“წერასა,
შენი კალამიც ჩამოჰგავს
ლეშიჭამია ძერასა!
წუთია წუთისოფელი,
ვერ შთაგაგონა გამჩენმა?
ცოდოა შემქმნელ-მშობელი
ნუ აწყევლინებ გაჩენას!

***

როგორც ბოღმით დასიებულ ღრუბელს
ბედმოცარულს მოსდევს
წვიმის თქეში,
ისე დარდი ნაკვერჩხლების მღვიმეს
ელტვის, ეძებს მცხუნვარებით შეშლილს...
როგორც მგზავრი უდაბნოს გზას მძიმეს,
ღვთის ამარა მისდევს აზრის გეშით,
ისე კაცი სითბოსა და იმედს
ბოლო სუნთქვის აკორდამდე ელის!

სიზმარი

სიყვარულის თევზი ვნახე,
ქვირითს ყრიდა ტაძრის კართან,
ჟამი იდგა აზრზე მოსვლის,
ფესვდაჩეხილ ხეებს რწყავდა...
ერთგულებას ქადაგებდა,
დავა ჰქონდა ქონდრის კაცთან,
დედამიწას ალაგებდა
ზეცის ქოხში გადასახლდა!
გულთმისანი თევზი ვნახე,
-აგისრულებ, მითხრა, რასაც!
-ერი თუკი გამთლიანდა,
ა მ ო ვ ხ ა პ ა ვ პეშვით ზღვასაც!
სიზმარ იყო... ცხადში ვნახე
ქვირითს ყრიდა მინდორ-ყანას...
ანგელოზნი მიწას რწყავდნენ,
მრევლი მკიდა ოქროს თავთავს!!!

გზავნილი მეგობარს...

გვიან (ან იქნებ არც იყო გვიან?),
შევესწარ შენი ფიქრების წვიმას,
სტრიქონს ამშრალებს მარტის ქარები,
იებს ამინდის ცვლილება სტკივა!
წვეთები წვიმის მოჰგავდა ტირიფს,
ან სულის ტირილს, არ ვიცი რატომ!
დათარეშობდა მარტსავსე სუსხი –
ქალი ქალია და მაინც მარტობს!
ჯერ გაუშლელი აპრილის კვირტი
ბუჩქია იის, ნაზი და სათნო...
ქალი მწყურვალი, წყაროს წყალს უცდის,
თუ დაეწაფა, არასდროს არ თმობს!
გვიან, ან იქნებ არ არის გვიან...
მოველ, გიპოვე სევდის მოლს მარტო...
ცეცხლმოკიდებულ მზესთან მელოდი,
იქნებ დაკარგულ სიყვარულს დარდობ?!

შენ რაღას უცდი მამულო?!

მზის დარად რომ შემეყარე,
სხივად მეახლე ცისკრისა,
მეც მოგიყვები ერთ ამბავს
იმ ბარისა და ამ მთისა!

სად, როგორ აღარ ვიარე,
ნებით თუ ნებას გაყრილმა,
აღარ დამინდო სიავემ,
არც შარამ, არცა გზაწვრილმა...

მეც მიამიტი მივყვები
კვალს, თითქოს, პაპისეულსა,
სიკეთის ფესვებს ვმარგლავ და
მოყვარე დ ა მ ი ს ნე უ ლ დ ა!

მივერეკები ქარაშოტს,
ფეხქვეშ კი ნაპრალებია,
ვინც ასე დამანაწევრა
სამშობლო არ ჰყვარებია!

რა დაგიშავათ მამულმა,
კალთებჩამოთლილ დედამა?
ყაყაჩომ სისხლდანამულმა
ცრემლით ამივსო ხელადა!

სტუმარიაო იძახით,
სტუმარი დროებითია!
ხომ ვასადილეთ ცისკრამდის,
წავაო? – ესეც მითია!

ფეხი მოირთხა, ვისაც კი
საჩვენოს ფეხი დაუცდა,
სურნელმა ჩემი სამოთხის,
თითქოს, გავაზე ჩალურსმნა!

სტუმარიაო ვიძახით,
თურმე ავყია გზირია,
არ ამიხირდე, უფალო!
უბეში ბრაზის ბინდია...

მე არა, ჩემი ფუძე და
მიწის გულ შეიყვარესო,
ამდენი ბლაგვი ბოგანო
როგორღა შეიფარეო!

სად სდიოს შთამომავლობამ
ვინმე უგვანოს ცოდვებსა,
უცხო სახლიდან მაძევებს,
ნინოს ცრემლი სდის ბოდბესა!

გიორგი ისევ გველეშაპს
ხანჯლავს და აცლის თავებსა!
შენ რაღას უცდი, მამულო,
ჩაგებულ ხმალის ალესვას?!

მშვიდობის ღობეს თითო წკნელს
ყოველდღე აცლის მავანი,
გამოიღვიძე, ქართველო,
ხმალი ჟანგდება ქარქაშში!

მე დაგძებნიდი...

მე დაგძებნიდი იის ფოთლებში,
წყაროს წვეთებში მე გიპოვიდი,
შიშველ ხელებით ლორთქო ძეძვებში
სისხლ მოწანწკარე გზას გავიდოდი...
მე დაგძებნიდი ქვების ღრიჭოში
მეხის გაბზარულ რკინის ძელებში,
შველის ნახტომსაც გადავითვლიდი
მე აგიყვანდი დედის ხელებით...
მე დაგძებნიდი ტრამალ მითებში
და მზის უბეში შეგიფარებდი,
იის ფურცლების სისადავეში
წყაროს წვეთებად შეგიყვარებდი...

კი თუ არა გვირილა?..

კი თუ არა? კი თუ არა?
შესრულდება ოცნება?
თუკი არა, თუკი არა,
გულმა თუ ვერ მოგძებნა,
შენ მითხარი ფრთაფარფატა
გვირილების აპრილო,
სად მოგძებნო, მზის წყაროსთან,
როგორ გაგინაპირო?
იქნებ, საყვედური დამცდეს,
იქნებ, გული გატკინო?
კი თუ არა... კი თუ არა...
მეუბნები – არ მკითხო!
მე კი ვუცდი რახანია
ოცნებების ახდენას,
ქარიშხლების მეფისწული
მეფე როდის გახდება...
კი თუ არა? კი თუ არა?
ჭორფლიანო გვირილა...
თითებშუა მომწყვდეულმა
ნაზად შემომღიმილა,
კი-ო მითხრა და მზისფერი
გულით შემომღიღინა...

* * *

შორით ლანდია
მივდივარ და უცებ ვჩერდები,
წინ წავიდე თუ უკან დავბრუნდე?
ახლა მაფიქრებს საწუთროს ზღუდე...
გზა ისევ მიდის... დღენი მიქრიან
და მიაქვს დარდი მცირე და დიდიც
იავარქმნილი სივრცით თუ გზებით
და მარტოობის ჩატეხილ ხიდით,
იყუჩე წამით, სულ ერთი წამით
ყური მიუგდე სუნთქვას იების,
შენ არ შეგფერის გესლი და შხამი
დამდგარა ჟამი მონანიების.

ერთხელ წასული წავა?!..

კართან მიგდებული ბარათი...
ორჭოფობ, გავხსნა თუ არა?!
ახლად გაღვიძებული ქალაქი
ნისლი, ბოლთა-ბოლთა კვამლად...
მიიწევს, ირწევა ცისკენ,
თითქოს, აკოწიწებს კარავს.
ვაწვალებ, ვაწვალებ თითებს,
გულის უბეში ვმალავ...
– ან დღეს ან არასოდეს!
სული ჩავალბე წყალში...
ო, ალბათ არასოდეს,
ერთად, ერთ გაშლილ ნავში!..
მიზეზს ვერ მკითხავ, რადგან
შენში ეძებო უნდა.
გზაგასაყართან ვდგავარ –
წვიმდა...რარიგად წვიმდა...
მედიდგულება სადღაც
მიყრუებული წყენა,
შენ გაჰყოლიხარ ღრუბელს,
მე ნაბოლთარზე ვწევვარ!
– ან დღეს, ან არასოდეს!
ექოს მოარბევს ხმები...
შენ – დაკარგული სივრცე;
მე – შენი გრძნობის ქვევრი!
თუ განმეორდი, ვიცი,
ხელს ვერ მიწვდება ხელი,
ნამდვილს რად უნდა ფიცი,
სიტყვა ფუჭია... გელი...
მოგისაკლისო? არა!
ვერ გავაგრძელებ ლოდინს,
ერთხელ წასული წავა,
წავა და აღარ მოდის...

ტყუილი თუ მართალი?...

დრო ტაატით წავიდა,
საზღაური აქ არის...
რაც გინდოდა, არ გინდა –
გაგიბევრდა ნაპრალი...

ყოფა ღამენათევი
ცას დევივით ჰკიდია,
გასავლელი მლეთიდან
მხოლოდ ბეწვის ხიდია!

გინდა ჰგავდე არავის,
ცვლილებების რიგია,
პროვინციულ ფაცხაში
მოქალაქო ფლიდია!

მასაც ასე ჰგონია,
რომ ყველაზე დიდია,
რომ ცხოვრება სამფერი
დროებითი,,კლიპია“...

ითამაშე, რამდენიც
მოგესურვოს თუ გინდა,
კაცი სიტყვის გამტეხი
გატეხილი სურიდან

წყალსაც დაგალევინებს –
ცის ცურიდან მოწველილს,
ბარათსაც წაგიკითხავს
მთვარის პრინცის მოწერილს!

დრო ტაატით წავიდა,
გზას გავყურებ სათვალით,
ვეღარ გამირჩევია
ტყუილი და მართალი...

გადაიღეთ სიყვარული

გადაიღეთ სიყვარული
ჩემი სულის ლამბაქიდან,
იქნებ მივხვდე აქ ვინ დარჩა
ან წამსვლელი ვინ წავიდა?!
    გადაიღეთ, დამიჯერეთ,
    ჩემი გული მზის თასია,
    ხმატკბილი და გემო სავსე
    შიგ შარბათის ცა ასხია...
დაგაპურებთ, დამიჯერეთ,
კეთილი და ალალი ვარ
რადგან კეთილ მაცნედ მოველ
არწივების ქარავნიდან...
    გადაიღეთ, მზე, მთის წვერზე
    სანამ ღრუბელს გაეტირა,
    წუთისოფლის საფერფლეში
    სულს გ ა ლ უ მ პ ა ვ ს სანამ წვიმა...
გადაიღეთ სიყვარული
დედამიწის ქვევრებიდან,
მეგობრები დამილოცეთ,
დროში რომ არ ბერდებიან?!..

ვინ გაბედავს?

ვინ გაბედავს, კითხვა მკადროს
რა გინდაო მთებში,
ან რატომ სვამ ენგურის წყალს
ერთი ციდა პეშვით.
რად ნატრულობ მრისხანებას
უშბისა და შხელდის,
ლექსის მუზა მთიან ბილიკს
ასე რატომ ელტვის...
რად მიჰყვები რძისფერ ტალღებს
კალმახების კივილს,
რად ამსგავსებ წყაროს ცრემლებს
სვანი ქალის ტირილს!
რატომ შესტრფი მთის ბეჭებზე
გაჭენებულ რაშებს,
ცეცხლოვანი აღმაფრენით
ვის ნაკვალევს დასდევ,
მე ამ მთების მართვე ვარ და
ამ ქარაფის მართვე!
სხვა სამოთხე არის სადმე?
არის კიდევ სადმე?...

ჯარისკაცის წერილი დედას!

დედა, მე ახლა ფრონტის ხაზზე ვარ,
ქართული დროშის კალთაზე ვიწვი,
სიცოცხლის მასრებს უბეში ვმალავ
ნელ-ნელა ვაწყობ სიკვდილის მჭიდში.

აქ, სხვა სუნი აქვს გადაჭრილ ვერხვებს,
აქ, სხვა მადლი აქვს მშობლიურ მიწას,
დაჭრილი ბიჭი დედის თბილ ხელებს
ეძებს პოულობს და გულში იკრავს...

დედა, მე ახლა ომში ვარ მაგრამ
გული არ მერჩის ვესროლო ტყვია,
მიზანში ვყავარ თანატოლ ბიჭებს
თანაბრად გვაწვიმს ტყვიების წვიმა...

აქ სხვაგვარია ქართული ჟინი,
ქართული გენი სხვაგვარად გმინავს,
შენი გაზრდილი ქართველი ბიჭი
შენი მანდილის სიწმინდეს ვიცავ!

დედა, მე ახლა ფრონტის ხაზზე ვარ
ქართული დროშის ფარაჯა მიცავს,
დაღლილი მიწის ბეჭებზე ვდგავარ
და სამშობლოში სამშობლოს ვიცავ!

რადგან მეძახდი...

ქარი კი არა ჭალა დუდუნებს,
ჭალა ნაპირებს აყრის გრიგალებს,
ტალღებს მივანდე ჩემი სიგიჟე,
სადაც ენგურის ტალღა ღრიალებს!
სად ოხშივარი ასდის სიკეთეს,
სად ჯიხვის ყანწი რახით ივსება,
სად სტუმრის გული ბუდეს იკეთებს,
ბნელი ნათელის სხივით ფითრდება.
სად მურყვამების ნაფუძარებზე
სული ნანგრევზე ფიქრში ინთქმება,
სად მამა-პაპის სასაფლაოზე
წმინდა კანდელი ისევ ინთება.
ქარი კი არა, ჭალა დუდუნებს
და მონატრების კათხა ივსება,
მთიდან აფრენილ ამაყ არწივებს,
მთის სიყვარულით გული ევსებათ,
მიეხეთქება ლოდი ნაპირებს
ქვიშის წყალი და შმაგი ენგური,
ვართ სიყვარულში დაუღალავი,
გვარის და ჯიშის მარად ერთგული.
ქარმა კი არა, სიომ დაჰქროლა
და, მომაცილა ალბათ თქვენამდის,
ჩემი სვანეთის ერთი მართვე ვარ,
მთაო, მოვედი, რადგან მეძახდი...

კომპლიმენტი?...

რამდენი წლის ხარ?
102-ის, გპასუხობ!
სიყვარულს ველოდები და არ ვკვდები...
ასეთი არ ვიყავი, ყმაწვილო,
ვარდი ვყვაოდი ვარდებში...
მოვიდა, განა არ მოვიდა!
მეძებდა, მომაგნო, მიპოვა...
ჭიუხში აფოფრილ ქარებში
გიპოვი, თუ წახვალ, -იტყოდა!
იბრძოლა, როგორ არ იბრძოლა,
გულ შეკრა გულის თასმებით,
იწვოდა, ცეცხლში იწოდა
ჯიქი იყო და ასკეტი...
წავიდა, ისე წავიდა,
არ დაიმგზავრა არცერთი,
დატოვა სიტყვა, დატოვა,
აღარ მინდაო სხვა ღმერთი!
ვიგლოვე, ჩუმად ვიგლოვე...
გზას დავუღამე თვალები!
კარგავ და მერმე ნანულობ...
ბედი ყოფილა ასეთი.

დოროთეა
პოეტი

შ ა ვ ლ ე გ ო

გადაიბელა
მზის სხივით ღამე,
მე არ მელიან
სადაც ვბრუნდები.

შენ დამიძახე
ოდეს ქარებმა
დახშულ კარებთან
იღრძეს მუხლები.

ხშული ჭიშკარი
ბოქლომის ღრჭიალს,
მოთქმით ხვდებოდა
შუბლატკიებით.

და შიშთა თარეშს
მიჰქონდათ წლები,
ქვებზე შეხტომით
ჯერ შეუძვრელი.

ღამეა ზამთრის.
თოვლიან ქუჩებს
ჩაუბღუჯიათ
თეთრი ფურცლები.

გახსენი ბაგე,
ძოწისფერ დუმილს
შემოეჭამე
როგორც ნუგეში.

აფთრისებრ ყინვებს,
ხიდის ქვეშ მწოლი,
მდინარე მიჰყავთ
სადღაც ნადავლად.

ჩამოწუწული
სისხლი წვეთებად,
ამ თოვლის ქარში
უკვე აღრც სჩანს.

შავლეგო, შენი
ჩოხისა რა ვთქვა,
როცა ყაწიმზეც
მომწყვეტ არაქათს.

ეს დატირება,
მგონია, მე ვთქვი,
შენ ტკბილად ირგებ
ტაძრად აღმართვას.

თოვლია,
შავი ჩოხის ნაფერთალს
თითქოს თეთრ მკერდზე
ვინმე ჩაგაცვამს.
ყაწიმზე ვტირი,
თორემ ამ ფიქრში
შენ ჩემი სწორი
უკვე გამხდარხარ!

ბორჯომი.
კიმოთეს უბნის ეკლესია,
სადაც განისვენებს წმ. შალვა
ახალციხელი- შავლეგო,ამ
ტაძრის ქტიტორი.

სოხუმის დაცემა

ყოვნის უფალი!
ლაზარე დახვდება მკვდარი.
და მარიამიც უფლის ფერხთან მჯდარი,
მართასავით იქნება გლოვით მკვდარი.
უფლის მეგობარი დაფლული არის,
ურიაებრი ისმის ზარი.
მოდის! მოდის ჯარი, მგლოვიარი!
დაქვრივებული რძლები,
დაობლებული ყრმები,
გაბერწებული წლები.
ჩამორღვეული მთებით, უვალი გზებით –
ეგვიპტისაკენ ლტოლვით ხსნა.
ვითარმე აღმოგვხდეს აწ სიონის ხმა,
ყორნებს უტოვებ დაუმარხავ მკვდარს
და თანაც გულისცალს.

ვიდრემდე ყოვნო, ღმერთო ჩემო?
განაპო მიწა აბელის სისხლმა,
წყვდიადში ისმის კაენის ჭრტინვა,
ოჰ, ოდეს აღუდგენს თესლს
ღმერთი დედას შვილმკვდარს.
მიმოდაზრუნავს მართა, რა ჰქნას?!
ამდენი უხამური, ამდენი უმაძღარი,
ამდენი უსაფარი
და . . . ადგილი უდაბური არის.
. . . ყოვნის უფალი,
და . . . და გზად ამდენი მწყდარი,
არც რა გვაბადია
ხუთი პურის და ორი თევზის მეტი
და ვწყდებით, უმოწყალოდ ვწყდებით.

მრავალთათვის მიმოდაზრუნავს მართა
და დარდად არ აქვს ახლა,
რომ მარტო დარჩა:
მარიამი გლოვად გახლავთ.
ურიაებრი ისმის ზარი
ლაზარე, უფლის მეგობარი,
ოთხი დღის არის მკვდარი.

ისეთი გვაქვს დარდი,
ღმერთიც კი სცრემლოებს
უძლურებას ჩვენსას,
ვიქნებით ცხოვარნი კვლადნი,
ოღონდ შევირაცხოთ შენსას.

ლაზარე ,,ყროდისღა”,
ოთხი დღის არის მკვდარი.
დავგმანოთ, დავგმანოთ
გლოვის ლოდით
შემავალი გულის კარი,
ღმერთს დავუმალოთ
ჩვენი ცოდვების ყროლი,
განგოზილ საფლავებს მყოფი;
მარიამს ურიათა მოჰყვება ჯარი,
მარიამ, ლოდით დამალე ყროლი!
მოდის!
მოდის იესო, ვითარცა კრავი,
ურიებს ჰგონიათ ექნებათ ძალა,
სასიკვდინედ შეიპყრან
აღმადგინებელი მკვდართა,
ლაზარე გაუყვა ჯოჯოხეთისკენ
ოთხი დღის სავალს,
დარდის ლოდით ვმალავთ საფლავს,
საფლავს ცოდვების ყროლით
და მიმოდაზრუნავს მართა
მრავალს, მრავალს . . .

,,მოვედინ ჩემდა!“

არ ვიცი, რას გეტყვი,
როცა შეგხვდები,
„გეტყვი-მიყვარხარ!
გეტყვი მიყვარდი!“
რადგან შემიყვარე,
ვიდრე არ ვიყავი
და როცა ვიყავი,
ავაზაკი და მრუში ვიყავი
და როგორც მეზვერე
ვწირავდი ზვარაკს,
კეისარს-კეისრისას,
ღმერთს კი არც რას.

რადგან საღმრთო
არ მქონდა არსად.
უძღები ცხოვრებით
წარვაგე სადღაც,
ვგავარ ღორების
საზრდელით ნაზარდს;
გამიღებ კარს ახლა?!

თუ არის უკვე ჟამი,
როს მექორწინე სიძემ
დახშო კარი

*

ფანჯრიდან ძვრება
მცოცავი წვიმა, იქ სადაც
გდია ბავშვობის წინდა.
არ შემიძლება, რომ არ გავიქცე,
სანამ ეზოში ჯერ არ დაბინდდა!
იქ გუბე არის მიწის ნაპრალში,
ვით ბაგის ბოლოს
ნაჭყლეტი ლოყა -
წვიმები იყო წვიმების ბოლოს.
ეს საუბარი წერტილს ითხოვდა!

და ქალწულების სდგას ჯარი,
ლამპრებიის დაქრობიათ ალი;

არღარაა ყიდვა-გაყიდვის ჟამი.
რაი მივაგო სულისა წილ, რაი?!
მაქვს მხოლად განცდა,
რომ სადღაც აქ ხარ;

ვიქნები შენი? ვიქნები შენი-
როგორც ავაზაკი, როგორც მრუში,
რადგან ხარ მამა, უძღებ შვილსაც,
რომ დაუკლავს ზვარაკს;

მეათერთმეტე ჟამის მოქმედსაც
ურიგებს ტალანტს! და გიყვარს
მანამ, სანამ, სასიყვარულო არც რა არს;
ვიქნები შენი, გვედრი და გეტყვი-

მიყვარხარ-
შეეწიე ურწმუნოებას ჩემსას!
დე, ხმა შენი სანატრელი მესმას:
,,მხევალო ღმრთისა,
მოვედინ ჩემდა!,,

*

ჭადრების ფართო
ფოთლებს აფენენ,
ასე უდროოდ მდნარი წვეთები,
ბოლოს სულ ყველა დაჩუტავს აფრას
და სველ მიწაში წვება გულაღმა.
გავიდა ჟამი ისე უეცრად,
როგორც პეშვიდან კამკამა წყალი.
სულ ერთი ყლუპი ყოფილა თურმე
და როგორ გინდა დაიხრჩო თავი?!

მ ე გ ო ბ რ ო ბ ა

მაგარი მეგობრობა გცოდნიათ ძმანო!
მეც თქვენი ძმადნაფიცი მინდა, რომ ვიყვე.
ჭიუხს შეფარული ნისლების ნადევნ
მთებზე მიმობნეულ ბილიკებს მივყვე

სიყვარულს გავერინდე საკინძე ამწყდა,
მერე დავეფერე მიდევნილ ნადირს.
სიკვდილ დანაპირებ სიყვარულს გავდა
ანდა ძერის გატყორცნილ აჩრდილს.

თუკი გუდანის ჯვარს მივუყვანთ საკლავს,
ვინძლო თქვენ გულს-წილ ოდესმე ვიყვე.
არ კი საამქვეყნო მქონია გარჯა --
სამარადჟამოდ მაგ ლაშქრს მიყმეთ.

რაღაც დანამევილებ გრძნობათა საფარ
- გული ვერ პოულობს განაზომ სიტყვებს
უკვე ყველაფერი გამხდარა საღარ
ზურგსუკან ნამიზნებიც სიყვარულს იტევს.

თუკი გამითავდა ბილიკი ამ ღამ,
ვიცი უნდა ვიყვე, მაგრამ აღარ,
ნისლი წამახურეთ მაგ მაღალ მთათა
ნისლი - გაუვალი და გულში ნაკრავ.

*

მე შევიშლები ალბათ ამაღამ,
ქარები ისევ ატეხენ ხორხოცს.
სულ არაფერი მაოცებს ახლა
-წვიმები მარტო წვიმების ბოლოს

*

მიესაწყისე ჩემს ვითომყოფას,
ჩემს ვითომ ქროლვებს მისდევდი თითქოს,
თუმც უსაწყისო სიყვარულს მერე
გამოვუჭიმეთ მიზანი ჭიგოდ.
სულ არაფერი დარჩა ნამდვილი
- წვიმები, მხოლოდ რომლებზეც ვფიქრობ.

***** ***** *****

სევდის ღაღადისათ
 მიხმე მარადისში.
მინდა დატოვებით
 ვიყვე საკადრისი.
დუმილს ვამჯობინებ
 დუმილს სანატრისზე.
ოდეს მისაკლისებ
 ვინძლო მისაწყისო.
მიხმე! გელოდები --
 მღვრიე მდუმარებით!
თორემ ვიძირები --
 ვარსკვლავთ შორისებში.
სევდის და დუმილის
 მძიმე შეფარდებით
მთვარეს ვეფარები,
 ნუღარ მიმატოვებ,
 ვიდრე მეყვარები..

*

და მიდევნებით, წვეთნი თამაშით
გზებს ახლართავენ ფანჯრის რაფაზე
და ეს ნაფაზი - ბოლო ნაფაზი
სიტყვას წაგართმევს,
რომ თქვა - ნახვამდის!
სველდება ცივი წვიმით სამყარო,
რომ აიბურდოს, რომ აიბლანდოს
და წვიმით ნაქსოვ ბადეში ახლა
სველი თევზივით სხმარტალებს "ნატვრა"

*

 წვიმის წვეთები ფანჯრის რაფაზე
 ძველ მდნარ სანთელთან
 გროვდება მორგვად.
 ო, როგორ გითხრა სიტყვებით ახლა
 ის, რაც ნოტებში მუსიკამ მთხოვა?!

დატირება

დაიწყო დასასრული
თითქმის უნებლიედ
– ზამთრის მინაჩვევზე
მყინავს გაკვირვება!
 უკვე დავიკარგე
 სადღაც უსიერში
 ახლა ისეთი მაქვს
 გულში გაციება
 აღარც პოვნის ვითხოვ
 აღარც მიმიძახილს
 ახლა მინდა მარტო დატირება!
ვიცი სადღაც მთაში
მარტო საყდარია –
ქარნი იმ საყდარში
ლოცვად მიმოდიან
 ვიცი იმ ქრებში
 არის ჩემი ქარიც,
 ძაძა აცვიათ და
 ცრემლით სავსე კალთით
 სანთლებს დაუყვება
 სუნთქვას ამოაცლის
მინდა იმ საყდარში
სანთლის ჩამონაღვენთს
თითებს ვაყოლებდე –
ხელში მაკვდებოდეს
მათი გაციება!
 ლოცვებს ვიძახოდე
 სიტყვებ ამონაგლიჯს.
 და ყელში გაჩხერილ ბურთს
 აღარ მაგონებდე –
ვატყობ ვერ ვეჩვევი
 მაინც დანაკარგებს
თითქო ნაბიჭევი
საღმრთო სერობიდან
მიმოფანტული ვარ
 მიმოკარგული ვარ!
 სადღაც უსიერში
 ალბათ საყდარია,
 ყველა დაკარგულებს
 იქით ეძახიან

ხვამლის მთა

თეთრ თოვლს ჩამოუსვა კლანჭი
კლდემ, დაზიდულმა ცითგან.
ამირან ება ჯაჭვით,
ყვავ რომ უჭამდა შიგანს.

ხალხს თუ უშველა ცეცხლით,
იმ ცეცხლში აწრთეს რკინა,
რომლითაც შექმნეს ჯაჭვი,
დააბეს ორთავ მხრიდან.

იმ მთას ხვამლის მთა ერქვა,
შიგნით წიგნს ქარი შლიდა,
მთაზე პირიმზის კაბას
სისხლ აწვეთავდა მტრისა.

ეფინა გზები მთაზე
უვალად, კაცთაგან წმინდად,
ბოკვერი ვეფხისა ავა,
შეიმოსს იქ ნორჩ ფიქრსა.

დარდი მოხაპეს წარსულს,
ის დარდ ყვარებად ითქვა,
ბალახს წელამდე ასულს,
ყვავილ მისდევენ წინწკლად.

ბალახში ვეფხი გარბის,
ჭრელ კაბას თვალ ვერ ჰკიდავ.
დროს ხელი ვტაცე აღვირს,
დრო კლდეზე ყალყზე იდგა.

ან შენ ამიყვან მთაზე,
სად ყვავილ თეთნულდს მიჰგავს.
ან თავს ჩავიქცევ კლდიდან,
სად ქაჯი ციხეს იდგამს.

მე

არ ვძირავ არავის
აროდეს !
მკვდარსაც
ბოლომდე გავიტან
ვდგევარ გემბანზე,
რყევაა
და ეს რყევები
მაწყინრად
მაჩვევენ მეჩეჩზე
ოცნებას, ფსკერს
უფსკრულისას შლამიანს.

დილიდან ლექსი
კვეთს ალიონს,
მზეს მეცხრე
ცაზე აზიდავს.

თუ კი დაჭრილმა
ვიზახე,
შენ ნუ გგონია,
აგიტან.

არ ჰყავს ამ ომებს
გამრიგე
და არც
ომს ვიწყებ
ფასიანს.

დალახვროს
უფალმა ყოველი,
თუკი შეცდომილს
დამიცავს.

ვერ ვუძლებ
უბრალოდ ბრძანებებს,
აი, ასეთი
დარდი მაქვს!

არცრა მიხარის
და არც მწყინს
თუკი
ეს ომი ჩამიტანს.

საუფლოს ვეძებ
პატიჟს
და მხოლოდ
საუფლოდ დავდივარ!

ეგონა ვიღაცას,
ტალღებში
გულზე ნაისარს
განვიბან.

მაგრამ
არ ვუხმობ
მშველელს და
შანსია,
ერთ-ერთი ჩამიტანს.

რავი,
უტირლად დამმარხეთ,
ზღვაც ხომ
ცრემლივით მლაშეა.

ვეძებდი
მე დიად ტრამალებს,
თავს ვგრძნობდი
იმათ ნაწილად.

შენ ომი გინდა
ვინმესთვის
გულის ფუღუროში
საფიცრად.

ფიცარ აფარე გულისას,
ჩაუქრობელი სანთლისას.

მე კი უომრად
ვკვდები და
თავს ვერა ვყვარობ
დარდიანს.

რას დაწერს ღმერთი
ჩემს ქვაზე,
შავ მიწას
ჰქონდეს საკითხად.

ნუ ამბობ
ბრძანებას საუფლოს,
სამერმისეოდ
არ გინდა!

მხსნელს ვითხოვ!
მფარველს კი არა
და იმ ხსნელს
თავად დავიცავ.

ქარი გაჰკივის
ტრამალზე,
თოლია ფრთას
შლის აფრიანს.

გგონია, არ ვიცი,
თავს ვაგებ?
ეგეთს არავინ არ
იცავს!

უბრალოდ ქარი
დგას გემბანზე,
ტალღებ
ლოკავენ ნაისარს!

ხიზანი

ახლა გაყუჩება დამემარათა
თოვლით გავხდი ხიზან.
ნუთუ ვინმემ ისე გაგიტაცა,
ხანძარ არ აართვი
ბუხარს იმ წამს.

სად იყავი,
სამოთხისა
რაი გსმენის?!
როგორ უტალახე
გზირმა ჭიშკარ?
მიდი, განივლტი
და დაიღალე გზნებით!
გილოშნიან
ფლოქვებს ტალახიანს
რახან,
არვინაა საფარ
გახიზნული ტრამალს.

თოვს და თოვლმა
ჩაიხვია
გულში გზები,
სად მიდიხარ?
წარმიტაცე მეცა,
გვედრი!

მიჰყევ მიზანს,
სახლი დაგეკარგა.
ცივ-გველ
ტანზე ნაკვერცხლები დაიყარა,
ამეტირა,
რა ვქნა?!
კედელ -კედელ დარდი
ირონინებს,

ფიცარ -ფიცარ
ახორკლილი ხვლიკად,
მილურსული
კუთხის პირას.

აბდაუბდა
აბლაბუდას
თოვლი ბლანდავს!
- აბა რა ვთქვა?
იყოს ზამთრ!
მიყვარს!
- დიდი ობობა და
არსად არ მინდოდეს
თბილ სახლიდან გასვლა.
-ჩვეულებრივ ვღალატობდე
დაბადების მიზანს!

რავი, ფიფქი, უცოდველად
მიმოვლილი ცის კარს,
არის, თოვლი,
კრავი დაკარგული
მგლებში,მთებში
მხრებზე ღმერთმა აიტატა
ძებნილ.

ახლა გაყუჩება
დამემართა
თოვლით ხიზანს,
ტუჩზე მდნარი
თოვლის ყლაპვა
მომესიზმრა მძინარს.

ზოზია

გუშღამ ვკვდებოდი
სად იყო ზოზია?
მემენტო მორიც
ალბათ შორია.
და სამეუფო დგას
პოეზიის
ტაიჭთა სრბოლა.
ფლოქვებით თქერა
შესაქმის თიხის ,
ყურს რომ აუწევს ხვალ
უფლის თითი.
ისევ სწორია
ისევ ეული-
გზა დავიწყების უფლის
რჩეულის,
სამეფო სერზე
რომ არს წვეული.
როგორც ალვები
რგული იმ სახლთან,
რომელიც ცეცხლმა
ომისას შთანთქა.
იქ იყო ქარი
ვით დიდი ქნარი,
რომ ღვთაებრივი.
თითის შეხებით
აევსო ჟამი.
და ისმის ჩქამი
ვედრების წყნარის,
მე ვეაჯები- ნიჭს პოეზიის;
მან კი, გულისა
არ დახშო კარი!
იქ დარბის ქარი
და კივის ქალი
ალბათ ზოზია,
რომელიც
მხოლოდ
მემენტო
მორის ჟამის
სწორია.
თვალზე იელვებს
ალი კურცხალის
ვით თეთრ ოლარზე
სხივი უფალის.

*

და დასასრულმა შეხსნა ჭიშკარი
ერთი ხელის კვრით, იღონდ ჭრიალით
და ეს თვალები ვარსკვლავთა ნაცვლად
ცრემლებს ბადებენ ყოველღამ ახლა.
მზეს თვალი ვკიდე მე ქვეყნის კიდეს,
ოღონდ ბასრია, როგორც სიცივე
და დავივიწყე და ავირიდე,
როგორც მომწყდარი ლეღვის სიმწიფე.
წვიმებს მზეები დააქვთ ნაბადით
და არ თავდება ეს ლაპარკი!

წვიმები რომლებზეც ვფიქრობ.

მე გავგიჟდები ალბათ ამაღამ!
ქარები ისევ ატეხენ ხორხოცს
და უსასრულო ვარსკვლავთ ფორიაქს
დავეწაფები, რომ შევეხორცო.

*

მე გავოცდები რომ გავიზარდე,
რომ არ მახარებს სველი ბოტები,
მხოლოდ წვეთებით ასხმულ ფანჯრებზე
დღეის მუსიკა ისმის ნოტებით.

*

ეს მიძონძილი დღეები ზამთრის
მისდევენ ერთურთს, უაზრო ტანჯვით,
რომ დაეკიდონ კვლავ მთვარის საკიდს,
გადაცვეთილი ნაწყვეტი ბაწრით.
ნაუცფათევად შეჭედეს კარი
იმ სახლის, სადაც სამოსელს იძრობ
და ყველაფერზე მეტია ფიქრი-
სულ არაფერი რომ აღარ გიხმობს.
რჩება სამყარო წვიმებით შორი,
ვით ჩანასახი იმედის სწორი!

მანანა სამყურაშვილი – სამართალმცოდნე
დაბადების ადგილი – ყვარელი

წარსულის დამშვიდობება...

ვწუხვარ – ვერ ახდა შენი წადილი,
ქალო, ბადალო გაზაფხულისა!
ვერ გახდი „მერი" – ღირსი ნამდვილი
და ჭეშმარიტი სიყვარულისა!..

აღარც ფიქრები, აღარც დარდები,
აღარც განცდები და აღარც სევდა,
აღარც ტიტები, აღარც გვირილა,
აღარ მსურს–ჩემგან, რაც წლობით გდევდა...

დღეს უნდა შევძლო და საბოლოოდ,
წავშალო ჩემში შენი ხატება,
ჩვენი წარსული ფარსია მხოლოდ
და არასოდეს მომენატრება.

მაშ, იდილიას – ყოფას უცრემლოს,
შენ დაგიტოვებ, ხარ უდარდელი,
გიტოვებ სევდას–ტრფობის სიმბოლოს,
სიყვარულს დარჩეს წმინდა სანთელი!

დიადი გრძნობის დასაფლავება,
იქნება ჩუმი, უხმო, ფარული...
მიწას ცრემლების ნაცვლად ჩაჰყვება
სიცოცხლე, რწმენა და სიყვარული...

სულის სიმშვიდეს როგორ მიიღებ,
როცა წარსული არა მშვიდია,
თუ აღარ გიყვარს და ვერ ივიწყებ–
ეს სიყვარულის პანაშვიდია!..

მათხოვარი....

მათხოვარი ჩემს ახლოს რომ დავინახე,
ნათხოვარი ტანთ ეცვა და ემოსა,
ვესაუბრე, რა კუთხით არ ვესაუბრე,
ბრძენი კაცი, გონებაში შემომრჩა...

წარსული და მომავალი გადავქექე,
არაფერი გონებაში არ დამრჩა,
ყველაფერი შევაფასე დადებითად,
გაკვირვება, საქებარი არ მორჩა!..

მისი ფორმა დაძენძილი,მარა ბრძენი,
გონებაში სიბრალულად შემომრჩა,
საკვები რომ არა ჰქონდა, არ ემოსა,
ზოგთა ფერხულს ის ამითი ჩამორჩა!..

მარა გონი?! დიდებულად განვითარდა
მერე რაღა, არ ეცვა და ემოსა,
უსუსური, ტანად მწირი ჩაუცმელი,
მარა გონით?! გოლიათი შემომრჩა!..

იქნება და ციდან იყო მოვლენილი,
ამიტომაც მპასუხობდა, არ შეცბა,
მე რომ მეცვა დამინახა დიდებულად,
გამიკვირდა, ის ამაზეც არ შეცბა...

წავიდა და უკან არც კი მოიხედა,
მხოლოდ თავი გააქნია უგულოდ,
ერთი დამრჩა, მხოლოდ ჩემთვის საფიქრალი,
ნეტავ, მე ხომ არ ჩამთვალა უგონოდ?!

ვერ დავტოვებ...

თუ შენ მიმიხვდები ოდესმე,
გულით ეს სამყარო დამაქვს...
იქ, სასუფევლად წასულს,
გიტოვებთ, არაფერი მიმაქვს...

გიტოვებთ: მთვარესა და ზეცას,
ვარსკვლავებს,
ზურმუხტებს და ლალებს,
გიტოვებ მზეს, ამოსულ ცისკარს
და ჩემს სევდიან თვალებს...

გიტოვებთ:
მთას შევერცხლილ შუბლით,
ტყე-ველს შრიალა ფარჩით,
კლდეზე დაკიდებულ ჯიხვებს,
მთაზე დაბუდებულ არწივს.

მდინარეს, ჩანჩქერებს და ველებს,
ვაზის რტოს,მის ჯიშიან კალამს,
მაგრამ ვერ დავტოცებ იცი?!!
ამ ჩემს პოეზიის კალამს!..

გიტოვებთ: გვირილიან ველდბს,
ჩანჩქერზე მოფთხრიალე კალმახს,
თუ რამ გამაჩნია სრულად,
ლალებს, ბრილიანტს და ალმასს...

გიტოვებთ: ამ სამყაროს სრულად,
სიტყვას შევასრულებ ალალს,
მაგრამ ვერ დავტოვებ იცი?!
ამ ჩემს პოეზიის კალამს!...

გიტოვებთ: ჩემს სამყოფელს სრულად,
ჯიშს, ჯილაგსა და ადათს,
სახლკარს, ნაწვალებს და ნატანჯს,
კიდევ საიდუმლოს ათასს...

გიტოვებთ: ჩემს ნაფერებ შვილებს,
გულით მათი ტფობა დამაქვს...
გიტოვებთ ჩემს შვილთაშვილ სამ ქალს,
მე აქ, სხვა სიმდიდრე არ მაქვს.

გიტოვებთ: ამ სამყაროს სრულად,
სიტყვას შევასრულებ ალალს.
მაგრამ ვერ დავტოვებ ვერსად
ამ ჩემს პოეზიის კალამს!..

წმინდა თილისმად აბიხარ გულთან...

დედის გულია ვით სალოცავი,
უფლის ნაგები წმინდა ტაძარი!..
მისებრ დიადი და მისებრ წმინდა,
აბა მითხარით ქვეყნად რა არი!

შვილი მას გულში ისე უნთია,
ვით სალოცავში წმინდა სანთელი
უფალთანა აქვს ლოცვა-ვედრებად
იცით! რამდენი სიტყვა სათქმელი?!..

შენ არ იცი და მას უამრავჯერ
გადაეხადა გულის სარქველი,
უფალთან შენთვის მუხლზე დაეცა,
გამიზარდეო წმინდა ქართველი!..

სამშობლოს შენთვის ფარად ეფარა!..
მტერმა აგემა შანთის იარა!..
მტერს ეკვეთა და დროშა არ დასცა,
ბრძოლებმა მის თავს გადაიარა...

მტერი გაკვირდა მის ერთგულებით,
მის გულზე როცა გადაიარა..
ისე მედგარი სალი კლდე გახდა,
ცრემლის წვეთმა არ ჩამოუარა...

დედა როდესაც ხელებს აღაპყპობს,
იმ წუთიდან არს უფალი მასთან,
არ მოიშორო დედა გულიდან,
წმინდა თილისმად აბიხარ გულთან...

ქარი...

მინდორ-მინდორ, ჭალა-ჭალა,
ქარი ურცხვად ცეკვავდა,
ნაზ ყვავილთა ფანტელებით,
ყვავილთ კაბას კერავდა.

დაიღალა კაბის კერვით,
შემდეგ ქარგვა დაიწყო,
ჩემი გულის სალხინობლად,
ქნარზე დაკვრა დაიწიო.

ამღერდა და ამამღერა,
ჯიბეს ხელი ჩაიყო,
სალამური ამოიღო,
უცნაური სიმფონია დაიწყო.

ბულბულსაც ხმა ჩაუვარდა,
დაიძახა რა იყო,
ზუზუნის ხმა რომ გაიგეს
მთებმაც ლხენა დაიწყო...

მზე ცის თაღზე ამოცურდა,
სხივთა ფრქვევა დაიწყო.
დედამიწა მიეფიცხა
გულზე ხელი დაიწყო.

მცველად იესო დამყურებს!..

ჩემი ჰამაკი ღმერთებმა დაწნეს.
მე მასში ნაზად, სათუთად ჩამსვეს.
მარიამ დედა, მივლიდა ჩვილს და
ბადაგიც უხვად, უშურვად მასვეს.

ბევრჯერ ხელით და კალთით,
მტირალი ჩვილი უბით მატარეს.
მათ ამაცილეს ყველა დარდებს
და გზად ყვავილები გამომატარეს.

სურნელი დღემდე მომდევს იისა,
დღის შუქი მზისა, ღამე მთვარისა,
მცველად იესო დამყურებს ზეცით,
მადლი მიფარავს მისი ჯვარისა.

ვერას დამაკლებს ავი, ავსული,
ეშმა, იუდა არის ხვთით კრული...
არ გირჩევ გულში ჩაიდო შური
და ბოროტება ფარულ, მზაკრული...

არას გიშავებ, უფლის შვილს
ნაბოძები მაქვს სწორი სავალი...
გულს თუ რამე შური გიწვალებს,
რწნენით იპოვე გამოსავალი.

წმინდა თილისმა...

თალხებით მოსილ სევდიან ღამეს,
ჩამოუწყვეტავს გულზე საკინძე.
თვალზე ცრემლები ღვარცოფად
მოდის, შეუნიღბავი გულის საკიდზე.

ელვარებაა შუბლს, მთვარის სხივთა –
და ზედ ნაკიდი წვრილი ვარსკვლავთა.
ამ სილუეტის ხილვისას ვიგრძენ
შეშლილ ღამესთან ძილი გამიკრთა...

სევდიან ღამის დავწყვიტე ნერვი,
ხელში ვაგროვე გულის ძაფები,
ვერ ვპოვე მასთან სიხარული და
მას მივაყარე ჩემი დარდები...

მოვტრიალდი და მზეს ჩავეხუტე,
დღეს შევაბნიე ოქროს საკინძე,
მასთან ლამაზი სიცოცხლის მძივი
ლექსებითა და რითმით ავკინძე...

და ეს ნაძერწი წმინდა თილისმა
მთელი სამყაროს დარდს განაქარვებს...
ლურჯთვალა მზის და ცათა უბიდან
ჩამოგიკრეფავთ ზურმუხტს და ქარვებს.

მოტრიალდი

დავარიგე სიყვარული რაც გამაჩნდა,
გული დამრჩა უკურნები სენით სავსე.
გულში როცა სიყვარული კვლავ აღმოჩნდა
სიყვარულის ფიალები ცას შეუვსე.

აუთრთოლდა გული ისე თვალთა წვიმა
სულ ერთიან კოკის პირით გადმოღვარა,
გვირილებს და მთის შროშაბებს დააწვიმა
ბროლის ყელი სიყვაროლით მოიღერა.

თვით ბუნება განბანილი სახის ფონზე
მზის არილს და სხივთა წყებას თავს ირგებდა,
არ მეგონა ხე თუ თავის ნაზ ფოთოლზე
მზის სხივებს ოქროს გვირგვინს მოირგებდა.

აცეკვდა და აშრიალდა არე – მარე,
მზის ბუხართან ზურგით დაჯდა ვხედავ მთვარე,
მოტრიალდი, გელოდება ღამის არე,
რა სევდის და ვნების ცრემლი ჩამოღვარე?!

გაჰყვა კაბის ფრიალით...

მოგონების სკივრი გავხსენ,
ვფურცლავ ახლა დარდიანი,
ის პატარა გოგო ვნახე,
მოლზე, ჩითის კაბიანი...

ქარი კაბას უფრიალებს,
მორცხვად იდგა სევდიანი,
ერთი კოცნა ვთხოვე მაგრამ,
დავრჩი მისგან ელდიანი...

ქარმა ხელიდან გამტაცა,
გაჰყვა კაბის ფრიალით,
ცეკვა-ცეკვით მიდიოდა
ჩითის კაბის ფრიალით.

მოწყენილი ვერვინ ნახა,
ბულბულივით გალობდა,
მისი ხმაწკრიალა ჰანგით
ირგვლივ ყვერლა ხარობდა

თვალმახარა ჩემი გოგო,
ყველას გულში დარობდა,
მის გულიან მოფერებას
ქარი, ვერა კმარობდა.

შენ, ღვინის დედო! -
გადმოღვრილო ყანწის ტუჩიდან!..

ვაზის ცრემლები ალალი იყოს, ეს რომ არა ვთქვა,
მაშინ მე, კახელს, კახელობის ღირსად ვინ ჩამთვლის!
ახლა კი როცა გული ბანაობს სვთიურ ბადაგში,უფალი
ზეციურ ტაძრად, წინაპართ სულებს ემბაზში ნათლის.

მტევნის გულიდან გადმოხეთქილი, ხვთის ეს ნაჟური,
ტკბილ ბადაგად მოიმღერის საწნახელის ტუჩზე...
ქვევრში ნადუღი ბადაგი, ღვინოა, მირონი ხვთისა,
უფრო ჩატკბება გადმოდენილი ყანწის ტუჩიდან...

შენით ხალისობს ეს გული წმინდა, ღვინოვ, კახურო!
ცოლიკაურო, ალაზნის ველო, წინანდალის ველო!
როგირ არ გაქო ყვარლის მთებო! ჩემო ედემო!
დედა მზისფერო საქართველო, მსურს შემოგევლო!..

წითელი ღვინო! ქინძმარაული ჩამომისხით ჯიხვის ყანწში!
სამოთხის ბაღო! დედა ხვთისმშობლის ნაქარგ- ნაძერწო!
მინდა დაგისვა ხელისგულზე, ვითა თილიმა, დედა ხვთის
ხელით, მარიამის ჯვრით,ამ ხვთის ემბაზში პირჯვარი გწერო!

წმინდა ნაჟურო! თქვენით ილხენს დღეს ჩემი გული!
მტევნის გულიდან გადმოხეთქილო ცრემლო ვაზისა!
მდინარეებად მონადენო საწნახელის ვიწრო ტუჩიდან,
მადლადა მყავით, საფერავსა ვსვავ ვით დევის სისხლსა...

შენ ქართლის დედავ! მინდა დაგლოცო ამ საფერავით!
მისი მოვლისას გლეხი მღერდა ურმულს მადლიანს!
შენ გიდღეგრძელებ ქართველო დედავ! გმირებს ჩოხიანს!
და სადედოფლოს მისსავე ჯიშის წმინდა კალთიანს!..

აკვანს დავლოცავ, შიგ გამოზრდილ ქალ -ვაჟსს ჯიშიანს...
და დედის ცრემლებს აკვანზე რომ ჩამოუვლია...
იმ დედის გულზე ნაბამ ჩვილს, მის იავნანას ტკბილს,
სიყვარულით ათას ერთი ღამე თეთრად რომ გამოუვლია...

ის ქვა-ლოდები ჩამოვთვალო მინდა ხმამაღლა!
ჩემს წინაპართ მუხლმოყრილს რომ შემოუვლიათ...

შეავსეთ ჯიხვის რქა, მომაწოდეთ შევსილი ღვინით!
წინაპრის ხელებს ქორწილისთვის რომ გამოუმსნიათ!..

მამა-პაპა მსურს ვადღეგრძელო, მათი საძვალე,
წმინდა სულები ვთვალე, მაგრამ ვერ დავითვალე...
ღმერთო! ადიდე ხარი-გუთანი, მათ ხელთ ნაბამი,
მათი ნატერფალი არა სიმდიდრეზე არ გადავცვალე!

მე იმ ქვა-ღორღს წისქვილსა და დოლაბს მადლიანს,
მადლის ყანიდან მოწეულ ხორბალს დავაფქვევინებ...
მათ საგინებელს სასუფევლად წასულს ასი წლის,
თავს შევაკლავ და აუგს არავისაც არ ვათქმევინებ!..

ასე მასწავლეს,
წინაპართ ქცევა, გენებითა მაქვს გადმოცემული...
მტერსაც ვლოცავ და აუგისთვის არვის ვაწამებ.
მოშურნეთა გულს,საგინებლად გამოწვდილ ხელებს,
ვარდებს ჩაუკრეფ, გწამდეთ, ეკლებით არ გავაწამებ!

დაუნახავ ადამიანს....

შენ თუ ჩემი არა გჯერა,
თუ ჩემი არ იწამე,
მაშ მე, შენი სიყვარული
მითხარ რატომ ვიწამე?!
თუ გული გაქვს გაყინული
და თუ სრულად არ თბება,
შენი წილი ნათლის სვეტი
ჩენს გულშიაც ჩაქრება...
შენ თუ გზაზე ეკალს მიფენ,
ჩემგან, ვარდებს მოელი?!
მაშინ გზა შენ მიმანიშნე,
რომელ გზიდან მოვედი!..
შენი ავი მაწუხებდა,
წარმატება მათბობდა,
სიკეთისთვის დაბადებულს
შენი ხილვა მატკბობდა...
ვინ შერაცხა ჩემი ბედი,
ჩვენს შუაში ვინ ჩადგა...
დაჩოქილი უფალს შევთხოვ
მარიამი თავს მადგა.
ბოროტს უნდა მოგერიდო,
სამუდამოდ განზე გადექ...
წადი ჩემგან მოღალატე,
ვისაცა გსურს მას მიადექ..
ნუ მიმეტებ ტანჯვისთვის და
თვალებსაც ნუ ამიცრემლებ.
გზად მიმავალს შემხედავ და
ალბათ ვეღარ მოისვებებ...
გული გავხსენ მოიხედე,
მოდი, გადმოიხედე.
სიყვარული რაც მებადა
სულ პეშვებით გაზიდე...
წაღებული სიყვარულის,
ვალი გადამიხადე...
ბოროტება არ მჩვევია,
სიკეთის ვარ მიჯნური,
გაახილე თვალი, მითხარ,
თავი რად გაქვს ჩარგული,
ასიათას სიკეთისთვის,
შენგან დავალ ჩაგრული.
დღე მზიანი დაიბნელე,
ზიხარ სულგანაბული....
p.s
მე ისეთებს კარს არ უღებ,
ვინც ოდესმე გამწირა,
ვინც მეგობრის ამაგი
მყრალ წუმპეში ჩაძირა...
არავინ თქვას დრო გავა და
დრო არისო მკურნალი,
ყველა ფილმს ხომ
წინ მიუძღვის ჟურნალი...
გააჩნია რას ვიხილავ,
შხამია თუ ბადაგი,
სიტყვა მწველი შანთია და
გული თუა ნადაგი,
არ უშველის არც ია და
არც ვარდების ფარდაგი...

მანდილის ძალა...

(დატყვევებული მზე გამოვიდა!!!)

მე ის მანდილი მარგუნა ღმერთმა,
თვით მარიამს რომ ეხვია თურმე,
ეს კი ვიცოდი, მაგრამ არ ვიცი,
რისთვის ვიყავი აქამდე მდუმე...

დილას გავშალე წმინდა მანდილი,
ნაქარგი იყო ხვთისმშობლის ხელით,
არე გაბრწყინდა და ცის კიდიდან
მზე ჩამოგვადნა თბილ-თბილი სხივით.

მარტმა მომტაცა დედის მანდილი,
მიმოქარგული ოქროს მძივებით,
ამ სინატიფემ და ამ სიწმინდემ,
გადმოაფრქვია თბილი სხივები.

გული მოილბო ბუნების ძალამ,
ტყვედ ჩავარდნილი მზე გამოუშვა,
არე-მარეზე სუსხი გაქრა და
მზემ, სიახლოვეს აღარ მიუშვა.

აშარმა ქარმა, წმინდა მანდილი,
მარტს და ზამთრის წინ ააფრიალა,
ასე დასრულდა ორთა დუელი,
დედა-მიწა სწორ მხარეზე დაატრიალა.

შენსკენ მომიყვანს...

ვიცი, ოდესმე მეც შემევსება,
ერთკაციანი საგზური ცაში.
ია – ვარდების არ მაქვს უფლება,
რადგან ვიღლები ეკლების მკაში...

დე, იყო ნება დიდო უფალო!
მე ეს საწუთრო რა გზით მატარე.
ნაცნობ ბილიკებს ნუ ამაცილებ,
შენამდე ისევ ამ გზით მატარე.

და თუ წამართმევს მიწა სხეულს მე,
სულიდან ვიცი მზე განათდება
და მისი სხივთა ათინათები
მწამს, შენი ნებით აღარ ჩაქრება.

მაშინ დაცხრება ყველა ვნებანი
რომ დადუმდება ბაგეს ბგერანი,
ცაში კი ღამით გაინავარდებს
გზააბნეული სულის მერანი.

შემინდე ღმერო! – ვითხოვე ბევრი?!
სამყაროს კაცთა თუ მაწევს ცოდვა...
სული არა მაქვს უძირო ქვევრი,
უნდა მეთხოვა მცირედი, ცოტა.

არ მომაყარო თვალში ნაცარი,
სულის საბზარად ვიჩნიე ვერცხლი...
და თუ პილატეს გზა კიდევ არის,
შენსკენ მომიყვანს მადლისა ცეცხლი.

ნეტავი ვინმეს...

სამყაროს სცენა ახლა გაიხსნა!
დასრულდა ჩემს წინ ტაშის გრიალი!..
ასპარეზზეა მიეთ-მოეთი, ჩამოვგლეჯ
ნიღაბს, მაგრამ მისია დღეს არიალი!..

დასრულდა წელი შეშლილთა, ყრუთა!..
მე დღეს ვხარხარებ უაზრო მრევლში!..
შეეშალათ და ნეტავი რატომ? გზის
ნაცვლად წაძვრნენ ოზონის ხვრელში!..

ჩაქრა სულის მზე ცაზე რომ ენთო!..
ძარღვებს სიმწარის სისხლი სდიოდათ!..

ნეტავი რატომ გამგელდა ხალხი,
მოძმეს მოძმესი სისხლი შიოდათ!..

ღაწვზე ვიგლეჯდი გადმოყრილ ეკალს,
ეგების ვინმემ სული განბანოს –
საღი მდინარეს წყალ – წყალ მიჰყვება,
ეგებ დამპალიც ნაპირს გაჰბანოს!..

მკლავდა და ძარღვებს სისხლი სდიოდა!
სული დაჭრილი ცას შესწიოდა!..
ნეტავი ვინმეს ქვეყნის ვარამი,
ჩემზე მეტად ან ჩემებრ სტკიოდა?!

ნეტავ ეს სიზმარი ამხდენოდა...

გზაზე ერთი ქალი მიდიოდა...
ვითა მოწყვეტილი მთის ყვავილი.
მისი გაცნობა და ახლოს მისვლა
არა ყოფილაო მთლად ადვილი...

სახე ცვილით ნაბანს უგავდა და,
ვითა ცად დილის მზე გაბადრული.
მისსა შემხედვარეს ვატყობდი რომ
ღამეც არ მოუვა თვალზე რული...

ნეტავ, ვარდი იყო ქალავ ნაზი,
ჩემსა ბაღის კარზე გადმორგული.
გული ახლა დამაქვს ფიქრით მწვავედ
დამწვარი, დაჩეხილი, დადაგული...

გზაზე ერთი ქალი მიდიოდა...
ვითა მოწყვეტილი მთის ყვავილი.
ტანზე კაბა ეცვა აბრეშუმის,
თითქოს ია იყო მობნეული.

ბაბთას ელვარებდა სხივი მზის და,
ქამრად ცისარტყელა შებნეოდა,
მისსა შემხედვარეს მწველი ცრემლი,
მკერდზე მძივებივით მებნეოდა...

ქალი გაბადრული, მთის ყვავილი,
ვითა, ჩვილი მკლავზე გადვიწვინე.
თვალი გავახილე, სიზმარს გაჰყვა,
ოი, რა მწუხარედ დავიგმინე...

მწარედ გავიცინე დარდიანმა,
თითქოს გული მკერდში მადნებოდა,
როცა მივხვდი, თურმე სიზმრად ვნახე,
თვალში ცრემლის გუბე მიდგებოდა.

რატომ? ნეტავ რატომ? სიზმრადაც კი
დარდი გულზე ლოდად მაწვებოდა...
სულ არ ვიფიქრებდი არა დარდზე,
ნეტავ, ეს სიზმარი ამხდენოდა...

წყალო ცოტა ხანს უნდა მისმინო...

წყალო, ცოტა ხანს სიმებს დასწიე,
სიმღერა მოგაქვს მთიდან ზრიალით,
რა გაქვს დარდები, რა გაქვს წუხილი,
ყირაზე დგები ტალღის ტრიალით!..

დილა ადრიან შენთან მოვედი,
წესით მეგონა გეძინებოდა,
არ მეგონა ამ ცივ ზამთარშიც
გულს, ყინულიანს გელხინებოდა.

გამოვიარე შენსა ნაპირზე,
არეს შენი ხმა ელხინებოდა,
ამღერებულან ტყის ენძელები,
თოვლის საბანი ეთბილებოდათ.

წისქვილი რეკდა, სარეკელის ხმა,
თავგანწირული ხვიმირს ეძახდა,
და სარეკელას ქვაზე წამომჯდარს
ქვათა ღაღადი ენატრებოდა.

ენატრებოდა წისქვილს პატრონი,
შორს წასულაო, ვიღაცას უთქვავს,
გამწარებულა სარეკელა და
ორივე ქვაზე თავს მწარედ ურტყავს.

წყალო, ნეტავი მეც მაცოდინა,
მეწისქველეს გულს სიზმარი უთქვავს?!
ან ასე ძლიერ გამწარებული
სარეკელა თავს ქვაზე რად ურტყავს?

მოვედი შენთან, მოვყე სიზმარი...
მოუსვლელობა მედარდებოდა,
წისქვილი მხრებით შემოგინახავს,
გულს დარდით ხავსი ეფინებოდა.

ნელი საგინაძე – ფილოლოგი
დაბადების ადგილი – თელავი

დამიბრუნეთ იბერია

გულზე ცეცხლი შემომენთო
სულს ცრემლები დასცვივდა,
ქართლის კვნესა შემომესმა
მდუმარებდა მთაწმინდაც!

მამა დავითს ჩავეხუტე
ასურელთა მადლს ღვრიდა,
ღვთისმშობელის სიზმარ-ცხადი
იბერიას აწვიმდა!

დამიბრუნეთ ჩემი ტაო,
ოშკითა და ხახულით,
დავით მეფის და თამარის
ნაფეხური წარსულის!

დამიბრუნეთ საქართველო,
ერითა და ბერითა,
დამიბრუნეთ ჩემი მიწა
გაზიდული პეშვითა!

გამიხსენით იბერიის
სახარება ქართული,
სამრეკლოდან გუგუნის ხმით
უბრწყინავდეს ზარს გული!

ასომთავრულს, ნუსხურს,მხედრულს
ცად ნიკალა მოხატავს,
ივერიის ძირძველ საზღვრებს
ღვთისმშობელი მოქარგავს!

დამიბრუნეთ იბერია
ერითა და ბერითა,
საქართველოს მიწა-წყალი
ქრისტეს მადლის რწმენითა!!!

გაზაფხული

შემომისახლდი სულში იების
და ენძელების კონად,
ამიყვავილა მარტმა ეზოში
ულევ ყვავილთა გროვა!

სისუსხეც, სადღაც ზამთართან ერთად
გადაკარგულა მთებში,
და გაზაფხული ამღერებულა
ლურჯი იების ფერში!

ლილისფერი ცა სევდის ღრუბელმა
დატოვა, როგორც მდგმურმა,
გაიდედოფლე მარტის თვეო, რომ
იგაზაფხულოს სულმა!

და სიყვარულიც ამ თვესთან ერთად
აუცილებლად მოვა,
შემომისახლდი გაზაფხულივით
და იმედების თოვად!!!

იაკობ ცურტაველი

ცურტაველო, კიდევ ერთხელ დაგვიწერე „შუშანიკი“
რუსთაველო, ვეფხის ტყავით გაგვიხსენი ქართვლის ნიჭი,
დამიანე, ოქროს ფუნჯით უფლის ფრესკა შემოხატე
საქართველოვ, ქრისტეს ჯვარი რწმენად გულში შემოქარგე!

გორგასალო, კიდევ ერთხელ ხოხობს თვალი გააყოლე,
ქართველებო, ჩონგურის ხმას ტკბილად ბანი ააყოლეთ
ჩუქურთმების ლოდის ჭრაში საჭრეთელი ააჟღერეთ,
ქრისტეს ლოცვით და გალობით ეს სამყარო აამღერეთ!

თამარს ისევ გაუღია ქვრივ-ობლისთვის ხარკი დიდი
და უფლისთვის მიუძღვნია გული წმინდა, თვალი მშვიდი,
მეფეს ხერხით მოუხსნია მონგოლური მძიმე ურდო
და გიორგი ბრწყინვალებდა, როგორც მზე და მეტი უფრო!

ცურტაველო, დაგვიწერე „შუშანიკი“ ერთხელ კიდევ
წმინდა ნინო, მაყვლოვანში შეგვაწიო ლოცვა იქნებ,
წყალობის წმინდა გიორგი, გვიწყალობე შენი მადლი,
ღმერთო, რწმენა გაგვიმრავლე ყოველი დღე თითო ადლით!

სააკაძევ, შენს მკლავს ხმალი უქარქაშო დაებედა
ქართველს განძად ქრისტეს მეტი არაფერი არ ებედა,
საკვირველი ძლევით დიდგორს გადაოცდა მაღლით ზეცა,
როგორ გავძლო, სინანულის ცრემლით სიტყვა,რომ არ მეთქვა!

ფიროსმანმა ფუნჯით ცაში შეუცოცხლა ფრესკას სახე,
მამა დავითს ჩავეხუტე, ასურელთა მადლი ვნახე,
ცის ტატნობზე ჯვარი მცხეთას უღიმოდა მადლის სულით
სვეტიცხოველს გულს ჩაეკრა განძთა განძი კვართი უფლის!

ღვთისმშობელო, შენი კალთა საფარველად დაგვაფარე,
მტრის ჯინაზე გააბრწყინე მისი მიწა, მისი არე,
ღმერთო მინდა ბევრი ითქვას ამირანის ნამდვილ მითზე
ცურტაველო, კიდევ ერთხელ დაგვიწერე „შუშანიკზე“!!!

ქართველობა და საქართველო

იცით რა არის ქართველობა და საქართველო?!
ღვთისმშობლის მკერდზე მიბნეული მარგალიტია,
თვით ქრისტე ღმერთის სალოცავი წმინდა მიწაა
და "ესე ერი" სანუკვარი თვალის ჩინია!

იცით რა არის ქართველობა და საქართველო?!
ჩუმად ნაწერი ქურუმების წმინდა წიგნია,
და ასე დღემდე შემონახულ, შეფარებული
ჩვენს მტრის ჯინაზე მოაღწია, როგორც ბიბლიამ!

იცით რა არის ქართველობა და საქართველო?!
გალაქტიკაა უდიდესი ხუროთმოძღვრების,
ყველა მთის წვერზე მხრით აზიდული უფლის ჯვარია,
როგორც ნიშანი მართალ რწმენის, ქრისტეს
მოძღვრების!

იცით რა არის ქართველობა და საქართველო?!
სვეტიცხოველზე ყოველ დილით მზე, რომ ბრიალებს,
საკუთარ თვალით შორეთში, რომ ცად დაინახავ
წინაპარი, რომ ტაძრის ლოდებს კვლავ აპრიალებს!

იცით რა არის ქართველობა და საქართველო?!
ასიათასი მორწმუნეთა ერთ დღეს წამება,
ალავერდია, ლომისაა, გელათი, გრემი
მყინვარის გულზე აღმერთებული გერგეთს სამება!

იცით რა არის ქართველობა და საქართველო?!
აიეტია, მითრიდატეა გადარეული,
მიხაა ჩვენი ხელაშვილი, გალაქტიონი
ღამის შუქზე, რომ ლექსებს ჰქმნიდა ვით მთვარეული!

იცით რა არის ქართველობა და საქართველო?!
ბეთლემის სხივმა, რომ გაგვხადა მადლის მდევარი,
და აღმოსავლეთ მზის ქვეშეთში ჩვენივე თვალით,
რომ დაგვანახა, თუ რა არის ვაზის მტევანი!

ქალებს

ქალებს ყველაფერი უხდებათ,
რაც კი შეუქმნია სამყაროს,
მხოლოდ დარდები არ უხდებათ
ზურგით ტვირთებად, რომ ატარონ!

ქალებს, როგორ მშვენით ღიმილი,
ოცნებისფერება თვალები,
ქალის ფიქრისათვის სამყაროს
ჩუმად შეუხსნია კარები!

ქალებს, თავმდაბლობაც უხდებათ,
ქალებს ღვთისგან ნაძრეწ, ნატიფებს,
ქალებს, ყვავილებიც უხდებათ
მსგავსებს იის, ვარდის, ნარგიზებს!

ქალებს მარტისფერიც უხდებათ
კაბა, მოქარგული იებით,
ქალებს,ადათები უხდებათ
ქართულ წინაპართა ძიებით!

ქალებს, ერთგულება მერწმუნეთ
როგორ ღვთის წინაშე უხდებათ,
ზოგს ოცნებები სულ ერთ წამში,
ზოგს ცხოვრებაშიც არ უხდება!

ქალებს თითქოს ცრემლიც უხდებათ
ნაზად, სულის გამონათქვამი,
ქალებს მართლის თქმაც კი უხდებათ
დიდი სიყვარულით ნათქვამი!

ქალებს,კრძალვა –რიდთან ერთობით
იცით?!– სიძლიერეც უხდებათ
მთასაც კი გადადგავს სხვა ადგილს,
შიშით გული არ აუკრთებათ!

ქალებს დედის, ბებოს, მეუღლის,
კარგ ქალობის ტვირთი მხრებს აწევს,
ქალს თუ მყარი ექნა საყრდენი
იცით?! – დედამიწასაც ასწევს!!!

იცით რა არის ქართველობა და საქართველო?!
ბექა და ბეშთან ოპიზრების, დამიანეს ოქროს ხელები,
შენს მტერს ყველაფერს, რომ მიუტევებ და სუფთა გულით
თვალნათლივ თუ ვერ, ჩუმად მაინც მოეფერები!

იცით რა არის ქართველობა და საქართველო?!
მოყვასისათვის, რომ იშოვო ღია ფერები,
მეზობელს ღამის ნასტუმრალ სუფრას ქეიფს, რომ უქებ
და თან სუფრაზე ნამღერ სიტყვებს წაემღერები!

იცით რა არის ქართველობა და საქართველო?
შატილის ლერწამ ასულების გამონათება,
აცეკვებული თეთრი თითები თუშის გარმონზე,
ერისიონის დილის ცისკარზე ამონათება!

იცით რა არის ქართველობა და საქართველო?!
გულმკერდ გახსნილი დედამიწაა, მთა, ცა, ველები,
შენს გვერდში მყოფებს ქვრივებს, ობლებს, სულით მაშვრალებს
სუფთა სინდისით ოდნავაც თუ წაეშველები!

იცით რა არის ქართველობა და საქართველო?!
ერის ხვედრია,, თითქოს მძიმე და თან ადვილი,
ძლიერი სუსტში გამორჩეული მხედრობისათვის
ქრისტემ თვის გულში, რომ მიგიჩინა შენი ადგილი!

იცით რა არის ქართველობა და საქართველო?
ცად აზიდული კავკასიის წმინდა მთებია,
ღმერთო იდიდე, ღმერთო გვადიდე ამ ცის ქვეშეთში
ეს რა სამოთხე და რა მადლი წილად გვრგებია!

იცით რა არის ქართველობა და საქართველო?!
საგალობელად დაღვენთილი ცრემლი დავითის,
ასე განვიცდი,ასე ვხედავ, მე ასე ვფიქრობ,
და სხვანაირად ჯვარს რომ მაცვათ მაინც არ ვიტყვი!!!

სანთლად დამინთია

შენთვის სიყვარული სანთლად დამინთია,
ხშირად სიხარულიც ცრემლად დამიღვრია,
ლალი-იაგუნდი ფეხქვეშ დამიყრია,
ჩემი სიცოცხლეც კი შენთვის დამითმია!

შენ ძლიერო ხარო, ერის გუთნის დედავ,
ცისკრის ვარსკვლავისა ხარ გამობრწყინება,
იალბუზიც ხარ და არწივების ფრენაც,
დედა ენაც ხარ და ჩვენი უფლის რწმენაც!

ჩემო მარგალიტო ციცქნა სამოთხისა,
ჩემო სალოცავო გრემის, გელათისა,
ძლევავ საკვირველო აღმაშენებლისა,
სულის სინათლეო შენ სვეტიცხოვლისა!

მიწავ იბერიის, ხარ მზიანი ლელო,
ჩემო საფიცარო, ჩემო საქართველო!!!

ქართული სული

ჩემში ჩაკირულა სული,
რასაც, რომ ქართული ჰქვია,
მზისკენ აფრენა და ლტოლვა
არასდროს არ არის გვიან!

ციდან ჩამოვლეწე ყველა
ლურსმნით აჭედილი კარი,
სითბო მოგაყარეთ მუჭით,
რწმენით აგიხილეთ თვალი!

სიტყვა მოგიტანეთ წამლად,
სიტყვა, კეთილი და ფრთხილი,
თვალი გავუსწორე ზეცას,
თვალი შვლის ნუკრივით მშვიდი!

მზეს სურს ჩვენთან ყოფნა- ხედავთ?
ნუღარ დაეშვებით ქვევით,
მოდით, მომეხმარეთ ყველა
ციდან მზის სხივების ფრქვევით!!!

ღმერთო

დღესაც ვიცი ორომტრიალს ცაში ასტეხს ქარი
და გერგეთის ტაძრის გუმბათს ააჟღერებს ზარი,
ვენახისთვის გამოვთალო მინდა თოხის ტარი
და მიმინოს ზეცად აჭრილს გავაყოლო თვალი!

შუბის ისრებს მსურს რომ ვჭრიდე გორგასალის ტყიდან
ჩანჩქერის წყალს გულს ვპკურობდე წმინდა ხვამლის კლდიდან,
არწივების ფრენას ვჭვრეტდე კავკასიის მთიდან,
ოქროს სხივებს ხელით ვტეხდე არხოტის ცის მზიდან!

ქრისტევ ჩემო, საქართველო და ქართული გენი
აღუღუნე, აგუგუნე უამრავი წელი,
უფალს მინდა სუფთა გული ვწირო, როგორც ძღვენი
ღმერთო, ამ ერს გაუთენე უთვალავი დღენი!!!

სულის ქონება

სადაც გინდა იყო, თვითონ მოგძებნიან
თავისი ჩვეული ნარნარით,
მერე სტრიქონებად იკინძებიან და
ლექსად იკვრებიან ამ კალმით!

შემდეგ უფრო ვრცლად და უფრო დიდ აზრებად
გთხოვენ დაგვწერეო, რა მოხდა?!
ხათრს ვერ ვუტეხავ და ამ ჩემს ფერად კალმებს
ლამის წერით სული ამოხდათ!

მერე პოეტობას დაგაბრალებენ და
ამ დროს, მთლად უბრალო ქალი ხარ,
ხან გაზაფხულით და ხანაც შემოდგომის
ფერთა სუნით გადამთვრალი ხარ!

ასე, ფურცელ-ფურცელ წიგნად იკვრებიან
მათაც უხარიათ ცხოვრება,
ადრე ვერ ვხვდებოდი, მხოლოდ ახლა მივხვდი
სულის, ეს ყოფილა ქონება!!!

შენ დავით მეფის მოდგმა ხარ

შენ თევდორე მღვდლის მოდგმა ხარ,
არ შეგეშალოს რამე,
ღმრთის გვერდით იდექ, ილოცე,
სიმართლის ლოდი თალე!

ცოტნესაც შენთვის დაუდგამს,
თავს მეწამულის გვირგვინი,
თავდადებულსაც დიმიტრის,
უფლის დანათის ღიმილი!

შენთვის მცხეთეოსს უბრძვია!
სამას არაგველს ქართვლისთვის,
გმირებს კრწანისის, დიდგორის,
ბაგე მათ რიცხვს ვერ დაითვლის!

ქართლის დიდებას თავს ადგა,
სვანეთში მზე – ლამარია,
მცხეთას, ოძრახეს,გრემს, გელათს.....
კვლავ ლოცავს დედა მარია!

არ შეგვეშალოს, კვლავ ვლეწოთ,
წიქარა ხარით სალეწი,
ლომებს, არწივებს მოვუხმოთ,
მტერს დავახვიოთ თავს რეტი!

შენ დავით მეფის მოდგმაც ხარ,
არ დაგავიწყდეს რამე,
თამარიმ შენთვის ათია,
ლოცვით ათასი ღამე!!!

ჩემი სულის ფერები

დღეს უეცრად ამობრწყინდნენ
ჩემი სულის ფერები,
მზის სხივებმა ამიკინძეს
მარგალიტის მტევნები!
    აქეთ კრწანისს ავუყევი,
    ყაყაჩოებს ვეწვიე,
    მეწამული შემოეცვათ
    ამ პაწაწა ველ-მინდვრებს!
იქით დიდგორს ჩავუყევი,
ზურმუხტისფრად ელავდა,
მარტყოფი კი შეუმჩნევლად
ცისარტყელას კერავდა!
    სვეტიცხოველს მოვეფერე,
    მტრედის ყელის ფერი ეცვა.
    ჯვარი მაღლით აბრწყინებდა
    ფირუზისფერ ლილის ზეცას!
მერე თბილისს ჩავეხუტე,
ხოხბის ფერი დაედო,
ქართლის დედას ცერცვის ფერი
გრძნობა გულში ჩაედო!
    ზეთისხილის ფრად ბრწყინავდა
    ძველი დედა სიონი,
    კავკასიას თავზე ედგა
    ფერი ერისიონის!
მოდით ყელზე მომეხვიეთ
ფერთა გამის ბგერებო,
ლალიფერო და ალმასის
მობდღვრიალე ფერებო!!!

მონატრება

ვიცი ტკივილები თავზე დამემტვრევა
შენი მონატრების ფასად,
მთლად გადავაქოთე მთელი დედამიწა
შენ კი, არსად სჩანხარ, არსად!

წვიმაც გაგიჟებით თავზე ჩამომაქცევს
ერთად მუქ, მოგროვილ ნაღველს,
ჩემსა და შენს შორის შავი ღრუბლის ჯარი
სევდის ღობეს წნავს და ავლებს!

ცხოვრების მღელვარე, ქაფიანი ტალღა
გულზე შემომასკდა ღრენით,
ეს გრიგალი ქარიც ისე აილეწა
ჩემსკენ წამოვიდა ფრენით!

რით ვერ გაჯობეო, ამ მარტოხელა სულს
სევდა მასშიც დამდებს ბრალსაც,
რაკი იბოროტე, რაკი იბობოქრე,
რა ვქნა, გადავიტან მასაც!

ვიცი, იმედები ისევ გამამაგრებს,
სუსტი აღარც ვჩანვარ უკვე,
რამდენი ხანია ისე გავძლიერდი
ჩემს თავს ეს ქალობაც ვუქე!

ცა გაიწმინდება ყველა ნაღველისგან
ცრემლის გადაიღებს წვიმაც,
ვგრძნობ გამოიღვიძა ჩემთან სამეგობროდ
უკვე იმედიან სხივმაც!!!

ღმერთო, დამილოცე

ღმერთო დამილოცე მზის ქვეშეთში
გული შენებურად აუმღერე,
ჩემი დედულეთი-მამულეთი
დიდხანს ამიმრავალჟამიერე!

ღმერთო, უამრავი განთიადი
აქ, ხალხს უშურველად დაათენე,
ყველა დილა მამლის ყივილით და
ოქროს მზის სხივებით გაათენე!

ხოდაშენში ფესვი გამიხარე,
ვაზის საფერავის, რქაწითელის,
ქართულ ხორბლით ყანა ამიმწვანე
თავთუხებს აფრქვიე სულ მზისფერი!

ჩემს ხალხს, აქ ვაზებთან ჩამუხლულებს
ლოცვით გული სულ უღუღუნებდეთ
ორუღელა ხარით მოსახნავი
მიწა, სიხარულით ბუბუნებდეს!

მოყვასს ხელი მუდამ შეაშველე,
მტერს კი თბილი სიტყვა, ვით შურდული,
აქ, არ დამანახო ეზოს კარზე
ჟანგით გულშემოჭმული ურდული!

იცი?! – რაც არ უნდა შორს წახვიდე
ზარებს, რომ ჩამოჰკრავს წლებიც უკვე,
ისევ აქ დაფრინავს უდარდელად
შენი ბავშვობაც და სიჭაბუკეც!

სანამ ეს სამყარო იარსებებს
და წუთისოფელიც ხოდა შენი
ღმერთო, მიჯანმრთელე, დამილოცე
მამულ-დედულეთი ხოდაშენი!!!

ახალი წელი

ფეხზე წამოდექით, რადგან ამ ახალ წელს
ქრისტე მოუძღვება ქართველთ დასალოცად,
"მრავალჟამიერი" ფეხქვეშ დაუფინეთ,
ფეხქვეშ გაუფინეთ ყველას გასაოცრად!
სითბო ჩამოთოვე ყველა კაცის სულში,
იმედით აავსე ქართველთა გულები,
ჯიში და ჯილაგი ისე გაუხვავე
მზის სხივი ეფინოთ მათ სარკმლებს ულევი!
ყველა ეზო-კარს და ფუძე-ჭერს აწვდინეთ,
ლოცვა ცად აწვდილი თქვენს რწმენად
მხმობელი,
ყოველ ქართველ ოჯახს ამას ვუსურვებდი
მეკვლედ ყოლებოდეთ დედა ღვთისმშობელი!
ღმერთო იდღეგძელე, ღმერთო ადღეგრძელე
შენი საქართველო მრავალჭირნახული,
წელი დაუყენე სიყვარულით სავსე,
ლხინი გაუმრავლე ჯერაც არნახული!!!

წინანდალი

წინანდალში ვარდი ტირის,ცას ცრემლები
დასდენია,
სასახლეში სიყვარული დარდობს,
ზეცა მუქად შეიღება და ცისფერი დაჰკარგვია,
რამე გვითხარ – ხმა გაიღე ტატო!
გაჩახჩახებულ დარბაზში განათებული ჭაღები
როიალთან აბრწყინებდნენ სხივებს,
და წინანდლის ჩაუქრობელ, ანთებული
ვარდის ყელზე,
სულ სხვა ფერის, სხვა ჰკიდებდა მძივებს!
ცისფერ ლარნაკში ჭკნებოდა, ის ცისფერი
ყვავილებიც
თავადის ქალს ასე რიგ რომ ხიბლავდა,
და საყურეც მოთამაშე თოვლის ქათქათა სახეზე,
სულში გრძნობას სამუდამოდ გიკლავდა!
სიყვარული დაგეკარგა? – სევდამ გძლია უდაბნოში?
დაემსგავსე მიტოვებულ ქარავანს!
ტატო სულს ნუ დაიობლებ, გაუმკლავდი, გაუძელი
წუთისოფლის ამ მაცდურა ჭირ-ვარამს.
წინანდალში როცა ზეცა შეიმღვრევა ტატო!
სასახლეში ვარდი ტირის, ვარდი ტირის მარტო!!!

ჩემი დეკემბერი

ჩემი ცივი, თოვლიანი დეკემბერი
ჩემი ყინვის ეტლი, თეთრი გუნდები,
ისე მიყვარს დათოვლილი ეზო კარი
მგონია, რომ შორს ზღაპრებში ვბრუნდები,!

მოფრიალე ჩემსკენ თოვლის თეთრი ფიფქი
მოფარფატე ვით პეპელა თავნება,
ჩემს მკლავებს, რომ შევაგებებ ასე თბილებს
წამ-წუთებში ხელის გულზე მადნება!

მარხილი და შეცივებულ ფინიას ხმა
თოვლში უხმოდ ნაფეხური კაცისა,
შებინდებულ სიცივეში ცაზე მავალ
სხივთა ჩრდილი ცას შეყინულ მთვარისა!

ბუხრის პირას ჩამომჯდარი დეკემბერი
ტკაცი-ტკუცი კოპიტის და ნეკერჩხლის,
ლობიოთი მოთუხთუხე ქოთნის პირი
დატკეცილი მჭადიანი კეცები!

დეკემბერი თეთრწვერა და თმაჭაღარა
სადღაც ღრეჩოს მოზუზუნე ცივი ქარი,
მეკვლის მიერ გულუხვად და გულალალად
შემოხსნილი დიდი ხონჩით სახლის კარი,
ჩემი თვე და გულქათქათა დეკემბერი
თოვლის თეთრი ფანტელებით
გადამთვრალი!!!

თენგიზ ფანცულაია – ხერგილელი ოქროპირი.
სამართალმცოდნე-პოლიციის პოლკოვნიკი
შინაგან საქმეთა ორგანოების დამსახურებული მუშაკი
დაბადების ადგილი – სამტრედია, დაბა კულაში

დამანებეთ საქართველო

ქურდო, მაჯა მოსაჭრელო,
ქალზე მოძალადევ,ბნელო,
ბოროტო და კაცის მკვლელო,
არ დაღუპოთ საქართველო.

მატყუარა და მკვეხელო,
ხან რიოში სიტყვის მთქმელო,
ხანდახან ქვეშ გასაფენო,
დაასვენეთ საქართველო.

მოსყიდულო შიდა მტერო,
შადიმანების შემცვლელო,
ნუ გაყიდეთ მთა და მდელო,
შემარჩინეთ საქართველო.

ქართულ მიწის გულით მცველო,
მეომარო დაუღლელო,
ვეტერანო დაუცველო,
აღარ დათმო საქართველო.

მეთაურო და ლიდერო,
ერის და ქვეყნის მმართველო,
უნდა იყოჩო, გვიშველო,
არ დაღუპო საქართველო.

კაცის ურცხვად მყვარებელო,
მორალის და ზნის გამრყვნელო,
ადათ-წესის დიდო მტერო,
არ წაბილწო საქართველო.

ოკუპანტო მეზობელო,
ბევრო ძალზე ძველო მტერო,
სამაჩაბლოს დამთრეველო,
და სახლების დამნგრეველო.

ქსნის ხეობის წამრთმეველო,
აფხაზეთის მწვალებელო,
გარეჯას წართმევის მცდელო,
დამიბრუნე საქართველო.

ტახტზე წამოგორებულო,
უსაქმურო,უდარდელო,
ცოლის ან დედის მჩაგვრელო,
მწვანეების მარდად მთვლელო.

ლაღად მინდა რომ ვიმღერო,
აღარ გაიხარო მტერო,
ქალი კერას დაუბრუნე,
გაამრავლე საქართველო.

სოფლად მცხოვრებო ქართველო,
დილიდანვე ოფლის მღვრელო,
ღონიერო და მშრომელო,
ამიყვავე საქართველო.

საღებავების შემსხმელო,
ზედმეტების მკადრებელო,
ფურთხისა და ნაგვის მსვრელო,
სჯობს ერთმანეთს მოეფეროთ,
გთხოვ დაინდეთ საქართველო.

ძალოსანო, მკლავჭიდელო,
მოჭიდავე, ფეხბურთელო,
კალათბურთელ-წყალბურთელო,
რაგბში გაიტანეთ ლელო,
გაახარეთ საქართველო.

შენ თაობავ ნიჭიერო,
წინაპრის სახელის მცველო,
მშენებელო, მეცნიერო,
ასახელეთ საქართველო.

მოაზროვნევ გულიანო,
პოეტური სიტყვის მთქმელო,
არ დაინდო და ამხილე,
ვინც გაყიდა საქართველო,

ერთი თხოვნა თქვენთანაც მაქვს,
ჩემო ერთგულო მკითხველო,
არ დამინდოთ, თუკი ლექსით,
ვერას ვარგებ საქართველოს.

ერო ძალზე ძველისძველო,
ერთიანო, სანატრელო,
მაინც ტკბილო, სასახელო,
გამოფხიზლდი საქართველო.

მომისმინეთ, გეხვეწებით,
ხალხო თბილო, საყვარელო,
მე თუ არა შვილიშვილებს,
დავუტოვოთ საქართველო.

დამანებეთ ეს ქვეყანა,
გულიანი რად არ ჩანა,
დროზე მომკეთ ხალხო ყანა,
თორემ მტერმა დაგვიტანა
პ.ს:
ჩემი დევიზი,
ვინც კარგად არ მიცნობს :

თენგო ყველა ძალადობას,
მთელი არსით გმობს,
სიძულვილს და ბოროტებას,
სიყვარული სჯობს.

ცხოვრებაში სითბოსა და
სიყვარულის გზას,
გაუდვნია ყინული და
ხშირად ხეთქავს ქვას.

და ამიტომ გაუფრთხილდი,
ყოველ წუთს და წამს
მოეფერე, ვინც გიყვარს და
ვისი სულის გწამს.

ყველამ იცოდეს, ახსოვდეს

ყველამ იცოდეს, ახსოვდეს,
სიმართლე მხოლოდ ერთია,
ჩვენი ქცევების მსაჯული,
ზემოთ მაღალი ღმერთია.

იმ.ქვეყნად თუა სიცოცხლე,
ყველა ფიქრობს და მზად არი,
დაფიქრდი აქ თუ იყავი,
ცოცხალი, კაცის სადარი.

ისეთი კვალი დატოვე,
ამ ქვეყნად ქცევის ნათელი,
თამადას გასვენებაში,
სიტყვა რომ ჰქონდეს სათქმელი...

დიდ ვაჟას ტკივილზე ნაფიქრალი

“ვაჰმე რა უგზოდ დავდივართ,
ვაჰმე როგორა ბნელაო”,
ამ უთავობით არ დავდნეთ,
არ გავქრეთ ნელა ნელაო,

არ მოვისვენეთ თავიდან,
ჩამოვიყვანეთ მელაო,
აგვაშენებდა გვეგონა,
ადგა და ჩაგვაბნელაო.

დღესაც იმ წრეზე დავდივართ,
სადაც მან შეგვაყენაო,
მისი გაზრდილი ლეკვები,
სათავეს ჩაგვიყენაო.

არჩევანს აღარ გაცლიან,
სულ უნდა ვიყოთ ჩვენაო,
წესად აქვთ ნორმალურების,
ჩაწიხლვა, გულის ტკენაო.

ვინ მოგცათ და ვინ გაჩუქათ,
ეს საქართველო თქვენაო,
ზემოთ ხარ? საქმეს მიხედე,
უცხო გვბატონობს ყველაო.

ღვთისმშობლის წილხვედრ
მიწაზე,
უნდა გავმრავლდეთ ჩვენაო,
დროა რომ შეწყდეს მამულში,
უცხოს საშიში დენაო.

ერთ დღეს შეწყდება იცოდეთ,
ქართველი ხალხის თმენაო,
სხვებზე ფიქრს თავი ანებეთ,
მოსულს გერჩივნოთ ჩვენაო.

მალე შეწყდება ჩვენს გვერდით,
უზნეო ხალხის რბენაო,
უფალი აღარ გაგვწირავს,
ქართველებს, ასე მჯერაო.

მოდი წარსულში დავტოვოთ,
კაცის კვლა ანდა წყენაო,
ავაღორძინოთ სოფელი,
და აღვადგინოთ კერაო.

აღარ დავკარგოთ ერთურთის,
მოფერება და რწმენაო,
რად გინდათ თამამოძმეთა,
დამცირება და რქენაო.

რომ დავიბრუნებთ
წართმეულს,
ატყდება დიდი მღერაო,
ისევ დადგება ამ ქვეყნად,
ქართველი ხალხის ერაო.

პ.ს:
ყველას მადლობა, ვინც
გამამხნევებთ,
თქვენთვის მუშაკობს ეს ჩემი
ქნარი,
ნეტა მომასწრო და დამანახა,
ქართველის გვერდით
ქართველის მხარი.

ნეტავ დაბრუნდეს თავის
ოჯახში,
დაფასდეს უფრო ქართველი
ქალი,
დე მან გაგვითბოს სახლის
კედელი
და გაგვიმრავლოს ქართული
გვარი.

კათარზისი

ამა ქვეყნად არვინ იცის,სად მიიყვანს ფეხი მისი,
ვის და როდის დასჭირდება სამოწყალოდ კათარზისი,
უფლის თვალი იყურება,დღე და ღამეც არის მისი,
სჯობს ერთმანეთსა ვუსურვოთ,ჯანზე ყოფნა და ხალისი.

ეს ცხოვრება კიბე არის, ზევით ქვევით დავალთ გზისით,
არვინ იცის,ვის და როგორ წაუმუხთლებს ბედი თვისი,
არვინ იცის სად მოხდება წაჩოქება აქლემისი,
მიტომ თავი შეიკავეთ, არ თქვათ, არ ქნათ საძრახისი.

რატომ კვდება კაცის გული

ხშირად არის დღეს დასმული,
ერთი კითხვა უხერხული,
რამდენს უძლებს კაცის გული,
ძნელი ყოფით დატვირთული.

შევეცადე, ლექსად ავხსნა,
რით არის გამოწვეული,
რათ ტკივდება კაცსა გული,
ან რადა აქვს დაღალული.

რას არ უძლებს კაცის გული,
ცხოვრებაში დაჩაგრული,
უსამართლოდ განწირული,
მძიმე შრომით დაქანცული.

ნაფლეთებით დაღარული,
რყევებისგან დაძაბული,
სითბოსათვის შემართული,
და მადლზე ჩაფიქრებული.

ეჭვისაგან დაბზარული,
ღალატისგან გაცემული,
ბინძურ სიტყვით გალახული,
ბილწი სიტყვით მოწამლული.

ხანდახან გაყუჩებული,
ელდისაგან შეკუმშული,
იარებით დაფარული,
ცუდი სიტყვით დახანჯლული.

სატრფოსგან მიტოვებული,
ხელისკვრისგან გულმოკლული,
და ხანდახან უსუსური,
მტკივანი და გაყურსული.

გულში წყენა ჩადებული,
ბოღმისაგან გავსებული,
შურისგან გასივებული,
სიცივისგან გაყინული.

ყველა გრძნობას იტევს გული,
ყველა ტკივილს იტანს გული,
ყველა გზა მასთან მისული,
გულთან ყველაა მიბმული.

ნაწლავია დახლართული?
გექავება ხელისგული?.
წამოგტკივდა, ყელი, ყური?
ან სიცხე გაქვს აწეული?.

გღალატობს შეყვარებული?
და მეგობარი ქებული?
დრო დაგიდგა ძალზე რთული?
ამ ტკივილებს იღებს გული

ხან მძიმე და შესუდრული,
შეშინებულ-შეკუმშული,
ცეცხლისაგან შეტრუსული,
მოლოდინში განაბული.

ზოგს ხომ გულში უდევს შური,
სიგლახეა შენიღბული,
გეგმა მზადდება მზაკვრული?,
დამნაშავე არის გული.

დღესაც გვიტევს ჩვენ
მომხვდური,
მოღალატე და ორგული,
ხანჯალი აქვს დამალული,
ბრალდებული არის გული.

ხან „ნასკებში“ გაპარული,
ხან უაზროდ გალანძღული,
პრობლემებით გატანჯული,
ხან კი ვერცხლზე გაყიდული.

მაშინ როდისღა ხარობსო,
კითხვა იქნება დასმული,
ამდენ რამეს თუკი იტანს,
როდის გვაქვს გახარებული?

შვილის ქცევით გაბადრული,
დიდ სიმაღლეზე ასული,
ხან ლაღი და მხიარული,
სატრფოს მიმართ აგზნებული,

გულში ბუდობს სიყვარული,
გულს უხარის გაზაფხული,
აქ ზეიმობს სიხარული,
ცხოვრებაა საამური.

უღალატო და ერთგული,
ავი სიტყვისგან დაცული,
ნასროლ ქვისგან დაფარული,
ჯანმრთელი და გამართული

ტრფობისთვის აძგერებული,
გმირობისთვის მომართული,
სიამაყით ავსებული,
ხან ჩუმად ამღერებული.

სადმე გაისმის ქართული?,
მაშინ ხარობს კაცის გული,
დაცულია ფესვი, რჯული?,
მაშინ ხომ ხალისობს გული

საქმე არის გამართული?
წინაპრების გზა დაცული?
მომავლის გზა გაკვალული?
მაშინ ხარობს, ლაღობს გული.

სხვისი ტყვიით დაცხრილული,
რეგვენისგან ჩაწიხლული,
ბევრისგან განწირული,
მაინც კაცობის ერთგული.

ამის შემდეგ კვლავ მაქვს
კითხვა,
ვფიქრობ სწორი,ლოგიკური,
ამდენი რამის ამტანი,
ამდენ ცოდვით დატვირთული.

სევდა-დარდით დაჩაგრული,
ზოგჯერ ცოცხლად დამარხული,
დაღლილი და დაქანცული,
მაგრად გვიძლებს კიდევ გული.

რად არა ვართ თბილო ხალხო,
გულზე ჩვენ მოფრთხილებული,
რადგან ბევრი ტკივილისგან,
ნელა ნელა დნება გული.

სუსტდება და ეწვალება,
ყველაფერი მას ბრალდება,
ყველაფერთან მარტო რჩება,
ყველა გვერდიდან ეცლება.

მომკითხავი ეკარგება,
უფრო მეტი ცუდი ხდება,
ამიტომაც იცრიცება,
მიტოვებული კი კვდება.

ჩუმად ტირის მარტოსული,
სითბოს უკვე მოკლებული,
უკვე ფინიშზე გასული,
ახლობლისგან.მიგდებული.

ყველასგან დავიწყებული,
და უფრო მიტოვებული,
და სიხარულმოკლებული,
სკდება ხალხო, კვდება გული.

პ.ს:
თუ რამეა დარდობს გული,
თუ რამეა ტირის გული,
თუ რამეა ხარობს გული,
თუ რამეა ლაღობს გული.

ჩემი თხოვნა მოისმინეთ,
არ ვატკინოთ ერთურთს
გული,
აღვადგინოთ ერთობა და
გავამეფოთ სიხარული.

სახალისო - თვალს მიპაჭუნებს ქალაო

თვალს მიპაჭუნებს ქალაო,
თან აიფარა მარაო,
გრძნობამ თავი ვერ მალაო,
სატრფოსთან მიმიყვანაო.

სითბო არ დაიზარაო,
სულთან გზა გამიკვალაო,
მეცხრე ცას ამიყვანაო,
გულს გამიჩინა ჭვალაო.

აქვე გვაქვს წყნარი ჭალაო.
ხელი ჩამკიდე ქალაო,
ადე, გამომყევ ჩქარაო,
სანამ მზე მიეფარაო.

ვერას დაგიცავს მარაო,
მოდი, გიკოცნო თვალაო,
გეფერო ალვისტანაო,
მერე არ მითხრა კმარაო.

ვატყობ ეშმაკობ ქალაო,
ტუჩქვეშ ღიმილობ განაო,
ჩუმად მანიშნებ თანაო,
გავიმეოროთ ხვალაო.
პ.ს:
ვერ გაუგია ამ კაცებს,
საით ანიშნებს მარაო,
მართლა უარობს დიაცი,
თუ მისკენ უხმობს ჩქარაო.

სანამ იქნება ამ ქვეყნად,
კაცის და ქალის „პარაო“,
მუდამ ინტრიგას დათესავს,
მაცდური ქალის მარაო.

გულს ვერაფერი აჩერებს,
წესია ამისთანაო,
ანდამატივით გიზიდავს,
გაბნევს, გზას გირევს თანაო.

ჩემი შეტყობით სითბოსკენ,
რომ დაიქნიონ მარაო,
სატრფოს ვარდები მიართვი,
რომ აღარ გითხრას არაო.

გეუბნებით, დამიჯერეთ, შეიცვლება ყველაფერი

დამიჯერეთ მოკლედ თქმული,
ვისაც წრფელი დააქვს გული,
მას ეწვევა სიყვარული,
გულს გაათბობს სიხარული.

ნერგი იხარებს დარგული,
აყვავდება დატანჯული,
მიწა, ენა, ჩვენი რჯული,
ერი ძველი, დაჩაგრული.

ეს ცხოვრება არის რთული,
ინტრიგებით დახლართული,
შარიანი,დაძაბული,
ბევრი ცოდვით გავსებული.

ამიტომაც სითბო თესეთ,
აღარ დაიმძიმოთ სული,
გვარიგებდა ჩვენ მწერალი,
დიდ გურულად წოდებული.

მეც ასე მაქვს ეს ცხოვრება,
განა სხვისგან გაგებული,
ჩემი თვალით დანახული,
ზურგზე დარტყმა მიღებული.

ბევრისაგან განწირული,
უსამართლოდ დაჩაგრული,
ზოგჯერ ცოტა ჩამუხლული,
მაგრამ გაუტეხი გული.

ღმერთის ძალით მაინც დავალ,
იმედებით გავსებული,
და სამშობლოს გულისათვის,
ბრძოლისათვის მომართული.

მე კი მუდამ ღიმილს გირჩევთ,
სახე გქონდეთ გაბადრული,
ერის საქმისათვის, მუდამ,
თქვენ მყოლოდეთ შემართული.

დაე, ყველას ჭურ-მარანი,
იყოს ხვავით ავსებული,
და სტუმარის მისაღებად
ლხინი გქონდეთ გამართული.

დაიხსომეთ, ღვინო შესვით,
კეთილ კაცის დაწურული,
ცუდი კაცის დაყენებულს,
უსახლდება ავი სული.

ამიტომაც გეფერებით,
ვინაც განიშორა შური,
დააპურა დამშეული,
ანუგეშა წაქცეული.

ვისაც თბილად უძგერს გული,
ვინც დათესა სიყვარული,
ვისაც სუფთა დააქვს სული,
არ მოაკლდეს სიხარული.

ბევრი ალბათ გულში იტყვით,
რა დროს სული, წრფელი გული,
ცხოვრებაა სასტიკი და
ძალზე მკაცრი, დაძაბული.

ვიცი,ამას მეც ვუყურებ,
დრო დამდგარა მეტად რთული,
ბევრი მხოლოდ იმას ფიქრობს,
სად იშოვოს ბევრი ფული.

მაგრამ მჯერა უფლის მადლით,
გაიმარჯვებს სუფთა სული,
ფერი, ყველგან შეიცვლება,
გამეფდება სიხარული.

პ.ს:
ფერიცვალობას გილოცავთ,
შეიცვლება ყველაფერი,
მთავარია თავი შენი,
ბოროტისგან დაიხსენი.

ცუდი წარსულს ჩაბარდება,
დაისჯება ბნელი,მკვლელი.
გამრავლდება პირში მთქმელი,
ყანის მკელი, მიწის მხვნელი,

დამარცხდება დამიჯერეთ,
მომხვდური და შიდა მტერი,
ერთმანეთს თუ დავაფასებთ,
აყვავდება ქართველთ ერი.

პოეტები ვართ საქართველოსი!!!.

მოაზროვნენო, მოყვარულებო,
ქართველთ კერის და სამფლობელოსი,
ერს წლულს ვუამებთ და მტლად ვედებით,
პოეტები ვართ საქართველოსი!!!.

ჩავეხუტოთ ყველა კუთხეს,
ყველგან ვთესოთ სიყვარული,
ლექსით ერი შევაფხიზლოთ,
მივანიჭოთ სიხარული.

გოგოს ბიჭი შევაყვაროთ,
მწველი გრძნობით ანთებული,
შევაქოთ და დავაფასოთ,
ვისაც დააქვს სუფთა გული.

ვამხილოთ და არ დავინდოთ,
მომხვდური და შიდა მტერი,
მოდი, ლექსით მივეხმაროთ
რომ აყვავდეს ჩვენი ერი.

უფლის მადლით ლექსი ვწეროთ,
ლაღი, გულით მოსაფერი,
ვეცადოთ, რომ ჩვენი ხალხი,
გვყავდეს მუდამ ბედნიერი.

სულით ნაძერწი, ლამაზ პწკარებით,
მომფერებელნო, მთა და მდელოსი,
ერს წლულს ვუამებთ და მტლად ვედებით,
„დღეს პოეტები საქართველოსი“!!!.

მე პოეტი აღარა ვარ

მე პოეტი აღარა ვარ,
ზემოთ აღზევებული,
მრავალ ჟურნალ-გაზეთებში,
ფართოდ გაშუქებული.
    მე უბრალო ქართველი ვარ,
    ცოტა დამწუხრებული,
    რეალური ვითარებით,
    ცოტა შეშფოთებული.
თადარიგის პოლკოვნიკი,
ცოტა ჩაფიქრებული,
ჩემის ერის მძიმე ყოფით,
ცოტა შეწუხებული.
    არ მასვენებს, ქსნის ხეობის,
    ხალხი მიტოვებული,
    აფხაზეთის კოხტა მხარე,
    მტერზე ჩაბარებული.
სითბო მინდა დავინახო,
ყველგან გაღვივებული,
სიყვარული, სიხარული,
ყველგან გამეფებული.
    ჩემი ხალხი მინდა ვნახო,
    ცოტა გახარებული
    ყველა კუთხე ერთიანი,
    ერი გამრავლებული.
მინდა ყველა დავინახო
ცოტა შეფხიზლებული,
შრომისა და შენებისთვის,
ცოტა მონდომებული.
    მსურს ქალები რომ ვიხილო,
    კერას დაბრუნებული,
    და კედლები მათი შრომით,
    უფრო განათებული.
ყველაფერზე გამაჩნია,
აზრი განსხვავებული,
დამინახავს ბევრის ქცევით,
ერი გაწვალებული.
    ვერ ვარ დიდი პოეტების,
    დონეს ამაღლებული,
    ფაქტიურად გამოვედი,
    წერას მოწყურებული.
მუდამ ვცდილობ უფლის მადლით,
ვიყო გამზადებული,
ჩემი სიტყვა ლექსის სახით,
მქონდეს მომარჯვებული.
    აღარ მინდა სხვაზე ვიყოთ,
    ხელებს მიშტერებული,
    რთველი მინდა დავინახო,
    ყველგან გაჩაღებული.
ვინც ყოჩაღობს ერისათვის,
იყოს ჩემგან ქებული,
მისი გვარი და ნამრავლი,
იყოს გალაღებული.
    ვინც გვღალატობს და ზნეს გვირევს,
    ვერცხლზე დახარბებული,
    შევეცდები ისევ ლექსით,
    იყოს შეჩვენებული.
კაი რამეს დავინახავ,?
ვიყო აღტაცებული,
ვინც ღირსია ჩემი ლექსით,
იყოს მოფერებული.
    ის პოეტი აღარა ვარ,
    ფართოდ გაშუქებული,
    მაგრამ თბილი მკითხველისგან,
    დავალ გამხნევებული.
მე კოლხი ვარ, უძველესი,
მუზა მოძალებული,
ლექსით მინდა გავაღვიძო,
ცეცხლი მინავლებული.
    რწმენა მინდა აღვადგინო,
    წინაპრების რჩეული,
    მოვიშოროთ ავი სენი,
    ცოტა შემოჩვეული.

თუკი აღარ შევიცვლებით

თავადმა თენგიზ ჩხეიძემ
კითხვა დასვა დაჟინებით:
ნეტავი, თუ გადავრჩებით,
ვიქნებით, თუ არ ვიქნებით?

გესმით? მალე არ ვიქნებით,
თუკი აღარ შევიცვლებით,
თუკი აღარ გავმრავლდებით,
დავილევით და გავქრებით.

იცით როდის გადავრჩებით?
ზრდილობით და განათლებით,
ჩვენი ლამაზი სამშობლოს,
მოფრთხილება-მოფერებით.

გადავრჩებით ერთგულებით,
სიყვარულით, მეგობრებით,
საქმის გულით მიდგომებით,
საწარმოთა გამრავლებით.

ხვავით სავსე ოჯახებით,
და ღონიერი სოფლებით,
განათლებული ბავშვებით,
ყველა კუთხის აყვავებით.

ქალის მეტი დაფასებით
და ოჯახში დაბრუნებით,
სამუშაო ადგილებით,
ნორმალური ხელფასებით.

სხვებზე ხელის გაწოდებით,
წაქცეულის დახმარებით,
წინაპრის არჩეულ გზების,
დაცვით და არ დავიწყებით.

ერთად დასახულ მიზნებით,
მტერზე ერთად გამარჯვებით,
ერთად დგომით, ერთად შრომით,
დავფასდებით, ავმაღლდებით.

ხალხმრავალი ქორწილებით,
ლხინის სუფრით, ნათლობებით,
კოხტა,თბილი პატარძლებით,
ქრისტეს რწმენით, მირონცხებით.

ქართულ ნიჭის დაფასებით,
ქმნილებებით,შედევრებით,
სპორტში დიდი მიღწევებით,
სასახელო სპორტსმენებით.

დავიღალე მე ამ თემით,
და მეტად მძიმე ფიქრებით,
„გაიღვიძეთ, გეხვეწებით,
თუ არადა, ვიღუპებით“.

რაც შეგპირდით შეთანხმებით,
დღეს ამ ლექსით გეახლებით,
ვატყობ,რომ უკვე გბეზრდებით,
დავამთავრებ, ბოდიშებით.

იცით რატომ გავჩერდები
და თავს არ გაწყენთ დარიგებით?
კარგად მახსოვს ნაკითხებით,
და მწარე გაკვეთილებით.

მე კი არა, დიდ ილიას
ერზე მზრუნველს, მის ფიქრებით,
აგინებდნენ ცუდ სიტყვებით,
იწუნებდნენ მას აზრებით.

სიტყვაში რომ ვერ მოერივნენ,
ვერც დაძლიეს გარიგებით,
მიუვარდნენ მოხუც მწერალს
და მოგვიკლეს ბერდანკებით.
პ.ს:
ამიტომაც ვყვირივარ და
ყველას ერთად გეხვეწებით,
ცოტა მეტი მოფერება,
თორემ მარტო დავმარცხდებით.
გადაგვძალავს უცხო თესლი,
თუკი აღარ გავმრავლდებით,
სოფლები თუ არ აღვადგინეთ,
ისე ვეღარ ავყვავდებით.

ნინო კობახიძე – კულტუროლოგი
დაბადების ადგილი – თბილისი

* * *

როცა სული მიჯანყდება
ლექსის წერას ვიწყებ;
სხვა დროს კი ვარ, ჩემთვის, ჩუმად
და არავის ვიწვევ;

როცა სული ფორიაქობს,
გული კვნესას იწყებს,
გაფრთხილება ერთმანეთის
გვეძნელება ისევ.

* * *

ჩემი ნაფიქრი-ნაღვაწი
უფალმა გადაწყვიტოსა,
ხომ გაგიგიათ, მწერალი,
მას ამბობს, რასაც ფიქრობსა.
ხელად ქცეული სამყარო
მაჯას მისინჯავს მე?

მე ეს მაგონებს...

დახუნძლულია ხეები ხილით
და დაუხრიათ ტოტები ხეებს!
მე ეს მაგონებს იმ მოხუცებულს
რომ დატვირთულა წლების სიმძიმით.
სიკეთე მადლად უტარებია და
უცხოვრია ტანჯვა-წამებით,
მერე, მისული საიქიოს კარს
მდაბლად დამდგარა განაჩენისთვის.

* * *

(ვუძღვნი გელათის აკედემიის აკადემიკოსს გიორგი გვაზავას)

ცოცხალი კაცი-ლეგენდა
ბებერ ქუთაისს შვენის!
რიონი მდორედ მოარე
ლაღად მოადგა ჯებირს!
გესმით, აიას ტაძარში
ოქროს საწმისი ქშენის...?
გოროზ ბაგრატის ტაძარი
ქუთათურს ხედებს ხელის...
ბაგრატის მთაზე მიმავალს
კიბე-გაცრეცილ გშველის!
ჭაბუკიანის ნაღვაწი –
სათაფლიაც ხომ გელის!
ხვამლის მთა ჩაფიქრებულა
ნეტავ ვის ნახვას ელის?
კაცი-ლეგენდა – გიორგი
ბებერ ქუთაისს შვენის!!!

* * *

ყველაფერი დაქრის ამ სამყაროში
ერთი წამის მემილიონედ ნაწილად
არ ჩერდება დრო.
შენ შეჩერდი თუ გინდა
შორს მიჰყავხარ დროს.
მოიხედავ, ყველაფერი დამთავრდა.
ეჰ, რას იზავ, ყველაფერი მიაქვს,
მიაქვს დროს!

* * *

ვუძღვნი ქართველ გლეხკაცს
მთის იქით
კიდევ მთებია.
მთის გაღმა
ერთი სოფელი.
სოფელში ერთი კაცია
მეოჯახე და მშრომელი,
მან იცის სოფლის ამბავი,
ამბავი თქმული ლეგენდით,
ის სათქმელს ლექსად
ამბობს
და ხელში უჭირავს
გუთანი.
მოყვარე მოვა, შეხვდება
ფეხზე ამდგარი, ჭკვიანი,
ქართული სიდარბაისლით
ებაასება მზიანი.
ვაი, თუ სოფელს ვიღაცამ
შეხედოს ცუდის თვალითა,
იმისი ბედი არა მშურს,
ისეთ დღეს მოასწარისა.

სენტიმენტალური ტრიოლეტი

ვუძღვნი მეუფე ათანასეს
(სქემმიტროპოლიტი ეფრემი)!

უბრალო მოკვდავთ სად შეუძლიათ
„მარადისობის ხელით ტარება“,
ცა გუმბათია, გონი – გახსნილი!
სული დიდების გამონაშუქი.
მიწა – გულია დინჯი, კეთილი,
აქ სამკვიდრებელ-სადარდებელი.
უბრალო მოკვდავთ სად შეუძლიათ
„მარადისობის ხელით ტარება“.

როცა გონება გახსნილია,
როგორც ცის სივრცე,
როცა ცხოვრება სულის სარკმელს
ემორჩილება,
მაშინ სხეული მსუბუქია
ეს თიხის დერგი
სხვა დროს უსახო და უსუსური,
როგორც ბოჰემა.
უბრალო მოკვდავთ სად შეუძლიათ
„მარადისობის ხელით ტარება“.

იმერეთში თუ ყოფილხარ

თუ ყოფილხარ იმერეთში
და გინახავს მზეწვია!
სიმინდი რომ ულვაშს აპრეხს,
თითქოს მზე მას ეწვია!
– ბიჭოს, აი ვინ მოსულა,
გეინძერი დარია!
მწვანე მოლზე დაკაკანებს
გრძელკისერა ვარია.
ცოტაც და ყოლიფერს აჩენს
თავწაკრული დარია.
მჭადი, ყველი პრასი, ფხალი,
სეტყვაა თუ ქარია...
კეცზე ცხვება ხაჭაპური და
მზიანი დარია.

გადეიღე გეხვეწები შებრაწული ვარია,
რავარია საწებელი?
ნუღარ იტყვი, ცხარია.
აქ ჭრიალებს მარნის კარი,
იქ კი საწნახელია,
კათხით მაჭარს მოგაწვდიან,
გულის გასახარია...
თუ ყოფილხარ იმერეთში
და გინახავს მზეწვია,
სიმინდი რომ ულვაშს აპრეხს,
ღვინით საწნახელია,
ცუდს ვერაფერს ვეღარ იტყვი,
გული ამემეწია!

ლოცულობდა დედაბერი სოფლად...

ლოცულობდა დედაბერი სოფლად,
უფალს თხოვდა ქალს ჰყოლოდა შვილი,
მაღლა ჰქონდა აპყრობილი ხელი,
შველას თხოვდა გამჩენს თავდახრილი:
„სახელითა მამისათა და ძისათა
და სულისა წმიდისათა.
ა მ ი ნ !
ანი იძრა, ბანი იძრა,
ნოეს კიდობანი იძრა!
ოთხი კუთხე ცისა იძრა!
ანი დადგა, ბანი დადგა,
ნოეს კიდობანი დადგა,
ოქროს საწნახელი დადგა.
ანგელოზი ლოცვად დადგა!“
ა მ ი ნ!
ლოცვად იდგა კვლავაც დედაბერი,
მადლს წირავდა უფალს მადლიერი!
რადგან მის ქალს მოვლენოდა ჩვილი,
სათხოვარი გასჩენოდა დიდი –
უფალს უნდა დაეფარა იგი:
„ანი იძრა, ბანი იძრა,
ნოეს კიდობანი იძრა!
ოთხი კუთხე ცისა იძრა!
ანი დადგა, ბანი დადგა,
ნოეს კიდობანი დადგა,
ოქროს საწნახელი დადგა.
ანგელოზი ლოცვად დადგა!
სახელითა მამისათა და ძისათა
და სულისა წმიდისათა.
ა მ ი ნ !“

* * *

ქუჩა-ქუჩა
დატანტალებს
ხელგაწვდილი პაწია:
„დეიდებო, ბიძიებო,
მომეშველეთ, მომეხმარეთ,
ღვთის გულისთვის
გევედრებით
მშიერი მყავს დაია!“
ვაგონ-ვაგონ,
კუპე-კუპე
დატანტალებს,
ტანზე ცუდად აცვია,
დაგიდგება მოთხუპნული,
ლოდინს გასდის ქანცია...
ღვთისმშობელო გევედრები
დაიფარე
ხელგაწვდილი ბავშვია!

* * *

ყინვისგან გამხმარ
ხის კუნძზე
ამოიზარდა ტოტები.
ერთად შევკარი თოკით და
მივაბი ღობის კიდეზე.
შევხედე, გული მეტკინა,
როგორ ცდილობდა აშვებას,
ტოტები მზისკენ მიეპყრო,
თითქოს ფიქრობდა აფრენას.
ასეთი ლაღი, ლამაზი
დაბმული საცოდავია.
მივედი, თოკი მოვხსენი,
გაგიჟდა, გადაირია.
ახლა ფოთლები დახარა,
მიყურებს და უხარია.

ოდაბადედან ოდაბადემდე

ვუძღვნი აკადემიკოს ალექსანდრე კუჭუხიძეს!

ოდაბადედან ოდაბადემდე
მთელი სამყარო იშლება ვრცელი!
ბრუნავს ქვეყანა, წუთი წუთს მისდევს,
დაქანცულნი ვართ ოდაბადემდე!
ოდაბადედან ოდაბადემდე
წარსული ნათლად მოგვეჩვენება!
საინტერესო ცხოვრება ჩვენი,
თავიდან აროს განმეორდება!

ქარიან ღამეს

ქარიან ღამეს
მთვარის შუქ-ჩრდილი
ვაზის ფოთლისგან
სახლის კედელზე
წმიდა მარიამს
სახავდა!

წმიდაო მარიამ!
შენს წილხვედრ
მიწაზე!
„შენ ხარ ვენახი
ედემში დანერგული...
... შეუწველი მაყვალი“
ქრისტიან მლოცველთა!

ჩვენთვის შენი სახე
ისეც ხომ ყველგან არის!
ივერთ შენი სარტყელი
გვარტყია!

მძლავრად შემოგვხვიე
შენი მძლავრი ხელი!
გულები გაგვითბე
მარიამ!

შვილნი გაბნეულნი
მთელ სამყაროში
სამშობლოს დაუბრუნე
მარიამ!

სახლი დაშლილი და
კერა დანგრეული
კვლავ განგვიახლე
მარიამ!

დაქუცმაცებული
შენი წილხვედრი
ისევ გაგვიმრთელე
მარიამ!

წყალი გვწყურია და
პურ-ღვინო გვენატრება!
ლხინი განგვიახლე
თავიდან!

ძაძაში შემოსილი
ქართველი დედები
ლოცვით განამტკიცე
მარიამ!

მუხლმოდრეკილი და
ჩოქვით შემოვლილი,
ცოდვა შენდობილი
კვლავაც დაგვიფარე,
შენ, დედოფალო
ცისა და ქვეყნისაო,
შენ გემუდარები,
მარიამ!

კარგად შეინახე
ზეცაში წარგზავნილი
ჩვენი გმირები
მარიამ!
დედებს მხნეობა და
მამებს გამძლეობა
შენ მიანიჭე
მარიამ!

შენ გაამრთელე და
გადაგვირჩინე
დედა-სამშობლო
შენი წილხვედრილი,
გადააფარე შენი მანდილი,
დედაო,
დედაო,
დედაო მარიამ!

პანდემიის გამო თქმული!

ცხოვრება გახდა მოსაწყენი
როგორც უდაბნო!
გამომწყვდეულნი ოთხ კედელში
როგორც საპყარნი,
დავემსგავსენით ველურთა ჯოგსა
შენ შეგვეწიე, ღმერთო მაღალო,
და დაიფარე ადამის მოდგმა!
მოსაწყენია დედამიწა ხალხის გარაშე!
ყველამ შევცოდეთ,
ამიტომაც ვისჯებით სრულად!
შენ დაგვეხმარე, ნუ გაგვწირავ
და შეგვიცოდე
გადაგვარჩინე ღმერთო უფალო!
ერთხელაც ბრძანე:
ვინანეო კაცის გაჩენა;
მაგრამ ბოლომდე ვერ გაწირე,
დღემდე მოვედით,
გვაკმარე აწი,
რაც დამართე კაცობრიობას;
იქნებ ამჯერად მოვეგოთ გონს
და გავხდეთ შენი სურვილის
აღმსულებელნი!



მიხეილ გელაძე – ფილოლოგი
დაბადების ადგილი – ხულო

ხ უ ლ ო

ხულო გულია, გული – აჭარის, აჭარა – სისხლი საქართველოსი,
ხულო ტბელია, ,,ჭოგრიტელია“, ცად მჭვრეტელია საგამგებლოსი,
ხულო – ვარდციხე, თამარის ციხე, ხიხანის ციხე – სასახელოსი,
ხულო სელიმის, ხულო შერიფის, ხულო – დევგმირთა სამფლობელოსი!

ხულო ფარია, ფარი – აჭარის, აჭარა – ხმალი საქართველოსი,
ხულო ჯაჭვია, გადამჯაჭვავი ,,სამას წლით“ ,,სამას არაგველოსი“,
ხულო მუხაა, ხულო – ,,ბერმუხა“, ხულო სკივრია ძველისძველოსი,
ხულო გულია, ხულო სულია, ხულო სისხლია საქართველოსი!

ხულო ბუდეა, არწივთ ბუდეა, ხულო ზღუდეა საქართველოსი,
არგინეთია, საფილეთია, სავანეთია, მზე – სამსმელოსი,
ხულო ოდაა, მეიდანოდაა, ბუხაროდაა სამართველოსი,
ხულო ერთია, ერთადერთია და არის ერთი საქართველოსი!

ხულო ძუძუა, დედაძუძუა დიდაჭარის და საქართველოსი,
ხულო – გოდერძი, ხულო – მთის ღერძი, ხულო – მზის თერძი
სამბრძანებლოსი,
ხულო – მწვანე ტბა, ხულო – შავი ტბა, ხულო – სამი ტბა სანატრელოსი,
ხულო წყაროა, ანკარა წყარო, ათასი წყარო – საქართველოსი!

ხულო სხალთაა, ხულო რაქვთაა, ხულო კალთაა საქართველოსი,
ხულო ცვარია, მარგალიტია, სამკაულია მთის და მდელოსი,
ხულო – ღორჯომი, ხულო – დროს მჯობი, ყველგან გამტანი თავის ლელოსი.
ხულო სუფრაა, ხულო სუფთაა, ხულო სუნთქვაა საქართველოსი!

ხულო ენაა, შოთას – ენაა, ხულო ვენაა საქართველოსი,
ხულო – თაგოა, ხულო – ჩაოა, ხულო უჩხოა სამეზობლოსი,
ბაბანურია, საბადურია, ეშამურია სადარდელოსი,
ხულო სარკეა, სარკე – აჭარის, აჭარა – სახე საქართველოსი!

ხულო დედაა, დედაბურჯია, დედასოფელი საქართველოსი,
ხულო – არტახი, ხულო ბარხატი, ხულო ნახატი საკვირველოსი,
ვაშლოვანია, ყვავილოვანი, სამკაულია მზის და მდელოსი,
ხულო ერთია, მხოლოდ ერთია და ერთგულია საქართველოსი!

ხულო გულია, გული – აჭარის, აჭარა – სისხლი საქართველოსი,
ხულო თვალია, ძვირფასი თვალი, სამკაულია მთის და მდელოსი,
ხულო სარკეა, სარკე – აჭარის, აჭარა – სახე სამფლობელოსი,
ხულო სუფრაა, ხულო სუფთაა, ხულო სუნთქვაა საქართველოსი!

აღმაშენებელი ბათუმს მობრძანდება...

(დღის წესრიგში დგას ბათუმში დავით აღმაშენებლის ძეგლის დადგმა)

დავითის ძეგლი დაამშვენებს ჩვენს ქალაქს – ბათუმს,
მისი სიმაღლე კვლავ მისწვდება მეცხრე ცის სართულს,
ქართულ მიწაზე ვინ გაბედავს აბამდეს მავთულს,
ჭრიდეს, კერავდეს საქართველოს ათასგზით ხლართულს.

მაღალი მთიდან გადმოხედავს „მტირალა“ ბათუმს,
აღარ იტირებს, მოჰკრავს რა ყურს ლაპარაკს ქართულს,
აქ მეფე დავითს დაიგულებს „ძლევაით“ გართულს,
„მონეტის“ ნაცვლად არ მიიღებს არასდროს „ალთუნს.“

ბათუმის გულში ვნახავთ დავითს ძეგლად აღმართულს,
დიდგორის ველზე ქართველობას, მახვილშემართულს,
გონიოს კარებს გამოვაღებთ „ხორუმით“ მართულს,
ისევ ვიხილავთ ჩვენს კახაბერს „ხრიდოლში“ ჩართულს.

სულ მალე ვნახავთ მეფე დავითს აქ წამომართულს,
მერე – სრულიად საქართველოს წელში გამართულს,
პატივს მივაგებთ სამშობლოსთვის დამწვარ-დაშანთულს,
დიდგორის ველზე ერთმანეთზე დამკვდარ-დასართულს.

სხალთა-ხიხანი არწივს აფრენს ყოველდღე ბათუმს,
ქართულ საქმეში არ დაუშვებს სხვის ხელის ფათურს,
სელიმის სიტყვებს შეახსენებს დავთარზე დართულს,
„პეტრას ციხიდან“ გააყოლებს ყვავებს, გაფანტულს.

„მეფე ქართველთა“ შემოიკრებს გარშემო ბათუმს,
„შავფაროსნებს“ და „შავჩოხოსნებს“ ბრძოლებში ჩართულს,
არ გვინდა, თამარს უწოდებდნენ კვლავ „გურჯი-ხათუნს“,
ჩვენ საქართველო გვირჩევნია მილიონ ალთუნს.

„შვილნო, ქართველნო,“ – ხმა მისწვდება ყველა სახლ-სართულს,
„ვისი გორის ხართ“, „ვისი სისხლის“ – ხომ ახსოვს ბათუმს?!
მაშ, გაუმარჯოს ჩვენს „ჰერიოს“, ჩვენს ცეკვა „ქართულს“,
ქართული დროშით მეფე დავითს ზეცად აღმართულს!

„პატარა გორის- „დიდგორი“

(2008 წლის პირველი სექტემბერი
ქალაქი ბათუმი - ცოცხალი ჯაჭვი,
ექსპრომტი)

არ დაიჩოქებს ქართველი, არა,
ვით არ დაიკეცს არწივი ფრთებსა,
არ ათელვინებს მამულს უცხოელს,
არ გაახარებს ის მომხდურ მტრებსა.

ისევ მტკივა, საქართველოვ, შენი ყველა
იარა,
მერამდენედ რუსის ჩექმამ გულზე
გადაგიარა,
დიდგორს მკერდი ვინ მოკვეთა, ლომი ვინ
აღრიალა,
აფხაზეთი ან ოსეთი ქვეყნად ვინ აღიარა?!

„პატარა გორს“ ვინ ესროლა, დიდზე
დიდმა რუსეთმა?!
უარესი დაატეხა, ვიდრე ირან-თურქეთმა,
გოგებაშვილს ვარიანში ვინ მოუკლა კვლავ
შვილი?
რატომ ტირის „ქართვლის დედა“ კვლავ
შავლეჩაქგაშლილი?!

ცხრა მარტით და ცხრა აპრილით ცხრა
აგვისტომ იარა,
საქართველოს ისტორიამ რა დღე
გამოიარა,
დაისჯება, ცეცხლბორბალა ვინაც
დაატრიალა,
ვინც შავი ღრუბლით დაფარა ქართული ცა
კრიალა.

შეცდა რუსი, სხვის მიწაზე დროშა
ააფრიალა,
ქართლში ისევ დაიცლება ქართველების
ფიალა!

,,ე რ ი ს ი ო ნ ი“

*ანსამბლი „ერისიონი“ აჯადოებს
პარიზს კონცერტი-ტრიუმფით
(ტელევიზიიდან)*

მღერის და ცეკვავს საქართველო -
„ერისიონი“,
ეიფელის კოშკს ესალმება კავკასიონი,
ისე ზანზარებს პარიზი, ვით მოქუხს რიონი,
მთის არწივების ფრენას მოჰგავს ატრაქციონი.

ფეხის წვერებზე წამომდგარა ძველი ლიონი,
ელის თბილისი გამარჯვებას - დელისი, ონი,
„ვაშას“ დასძახის ცის თაღიდან გალაკტიონი,
„შატილის ასულს“ მიაქროლებს ბაგრატიონი.

„ცეკვის ჯადოქრებს“ დაუპყრიათ
მთის დაფიონი,
ფეიერვერკად ანთებულა ცის ლამპიონი,
მღერის „შავლეგო“, „შავნაბადა“,
ღვთის „ბახტრიონი“,
„ფარიკაობს“ და „ფერხულს“ უვლის
მზის მაყრიონი.

ტაშის გრიალში იძირება „ერისიონი“,
ლოცვა-კურთხევით ავსილია ბერი სიონი,
ლეგენდად იქცა საქართველო - ძელისი, ონი,
ცეკვა „ხორუმი“ - ქართველების დივიზიონი.

ქართული სისხლის ყივილია „ერისიონი“,
მღერის მეტეხი, ნარიყალა, მღერის სიონი,
ეიფელის კოშკს ესალმება კავკასიონი,
ცეკვა „ქართული“ -
საოცრება, ატრაქციონი!

ლოდნარის ჩანჩქერი

ლოდნარის კლდეზე მორბის, მოჩქეფს თეთრი ჩანჩქერი,
გვამცნობს კორტოხში, სულ გამდნარა თოვლის ნამქერი,
ჯვარიქეთს შევდექ, კლდის– დუმას და კლდის–კეცს გავცქერი,
ვერ დავიმშვიდე გული ხიბლით, ეშხით ნაძგერი.

წყალი კი არა, დედოფალი სალ კლდით ეშვება,
პატარძალს კაბა, დალალები თეთრად ეშლება,
სურს, დაუკრიფო ყოჩივარდა, რომ იგრძნოს შვება,
ცხრათვალა მზეს თუ არ შესცინე, არ მოგეშვება.

დაყუდებულან მაყრიონად კლდის თავს ნაძვები,
ისეთი ხშირი ბუჩქნარია, ვერსით გაძვრები,
მთის მზეთუნახავს აფაკვლია ლოყა–ღაწვები,
მიეახლები, მის სურნელით ვეღარ გაძღები.

ჩანჩქერს კლდე ღარად შედგომია – მრავალსართული,
აქ ბუნებაა ფიროსმანი – საქმით გართული,
აქ ლოდ–ქარაფთა ,,ხორუმია“ გადახლართული,
აქ სიმღერაა და ცერებზე ცეკვა ,,ქართული“.

მოჩანს კორტოხი, დაფარჩული, დაბარხატული,
კლდეთა ღაღადი – დაჩარხული, დახარატული,
თეთრი ჩანჩქერი – დედოფალი, თვალებხატული,
ღირს ქართველ ქალის სიყვარული ანდამატური.

ლოდნარის ლიბოს ოქროსფერი ასდის ალმური,
მის სხივს ირეკლავს დიოკნისი და ეშამური,
შავჩოხა ბიჭის ხმა მომესმა – რა საამური,
მოდგა, კბოდეზე ააკვნესა მთის სალამური.

ლოდნარის კლდეზე გადმოშლილა თეთრი ჩანჩქერი,
გვამცნობს კორტოხში სულ გამდნარა თოვლის ნამქერი,
ჯვარიქეთს შევდექ, მონუსხული არწივს გავცქერი,
მსგავსი წალკოტი არ მინახავს არსად ამფერი.

ც ი ს ო

(ვუძღვნი ღვაწლმოსილ პოეტ ქალბატონ ცისანა ანთაძეს დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით)

ადრე ვდგები, სისხამ დილით,
ვტოვებ ლოგინს, ძილსო,
ვარსკვლავთცვენას ველოდები –
ლექსით ტკბობის წილსო.
აღმოსავლეთით გავცქერი,
მგონი, ღმერთი მცდისო,
ზეცა მაკრატლით იხსნება
დასავლეთამდისო.
და რას ვხედავ – ცის ტატნობზე
დედოფალი ზისო,
ის ან ანგელოზი არის,
ან შემცვლელი მზისო.
დგას ძვირფასი ტახტრევანი,
გეგონება ღვთისო,
ქალს დიადემას ადგამენ,
სიხარულით კრთისო.
მას გზად კიბეს აგებებენ, –
გელოდებით ძირსო,
ერთი ლექსი წაგვიკითხე,
ქალბატონო ცისო!
ცისო, შენი საქართველო,
ხალიჩებს გიშლისო,
ყველა ტაშით გეგებება
და ვარდებს გიწვდისო.
ბათუმქალაქს რა საამო,
დღეს ნიავი ქრისო,
ცისანები, კესანები
მორცხვად თავს გიხრისო.
საქართველოს მიუმღერე, –
,,ჩიტის ენით“ გვრიტსო,
,,მწიფე ლექსის სურნელება“
თვალებს ცრემლებს ჰგვრისო.
ფიროსმანი ყოფილიყო? –
დაგხატავდა მყისო,
შენი ,,ოქროს შემოდგომა“
მოსავალს იმკისო.
ცისო, შენი საქართველო,
,,მგოსანთ დედად“ გთვლისო,
ბათუმი – ზღვათა სამეფო,
ვერავისში გცვლისო.

სტუმრად ნადიმის ვენახში

(ჩემს მეგობარს ნადიმ კოჩალიძეს)

რა ნახა ჩემმა თვალებმა – რიყეთში ვაზი ჩაყრილი,
გადახვეული ჭიგოს და აქოჩრილ-ფოთოლაყრილი,
მზე შუბის წვერზე ცეკვავდა, დღეებს ითვლიდა აპრილი,
მთის გულზე ვაზი ხარობდეს, საქმე არ გახლავთ ადვილი.

შევნიშნე ზვარის ბოლოში – კაცი მუხლებზე ცოცავდა,
ეფერებოდა ვაზის ლერწს, ღიღინებდა და ლოცავდა,
წამოდგა, მარანს ჩამიძღვა, ნადიმი ღვინოს ბოცავდა,
ისიც მომიყვა – ქართველებს მტერი რა მიზნით ხოცავდა.

„ვაზო, შვილივით ნაზარდო " – სიმღერა მესმა ქებული,
კაკლის ქვეშ ბიჭები ისხდნენ – ქეიფით გალაღებული,
მეც გავიხარე, რომ შემხვდა აქ ყველა გახარებული,
ვაზით რიყეთი მეჩვენა ზეცამდე ამაღლებული.

ვერ შეველიე მიდამოს, ახლოს მიხმობდა კრახუნა,
სამფეხა სკამზე ელაგა პური, ყველი და ტარხუნა,
ციცქას ცრემლები შევნიშნე, მგონი ტიროდა კახურა,
ნადიმმა სიტყვა წარმოთქვა, თავს მთები გადამახურა.

„ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე!" –
რიყეთო, „შენ ხარ ვენახი",
შენა ხარ ვაზის სავანე, სუფრასთან მიხმობ, მეძახი,
„ვაზო ქართულო", მიხარის, მტევნებით რომ დამენახვი,
წითლად და თეთრად ნაჟური ქვევრებში გადამენახვი.

მრავალჟამიერ, ვენახო, კვლავ ხარობ და იკვირტები,
რქაწითლითა და ჩხავერით ზეცას შესცინი, ირთვები,
„სამას წელს" შეგახსენებენ – ქართველო, აიზვირთები,
ღვთისწილი ქვეყნის შვილი ხარ, ბარაქით დაიტვირთები.

იხარე მარჯვე მარჯვენავ, რიყეთში ვაზი შენდება,
გიშრის და ქარვის მძივებით როგორ ირთვება, მშვენდება,
ჩემს მთიან საქართველოში ახალი დილა თენდება,
ვაზით და ენით ქართველი არასდროს გადაშენდება.

პოეზიის დედოფალო,
დედოფალო ზღვისო,
ზღაპარქალო დედამიწის,
არა მარტო ცისო.
შენი ლექსის ერთი ბწკარი,
მთელ სამყაროს ღირსო,
ტახტრევანით მოგატარებთ.
არ ჩამოგსვამთ ძირსო.
როგორ შვენი საქართველოს –
შენს გულაკვანს, ცისო,
ქალო, წიგნად გადაშლილო,
ვარდო და ნარცისო.
შენი სიტყვა მზედ ანათებს,
ხან ნაზ წვიმად ცრისო,
კვლავაც ბევრი ,,მწიფე ლექსი"
დაგვიწერე, ცისო!

ლუხუმ ჩხვიმიანს

(ტოკიოში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ძიუდოში ლუხუმ ჩხვიმიანი მსოფლიო ჩემპიონი გახდა)

ახლოს ვიყო, მხრებზე აგიტაცებდი,
შემოგსვამდი ცხრათავიან შხარაზე,
სვანურ ქუდით ყველას დააცეცებდი,
ოქროს მედლით ჩაგიკრავდა ხვარამზე.

სვანურ კოშკზე ჰიმნი აჟღერდებოდა,
ქართულ დროშას აღმართავდა მამამზე,
მესტიაში დილა გათენდებოდა,
დოღ-ჯირითი გაჩნდებოდა შარაზე.

ვაჟას მთები კალთებს დაგაბერტყავდა,
ტოკიოში ოლიმპიურ ტატამზე,
ლუხუმი ხომ საქართველოს – ერთს ჰყავდა,
არწივი ხომ არ იცვლება კაკაბზე.

თბილისი დიდ ,,ხორუმს" ჩაგიქუხებდა,
უშბა როგორ მოგწვდებოდა შხარაზე,
საქართველო გულში ჩაგიხუტებდა,
გალაქტიკას მოგირთავდა ხარაძე.

ნიკო იყოს, სვანეთს დაგიხატავდა,
ლემით ხელში შემოგსვამდა შხარაზე,
ლომგულს დედა სუფრას გაგიმართავდა,
ოქროს მედლით ჩაგიკრავდა ხვარამზე.

გუდამაყარი

(ამ ხეობის მოსახლეობისგან დაცლა გულში დარდად ჩამრჩა. რამდენი სოფელი გაუკაცრიელებულა, ზოგში თითო კომლიღა სახლობს. გუდამაყრის სკოლაში 11 ბავშვი სწავლობს. რამდენიმე კლასი ცარიელია. როგორ არ მინდა მთის დაცლა. ღმერთო, „მთას დაუბრუნე მთიელი“, არსად და არასდროს მსმენოდეს: „სოფელი სოფელს გასძახის: დაილიე თუ ხარაო...“)

ჩემი გუდანი,
გუდარახი,
გუდანაბადი,
ჩემი გუთანი,
გუდასტვირი,
გუდამაყარი,
სად გაფრენილა, გაკრეფილა
მართვე, ნაყარი,
საქართველო ხომ მუდამ აქ დგას,
მუდამ აქ არი?!

ვინ დამიცალა
ძველი მუქო,
მაქართა, მუცო,
ჩემი დუმაცხო,
უკანახო,
ჩემი შუაფხო,
რატომ აღარ ჩანს ჩანადირი,
სადა ჰყავს ცხორი,
ხუთი წელია, გარდაცვლილა
თურმე ანზორი,
ვეფხიას ფარეხს ხომ იცავდა
ბომბორა ორი,
სანათას აღარ უწიოკებს
კრუხ-წიწილს ქორი.
რატომ არ ყივის აქ მესერზე
ისევ მამალი,
სად წაუღია თინა ბებოს
წინდა, წამალი?!
მოჩანს ეულად დარჩენილი
ჭალა-ტრამალი,
სად არის შიოს ლურჯა ცხენი,
რაში-ფრთამალი?!

საით წასულა, მითხარ ძმაო,
ფიცხელაური,
მომნატრებია სალამური მე აქაური,
სად გადავიდა საცხოვრებლად აფციაური,
ვინ გამოკეტა ჩოხელი
და ჩობალაური?!
დადუმებულა ძველი დიხჩო,

ძველი ათნოხი,
მიძინებულა ქვემო ხევი,
ზემო კიტოხი,
ეზოში ყრია დაჟანგული
ნამგალი, თოხი,
მეცარიელა უგოდერძოდ
სოფელი ჩოხი.
ჩამონგრეულა ბექაურის
ფარეხი-ზღუდე,
ხევზე ვინ გადო გაუთლელი
ბოგირი, მრუდე?!
გემუდარები, ძმაო, ისევ
უკან მობრუნდე,
სიცოცხლე მისცე გუდამაყარს,
აღარ მოდუნდე.
გიხმობს გუდანი,
გუდარახი,
გუდანაბადი,
შენი გუთანი,
გუდასტვირი,
გუდამაყარი,
სად ხარ, ქართველო,
შენი ფუძე მუდამ აქ არი,
გმართებს ამ მთების პატრონობა
ვაჟას მაგვარი...

ლადო ასათიანს

სადაც ყაყაჩო შემხვდება – შენ მახსენდები ლადო,
შენი „ბებერი კრწანისით“ დაღვრილად ცრემლ-სისხლადო,
„დაუკარ“ სამშობლოსათვის, აენთე მწველ ცეცხლადო,
ჩამოუფრინე „ბარდნალას“ გაზაფხულის მერცხლადო.

„ქართული ლექსის რაინდო“, მოგვედ ტანს ტკივილადო,
თბილისს, ფიროსმანს უმღერე რა თბილად, რა ტკბილადო,
შენი ლექსები ჩაგვესმის არწივის ყივილადო,
გულებს მალამოდ დაედე, სატრფოს – სიყვარულადო.

„ოქროყანელო ჭაბუკო“, გაგვეცან ადვილადო,
შენ ავლაბარი გვიქციე საყვარელ ადგილადო,
თბილისი მოახატვინე ნიკალას ზღაპრულადო,
რუსთველზე ჩამოატარე ანიკო დედოფლადო.

გავაზის მართვე „მოქნიე“ სამას არაგველადო,
ორბელის ციხეს დაუდექ დარაჯად და მცველადო,
ლაჯანურიდან მომართე ქნარი გულის მწველადო,
მეტეხის ციხეს შემოდექ ღირსეულ ქართველადო.

არ გაგვიცივდე, ჩაგისვით დიდუბეს „ცხელ გულადო“,
გისმინეთ საქართველოსთვის – ერთ მუშტად, ერთგულადო!
ერთხმად დავჭექეთ „მარაბდა“– დავუხვდით მტერს მტრულადო,
მით „ქართვლის დედა“ არ ითვლის „ცხრა ძეს“ დაკარგულადო.

როგორ უყვარხარ ქართველებს, ნეტა, თუ იცი, ლადო,
,,თამარ დედოფლის დარბაზმა“ ჩაგიკრა გულს შვილადო,
ვის ჩაუთვლია არწივი ქათმად ან წიწილადო,
შენი ლექსების სურნელი მინდა, მეც ვიწილადო.

ჭრილობად შეგვრჩი ქართველებს, დრო-ჟამ შეწყვეტილადო,
გვიჭირს, ვუმზერდეთ მანანას თვალცრემლდაწრეტილადო,
გულს აბნევიხარ ათასებს ყაყაჩოდ, ყვავილადო,
ქართველს ეგულვი მარადჟამს ზეცად აყვანილადო.

ღ ე ბ ი

სამოთხის ბჭე გამოვაღე –
ცქერით ვეღარ ვძღები,
„რაჭა – ჩემი სიყვარული“ –
გონა, გლოლა, ღები,
მთებს სხივებად დაჰფენია ცხრათვალა ჭაღები,
შემომდგარა, დატვირთულა ზვრები და ბაღები.

მწვერვალები დახატული,
ძირს – იალაღები,
ქართველს ხელში ჩავარდნია ოქროს გასაღები,
ორღობეში ჯირითობენ ცხენებით ბალღები,
მოჩანს გოგო აივანზე ფოტოს გადამღები.

აზვირთული ფერდობები, ვით მწვანე ტალღები,
კაკლის ძირას პურმარილი – სტუმრის მისაღები,
ლობიანი, ყველი, პური, ღვინო ქვევრნაღები,
ხარიხაზე ჩურჩხელები – ქალაქს წასაღები.

აივანზე შეკრებილან ბიჭები ლაღები,
გოგონები წინსაფრებით
– ბარხატ-ბაირაღები,
ჭიანურის ხმა გაისმა, ახსნა ცას თაღები,
„ტაში, ბოშო, გიორგუნა“,
– ყანა ასაღები.

დგას დუროიანი კოშკი
– მტრის ბოლოს მომღები,
რაჭველები – ქართველები,
ყველა ყოჩაღები,
„ხვანჭკარა“ თუ „იზაბელა“ –
მარნის ყონაღები,
„რაჭა – ჩემი სიყვარული“ –
გონა, გლოლა, ღები.

ტარიელ ხარხელაურს

(დაბადების 76 წლისთავთან დაკავშირებით)

ჩაცმით იცნობა მთის კაცი,
ხმლით, გარეგნული სამოსით,
ხან ჩახველებით, ბოხი ხმით,
ხან შესაფერი ტაროსით.

ქუდით იცნობა მთის კაცი,
კაცურკაცობის სახელით,
აწონ–დაწონით, თვალების
ასი ათასად გახელით.

ლექსით იცნობა მთის კაცი,
სიმღერად ქცეულ სიტყვებით,
ჩვენს ,,ხევისბერზე“ გიამბობთ,
ხარხელაურზე გიყვებით.

სახით იცნობა მთის კაცი,
შუბლზე დაჩნეულ ძარღვებით,
ხალხის ალყაში მოქცევით,
გარშემოხვეულ ბალღებით.

იერით იცნობა მთის კაცი,
შავ, დაკოჟრილი ხელებით,
აუგი საქმის დაგმობით,
ხან ფიქრით, ხან გახელებით.

ხალხით იცნობა მთის კაცი,
ნდობით, თავკაცად გაშვებით,
შემგონებლობით ქართველთა –
,,შეჩერდით, ხალხო, რას შვრებით?!“

ენით იცნობა მთის კაცი,
არწივისებრი თვალებით,
ხალხის გულებში დარჩენით,
არასდროს გარდაცვალებით.

დგომით იცნობა მთის კაცი,
გულმკერდმოქარგულ ხედებით,
რას გვარგებს თავის მართლება,
მთისკენ რომ არ ვიხედებით?!

ლექსით იცნობა მთის კაცი,
ხმით, ,,ხევისბერის“ სახელით,
ეწეროს, კვლავაც ეჭიროს
ვაჟას არწივის ფრთა ხელით!

გიორგი ლეონიძეს

პატარძეულში ჩავედი გოგლას კვალსანახავადა,
იების დასაკრეფად და სიტყვების საჩარხავადა,
მარგალიტების საძებნად, გულისგულს ჩამსახავადა,
მისი არწივად აფრენის ჩემ თვალით დამნახავადა,
მზეს ოქროს კაბა ჩაეცვა კახეთის სახატავადა,
ალაზნისპირა ჭალების სავარცხნ-საბარხატავადა,
მონუსხული ვარ ნანახით, ლექსად სახარატავადა,
აწ მეც ფიროსმანს დავეძებ ფერთა საპალიტრავადა.
„თვალსამოთხეში“ ჩამოვჯექ მის ამბის საკითხავადა,
ბროწეულს ძოწი ეფინა უხვყვავილსარიცხავადა,
ქალები სიმინდს რეცხავდნენ, მზით საშრობ-საფიცხავადა,
ისევ „ნატვრის ხეს“ ეხვივნენ „მარიტას“ საკიცხავადა.
ვენახს სიმები გაება ჰანგების დასაკრავადა,
ჭიგოს უსობდა გოგია ვაზებს რქაგასაკრავადა,
„ვარდის ფურცლობას“ ყივჩაღი ტიროდა გულსაკლავადა,
დედალს დასდევდა ცოლ-ქმარი სტუმრისთვის დასაკლავადა.
ფშატი და წნორი ყვაოდა თვალსულგულსაქარგავადა,
ცვარ-მარგალიტი ბრწყინავდა აქა-იქ საკარგავადა,
შმაგი და თოლგა მეახლენ ნუშ-ატმის დასარგავადა,
ვერ ვიმეტებდი ვერავის ქალაქში საბარგავადა.
კვლავ იდგა „ჩვენი ჭერამი“ ნარინჯთვალსახუჭავადა,
ვარდის დაკრეფა დავიწყე სახლსაფენ, სამუჭავადა,
ცაცხვს შესეოდა ფუტკარი ყვავილის საფურჩქნავადა,
დოქით მომადგა ბერდია სალხენად-საბუქნავადა.
„ვერცხლულა“ იორს დავუყე თევზების საფანტავადა,
კამეჩებს გუბე მიეგნოთ საწოლად, საზანტავადა,
ვერ იმეტებდა მდინარე ნაპირებს საბლანტავადა,
„ოლე“ - მარტო ხე ჩავითქვი ფიქრების სატახტავადა.
„ბროლისნამსხვრევა“ ზვირთები წელში მწვდა საკეცავადა,
გოგლას თევზები მიხმობდნენ სამღერად, საცეკვავადა,
ხოხბის ყივილი მომესმა მიდამოს საძეწკვავადა,
წნორებში დურაჯს დასდევდა საჭერად-საწეწკვავადა.
მგოსანო, ღირდა ჩამოსვლა შენ წალკოტსანახავადა,
ვინ იმეტებდა შენს კახეთს, ნეტავ, საპარტახავადა,
აწი ვერავინ მოგდგება საჯიჯგნ-სატალახავადა,
შეგაქსოვთ ჯაჭვის პერანგებს აკვანთ საარტახავადა.
მართლაც გდებია სამშობლო საგულედ საფეთქავადა,
,,სამშობლოს ჩუქურთმის მჭრელო“ - მკითხველის სათუთქავადა,
იგულე სრულ საქართველო შენ განძის დამლუქავადა,
შენი ლექსები სჭირდება თაობებს სასუნთქავადა.

ტ ბ ე ლ ო ბ ა ზ ე

ვნახე, ხიხანს თავს გვირგვინი დაედგა,
მზეს აქ ფუნჯი ოქროს წყალში ჩაედვა,
ტბელს დარაჯად არწივების მთა ედგა,
ჩიტს ბუდეში სამი კვერცხი ჩაედვა.
ვნახე, „ხიხანს“ რა „ხორუმი“ დაედგა,
მუხის ფოთლებს ოქროსფერი დაედვა,
კაკალს, ყურძენს რა ღრმად ფესვი გაედგა,
გლეხკაცს ხევში ხის ბოგირი გაედვა.
ვნახე, ხიხანს აქ „ვარდციხე“ დაედგა,
ტყისკაცს მხარზე ისევ ცული გაედვა,
ერთ ბალღს ფეხი სულ ახალად აედგა,
კაცს წყაროზე აზარფეშა დაედვა.
ვნახე, თამარს სადაც ფეხი დაედგა,
ფურტიოში თაღის ხიდი გაედვა,
ვნახე, სხალთას მუზეუმი დაედგა,
სელიმს, შერიფს რა სახელი დაედვა.
ვნახე, ხიხანს ცა გუმბათად დაედგა,
აქ ერისკაცთ რა ტრაქტატი დაედვა,
უკვდავების სელიმს ძეგლი დაედგა,
ტბელს ჭოგრიტი ციტადელზე დაედვა.
ვნახე, ვერნებს ჩახჩახა მზის ცა ედგა,
კლდე-კბოდეზე არწივს კვერცხი დაედვა,
ბაკი-ბაკოს კაცს ზვინები დაედგა,
შერიფ-ბეგი ,,ქოჩახს“ გულში ჩაედვა.
თხილვანელ კაცს ხევს წისქვილი ჩაედგა,
დიასახლისს აქ რა მწნილი ჩაედვა,
,,ქვათ იის წყალს“ გზად რა სუფრა გაედგა,
შემოდგომას განძის ფასი დაედვა.
ვნახე, ხიხანს დიადემა დაედგა,
მისთვის აქ ხალხს რა პატივი დაედვა,
ჭრელ წინდაზე სტუმარს თვალი დაედგა,
მთის სიმღერა გულს მალამოდ დაედვა.
ვნახე, ხიხანს თავს გვირგვინი დაედგა,
მზეს აქ ფუნჯი ოქროსწყალში ჩაედვა,
ტბელს დარაჯად არწივების მთა ედგა,
გულებს შორის ძმობის ხიდი გაედვა.

ლუხუმ ჩხვიმიანს

(ტოკიოში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ძიუდოში ლუხუმ ჩხვიმიანი მსოფლიო ჩემპიონი გახდა)

ახლოს ვიყო, მხრებზე აგიტაცებდი,
შემოგსვამდი ცხრათავიან შხარაზე,
სვანურ ქუდით ყველას დააცეცებდი,
ოქროს მედლით ჩაგიკრავდა ხვარამზე.

სვანურ კოშკზე ჰიმნი აჟღერდებოდა,
ქართულ დროშას აღმართავდა მამამზე,
მესტიაში დილა გათენდებოდა,
დოღ-ჯირითი გაჩნდებოდა შარაზე.

ვაჟას მთები კალთებს დაგაბერტყავდა,
ტოკიოში ოლიმპიურ ტატამზე,
ლუხუმი ხომ საქართველოს - ერთს ჰყავდა,
არწივი ხომ არ იცვლება კაკაბზე.

თბილისი დიდ ,,ხორუმს“ ჩაგიქუხებდა,
უშბა როგორ მოგწვდებოდა შხარაზე,
საქართველო გულში ჩაგიხუტებდა,
გალაქტიკას მოგირთავდა ხარაძე.

ნიკო იყოს, სვანეთს დაგიხატავდა,
ლემით ხელში შემოგსვამდა შხარაზე,
ლომგულს დედა სუფრას გაგიმართავდა,
ოქროს მედლით ჩაგიკრავდა ხვარამზე.

თამარ ფიცხელაური – იურისტი
თელავის სანოტარო ბიუროს ნოტარიუსი

...აქ ვარძიაში, ლოდები ტირის...

ვარძიის ცაზე ნისლი ჩამოწვა...
დილა უცნაურ მიმწუხრს მპირდება...
აქ, გორაკებზე, ლოდები ტირის,
რიჟრაჟიც ნისლით დაიბინდება;
აქ ქვების სულ სხვა სასაფლაოა!..
აქ, ვარძიაში, ქვები ტირიან...
სხვა ასტრალიდან ჩამოვარდნილი,
მეტეორები შემომცინიან;
ტირილი მსურდა მეც, ამ ლოდებთან,
მისამძიმრება, მიმწუხარება,
აქ, თმოგვის ციხის ბებერ თვალებით,
მიმზერდა სულ სხვა იდუმალება.
აქ ქორისფერი, მკაცრი ღრუბლები,
ჩერდებიან და სულ არ მიდიან,
ჩამომეწყრილა აქ ისტორია
და დაფარულიც ცხადზე დიდია...
აქ მომერია მთების სიმაღლე,
ნისლებაყრილი ზეცის კარებთან...
აქ, ვარძიაში, შეშლილი მტკვარი,
ნაკადულივით მოწანწკარებდა!
თითქოს დაკარგულს ტიროდა ჟამი...
აქ, ჟამთა უწინ ბევრი ვნებულა!..
ქვათა ღაღადში, მტირალ ლოდებში,
თამარის სული დავანებულა.
და მეც ვეძებდი უღვთოდ დაკარგულს...
აქ ბედისწერას ბედი დანებდა!..
...და როგორც ვიღაც, ბედის ნებიერს,
თამარის ლანდი დამტრიალებდა...
აქ, ამ ზეცის ქვეშ, სულ სხვა ვიყავი...
ამ კლდეებივით მკვიდრად ნაგები!...
ვერ მისწორებდნენ შეფარულ მზერას,
ის გულზვიადი ათაბაგები!
...და როგორც შეშლილს, გაფრენა მსურდა!..
ღამე უჩუმრად წასვლას ჩქარობდა...
არ იყო შიში, იყო ღვთის ნება,
ჩემსკენ ასე რომ მოიჩქაროდა!...
აქ, როგორც არსად, ისე ლამაზად,
საღამოვდება, მშვიდად ბინდდება...
უამლოდებოდ, უამმხარეოდ,
ვიცი, ძალიან გამიჭირდება...
აქ დილა, როგორც მარადისობა,
დამნებდა, მეყმო, ოღონდ მეფურად...
აქ, ვარძიაში, გრძნეული ღამეც,
მონუსხულ ტანზე საბნად მეხურა!
ლოდების სრულქმნილ სიწესრიგეში,
ამაყად დუმდა ქვების ქაოსი,
აქ ვეზიარე იდუმალებას,
ლოდების სულ სხვა სასაფლაოსი!

... თ უ დ ა მ ი ჯ ე რ ე ბ თ ...

წუხელის სიკვდილს უშფოთველად ველაპარაკე,
წუხელ სიკვდილი უსასრულოდ მელაპარაკა!..
მდუმარებაში შევიმოსეთ, უთქმელად მითხრა,
დამპირდა, მისგან, უსიკვდილოდ დამიფარავდა!...
მოვიდა ისე, მიჯნური რომ მიდის მიჯნურთან,
საპატარძლოსთან, როგორც ნეფე მიდის მეფურად...
არ იყო უცხო, არც უსახო, არც შორეული,
არც ცელი ეპყრა და არც თავზე თალხი ეხურა!
ვილაპარაკეთ, ჩვენ ცოდვებზე, ვილაპარაკეთ,
შემკრთალ ღამეში უფრო მკრთალი სიმართლე კრთოდა,
ვიაღსარებე...როგორც მოძღვარს, ისე გავენდე,
მომიტევებდა, მეგონა ან შენდობას მთხოვდა!..
იქ, სიცოცხლეში, ფერმიხდილი სიკვდილი იდგა...
ვერაფერს იტყვი... ალბათ, მასაც ასე ენება...
ველოდებოდი აღსარება-ზიარებისთვის,
რომ მივეყვანე აღსასრულის საკურთხეველთან!
...მიმწუხრი იყო, ჩემთან იყო უცხო სტუმარი...
სიკვდილის სტუმარ-მასპინძლობა დამრჩა არაკად!...
თუ დამიჯერებთ, მთელი ღამე, თვითონ სიკვდილი,
უდასასრულოდ, სიცოცხლეზე მელაპარაკა!...

* * *

თოვს უცნაურად, ისე მოწყენით,
მინდა ავასხა სევდის აკიდო...
და თოვლიანი ეს სიმარტოვე,
თოვლის ფიფქებზე ჩუმად გავკიდო!..
თოვს, ისე ჩუმად და უნუგეშოდ,
გაიამინდოს, არა მგონია!...
ჩემ სიჩუმესთან თოვლის სიჩუმე,
იცოდე, მართლა, მონაგონია!...

თოვს და მგონია, არ გადაიღებს...
ავუტანივარ თოვას ჟინიანს...
გამოგიტყდები, უკვე ამ თოვის,
არც ამ ფიფქების არ მეშინია!..
ისე აღარ თოვს, ვით თოვდა უწინ...
არც ის ფიფქები მატყვია დარდად!..
ირგვლივ თოვლია...არ ჩანს არავინ...
უშენობის და ... სითეთრის გარდა!..

... არ მესვენება...

... არ მესვენება, რომ არ ვუთხრა დღეს სამძიმარი,
ღამეს რა ვუთხრა?..როგორცა სურს, ისე იაროს,
ჩამოაბერტყოს ხორშაკ ქარებს ცის ნაწვიმარი,
თუგინდ ნათელი სიბნელეში გაატიალოს...
უკვე ჩავლილი ის დღეებიც შემომტირიან...
მეც ავქვითინდი, მათი ცოდვა-ბრალით ავივსე...
აქ, ძველებურად, ზოგგან- ჭირი, ზოგგან – ლხინია,
მე კი, ვერც ერთი მათგანი ვერ გავითავისე!..
თბილ ქვეყნებისკენ მიფრინავენ ჩემი მერცხლებიც...
უკიდეგანოდ სევდიანობს დედა-ბუნება...
მათ მოფრენამდე უსათუოდ შევივერცხლები,
ყოველდღე ჩემი სარკეც ამას მეჩურჩულება.
...უნდა გაფრინდნენ მერცხლები და ჰოდა, მიდიან...
აღარც მოწყენის სიმძიმილი არ აგვიანებს ...
მოსვლა და წასვლა ერთი დიდი პანაშვიდია,
სულს რომ ამშვიდებს და მერე რომ ანაგვიანებს.
გამოკეტილა ყველა კარი, ყველა სარკმელი,
გრძელ ღამეებში მესიზმრება ცისკრის ნათება...
იმ ჩემ მერცხლებზე დამიგროვდა შენთან სათქმელი,
მოდი და ღამე გამინათე, ციცინათელა!..
...ამ მიმწუხრისას უკვე ვუთხარ დღეს სამძიმარი...
გამიხუნდი და აღარ მინდა შენსკენ ყურება...
შენ ჩამობერტყე ჩემს ტირიფებს ცის ნაწვიმარი,
,,კვლავ უყვარხარო", ღამე შენზე მეჩურჩულება!...

...ვინ იცის...

ვინ იცის, იქნებ, არის გვიანი,
რომ გავაღვიძო ზეცა სრულიად,
რომ ღამემ შენზე ჩაიცვა დარდი
და დილით ჩემი აღსასრულია!..
...და რაც იწყება, რომ ვერ მთავრდება...
და ანგარიშიც ნულით ნულია,
რომ ჩემი ყველა გზა და ბილიკი
შენსავით ღრმა და დაბინდულია...
...და ჩუმად მივალ იმ დასასრულთან,
ხმაურით სხვები სადაც მიდიან,
სადაც სურებში იღვრება წყლები,
სადაც ბილიკი უფრო დიდია,
ვიდრე შარაგზა, ამოუცნობი,
თუ მზე დისკოზე გადასულია...
დაგიფენ ჩემი ზეცის გვირილებს,
სულ ცოტას, ანდა – იქნებ სრულიად...
ვინ იცის...რისი დასაწყისია?..
ვინ იცის რისი დასარულია?!.

....არავისია, სამუდამოდ, ეს სამყოფელი...

ველით გაზაფხულს, ზაფხულს ველით, მოველით ზამთარს
და შემოდგომის მოლოდინი უფრო დიდია...
ზაფხულის მერე შემოდგომა, ხომ სიყმაწვილის,
სიჭარმაგესთან გადებული ბეწვის ხიდია!...
შემოდგომაზე გავიხსენებთ გავლილს, გასავლელს,
ავიტუზებით შეცდომილნი სამოთხის კართან,
აქ ეთხოვება სული სხეულს, როგორც სამყოფელს
სიკვდილ–სიცოცხლის ამ შეუმცდარ გზაგასაყართან...
დღეს ღამე შეცვლის, შემოდგომაც ზაფხულს გარიყავს...
თვალს მოხუჭავ და ...ვაგლახ, ღამე დღეზე დიდია...
შემოდგომაში შეაბიჯებს დღე ფერმიხდილი,
იქ, სადაც მკაცრი, გრძელი ზამთრის დასაწყისია!..
...ყველა დრო წავა, ყველაც წავა, ვინ იცის საით...
ვინ კვალს დატოვებს , ვინ ლანდს ამჩნევს მხოლოდ ალიონს...
მე არ მაშფოთებს მეწამული ზეცის შესუდრვა,
რომ წამიღოს და თეთრ თალხებში მალიტანიოს.
...ცა სინანულით გადავსებულ სასმისებს შესვამს...
შეუვსებელი აზარფეში უკვე სხვისია!..
არავისია სამუდამოდ ეს სამყოფელი,
ეს სააქაოც, სამუდამოდ, არავისია!..

თავს ვიიმედებ...

...თავს ვიიმედებ: რომ ძველებურად,
წვიმები დედა ღრუბლებს ტირიან!..
მზე იცინის და ხანაც – პირს იბანს,
ჩემთვის მარხვა და შენთვის – ხსნილია;
დაძლეულია ყველა სურვილი,
დღეის დღე ხვალის გაკვეთილია,
გამოხსნილია ბჭენი სამოთხის
და ჯოჯოხეთის – ჩაკეტილია...
სასწორზე მიდევს მადლი და ცოდვა,
ზოგი მცირე და ზოგი – დიდია,
ზოგი მკლავს, ზოგი – ისევ მაცოცხლებს,
ჩემი, თან ჩემგან განკვეთილია...
დღეის სირცხვილი ხვალემ წაიღოს,
გუშინ ხომ სასოწარკვეთილია...
მე ყველა წვიმა საცერში გავცერ,
ერთი დამრჩა და... ის მეშინია...
იმედი თვალს და ხელს შუა ქრება,
გზა ხსნისა, უკვე დაკეტილია...
უდასასრულო მარხვა დაიწყო,
უკიდეგანო, ვისთვის ხსნილია...
გაუსაძლისი უნდოობაა,
რწმენის ჯებირიც – გადახსნილია,
წვიმები დედა ღრუბლებს კი არა,
უკვე საკუთარ თავს დასტირიან...
...საცერში გავცერ ყველა სურვილი...
...ერთი დამრჩა და...ის მეშინია!..

... მაფორიაქებს ძველებურად ეს შემოდგომა...

... მაფორიაქებს ძველებურად ეს შემოდგომა...
აღარ ეტევა გული თავის მყუდრო ბინაში;
იქნებდა მოხდეს სასწაული , საბედისწერო...
და ოცნებიდან გადმოხვიდე სინამდვილეში!..
შენ, გაზაფხული დამიბრუნე, ნაზამთრის მერე...
ისევ აყვავდნენ ჩემი ფიქრის მორცხვი იები;
სიზმარეულად მოგიტაცებ და შორს წაგიყვან,
იქ, სადაც თეთრად ბრიალებენ აკაციები...
..ფეხქვეშ გაგიფენ შემოდგომის მეწამულ ფერებს...
ფერებს, ნაფერებს შენს წყვდიადში გაგიმზიანებ,
სანამ ღრუბლებში გამიტაცებს ეს ფოთოლცვენა,
გადამარჩინე, გევედრები, ნუ იგვიანებ!...
გადამარჩინე, რომ გაჩუქო დილის რიჟრაჟი,
მოგიყვე, როგორ ვერკინები ღამის აჩრდილებს...
აღარ დაგტოვებ, გეფიცები , ჩემს უშენობას,
ოღონდაც, მოდი, ერთხელ კიდევ ,გადამარჩინე!..

მე... მზის შვილი ვარ...

ღამისგან დაღლილს გარიჟრაჟი მოწყენას მომხსნის,
და ყოველ დილით პირმცინარე ალიონს ვხვდები...
ჩემში კვლავ სახლობს მზით გამთბარი ზეცა და მიწა,
ამის პატრონს და ამის მქონეს, რად მინდა ფრთები?!.
მე მზესთან ერთად პირს ვიბან და თან ვათინათობ...
და მზესთან ერთად, ყველაფერს ვგრძნობ, ყველაფერს ვხვდები...
მე... მზის შვილი ვარ, დედამიწა ჩემს ირგვლივ ბრუნავს
და ყოველ დილა ვცოცხლდები და თან, ისევ ვკვდები,
ჩამავალი მზის ანარეკლი საბნად მახურავს,
ხან ვბრწყინავ, ხანაც, მზის ჩრდილივით, უკვალოდ ვქრები...
მზისფერ პანაშვიდს მთვარის შუქზე ღამე მიხდის და
ყველაფრით სავსეს, რაღად მინდა, რომ მქონდეს ფრთები?!.

...მე მეშინია შემთხვევითობის...

დღისით უღმერთოდ ნათქვამმა სიტყვამ,
უკვე რამდენი ღამე გამიკრთო;
მხრებზე შევიდგი თმენის კოკები,
იქნება ტკენა გადამავიწყონ.
დალოცვილ იყო სწორი გზა-შარა,
საცალფეხონი, ვაგლახ, კრულ იყო...
მობურულიყო ძირს დედამიწა
და მაღლა ზეცა მოსარკულიყო.
გზაარეული სიტყვა და ფიქრი,
გზადაწყობილად აღარ დიოდა,
ძლივს დაჭერილი ნანატრი წამი,
მიდიოდა და არ მოდიოდა...
ნაღამურ ზეცას კუპრის დალალებს,
მზით შემღვრეული დილა ვარცხნიდა,
რიჟრაჟის ხაო შენც ჩემნაირად
დაგივლიდა და ტანში გაგცრიდა...
თუ ერთხელ ჯავრით ნათქვამმა სიტყვამ,
ღამე ვერაფრით გამიკრთო რული...
დამბადებელო, რაღაც მენიშნა,
დასაწყისია, თუ – დასასრული?!.
...თუ სეფე სიტყვა, როგორც მიმინო,
ცერზე მიზის და დაგეშილია,
მე მეშინია შემთხვევითობის,
გარდუვალობის არ მეშინია...
დღისით უღმერთოდ ნათქვამმა სიტყვამ,
მინდა ურიცხვი ღამე გამიკრთოს...
მხრებზე შევიდგა თმენის სურები,
რომ შურისგება გადამავიწყონ!..

ვაი, შენ, ჩემო ნაღველო...

ვაი, შენ, ჩემო ნაღველო,
აუწერელო ენითა,
აუზიდავო ლოდებო,
შეუდარებნო თმენითა...
იქნება ვინმემ ამიხსნას,
რისთვის მოვედი ამ ქვეყნად,
ან სად, რა, როდის იწყება,
ან სად, რა, როდის მთავრდება?..
არც დასაწყისმა მიშველა,
არც დასასრული მარგია,
ნუთუ, ეს წუთისოფელი,
ერთი უთქმელი დარდია?!.
ისე არ მომკლა, სიკვდილო,
ცოდვა არ გამაყოლიო,
ამქვეყნიური ნანანტრი,
იმქვეყნად ჩამაყოლიო...
საფლავის ლოდიც ცოდოა,
ამდენი ცოდვის მოცილე,
ამოდი, სულო მიწიდან,
მზის სხივი დამაკოცნინე.
ლოდებქვეშ დარდი ბობოქრობს,
დარდი, ბოლომდე უთქმელი,
ამოიგმინებს, ქვას დაძრავს,
სურვილი გამოუთქმელი...
გემუდარები, სიკვდილო,
კალთა არ ამაკრეფინო,
და ჩემ სევდიან მდელოზე,
ოცნება დამაკრეფინო...
ან გვირილების მინდორზე
ფეხი არ დამადგმევინო,
ისეთი ჭირი არ მომცა,
სული არ მამათქმევინო...
ერთი, უთქმელი გულისთქმა,
როგორმე დამათმენინო,
იმ სიყვარულის ზღაპარზე,
აუგი არ მათქმევინო!..

...თითქოს, მართლა იყო...

...თითქოს, გუშინ იყო,თითქოს, მართლა იყო,
მზემ რომ თვალი მკიდა,
შენთვის რა იყო და სხვისთვის რა არ იყო,
შენდა საძრახისად,
როგორ შემოგკადრა,როგორ დაგეტოლა,
როგორ გაგიბედა,
იმ ცხრათვალა მზემ და ან იმ თვალით
როგორ,
როგორ შემომხედა?!.
ნეტავ არ გენახა და არ დაგენახა,
ნეტავ არ ვენახე,
იმ მზეს, ჩემდა ბედად...ვიცი, არ შეარჩენ...
და არც აპატიებ!..
ასე თუ გიყვარდი, მითხარ რატომ, ნეტავ?
ასე თუ გიყვარვარ,
ასე თუ გაშფოთებ, სიტყვას გაგიბედავ,
მაგ მზეს არ შეეხო,
გული არ ატკინო, მხოლოდ შემომხედა,
სიტყვაც არ დაუძრავს,
ერთი შემოხედვით, ცეცხლი წამიკიდა,
რა მოხდა, თუ ჩემი,
დიდი და უთქმელი, სიყვარული სჭირდა?..
მზემ ხომ მისი მზერით,
შენდა საძრახისად, მხოლოდ თვალი მკიდა?
ხოდა, გაჯობა და
ხოდა გაგეტოლა, ხოდა გაგიბედა...
თითქოს ახლა იყო,
თითქოს სიზმრად იყო, მზე რომ გამეკიდა,
კი არ მომეფერა,
კი არ მეალერსა, შენ მტრად წაგეკიდა;
...და ის ცეცხლის ალი,
შენი მტერის ალი, შენს ნაკვალევს შლიდა,
ჩემი იყო და თან,
ჩემი აღარ იყო, აღარც დამაძინა...
და რაღა დროს შენი
მზერა, შენი თვალი, მზის კვალს გაეკიდა,
არც შენ დარჩი, არც -მზე,
არც გუშინ და არც დღეს,ღრუბელს დაებინდა,
შენთვის ბრაზი იყო,
ჩემთვის ნაზი იყო, მზის ის შემოხედვა...
...იმის მერე, იმ მზის,
იმ ცეცხლიან გზიდან, შენ და ის თვალები
აღარ შემომხედავთ...
სხვაგან გავიხედავ, მეც არ შემოგხედავთ,
მართლა გაგიბედავთ...
...მზემ რომ თვალი მკიდა, შენ რომ მზერა
მკიდე,
მეც რომ გიღიმოდით,
აბა რას ფიქრობდით, აბა რას ბედავდით,
ჩემი გადამკიდე?
მზემ დაგასწრო , ამ გულს,
ცეცხლი წაუკიდა, შენ რომ სხვაგან იყავ,
შენ რომ აღარ იყავ,
მე რომ მარტო ვიყავ... ხოდა გაჯობა და
ხოდა დაგეტოლა,
ხოდა გაგიბედა...მზისთვის ალალ იყოს,
შენთვის არამ იყოს,
ჩემი გაღიმება!....

...მომბეზრდა შენი როლის თამაში...

...კმარა!..დაეშვა, ეს რკინის ფარდა!...
შენ დარჩი სადღაც, კულისებს იქეთ...
მე დიდ სცენაზე შემოვდგი ფეხი,
არ ვიცი, ამით, ვაგებ თუ, ვიგებ...
მინდა, რომ სხვისი როლი მოვირგო,
და შენებურად უნდა დაგსაჯო...
თან, ეს იქნება გამოთხოვება,
ჩემგან შექმნილი შენი სამსჯავრო!..
აღარ არსებობ, ჩემში, გჯეროდეს!..
ნებისყოფასაც ეყოფა ღონე,
მსურდა, ლამაზად მეთქვა, სათქმელი,
მხოლოდ ამიტომ გამოგიგონე!
ჭეშმარიტება არის სიმართლე!..
და ეს სიმართლე, წამის ფასია...
წარმოსახვაში გმირად გაქციე,
და ის დროც, იცი, რა ძვირფასია?..
მომბეზრდა სხვისი როლის თამაში,
გაგაფერმკრთალე... და შენც, ხუნდები...
იმ შემოდგომის ფიქრად გაქციე,
საერთოდ, რომ არ იმსახურებდი!..
...და თუ არ მინდა სცენას მოვშორდე,
და თან... არა მსურს, დამირჩე შორი...
ფეხქვეშ გაგაცლი მაგ დედამიწას,
კი შემწევს ძალა, ამისი, მგონი!...
შევეთამაშე ცასა და მიწას...
ახლა, მსურს, დღე და ღამე გავყარო!..
წაგართვა როლი...და განძარცვული,
მათხოვარივით ჩამოგატარო!...
ისე ლამაზად დავტოვო სცენა,
როგორ კრძალვითაც ზურგი გაქციე!...
მართლა თუ გჯერა იმ ფოთოლცვენის,
ზღაპრულ პრინცად რომ გადაგაქციე?!.
როგორ გეძებდი, ცაშიც, მიწაზეც,
გეძახდი , მაგრამ, ვერ გაგაგონე!..
აქ, ამ სცენიდან, გეტყვი ხმამაღლა,
კულისებს მიღმა, მე მიგატოვე!..

...იქნებ, მითია მეფობა დროის!

...დრონი მეფობენ, არა მეფენი,
თუ დროში დროის გარეშე დავრჩი?..
ხანდახან ვიყავ დროის უფალი,
ხან – დროის მიღმა შეშლილი ბავშვი;
დროის მეფობამ ვერ გამომცვალა...
მე ყველა დროში იგივე დავრჩი!..
დრო ჩემებურად გავინაპირე,
მაგრამ მედროვე ვერასდროს გავხდი.
შევხსენი უხმოდ დროის დარაბა,
ვნახე ბრძენები და შეშლილები...
არ მაოცებენ დროს ვინც გაუსწრო,
არც, დროში ჩუმად ჩარჩენილები.
მაოცებს ღამის ნაცნობი ჩქამი,
დილით კი, შაშვის უცხო გალობა,
ვირწმუნე დროის დიდი სიმცირეც,
და დროის მძაფრი გარდუვალობაც.
...იქნებ, მითია მეფობა დროის,
ბევრად მართალი და უფრო ნაღდი?!.
დრო ნაბადივით მივთელ–მოვთელე,
მაგრამ... მედროვე ვერაფრით გავხდი!..

...შემომეფანტნენ მოკეთენი...დავცარიელდი!...

...შემომეფანტნენ მოკეთენი...დავცარიელდი!...
არც სიამენი ამა სოფლის აღარ მიცდიან...
გამომიცდია აღმაფრენის სულ სხვა ნირვანა,
სასოწარკვეთის სიმძიმილიც გამომიცდია!..
უკვე ფეხთა ქვეშ შევიგრძენი ძალა აღმართის,
სურვილებს ზემოთ გული დაღმართს ესალბუნება,
ალბათ, აქ არის არჩევანის გზაგასაყარი,
აღზევების ან დამდაბლების მძაფრი ცდუნება!..
ვგრძნობ, დროსთან ერთად უფრო როგორ გავიმარტოვე,
სისავსის ხიბლში შესვლა უკვე აღარც მიცდია!..
ყურსუკან დამრჩა სურვილები, როგორც მირაჟი
და ის ნირვანაც არასდროს არ გამომიცდია!..
დაფანტული და გაბნეული, აი რა დავრჩი!..
ბევრი რამ ვიყავ, რომ მეგონა, იქნებ ვცდებოდი?..
და რომ შემეძლოს დროის უკან შემობრუნება,
იმ ნირვანისკენ, უყოყმანოდ გავიქცეოდი!..

ს ა ს წ ო რ ი

მისხალ და მისხალ დაგაკისრა, წონო, უფალმა,
შენ სასწორი ხარ, უფლის თვალით წონი ყველაფერს...
პინა გიბოძა, თანაც ორი, ნება შენია,
როგორ აწონი, თანაბრად თუ, შეცვლი ვერაფერს.
დიდი ტვირთია, შემოგყურებს ათასი თვალი,
შენ ვის ხელში ხარ, ვინ წონის და ვინ კი-ხალისობს,
ალბათ, სასწორი უნდა იყოს, რომ შენი ჯვარი,
ატაროს ვინმემ და შენსავით გაითავისოს.
იმ პინებს, შენ რომ ამოგცქერის, მშველელის მზერით,
ეიმედები, გიცქერიან მხსნელის თვალებით;
ყულფში აქვთ თავი გაყოფილი, ისე წონიან,
სინდის-ნამუსის თოკზე თავებჩამომხრჩვალები...
სასწორი უნდა იყო, თუ გსურს, სასწორს გაუგო,
ფეხზე გეკიდოს ცოდვა-ბრალი მძიმე პინებით,
საკითხავია, ვინ წონის და როგორ აწონის,
შენ ვის გასწირავ, ან შენ ვისით გაიწირები!...
მყარად იდექი...ჭეშმარიტად აწონ-დაწონე;
არ დაგახარბონ ოცდაათი ვერცხლის მონეტით,
რადგან უფალმა დაგაკისრა სულ სხვა მისია,
იყო სასწორი და არ იყო მარიონეტი.
ვიცი, არა ხარ აიწონა, არც-დაიწონა,
არც -საქანელა, მოღალატე, არც – მისი სწორი,
შენ უფლის სინდის-ნამუსი ხარ, არა -ცდუნება,
ვერცხლის მოძულე , უღალატო, უფლის სასწორი.
...საკითხავია, ვის უპყრია შენი თამასა,
ვინ დაგეუფლა, როგორი გზით, რომელ ხიდებით,
ის ნამუსი ხარ, გულში ღალატს რომ არ გაივლებს,
ის სინდისი ხარ, ნივთივით რომ არ იყიდები!...

თენგო ავსაჯანიშვილი – პოეტი

საგალობელი

შენ ხარ ვენახი, ღვთისმშობელო,
შენ ხარ ვენახი!
ვხარობ ნაყოფის შენის-
გულის ქვევრში შენახვით,
შენ ხარ ვენახი, დედავ ხვთისავ,
შენ ხარ ვენახი!

ნაყოფი შენი სიცოცხლედ და
წამლად გვენახვის,
ო, ეს გალობაც, ჩემ სულს
მკურნავ ღვინოდ შევასვი,
შენ ხარ ვენახი, ღვთისმშობელო,
შენ ხარ ვენახი!

* * *

დაცლილ-დახარჯული ახლა მკვდრის მზეს ვგავარ,
სისხლად ვიღვარე და ყვითლად ვიბადრები,
შენ თავს სიყვარული დამასიზმრებს კვლავაც,
ჯერ კი ამ დათალხულ ზეცას მივბარდები.
მინდა უხილავ ცეცხლს შევრთა შენი სულიც,
რითაც ჩემი სული ასე დამწვარია,
მიწა ზღაპარია უკვე წაკითხული,
მაგრამ წასაკითხიც სულ სხვა ზღაპარია:
სადაც ანგელოსნი ამ სულს მივარდებენ,
სადაც ჟამისაგან აღარ ვიძარცვები,
სადაც ვარსკვლავების ვდგავარ სიმაღლეზე,
სად არც დემონური მზერით ვითარსები.
მზისფრად ავენთე და მიწას გავაბიჯე,
ახლა ამ თალხიან ზეცას მივბარდები,
ფერთა ლამპარ- იებს ვტოვებ, როგორც მკვდრის მზე,
ქვეყნად მეც მზესავით ვიცვალ-ვიბადები.

გთხოვ

გთხოვ, სიყვარულით ერთხელც დამბადე,
მომენატრე და შენსკენ დავწუხდი,
მე მინდა იყოს ჩემი ჟანგბადი,
შენი მთრთოლვარე ამონასუნთქი.
ხშირად გწერ წერილს, რას არ ვეცდები,
სიმარტოვეც ვერ ჩამოვიშორე,
ვერა, ვერ შევძელ...ვერც ამ ლექსებით
დავიახლოვე შენი სიშორე.
გულს სიხარული მომფინე ქალავ,
როგორც ცამ მიწას თოვლი მოფინა.
სიცოცხლით ხარბმა გულმა და თვალმა
ერთი სიცოცხლე ვერ იმყოფინა.
გთხოვ, სიყვარულით კიდე დამბადე,
მე უსაშველოდ შენსკენ დავწუხდი
და მინდა იყოს ჩემი ჟანგბადი,
შენი ფილტვების ამონასუნთქი.

* * * * * * *

მტერს სურს მოდარაჯე მთისაც მიძინება,
თერგი ხმიანობს და მტრისკენ იგინება.
მთები მჭვრეტი თვალით ბარში იმზირება,
თავზე მზე ადგია ჩაფხუტ-გვირგვინებად...
გზაზე მოსაუბრე ორი მხედარია,
მთები ორსავ სცნობენ, უფრო მხნედ არიან,
ერთი ილიაა, ერთიც ლელთ ღუნია,
წარსულს შენატრიან, აწმყოს ემდურიან,
გერგეტზე დაკეტილი სამების ტაძარია,
პატრონი არა ჰყავს? თუ ჰყავს სად არიან?!
ნეტა ყველა კაცი ასე დღეს უბნობდეს-
გვიჯობს ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნოდეს!..
.....
მტერს სურს დღესაც ქართველ ერის მიძინება,
ჩემ თერგს ვენაცვალე, მტრისკენ იგინება.

გაზაფხულის მეკვლე

პირველი მარტია.
წასკდა ცას ცრემლები
დიდი ხნის ნაგუბი,
იწოვენ ველები.
რა მიზნიდ ჟუჟუნა,
რა ადრე მოფრინდი?
ასე სიყვარულით
მაისში გვკოცნიდი...
მოდიხარ, აღვიძებ
ყველაფერს ალერსით,
ყველა დააღვიძე
მწოლნი სამარეშიც!
იას და ენძელას
ჯერ ვერსად ვერ ნახავ,
წვიმავ გაზაფხჯლის
მეკვლე წელს შენა ხარ!
შემოსულ გაზაფხულს
ლანდივით მოჰყევი.
იმ ხეებს ცად ასულთ,
გაუხმათ ტოტები,
ო, წვიმავ ვინ იცის
გნატრულობს რამდენი,
უწამლე, შენ იცი,
გიცოცხლოს გამზრდელი!
ამ მიწას ძველთაგან
დაღები ატყვია,
ეს მარტი ძველს არ ჰგავს,
რა თბილი მარტია.
ემ ბებერ თოვლის ქვეშ
მიწამდე აწვდინე.
დაუკარ კლავიშებს,
აწვიმე! აწვიმე!
დაუკარ კლავიშებს,
იცელქე, იხტუნე,
შენ მაინც გაფანტე
ეს მკვდრული სიჩუმე.
იმღერე, იცეკვე,
ერთწუთს ნუ მოიწყენ,
შენი ხმა ამ მიწის
გულამდეც რომ მისწვდეს,
ამ მიწის იარებს
დაედე მალამოდ,
შეირგე მიწაო
გულუხვო, ალალო.
ცაო სიყვარულის
ცრემლებით იტირე,
ალბათ მომავალშიც
სიყვარულს გვიპირებ.
მაშ ეს მელოდია
ხმამაღლა დაუკარ,
ყურს ვინ არ მოუგდებს
ღვთიურ ჰანგს სანუკვარს.
სიცოცხლის მუსიკა
აბა ვის არ უყვარს,
აწვიმე, აწვიმე!
დაუკარ! დაუკარ!
ჩემ ჩანგსაც მოშლილი
სიმები აუწყე,
კვლავ გამოღვიძება
ქვეყანას აუწყე!

მყინვარს

მყინვარო მიწის ასულო
დედოფლად მყოფო ზეცაში,
რაც უნდა თალხი გახურონ,
მთა არ არსებობს შენ ფასი.
ვარდთ ეკალი მამიღირეს,
იებმაც თავი ინაზეს,
ერთხალ კიდავ გამიღიმე
ემ ქალ-ყვავილთა ჯინაზე.
მყინვარო,- მიწის ასულო,
გიჩოქებს,, დრონი მეფენი”,
რაცუნდა შავბნელ გახურონ
მთა არ არსებობს შენფერი.

...
მკვლიავავ, ვარდთ სუნს არ აკმევ,
თუმცა კი ჭკუით ამაყობ.
ყვავილთან თუ ხარ,- ყვავილობ,
ბალახთან თუ ხარ,- ბალახობ.
და მაინც ემაგ ჭჯვიან თავს
ბებერ ხინკალში ამაჰყოფ.

ბებიაჩემისაგან მოსმენილი დარიგება

ამბობ, დედამიწა უკუღმ ბრუნავს,
მეც მჯერა, მიწა ჩვენი წისქვილია,
მიწამ ბევრი ქალ- ვაჟი ჩააბრუნა,
ბევრი-თავად მე დამიტირნია.
როგორც აირია ეს ქვეყანა,
ისრი აირია ამინდებიც,
გვიშველიდა ღმერთი, ხალხსაც რო ეწამა,
ჩვენი მშველელი და დამრიგები.
უწინ უქმობდნენ და მარხულობდნენ,
ხატჩიც ფეხშიშველაი დადიოდნენ,
ზარალსაც ემდენს არ ნახულობდნენ,
საზღაპრო საქმეებს სჩადიოდნენ...
ღმერთისგა დაცლილია ხალხის გული,
საყდრები ხალხისგა დაცლილია,
ერმა დაივიწყა თავის რჯული,
სინდისი გროშებზე გაცვლილია.
როგორც ის სულმნათი ძველი ხალხი,
ემ მამულს თქვენც ისრი მოუვლიდეთ,
არ გახდეთ საწყევარ-დასაძრახი,
ზარალი მტერ-დუშმანს მოუვიდეს.
გამრჯე რო გუთანს ხელს მაჰკიდებდა,
მადლიან ემ მიწაზე თესავ-ხნავდის,
ის ხალხი წყალსაც ცეცხლს წაჰკიდებდა...
ზარმაცს და უსაქმურს ვერ ნახავდით.
ქალებიც უქმად არ მასცდებოდნენ,
შვილთ ზრდიდნენ,ვაჟკაცებს ვეფხვთან შამბმელთ,
ოჯახის საქმეებს რო მარჩებოდნენ,
ღამეებს დილამდე დაართავდნენ...
ამბობ, რო ეს მიწა უკუღმ ბრუნავს,
მეც მჯერა, მიწა ჩვენი წისქვილია,
მიწამ ბევრი ქალ-ვაჟი ჩააბრუნა,
ბევრი- მე თავად დამიტირნია.

* * * * * *

ეს დედამიწა თავს ვის აწონებს,
ცეკვით ტრიალებს ლამაზ ქალივით,
ღრუბლის ლანგარზე სისხლიანი მზე
დევს ნათლისმცემლის მოჭრილ თავივით.

* * * * * * *

როცა გავცურავ წუთისოფელს
ჩემი ძვლის ტივით,
იმ დიდ სოფელში
სად წინაპართ საფლავებია,
თქვით რომ ერჩივნა
მას სიცოცხლის მსგავსი სიკვდილი,
სიკვდილის მსგავსი სიცოცხლე კი
არ ჰყვარებია.
ჩემი ძვალ-ხორცი
მარცვლებივით მიწას იგრძნობენ,
საფლავის ქვაზეც ეს დაწერონ,
თუ დაწერიან:
ძმაო გერჩივნოს
მკვდარი კაცი
ცოცხლად ითვლოდე,
ცოცხალი კაცის
მკვდარად ყოფნა
საზარელია.

ლალი ორმოცაძე – პედაგოგი, საქართველოს ხელოვანთა, მწერალთა კავშირის წევრი, პოეტი
დაბადების ადგილი – ბათუმი

პოეზიის მისტერიას ვუძღვნი ზეციური გენიების სხივოსან სულებს

მითოსურ ბილიკებით...

* * *

ვეძებ სულის სალბუნად, გალაკტიონს საფერად,
ხან ფაზისთან დავეძებ, ხანაც ჭყვიშის კოშკებთან,
რუდუნებით ვეძახი, პონტოს წყალშიც ვთარეშობ...
ხვამლის კლდესთანც გავრბივარ, ვეძებ უსასრულობით...
იდუმალ ქონგურებში გაიელვა მანტიით...
ღამის ლეგენდასავით ველტვი წმინდა ემბაზად,
გალაქტიკის სივრცეებს ვფლობ ვარსკვლავთა მაგიით...

*

ნეტავ ვინ ვარ? რა მინდა? მოვფრენილვარ ფარვანად...
ახლა? ეფემერა ვარ, თავგანწირულ განცდებით,
ჩემში გრგვინვად შემოდის, ქარიშხლიან ქარებით...
გაგვეპარა ზაფხული, ჩაგვიზამთრდა ფიფქებად,
სიყმაწვილის ნათქერზე სიბერესაც დავცინით...

*

დრო და სივრცე ირწევა, რაღაც განსაცვიფრებლად,
მისტერია რიალებს, ტრფობის ცისფერ ლაჟვარდად,
მდუმარება შრიალებს სულის გადასარჩენად,
საუკუნის შეხვედრა შარიშურობს ბაღებად,
საით მივექანებით? საიდუმლოდ დარჩება...
მუზა იმქვეყნიური იფინება ნათებად...

*

ფანტასტიურ ზმანებით, ფიფქისფერი ქროლვებით,
მეფე ლურჯ რაშს მთავაზობს და ველური როკვებით,
ღვინის თასის წკრიალით, უზენაეს ჰანგებით,
უფაქიზეს დარდებით, ნეტარ უსაზღვროებით,
სევდა ითრგუნებოდა ლალისფერი ბარძიმით,
პოეტური გზნებებით, მითოსურ ბილიკებით
ფაზისს მიმაქროლებდა, ნისლის,,ლურჯა ცხენებით!“

*

პოეზიის მორევი ცისკარდება რიჟრაჟით,
ღმერთო! ნუ გამაფხიზლებ! მომასვენე ვალებით,
ოჰ! მთვარეც ხელში მითრთის და თარეშობს მთის ქარიც,
უფლის სახლში ვიხილე პოეტები გიჟმაჟი,
ციურ სიმფონიებით მეგებება ალები...

*

ღმერთო! ნუ გამაღვიძებ!
არვისგან მსურს ნუგეში...
აქ არავინ არ მელის...
არ ვარ არვის საფერი...
ცამ მარგუნა მზის ფერი,
ვარდების სამოსელი,
ია–იის ნამქერით...

*

ჰა! განგებავ,
მომაპყარი ღვთის თვალი!

გთხოვ, გამიღე ცის კარი!
მეც მიბოძე სამყოფი,
ცის სავანე ლაჟვარდში,
მიწისგან განაყოფი,
გალას ქნარი ბაღნარით...
მელოდება ედემში
პოეზიის გრიგალი,
პოეტები გიჟმაჟი...
* * *

მიღმიერი ლანდებია....

* * *

„შევხვდი ქალს, რომელიც ხშირად
მესიზმრებოდა, ვფიქრობ, ჩემი ნამდვილი
სიყვარული
ვიპოვე“. (ამადეო მოდილიანი)

* *

ო, სად?
სად ჩავიკარგეთ ნისლეულები,
დანაფიცარი გაჰქრნენ დღეები,
გაგვიტიალდა გული მფეთქავი,
სული ნეტარი, თავისუფალი,
გახდა მწუხარი...

*

ჰო, ჩვენ დავკარგეთ თავშესაფარი,
სად? სად ვიპოვოთ მყუდრო საყდარი?
შოპენი, გოეთე და შილერი,
ბაირონი, შექსპირი, გოგენი
და გენიების ზენა ლაშქარი
სიყვარულს უფლობს ცის შესაფარში.

*

შოპენის სანდი, ნისლში სიზმარი,
ვოლფგანგ გოეთეს ულრიკე ნაზი,
შილერის მითი, ხმა იდუმალი,
ოჰ, ბაირონის? უბიწო ქალი,
ქართველი თირზა არვის სადარი.
შექსპირის ჯულიეტა, ცის ნამი
გასაოცარი, განძი სამარის....
ვან გოგენისთვის შვება მწუხარი...
დღესასწაულობენ მზეში ნეტარნი,
ცას ენთებიან ტრფობის ლამპარით.

*

ჰა, აბობოქრდა მუზების ქარი,
არღვევს სტიქიას ცეცხლ-მშვილდოსანი,
ეროსი მეფობს ბჭე-ძალოვანი,
გახსოვს? ამიგე სულის ტაძარი,
მაგრამ, მე მაინც ბავშვურ ცახცახით
გულს მიკოდავდა შენი ვარამი...
ო, მარტოობავ,
უნდო, ვერაგო,
ყოვლის მძლეველო,

სევდის მრწეველო...
აღარც თენდება...
მე ვერ მიშველის ვეღარც ცისკარი...

*

ჰეი შენ, ჯადოქარო,
ეშმავ, ლილიტო,
უცნაურ ხმებით
რად, რად მეძახი?
ცდილობ მაცდუნო?
აღარც თენდება?!
ოო, არ თენდება...
რომელი საათიაო?
ვიღაცა ოხრავს...
ბოდლერი, გალა,
ლეონარდო,
ამადეო?
თუ
მსხვერპლი უიღბლო,
მთრთლოვარე ჟანა?

*

არა! არ მკითხო დროი მუხთალი,
ავად მჰრბოლვარი,
არც აწმყო, არცა წარსული
და მით უმეტეს ცრუ მომავალი...

*

დრო დროში შფოთავს,
სიბნელე ბორგავს,
ვარ დაბანგული...
გენიოსები
ზე-სიყვარულით მოთქვამს...

*

ეს აღსარება და ზიარება
მიჰქრის წყვდიადში...
წარმოსახვებში რიალებს ღამე,
ღამე და პირსავსე მთვარე....

*

მიპყრობს ლანდები,
იტალიელი,
ნიჭით დიადი,
გრძნების მეეტლე,
ფერთა ხელმწიფე
მოათქარუნებს
ზეციერ რაშებს,
ოჰ, აიჩრდილა მოდილიანი...
მოდილიანი?...

*

ნეკერჩხლის უკან ვინ მემალება?
ოჰ, დავიმორცხვე...
მეწამულ ფოთლებს ცეცხლად ენთება
სიყვარული და ნაზი ამბორი,

გრძნეული ფერი ფუნჯებში როკავს...
რა უცნაურად ავთრთლოდი... ვტოკავ...

*

ოჰ! გაოცება?
სანცვიფრელება ცის ცაზე ბორგავს...
ვინ ხარ? გამოდი!
მოლბერტის უკან ვინ მემალები?...
მგზნებარე თვალებს ვერ გავუძელი...
ოო, ამადეო?!
ბოჰემურო ჯადოქარო,
უკვდავებავ მითოსურო,
ამადეო... ამადეო...

*

იწვის, იწვის
მეწამული ნეკერჩხალი,
სულღადარა მუგუზალში
ვიფერფლებით
ნაკვერჩხალის ალით...

*

დათარეშობს საწადელი,
ფიქრები და განსაცდელი,
მოდი გიხსნი, ვარ ნათელი,
იქნებ გსურდეს
შევიმოსოთ ცისარტყელით...

*

ნუთუ თენდება?
მეჩვენება, თუ ცისკრობს კამარა?
ისევე ვრჩები ხილვის ამარა?
ჰოი, დამთრგუნა ფიქრთა ამალამ...

*

მეჩვენება თუ...
გვათბობს მზეები ცხელი, თაკარა,
გაზაფხულია,
მომირთმევია წყარო ანკარა,
ხელმწიფობს ბანგი, კიდევ? რა არა...
გრძნება მღელვარე და ნეტარება,
სიზმრისეული თრობის სამსალა...

*

დღესასწაულობს ჩვენი სულები,
ორთავ საწუთროს ტრიუმფებია...
უშენოდ ყოფა?
გაუსაძლისი და ღატაკია,
გეთაყვანები ფუნჯის გენიავ...

*

სოფლის ვარამი სულგრძელად გვათბობს,
შენთან ვყვავილობ,
ჩავსახლებულვარ შენს მოლბერტებში,
ერთად ვბინადრობთ
ედემის ბაღთა ქარტეხილებში...
ხან ბაბილონის ისტერიებში,
დაცხრილულ ვნების ისართ თქეშებში...

*

ჩვენ...
ჩვენ ერთად ვჰპოვეთ შვება ცრემლებში,
გვცივა, ყინულშიც ერთად ჩავეშვით,
თბილა შენს მკერდზე, ნაზად გეკვრები,
სულის ხანძარში ფიფქივით ვდნებით,
სადღაც უკუნში უკვალოდ ვქრებით...

*

სუნთქავს ჩურჩული,
მახრჩობს წყურვილი,
წყურვილი სულის საოკებელი,
დამჭკნარ ფოთოლთა ხეივანებში
ჩვენ ვიფერფლებით...
და ვქარიშხლდებით ცის მნათობებში...

*

ქარივით დაჰქრის შენი ვნებები,
მუზებისა ხარ ზენა უფალი,
რაინდი სული, თავის–უფალი,
ზოგჯერ ჯიუტი, აუტანელი.

*

ნუ შემომცქერი ურჩ დაჟინებით,
ამაყი, შმაგი, გიჟი და თბილიც,
ოჰ, დავითრგუნე ამ ნეტარებით,
მე შევიშალე, ნეტავ, თუ იცი?

*

ტანჯვით სული შეგისუდრავს,
შენი ოხვრა, სევდა სულის,
უსამანო ბახუსებით იბინდება...
მაშინდელი სიყვარული
საუკუნოდ შეგვინახავს...

*

ოოჰ, ამადეო, ამადეოოო...
მენატრები... გეფერები...
უფალს შენთვის ვევედრები,
ნუ დამტოვებ,
მოდი... მოდი ჩემთან ამადეო...
ჰოი, ნუთუ მართლა ამადეო?...

*

ეჰეიი, ამადეოოო!!!
ნუ წახვალ, ნუ წახვალ,
ღმერთად ხარ ჩემში...
ვაიი...
გაცივდა ხელები შენი?...
ჩაქრა თვალებიც
ჩემი სანთლები...
გულიც არ ტოკავს?
და დავიჯერო?!
შენ მოგერია სენი?...
ოოჰ, ამადეო...

ნუ მიმატოვებ...

*

შემოვალ შენში,
მე, შენი შვილით...
ხომ გენატრება ჩვილი,
ფუნჩულა, თბილი,
რძისა სურნელით...
ერთად ვიქნებით,
ვიბედნიერებთ
უსასრულობის
მარადიული,
ღვთიური ცისკრით...

*

ჰა, ვაღებ სარკმელს...
შენ მელოდები...
მე მოვფრინდები...
ისევ ვიქნებით
ერთურთის ღმერთი...
შენა ხარ ერთი,
ჰო...
ჰო,
სარკოფაგებშიც
ჩაგეკონები...

* * *

პ.ს. – ამადეო მოდილიანის და ჟანა ებიუტერნის ერთადერთი ქალიშვილი, ჟანა ამადეო, დედის გაცრეცილ მემუარებში იქექებოდა....
პატარა, ობოლი ჟანა ამადეოს ნათესავებმა პარიზიდან იტალიაში წაიყვანეს აღსაზრდელად...
ჟანა კი, მეორე შვილზე, რვა თვის ფეხმძიმე მეხუთე სართულიდან ზეცისკენ აფრინდა და თავგანწირული სიყვარულით მიეახლა მარადიული სატრფოს უკვდავ სულს...

გოია...

რა უცნაური,
გამოუცნობი, ნისლის ბინდია...
ჰოი! სასწაულო...
მე ამ საღამოს,
გოიას ჩრდილი ამდევნებია...
სივრცე მაოცებს,
სხვა ჟამის ჟამი მომჩვენებია...
ცა ქარაშოტობს,
სულში გრძნებების ლურჯი ზღვებია,
სანაპიროებს ფრანსისკოს ფუნჯით,
რომანტიული როკოკოები
და უკვდავება მოუქარგია...

*
მიწის ძვრებია?

თუ...
ოჰ, ქარიშხალობს?
ზღვის რწევებია...
გოიას სუნთქვის გრიგალებია?
მთვარეული და გონშემშლელია,
დაულეწია, დაულეწია,
უჟამო ჟამის დრო და ხანია,
ნაცეცხლარია! იწვის სამყარო...

*
გასაოცარი ლეგენდებია,
ჟამთა ჰრბოლვები გაუთელია...
ცისარტყელების ფერთა სამეფო
თურმე ფრანსისკოს
პალიტრები და მოლბერტებია...
შეჰყვარებია ქალი მარია,
მხურვალე გზნების ჰერცოგინია,
მაცდური ევა, თრთის, ფაქიზია,
ოჰ, მხატვარ-ადამიც შმაგი, გიჟია
და ვნებიანი მინოტავრია...

*
იდუმალება ფერთა ფერებით
და სიყვარულით უგუზგუზია,
ქარის ორკესტრის ლაბირინთებში,
ქალის ალერსი მოჰნატრებია...
გალაქტიკების სარეცელშია,
მთვარის ჰამაკის ნატიფ რწევებით,
დაუცხრომელად მზე უხატია,
განსაცვიფრელი ჰარმონიებით,
ბროლის საფერი წვიმის ცრემლებით,
მარადისობას გაჰტოლებია...

*
ოჰ, ფრანსისკო, ხოსე დე გოია!
მე შენი ჩრდილი ამდევნებია...
შენ კი, ზეცაში ამურ-გენიავ,
შენკენ ლტოლვილი, ლურჯი ფერია,
ჰერცოგინია დაგიხატია...

*
ცათა ცის მიღმა სახლობს ღმერთები,
ზეცის პალმებში ნისლის ბინდია...
მიცურავს მითი, ხოსე გოია...
ბნელ საწუთროდან ზევსს უერთდება,
ცის უკვდავება დაიღბლებია,
აპოლონს მეფედ უკურთხებია!

*
ნიავი გალობს, ორფეოსია....
-ხოსე გოია, ხოსე გოია,
დაუდგრომელო, ხარ ისტერია,
ფერთა წერების ზე-შედევრები
წუთისოფელში იყო სევდები...
შენი მოვლენა მისტიურია,

დღეს ხარ ხელმწიფე! ზეობს გენია. -
ღვთის სასახლეში მზის ტრიუმფია!

*

თმებაწეწილი, ნაბახუსევი,
ოლიმპოს მთაზე ღმერთებს ეწვია...
ვედრებით მოთქვამს ცის მისტერიას,
დიდი მხატვარი, ხოსე გოია,
კვნესის, და გალობს ავე მარიას...

* * *

ლურჯი კაშკაში...

* * *

,,მწუხარება უსასრულობამდე
გაგრძელდება.“
(ვან გოგი)

*

განიალურო ჰოლანდიელო!
ვან გოგ, ვინსენტო!
შეშლილო, გიჟო!
ჰაუუ! გეძახიი! გეძახი...
ნუთუ, შენა ხარ ჩემი გრძნებების,
ნაოცნებარი აღმაფრენების,
საუცნაურო იდუმალების
გამოუცნობი მწველი და ალი?
ჰოი, მოვფრინავ,
შენი ფერწერის
მომკლავს წყურვილი მე ღვთაებრივი,
მომსურვებია ვლაშქრო სივრცენი,
ღრუბლებს ფრთა გავჰკრა
ნიდერლანდებში,
ბოლოს კი ისევ უნდა გეწვიო
სენ-პოლის ჩახშულ თავშესაფარშიც...

*

სატანჯველი, ტკივილი,
ჯურღმულებში კივილი!
ნაფოტებად ქცეული
მორევიან ნაპირებს
ასკდებოდა ეული,
მარტოსული, ბედკრული....

*

ღმერთო, დიადო,
ოჰ, მე ვიხილე თვით აპოლონი!
სევდის მტევნებით გადახუნძლული
და ანათემას გადაცემული,
ყურჩამოთლილი, მნათი გენია!
ჩაფერფლილი და განძ-განძარცვული,
ჟღალი ლომივით ღრიალებს, ჰღმუის,
გაუსაძლისი, მზის ტრაგედია...

*

ჰოი აჩრდილო!
რა რიგ მოჰქარგე მზესუმზირების

ოქროს სამარე?
თუნდაც ღრუბლები შერისხულები?
ლოტოსის ვერცხლი
ზამბახის ველის ლაბირინთებში,
ო, მე ვიხილე ლეგენდარული,
მიყრილ-მოყრილი
ფუნჯი, მოლბერტი, ტილო ფერებით,
მინდორ-ველები,
ზღაპრულ ფერებში ხეივანები,
ზეთისხილების
მწვანე, იისფერ ნისლეულებში,
აპრილის თვეში
ოლიმპოს მთისთვის გვრიგვინწნულები,
მითიურები,
ბიბლიური და დალოცვილები...

*

მოთქვამს ქნარი,
ბნელ, უსასრულო შარიშურებში
ზუზუნებს ქარი,
ფერხთ გეფინება ყანის თავთავი,
ჰკივის შრიალი
ჭკუის შემშლელი, მოუსვენარი...
ცახცახებს ფუნჯი,
კვიპაროსს ელტვის,
ყოფილა თურმე
მიწიდან ზეცით
გარდასასვლელი ხიდი, სავალი...

*

იდუმალი შთაგონების,
კოსმიური შრიალია....
დათარეშობს ისტერია!
მითოსური ვან გოგია!
მოკაშკაშე ლაჟვარდია!
ფერთა რწევა ცას აფრქვია,
სამყაროში ორკესტრი ჰქუხს!
ოჰ, იღვრება სიტყვის, ფუნჯის,
მოლბერტების მელოდია!
და ვან გოგი?
შეშლილია!
შეშლილია....

*

მიწის უდაბნო,
უდაბნო მიწის
გაგიტყორცნია ციურ სივრცეში,
შენ აირჩიე
გასაოცარი, ჯერ არნახული,
მისტერიული,
ზეცის ვარსკვლავთა ლურჯი კაშკაში,
თითქოს ღრმერთი ხარ
ნაფერფლარიდან აღზევებული,
გარდასახულო,
ხარ გრადაცია
და შენი სული მარადიულად
ზეცის მნათობში,
ვენერას ცეცხლით ნათაყვანები,
დიდოსტატობის
ლამპრად ანთია...

*

ვბრუნდები უკან...
განაოცარი, ანატკივარი,
ამდევნებია დიდი მხატვარის,
ობოლი სულის ცვრისფერი ლანდი...
უკან ვბრუნდები...
მე კი ჩემი მაქვს თავშესაფარი,
კავკასიონის არეალები,
სულის საყდარი,
მიწა კოლხური,
ძოწი დიადი ზე-ალმასებით...
ქართაველების
ვერძის მიწაზე ჰქრიან ქარები,
მსურს დავირწყულო
ფაზისის ველზე
სულის სიმძიმე ბროლის ცრემლებით...
ბედის ვარსკვლავო,
შემომაგებე ღვთის ქურუმები,
მზე-იალბუზის
ზვიად მწვერვალზე ავზიდო ჯვარი
მართალის კვალით,
ნაგოლგოთარს კი დავუდგა ტახტი,
დედის სამკვიდროს
ნაღვერდალისგან ავუბრიალო
მარადისობის,
უზენაესის სიწმინდის ალი!

მეათასეჯერ...

* * *

ვერ დაიტია სივრცემ ფიქრები,
სადღაც შოპენი კვნესის სინაზეს...

*

სადღაც დე ვინჩის როკავს ფუნჯები...
მოდილიანი ქარგავს სინათლეს...

*

აჰ, ბეთჰოვენი? ნისლიან მთვარეს
ლივლივით აქსოვს ცის სიფაქიზეს...

*

სადღაც წავლანდე, დანტე დასტირის

მითოსურ სატრფოს, ჰო, ბეატრიჩეს...
ალიგიერის სულიერ არეს
ფლორენციული ილუზიები
მუზის ზეღვთიურ საბურველს ახვევს....

*

სადღაც, შორეულ, ფრანგულ სივრციდან მოშარიშურდა
საწუთისოფლო ამაოების სევდა–არაკი,
სხეულს იმოსავს ცისარტყელებით გუსტავ ფლობერის
პროვინციელი მშვენიერება, მადამ ბოვარი...

*

სადღაც ხილვებში ამდევნებია უილიამის
ტრაგედიები, კაპულეტები, მონტეგიები...
ჰამლეტის ხილვა და მაკბეტების ავი მსტოვარი...

*

ბოჰემურ მორევს გადაჰყოლია ფრანგი ბოდლერი,
მუზის შეშლილი რომანტიკოსი, სიტყვის ფერმწერი...

*

ვაი, უაილდის დორიან გრეი გახდა მლიქვნელი?
სისხლში ცურავდა ულამაზესი გრეის პორტრეტი...

*

სადღაც მოცარტის წვიმა აცეკვდა, ვალსად კეკლუცობს,
წყვილთა ცეცხლოვან, ვნებიან გზნებებს თავბრუდამხვევი
და მოგრიალე, ვულკანის მსგავსი ორკესტრი უფლობს...

*

ვერთერის ვნებებს წაულეკია დიდი გოეთე,
ქარიშხალებად ჩასახლებია ხატი ულრიკეს...

*

ოჰ, სულ სხვა არისო სიყვარული უკანასკნელი,
გალაქტიკაში მოთქვამს ჭყვიშელი, დიდი ხელმწიფე...

*

იის მგზნებარე ტრფიალით, კლდეებს დაჰყივის ფშაველი,
ირაოს შეჰკრავს არწივი, ზე– სიყვარულის მფარველი...

*

მცხეთას ქრისტე დაჰყურებს, ღვთიურ სვეტის ცხოველით,
კონსტანტინე მიჰქროდა დარდიმანდით, ფიცხელით,
კოლხურ სისხლის გენია, მზის რაინდი შემშლელი,
სიტყვის მეფე ამაყი, ზღვისთვალებას მპყრობელი...

*

ოჰ, გრიალებს დედამიწა, ჰეი, იძრა ზე–სკნელიც!
ხელოვანთა გენიის საუფალო სივრცეში,
საუკვდავო მუსიკის ორკესტრი ჰქუხს ყანჩელის!
სტიქსი შფოთავს მაგიური, ქვესკნელებს ჰგლეჯს ჰადესი!

*

ღამის ნისლში შთაინთქა ბიბლიური ღმერთები...
მართლის გზა–კვალს მიჰყვება იბერიის ლაშქრები...

*

ოჰ, რა დამღლის, რა დამღლის, ზეცას ველტვი ხილვებით,
სულში დარიალებენ გენიების სიბრძნენი,
მესმის მელოდიები მნათი გალაქტიკების...

*

სუნთქვა მეკვრის და ვერ ჩავეტიე, ვერ ჩავეტიე
ამ ერთ სხეულში, ათას სიცოცხლით ნამოგზაურები...

*

რით უნდა ვზიდო ათასწლოვანი სულის ურვები?
მშფოთვარე ღელვით,
მგზნებარე ვნებით,
შეშლილი გრძნებით,
ცის მირაჟებით
განაოცები
სული ათასი
მეათასეჯერ უსასრულობის არღვევს კარიბჭეს...

*

რა ახლო მოსჩანს, ოჰ, ახლო არის მხოლოდ ის ერთი,
ცათა ცის მიღმა, მნათობებს უფლობს დიადი ღმერთი...

*

ნაგოლგოთარი ქრისტე წყვდიადში
ინთება სანთლად,
მოგვიტევა და შლის ყოველივეს,
რაც გვერგო ტანჯვად...

*

ვაი... მაოცებს ფრთების სინაზე,
ფრთები ცის აფრად,
აჰ, სიმსუბუქე, ფრენის სილაღეც,
ზეციურ განცდად...

* * *

სულიკო ჯამალაშვილი
დაბადების ადგილი – საგარეჯო

და ლექსიც იშვა

რა უმოწყალოდ ირწევიან ქარში ტაძრები.
ვერ განგარიდე ბედისწერის ჟამთა იარებს,
გადავინახე გასახედნი სიტყვა სივრცეში,
ლექსებს თუ ვერა, ზამთრის პალტოს დავაგირავებ...

ქარი, რა ქარი, ღრიანცელი მოაქვს ყურთამდე,
მთვარეც გამიწყრა ნადიმზე რომ ვერ მივუსწარი.
წამო, გამომყე, ეშაფოტი ისევ მქუხარებს,
ხანაც მრევლია განწირული, ხანაც უფალი.

მინდა თან დროსაც არ ჩამოვრჩე, ფეხი ავუწყო,
ვით წუთისოფლის ჩია კაცი, მორცხვი სტუმარი.
ვიცი მომაგნებს, დამილოცავს კვლავაც საწუთროს,
ჩემი ლექსების მკითხველი და ძველი მუშტარი.

სტრიქონს, სტრიქონი ძლივს მივაბი ლექსიც ვაშიე,
უღრან ტყეებთან ვალში დავრჩი ვერ ვუერთგულე,
ქარი და თოვლი ერთმანეთში ავრი-დავრიე,
ლაღობს მყინვარი, ლაღობს ქარი, ლაღობს სიჩუმე.

ლექსი, ლექსისთვის გადანახული, რითმა რითმისთვის,
ძაღლუმადური გავათიე ღამეც ტიალი.
და ლექსიც იშვა გასახედნი ურა კვიცივით,
ვით, ლაბირინთში ჩაკარგული ქარის გრიალი.

ისევ უფალს ებარები

ვგრძნობ სიცოცხლე წარმტაცია,
უფალი გყავს როცა შემწედ,
უფრო ტკბება მერე როცა,
სასიკვდილედ გაგიმეტებს...

თუმც ჭრელია ეს სამყარო,
გაგიმართლა გარდისახე,
სიტყვა დედა ერთხელ მაინც
ხომ მოასწარ დაიძახე!

დედამიწა მოიხილე
და ბუნების ნაირსახე.
მზის ამოსვლას და მზის ჩასვლას,
ხომ მოესწარ დაინახე.

თან სიცოცხლე არ გეთმობა,
თან სიბერეს ეპარები.
უფლის ნებით მოვლენილი,
ისევ უფალს ებარები.

უშენობითაც

ცალკე დაგიდგავს შენი კარავი,
არაფერს მოგცემს მწუხრის ძიება.
გაახელ თვალებს, შენს წინ არავინ,
დახუჭავ, ისევ აგეტირება.

ვერ განერიდა ჭაობს და ტალახს,
ფურ-ირემივით ჟამმა დრო წველა.
ნუ ეძიები მოსაცელ ბალახს,
უშენობითაც ჟამი მოცელავს.

საუკუნე ზის

სხვა მყუდროებას დამირღვევს,
ქარი შეუღრენს ისევ ლიანებს.
ვით შემოდგომა შემოგრჩე მინდა,
ჩემო მქუხარე მემატიანევ.

ტრამალს შემოვრჩით, იმედად, ბოლო,
მომხვიე ხელი ვით თანასწორი.
ქარაფის პირას უცვლელი სოლო,
ჩემი აბჯარი და შენი თორი.

დღისა და ღამის ცხარე კამათი,
მზე უნიათო მთვარე ეული.
საუკუნე ზის ფერთა გამაში,
ათასწლეულში გამომწყვდეული.

შენ მარქვი ადამიანი

საქმენი ვერ ვქმენ ფხიანი,
მხოლოდ შემოგრჩი იარად.
შენ მარქვი ადამიანი,
მეც დაგყაბულდი ზიარად.

ქარია ტანში მაჟრჟოლებს,
ბედის ვარსკვლავის ციალი.
ხანაც, გოლგოთამ იძალა,
ხანაც, მე ვძლიე ტიალი.

ძილბურანში ვარ, მაბოდებს,
რიგითი ღამის მთეველი,
ცა ფიროსმანის ნახატი,
უსაზღვრო, გაულეველი.

ლაჟვარდმა ლაჟვარდს
გაუყო, ცა, სილაჟვარდისა
მფრქვეველი.
გავარდა, მეხმაც ხარხარით
შემოირბინა ტყე-ველი.

საქმენი ვერვქენ ფხიანი,
მხოლოდ შემოგრჩი იარად.
შენ მარქვი ადამიანი,
მეც დაგყაბულდი ზიარად.

დღეს შენს სიცოცხლეს

ღმერთს შენატროდი ყოველ განთიადს
და პირჯვრის წერით ღალას უხდიდი...
დღეს შენს სიცოცხლეს ჩალის ფასი აქვს,
თუ შენს უკან მდგომს ხელს არ უწვდიდი...

* * *

მივიწყებული და მოგდებული
ისე მიმზერდა შენი წერილი,
როგორც ყაყაჩო ცალად"მოსული,
ნაქარალი და ყელმოღერილი.

ამ ლამაზი ლექსით, წინასწარ გილოცავთ დამდეგ ახალ წელს! მერე იქნებ ვეღარც მოვიცალო.

მოგონებების დამიდგა რიგი

კოშკებს ვიშენებ, მაგრამ არ ვიცი,
ცხადში თუ სიზმრად, მგლის არს თუ კრავის.
სიცოცხლე, ზოგჯერ მგონია მითი,
მარადისობის თავშესაფარი.

კვლავ, არაერთი გაივლის წელი,
მოსაგონარი მიმყვება თითო.
არ მომანატრო მზის ანარეკლი
და ერთი ციდა სამყაროს სითბო.

მოგონებების დამიდგა რიგი,
ზოგი მანცვიფრებს და ზოგიც მზარავს!..
ცის კაბადონზე ვარსკვლავებს ვითვლი,
ვითვლი და ისევ, სათვალავს ვკარგავ...

წუხელ სიზმარში

ეს მერამდენეთ დამხედე მაღლით,
ლოყას მომიშვერ როგორც დიანა.
ნეტავ ვიცოდე ამ ბნელი ღამით,
შენ ჩემს საწოლთან რამ მოგიყვანა!..

გლოვის ზარები არისხებს სიონს,
წყალზე ჩასულან ქვემოთ სულები.
გარეთ ყინვაა ქილიკობს სიო,
შენ კი ჩემს წყლულებს, ეჩურჩულები...

* * *

მე შენს წინაშე კვლავ თავს მოვიხრი,
ამაყად მსურდა ქვეყნად გამევლო!
ამ ჩემს სიცოცხლეს რა თავში ვიხლი,
თუ ვერას გარგებ მე საქართველოვ!

ეს ლექსი განსაკუთრებულად მიყვარს

მზერა შევატოვე დასალიერს,
როცა უცოდველმა დაგაბიჯე.
ისევ წყევლა-კრულვა დამაწიე,
ნეკნი ხელმეორედ ამომგლიჯე!..

ასე მატარებდი ნება-ნება,
ქარი თავს იკლავდა დარიალთან!
მერე შეღამება შევიკედლე,
თვალწინ ამახია განთიადმა!

ო, რა უსასრულოდ გარბის წლები,
მეც ხომ, ადამივით ბევრჯელ ვცოდე.
შენ, ჩემს დაღვინებას მოესწრები,
მე შენს დაქალებას, ვერასოდეს.

* * *

თუ ანგელოზად წარმომაჩინე,
სასაკლაოსთვის რისთვის მიმეტებ?!
თუნდ ერთი ციდა ციური ნამი,
ცას რომ მოსწყდება გამოიმეტე.

სიცოცხლის
გარდა სხვას არაფერს"გთხოვ,
ან რა მოგთხოვო ამაზე მეტი.
ან მთად მაქციე და ვიდგე, როგორც,
მარადიული სიცოცხლის სვეტი.

ფიქრი და ფიქრი, ისევ უძირო,
ამაზე მეტი რაღა ვინდომო!
ანდა კელაპტრად ჩემი სამშობლო,
რომ ერთი წამით გავაცისკროვნო!

გავაცისკროვნო, წავიდე მყისვე,
არავის დასცდეს თუნდ სამდურავი
და შემიცოდონ იმგვარად, ისე,
ვით უბილეთო რიგითი მგზავრი.

* * *

ქუხდა ორკესტრი ტანგო და ჯაზი,
ზღვარს გადასული მამრი თუ მდედრი.
ყველა ერთისთვის, ერთი ყველასთვის,
კურო, სასწორი, ლომი და ვერძი.

საიდან, როგორ, ამდენი ლედი,
კაცი ცოლშვილთან ისევ ცხრაპირობს.
იხარე გულო, ერთხელ მოხვედი,
მე ამ ცხოვრების დედა ვატირე.

* * *

ღამეს მიტმასნილი პეიზაჟი,
დილის ცვარნამმა, რომ ამახია.
ხანაც პრინცი ვიყავ, ხანაც პაჟი,
მივხვდი პოეზია რასაც ქვია.

ჟამმა, კიდობანთან დაივანა,
დრომაც განიცადა გრადაცია.
მინდა დავუარო განდაგანა,
მინდა ვწერო მაგრამ არმაცდიან!..

ბევრჯელ დამმართნია ამნეზია,
ბევრჯელ გამივლია ბეწვის ხიდი.
ზოგჯერ პოეტობა სასჯელია,
ზოგჯერ მწვერვალია დიდზე დიდი.

კითხვაზე პასუხს, ველოდი დიდხანს
და ინტერესი მწვავდა ცხოველი.
იქნებ გამანდონ, იქნებ ამიხსნან,
რისთვის მივდივარ, რისთვის მოვედი.

იყო ქართველი რთულზე რთულია,
ქალი ტილოა, კაცი მოლბერტი.
ორივე ერთად სიყვარულია,
ლექსი, პოემა, ჰანგი, სონეტი.

მაინც მადლობა

მხოლოდ სიცოცხლე, წლები საშური,
არა ყოფილა თურმე მთავარი.
მესაუბრები თუმცა წარსულში,
არც წარსული მაქვს, არც მომავალი.

მაინც მადლობა, რომ დავიბადე,
მარადისობის უდრეკო წამო.
მაინც მადლობა, რომ დავიბადე,
ჩემო ქვეყანავ, ედემის ბაღო.

თავზე მახურავს შვიდფერი ზეცა,
ცისკენ ისწრაფვის ჩემი გადიაც.
დედამიწა კი ამ მედროვეთა
უკიდეგანო მასკარადია.

წარსული
მოსთქვავს, ვით გლოვის ზარი,
სიტყვა ვაბანკზე და მაინც ურჩი,
სალოსი მყავდა მეც წინაპარი,
ადამის რისხვას ვერგადავურჩი.

ჟამმა უარი, ხელი მკრა დრომაც,
შემომახვია შავი არშია.
გედის სიმღერა და ბედთან წყრომა,
კაცობრიობის გადმონაშთია.

რაებს ჩმახავსო, იტყვიან ზემოთ
და ჩამირთავენ მე ვიცი წამზომს.
მე, შეშლილივარ, ქვეყანავ ჩემო,
მე, შეშლილივარ მუზების გამო.

* * *

წყლული, წყლულს მისდევს, ახალს ძველი,
რა გეშველება ჩემო ხატებავ,
რა ადვილია გერქვას ქართველი
და რა ძნელია მისი ტარება.

* * *

კვლავ უბინაო ქარი წუწუნებს,
საკუთარ ქერქში ვეღარ ეტევა,
ხან საუკუნეს ასაკს უწუნებს,
ხანაც დრო ჟამზე მიაქვს შეტევა.

ჩემი ვუარყავ, ვისთვის, ან რისთვის?
სხვა პლანეტებს კი შურით გავცქერი!
გამზადებულსა სათნოებისთვის,
კვლავ უკან მომდევს გველის ნარწყევი.

ისევ იქ მიხმობს ძველი კორიდა,
გადაძეძგილი რიმის ზღაპრებით.
არგადავარდნილს ჯერაც მოდიდან,
დროს მერანივით დოღში გავხედნი.

სევდის მორევში იებმა ლურჯმა,
თავი წამოყვეს ო, სასწაულო!
მედროვე თურმე მიბრუნებს ხურდას,
რომ მლიქვნელობა ისევ დაიწყოს.

უმთვარო ღამეს დიდხანს ვეაჯე,
რომ პოეტობა არის სასჯელი,
ბედს შეეგუე ჩემო მეარღნევ,
მით უარესი თუ ხარ ქართველი.

ამ თებერვალსაც ბოლო სამოსელს,
პოეტი კაცი როგოღაც წავხდი.
როგორც პატარძალს პირველი ღამის,
მუხლზე დავისვამ და ისე გავხდი.

* * *

ლექსს გიძღვნი როგორც ბოლო ოცნება,
გერქვას ქალი და არა მეძავი.
ღამის ვარსკვლავი, დღის საოცრება,
ვერ შეგირყიოს რწმენა ვერავინ.

მოდი, მოდი...

თუ აპრილი იგვიანებს, არაჩანს,
მარტმა სულაც დაიხურა დარაბა,
არაუშავს, არაუშავს, ავიტან,
თუ მოგბეზრდი თუ მოგბეზრდი ხანდახან.

მოდი, მოდი, გელოდები აპრილო,
მეც მჭირდება მოფერება პატარა,
საზანდარმა კაეშანი დაჩრდილოს,
სიყვარლი გავაღმერთოთ აბა, რა!

და სანამდის ქარებს დავდევ აპრილო!
ფოთლებივით ჩამოვივლი კარდაკარ,
რომ გიპოვო დასაჭკნობო ყვავილო,
ნუ მიგმანავ გამოხსენი დარაბა.

მტკვარი ისევ ღელავს

ჯიხვი, გაქრა საჯიხვეში,
არწივს, უჭირს ფრენა.
ყვავ-ყორნები შესევიან
საქარველოს ზეგანს.

არაგვს, ნისლი გადაეკრა,
მტკვარი ისევ ღელავს.
სევდიანო საქართველოვ,
ვეღარ გშველით, ვეღარ.

კრწანისს ცეცხლი დამაწიეს,
წიწამურთან ელავს.
დიდგორზედაც თითს გვიქნევენ,
იზეიმებთ? ვეღარ!

ჯიხვი, გაქრა საჯიხვეში,
არწივს, უჭირს ფრენა.
ყვავ-ყორნები შესევიან,
საქართველოს ზეგანს.

* * *

ამ ლექსის რამდენიმე ვერსია შემოქთავაზეთ, ახლაც შევუცვალე პრიჩოსკა, აბა როგორ მოგეწონებათ?

მიყვარს როცა ლექსს მიქებენ,
სიმარტოვე მძულს.
მტერი ხარ თუ მოკეთე ხარ,
ხვადი ხარ თუ ძუ.
თუ წარსულის გადამკიდემ
მომავალზე ვწუხ.
სასიკვდილოდ ვერ ვიმეტებ,
მოდარაჯე გულს.
მითხარ რითი ვუმკურნალო,
მოზღვავებულ წყლულს.
შინაურიც, გარეულიც,
მტერი, ორივ მძულს.
სიყვარული გადაარჩენს
ჩვენს ჯიშსა და რჯულს,
წალკოტია ეს ქვეყანა
მაგრამ ყველას სძულს.
ზოგჯერ მტერიც უძლურია,
ზოგჯერ მტერიც დუმს.
სიყვარულზე აღარ მითხრა
აღარასდროს ჩუ.
მტერი ხარ თუ მოკეთე ხარ
ხვადი ხარ თუ ძუ.

* * *

სიყვარულზე აღარ მითხრა
აღარასდროს უარი,
სანამ მქვია წუთისოფლის
ცალუღელა სტუმარი.

ძველებურად ავბობოქრდი,
როგორც ქარი აშარი.
ძუს გარეშე ხვადი რაა,
წყარო არის დამშრალი.

სხვა ვინ ჩასწვდება

საზარ ღამეში, არეულ ცაზე,
მშიერ მგელივით მიყვარს თარეში.
ურითმო ლექსებს რაფერ ვერ დავწერ,
მაგრამ რითმიანს, აქვსო, სხვა ეშხი.

სხვა ვინ ჩასწვდება იმ საიდუმლოს,
შავი არაგვი სადაც თეთრს ერწყმის.
ან ჩანაფიქრსა ცისას, უცილოს,
ან საიდუმლოს ზღვისას, ვინ გეტყვის?!

მოდი, გეძახის ჩემი გზაწვრილი,
ვით უსასრულო გზათა მკვლევარი.
პოეზიაა სულის ნაწილი
და უგვირგვინო ბედის მწვერვალი.

მე ასაკში ვარ

სისხლის ნაკვალევს გაუტოლდა დღე სინანულის,
როგორც წარსული წარუშლელი ქარებს მოჰქონდათ.
და საუკნო ულმობელი მაწვალებს ფიქრი:
მე ასაკში ვარ, შენ პატარა, ციცქნა გოგონა...

ასაკს ვინ მისცა სიყვარულის ორად გაყოფა,
ამ შემოდგომას მეთვალყურე მძევლად ვიტოვებ,
ნეტავ, იცოდე, რა ძნელია უშენოდ ყოფნა,
ცარიელ სულში, როს უცოდველ ნაკვალევს სტოვებ!..

დავით ლომიძე – ბიზნეს ადმინისტრატორი
დაბადების ადგილი – ხაშური

შობის ღამე

ღმერთო ჩემო, ამ ახალ წელს მინდა
ჩავეხუტო ჩემ საყვარელ დედას.
ნუ დამტოვებ კიდევ ერთი წელი
რა იქნება, გამიღიმოს ბედმა?!

მინდა ძლიერ, ჩამიხუტოს გულში,
კვლავ მიმღეროს ტკბილი ჰანგით ‘ნანა,,
რა იქნება, ამ ახალ წელს ჩემშიც
გაილაღოს იმ პატარა ბავშვმა?!

მინდა გულში ჩაგეკონო დედი
და თეთრ თმებში შეგიცურო ხელი.
ამ ახალ წელს, გევედრები ღმერთო
შემისრულე ეს სურვილი ერთი.

სხვას არა გთხოვ, და არ მინდა მეტი
დედის კალთას შევეფარო მინდა.
ამ უღმერთო სამყოფელში მეტად
სხვასთან ერთად, უდედობაც მტკივა.

სურვილები სრულდებაო, და მეც
ამ ჩემ წერილს გავაყოლებ მერანს,
და ბუხრის წინ, შობის ღამეს, მარტო,
კვლავ დავუცდი, ჩემ საყვარელ დედას.

* * *

ლექსმა დამწერა, ლექსად დამწერა,
გრძნობამ ამივსო სული რითმებით.
და რა დიდია ეს სიყვარული
ბოლოს რომ მაინც ერთად ვიქნებით.

გამიზაფხულდი, გამაზაფხულე
ამომიფეთქე სულში იები
და რა დიდია ეს სიყვარული,
ბოლოს რომ მაინც ერთად ვიქნებით.

მინდა მიყვარდე, მინდა გიყვარდე
ერთურთს გავანდოთ გულის ფიქრები.
რა დიდი არის ეს სიყვარული
თუკი ჩვენ ორნი ერთად ვიქნებით.

და დაიმსხვრევა ყველა მითები,
მოდი ჩამჭიდე ძლიერ, თითები.
ასე ვიაროთ ორივემ ერთად
როცა ჩვენ ორნი ერთად ვიქნებით.

შემოვინახოთ ამ სიყვარულის
არ ახდენილი დანაპირები,
მე აგისრულებ ყველა ოცნებას
როცა ჩვენ ორნი ერთად ვიქნებით.

* * *

შენსკენ მომავალს, მოვყვები ქუჩებს
გული კი იწყებს ფეთქვას მალი-მალ.
დავეწაფები მარწყვისფერ ტუჩებს
და გვირილების გვირგვინს დაგიწნავ.

წუთის წამიდან, გულის გავლიდან,
სულის აფრენის, ლამაზ ღამიდან.
შენ დაგერქმევა ჩემი ღვთაება,
ჩემი ოცნება, ლამაზ ზღაპრიდან.

სხვა რამ არ მინდა, ლამაზ ღამიდან,
მხოლოდ მე და შენ, ცოტაც ზედაშე.
სულის თრობიდან, გულის ბოდვიდან
დაგვათენდება დილა მე და შენ.

ყველა ზღაპარი გახდება ცხადი,
მე აგისრულებ, რასაც ინატრებ.
შენ მხოლოდ ერთხელ მომეცი ფიცი
და მეც არასდროს გადაგიყვარებ.

მოდი, ჩვენ ორმა, შევცუროთ ერთად
უკიდეგანო ტრფობის ტალღებში.
და სიყვარულით ჩამოვიტოვოთ
უერთმანეთოდ მყოფი ავდრები.

* * *

ბრძოლა დაიწყო გადარჩენისთვის
მომხვეჭელობის ომი გაჩაღდა.

ყველა მზად ვიყოთ, განაჩენისთვის
ნუ ვიმალებით ტყეში ყაჩაღად.

ყველას გვეხება უფლის სამსჯავრო
უფლის წინაშე წავრსდგებით ყველა.

და გაირკვევა მტყუან-მართალი
ვინ შეისმინა ის ათი მცნება.

რაც დაგვიწერა უფალმან ჩვენმა
რისი გულისთვის ვარგუნეთ ჯვარი,

მერე გავყიდეთ, ოცდაათ ვერცხლად
და მოვიხურეთ სამოთხის კარი.

მომხვეჭელობის გაჩაღდა ომი
წუთი სოფლისთვის ბრძოლა ვირჩიეთ.

ღმერთს განვუდექით, წმინდას და მართალს
ეშმას ზრახვები ამოვირჩიეთ.

რწმენას შეხიზნულან ბარაბები
მჭიდროდ ჩაურაზავთ დარაბები.

ღმერთი უარყვეს და მივუყვებით
ცხვრები, მწყემსები გვყავს იუდები.

სოდომ-გომორი გვაქვს ახლა თალხად
ვეღარ ჩავითვლებით ქრისტეს ხალხად.

* * *

თქვენგან მიმოფანტულ რითმებს ავკრიფავ და
გულზე დავიკერებ, როგორც ჯილდოები.
თითქოს მალამოა ყველა სტრიქონი და
იქნებ შემიხორცდეს გულზე ჭრილობები.

ყველამ გაიმეტეთ, თითო აბზაცი რომ
მალე დამავიწყდეს გულის იარები.
იქნებ გაზაფხული ისე დამიდგეს რომ
შიში აღარ მქონდეს ცრემლის ნიაღვრების.

* * *

შენი მოსვლით, გაზაფხულიც მოვიდა,
თავზე გადგას ყვავილების გვირგვინი.
ჩემი თავი, მართლა ღმერთი მგონია
როცა ჩემთვის, მარტო ჩემთვის იღიმი.

აყვავილდა მინდვრად ყველა ტყემალი,
იასამანს დაებერა კვირტები.
შენ ჩემი ხარ, მე კი მარტო შენი ვარ
და სიყვარულს, სულ მუდამ დაგპირდები.

* * *

სად წავიდე? რომელ მხარეს?
რომელ მთაზე ავიდე?

რომელ წყალში გადავარდე?
ყველა გამანაპირებს.

ვის ვუამბო გასაჭირი?
ვინ მოისმენს ამ დარდებს?

ჩემი ქვეყნის სატკივარი
აღარავის ადარდებს.

ერთიანად, ცეცხლის ალი
მოსდებია ქართლის გულს.

ჰგვანებია ეს წალკოტი
ღმერთებისგან გარიყულს.

აღარც ღმერთი, აღარც ერი
აღარც ბერი არ ბერობს.

ჩემს წალკოტში დღეს რატომღაც
ავსულები ავბედობს.

გაიხიზნა გულებიდან
კაცის წესი, ადათი,

ძმა-მოყვასი ჩავანაცვლეთ
სისხლიანი ჯალათით.

სად წავიდე? რომელ მხარეს?
რომელ მთაზე ავიდე?

რომელ წყალში გადავარდე?
ყველა გამანაპირებს..

* * *

მე მენატრება სურნელება დედა-შვილობის,
და მენატრება საქართველო,
მეგაზაფხულე.
მე მენატრება ის ზღაპარი, შვილზედ ნათქვამი
მაგრამ ვწუხვარ რომ, აქამომდე ვერ დავასრულე.

ერთი-ორ წელმა, სწრაფად განვლო, უცხო მიწაზე
აქ თითქმის უკვე თორმეტია, მესაუკუნე.
თმაში ჭაღარა დამთამაშებს ასე თავნებად,
ვიცი, ამ ტკივილს ვეღარასდროს ვეღარ ვიკურნებ.

დღეიდან ვიწყებ უკუ ათვლას, განვლილ დღეების.
და შევეცდები უფსკრულისკენ კვლავ არ დავეშვა.
აი მეც უკვე ბაქანთან ვარ, სხდომა დაიწყო
ახლა კი მე გთხოვთ, შემაჩეროთ და არ გამიშვათ.

მარხვა სინანულისა, აღდგომა სიხარულისა.

გარდამოიხსნა ქრისტე, ვაებით
ვგლოვობთ მოკვდავნი, და ძმა და მათი.
ღვთისმშობელი დგას, სხივზეციერით
და ხელთ უპყრია იესოს კვართი.

ედინებოდა ზეციდან წვიმა
და ეს არ იყო წვიმა აპრილის.
ეს იყო სისხლი, ეს იყო ცრემლი
ეს იყო ცრემლი, ჩვენთვის დაღვრილი.

და ჩაირაზა სამოთხის კარი
დაველოდებით აღდგომას, უფლის.
იქნებდა მანამ მოვასწროთ მაინც
გადავირჩინოთ ჩვენივე სული.

ქრისტე აღსდგება, ჭეშმარიტებით
ნიშნად, ბოროტზე კვლავ გამარჯვებით.
და ჩვენც ვიხილავთ იესოს ცოცხალს
მჯდომარს მამისა, გვერდსა მარჯვენით.

ბოლო სტრიქონები

უკვე აღარ ვიცი, ეს გზა საით მიდის
თანაც უსასრულოდ, ბოლო აღარ უჩანს.
თითქოს მონატრების ცრებლებს მივყვები და
ისევ სევდიანად ვუცქერ, ნაცნობ ქუჩას.

ცრემლი მომერევა, გულშიც კვლავ იფეთქებს
ლექსის სტრიქონები, რაც კი მიმღერია.
შენგან დაჭრილ გულზე, თუთუნს დავიფერფლებ
ცოტა გაყუჩდება, ალბათ, იმედია.

ნაცნობ ხეივანთან, ჩვენ რომ ვისვენებდით
ბინა დაუდიათ, ვიღაც უცხო ლოთებს.
მე კი ნამთვრალევი, ძმურად შემიფარეს
ცეცხლიც მიუკიდეს, იქვე გამხმარ ფოთლებს.

როგორ ტკაცუნობენ ხმელი ფოთლები და
თითქოს ჩემი გულიც, მსგავსად იფერფლება.
ახლა ისე მინდა შენთან სიახლოვე
ახლა ძლიერ მინდა, შენი მოფერება.

ერთიც დავლიოთო, ფიქრი გამიფანტა
არყით სავსე ჭიქა, უხმოდ ჩაიცალა.
ახლა შენ დალიე, დარდი გააყოლე
ხედავ? თენდება და, უკვე ცა იცვალა.

ბოთლი მიბოძა და უხმოდ გამოვართვი,
მთვარის ბროლიანი თასით გადღეგრძელებ.
ალბათ ეს ბოლოა, ბოლო გათენება
ხვალ კი ვეღარ ნახავ, კარგო, შენ ჩემ ცრემლებს.

არა, თავს არ ვიკლავ. თავი თავად მიკლავს
არყის წვეთებიც კი გადის გულის გავლით.
ალბათ ეს ბოლოა, ბოლო გათენება
ხვალ კი დაინახავ ჩემ გვამს, შენი თვალით.

* * *

შემეშვით,
დახურეთ ყოველი
თქვენი სასმენი.
მე აღარ გისმენთ,
ჩემი მაქვს კალამი,
საწერი.
ღმერთი მყავს ისეთი.. ჯვარცმული,
ნატანჯ-ნაგვემი
რაის ხარ მოკეთე?
რაის მოყვარე? ქარვთელი?
წახდით,
ჩარაზეთ,
დაგმინეთ სამოთხის კარები
გულები გააპეთ, ცხოვრება მუხთალი
გახდა.
რაც მქონდა,
წამართვით,
შებილწეთ წამებით.
ქართველი კაცი და ქართული
მანდილიც წახდა.
შემეშვით,
დადუმდით,
ნუ მახვევთ თქვენს აზრებს თავზე
მე, ამ ერთ ქართველს,
ათასი ურჯულო მიმონებს.
დამინდეთ,
შემინდეთ,
მაკმარეთ,
ნუ მართმევთ რწმენას.
ღმერთი მყავს ჯვარცმული,
ნაგვემი,
ნაცემი.
მაკმარეთ,
მაცადეთ,
მაცადეთ რწმენა.

* * *

სულით ხორცში გაიარა,
ავაზაკის მზაკვრულ ტყვიამ
რა ძნელია რომ არ ელი,
თითქოს მერე სულიც მიაქვს.
მიაქვს, მიაქვს, სადღაც შორს და
თან გაატანს სევდას, ნიავს.
გულში ასე თარეშობენ
რომ დატოვებ კარებს ღიას.

რა ძნელია ვინმეს ენდო,
ენდო თანაც თავზე მეტად
ენდობი და ვეღარ ხვდები,
ასე როგორ გაგიმეტა?
გულის კარებს დაკაწრავენ,
მერე ფეხით გათელავენ
მერე გინდა, მართლა გინდა
ცხარე ცრემდით ატირება.

ვინ შეგიშრობს ცხარე ცრემლებს?
ერთ სიტყვასაც ვინ შეგაწევს?
ფეხ ქვეშ ისე გაგთელავენ,
ერთ სიტყვასაც არ შეგარჩენს.
მერე ვხვდებით, გვიან ვხვდებით,
თვალზე ცრემლი რომ შეგაშრეს
უნდა იყო ძლიერი და
არ მოუშვა სხვა შენამდე.

* * *

დამისხით, უნდა დავლიო
თუნდ ბოლო იყოს სასმისი.
ფუჭი ცხოვრება რად მინდა
როცა შენ უკვე ხარ სხვისი.

აღარც სიცოცხლე მიხარის
აღარც მზის სხივი დილისა.
შენთან სიცოცხლე, ნანატრი
გადამიქციე ტკივილად?.

ჩამომიქციე სამყარო
დავალ მარტო და ეულად.
ის რაც აქამდის მოგიძღვენ
უღმერთოდ გადაქცეულა.

რას დავემსგავსე ნეტავი,
ბარად მავალი მარტო და
ჩემი თვალები გეძებდნენ
ჩემი გული კი გნატრობდა.

დამისხით, უნდა დავლიო
თუნდ ბოლო იყოს სასმისი.
ფუჭია ჩემი სიცოცხლე
როცა შენ უკვე ხარ სხვისი.

* * *

ახლა მაისია, ვარდობის თვე
სულში მონატრება აიშალა.
ის რაც, სიყვარულით დაგიწერე
თითქოს, ერთიანად წაიშალა.

ფერი დაჰკარგვიათ ნაწერებს და
აღარ იკითხება აზრი უკვე.
შენთვის დაკრეფილი გვირილები
ხელში ჩამაჭკნა და დავიღუპე.

არა, მონატრებას ვერ გაუძლებს,
ჩემი დაფლეთილი საგულე და
მოდი, სიყვარული შევისწავლოთ
სანამ შეგვიძლია დაბრუნება.

თორემ გზებს დაფარავს ნამქერი და
შენი მონატრება გამაგიჟებს.
თუ კი ვერ მოვედი სანახავად
ჩემში, უშენობა ამატირებს.

ბოლო წვეთია

კალამში მელანს შევატყვე დაცლა
ბოლო წვეთია. მოვასწრებ წერას?
ფიქრის ზვარაკი ვაქციე განცდად
ისევ ვერ ვუძლებ შენს მაცდურ მზერას.

ბოლო წვეთია, წამზომი მიდის
ისრებიც ნაზად მიიზლაზნება.
ჩემი მერანიც მიმაფრენს, მიჰქრის
მიჰქრის და სადღაც მიეჩქარება.

დრო დამრჩა, რაღაც წამებზე ცოტა
მე კი ვწერ რაღაც გულის ძახილებს.
ძნელი ყოფილა გაექცე ცოდვას
თითქოს და ძილშიც ვიღაც მაფხიზლებს.

გამკრთალდა უკვე ყოველი სიტყვა
აღარ ემჩნევა გაცრეცილ ფურცელს.
მე კი ვწერ ისევ, ურითმო ლექსებს
და ვეჯიბრები ძლიერს და სუსტებს.

* * *

ქარი უფესვო ხეებს წააქცევს,
მერე კი სადღაც გაატანს წარსულს.
ახლა ვერც ლოცვა ღმერთად ვერ მაქცევს,
და არც ფიქრიდან გამოსვლა არ მსურს.

სიყვარულია დღეს ჩემი ძალა
მაგრამ უღმერთო ეს სიყვარული
ნეტავ ვიცოდე ვინ დამაძალა,
რა დამრჩა გულში კიდევ ფარული.

ჭიქა ღვინოა ახლა საშველი,
აი, აქ ვატევ დარდსაც და ცრემლსაც.
ვინაა თუნდაც ჩემი მაშველი?
ან ვის სწამს იმის, რაც მხოლოდ მე მწამს.

თუ ეს ლექსები არის გვიანი,
ფუჭად ჩათვალე, რაც კი მოგიძღვენ.
მაშ რაღად გინდა, რაში გჭირდება
ვითომ პოეტი – დავით ლომიძე.

* * *

ხელოსანი ვარ, რითმებს გავჩარხავ,
ლექსის დაწერის სურვილს მოვიკლავ.
რითმების ომში, თავსაც დავკარგავ,
ამბავს კი ჩებზე, ვიღაც მოგიტანს.

მიმობნეული ვაგროვე სიტყვა
რომ ამეკინძა სტროფებად ლექსი.
გადავაქციე მელანიც რითმად
და ძველ დღიურში, მძივებად შევსხი.

ვიცი, მტვერი დაედება წიგნებს,
ვიცი მღრნელებიც შიუჩნდებიან.
მე კი შემოქმედს, ეს უნდა მწყინდეს
რომ ეს მუზები მიყუჩდებიან.

აღარ იტყვიან თავიან სათქმელს
ბნელში გადავლენ, ასე მგონია.
მე კი სევდიანს, თან დამსდევს მუდამ,
ჩემი რითმების მელანქოლია.

* * *

ველოდებოდი მე თბილ გაზაფხულს,
იის და ვარდის გამოღვიძებას,
და სულში ბუდობს ისევ ზამთარი,
ცივი სევდა კი – მაწევს ნისლებად.

დაისადგურა გულში დარდებმა
და გაზაფხულის სითბო არ სწვდება
ფიფქავს სულში და რა მტკივნეულად,
თითქოს ლაქებად კანზე მაჩნდება.

ველოდებოდი სულის გაზაფხულს
ატმის კვირტების ამოფეთქებას...
მაგრამ რა ვუყო ცივი ზამთარი,
სანამ არ მოხვალ არ მომეშვება.

გულზე დამედო უხვად ფიფქები
სულის სიცივე სისხლსაც მიყინავს
ასე ცივი და მკაცრი ავქარი
მე ჯერ არასდროს არსად მიხილავს.

* * *

✍✍

სული შემიბერე მოდი
გულზე იარები მეწვის
მოდი მომაშორე ლოდი
ჩემ სულს ეშმაკები ეტრფის.

უკვე დღე შეცვალა ღამემ
მე კი სიმარტოვის შიშით
ისევ მოვუყვები მთვარეს
სადღაც უფსკრულ პირას გიცდი.

მთვარე სევდის ფერი მოსჩანს
ღამეც სხვა ფერია ახლა
გული უშენობით მოსთქვამს
კვლავაც ჰგონია რომ გნახავს.

მოდი, ხელი მკარი ნაზად
მეც რომ დავამთავრო ტანჯვა
თორემ სიმარტოვის განცდამ
უკვე ამირია თავ-გზა.

დღესვე დავასრულოთ მოდი
ჩემი სატანჯველი, სევდა
მხრიდან მომაშორე ლოდი
მეც რომ დავივიწყო წყენა.

* * *

მდინარე ვნახე წუხელ სიზმარში,
მდორე იყო და თან წითელი.
ეშმაკისა და ღმერთის ბრძოლაში,
რატომღაც, მშრალზე რჩება, მლიქვნელი.

წუხელ, სიზმარში, სისხლის ტბაც ვნახე,
ედინებოდა ვენას უწყვეტად.
მაგრამ, სარკეში ვიხედებოდი,
ვიყურებოდი სულ მთლად, უვნებლად.

წუხელ სიზმარში, გოლგოთაც ვნახე,
ვნახე ბარაბა და ვერცხლის ფული.
მერე კი მივხვდი, თურმე სხეული
სულ მთლად დაცლილა ბინძური სულით.

მერე სიზმარში ვნახე უფალი,
ჩემი სხეული მუხლად გართხმული,
და სამსჯავროზე კადრებად ვნახე,
ჩემი ცხოვრება, აწ გარდასული.

მერე კი ვნახე, გოდება, ცრემლი
სინანული და სხეულის გვემა.
მინდა გახსოვდეთ თურმე სიცოცხლე
რომ არ ყოფილა წარსულის თვლემა.

* * *

✍✍

მე არ ვარქმევ ამ ჩემს ლექსებს სახელს
რადგან ძილშიც აჩრდილები დამსდევს
ეს გულიც კი უკვე ითვლის წამებს
რომ გაჩერდეს, რომ გაჩერდეს მალე.

უღმერთობით გამოწვეულ ტკივილს
დასასრული როსღა შეეტყობა?
ჩემი სულიც განწირულად კივის
სანუგეშოდ? არვინ არ ეტრფობა.

რა დავარქვა ახლა ასეთ ლექსებს?
სადაც სევდას აღარ უჩანს ბოლო.
სადაც მუმლი გულში იდგამს ფესვევს
მე პოეტებს როგორ გავეტოლო?

ეს კალამიც დაიცლება მალე
ჩემს დღიურს კი მტვერი დაედება,
ჩემი სევდაც ფიქრში გადავმალე
რადგან ჩემი, არვის გაეგება.

ღვინო, შე ოხერ ტიალო

ღვინო, შე ოხერ ტიალო
რათ ცდილობ, გამატიალო?
რათ ცდილობ რომ შენს ჭკუაზე
ბავშვივით დამატრიალო.

წადი, შემეშვი, სხვა ნახე
სხვა ვინმე, ოხერ ტიალი.
ვიცი ვერ დაგცლი რადგანაც
ღვინო ხარ, ბარაქიანი.

როცა აგყევი საშაროდ
ხეირი ვერა მწიეო.
უცხო ქალების შაირზე
სულ მუჯლუგუნით მწიესო.

მათრიეს ვითარც მთაგორზე
მუხის მოჭრილი მორიო.
სულ დამავიწყდა ქალიც და
მისი მომგონიც, მგონიო.

წადი, გამშორდი, შემეშვი,
ღვინო, შე ოხერ ტიალო.
აღარ აგყვები სხვა დროს რომ
კიდევ არ დამატრიალო.

* * *

შენი თვალები მაოცებს
მათრობს, ვით ღვინო მანავი.
უარს თუ მეტყვი ძვირფასო
მე მაინც მოგიპარავდი.

შორს წაგიყვანდი, მალულალ
ოცნების კოშკებს აგიგებ.
გულის კარს, როგორც სამზეოს
მხოლოდ მე შენ ერთს გაგიღებ.

დავეწაფები შენს ტუჩებს,
ვით უკვდავების წყაროს წყალს.
ამ გულის მხსნელად მოსულო
გთხოვ, უშენობით არ მომკლა.

წამო, გამომყევ, წავიდეთ,
გადავიაროთ ქედები.
მე საგულეთი გატარებ
შენ კი ჩამჭიდე ხელები.

შემოვიაროთ მთა-ბარი
ერთურთს გულები ვუხაროთ.
შენ დამილოცე გევედრი
ჩემი მზის სხივი, უფალო.

* * *

ჩემი სული, შენ მოგანდე უფალო,
ჩემი გული, ქონდეთ ოხერ-ტიალებს.
მეც სულ მალე მომიწყობენ გოლგოთას
და მეც ვეღარ მოვიშუშებ იარებს.

გამიყვანენ სამსჯავროზე ჯალათნი,
შემაბამენ ჩემი ქამრით, საყელოს.
ბრბოს ექნება, თითო მუჭი ტალახი
რომ ჩამქოლონ, თუ ვერ ვნახე საერთო.

ხის სკამი და კისერს ყულფი მაბია,
ჩემ საჯიჯგნად, იქვე მხეციც აბია.
მაგრამ რა ვქნა? ასეთია სამსჯავრო.
ეს ცხოვრება, ზოგჯერ მართლაც ფანდია.

ბოლო სიტყვის თუ მომეცა უფლება,
ერთს გეტყვით და ბედნიერი ვიქნები,
რომ მკვდარიც კი ვიზეიმებ სიცოცხლით,
თქვენგან მკვდარი, თქვენზე მაღლა ვიდგები.

* * *

მე დავბრუნდები, დაგპირდი და აჰა მოვედი,
რომ ცოცხალ მშობლის, ბოლო ნახვას ვერ მოვუსწარი,
დედი მოვედი, დავუძახე, შევაღე კარი...
ექო მეძახის, დედის ხმაზე, ვერ მომისწარი.

ჟანგიან კარებს ფართოთ ვაღებ, გულის კარივით.
თვალწინ გარბის შავ-თეთრ ეკრანზე ბავშვობა ჩემი,
ეზოში ვჯდები, კაკლის ძირში, ვტირი ბავშვივით,
და ამ ეკრანზე არ ილევა ძველი კადრები.

მივუახლოვდი სახლის კარებს, სადღაა სახლი?
წამოწოლილა სახურავი, კედლების მხრებზე,
შევედი შიგნით, გამახსენდა ნაცნობი ხალხი,
ნოსტალგია მაქვს, მეტირება მე ყველაფერზე.

ბავშვობის ფოტოს მოვკარ თვალი, კედელზე იყო,
მუხლებზე ვიდექ, ვიხსენებდი სოფლის ცხოვრებას,
სოფელში ბირჟა, ფრონეში თევზი, ეს სულ სხვა იყო,
წლების მერეც კი ვერ ვასრულებ დედის ოცნებას.

უცხო მგზავრივით გამოვბრუნდი, გულ გატეხილი,
შავი კვამლი კი, უკან მომსდევს, სახეს იხოკავს,
ასანთის ღერით დავასრულე ბავშვობის წლები,
მოგონებები ცეცხლის ალში ისევ მიღოღავს.

* * *

წვიმა იყო იმ ღამითაც
წვიმა ცრემლებს აქარვებდა
ჩემი სევდა, ჩემი დარდი
სულ არავის ადარდებდა.

წვიმა იყო იმ ღამით და
წვიმამ ფიქრი გამიფანტა.
მთვარე? ჩუმად მიყურებდა
ჩემთან ერთად არ იდარდა.

წვიმა იყო იმ ღამით და
შენ წახვედი, მიმატოვე
წახვედი და უნებურად
ჩემი გული იქ დავტოვე.

სადაც გული მიკვდებოდა
სადაც სული იფერფლება
სადაც წრფელი სიყვარული
სანთელივით იღვენთება.

მიმატოვე წვიმა, თქეშში
შეეფარე უცხო კალთას.
მე კი მარტო ვუმკლავდები
ზამთრის ყინვას, თოვლს და ავქარს.

ვერ დაგთმე

გაუტეხელი გული მქონია
და სიყვარულიც ძლიერ მცოდნია.
იცი? იმ ღამით შენ რომ წახვედი
შენ ჩემი სული გამოგყოლია.

ბევრი იარა, ბევრიც გეძება
ეკალ-ბარდებიც გადაიარა.
სულ დაიკაწრა, სისხლიც სდიოდა
ვერ მოიშუშა გრძნობის იარა.

ვეღარ გიპოვა, ვეღარც მე მნახა
და დავრჩი ასე, მარტოდ სხეული.
სატრფოც დავკარგე, სულიც დავკარგე
დავიარები, მარტოდ ეული.

იცი? ვერ დაგთმე. არ შემძლებია,
ჩემი გულიდან ვეღარ წაგშალე.
ჩემში შემორჩი იმ სიყვარულად
სულთან ერთად რომ უკვე დავკარგე.

* * *

თუ შემაჩვიე მე უშენობას
მაშინ წადი და დამტოვე მარტო
თუ ოცნებებშიც ვეღარ გიხილავ
ვისღა გავანდო დარდები კარგო?

თუკი წახვედი, წადი ბოლომდე
რომ აღარ დამრჩე გულის კუნჭულში.
და ეს უძირო ღამის აჩრდილი
მეც მოვისროლო სადმე, უფსკრულში.

და ისევ მარტო, გავუყვე ბილიკს
ეკალბარდებიც მარტომ გავთელო.
ჩემს უკან მყოფმა შავმა აჩრდილმა
ჩემი წარსული ფეხ-ქვეშ გათელოს.

გაუსაძლისო, მწუხრისა ღამევ
აღარ გათენდე, ჩაბნელდი უფრო,
და შენ კი მთვარევ, ცოდვებით სავსე
გული გამიპე, გაჩერდი წუთო.

მე...წავალ ისევ, დაუფიქრებლად
წავალ და გულის გეთქვაც ნელდება.
ნახე? წავედი. ზემოთ ღრუბლებში
ღრუბლებში სადაც სწრაფად ბნელდება.

და დავასრულე მე ეს ცხოვრება
აუხდენელი დამრჩა ოცნება
რომ სიყვარულის სითბო გამეგო
შენთვის კი ჩემი გული მომეცა.

* * *

არა, ვერ ვუძლებ რითმების ბრძოლას
და მოვიმარჯვე კალამი ხელში.
მივყევი რითმის უხეშ შეტევას
და ბრძოლის ველზე ვეხვევი ცეცხლში.

არც მე დავთმე და ფარ-ხმალს არავ ვყრი
არ დავუჩოქე ოკუპანტ რითმას.
ვიბრძოლე თითქმის ბოლო ფეთქვამდის
იქნებ და ზავი ოდესღაც მითხრას.

თუ კი ვერ შევძლებთ ჩვენ შეთანხმებას
და შევერკინეთ ბოლო წვეთამდის
იქნებდა ლექსიც გამომივიდეს
რომელიც ალბათ მოვა თქვენამდის.

* * *

როგორ უხდება გაზაფხულს
წითელ-წითელი ვარდები,
როდის დადგება დღე, როცა
უსიტყვოდ შეგიყვარდები?

მზე რომ ამოვა ლურჯთვალა
ქარს გავატანოთ დარდები.
სავსე მთვარეს კი ღამისას
დამპირდი, შეგიყვარდები.

დილით, ირაოს ძვირფასო
შენთან მე მოვალ ვარდებით.
სულაც უარზე რომ იყო
მჯერა რომ შეგიყვარდები.

გურამ სახვაძე – გემო-კვების ტექნოლოგი
დაბადების ადგილი – ხარაგაული

ქართული ენის საგალობელი

ქართულ ენას, დედა ენას
ვუთხრათ საგალობელი,
დედაენა არის ჩვენთვის
საგანძური ყოველი.
ტკბილხმოვანი როგორც ჰანგი
დედისაგან ნათქვამი,
მტრისთვის ბასრი,
მოკეთისთვის
თბილად გამოსათქვამი.
ათას მტერს და ძნელბედობას
ედგა იგი დარაბად,
ის ჩვენ, ჩვენ მას
ჟამთან ერთად
მივყვებოდით თანაბრად.
ერთმანეთი გავიტანეთ
ასწლეულთა მიჯნაზე,
სახელოვნად ვმოქმედებდით
ჩვენი მტრების ჯინაზე.
უამრავჯერ სცადეს ჩვენში
დაერღვიათ კავშირი,
ამ მოტივით ბრძოლის ფრონტი
ფართედ ჰქონდათ გაშლილი.
რა არ სცადეს,
რა არ სინჯეს,
სიმწარე თუ "სიკეთე"
მაგრამ ენა, დედა ენა
მაინც ვერ მოგვიკვეთეს.
სისხლის ფასად,
ცრემლის ფასად,
ოფლის ფასად დაგვიჯდა
თუმცა შრომა გაწეული
ბოლოს ტკბილად აგვიხდა.
ჩვენ კვლავ ერთად
მოვდივართ და
ვართ ერთობის მდომელი
ქართულ ენას,
დედა ენას
ვუთხრათ საგალობელი.

კაცების საყურადღებოდ

ქალის მისია
ხიბლის ფრქვევაა,
კაცის მისია
ამ ხიბლის ფასი,
რეალურობის
ნათლად აღქმისთვის
გვჭირდება ხედვა
და ცოტაც შანსი.
არ არსებობენ
უშნო ქალები,
მათ დაკნინებას
არც შეეცადოთ,
პირიქით ქალში
მშვენიერების
წარმოჩინებას
უნდა ეცადოთ.

ლ უ რ ჯ ი ა პ რ ი ლ ი

მეც მზის სხივივით გამოვიჭერი
რომელიც იყო ღრუბლების გარსში,
თითქოს მომეხსნა სიცარიელე
და სხვა ხალისი ვიგრძენი კარში.

მიჯინებული წვიმების ფონზე
(წვიმასაც ზღვისებრ ხომ აქვს ნაპირი),
პირვლად გაიხსნა გული ზეცამ და
გამოკეკლუცდა ლურჯი აპრილი.

ოო, მზე სულ სხვაა ეს დალოცვილი,
არ შეიძლება არ გფენდეს იმედს,
შემოახია გულზე საკინძე
ვნებით გამომთვრალ ყვავილთა
კვირტებს.

მეც ყმაწვილივით გავვაქტიურდი
თუ რამ მახარებს არ ვიცი დაღლა,
ვაზი გავსხალი, ჭიგო მივუსვე
და კმაყოფილი ჩამოვჯექ ახლა.

გამომზეურდა მწუხრი ბუნება
სითბოს შეჰხარის უკლებლივ ყველა,
ყვავილებს ფუტკრის ჯარი ეხვევათ
და არ ჩერდება ჩიტების სტვენა.

წუთით წამიღეს მოგონებებმა
ვიხსენებ რამდენ წარსულ აპრილებს,
მე ვინაც მიყვარს ნეტავ ის ხალხიც
ჩემს გახსენებას თუ დააპირებს.

ვერ დაგიმალავ

გადამიარა დარდმა თავისით
გულმოსულობაც ქარმა წაიღო,
იმედი ისევ ჩნდება
ხვალის დღის
უიმედობა არსად არ იყოს.

შეჰყვარებია ამ გულს სიკეთე
ვქმნი როგორც ძალმიძს
და ვებრძვი ავსულს,
შავი ლაქები არსად ემჩნევა
არც ჩემ მყოფადს და
არც კიდევ წარსულს.

გული თუ მწყდება, იმაზე მწყდება
როდესაც ამ მადლს არ იხედები,
როცა ხანდახან განსხვავდებიან
სიკეთისადმი ჩვენი ხედვები.

და გიკვირს ასე არაფრის გამო
რად მაქვს ყველასთან
კეთილგანწყობა,
ვიცი რთულია, მაგრამ უფალმა
ასე ინება ჩემი აწყობა.

ვერ დაგიმალავ ძნელია მართლაც
სულ წაგებულის როლში თამაში,
მე სითბო მინდა
თქვენიდან თორემ
წყალმა წაიღოს ყველა შაბაში.

ადამიანებო მე თქვენ მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ თ

როცა გვიყვარს
ხასიათიც მოგვყვება,
სიყვარულთან
სიძულვილი არ ხარობს,
მიყვარხართ და
მილამაზებთ სიცოცხლეს
მეთბილება თქვენით
მთელი სამყარო.

ეს იმ ნიჭს გაუმარჯოს

ეს იმ ნიჭს გაუმარჯოს
უფლისგან ბოძებულს
რომელიც ვერ ითმენს
სხეულში შეყოვნებას,
ხალხში გაჟონილი
ან სპორტს ასახელებს,
ან მეცნიერებას და
ანდა ხელოვნებას.
მის მფლობელს, ეგება
აქამდე სულ უცნობს,
უცებ გაენთქმება
საქვეყნოდ სახელი,
მთავარი ნიჭია,
ნიჭს მივცეთ ფართე გზა
თუ გვინდა რომ ვიყვეთ
სიკეთის მნახველნი.
– ეს იმ ნიჭს გაუმარჯოს
მართლა რომ ნიჭია,
მფარველის გარეშე
რომ გამოკიაფდა,
რასაც შეუძლია
ერი გვასახელოს
როგორც რომ ცალ-ცალკე
ასევე მთლიანად.
ვეძიოთ ასეთნი,
გზა მივცეთ ყველას ნიჭს
რომელიც ვერ ითმენს
სხეულში შეყოვნრბას,
ნიჭი – ნიჭი არის
გინდ სპორტს ემსახუროს,
გინდ მეცნიერებას და
გინდაც ხელოვნებას.

ჩვენ გავაგრძელებთ სიცოცხლეს

მარიამობას გილოცავ
მრავალტანჯულო მამულო,
ხალხო, სულივით უტკბესნო,
თუმც სევდით თვალდანამულნო.
სულ ასე ხომ არ ვიქნებით
ერი ათას ჭირს მნახველი,
კვლავ იდიდგორებს სამშობლო,
კვლავ იქართველებს ქართველი.
ოღონდაც ნუ დავეცემით,
ოღონდაც ღმერთი ვიწამოთ,
კი გვიჭირს მაგრამ ოჯახი
უნდა შევქმნათ და ვიმრავლოთ.
თითო ოროლა შვილები
ერს ვერ მოუტანს მხნეობას,
რაც მეტ შვილს გაზრდით
მით უფრო
ელოდეთ კეთილდღეობას.
მტერი გარეთაც ბევრი გვყავს
შიგნითაც გვმტრობენ მავანნი,
ხალხისთვის ვინც უნდა იყვნენ
შემწე და მამამთავარნი.
თვალი ვუსწოროთ სიმართლეს
მაღლით მზეს, დაბლით მიწასა,
არ ვენდოთ ისეთ მოხელეს
ვინც კანონებს არ იცავსა.
უფალმა ერთად დაგლოცოთ
ყველა
დიდი თუ პატარა,
შეგვაძლებინოს გამჩენმა
მძიმე ცხოვრების ატანა.
მაგრამ არ უნდა დავნებდეთ
ბრძოლა ცოცხლების ვალია,
ვერ მოვისვენებთ მანამდე
სანამ არ გაგვიხარია.
დღეის დღის მადლი გწეოდეთ
შევსთხოვ მარიამ ღვთიშობელს,
ერი არ გადაშენდება
ჩვენ გავაგრძელებთ სიცოცხლეს.

პოეტთა ცხოვრება

პოეტებს სულ მუდამ
დარდი სჭირთ
დილამდე რჩებიან
ღამესთან,
და თავის ნაფიქრალ
ნააზრევს
პირველნი ჰყვებიან
მთვარესთან.
შეთხზავენ
უახლეს სტრიქონებს,
დაწერენ, ან გულში
ჰყვებიან,
როდესაც სუყველა
იძინებს
პოეტთან მუზები
რჩებიან.
და ასე ცხოვრობენ
მუზებთან
დაჰფრენენ ხალხს ზემოთ
სივრცეში,
მათ ამ დროს
ხელს არვინ არ უშლით
თავიანთ აზრებს თუ
ფიქრებში.
საფიქრი კი მართლაც
ბევრი აქვთ
ვერ სცნობენ
უღმერთო კანონებს,
მათ სულში უფალი
სახლობს და
ღვთისნიერს
ვერაფრით დათმობენ.
სიმართლე ჰობია
იმათთვის
მათ მცველებს
უწოდებს არწივებს,
პოეტნი სიკეთეს
სთესენ და
ავისგან ყოველთვის
გვაფრთხილებს.
საკუთარს არაფერს
ეძებენ
სამშობლო იმათი სახლია,
და მათი სიმდიდრე
რომ ჰკითხოთ
ლექსების სტროფებად
დათვლიან.
სიმართლეს ამბობენ
იქ სადაც
სხვებია სულ გაუბედავი,
ამიტომ პოეტთა ცხოვრება
არასდროს არ არის
ნეტარი.

მე მოგართმევ ყვავილების შეკვრას

შენი ეშხით მზეც კი
ნაკლებ მზეობს
და სხივები გასცრეცია
მთვარეს,
დღის რიჟრაჟმა
დაუკარგა ფერი
შენზედ ლოცვით
გათენებულ ღამეს.
ფოთლებს არხევს
სისხამ დილის სიო
სიყვარულზე თუ
უყვება ზღაპარს,
მაგრამ შორით
ახმიანებს ეხო
მთელი ღამის
ჭორად ქცეულ ამბავს.
მთას შემოჯდა
ოქროსფერი დისკო
მის სხივებქვეშ
აბრჭყვიალდა ნამი,
ყვავილებში
ჩიტუნები ცელქობს
უკეთესს რას
დაინახავს თვალი.
მე მოგართმევ
ყვავილების შეკვრას
ზეციური მანანებით
ნაპკურს,
მოგართმევ და
ჩემი ყურადღებით
დაგავიწყებ უსიამო
წარსულს.

ემიგრაციაში წამსვლელ დედებს

დედავ, ქართველო,
ბევრის მნახველო,
ჭირსა მთმენელო
და სანატრელო
სახლში დარჩი და
ოჯახს მიხედე
თორემ დაგვექცა
თავს საქართველო.

უფლის სამადლობელი

დილა ხარ ტკბილი,
ხარ მშვიდი ღამე,
და ასეთივე
 დღის მონაკვეთი,
მებედისწრე ხარ
ჩემი ცხოვრების
რის გამოც სწორედ
 გიწოდე ღმერთი.
მადლობელი ვარ
 ჩემო უფალო
რაც რომ მართალი
 გზებით მატარე,
გაჩენის დღიდან
რომ კეთილ მმყავი
რომ ბოროტ აზრებს
 არ გამაკარე.
არ დამახარბე
ფულს და ცხოვრებას
ალალი ლუკმის
 ფასი მასწავლე,
მშობლებთან ერთად
შენც მპატრონობდი
და ამისათვის
 შენც გენაცვალე.
დღეს რაც ვარ ეს ვარ
 საშუალო დონით
მოვსდევ ცხოვრებას
 სხივით ნაპკურებს,
იმედი მრჩება
 ჩემი ფესვები
ღრმა სიბერეშიც
 რომ დამაპურებს.
მადლობელი ვარ
 ამ სისადავის,
და ღირსებების
 რაც შენგან მერგო,
ოღონდ ბოლომდე
 ასე შუბლნათლად
მატარე ჩემი
 სავალი ღმერთო.

შეგონება მოზრდილთათვის

კი ბატონო ვილაღოთ,
კი ბატონო ვილხინოთ,
მაგრამ ცოტა შვილებო
საქმეზედაც ვიფიქროთ.

ასე ვის გაუგია,
ასე როგორ იქნება,
უსაქმურად ყოფნაში
ვპოვოთ თავდავიწყება.

ცოტა მშობლებს მიჰხედეთ
შეეშველეთ საქმეში,
როცა ხედავთ ჯაფისგან
ჩაცვენილან რა დღეში.

ისინი ხომ თქვენს გამო
ხშირად ვალებს იღებენ,
თქვენ არაფერს გაკლებენ
როცა თავად იკლებენ.

მოთხოვნებს რომ უყენებთ
და გსურთ კარგი ცხოვრება,
უნდა გაიზიაროთ
მათთან თანაცხოვრებაც.

მიხვდეთ რა შეუძლიათ
რა გზები აქვთ სავალი,
და რამდენ ლარს შეადგენს
 მათი შემოსავალი.

სულ სხვებს რომ აჰყოლიხართ
მჯობნის მჯობნს რა გამოლევს,
ამიტომაც შეჰხედეთ
თქვენ მშობლებს და ახლობლებს.

საქმეში წაეშველეთ
რომ დაგროვდეს ბარაქა,
ვინმე დამისახელეთ
ფუჭად ყოფნით რაც ნახა.

სულ ღლაბუცი, ღლიცინი,
სოც ქსელებით გართობა,
არმგონია რომ იყოს
სამომავლო მზადყოფნა.

წინ რთული სჩანს
ცხოვრება
თუმც იქნება ნათელიც,
მაგრამ კაცმა სულ უნდა
თქვას თავისი სათქმელი.

კი ბატონო ვილაღოთ,
კი ბატონო ვილხინოთ,
მაგრამ ამავდროულად
საქმეზედაც ვიფიქროთ.

ს ა ზ ღ ვ ა რ ი

საზღვარი არის
 მრავალნაირი
ქვეყნის, კაცობის,
 ოჯახის, თმენის,
ადამიანურ ურთიერთობის,
სიყვარულის თუ
 სულიერ რწმენის.
ყველა საზღვარი
 ღირებულია
და მომენტებში
 არის მთავარი,
თუმცა ამათგან
 ქვეყნის საზღვარი
გამხდარა უფრო
 მამამთავარი.
მე ვით რიგითი
 ერთი ქართველი
ადამიანურს მოვნიშნავ
 საზღვრებს,
რომელსაც ვფიქრობ
 თვითოეული
არამც და არამც
 არ უნდა გავსცდეთ.
თუმც სიკარგე რომ
 საკმარი გვქონდეს
მხოლოდ სურვილით არ
 მიიღწევა,
თუ გაჩენიდან
 არ დაგვაყოლა
ღმერთმა თვითეულს
 მშვიდი ბუნება.
შემდეგ აღზრდაზე
 მოდის აქცენტი
ოჯახი, ბაღი, სკოლა,
 გარემო,
პიროვნება რომ
 ჩამოყალიბდეს
ყველაფერსა აქვს
 წვლილი საერთო.
გონებრივ წვრთნასთან
 უპირობოა
შრომის სიყვარულს
 ვაჩვევდეთ ბავშვებს,
და რომ შრომაა
 მნიშვნელოვანი
ეს თვითოეულს
ღრმად უნდა გვწამდეს.
დიდობაშიდაც
 კარგად აღზრდილმა
მერე თავის თავს
 შეუწყონ ხელი,
სხეულთან ერთად
 სულიც ჰკვებონ და
არ გაახარონ თავისი
 მტერი.
კარგად აღზრდილი
 ადამიანი
მთელი ცხოვრება
 დარჩება კარგი,
ასეთები კი
 ერს რაც მეტი ჰყავს
ქვეყნისთვის არის
 მით მეტი მადლი.
მაშინ ზიზღი და
 მტრობა გაქრება
აღარ იქნება
 ეხლა რომ არი,
ყველა სიცუდე
 იცოდეთ არის
უსაქმურების მონაგონარი.
რა გვაქვს სადავო
 ვიცხოვროთ ტკბილად,
ნუ გავცვლით მამულს
 ნაჩუქარ ფულში,
თორემ იცოდეთ
 შთამომავლობა
ნაგავს მოგაყრით
 თვითეულს სულში.
ის შენაძენიც ოხრად
 დაგრჩებათ
არაკაცურად მონაპოვარი,
ადამიანად დავრჩეთ
 თუნდ ვიყვეთ
ეპოქის მიმართ შეუპოვარი.

სიყვარულს ვერსად წაუხვალ

ნუ წაშლი ურთიერთობებს,
თუ წაშლი გულს ნუ გაატან,
მე მაინც შენთან დავრჩები
ლამაზ ფიქრებად ამაღამ.

იმდენად მოგეფერები
ვფიცავ რომ გაბედნიერო,
ქალო ამ გულის ღვთაებავ
ჯიუტო თანაც ძლიერო.

სიყვარულს ვერსად წაუხვალ
ვერავითარი კაპრიზით,
მსურს ჩემს მკლავებში
 გხედავდე
გატრუნულს ჩვილი ბავშვივით.

ქ ე ბ ა ს ა ქ ე ბ რ ი ს ა

დაღლილ მზერაში
მაინც ვიცან ლამაზი სული,
საგანძურივით რომ აჩნია
მაგ თვალებს შენსას,
შენისთანების არსებობა
გახდა სანატრი
და ვით ქვეყანას
დეფიციტად გაუხდა
ღმერთსაც.

გაბრწყინებული ვუცქერივარ
მაგ სიდიადეს
რადგან ეგ გული არ
იკარებს
შურსა და ეგოს,
ბედნიერებით ლამისაა
ისე ვიყვირო
ბებერი მთები გამოსცემდნენ
ჩემი ხმის ექოს.

– ღმერთმა დაგლოცოს
ყველას ენით სადიდებელო
თქვენებრი ხალხი
ჩვენს გულებში ქმნიან
მზიანეთს,
ვერ წარმოიდგენ
რა უზომოდ ბედნიერი ვარ
როცა ვეცნობი შენისთანა
ადამიანებს.

პოეზიის საგალობელი

ლექსი რომელიც წარმოვთქვი პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში 8 ნოემბერს. საოცარი წიგნის" პოეტები საქართველოსი"-ის პრეზენტაციაზე.

* * *

მადლობა უფალს
მეც რომ თქვენთან ვარ
თავი მგონია თვით
ორფეოსი,
რომ ამ ლამაზ დღეს
ერთად ვზეიმობთ
ჩვენ, პოეტები
საქართველოსი.
კორიფეებთან დგომა
მახარებს
კაცი ვიღვრები შაქარ
სიტყვებად,
თუმც ისიც მესმის
რომ არ გმსგავსობდეთ
დღეს ჩემი ფეხი
აქ არ იქნება.
ზეიმობს მუზა ვნებებ
აშლილი
ამსხვრევს ხელოვნურ
ყველა ბარიერს,
სიხარულით ხან
ზეცას მიგვაწვდენს,
ხანაც უმწეოდ
გაგვინაპირებს.
მადლობა ამ დღის
მიზეზ შემომქმედთ
რომ გაამდიდრეს
ჩვენი ეთნოსი,
და ამ მშვენიერ წიგნში
შეგვკრიბეს
ჩვენ, პოეტები
საქართველოსი.
წიგნი კი მართლაც
ისეთი გახლავთ
რომ ასახელებს
ქართულ მწერლობას,
ის გაზრდის წიგნის
როლსა და ხარისხს
და ჩვენთაგანის
კეთილდღეობას.
თაყვანს მივაგებ
მე მის რედაქტორს,
და კოლეგიას, ვინც ედგა
გვერდში,
ასეთი წიგნი,
თანაც ამ ფასად
არ დაბეჭდილა
ჯერეთი ჩვენში.
კარგი რაცაა უნდა შევაქოთ
ქება მართლისა გვიქმნის
სამართალს,
ნათელი ყველა
ჩვენ წინამორბედთ
ვინც აღარ გვყავს და
არის გზამართალს.
დასასრულს ყველას
გლოცავთ და გმოძღვრავთ
თუმც ღვთაებრივი
არ ვარ ეროსი,
მაგრამ სანამ ვართ
სიმართლეს ვწერდეთ
ჩვენ, პოეტები
საქართველოსი.

დიდგორობას გილოცავთ

ჩვენს შეგნებაში
დიდგორის ომი
ეხლაც დგას ყველა
ომებზე მაღლა,
და აწიც მინდა
ქართულმა გენმა
არასდროს იგრძნოს
მარცხი და დაღლა.
– ცხრაასი წელი
გვაშორებს იმ ომს
სიამაყე კი
დღესაც გვიღვივის,
რომ ქართველ გმირებს
ურიცხვ მტერთანაც
არ ჰქონებიათ
შიში სიკვდილის.
თუ ერს სარდალი
გმირთა გმირი ჰყავს
სხვა მებრძოლებიც
გმირად იქცევა,
მტრისთვის ის ხალხი
ქარიშხლებს ქმნიდნენ
და მოიპოვეს არდავიწყება.
მუსრი გაავლო
მაშინ დავითმა
თურქ – სელჩუკების
ურიცხვ არმიას,
დიდგორის ომის
ხმლების ჭახანი
გადასწვდა სტამბოლს,
ირანს, დარიალს.
უამრავი ტყვე
თუ დახოცილი
თურქების სისხლით
მოირწყა ველი,
და ისტორიას
ოქროს თავფურცლად
ახსოვს ეს ომი
ამდენი წელი.
მეფე დავითიც
შემოგვრჩა ხსოვნას
ვით უძლეველი
გმირი სარდალი,
კაცი ლომკაცი,
კაცი ლეგენდა,
გამჭრიახი და
ღმერთან მართალი.
დიდება იმის
სულს და კაცობას,
დიდება ყველა
დიდგორის გმირებს,
თუ არ გავწყდით ან
არ გადავჯიშდით
მათ ხსოვნას არვინ
არ დაივიწყებს.
ვერც ვერვინ შეცვლის
მას რაც გენში გვაქვს
(რაგინდ ვცხოვრობდეთ
სხვისგან მართული),
მე მწამს და მჯერავს
კვლავ იდავითებს
და იდიდგორებს
ჩვენი მამული.

შ ე გ ო ნ ე ბ ა

ვაზის ცრემლი ღიმილია
ქალის ცრემლი სინანული,
რაც გვაწუხებს ტკივილია
რაც გვახარებს სიხარული.
ჩვენი ბედი ხანმოკლეა
შევიბერტყოთ უნდა ყური,
შურისთვის კი ნუ გვცალია
ვთესოთ მუდამ სიყვარული.
კარგი თუ ვართ კარგი ვიყვეთ
წუთითაც ნუ წავთვლემთ თვალებს,
ათასი გვყავს მტერ მოყვარე
და სუყველა გვითვალთვალებს.
მათ გულებში უნდა დავრჩეთ
სიკეთის და ტრფობის მცველად,
თუ გვინდა რომ ჩვენს ღირსებებს
ვერ უცქერდნენ ალმაცერად.
ჩვენმა ხსოვნამ ჩვენს შემდეგაც
უნდა ჰპოვოს გასაქანი,
ამ ქვეყნიდან როცა წავალთ
ვიყვეთ ყველას დასანანი.
თორემ ჩემო მეგობრებო
ცუდს ცუდად აქვს აღსასრული
სიცოცხლესთან ხსოვნაც ქრება
და უდგება დასასრული.

რ ჩ ე ვ ა

უნდა წერო და იკითხო
დრო არ გაფლანგო ყასიდად,
მოხდება, ბევრსაც ინანებ,
მაგრამ არ იტყვი ავ სიტყვას.
უმართებულოდ ნათქვამი
მწარე სიტყვა ჰკლავს მსმენელსა,
მეტად ვნებს- ვინემ თამბაქო
ბავშვებს, ან არამწევლებსა.
ეცადე ენას ყოველთვის
გონება მისცე დარაჯად,
თუ გინდა არ მოინათლო
უიარაღო ჯალათად.
ავის თქმას ყველა შეიძლებს,
კარგის თქმა უფრო ძნელია,
და შედეგითაც სხვაობა
ასევე ბევრზე- ბევრია.
პირველს, ზიანის მოტანის
მეტი არააქვს მიზანი,
ახლობლებს მტრად
გადაგკიდებს
სჯობია გერქვას ხიზანი.
ხოლო ნაკითხს და კარგის მთქმელს
ვინც სიტყვას ხმარობს საზომად,
უცნობიც ცდილობს გაუხდეს
ნათესავად და ახლობლად.
მე ჩემი გითხარ სათქმელი
შენ აირჩიე ერთ ერთი,
შავისგან თეთრის გარჩევა
არასდროს არის ზედმეტი.

* * *

ჩემს სარკმლიდან
ბაღი მოსჩანს ტყემლების
თეთრად არის
გაპენტილი მთლიანად,
ყველა ასე ერთად
როგორ ყვავილობს
ამ ბუნების ვერა გამიგია რა.
თეთრი ფარჩა
წამოუსხავთ სუყველას
სათვალავი
მათი მართლაც დიდია,
სილამაზე გულს იმდენად
მიამებს
თითქოს საპატარძლოების
რიგია.
ვერ დავთვალე
ჰე, რამდენი ყოფილან
თვალსაწიერს იქით
გასდევს ტყემლები,
მზე იცინის, ბუნება კი
მშვენდება
საამურად გაპენტილან
ხეები.
ყვავილებზე დაბზუილებს
ფუტკარი
ზურნა-ზუზუნს შორიდანაც
გაიგებ,
გასათხოვრებს ნეტავ
ბედი მოგცათ და
ყველა ყვავილს
ჩემი ხელით დაგიკრეფთ.
ჩემი ხელით დაგამჩნევდით
თმებზედაც,
გიშერს შვენის თეთრი ციცქნა ფერები,
ლამაზებო სანამ თქვენც
ყვავილს ჰგავხართ
დაქორწინდით - თქვენ კი
შემოგევლებით.
ჩემს სარკმლიდან
ბაღი მოსჩანს ტყემლების
თეთრად არის გაპენტილი
მთლიანად,
მე, ხანდახან
პატარძლები მგონია
მოშრიალე ხეთა რიგი
კი არა.

ვერიკო პარწიკანაშვილი – მათემატიკოსი
დაბადების ადგილი – თელავი
საცხოვრებელი ადგილი – სიღნაღი

მე ვარ!

მე, ჩემი გენის, ჩემი გვარის
ერთი ფესვი ვარ,
ერთი ღიმილი,
ამოფეთქვა ჩემი ერისა,
ერთი სიმღერა, ერთი ლექსი,
ერთი ნოტი ვარ,
იმ ,,იავნანის", ,,ურმულის"
და ,,ოროველისა"!

ვარ წუთისოფლის ფოთოლცვენის,
ერთი ფოთოლი,
გაზაფხულების, აპრილების
ლურჯი ფერი ვარ,
ვარ მწვერვალებზე,
არწივების გადმოსახედი,
ხორბლის მარცვლებით
სავსე ყანის,
ერთი ღერი ვარ!

საწნახელს,
ბრბოდ რომ შესევიან გოგო-ბიჭები
და სიცოცხლეს რომ ანათებენ
დილის მზესავით,
ის ვარ, მათ გულში
ნაპერწკლები ვინც გააღვივა
და სამშობლო რომ შეაყვარა
სიცოცხლესავით!

შვილიშვილების სიყვარულით
მე ვარ, რომ ვხარობ,
გული მევსება,
იწურება სავსე მტევნები,
მევენახე ვარ,
მეჩუქურთმე,
აკვნის მთლელი ვარ,
ის ვარ,
სამშობლოს სიყვარულს რომ
მემოვევლები!

ჩემი ძირ-ძველი გვარის, ჯიშის,
მე, შტო ვარ ერთი
და ღირსეული გაგრძელება
ჩემი გენისა,
ვარ კლდეებიდან
არწივების გადმოსახედი,
ერთი ფოთოლი,
ამ სამყაროს ფოთოლცვენისა!

ჩემს თელავს

მე თელავის სიყვარული მამღერებს,
მე, თელავის სიყვარული მათბობს,
მეც მასავით შემერია
ჭაღარა და
მასთან ერთად მივუყვები მაღლობს!

,,ნადიკვარი",
ხორც-შესხმული სამოთხე,
,,ბატონის წყალს " იპკურებ
და როცა
საუბარი მოგინდება
ძველ ციხესთან,
გზას, ,,პატარა კახი"
დაგილოცავს!

,,ზუზუმბოს" გზას ავუყვები
ნელ-ნელა,
ვიწრო ქუჩებს,
ფარდა ფარავს ნისლის,
აღარ მოსჩანს იქ
სახლები პატარა,
აღარც თონე და
ქოხები ისლის!

,,ყადორის" მთის სიო მომეფერება,
,,მაწანწარას" ბილიკები ჩანან,
,,აჩინებულს" შემოვივლი
ფეხ-და-ფეხ და
აქ, ერეკლეს ხმლის
ჩრდილები წვანან!

დუღს ,,ღვთაება"
ღვთაებრივად ანთია
გზად, ხორც-შესხმულ
სიყვარულზე მღერენ,
ცხრაასი წლის ჭადრის
ჩრდილი გიფარავს და
მის სიყვარულს
ვერ ელევი მერე!

,,ცივის" მთაზე,
ნისლი დაცურებულა,
მის მწვერვალზე
არწივები ფრენენ,
მოდი, ნახე სილამაზე
თელავის და
თუ ბიჭი ხარ,
ნუ იმღერებ მერე!

მე, თელავის სიყვარულმა დამათრო,
მე, თელავის სიყვარული მმართებს,
რა ვქნა, თუ-კი
შემეპარა სიბერე და
მასთან ერთად
შევერიე დარდებს!

* * *

თეთრია ღამე და
შავი კაბა,
ჩვენი შეხვედრა
იყო გვიანი,
ბევრი ვეძებე მე,
შენში მზე და
ბევრი ვეძებე ადამიანი!

,,ელვა-შესაკრავს''
ირეკლავს მთვარე
და ბროლის მძივის
კრთება ციალი,
მე არ ვეძებდი,
შენში-ქალ-ღმერთებს,
მსურდა მეპოვა
,,ადამიანი''(ც)!

მაგრამ შეჭირხლულ
მთვარეზე მეტად,
მტკივა განვლილი
წლები-ტიალი,
რადგან, მე-შენში
ვიპოვე ,,ევა",
მაგრამ ნაკლებად
,,ადამიანი"!

შენზე რომ დავწერე

ყალბ სიტუაციას
ვერასდროს ვერგები,
რა ვუყოთ, თუ ამით
ვიღაცას ვახელებ,
მე, ვერ ვითამაშებ,
ხედვა მაქვს ასეთი,
ეს კი, ის ლექსია,
შენზე რომ დავწერე.

მივყვები ქუჩას და
მომყვება წარსულიც,
ჩუმ-ჩუმად ვკითხულობ
უძველეს წარწერებს,
ეს ხომ ის ქუჩაა,
ესეც ის კედელი,
ზედ, ჩვენი ფიქრები
ერთად რომ დავწერეთ.

მზეზე აკრეფილი
ვარდი და ღიღილო,
ტანზე რომ ისწორებს
სხივებს და მინანქრებს,
ველ-მინდვრებს,
ფრთის ჩრდილს რომ
დააფენს მიმინო
და ტატოს მერანი
მეც თან რომ მიმაფრენს.

არ მიყვარს ნიღაბი,
რაცა ვარ, ესა ვარ,
შენი სიყვარულიც,
გულიდან მამღერებს,
მე, მეოცნებე ვარ,
შენ, ჩემი სამყარო,
ეს კი, ის ლექსია,
შენზე რომ დავწერე.

* * *

რა ხანია,
ჰაერს ვსუნთქავ სიღნაღის
და მის ნახვას,
გული თვითონ ითხოვს,
დასალევად
,, ნინოს წყარო" მეძახის,
სალოცავად
,, ნინოს ნეშთი" მიხმობს!

,, ბოდბის" ბილიკს
თითქოს ლანდი მოჰყვება,
დაღლილი სჩანს,
მიაშველეს ღვინო,
თმებით შეკრულ,
ჯვარზე ამოვიცანით,
წმინდანი და საოცარი ნინო!

ღვინო მოსვა,
ცოტა სული მოითქვა,
ცის გუმბათებს
შეჰყინვია ზარი,
ყველას გულში
დაავანა უფალი,
ამოავსო, სულის
ყველა ბზარი!

მოვიდა და არსად
აღარ წასულა,
ჩვენთან დარჩა,
ჩვენში ჰპოვა შვება
და ბნელ ცაზე,
სანთელი რომ აგვინთო,
კი არ ქრება,
უფრო ძლიერდება!

ახლა,, ბოდბე",
სამოთხეა ნამდვილი
და იქ ლოცვას
გული თვითონ ითხოვს,
,, განსაბანად",
,, ნინოს წყარო" მეძახის,
სალოცავად,
,, ნინოს ჯვარი" მიხმობს!

* * *

მე ისევ ავყევ სველ
ბილიკებს,
ძველი უფლებით,
ცამ კი, ღრუბლები
ფიქრებივით,
კვლავ შეაქუჩა,
ო, როგორ მინდა,
ახლა სწორედ,
იყოს ის წვიმა,
ქუჩის კუთხეში, შენი კოცნა
მე რომ მაჩუქა!

ო, როგორ ვნატრობ,
რომ წვიმაში
დავრბოდეთ ისევ
და ქუჩის ბოლოს,
კვლავ ტიროდნენ
საქსაფონები,
ღონემიხდილი ღამე,
ჩუმად იპარებოდეს
და ჩვენს სიყვარულს,
დარაჯობდნენ ლამპიონები!

აქ, ძველებურად,
როგორც მაშინ,
დუმან კედლები,
კვიპაროსებში გაჩხერილა
მთვარეც ტიალად,
და როგორ მინდა,
შენთან ერთად,
შებინდებისას,
საფლავებს შორის,
კიდევ ერთხელ
მა-ხეტიალა!

ხოდა, მოდი და შემომხვიე
ჩუმად ხელები,
ისე, რომ სუნთქვა შეაჩერო,
თუნდაც დროებით,
მოდი და ისევ აატირე
ჩუმად, მთაწმინდა
და კვლავ მაჩვენე,
მაგ თვალებში
,,სამყაროები"!

* * *

მოვა, სოსანის-ფრად
იფეთქებს აპრილი
და თებერვლის ქარებს
გაჰყვება მარტები,
მინდორს დაიპყრობენ,
ვით ბოშა ქალები,
ფერადი კაბებით,
ჭრელ-ჭრელი კარტებით!

ყაყაჩოები და
ლურჯი ჩიტის-თვალა,
ბაია, გვირილა თუ
ურჩი პიონი,
კოდალა კაკუნით
ტყეს რომ გააყრუებს,
ხიდან-ხეზე რომ ხტის
კაჭკაჭი,, შპიონი"!

კესანე მორცხვად რომ
იღიმის ჩუმ-ჩუმად,
მზეზე რომ გაფინა
თავისი მანდილი,
ისე ჩახვევია
ასკილი უსურვაზს,
არ დაუტოვია
სუროსთვის ადგილი!

ხოდა, ამბობენ, რომ
გაზაფხულს მოაქვსო,
მიჯნურთა გულებში
სევდა და დარდები,
არ-ვი, გაზაფხულის
ბრალია თუ მართლა,
მართლა მიყვარხარ და
მიტომ მენატრები!

მოვა, წამოისხამს
ჯადოსნურ მოსასხამს,
მეჯლისი იწყება,
ტყემლების, ატმების,
იცი? გაზაფხული
ჩემი თილისმაა,
შენ კი, ოცნება და
დრო ხარ მონატრების!

* * *

ადამიანებო,
არ გინდათ ნიღაბი,
იცხოვრეთ ამ ქვეყნად
ალალი მიზნებით,
ჩვენ ყველას, ჩვენი გვაქვს
ჯვარი საზიდარი,
ნუღარ გავირთულებთ
ცხოვრებას ნიღბებით.

არ გინდათ ნიღაბი,
მოირგეთ ბავშვობა,
შიშველი ფეხებით
ირბინეთ ყანაში,
იცეკვეთ წვიმასთან,
დაკრიფეთ იები,
ისევ წამოიწყეთ
ბავშვური თამაში.

დაანთეთ სანთელი,
ილოცეთ გულწრფელად,
დაფიქრდით ხალხის და
სამშობლოს ვარამზე,
გულში სიყვარული
შეუშვით ალალი,
გყავდეთ იდუმალი,
თქვენ– თქვენი ,,ხვარამზე".

არ გინდათ ნიღაბი,
იყავით ნამდვილი,
ჯობს, სახე მოირთოთ
მარჯნების ფერებით,
ოქროს გვირილები
მოკრიფეთ მზის გულზე,
იცხოვრეთ ამ ქვეყნად
კოცნით და ფერებით!

ასწიეთ სასმისი,
დალოცეთ გულწრფელად,
მარანი, ოჯახი,
სახლი და კარობა,
ვაჟებს უდღეგრძელეთ
ქუდები ნამუსის,
გოგონებს უსურვეთ
ნამდვილი ქალობა!

მოირგეთ ყველაზე
ფერადი სათვალე,
უკან დახევაზე,
ფიქრიც არ გაბედოთ,
ოღონდაც, ნიღაბი არ
გინდათ
იყავით,
რაცა ხართ, ეცადეთ
სიკეთე აკეთოთ!

არ გინდათ ნიღაბი,
ილოცეთ გულწრფელად,
დაფიქრდით ხალხის და
სამშობლოს ვარამზე,
გულში სიყვარული
შეუშვით ნამდვილი,
გყავდეთ იდუმალი,
თქვენ – თქვენი ,,ხვარამზე"!

* * *

გადარეულა ბუნება,
აგროვებს მზის მინანქარებს
და როგორც ქარში-ჰამაკი,
ცა ღრუბლებს ისე აწვალებს!

თმა-აქოჩრილან ტყეები,
ჰყვებიან გულის ხვაშიადს,
მიმოფანტულან ნისლები,
თითქოს გაქცევა სწადიათ!

ეს ქარიც, ნერვებ-აშლილი,
კუდაბზიკა და ქვაწვია,
კუდს ისე მიიქნ-მოიქნევს,
თითქოს შლეიფი აცვია!

თმებზე რომ ფიფქი მეყრება,
ცისფერ ნათებად გამკრთალი,
იქნებ, ამინდი არც ხუმრობს
და კარს მომდგარა ზამთარი!

ამ ქარებს თოვლი მოჰყვება,
ცისფერ ნათებად ანთია,
გულს ზამთრის ჭია შეძვრება,
განა-ერთ? ბარე-ათია!

* * *

ღმერთმა უანგაროდ,
ჩვენთვის გაიმეტა,
თვით არსაკიძეც და
იმისი გენიაც,
უნდა გვიხაროდეს,
გვეამაყებოდეს,
რომ სვეტიცხოველი და
მცხეთა ჩვენია!

ის ლოცვა, დღეს მასში
რაც აღევლინება,
ყველა სურვილი და
კეთილი მისია,
ღმერთი-არს-ჩვენთან და
ყველა სანთლის შუქი,
საქართველოსია,
სხვა არავისია!

ვილოცოთ გულ-წრფელად,
ლოცვა მთებს გადადგამს,
ჩვენ ხომ,, აქამომდეც “,
ლოცვებით მოველით,
ჩემო საქართველო,
მცხეთობას გილოცავ,
გფარავდეს თვით ღმერთი
და სვეტიცხოველი!

დაგლოცავთ ქართველნო,
რწმენას ნუ დავკარგავთ,
მტრისგან, ალბათ კიდევ
ბევრ მტრობას მოველით,
ჩვენ, ერთი დროშის ქვეშ,
ერთ მუშტად დავდგეთ და
არც ღმერთი გაგვწირავს,
არც სვეტიცხოველი!

დღეს, სვეტიცხოველში
სანთლები ანთია
და ყველა მათგანი
რაღაცას მანიშნებს,
ღმერთო, არ დაუშვა,
ჩვენი საქართველო,
კვლავ გახდეს
ყვავ-ყორნის და
მტარვალთ-სამიზნე!

ღმერთმა უანგაროდ,
ჩვენთვის გაიმეტა,
თავად არსაკიძე და
მისი გენია
და მე მიხარია,
მე მეამაყება,
რომ სვეტიცხოველი
და მცხეთა ჩვენია!

ნიკო ფიროსმანს!

დრომ ვერ შეცვალა,
გენიოსთა ნიჭი და ხედვა,
დღეს, უფრო ფასობს
ნიჭი შენი,
ჩემო ნიკალა,
შენს ნახატებში ირეკლება
შენი სამყარო,
მუნჯ სიმარტოვეს
შედევრამდე,
ისევ მივყავართ!

როს, საუკუნე გადაბარდნის
აწმყოს და მერმისს,
ფუნჯზე ფერები აირევა
ერთი შეხებით
და უსასრულოდ-უცნაური
შენი პალიტრა,
დაიხუნძლება თვით-ნაბადი
შენი ფერებით!

დრო შლის ყველაფერს,
ანადგურებს
გრძნობებს და ვნებებს,
მხოლოდ ტილონი-
შენეულნი,
არ ჰყრის იარაღს
და არვინ უწყის,
მათ შექმნაზე, ვითარც
შენს გულზე,
დრომ, უტიფარმა,
ურცხვად როგორ
გადაიარა!

დრომ ვერ წაშალა
გენიოსთა
ნიჭი და ბოდვა,
უფრო დაფასდა ნიჭი შენი,
ჩემო ნიკალა,
ფუნჯს შერჩენია კვლავაც
სითბო შენი თითების,
მუნჯ სიმარტოვეს
შედევრებთან,
ისევ მივყავართ!

* * *

როცა შემოდგომა გახელდება,
ფოთლებს შეაქუჩებს ნიავ-ქარი,
მოვა, დააყენებს
მაჭრის სურნელს,
რთველი, შემოდგომის
დედოფალი!

ფერთა მეჯლისი დაიწყება,
ქარები ერთურთს შეეყრება,
ამ ფერთა ჯვრისწერას,
უჩვეულოს,
ქვეყნად არაფერი შეედრება!

ფოთლები ფოთლებს რომ
აკვდებიან,
ხელებში მშვიდად რომ
ნანაობენ,
ღრუბლის საქანელა ჩამოუბამთ
და უკანასკნელად ქანაობენ.

წვეთები, ბროლივით მოკამკამე,
სხივებზე ასხმული მძივებია,
თითქოს, ცისარტყელას
შვიდი ფერი,
მზის მკერდზე
შეხსნილი ღილებია!

ფერთა მეჯლისი დაიწყება,
ნისლები გაფანტე ნიავ-ქარო,
მოდი, გელოდებით,
მოუთმენლად,
რთველო, შემოდგომის დედოფალო!

ყვითელ, უსასრულო ბილიკებზე,
წვეთები-წვეთებს ადნებიან
და ფერთა-ჯვრის-წერის
დასასრულზე,
ფოთლები-ფოთლებს
აკვდებიან!

ასეთია, ქალი!

იცოდე, რომ ქალს
უყვარხარ მანამ,
სანამ გიცდის და
გონება ტირის,
ქალი,
ლოდინს შეაჩერებს უმალ,
როგორც ბაგე
მოახერხებს ღიმილს.
ქალი, თივის
სურნელებას აფრქვევს,
მანამ,
სანამ, გაუშლია თმები,
ენატრები, მაგრამ
დაგივიწყებს,
თუკი წახვალ,
აღარ დაბრუნდები!
შეეცადე, არ აცალო ფიქრი,
მოეფერე ისე,
სულს რომ ათბობს,
ეცადე, რომ
შეუყვარდე ისევ,
ეცადე, რომ
ისევ მოენატრო!
ის, გვირილებს
მაშინ იყრის თმებზე,
როცა გულში
გაზაფხულებს ბადებს,
გაშალე და
სანამ დრო გაქვს, მისთვის,
მოისროლე
,,სიყვარულის ბადე”!
თორემ, ქალი,
არსებაა ურჩი,
მასში მუდამ
სიამაყე ჭარბობს
და თუ ვინმეს
გულ-გრილობას ამჩნევს,
ქალი მასზე
არასოდეს დარდობს!

* * *

შენ, ის სიზმარი ხარ,
წუხელ რომ ვიხილე,
ის ღვინო, თავბრუს რომ
მახვევს და მაგიჟებს,
შენ, ჩემი ცხოვრების
მთის ბროლის მძივი ხარ,
სულ მარცვალ-მარცვალ რომ
წვალებით ავკინძე!
შენ, ჩემი წყარო ხარ,
წყარო უკვდავების,
ჩემი წამალი ხარ,
გულის ხვაშიადი,
უკვე მერამდენე,
წელი ჩავკეცეთ და
მაინც ვერ გავიგე
შენი ხასიათი!
ის წვიმის წვეთი ხარ,
ციდან ჩამოსული,
დაგვალულ ტუჩებს რომ
მორწყავს და აავსებს,
სველ ვარდის ფურცლებად
დაშლილი ბოდვა ხარ,
მზერა ალმაცერი,
ღიმილს რომ აგასხლეტს!
ჩემი მაისი ხარ,
მწიფე ნოემბერი,
ღვინო, მაჭარივით
მუდამ რომ ჩუხჩუხებს,
ის მონატრება ხარ,
სულს რომ მიაპრილებს,
ხმა სირინოზისა,
ყურთან რომ ჩურჩულებს!
ის ხარ, ხელის გულზე რომ
იტევს სამყაროს,
თვალის სინათლე ხარ,
უხმო ხვაშიადი,
მესამყაროები,
თუმცა წლებია და
მაინც ვერ გავიგე
შენი ხასიათი!

* * *

სოფლის ბოლოს,
,, ჟღალი თუთა",
ჟღალი თმა და წვერი,
თითქოს ისევ ვუსმენ მოცარტს,
გულში, ჩუმად ვმღერი!
იქ,ბუჩქებში მიმალული
გატეხილი ნავი,
არ ვიცოდით და კინაღამ
რომ დავიხრჩვეთ თავი!
მაშ, არ გახსოვს?
როგორ ვკრეფდით,
ფეხ-შიშველნი ტიტებს,
თავს თუ ძალა დაატანე,
გაიხსენო იქნებ!
იქვე ქარის წისქვილები
დარაჯობდნენ მაღლობს,
აბა, როგორ დავიჯერო,
არაფერი გახსოვს?
,, ჩიტის ბუდე",,, ჩვენი სკამი",
,, ფეხ-ნატკენი ძერა",
ნუთუ, მართლა დაგავიწყდა?
მართლაც არა მჯერა!
სოფლის ბოლოს
,, ჟღალი თუთა",
,, უსაბელო ცხენი",
მხოლოდ ორი
თბილი სუნთქვა,
მხოლოდ.,, ბეთჰოვენი"!
მაგრამ ვფიქრობ,
აქ მიზეზი,
უნდა იყოს ერთი,
შენ, ის გოგო
აღარ გახსოვს,
რომ უწოდე,, ღმერთი"!

თბილისს!

ვერ შეველიე გულის ხმას,
თბილისო, შენ მაგონდები,
შენ მუდამ ჩემი გული ხარ,
მე უშენობით ვღონდები!

აფრთხიალებულ მტრედებს და
მტკვრის ავუყვები ნაპირებს,
შენს სილამაზეს ვნებდები,
მზე ჩადის, წვიმას აპირებს!

დაისი უფრო გიხდება,
თუმც, არ ვემდური აისებს,
შენი კოცნები მინდება,
ვეტრფი შენს აპრილ-მაისებს!

მიყვარხარ,მეტი რა გითხრა,
შენს სიყვარულში დავცურავ,
თუ ოცნებები ამიხდა,
ფიქრებს მტევნებად დავწურავ!

ვერ დაგთმე, ვერ შეგელიე,
თბილისო, ჩემო ფერადო,
შენს ნისლებს რომ შევერევი,
მე, ისიც მყოფნის მღერადო!

* * *

როცა გვირილებს მოწვიმავენ,
მინდვრის წვიმები,
როცა ლოდინით და
ფიქრებით გადავიღლები,
როცა აჰყვება გაზაფხულებს,
ცივი ავდრები
და ყვავილობას დაიწყებენ
ბაღში ატმები!

დამედარდები,
იცი, როგორ დამედარდები,
არ ვიმჩნევ, თუმცა
მენატრები, სულ მენატრები!

პეშვებს შევუშვერ
წვიმის წვეთებს,
ცაში ნაგუბარს,
ბროლის მძივივით
რომ ჰკიდია
ყელზე ალუბალს!

მოვკალათდები გვირილებში,
ფეხებ-შიშველი,
შენ მოხვალ, მაგრამ
ვეღარაფერს ვეღარ მიშველი!

წვიმს, წვიმის თქეშებს
გაუთქერავს ველზე გვირილა,
ჩემმა სამყარომ,
უშენობა გამოიტირა!

* * *

ამ ცარიელ სკამზე,
ერთ დროს, ვიღაც იჯდა
და ის ვიღაც, ჩემთვის,
ვარსკვლავებად წვიმდა!
ამ ცარიელ სკამზე,
დაისები თრთოდნენ
და ჩიტები სტვენით,
ხიდან-ხეზე ხტოდნენ!
იქ, იებით ხელში,
ჩემთვის, ვიღაც იჯდა
და ის ვიღაც, მერე
ხელებს მიკოცნიდა!
– ახლა?
ახლა ალბათ,
მონატრებამ იცის,
მინდა, ისევ ვნახო,
ცისაა თუ მიწის!
მინდა, ჩვენთვის ისევ,
ზღვაურები ქროდეს,
გაბზარული მთვარე,
ბოღმით რომ კვდებოდეს!
წლებმა, ისე ჩუმად
შემაპარა დარდი,
შენ გხედავდი მხოლოდ,
შენ, ჩემს იმედს გავდი!
მივხვდი, წლებმა მართლაც,
მონატრება იცის,
იქ, ცარიელ სკამთან,
ერთგულება მიცდის!

* * *

მთის ქოხში ღამე,
უსაშველოდ გვიან გათენდა,
ზეცა აენთო,
იღვიძებენ კლდეზე ორბები,
ისე ახლოს ხარ,
მეშინია ხელის გაწვდენა,
ვგრძნობ, ვარსებობ და
არასოდეს აღარ
მოვკვდები!

ცის თაღს ნათელი შეეპარა,
მგონი თენდება,
ჩემს სასთუმალთან
ჩამომსხდარან
თეთრი მუზები
და მარტოობენ,
მარტოობენ ფანჯრის
გადაღმა,
ველური მარწყვის
ბუჩქები და კვიპაროსები!

მუზებს მოვუხმე,
ჩემთან ერთად
ღამენათევებს,
ვხედავ, კლდის პირებს
გაზაფხული,
ფეხით მოჰყვება
და მოგილოცეთ კოცნით,
შენ და ორბებს აფრენილს,
აისი, მზე და
უეცარი გამოღვიძება!

* * *

დაისია, ცის კიდურზე
გაჩნდა ცეცხლი,
სანაპიროს
მიუყვები შილიფად,
თვალს ვერ გწყვეტ და
ვფიქრობ, ჩემო საოცარო,
ღმერთმა ასე,
როგორ მოგაგვირისტა!

ყელი ბროლი,
თითები ხომ
მთლად სანთელი,
მთების ჩრდილი
ეფინება გვირილებს,
ლურჯი ტბები,

თვალებიდან გეღვრება და
შენს ღიმილზე, გზად
სიცოცხლე იღვიძებს!

ჰორიზონტზე,
ფორთოხლები იღვრებიან,
თოლიები,
თავს იხრჩობენ მთვარეში,
შენ კი, როგორც
ხელთ-უქმნელი ქანდაკება,
ანარეკლად ჩანხარ
მთვარის თვალებში!

დაისია, მზე იღვრება
ცის თასიდან,

მეწამული შერევია კაბადონს,
შენ ანთიხარ ზღვის
ნაპირზე სანთელივით,
მე ღმერთს შევთხოვ,
არასოდეს ჩაგაქროს!

დაისია, გულშიც
ცეცხლი დათარეშობს,
შენ, ზღვის ნაპირს
მიუყვები შილიფად,
თვალს ვერ გწყვეტ და
ვფიქრობ,
ჩემო საოცარო,
ღმერთმა ასე,
როგორ მოგაგვირისტა!

ეთერ ბერიშვილი – ეკონომისტი
დაბადების ადგილი – ქუთაისი

* * *

ამ ერთსაც მოგწერ მერე უკვე აღარ ვიდარდებ,
გულის ძახილი მინდა ისევ კვლავ შეგასმინო,
დილის ცვარი ჯერ არ შეშრობია გულში ჩვენს ვარდებს
მონატრებამაც ლამისაა სულ მთლად განმგმიროს.
შენ დაგეძებდი მოვყვებოდი შენსკენ ალიონს,
შენთვის სალამი სულ პირველს რომ მსურდა მესურვა,
ახლა კი ცრემლმა ლამისაა სულ მთლად დამლიოს,
მე ხომ სულ შენი სიყვარული მხრებზე მეხურა.
დღეს აღარ გეტყვი, ეს ხომ უკვე ისედაც იცი,
გაზაფხულის მზე გულში ისევ შენით ანათებს,
დაველოდები მე ლოდინი ბოლომდე ვიცი,
ცისკრის ვარსკვლავი ჩვენთვის როცა გამოანათებს.
ამ ერთხელ მოგწერ, ეს გზავნილი იქნება ბოლო,
მერე კი მერე უსასრულოდ ვივლი მთა-გორებს,
დაიგვიანებ? შენზე ფიქრებს ავკრძალავ მხოლოდ
და იმ წუთებსაც შენს თავს ცრემლით რაც კი მაგონებს.
მაგრამ მაშინებს კარს მომდგარი ცივი ზამთარი,
მე შენთან მსურდა სიცოცხლე და სიკვდილი მარტო,
შენდამი ლტოლვას და სიყვარულს არ აქვს საზღვარი,
ჰო და გაგიმხელ: – ფიქრებშიც რომ ძალიან მათბობ...

ვეღარ გაუძლო მონატრების ფიქრებს დღეს გულმა,
ისევ მოგწერა სურდა შენად რომ დაგეგულა...

ესა ვარ ვინცა ვარ

გულის ჩურჩულს ყურს ვუგდებ,
საამოდ რომ ფრიალებს,
სანამ შემწევს ჯან-ღონე
მუდამ ავწევ ფიალებს.
თქვენთვის მუდამ მოვქარგავ,
სიყვარულით ღიმილებს,
თუნდაც მოვკვდე გულში სულ
სიყვარული იღვივებს.
ჩემს კალთაზე ბოროტი,
ხელსაც კი ვერ იხოცებს,
სანამ მიდგას სული და
სანამ შემწევს სიცოცხლე.

სადღეგრძელო

ამ ჭიქით შენ გაგიმარჯოს,
ღიმილით მზის სხივ სადარო,
ეგ გიშრისფერი თვალები,
არც ერთ წამს არ აავდარო.
გულში სულ გაზაფხულებით
და ია-ვარდის ფერებით
ძვირფასო მრავალჟამიერ,
გეხაროს ბედნიერებით!
უფლის ლოცვა და დიდება,
ყოველ წამ-წუთში გწყალობდეს,
ცისკარზე ბულბულთან ერთად
ბედნიერებით გალობდე.
ღმერთის ბოძებულს ვერ შევცვლი,
სულ იყვავილე ივარდე,
უყვარდე ქვეყნად მხოლოდ მას,
ვინც შენ ძალიან გიყვარდეს!

* * *

გხედავ იცინი, მაგრამ არ ჰგავს სიცილი სიცილს,
ჰო, ეს სიცილი უხარისხო სპექტაკლს და ჯაზს ჰგავს,
რას დარდიანობ ნეტავ ასეთს სახეს რომ იცვლი
და დაემსგავსე მოარული ცირკების ჯამბაზს.

ვხედავ იცინი, მაგრამ არ ჰგავს სიცილი სიცილს....

მოვალ ერთ დღეს ალიონზე შენს სარკმელთან,
რომც უარმყო დარაბები მჭიდროდ ხურო,
ვიღიმი და ხშირად ვამბობ მე სარკესთან,
არ იფიქრო ერთხელაც კი თითქოს ვხუმრობ.

დღეს დღეები ემატება ძვრა ვერ ვყავი,
ვერ ვასრულე საწადელი გულით მდომი,
შენ სადარი ყვავილები არსად ყვავის,
სურნელებით გატანჯულ გულს რომ მითბობდი.

მონატრება სიყვარულის ვიგრძენ მაშინ,
თუ რა ძლიერ მყვარებიხარ ჩემო მხარევ,
ცრემლი როცა დაემჩნია მაჯის არშინს,
როცა ღამით მონატრების სევდა მანგრევს.

ახლა ისევ იმ ასაკით დავაბიჯებ,
ათი წლის წინ როცა ძლიერ მწარედ "შევცდი",
როცა სხვისი ჩემს მიწა-წყალს დავაჯიბრე,
თვითმფრინავში პირველად რომ ფეხი შევდგი.

ვერსად ვნახე შენისთანა სიყვარული,
არცა პური, არც ღვინო და მასპინძლობა,
ჭურის თავზე ძმათა ფიცის სიტყვა თქმული,
ჭაშნიკი და სიმღერების ხანგრძლივობა.

მოვალ ერთ დღეს, დღე იქნება თუნდაც ღამე,
იმედს მაძლევს წელიწადის დრო ბრუნებით,
მშობელ მხარეს ჩავიხუტებ რომ ვერ დავთმე,
თმა ჭაღარა.... "ბავშვი" როცა დავბრუნდები.

* * *

სამშობლოდან გადახვეწილს,
გთხოვთ ნუ გიკვირთ ჩემი სევდა,
მონატრების ტკივილები,
რადგან ძლიერ გამიბევრდა.
ვერ ედრება უცხო მხარე,
ჩვენი ქვეყნის სილამაზეს,
სადაც სტუმარ-მასპინძლობის,
სიყვარულით გამომზარდეს.
სულ სხვა არის ჩვენი მთების,
ექოს ხმა და მათი ბანი,
სხვანაირად გვეფერება
საქართველოს მთა და ბარი.
გულში გვიკრავს ქართლ-კახეთი,
სამეგრელო, იმერეთი,
მტრის დახვედრა აქ იციან
სამეგობრო სიმღერებით.
ჩვენი ქართველებისთანა,
ხალხი არსად მეგულება,
ძმობის, ფიცის, სიყვარულის
რომ იციან ერთგულება.
ასეთია საქართველო,
მსგავსი რომ ვერ ვნახე ვერსად,
მის სადარი ჯერ ვერავინ,
ვერ დაწერა ჯერ ვერც ლექსად.
ჰოდა კიდევ როგორ სუნთქვას
გული მკერდში ძლიერ მიკვირს,
ამიტომაც გულისგულში
არ იშლება ვარდის კვირტი.
და რამდენი ბევრი ღამე,
არის თეთრად ნათენები,
ან ვინ მოთვლის ცრემლებს დაღვრილს,
დაუთმობელ ნათმენებით.
ახალი დღე ძლიერ მოჰგავს,
ტყუპისცალად აწ წარსულ დღეს,
და ფიქრები შიშით მიპყრობს
სიცოცხლე აქ არ დასრულდეს.
ალბათ რიცხვსაც ვნახავ მალე,
კალანდარზე ჩახატულებს,
ჩემს სამშობლოს წელგამართულს,
გულში როცა ჩამახუტებს.

* * *

აღარ მოგწერ თქო, მაგრამ ვიცი ელი გზავნილებს
და არც გწყინდება მოისმინო ასჯერ ნათქვამი,
"აღარ მიყვარხარ" ნუღარ მელი, ნუღარ აზვირთებ,
რადგან ჩვენს გრძნობას შეპარული უკვე აქვს ნამი.

კვლავ არ მიჯერებ, ჯიუტობ და შენსას არ იშლი,
არც შანს არ მაძლევ ცხოვრება რომ ვიწყო თავიდან,
ისევ რომ ვშალო ფრთები ვიგრძნო სუნთქვა აპრილის,
დღეები არა, წლები ბევრი უკვე გავიდა.

გსურს გამოგიტყდე ჩემი გული კვლავ შენ გეკუთვნის,
ხედავ რადგანაც ლამპის შუქზე ცრემლი კიაფობს,
როცა ვერ გამჩნევ საათს წამებს ათასჯერ ვუთვლი
და გამყიდველი თვალებიდან ხვდები ვერ დაგთმობ.

ჰოდა ახლა გწერ, გრძნობას გულში ვუხსნი ყველა ღვედს
და მაპატიე, გთხოვ მაპატიე ყველა უბრი დღე.

* * *

ხან და ხან კარგია
უნდა დალიო და
სამყაროს შეხედო
ფერადი "აჩკებით"
ნერვი დაიოკო,
არც რა არიო და
ნიღაბიც მოიხსნა
ესოდენ ნაჩვევი.
განა სირცხვილია,
სიმართლის გამხელა,
გადაღლილ ღიმილს რომ
ფარდიდან აბნევდი
და მერე ფერადი
"აჩკების" მიღმიდან
მაინც მონატრების
ცრემლებს რომ დანებდი.

* * *

ფეხს ვითრევ, გზას ზლაზნით მივუყვები,
ცრემლიც ყოველ წუთში თვალს მინამავს,
რადგან რახანია აღარ მელი,
ღამე გადაღლილს დე შინ მიმავალს.
ღამე მყვირალა და უბრი არის,
მხოლოდ ჩემი ხმების ისმის ექო,
ვფურცლავ დახურულ წიგნს არსადარის,
ცრემლმა ვულკანივით რომ იფეთქოს.
როგორ უფეროა ფანჯრის ფარდაც,
როგორ უღიმღამოდ კონწიალობს,
მასაც დასტყობია დარდის დამღა,
შენი ხელით რომ ვერ კოპწიაობს.
გულის დარდებს ახლა ვერ გავამხელ,
ღამე უფრო რომ არ დავამძიმო,
ხან და ხან ღიმილით თვალს გავახელ,
ვცდილობ ზღვის ღელვა რომ დავაძინო...
ტყუპის ცალია ახლა ეს ღამეც,
თუმცა ნათლად ჩანს დე ცამ იელვა,
ფეხს არ ვუჩქარებ, რადგან უშენოდ,
სახლი დედი სულ დაცარიელდა.

* * *

ნუ ტირი არ გინდა, სევდამ არ ჩაგძიროს,
მზის სხივებს გახედე დღეს შენთვის რომ ბრწყინავს,
ნუ მისცემ უფლებას ტკივილმა განგმიროს,
შენს გულს და ყველა დღეს თანდათან რომ ყინავს.

არ გინდა ილოცო?! ნათელში რომ ვიყო,
ზეციდან ვხედავდე შენს ლამაზ ღიმილებს,
ჰო, მახსოვს ამბობდი: –"სიცოცხლეს გაგიყოფ",
ახლა კი რად ნამავ ჩემს თავთან გვირილებს.

ნუ ტირი, უფალმა კარები გამიღო,
საკმევლის სურნელში გაისმის გალობა,
ასეა მერწმუნე თუ გსურს რამ გაიღო,
ყოველთვის გაეცი სითბო და წყალობა.

ამინთე სანთელი და გულით ილოცე,
ჩემ წილ გულს ცრემლით და სევდით ნუ იხორკლებ,
მიყვარხარ და მინდა გახსოვდეს, იცოდე,
შენს გულში, შენს გვერდით, მეც შენთან ვიცოცხლებ.

* * *

ისევ აქ მყავხარ გულთან ახლოს გულის ჯიბეში,
ვერ გაგიმეტე განშორებად სხვების იმედზე,
ამ სიყვარულით ზეცას ავწვდი და ცის კიდეში,
დაგელოდები სიყვარულით, ერთად ვიმღერებთ.
თუ გინდ იწვიმოს, დამისველოს წვიმამ ფიქრები,
გულმა თუ ჩემად გიგულა და დაგისაკუთრა,
ვერ შემაშინებს მე წვიმების დიდი ზვირთებიც,
ეს სიყვარული უფლის ნებით ვიცი ასრულდა.
გამოიდარებს ალბათ ერთ დღეს აღარ იწვიმებს,
ცრემლიც გაქრება მონატრების მზიან ამინდში,
ჩვენი შეხვედრის წამი მისწვდება ცად მზის სხივებს
და ამიტომაც განშორებას აღარ განვიცდი.
ეხლა კი აქ ხარ ჩემთან ახლოს გულის ჯიბეში,
ჩემი სიყვარულის დიდო ფიქრო დიდო იმედო,
ასი წლის შემდეგ ალბათ კიდევ ვერ შეგელევი,
მუდამ ჩემო და ერთადერთო გულის სხივებო.

* * *

შენი ბრალია თუ შემიყვარდი
და ნუ გგონია რამეს ვიგონებ,
რად მომიტანე ისეთი ვარდი,
ოცნებებში რომ გამოვიგონე.
გულზე მაბნიე ნაზი გრძნობები,
ცისარტყელები ცას მომიფინე,
გულმაც შედეგად იწყო შფოთვები,
მზის სხივები რომ სულზე მიფინე.
შენი ბრალია ეს სიყვარული,
მე არაფერი არ დამაბრალო,
სულ რომ გამიქრა თვალებზე რულიც,
ესეც შენ მინდა გადაგაბრალო.

* * *

გთხოვ მე არ მიდარდო დედა,
ცუდი აქ არვისზე მეთქმის,
მხოლოდ შენი დამაქვს სევდა,
"ცუდათ ვარო" გთხოვ ნუ მეტყვი.
ღამე თეთრად მათენდება,
დედაღვთისას თავს ვავედრებ,
დედი რადგან დღეს შენს სუნთქვას
შორიდან რომ თვალს ვადევნებ.
გამელია დარდში წლები,
სიბერის დროს მარტო მყევხარ,
ახლა შენ გჭირდები ვხვდები
და მე სხვის მოხუცებს ვხედავ.
დედი როცა მზის სხივები,
მეფერება გულს მისახლის,
შენს თავს ვფიცავ დედი მართლა,
მგონია შენ თმას მივარცხნი.
მერამდენედ ღამე უკვე,
ფიქრებს მთვარის შუქზე ვძერწავ,
სული ვერაფრით განვკურნე,
ჩემს გვერდით რომ ვერა გხედავ.
თმებზე დამეფიფქა წლები,
სახეს დამსტყობია ღარი,
ახლა ზედმეტია ცრემლი,
წლების მართლაც დანაკარგის.
ვფიცავ არ ავყვები სევდას,
ოღონდ შენ მეყოლე კარგად,
მალე დავბრუნდები დედა,
ოღონდ, დამელოდე კართან.

* * *

გული კვნესის რომ ვერ უძლებს,
გაუსაძლის დღეთა რბოლას,
ვდგავარ მედგრად თუმც მამჩნევენ,
ჩამონადენს ცრემლებს ობლად.

გადავმალო?! როგორ შევძლო,
გულს ტკივილი გავიყარო,
სადაც მივალ სულმა წმინდამ,
მინდა ცამდე ამიყვანოს.

წინაპრების საძვალეთის,
სიყვარული ყველგან დამაქვს,
იმ ფესვის ვარ ბრძოლის ველზე,
რომ ვერ გრძნობდა წამით დაღლას.

ბრძოლის ველზე დედა დროშას,
მორიგ შვილს რომ გადასცემდა,
ქართლის დედის ჯიშისა ვარ,
ჩვილს რომ ზრდიდა, გრდემლსაც სცემდა.

ქართველების მზეობას რომ
თასით რიხით დღეგრძელობდა,
სიძულვილის ნაცვლად მტერზე,
სიყვარულის მზე მძლეობდა.

მაინც გვყიდეს ვერცხლის ფასად,
მაგრამ წამით ვერ გვაჩოქეს,
ოქრო-ვერცხლის დამხარბველი,
შეიწყალეს არც ჩაქოლეს.

ასეთია ჩვენი ჯიში,
სიყვარული გვიდუღს სისხლში,
ჩვენ ჩვენი გვსურს, სხვის მზეს არ ვსდევთ
და არც გვინდა კარი სხვისი.

თუმც არ დრკება თავს არა ხრის,
მტერი ჩვენი ორნაგული,
ჭიქა ღვინის ხელში ამწევ,
ქართულ სუფრის მოყვარული.

მაგრამ ვერა, ვერა სძლევენ,
დედაბოძი არ ირყევა,
ვაჟკაცების რადგან ქვეყნად,
აკვანი დღეს კვლავ ირწევა.

* * *

აღარ მომწერე...
ხომ იცოდი
გული გელოდა
ვით ერთი აბი
ერთი სიტყვა
შენი მშველოდა.
მეც მეტს არ მოგწერ
ეს წერილი
იყოს სულ ბოლო
ჰო, როგორც მარტში
ჩამომდნარი
ყინულის ლოლო.
სარკეს ვუჯერებ
დავასრულებ
ლოდინი კმარა
და გულს გამითბობს
გაზაფხული
მომდგარი კართან...
გადაგივიწყებ
არ დავუხრი
თავს ვნების ნიავს
და მომინატრებ
მაშინ როცა
იქნება გვიან.
გვიან იქნება
მერე სევდა
დარდი ფიქრები
რადგან მე მაშინ
“ჩემო კარგო”
სხვისი ვიქნები.

***

პასუხი "მესაფლავე"-ს

"მესაფლავე შენ ამბობ რომ ქვეყნაზე ვინც კი კვდება,
იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება"?!
მე ვერ ჩავწვდი ამ სიტყვებში მესაფლავე რატომ ფიქრობ,
სატრფო რადგან დაიტირა მის სიყვარულს იმ წამს იქრობს.
ანდა თუკი პირმცინარი შეამჩნიე იარება,
მესაფლავე ნუ გგონია ცალად ყოფნა ეამება.
განა იცის რომელიმემ რას უქადის ხვალე ბედი,
რა მძიმეა ეს სასჯელი, ქვრივ ქალს დასდევს ხვედრი დევნის.
რომ ათასი თვალისაგან აიცილოს მზერა თუნდაც,
რადგან გულში სულ ერთი ჰყავს, მისი ქვრივი ერქვას უნდა.
და ნუ ფიქრობ რადგან ცალად ისევ დადის მომღიმარი,
მესაფლავე არ იფიქრო ავიწყდება მისი ქმარი.
მხოლოდ ღამემ იცის მარტო რა ძნელია კენტად რჩენა,
რომ ამ ქვეყნად სუფთად შესძლოს მისი სულის გადარჩენა.
და რამდენჯერ არის მოწმე თეთრი ღამე გულის დარდის,
როცა სურათს ეფერება ხოლო ირგვლის როგორ ბარდნის.
ვერ ერევა თუმც ხანდახან მოზღვავებულ ვნების ქარებს,
ეომება გულჩამკვდარი და უკეტავს ქარებს კარებს.
მაგრამ ერთ წამს გაყუჩდება გაბრუებულ ვნებით მთვრალი
და აჰყვება ქარს ალერში, მოულულავს ორივ თვალი.
ქარს იმედი ესახება და იხუტებს გულში მაგრად,
ეუბნება: – "ბედნიერი ჩვენ ვიქნებით ერთად მარად".
არ ეთმობა ახალგაზდრდა დარჩეს ცალად სატრფოს ქვრივად,
ეფერება და ეხვევა მთელ სხეულზე ასულს ფრთხილად.
ახლა მართლა კი გამართლდა მესაფლავე შენი სიტყვა,
აგარიდო ვფიქრობ მზერა ქალი ქარის ნებას მიჰყვა.
აღარა მაქვს მე სათქმელი ალიონზე ვხედავ ბნელა,
სატრფო მიწას მინაბარი დაივიწყა ქალმა ხელად.
რადგან ახლა სხვისი არის კვლავ დაიდგამს თავზე გვირგვინს,
დატირებულ ხოლო სატრფოს ჩააბარებს წარსულს სკივრში.
მაგრამ ნახე? მესაფლავე ქალი წამით რომ შეჩერდა?!
უკან იხევს მის ბაგიდან წუთის წინათ რომ შეერთდა?!
აჰა მგონი უკუაგდებს შემოჩენილ ვნების ტალღას,
რადგან სატრფოს სიყვარული მის გულშია სულ თან ახლავს.
ისევ ისე უყვარს იგი, ისევ მისი ერთგულია,

ერთადერთი სიყვარულის, ისევ მისი მეგზურია.
რომ არასდროს უღალატებს არ გახდება სხვისი ცოლი,
მისი სატრფოს შესადარი არსად არის მისი ტოლი.
შენ კი ამბობ მესაფლავე ყალბი არის ქალის ცრემლი,
საფლავს მიღმა გაუღიმებს სულ სხვას და დარდს დარად შეცვლის.
არამჯერა ნაამბობის შენი ასე დანაჟინის,
საფლავის ქვას ამჩნევია ცრემლი ქალის დანადინი.
მესაფლავე ქალის სახელს მე გთხოვ მკაცრად ნუღარ განსჯი
სიყვარული თუ კი იცი არ გაწყვიტო მათი ჯაჭვი.
შენც ხომ ხედავ როგორ ცივად გაეცალა აშარ ქარებს,
ვაჟის ხვევნა და ალერსი თუმცა სურდა ვნებით მთვრალებს.
ასეთია მესაფლავე ქალის გული სატრფოს სტირის,
სიკვდილამდე ერთგულია მისი ფიცის, მისი სიტყვის.
იცის ქალმა მარტო ყოფნა რომ არარის მთლად ადვილი,
მაგრამ მაინც ღირსეულად სურს ატაროს მან მანდილი...
“მესაფლავე შენ ამბობ რომ ქვეყნაზე ვინც კი კვდება,
იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება”?!
არა! არა! ვინც კი კვდება ყველა ჩვენგანს გული გვწყდება,
მაგრამ სატრფოს მისი სატრფო არასოდეს ავიწყდება.

* * *

შენ დაგხატავდი თუ ნიკალა მათხოვებს ფუნჯებს,
თვალების ნაცვლად თვალციმციმა მზეს ჩავხატავდი,
შენი ხატება ვერ გაგიმხელ როგორ მამუნჯებს,
ფუნჯს გავავლებ და მხოლოდ ასე გამოვხატავდი.
სმა რომ შემეძლოს სადღეგრძელოს გეტყოდი ისეთს,
გულის გულიდან ამოძახილს გზას დავუთმობდი,
ცრემლმორეული გავხედავდი მერე შორს სივრცეს,
შენს სიყვარულზე მხოლოდ მასთან რომ ვსაუბრობდი.
არ ვარ პოეტი თორემ ჩვენზე დავწერდი ლექსებს,
ყველა ტაეპში სიყვარულის სხივებს დავრგავდი,
გამოვყვებოდი სიტყვა სიტყვით შენამდე რელსებს
და არასოდეს აღარასდროს არ დაგკარგავდი.

გამოგიგზავნი ხვალ ამ გზავნილს მოვახვევ მაქმანს
და რაც გითხარი ჩვენ ვიცოდეთ არსად არ გამთქვა.

* * *

იცი რა ხდება მას შემდეგ?
რაც კარი გაიჯახუნე,
მას შემდეგ წვიმს და ქარია
ქოლგაც ვერ და ვერ დავხურე.
მაშინ დაიწყო მიმოსვლა,
კალამმა ლექსად თავისთვის,
მამხელს უშენოდ რომ მოკვდა,
ეს გული შენი ნატვრისთვის.
გეძებს ყოველ წუთს ყოველ წამს,
თვალები შენ რომ გიყვარდა,
ახლა რომ ნამავს სევდისგან,
ცრემლები და სულ მინავლდა.
რაც კარი გაიჯახუნე,
გულმა შეწყვიტა ტიკტიკი,
ახლა მოვგავარ ქარისგან,
უღვთოდ მოგლეჯილ ვარდის კვირტს.
დასრულდა, მაგრამ არ ვიცი,
ფიქრებს შენთან რად მივყავარ,
ნეტავ ლექსებმაც არ გითხრეს?
შენი სუნთქვაც რომ მიყვარდა.
მიყვარდა შენი ღიმილი
და ვაჟკაცური იერი,
შენი სიმკაცრეც მიყვარდა
და გამოხედვა ცბიერი.
კარი რად გაიჯახუნე,
გული გამეპო დარდებით,
არ ვიცი ნეტავ ოდესმე,
ისევ თუ ამიცხადდები.
ახლა კი ისევ გათენდა,
ღამე ფიქრების გათელვით
და როგორც ადრე კვლავ ისევ,
კალმით ვამხილე სათქმელი.
რაც კარი გაიჯახუნე,
ფიქრები შემომესია,
ნეტავი გამაგებინა,
რად მოველ რა მაქვს მისია.
რაც კარი გაიჯახუნე,
ვერც ლექსით გული ვარჩინე,
ახლა? ჰო,ახლა ერთსა გთხოვ,
სიუცილს გადამარჩინე.

* * *

ღამეა ახლა ძილს არ მაცლის შენზე ფიქრები,
ჩემს უკითხავად ახლა შენსკენ ისევ მოდიან,
ვიცი ვერასდროს ერთად ჩვენ რომ
ვეღარ ვიქნებით,
ეს ფიქრები კი არ მტოვებან მიდიმოდიან.
ვხედავ ტირიფიც როგორ ტირის ამ ჩემს სიყვარულს,
არ ახდენილი ოცნებებიც უკვე კვდებიან,
გემშვიდობები თუ კი შევძლებ მარტო სიარულს,
რადგან შენს ნაცვლად, გზად ცრემლები მეგებებიან.
როგორ ვეცადე რომ გამელღო შენთვის ყინული,
შენი გულისთვის შემომევლო ტრფობის მანტია,
ახლა დარდებით მე ვარ თვითონ გულგაყინული,
ეს სიყვარული რომ ვერ იგრძენ რაც მაბადია.
ახლა კი წავალ უსასრულოდ ვივლი მთაგორებს,
თვალზე შევიშრობ მონატრების ცრემლებს ნამიანს,
გადავივიწყებ ფიქრსაც შენ თავს რაც კი მაგონებს
და საბოლოოდ წაიშლები ჩემი ნატვრიდან.

*

ფიქრი მიემატა კიდევ ამ ერთ ღამეს,
კვლავ რომ იძალა და ისევ იბატონა,
მეგონა მე შენ რომ დიდი ხნის წინ დაგთმე,
ფიქრებმა თურმე კი სულ არ მიგატოვა.
გული ვერ ივიწყებს იმ ტკბილ მოგონებას,
როდესაც გიწოდე მე ჩემი სამყარო,
გონი რომ ყვებოდა მხოლოდ გულის ნებას,
ჩემო ერთადერთო და არვის სადარო...
სიჩუმე ჩამოდგა, სიოც არსად იძვრის,
ფიქრებმაც დუმილი წამიერ არჩია,
ფიქრები ახლაც ისევ შენთვის იბრძვის,
თან რომ მკლავს და თანაც რომ გადამარჩინა....
ჭიქა კონიაკი ახლა მიმასპინძლებს
და მერე ცრემლები ანაკადულდება,
ვიდრე გული შენზე ფიქრით მიმანიშნებს,
მანამ სიყვარული ვგრძნობ არ დასრულდება.

* * *

მსურს გაგიმხილო, სიყვარულით გამითბე გული,
შენზე ფიქრებით ცისარტყელას ფერებში ვხედავ,
ასიათასჯერ ნაწამებით დაღლილი სული,
შენს სიყვარულში დღეს სინაზით და კრძალვით ფეთქავს.
შენ დამანახე ეს სამყაროც ლამაზ ფერებში,
შენით ვსაზრდოობ ყოველი დღე მზით მინათდება,
შენა ხარ ჩემი საოცარი სულის ფერები,
ყველა ტკივილი გაღიმებით რომ მიამდება.
ჯერაც არ ვიცი, შენ მნახე თუ, მე შენ გეძებდი,
წუთში სამოცის მეასედი იყო რომელი,
პირველ წამიდან ამომიშრე თვალში ცრემლები
და იმ წამიდან გულში ხარ და ისევ მოგელი.
მგონი მიყვარხარ, ეს ის არის რაც გულმა მითხრა,
ისე წამომცდა გაოგნებამ სული დაიპყრო,
ადრე გვირილამ შეკითხვაზე უარი მითხრა,
ვთქვი უკვე მორჩა სიყვარული გულს ვერ გამიყოფს.
ახლა კი შენით მითენდება ცისკრის ვარსკვლავი,
სხივჩამდგარ თვალებს სიყვარული მოსწყურებია,
არ დავუჯერე სარკეს წლები თეთრი ჭაღარით,
დაიგვიანე თითქოს ასე მეუბნებიან.
დავიგვიანე? გთხოვ გაეცი პასუხი კითხვას
და თუ სიყვარულს განსაზღრული აქვს დრო, ასაკი,
ეს სიყვარული თუ ჩამოჰგავს ძველ ნანახ სიზმარს,
ახლა ღმერთს ვკითხავ რად დამიგო ისევ ხაფანგი.

* * *

ვეღარ მოვერიე ფიქრებს,
გული უშენობას დარდობს,
მთვარეს მოვუყვები სიზმრებს,
მთვარე იმედად მყავს ამ დროს.
ირგვლივ სიგარეტის კვამლში,
თავს შენზე ფიქრში ვახრჩობ,
ცრემლიც გაკიაფდა თვალში,
ნერვი უშენობის მახრჩობს.
ნეტავ არ გამეცან სულაც,
ან რად შემეყარე გზაში,
მგონი შეუყვარდი სულსაც
შენ კი მიმატოვე დარდში.
რატომ შეგეჩვიე ასე,
რად არ გამიბრაზდი როცა,
თვალებმა ცრემლებით სავსემ,
მიყვარხარო გითხრეს მორცხვად.
ახლა მონატრება მტკივა,
გულზე მაცივდება დარდი,
სულიც ისე ძლიერ კივა,
თოვს და უსაშველოდ ბარდნის.
ახლა დავასრულებ სათქმელს,
არაფრის აღარ მაქვს შიში,
ბოლო გათენდება ღამე,
ხვალე ვეღარ მოხვალ ფიქრშიც.

* * *

ბევრი ვიფიქრე,
იქნებ ფიქრიც სულაც არ ღირდა,
მაგრამ მერწმუნე
გულში გრძნობა უფრო გაღვივდა
და სანამ ისევ,
ჯერ არ არის ძალიან გვიან,
გულში გრძნობები
შენი ტრფობით სანამდე ვლიან,
სანამ ჯერ კიდევ,
სულ მთლიანად ფიქრი გამიქრეს...
იქნებ დაფიქრდე!

* * *

გთხოვ მაპატიე, უნებურად ჩემი ფიქრებით,
თუ დაგაფიქრე, მერე ისევ ღამე ათიე,
არ გამეგება ვაღიარებ, ზღაპრის, მითების,
მე მთელი გულით, რომ მიყვარდი გთხოვ მაპატიე.
ახლა დროებით ასე სჯობდა, დღეს განშორება,
ხვალ ისევ იტყვის თავის სათქმელს გული ეული,
თუ სიყვარულმა კვლავ გაბედა განმეორება,
გული მოიყვანს ჩემთან ისევ უფლის რჩეულის.
არ დაიდარდო, თუ კი ჩემით ჯავრი გაყრია,
გთხოვ მაპატიე, უნებურად ყველა ცოდვები,
დღემდე განვლილი ის წამები ჩემი დარდია,
მე შენ მიყვარხარ, სიმართლეა არა ბოდვები.
ეს სიყვარული ჩემთვის მზეა, ნათელი წმინდა,
ბოდიშის მოხდით, შენს წინაშე მე არ ვმცირდები,
ხვალ, ჩვენი გული იმას იტყვის, რაც გულით გვინდა,
ჩემი ფიქრის და სიყვარულის შენ ხარ იმედი.

* * *

შემოდგომა ვაზაფხულე,
გულში შენზე ფიქრებით,
დღეს თუ არა
ხვალ უთუოდ,
ვიცი ერთად ვიქნებით.
მტკაველ-მტკაველ მზე ვაფინე,
ვალღვე ყველა ლოდები,
სარკმლის მიღმა
გზას გავყურებ
და შენ კვლავ გელოდები.
სველ მინაზე მერამდენედ,
შენი სახე დავქარგე,
გავიხარო
მინდა წლებით
რაც კი ერთ დროს დავკარგე.
გული შენი სიყვარულით,
ერთხელ რომ აფრიალდა,
დამავიწყა
ყველაფერი
ძილიც დამირიალა.
ნაბიჯ-ნაბიჯ მას მერეა,
დავალ ხელის ცეცებით
და იმედის
სხივს ვუღიმი
ვიშრობ თვალზე ცრემლების.
ზამთრის კარი გაზაფხულის
პირზე ჩაიხურება
და გულები
ჩვენი ნატვრით
ისევ ჩაეხუტება.
რადგან ახლაც შენზე ფიქრი,
გულს ფერებად მირაყავს,
მონატრების
ყველა წუთებს
კვლავ შენს გულთან მივყავარ.
და ცისკარზე ცისარტყელაც,
ვხატე ზეცა ფერებით,
ყველა ფერში
შენ გხედავ და
ისევ შენ გეფერები.
შემოდგომა ვაზაფხულე,
ცა ქუდათ სულ მეხურა,
თუ არ მითქვამს
ახლა გეტყვი
მიყვარხარ ჩემებურად.

* * *

დღეს აღარ გნატრობ გული უკვე აღარ მოგიხმობს,
დღეს აღარ აწვიმს სარკმელს ცივად ნატვრის ცრემლები,
დღეს შენზე ფიქრი აღარ ღელავ აღარ ბოგინობს,
-"ვერ შემელევი"
რომ ფიქრობდი,
ხედავ?
გელევი.
შეგელიე და ნუღარ მოხვალ ნუღარ მიმღერებ,
წარსულს ვაბარე გულს რჩენილი ყველა დარდები,
დღეს აღარ ხარობს ძველებურად ყელს არ იღერებს
ძველ როიალზე ნაჩუქარი შენი ვარდები.
იმ ყვავილებმაც სიყვარულის სხივი დაკარგეს,
შენთან ერთად რომ შენი ხილვის წამით სულს ვლევდი,
ვერ გააცოცხლებ ვარდებსაც კი მიხვდი დამკარგე,
რადგანაც გულში ახლა სულ მთლად
გ ა მ ი ს უ ლ ე რ თ დ ი.

ნიკოლოზ ღვინიანიძე – საიმფორმაციო ტექნოლოგი
დაბადების ადგილი – ვანი

“ შ ე წ ი რ უ ლ ნ ი”

მთის გადაღმა, ქვეყნის კიდეს,
გაშლილია ველი ნაზად,
ველს ყვავილთა სილამაზე
დაჰფენია ფიანდაზად,
მოხატულა, მოქარგულა,
საოცნებო სულ სხვა მხარე,
ვინაც ნახა ვეღარა თქვა:
თვალი სხვაგან გავახარე.

სამოთხეა, ედემ ბაღი, მშვენით
მორთულ-მოკაზმული,
საზღვარი აქვს მხოლოდ მისი,
შემორტყმული, მოხაზული,
ამ სამოთხეს, ამ მინდორ-ველს
ორი სოფელ აშენია,
ნატრულ მიწას, გულის ძგერად
მკვიდრთა სუნთქვა დამჩნევია.

თუმც სოფლები სხვადასხვაა
ერთიორად გაყოფილი,
საზღვრად შუა მდინარეა,
სიურჩობით კმაყოფილი,
ზამთარ ზაფხულ ის წყალ უხვი
ცივი, ცივზე გაყინული
სიღრმე, სიგრძე შეუცნობი,
მისასვლელად ჩაკირული;

ვერაგია, ბობოქარი, ტალღებს
აფრქვევს არ ჩერდება,
არც ხიდი აქვს გასასვლელი,
არც შემოვლა უხერხდება,
და თუ ვინმეს უბედია,
შეეცურა შიგნით შევლა
გაუწირავს დაუნდობელს,
არ გამოდის მათი შველა.

ბევრჯერ ხიდიც გაუდიათ,
დახარჯულა დრო და ძალა,
ურჩს კი დღესვე წაუღია,
არ დაცლია კაცსა გავლა.
ასე სოფლელთ სიახლოვე
სამუდამოდ გაყოფილა,
მკვიდრთა ძმობა, მეგობრობა
ქვეყანის ბედი არ ყოფილა.

თუმცა ბედსა რას გაუგებ,
ვისთვის რა დღე გათენდება,
ვისა საით გადაისვრის,

ვისი გული რას ნებდება.
ბორბალს ისე დააბრუნებს,
აგერევა მავალს კვალი
ხანაც გზები გასაფრენი,
გაგეშლება ფეხსავალი.

ჰო და ერთ დღეს, მშვენიერსა,
მზე რომ სრულად ამოსულა
წყლის ნაპირას უცხო ქალი
სასეირნოდ გამოსულა,
მხიარულად მომღიმარი,
დანარნარებს ნაპირს ქალი
და რა იცის, მან რომ ამ დროს
დაიმონა ორი თვალი.

გაღმა მხრიდან მის სიტურფეს
უცქერს ბიჭი ჩინებული,
ქვეყნის ფარგლებს გასცდენია
ოცნებებში მისი სული,
რა ეხილოს საოცრება,
ახსნის აზრზე ვერ მოსულა,
თითქოს მისთვის მაღლა ციდან
ანგელოზი ჩამოსულა.

პირი, სახე მოქარგული,
ტუჩ-ღიმილი შეუფასი,
თეძო, მკერდი შევსებული,
არ ენახოს სიზმრად მსგავსი.
შორით ნახულ მონუსხულსა,
გული უფალს უვედრია,
ღმერთმაც თხოვნა შეუსრულა
ორის მზერა შეხვედრია.

ასე მათთვის გაჩენილა
საკვირველი, საოცარი,
სიწმინდეს რომ ეძახიან,
ვისთვის არის საფიცარი,
რომ ამბობენ გრძნეულია,
ხანაც ყრუ და ხანაც ბრმაა,
თუ მის გრძნობის სინამდვილე,
ქვეყნიურზე უფრო ღრმაა.

და თუ მათაც გზები ჰქონდათ
მიუვალი, უფრო შორი,
მათი წრფელი სიყვარულიც,
არ გამოდგა ცრუ და ჭორი,
ასე კავშირ უჯერები,
განა მარტო სიტყვამ ფიცა,
მათი გრძნობის სინამდვილე
დროში წლებმა დაამტკიცა.

და იქ, სადაც შედარებით
ღრმა ხეობა ვიწრო არი,
ეგებება ორი გული
ერთურთს, ცქერით განახარი,
მხოლოდ მზერით შეფიცულნი
ასე ხვდება ყველა დილას,
თან იმედებს უსახავენ,
მათ სიყვარულს სპეტაკს, წმინდას.

დაპირებას ამბობს ვაჟი,
მას დრო უნდა ცოტა დიდი
და იქნება ის პირველი,
ვინც ააგო წყალზე ხიდი.
გოგოც ჩუმად უხმატკბილებს
ჩამოშლია სახეს თმები,
რომ ხიდისთვის დაამზადა
მან ლამაზი ჩუქურთმები.

კაცის ყურმა რომ უსმინოს,
გაოცდება, არქმევს გიჟებს,
აბა მათ ფიქრს, მიუწვდომელს,
გამოგონილს, ვინ გაიგებს...
ეს ხომ წუთისოფელია,
ამოუცვლის უმალ ფიქრებს,
ამ დროების წამს და წუთებს

იმედებში ვინც ვერ ირგებს.

ასე დილას შეჩვეულსა
ელოდება ბიჭი სატრფოს,
რჩეულ ეშხის დაუფლებას,
გაუძღომი ისევ ნატრაბობს.
ნატვრა შორი იგვიანებს,
არ ცოდნოდა ადრე ასეე
ცოტა შიშმაც მიეძალა,
ხომ აქვს სიტკბო იმას თავზე.

ელოდება, უცქერს ნაპირს,
არ ადუნებს წამით ხედვას,
თავს ერევა მოლოდინში,
ცუდ ფიქრებსაც ვერა ბედავს;
მზემაც სხივი შემოაპყრო
შეახურა, შეაცივა,
რა ყოფილა სიყვარული,
თავზე მეტად, სხვისი ტკივა.

უკვე ბევრი დრო გავიდაა,
ნერვიულობს, ებრძვის დარდი
დროის მერე მოისუნთქა,
შეამჩნია ქალის ლანდი,
აქ სიმშვიდემ გააჟრჟოლა,
აათრთოლა, ააძგერა
კარგად არის, არა ჭირს რა,
ამოუშვა მადლის ბგერა.

მოდის გოგო, ის მდუმარე
პირ-სახე აქ დაკაწრული,
ძველებური სილაღე და
სიხალვათე დაკარგული,
თავი დაბლა დაუხრია,
გული დარდებს ვეღარ იტევს,
ნაპირს ჩაჯდა, აქვითინდა,
სიგვიანის მიზეზს იწყებს:

ჩემო ტკბილო, მომისმინე,
საძნელოა რასაც გეტყვი,
დღეს დამდგარა არჩევანი
უნდა გაწყდეს ჩვენი ბედი,
ჩამომქცეს ლამის ზეცა,
მტკივა აზრი, შესაზარი
გავწირულვართ სამუდამოდ
ჩვენთვის მეტი გზა არ არი.

აქ, ამ სოფელად წესებია,
საშინელი, უკუღმართი
ამ კანონს კი ვერვინ არღვევს
არ აცდბა მას ხიფათი,
თუ ქალის ხელს მოითხოვენ
ცოლი ჰქვია უკვე მისი,
უარის მთქმელს არა წყალობს
სიკვდილია, გზავე ხსნისი.

და მეც გუშინ დამიღამდა
უბედური, ასე ღამე
ვერ შევძელი, ვერ დავუსხლტი,
ვერ ვიფიქრე მარტომ რამე,
ან რა მეთქვა, რა მეამბა,
მდინარეა ჩვენში ბედი.
ჩვენი თბილი ოცნებები,
გაფრენილან როგორც გედი.

არის ზოგი ოცნებანი,
ხანაც უხდომ მიუწვდომი,
ვერას იტყვი, ვერას ამხელ,
ვერ გაიგებს ხალხის გონი.
არის ასე შეუცვლელი
ქვეყნის წესი, ქვეყნის ნება
და ვერას მცვლელს,
შეგრჩენია გამძლეობა, შეგუება.

ვტირი, მოვთქვამ მას მერეა
თვალმა ცრემლი ვერ დაცალა,

ამ დროებამ უბედურმა,
ყოფა ასეც არ გვაცალა,
ხვალ ქორწილი დაუნიშნავთ,
სუფრა ნაქებ-ნამზადები
რა ვახერხო, ჩემო ტკბილო
მითხარ, ნუღარ დამზარდები.

ელდაეცა ჭაბუკს სმენით,
მისი ზეცაც ჩამოიქცა
დგას მდუმარე, ფერწამხდარი,
თითქოს ლოდად გადაიქცა,
მანაც იცის, გზა არ არის,
ვეღარც სიტყვა მოიფიქრა
მერე, ქალის სიმშვიდისთვის
მეტი ძალა მოიკრიბა.

თქვა: ნუ ტირი ჩემო გულო,
არ იქნება საქმე რთული
ქორწილამდე ერთი დღეა
დაიმშვიდო უნდა სული,
მე აქ გყავარ, რა გაშინებს,
ჩემო თბილო, ჩემო ტკბილო,
რაღად მინდა ეს სიცოცხლე,
თუ შენ ისევ ვერ გიხილო.

ოღონდ ერთი უნდა მპირდე,
ხვალაც აქვე შევიყაროთ,
მე კი პასუხს დაგახვედრებ
ერთი გზითვე რომ ვიაროთ.
ქალი მშვიდად გააცილა,
თვითონ გზას ჰყვა სევდიანი
დროში მეტი არ ხერხდება,
დილა ელის ეკლიანი...

გონმა, ფიქრში დანთხეულმა,
ღამე თეთრად გაათია
მოწოლილი ჭირ-ვარამი
ძილში ვეღარ ჩაატია.

უნდა შეძლოს გადაცუროს,
ან შეწიროს ტრფობას თავი,
ან იქცევა გრძნობის მხსნელად,
ან შერჩება სხეულ-ნავი.

განთიადსაც არ ელოდა,
ადრე აღო სახლის კარი
არ სურს ქალმა, რომ იხილოს
ეს მცდელობა ხიფათ-შარი,
თუ ვერ შეძლო, ვერას იგებს
აერევა ჭკვიანს აზრი
იტყვის, ვეღარ აპატია, ვერ
დაძლია კაცმა ბრაზი.

კი, კი ეს ჯობს, მართლის ნახვას,
გაიფიქროს ასე მცდარი
დრო გავა და შეეჩვევა,
დაავიწყებს ტკივილს ქმარი.
გულიც კარგად შეიმაგრა,
შემართებით შეაჯერა,
პაემანი ელოდება წყლის
გადაღმა დააჯერა.

ამ იმედით შედის წყალში,
მოერევა მის სიურჩეს
რა ცივია ღმერთო, ღმერთო,
სხეულს კუმშავს, ყელში უჭერს,
მაგრამ მაინც არ ნებდება
ხელ-ფეხს იქნევს, როგორც ქარი,
უნდა შეძლოს, უნდა გაჭრას,
ეს ტალღები ბობოქარი.

ბუნებასთან შეჭიდული,
ებრძოლება უცვლელ ნებას
უკვე შუას მიაღწია, მაგრაამ
სუნთქვა ეხუთება,
აღარც წყალი აღარ ინდობს,
ტალღას ტალღა დააძალა,

არ იცოდა გრძნობით მბრძოლი
ძალა სულ მთლად გააცალა.

აქ ნაცნობი ხმა მოესმა,
ეს რა ქენი ჩემო ტკბილო
არ დამღუპო, არ გამწირო,
ჩემი გრძნობა არ მატირო.
ხმა ჩაესმის სიტკბო, მწარედ
ბგერამ გული გაუბზარა,
სიტყვის, ფიცის გამტეხელმა
თვალი, ვეღარ გაუყარა.

ვეღარ შეძლო, ვეღარ ბედა,
მხოლოდ სიღრმე დაინახა,
ბოლოს სიტყვად სამშვიდობო
პატიება ამოძახა,
ამოძახა და თან უყვა
იმ გზას, როა მოუვალი,
ღრმა მორევში ჩაძირულმა
გაიყოლა სატრფოს ვალი.

ტირის ქალი გულდამწვარი,
თავსაც რაღა ეშველება,
ცხარე ცრემლის ნიაღვარი,
მოდიდებულ წყალს ერთვება,
წყალს ერთვება მწარე სევდა,
რომ არც ქვრივი ეწოდება,
შინ მისულს ხომ საქორწილოდ
უცხო კაცი ელოდება.

ერთხანს ასე გაჰკიოდა,
ცრემლი უშრა, დაიღალა,
ბოლოს თავი გაიმაგრა,
გულს სიმშვიდე დაიძალა.
შენც სოფელო რა ურცხვი ხარ,
შენც რა წესი გაბარია
გაღმა ნაპირს ლხინი არი
გამოღმა კი ვარამია.

მიდის ქორწილ შესაშური
მხოლოდ ცეკვა ხალისია,
ლხენით დღეც კი მიწურულა
უკვე გვიან დაისია,
უკვე ღამეც გადასულა,
მიწას მთვარე დამხობია,
მოქეიფარ მექორწილეთ
სასმის მადლი დატყობია.

კაცნი ღვინით გადამთვრალან,
აჰყოლიან სიძის ფერხულს
ეხვევიან, ულოცავენ მისთვის
ნაქარგ, ახალ სხეულს.
ქალნიც ლხენით შენატრიან,
დედოფლობის ბედს და ვარდებს,
თუმც ვერცერთი ვერ კითხულობს,
მის თვალებში ჩაღვრილ დარდებს.

გოგო ჩუმად გარინდულა,
თავს სიმშვიდით გულს არ ამხელს,
თან ოცნებობს თავის ვაჟკაცს,
რომ დაარქმევს სატრფოს სახელს;
რომ იქნება იდუმალი,
ვინც ცხოვრებას სხვისთვის იწყებს
რა დროც გავა, რა დროც წავა,
რომ არასდროს დაივიწყებს.

მაგრამ, არაა... არ გამოსდის
ეს ხომ სულის ღალატია,
ვახ ცხოვრებავ, რა გითხარი
ხორცი თუ სხვას აბარია,
თუ სხვა არის შეგრძნებანიც,
ნეტარება არ ერთდება,
ისეთ ყოფას სიცოცხლისა,
ცხოველიც რომ არ ნებდება.

და აქ ქალი ტოვებს ქორწილს,
გარბის ბილიკს უყვა შვეულს

ვიწრო არხთან ვერ დატოვებს,
ის თავის ბიჭს მარტოს, ეულს
არც იფიქრა, არც იჯავრა
მიეგება ტალღას გრძნეულს...
გრძნობისათვის შეწირულმა,
დააცილა სული სხეულს...

დიახ... დიახ... ასე იყო,
მათი რწმენის სინამდვილე,
მარტო ყოფნის, გამძლეობის,
არ ჰქონოდათ სიადვილე
და რადგანაც ამ ყოფაში,
არსებობა ვერ ენახათ,
მათ ისურვეს სიყვარული
ხორცზე მაღლა შეენახათ.

ასე, ამგვარ წეს-კანონით,
ბევრი გული გაწირულა,
ბევრი წყალსა წაუღია,
ბევრი, აქვე გაყინულა.
ასე იყი, ასე არი და
შემივსეთ ღვინით თასი,
რომ დავლიო სადღეგრძელო,
წმინდა გრძნობის დასაფასი...

მე სინანული მერქმევა

მე სინანული მერქმევა რადგან
ვიყავ ოცნება, ვიყავ ზღაპარი,
სიზმრად მოსული უმანკოება
და სინამდვილის ჩუმი მხატვარი.

მერქვა სინაზე, მერქვა ალერსი
გამოგონილი, უტყვი გრძნობისა,
ყინულად ქმნილი გულის მალამო,
სითბოდ დაღვრილი ნდობა ნდობისა.

თბილი შეხება, თბილი შეგრძნება,
სხვა მგალობელი, მებარიტონე,
თეთრი სულის და თეთრი სხეულის
ერთი ბატონი, მეფაიტონე.

მაგრამ მეფობენ, დრონი მეფობენ,
დროში ყოველნი მერე ქრებიან,
და ოცნებების ჩუმი მხატვრებიც
ცრუ სინამდვილის ჩრდილად რჩებიან.

დრონი მეფობენ, დრონი მიქრიან,
გრძნობებსაც ცვლიან ვნების ძალები,
მაგრამ როდესაც ქარი ჩადგება
ცრემლებს იშრობენ ყალბი თვალები.

,,დარაბებს მიღმა გაზაფხულია"

,,დარაბებს მიღმა გაზაფხულია",
ოთახში დაძრწის ქარი თავხედი,
შემორჩენიათ კედლებს სიცივე
იმ იანვრისა შენ რომ წახვედი.

მზის სილაჟვარდე, სხივთა კამკამი,
ცა, სურნელებამ ვარდის შემოსა,
ცივი კედლები დგანან მდუმარედ
მათ მდუმარებაც შენი შემორჩათ.

ოთახში ცივა, ხედად ნისლია,
ხანაც აჩრდილი იწყებს ბორიალს,
სადღაც გალობენ შაშვნი, ბულბულნი,
აქ კი დღე და ღამ სძინავს როიალს.

,,დარაბებს მიღმა გაზაფხულია",
დარაბებს მიღმა ჰყვავის სიცოცხლე,
ოთახს კი ნესტის მძაფრი შეგრძნებით
შემორჩენია კედლებს სისოვლე.

ა ნ დ ე რ ძ ი

ეჰ, შვილო ჩემო, აბა რა გითხრა?!
იქნებ ამ რჩევამ სული გაგიხსნას,
იყავ უბრალო, იყავ ალალი,
სინამდვილეა გულის წამალი.

არ გადამალო, არ გადამარხო,
ის რაც გტკიოდეს არ შეინახო,
ბგერა ამოთქვი, სიტყვა ამოთქვი,
შენი შეგრძნება რწმენად გამოთქვი.

ნუ შეგაშინებს ფერთა სხვაობა
და ნურც ამ ქვეყნის სანახაობა,
ვინ რას ჩიოდეს, ვინ რას ყიოდეს,
ყველა თავისვე გზაზე დიოდეს.

მხოლოდ ღმერთია მადლი ვის წირო,
უსამართლოდ კი არვინ გასწირო,
აროს გეშალოს გრძნობის არჩევა,
სიყვარულია ბოლოს რაც რჩება.

ვისაც სად ჭირდე მანამ გაფასოს,
მერე გადიხდი ყველა საფასოს,
ხდები უზნეო, ხდები მგმობელი,
ასე ყოფილა წუთისოფელი.

გულს ნუ გაიტეხ, სულს ნუ გაყიდი,
სხვა თუ არ ღირსობს შენთვის გადიდი,
ნუ გადატყდები, ნუ დაეცემი,
არამ გაკვირვოს, ნურც შეეცდები.

მართალს არაცდე, მართლად იარე,
დრო არ აშუშებს "ნამდვილ" იარებს,
და თუ გზა შიშით არ არს ადვილი,
მაინც სიცოცხლე გქონდეს ნამდვილი.

ეჰ, შვილო ჩემო, მეტი რა გითხრა?!
იქნებ ამ რჩევამ გზებიც გაგიხსნას,
შენს თავს მიაგე მხოლოდ დიდება,
არასდროს კარგო რწმენა, ღირსება.

გულო გამიძელ

არა, არ ვიცი რას ველოდები,
არა, არ ვიცი საით მივდივარ,
მაინც მივყვები ბედის ბილიკებს,
ხან ვუღიმი და ხანაც ვტირივარ.

ასე მორჩილად ველი იმედით,
დღეებს უმიზნოს, დღეებს უმწეოს,
და ვეგებები ყოველ განთიადს,
და ვეგებები თუნდაც უმზეოს.

ვერ შემაჩერებს ცივი ქარები,
ვერ შემაჩერებს შიშის სანაცვლოდ,
ვერც იმ ამინდის ცვალებადობა
გაზაფხულზე თუ ისევ დამათოვს.

ვერ შემაჩერებს, ვერ შემაშინებს,
შიში არ მხიბლავს, შიში არ მინდა,
გულო გამიძელ, გულო მომყევი,
თუ მიერთგულებ მეტსაც ავიტან.

შენამდე შორია

ეს გული შენია, მინდა რომ წაიღო,
მე მოსვლას ვერ ვბედავ, შენამდე შორია,
რომ წლებმა შემცვალა, რომ წლებმა დამიპყრო,
არ მინდა გჯეროდეს, იცოდე ჭორია.

სიტყვები ქარდაქარ დაქრიან ეულად,
მონაქროლ ფრაზებშიც უძირო ფონია,
მივყვები ნაპირებს უმზეოს, გაყინულს,
გეძახი... დაგეძებ... შენამდე შორია.

ქარდაქარ, კარდაკარ, წუთამდე, წამამდე,
ეს სუნთქვა, ღიმილი, სიცოცხლე ომია,
შემოვრჩი სნეულად შეცდომილ ნაფიქრებს,
და უკვე ძვირფასო შენამდე შორია...!!

* * *

რამდენი რამ ჩატეულა,
ვფიქრობ მაინც ვერ ვხვდები,
ეს ფიქრების ჯარია თუ
შრიალებენ ვერხვები?!

ვერ გავხსენი, ვერ მივაგენ,
შენი კარის გასაღებს,
ასე რატომ გემეტები?!
ასე რატომ მაწამებ?!

"ღრუბელ-ღრუბელ რომ
დაქრიხარ"
მიკვირს შენი შეძლება,
ცას და მიწას ერთლოულად
აბა ვინ სად ეხება?!

რას დაეძებ?! რას მოელი?!
ან რა არის მიზანი?!
ალბათ მართლა ზღაპარია,
ალბათ მართლა სიზმარი.

ჰოდა გულო შეიღვიძე...
"გულო ჩადექ საგულეს",
მე თუ ვერა გამიგია,
მითხარ სხვას ვის გაუგებ?!

* * *

ე- ფერებოდა ნატვრა ოცნებებს,
ს - ულს ამშვიდებდა ფიქრი გრძნეული,

ს - იცოცხლე დღეთა მშვენიერებით,
ი - ყო სამოთხის ხედებს ჩვეული.
ყ - ვაოდა ნუში, ყვაოდა ია,
ვ - არდთა სურნელი ხარობდა ცაში,
ა - ფეთქებული ატმის კვირტები,
რ - თავდა სამყაროს შუა ზამთარში.
უ - შრეტ ფერებად გაშლილი სითბო,
ლ - ამაზ გულს ნაზად ეფინებოდა,
ი - ს იდგა მშვიდი და ბედნიერი,
ა - ხლა სულ სხვა ხმით ეღიმებოდა.

უჩემოდ...

უჩემოდ ალბათ მოკვდები,
ალბათ, გერქმევა ცოცხალი.
ო, ჩემო რამდენს გაწამებს
ამ წუთისოფლის ბორბალი.

ღამით ნასველებ ბალიშებს
დილით რომ გაფენ გააშრობ,
უჩემოდ ალბათ მოკვდები,
მერე სუნთქვასაც განაგრძობ.

ხან სახეს ღიმილს შეურევ,
ხან ისევ ცრემლში დაალბობ.
უჩემოდ ალბათ მოიწყენ,
უჩემოდ თავსაც გაართობ.

შეჩვეულ სევდებს, ტკივილებს
გაუძლებ ფიქრებს დაათრობ,
უჩემოდ ბევრსაც აიტან,
უჩემოდ სულსაც დაატკბობ.

მზე მოვა ღრუბლებს გადაშლის,
მორჩება გლოვა-გოდებაც,
უჩემოდ, მერე უჩემოდ
სიცოცხლეც მოგაგონდება.

დროში გადაშლილ ბილიკებს,
რომ დაემჩნევათ სხვა გზები,
უჩემოდ თავსაც გაიტან,
უჩემოდ ფეხზეც დადგები.

უჩემოდ... ჩემო უჩემოდ,
ვიცი რომ გაგიძნელდება,
ვიცი რომ ბევრჯერ მოკვდები,
ვიცი სიცოცხლეც გრძელდება.

ეკატერინე ბუღაძე – ისტორიის პედაგოგი
დაბ.ადგილი – ხარაგაულის რაიონი, სოფ. ციცქიური

მე დედა მეკვია

ვერც ქარიშხალი დამაკლებს რამეს,
და ვერც შემაკრთობს ქარი.
რადგან ფიქრებში მუდამ ვლოცულობ,
მე დედა ვარ და ქალი.

მე ყოველ დილით სანთელს ვანთებ და
შენს თავს ვავედრებ უფალს.
დედობას დიდი ძალა ჰქონია,
ტყუილად კი არ უთქვამთ.

ჩემი ფიქრები შენ დაგტრიალებს,
შენ ხარ სიცოცხლის წყარო.
მინდა იცოდე,მინდა გახსოვდეს,
მე შენი კარგით ვხარობ.

მსურს აგარიდო შავი ღრუბელი,
და დაგეფარო ფარად.
თუნდაც რომ მოვკვდე შენი გულისთვის,
აღარ ჩავაგდო არად.

ბედნიერებას დედებისათვის
მხოლოდ შვილები ჰქმნიან.
ვერვინ აწონის იმ გრძნობას ქვეყნად,
რასაც დედობა ჰქვია.

ეს ცხოვრება

ნელა-ნელა ავუყვები,
ამ ცხოვრების ბილიკებს.
ზოგიც გულში ჩამიკრავს და
ზოგიც გამაქილიკებს.

არ მადარდებს, თუ რას იტყვის
ვინმე, კაცი და ქალი.
მთავარია ღმერთს ვუყვარდე,
ღმერთთან ვიყო მართალი.

ბოროტებას სადაც შევხვდი,
მოვსპე და დავარბიე.
და იქ თესლი სიყვარულის,
ბლომად მიმოვაბნიე.

მე ხომ ვიცი, ქვეყანაზე
მხოლოდ ვთესე სიკეთე.
ერთ დღეს, ვიცი წინ დამხვდება,
მე გულს ამით ვიკეთებ.

სიყვარული გაიხარებს,
გამოისხამს ყვავილებს.
და ეს ჩემი შემოდგომა,
ასე დაიყვავილებს.

უნდა გიყვარდეს

უნდა გიყვარდეს სამშობლო შენი,
მისთვის შეგეძლოს თავის გაწირვა.
და მას თუ საფრთხე დაემუქრება,
დაიცვა, როგორც მთების არწივმა.

ისეთი რამე უნდა დაწერო,
რომ მან გაუძლოს დროს და ქარიშხლებს.
ისეთი გრძნობით უნდა გიყვარდეს,
ისეთით, გული რომ ვერ დაიტევს.

უნდა იბრძოლო, იბრძოლო ისე,
თითქოს დღე იყოს უკანასკნელი.
სახლში დაბრუნდე გამარჯვებული,
და ღმერთს შესწირო წმინდა სანთელი.

უნდა იმღერო ისე ძლიერად,
ქართული ჰანგი კვლავ ააჟღერო.
და შენი რწმენის გადასარჩენად,
მტერსა მახვილი გულსა აძგერო.

უნდა ილოცო, ილოცო გულით,
რწმენაში უნდა იყო ძლიერი.
და არ დაეცე არასდროს სულით,
იყავ სპეტაკი და ღვთისნიერი.

იყავ გულუხვი,იყავ მოწყალე,
სამართლიანი, იყავ კეთილი.
და თუ შეხვდები უსამართლობას,
უნდა შესძლო და დასვა წერტილი.

როგორ არ მიყვარდე

როგორ არ მიყვარდე როცა,
ამ ჩემს გულიდან გაჩნდი.
ხარ ჩემი გულის ცემა,
და ხარ სიცოცხლის არსი.

როგორ არ მიყვარდე,როცა
შენ მე დამიძახე დედა.
მე შენ სულ გატარებ გულით,
კვლავაც ოცნებებში გხედავ.

როგორ არ მიყვარდე, როცა
ვნახე შენი ფეხის ადგმა.
ბევრჯერ დაცემულიც გნახე,
მიტომ მოიმატა დარდმა.

როგორ არ მიყვარდე, როცა
ერთ წუთს უჩემოდ ვერ ძლებდი.
გულში ჩახუტებულს ნანას
ხშირად გიმღროდი დედი.

როგორ არ მიყვარდე, როცა
ჩემს წინ გაიზარდე დიდი.
მიტომ,ჩვენს გულს შორის შვილო,
არის უხილავი ხიდი.

აბა ვინ მიყვარდეს გულით,
შვილო შენ რომ არ მიყვარდე?!
უფალს დღე და ღამე შევთხოვ,
შენ რომ ბედნირი მყავდე.

* * *

მთელი ღამე შენზედ ფიქრში გავატარე,
პირჯვარს გწერდი სიტყვის უთქმელ ლოცვაში.
ღმერთო, თუკი თავზე მეტად შევიყვარე,
ამ სიყვარულს ნუ ჩამითვლი ცოდვაში.

კაბადონზე მდარაჯობდა ბადრი მთვარე,
მომეჩვენა,თითქოს იყო ეული.
ცისკრის ვარსკვლავს რომ ვუამბე ეს ამბავი,
დამამშვიდა, ბედისგან ხარ რჩეული.

ყველას როდი შეუძლია შეყვარება,
ნეტავ მართლა, ასეთ გრძნობას რა ჰქვია!
მზეს მისწვდები, მეცხრე ცაზე ინავარდებ,
როცა გულში სიყვარული ანთია.

პასუხი მესაფლავეს

მე ქედს ვიხრი იმ ორ დიდი,
ბუმბერაზი გენიოსის.
მესაფლავის დამწერის და
მერე მისი კრიტიკოსის.

მართალია, რომ სუყველას
აქვს თავისი მოსაზრება.
და ორივეს ვარაუდი,
სრულ სიმართლეს ეფუძნება.

მაგრამ მინდა ორი სიტყვით,
მეც გადმოგცეთ ჩემი აზრი.
სიყვარული მართლაც არის,
ამ ცხოვრების დედა აზრი.

მაშინ, როცა ქალიშვილმა
სატრფო მიწას მიაბარა.
ვინ რა იცის, თუ იმის გულს,
რა ტკივილი დაევანა?!

იგი როცა სატრფოს დებდა,
იმ გაყინულ სამარეში.
თავის გულიც გააყოლა,
და მიწაზე დადის ლეში.

ოცნებები, სული, გული,
ჩააყოლა თავის სატრფოს.
მაღლა ცივ ლოდს ეხუტება,
და გაყინულ საფლავს ათბობს.

ქალიშვილი მოსთქვამს,სტირის,
და თვალთაგან მოსდის თქეში.
ორი გული ცივ სამარეს,
მიაბარა მან ერთ დღეში.

მერე რა,რომ ის საბრალო
კვლავ მიწაზე იარება.
მისი გული იქვე მოკლა.
მტკივნეულმა იარებმა.

რა გგონიათ, ნუთუ შესძლებს,
კვლავ იმ გრძნობით შეიყვაროს,
დაივიწყოს სატრფოს სული,
და საფლავზე არ იაროს.

არა! არა! მას ვერ იზამს,
ჩააყოლა რადგან გული.
და უგულოდ შეყვარება,
მე მგონია ძალზედ რთული.

თუკი ღმერთმა, ამ ქალიშვილს
მიუსაჯა განსაცდელი.
იქნებ ისევ მანვე მისცეს,
საიმედო დასაყრდენი.

ამ საბრალომ, იქნებ შესძლოს,
კვლავ ცხოვრების გაგრძელება.
ჩვენ რა ვიცით, თუ მის გულში,
ან რა იწვის, ან რა დნება.

რომ დგახართ და აკრიტიკებთ,
იქნებ არც კი შეიყვარა?!
მე არ მჯერა სიყვარულის დავიწყების,
არა, არა.

ამიტომაც მესაფლავე,
ნუ გვთავაზობ კვლავ იმ მცნებას.
ვინც რამ კვდება მისი ჩრდილი,
ყველა მათგანს ავიწყდება.

და ყოველ წელს, ვარდობის თვეს,
საფლავს ისევ სტუმრობს ქალი.
ახლა სად ხარ მესაფლავევ?!
გაახილე ორივ თვალი.

ლოდზე აწყობს სულ თეთრ ვარდებს,
დაემხო და ტირილ იწყო.
არ მოხდება არასოდეს,
რომ როდესმე დაგივიწყო.

მათ ამ გრძნობის ჰქონდათ ძალა,
მათ ამ გრძნობის ჰქონდათ ნიჭი.
ნეტავ,რატომ დააშორა
ღვთის განგებამ გოგო-ბიჭი?!

სიყვარული არა კვდება,
რადგან დიდი არის მცნება.
სიყვარული არ არს თოვლი,
რაც უკვალოდ დნება, ქრება.

ჩვენ პოეტები საქართველოსი

ახალი წიგნი დაბადებულა,
აღმწერელია მთა და მდელოსი.
მის დაბადებას ერთად ვზეიმობთ,
ჩვენ,პოეტები საქართველოსი.

მინდა შეგიქოთ კალამი ყველას,
და დაგილოცოთ ერთობ მარჯვენა.
წერეთ და ჰქმენით მრავლად ლექსები,
დიდ პოეზიის გადასარჩენად.

რადგან ამ წიგნში ერთად შევიდა
ნანა, მანანა, ლალი, ეროსი.
ჩემო სამშობლოვ ისევ გიმღერებთ,
ჩვენ, პოეტები საქართველოსი.

* * *

მოდი შევსვათ, სიყვარულის ზედაშე,
ერთად შევხვდეთ ამ ალიონს მე და შენ.
და ორივე ამ დიდ გრძნობით მთვრალები,
გულს მისწვდება სიყვარულის ალები.

ამ სიყვარულს ჩვენ ავენთოდ ჩირაღდნად,
გავინათოთ გზები ერთად სავალი.
მეცხრე ცაზე გავიშალოთ ლოგინი,
არ ვიდარდოთ რა იტყვიან მავანნი.

და ჩვენს მიერ დანთებული კოცონი,
გიზგიზებდეს, ირგვლივ ჰფენდეს ნათელსა.
ამ გრძნობისთვის შენ მადლობა უფალო!
და ავუნთებ ყოვლადწმინდას სანთელსა.

სიყვარული დროში რომ არ განელდეს,
გზა-გზა ისევ დავეწაფოთ ზედაშეს.
და გავლიოთ სიყვარულით აღვსილმა,
ეს ცხოვრება, ჩემო ტკბილო, მე და შენ.

შემოდგომა

აშარმა ქარმა აიშვა,
და დაძრწის უმისამართოდ.
მოდით შემივსეთ სასმისი,
იქნება ღვინომ დამათროს.

ეს ქარვისფერი მტევნები
აქ საწნახელში კრთებიან.
ქვევრისკენ მიღიღინებენ,
ჰარი-ჰარალეს მღერიან.

ბროწეულები დამსკდარან,
მოუჩანთ ლალის მძივები.
მზეც ოქროსფერი გამხდარა,
მიმოაბნია სხივები.

დამისხით, მსურს ვადღეგრძელო
ეს დალოცვილი ბუნება.
ვერ იზამ, არ შეიყვარო
ისე დიდია ცდუნება.

რა ლამაზი ხარ ქალაუ

სად იარები ქალაუ,
გზები საით გაქვს სავალი.
ღამით მთვარე გყავს მეგზურად,
ჩემსავით, მარტოდ მავალი.

თვალნი გიბრწყინავს, ბაგენი
თვალ მარგალიტებს მიგიგავს.
ვინც გზაზე გადაგეყარა,
სულ ყველას შენსკენ იზიდავ.

ნეტავი გოგოვ მე და შენ,
ერთ გზაზე დაგვაყენაო.
ერთად გავლიოთ ცხოვრება,
ჩვენ შეგვნატროდეს ყველაო.

რატომ დაგერქვა ზარზმაო

მაღლა მთაზედა ტბა იყო,
ცურავდნენ თურმე გედები.
დაბლა სოფელი ხარობდა,
ყრმებს ზრდიდნენ მუსლიმთ დედები.

სოფლად მოსულა წმინდანი,
უფლის ყოფილა შვილიო.
აქ ქრისტე უნდა ვადიდოთ,
ყველამ მივიღოთ წვლილიო.

ქართულ მიწაზე სასახლე
უნდა ავაგოთ ქრისტესი.
ლოცვა ისმოდეს ქართული,
ამას მოვითხოვ,ვით წესი.

მუსლიმნი თურმე გამწყრალან,
ქრისტეს სჯულს გვაიძულებსო.
წმინდანი თურმე აწამეს,
იმქვეყნად გაისტუმრესო.

მაგრამ ღმერთმა არ გასწირა,
ნაწამები იგი ბერი.
განისვენებს ის ზარზმაში,
უხრწნელი და თანაც მრთელი.

სოფლის ზემოდან მთა იყო,
მთები შუაზე გაიყო.
გადმოიღვარა იგი ტბა,
მთელი სოფელი წაიღო.

ყველას თავზარი დაეცა,
ჩამოჰკრა გლოვის ზარმაო.
ვინც კი ცოცხალი გადარჩა,
ისიც იმსხვერპლა დარდმაო.

სოფელი ისევ დასახლდა,
დაჰბერა რწმენის ქარმაო.
დიდი სასახლე აუგეს,
ქრისტეს დარეკა ზარმაო.

რაც კი ვიცოდი გიამბეთ,
ერთმა უბრალო ქალმაო.
ამ სოფელსა და ამ ტაძარს,
რატომ ეწოდა ზარზმაო.

მე მომეწონა ლეგენდა
მომხიბლა მისმა კარმაო.
კვლავაც დაჰქროლოს ზარზმაში,
ქრისტანულმა ქარმაო.

ნოემბრის წვიმა

წუხელ თურმე მთელი ღამე წვიმდა,
გავაკეთე პაწაწინა ნავი.
ამ ნიაღვარს შევძლებ გადმოვცურავ,
შენს სიყვარულს შემოვწირო თავი.

წვიმდა, მერე იცი რა რიგ წვიმდა?!
მაღლა ციდან მოდიოდა თქეში.
გულს ჩაგიკრავ რომ არ გამიცივდე,
სუსხიან და ცივ ნოემბრის თვეში.

შემოგაჭდო ეს ხელები მინდა,
სიავე არ გაგაკარო ახლოს.
ჩემი გრძნობა არის ცაზე წმინდა,
მსურს,რომ ქვეყნად არაფერმა გავნოს.

გადაღებას არ აპირებს წვიმა,
ღრუბლებს ისევ გადმოსცვივდა ცრემლი.
სიხარული დაგაფრქვიო მინდა,
სიყვარული წვიმის წვეთზე მეტი.

* * *

თითქოს სტიროდა აქ ყოველი კუთხე,
რადგან დრო დაუდგა ცივი და ურგები.
თითქოს გამაჟრჟოლა ძლიერ შემამცივნა,
და ცრემლით ამევსო მე თვალთა გუგები.

თვალ წინ ჩამიარა ჩემმა სიყმაწვილემ,
ამ სახლში სითბოთი დროის გატარებამ.
ოდესმე თუკი ასე მოიწყენდი,
ეს ხომ არ ვიცოდით მაშინ პატარებმა.

ყოველი დაბრუნება სითბოთი მავსებდა,
რადგან უხვად იყო ყველგან სიყვარული.
ეხლა სიცივეა და სიცარიელე,
გულისტკივილი და დიდი სინანული.

როგორ არ მინდოდა კერა ჩამქრალიყო,
ისევ მენატრება კვლავ კარის ჭრიალი.
ნეტავი ყველანი ისევ ერთად ვიყოთ,
ოჯახი იყოს ისევე მთლიანი.

ისევე გიზგიზებდეს ბუხარში ცეცხლი და
ისევ ხმაურობდეს დიდი თუ პატარა.
არ მინდა ისევე მოწყენილს გხედავდე,
და მთელი ცხოვრება ამ დარდით მატარა.

* * *

გაილია ოქტომბერი,
ცა ღრუბლებით დაიბურა,
მზის სხივიც კი არსად მოსჩანს,
მგონი ისიც გაიბუტა.

ცივა, წვიმამ მოიმატა,
საბუხრეებს ასდის კვამლი.
ქარმა ხეზე არ დატოვა,
არც კაკალი და არც წაბლი.

ნოემბერი დაუბერავს,
ხეებს თეთრად ჩამოათოვს.
ზამთრის სუსხმა რომ არ გავნოს,
ჩემი გრძნობით მე გაგათბობ.

ამ ჩემს გულში ჩაგისახლებ,
სადაც წავალ თან გატარებ.
შემოგახვევ ჩემს სიყვარულს
სიცივეს არ გაგაკარებ.

ქარი ხეებს აცლის ფოთოლს,
აქეთ-იქით მიმოფანტავს.
შევაგროვებ ყვითელ ფოთლებს,
ლამაზ გულებს დაგიხატავ.

* * *

გავაცილეთ ოქტომბერი,
გაიხურავს მალე კარებს.
მობრძანდება ნოემბერი
და მოიტანს ალბათ ქარებს.

ოქტომბერში ჩვენთვის ბებომ
შეაგროვა ყველა ხილი.
ჩურჩხელებიც გამოჰკიდა,
ტკბილი კვერი, ხურმის ჩირი.

ამოდუღდა ქვევრში ღვინო,
ტკბილი სუნი ასდის მაჭარს.
ზამთრისათვის ვემზადებით,
თბილად უნდა შევხვდეთ ზამთარს.

ბუხარში ცეცხლს ავანთებ და
მივუჯდები ბუხარს თბილად.
გარეთ ცუდი ამინდია,
იმეორებს ბაბუ ხშირად.

უფრო მეტად აცივდება,
შემდეგ მოაყოლებს ფიფქებს.
ბაბუ ბუხრის წინ დაჯდება,
მიეცემა ისიც ფიქრებს.

მერე იტყვის დადინჯებით,
როგორ დაათოვა ველებს.
არასდროს გაუჭირდება,
მშრომელ გლეხის გამრჯე ხელებს.

* * *

რამდენი ღამე მითევია შენზედ ფიქრებში,
რამდენჯერ ფიქრში დამიხატავს შენი ხატება.
როდესაც ვხედავ შენს სახეზე, ლამაზო ღიმილს,
მე სიყვარულზე , სიყვარული მომემატება.

უკვე რამდენჯერ მითქვამს შენთვის, როგორ მიყვარხარ,
მსურს ხელისგულზედ დაგიტიო, მთელი სამყარო.
შენ ჰაერი ხარ,ვით მთის წყარო ისეთი სუფთა,
მინდა ამ გულში ჩაგისვა და გულით გატარო.

და მე მოკვდავმა, როგორ შევძლო, რომარ მიყვარდე ?!
ხარ მოკიაფე ბნელში სხივი, როგორც ვარსკვლავი.
თვალთაგან ტბა გაქვს დაუშრობი, თანაც უძირო,
გადაგიყრია მაჯის სიმსხო მხრებზე ნაწნავი.

არ დავიღლები კარგო შენი კოცნა, ფერებით,
შენ საოცნებო რამ ყოფილხარ ,მართლაც ყველაზე.
მე შენ მიყვარხარ! მე შენ გეტრფი, მე შენ მჭირდები,
მოდი ჩემთნ და ეს ცხოვრება გამიფერადე.

* * *

ვიცი დავბერდები, ალბათ გავთეთრდები,
თვალში დამაკლდება ჩინი.
ხელჯოხს დავიჭერ და ჩამოვეყუდები,
წელში მოხრილიც კი ვივლი.

ჩემთანაც მოვა ის ცივი ზამთარი,
თეთრად რომ დაგვათოვს მხრებზე.
ჩუმად გაილევა ცელქი სიჭაბუკე,
უკვე გაცვეთილი წლებზე.

ხშირად დავიღლები, სკამზე ჩამოვჯდები,
და გზას გავაყოლებ მზერას.
ვინც რომ დახმარების ხელს გამომიწოდებს,
ლოცვას შევაშველებ ყველას.

მაგრამ დამპირდით, რომ არ დამივიწყებთ,
რომ არ დამაჭირვებთ ლოდინს.
შემოდგომის მერე მინდა გახსოვდეთ,
ყველგან კვლავ ზამთარი მოდის.

იყიდება საქართველო

იყიდება საქართველო,
მინდორ-ველებიანად.
ყველა მეტრი, ყველა გოჯი,
იყიდება მთლიანად.

ვყიდით წყალს და ვყიდით მიწას,
წინაპართა საძვალეს.
აღარ ვჩივით სინდის-ნამუსს,
ოქრო-ვერცხლზე გავცვალეთ.

მოღალატე თუ გვიწოდეს,
ვაპროტესტებთ, არ მოგვწონს.
თუმცა ბევრჯერ გავასხვისეთ,
ჩვენი დედა სამშობლო.

ვყიდით, ისე ურცხვად ვყიდით,
არაფრის არ გვრცხვენია.
თითქოს მართლაც საქართველო,
მხოლოდ მარტო ჩვენია.

აღარ შეგვრჩა სუფთა სული,
ქისად წამოვიკიდეთ.
რადგან ჩვენში მრავლად დადის,
სერგო ორჯონიკიძე.

რიგში კვლავაც ჩამომდგარა,
უამრავი დუშმანი.
განა ჩვენ არ ჩავაჭედეთ,
უფალს ხელ-ფეხს ლურსმანი?!

ისევ ისე განიბნევა,
ოცდაათი ვერცხლია.
შენ სამშობლოს მოღალატევ
დაგწვავს მისი ცეცხლია.

ისტორიის ქარტეხილი,
ისეთ გზებზე გატარებს.
არ დაგინდობს სამშობლო რომ
ოქრო-ვერცხლზე გაცვალე.

კმარა

კმარა! რამდენი სისხლი დაიღვარა,
ამდენი დარდისგან გული დაიღალა.
კმარა! დედამიწა აივსო გვამებით,
რამდენჯერ მოგვისწრაფეთ სიცოცხლის წამები.

საბრალო დედები მაინც შეიბრალეთ,
თვალთაგან ცრემლების მდინარე სდენიათ.
აცადეთ შვილები გულში ჩაიკრან და
ტკბილად განვლიონ სიცოცხლის დღენია.

ნუ სჩადით! ნუ მოჰკლავთ! ნუ ესვრით მას ტყვიას,
თქვენ არ გიჩუქნიათ, ნუ ართმევთ სიცოცხლეს.
დრო მოვა, თქვენს მიერ ჩადენილ ამ ცოდვას,
თქვენს შვილებს მოჰკითხავს უფალი იცოდეთ.

მეც ხომ დედა ვარ, ისმინე უფალო!
შვილნი დაიფარე ყოველი დედისა.
აშორე ეშმაკს და აშორე ბოროტ სულს,
მადლიერები ამყოფე ბედისა.

დაინდეთ ბავშვები, აცადეთ სიცოცხლე,
მაღლიდან ცა ჰქონდეთ უღრუბლო, ნათელი.
მსოფლიოს პატარებს მშვიდობა ჰქონოდეს,
ამისთვის აგინთე უფალო სანთელი.

* * *

ბუნებავ შენი ჭირიმე,
გამოიმეტე ნამიო.
გლეხკაცს შრომაში დაღლილსა,
არ გაუმწარო წამიო.

აწვიმე ბაღს და ვენახებს,
პურის ყანამაც იზარდოს.
ჯალაბის გამოკვებაზე
გლეხმა რომ აღარ იდარდოს.

სარჩო მიეცი სულ ყველას,
ნიშას, ნიკორას, ლაბასა.
დოვლათი თუ დაგროვა,
ცოლსაც უყიდის კაბასა.

დოვლათი მიეც გამჩენო,
აავსე ხვავით, ბარაქით.
ბეღელი პურით გაუვსე
და ბიდონები კარაქით.

მარანში სურნელს აფრქვევდეს,
ღვინით აღვსილი ქვევრები
და იქვე რქებით ეკიდოს,
ლამაზ-ლამაზი მტევნები.

ხორბალი წისქვილს წაიღოს,
სახლში მიზიდოს ფქვილიო.
რომ დააპუროს ოჯახი,
დაზარდოს წვრილი შვილიო.

* * *

სითბოთი და სიყვარულით,
მხოლოდ სახლში გელიან.
გულში თბილად ჩაგიკრავენ,
სიხარულით მღერიან.

სადაც შენზედ ლოცულობენ,
ლოცვას გულში ამბობენ.
ცუდისთვის არ გიმეტებენ,
შენი კარგით ლაღობენ.

აქ იციან შენი ფასი,
აქ ყველაზე კარგი ხარ.
შენ ხომ მათი იმედი ხარ,
მათი გულის ვარდიხარ.

ეს სითბო და სიყვარული,
გულს შესძრავს და გაგათბობს.
მე ამ გრძნობას არასოდეს,
არაფრისთვის არ დავთმობ.

შვილი

შვილი სამყაროა,შვილი თან წყაროა,
შვილი -მორაკრაკე ნაკადული.
მას ხომ ვერაფერი შეედრება,
შვილი,დედის გულში ჩაქარგული.

შვილი იმედია,ღმერთის წყალობაა,
თვითონ სიტყვა არის ისე სუფთა.
მხოლოდ შვილი არის, ისევ შვილი არის,
ყველაზე ახლოს დედის გულთან.

სხვას ვის შეუძლია გული გაგიხაროს,
თანაც გაგიხაროს ისე ძლიერ.
შვილის სიყვარული, ისე დიდი არის,
თითქოს მართლაც არ ჰგავს ის მიწიერს.

დედა შვილის ბედზე მლოცველია,
დედა შვილზე ფიქრში ჩაკარგული.
დედას თავის შვილი ისე უყვარს,
გულის ფიცარზე ყავს დაქარგული.

იმერეთი

სულ სხვაგვარი ეშხი ადევს,ჩემს იმერეთს,
აქ ცაც თითქოს, უფრო მეტად ცისფერია.
ხალხი კიდევ სხვანაირად თბილი არის,
გულს მალამოდ რომ ედება,იმფერია.

აქ ჰაერიც არის მეტად გამჭირვალე,
წყაროებიც მორაკრაკებს მთიდან სუფთა.
მასპინძლობაც აქ იციან შესაშური,
გული უნდა მოგიტანონ ახლოს გულთან.

გულს მიძგერებს ეს კუთხე და ეს ბუნება,
თავმომწონე, ჩემი ტკბილი იმერეთი.
აქ იციან სულ სხვაგვარი ერთგულება,
მიაჩნიათ, სტუმრის სახით, სტუმრობს ღმერთი.

ქვეყანა რომ მოიარო, ვერსად ნახავ,
არ შეგხვდებათ,სხვაგან არსად კუთხე ერთიც.
მხოლოდ ჩვენთან არის ასე საოცარი,
ასე თბილი, ასე ტკბილი იმერეთი.

მაპატიე

მინდა, დედა მოგიხადო ბოდიში,
თუმცა ვხვდები, ეხლა ძალზე გვიანია.
ვერ გითხარი თუ რა ძლიერ მიყვარდი,
და ეს ჩემო მე მრავალჯერ მინანია.

მაპატიე, ყველა წყენა მაპატიე,
ყველა თეთრად გათენება ღამისა.
მომლოდინე ყოველი დღე მაპატიე,
ჩემო დედა ყველა წუთი, წამიცა.

მაპატიე თუ კი დედა იმედები გაგიცრუე,
თუ ვერ შევძელ, ვერ ვიყავი ის შვილი.
ყველგან შენი სიყვარული დამაწიე,
სიყვარული ასე წრფელი და ტკბილი.

მაპატიე, ის ტკივილი მაპატიე,
ჩემო დედავ ჩემს გამო რომ განგიცდია.
ბევრჯერაც კი გადაღლილხარ ჩემს აღზრდაში,
მაგრა თავის არიდება არ გიცდია.

მაპატიე, ის ჭაღარა მაპატიე,
ლამაზ თმებზე ნელ-ნელა რომ დაგათოვა.
და გზისაკენ მომლოდინე ეგ თვალები,
რომ ფიქრობდი, ჩემი შვილი როდის მოვა.

მაპატიე, ის ცრემლები მაპატიე,
ჩემო დედა! ჩემს გამო რომ დაგიღვრია.
მინდა დედა ყველაფერი მაპატიო,
რომ იცოდე სინანული რა დიდია.

შენ რომ მყავდე უეჭველად მაპატიებ,
ეხლა დედა მე ღმერთს შევთხოვ შენდობას.
მოეფერეთ, დედიკოებს მოეფერეთ,
თქვენ კი მაინც ნუ დაუშვებთ შეცდომას.

უფალო

უფალო! ნეტავ როგორა,
ჩვენთვის შესძელი ყოველი.
ამდენი ცოდვის მქნელები,
შენგან სიკეთეს მოველით.

მამას შესთხოვდი შეუნდე,
ამათ ყოველი ცდუნება.
ყველას სიკეთით გვიხდიდი,
ეს არის შენი ბუნება.

რაღაც გროშებად გაგყიდეთ,
არ ვიცით შენი ფასიო.
ისე დავეცით, მწყურვალსა.
ძმრითა აგივსეთ თასიო.

მოგკალთ უბრალო ბრალითა,
ღმერთი ვერ შეგიყვარეთო.
ათასი რამე დაგწამეთ,
ქვეყანა შეგიყარეთო.

დაწყლულებული სხეულით,
ჯვარზე წამებით გაგაკართ.
ღმერთო! შენდობას რომ ვითხოვთ,
ვიცი რომ ღირსი არა ვართ.

შენი სიცოცხლეც კი დასთმე
უფალო ჩვენი გულისთვის.
კვლავ იბრძვი გადასარჩენად,
ჩვენი ცოდვილი სულისთვის.



გიორგი ზუბიტაშვილი – ფილოლოგი.
დაბადების ადგილი – ყვარელი – შილდა.

* * *

ავაჰმე, ქალო, მაგ მრისხან მზერას,
რაისთვისა გგვრის ხატება ჩემი? –
თითქოს მოგიკალ ნაძმობი დილას,
ამბავი გითხარ თავზარდამცემი.

ჩემ დანახვისას მაგ თვალთა სისხამს,
რაისთვის გიკრთობს ზიზღის ბურანი,
რისად არ მინდობ შენსავე მონას? –
არც ბიბლია გწამს, არცა – ყურანი?!..

განა რა ცოდვა მიძღვის შენ წინად,
განა რა ხარკი და ოქროს ტევრი,
რომ ჩემი წმინდა გრძნობების წილად,
უხანჯლოდ მკლავ და უსიტყვოდ მწყევლი.

* * *

დაღამდა, ფიქრის თოვლმა იმატა,
ანათა მთვარემ ძველი იერი...
დავღონებულვარ, ვამჩნევ ძალიან,
ვით დედამიწის დასალიერი.

გორ-მთა ნოემბრის ძაძით ირთვება,
ვერხვებს აშიშვლებს ქარი – მზაკვარი
და მე არ ვიცი წინ რა იქნება,
ან რას მიმზადებს ბედის ზღაპარი.

ბავშვობის გზებზე ნისლის ჯარია,
სადაც დღეებმა სული აბორგეს...
დავღონებულვარ, ვამჩნევ ძალიან,
მადლია, თვალზე ცრემლი დაგორდეს.

* * *

[ხალხურ მოტივზე]

დილას წყალ-ჭალას ამოვყე,
ფიჩხ მოვათრევდი ზურგითა,
ვით ცოდო-მადლსა, უფალო,
მწუხარებით და ურვითა!
ამოვყე ღორღიან ფერდალ,
თავშავიანსა სერსაო,
ფიქრის ბურუსში გართული,
თავს ვუწუნებდი ბედსაო.

ვწყევლიდი ჩემ დაბადებას,
თვალთ ვაგორებდი ცრემლსაო, –
ბალღო, შენ-წილი სიკეთე
ბედმა ვის დააკემსაო.
ჩამომავალი ნიავი
ცრემლს საკოცნელად ეცაო,
მაუბნა, – გულს ნუ გაიტეხ,
ებარებოდე ღმერთსაო!

* * *

შემოდგომის ყვავილებს,
შესუსხულს და ნამიანს,
სულზე მძივად დააფენს
ქარი მზისფერ ტრამალებს...
და თუ მოგენატრები,
ჩემო კარგო, ძალიან,
ვით ძვირფასი სიზმარი,
დამალე!
თუ შენს ახლოს ჩაივლის
მოგონების ნიავი,
სულს თუ აგიმღელვარებს,
ვით გაშლილი ლილია,
ჩემო კარგო, გახსოვდეს,
მონატრების ყვავილებს,
ფერდაკარგულ ყვავილებს
შენშიც უყვავილია!
და თუ მოგაგონდები,
და თუ გაგახსენდები,
ვისთვის გული იქვავე, ითირე,
ვით დაკარგულ სიზმარზე,
ვით ბავშვობის ზღაპარზე,
ისე წრფელი ცრემლებით იტირე.

* * *

/ხალხურ მოტივზე/

რად მედიდები, სოფელო,
რად არ ეშვები მტრობასა,
რისად ვერ გადაეჩვიე
კაცის ტკივილით თრობასა?..

არ-კი გეგონოს დავმარცხდე,
სირცხვილს ვერ ვეტყვი ძმობასა,
ათჯერ გამწირავ? – ათჯერვე
განანებ ეშმაკობასა!

სიცოცხლეს სიცოცხლედ დავლევ,
სიკვდილსა შევხვდე? – წესია...
გახსოვდეს ჩემი ნათქვამი
ჭკუითა ანალესია!

* * *

ი ა თ ა ფ ე რ ო ნისლ-ბურო,
ჩამომავალო გორიდან,
ჩემი გზის ამრევ-დამრევო,
რისად მოსულხარ შორიდან?

რა უნდა მამცნო, მახარო,
ან რას მიქადი საწუხარს,
რა გრძნობით უნდა დამღალო,
გულს რას აუწყებ ნაქუხარს?

რას მეტყვი გულისსახარად,
რა ამბავს წაიღაღადებ...
გან-გადექ, თუ სამძიმარსა,
მადარდებ, გამისახადებ!

ი ა თ ა ფ ე რ ო ნისლ-ბურო,
ჩამომავალო გორიდან,
მშვიდობით მოხველ თუ ომით? –
რისად მოსულხარ შორიდან?...

– ისე ჩამოვყე ხევისპირს,
სერზე გაწოლა მომინდა!...

* * *

ღიღილოების ყვავილობაა...
შენ გამახსენდი, აწ უკვე ქალო,
ჩემი ბავშვობის ტკბილო ზღაპარო,
დაუსრულებელ ამბად შემომრჩი.

კვლავ მახსოვს შენი თვალების ეშხი,
მალული ღიმი, მზერა ქველური...
გათენებული ღამეთა სევდა,
კვდომა და ბნედა ტარიელური.

ღიღილოების ყვავილობაა...
წარსულს მაგონებს, მართალს და ბავშვურს,
ეტყობა შენი გადავიწყება,
გულს სამუდამოდ არ უნდა, არ სურს!..

გიორგი ლეონიძეს

დიდო პოეტო, მჭედელო სიტყვის,
თქვენს სტრიქონებთან ღამე ვათიე...
სულმა სიმშვიდის ხმა გაიგონა,
მტერს სისხლის ვალიც – კი ვაპატიე!

ვიხილე ღამე ძმური, მგოსნური,
ნინოწმინდა და ყაბარდოს ველი,
ხმლის ელვაც ვნახე ტამერლანისა
და ოლეს მარტიც უკანასკნელი.

მესმოდა თქვენი ჩარგა ქართული,
რაც ლექსთაჭედით ამოიმღერეთ,
თითქოს ვისმენდი პაპის სიმღერას,
გადავიწყებულს, დიდი ხნის მერე!

დიდო პოეტო – ყივჩაღო ლექსის,
ვეტრფი თქვენს ძლიერ, პოეტურ სიტყვას –
კირქვიან ლექსებს, მრავალჟამიერ
საქართველოში რომ უნდა ითქვას!

შემოდგომის ლირიკა

შემოდგომაა სიმწუხრისფერი...
გარდასულ დღეებს გადეკრა ფარდა,
არ დამრჩა, კარგო, სხვა არაფერი,
სხვა არაფერი, წუხილის გარდა!..

აღარაფერი აღარ მახარებს,
არცა რამე მწყინს და შემოდგომა
ისე ახლოა ახლა ჩემ სულთან,
ვით ყვავილების უდროოდ კვდომა.

ამ ლექსსაც მხოლოდ იმიტომ ვმღერი,
რომ ამოვაშრო ცრემლის ცხრა მილი,
წმინდა ლექსია, ჩემო ძვირფასო,
ტანჯული სულის ამოძახილი!..

კვლავ შემოდგომა სიმწუხრისფერი...
გარდასულ დღეებს გადეკრა ფარდა,
არ დამრჩა, კარგო, სხვა არაფერი,
მოგონებათა ხსენების გარდა!..

* * *

"ტკივილიანი ხმით ნათქვამი ქალის სიმღერა"
– მაგდა ჩანქსელიანი

"ტკივილიანი ხმით ნათქვამი ქალის სიმღერა",
არღვევს დარაბებს, პიტნით მთვრალი სიო-ქარივით,
ეს ხმა უცხოა, თუმც ძვირფასი ჩემთვის სრულიად,
ხმა სადაირე, მოწკრიალე დედო-ზარივით.

ირგვლივ შენისლულ დღე-ამინდთა რიგი-ჯარია,
ასკილებს ცრემლად დაუღვრიათ თვალდასანამი,
დარაბებს მიღმა ავმოსილი, შლეგი ქარია
და მღერის ქალი – ევა, მართა, ხორა, ნანამი.

გლოვას აყოლილ ხმაში რაღაც მნათიც ანთია,
თითქოს ტირილს ჰგავს, მაგრამ მაინც სიმღერა არის,
ყურს ვუგდებ ამ ხმას, ტკივილიანს, უცხოს ძალიან,
ხმას სადაირეს, სალირეს და საჩანგ-სათარეს.

შილდის ციხესთან ნათქვამი
[ხალხურ მოტივზე]

ლიბოდაშლილო ციხეო,
ვეღარ გიწონებ ნირსაო,
მკერდს ლეღვი შემოგწოლია,
გულს – ბური სიმწუხრისაო.
ე, შენი უტყვი ღაღადი,
მეც აღარ მიხსნის პირსაო,
დაუსხამ ჭირთა მანანი,
შენსა ქვასა და კირსაო.
იქნება ის დრო გერჩია,
როს გვიამებდი წყლულსაო,
როს აბჯრად ედექ სამშობლოს
გაუშლელ გაზაფხულსაო.
ქონგურჩაშლილო ციხეო,
მტერი მოგადგა ძირსაო,
განა და ლეკის ლაშქარი,-
დრო-ჟამი სიბერისაო!

ალეგორიული ჩანახატი

სადაც ნარ-ეკლის სამყოფელია,
იქ რად აყვავდი, მინდვრის შროშანო?
თავთუხისფერო, ოქროცურვილო,
მთათა ალ-ცეცხლო და ატროშანო...

არ თუ იცოდი, რომ ჩაგაქრობდა,
იმათზნეული ბინდი-წკვარამი
და შენს მშვენებას უღვთოდ შერყვნიდა
შეუმჩნევლობის სევდა-ვარამი.

უეკლო ხარ და დაგღუპავს ვიცი,
ეგ გულუბრყვილო, ბავშვური ქცევა,
რადგან ამ ქვეყნად უმანკოება,
შროშანო, ღმერთსაც არ მიეტევა.

ასე წავიდნენ დღენი მრავალნი

რაც იყო, იყო... რაც არის, არის...
წამსვლელ-მომსვლელიც წავა და მოვა...
იქნება კვლავაც წვიმაც და ქარიც,
ცისპირტეხისას იქნება თოვაც.

ასე წავიდნენ დღენი მრავალნი,
გაჰყვნენ დროებას, ვით წყალს ნაფოტი,
მაგრამ წინ არის გრძელი სავალი –
ჩემი გოლგოთა და ეშაფოტი.

გამოვიარე კარგიც და ცუდიც,
ღიმილიც ვნახე და ცრემლის წყაროც...
ჩემი ბავშვობის წაშლილ გზას ჰგავდა
შეუცნობელი მაშინ სამყარო.

ასე წავიდნენ დღენი მრავალნი,
გაჰყვნენ დროებას, ვით წყალს ნაფოტი,
მაგრამ წინ არის გრძელი სავალი –
ჩემი გოლგოთა და ეშაფოტი.

* * *

მზე მიიწურა, ბინდდება სოფლად,
ათასწლოვანი მთების მხარეში...
სათიბი... ცელი და ჩემი ყოფა,
ვსულდგმულობთ ასეთ სიმწუხარეში.

ქართა თარეშში ფიქრის თოვლი თოვს,
ვამტვრევ ობნაკრავ პურს და სურვილებს,
ხელისგულებით ვპარავ სახეს ოფლს,
ვიხსენებ დღეებს შემობურვილებს.

სათიბი... სერზე სარეველას ვკლავ,
ვითა სასმელით დარდს ამოუცნობს,
მივიმღერ ქვეყნის ამაოებას
და ქარი ჩემი ლექსებით უბნობს.

სიმღერა

დაიღვარა ლექსი ცრემლად,
ვის რას არგებს სიტყვა-წყლული...
ვერ ვიქცევი იადონად,
პოეტი ვარ გულმოკლული!

რასაც ვმღერი გულით ვმღერი,
თუნდაც იყოს ჩალის ფასი...
იქამომდე კვლავ ვიმღერებ,
სანამ სავსე არის თასი!

სანამ ცრემლებს ლექსებად ვღვრი
და ბანს მაძლევს დაფიონი,
სანამ გულზე დამეყრება,
ია-ვარდი და პიონი!

როცა ვმღერი, ჩემს მახლობლად
თვით უფალი იარება,
ლექსი არის, ჩემო კარგო,
კურთხეული ზიარება.

თუ ვინ ისმენს ჩემს ნაუბარს,
ყველაფერი კარგი ჰქონდეს,
დაე, ჩემი ჰანგის გარდა
არაფერზე არ დაღონდეს!

სევდას ვმღერი სევდიანსა,
გულში არის მწუხრი რაიც...
მუდამ ლაღად მომღერალი
იტყუება სადღაც მაინც!

დაიღვარა ლექსი ცრემლად,
ვის რას არგებს სიტყვა-წყლული...
ვერ ვიქცევი იადონად,
პოეტი ვარ გულმოკლული!

* * *

ადნება სხივი გადამხმარ მინდორს...
ნეტავი იმ დროს არ შემხვედროდი,
როცა მოჰგავდი აპრილის მითოსს,
შენ გაზაფხული იყავი როდი?..

მინდვრის შროშანი ქარმა გათლა,
ვით შენ მოკალი ჩემში ყოველი...
წინ ჩემი წმინდა გრძნობების-ხელა,
დგას უძველესი სვეტიცხოველი...

დავდივარ, ალბათ ბევრ რამეს ვნანობ,
ეჰ, გვიანია დღეს სინანული...
შენთან შეხვედრა იყო სამყარო -
გალაკტიონურ-დარიანული.

ადნება სხივი გადამხმარ მინდორს...
ნეტავი იმ დროს არ შემხვედროდი,
როცა მოჰგავდი აპრილის მითოსს,
თუმც გაზაფხული იყავი როდი?..

* * *

ამ მაღალ მთებში გულის ჯავრს ვმღერი,
შროშნიან კორდზე გაშლილა არვე...
როგორ გელოდი, როგორ გელოდი,
ტკივილი მაინც არ გამიქარვე!

ირგვლივ ქარია... ამ ველურ ქარებს
მოაქვთ ასკილის, მაყვლის სურნელი
და ღონემიხდილს უფრო მაღონებს,
ეს სიმძიმილი განუკურნელი!

ცა კვლავ წმინდაა, ვით მთების თოვლი,
ფრენას ასწავლის არწივი მართვეს...
დღეები მიდი-მოდიან თრთოლვით,
რომლებმაც შენი თავი წამართვეს!

ბებერი კოშკი

ბებერი კოშკი – მაცნე წარსულის,
დგას ვით ჭაღარა კაცი – ბერმუხა,
უბრია, მაგრამ ისედაც ვხვდები,
მის თავს რა მეხმაც გადაიქუხა!

ბებერი კოშკი ნაგები სიპის
ქართველთა გმირულ წარსულზე უბნობს,
მრავალ დრო-ჟამთა გადამბრუნები,
კვლავ საქართველოს დიდებას უხმობს!

ბებერი კოშკი ცას აწვდენილი
ჯერ მუხლს არ იდრეკს დროს არა ჰმონობს,
რომ ალგეთელთა შთამომავლობას
დავითის სიტყვა კვლავ გააგონოს!

ბებერი კოშკი ქონგურჩაშლილი,
მაინც არ დრკება იმერ-ამიერ,
ერთი იმედით, რომ საქართველო
ლილეოს იტყვის მრავალჟამიერ!

* * *

ყვითელი ხეები... ჭალაში ნისლია,
მთებიდან გრიგალთა მოისმის ხარხარი,
ყვითელი ფოთლებით გზა დაფოთლილია,
ზამთრდება, ღმერთივით შემოდის ზამთარი!

დანისლეს ნისლებმა ქვითკირის ყვავილი,
გარშემო სიწმინდე თოვლივით იმატებს,
ზამთრდება, ღმერთივით შემოდის ზამთარი
ხანდახან მთებს შორის მზის სხივიც ინათებს!

ჭალაში სიმღერით ვაქუჩებ ხე-ნარიყს,
ვით ლექსებს ჩემივე ცრემლებით ნამთვრალევს,
ზამთრდება, ღმერთივით შემოდის ზამთარი
და ახლა სალექსო მიზეზებს რა დალევს!

ყვითელი ხეები... ჭალაში ნისლია,
მთებიდან გრიგალთა მოისმის ხარხარი,
ყვითელი ფოთლებით გზა დაფოთლილია,
ზამთრდება, ღმერთივით შემოდის ზამთარი!

პეიზაჟი 12

ამოდის მთვარე და მთების კალთებს
თავის შუქ-ჩრდილთა მორევში ახვევს,
ამოდის მთვარე ჩუმად, უბრალოდ
და ჩემში დარდის გალავნებს არღვევს!

ვწერ, იდუმალი გრძნობა მიმონებს,
როგორც ქვითკირის ყვავილს ბურ-ჯანღი,
ამოდის მთვარე ჩუმად, უბრალოდ,
ჩემში მწუხრობის ყიჟინებს ჯანყი!

სათიბიგორზე ჩამოჯდა მთვარე,
თივას თიბავენ ქარნი, სიონი,
მე ვლაპარაკობ პოეზიაზე –
გადაშლილი მაქვს გალაკტიონი!

მე ვლაპარაკობ პოეზიაზე,
არავის ესმის ხმა ჩემი გულის,
ხმა სიმარტოვის, ხმა მოთმინების –
იდუმალების და სიყვარულის!

და ამიტომაც ხმა საბულბულე
სხვისთვის, უცხოსთვის არის ხმა – ჯანხი,
ვწერ, იდუმალი გრძნობა მიმონებს,
როგორც ქვითკირის ყვავილებს ჯანღი.

* * *

ეს მთები ცად აზიდული,
ნისლის ზღვაში რომ მარხია,
მხოლოდ ეს არის სამშობლო? –
სამშობლო ჩემი ხალხია!

მინდვრები ხორბლისფერული
ქარმა რომ შემოარყია,
მხოლოდ ეს არის სამშობლო? –
სამშობლო ჩემი ხალხია!

მთის მკერდის მძივი – მდინარე
ხან ბროლი, ხანაც – თალხია...
მხოლოდ ეს არის სამშობლო? –
სამშობლო ჩემი ხალხია!

* * *

მდინარის პირას დანამული გდია ნარიყი,
ოდეს ეს ტოტიც აკაციის ყვავილს იშლიდა,
იყო ტანადი, აშოლტილი, როგორც ქალწული,
რომელიც მზისფერ თმებს ბეჭებზე ჩამოიშლიდა.

ო, ეს წყეული დრო ყველაფერს გააჩანაგებს,
ახალ სიცოცხლეს, სხვა ცხოვრებას აეძრახება,
მისთვის ერთია ცივი ომიც, წამის სიმშვიდეც,
მის ცოდვაზეა ყოველივეს გაპარტახება!

ო, ეს საწყალი ადამის ძე – ადამიანი,
დროის კალაპოტს მიუყვება, მიედინება,
ნარ-ეკალს კვალავს, სამარემდე გასავლელ მანძილს
და ბოლოს თითქოს, მშვიდი ძილით მიეძინება.

ესა ყოფილა სულ საწუთრო ძმარ-რძედ ნაგემი,
ოდითგანვე რომ ადამის ძეს ჭკუიდან შლიდა...
მდინარის პირას დანამული გდია ნარიყი,
ოდეს ეს ტოტიც აკაციის ყვავილს იშლიდა!

* * *

ათასი ღამე ცეცხლში ჩავნაცრე,
ათას ბილიკზე ვკვალე საკვალი
და მიდიოდა ცხოვრება ასე,
ვით სამოთხეში სული მზაკვარი!
ხან იმედებით ვიყავი სავსე,
ხან – ცარიელი სული, ეული,
მრავლისგან ტკბილი სიტყვა ვიკუთვნე,
მრავლისგან სიტყვა მერგო წყეული!
მაინც განვლილი ხომ მაინც ვლიე,
როგორც ბალღამით სავსე მათარა...
რაც იყო, იყო!.. ალალი იყოს,
გზა ბედმა რაიც შემომატარა!
ესა ყოფილა კაცის სიცოცხლე;
ვივლით, ვივლით და მთას გადავლახავთ,
ამ ერთი-ბეწო წუთისოფელში,
ყველა საკუთარ გოლგოთას ვნახავთ!

ნატვრა

ვხედავ ყვავის: შინდი, ნუში,
მოდუდუნებს მდინარეთი,
ზამთრის მწუხრი მიილია,
სულმა ნათა მინარეთი...
ეჰ, ნეტავი ჩემი ქვეყნის
ზამთარბედიც გაზაფხულდეს,
არ მესმოდეს მოთქმა მისი,
მისი დროშა არ გახუნდეს!
ეჰ, ნეტავი შეიმოსოს
შემოცლილი ბერი-მუხა,
რომელზედაც მეხმა ოდით
ცეცხლთაცვენით დაიქუხა!

* * *

ქართულ მიწიდან აღმოვცენდი და
მშობელი მიწის მტკივა ტკივილი,
ვაზის პატარა ბრწკალი ვარ მაგრამ,
ადამიანის სული მიყივის...
ჩემი სამშობლო საქართველოა,
პატარა, მაგრამ დიდი ქვეყანა,
ცა ვარსკვლავების, გზა გალავნებით
ჭაღარა რასაც შემოეპარა.
აქ პაპაჩემის ირწა აკვანი,
პანტის ხისაგან გამოჭედილი...
ეს მთები თეთრი სულის სავანე,
შოთას წერილში გამოკეტილი
საიავნანო მღერიან ჰანგებს,
რომ უფალს ტკბილად
ჩასძინებოდეს...
მშობელი მიწის ფერება მმართებს,
საქართველოდან საქართველომდე.

* * *

ზღვები ღელავენ, ღელავენ, მოჩანს გუნდები წეროთა...
დრო ვერ განკურნავს ვერაფერს, რომ განკურნავდა მჯეროდა.
ნისლები მწვერვალს ბურავენ, მწვერვალზე თოვლის ბურია...
ამ წუთისოფელს, უფალო, კაცის სჯა რადა სწყურია?!

იქნება ჩვენი ბრალია, ჩვენ წავიხდინეთ გზა-ყურე...
სულში ისარი დავლანდეთ – თვალში საყვარლის საყურე.
წუთისოფელში ტკივილი განა ვის მოუგონია?..
ეშმაკის კუდის ქიცინი უფლის ღაღადი გვგონია!

ყოველი ჩვენი ბრალია, რაც კარგია და ავია,
სწორ გზაზედ აცდენილნი ვართ, რარიგი სანახავია...
ზღვები ღელავენ, ღელავენ, მოჩანს გუნდები წეროთა...
დრო ვერ განკურნავს ვერაფერს, რომ განკურნავდა მჯეროდა!

9 ა პ რ ი ლ ი

შავმა ღრუბელმა დააყარა ტალახი თბილისს,
შავი აპრილი იდგა უხმოდ, ცრემლით მოსილი,
გმინავდა მტკვარი, სიკვდილს ედგა დროება ლხინის,
ქართველთა დროშას ვერ ამხობდა რუსის ბორკილი!

გმინავდა მტკვარი, სიკვდილს ედგა დროება ლხინის,
ღმერთს ავედრებდა დედა შვილებს მუხლმოდრეკილი,
სამშობლო იდგა აბჯრად, ფარად დედათა შვილის,
რუსის ტანკები მოსდგომოდნენ ბობოქარ თბილისს.

არ ჩუმდებოდნენ ფანდურები, არ ჩუმდებოდნენ,
არ ჩუმდებოდნენ ქაშუეთის წმინდა ზარები,
არცა დროშები მოფრიალე არ ხუნდებოდნენ,
ქართლოსის დროდან მტერთა ჩვენთა შესაზარები!

ჩვენ არ გვინდოდა სისხლიანი თავისუფლება,
ჩვენ მხოლოდ ქცევით მივბაძავდით აღმაშენებელს,
არა, არა ჰქნა რუსის ტანკმა ეს არ ინება,
გლოვა გვაგემა, ცრემლი გვაგემა ბედკრულ ქართველებს.

შავმა ღრუბელმა დააყარა ტალახი თბილისს,
შავი აპრილი იდგა უხმოდ, ცრემლით მოსილი,
გმინავდა ყველა, სიკვდილს ედგა დროება ლხინის,
ქართველთა დროშას ვერ ამხობდა რუსის ბორკილი!

რომანსი

ნუ ჩქარობ წასვლას, სანამ დრო არის,
სანამ შენი ხმა მინდა მესმოდეს,
სანამ ბილიკი აგვაცდენს თავად,
ან და ვიღაც სხვატყვიას მესროდეს!

სანამ მზე ჩავა, ცას ნუ ჩამიქრობ,
იქნებ ხვალ ერთურთს ვეღარსად შევხვდეთ
და მოგონების ალის ამარა,
გზას კვლავ შეხვედრის იმედით ვდევდეთ.

სევდა მერევა, ვერ ვმალავ სევდას,
სიო მიკოცნის ბაგეს დანატირს,
ნუ ჩქარობ წასვლას, გეძახი, მაგრამ
შენი დარჩენაც ალბათ არა ღირს...

* * *

ვერ მომერია ომში ოსმალო,
ვერ მომერია: მონღოლი, სპარსი,
შენ დამამარცხე, მხოლოდ შენ, ქალო,
და ამირიე ცხოვრების არსი!

ვერ მომერია ღვინო-ჰარალო,
ვერ ამირია სავალი გზანი,
შენ დამატყვევე, მხოლოდ შენ, ქალო,
როგორც პრომეთე და ამირანი!

ტყვიას გავუძელ, შენს თვალებს ვერა,
მზერას ალმაცერს ვერ გავერიდე,
ჩემი დაღუპვა?! – ეს მოხდა ძველად,
როცა ატმები ჰყვაოდნენ-კიდე!

სურათი

ზღვა ღელავს, ფრინავენ წერონი,
მზე ჩადის, შორია აისი,
შიშვლდება ქალივით ჰერმონი,
იშლება ედელვაისი.

აფრიკა: გუგუნი დოლების,
ოქროსფერ ქვიშთა უდაბნო,
ტირილი შვილმკვდარი ცოლების
(მასაი) ქარმა ქარს უამბო.

შატილში ხევსურის ქალებმა
შროშანთა სურნელი დაიცხეს
და სადღაც ცისფერი თვალები
სილამაზისთვის გაკიცხეს...

ზღვა ღელავს, ფრინავენ წერონი,
მზე ჩადის, შორია აისი,
შიშვლდება ქალივით ჰერმონი,
იშლება ედელვაისი.

დაღესტანი

შორს, მთებს გადაღმა გაზაფხულია,
აქ, მანდილს იხვევს შილდის ქედები,
შორს, მთის გადაღმა ის აულია,
სადაც აკვანთან სხედან დედები.

სადაც ლეკური ისმის ნანინა,
ლექსად იღვრება ხევის წკრიალი,
იქ, მთა-გორები ფიქრით დაღლილან,
აყვავებულა დეკა-იანი.

დაღესტნის მთებში, რასულ ჰამზათოვს,
პოეტის მძიმე ხურჯინი ეწვა,
მის ნაბილიკარს აწვიმს და ათოვს,
მის ნაბილიკარს ლექსის მკვა ერქვა.

იქ, ალბათ ვინმე ასული ლეკის,
აულის გზაზე დაიარება,
ათრობს სურნელი აპრილის დეკის,
აშინებს ტრფობის აღიარება.

და საცნაური მზერით და თრთოლვით,
გაჰყურებს ალბათ ჩემსავით ქედებს,
ლეკის ასული, ვით ქარი ქროლვით,
თავის მიჯნურს და სიყვარულს ეძებს.

აქ, მთებს გადმოღმა გაზაფხულია,
აქ, მანდილს იხვევს შილდის ქედები,
აქ, მთის გადმოღმა ის სოფელია,
სადაც აკვანთან სხედან დედები.

მირზა ვარძუკაშვილი – მშენებელი
დაბადების ადგილი – დაბა სტეფანწმინდა

* * *

მთელი ცხოვრება ვიარე,
უკუნეთ წყვდიად ბნელშია.
არა არ იქნა თენება,
სიმართლე ვიცი ღმერთშია.

კაცთაგან მუდამ სულ ველი,
ტყვიას დატენილს ჩემთვია.
დღეს თუ არ ხვალე შემოვა,
ტყვია ნასროლი მკერდშია.

ვაი იმ ტყვიის დამსხლეტავს
სასხლეტ რომ უდევს ხელშია.
ისროლეთ თქვე დედა მკვდრებო,
აგერ მესროლეთ ყელშია.

ჩემგნიდან დაღვრი სისხლი,
თქვენ მკვდარს ჩაუსხით პევშვშია.
აღდგომა მოდის ქრისტესი,
სიცოცხლით შობა ძელშია.

გარდამოხსნამდე იქნებდა,
არ დამამტვრიოთ ძვლებშია.
თქვენნაირები მეფობდნენ,
ძე ხვთის წამების წლებშიაც.

რად არა სწყალობს...

კოჭლს სიმწრით ველზე გაქცეულს,
რად არა სწყალობს იღბალი.
ბოროტი თვალი რადა სწუხს,
მის გაქცევაზე მითხარით.

მის მაგივრად რომ ვხარობდეთ,
კოჭლის სწორ გავლას სიმწარით.
გაქცეულს ხაფანგებს ვუგებთ,
როგორაც კარტებს მკითხავი.

საიდან ამ ხალხს ამდენა,
შური და ლტოლვა სიხარბის.
გაიქცა კოჭლი? ულოცე,
ნატრვა აუხდეს სიცხადით.

გული სწუხს სული მეწვება,
შავსდგებით ხოლმე მივარდნილს.
ოდნავ თუ წელში გასწორდა?
ცოცხლადვე მიწას მივაყრით.

არ ვეტრფი ტყვილად საუბარს,
მიყვარს თქმა რითმად სიმართლის.
როდემდე უნდა გაგრძელდეს,
მალვა და ჩქმალვა სიგლახის.

ჟამი დგას....

ჟამი დგას ქვეყნად დღეს უღმერთობის,
ქვეყნის ტკივილმა გული დაღარა.
ყველა სიმართლე მშობელთან ცრუობს,
მისი დამჭერი შვილიც წამხდარა.

გამიუხეშდა გული სათუთი,
არადა უკვე არ ვარ პატარა.
საცოდავია უღმერთო კაცი,
დამეთანხმებით ალბათ აბა რა.

სად გაქრა ნეტა ის სიყვარული,
რომელიც იყო წმინდა თაკარა.
დედასთან ტყუილს რატომ ვკადრულობთ,
ამ საქართველოს ვუვლით რად არა?

ეხ ჟამი არის შეუცნობლობის,
ღვთის სიყვარული სადღაც გამქრალა.
რომ ჩამთავრდება ეს ყველაფერი,
რით ვანუგეშებთ მშობელს ჭაღარას?

ან თავს ნეტავი რით გავიმართლებთ,
უფალი თუ კი მოვა ამაღამ.
ეჰ უღმერთობა ეს უღმერთობა,
ანგრევს მესანთლის სულის ტაძარსაც.

დრო ჟამი არის დღეს უღმერთობის,
ცოდვის ტირილის წლები დამდგარა.
რით დავაამებთ ნეტა სამშობლოს,
რომ დასცემს ღმერთი ბუკს და ნაღარას.

განა რა არის სიცოცხლე...

განა რა არის სიცოცხლე ჩემო,
ჰა გასწი იყოს სულ სამი წამის.
გუშინ რომ აისს მზე გვინათებდა,
ის ჟამი ახლა უკვეა ღამის.

თუ გესმის რაა სიმდიდრე სოფლად,
ბევრს ხიბლავს ოქრო ზოგს ვერცხლის შარმი.
შენ სიყვარულის რამე გსმენია?
გულს უკვდავების რომ არხევს ძარღვი.

რა გიყო აბა რითი გიშველო,
მეც ღარიბი ვარ გულ სავსე დარდით.
შენ რა გასწავლო დავეძებ თვითონ,
ადამიანში რაც იყო ნაღდი.

უბრალოება აი რა ბრწყინავს,
და სიყვარული ქალო მზიანი.
გარდაცვალებაც სიმდიდრე გახლავს,
სიყვარულისთვის ადამიანის.

განა რა არის სიცოცხლე ჩემო,
ჰა გასწი იყოს სულ სამი წამი.
შენ მდიდარი ხარ თუ იცი რატომ,
უყვარხარ მას ვინც ლექსად გწერს კალმით.

მზე რომ არ ამოდიოდეს...

ღრუბელს რომ ცრემლი არ მოსწყდეს,
ზეცის დარდს ვინ გაიგებდა.
მზე რომ არ ამოდიოდეს,
თვალი გზას ვერ გაიგნებდა.

ღამეს რომ დილა არ ცვლიდეს,
ჟამთა ცვლა დაიბინდებდა.

სიყვარული რომ არ იყვეს,
ღმერთს კაცი დაივიწყებდა.

ყოფნა ამ ქვეყნად უღმერთოდ,
ეშმაკთანაა წილდება.
კაცი რომ არ გარდიცვალოს,
ვერ ნახავს უფლის დიდებას.

* * *

ჩემზე ცუდს ნურასდროს იტყვი,
ქალავ შავ დალალიანო.
შენს მოტაცებას მაინც ვცდი,
თუ კი მე კაცი მქვიანო.

შენ თმათ ჩქერს მკლავზე დავიშლი,
შენთვის მე თერგი ვხმიანობ.
შენს თავს არავის დაუთმობ,
არვინ თქვას ჩემზე ტიალო.

უშენოდ გული მიკვდება,
დავდივარ ცალად ვყიალობ.
სიცოცხლეს შენ შამაგწირავ,
რომ სულმა გაიმზიანოს.

სულ ვჩქარობ შენ სიყვარულში,
არა მსურს დავაგვიანო.
მოვკვდები თავს შამაგწირავ,
ქალაო შავ თვალიანო.

სიყვარულს უნდა...

როგორც მუშაკობს მთვარე წყვდიადში,
მისთვის რომ დილით მზე ამოვიდეს.
სიყვარულს უნდა ასეთი შრომა,
თუ გინდა საღმრთო რომ გამოვიდეს.

სიყვარულს უნდა როგორც თოთო ბავშვს,
დედ მამისაგან მოვლა და სითბო.
თუ კი დააკლებ მას ყურადღებას,
ბავშვიც ურჩდება რომ ეტყვი შვილოს.

სიყვარულს უნდა როგორაც ტაძარს,
აღმშენებლობით შეიგრძნო სიტკბო.
თუ შეეურჩე ღმერთს ზედამხედველს,
მაშინ სამართალს ღვთისგან ნუ ითხოვ.

როგორც მუშაკობს მთვარე წყვდიადში,
მისთვის რომ მზისგან აისი იგრძნოს.
კაცი და ქალიც სიყვარულისთვის,
უნდა მთვარესვით მომთბენი იყოს.

ვიცნოთ სიყვარული....

მოდით სიყვარულში შევეჯიბროთ,
მოდი დავამარცხოთ ბოროტება.
ერთად ერთად ვძლიოთ სიბოროტეს,
ღმერთის რომ ვიწოდეთ მეგობრებად.

მოდი დღეს გვიყვარდეს ერთმანერთი,
ისე როგორც ტკბილი მოგონება.
მოდი სიყვარულში თავი ვპოვოთ,
ვიცნოთ სიყვარული როგორც ხდება.

* * *

იცი სიკვდილამდე როგორ მოგითხოვე,
იცი სიყვარულში ჩემთან ახლაც რომ ხარ?
ნეტა ის თუ იცი ძაან რომ მიყვარდი,
ნეტა ის თუ იცი ახლაც რომ მიყვარხარ.

იცი საყვარელო ჩემი სიყვარული,
იცი? დიდებულო ახლაც რომ ჩემთან ხარ.
შენ ის ვერ გაიგე მე როგორ მიყვარდი,
ის ვერ შეიმეცნე მისგან მე რომ სხვა ვარ.

სიმშვიდე მინდა...

სიმშვიდე მინდა მტეხს ღამე,
შფოთვა სამშობლოს გულისა.
მზეც აღარ მოდის ამ ცაზე,
მგრძნობელი სიყვარულისა.

მთვარეც გაცივდა კლდიანში,
წყაროც ვეღარ ჰკლავს წყურვილსა,
ტყეც განიძარცვა ფოთოლნიც,
დაჰყვნენ ნიავის სურვილსა.

ბუც აღარ ჰკივის ფიჭვნარში,
მგელიც აღარსად ჰყმუვისა.
როგორ მწადიან სიმშვიდე,
მე საქართველოს სულისა.

მასმენა მინდა გალობის,
შაშვების და ბულბულისა.
კლდის თავზე ყეფა არწივის,
ფერდზე კრიახის შურთხისა.

გამარჯვებულსა ვხედავდე,
სამშობლოს ოქრო ცურვილსა.
სიკვდილმა ქვეყნისა მკითხოს,
ვერა ვჰკადრებდე ტყუილსა.

სიმშვიდე მინდა ჩანს არსით,
ისევ მე ვარჩევ დუმილსა.
მზედ ველი ქართულ ზეცაზე,
მადლის მოფენას უფლისა.

ვახმე...

ვახმე ჩემს სინდის ნამუსს რა ვუთხრა,
შემომდის დედა დაღლილი ჯანით.
წესით მე უნდა გივლიდე დედავ,
გათბობდე ამ სიყვარულის ძალით.
დიდებულია დედა შვილობა,
გფარავდეთ ყველას ეს საღვთო მადლი.
მოეფერენით ვისაც გყავთ დედა,
გარდაცვლილთ დედებს ნათელი ამინ.

წუხელის სიზმრად...,

წუხელის სიზმრად ვიდავე,
ამ ხნიერ დადამიწასთან.
ვეკითხებოდი თუ გიყვარს,
ის ვინც არასდროს გიწამა.

მიყვარსო მერედა როგორ,
თუნდა ჩამთვალოთ გიჟადა.
ისევე მიყვარს ის გლეხი,
შრომით ვინც აღწევს მიზანსა.

დილა გათენდა სადავო,
აღარრა მქონდა მიწასთან.
შევთანხმდით იმ სიყვარულში,
რწმენით ვინც ღმერთი იწამა.

წუხელ სიზმარში ვიმსჯელეთ,
მე მიწამ ყელზე ხის ჯვარმა.
ხალხი ცოდვაა ურწმუნო,
ვინც რწმენის ვერა ისწავლა.

ასეა ასე მიწაო,
სიმართლეს ამბობ ღვთის მადლმა.
ვინც სიყვარულის არ იცის,
უდროდ შეჭამოს მიწამა.

დრო სიმართლის...

ოჯახის კარს რომ გაგიღებს ვინმე,
მეგობარი ხარ იქ ან სტუმარი.
პატივისცემა მასპინძლის გმართებს,
თვალით ბრმა იყავ სიტყვით მდუმარი.

სადაც გისტუმრეს პატივი დასდევ,
ნუ შეხვალ აზრით როგორც მცურავი.
თორემ შენს ნაქნარ იქ ბოროტ საქმეს,
სტუმრით მოგაგებს დროში დუშმანი.

კარს რომ გაგიღებს ვინმე ოჯახის
შენი სტუმრობით ნუ კი დააქცევ.
ოჯახის უფროსს თუ მოკლავ ნდობით,
შენც დრო სიმართლის ყველას წაგართმევს.

ოხ რა ლამაზია...

ოხ რა ლამაზია გარეთ შემოდგომა,
როგორც ყველა კუთხის ისე ჩვენთან ხევში.
ხეებს სამოსელი ისე შეეფაკლათ,
ფოთოლთ სამოსელი ტანის ყვითელ ფერში.

ბროწეულებივით დგანან წოროები
გაღაჟღაჟებულნი გულით სიმწიფისგან.
თითქოს შეხვედროდნენ შარად შეყვარებულს,
თითქოს გაწითლდნენო უცებ სირცხვილისგან

დილაც გვიანდება უკვე მოსასვლელი,
ოქრო მზის სხივებსაც ძალა დაეკარგათ.
ახლა ფოთლებს ფერად ისე ლამაზ ყვითელთ,
ველით მონაბერი სიო აეტმასნათ.

რაღაც საუცხოო იცის შემოდგომა,
რაღაც საოცარი ბუნებაა ჩვენში.
დგანან აღტაცებით ამ სილამაზისგან,
გერგეტის სამება და მყინვარი ხევში.

* * *

ქალაო შენი დალალნი,
ნეტა რამ ღმერთმა ჩამასწნა.
წელზე დაგშლია ჩქერებად,
მოჰგევხარ ნაბრძოლ ავაზას.

თვალს აბრმობს შენი სიტურფე,
გულის მზედ სულის ცადა ხარ.
იხარას შენმა გამჩენმა,
შენი სიტურფის სადარად.

მავლენილი ხარ ქალაო,
ტრფობის ჩანჩქერის მაგვარად.
შენს სიახლოვეს თავსა ვგრძნობ,
შენით ნარწყულებ ბალახად.

* * *

ხევში ჩამაწვნენ ნისლები,
ხან წვიმს ხან თოვლის დარია.
მიყვარხარ ჩემო სიცოცხლევ,
თუნდაც რომ ვიყო მკვდარია.

მიყვარხარ ისევე როგორც,
კვირას საუფლო ჟამია.
ისე მიყვარხარ ქალაო,
ვით მლოცველს სალოცავია.

რა ვთქვა სხვა აბა რა გითხრა,
რას შეგადარო ქალაო.
მე შენ სიყვარულს არ დავთმობ,
ყელს მომაბჯონონ დანაო.

ხევში ჩამაწვნენ ნისლები,
ტირიან ჩემებრ განაო.
მე შენ სიყვარულს არ დავთმობ,
თუნდ სიკვდილს შევეყარაო.

მე უშენობის...

მე უშენობის გრიგალს ვებრძოდი,
შენ როცა გაჰყევ უჩუმრად ნიავს.
ამბავს გადამხდარს ჩემს უშენობის,
იცი? ქალშავო სიკვდილი ჰქვიან.

ქალო უშენოდ მნათობს ამოსულს,
მე ვეძახოდი გულისთვის წყვდიადს.
თუმც შენ გნათობდა ეს სიყვარული,
ნიავთან მორჩილს ქარებთან ზვიადს.

სატრფოვ ქარების ნიავს მიენდე,
ქარი დასტოვე სიკვდილის პირას.
მაგრამ დრო მოვა ქარი იქროლებს,
ზაფხულს თუ არა სთველს მაინც გვიან.

მიდიან დღეები...

მიდიან დღეები რა უცებ რა მალე,
დღის მკვლელი საღამოც რა უცებ ბინდდება.
ქუჩაში მიმოდის რამდენი ქალ ვაჟი,
რამდენის სულს უკან იუდა მიჰყვება.

მიდიან წამები წუთებად მქცეველნი,
დრო აწმყო მომავალს არაფერს პირდება.
სუყველგან შურია გულს მიძინებული,
წინსვლა და იუდაც იმავ წამს იქ ჩნდება.

მიდიან დღეები დრო ჟამი არ იცდის,
რა მალე შემოდის დღის მკვლელი საღამო.
უთხარით ერთმანერთს ძლიერ თქვენ მიყვარხართ,
რომ ხვალე უფალთან თავი არ დავხაროთ.

მიდის ეს დრო ჟამი არ ამბობს არაფერს,
ამ აწმყოს მიითვლის წარსულის რითმებად.
მოდი დღეს ვიტვირთოთ ერთურთის სიმძიმე,
რომ გულით ვიწოდნეთ ჩვენ ღმერთის შვილებად.

* * *

როგორ ულმობლად მოკლდება დღენი,
ეშმაკი თვალით ცეცხლს უკვე კვესავს.
ო როგორ იბრძვის ის უკვე ხალხში,
მას ამ ყოფაში თვალნათლივ ვხედავ.

აქ არის უკვე ახლოა ძაან,
ის უკვე სახლის დარაბებს ლეწავს.
ჩვენ კი ვბზუივართ ვითარცა ბუზნი,
დაუკვირველნი ცას შავსცქერთ ერთად.

ის კი ბოგინობს უკვე ხალხშია,
სულებს იტაცებს და ღმართებს ბნედას.
ჩვენივე ნებით თვალს ვივსებთ ნაცრით
მშიშარნი ვყვირით ვინ გვიშველს ნეტავ.

ახლა შორია უკვე წუწუნი,
ამით ერთმანერთს ვერ ვუშველთ ვერას.
ერთშია მხოლოდ იმედი ხვალის.
ღმერთშია მხოლოდ სულების შველა.

მიწის და წვიმის ტანგო...

წუხელის წვიმა შეუდარებლად,
ბებერ მიწასთან ცეკვავდა ტანგოს.
წვიმის წვეთები ფეხს ნაზად ცვლიდნენ,
ჭექა ქუხილი უწყობდა აკორდს.

ცეკვავდნენ როგორც შეყვარებულნი,
თითქოს ელოდნენ ზაფხულის ამ დროს.
შეყვარებული წვიმა მიწასთან,
ტუჩებით მიდის მიწასთან ახლოს,

ცეკვა გაგრძელდა გათენებამდე,
მიწა სიყვარულს არაფრით არ თმობს,
გადაიდარა და მიწა დარჩა.
ვნების მორევში სულ მარტოდ მარტო.

წვიმამ აკრიფა ცვარ მარგალიტი,
მიწა დაკარგულ სიყვარულს დარდობს.
ამ ცხოვრებაშიც ასე არაა?
ანგარება ხომ ყველაფერს ახმობს

წვიმა ცეკვიდან ცისკენ წავიდა,
მიწას კი ცეკვით განცდილი ათრობს.
უთქმელად გაქრა წვიმა ცეკვიდან
მიწას კი დარდი ტკივილი ახრჩობს

ახლა რა დროა...

ახლა რა დროა თუ მოვასწრებ თქმას რომ მიყვახართ,
ნეტა თუ მაცლის დრო და ჟამი კეთებას საქმის.
სიტყვის ვიცი რომ დღეს დღეობით აღარვის სჯერავს,
მაგრამ ეს სიტყვა წრფელი არის ვით შუქი სანთლის.

ნეტა რა დროა თუ ვინ მეტყვის რა ჟამი სუფევს,
სულ გაიუდდა გაბობოქრდა სულთა ეშმაკი?
არა მე ასე არა ვფიქრობ ჯერთ კიდევ სუფევს,
ადამიანში სიყვარული საღვთო ღმერთმანი.

ახლა ის დროა რომ ვამბობდე მე თქვენ მიყვარხართ,
გადმოვცე ის რაც გულში მიზის გრძნობა თქვენდამი.
ახლად მოსული დრო არაფრის მთქმელი არაა,
უსიყვარულოდ თუ გამექცა ახლა ეს წამი.

ახლა ის დროა მომაშოროთ ესე სიბნელე,
მინდა რომ შევხვდე მზის სხივებით ტრფობას აისის.
ეს დროც გაივლის იფერმკრთალებს გულთა სიბეცე,
და მოვა ჟამი სულიერად თბილი მაისის.

დრო რომ დამიდგა...

ჩემი ცხოვრების წლებს რამდენსმე გამოვტოვებდი,
გავანულებდი ორიათას ხუთის მარტიდან.
ათვლას სიცოცხლის დავიწყებდი იქიდან მხოლოდ.
როს ჯოჯოხეთით მე ამოველ პოეზიისგან.

ნება რომ მქონდეს იმ წლებს არსად გავიხსენებდი,
მაგრამ ვაი რომ ვერ დასძლია ის დრო გონებამ.
წარსული მაინც ისე დარჩა როგორც დატოვა,
საკუთარ ძმაზე მოთქმამა და ცრემლით გოდებამ.

ორიათასრვა დადგა წელი გამოხდა ხანი,
ისევ შეიპყრო გული სევდა დარდმა ტკივილმა.
ისევ ჩემი ძმა გარდაცვლილი ისევე ცრემლი,
ისევე თავი იმ წარსულმა თავად მიმძიმა.

ოხ როგორ მინდა რომ დავტოვო ახლო წარსული,
ის სიყვარულიც სიკვდილი რომ გულმა მომიძღვნა.
იქიდან მინდა ათვლა ჩემი წლების დავიწყო,
დრო რომ დამიდგა პოეზიით მკვდრეთით მოსვლისა.

იქ სადღაც დედა...

იქ სადღაც დედა გლოვობს თავის შვილს,
ვიღაც ვერა გრძნობს მის ტკივილს ლაღობს.
სადაც მაძღარი მიმოდის კაცი,
იქვე მშიერი ნაჭერ პურს ნატრობს.

ბევრმა არ იცის ღვთის არსებობა,
სადღაცა ახლა ძმა ძმას ღალატობს.
ახლა ამ წუთას ვიღაცა კაცს ჰკლავს,
ვიღაც ლოცვებით ღმერთთან ბაასობს.

ოჯახში სადღაც ბავშვი ჭყვიტინებს,
ვიღაცის ბავშვი ბურთს ვერ თამაშობს.
ვიღაცას სტკივა სადღაცა მღერენ,
სხვის ტკივილს სხვაგან არვინ არა გრძნობს.

რა დაემართა ადამიანებს,
რამ დააყრუვა ნეტა სამყარო.
რატომ გაჰქელე ღმერთის ხატება,
სულს რად იმუსრავ ადამიანო?

იქ სადაც დედა გლოვობს თავის შვილს,
ვიღაცა ყანწით ქორწილს თამადობს.
ტაძარში წირვას აღავლენს მღვდელი,
მრევლთაგან ბევრი უფალს არ
ჰმადლობს.

ღმერთო შეგვინდევ ეს უგნურება,
იქნებ ამ ცოდვათ ლოცვით გაგვყარო.
უფალო თავად უცოდვილესი,
განმკურნე როგორც სავლე დამასკოს,

შენ უკვე ალბათ...

ახლა თორმეტი საათი ღამის,
შენ უკვე ალბათ გესიზმრა მთვარე.
მე კი ვათენებ ჩემო ლამაზო.
უშენობისგან გადაღლილ ღამეს.

შენ ძილი გიპყრობს თვალ დამძიმებულს,
მე კი ამ ჩემს გულს შენზე ფიქრს ვაჩვევ.
იძინე ტკბილად იქნებ მისიზმრო,
მე შენს გარეშე მაინც ვერ გავძლებ.

ახლა გვიანი ღამეა უკვე,
მე შენ უძილომ საცხადლივ გნახე.
ამ ჩემი ლექსის შენ დედოფალო,
ჩემს გულში ზიხარ ვით მეფე ტახტზე.

ახლა უკვე თუნდ ნურც გათენდება,
იბორიალოს მთვარემაც ცაზე.
შენ ჩემი სულის ხარ სხვა აისი,
ამას ჩემს მეტი ვერცვინ შეამჩნევს.

* * *

მთელი წლის დარდით ნაფიქრი,
დღეს ნისლმა ფიფქად მოთოვა.
სამშობლო მათაც აფიქრებსთ,
კაცნი ჩვენ არ ვართ მხოლოდა.

ჩვენზე ნაკლებად არ სტკივათ,
თავისი ქვეყნის ობლობა.
ფიქრიც ტკვილიც ბუნებამ,
მერე და იცის როგორა.

არვიზე ნაკლებად იცის,
ბუნებამ დარდების გლოვა.
ჩვენზე მეტადაც აწუხებსთ,
ჩვილი მიწის უმშობლობა.

ახლა რა დროა...

ახლა რა დროა თუ მოვასწრებ თქმას რომ მიყვახართ,
ნეტა თუ მაცლის დრო და ჟამი კეთებას საქმის.
სიტყვის ვიცი რომ დღეს დღეობით აღარვის სჯერავს,
მაგრამ ეს სიტყვა წრფელი არის ვით შუქი სანთლის.

ნეტა რა დროა თუ ვინ მეტყვის რა ჟამი სუფევს,
სულ გაიუდდა გაბობოქრდა სულთა ეშმაკი?
არა მე ასე არა ვფიქრობ ჯერთ კიდევ სუფევს,
ადამიანში სიყვარული საღვთო ღმერთმანი.

ახლა ის დროა რომ ვამბობდე მე თქვენ მიყვარხართ,
გადმოვცე ის რაც გულში მიზის გრძნობა თქვენდამი.
ახლად მოსული დრო არაფრის მთქმელი არაა,
უსიყვარულოდ თუ გამექცა ახლა ეს წამი.

ახლა ის დროა მომაშოროთ ესე სიბნელე,
მინდა რომ შევხვდე მზის სხივებით ტრფობას აისის.
ეს დროც გაივლის იფერმკრთალებს გულთა სიბეცე,
და მოვა ჟამი სულიერად თბილი მაისის.

მიდიან დღეები...

მიდიან დღეები რა უცებ რა მალე,
დღის მკვლელი საღამოც რა უცებ ბინდდება.
ქუჩაში მიმოდის რამდენი ქალ ვაჟი,
რამდენის სულს უკან იუდა მიჰყვება.

მიდიან წამები წუთებად მქცეველნი,
დრო აწმყო მომავალს არაფერს პირდება.
სუყველგან შურია გულს მიძინებული,
წინსვლა და იუდაც იმავ წამს იქ ჩნდება.

მიდიან დღეები დრო ჟამი არ იცდის,
რა მალე შემოდის დღის მკვლელი საღამო.
უთხარით ერთმანერთს ძლიერ თქვენ მიყვარხართ,
რომ ხვალე უფალთან თავი არ დავხაროთ.

მიდის ეს დრო ჟამი არ ამბობს არაფერს,
ამ აწმყოს მიითვლის წარსულის რითმებად.
მოდი დღეს ვიტვირთოთ ერთურთის სიმძიმე,
რომ გულით ვიწოდნეთ ჩვენ ღმერთის შვილებად.

შენ უკვე ალბათ...

ახლა თორმეტი საათი ღამის,
შენ უკვე ალბათ გესიზმრა მთვარე.
მე კი ვათენებ ჩემო ლამაზო.
უშენობისგან გადაღლილ ღამეს.

შენ ძილი გიპყრობს თვალ დამძიმებულს,
მე კი ამ ჩემს გულს შენზე ფიქრს ვაჩვევ.
იძინე ტკბილად იქნებ მისიზმრო,
მე შენს გარეშე მაინც ვერ გავძლებ.

ახლა გვიანი ღამეა უკვე,
მე შენ უძილომ საცხადლივ გნახე.
ამ ჩემი ლექსის შენ დედოფალო,
ჩემს გულში ზიხარ ვით მეფე ტახტზე.

ახლა უკვე თუნდ ნურც გათენდება,
იბორიალოს მთვარემაც ცაზე.
შენ ჩემი სულის ხარ სხვა აისი,
ამას ჩემს მეტი ვერცვინ შეამჩნევს.

* * *

მთელი წლის დარდით ნაფიქრი,
დღეს ნისლმა ფიფქად მოთოვა.
სამშობლო მათაც აფიქრებსთ,
კაცნი ჩვენ არ ვართ მხოლოდა.

ჩვენზე ნაკლებად არ სტკივათ,
თავისი ქვეყნის ობლობა.
ფიქრიც ტკვილიც ბუნებამ,
მერე და იცის როგორა.

არვიზე ნაკლებად იცის,
ბუნებამ დარდების გლოვა.
ჩვენზე მეტადაც აწუხებსთ,
ჩვილი მიწის უმშობლობა.

ახლა დაიბადა სიყვარული...

უკვე განილია დეკემბერი,
ზეცამ უშობელი ფიფქი თოვა.
რჩება სულ დაღლილი ძველი წელი,
ვფიქრობ იღბლიანი წელი მოვა.
ვნატრობ ქართველობას დაებედოს,
გულით სიყვარულით სავსე ძმობა.
ძველმა წელიწადმა გაიყოლოს,
შური ერთმანერთის ქვეყნის მტრობა.
დღეც გამოტრიალდა მზე ბუდობით,
მანაც დღე ნაკლული მოიგლოვა.
ახლა დაიბადა სიყვარული,
გულმა ჩვილ სიყვარულს უგალობა.
აგერ განილია დეკემბერი,
უკვე უღმერთობის აღარც დროა.
ახლა შევიყვაროთ ერთმანერთი,
სანამ ძე ღვთის შობით ქვეყნად მოვა.

უკრავს მაესტრო...

უკრავს მაესტრო სცენაზე დგას ქალი სულ მარტო,
ოდნავ გახსნილი ბაგეებით უმღერს სიყვარულს.
სავსე დარბაზში ტკბილი ჰანგი გულს ისე ათბობს,
დაჰმონებია სასმენელი იმ ტრფობის ასულს.
მღერის ის ქალი გასაოცრად რა საუცხოოდ,
გადამავიწყა ჩემი თავი მისმა ნამღერმა.
რა ჰაეროვნად ეს მაესტროც უკრავს პიანოს,
მკერდში ეს გული ქალთან ერთად რითმში აცეკვდა.
უკრავს მაესტრო ქალი მღერის რაღაც ზეციურს,
ოდნავ გახსნილი ბაგეებით სიყვარულს ბადებს.
და ის მაესტროც დასასრულის მარცვლავს პიანოს,
მე კი ვამზადებ მისართმევად ქალისთვის ვარდებს.

ლილი გულბათაშვილი – პროგრამისტი
დაბადების ადგილი – დუშეთი

სულს ჩამრჩენიხარ

სულს ჩამრჩენიხარ, ხვთის მადლმა,
ვით ნიშზე ნამწვი სანთლისა,
ამ სატიალე გულშია,
ბინა ძევს შენი ლანდისა.

ვერცაით გადაგივწყე,
სათავევ ჩემი დარდისა,
ვერ გაგიტყუე გულს-გარეთ,
მიღმა ვერ დაგსვი ფარდისა.

ჩამაილივა ათობით
წლები ვით გორგალ ნართისა,
მარჩა სიცოცხლის ქსოვაში
თავიც აღარ მაქვ დართვისა.

ფთილებად მიწყვავ სევდები,
საჩეჩელ მიდგა დარდისა,
ცრემლით ვუნავთავ სავარცხლებს,
ცხოვრება აგრე გარბისა.

ასრე გრძელდების ტიალი,
ძაფ ჩამაერთვის ოხვრისა,
მემრ იქსოვების შიბიან,
დღეები წუთისოფლისა.

რო არა გული ტიალი,
ვინ დაგიწყებდა ლოდინსა,
გულ გამიხადე უგულოვ,
როგორც ნატეხი ლოდისა.

არც იმის შასწევს უნარი,
გზად დადგეს შენი მტრობისა,
როდამდე ითმენს ნეტარა,
შენსა თავხედურ ბოგინსა.

ასრე რთვა-ჩეჩვა-ქსოვაში,
გაღმა თუ გავცდი ბოგირსა,
იქნება იქ რამ ეშველოს,
რო გაშლის მიწის ლოგინსა.

თუ იქაც ჯავრად გამამყვა,
ეგ თოლნი მსგავსი ორბისა,
მაშინ გაპობა მამიწევს,
ემ გულის დასაგმობისა.

მთა და მთიელი

შამაიმტვრია გარიჟრაჟმა ღამის უკუნი,
გამტყდარმა ღამემ ბოლო სევდა ამაიკვნესა
არა გვჩვევია მთების შვილებს დარდზე წუწუნი,
დარდი მთიელმა ამაყ გულზედ ამაიკემსა.

თორემ რა დაჰლევს სადარდებელს მთების კალთებზედ?
ამდენ ნასახლარს და ნასოფლარს როცა გაჰყურებს.
უსაშველოა ჭრილობები მით უფრო მაშინ,
როცა საკუთარ შვილებს ხედავს სხვთა მსახურებს.

ზეცამ თალხივით მაიბურა ნისლის ლეჩაქი,
ჭიუხვში ისევ დაიქუხა თოფმა ალიონს.
მთიელებს მთები გამუდმებით მთებში ეძახის,
რომ დილის მადლი წინწანაქრით ისევ დალიონ.

არწივთ ბუდეში რა ხელი აქვთ ყვავებს ნეტარა,
სად მიაღწევენ მგლების ბუნაგს ჩვენში მელები.
ისევ მთამ უნდა შამოსალტოს ჩვენი ქვეყანა,
ისევ მთამ უნდა შამაჰხვიოს მძლავრი ხელები.

თორემ ვაიმე...უსაშველო გახდება ყოფა,
სად გაგონილა ლომი კვერნის გამხდარა მონა?
მთის უტეხ სულში ლომგულები იბადებიან,
არც-არადა ღირს სხვანაირი შვილების ყოლა.

სიცოცხლე განა შენ გეკუთნის -ის არის მთების,
მთა კი მაშინ მთობს როცა ზურგით ბარს უდგა ფარად.
ბრძოლის წადილი სამშობლოსთვი არადეს ქრების,
ეს დაუწერელ კანონად ძევს მთიელში მარად.

* * *

ძნელია ღამის წყვდიადი,
ძნელად სავალი გზებია,
ბეჩავს სამართალს ბექობზე,
დაქანცულს ჩასძინებია.

აღარვინ არასა ჰკითხავს,
უქმობა მასწყინებია,
უსამართლობას უნახავს,
მძინარი....გასცინებია.

ძლივს სამ არ დადგა ჩემი დრო,
ეს რა დიადი წლებია,
კაცნი ძლივს შამავიბრუნე,
ბედ-იღბალ გამბრწყინებია.

ეს გაუგია მოხუცსა,
სიმწარით ასტირებია,
უფლისთვი შველა უთხოვნავ,
ძველი დრო მასწყურებია.

მაუსმენია უფალსა,
სიმწარით ჩასცინებია,
კაცთ რაც მეტ უყავ წყალობა,
მით მეტად დამშორებია.

უთქვამ და თოლნი ნათელნი,
ცრემლებით დაჰსველებია,
მოხუცს სხო ნუგეშ ვერ უქნავ,
ცრემლშიღა შაშველებია.

* * *

სადღაც, დროში გაჩეხილი, ძველი კადრი,
სადღაც, დროში გაყინული,ჩუმი მზერა.
სადღაც, გულში, შერჩენილი ტკბილი სიტყვა
და ზღაპარი, რომელსაც დღეს აღარ მჯერა.
სადღაც, ჩუმად ჩამოშლილი, ნდობის ჭერი
და ტკივილით, დაბზარული გულის ზღუდე.
ბზარს ვერ შველის, ყალბი (დიდი სიყვარულით)
შეფუთული,მორღვეული გრძნობის ფუძე.

წარსული

მთვარე ვახშობდა წიფლნარში,
ნისლის ზეფირის ქულითა.
იმღერდა ხშირი ტყეები,
ფოთლების შარიშურითა.

ვიდოდა წუთისოფელი,
ლაბირინთებით რთულითა.
მთა კვლავ ბარს ედგა დარაჯად,
უნელებ სიყვარულითა.

მამულს შესტრფოდა მთიელი,
მკერდში კლდესავით გულითა.
მოყვარეს გულში იკრავდა,
მტერს თვალთ უცქერადა მგლურითა.

ანებივრებდა სამყაროს
ხმატკბილი სალამურითა.
ნიშებთან სანთელს ანთებდა,
ღმერთს ადიდებდა სულითა

სიტყვას არ გადავიდოდა
არ ისუნთქებდა შურითა,
თავს შააკლავდა სიმართლეს,
არ იყო სინანულითა.

არ გადუხვევდა პრინციპებს,
არც ძალით არცა ფულითა,
უცხო რამ იყო ღალატი,
ცხოვრობდა სიყვარულითა.

იყო ასეთი ცხოვრებაც
ახლა სთვლემს დიდხნის რულითა,
აღარც რა მთიელ მთიელობს,
მთიელობითა სრულითა.

ანანური

– ეს იყო ალბათ იმაზე მეტი,
ვიდრე სიცოცხლის ერთი (პორცია)
ეს იყო გრძნობა საოცრად თბილი,
თითქო ნისლები დაგიკოცნია.

ეს მეტი იყო ვიდრე ცოდვილი
სული შესძლებდა აღქმას სიწმინდის.
ეს იმ მებრძოლის ჩანახატს გავდა,
ზუსტად რომ ესმის არსი სიმშვიდის.

ეს მეტი იყო ვიდრე ტაძარი,
ეს იყო სულის მკურნალი სახლი,
სადაც წირვაზე კი არა– მრევლი,
სნეული სულის საშველად დადის.

ეს მეტი იყო ვიდრე წარსული,
ეს უფრო აწმყოს სრულყოფას გავდა.
გრძნობა წმინდა და ზღვარგადასული,
ბედნიერების ტოვებდა განცდას.

არც დაბრუნებას გავდა ეს წუთი,
არც წასვლასა და არც მონატრებას,
ეს უფრო ჰგავდა დეკემბრის თვეში,
აგვისტოს ხვატის შემობრძანებას.

არ ვწერ იმიტომ რომ ძლიერ მიყვარს,
რომ მის კედლებში სული ცოცხლდება,
რომ ყველა გრძნობა რაც მაბადია,
გადაიქცევა მასში ლოცვებად.

თვითონაც ნახავ თუ კი ეწვევი,
მის დიად თუმცა უბრალო კედლებს.
იპოვი განცდას მშვიდს და მშობლიურს,
ჩამოუკოცნი მოხატულ კედლებს.

შეიგრძნობ სრულად ცხოვრების გზაზე,
უფლის წყალობის მადლი რაც არი.
დგას ანანურთან წარსულის სუნქვად,
აწმყოს მფარველი ძველი ტაძარი.

* * *

ჩამაჰშლის ღამე შავ დალალებს საწუთროს თავზე,
ცას უვარსკვლავოს დასთქორავენ ნისლნი უბელო.
ქუჩას ქარიანს, მივუყვები, ცარიელ გზაზე,
ისევ ვეცდები გულის ტკივილს ლექსით ვუშველო.

ერთგულ ძაღლივით მამყვებიან კვალში სევდები,
რა უღალატო მეგობრობა სცოდნიათ დარდებს,
რად მეფიქრები ? რად დაგეძებ ? ამას ვერ ვხვდები,
და არც ის ვიცი მომავალში ვიფიქრებ რამდენს.

შამამფიქრჩემდი, უცნაურად, როგორც მთას ნისლი,
მაგ თოლთა სხივნი გამითბობენ დილას ავდრიანს,
დაველოდები.... მაგ თოლების ხილვას ძვირფასო,
სურვილს გიგზავნი... გამოვატან, ნიავს ადრიანს.

მემრე იქნება კვლავ იქუხოს ცის კაბადონზე,
ელვამ გახიოს, შავნა ღრუბლის, მკერდი მწვიმარი,
უჩუმარ ლანდად გამოვყვები ნისლებს შენამდე,
რომ დაგიკოცნო ეგ თვალები მშვიდად მძინარი.

ტირის საქართველო

თვალი ამოთხარეს, სულში
ჩააფურთხეს,
ზურგი დაუცხრილეს ტყვიით,
როგორ გამეტებით ურტყამენ
ხელკეტებით
სხეული მეწვის სიმწრით!
მტერი კვლავ ბობოქრობს,
მსხვერპლი არ იკმარა,
უნდა გადაგვსანსლოს წამში,
როგორ დამიზნებით ესვრიან
გულანთებულთ,
გამორჩეულნი რაზმში!
სხვა ვერ მოგვერევა, ისევ შენიანმა,
უნდა მოგცელოს ძირში,
ერთი კი არა, რამდენი მოღალატე,
გამოგვრევია ჯიშში!
ცრემლები მახრჩობს, როგორ
დაგეხმარო,
ღმერთო, მე რა ძალმიძს მითხარ,
შესდექ ოკუპანტო, უფლის
გეშინოდეს,
ყველა ნამოქმედარს გკითხავს!

სიცოცხლე

წამის-წამებით დავლვე,
მე ემ ცხოვრების ფიალა,
არც-არა ტკბილი ვიგემე,
არც კარგი გამიგია-რა.

სუყველამ პირი შაიხსნა,
თუ კი რამ მქონდა იარა,
სევდისა ზღვამა მღელვარემ,
გულს ისე გადამირია.

არც-ვის უკითხავ რა მაჰხდა,
ისრე სტენიდნენ იარაღს,
თუმც რად ვერიდო სიკვდილსა,
მიწაზეც არა ყრია რა.

იქნებ ცად უფრო ვიპოვო,
სიმშვიდე-სამართალიანა,
ხან ადრე მამდის ნაბიჯი,
ხან კიდევ ძაან გვიანა.

მთას ნისლად შავეხიზნები,
მდელოს დავაჩნდე ცვრიანად,
სულს ნეტარება სხო რამე,
განა კი უნდა ზიარად.

* * *

სიცოცხლის მდინარეში ცურვა,
წამების უსასრულო მარში,
გუშინდელ ნაბიჯებზე ურვა,
დღეს... დინებას მიმყოლ ნავში,

თოლიად ადევნებულ იმედს,
თვალებს უცნაურად მღიმარს,
დუმილში გამხელილი სითბო,
წარსულის წისქვილში რომ მიაქვს.

დოლაბს ატრიალებს ფიქრი,
სურვილს ჩამოღერღავს ღამე,
გულის ფეთქვას მდუმრად ვითვლი,
ნამი არ შეეტყოს თვალებს.

მუქი ფარდის მიღმა რჩება,
ციდან მომღიმარი მთვარე,
ღრუბლის მოსასხამით თბება,
ალბათ... გათენდება მალე.

კედლებს შემორჩება დიდხანს,
ამ დღის, მოგონების ლანდი,
ხვალეს... გუშინდელის ხილვის...
გულს კი, ვერ შეხვედრის დარდი.

სულში ჩანისლული რითმი,
ლექსად გადმოხეთქავს ჯებირს,
იტყვი ის რაც გულით დაგაქვს,
და რაც ძვირფასია შენთვის.

ჩუმად ჩაიფერფლა ღამე,
დრო დგას განშორების წამის,
წვიმის ნაკადულებს გატან,
სულს რომ გვისველებენ ლამის.

ისევ შემოჩენილ ფიქრებს,
თვალებს ჩარჩენილებს სხივად,
უხმოდ შევინახავ სულში,
საფერებლად ყოველ დილას.

ამბობენ

ამბობენ – პოეტის სიყვარული,
დიდი შარიაო – მავანნი,
რადგან პოეტისთვის ტკივილების,
რითმია... პირველი წამალი.

იმასაც ამბობენ – პოეტები,
ცოტა, არა ჰგვანან ჯანმრთელებსო,
არა და რამდენი პოეტი ჰყავს,
დალოცვილ ერთ მუჭა, ქართველ ერსო.

პოეტმა თუ ერხელ შაგიყვარა,
დაღივით, წარუშლელად ემჩნევი,
რას დასდევს მთა-ბარი თუ შაიყარა,
შენზედ დაწერილი ლექსებით.

თავში თრიაქივით ავარდნილი,
გულში ესისხლები კაპილარს,
სულს მთის ნისლებივით შაუჩნდები,
ჭალას ემსგავსები ნაწვიმარს.

მაგრამ...თუ ღალატი გაიგონა,
ვერც რას გაპატიებს ადვილად,
სნეულ თირკმელივით მაგიკვეთს და
ყვავ-ყორანს მიგიგდებს სადილად.

არც შურისძიებას დაჰხარბდება,
აუგს არ იკადრებს შეშლილი,
გზას დაგილოცავს და გაგშორდება,
ჭიუხვს შახიზნული მხეცივით.

მიტომაც თუ ბედმა გაგიღიმა,
შაგხიზნა, გულს შენით მხიარულს,
თვალთა ნათელივით გაუფრთხილდი,
შეშლილი პოეტის სიყვარულს.

გარდაცვალება

გულზედ დაყრილო მიხაკო,
ეგება გტკივა როგორა,
ყვავილზე როცა გეფრქვევა
ცრემლ თოლიდან რო მოგორავს.

ალბათ გულს გიკლავს ქვითინიც,
ფოთოლიც მიტომ გჭკნებისა,
საფლავს ჩაყოლილ გული ხომ
ქვითინით არ იღლებისა.

თანაც მოჰყვება ამ ქვითინს,
ბანი მაღალი მთებისა,
ლურჯაის მწარე ჭიღვინი,
ზედაც ყმუილი მგლებისა.

ნაგაზიც გულის საკლავად,
მფრქვეველ გამხდარა ცრემლისა,
საჭმელს პირს აღარ აკარებს,
მოსაყვესურე ბედისა.

დადუმებული ბერდენკა
ხმა მჭექი-დარად მეხისა,
უქმად ჰკიდია კედელზე
წრიაპი მოყმის ფეხისა.

ცოლი ძაძებით მოსილი
გულს იკრავს დამფრთხალ მართვისა,
გლოვის ზარ ჩამდგარ ხეობას,
ვეღარავინ ბედავს სათქმელსა.

მამა თავ აუწეველი,
ჩასჩერებია მიწასა,
ცრემლს მალავს,
გულში მჯიღს იცემს,
სხოს ვეღარც ვერას იზამსა.

გლოვისა ხმას გავს გალობა,
თითქო ტყის ფრთოსნებისასა,
არაგვიც ისე ღრიალებს,
ჭირისუფალს ჰგავს მკვდრისასა.

ძაძით მოსილს ჰგავს ზეცაცა,
დაფარულ შავ ღრუბლისასა,
რუხ ფერ გადაჰკრავს თითქოსა,
სიმწვანეს ხშირი ტყისასა.

ძმებ ხანჯლებს ააელვებენ,
სდებენ კუბოსთან ფიცასა,
დები იხოკენ სახე-ყელს,
სისხლ ჟონავს ფრჩხილებისასა.

მხოლოდ დედა ზის უტყვადა
გულს დაატარებს ქვისასა,
ამაყად ამბობს ხვედრია,
დედისა კაი ყმისასა.

მკვდარ ვაჟკაცის სჯობს დედობა,
ვიდრ ცოცხალ ლაჩარისასა,
პირნათელს ვგზავნი უფალთან,
არ მოღალატეს ძმისასა.

არცა მხდალს არცა გამყიდველს,
მოძმის და მამულისასა,
ვისტუმრებს მთების შვილადა,
ისეც შვილს მშობელ მთისასა.

არც-რა აქვს სატირობელი
მუდამ ფარს, სუსტებისასა,
არ შაურცხვენავ ნამუსი,
ხელ არ წასვლია სხვისასა.

გმირად ვუგზავნი წინაპრებს,
შუქს ვატან სანთელისასა.

მოხუცი მწყემსი

მზე ჩადიოდა მთებს მიღმა
ზეცა ცეცხლისფრად ღვიოდა,
მდუმარედ იდგა საყდარი
თუმცა კი ბევრი სტკიოდა.
მთის ძირ დადგმული ქოხისკე,
ცხვრის ფარა ჩამადიოდა,
უკან მასდევდა მოხუცი,
საწუთისოფლოს ჩიოდა.
ნიავი მოკრძალებითა,
ფერდაზე მი-მოდიოდა,
ხევის გადაღმა ტყიდანა,
უცხო ფრინველი კიოდა.
ბინდმა დაფარა მთა-გორი,
თან-თან გამეფდა ბნელია,
მოხუცს არცაით ასვენებს,
ფიქრები კუპრისფერია,
იგრძნო საათი ჩერდება,
ცხოვრების წამ-მზომველია,
ჩქარ-ჩქარ მავალი ცხოვრება,
დღეს უჩვეულოდ ნელია.
არც ვინ თოლის ჰყავ დამხუჭვი,
არც ვინმე მტირობელია,
-ცხორს უპატრონოდ დარჩენილს,
გაატიალებს მგელია.
იმასა ჩივის ბეჩავი
თავ არ აქვ სატირელია,
ალალ-გულობით ჩალივა,
თავის საკუთნო დღენია.
შვილნი დაზარდა ლომები,
მამულს უზარდა ძენია,
მისსავე თავისუფლებას,
შასწირეს სიცოცხლენია.
თავად მთას შამაეფარა,
ცხორ-ბატკანს მიჰყო ხელია,
ცარიალ სახში ცხოვრება
გაუსაძლისად ძნელია.
ახლაც ცხორ-ბატკანს ჰბრალობდა,
არც-რა ქონდ სადარდელია,
შვილებთან წასვლას ჩქარობდა,
სიცოცხლე იყო გრძელია,
ნაგაზი ჰყავდა მოხუცისა
სულის ნუგეშის ფერია,
არც რასმე ღმერთსა ედავა
ეს მძიმე განაჩენია.
მწარედ შაჰყმუვლა ნაგაზმა,
ცრემლ გადმასცვივდა წრფელია,
ამაიქშინა მოხუცმა
ბოლო ჟანგბადი ცხელია,
ნაშუაღამევს გამაჰკრა
სიკვდილმა ყელში ცელია,
ჩატეხილ გულის ფიცარსა,
ფიქრ არ გაუვლავ ცერია.
ჩაქრა სიცოცხლის სანთელი,
დასრულდა დღენი ბნელია,
ზეციურ ნათელს აუყვა,
სული სიკეთის მქნელია.
ნაგაზი სოფელს ჩავიდა,
იპოვა ახლობელია,
ყეფა ყმუილით აუწყა
თავს დამტყდარ განსაცდელია.
მთის შვილნი ნაგაზს მიუხვდნენ,
გაჰყვნენ ალივეს სერია,
ჩამაასვენეს სოფელში,
სანთლისფრად დანაფერია.
დაკრძალეს ტკბილი მოხუცი,
ცრემლი აყოლეს ცხელია,
უფალი მართალ კაცისა
სულ მუდამ მწყალობელია.
მუდამ მაუვლენს მხსნელ-მშველელს,
რაც რომ ძნელ-ედგას დღენია,
არც მკვდარს გასწირავს არც ცოცხალს,
ვინაც რომ გაუჩენია.

შეშლილის ნამღერი

კლდე – ჭიუხვს ჯიხვები მაჰგვანან ნახატებს,
გარს ნისლი ეხვევათ, ძლივსღა სჩანს
ქარაფი.
არ ვიცი გელოდო როდემდე, სადამდე,
ჩვენს შორის მანძილი დგას როგორც
ჯალათი.

ქარს ჩამაუყრია ნეკერჩხლის ფოთლები.
სისხლისფრად ღუიან ასკილის ბუჩქები.
ვატყობ რომ უშენოდ თანდან ვლოთდები
და მთვრალი ქვაბულთა სიღრმეში ვყუჩდები.

თოლები დაღალა გზისაკენ ყურებამ,
მთის წვერნი დალაშქრეს სათოვლე
ღრუბლებმა.
შენ ისევ არ სჩანხარ, მე ისევ მაგელი,
არც გამაჩნდებისო გული მეუბნება.

მაგელი ძვირფასო არ მახოლ არა და
მეც ემ მთებს შავუმღერ რაც მქონდის
სათქმელი.
შარჩების ქარაფებს ეს მწარე ბალადა,
აკრძალულ ტრფობაზე შაშლილის ნამღერი.

გუშინ!

გუშინ, მზე იდგა, ბილიკები ჩანდა ულევი,
დღეს გრიგალია, და თითქოს ცაც თავზე მემხობა.
სულში დამდგარან უჩვეულო გაზაფხულები,
პარადოქსული... როგორც ჩვენი ურთიერთობა.

წინ წასვლის ნაცვლად, გვერდით უხვევს ყველა ბილიკი,
თვალსაწიერზე გადაშლილან კითხვის ნიშნები,
უამრავ ხალხში მე ჩამესმის ყვირილი ირმის,
წუთები გარბის, მსგავსად, ღამის ტკბილი სიზმრების.

გარეთ ილევა შემოდგომის თვეთა პალიტრა,
ზამთარს ელიან, გაუღიათ ფართოდ კარები,
გაზაფხულები გამოდიან გულის კარიდან,
სულში ჰყვავიან უჩვეულო იასამნები.

წუთები მიდის მიაქანებს ცხოვრებას თუმცა,
ნარიყალაზე მშვიდად რეკენ ტაძრის ზარები,
ამ თეთრ ღამეებს დაუჩრდილავს წარსულის სუნთქვა,
სულში მშვიდობის ფრიალებენ იალქანები.

გაილევიან ეს დღეებიც, როგორც ქურდები,
დამიტოვებენ მოგონებას მსგავსებს აპრილის,
მეტეხის თავზე ჩამომდგარა თეთრი ღრუბელი,
შენსავით, სუფთა სპეტაკი და სულით ნამდვილი.

ერთი ფასი აქვს

ჩაიღვენთების ბოლო სხივი, მიღმა ემ მთათა,
ჩაიფერფლების ბოლო ღამის ბნელი საფარი.
წავალის ხვალე, შენთან ერთად ბოლო იმედიც,
შამრჩების გრძნობა, კვლავ მარტო და მიუსაფარი.

ჩამამაწვიმებს ცის თაღები, წვეთებს ნუგეშად,
სავსეს გარდასულ წუთთა ტკბილი მოგონებებით.
მემრე აღსდგების, ასფალტიდან აწმყო უხეშად,
გულს გამიწყალებს გონად მასვლის მოწოდებებით.

იქავ... ბუჩქებზე შამამჯდარი ციცქნა ბეღურა,
დაიწრიპინებს, თითქო რაღაც ჰქონდა სათქმელი.
გუშინ გარემოს... შენი გულის, სითბო ეხურა,
დღეს... ემაგ თოლთა, გადმამყურებს, ციდან ნათელი.

დაიწყებს გული...მალოდინის, წუთების ათვლას,
გაილევიან... უღიმღამო, გრძელი დღეები.
ერთი ფასი აქვ, ემ წუთებში თქმასა და არ თქმას,
რადგანაც, სულში, რითმით უკეთ ჩაიხედები.

ზამთარ კი მოდის!

ღამის სიჩუმეს მივაყურადებ,
ხმა მესმის შურთხთა სტვენის და ოხვრის,
რა მეშველება ჩემო სიცოცხლევ,
შენ არა სჩნანხარ ზამთარ კი მოდის.

ტყე – კლდეულს დაჰკრავს ფერები ბაცი,
ლეგა ღრუბლები თეთრ ფიფქებს ბარდნის,
უიმედობას რა ვუყო თორო,
მოლოდინს კიდენ გაუძლებს კაცი.

შავეხიზნები ორბთა სამყოფელს,
ნაწვიმარ წამწამს შავიშრობ ლექსით,
ერთგულ ძაღლივით შენს მალოდინში,
შამამრღვევია სწორფერთა წესი.

ვერ ვაბნევ შიბებს შენს ტალავერზე,
ვერ გიქსოვ წინდას და ქუდს ჯვრებიანს,
აქ მთათა დიად იალაღებზე,
მხოლოდ ლექსები მეწერებიან.

შენ იგვიანებ ემ სულის ერთავ,
თოვლი კი აგერ გადმოდგა მთაზე,
ჩამაელივა ფოთოლი ხეთა,
და თოვლის ქურქებს იცმევენ ტანზე.

მე ისევ გელი ჯიუტად თუმცა,
მახოლ თუ არა ისიც არ ვიცი,
მთა ახლა თოვლის ფილტვებით სუნქავს,
მე შენით ვსუნთქავ და შენავ გიცდი.

ახლა როცა!

ახლა როცა აწვიმს ქალაქს ჩაძინებულს,
გაყურსულა მთვარე ღრუბლის წიაღში,
ნისლი ჰხურავს ჩემი მთების დიად კალთებს,
მშვიდად ბარდნის თოვლი ღამის წყვდიადში.

თავსასთუმალს ჩამამიჯდა შენზე ფიქრი,
გულს ასტკივდა მანძილები წყეული,
აღაც მთები,აღარც შენ და ერთადერთი,
ნუგეში მაქვს, კალამი და რვეული.

გარეთ ქარმა მავთულები ააცეკვა,
მთაში ალბათ ქარიშხალი მძვინვარებს,
იქნებ როცა რითმი ფურცელს ეხუტება,
უნებლიედ გეღიმება მძინარეს.

საათს ისევ ირონიით გაურბიან,
ისრები და...მიაღწიეს ხუთიანს.
ფიქრი ისევ სიჯიუტით მეურჩება,
თვალს ცრემლები ლექსით შეუფუთია.

გათენდება, უფლის ნებით გათენდება,
კიდევ ერთი ფიქრიანი აისი,
ეს ზამთარიც წარსულივით გაილევა,
ისევ მოვა აპრილი და მაისი.

ამწვანდება მთები, დეკა იყვავილებს,
და სიშორეც იქნებ გაჰყვეს დინებას,
მერე მთისკენ ნაბილიკარს ერთად შავყვეთ,
თაყვანი ვცეთ სალოცავთა დიდებას.

ახლა როცა გარეთ წვიმა წკაპი – წკუპობს,
ოთახში კი შენზე ფიქრი შრიალებს,
ეს ქალაქიც მშვიდია და მთებიც სთვლემენ,
მაისამდე ნუღარ დაიგვიანებ.

სანამ

სანამ... დეკიანს გაიარყისფრებს,
სანამ...დასთქორვენ ზეცას ნისლები,
მე მოვალ შენთან, გარიჟრაჟამდე
და გულწრფელ სულში შაგეხიზნები.

თავსასთუმალთან კრძალვით გაგიშლი...
გვირილებს, იებს, ცისფერ კესანებს,
რომ არ დაგიფრთხო უეცრად ძილი,
არ გაგეღვიძოს... შენი კვნესამე.

კლდის თავ დაჰყეფავს, ლაღი არწივი,
ფრთას აიქნევს და შაჰკრავს ირაოს.
დაგანამუსებს, ჩვილი ბალღივით,
ნეტარ აგრე რამ დაგაძინაო ?

წყაროზე, ირმის ჯოგი ჩამავა,
ორბიც მათ თავზედ, შაჰკრავს კამარას.
ნეტარ ამ წუთას... ამ ამაყ მთებში,
შენივ ხელებით დამასამარა,

რომ არ შაბღალოს, გრძნობა დროებამ,
რომ ეს კადრები... იმ ქვეყნად გამყვეს
და თუ კი რითმებს ვეღარ მაგაწვდენ,
წვიმის ამბორში გაგიმხელ სათქმელს,

ცაგო აბაშმაძე
პროფესიით ბუღალტრი.
დაბადების ადგილი – ოზურგეთი.

***

ჩემი სულის ნაპირებს
ოქროსფერი მარმაშით,
ზეცას შემოვაქარგავ
კისკისით და თამაშით.
ზეცა ჩემი სულია...
ფრენა სულის თარეში,
ყოველ ღამით მსტუმრობენ
ამ საოცარ მხარეში...
აქ ღრუბლების თივთიკებს,
ნისლის ქობა არტყიათ,
მთვარის მკერდზე უსტარს ვწერ,
ჯერ სულ თოთო ბარტყია.
მზე უბოძებს ბუმბულებს,
სულს ჩაუდგამს უფალი,
მერე ფრენას ვასწავლი,
გახდეს თავისუფალი.
ემსახუროს სამშობლოს,
სიტყვით, საქმით, უფლებით,
დატკბეს მისი დიდებით,
მისი თავისუფლებით.

*****

კარგი ხარ მზეო, კარგი ხარ,
როგორა შვენი მთებსაო,
აგწითლებია ლოყები,
ღილი შეგხსნია მკერდსაო.
შენი სიტურფით შეშლილი,
ადიდებულა მტკვარიო,
აუდ-ჩაუდის გულმკერდი,
ტკბილად აკვნესა ქნარიო.
შენც როგორ გაცელქებულხარ,
დალალებს აფენ მხრებზეო,
გული უჩქარის ვნებისგან,
ნატრობს გაკოცოს ყელზეო.
მიედინება ხმაურით,
გულს უწვავს შენი მზერაო,
ჩაგსაფრებია იცოდე,
როგორც წიწილას ძერაო.
საღამოსპირზე მოილხენს,
დაგეწაფება მკერდზეო,
შენც ჩაეკვრები სიამით,
აღარ იქნები ქედზეო.

*****

ხეს ჩავეხუტე, რომ დამეცვა ქარის რისხვისგან,
ნამეხარ ტოტებს დავუკოცნე ლურჯი ტუჩები..
ელვამ მიმაკრა ქრისტესავით მომაკვდავ სატრფოს
და პანაშვიდებს ღებულობდა სველი ქუჩები...

****

,,ლამპიონების ბაცი ნათება “...
,,shtrausi”-ს ვალსით თრთოლვა ხეების..
ქარს ეცეკვება სურვილი ორთა,
სხივით ივსება თვალთა შრეები..
ფრიალებს კაბა მირაჟულ ნისლში,
ვერცხლისფერ ჩქერთა არს მდინარება,
– მე შენ მიყვარხარ– ჩურჩულებს ვაჟი...
ბაგეს ადნება მზის ელვარება..
კოცნის ალმური ვნებად ინთება
და გულის ცემა ანგრევს ჯებირებს...
–სულ გეყვარები?– ციმციმებს გოგო
და ცაში ადგამს ახლა ნაბიჯებს..

****

უპასუხოა,ვიცი,
გრძნობა წრფელი და წმინდა,
მე ავფრინდები ცაში,
მოგეფერები ციდან,
სულის ყვავილთა ფარდაგს,
ფეხქვეშ გაგიფენ ნაზად,
რომ არ დაგიფრთხო სული,
ფრთები გაშალო ლაღად.
ცეცხლმოკიდებულ გრძნობას,
ფიქრში ჩავაქრობ კოცნით,
შევეგებები დილას,
შენზე ნატვრით და ლოცვით.

*****

ოქროსფერი ფიფქებივით
გულს სალბუნად დამდებია,
ვეფერები ყოველ ფოთოლს,
მეწამულის ფერებიანს.
ქარი ანცად დანავარდობს,
მითათუნებს ნაზად ხელებს,
ყელი მომიღერებია
შემოდგომას შევიფერებ.
ვიცი,წლები ჯიუტია
და გაიტანს მაინც მისას,
ჩემი წილი შემოდგომა
არ შეაღებს კარებს სხვისას.
თმებზე თრთვილი დამედება,
ეგებ გულსაც შეამცივნოს,
სულში სევდა ჩამისახლდეს,
იტანჯოს და ჩუმად ივნოს.
ვიცი,ვერაგ წუთისოფელს
ვერ წაუვა ბედისწერა,
ჩემი წილი დარიც, ქარიც
თავიდანვე დამეწერა.
სანამ სიო ჩუმად მეტრფის,
სანამ მიწვევს სანავარდოდ,
ყვითელ ფოთლებს გამოვიწვევ
მათთან უნდა ვინავარდო.

******

შემოვრჩი ღამეს, ვით ქუჩის ძაღლი,
ობმოკიდებულ ფიქრებს ვყეფ გზაზე,
სხეულს მაწიწკნის ათასი ეშმა,
მატერორებენ, ავფეთქდე ნაღმზე...
უღვთოდ წიკწიკებს დროის მანქანა,
ო, რა ძნელია გითვლიდნენ წამებს,
ვდგევარ აღსავლის კარებთან....ღმერთოო!
არავინ მიხვევს გადახსნილ მაჯებს..
ნაპოვნ ძვალივით დაიღრღნა ფიქრი....
ხმელი ფოთლების გროვაში ვწვები..
ამეღამ ღამეს გამითევს მთვარე,
დილით კი..ალბათ უფალს ვეწვევი..

******

სარკმელს აწყდება ფიქრთა ლაციცი
და სული ითხოვს ზეცის შეხებას,
როგორც მთრთოლვარე მიჯნურის ლტოლვა
ვეხები ფურცელს.... თავბრუ მეხვევა.
ეს მერამდენე თენდება ღამე,
ღამე უძილო, მთმენი ტკივილის,
ჩამოიწრიტა მთვარე სხივებად,
შორიდან ისმის ტურის კივილი.
ირგვლივ სიბნელე, სრული ქაოსი,
ტრიალებს ქარში დენთის სურნელი
და მკვდარ იმედებს, როგორც ბეღურებს
ჰაერში უშვებს ვინმე სულელი.
კოცონს ანთებენ...ცეცხლის ალია,
უნდა ჩაიწვას ღამე მზაკვარი,
ყელზე მაბნევენ ვარდისფერ ბაფთას,
ვარ შესაწირი, როგორც ზვარაკი.
და როგორც იქნა, გადატყდა ღამე,
სატევარივით ისარგაყრილი,
მე ხელში შემრჩა სული შიშველი
და ლექსი, ჩემგან პატივაყრილი.

*****

კვლავ მეწვია სიზმარში
ფიქრი ურჩი, ავშარა...
გოგოს ვხედავ კიკინით,
ძლივს აჩნია გზა-შარას.
მიხტუნაობს სიმღერით,
როგორც წყარო ანკარა,
ციდან თაფლად ეღვრება
მზის სხივები თაკარა.
მოკლე კაბა აცვია,
ვარდისფერი სანდლები,
კიკინებზე დამსხდარა
თოვლისფერი ბაფთები.
მიიჩქარის სკოლაში,
კოხტა, თვალებცქრიალა,
ქარმა მკლავი გამოსდო,
წაღმა დაატრიალა.
აკისკისდა ნიავიც,
ჩქარა! ჩქარა! ჩქარაო!
ზარი დაირეკება,
თამაშობა კმარაო!
გვერდით მისდევს მურია,
გოგოსავით ცელქია,
ჩანთას მე წავიღებო,
ანგლობს ნაცარქექია.
საზღაპრეთის გმირები
თითქმის მთელი ამალა,
ასკინკილით მოდიან,
ხტებიან ყირამალა.
ეღიმება გოგონას
და ნაბიჯსაც უმატებს,
სწავლაში ბეჯითია,
მოელის წარმატებებს.
მეღიმება...ბებიას
თავი ბავშვი მგონია,
რაც სიზმარში ვიხილე,
კი არ მომიგონია.
მართლა იყო ოდესღაც..
სადღაც, წლების გადაღმა,
ნიავივით დავქროდი,
ხან აღმა და ხან დაღმა.
ჩემი ტკბილი ბავშვობა,
სიბერეშიც თან მახლავს,
თუმც ბებო ვარ, ასაკით,
გულით ბავშვი გახლავართ.

*****

მიდიხარ...მიგყვება გზადაგზა
ურიცხვი მზერა და ვნებები...
ზეციდან ეშვები თითქოსდა
გაგიჟებს ამური..ხელდები...
ნედლდები...მკერდიდან აფრინდნენ
ლიფში ჩამწყვდეული ხოხბები...
იღიმი...ყურს ამოდ ედება
შეშლილი მამრების ოხვრები...
ცახცახებ...გეშლება ნაბიჯი,
აბა რა, ძნელია დაოკდე,
ძნელია გქვიოდეს ქალი და
საკუთარ გრძნობებთან დაობდე.
მუხლს ასცდა ნისლივით ფრიალა
ქსოვილი, მიიწევს ზეცისკენ..
ეს ქარიც, თავხედი, შეშლილი,
გეხვევა ვნებით და გაგიჟებს...
გველივით სრიალებს გიშერი,
გიშრები... უწყლობით დავიშვრე...
ამიშვებ?...გავები მახეში,
მაგიჟებ...ამაოდ ვვიშვიშებ....

****

თუ არ დაჰყევ ქარის ნებას,
თუ არ იგრძენ ფეხქვეშ ზენა,
როგორ უნდა განიცადო
პოეტური აღმაფრენა.
თუ არ იქეც გაზაფხულად,
არ მოედე მინდვრებს სიოდ,
ლექსი, როგორც თოთო ბავშვი,
როგორ უნდა დაარწიო.
უნდა იქცე დილის სხივად,
კუთხე კუნჭულს გაუნათო,
ერთი კალმის მოსმად ღირდე,
დრო შებოჭო უნიათო.
საუკუნეს შემოავლო
სიტყვა, სხმული მარგალიტად,
უნდა იქცე ჭირის ჩრჩილად,
სხვებისათვის მაგალითად.
კიდეც უნდა იქარიშხლო,
მტერს ეკვეთო ელვის ხმალით,
უკუნეთშიც ანათებდეს
შენი გამჭრიახი თვალი..
ხელისგულზე გედოს გული,
სამშობლოსთვის საფეშქაშოდ,
ტრიალებდეს ორლესური
მტერს ჰკაფავდეს უქარქაშო.
შენი სიტყვის სამჭედლოში,
იწვრთნებოდე, ვით ფოლადი,
თვითონ იყო სიტყვაც, მთქმელიც
და ქარივით ცით ქროლვადი.
თუ არ დაჰყევ ქარის ნებას,
თუ არ იგრძენ ფეხქვეშ ზენა,
როგორ უნდა განიცადო,
პოეტური აღმაფრენა...

******

გაცვეთილ ფიქრებს მეათასედ ვკემსავ და ვაფენ...
მრუმეა ღამე...ფერშეცვლილნი თვლემენ რითმები...
რა სიჩუმეა!!! საოცარი შვებაა სულის...
ნიავს მიჰყვება მოცახცახე ჩემი ფიქრები...
ეს მერამდენე,ნამთვრალევი თენდება ღამე!
ფარვანასავით გარს მეხვევა ფიქრები მწველი,
სულის ანჯამებს შემომამსხვრებს ქარი ავშარა,
სხვა ვინ მეწვევა, ქარის მეტი, არავის ველი.
ვინ გამიხსენებს, რომ ოდესღაც, როგორც ბეღურა,
ხელისგულებით ვმათხოვრობდი იმედის მარცვლებს,
გამოჩნდებოდა ზოგჯერ ვინმე, კეთილის მნდომი
და კუმპალ-კუმპალ მაწოდებდა სიკეთის ნამცვრევს.
შრიალი მესმის...ალბათ ქარი ონავრობს ვაშლთან,
ლოყაწითელას დაუკოცნის ალისფერ ღაწვებს !
მე ვიბუზები...მარტოობამ სული დალია...
ლექსებს ვიხუტებ და მკლავებში ბავშვივით ვარწევ.....

*****

ნისლებს გაჰყვა შორეული ფიქრი...
ფოთოლივით გაიტაცა ქარმა,
გრძნობებისგან დაცლილი და მშვიდი
სულ სხვა ვაჟმა რატომ შემიყვარა??
შემიყვარა,მაგრამ გული ჩემი
ყრუმუნჯი და მატყუარა გახდა,
გრძნობის ტალღებს ჩაძირული გემი
ვერ იქნა და ვეღარაფრით გაჰყვა...
ხეებს სცვივა ფოთლებივით ცრემლი,
მაგონებენ იმ გარდასულ დღეებს,
ნაბილიკარს მივყვები და ველი,
წარსულიდან შემორჩენილ მზეებს.
სულში დაძრწის აბეზარი ქარი
და თვალებთან მიფრიალებს წარსულს..
იარლიყი, მიტოვებულ ქალის
სევდისფერად ამზეურებს სტატუსს.

ეთერი გოგეშვილი-ისაკაძე – პედაგოგი
დაბადების ადგილი – ლანჩხუთი – ნიგოითი
საცხოვრებელი – ადგილი თბილისი.

რეკავს ზარები

კრძალვით ვეახელთ
გარეჯის ქვაბულს
და, ზიარება
მივიღეთ დიდი,
იქ, სადაც წინათ
ჩვენს დიდ მეფეებს,
აღმოხდა ლოცვა
მხურვალე, მშვიდი...
რას ვეტყვით წასულთ,
თუმც გვანაწევრეს,
გული კვლავ გვიძგერს
ცეცხლით ანთილი,
კვლავ იდავითებს,
კვლავ ივახტანგებს,
კვლავაც ფრთებს გაშლის,
ლაღი არწივი...
სანამ ბერები
იდგება ქვაბულს
და, დიდ უდაბნოს
რეკავს ზარები,
არ მოიშლება
მომსვლელი ღმერთით,
ღრუბელს გაფანტავს
გარეჯს ქარები!

სახალისო

გაზაფხულივით ვფეთქავდი,
ვატყობ ზამთარი მეწვია,
ახლა ბეღურას ვემსგავსე,
ადრე ვიყავი მზეწვია...
კისკისით ამოვირბინე,
გულს სიხარული მივსებდა,
სამოც საფეხურს გადაველ,
ფრთხილად, დაშვება იწყება!...
ისევ მოველი გაზაფხულს,
ღვთიური ძალა დიდია,
წლები?! – ემატოს ჩემს ასაკს,
სიბერე?! – სიბერე ფეხზე მკიდია!!!...
გავბრაზებულვარ მგონია,
არ მომეწონა,,მკიდია'',
ღმერთო, მომეცი მშვიდობა,
შენი წყალობა დიდია!

* * *

გულში ცეცხლი გიზგიზებდა,
სხვებს ვათბობდი, მეც მყოფნიდა,
ახლა ნაღვერდალი ბოლავს
და, უცეცხლოდ მეც შემცივდა!

რა დღე გიდგას საქართველო

ამეტირა, ღმერთო ჩემო,
რა დღე გიდგას საქართველო,
ქართველები გაგირბიან,
სხვებმა ლამის გადაგთელონ...
სხვის მოხუცებს ევლებიან,
ვაი, მშობლის თვალო ბნელო,
თურქებს ქართველებად ზრდიან,
აქ კი „შავებს“ გააქვთ ლელო...
დედა-ბოძი მოგეშალა,
უფლის ძალით გიძგერს გული,
ვინაც ამ დღეში ჩაგაგდო,
აუძაღლდეთ იმათ სული...
არ ეთმობათ თბილი სკამი,
გაუცივდათ გულის გული,
არ ადარდებთ საქართველო,
ქაოსია მართლა სრული...
ემიგრატის მონატრებას,
ცრემლების ზღვა მოჰყოლია,
ადრეც იყო: გვჭამდნენ, გვკლავდნენ:
რუსი, თურქი, მონგოლია...
ახლა იძულებულს გვხდიან,
ჩვენი სისხლი, ჩვენი ხორცი,
თავად გავხდეთ სხვების მონა,
არა დასჯით, არა როზგით...
არ იდარდო საქართველო,
ერთგულებიც ბევრი გყვანან,
გიცავდნენ და კვლავ დაგიცავთ,
თადარიგში დღესაც დგანან.

* * *

იქ სადაც იდგა მეფე დავითი,
საუკუნეებს ინახავს ლავრა,
იდგა კელაპტრით
დე გულნაზ დიდი,
ვით ღვთისმშობელი,
რიდი და კრძალვა.

დავით გარეჯი

იოანე ნათლისმცემლის
სახელობის მამათა მონასტერი

სასწაულები გრძელდება,
ეს მიძღვნაც იმათ რიგშია,
რაც განვიცადეთ, რაც ვნახეთ,
ვერ წაიკითხავთ წიგნშია...
გზას დასასრული არა აქვს,
უდაბნოს ქარი სისინებს,
ერთი ხე დედოფალივით
დგას და დარაჯობს სიმშვიდეს...
მივაპობთ როგორც „დალანდი“.
ამ უნაპირო ტრამალებს,
აი, გამოჩნდა ქვაბული
შეხიზნებია სამალებს...
საუკუნეებს ითვლიან,
გადაცრეცილი ფრესკები,
მეფეებს უთენებიათ,
უმაგრებიათ ფესვები...
დიახ, აქ არის უფალი,
დიახ, აქ არის განგება,
იყო შურიც და ღალატიც,
მოგებაც იყო, წაგებაც...
დღესაც მყარად დგას ქვეყანა,
დედა ღვთისმშობლის წილხვედრი,
გაგვიმთლიანე მამული,
მხურვალე ლოცვით შეგვედრი...
სანამ ბერები სანთლებით,
გამოჰკიდვიან ქვაბულებს,
არ მიგვატოვებს უფალი,
„მანანით“ კვლავ დაგვაპურებს!

დე გულნაზ ხარაიშვილს

სანამ თქვენისთანა
დედები არსებობენ,
სანამ ქვაბულებში
სანთლები ენთებიან,
მანამ იარსებებს
ჩვენი საქართველო,
გმირები არ მომკვდარა,
ისევ ცოცხლებია!

ქალბატონ მანანა სამყურაშვილს

ახლა, მაგიდაზე მიდევს თქვენი წიგნი,
ვეძებ სათანადო სიტყვას შესაფერისს,
თქვენ, ჩვენს დიდ მომავალს
„ზე წიგნი“ აჩუქეთ,
განძი სანუკვარი,
მართლა მზის საფერი!

მხოლოდ იმედი

,,ო, იქნებ– არა,
ეს არ გვიშველის,
ეჭვი მომავლის,
ავის მაცნეა,
მაშ, რად ეწამა
ასი ათასი,
სასუფეველი
ლოცვით სავსეა!
მე კი მგონია,
იბერთ ქვეყანა,
იქნება მარად,
ღვთისმშობლის მადლით,
მომრავლდებიან
მეტეხის ხიდთან,
თეთრი მანდილით
და, არა ჩადრით!

ქვაფენილს, ლამაზ
ხალიჩას გაშლის,
ჭადრის დიდრონი
ფოთლებით ქარი,
კვლავ ივახტანგებს,
კვლავ ილომგულებს:
დავითი, დემე,
გიორგი,მარი.
ღალატი, მტრობა
ოდითგან იყო,
გულსაკლავია
დღეს რაიც ხდება,
წარმხოცველ ცუნამს
უნდა დავუხვდეთ,
ჭკუით, გონებით
და, არა მონად!

წამებულთ სისხლი
ბოგინობს მტკვარში,
და გაუხშირდა
სუნთქვა სამშობლოს,
მესია, ჩვენში
უნდა ვეძებოთ,
ჩვენ, ჩვენი ძალა
უნდა ვაჩვენოთ!
სადაც იზრდება
თქვენისთანები,
სადაც, მეტეხი
თავზე დაგვცქერის,
ვერავინ შესძლებს,
ვერარა ძალა,
დაეშანთებათ თვალნი
საცერის!

თეთრი არშია

დედები შვილებს აროდეს ტოვებენ,
არც მაშინ როცა, მიწა აყრია,
ჩემო დედიკო ყოველთვის მშველი,
მაღალ გორაკზე დედა მარხია!
მე შენში ვიყავ, ახლა ხარ ჩემში,
და მონატრება, ცრემლის კასრია,

მოსვლას ვაპირებ, ჩემო ლამაზო,
არ მომანათებ სახლის კარშია!
ცრემლები ღვარად მოედინება,
გარეთაც წვიმის, თქეშის მარშია,
შენ ჩემს ცხოვრებას გასდევ მარადჟამს,
ვით აბრეშუმის თეთრი არშია!

მ ო ნ ა ტ რ ე ბ ა

ჩემს ბავშვობაში
ბარდნიდა თოვლი,
ნაძვის ხეს ესხა
ნამცხვრების რენა,
რარიგ ვხარობდით,
ღვიოდა ცეცხლი,
სულ სხვანაირი
ფიფქების ცვენა?!...
ზამთარი იდგა,
მამა ნაძვის ხეს,
შუხუთის ტყიდან
მ ო ა ბ რ ძ ა ნ ე ბ დ ა,
პატკუ ბიცოლას –
ვაყრიდით ბამბებს,
ჩიტებს გვიცხობდა
დედიკო რამდენს?!...
ჩურჩხელებს ვკიდებდით,
მანდარინს, ჩირებს,
მერე ჩამოვაჭამდით
ნაძვის ხეს ფთილებს,
აცხობდა ქადიანებს
დედა ხაშურულს,
მამა ღვინოს დგამდა –
ფეხით დაწურულს...
რამდენი სიხარული იყო
ღმერთო მაშინ,
არ ეტეოდა
იმ ჩვენს ლამაზ სახლში!...
ახლა სხვანაირი
დამდგარა ზამთარი,
მე იქ არა ვარ,
არც დედა არ არის!...
მამას ნაძვის ხეს
ურთავს ლელა-ბელა,
ღმერთმა დაგლოცოთ
კარგებო:
ყველა, ყველა!...
დგას იანვარი და
თოვლი გამქრალი,
ტკბილად მაგონდება
იმ წლების ზამთარი!

* * *

მე არ მოგახვევთ ტკივილებს,
გულს არ განახვებთ დარდიანს,
გავამზიანებ სიხარულს
ღიმილიანს და ვარდიანს!
კარგი დღეები ჭარბობენ,
საყვედურ არა დამცდება,
არ განვრისხდები არვისზე,
თორემ რისხვა არ ამცდება!
არა... ღირს ქვეყნად სიცოცხლე,
სამყაროს ხილვა თვალითა,
გაგაძლიეროთ უფალმა,
დედაღვთისმშობლის ძალითა!
უფლის რწმენით და იმედით,
აგევსოთ გული მარადის,
მიყვარდით, ახლაც მიყვარხართ
არ დაგთმობთ სიკვდილთ კარამდის!

თებერვალი მიიწურა

თებერვალი მიიწურა
მარტი იკრებს ძალებსაო,
ო, ჰო, ჰო, ჰო გადიშლება
ააყვავებს ბაღებსაო!
ატმების კვირტს აბრდღვიალებს,
ააფეთქებს ვაშლებსაო,
გაზაფხული მობრძანდება,
გზა დაუთმეთ ვარდებსაო!
ენძელები თავდახრილი,
ღიღილო დგას განზედაო,
იები კი ამშვენებენ
სალის ქოთნებს ბანზედაო!
ქარი არხევს გრძელ დალალებს
დააწვინა მხარზედაო,
გამომწვევი გოგონები
იპრანჭება ძალზედაო!
გადიხსნიან თეთრ საკინძეს
აშუქებენ ლალებსაო,
წუთიერად რომ ატყვევებს
მოჟუჟუნე თვალებსაო!

საახალწლო

ჩემი უბრალო სიტყვა მაქვს,
სხვისებრ არ არის კაზმული,
მკერდში გამთბარი გულ მიძგერს,
ერთ თხილს რომ იყოფს – ცხრა ძმური!
სხვა ქვეყნად არა მინდა რა,
მაქვს უტკბილესი წადილი,
არ მინდა – გოჭი, საცივი...
მაქვს: პრასა, მჭადი, ღანძილი...
დრო მიჰქრის, ელვის სისწრაფით,
დრო, ძვირზე ძვირი საშური,
გურიას მოვეფერები,
მიყვარს ბროლოსან-ხაშური!
მრავალ ახალ წელს დაესწართ,
ძმამ ძმისთვის დასდოს თავია,
შემოგვაფარე შენს კალთას,
ამას გთხოვ დედა-მარია!
შვილებს მშობლები უცოცხლე,
შვილიშვილთ – ზეცა მზიანი,
შენ გაგვითენე უფალო,
დღე ხვალის – იმედიანი!

მე ჩემი კალო გავლეწე

მე ჩემი კალო გავლეწე,
დარდი დავმალე ძნაშია,
არც არვის დავესესხები,
ქვეყნად სიკრთის ქმნაშია...
კვლავ შემოდგომა დამდგარა,
ღვინო ლიცლიცებს ჯამშია,
სუყველას გულით დაგლოცავთ,
სითბო გქონოდეთ ჯანშია...
სულ სიყვარული მეფობდეს,
ირგვლივ მთასა და ბარშია,
წინ გასავლელი ბევრი მაქვს,
მიფრინავს ჩემი რაშია!

გამოსათხოვარი

უერთგულეს მეუღლეს
როინ ისაკაძეს

ახლა არ მყავხარ გვერდით,
ახლა ცრემლია ჩემთან,
ასე გაიყო გზები,
წახვედი მაღლა, ღმერთთან!
არა, მიწაში ჩაგდე,
მამის და დედის გვერდით,
მიგიხაროდა მათთან,
გელოდებოდნენ ძმები...
ჯვარი მძიმეა ძლიერ,
ჩემი საზიდი მხრებით,
მითხარი შევძლო როგორ,
არ მეყოლები გვერდით...
მიფრთხილდებოდი ძლიერ,
ახლაც ვგრძნობ ძალას კაცის,
რომელმაც მიერთგულა,
დედოფალივით გყავდი!
მინდა მადლობა გითხრა,
მაჩუქე წყვილი შვილი,
ვიტყვი ხმამაღლა, ყველგან,
ცხოვრება მქონდა ტკბილი!
ეს გუშინ იყო თითქოს,
ახლა წარსული არის,
კვლავ მაახლოვებს შენთან,
ყველა გაღება კარის!
დადგა ეს დრო და ჟამი,
გეუბნებოდი, გახსოვს?!
ერთი დარჩება ბოლოს,
ტიალი ყოფა გაგვყოფს!
შენ არა – მეთქი, მე – კი,
კაცი ცოდოა მარტო,
აი, დამატყდა მეხი
და მხედავ, როგორ ვდარდობ?!
სალი, საბა და ელე,
გამიფერადებს აწმყოს,
შენ მეყოლები სულში,
გულის ფეთქვასთან ახლოს!

სალომე გვარამიას

შენ შეგისრულდა თხუთმეტი წელი,
საოცარია... დრო როგორ გაქრა,
გუშინდელივით ახსოვს ბებიკოს,
შენი გაჩენა, მოსვლა და გაზრდა...
პირველი სხივი შენ იყავ სალი,
მთელი სამყარო შენთვის მინდოდა,
ლექსებით გული შენ მოგიძღვენი,
მატრიალებდი, როგორც გინდოდა!
მადლობა უფალს სილამაზისთვის,
სიკეთისათვის, რომ იშვა შენში,
ადამიანად დარჩი ბოლომდე,
იშვიათია დღეს რაიც ჩვენში!
მინდა მშვიდობა გისურვო სალი,
შენს თვალსაწიერს ერგოს ცისფერი,
ყველა სურვილი აგსრულებოდეს,
ჩემი სალომე იყოს მზისფერი!

ელენე ისაკაძეს - დალოცვა ბებოსი

დაგელოცოს ცხოვრების გზა,
ბებოს გული შენთვის დნება,
შენ ხარ ჩემი სუნთქვა დილის,
ჩემი ფიქრი, ჩემი ხედვა!
სულ მშვიდობა იყოს ბები,
დიდ ცხოვრების თანამგზავრი,
თავისუფალ ქვეყანაში,
შენც ხარ ბებო უფლის მგზავრი!
ისწავლე და იბეჯითე,
არ ჩამორჩე მოყვასს შენსას,
ასახელე საქართველო,
ვიცი იტყვი სათქმელს შენსას!
როგორ მინდა იდღეგრძელო,
იმზეგრძელო, ბებოს ქალო,
შენით ხარობს ჩვენი გული,
საქართველოს შვილი ხარო!

„შატილის ასულო“

ასულს ვეძებდი შატილს და,
ვერსად დავადგი თვალია,
მიყუჩებულა მიდამო,
მფარველობს დედა-მარია!
სად გაიხედავ – ზღაპარი...
ყველგან სითბო და დარია,
გულს მიკლავს გადარაზული,
კოშკის კლიტული კარია!
დღე საოცარი გათენდა,
ირგვლივ ყვავილთა ჯარია,
ღამემ მომხიბლა, სად მთვარე
ამობრდღვიალდა – ფარია!
მოედინება ხევ-ხუვში,
მოჰყეფს მდინარე ჩქარია,
ცხენთა ფლოქვების თქარუნი,
მთის გულის გასახარია..
ჯიქურ დგას ციხე-კოშკები,
საძვალე გულსაკლავია,
სადაც მზე ორჯერ ამოდის,
ორბების საბუდარია!
მწვერვლიდან ზეცას მისწვდები,
ღრუბელთ ჩრდილს დაუვანია,
არ ძალმიძს – ენით გადმოგცეთ,
სამოთხე, გ ე თ ს ა მ ა ნ ი ა !

ექსპრომტი

დიდება უკრაინაში დაღუპულ გმირებს
იღუპებოდნენ გმირები წინათ,
იღუპებიან დღესაც ბიჭები,
ვინ მოგცათ ნება მოკლათ სიცოცხლე,
ხომ იცით ყველა რომ დაისჯებით!
და ამ შეწყვეტილ სიცოცხლის ფასად,
ნეტავ რა ჯილდო მოგცათ სატანამ,
დედების რისხვას სად გაექცევით,
სვავ – ყორნებს წყევლა გამოატანა!
და უკრაინელ მოძმეთა შორის,
გმინვა გაისმა „ოჰოი ნანა“,
ზეცად გაფრინდა ქართული სული და,
მართალთ გვერდით ცად დაივანა!

იას

სხვა დროს სიტყვები არ მელეოდა,
ახლა ცრემლებმა ჩაკეტა სული,
ნუ გეშინია დედა გყავს ბოძად,
კვლავ უძგერს მკერდში
მთრთოლვარე გული!
დრო არ ჩერდება, მირბის დღეები,
წლები გწვეოდეს ულევი ქვეყნად,
აქ საწუთროში რაც ვისაკლისეთ,
იქ კვლავ ვიქნებით უფალთან ერთად!

ლექსები კარდაკარამდის

არა არს საქმე დაფარულ
რაიცა არა გაცხადდეს,
ყველა ოცნება აგიხდეთ,
ყველა სურვული აცხადდეს...
მე ფუტკარივით ვიშრომე,
ყუთებს ვავსებდი ლექსითა,
ჩემი გონების კარნახით,
არა შპარგალკით, სესხითა!
მომწონებელი ბევრია,
ღმერთმა დალოცოს ყველანი,
მე – ფურცელ, პასტა, ფანქარი,
პირთამდე სავსე მელანი!
ძმები უცხონი მთავაზობს,
,,ჩემი და გახდი, დობილი”
დიდება უფალს არსებობს,
ქვეყნად ერთგული ძმობილი...
ძმა ალექსანდრეს მიზანი
სისრულეშია მარადის,
გეხვევით, გკოცნით სუყველას
ლექსები კარდაკარამდის!

ლელა გოგეშვილს

ექსპრომტი

მომწონს ეს გოგო ღმერთმანი,
არვინ ეჯიბროს ჯობია,
სიყვარული და სიკეთე
ლამაზი ლელას ჰობია!
მზეა ბრდღვიალა ლურჯ ცაზე,
ხან ბრილიანტის თვლებია,
ბებო – ბაბუკას სიტკბოსთვის
უფლისგან მადლის მთებია!
ქრისტეს აღდგომას გილოცავ,
შენს კარგ ბედს შევთხოვ
მაღალ ღმერთს,
აქეთ ჩვენ გაგვახარებ და,
იქეთ დედას და მამაჩემს!

კიდევაც მოვალ ხევსურეთს

კიდევაც მოვალ ხევსურეთს,
თიკოს ბანს აძლევს მთანია,
შატილის მოტრფიალეა,
ეს იმერელი ქალია...
ფანდურს აკვნესებს, აგატირს,
ხმა აქვს სალი კლდის დარია,
უყვარს შიშველი ბუნება,
ის მარო ბებოს ფანია!
მუცოს დალაშქრავს, საძვალეს
ყრია ტყაპურჭი, ძვალია,
სადაც მზე ორჯერ ამოდის,
ორბების საბუდარია!
მოჰყეფს მდინარე,
ზათქს აძლევს,
გორავს ლოდების ჯარია,
ვინაც ამ გზაზე გაივლის,
დალოცე დედა-მარია!...
კოშკები თეთრი მანდილით,
თიკოს ნატვრაა დიადი,
ზამთარში იქ ვინ სახლლობენ?!
მარო ბებო და ზვიადი!...
დაგიტოვებენ შატილში,
გპირდება თემის კაცია,
მწვადს არ მოგაკლებს ხევსური,
არ დაგჭირდება რაცია!...
ღმერთო, უმრავლე სამშობლოს
გულანთებული ქალია,
თქვენც იყავთ თიკოსნაირნი
სალი, ელე და მარია!

ტირის საქართველო

თვალი ამოთხარეს, სულში
ჩააფურთხეს,
ზურგი დაუცხრილეს ტყვიით,
როგორ გამეტებით ურტყამენ
ხელკეტებით
სხეული მეწვის სიმწრით!
მტერი კვლავ ბობოქრობს,
მსხვერპლი არ იკმარა,
უნდა გადაგვსანსლოს წამში,
როგორ დამიზნებით ესვრიან
გულანთებულთ,
გამორჩეულნი რაზმში!
სხვა ვერ მოგვერევა,
ისევ შენიანმა,
უნდა მოგცელოს ძირში,
ერთი კი არა, რამდენი მოღალატე,
გამოგვრევია ჯიშში!
ცრემლები მახრჩობს,
როგორ დაგეხმარო,
ღმერთო, მე რა ძალმიძს მითხარ,
შესდექ ოკუპანტო, უფლის გეშინოდეს,
ყველა ნამოქმედარს გკითხავს!

ზაზა მედულაშვილი – სამართალმცოდნე,
პოლიციის მაიორი
დაბადების ადგილი – გურჯაანი, სოფ. არაშენდა

მანდილოსან პოლიციელებს...

მის ფორმას ეცი პატივი,
საქმეში კაცის მეურვეს.
მემრე კი როგორც ქალბატონს,
როგორც დედას და მეუღლეს.

არავინ არ თქვას ზედმეტი,
სიტყვა არ დასცდეს აუგი.
საქმეს თავს ართმევს მშვენივრად,
როგორც ჯუნგლებში მაუგლი.

არ თქვა რომ ქალი სუსტია,
თუ კარგად ხედავ სახეებს.
ყველა ამაყად ატარებს,
პოლიციელის სამხრეებს.

ტოლს არ უდებენ ვაჟკაცებს,
თოვს თუ ზაფხულის ხვატია.
ლეკვი ლომისა სწორია,
ძუ იყოს თუნდაც ხვადია.

ღირსეულები ამ ქვეყნად,
კიდევაც მრავლად ივლიან.
პოლიციელის მუნდირით,
ქალი უდაოდ გმირია...

ღ ვ ი ნ ო ს...

მინდა მოგიძღვნა ლექსები,
ბევრი სიკეთის შემცველო.
შეყვარებული ვაჟკაცის,
ათასი დარდის შემცვლელო.

რა ვქნა,რა სიტყვით შეგამკო,
ღვინოვ ყველაფრის წამალო.
მაყალზე მწვადის შემწველო,
ვაზის ნასხლავო წალამო.

შენა ხარ სუფრის ლაზათი
და მეგობრების შამყრელი.
ხანდახან ძმობის სათავე,
ხანაც კი ცოლ-ქმრის გამყრელი.

შენ შემოგწირე ჯანღონე,
ლამის სიცოცხლეც დაგითმე.
მინდა ბულბულის ცრემლებით,
ერთხელაც კიდევ დავითვრე.

მინდა რომ ისე გახსენო,
როგორც ვახსენებთ ცოცხლებსა.
ვაზის მტევნების ნაჟური,
მკვდარსაც კი გააცოცხლებსა.

ავავსებ ყანწებს,ფიალებს,
ღვინით დაგლოცავ ღვინოსა.
შენმა დამლევმა ვაჟკაცმა,
როგორ არ მოილხინოსა...

უფალს მადლობა...

უფალს მადლობას ვეტყვი ყოველდღე,
როცა სიკეთეს ვუდგევარ კვალში.
მადლობა მშობლებს რომ გამომზარდეს,
მტევნებდახატულ ქართულ აკვანში.

უფალს მადლობას ვეტყვი ყოველდღე,
მაგრამ,მთავარი არ არის გაზრდა.
მადლობას ვეტყვი დედას და მამას,
რომ არ დამაკლეს კაცურად აღზრდა.

უფალს მადლობას ვეტყვი ყოველდღე,
როს გულში ვყავდი ბებიებს,პაპებს.
ღუმელთან თბილად კალთაში მჯდარი,
რომ მიყვებოდნენ სხვადასხვა ზღაპრებს.

უფალს მადლობას ვეტყვი ყოველდღე,
მყაბდნენ ძვირფასი მასწავლებლები.
ვინაც მასწავლეს ავი და კარგი,
ცხოვრების გზაზე რას არ შევხვდები.

უფალს მადლობას ვეტყვი ყოველდღე,
რომ მყავს ვაჟკაცი ძმა საფიცარი.
სისხლით და ხორცით განუყოფელი,
ჩემი სულის და გულის ფიცარი.

უფალს მადლობას ვეტყვი ყოველდღე,
გვერდით რომ მიდგას უღლის გამწევი.
კაცის შრომაზე არანაკლები,
ოჯახის ტვირთის მხრებით ამწევი.

უფალს მადლობას ვეტყვი ყოველდღე,
მყავს ორი შვილი მისი წყალობით.
თითქოს ვერ ვამჩნევ,მაგრამ ასეა,
რომ იზრდებიან წამის წამობით.

უფალს მადლობას ვეტყვი ყოველდღე,
მყავს მეგობრები კარგი ბიჭები.
ბავშვობის დღიდან მოყოლებული,
მათ სიყვარულში სულ რომ ვიწვები.

უფალს მადლობას ვეტყვი ყოველდღე,
რომ საქართველოს ვემსახურები.
თავისი საქმის კარგი მცოდნენი,
მყავს კოლეგები ოქროგულები.

უფალს მადლობას ვეტყვი ყოველდღე,
დღემდე რომ მისი ნებით მოვედი.
ყველაზე ბოლოს კვდება იმედი,
მადლიან დღეებს კიდეც მოველი...

უფლის მადლით

დღეს უფლის მადლით ყოველ დღე,
ლამაზად თენდებ ღამდება.
სანთლებს ავანთებ ხატებთან,
სულიც მაშინვე წყნარდება.

გულზე ჯვარს გადავისახავ,
შევთხოვ მამულის დიდებას.
გარშემო მყოფთა სიმშვიდეს,
ცრემლის არ ჩამოდინებას.

უფალო გვედრებ თავდახრით,
ინებო ქართველთ სიმრავლე.
სამშობლოს გამთლიანება
და ამ მიწაზე სილაღე...

ს ა ნ ა მ დ ე ც...

სანამდეც მუხლში ძალა გვაქვს,
სანამ ვართ ღვინის დამლევი.
სანამდეც გვიყვარს ჩვენს გზაზე,
ყველა ამვლელ და ჩამვლელი.

სანამდეც თვალნი გვიჭრიან,
ვის,ან რას უნდა გავექცეთ.
სანამდეც ტვინი გვკარნახობს,
ვის როგორ უნდა მოვექცეთ.

სანამდეც გული მბრძანებლობს,
თავი ყველაფერს ვაჩვიოთ.
სანამდეც გვიჭრის გონება,
კარგი და ცუდი ვარჩიოთ.

სანამდეც ყურში ჩაგვესმის,
ხეთა ფოთლების შრიალი.
სანამდეც ჯერაც გვაოცებს,
კვლავ დედამიწის ტრიალი.

სანამდეც მნათობს მოვპარეთ,
სხივები ძვლების სათბობად.
სანამდეც ჩვენს ნაშიერებს,
პაპა სჭირდებათ გამრთობად.

სანამდეც ციდან უშრეტად,
ნამი ვარდება მიწაზე.
სანამდეც დრო გაჩერდება,

იმ წუთებზე და იმ წამზე.
სანამდეც ამ ქვეყანაზე,
სიკეთე ოდნავ არ ფასობს.
სანამდეც მეფის კარებზე,
ბევრი მასხარა ჯამბაზობს.

სანამდეც სხვების საქმეზე,
დაგვიყნოსია ცხვირები.

სანამდეც ცხენი წაიქცა,
სკამზე დამსხდარან ვირები.

სანამდეც ყველას თავისი,
საქმე აქვს საკეთებელი.
სანამდეც არვინ არ არის,
არაფრის გამკეთებელი.

სანამდეც გლეხებს მიწაში,
წილში უჯდება ბობოლა.
სანამდეც დავიარებით,
უპატრონოთ და ობოლად.

სანამდეც მუმლი ესევა,
მუხას სამშობლოდ წოდებულს.
სანამდეც ლუკმას შევყურებთ,
უცხოსგან გამოწოდებულს.

სანამდეც ყველა შევცქერით,
მზესა და მთვარეს ღაღადით.
სანამდეც ციხე შიგნიდან,
ისევ გატყდება ღალატით.

სანამდეც გრძნობებს ჯერ კიდევ,
არ დაუპყრია მწვერვალი.
სანამდეც გული დარჩება,
სხვისი ქონების მძევალი.

სანამდეც საქართველოში,
არ ფასობს კაცის ნაშრომი.
სანამდეც უნდა ვიაროთ,
სისხლისგან გამონაშრობი.

სანამდეც დედამიწაზე,
ბოროტსა სძლია კეთილმა.
სანამდეც უნდაც გვატყუოს,
უტვინო ექიმ-ვექილმა.

სანამდეც არ შემოგვიკრავს,
რეკვად განგაშის ზარები.
სანამდეც არ გამთელდება,
გატეხილ გულის ბზარები.

სანამდეც არ გაასწორებს,
კუზიანს ცივი სამარე.
სანამდეც სულ არ წაგვლეკავს,
სამორინე და კაბარე.

სანამდეც კაცებს ამ დროში,
არ ჰყოფნით ჭკუა საკმარი.
სანამდეც ქალებს ქართული,
არ დაურწიათ აკვანი.

სანამდეც ღამე ვარსკვლავნი,
შავ ქვეშაგებში წვებიან.
სანამდეც შეყვარებულნი,
ცას ორი ხელით სწვდებიან.

სანამდეც ბარად მთებიდან,
ჩამოწოლილი ჯანღია.
სანამდეც ვაზის მაგივრად,
ეკალ-ბარდი და ჯაგია.

სანამდეც ღვინო გამქრალა
და სადაც მოსაწევია.
სანამდეც ჯერ არ მოგვსვლია,
იმ ქვეყნის მოსაწვევია.

სანამდეც პატარა კაცსა,
დიდთან გასვლია მართალი.
სანამდეც ტანზე გვაცვია,
ბიჭოლას,,მოდნი,, ფართალი.

სანამდეც პატივისცემა,
არ უსწავლიათ უმცროსებს.

სანამდეც აზრად მოგვივა,
სკამი დავუთმოთ უფროსებს.

სანამდეც კუს ნაბიჯებით,
მიედინება ცხოვრება.
სანამდეც ბოროტებასთან,
სულ გვიწევს თანაცხოვრება.

სანამდეც მაღლა მიიწევს,
უნიჭოების არმია.
სანამდეც ირგვლივ მრავალი,
შეუმჩნეველი ნაღმია.

სანამდეც დიდი ჭაობი,
ან და ყელამდე ლაფია.
სანამდეც მოანგარეთა,
რიგში ჩამდგარა ლაქია.

სანამდეც ფერად დროშებით,
შემოგვჩვევიან მალულად.
სანამდეც ბოროტ სატანას,
გაუმართია მარულა.

სანამდეც გუთნისდედური,
დაუმღერია მეხრესა.
სანამ კამეჩი ზოზინით,
ხნულში გადაყრის ფეხებსა.

სანამდეც ჩვენს ქვეყანაში,
ჯერ კიდევ წინსვლის შანსია.
სანამდეც ბევრი მნიქვნელის,
სიტყვა და საქმე ფარსია.

სანამდეც ცოტას ვიცოცხლებთ,
ვფიქრობ გაგვიძლებს რა გული.
სანამდეც ჭკუას გვასწავლის,
ეკა,თინა და მაგული.

სანამდეც საყურ კიკინით,
კაცებს გავარჩევთ ქალებში.
სანამდეც ყველა ჩვენგანი,
ვიხრჩობით ბანკის ვალებში.

სანამდეც მთაში ნისლია,
ბარში ბულბულნი გალობენ.
სანამდეც კაცნი კაცებს და
ქალები ქალებს ჰყვარობენ.

სანამდეც შემოგვრჩენია,
ილიას ენა,მამული.
სანამდეც არ დაგვიკარგავს,
მიწა სისხლგადანამული.

სანამდეც სულის ჭრილობებს,
არ მოგვიშუშებს უფალი.

სანამდეც კედლებს შევყურებთ,
ჯერ არ ვართ თავისუფალი.

სანამდეც ქრისტეს მრავალჯერ,
კიდევ გავაკრავთ ჯვარზედა.
სანამდეც შავი ეშმაკი,
შემოგვჯდომია მხარზედა.

სანამდეც ჯერაც ტკბილია,
ამ ქვეყნის ამაოება.
სანამდეც ყველას არ უნდა,
ლოცვა და სარწმუნოება.

სანამდეც ვნებას ვეძლევით,
ვიწვებით ცოდვის ხანძარში.
მანამდე არ გვეშველება,
სანამ არ შევალთ ტაძარში...

ჩემი სოფელი...

მიყვარს ჩემი სოფელი,
მზისგან განათებული.
მიყვარს სოფლის
სახლობაც,
ხალხი გულანთებული.
მიყვარს ჩემი სოფელი,
როგორც ფუტკრებს ფიჭები.
მიყვარს მიჟრიამულე,
სოფლის გოგობიჭები.
მიყვარს დილა სოფლისა,
შუადღეც და საღამოც.
მიყვარს ღამეც შავბნელი,
ვარსკვლავთცვენა საამო.
მიყვარს წვიმა სოფელში,
ქარიც მიყვარს გიჟმაჟი.
მიყვარს როცა ბრუნდება,
ღამის შემდეგ რიჟრაჟი.
სოფლის სინამდვილეში,
მიყვარს მამლის ყივილი.
მიყვარს სადღაც შორიდან,
ღამე ჭოტის კივილი.
მიყვარს სოფლის ნახირი,
მენახირე ჩობანი.
თავის საქმის ოსტატი,
საპოვროში პოვარი.
მიყვარს ჩემი სოფლის,
ყველა უბნის ბირჟა.
სოფლის ყადრი იცის,
ჭკვიანმა და გიჟმა.
მიყვარს არაშენდაში,
ოთხივე დრო წლისა.
მიყვარს სოფლის ბარაქა და
მოსავალი წლისა.
სოფლის მიღმა მყოფი,
მიყვარს ჩემი ღელე.
მიყვარს ჩემი წრუხევი,
მინდვრები და ოლე.
მიყვარს ჩემი სოფლის,
ვენახ,ბოსტან,ბაღები.
მიყვარს ტრიალ მინდორი,
კლდეზე წვიმის ღარები.
მიყვარს ვინც აგრძელებს,
სოფლის ტრადიციას.
მიყვარს ვინც არ ასდევს,
ზედმეტ ამბიციას.
მიყვარს საქმე სოფელში,
ფაციფუცი კარში.
საკეთებელს რომ ითხოვს,
ავდარში და დარში.
ყველაფერი მიყვარს,
რაც ეკუთვნის სოფელს.
ყველაფერი რაც კი,
გულს სიხარულს მოჰფენს...

ქარმა ტყეს გადაუარა...

ქარმა ტყეს გადაუარა,
მთვარე ჩაყუჩდა მუხებში.
ცოტა ხანს კიდევ ინათა
და შეიმალა ღრუბლებში.
კურდღელმა ფიქრი დაიტკბო,
ჯეჯილი მოდის ხნულებში.
წამოეპარა სიმწვანეს,
ყინვა მწარე და უხეში.
მამალი შაშვი ჭახჭახებს,
დედალს ეძახის წრუხევში.
ღობემძვრალა კი წრიპინით,
შეიმალება ურთხმელში.
ჩხართვები შიმშილს
ებრძვიან,
ბინა დაიდეს კუნლებში.
ზოგი სოფელში შემოვა,
მოედებიან ხურმებში.
მაჩვს შეუზიდავს სიმინდი,
სოროს ერთერთგან კუთხეში.
მგელს კი სიბერე დაეტყო,
ძალას ვერა გრძნობს
მუხლებში.
ტურამ იმდენი იარა,
შემოუჭირა კუნთებში.
სადაც კი გაუთენდება,
იქ დაეგდება ბუჩქებში.
მელიამ წანწალს უმატა,
ძეძვიან ღელაღუტებში.
ჩხიკვები კურკოს მალავენ,
ხეთა ბუნებრივ ღრმულებში.
მოდგა ზამთარი,აცივდა,
ცეცხლი აინთო ბუხრებში.
ტყეში კი ნადირ ფრინველთა,
ვინ მისცეს სითბო ნუგეში...

ვახსენოთ ღმერთი მაღალი...

ბალახს სისველე დაეტყო,
ნამი აპკურა ცამაო.
ერთმანეთს ნაზად შერწყმია,
მთისა და ბარის ჰავაო.

ხან უძილობას ვუჩივი,
დროდადრო გამაწამაო.
ალბათ ტკივილიც იყუჩებს,
გაივლის მალე წავაო.

რაც იყო ნუღარ მისტირი,
აღარ დაიწყო დავაო.
რაც დარჩა წლები,გაივლის,
ისიც უჩუმრად გავაო.

მოვა სიბერე,შეგვატყობს,
მუხლებში თანდისთანაო.
ყინულის სახით დავდივართ,
დრო დადგა ამისთანაო.

ქართველმა უნდა იკაცოს,
უნდა იქალოს ქალმაო
და ვაჟკაცურად გავუძლოთ,
რომ არ შეგვჭამოს ვალმაო.

ავდრის ღრუბლები შეჰყარა,
ჯერ სიომ შემდეგ ქარმაო.
მომავლის ფიქრმა დამძალა,
ეს გული შემიქანაო.

ვახსენოთ ღმერთი მაღალი,
ნუთუ გაგვწირავს განაო.
არც მოღალატეს შერჩება,
ერთი დრო ძველი ხანაო.

კარგიც და ცუდიც მოკვდება,
ყველა მიწაში ჩავაო.
კარგს კარგად მოვიხსენიებთ,
ცუდს კი საერთოდ არაო.

ღმერთო სუყველას გვიმრავლე,
ვაზი და პურის ყანაო.
მტყუანს თვალებში ჩავხედოთ,
პირში არ დაგვრჩეს ჩალაო...

გამოვკეტილვართ ნაჭუჭში...

ობი ედება გონებას,
შრება კალამში მელანი.
გამოვკეტილვართ ნაჭუჭში,
თითქოს დავმუნჯდით ყველანი.

ქართველებს აღარ გვჩვევია,
მხარდამხარ მტერთა ძლევანი.
ვხედავ რომ ძლიერ გახშირდა,
ათასგვარ ხვრელში ძვრენანი.

გვახსოვს და ბევრჯელ მივიღეთ,
ძმათა ღალატის წვნევანი.
თუ შხამად უნდა შეგვერგოს,
რისთვის დავწურეთ მტევანი.

სისხლი გაგვიშრა ძარღვებში,
ტვინის და გულის მკვებავი.
ახალგაზრდობა გაიქცა,
გახდა ევროპის მსერავი.

სოფელში არვინ არ დარჩა,
ლამაზი ფურის მწველავი.
თანდათან გამოილია,
მცხობელი,პურის მზელავი.

ხელსაქმეს გადავჩვეულვართ,
გვიყვარს ქუჩაში სტვენანი.
მრავალჟამიერს ვივიწყებთ,
აღარ გვაქვს ყურში სმენანი.

კარგს ვერ გაიგებ ვეღარსად,
ისმის ღრენა და კბენანი.
ბერმუხას შემოსევია,
ნაირ-ნაირი მკბენარი.

ხავსად ედება ჩვენს მიწას,
ათასი ჯურის მზვერავი.
ვაი შენ ჩემო ქვეყანავ,
სად გყავს საზღვრების მკერავი.

ობი მოედო გონებას,
გაშრა კალამში მელანი.
ჩავიკეტენით ნაჭუჭში,
ალბათ დავყრუვდით ყველანი...

ა რ მ ა ქ ვ ს...

არ მაქვს სიმდიდრე და არც ქონება,
არც თავადური გვარი ან ძირი.
ეს ლექსებია ჩემი სიმდიდრე,
ამიტომაც მაქვს მე მშვიდი ძილი.

არ მაქვს სხვასავით დიდი წოდება,
არც ამბიცია რაიმე ჩინის.
ყველაზე დიდი თანამდებობა,
თუ არ ხარ კაცი,ფასია ჩირის.

არ მაქვს მიწები მიტაცებული,
ათეულობით ჰექტრები ხელში.
მაგრამ რაცა მაქვს ალალი შრომით,
სულ გემრიელად გადამდის ყელში.

არა მაქვს ოქრო გადამალული,
ვერცხლიც არ მინდა არაფრად მიღირს.
მყავს ხალხი ვისთან ერთადაც ვხარობ
და რომ იცოდეთ სულაც არ მიჭირს.

არა მაქვს შური არავის მიმართ,
ბოღმა სიკეთეს ვით შეედრება.
რაც არ მერგება არასდროს ვითხოვ,
არც ღმერთისაგან არ შემერგება.

არა მქვს შიში ვეჭიდო აწმყოს,
იმედიც მავსებს მომავლის რწმენის.
არ დავიტოვოთ ადგილი გულში,
შურისძიების, ჩხუბის და წყენის...

ფ ლ ო რ ა - ფ ა უ ნ ა ს

თვალს რომ მოვავლებ
ლამაზ,
ჩვენი ბუნების სივრცეს.
ამ სილამაზეს კაცი,
გულსა და სულსაც მისცემს.
სურნელი მათრობს ტყისა,
მწვანე ბალახის ფერი.
აქეთ ჯეჯილი ხარობს,
იქით ბიბინებს ქერი.
აქეთ მერცხალი ჭიკჭკიკებს,
იქით ბულბული გალობს.
ბიჭო გოგია დილით,
უსტვენს და ამით ხარობს.
ცაში დაფრინავს ქორი,
ზვერავს ტყეებს და ველებს
და გადაუფრენს ზანტად,
შვინდბაკებსა და ფევრებს.
ხეს გადაევლო ძერა,
სწრაფად ირაო შეკრა.
მისი დანახვით ბერი,
ღორქედანაც კი შეკრთა.
ტყვიას გაუსწრო ცაში,
მიწას დაჰყურებს ქვიანს.
ვეღარ მოვკარი თვალი,
მას შევარდენი ჰქვია.
ცაში გუნდებად მიდის,
წერო და მინდვრის ბატი.
იხვებს იზიდავს აქეთ,
თოვლჭყაპიანი მარტი.
წყვილი ყორანი შავი,
კლდეზე იკეთებს ბუდეს.
ორი გომბეშო მწვანე,
აღარ შორდება გუბეს.
ენაჭარტალა ჩხიკვი,
დახტის ტოტიდან ტოტზე.
დაბლა ჩამოხტა ციყვი,
შეყვარებული რკოზე.
ხეზე კოდალა თავის,
საქმეს აკეთებს სხარტად.
რუხი ქათამი ტყისა,
წამოფრინდება მარდად.
აქეთ ბებერი ტურა,
კივის და სხვებსაც უხმობს.
იქით გამხდარი მელა,
ჩხავის და აღარ ხუმრობს.
ამაყად მოაქვს თავი,
ძუ მგელი ლეკვით დადის.
შემოეჩვია ფარას,
მწყემსი აივსო დარდით.
შემოეჩვია სოფელს,
ღამით ვერაგი კვერნა.
წაიყვანს მსუქან დედლებს
და თავის შვილებს კვებავს.
აქეთ ფუტკარი ბზუის,
მუხლჩაუხრელად შრომობს.
გედი დაფრინავს ცალად,
თავის მეწყვილეს გლოვობს.
დაბლა გოგმანობს მწყერი,
ეძებს ნამსა და ძურწას.
მეთევზე ბადით ხელში,
იჭერს ხრამულს და მურწას.
ამოწეულა დონე,
ალაზანში და მტკვარში.
იორი მოდის მდორედ,
თევზი თამაშობს წყალში.
ეს ყველაფერი ხდება,
ცხადში,დღეები მიდის.
თავი მგონია სიზმრად
და ჟრუანტელი მივლის.
ეს ბუნებაა ჩვენი,
ლამაზი მთა და მდელო.
ამოუცნობი ფლორა,
ფაუნა საქართველოს...

ვ ი ს თ ვ ი ს

გაზაფხულის გაელვება,
მეხი ცეცხლად გარდმოსული.
ყვავილების სურნელება,
თაფლის გემოდ გადმოსული.

გაბნეულა ტყეში ნისლი,
ცივი მთიდან წამოსული.
ნისლი თითქოს ცხვრის ფარაა,
ტყე კი ნაბადწამოსხმული.

მთვარისა და მზის ნათება,
ღრუბლებიდან გამოსული.
ამ ღრუბლიდან წვიმის წვეთი,
ცივ ცრემლებად ჩამოსული.

ვაზი ზოგჯერ მოუვლელი,
ობოლი და მარტოსული.
ეს ცხოვრება ვისთვის ლაღი,
ვისთვის ყელში ამოსული.

მ შ ვ ე ლ ე ლ ი...

გაზაფხულია მშველელი,
ზამთარგამოვლილ ძვლებისა.
სიყვარულია მშველელი,
უსიყვარულო წლებისა.

წვიმის წვეთია მშველელი,
დედამიწისა და ცისა.
ღვინის დოქია მშველელი,
გულჩათხრობილი კაცისა.

ხშირად ძველია მშველელი,
რაიმე კარგის ახლისა.
მომავალია მშველელი,
მიტოვებული სახლისა.

მარჯვენა არის მშველელი,
უმალ მარცხენა ხელისა.
ტრადიციაა მშველელი,
პაპისეული კერისა.

დედაკაცია მშველელი,
კარმიდამოში მამისა.
დილის სხივია მშველელი,
შავი და გრძელი ღამისა.

ტოროლა არის მშველელი,
მინდორში გუთნისდედისა
და იღბალია მშველელი,
ადამიანის ბედისა.

ცივი მთებია მშველელი,
ბარად დაცემულ ველისა.
ხშირი ტყე არის მშველელი,
შიშით დამფრთხალი შველისა.

სანთლის ალია მშველელი,
ჩაბნელებული საყდრისა.
ხან კი ქარია მშველელი,
კარზე მომდგარი ავდრისა.

ზოგჯერ ცრემლია მშველელი,
გულში ჩამჯდარი ბოღმისა.
თავდადებაა მშველელი,
პირსისხლიანი ომისა.

მუდამ ღმერთია მშველელი,
ადამიანის რწმენისა.
სინანულია მშველელი,
ორ ძმათა შორის წყენისა.

სიტყვის ფასია მშველელი,
მტრად შერაცხული მგელისა.
ტკბილი ენაა მშველელი,
ხვრელში დამალულ გველისა.

ერთი ხელია მშველელი,
ზოგჯერ ათასი ხელისა.
ნიაღვარია მშველელი,
გვალვით დამშრალი ხევისა.

მთვარის შუქია მშველელი,
ძილმორეული მეხრისა.
ცისარტყელაა მშველელი,
შორს გავარდნილი მეხისა.

მოკლე გზა არის მშველელი,
ძნელად სავალი შორისა
და სიმართლეა მშველელი,
გასაქარწყლებლად ჭორისა.

მოხერხებაა მშველელი,
უძლეველობით მჯობნისა.
ზოგჯერ გუბეა მშველელი,
მოწყურებული ჯოგისა.

მიტევებაა მშველელი,
სიტყვით დაჭრილი გულისა.
ალბათ ლოცვაა მშველელი,
დამძიმებული სულისა.

ვინ ვისი არის მშველელი,
ცხოვრება დიდი ფარსია.
უსწავლელობის მშველელი,
ოდითგან წიგნის ფასია.

მონდომებაა მშველელი,
მშრომელი კაცის გარჯისა.
ღმერთია მუდამ მშველელი,
უღმერთოების განსჯისა...

პოლიციელი გმირია...

შენ რომ თბილად გძინავს სახლში,
მას ეს ძილი ენატრება.
წელში სტეხავს ღამისთევა,
თმაში თეთრი ემატება.

შენ რომ თბილად ზიხარ სახლში,
ბუხრის თავთან წამომჯდარი.
გარეთ წვიმს თუ გრიგალია,
არ აშინებს მას ავდარი.

შენ რომ მასზე ქილიკობას,
არ ეშვები,,სველი,, ენით.
ის სულ მუდამ გარეთ არის
და გდარაჯობს,,რკინის,, ხელით.

შენ თუ რამე გითხრა მკაცრად,
პატარაზე ტეხავ,,კრიახს,,
ის შენთვის და სხვებისთვისაც,
მკერდს მიუშვერს ცხელ-ცხელ ტყვიას.

<< ისევ ისა ვარ >>

სულს შევამზადებ ოდეს ხორცის განსარიდებლად,
დაკოდილ გულს კი ამოვკემსამ არცთუ ურიგოდ.
ფიქრებს განაგებს ეშმაკი და ცდილობს მაცდუნოს,
უფლისგან მალვით თავს მივიჩნევ ზოგჯერ უიღბლოდ.

მაგრამ რად ვფიქრობ, ასე მაინც ვერ გამიგია,
რა უიღბლობა, რა ეშმაკი ან და რა მალვა.
ვერავინ შემცვლის, რაც ვიყავი ისევ ისა ვარ,
არც არასოდეს არ მიცდია სადმე დამალვა.

ცოდვებს რა დათვლის, იმდენია ყველა ნაბიჯზე,
არც უცოდველი არ არსებობს ამ ქვეყნად ვინმე.
დღეს კარგადა ვარ, მაგრამ ხვალე ერთმა მოკვდავთა,
არ გაგიკვირდეთ, თუ როდისმე რაიმე ვივნე.

მივყვები ბილიკს, ეს ცხოვრებაც ტკბილ-მწარედ მიდის,
ცა ქურდად დამაქვს, დედამიწა ქალამნად ვიგდე.
ვთესოთ სიკეთე, ერთმანეთი გვიყვარდეს მანამ,
სანამ დრო-ჟამი წასულა და გამქრალა ვიდრე...

დღე და ღამე მის ლანძღვაში,
რომ ატარებ ამ ცხოვრებას.
კრიმინალებს უდგას კვალში,
ის დარაჯობს შენს ქონებას.

შენ რომ მშვიდად დასეირნობ,
შვილთან ერთად სადაც გინდა.
მას ამის დრო სულ არა აქვს,
თუმცა მასაც გულით უნდა.

მისთვის სრულად არ არსებობს,
როცა უნდა ლხინში ყოფნა.
ასეთი აქვს სამსახური,
ამგვარია მისი ყოფა.

ის იცავს და ზრუნავს ხალხზე,
გაჭირვებულს ყველას შველის.
იცოდე რომ დრო არ არის,
მისკენ ცუდად თითის შვერის.

როცა არის ვალდებული,
თმენით შეხვდეს შენს ცუდ ქცევას.
ბოროტულად ნუღარ იწყებ,
მისკენ შენი გესლის ნთხევას.

გახსოვდეს რომ ცხოვრებაში,
ენდე მართალს შენზე ძლიერს.
გაუფრთხილდი შენს სინდისს და
ჩვენს გმირ,მართალ პოლიციელს...

ნატალია სამუშია

* * *

ცხოვრება დაუმთავრებელი
გზაა ჩვენთვის,
ცხოვრება გამოცდაა
კარგით თუ ცუდით.
ცხოვრება... სიბრძნეა,
ცხოვრება...კიბეა,
ცხოვრება...მასწავლებელია ბევრის.
ცხოვრებას...ნუ
ვეთამაშებით დაგვღლის,
მიზანს ვერ მივაღწევთ
შიგ გულში დაგვჭრის,
ცხოვრება ბრძენისთვის
გზა არის ბრძნული,
უვიცისათვის ძალიან რთული.
ნუ ვეთამაშებით ცხოვრებას
ის გზას მოგვიჭრის,
როცა გვგონია რომ
მწვერვალზე ვართ
ცხოვრება იქიდან
ძლიერ მოგვისვრის,
ამიტომ ვუფრთხილდეთ
ცხოვრების გაკვეთილს...
ის ხსნმოკლეა....
არაფერს მოგვიშლის.
მოდი ცხოვრებას..
ნუ ვეთამაშებით
ის ხომ ისედაც
გზაა ძნელად გასავლელი,
ამიტომ ვიცხოვროთ...
სიყვარულით, დღეით...
თორემ მაშინ დამთავრდება როცა
ჩვენ მას... ნაკლებად ველით.

****

დარაბებს მიღმა გაზაფხულია,
მაგრამ ჩემს გულში ისევ თოვს,
ჩემი სამშობლო მომნატრებია,
ის სადღაც დარჩენილა ძალიან შორს...
ღამემ სიბნელემ მოიკალათა
ჩემს გულს უმოწყალოდ ფლობს...
იცის არ მიყვარს და მაინც
აღარ მეშვება მსპობს.

* * *

ზეცა გაიხსნა,ცა ცრემლებად იღვრება გიჟობს....
ფანჯრებს ახეთქებს...უმოწყალოდ ქარი ცრემლებს წვიმისას,
მე კი გავყურებ უსიტყვოდ და ჩემს გულში ვუბრობ,
ო!ღმერთო, ჩემო მიწა იძრა და ხე წაიქცა.

ხე შევადარე, ჩემს სამშობლოს მიწა გამოცლილს...
ყველა მხრიდან რომ ტოტები აქვს შეჭრილი მტრისგან,
ერთი მიწის ძვრა, კიდევ ღმერთმა არა ქნას თორემ...
ო!ღმერთო ჩემო,საქართველო...ხომ მთლად დაიქცა.

გული მეტკინა, უცებ გულში ვუხმე ჩვენს გმირებს...
თამარს, ვახტანგს და აღმაშენებელს...
ახლა ჭირდებით ჩვენს სამშობლოს ჩვენო გმირებო...
თქვენი სისხლით მოპოვებულს ჩვენ დღეს
უომრად უსირცხვილოდ ვუთმობთ ტირანებს.

ჩვენო არწივნო, ძლიერებო შეუპოვარნო!...
შაჰ-აბასმა, ოსმალებმა ვერ დაგაჩოქეს,
მედგრად იდექით ქუდზე კაცი თქვენ მტრების წინ და...
ერთი წუთით არ დანებდით, დემონთ ეომეთ.

ახლა კი ნეტავ!?რა ვიფიქრო ვინ შეგადაროთ..
უხვად მომრავლდა ქვეყანაში შადიმანები
ვინც კი გამოჩნდა, რომ სამშობლო უნდა დაიცვას...
იმათ კლავენ და მტრებს ჩუქნიან მიწებს აბდლები.

არავინ ფიქრობს მომავალზე ოღონდ დღეს იყონ
დღეს იცხოვრონ და აიშენონ მათ გალავნები,
ნუთუ არ გესმით გამყიდველი მტერსაც არ უყვარს,
რომ გაქრებით და თქვენც ცოცხლები აღარ დარჩებით.

ო!როგორ მინდა ქართველებო აზრზე მოხვიდეთ!.
ფეხზე დადგეთ და ყველამ ერთად შეჰკრათ კამარა
იმის მაგივრად მტერს ჩუქნიდეთ თქვენს მიწას მამულს,
ომახიანად ყველამ ერთად დაჰკრათ ნაღარას.

იმედს ვიტოვებ გამოჩდნდებიან კიდევ ვაჟკაცნი...
რომელთ ქართული სისხლი უჩქეფთ კიდევ ძარღვებში
და მე მჯერა რომ ღმრთის მშობელი დაგეხმარებათ,
ოღონდ გიყვარდეთ ერთმანეთი, ერთად დადექით.

* * *

ოცნებავ ჩემო, სუნთქვავ ჩემო,
სიცოცხლევ და ნეტარებავ,
მე შენს ცაზე შეყვარებულს
აქ სხვისი ცა მეფერება.
განზე ვიწევ, თვალებს ძირს ვხრი,
თითქოს ვემალები კიდეც.
არა და აღარ მეშვება...
შევუყვარდი თურმე ძლიერ.
არ მინდა რომ შევეჩვიო
არცერთ მხარეს, არცერთ კუთხეს,
რადგან შენ ჩემო სამშობლოვ
მგონია რომ ასე უფრო გიერთგულებ.

* * *

იცით? რა არის ემიგრანტობა...
არ გამოცადოს არავინ მეტმა,
ძილი გინდა და ვეღარ იძინებ
და იცით? რატომ არ გაქვს უფლება.

ხან წამალიო,ხან მოვკვდებიო
ღამეს ვინ ჩივის, დარბიხარ ფრენით,
დაგიძახებენ, მშია, მწყურიას
ემორჩილები და ფეხზე დგები...

უძილობაა ემიგრანტობა
დარდია, ფიქრი გამოულევი,
ხელფასს გიხდიან მაგრამ მანამდე
ვაი რომ ხალხო ათასჯერ კვდები.

* * *

მე გადავშალე ჩემი ბავშვობის სუფთა ფურცელი....
და ისევ გულმა ახლებურად ფეთქვა დაიწყო,
უცებ შევჩერდი დავფიქრდი და გამოვიფხიზლე,
თურმე ეს ჩემი ოცნებების ნაწილი იყო....

* * *

ცხოვრება დაუმთავრებელი
გზაა ჩვენთვის,
ცხოვრება გამოცდაა
კარგით თუ ცუდით.
ცხოვრება... სიბრძნეა,
ცხოვრება...კიბეა,
ცხოვრება...მასწავლებელია ბევრის.
ცხოვრებას...ნუ
ვეთამაშებით დაგვღლის,
მიზანს ვერ მივაღწევთ
შიგ გულში დაგვჭრის,
ცხოვრება ბრძენისთვის
გზა არის ბრძნული,
უვიცისათვის ძალიან რთული.
ნუ ვეთამაშებით ცხოვრებას
ის გზას მოგვიჭრის,
როცა გვგონია რომ
მწვერვალზე ვართ
ცხოვრება იქიდან
ძლიერ მოგვისვრის,
ამიტომ ვუფრთხილდეთ
ცხოვრების გაკვეთილს...
ის ხსნმოკლეა....
არაფერს მოგვიშლის.
მოდი ცხოვრებას..
ნუ ვეთამაშებით
ის ხომ ისედაც
გზაა ძნელად გასავლელი,
ამიტომ ვიცხოვროთ...
სიყვარულით, დღეით...
თორემ მაშინ დამთავრდება როცა
ჩვენ მას... ნაკლებად ველით.

*** **** ***** ***

მე გადავწყვიტე რომ დაგხატო ცარცით დაფაზე,
როგორც იციან მონატრებისას ხოლმე მხატვრებმა,
მინდა რომ გავხდე დედოფალი შენი ოცნების..
ფიქრებში შენთვის რომ დახატოს რამე ამ ხელმა.

ვიცი რომ ოცნებობს გული შენი,
ჩემთან შეხვედრას ვეღარ ახერხებ,
ვიცი მუსიკა უკრავს გულში ნაცრისფრად
რომ აღარ დადგა ნანატრი ის დღე.

სხვა და სხვა ფერის ფანქრებს მოვიხმარ
ავავსო ეს გული ბედნიერებით,
მერე დავუკრა, მუსიკა ნაზი
რომ შენც დაგატკბო მადლიერებით.

დავსვი წერტილი! ფერადი ცარცით...
და გადავწყვიტე შენ რომ მოგძებნო,
დავტკბე მე შენი სანთლის სურნელით,
რომ შენთან დავრჩე და მოგეფერო.

* * *

ჩემს გულის ტკივილს ვინ გაიგებს ღმერთო შენს მეტი...
განა ოდესმე ვინმეს ჩემგან რამე უგრძვნია?
ტკივილი იყო, დარდი იყო, თუ სევდა იყო...
ყველა ჩემს გულში შენახული ერთი წიგნია.
რომ არ დამალო, ყველა იტყვის, ყველა დაგცინებს.
თითქოს ისინი უცოდველი ღმერთის შვილია.....
და ამიტომაც სიცილი და გულკეთილობა,
ყველაზე კარგი გადარჩენის მაგალითია.

* * *

ოცნებავ ჩემო, სუნთქვავ ჩემო,
სიცოცხლევ და ნეტარებავ,
მე შენს ცაზე შეყვარებულს
აქ სხვისი ცა მეფერება.
განზე ვიწევ, თვალებს ძირს ვხრი,
თითქოს ვემალები კიდეც.
არა და აღარ მეშვება...
შევუყვარდი თურმე ძლიერ.
არ მინდა რომ შევეჩვიო
არცერთ მხარეს, არცერთ კუთხეს,
რადგან შენ ჩემო სამშობლოვ
მგონია რომ ასე უფრო გიერთგულებ.

ჩემი სოფელი

სულმა წამძლია და დავიწყე ჩემთვის ოცნება,
წავედი შენთან და მომინდა მე ჩახუტება,
გული ატირდა, უცაბედად რომ დაინახა.
ტყედ ქცეული ნასახლარი შემომეფეთა.

გაოცებული ვუყურებდი ამხელა ქუჩა,
როგორ შთაუნთქავს, ჩაუყლაპავს...ბარდ-ეკალს სუროს,
ჩასჭიდებია სარეველა ჩემს კარ-მიდამოს,
და საცოდავად მხოლოდ კნავის, კი ვეღარ უბრობს.

ისე ავტირდი, მე რა მეთქვა აღარ ვიცოდი.
ხან სად მივედე, ხან სად მაგრამ ვეღარ შევედი.
და მოვტრიალდი, ელდა მეცა რა უნდა მექნა...
მე რას ვიზამდი, მარტოდ მარტო ან ვინ მიშვებდა.

***** ***** ******

ამ სილამაზის ნახვით და მოფერებით,
უცებ ფიქრები წამით ქრება თითქოს ჩერდება,
სიყვარულია ეს სამყარო თუ კი ვისურვებთ,
თუ გულს გავუღებთ...სიკეთეს და მადლიერებას.
ბოროტებისთვის როცა ჩვენ დროს აღარ დავკარგავთ,
სწორედ ეს არის უდიდესი ბედნიერება.

* * *

ისევ აკინძულან მარგალიტები ჩემს გულის ფსკერზე
და უშენობას მახსენებენ ათასმეერთედ.
რომ გადავშალე ჩემი გულის ფსკერის საკინძე,
იქ შენ ყოფილხარ,არ წასულხარ და შეგეფეთე.
მერე დავჯექი უსიტყვოდ და ნოტები ვწერე,
როცა შევხედე გამახსენდა და წავიმღერე.
უცებ ლამაზი სილუეტი დავხატე ფერზე
ამ ოცნებებში მომპარვია თურმე სიბერე.
მე გზას ვაგრძელებ ჯიუტად და ფერების ქარგვით
არ ვუშინდები მე სიბერეს და წინ ვდგამ ნაბიჯს...
ისევ ვაგრძელებ ხატვას, ფიქრებს
და ჩემს სიცელქეს სანამ უფალი ძალას მომცემს,
მე სულ ვიმღერებ.

* * *

ყველა თვეები საყვარელია ხომ გაზაფხულის,
მარტი ჭინჭყლია, მაგრამ მაინც კვირტებს არიგებს...
აპრილის თვეში ტიტები რომ გაიშლებიან, გულს ახარებენ.

დღესაც მოსულა ეს აპრილი მაგრამ..ვერას ვგრძნობ
რადგან....აქ სულ სხვა ელფერი აქვს თურმე ყველაფერს...
ჩემი სამშობლოს გაზაფხული სულ სხვა ყოფილა,
უფალო შენ გთხოვ ჩემი სამშობლო შენ დაიფარე.

აპრილში მიყვარს მზის სხივები რომ გაცხუნებენ,
მიყვარს ჭიკჭიკით სისხამ დილით,მერცხლები რომ გესალმებიან.
და კიდევ მიყვარს...მტრედების ღუღუნი ტაძრის გუმბათზე,
ზამბახები და იასამნები მდელოს რომ ერწყმიან.

ჩემს სამშობლოში! სიყვარულიც ყვავილობს ახლად,
მიტომ დაერქვა აპრილის თვეს, თვე სიყვარულის,
მეც ხომ ამ თვეს მომავლინა ღმერთმა ამ ქვეყნად...
ამიტომაც ვარ მე ამ თვეზე შეყვარებული.
*** ***** ****

* * *

ახლა კი მართლა მომაგონდა თვალწინ დამიდგა,
ჩემი ლამაზი კოხტა ფშაფი სუფთა და წმინდა,
ბაღ ვენახებში, ციტრუსებში ჩაფლული მუდამ
და მეზობლების შეძახილი ხალისისნი...
აბა როგორ ხართ, სად მიდიხართ მეც თქვენთან მინდა

უფალო! შენ გთხოვ სხვა მშველელი აბა ვინა გვყავს...
შენ შეაჩერე ეს სატანა მეტს ნუ დაგვტანჯავ,
გემუდარები მე ცოდვილი ყველას მაგივრად,
შენ დაგვეხმარე, გზა მოგვიძებნე ჩვენ სახლში გვინდა.



ზურაბ გოგრიჭიანი – ენათმეცნიერი
დაბადების ადგილი – ხობის რაიონი სოფელი ახალსოფელი

სამზეოს ზარი

საქართველოში სატანა მძლავრობს,
თავზარდამცემი ჩამოწვა ჟამი,
შური, ბოღმა და სიხარბე მრავლობს,
ურთიერთს ვწამლავთ გესლით და შხამით!..
წინაპართ სიბრძნის აღარ-რა გვესმის,
ქვეყანა ირგვლივ – ბინდისფერია,
არც – „ქუდზე კაცი!“ – აღარ გაისმის,
არც – „ოდოიას“ – აღარ მღერიან!..
თითქოს ხელახლა, ძველი დრო დადგა,
შიგნიდან გატყდა, ციხე, – ყოველი,
ერმა, მხნეობა დაჰკარგა, რადგან –
რადგანაც, „შველას“ – სხვისგან მოველით!..
ჩვენ მიგვაჩვიეს, – შიშსა და ძრწოლას,
და თუ კაცი ხარ, – ნუ გაგიჟდები!..
გადაგვაჩვიეს! – ფიქრსა და ბრძოლას,
სამშობლოსათვის! – თავდავიწყებით!..
ხელგაწვდილები, საბრალო სახით,
ვდგავართ და ველით „მხსნელს“ თუ „მესიას“
მოტყუებულებს!.. – ცრუ იმედებით,
რამდენჯერ! – მწარედ დაგვიკვნესია!..
დროა! – წავშალოთ ჩვენს შორის ბზარი,
დროა! – შევიცნოთ დედულ-მამული!
დროა! – „საერო სამზეოს“ ზარით
ითქვას სათქმელი! – დღემდე ართქმული!..
ყველას, „საერო სამზეო“ გვიხმობს!..
უნდა ვირწმუნოთ! – ჩვენშია ღმერთი!..
ცოდვილ სიმდიდრეს, მამული გვიჯობს!..
არდასათმობი და ერთადერთი!
მხოლოდ „საერო სამზეოს“ ძალუძს,
კვლავ დაგვიბრუნოს გზა – დაკარგული!..
ფარდა აჰხადოს საგანძურს – ფარულს!..
ქართულს ამსგავსოს ისევ – ქართული!..
მაშინ ვიბრძენებთ, როცა მივხვდებით,
ვინ არის ყალბი და ვინ მართალი,
მაშინ აღვსდგებით ერი! – დიდებით!
და... დაივანებს ღვთის სამართალი!..
გავერთმთლიანდეთ! – სანამ დრო არის,
რომ მერე, მართლა! – არ იყოს გვიან!..
ჭეშმარიტების ჩამოვჰკრათ ზარი!
ჩვენს ხსნას, – „საერო სამზეო“ ჰქვია!..

ჩემი ბრალი

მრუში, ყალბი და თვალთმაქცი
თვით უფალმა, – არ აკურთხა!
ვინაც გულში ჩავიხუტე
სწორედ გულში ჩამაფურთხა!
რაღა ბევრი გავაგრძელო
სასაუბროდ არის, – მწარე!
მართლის ქებით, სიმართლის თქმით
სიმართლე ვერ გავახარე!
სხვას არ ვერჩი, სხვას არ ვლანძღავ
არ დამედოს არვის ვალი
რა ჭირიც მჭირს, არის მხოლოდ
ჩემი უგონობის ბრალი!..

ვისაც გვინდა დავიმკვიდრებთ

მზის ციალი გათენებას უძღვის
„დროის მაცნემ“ სრულდებაო – ექვსი
მეპატიოს, რაც ვერა ვთქვა ახლა
ამ პატარა, პაწაწინა ლექსით
რად ვმოძრაობთ უმოძრაო დროში...
ასეულებს რატომ სცდება წლები
ნეტავ რისთვის ვიბადებით ქვეყნად
ნეტავ რატომ ვეღარ ძმობენ – ძმები...
დაბნეულა,დაფანტულა ერი
მიზნადა გვაქვს მხოლოდ სმა და ჭამა
თუმცა მაინც სიყვარულით გვიმზერს
თვით-ეულის ზეციერი მამა!
„სადაურსა სად წაიყვან“ – შოთამ
სადღაც ელავს საფიქრალი ერთი
ვისაც გვინდა – დავიმკვიდრებთ მიწას!
რადგან შვილებს – არ ჰღალატობს ღმერთი!
სადაცაა გათენდება მალე
საათებმაც ჩამორეკეს – ექვსი
მეპატიოს, ვერ გამოვთქვი სრულად
რადგან, ასე პატარაა ლექსი...

საოცარი ქვეყანა

საქართველო, – საოცარი ქვეყანა!
აქ, ქართულად მზიანდება – ნიჭიც!
აქ, ხომ ყველა, – ბრძენზე უფრო ბრძენია!
აქ, ხომ ყველამ, – ყველაფერი იცის!
გეფიცები, წინ მივდივართ, – გეტყვიან
თუმც, რატომღაც, არა მჯერა ფიცის
მაგრამ აბა, როგორ არ დაიჯერებ
როცა ყველამ, – ყველაფერი იცის!
ყველამ იცის ყველაფერი სრულიად!
ყველამ იცის, – ქიცმაცურიც, – ქიციც!
რა მოხდება მილიონი წლის შემდეგ?
დამიჯერეთ, – ესეც ყველამ იცის!
საქართველო, – საოცარი ქვეყანა...
საოცარი გამოვლენა, – ნიჭის
ის არ ვიცით, – რა გზას უნდა დავადგეთ!
დანარჩენი ?.. – ყველაფერი ვიცით!
ყველაფერი, – რაც კი რამ გაგვაჩნია
მხოლოდ ღმერთით, ისევ მამით,– მისით!
ის არ ვიცით, – ჩვენს თავს როგორ ვუშველოთ!
და – ნარჩენი? – ყველაფერი ვიცით!..

სიმართლე

ლექსში თუ აზრი არ მოსჩანს
მაშ რად ლექსაობს „პოეტი“
ვის რაში უნდა დასჭირდეს
უაზრო მიეთ-მოეთი
ვინ რასა სჯღაბნის, ვინ - რასა
მდინარე მოსჩქეფს „რითმისა“
ლექსმა თუ გზა არ მასწავლა
რისთვის წერ მაშინ, - ვისთვისა
რას მარგებს ლექსად ვიკითხო –
„ხეს როგორ სწყდება ფოთოლი“
ვინ – „ოქროს კოშკი“ აიგო
ვინ – „ბაბილონის გოდოლი“
წაგვლეკავს, დაგვასამარებს
თავმოწონება ლექსითა
გონება უნდა ამაღლდეს
მხოლოდ და მხოლოდ ღმერთითა!
თუ თქმაა, მოდით ისა ვთქვათ
რაც არის ჩვენი საშველი
რომ თვით - ეულის ოჯახში
აინთოს – „წმინდა სანთელი“!
და რადგან ტყუილ-სიყალბე
არვის გვაღირსებს სინათლეს
მოდით და გზა დავულოცოთ
სიმართლეს, – მხოლოდ სიმართლეს!

სიყვარულიდან სიძულვილამდე

„დიდებულიდან სასაცილომდე“
მართლა ყოფილა ნაბიჯი – ერთი!
რაც არ უნდა სთქვა, ამის მოწამე
გვიცქერის თურმე მაღალი ღმერთი!
სიყვარულიდან სიძულვილამდეც
ყოფილა თურმე ერთი ნაბიჯი
დღემდე რამდენმა ვერ ჰპოვა ვერსად
კვალი ნამდვილი, მკვიდრად საბიჯი
მასწავლებლიდან მაწამებლამდეც
ყოფილა თურმე საზღვარი „ბეწვის“
და ამიტომაც მცდარად აღზრდილებს
სინდის-ნამუსი და სულიც გვეწვის
და კურთხევიდან ფურთხებამდეც კი
მანძილი დარჩა ძალიან მცირე
ვერ ამოიღო ადამის შვილმა
სხვის თვალში ბეწვი, თვის თვალში დირე!
სიყვარულიდან სიძულვილამდე
თურმე რა მცირე ყოფილა „კალო“
რომელიც თურმე სულ უნდა ლეწო
რომელიც თურმე სულ უნდა სთვალო...
ეს ღამეებიც ჩაივლის ალბათ
ღალატით მკვდარი, მივალ დილამდე
თურმე რა მცირე მანძილი სუფევს
სიყვარულიდან, – სიძულვილამდე!..

„გენიოსობა უბრძნეს ქართველთა“

მაოცებს ჟამი, ჟამი უსახო
კარგად ვერ იტყვი, – ავად სათქმელთა
მაგრამ უფრორე დიდად მაოცებს
„გენიოსობა უბრძნეს ქართველთა“
თითქოსდა ყველამ შევკარით პირი
ყველაზე მეტად, ამას განვიცდი
საქართველოში ერთ კაცს ვერ ნახავ
ვინაც გულწრფელად იტყვის – „არ ვიცი“
საშველი, ყველას, – ცხვირწინ მოგვერთვა
მოგვერთვა ღვთისგან, – „ღვთიური სინით“
ნაცვლად იმისა, გონებას ვუხმოთ
ვდგავართ და ჩვენსავ საშველს, – დავცინით!
„უბრძნეს ქართველთა გენიოსობა“
მოყვარეს, არა, – მტერს გააცინებს!
ჭირს – ზედა, ჭირი დაემატება
ვინაც სიმართლეს, ავად დასცინებს!
თავი ვანებოთ „გენიოსობას“
გაგვეგოს, მართლა რაც არის „სიბრძნე“
და თუ მართლა ვართ გენიოსები
ის გზა გაგვეგოს, რაც ცხვირწინ გვიძევს!
დროა შევიგნოთ, – წასულთა ხსოვნა
„დედაბოძებად“ ყველას აგვეგოს
და რა საშველიც გვეღირსა ღვთისგან
ჩვენივე ნებით, – მართლა გაგვეგოს!

უნდა ვთქვა

არა, ვერ ვითმენ, უნდა ვთქვა!
ჭირი უფრო რომ იზრდება
ხოლო გონება, – „ღვთის განძი“
დღითიდღე როგორ მცირდება!
რაც ამ ბოლოს გვჭირს, როგორ ვთქვა
ჩვენს მტერს, ნურც გაეგონება!
თითქოს ხმალდახმალ მივიწევთ
რომ დავამარცხოთ – გონება!
სირცხვილი, ჩვენი სირცხვილი
ნეტავ ეს, სხვაგან არც ითქვას
თითქოს შევთანხმდით იმაში
– რომ საღი აზრი არ ითქვას!
იმასაც ვიუკადრისებთ
ლაშქარს რომ ვგავართ მონების
ვერვინ უარყოფს, – ფაქტია
დეფიციტია გონების!
როდემდე უნდა გაგრძელდეს
ბოგინი ცრუ და ავისა
როდემდე უნდა ვაგრძელოთ
მტრობა ჩვენივე თავისა!?
და მაინც, იმედს ვიტოვებ
ღვთისა, ოდითგან, – ოდემდის!
ღმერთო, მომასწრე ქართველში
გამოღვიძებას – გონების!

„მამა“

ერთ ცუდ ამბავს შევესწარი ამ ბოლო დროს
„მამა“ ხნავდა შვილის სარჩო ყანას
„შვილი“ იჯდა თავის ყროყინ – ძმაბიჭებში
გულზე მჯიღით, სადღეგრძელოს სვამდა...
„მამა“ მუდამ შვილის ბედზე მოფიქრალი
სიცოცხლესაც რომ გასწირავს, მისთვის
„შვილი“?.. შვილი ისევ „მაგარ – ბიჭობს“
მსახიობობს, თეატრალობს, – სხვისთვის...
გულდამწვარი მამის ცრემლი არ გინახავთ?..
მე მინახავს!.. დავიფიცებ დედას!..
მარტოდ მარტო დარჩენილი მამის თვალებს
ამ თვალებში, ოკეანე – სევდას!..
„ მამა“ მაინც სამართალის გუთნით ხნავდა
რომ სიყალბეს, ჩამოეხეს ფარდა!
შვილი, ისევ ქეიფობდა ძმაბიჭებში
დიდი ყანწით, სადღეგრძელოს სვამდა...
შვილისაგან მიტოვებულ მამას ვლოცავ!
ასეთ მამას, ღმერთი უღებს კარებს
შვილი?.. შვილი ისევ აღმა – დაღმა
დანავარდობს, თან დაჰყვება ქარებს
შვილისაგან მიტოვებულ მამას ვლოცავ!
ეს რა ვნახე, რად შევესწარ ამას,
თუმცა ღმერთი! ისევ ღმერთი უხსნის კარებს
– შვილისაგან მიტოვებულ „მამას“...

იმედი

გადამეწურა ყველა იმედი
როდის დადგება ჟამი, – ვინ იცის!
რომ თვალთმაქცობას შესწყვეტს თვალთმაქცი
რომ უნამუსოს – დასწვავს სირცხვილი!
გადამეწურა ყველა იმედი
მზაკვარისაგან, – სინანულისა!
ნეტავ შედეგად რას მოელიან
ამ უღვთო გზებით სიარულისას
მხოლოდ ეს ერთი იმედი შემრჩა
ყალბთა, ცრუთა და მრუშთა ჯინაზე!
თავისმართლებას შეწყვეტენ მაშინ,
როცა წარსვდგებით, – უფლის წინაშე!..

აღარ ვარ ცოცხალი

ეჰ, ცოცხალი აღარა ვარ
ამას წინათ მოვკვდი
ვხედავ თითქოს მკვდრებით სავსე
კიდობანში მოვხვდი
ცხედრებს, თითქოს სიცოცხლე გვსურს
ამ ოცნებას ვეტრფით
მაგრამ სიბრძნეს, – მაცოცხლებელს
გამუდმებით ვებრძვით!
ვერ გვიშველის ამდენ მკვდარ სულს
თვით უფალიც, თუნდა
კაცმა თუ არ მოინდომა
– თვითონ თუ არ უნდა!
არ აძალებს თურმე ღმერთი
სიცოცხლესაც არვის!
საოცრებას ჰხედავს თვალი
მკვდრიდან მკვდარზე დარბის...
თითქოს მაინც ცოცხლები ვართ
თითქოს ვხედავთ, გვესმის
თუმცა კვლავაც, როგორც ადრე,
ძმა, ძმას ზურგში ესვრის!
აღარ მინდა ეს სიკვდილი
კვლავ სიცოცხლე მინდა!
კვლავ მესმოდეს ღვთაებრივი
გალობანი ციდან
კვლავ სიცოცხლე მენატრება
ვფორიაქობ ერთობ
მხოლოდ ამას გევედრები
გამაცოცხლე, – ღმერთო...

ორი გზა

ორად ორი გზა გვქონია თვით-ეულს
რომელს ირჩევს მავანი თუ მავანი
გზა სიყალბის, – სიცრუის და სიკვდილის
გზა სიცოცხლის, – უფლისაკენ სავალი!
და რატომღაც, მაინც იმ გზას ვადგავართ
რაც არასდროს არ მოგვიტანს სიკეთეს
„კაცთა კვლაში“ სისხლის ტბები დამდგარა
ტარტაროზიც, გვიკეთებს და გვიკეთებს ...
ურთიერთის მტრობა წესად დავიდეთ
კვლავ ვუჯერებთ ეშმაკებს და მაქციებს
ერთურთს ვებრძვით, ღმერთსაც ვებრძვით,
გავგიჟდით ეს ქვეყანა სასაკლაოდ ვაქციეთ!..
ყველა ჭირი ერთად უნდა დავძლიოთ
შეგვეწევა ღვთისმშობელიც, – უფალიც!
სიმართლის და სიცოცხლის გზა ვირჩიოთ
ყველაც ვიყვნეთ, მართლა „თავის-უფალნი“
ორად ორი გზა გვქონია თვით-ეულს
დროა ვიცნოთ სოფლის ავან-ჩავანი
ერთი გზაა, – სიცრუის და სიყალბის
ხოლო ერთი, – უფლისაკენ სავალი!..

არ ვიცი

ათასი დადრდით დამძიმდა მიწა
და ყველა დარდზე მეტად განვიცდი
რომ ვერცერთ ქართველს ვერ ათქმევინებ
– „როგორ გვეშველოს, მართლა არ ვიცი“
რაც გინდა ის ჰქენ, ყირაზე დადექ!
გადაიმტვრიე თუნდა ლავიწი
ვერცა ერთ ქართველს ვერ ათქმევინებ
– „არ ვიცი ძმაო, მართლა არ ვიცი“
ამპარტავნება მოგვიღებს ბოლოს
საკუთარ თავთან ყალბი ლაციცი
და ეს ჯიუტი თავდაჯერება
„ვინ რაზე ფიქრობს, როგორ არ ვიცი!“
ისევ გრძელდება შუღლი და ქიშპი
რომ „მე ვიცი“ და რომ „შენ არ იცი“
რაც გინდა ის თქვი, ფაქტი, ფაქტია
ვერ ათქმევინებ ქართველს – „არ ვიცი“...

შეგვყვარებოდეს სიმართლე

ქართველს სიმართლეს ნუ ეტყვი
ნუ გააჯავრებ ამითა
მტრად გაგიხდება, გიმუხთლებს
თოფს გესვრის, დაგკლავს დანითა
სიმართლე არ თქვა ქართველთან
არც დღისით, არცა ღამითა
გგონია გაეხარდება?..
არც კი იფიქრო წამითა
ატყუე, მიეპირფერე
უცინე მელასავითა
ყასიდად, – ძმობა შეჰფიცე
ყველგან დაგიცავს ფარითა
ერთ ტყუილს თუ მიგიხვდება
იქვე აჭამე მეორე
„შენზე ჭკვიანი ვინ არის“ –
მალ-მალე გაუმეორე
ქება-დიდება შეასხი
მერე ვერ ჰხედავს სინათლეს
მანამ იქნება შენი ძმა
სანამ არ ეტყვი – სიმართლეს!..
სიმართლის შიში დაგვჩემდა
გული გამისკდეს ლამისა
როდემდე უნდა ვაგრძელოთ
„მტრობა ჩვენივე თავისა“...
უცხოურს დავეწაფენით
ამრეზით ვუცქერთ მოგვარეს
სიმართლეს ეუბნებიან
განა მტერს, – ძმას და მოყვარეს!
ნეტავი, დაგვბედებოდეს
ზნეობა, – სულის სიმაღლე!
შეგვძულებოდეს, ტყუილი,
შეგვყვარებოდეს, – სიმართლე!

ჟამი დამდგარა

ყველაფერს თურმე დრო აქვს თავისი
თავის დროზე მწიფს ხურმა თუ ბარდა
ახლა, „სინდისის სიმწიფის დრო“ სდგას
მართლმსაჯულების, – საკუთარ თავთან!..
გამოფხიზლების ჟამი დამდგარა
და ყველა კითხვა მოითხოვს პასუხს
სიმართლის ნათელს რომც დავემალოთ,
ვინ დაემალვის სინდისს და ნამუსს ?!..
მართლა თავისი დრო აქვს ყველაფერს
და ამ „დროებას“ თვით ღმერთი მართავს!
ყველას ასწილად მიაგებს თურმე
– ასწილად მრუშს და ასწილად მართალს!
ჯერ კიდევ შევძლებთ, ჯერ კიდევ ძალგვიძს
რომ დავუბრუნდეთ გზას, – მამა-პაპურს
ისევ სინდისის თესლი ვახაროთ
თვალი ვუსწოროთ ჩვენსავე ნამუსს!
დე, უფლის მადლი გვფენოდეს ყველას
ისევ ეხაროს ბერმუხას, ძელქვას
სინდის-ნამუსის გზით გვევლოს ისევ
ყველას, ნამდვილი ქართველი გვერქვას!
დროა სიმართლე ვადიდოთ კვლავაც.
სიბრძნე, სიცრუეს „კოშკებს“ დაუშლის!
დროა ვიფხიზლოთ ქართველნო, დროა,
ჟამი დამდგარა, – სინდის-ნამუსის!..

„სიცოცხლის ღირსი“

როგორ დავეცით, როგორ დავკნინდით ...
როგორ დუღს ყველგან ბოღმა და ზიზღი!
ცით მომზირალი უფალი იტყვის
– „აქ, ვინ არის – ო, სიცოცხლის ღირსი!..
მაინც მრუშობენ ჩემი შვილები!..
ისევ ურთიერთს უგებენ მახეს
ურთიერთს გულში ასობენ ხანჯალს
დანით უსერენ მკერდსა და სახეს!..
ისევ და ისევ იტყუებიან!..
ძმა, ძმას სიმართლეს არ ეტყვის პირში
ვერც მიწას, ვერც მზეს, – ვერც მე მხედავენ
აქ, ვინ არის – ო, სიცოცხლის ღირსი!...
რამდენ სიბილწეს ამზეურებენ...
როგორ უდგანან ურთიერთს – ჯიბრში!
ღვთისნიერული აღარ-რა შერჩათ
გადააგვარეს მოდგმა და ჯიში!“...
ისე ვიქცევით, ღმერთს განვარისხებთ!
და ყველას, ყველას წაგვიღებს წყალი
ეგება სანამ, ჯერ კიდევ დროა
განვიხვნათ ყურნი, ვათვალოთ – თვალი
ღვთის შვილები ვართ, – უნდა შევიგნოთ!
სისხლიდან – სისხლში, ძირიდან – ძირში!
ღვთისაკენ სავალ გზას გავყვეთ – დროა!
რათა კვლავ ვიყვნეთ, – „სიცოცხლის ღირსნი“...

„წესი“

ღმერთი არავის უწონებს ღალატს
დაე, ეს ყველა ყალბმა გაიგოს
აღარ იმრუშოს „სა-აქა-ოში“
„სა-იქა-ოშიც“ სიბრძნედ წაიღოს
არვის გვეგონოს, – არც მე და არც სხვას
რაიმე შეგვრჩეს ღვთისგან ფარული
რადგან თვით ღმერთმა დაგვმოძღვრა ასე
– „მხოლოდ სიმართლე და სიყვარული!“
ყველას უფალმა ჩაგვიდგა სული
ყველაც „მისი“ გზით უნდა ვიდოდეთ
გვცოდნოდეს – ვიყვნეთ მართლაც გულწრფელნი
და – ძმანნი რომ ვართ, – ესეც ვიცოდეთ!
აღარ ვატყუოთ მოყვარე ჩვენი
აღარ – ვინ იყოს კვლავაც ტანჯული
უნდა ვისმინოთ მცნება უფლისა
– „მხოლოდ სიმართლე და სიყვარული!“
რომ დავიბრუნოთ „ღვთისიერება“
გვემღერებოდეს – „არი-არული“
დიახ, ეს წესი უნდა ვაწესოთ
– „მხოლოდ სიმართლე და სიყვარული!“

...დარდი...

დარდი წერს ამ ლექსსაც, – არ იყოს
გვიანი
ქვეყანას მუდამჟამს, ღუპავდა, – ღალატი!
ქართველი ყოფილა, ლამაზი, ჭკვიანი
ღალატით მიიღოო შაჰისგან „ხალათი“
სამასი არაგველი უღვთოდ დაამიწა
თავის ჯიშს აძგერა ურდოთა მახვილი
რისხვით შეიმართა დედა – დედამიწა,
ამდენის მომსწრე და, – ამისი მნახველი...
დრო გადის, – როგორც ვამბობთ –
იცვლება დროება
ახლა, არც შაჰი სჩანს, არც მისი ლაშქარი
თუმცა-ღა, ეს ჭირი, დღესაც არ
გვცილდება
ღალატით გაივსო თვით უფლის
„დავთარი“
ერთურთის ლანძღვაა, – ღალატი
ქვეყნისა!
ერთურთთან ქიშპი და ერთურთთან
კამათი
სანამ დრო კვლავ გვაცდის, ვისმინოთ
უფლისა!
თორემ ვერ გვიშველის, ოქრო და
„ხალათი“
დავიწყოთ შესმენა ჩვენივე საშველის
დავიწყოთ ნამდვილი ქართული
მსჯელობა
– „რა გზა გადაგვარჩენს“ და რა გზა
გვიშველის
ერმა რომ იწამოს კვლავ თვისი – ერობა!
განვაგდოთ სიცრუე, გავიდეთ ნათელში
გონებას შევმატოთ ღვთიური სინათლე
მოდი და დაიბუდე ყოველ ქართველში
დიდო სიყვარულო და დიდო
სიმართლევ!..

ტყუილი

დღესაც მძვინვარებს ეს სენი, – ტყუილი!
ყოველი გათენება ტყუილით იწყება
ოდით შექმნილი სიცრუის სცენარით
მორიგი სიყალბის სპექტაკლი იდგმება
„ტელევიზორი“ – მეტყველებს დიქტორი
– „გვეშველა, ნანატრი დაგვიდგა დრო-ხანა
მსოფლიომ გაგვიცნო, მსოფლიო
შემოგვნატრის
რად დარდობთ ქართველნო, აშენდა
ქვეყანა“..
ცოლი ქმარს ატყუებს, – „ამაღამ ვერ მოვალ
ხომ იცი ამ ჩემი დაქალის ამბები
სეანსს ვატარებთ, სულებს უნდა ვუხმოთ
რად გინდა ძვირფასო ამდენი ახსნები“
ქმარიც სხვასთან მიდის, გულში უხარია
– „ამაღამ ღვინით და ტრფიალით დავთვრები“
დედ – მამის მომლოდინე, და სევდიანები!
დილამდე ბებოსთან რჩებიან, – ბავშვები!..
ექიმი, ავადმყოფს, მორჩენას ჰპირდება
– „იყიდე, ეს არის უებრო წამალი
თუმცა ძვირია, მაგრამ რას იზამ
ხომ ხედავ, წნევა გაქვს ძალიან მაღალი“...
ვათენებთ, ვაღამებთ, დღისით და ღამითაც
ყურებში მუდმივად სულ გვესმის ზუილი
როგორ აზავთდა და როგორ ბობოქრობს
ამდენი სიყალბე და ამდენი ტყუილი!..
ტყუილმა დააქცია ოჯახი, სახლ-კარიც
სიმართლეს ვერ ჰპოვებ ვეღარსად, ვეღარა!
ტყუილმა ამოშანთა, – ყველა სიყვარული!
ტყუილმა დაღუპა, – ყოველი ქვეყანა!
ყველგან ჩაგვიშენდა ეს სენი, – ტყუილი!
ყოველი გათენება ტყუილით იწყება
მავანთა შექმნილი სიცრუის სცენარით
ხვალიდან, ახალი სპექტაკლი იდგმება!..

„თურმე“

თურმე, არვინ არ უნდა მიყვარდეს
თურმე, გულწრფელიც არ უნდა ვიყო
ბაყაყებმა რომ არ ჩამყიყინონ
– „ჭაობს არ გასცდე უგონოვ, ბრიყვო“
თურმე, არც დედა უნდა მიყვარდეს!..
თურმე, არც ვაზი, ცრემლი წალამის
თურმე, არც ვაჟა უნდა მიყვარდეს
სიბრძნის გენია, შოთას კალამის!..
თურმე, წინაპრებს უნდა დავცინო
„ჩასარეცხია“ თურმე, – ყველანი!..
თურმე, ბუჩქებში უნდა შევხოხდე
და იქ ვაჭენო „ჩემი მერანი“!..
თურმე, შვილიც კი არ უნდა მყავდეს
არ გავაგრძელო, მოდგმა და ჯიში
ჩემივე ხელით, ჩემივე ნებით
ერის საუნჯე მოვშანთო ძირშივ!..
თურმე, ღმერთიც კი, – უნდა გავკილო
უნდა დავცინო, მამას – შემოქმედს!
თურმე, ბაყაყმა ასე ისურვა
თურმე, ბაყაყის უნდა მჯეროდეს!..
ვაი სირცხვილო, რას მოვესწარი!
თურმე, ბაყაყი მიწერს „კანონებს“
ახია ჩემზე, რადგან ბაყაყი
ჩემს თავზე, – თვით მე გავაბატონე!..

ქართველები გააღვიძე ღმერთო

წუხელისაც ვიქეიფეთ მე და ღმერთმა
ზეციერმა არ დამტოვა მარტო
ვსაუბრობდით, სულ თბილ-თბილად მპასუხობდა
მერე მთხოვა, – ბევრს ნუ სვამო, გათრობს!
ვკადრე – ღმერთო აბა როგორ არ დავლიო
მსურს შენდამი სიყვრულით დავთვრე
მიპასუხა – „ზომა-წონა დაგავიწყდა?
მეც კი, ღმერთი, არ დავლევო ამდენს! “
დავეთანხმე – „მართალი ხარ მამავ ჩვენო
შენი წესი, არ დაირღვეს არსად
სიყვარულიც ზომა – წონით შეგიქმნია
რომ არ იქცეს სიყალბედ და ფარსად!“
მიხარია, ვიქეიფეთ მე და ღმერთმა
კიდევ უფრო ამიმაღლდა სული!
თურმე, ყველგან ზომა – წონას თუ დავიცავთ
არაფერიც არ ყოფილა რთული!
ამ საღამოს, კიდევ უნდა ვიქეიფო
ალბათ კიდევ მესტუმრება ღმერთი
უნდა ვთხოვო – „ღმერთო ერი გააღვიძე
ეს თხოვნა მაქვს შენთან, – ერთადერთი!“
ეგებ ღვინომ, ღვთისგან ქმნილმა „ჯადო სითხემ“
მათქმევინოს რასაც დღემდე – ვერ ვთმობ!
მხოლოდ ერთი ეს სურვილი შემისრულე
ქართველები გააღვიძე ღმერთო!

ტელეფონი

დრო გადის და წამს მიჰყვება წამი
დაგვებედა ოხვრა-კვნესა, დარდი
ყველაფერი თავდაყირა დადგა
თითქოს ვარდიც აღარ არის – ვარდი!
საოცრება, საოცრებას მოსდევს
თვით ხეებმაც გადაიცვეს თალხი
ირგვლივ, ყველგან, – ერთი სახე მოსჩანს
– ტელეფონში თავჩარგული ხალხი...
რა წამალი მოიძებნოს უნდა
რანაირი ფორმის, ფერის, სახის...
რომ როგორმე გაღვიძება შესძლოს
ტელეფონში თავჩარგული ხალხის
ეს რა ბანგი გადაგვასხეს ყველას
რად ვირჩიეთ ყველაფერი ავი
თვით მზესაც კი, ვეღარ ვხედავთ რადგან
ტელეფონში გვაქვს ჩარგული თავი ...
ვეღარ ვხედავთ, მიწა როა – მიწა!
ვეღარც იმას, წყალი როა – წყალი!
მხოლოდ ღმერთის იმედი – ღა დარჩა
ღმერთო, ეგებ აგვიხილო თვალი!

ღმერთი ჩვენშია

მზე ცით ბრდღვიალებდა, დღე იყო თაკარა
ვინ მოსთვლის, ასეთი, დღე, იყო რამდენი
ვინ, ვერრა გაიგო რა, ვინ კი, დრომ დაღარა
ანდა, ამ დედა მიწიდან, საით ვართ
წამსვლელნი...
კაცი ერთი, ერში დადიოდა
ხალხს აკვირდებოდა, ცისებრი თვალებით
თითქოს ცდილობდა კარგად გამოეცნო
რაზე ფიქრობენო – კაცები ... ქალები...
მერე შეიმართა, ამაღლდა, ამზევდა
გვრგვინვად და ქუხილად აღმოხდა
სათქმელი
ასე, ვინ დაგამცროთ, ასე, ვინ დაგჩაგრათ!
ან, რამ გაგიჩინათო, დარდი თუ ნაღველი!..
მონობა დასრულდა!.. უფლისგან გვეუწყა!..
თვით-ეულს, ჩვენ-ჩვენი საყუდარ-სადგმელი!
როგორ დავიბრუნოთ, იერი მამისა!
და, როგორ ავანთოთო ის, წმინდა სანთელი!
წასულთა სახელების, ასე მივიწყება
ვიცოდეთ ძმებო, რომ, ეგების, – არავის!
ჰოდა ამიტომაც, უნდა აღვადგინოთ!
ხსოვნა წასულთაო, ხსოვნაო, – მარადის!..
რომ არ გადაგღალოთ, სრულად გაამხილა!
ოდით, უფლისაგან ჩვენთვის ნაბრძენები!
გზა-კვალი გაგვინათა და ისიც შეგვახსენა
ყოველი ჩვენგანიაო დედისგან ნაფერები!..
მერე რა მოხდა... ისიც უნდა ვთქვა
თუმცა მიძნელდება, არ არის ადვილი
ხალხი აყაყანდა... და ერთხმად გაიცინეს
სად დედააო, და სად კიდევ – მანდილი ...
ვინ არის ეს კაცი, რა უნდა, რას უბნობს
რად შეგვიჩერაო საუზმე-სადილი
წამო გავეცალოთ, ჩვენი გზა ხომ ვიცით
საიდან მოვიდაო, გიჟია ნამდვილი ...
...იმ დღიდან, დღესამომდე, არ სჩანან, –
გონიერნი
დღეები, მწარ – მლაშე, როდემდე
დავთვალოთ ?
თავ – გზა აბნეულთა, ჯიშით ქართველებმა
ერთურთი, როდემდე, როდემდე
გავთვალოთ!
უნდა დავიბრუნოთ, – რაც კი რამ დავკარგეთ!
უნდა აღვადგინოთ, – რაც უფლის წესია!
უნდა აღვიმართოთ, მართლაც ღვთის
შვილები!
და უნდა ვირწმუნოთ, რომ ღმერთი, –
ჩვენშია!..

წინაპართა მიწა

საქართველო მიავიწყდათ „ქართველებს“
„უკკრრაინას“ გაიძახის ყველა
ყველა ყვირის – „სიცრუეა სიმართლე,
როცა დღეა, სწორედ მაშინ ბნელა!
დიახ, სხვისთვის, სხვისთვის უნდა ვიბრძოლო,
ჩემს საკუთარს?.. დაე სწვავდეს ცეცხლი!“
მახსენდება ღმერთი!.. ქრისტე, – იესო!..
და იუდას „ოცდაათი ვერცხლი“!..
ქართველობა, სადაცაა გაჰქრება
საქართველოს, სხვაზე მეტად უჭირს!
მაგრამ ახლა, რა დროს საქართველოა
ზეობაა ფულის, – ხელის ჭუჭყის...
რა სინდისით გავიღვიძებთ ხვალ თუ ზეგ
რა ნამუსით ამოვხედავთ ზეცას
როცა მიწას, ჩვენსას, უკვე სხვა იპყრობს
როცა ჩვენსას ცოცხლად ვმარხავთ „დედას“!
ეგებ მაინც, – გაგვინათდეს გონება
გავიხსენოთ წინაპრები, – ვინც გვწამს!
ქართველებმა, საქართველო დავიცვათ
წინაპართა „ძველთაძველი მიწა“!..

სევდის ცრემლები

ადრე, რასაც საქართველოს ეძახდნენ
ახლა დიდი საგიჟეთი ჰქვია
შინ თუ გარეთ, აქედან თუ იქიდან
ფრთაშესხმული ქვის ლოდები ჰქრიან!..
ყველა ჰყვირის, – „მე მისმინეთ, მე ვიცი“
და ურთიერთს თითით სთხრიან თვალებს
ჩაჰქოლავენ მოყვარეს და მოკეთეს
აღმერთებენ ფლიდებსა და ყალბებს!..
საქართველო უკვე აღარ არსებობს
აქ, სიმართლეს სასაცილოდ სთვლიან
და ეშმაკნი კმაყოფილი ხარხარით
ამ გიჟების სულებს, რიგში თვლიან
ზოგს აგიჟებს ფული, თანამდებობა
უფრო ბევრს კი, ამბიცია მწველი
ბევრმა თვისი დედაც კი არ დაინდო
ბევრმა სულში ჩაისახლა გველი!..
საქართველო უკვე აღარ არსებობს
ახლა ვჰგიებთ წკვარამით და ბნელით
საქართველო ქართველებმა გავყიდეთ
დიახ, ისევ ქართველების ხელით!..
სევდით ვუმზერ ჩამუქებულ სახეებს
უფლის სიბრძნეს ნაგავში რომ ჰყრიან
რასაც ადრე საქართველოს ეძახდნენ
ახლა დიდი საგიჟეთი ჰქვია!..

სად მივექანებით

ვიღვიძებთ, ვიძინებთ, ვსუნთავთ და ვცოცხლობთ
ხანდახან ერთურთსაც გადავეფარებით
მაგრამ არასდროს, არცერთი წამითაც
არასდროს გავიფქრებთ, – სად მივექანებით
არა და არ ვიჯერებთ, რომ ვართ ღვთის შვილნი
ამიტომ ეს ყოფა თანდათან ჭირდება
თითქოს ბევრი ვიცით, თუმცა ვერ ვფიქრობთ
უპირველესად, მიწა რომ გვჭირდება
მიწაა სიცოცხლე და ბედნირებაც
მიწის გარეშე, არც – ვინ არ ვიქნებით
ყოველი ახალი დღე წინას ჩამოჰგავს
უაზრო სიტყვებით, უაზრო ფიქრებით
არვინ აღარ ფიქრობს, რისთვის მოგვეცა
სიცოცხლე – ასი წლით – ამ დედამიწაზე
თავისუფლება ვაქციეთ თავხედობად
ჰოდა, „ქეც ვთავხედობთ“ ერთურთის ჯინაზე
არასდროს გავიფიქრებთ, რომ ყველაც და – ძმანი ვართ
ყველამ დავივიწყეთ „ღმერთი – სიყვარული“
თუ ასე გავაგრძელებთ, ყველაფერს დავკარგავთ
მერე კი, გვიანია სევდა და სინანული
ვაღამებთ, ვათენებთ, ვწუხვართ თუ ვზეიმობთ
ყოველ ჩვენს ნაცოდვილარს კვლავ ჰშლიან ქარები
რა სამწუხაროა, არასდროს რომ არ ვფიქრობთ
ამ დედასამყაროში, – სად მივექანებით...

ირა სოფრომაძე – იურისტი, ისტორიკოსი, პედაგოგი
დაბადების ადგილი – ტყიბული – საწირე.

სხვისთვის ვერ გამიმეტე...

ჩამოიღრუბლა, ძირს დაეშვა
ნისლი რძისფერი,
გადაეფარა და სვეტებად
დაუშვა მხრები,
ამ დანისლულში, დანისლული
აღმართს მივყვები,
მივდივარ,მაგრამ არ მიშვებ და
ისევ წინ მხვდები.

თავის კალთებით შემიმშრალა
ნისლმა ცრემლები,
შემომეხვია, გამიტაცა, სივრცეს
მატარა,
იქვითინა და მირჩია, რომ თავს
მოვერევი,
ნისლს შევეცოდე გზა აბნეულს
და შენ კი არა.

ბარიკადებად ამაფარე შენზე
ფიქრები,
წვიმად მოდიხარ, სიზმარშიდაც
ყველგან ისევ შენ,
ეს არ მაკმარე, გამახსენე ვნება
შიშველი,
შენ წახვედი და მე კი სხვისთვის
ვერ გამიმეტე.

სოფელი სიცოცხლეა

ღობეზე დასკუპული ღაბუა ჩიტებივით,
მოგონებები ჰაერში ფრთხიალებს,
თუთისგან ჩაშავებული კიჭებივით,
ყანაში მზესუმზირა ბდღვიალებს.

კისრისკვრით ჩავლილი ბილიკები,
ჭალაში ჭყუმპალი ფეხების,
ბუნების აკვარელს აქ ხელით ეხები,
ხმა გესმის ჭორიკანა ვერხვების.

ყორეს მოდებული სიძველის ხავსები,
შუკებში კვლავ ჭრიალებს ურმები,
დრო აქაც ხარბია და უძღები,
აქ წარსულს აწმყოთი უძღვები.

აისის ათინათში სხივები როკავენ,
სიმინდის ფუჩეჩი ულვაშებს ივარცხნის,
მწკრივში ჩაწყობილი ხორუმით ზვერავენ,
საწნახელს რაკრაკით ხმა გასდის ბადაგის.

ჭრაქებს დაინთებენ ციცინათელები,
ბუხარზე ხმელი კუნძი წამოწვება,
აქ უკვე წარსულს ვეღარ დაეხსნები,
მაგრამ გესტუმრება სრული შვება.
.....

ეწვიეთ სოფელს და თავად დარწმუნდებით.

ის ჩემად დარჩეს

შენი ხელები კაცური ეშხით,
სხვა ძალას ფლობენ მხოლოდ შენია,
შენი ტუჩები ანთებულ ჟინით,
ზედ ჩემ ტუჩებზე შემომსკდომია.

შენი ალერსი უცეცხლოდ რომ წვავს,
ფერფლსაც არ ტოვებს ისიც შენია,
და ნეტარების უტკბილეს კვნესას,
ნდობის ალმურიც შემონთებია.

მხოლოდ შენ იცი გიჟური ვნების,
ზღაპრულ ფერებში ალივლივება,
უარის შემდეგ გაბუტვაც გშვენის,
და იცი ტკბილი შემორიგება.

გიჟური როკვით დაპყრობის
სურვილს,
ყურში ჩურჩულით არ აძლევ
შვებას,
შენში გართხმული სიგიჟე
უცდის,
როდის მიიღებს ქალისგან
ვნებას.

შენი ტუჩები სურვილით
მანთებს,
და კოცნის შემდეგ გადავდგამ
ამ მთებს,
ცეცხლ მოდებული გავცურავ
ამ ზღვებს,
მხოლოდ ის მინდა, ის ჩემად
დარჩეს.

**შენი ტუჩები სურვილით
მავსებს.....**

ასეა...

თურმე ცხოვრება ემგვანება
ფერთა ფლეიტას,
თანამგზავრობენ უსასრულოდ ძველი
ზღაპრები,
შავი ფერები ფინალია კარგს არ მოიტანს,
ავადმყოფური ტონალობის ფერს რომ ეხები.

ახლა ჩემ ფიქრებს დაკარგვია
განზომილება,
მეწამურ ფერებს ჩაუსახლდა სულში ტკივილი,
შაბლონებს ვითვლი და წარსული წარსულად
რჩება,
მონოქრომული გამხდომია სივრცე ხილული.

აბსტრაქციონისტს შეშურდება ეს მოთმინება,
ეს ხომ მოტივის დროებითი
დასასრულია,
ვფიქრობ,თან მცვივა ის ლექსები აღარ
შემრჩება,
რაც შემიქმნია ახლა უკვე რაც წარსულია.

სული კვლავ უკრავს პიანინოს და ჟღერს
მოცარტი,
დავაპატენტე მე ჩემ სულში
ჩემი ლექსები,
ლურჯმა მოიცვა უსასრულო და როგორც
სხარტი,
ფამფარებივით ნარნარებენ როცა ვეხები.

თურმე ცხოვრება ემგვანება ფერთა
ფლეიტას,
შავი ფერები ფინალია კარგს არ მოიტანს...

გუშინ გინატრე

გუშინ ვინატრე, შენი მოსვლა დამბედებოდა,
მერე ჩავჯექი,მოგონების სკივრი ავხადე,
ხელგამოწვდილი გველოდება წარსულის ოდა,
გზა ლაბირინთში დამეკარგა უკვე შენამდე.

თოვლში ჩავემხვე,თბილი ცრემლი ტუჩზე დამადნა,
მკერდით გავკვალე ჩახერგილი გზები უვალი,
გაუკვალავში როგორც ცეცხლი თოვლი აალდა,
ტანს შემომეხვა შენი ვნების გიჟური ალი.

და კრთოდა თოვლი, ვარდისფერი იდგა ზამთარი,
მეწვოდა გული და ეს ალი ხელებს მიჭერდა,
მე იანვარი არ მინახავს ჯერაც ამგვარი.,
თოვლის ფიფქები გაზაფხულის ზღაპარს რომ გავდა.

ადრე შენ იყავ გზამკვლევი და მე უკან გდევდი,
ხელებს მითბობდი,ფიფქები კი კოცნას გვპარავდნენ,
მერე ფიფქებზე სიყვარულის წერილებს ვწერდი,
ამ ზამთრის მერე ვიცოდი, რომ ვეღარ გვნახავდნენ..

გუშინ ვინატრე,შენი მოსვლა დამბედებოდა,
და კრთოდა თოვლი ვარდისფერი იდგა ზამთარი.....

მაშინ დავთვერი..

მაშინ დავთვერი, როცა შენი ვთქვი სადღეგრძელო,
ეროსის მიერ ნასროლ ისრით კვლავ გეჭიდები,
მინდა ბახუსით დაბინდულმა კვლავ ვადღეგრძელო,
ტრფობის ჩურჩულით შემომსხდარი ეს ქარიტები.
ეს სიყვარულიც ასე ზღვასავით იმიტომ მოდის,
რადგან ის უცებ დაიბადა ზღვის ზვირთა ქაფში,
კვლავ შემოვისხამ ფერად ბაილონს იმ ცისარტყელის,
რომ მონატრება არ დამეტყოს არ გავტყდე ხმაში.
მაშინ დავლიე და ჩავალბე გრძნობაში გული,
დღესაც მთვრალივით არეული დავდევ იმ სიზმრებს,
მაგრამ იმ ფოტოს უკანასკნელს ჩვილივით ვუვლი,
ყოველდღიური ფერებებით ისევ რომ მიძლებს.
და თუ ღმერთი ხარ, სიყვარულის ხატად მოსილი,
სტიქიის ძალა დაიფიცე სახე მიჩვენე,
უბიწოების,იმ სარეცლის ვრჩები მორჩილი,
ან ცხადში მოდი, ან სიზმარში რამე მიშველე.
...
მაშინ დავთვერი, როცა შენი ვთქვი სადღეგრძელო..

გადამეკიდნენ

გადამეკიდნენ იმ წარსულიდან
ურჩი დღეები,
აგვისტოც ხვატიც ვეღარ მიძლებს
და იბღვირება,
მოგონებები კარს მიმტვრევენ
უძლური ვრჩები,
შემოდგომაა ჩემი წარსული
პატარძლად მხვდება.

მიმოფანტული ფურცლებივით
ცეკვავს წარსული,
მორცხვმა ნიავმა გამიტაცა შენი
ხელებით,
გუშინდელივით წინ დამიდგა
დრო გარდასული,
მოფარებული ერთურთს გრძნობით
როგორ ვეხვევით.

დაბადაგებულ ტუჩს უკოცნის ქარები
ქვევრებს,
აქვე ნამკალში მზე ჩაგორდა და
ძილს აპირებს,
მოგონებები იქვე გრძნონებს
გაუნაპირებს,
თივის ბულულში მიეძინათ
ციცინათელებს.

ვდგავარ და ვეძებ იმ ჩამოშლილ
ფოთლების მწკრივში,
შემოცრეცილი კაბის კალთით დგას
ბედისწერა,
ჩამორღვეული ღიმილი ბორგავს
ნაოჭის ჩრდილში,
წვიმაც მომტირის, და ალბათ ბედი
ასე მეწერა.

ჩემი და შემოდგომის ვალსი

შოპენის ვალსზე ეცემიან ხიდან
ფოთლები,
აცეკვებულებს უხანგრძლივებს
სიცოცხლეს ქარი,
პარტერში ზიან გარდასული
ჩუმი დღეები,
სამგლოვიარო ჰანგს დაეძებს
ფოთლებში ქნარი.

მე შემოდგომას ვეცეკვები ამ ვალსს
გედივით,
დროებამ ბედით ერთმანეთთან
გაგვაზიარა,
ის რაც ოდესღაც შემოიჭრა ჩემში
შლეგივით,
გვირილას ფურცლით დღეს
ავითვლი, დამრჩა თუ არა.

ჩუმი ბერმუხა დაიტირებს
ჩამომჭკნარ ფოთლებს,
იქ ჩემი სულიც მასთან ერთად
ითვლის აკორდებს,
ბუხარზე კუნძი გაწოლილი
ზამთარს ახრჩოლებს,
წარსულ სიყვარულს და გაზაფხულს
ერთად აბოდებს.

მე შემოდგომას ვეცეკვები ამ ვალს
მთლიანად.

ემიგრანტი ქალი

გზა გასაყართან დგას განშორება,
ამოლუმპული ცრემლთა გუბეში,
და ყოველ ღამე კვლავ ეზმანება,
შემოძარცული გულზე ნუგეში.

თმაგაწეწილი ბორგავს ნერვები,
და ნაკვერჩხალზე იწვის ოცნება,
დღეების თვლაში აწმყოს ნებდები,
წარსული სადღაც ბინდბუდში რჩება.

შვილისთვის უცხო, ქმრისთვის სხვა ქალი,
ასე რომ გახდა ვის უნდა უთხრას,
ჩანს ბედისწერის დაურჩა ვალი,
პირდაღებული რომ გავს ავაზას.

გრძნობას დახსნილი უჩანს ვენები,
და მასში ქალი ნელ-ნელა კვდება,
აბლაბუდაში თითოს ებმები,
და გიმორჩილებს გაუცხოვება.

სუყველაფერი მასში რომ ჩაკვდეს,
გრძნობა დედისა მაინც შერჩება,
რომ დაემგვანოს სულის აკლდამებს,
დროში შთანთქმული ეს მონატრება.
.....
თმაგაწეწილი ბორგავს ნერვები,
და ნაკერჩხალზე იწვის ოცნება....
დღეების თვლაში აწმყოს ნებდები,
წარსული სადღაც ბინდბუნდი რჩება.

ჩვენ დავბრუნდებით

(კარანტინის მძიმე დღეები ყველგან სიკვდილს ვხედავთ, თითქოს გაიყინა ქალაქი)

ვარ ჯარისკაცი ემიგრანტი მე ამ დროების,
გლობალურ დარტყმის კატაკლიზმის თანაზიარი,
არ ჩანს საყრდენი
სამყაროსთვის,,მყარი ზედაპრის”,
გარინდულა და დაკარგვია
სისრულის ზღვარი.

ცნობიერება ზის და ტირის მიზეზ –
შედეგით,
მოქცეულია მომავლიდან წარსულში
მკვდარი,
იმედს არ ვკარგავ ცარიელი ცივი
სხეულით,
თუმცა სიკვდილი თან დამყვება ვით
თანამგზავრი.

და ვეღარაფერს ვეღარ ვხედავ
სივრცისკენ დროდან,
იქ ყველაფერი აკრძალვაში,იმ
დროში ჩარმჩა,
თუკი მსხვერპლად ვარ შერჩეული ამ
სამყაროდან,
სამშობლოსათვის მე მხურვალე
ლოცვაღა დამრჩა.
..
და მაინც მჯერა, დავბრუნდებით ჩვენ
სამშობლოში,
და არ დავრჩებით გაყინულნი
სიკვდილის დროში...

შერეული ჰანგები

კანონს სასჯელში არევია ტყუილ- მართალი,
მთვარის სონატა უიღბლობით განწირულთ მოთქვამს,
ლაბირინთებში გახლართულა კვლავ სამართალი,
ფერის მისტიკა აკვარელში ფუნჯებით როკავს.

დიდ საიდუმლოს ნაზ ღიმილში მალავს ჯოკონდა,
იქ ახალ ჰანგებს სიყვარულზე უწერენმუზებს,
და მონა ლიზას დამცინავი სახე რომ ქონდა,
ავაზას ტყავში გახვეული დროს კვლავ რომ უძლებს.

დალურსმულ სხეულს პატიების ცრემლები ცვივა,
შემოდგომა კი დასრიალებს ფოთლებში ვალსით,
ვიღაც ქვითინებს ჩანს სინდისი ძალზე რომ ტკივა,
წუთისოფელში მე მგზავრი ვარ ამ გზაზე გავლით.

ძველი ბიჭივით დააბიჯებს სტვენით ზამთარი,
საწვეთურებში სინანულით წვეთები ტირის,
ბუხრის სითბოში იწერება ისევ ზღაპარი,
უფლისგან მიერ ნაბოძები ამ ღვთიურ მიწის.

ამ ჯადოსნური ფლეიტების უკვე ტყვე ხდები,
აქ ჩელოს ჰანგებს გაუმართავთ სოლო კონცერტი,
უკანასკნელი სიმფონიის ჩაგესმის ხმები,
და სველი ფუნჯით გელოდება აქვე მოლბერტი.

ქრიზანთემები შენ თავს მაგონებს

ქრიზანთემები ამშვენებენ დღესაც იმ ბაღებს,
უმანკოების სილამაზის თეთრ ათინათინს,
ქარი ჭრიალით დავიწყებულ იმ კარებს აღებს,
ეალერსება მოგონებებს და დღეებს გავლილს.

*

და როგორც ადრე შევერევი ფერების ფაზისს,
მაშინდელი კი ირგვლივ მხოლოდ ყვავილებია,
ქრიზანთემები დავიწყებას ხელიდან მაცლის,
და ვგრძნობ წარსული მტკივნეულად ისევ ჩემია,

*

მაშინ მზეს ქონდა პაემანი მიჯნურ ღამესთან,
იწვნენ ქვიშაზე მომლოდინედ ქრიზანთემები,
თითქოს ჩვენ ალერსს გარიგება ქონდა მთვარესთან,
ისე უჩინრად გარს გვივლიდა ის შუქ ჩრდილები.

**

ქრიზანთემები ალმოდებულ გრძნობას მახსენებს,
შენზე ფიქრები ისევ მწვავს და აღარ მასვენებს.

უსიყვარულო ამორძალივით

(სვეტიცხოველი და არსაკიძე)

შენ ხელოვნებას ზედ დაგაკლეს
შენი მარჯვენით,
ბოროტების და სიყვარულის
მსხვერპლი გაგხადეს,
დაღაღადებენ ძილგამკრთალნი
ფხოვის ღამენი,
ქარაფებს შორის გადაჩეხილ
შორენას სახეს.

თავთუხის თაველს კვლავ გესვრიან
ყაყაჩოებში,
მზე ნასიცხარი ისევ როკავს
სისხლისფერივით,
სვეტიცხოველი კვლავ შემოგვრჩა
ათასწლეულში,
უსიყვარულოდ ძეგლად ქმნილი
ამორძალივით.

წარუხოცელი სიყვარული ტაძრის
თან გაყვა,
სული მას მისცა შეუერთდა
ყაყაჩოთა ცრემლს,
წიწამურის ველს მოსდგომია
გლოვის თავშალა,
და ის ხოხობი სიცოცხლისთვის
ებრძვის ამ ღამეს.

თვალებში დარდი ჩადგომია ხეკორძულას
წყალს,
ქორსატეველას ჩასთვლემიათ
ბრძოლის ქიმერებს,
სიკვდილი წივის თან დაშანთულ
ტკივილს იამებს,
სისხლში ლაპლაპებს ჯალათი და
ხმლით ხსნის იარებს.

ათასწლეულნი ითარეშებს და
უკვდავება,
ღმერთის ტახტრევანს წარუდგება
ამ სვეტიცხოვლით,
ყაყაჩოებიც სისხლისფერი
კვლავ აყვავდება,
ისევ იტყვიან, ვინ აგაგო, ნეტავ
რა ხელით.

სვეტიცხოველი კვლავ დარჩება
ათასწლეულში,
უსიყვარულოდ ძეგლად ქმნილი
ამორძალივით....

თემო არაბული – ფილოლოგი
დაბადების ადგული – თელავი, თეთრწყლები

*

მე გუშინ ვკოცნიდი ენძელებს,
შენს ტუჩებს მტევანზე ვიბნევდი,
გზადაგზა რამდენი გეძებე,
რამდენჯერ დავკარგე იმედი.

იმედი პოვნის და გაფრენის,
რომ ღმერთებს ამბავსაც მიუტან,
ხან ლექსებს შენს ყელზე ვაბნევდი,
ხან ქარებს ვედექი ჯიუტად.

ზეცაზე ირმები დახტოდნენ,
ღამესაც მკვდარივით შესცივდა,
ნისლები მთვარესაც ათრობდნენ,
რომ მალე მისწყდესო ზეციდან.

ვამბობდით, ქუჩაში ქარი ჰქრის,
ფოთლებმა დაიწყეს თოვაო,
მე ვფიქრობ, ნეტავ თუ დამიცდის,
შენ ფიქრობ ნეტავ თუ მოვაო.

არ ვიცი საიდან მოფრინდი,
თვალებში შავ ვარდებს ვხედავდი,
მე გუშინ ენძლებს ვკოცნიდი,
მერე კი ყვავილებს ვკრეფავდი.

*

ღამე, გულის ცემა, მთვარიანი,
ცაცხვის ფოთლები და შენი კარი,
დილის ყვავილები,ნამიანი,
ღამის ლოცვასავით შეიკარი.

ჩემი გაღვიძება შენი ფერი,
ჩემი დაძინება, შენიანი,
შენს წილ სამყოფელში შეიფარე
რაფა, ფრინველების ენიანი.

შენი კანის ფერი, ფერი გულის.
შენი თვალის ფერი, გიშრიანი.
შენი ღიმილები შემიგროვე,
შენი ჩახუტება მიზიარე.

გმადლობ.ღამეების დაკვირვებით,
სულში ეგ სუნთქვები ჩამოდიან
ვამბობ გაზაფხული ყვავილები.
კაკლის ფესვებთანაც ამოდიან.

ღამე, გულის ცემა, მთვარიანი,
ცაცხვის ფოთლები და შენი კარი,
დილის ყვავილები,ნამიანი,
ღამის ლოცვასავით შეიკარი.

*

გიწერ ტკივილებს მიწა-მამულო,
მე... ერთი მსხვერპლი შენი ქარიზმის,
თავზე ის ზეცა არ დამახურო,
რომელშიც შენი სიო არ იძვრის.

გიწერ...
რომ ვნატრობ ვარსკვლავასხმული
მენახოს მთები... ამას და ამას,
რომელშიც მღერის ღრუბლის ასული
და ქარაშოტი უმშვენებს კაბას.

მთები დიადი, სამოთხის მხრები...
როგორ ღმერთული მზერით აშენეს.
ამოდის სხივი პატარძლის თმებში
და სადედოფლო ფატას ამშვენებს.

გიწერ, რომ ახლა არა ქნა ძილი,
უნდა მასწავლო შენი სინათლე,
რომ მთვარე, როგორც ლავიწზე მძივი,
საღამოობით ჭორფლებს გინათებს.

აგურს აგური. აგური აგურს,
სადაც ციოდეს, არვის აცივდეს,
რომ მობუბუნე არაგვის ხმაურს
წვიმის კლასიკა ჩამოამშვიდებს.

ხან ჭირს, რომ თავი უცხოდ გგონია,
რაღაც კარს თუმცა, სულ ყველა გიღებს,
მანდ წვიმა უკრავს ცისფერ როიალს
და ჩემს ბეჭებზე აკორდებს იღებს.

გწერ ! სიღრმეების ძახილს მამულო,
მე...ჩუმი მსხვერპლი შენი ქარიზმის,
თავზე ის ზეცა არ დამახურო,
რომელშიც შენი სიო არ იძვრის.

*

ღამეა...უსაშველო უძილობა,
და სიზმრებს ქარიშხალი მიწიოკებს,
ფანჯრიდან გამომწყრალი უყვიროდა
მოხუცი,მოჩხავილე მიკიოტებს.
-ბებიო,ცუდი იცის მაგ ჩხავილმა.
ქვე რაღაც ავიაო,დაწყევლილი.
და მერე რატომ ჰქონდა მასწავლიდა,
ხელები ნაოჭებით დასერილი.
-ვიარე,ვაბილიკე შავი გზები,
ქმარს და შვილს თეთრ სუდარა მივაფარე,
თავშლიდან ჩამოშლილი შავი თმები,
ადრინდელ ნაცრემლარებს მივადარე.
-ჩემ პატრონ შენ იქნებივ,გაიზრდებივ,
ქალაქში რომ წახოლთავ გაიგითავ,
მე მაშინ შავ მიწაში ჩავიდვები,
რომ მახოლთ ქვე ამაოლ აიქითავ.
მე ვეტყვი,-ეგ შავები წაიყარე,
(სახეზე გაღიმება შემოენთო,)
და მერე მეფერება,-გაიხარე
შენ დიდო იმედო და ჩემო ერთო.
-შენ როცა ცოლს მაიყვან ამ სახლ-კარში,
შენ შვილიც ერთად უნდა ვასეირნოთ,
ო ღმერთმა ნეტა მაგას მამასწვრას და
ჭრელებს მემრ ჩავიცომავ საზეიმოდ.
უფალი ტკბილ სიზმრებსაც მაგაწვდიდეს,
შენიდან ავსულები მიდიოდეს,
-შვილიშვილს ეძინების,ხმა გაწყვიტეთ!!!
ფანჯრიდან უწყრებოდა მიკიოტებს.

*

სად ხარ?
აისი სველ ხეებს აშრობს,
ამოდის მზე და იყოს საარი,
იმის თქმა მინდა რასაც ვერ ვამბობ
თორემ სათქმელის მეტი რა არის.

– ეგრე სად არის? სიცარიელე
რომ მოახდუნო სიტყვებს, იგავებს.
თუმცა ვერ უძლებს ამ ბარიერებს
ზოგი და ფიქრობს ასეც ივარგებს.

თუმცა ამ ზოგით არ შეგაწუხებ
წერა სხვაგვარი სტილით დავიწყე.
მზეო ამოდი !ნუ გაართულებ
და ეგ სხივები მხრებზე დამიწყე.

ამოდის მზე და იყოს საარი
დილა მკლავებში თუ ჩამეტია
სათქმელზე მეტი აბა რა არის!
ის რაც, სათქმელზე ბევრად მეტია.

იმღერე. ნახე დილის დავლური
ვერაფრით გატყდა წლამდე წლებიდან.
ამაყი, დინჯი და თავადური
კავკასიონი კულისებიდან
გიმზერს და თავის წითელი ფარდა
ისევ უხეში რიდით გასწია.
რა უთქმელი და უცხოა განცდა
როცა ეს მთები ტანზე გაცვია.
როცა ქვებიც კი გულიდან გათბობს,
გვირილებზე ხომ... სრული სიჩუმე.

იმის თქმა მინდა, რასაც ვერ ვამბობ
და ამ ლექსებით ცოტას ვიყუჩებ.

*

წარსული კაეშნად გროვდება,
მივნატრი შენს წარბებს, წამწამებს,
უმთოდ და უშენოდ ცხოვრება,
მაწამებს,
მაწამებს,
მაწამებს...
რამდენი ვიარე გოდებით,
რამდენი გეძებე, გზა და გზა,
ეს ჩვენი ცალ-ცალი გრძნობები,
გადარჩა,
გადარჩა,
გადარჩა...
და ასე დაცლილი სევდისგან,
ფურცლებზე ლექსებად ვიბნევი,
მეტი გზაც არ დამრჩა ბედისგან,
გიმღერი,
გიმღერი,
გიმღერი...
მოგტაცე მაგ თვალთა ფერები,
სიზმრებში ოცნებად ვინახავ,
ამ სიზმრებს ვეღაც მე ველევი,
მიყვარხარ,
მიყვარხარ,
მიყვარხარ...

*

არ მისცე წვიმას სიკვდილის ნება,
სველ კიბეებსაც სუნი აქვთ ხიბლის,
ცაზე კი შავი ღრუბლების კრება,
დგება და ფეხის ნაბიჯებს მითვლის.

არ მისცე სევდას აქ მოსვლის ნება,
რომ ყველაფერი ყელშია ისეც,
შენ არ გინახავს, რომ ღამით ჯდება,
ღმერთი ჩვენთან და ლოგინსაც გვირწევს

და მე არ მიკვირს,რომ ასე ხდება,
სხვაგვარად უნდა ტკივილს მოვთქვავდე...
არ მომცე ჩემო სიკვდილის ნება,
ჯერ მთელი დღეა ღმერთის მოსვლამდე.

*

თვითონ ვინა ვარ ის არ ვიცი... ვინ უნდა მყავდეს,
უნდა ვიჯდე და არსებობას ვჭამდე მთლიანად,
რომ ვერასოდეს მოვიპარავ თოვლისფერ ვარდებს,
ვერც თავს მოვიკლავ შენს სახლის წინ ვარდებიანად.

არ ღირს გაქცეულს გაეკიდო,ძალით იჭერდე,
სიცხით დაღლილი ისვენებდე უჩრდილო ხესთან,
უაზრობაა ჩემო თავო,ბედთან ჭიდილი,
უაზრობაა ჩემო თავო... ჭიდილი შენთან.

კედელზე ათას მოგონებას, აქა-იქ ვაკრავ,
მერე მოდიან სხეულები, ჩუმად ლანდავენ...
ვისაც ვპოულობ "ღმერთს ვფიცავარ",
არასდროს ვკარგავ,
მეჩვევიან და როგორც ასე... თვითონ მკარგავენ.

არ ვუბრუნდები არასოდეს დახურულ კარებს,
თუნდაც ვიჯდე და არსებობას ვჭამდე მთლიანად,
და ვეღარასდროს მოვიპარავ,თოვლისფერ ვარდებს,
რადგან წარსულში ვიმარხები...ვარდებიანად !...

*

შენ შეშლილ სამყაროს უყურებ თვალებით,
მე სიტყვებს ვაგროვებ და ვხდები თავნება,
და ჩემი პატარა ოთახის კარები,
მაგ შავი თვალების უფსკრულში მთავრდება.

მე გიწერ ლექსებს და არც თუ ბევრს ვსაუბრობ,
მოგეცი უფლება ალბათ რომ ვსუნთქავდე,
შენ მაძლევ ძალას, რომ უფრო მეტს გავუძლო,
ნებას მრთავ, ჩემს გარდა ვერავის უყვარდე.

შენ შეშლილ სამყაროს უყურებ თვალებით,
მე სიტყვებს ვაგროვებ და ვხდები თავნება,
და ჩემი პატარა ოთახის კარები,
შენს გულში შედის და სრულიად მთავრდება.

* ** **

ისევ უშენობის დეფიციტი,
ფიქრებს გაკიდული შენი თმები,
ახლა თუ არ მოხვალ გეფიცები,
მეც იმ გიჟებივით შევიშლები,
სადღაც საგიჟეთში რომ უყრიათ,
მხოლოდ თვალები აქვთ სევდიანი,
(მიწას ზერელოდ რომ მოუყრიან).
ანდაც ის რომ არის ეტლიანი,
მეც იმ მოხუცივით ვიხეიბრებ,
მალა დამაკლდება უშენობის,
ვეღარც პოეზიით იზეიმებ,
განცდა გეუფლება უმზეობის.
მალე! ჩემს მკლავებში ჩაისუნთქე,
ცემა გამაგონე მაგ გულისა,
ტანზე ოცნებები დაიხურე,
ლექსი დაგიწერე თქარუნისას -
წვიმის...
და ამ ლექსებით გავფრინდებით,
ღამეს ვარსკვლავები გვიამბობენ,
მეც იმ გიჟებივით გავგიჟდები,
ყველა ჭკვიანზე რომ ჭკვიანობენ.

*

ჩუმად იწყებენ ღამეში
ქარები ქალურ თამაშებს,
მოვა ქარი და წამებში
წამწამებს შეგითამაშებს.
თამაშ-თამაშში აჯერებ
საკუთარ თავს რომ მშვიდი ხარ,
ფანჯრებს კი მაინც აწერებ,
რომ ქარებისკენ მიდიხარ.

*

დილა, ყავა და როგორც ასეთი,
გაქვს ერთი ლექსი კიდევ მომდევნო,
ქოხი, თუთუნი, ძველი გაზეთი,
კარგა ხანია კვალში მომდევენ.
კარგა ხანია კვალში მომდევენ,
შენი თითები, თითები ნაზი,
მიყვარხარ, ხოდა დღესაც მოვედი,
რომ ამ სიყვარულს გავუსვა ხაზი.
ჩვეულებრივზე მაღალი ტონით
და ცვალებადი პოეტის თვალით,
ვყვირი იმას რომ, სრულიად მყოფნი.
-ბოლო კოცნები ვერ დავითვალე,
რადგან ციფრები უკვე მცირეა,
(გინდ ასე იყოს,და გინდა ისე).
მიყვარხარ, გიჟი... ასე მცინარი,
ვჯდები და შენი გულისას ვისმენ...
“მ.-ო.-დ.-ი.” ! ჩურჩულებს, და ეს ჩურჩული,
არის სხვაგვარად მეტი ძახილზე,
აი როგორ ვთქვა, -სუნთქვას მიჩერებს,
როგორც ყველაზე ტკბილი მახვილი.
მე,- როგორც დარი,ხან კი ქარივით.
შენ,- ყვავილი და ჩემი წყალობა,
და ყელით დამაქვს, -ასე ჯვარივით,
ჩემთვის ნათქვამი, შენი თანხმობა.

* *

ხო...უნდა გავგიჟდე და უკვე მოვრჩები,
უნდა ვთქვა რაც სულში ცეცხლივით მინთია,
ნუ მომკლავთ,არ მინდა..მე თვითონ მოვკვდები,
ეს გული ყველაზე დამპალი ნივთია.
და უნდა ვიყვირო,-ვერავინ წაგიყვანს,
შენს ქორწილს შევღებავ წითელი ფერებით,
თავადაც მისული,სიკვდილის ნაპირას,
თვალებზე გაკოცებ.ნასისხლი ხელებით.
თავს დასტრიალებენ შენს საქმროს მაყრები,
თავს ვიკლავ.ვრწმუნდები რომ ისიც მკვდარია,
შენ ლოყებს იხოკავ და კედლებს აწყდები,
ხვდები რომ რაც ხდება,სულ შენი ბრალია.
და ახლა კივილით ამინდებს აგიჟებ,
ელვა და ქუხილი,წვიმა და ქარია,
ლექსებით დაგატყობ,სისხლიან ნაბიჯებს,
გვიყვარდი???,გვიყვარდი...მე უფრო ძალიან.
ამ სულით გამთბარი,წამებში გამაზრეს,
(სამყარო ბოროტი და თანაც დიდია),
იმას, რაც ჩემია ვერავინ წამართმევს,
ბინძური მორალიც ფეხებზე მკიდია.

მე აღარ ვაპირებ უშენოდ სიცოცხლეს,
და შენთნ ერთადაც ვერავინ იცოცხლებს.

*

წარსული მაშინაც ბეჭებით მომქონდა,
მე და შენ შეხვედრის დაგვიდგა მომენტი,
შენ, როგორც ზეციდან მოსული გოგონა
მე, როგორც უბრალო ცოტათი პოეტი.
იმ ღამეს დაჭრილი ამინდი ბორგავდა
ხეებზე შრიალით დახტოდნენ ქარები,
შენ შავი თვალების მფლობელი გოგონა
და მე კი მუდმივად დახრილი თვალები.
ძნელია, რომ სიტყვებს ჩავუდგე მეძებრად,
ძნელია მთვარესაც დაუჭრა ვენები,
დრო მხოლოდ პოეტის საათზე ჩერდება
და მხოლოდ შეძლებენ პოეტის ხელები,
რომ გიგრძნონ...სამყარო სხვა ფერად განახონ,
რომ ლექსით გითხრან და ლექსებით იცნობდე,
შეძლებენ, რომ ყველა სიზმარში გატარონ
ნურვის ნუ ეტყვი, ეს შენთვის იცოდე,
და თუ კი შენამდე როგორღაც მოვედი
ამ წარსულს ვტოვებ და... ეს ლექსი მომქონდა
მე, როგორც უბრალო ცოტათი პოეტი,
შენ, როგორც ღმერთების ნახატი გოგონა.

*

ალბათ შენ ისევ ვარდებში გძინავს,
შენ ალბათ ითვლი ცაზე ვარსკვლავებს,
ჩემს სამყაროს და თვალებში ბინას,
ყვავილის სურნელს შემოაპარებს,

ქარი,რომელიც ქუჩაში დადის,
ქარი,რომელიც ფილტვებში ატანს,
რომელიც ზეცას თეთრ ღრუბელს გახდის,
სადაც მე ვიწყებ შემდგომში ხატვას.

და ვხატავ გოგოს ვარდებთან ერთად,
რომელიც ღიმილს ასე უხდება,
ვეტყვი,- მიყვარხარ ყველაზე მეტად,
მეც მიყვარხარო, დამიბრუნდება.

მივდივარ სადაც გრძნობენ მუსიკას,
და არ არქმევენ სიყვარულს წადილს,
მეუბნებიან,წადი თუ გიყვარს,
მეუბნებიან თუ გიყვარს... წადი.

გზაზე უკრავენ ჩემეულ ნოტებს,
და პოეტები დადიან ლოცვით,
ხიდან მოწყვეტილ ოქროსფერ ფოთლებს
ვაგროვებ,მერე სარჩევში ვკოცნი.

სადაც შენს ლექსებს მიჰყავთ "პარადი",
არც კითხულობენ, მინდა – არ მინდა,
მე სულმთელ ვარსკვლავს მოვიპარავდი,
შენ დაგხატავდი ყველას მაგივრად.

ზეცა ვითხოვე, ერთადერთ ღმერთთან,
სადაც ჩემს ფოქრებს თამამად გავშლი
და ვხატავ გოგოს ვარდებთან ერთად,
ვხატავ წვიმაში და ვხატავ ქარში.

*

ჩემს ქალბატონს შავი ფერის თვალები აქვს,
სადაც ჩემი ცერა თითი შევაჩვიე,
ჩემს ბეჭებში მოხუტება ჰყვარებია,
არეულმა ამინდებმაც შეამჩნიეს...

მე კი ძალზე მყვარებია მისი კოცნა,
სურნელება....ყვავილები, გაზაფხულის),
ვეპარები წამწამებთან სძინავს როცა.
როს ღმერთების სიზმრებშია გაპარული.

ჩემს ქალბატონს ვუწერ ლექსებს უმეტესად,
შეუძლია აბა სხვა რა ღარიბ "პოეტს",
დღესაც უნდა დამეწერა უეჭვალედ,
წაიკითხავს და ღიმილით დაიტოვებს.

მისი თმები. თვალებივით შავი გახლავთ,
როგორც ხევში მიწოლილი ფერი ღამის,
მთვარეც თითქოს მის წყვდიადში ჩაიკარგა,
და მის სხეულს ანათებდა მთელი ღამე...

ჩემს ქალბატონს, აქვს ამაყი ხასიათი,
უმეტესად ყველა ქალზე ჯიუტია.
დაწერისას დამეწია განთიადი,
ამ ღამესაც გათენება მივუტევე.

ჩემს ქალბატონს ვერ ვუთხარი რამე მსგავსი,
რომ მკერდიდან ამოგლეჯილ ჩემს გულს ჰგავდეს...
ვარსკვლავები მის წამწამებს დაემსგავსნენ...
მათზე ძლიერ რაღა უნდა შემიყვარდეს...

ჩემს ქალბატონს შავი ფერის თვალები აქვს,
არეული ამინდები... ხასიათი...
ჩემს ბეჭებთან მოხუტება ჰყვარებია,
მე კი მასთან უკვე ყველა განთიადი....

*

მელანდები-ლანდების-მოლანდებულ-ლანდებად,
მეფიქრება-ფიქრების-ნაფიქრები-ფიქრები,
მალე ჩემი ოცნება, ჰაერივით გაქრება,
მალე ჩემი ოთახის ანაბარა ვიქნები.
მესიზმრება-სიზმრების-ნასიზმრები-სიზმარი,
ნაამბობი-ამბების, ახალ ამბად-ამბობა,
ყველაფერი გამომრჩა,ვერაფერი გითხარი,
თოვდა,თოვლის ფანტელით,ბგერა,ბგერებს ათოვდა.
ლიმნიანი ჩაი და ბანალური ლექსები,
დაწერილი სტროფების დასაწვავად მზადება,
ძლივს,წამებით ასული,მეცხრე ციდან ვეშვები,
ფსკერზე მისაგებებლად ცხელი მიწა მზადდება.
სისხლიანი თვალების,ჩასისხლული ფერები,
საარსებო ხაზების ხელის გულზე შეწყვეტა,
ბედის ბეწვისხიდივით,გადამწყდარი ნერვები,
სულყველაფერ საერთოს,არაფერი ემთხვევა.
მელანდები-ლანდების-მოლანდებულ-ლანდებად,
მეფიქრება-ფიქრების-ნაფიქრები-ფიქრები,
კაბადონი ვარსკვლავებს აკვანივით არწევდა,
და მე ჩემი კოშმარის,ანაბარა ვიქნები.

*

არ მეყო იმ ღამის წუთები სრულიად,
არ მეყო არც ერთი წამი და საათი,
თუ შენსკენ სავალი კვლავ დანისლულია
ამ თითებს ალერსი რაღატომ წაართვი.
შენს სხეულს ამ გულში გადმოკრულს ამინდად,
წავართვი სულყველა დარი და ავდარი,
ახლა კი ვფიქრობ რომ საერთოდ არ მინდა,
რომ სადმე ვიპოვო მაგ თვალთა სადარი.
არ მინდა...არც არის ჩურჩულით ჩამძახეს,
რომ შენნაირები სულ ერთხელ მოდიან,
მე ყველა ოცნება ტანიდან გამხადეს,
და ახლა ბგერებიც აღარა მყოფნიან....
რომ გითხრა მიყ... და ვარხარ-ს კი ვერ ვამბობ
(არადა ამ გულზე საჩემოდ მაზიხარ,)
სიყვარულს ლექსებით რომ ვეღარ შევალბობ,
ბაგეებს დავკოცნი და გეტყვი,,, მაჩნიხარ.

*

ვხედავ წინ მიყრია ყველაფერი,
ხოდა წასასვლელად გავემართე,
დაღლამ ვერ დამაკლო ვერაფერი,
რადგან თვითონ დაღლას დავემართე.

ბედი შავ ბილიკებს მთავაზობდა,
და მეც არ ვაპირებ უარყოფას,
ვერას ვერ დამაკლებს ავადობა,
თვითონ დავემართე ცუდად ყოფნას.

გული რამდენ ფიქრებს შეაქუჩებს,
იტყვის "არ შევიმჩნევ უმისობას",
ვეღარც უძილობა შემაწუხებს,
თვოთონ დავემართე უძილობას.

ჩემში ცდა მოუწყე ძალა-ღონეს,
სისხლში მამა-პაპა იყივლებდა,
ვეღარც ტკივილები დამაღონებს,
თვითონ ამიტკიეს ტკივილებმა.

შავი ღამისთვისაც დავიცდიდი,
ფეხზე რომ მეკიდა უმზეობა,
აღარც უშენობას განვიცდიდი,
თვითონ განმიცდიდა უშენობა.

ხევი მთებს ნაჭრელას აკერებსო,
(ნისლმა,კლდეთ საბნებად მიხურვილმა)
მძულდეს??? არასოდეს არ შემეძლო,
თვითონ შემიძულა სიძულვილმა.

ვხედავ წინ მიყრია ყველაფერი,
ხოდა წასასვლელად გავემართე,
დაღლამ ვერ დამაკლო ვერაფერი,
რადგან თვითონ დაღლას დავემართე.

*

ურცხვმა დროებამ დაგიკოჟრა პაპი ხელები
ჯოხს დაჩვეული აჰყვები და ჩაჰყვები ფარას,
სუნთქავ მაგ მთებით,კლდეებით და ცივი ხევებით
მოზამთრდება და ჩამოუვლი ნაცრისფერ ქალაქს.
ხო არ მიბერდები,შეგერია პაპი სითეთრე,
შენს თმაში ზამთარს გამოუჩნდა თოვის წადილი,
პაპი...მანდ მინდა ამ ქალაქში ვერც მე ვისვენებ,
რომ ვცდილობთ ხოლმე,არ გვეპაროს ცხვარში ნადირი.
ჩამოვსხდებოდით გახურებულ ღუმელთან ღამით,
მე წელის ალბათ შვიდისა...და კიდევ ხუთისა,
როგორ გისმენდი,როგორ მახსოვს არ იცი პაპი,
რომ მიყვებოდი მხედრობისას,ხანაც ჩხუბისას.
პაპი...ამის წინ ათენგენის მეორე დილას,
"პახმელიაზეც"გამოვედით,მარტო მე და შენ,
სადღეგრძელოებს შენ ამბობდი,მე ვავსებ ჭიქებს,
ბებო გებძოდა...ჩურჩულებდი, -ქალო ნეტა შენ...
პაპი...მა დღესაც ოხ რამდენი რამე მიამბე,
(მერე საძილედ,შავი ფერის ნაბადს მივიშლით),
პაპი...გავიგე რომ გითქვია ამას წინაზე,
-კაც დადგაო და მომეწია უკვე შვილიშვილ.
ხომ მასწავლიდი,ჯირითსა და ჭენებას ცხენის,
პაპი...მე მაშინ პატარა და შენც...ცოტა დიდი,
ახლა თვალებთან ჩამოგაწვა,ცრემლები ბერის,
პაპი...როგორი სითბოთი და სიამით მზრდიდი.
ხო არ მობერდები...პაპი რაად იტკიებ ფეხებს,
მაგ ტკივილებსაც ვერ ავიტან უფრი ძალიან,
პაპი...ვენაცვლე შენს დაკოჟრილ,ნაშრომალ ხელებს,
ეგ ნაოჭებიც...უნამუსო დროის ბრალია..

ეკა ნადირაშვილი – ისტორიკოსი
დაბადების ადგილი – სურამი.

მენატრება ჩემი ქვეყნის მთა და მდელო

მენატრება ჩემი ქვეყნის მთა და მდელო,
ცა კამკამა, როგორც უფლის კვართი,
უცხო მიწას დავაბიჯებ, საფერებლად
მშობლიური მიწა დამაქვს ჩანთით.

ვინძლო ბედმა გზად მიმუხთლოს, დღე ჩამიქრეს,
არ ვინაღვლებ მე საკუთარ ბედზე,
ბოლო სულის ამსვლამდე მაინც შევძლებ,
მისხალ-მისხალ მიმოვიბნევ მკერდზე....

მენატრება მშობლიური კუთხე, კერა,
ის ბავშვობა უდარდელი, ლაღი..
ის ბავშვური სიცელქე და გულწრფელობა
და უღრუბლო ჩემი ზეცის თაღი....

და ძილის წინ დედის ტკბილი იავნანა,
საოცნებოდ რომ მესმოდა ყურში,
მშობლის ზრუნვა და ალერსი მენატრება,
უკან დარჩა, ის რაც იყო გუშინ...

მენატრება ჩემი ქვეყნის მთა და მდელო,
ცა კამკამა, როგორც უფლის კვართი,
უცხო მიწას დავაბიჯებ, საფერებლად
მშობლიური მიწა დამაქვს ჩანთით.

* * *

შევყურებ პარნასს, – შორეულ სივრცეს...
ვესაუბრები თვით ღმერთ აპოლონს
და ვთხოვ ჩემს მუზას, ჩემ შემოქმედელს
მესტუმროს მალე, – არ მიღალატოს...

მუდამ მახარებს მისი სტუმრობა,
მისი გრძნეული ეშხი და ალი...
მაშინ ვიმარჯვებ ქაღალდს და კალამს
გრძნეულ სტრიქონებს ვწერ მუზით მთვრალი...

სულ სხვა ფერებში ვხედავ სამყაროს, –
მიწასაც, წყალსაც, ცას უკიდეგანოს...
აზრთა ჭიდილში დრო ისე გადის,
დილის რიჟრაჟსაც თითქოს ვერა ვგრძნობ...

გავცქერ ოლიმპოს, ღმერთების ღმერთს
და შევცქერი პარნასს და თვით აპოლონს...
შევთხოვ ჩემს მუზას, ჩემ შემოქმედელს, –
იყოს მარადჟამს, – მუდამ მესტუმროს!

მეგობრობას

უანგარო მეგობრობის ტრფიალი მკლავს,
ბევრს კი ვიცნობ ანგარება სუფევს მასში,
მე ამ ლექსით ვეტყვი ახლა იმ მეგობარს,
ნუ გაყიდის ერთგულებას ვერცხლის ფასში.

მიყვარს, ვეტრფი ჰო ჩემს გულსაც ვანაცვალებ,
მეგობრობის სადღეგრძელოს ყანწით დავცლი,
თამადობას დავიჩემებ ამ სუფრაზე,
ჩემს სიცოცხლეს დაემუქრონ თუნდაც საფრთხით.

უანგარო მეგობრობას თაყვანსა ვცემ,
ქედს მოვუხრი, მუხლს მოვუყრი, ერთგულებას,
მე ამ გულით ჩემს თავს მართლა ვნაცვალებ,
ჩავიხუტებ მეგობრობის ნამდვილ გრძნობას.

* * *

ულმობელმა ავბედითმა ჟამმა
მოგაშორათ მშობელ დედას, მიწას, –
ეროვნება, რჯული შეგიცვალათ
იავნანაც დარჩა სადღაც მიღმა...

ასე იყო ავბედითი წლები...
სამწუხაროდ, ასე არის ახლაც, –
სად არ ნახავ ქართველს საზღვრებს გარეთ...
სად არ ნახავ ქართველ დედას მართლაც...

ნატრობს შვილის...შვილიშვილის ნახვას
და ამ ნატვრას შრომა-ჯაფა ფარავს...
ასე მისდევს დღეს დღე, თვეს თვე, წელი...
ბევრის ნატვრა თითქმის სულსა ღაფავს...

მაგრამ ქართველს გენებში აქვს ბრძოლა...
მშობლიური ქვეყნის სიყვარული
ვერ ჩაახშობს უცხო მიწის ძრწოლა...
მხოლოდ უტყვი, ჩუმი სინანული...

სისხლის ყივილი, მიწის ძახილი,
ჭეშმარიტ ქართველს მუდამ თან ახლავს,
გმირთა სიქველე, საძვლე წინაპრის,
იმედს აძლევს და რწმენას არ ჰკარგავს...

სინანული კი უტყვი და ჩუმი
არის ქვეყნის და საკუთარ თავის...
რად უნდა მოსწყდე საკუთარ მიწას?
და სხვაგან ჰკეცო დღეები შავი?!

აქ ისმის კითხვა რიტორიკული
და არამარტო, თანაც გრძნეული, –
რა უნდა ქართველს სამშობლოს გარეთ?
დედას, მეუღლეს,
პატრონს ქმარ-შვილის?!.

მონატრება

ისე, მომანატრა შენი თავი უცნაურ დილამ
ისე, მომეძალა სიყვარული გულის დამწველი,
ისე, აკიაფდა დილიდანვე შენი სახება,
როგორც კანდელში ჩაუმქრალი წმინდა სანთელი...

თვალები გეძებს და გსაკლისობ ობოლ ბავშვივით,
მთვარის შუქზეც კი მიძებნიხარ... დამთენებია,
მაინც დაგეძებ...მაინც დაგეძებ, არ ვკარგავ იმედს
და ოცნებებში კადრს ვაჩერებ მონატრებისას.

თვალის ცეცებით გეძებ, მაგრამ არსად არ ჩანხარ...
და როგორც მწყურვალს... ისე მომწყურდი... იმგვარად გელი, –
ალუბლის ხესთან გელოდები...გახსოვს? წყაროსთან...
და წყლის რაკრაკი შენს ხმად მესმის... სიყვარულს მიხსნის...

ისე, მომანატრა შენი თავი უცნაურ დილამ.

* * *

ოჰ მერამდენედ ჩამოჰკრა ზარმა,
დედას ცრემლები დასდის მდინარედ,
ოჰ, მერამდენემ ძაძი ჩაიცვა
თვალს დაკარგვია სულ მთლად სინათლე.

ვიბრძოლე შვილო, ბევრი ვიბრძოლე
და შენს სიცოცხლეს ვუდექ დარაჯად...
მაგრამ სიკვდილთან გავხდი უძლური,
ჩემმა სიცოცხლემ აზრი დაკარგა..

ირგვლივ ღამეა წყვდიადი მეფობს...
რა ვქნა, რომ მთვარეც გზას ვერ მინათებს,
იქნებ მოხვიდე სიზმარში მაინც,
მისთვის ვილოცებ დღესა თუ ღამეს.

დღე გამითენდა ღამის ტოლფასით
ამის იქითაც ასე იქნება,
დაველოდები იმ წუთს სანატრელს,–
მე იმიერში შენთან შეხვედრას....

* * *

ცამ მოიწმინდა
ცრემლები მწველი,
ცისფერი თვალით,
უმზერის არეს.
ამოიწვერა, მზე
ოქროს ქოჩრით,
ნატიფ სხივებით
ცრემლს უშრობს
ვარდებს.
საამურ ხმაზე
ჭიკჭიკი ჩიტის
ყვავილების ბაღს
ათბობს და ავსებს.
დღის გათენება
გვაცნო გუგულმა
და მზეც მიღიმს,
– ფანჯარას ვაღებ...
ცამ მოიწმინდა
ცრემლები მწველი..
ბედნიერება
მე თავბრუს მახვევს...

* * *

სიძულვილისთვის არ მაქვს ადგილი,
სიყვარულია ჩემ სულში მუდამ,
დავთეს-მოვაბნევ სიკეთის მარცვლებს
და სიხარულით ავივსებ გულსაც.

ხელგაშლილობა სიხარულს მმატებს,
სიკეთე ჩემ სულს დარაჯად უდგას.
ავედევნები მზის ათინათებს,
და მზის სხივები გამითბობს გულსაც.

ღვარძლი ამ გულს კი ვერ მიეკარა,
რადგან სიყვარულს დაუდევს ბინა,
მადლით მოსილი ეს ჩემი გული,
მტერსაც მოყვრულად უღებს გულის კარს.

* * *

რა დარდანელი, ანდა ბოსფორი?..
ულამაზესი „ოქროს რქის ყურე“?
მიდის ბორანი მრუმე სივრცეში..
უკიდეგანო სივრცის შემყურე...

ზღვა მიაქანებს დატვირთულ ბორანს.
აღარ მოისმის მგზავრთა ჩოჩქოლი...
და სიჩუმეში... ანაზდად ისმის
ნაცნობი სიტყვის ამოძახილი...

ნუთუ? საიდან? საიდან სადა?
ეს მშობლიური ქართული სიტყვა?
ნუთუ, მომესმა? ნუთუ ჩამესმა?
ანაზდად ჩემს თავს დავუსვი კითხვა...

ამ უცხო მხარეს ქართული მესმის.
ნუთუ ცხადია და სინამდვილე?
მშობლიური ხმა ისე მომესმა,
მელოდიური, ვით ჰიმნი ლილე...

გაცნობის წყურვილს ვეღარ ვიოკებ,
სიხარულისგან გონი მერევა...
ქალი შევნიშნე ულამაზესი, –
ტანით ალვის ხეს რომ ედარება.

თვალში მაყვალი ჩაჰბუდებია,
მხრებს კი უმშვენებს დალალი გიშრის,
თვალში ჩავხედე, ნაღველი მეცნო, –
ყოველდღიური დარდის და ფიქრის...

მერამდენეა, თვლა აღარა ააქვს,
რამდენის თვალში ჩამქრალა სხივი.
ქართველი ქალი, ვით ემიგრანტი...
გაუწირია ცხოვრების ჭიდილს

გადავეხვიე, ჩავიკარ გულში...
ნეტარ არიან ხვიჩა და გოჩა...
უცხო მიწაზე გადახვეწილთა
ყოფნა დამთავრდეს! დამთავრდეს!
მორჩა...

* * *

უეცრად ვიგრძენი,
სულმა დამტოვა
და ბუმბულივით მსუბუქი
ნელ –ნელა ზეცისკენ მიქრის..
ხედავს სხვა სამყაროს,
ხედები იშლება..
მორთულ– მოკაზმული ედემის....
იქ სადაც არ მტრობენ,
და არცა შუღლია,
მხოლოდ, სიყვარული
მეფობს....
ლამაზ წალკოტში
თავბრუ გეხვევა,
მოხიბლული ხარ ერთობ...
ჩიტების ჭიკჭიკი
და შაშვის გალობა,
ჩაგესმის სიმღერად ყურში..
მეჯლისი გაუმართავთ
ფერიებს საოცნებო–
გალობს სერაფიმთა გუნდი..
ცდილობ ეს ღამე, რომ
სწრაფად არ გათენდეს
და ეს ზმანება არ გაქრეს,
ჰოი საოცრებავ, დამთენებია,–
მამლების ყივილმა

შენ მზე ხარ ჩემთვის

შენ მზე ხარ ჩემთვის ხან და ხან ისე გამოანათებ,
ხან კი დაგჯაბნის ღრუბელი და გშთანთქავს მთლიანად,
ხან წერილს მომწერ, ფერად,ფერად, მაყრი ბარათებს,
ხან დადუმდები და ამ გულსაც ისე მიღარავ.

ხან არწივივით დამიფარავ ძლიერი ფრთებით,
ხან კი შეხვედრას გაურბიხარ მიზეზს მითარჯავ.
ოჰ, როგორ მინდა დღე გათენდეს ციებ ცხელების
და სიყვარულმა გადმოჩქეფოს ჩანჩქერის მსგავსად..

შენ მზე ხარ ჩემთვის, ხან და ხან ისე გამოანათებ,
ხან ვარსკვლავი ხარ, წყვდიად ცაზე მიმობნეული.
ხანც ვარდი ხარ ოჰ სურნელებას რა რიგად აფრქვევ,
ხან კი ამ გულის “დარდი მანდი,, და უნდობელი.

მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ

...და ნუთუ, მართლა დაგავიწყდა ის პაემანი––
იმ ხეივანთან თვალი მკიდე, მე კი ვიმორცხვე,
მესროლე მზერა, იმ მზერით კი ისე დამჭერი, –
დღესაც იარა გახსნილი მაქვს, ვეღარ ვიხორცებ...

არ მითხრა ახლა, რომ სრულიად არ გედარდები...
რაც იყო ჩვენში, ყველაფერი ქარს გაატანე...
ნუთუ სხვას ეტრფი, ამიტომაც არ გენაღვლები,
არა, არ მჯერა!.. ––თუმცა ფიქრი დღემდე მაწამებს...

იმ ხეივანთან გელოდები... ვიცი, რომ მოხვალ!
და შენ გახდები ჩემი გულის ფიქრის თამადა,
ისევ მომიტან გვირილების ლამაზ გვირგვინებს,
და შენი ხელით სიყვარულით თავზე დამადგამ...

ნუ მოიწყენ

ნუ მოიწყენ, თორემ გული მეტკინება, –
შენ სახეს ხომ ღიმილები უხდება?
არ დაღონდე, თორემ მეც რა მეშველება?!
ეგ მოწყენა მეც ხომ გადამედება.

გაიღიმე ეგ ღიმილი საოცარს გხდის,
გზას მინათებს, შთაგონების წყაროა...
მაგ თვალებში ვარსკვლავები დააკვესე
და სულშიც მზე თავისთავად შემოვა.

გამიღიმე დარდს და სევდას ნუ აჰყვები...
ვერ გიყურებ, არ გიხდება მოწყენა.
მე ხომ ვხვდები, თუ რატომაც მოიწყინე?
გაკოცებ და ყველა წყენაც გაქრება.

ნუ მოიწყენ თორემ გული მეტკინება..

ჩემო სამშობლოვ გამოიღვიძე

სად გაქრა, ქართველის
რკინის აბჯარი,
მომხვდურ მტერს
შიშის თავზარს,
რომ სცემდა,
სად ჩაქრა ქართველის
მამაცი სული,
ვეჭვობ, აღათას,
ღრმა ძილით სძინავს..
გამოიღვიძე
ერო და ბერო,
ძილის დრო მართლა
არა გვაქვს ახლა,
მიწა წაგვწიწკნეს,
დაგვანაწევრეს,
ჰესსაც ითვისებს
მომხვდური ახლა.
გთხოვთ გამოვფხიზლდეთ
და შევიყვაროთ,
ხელი ჩავკიდოთ
ერთმანეთს მყარად,
მტრობა, შუღლი კი
გადავივიწყოთ,
მტერს მტრულად
დავხვდეთ ის
დროა ახლა.

ეს ჩემეული ფანტაზიაა..

დღეს ზღვის ტალღები ო, რა ნაზად მეალერსება,
ლურჯი თვალების მზერა სადღაც გამინაპირებს,
მზე გადმომცქერის სხივებს მაბნევს გულს ეამება,
ტალღამ იეჭვა, გახელდა და ებრძვის ნაპირებს.

უცებ სურვილი ამოვიცან, დავნებდი თითქოს,
გრძნობა აშლილმა სატრფოს ვანდე ეს ჩემი ბედი....
ხო, გამიტაცა წამიყვანა და შორს წამიღო
და მეფეს, როგორც დედოფალი ისე დავნებდი....

დღეს ზღვის ტალღებმა ძველებურად მომიალერსა
და როგორც სატრფო ამიჟღერა ტრფობის ჰანგები,
თავისად მჩემობს, მეც ვნებდები სიტყვის უთქმელად,
ლურჯი თვალები ეშხით მხიბლავს, მაბნევს და ვთვრები....

* * *

ნიავი ნაზად ეამბორება,
ამ ულამაზეს მთას და მდელოებს,
და სულის სიმებს ისე ეხება,
როგორც ტკბილ ხმაზე ლერწმის ღეროებს.

მოსაფერებლად დაძვრება თმებში
და გულში ფიქრებს კვლავ ააცეტებს,
მერე კი მეჯლისს გამართავს მთებში
და მზის მწველ სხივებს გამოიცეკვებს.

დაჰბერავს სიო თავბრუ დამხვევი,
მიეახლება ბაღნარებს ნაზად,
მიუალერსებს წითელ ყაყაჩოს,
დაეფინება გულს ფიანდაზად.

სიო ნავარდობს თავის მომწონედ,
ზღვა და ხმელეთი რომ შეაჯეროს
და მივიწყებულ სიყვარულს უნდა,
სული ჩაჰბეროს და აამღეოს.

როცა არ ვიქნები

როგორი გაზაფხული მოვა?
მე რომ არ ვიქნები მაშინ ?
როგორ დაეწყება თოვა
ნუშის ულამაზეს ყვავილს...
როგორ აფეთქდება კვირტი,
სურნელს საკმეველი აკმევს
და ჩემს თიხად ქცეულ სხეულს
გულზე თეთრ ხალიჩას დაჰფენს.
ნეტავ, სად ვიქნები ამ დროს?
ალბათ, მოვფრინდები მერცხლად,
ბუდეს გავიკეთებ სახლში,
ისევ ვიჭიკჭიკებ თქვენთან.
როცა ამ ქვეყნიდან წავალ,
როცა გამეყრება სული,
როგორ გადავლახავ საზვერს,
ადგილს სად მიმიჩენს ღმერთი...
მე, კი იმედი მაქვს მართლა,
გული სიკეთით მაქვს სავსე,
სული აფრინდება ზეცას,
მჯერა, იქ აანთებს სანთლებს...

* * *

მუქი წაბლისფერი თმებით,
გიშრის თვალთა ელვარებით,
მოდის ქალი, მოაქვს ვნება
სინაზით, თან ნარნარებით...

თვალის ერთი მოკვრაც კმარა,
მოინუსხო ვნების ალით...
მოდის ქალი ქვეყნის თვალი
და შეჰყურებ როგორც მთვრალი...

და შეჰყურებ როგორც მთვრალი
არცა ღვინით, არც თრიაქით...
გულში ალცეცხლმოდებული –
სიყვარულით გამსჭვალული...

სურამში დარჩა ჩემი ბავშვობა

მიყვარხართ სურამლებო.

სურამში დამრჩა ჩემი ბავშვობა.
და მოგონებებს არა აქვს ზღვარი
ისე მენატრება ის ლამაზი დრო
და ის გოგონა ლოყებმწღაზარი

მინდა მოგონებებს, რომ მივუალერსო
გახსენებათა გავშალო დავთარი...
ალბათ, პირველად, ის გამახსენდება..
რომ ვციგაობდით მთელი ზამთარი.

სულ თვალწინ მიდგას ლამაზი გოგონა, –
თეთრი ბაბთით და გიშრისფერ კულულით...
თვალებციმციმა ართობდა მეგობრებს
ხან ყიჟინით და ხან კიდევ ჩურჩულით.

დილიდან გასული ლაღობდა, ანცობდა...
დაჰქროდა ველ-მინდვრად, აღტაცებული.
მისი კისკისი სად აღარ ისმოდა, –
და ბევრი შესცქერდა მას გაოცებული...

დაწნავდა მინდორში ლამაზ თაიგულებს
კვლავ ჩამოურბენდა მინდვრებს და ველებს
და სახლში მისული დაღლილ-დაქანცული
დედიკოს უწვდიდა თაიგულიან ხელებს...

ჰო, მაგონდება ჩემი ბავშვობა
და... მახსენდება ჩემი სურამი...

გულო იყუჩე ნუ აღელდები

გულო იყუჩე ნუ აღელდები,
ნიავს გავატან შენს ტკივილს უცებ.
ვარდის ფურცლებით მოგირთავ ოთახს,
თბილ პლედში გაგხვევ და გაგაოცებ.
სულს მოეხვევია ოჰ ეს დარდები,
მგოსანი თავის ლექსებით ართობს.
გულო მე მხედავ!?.. ნუგეში მოველ,
რითმებით სევდა რომ გაგიფანტო.
ამ გულს ტკივილი დავიწყებია,
განცხრომაშია სიყვარულს ეტრფის.
ცასაც ღრუბლები გადაუყრია,
თვალს კი ციმციმი ვარსკვლავის შვენის.
გულო იყუჩე ნუ აღელდები,
ნიავს გავატან შენ ტკივილს უცებ.
ვარდის ფურცლებით მოგირთავ ოთახს,
თბილ პლედში გაგხვევ და გაგაოცებ..

* * *

ეს ლექსი კი ჩემს საყვარელ მამიკოს ჩემგან..

მწუხარებამ დამიარა მთელ სხეულში,
სული ტკივილს ვეღარ უძლებს დამელია.
უშენობამ გამიარა სისხლით გულში,
პულსსაც უკვე მართლა ვერ ვგრძნობ გამელია.

მამი მე დღეს განმიახლდა მონატრება,
წარსულისკენ გადამკარგა ფიქრმა უცებ.
ფურცვლას მიჰყო ოცნებებმა თავის ხელი,
და კადრები ტვალწინ უცებ გამოფინეს.

ოჰ, როგორ ტკენს უშენობა ჩემს სამყაროს,
ოჰ, რამდენჯერ ცოცხლად გნახო მინატრია.
უშენობას ვეღარ უძლებს ჩემი გული,
უშენობა ჩემს სულს მართლა დატყობია.

მამი მე დღეს განმიახლდა ტკივილები..

სიყვარულის დღეს გილოცავთ მეგობრებო, წრფელი და ერთგული სიყვარულით გეცხოვროთ ღრმა სიბერემდე!

*

შენკენ ქარივით მოვისწრაფი
ღია დამიტოვე გულის კარი,
უეცრად თვალებს მოგარიდებ...
გამოჩნდი, სულზე მომისწარი.

ერთხელ გამოგიტყდი სიყვარულში,
დღემდე გრძნობას გულით დავატარებ,
ის რაც ჩვენ შორის იყო, არის,
დავიწყებას ვერ გავატანე...

ოჰ,სიყვარული არ მასვენებს,
გულში ნაპერწკლებად რომ ინთება,
სულში სიმს რომ არხევს სიო ნაზად,
შენს გარდა ვერავინ მიმიხვდება...

ერთხელ გამოგიტყდი სიყვარულში,
ღია დამიტოვე გულის კარი,
უეცრად თვალებს მოგარიდებ...
გამოჩნდა, სულზე მომისწარი.

ვერ გხედავ სადა ხარ

ვერ გხედავ, სად ხარ, – ვაცეცებ თვალებს
და ცრემლები წვიმად მდის,
მისველებს წამწამებს,
და მაინც იმედით გავყურებ მე იმ გზას,
ტირიფის ხესთან რომ პირველად
დაგლანდე...

ფიქრები ერთმანეთს ოჰ, როგორ ებრძვიან,
წარსული მილეწავს მე სულის დარაბებს, –
ნახვის იმედი სულ გადამეწურა,
მაინც გელოდები იმ ხესთან ახლა მე...

იმედის მარცვალიც არ შერჩა ამ თავთავს,
რა ვქნა? რა ვიფიქრო, – ნუთუ,
სხვა მანაცვალე?
გაქერი უკვალოდ, – სადა ხარ? სადა ხარ!
იქნებ და... მართლაც და
სულ სხვაში გამცვალე?!.

და თუ ეს ასეა, სადა გაქვს კაცობა?!
რითაც მე მომხიბლე და სხვაც მოაჯადოვე?!.
ცრემლები აღარ მდის და არც გზას გავცქერი,
უღირსი ყოფილხარ... ასეთად დაგტოვებ!

ფიქრები ერთმანეთს ოჰ, როგორ ებრძვიან,
წარსული მილეწავს მე სულის დარაბებს, –
ვაითუ, ვცდები და ეს მხოლოდ ეჭვია?!
ეჭვია, რომელიც თან ახლავს ამ განცდებს?!

და მაინც მჯერა მე შენი კაცობის!
ცრემლები წვიმად მდის, მისველებს წამწამებს,
და მაინც იმედით გავყურებ მე იმ გზას,
ტირიფის ხესთან რომ პირველად დაგლანდე...

და მაინც მჯერა მე შენი კაცობის!

* * *

ვერ გხედავ, სადა ხარ, – ვაცეცებ თვალებს და
ცრემლები წვიმად მდის, მისველებს წამწამებს,
და მაინც იმედით გავყურებ მე იმ გზას,
ტირიფის ხესთან რომ პირველად დაგლანდე...

ფიქრები ერთმანეთს ოჰ, როგორ ებრძვიან,
წარსული მილეწავს მე სულის დარაბებს, –
ნახვის იმედი სულ გადამეწურა,
მაინც გელოდები იმ ხესთან ახლა მე...

იმედის მარცვალიც არ შერჩა ამ თავთავს,
რა ვქნა? რა ვიფიქრო, – ნუთუ, სხვა მანაცვალე?
გაქერი უკვალოდ, – სადა ხარ? სადა ხარ!
იქნებ და... მართლაც და სულ სხვაში გამცვალე?!.

და თუ ეს ასეა, სადა გაქვს კაცობა?!
რითაც მე მომხიბლე და სხვაც მოაჯადოვე?!.
ცრემლები აღარ მდის და არც გზას გავცქერი, –
უღირსი ყოფილხარ... ასეთად დაგტოვებ!

ფიქრები ერთმანეთს ოჰ, როგორ ებრძვიან,
წარსული მილეწავს მე სულის დარაბებს, –
ვაითუ, ვცდები და ეს მხოლოდ ეჭვია?!
ეჭვია, რომელიც თან ახლავს ამ განცდებს?!

და მაინც მჯერა მე შენი კაცობის!
ცრემლები წვიმად მდის, მისველებს წამწამებს,
და მაინც იმედით გავყურებ მე იმ გზას,
ტირიფის ხესთან რომ პირველად დაგლანდე...

და მაინც მჯერა მე შენი კაცობის!

ზურაბ მამულაშვილი – პოეტი
დაბადების ადგილი – თბილისი

გოგონა ჩითის კაბაში

მზე ერთნაირად ამოდის
სოფელშიცა და ქალაქშიც,
სახლიდან აღარ გამოდის
გოგონა ჩითის კაბაში.

ყველას შარვალი აცვია
სამსახურში თუ ბაზარში,
მომნატრებია პრანჭია
გოგონა ჩითის კაბაში.

რამდენჯერ უცებ შევჭრილვარ
ლამაზმანების კარავში,
ერთი გოგონაც ვერ ვნახე
პეპლისფერ ჩითის კაბაში.

აღარც სოფელში დავეძებ,
აღარც-მეზობელ დაბაში,
მგონია,იქაც ვერ ვნახავ
გოგონას ჩითის კაბაში.

რაც ლექსი დამიწერია
სულერთიანად გადავშლი,
ოღონდაც ერთხელ მანახა
გოგონა ჩითის კაბაში.

მონანიება

დამტოვეს მარტო, ყველა წავიდა,
ჩემი მშველელი ახლა ლექსია
და სინანულის იმავ წამიდან,
სულ სხვა ფიქრები შემომესია.

ვფიქრობ, შეცდომა ხომ არ დავუშვი,
ან იქნებ ღმერთი მიწყობს გამოცდას,
იქნებ ცხოვრების აურზაურში,
უმართებულო რამე წამომცდა.

ან უკვე ხომ არ მიწია ცოდვამ,
გენიდან- გენში კვლავ რომ გადადის,
ან, იქნებ ადრე, გული რომ მთხოვდა,
მივსულიყავი უფლის კარამდე.

ღმერთია მხოლოდ ყოველის შემძლე,
იცის, ცხოვრებას, როგორ ვეწამე,
შეუძლებელი რამდენჯერ შევძელ,
არა მგონია,რომ დავესაჯე.

თუმც უცოდველი, კრავიც არა ვარ,
ყველგან სიკეთის თესლი ვაბნიე,
კაცობრიობის წინაშე მზად ვარ,
ყველას ოცდვები მოვინანიო.

მონოლოგი

მე ღმერთის ძე ვარ და იესოს შთამომავალი,
აუ, რამდენი საუკუნე, წელი მრავალი
გავიდა დღემდე ბედნიერიც, გულშემზარავიც,
მაინც არ დავთმე ჩემი ცა და ჩემი მთა-ბარი.

ვიყავ ეული, ვიყავ მარტოც და ხალხმრავალიც,
არ დამიგდია საჭრეთელი, ფუნჯი, კალამი,
ყველას ექიმი მე ვიყავი, ყველას წამალი,
მაინც მე მტრობდა მომავალიც და წარმავალიც.

მყავდა მირიან, სვიმონ მეფე, მყავდა თამარი,
მყავდა დავითი, ვახტანგი და წმინდა გიორგი,
წმინდა ქეთევან, წმინდა ნინო ისე თამამი,
რომ მათი რწმენით და სიცოცხლით მე მოვდიოდი.

მე მოვდიოდი ბრძოლით, შრომით, კარგი სალამით,
ლოცვით, კურთხევით, სიმღერით და ხშირად ვარამით,
ცად მიფრენია, დამიცია ბარში კარავიც,
ხან დედა მყავდა, ხან -მამა და ხან კი არავინ.

წასვლის მაგიერ ყველა სავალ გზას მიკეტავდნენ
და როცა მკერდზე ნამის ნაცვლადცრემლი მაწვიმდა,
როცა ყიდიდნენ ჩემს სხეულს და ფრთებს მიკეცავდნენ,
ასე მეგონა მტერი გულის ნაწილს მაცლიდა.

დღესაც არავის არ ეგონოს უკვე მეშველა,
თავისუფლება ხელის გულზე მიდევს უდაოდ,
მტერი ადვილად ჩემ მიწა-წყალს არ შეეშვება,
ჩემს გადარჩენას გონივრული შველა უნდაო -

ამ წუთისოფლის გზაზედა

ამ წუთისოფლის გზაზედა
დარდით და ბოღმით რა ივლის,
სიხარული თუ გეწვია
ისიც ერთ წამში გაივლის.

სანამ ფიქრი და ოცნება,
ტანს იმედებში აიყრის,
მანამდე ჩვენი სიცოცხლე,
ნაკადულივით ჩაივლის.

თუ

დაზამთრდა, სულში
დაიწყო თოვა
გაბზარულ გულით
მაინც ვინატრე,
თუ გავახსენდი
ნამდვილად მოვა,
როგორმე უნდა
გავძლო დილამდე.
თუ მოვა თვალებს
შემომანათებს,
არ ვიცი, მზერას
როგორ გავუძლებ.
მისგან მოწერილ
ყველა ბარათებს,
სიურპრიზივით
თვალწინ გავუფენ.
თუ გამიღიმა
გულიც მორჩება,
გრძნობებს თავიდან
ავაგიზგიზებ.
თუ არ მოვა და
ჩვენ დაშორებას
მე დავარქმევდი
ნამდვილ სიგიჟეს.

ქართლი

ზეციდან მოსულ ნათლით,
მარიამ-ნინოს მადლით,
ქრისტეს უწმინდეს კვართით,
დავით მეოთხეს საქმით,
მღვდელი თედორეს სახით,
თამარის ერზე დარდით,
დიდი შოთაის კალმით,
დანთებულ თაფლის სანთლით,
რა სასაწაულით, რა დღით-
გადარჩა ესე ქართლი.

იმედი ხვალის

არ გავქცეულვარს ბრძოლის ველიდან,
რადგან მოკვდავის მეცვა ხალათი,
რწმენით მოვდივარ სკოლის მერხიდან,
არ გამივლია გულში ღალატი.

სულ ერთი მუჭა ქართული მიწა,
მე მირჩევნია სხვათა ტრამალებს,
მტერი ვერასდროს ვერაფერს გვიზამს,
უფალი კალთას გადაგვაფარებს.

ვგრძნობ, წინაპრები დღესაც გვისმენენ,
თუ როგორ ცხოვრობს ჩვენი გვარტომი,
თანდათან უფრო მეამაყება,
ჩემი დიდგორი, ჩემი მარტყოფი.

ჩვენ დავიბრუნებთ მზისფერ ალიონს,
უსამართლობით წართმეულ ხალისს,
მოდით ბიჭებო, ერთიც დავლიოთ,
და ვადღეგრძელოთ იმედი ხვალის!

ჯვარი

დავიბადე და უფალმა მომცა,
ძალა წყლისა და მოთმენა ხარის,
ვყოფილიყავი ძე უფლისა და
მოსიყვარულე დიდის და მამის.

დავიბადე, რომ მეტარებინა,
სხვისი ტკივილი, სიმშვიდე კრავის,
სულ სხვები უნდა მეხარებინა,
და არა ჩემი ცოდვილი თავი.

ასეც ვეწამე, ვინც კი შეესწრო,
ყველას მივეცი იმედი ხვალის,
მე სხვანაირად როგორ შემეძლო,
რამეთუ, მე ვარ თავადვე ჯვარი.

ვეძებ

ვეძებ, ვეძებ, ყველგან ვეძებ
იმ ხელსაყრელ მომენტებს,
იქნებ სადმე გადავაწყდე
მონატრებულ პოეტებს.

ვეფერები ქუჩებს და
ვეფერები მოედნებს,
მინდა, გვერდით ამოვუდგე
ახალგაზრდა პოეტებს.

დღეს კი, დღეს კი ამ დარბაზს რომ
ჟრიამულით მოედნენ,
რაღა მომკლავს, როცა ვხედავ
ერთად ამდენ პოეტებს.

როგორც უფალს ვევედრები,
ისე მიეთ-მოეთებს,
ჩემზე მეტი დღე მიეცი
გადარჩენილ პოეტებს.

ლექსის ბრალია

რაც თავი მახსოვს, ქალაქში ვცხოვრობ,
ქალაქის მტვერით ვსუნთქავ და ვბრუნავ,
ქალაქის ქუჩებს ლექსებით ვუმღერ,
და ამ სიმღერით ტკივილებს ვკურნავ.

განათებულა თბილისის ზეცა,
ვარსკვლავების და მთვარის ნათელით,
ღმერთო, ცოტა ხანს მაცალე მეცა,
ბოლომდე რომ ვთქვა ჩემი სათქმელი.

მე ვარ პოეტი, სულის მოძღვარი,
სიკეთის თესვა მეც მავალია,
დღევანდელ დღემდე რომ ვარ ცოცხალი,
ღვთით ბოძებული ლექსის ბრალია.

ასეა როცა...

ჩამოიმწუხრა მზემ გულის ქიმზე,
და თითქოს ბოლო იმედი გაქრა,
ვეღარ უძლებდა გოგონა სიზმრებს,
რადგანაც სულის სიმები დახრა.

ვეღარ უძლებდა სადარდელს გულიც,
მე და მზის სხივი მონატრებოდა,
ვერ ისრულებდა სანატრელ სურვილს,
სევდის მორევში ისე დნებოდა.

ვერ ეტეოდა ოცნება დროში,
და თითქოს ძაფი აქა წყდებოდა,
თუმცა ჯეროდა, რაღაცა დოზით,
იმედი კიდევ გადარჩებოდა.

გულმოსული თუ ჩანაფიქრს უსწრებ,
იქ არასწორი ეჭვები ჰყვავის,
გამოიფხიზლა გოგონამ უცებ,
როცა მზის სხივი დაეცა ბალიშს.

გადაითოვა ფიფქებით გული,
თეთრი სამოსი მართლა შვენოდა,
ვით იმ გოგონას კამკამა ცრემლი,
სატრფოს მოსვლამდე არ გაშრებოდა.

რას იზამ, კიდევ მრავალჯერ მოთოვს,
კიდევაც ნახავ საოცარ სიზმარს,
ასეა, როცა ვიღაცა მოგწონს,
ასეა, როცა ვიღაცა გიყვარს.

სულის ტკივილი

ჩამოიღამებს თვალებში ბინდი,
ლეგა ფიქრები სადღაც მიჰქრიან,
რა უფლება აქვთ, ძალიან მიკვირს,
ჩემი სიცოცხლის წლებს რომ ითვლიან.

მე უკვდავების წრე შემოვხაზე,
და ამ წრის ირგვლივ მსურს ვიტრიალო,
რადგან ისეთი გზები მოვნახე,
ხან დაღმართია, ხან კი ფრიალო.

ცხოვრებამ გული ბევრჯერ მატკინა,
სიხარულს ვეღარ დავეპატრონე,
და სცენის ნაზ და მჭირვალ ფარდიდან,
ჩემს უცნაურ ლანდს ვუცქერ მარტოდენ.

დიდხანს სიცოცხლე რისთვის ვინატრე,
თუ სიცოცხლეშიც არა ჰყრია რა,
დაჭრილ ლომივით დამცეს მიწაზე
და ამ ტკივილმა ამაღრიალა.

დედის ცრემლი

თითქოს ღრუბელს დაეფარა ღრუბელი,
თითქოს კაცი არ ცხოვრობდა კაცითა,
მოდიოდა ბოროტება ულევი,
როცა მამულს დედის ცრემლი აწვიმდა.

ნუთუ იმ დროს ვერ გაიგო ვერავინ,
დედის ცრემლი მამულს რისთვის აწვიმდა,
თითქოს ვგრძნობდით, მაგრამ ვერა ვხვდებოდით,
გულის ნაწილს მტერი როგორ გვაცლიდა.

ცა გადიხსნა, მზემ დაუშვა სხივები,
ახლა მივხვდი–დედა რისთვის ტიროდა,
დაგვრჩა ცრემლი– უსაშველო იმედი
და მამულის სამუდამო ჭრილობა.

მეორედ დაბადება

მე ზღვის ხმაური,
 მიმშვიდებს ნერვებს,
ვით ბეთჰოვენის,
 მთვარის სონატა,
ასე მგონია,
ყველაფერს შევძლებ,
გულში ხალისი,
თუ მომემატა.

დავთმობ ყოველგვარ
სალოცავ ღმერთებს,
ამღერდეს ქნარით,
სულ სხვა ჰანგებით,
მამულისათვის
მოვკვდები ერთხელ,
და მერე ისევ დავიბადები.

* * *

ვხედავ ლამაზი
ქალი ხარ,
ღამეც გიბრწყინავს
თვალები,
დღემდე რომ
ცალად დადიხარ,
ხომ ხედავ
მეც მენანები.
შენ, რომ მე
დამიჯერებდე,
ძალიან გაიხარებდი,
ნუთუ არ
გაინტერესებს–
რა რიგად შეგიყვარებდი.

ქალი ვნახე...

ქალი ვნახე ამ დილით,
საოცარი მანდილით,
განა რიგით გამვლელი,
დედოფალი ნამდვილი.

თვალი ვეღარ მოვწყვიტე,
ისე ძაან ვღელავდი,
უცებ ძალა მომეცა,
მთელ ჯარს გადავთელავდი.

ოღონდ ერთხელ მეკოცნა,
ერთხელ მოვფერებოდი,
მეფეც ვყოფილიყავ,
მყისვე გადავდგებოდი.

ზეზეულა ვიწოდი,
ზეზეულა ვდნებოდი,
სიკვდილი რომ მწვეოდა,
მაინც გადავრჩებოდი.

კოცნა,კოცნა არა და
შემომხედა წამითა,
გვერდით ჩამიარა და
წ ა ვ ი დ ა.

მგელი

მგელი თუ არ ხარ,
ვერ შეიცნობ მხეცების ვარამს;
მგელი თუ არ ხარ,
ვერ იქნები სხვაზე ძლიერი;

მგელი თუ არ ხარ,
თავს გაუვა ნახირს და ფარას;
თავად გახდები დასაგლეჯი,
ვიღაც მშიერის;

მგელი თუ არ ხარ,
ვერ იპოვი სიმართლეს ვერსად,
მგელი თუ არ ხარ,
შენ გახდები მაშინ ვნებული;

მგელი თუ არ ხარ,
არ ჩაგთვლიან არაფრის ღირსად
და შეიქმენები,
ყველასაგან მიტოვებული.

მგელი თუ არ ხარ,
ვერ გაიტან ცხოვრების ლელოს,
შენ თავმდაბლობით ისარგებლებს,
ყოველი შტერი.

რაც უნდა სხვაზე უკეთესად,
ხატო და წერო,
არ გამოგივა ცხოვრებაში,
აღარაფერი.

ამას რომ ვწერდი,
არ გეგონოთ ვიყავი მთვრალი,
და თუ ხარმგელი,
აღარუნდა მოიკლა თავი.

უბრალოდ

ხომ არ გგონია
ამ ქვეყანაზე,
მარტო შენა ხარ
ულამაზესი,
უბრალოდ, შენი
ღიმილი მომწონს
რომელიც მაბამს
ტრფობის ბადეში.
ხომ არ გგონია
მარტო შენა გაქვს
ამ ქვეყანაზე
მწველი ტუჩები,
უბრალოდ, როგორც
ვარდის კოკორი
სხვებზე ლამაზად
შენ იფურჩქნები.
ხომ არ გგონია
მარტო შენ დგეხარ
ჩემი ცხოვრების
ღია კარებში,
უბრალოდ, მე შენ
გამოგარჩიე
მთელი მსოფლიოს
ლამაზ ქალებში.

ლია სანაძე – მუსიკოსი, პედაგოგი, ესთეთიკა–
მეთოდისტის სპეციალისტი
დაბადების ადგილი – ვანის რაიონი სოფელი ფერთა

გაინტერესებთ?

როდის ვწერ ლექსებს???

– როცა საღამო ბინდში გადადის!
– ცას გაანათებს დიდგულა მთვარე!
– ვარსკვლავთ ციალი შეაკრთობს ღამეს!
ჰო, მაშინ გული პოულობს არეს!
– ჩემსავით ბევრი ქალია მარტოდ
და საიდუმლოს ანდობენ მთვარეს!

გაინტერესებთ? როდის ვწერ ლექსებს???

როდესაც გული შენს ნახვას ნატრობს!
აჩრდილი შენი, შორიდან მათბობს!
მაშინ ეს გული ამოთქმას ლამობს!

– ლოდინით ველი...განთიადს მზიანს...
გათოშილ სიტყვებს ტკივილი მოაქვს!..

ფურცელს დავცქერი აშარ – ქარივით,
სტრიქონს ვიხუტებ მრუში – ქალივით,
ფრაზებს გადაშლილს თავიდან ვიწყებ,
და უშენობის ტკივილებს ვითმენ!

გაინტერესებთ? როდის ვწერ ლექსებს.???

– კვლავ ისევ ღამეს! და ისევ ღამეს!
როდესაც ღამე ფიქრებში მახვევს!...
– შენს საფერებელ სტრიქონებს მართმევს!!!

მონატრება...

ვგრძნობ ჩემს გულში მოკალათდი,
სამუდამოდ აიშენე ბუდე.
ვეღარ ვშველი სულის შემძვრელ ფიქრებს,
მონატრებას, ცამდე აწვდილს ვითმენ!

დაისის მზე შემობრძანდა სულში,
გაზაფხულს კი მონატრებით ვუმზერ,
ვეწაფები.. იის სურნელს ვსუნთქავ,
უსათუთესს ლურჯ კესანებს ვუმღერ!

მაისის თვე შემობრძანდა ზანტად,
ნაბიჯს ვუწყობ მონატრებულ რითმებს,
დილის ცისკარს ვეფერები თრთოლვით.....
დავივიწყებ უიმედო სიზმრებს!

ხვდები? ფიქრში მითენდება ისევ!
და შენც ფიქრთა საუფლოში გიწვევ,
გაზაფხულზე ყვავილთ თოვად მოდი,
უერთგულე მოლოდინს და ფიქრებს.

არ მსურს რიჟრაჟს უშენობა ახლდეს
ნეტავ მართლა მონატრება ახდეს!..

ქალი თუ ხარ...

შემოდგომის დღეებია,
ხარობს ტკბება ჩვენი გული,
გვავიწყდება დარდი...
ყოველ დილით მზე ამოდის...
იფურჩქნება ვარდი.
ქალი თუ ხარ არ იჯავრო,
მოიშორე დარდი...
ტკივილი თუ მოგაყენეს,
გზა განაგრძე... წადი...
უფრო მეტად გაიღიმე...
და ცხოვრებით დატკბი...
ყველაფერი დაივიწყე!
და იფიქრე...
უკეთესი სხვა რა არის,
სიცოცხლეზე კარგი???

როგორც მთვარე ნამგალა

პოეზიის ქარიშხალში, ბედმა სად არ მატარა,
ხან სიმღერა ავამღერე, ხანაც კიდევ კანტატა...
ცისარტყელამ შვიდი ფერით, ცის გულზედაც დამხატა,
დაინახეს მოშურნეთ და ყველამ მსგავსი დახატა...

ნოემბერმა ფოთოლთ ფერი, შვიდი ფერით შეამკო,
მისი რწმენა ესე იყო ყველას უნდა შეექო,
ველი ისე მიმოქარგა ვერავინ ვერ შეეხო,
ალიონი გადმოდგა და შემოდგომა შეარქო!..

არ მოვიწყენ ამ მგოსნებში, კროსვორდები შევავსო?!
თუ მათრახი დავიჭირო, ლურჯი რაში დავაფრთხო!!!
ცად ავიჭრა? მოლაღული – პოეზიით ავივსო!!!
როგორც მთვარე ნამგალა, უცაბედად შევივსო?!

სულის სამყარო...

სულის სამყარო – გაგიხსენ!
კრძალვით ჩამეღვარე სულში...
ცრემლი ხარ ჩემი, სიცოცხლისმფენი
მონასტრის კართან, ვზივარ და გელი...

იქნებ, ავიდეთ, იქ, მაღლა ჯვარზე!
ლოცვა წარმოვთქვათ სვეტიცხოველში...
მეტეხის ჩრდილშიც ჩამოვსხდეთ ზოგჯერ,
და ვადღეგრძელოთ ძველი თბილისი!..

აუყვეთ მაღლივს, სულ ბილიკ- ბილიკ...
და მთაწმინდაზე მოვითქვათ სული,
გულით შევიგრძნოთ ეს სიყვარული...
შემკული გრძნობა, არ დასასრული.

თვალებს ცრემლები არ დასდენოდეს!
დე, მუდამ გვენთოს მზის სხივი მწველი...
იწერებოდეს, წიგნი მრავალი...
მსგავსი საოცარ –,,ვეფხისტყაოსნის”...

მ უ ხ ა მ ბ ა ზ ი

აღარ მინდა შენზე ფიქრით ვათიო,
ოცნებები ვანგრიო, თან ვაშენო.
შენთვის ვწერდე
გრძნობით გამთბარ სტრიქონებს...
სიყვარულო ასე რად დამიმონე?!

ხედავ? ცაზე ვარსკვლავები ანთია...
შურით ვუცქერ მე კი რა დამმართნია,
ხმას ვერ ვიღებ, განა მართლა მუნჯი ვარ,
არც პოეტი და არც ეთიმ გურჯი ვარ!

მე ქალი ვარ ფიფქებივით თავნება..
თუმც არ მიყვარს ოცნებების გამხელა...
ხმას ვერ ვიღებ განა მართლა მუნჯი ვარ,
არც პოეტი და არც ეთიმ გურჯი ვარ!

რომ არ მიყვარდე

რომ არ მიყვარდე, დამინამავდა ცრემლები თვალებს?!..
რომ არ მიყვარდე, გავათენებდი ფიქრებში ღამეს?!
რომ არ მიყვარდე, განა ეს ლექსი შეიქმნებოდა?!
ან მელოდიად გაიჟღერებდა თეთრ კლავიშებზე?!
 რომ არ მიყვარდე, გეფიცები, არ გინატრებდი
და არ დავწერდი შენზე ლექსებს, არც ვინაღვლებდი,
რომ არ მიყვარდე, მთვარიან ღამეს რად მოგიხმობდი!..
ჩემს სანუგეშოდ, ცრემლიან თვალებს თვით შევიშრობდი!..
რომ არ მიყვარდე, თავს არასოდეს ვაპატიებდი...
უფლის წინაშე მუხლმყრილი, ვლოცულობ შენთვის,
გეტრფი, მიყვარხარ თავდავიწყებით! გესმის? გაიგე!
 ეს ჩემი გული ფიანდაზად ფეხქვეშ დაიგე!!!
მე სიყვარული გულით მოგიძვენ,ქალავ წაიღეეე!!!

სადაც არ უნდა

ნოემბერია! თრთიან ფოთლები,
ზამთრის სუსხია, ზრიალებს ქარი.
გადაინაცვლეს კაბების ფერმაც.
ახლა ყოველი გამხდარა მკრთალი.
ძველ მოგონებებს ამიშლის ქარი...
ვარ დარდიანი, სევდისგან მთვრალი!..

დღეს პოეზიას გავუხსენ კარი,
მე გზას მინათებს ლექსების ალი,
თავს მახვევია რითმების ჯარი!..
სულ მარტოდ, მარტოდ! მოგონებებში
 ზრიალებს ქარი!..
სადაც არ უნდა მატაროს ბედმა,
ძველ სიყვარულთან მიმიყვანს ქარი!

* * *

შენ ღვთაება ხარ, მე კი მსხვერპლი შემოწირული,
ოდეს გამიქრეს შენდამი გრძნობა, ნატვრაც მეყოფა...
მე, ერთგულება მომცემს ძალას ვზიდო ეს ტვირთი...
შენ, ჩემი ლექსის გმირი იქნები ესეც გეყოფა,
ცხოვრების რიტმი იქნებ ამან გამიხანგრძლივოს
და ჭირთა თმენამ სიყვარულით ბოროტსა სძლიოს...

* * *

სიცოცხლით მთვრალი, სივრცეს გავყურებ!.....
ნისლები ღამის, მთათა კალთებს ეხვევა კდემით.
სუნთქავენ მთები! ო, როგორ ვტკბები მე მათი მზერით.
ვოცნებობ შენზე...ვიოკებ წყურვილს, იმედით გელით!

სევდის – ბურანში, ნისლში გახვეულან ჩემი სიზმრები...
სძინავს ღამესაც და სული ჩემი გიხმობს, გეძახის!
მხოლოდ შენ გელის ხელები ჩემი, ფრთებია თითქოს
ცად ასაფრენი, მოგეხვევი და ფიქრებს გავყვები...

დაგელოდები, თუნდაც მთელ ღამეს, დაგელოდები...
მთვარე ბარბაცებს ძლივს ახელს თვალებს.
მალე ეს ღამეც გაახელს თვალებს...დაგელოდები –
ვიდრე არ მოხვალ და არ მაჩუქებ სიცოცხლის წამებს...

* * *

გამიფრინდა გაზაფხული და ზაფხული, სევდისფერი.
სექტემბერი შემობრძანდა, სხვაფერია, ქარვისფერი...
მადლიანი ზეცისფერი...ფრთებით მოაქვს სიყვარული!..
სულს აანთებს მთელი გრძნობით, ტკივილებს გადაგავიწყებს
და დაგვატკბობს შაქარმოყრილ ყურძნის მტევნით.
ოქროსფერი ქალღმერთია, ქარვის მძივით ჩაქარგული...
არა მეთქმის, ვზივარ მდუმე, ინტერესით განაბული...
ლამაზ სიზმრებს შევიციცინებ ოცნებებში ჩაკარგული...

* * *

ნეტავ, ოდესმე, გადაივლის ეს ქარიშხალი?!
თუ უშენობის ბოღმა დამახრჩობს, მთლად გავგიჟდები?!
მომგვრის კი შვებას? წყვდიადი ღამე! არა არ მჯერა!..
თვალცრემლიანი სევდის ბილიკებს დარდით მივყვები.
ჩამობარდნის და ერთ სუსხიან დღეს აღარ ვიქნები...
გამოგიტყდებით, თავგზას მიბნევენ მწველი ფიქრები!..
დრო გაივლის და მჯერა, ვიცი, მეც არ ვიქნები!..

ყოველი წუთი

უშენოდ სუნთქვა, სასჯელია ჩემი ყოფისა,
ყოველი წუთი ტკივილად მექცა, გათენებისა.
აუტანელი გახდა ყოფა, ფიქრი ხვალისა,
მზე ჩაესვენა, ვერ გპოულობ გასცდა ნაპირსა!

იმედი ხვალის ოცნებად დამაქვს, რომ ისევ გნახავ!
მწამს გაქრებიან მწარე წუთები ლოდინით დავალ.
უშენოდ ვიცი დამათოვებს სევდის ფიფქები,
ალბათ წუხილით უფრთებოდაც ზეცაზე ავალ...

ჩამოვისხლეტავ, მთვარის მუხლიდან გავისვრი ისარს,
არ დაიჯერებ? რომ მონადირე არ აცდენს მიზანს,
გულში დაგჭრი და უსიყვარულოდ ვეღარ გაივლი!..
ხელით გატარებ, ვიცი დაჭრილი მთას ვერ აივლი...

მთის ყაყაჩოებს ჩამოგიბნევ ფეხთან დაგიფენ,
მთის კესანეს და მთის სოსან იას გულს გადაგიფენ,
შენთვის ვიცოცხლებ, შენთვის შევსვავ თიხის ფიალას,
შენთვის მოვქარგავ მთა-ველსა და ცისა იალაღს...

გახსოვს იმ ღამეს, – მზედ რომ ენთო!
მე ის ქალი ვარ...
ის ყაყაჩო ვარ, – ცეცხლისფერი
ველებს რომ ამკობს!
ის ღვთაებრივი ღვინო ვარ იცი?
ყველას რომ ათრობს,
მწველი მზის სხივი, გაყინულ გულს,
უმალ რომ ალღობს...

შენამდე

სევდამ შემიპყრო და ნოტებს ვუხმე...
თეთრ კლავიშებზე თრთიან თითები...
დო, რე, მი, ფა, სოლ – ლა, სი, დო, რე, მი,
მე, მთელი ღამე ვრითმე სიტყვები...

ფიქრში ვცურავ... ჩემს წინა დგას
ჩემი შავი პიანო,
აკორდები, აკორდებს სცვლის,
მე რას მერჩით, უკრავს ფორტეპიანო!..

ძიეზს ვიღებ! – ბემოლს არ ვთმობ!
არის სულში რია-რია,
ყველა ბგერა, ჩემში სახლობს!
შენამდე კი რა შორია!

ყველა ბგერა, ყველა ნოტი,
ჩემი გულთა მყრობელია,
ერთად უფრო მოგვიხდება
ჩემო კარგო ოდელია...

დო, რე, მი, ფა, სო, ლა, სი, დო,
ისმის ნოტთა რია-რია,
ყველა ნოტი სულში სახლობს,
შენამდე კი რა შირია...

* * *

ღობის კუთხეში მოგროვილ ფოთლებს, იტაცებს ქარი!..
ვისრუტავ სევდას! და ამ სევდაში ტკივილიც არის...
სულში იღვრება მელოდია, ცრემლის სადარი...
შეშლილს მიწოდებ? ჰო,გრძნობი შემშლის!
თუმც – ყველაფერი, შვებისმომგვრელი
ვერაფერს შესცვლის!..

სიყვარულის ფერია...

ყველაფერი, ყველაფერი,
რაც ჩემს ირგვლივ ჰფენია,
ყველა ხე და ყველა ბუჩქი,
სიყვარულის ფერია.

მე მახარებს, როცა ზეცას,
მოვარდისფრო ფერი აქვს!
მაშინ გული საამოდ ძგერს,
პულსიც მშვენიერი მაქვს!..

საღამო ხომ ხიბლით მავსებს,
როცა ღამე სამოსს იცვამს.
მიყვარს ზეცა ვარსკვლავებით,
მთვარე, ზეცით სხივით მიცავს!..

სიმშვიდეს ვგრძნობ, გეფიცებით,
ზეცა ქუდად რომ მახურავს!..
ცას შევყურებ, ვარსკვლავები, ღრუბლის
ჯიქანს როგორ სწურავს!..

მიწის გულზე მთელ სამყაროს,
მოსვენებით ტკბილად სძინავს,
ბუ კივილით დასეირნობს,
ბრმა თვალებით ვერას ხილავს!..

ღამე მშვიდად მისეირნობს,
დღე ვარდივით გადიშლება,
დღის ბრიალა თვალის ჩრდილით
ღამის ბინდი წაიშლება...

ყველაფერი, ყველაფერი,
მახარებს და ძლიერ მხიბლავს,
მშვიდი ვარ და მოლხენილი,
მზე და მთვარე ცად რომ ბრწყინავს!..

ამიტომაც ჩემი გული გრიალებს
 და მკერდში გრგვინავს!
დღე, სიხარულს ვერ ვიოკებ,
ღამის ჩადრში ტკბილად მძინავს!..

მუზით მთვრალი ვარ...

ო, შენ ღამეო, მშვიდო და წყნარო,
ჩემი ერთგული მეგობარი ხარ!..
სხვას ვის გადვუშლი ამ გულს დარდიანს,
შენს მეტი სანდო ვინ მაბადია?!

გრძნობებს რომ ვახვევ, ფიქრის ბადეში,
მთვარე ყოველთვის, მიცქერს თვალებში.
ამბობენ ღამით პოეტებს ღვიძავთ,
ეს სიმართლეა? პოეტად, მთვლიან?!

ღამის სინაზის ცქერა მიტაცებს,
სარკმელთან ვჯდები, კალამს ვიმარჯვებ,
ფრაზებს ვპოულობ, სათუთს დარდიანს,
ზოგჯერ შევუცვლი, სიტყვებს ხასიათს...

შეშლილი არ ვარ და არც მთვრალი ვარ!!!
ჩვეულებრივი სათნო ქალი ვარ!..
ერთი უბრალო მაგრამ ძლიერი,
ლექსის მძერწავი, მუზით მთვრალი ვარ!..

ერთხელ მაინც

თეთრ კლავიშებს, შენი სითბო შერჩენია,
წრფელი ჰანგით მე ხომ შენთვის მიმღერია...
ეს წამები ვიცი უკვე წარსულია? მაგრამა ვგრძნობ
ქალავ, გული, შენი სიყვარულით ტანჯულია...
ო, რა მალე გაირბინა ამ წლებმა და
ო, რა მალე დაიმალა მზე ღრუბლებში,
მაგრამ რა ვქნა, ვაღიარებ, ამით ვცოდავ?!
გულს რომ შენი სიყვარული შერჩენია!..
არ დამძრახოთ, მომიტევეთ, თქვით სიმართლე,
ცხოვრებაში ერთხელ მაინც,
არავინ არ გყვარებიათ?!

* * *

გამოგყვები, სადაც გსურდეს, – სადაც გინდა გამოგყვები,
– უკვდავების სადღეგრძელო ერთად შევსვათ, ერთად შევსვათ,
ყოვლად წმინდა სალოცავებს დავმოყვრდები...

– ცის და მიწის უკვდავება, ორი სულის უკვდავება!
სიცოცხლია, აღმაფრენის,მძაფრ გრძნობათა ნეტარება...
გული როცა გულსაც ელტვის, ბედი შევქმნათ ბედნიერი...
სიყვარული ყველას გულში ყოფილაო ხვავრიელი...

უიმისოდ სასჯელია, გულში ჭმუნვა, ტკივილია,
ყოფა აუტანელი და დღენი გაუტანელია...
სიყვარული არის მადლი, უფლის გულით შობილია,
სიძულვილი, სიბოროტე,სიყვარულის გმობილია...

* * *

როდემდე! – როდემდე, გელოდო!
არ მოხვალ?
ფიქრები, ფიქრები, გაბევრდა...
გული ტკივილებს დანებდა!..

წვიმს და ქარია...
ქარმა ფოთლები არია!
ფიქრი თავს იწყვეტს,
პასუხს დაეძებს,
ყველა ოცნება მკვდარია!..

უვლიდი, ვათბობდი ოცნებებს!
იმედი ბარტყებად დავჩეკე!
შევცდი, გავბრიყვდი მე, შენით,
ამ სულში კელაპტრად ამენთე !

მოლოდინს ცრემლები დასცვივდა...
ცოტაა? – განა არ კმარა?
უკვე ზამთარიც დამდგარა!
მიკითხავ?– მშვიდობით!
მშვიდოთ !
გრძნობები, – გამქრალა!

დაასხი

დაასხი! მე უშენოდაც დავთვრები!
რომ შენზე დარდი ვზიდო მარტივად!
ცხოვრებამ დიდი დაღი დამასვა,
გულში შემომრჩი მწარე ტკივილად!...

ცრემლმა იდინა, გულმა იტირა,
მოურჩენელი დარჩა იარა!
გულში ტრიალებ ვით ქარიშხალი,
დარდის ტალღებმა გადამიარა...

ნებით მოგყვები, ოღონდაც გსურდეს
გინდა უფრსკრულშიც ჩავყვები ტალღას,
დამისხი! გნებავს? თუ გინდა შევსვავ!..
შენი ხელებით მოწვდილ ფიალას!..

დამისხი! რა ბედენაა, ახლა ერთია,
შარბათს მაწვდი თუ შხამის ფიალას!..
მაინც გამოვცლი და ეს იცოდე,
გული დარდებმა გაატიალა...

ღვინის კი არა მე შენი ლტოლვა,
თასსაც ბოლომდე დამაცლევინებს,
არ გეგონოს რომ მე შენს სიყვარულს
ვინმე რამეზე გამაცვლევინებს!..

სურნელებით გვწყალობენ

მაისია, ციდან მოდის, მოდის, წვიმა შხაპუნა
და ვარდები თვალს ახელენ, თვალს ახელენ მალულად.
შემომხედა, გამაოცა, მან ღიმილი მაჩუქა...
ვარდის გული გაიშალა, მიცქერს არ დამალულა.

გამიხარდა, ვკრიფე, ვკონე, ხელის გულზე ვეფერე,
ო, რამდენი ფერებია, ვთვალე, ვეღარ დავთვალე.
ჩემი გულის ფიქრი ყველა, ვარდის ძირში დავცალე,
დღემდე მისი სიყვარული ვერაფერზე გავცვალე...

ეკლიანი ვარდის ტოტი, მხიბლავს როგორ მახარებს,
მისი ტრფობა მაგიჟმაჟებს, მაოცემს და მაქალებს...
წითელ ვარდის სიყვარული გულს ალბათ ამიალებს,
მისი სითბო, სურნელება, ყველა წყლულს დამიამებს...

წვიმის წვეთი რომ ეცელა, წყნარი გინდაც შხაპუნა,
მენანება, რადგან ღმერთმა სიყვარული არგუნა...
გულის ტრფობით სიყვარულით ის ხომ ოდეს დარგულა,
ბაღში ბულბულის ალერსი განგებამაც არგუნა...

ვარდები, რომ წვიმის წვეთში თვალს ახელენ მალულად,
ვარდს ხომ ყველამ, ყველამ, ყველამ, სიყვარული არგუნა...
ამიტომაც მზის გულზეც ხომ სიყვარულით ხარობენ,
ყველას გულთა გასახარად, ხარობენ და დარობენ...
სილამაზით და სიტურფით, სურნელებით გვწყალობენ...

ნელი გიუნაშვილი – პედაგოგი
დაბადების ადგილი – თბილისი

რწმენა

რწმენა ძლიერთა ხვედრია,
რწმენა მუდამ აღსრულდება,
რწმენით მთებსაც კი გადადგავ,
ტანჯვა შენი დასრულდება.

თუ მშვიდობას ინატრებდი,
ჯერ სხვას სჩუქნე დილა მშვიდი,
იმედები ჩაუსახე...
საამოა ენა ტკბილი.

შენი ლოცვით შეეწიე,
ავადმყოფს და გლახაკს, მწირსა,
უფალი შენც შეგეწევა,
არ დაგტოვებს გასაჭირსა.

შემწეობა ღვთის გარეშე,
არა თქმულა, არ იქნება...
უფლის ხმას თუ მიენდობი,
გზები, შენი გაბრწყინდება.

დედა ღვთისამ დაგილოცოთ,
შვილები და ყველა დილა,
უფლის მადლი შეგეწიოთ,
შეგეწიოთ ყველა წმინდა.

პოეზიისსამყაროში

ლექსი უნდა გამოვძერწო,
დავამაჭრო, დავაღვინო,
ქარვისფერი ძაფით ვქარგო,
ცას სხივებად დავაფინო.

მელოდიად ავაჟღერო,
მოიხიბლოს თვით მაესტრო,
დავატკბო და დავაშაქრო,
განთიადებსაც დავესწრო.

დავხატო და ვაფერადო,
გადავღებო ნაირფერად,
ფირუზის და ზურმუხტ ფერში,
მარჯნის რიფი, მარჯნისფერად.

თვალ – მარგალიტით ავკინძო,
ქალის ტურფა სამკაული,
მარგალიტი თეთრ ყვითელში,
ვარდისფერი სასწაული.

ლურჯ ზღვასა და ლურჯ ცას შორის,
უფლის ლამაზ საუფლოში,
გადავეშვი მთელი გრძნობით,
პოეზიის სამყაროში.

თავისუფლების დროშა აღმართეთ

იქნებ სევდა და დიდი წუხილი,
ქვეყანამ, ჩემმა გაითავისა,
იქნებ, ცრემლებიც წვიმად მოსული,
გადაიბრალა ვარდის მაისმა.

ნუ დანებდებით ქარიშხლის ბორგვას,
ნუ დანებდებით, ელვას და ქუხილს,
უნიჩფო ნავით ზღვას ნუ გაცურავთ,
ნუ მიეჩვევით უძირო დუმილს.

გზა გაგიკვალეს ჩვენმა გმირებმა,
და ამ გაკვალულ გზებით იარეთ
ნუ დაივიწყებთ ნატყვიარ მათ მკერდს,
მათ დიდ ჭრილობებს და მათ იარებს.

მამულისათვის, საქართველოსთვის,
მუდამ იბრძოდნენ, მუდამ დაობდნენ,
თავისუფლებას შესწირეს თავი,
ჩვენი ბერები, მათთვის გალობდნენ.

ნუ დაივიწყებთ დიდგორის ბრძოლას
ბრძოლას იგებდა მეფე დავითი,
მას წინ უძღოდა წმინდა გიორგი,
ციდან მოსული, წმინდა რაინდი.

ცხადად ხედავდნენ, თუ როგორ მოსრა,
და აცვლევინა შიშისგან ფერი,
თეთრ ცხენზე მჯდომმა, წმინდა გიორგიმ
განდევნა უმალ, ურიცხვი მტერი.

თავისუფლების დროშა აღმართეთ !
ლექსად ააგეთ სიტყვა ზღაპრული,
თავისუფლება აჩუქეთ ქართველს,
და დაიცავით, მიწა ქართული.

ააღორძინეთ სიყვარული

ჩემი სამშობლო ტაძარია,
ღვთის სამლოცველო,
მე სხვა ტაძარში არ ვლოცულობ,
არ ვარ ჩვეული,
ჩემს ენაზე ვწერ, ჩემს ენაზე...
ვლოცულობ დღესაც,
რადგან ეს ენა, ღვთისმშობლისთვის...
არის რჩეული.

კვლავ გააღვივეთ სიყვარული,
ქართულ მიწაზე,
სიყვარული ხომ, უფალია!,
თავად ღმერთია!,
ჩვენი სამშობლოც საქართველო!
ქართველებისთვის,
მამა – პაპათა საძვალეა,
ერთადერთია.

არ მეგულება მე სხვა მხარე,
უფრო ლამაზი,
თაკარა მზე და მზით გამთბარი,
ლამაზი სული,
მხოლოდ ქართველთა მკერდში ბუდობს,
დუღს და თუხთუხებს,
მოსიყვარულე, მოტრფიალე, მოწყალე
გული.

ააღორძინეთ სიყვარული ქართულ
მიწაზე,
დაილოცეთ და ეზიარეთ სინანულისთვის,
იცხოვრეთ ძმურათ, მეგობრულად,
ურყევი რწმენით,
უფალმა შექმნა ეს სამყარო...
სიყვარულისთვის.

მთებზე ჩამოწვა ბურუსი

ბევრი რამ მამითმენია,
ბევრსაც კიდევაც მავითმენ,
ძალა არ შემწევს ბეჩავსა,
ნეტავ, სადამდე წავითმენ.

ლამის ცრემლებმა დამახრჩოს,
თვალთ მიბნელდება, ვღონდები,
ენაზედ მადევს ბორკილი,
ვერ გავძლებ, ალბათ... მოვკვდები.

სისხლი ასკდება გულ – მკერდზედ,
ჩემი მამულის მიწასა,
მე ვერას ვშველი... რაი ვქნა,
ვერ ავისრულებ მიზანსა.

ვემდური მე ჩემს დროებას,
რამ დამამუნჯა დიაცი,
ვერვის შეუქცევ სიტყვასა,
მწუხრის ჟამს ისმის გნიასი.

“ ვაი ჩემს ამ დროთ მოყრასა,
ჩემს ამას მოხილებასა”
მთებზედ ჩამოწვა ბურუსი,
თვალთ მიშლის ახილებასა.

შენთან, რომ მოვალ უფალო!
რით გავიმართლო თავიო,
ჩემი მამულის სიავდრით...
ჩამომტყდა მარჯვნივ მკლავიო.

არც რა მინდოდეს სოფელში,
უმწეოდ ყოფნა – ცხოვრება,
თუ არ მერგება ამქვეყნად,
მე ღვთისმიერი ცხონება.

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ს

ალაზნის ველად შობილი,
ყვარლის მთებს ეფერებოდა,
მთის ცრემლით ჩამომდინარე,
დურუჯსაც ეგებებოდა.

და როგორც წყალი დურუჯის,
გრგვინავდა, ტალღებს სერავდა,
ისე ილია ფიქრებით...
სამშობლოს ტანჯვით ღელავდა.

ტყით შემოსილა ფერდობი,
ბრწყინავს ნეკრესის კალთაო,
ნეკრესის მონასტრის ჯვარი,
და სამლოცველო ხატთაო.

ხატს ავედრებდა ქვეყანას,
ილია “ დედა ღვთისაო !”
“ შენი ხვედრია ქვეყანა,
მაჩვენე შველა ხსნისაო.”

წიწამურს მოკლეს ილია,
ცრემლების წვიმამ ინამა,
მოკვდა ის, ვინაც სამშობლო,
ღმერთივით გულით იწამა.

როს განგაშებდა სიონი,
ზარის ხმა ჰგავდა მზაობას,
ეს ხმები ღმერთსა სწვდებოდა,
ისმენდნენ უფლის გალობას.

სისხლი დაიქცა წიწამურს,
ცაში გაბრწყინდა სულიო,
მარად იცოცხლებს სახელი,
წმინდანად შერაცხულიო.

ფიქრისამარა

შენ ზღვის ნაპირთან განმარტოებით...
ფიქრებთან ერთად იდექი კენტად,
მდუმარე იყავ, მჭმუნვარე სახით
და სევდიანი იყავი მეტად.

თმებს გიწეწავდა ძლიერი ქარი,
შენც უნებურად ქარს მიჰყვებოდი,
თითქოს მოგნუსხა მისმა სიბრაზემ,
ისე მორჩილად მიუყვებოდი.

თითქოს ხარობდი, მაგრამ არ ვიცი...
რატომ, ან ვისთან მიგიხაროდა,
ჩემსკენ მოჰყავდი ალბათ ამ ქარებს,
და შენი ხილვა მეც მიხაროდა.

მაგრამ რატომღაც გეზი იცვალე,
შორს გაგიტაცა ძლიერმა ქარმა
როცა ველოდი მე ჩემს სიყვარულს,
ზურგი მაქცია ლამაზმა ქალმა.

მაღლა ღრუბლებში ცას შესცქეროდი,
შენ მიილტვოდი ცისკენ ანაზდად,
ხელებგაშლილი, მშფოთვარე სახით,
მიუყვებოდი ქარებს ამაყად.

მივხვდი დაქკარგე, ვეღარ გნახავდი...
დაჰქროლა ქარმა, შეჰკრა კამარა,
შორს გაგიტაცა, ვერ დაგეწიე...
და დავრჩი მარტო, ფიქრის ამარა.

ნაღვლიანი თვალები

მომღიმარ სახეს დავეძებ ყველგან,
ყველგან სევდა და დარდია მხოლოდ,
მე ნაღვლიანი თვალების მზერა,
ოღონდ აღარ მსურს, აღარ მსურს ოღონდ.

მინდა ია და ვარდი ხარობდეს,
ხარობდეს ერთად პატარა, დიდი
და სიხარულით სავსე თვალები,
შემომეფეთოს არ ჰქონდეს რიდი.

ბედნიერებავ! ზურგს ნუ შეაქცევ,
ჩემს მამულს, ჩემს ერს და ჩემს მომავალს,
ნაღვლიან თვალებს ნუ დამანახებ,
სჩუქნე სიმშვიდე ამ ჩემს მონაგარს.

ეკლიან გზებზე ნუღარ მატარებ,
ბედი ზვარაკად ნუ მაღიარებს,
ნაღვლიან თვალებს ნუ დამანახებ,
ნუ დამიკაწრავ, გულს ნაიარევს.

ნუ დამღლი დარდით, იღბალო ჩემო...
ცას მოაბნიე ლურჯი იები,
მიწას მოჰფინე ბედნიერება,
გულს დაგვაკემსე, როგორც ღილები.

აპატიე

დაიკარგა ერთგულება,ნდობა,
სიკეთე და სიყვარული...ძმობის,
დაიკარგა ჭეშმარიტი რწმენა,
შეცოდება, მოხუცის და ობლის.
დააფასე ღმერთისადმი ნდობა,
და იცხოვრე შეურყევლად მანამ,
სანამ ღმერთი შეგიყვარებს მართალს,
რომ მიგიღოს როგორც შვილი მამამ.
დააფასე, ვისაც სჯერა შენი,
იზიარებს შენს ტკივილს და დარდებს,
არასოდეს შეაქციო ზურგი,
სულის მზერით მეგობრობა გწამდეს.
ზამთრის სუსხით არ გაყინო გული,
მზის სხივები მიაშველე სწრაფად,
თორემ, თუკი დაკრისტალდა სული,
პატიებას ვეღარ შეძლებ ალბათ.
გაწყენინეს? – არ განრისხდე უმალ,
შენ! არა ხარ მხოლოდ ერთადერთი,
აპატიე! გზად წვიდეს მშვიდად,
შეუნდე და შეგეწევა ღმერთი!!!

დარდს იმედები არ ნებდებიან

მოგზაურს ვგევარ, შორ გზაზე წასულს,
ხიფათები, რომ სულ თან დაჰყვება,
მაინც კი გულში იმედი ღვივის,
და არასოდეს ის არ ჩაქრება.

ჩემი ცხივრება, ხან იმ გემსაც ჰგავს,
ნელ – ნელა ზღვაში, რომ იძირება,
და მაინც გულში იმედი ცოცხლობს,
იმედი არ წუხს, სულ იღიმება.

როცა თოვლი და თოვლის ნამქერი,
ჩემს გასავლელ გზას ყინულით ფარავს,
მაშინ მე ლოცვით ვუხმობ ჩემს უფალს,
უფლის იმედი მაძლევს დიდ ძალას.

ტკივილში მიდის ცხოვრება ჩემი,
ტკივილს ცრემლები ეფერებიან,
მაინც არ ვკარგავ მომავლის რწმენას,
დარდს იმედები არ ნებდებიან.

ჩაგხატავდი ანგელოზად გ ულ შ ი

ჩანჩქერ – ჩანჩქერ მიუყვები ცის ნამს,
მიუწვდომელ მწვერვალებსაც სწვდები,
ნაბიჯ – ნაბიჯ თან დაგყვები ფრთხილად,
მზის ამოსვლას შენთან ერთად ვხვდები.

თოვლიან გზებს გავუყვებით შარას,
უჩვეულოდ ქარი გვაყრის ნამქერს,
სიყვარულის სურნელებას აფრქვევს,
ააზვირთებს ჩემი გრძნობის ჩანჩქერს.

მერე, ვეღარ დავიოკებ გრძნობებს,
მოვალ შენთან, ჩაგიხუტებ გულში,
მინდა იყო სამუდამოდ ჩემი,
გამოგიტყდე ლამაზ სიყვარულში.

ბევრჯერ კარგო! მინატრია ფიქრად,
რომ მქონოდა მე, და ვინჩის ფუნჯი,
დაგხატავდი ლამაზ ფერში კრთომით,
ჩაგხატავდი ანგელოზად გულში.

შენი მზერა მაჯადოვებს წამით,
როცა მზისფერ თმებს გიწეწავს ქარი,
შენ ხარ ჩემი ერთადერთი ქალი,
სიყვარული, ხატზე საფიცარი.

დ ა ლ ი

გულს უცნაური დარდი მომაწვა,
მზესავით მწვავდი მზისგულა დალი!
შენ ჩემთვის უცხო სამყაროს ქმნიდი,
იყავი ნაზი და იდუმალი,

შენი თვალების მზერა მაკრთობდა,
ვერ გიბედავდი, რომ შენ მიყვარდი,
მიუწვდომელი მზე იყავ ჩემთვის,
ახლაც კი მიკვირს, რათ შემიყვარდი.

შენი ბაგენი ჰგავს ვარდის ფურცლებს,
თითქოს ღიმილში ვარდი იშლება,
ჩემი ფიქრები შენ გიმღერიან,
ეს სიყვარული არ წაიშლება.

როცა აფრებს შლის თავნება ქარი,
მინდა, რომ იყო შენ ჩემთან ახლო,
წვიმიან ღამით ათრთოლებული,
მინდა გიხილო, მინდა, რომ გნახო.

როცა ფიქრები არ მაძინებენ,
ღვინოს დავლევ და ღვინით დავთვრები,
მაგრამ ფიქრები არ მშორდებიან,
არ მავიწყდები და მენატრები.

არ მავიწყდები, ვერც დაგივიწყებ,
შენ, ხომ არა ხარ უბრალოდ ქალი!
საბედისწერო, ულამაზესი,
სხივად შობილო! ქალღმერთო, დალი!!!

ი მ ე დ ი ს ს ხ ი ვ ი

წარსულს ჩაბარდა ჩვენი ცხოვრება,
წლები შფოთვისა, დღენი გოდების,
აღარ მსურს ღმერთო! დარდი და ცრემლი,
ხმები მღელვარე, მძაფრი ომების.

მინდა გამოჩნდეს იმედის სხივი,
სხივი ბრძოლისა განწყობის, წინსვლის,
მსურს ქარიშხალმა მთლათ გადათელოს,
დღეები მკრთალი შურის და რისხვის.

მომავლის იმედს ნუ დამიწურავ,
იმედით მოველ აქამდე, დღემდის,
უფალო! შეგთხოვ, რომ ჩემს მომავალს,
მადლი აფრქვიო სჯეროდეთ ღმერთის!

გაუნაწილე ყველას უკლებლივ,
სიხარული და ბედნიერება,
და დაანახე ამ საუფლოში,
ამ წუთისოფლის მშვენიერება.

მაბედნიერე უფალო ჩემო!
გაღიმებული ბავშვების ცქერით,
ბედნიერებით, სიკეთით სავსე,
გაბრწყინებული თვალების მზერით.

ლექსო! ნუ შემომელევი

ლექსო! ნუ შემომელევი,
შენგნივ მჭირდება ნუგეში,
ბედნიერება ჩამარცვლე,
ჩემი მამულის გულ - მკერდში.

ლექსო! ნუ დაიკარგები,
დრო სწრაფად მიჰქრის ტიალი,
მე ჩემი ქვეყნის დარდი მკლავს,
ამქვეყნის ორომ - ტრიალი.

ვლოცავ ცას, მაღლით უფალსა,
არ მსურს მესმოდეს ტირილი,
ღმერთო! ჩემს ტანჯულ ქვეყანას,
დაჰბედებოდეს ღიმილი.

გადმოასხივე ღვთის მადლი,
ჩემს ცას და მთათა ზედაო,
გვაცხოვრე ისე როგორაც,
ქვეყანას ეკადრებაო.

ნუ მიგვატოვებ უფალო!
მოგვმადლე ხსნა და საშველი,
უხვად გვაფრქვიე მზის სხივი
და მოგვივლინე ნათელი.

ნ ა ტ ვ რ ა

ღვთისკენ ილტვოდა პატარა გოგო,
და მთელი გულით ევედრებოდა,
უფალს შესთხოვდა შველას ქვეყნისთვის,
იმ ღამით ყინვას ერკინებოდა.

რაც გავჩნდი ქვეყნად ჩემო უფალო!
კარგი ამქვეყნად არა მსმენია,
როგორ ვიცხოვრო ცრემლში და დარდში,
ნუთუ ეს ჩემი განაჩენია.

მეც დამანახე ცხოვრების ხიბლი,
როგორი არის, ან რა ფერია,
ნუ გადამაქცევ სევდიან გედად,
და მეც მაკუთვნე ის რაც ჩემია.

გაბრწყინდეს მინდა დღეს საქართველო,
გაბრწყინდეს ჩემი ერის დიდება,
ვერ დავიჯერებ, რომ ეს სამყარო,
გადაშენდება, აღარ იქნება.

ჯერ პატარა ვარ, გული მიკვდება,
ბედნიერებას ვერ ვასწრებ ვერა,
შენ მოწყალე ხარ და იმედი მაქვს,
კვლავ გაგვაბრწყინებ, მე შენი მჯერა.

დიდება უფალს! და დიდ შემომქმედს,
ხმა მივაწვდინოთ ციკრის კარამდის,
იხსენ სამყარო სიყვარულისთვის,
დიდება უფალს! აწ და მარადის!!!

სიყვარული გადაარჩენს

ჩვენი ყოფა, სიდუხჭირე,
დღევანდელი სულთა სრბოლა,
დღევანდელი ჭირთა თმენა,
ქიშპობა და ძმათა ბრძოლა...

ვფიქრობ, დიდი გამოცდაა,
მოვლენილი უფლისაგან,
გვმართებს დიდი დაფიქრება,
ამ მარხული სულისაგან.

სანამ სხვისკენ თითს გავიშვერთ,
ჯერ ვეძებოთ ნაკლი ჩვენში,
იქნებ ქვეყნად დაიდაროს,
არ მოვიდეს წვიმა, თქეში.

ქიშპობა და სიძულვილი,
არას არგებს ჩვენს მიწა – წყალს,
გამჭრიახი ჭკვა – გონება,
სულ სჯობია ალესილ ხმალს.

მოიკრიფეთ გონი ხალხნო!
სხვას ნუ განსჯით, ნუ დათრგუნავთ,
ერთმანეთის რიდი გქონდეთ,
მოეფერეთ ძმაკაცურად.

მიუტევეთ წყენა ერთურთს,
არ ჩაუკლათ ბოღმა სულში,
სიყვარული მიუძღვენით,
ნუ ჩაიდებთ წყენას გულში.

სიყვარული გადაარჩენს...
ქვეყნის ექიმს, ვექილს, დალაქს,
რუსთაველის ვეფხის ტყავს და...
გორგასალის ნაძერწ ქალაქს.

ნუ მიმატოვებ

უფალო შეგთხოვ! ნუ მიმატოვებ,
ტკივილს ნუ შემყრი, გთხოვ მანუგეშო,
გზა გამინათე, ნუ დამაბრმავებ,
მტირალს მივხედო და ვანუგეშო.
ძალა მომეცი! სევდით მოვლენილს,
ცით გაყინული გზები გაულღო,
სიკეთის სხივი ვასხივო მინდა,
სული დავუტკბო, გული გავუთბო.
არ მიმაჯაჭვო სასთუმალს არა,
ვერ გაგეცლები სხვაგან შორს სადმე,
გონს ნუ დამიხშობ, მადლით შემმოსე,
მაკეთებინე კეთილი საქმე.
თორემ, ვერ მოვალ შენთან სხვაგვარად,
არ მინდა მქონდეს მე ვინმეს ვალი,
არ მწამს უმიზნოთ ცხოვრება ქვეყნად,
თუ არ ვარიგე გზადაგზა მადლი.
ფიქრმა შემაკრთო, დამღალა ფიქრმა,
ღამეც დამთავრდა მდუმარებისა,
უფალო, ღმერთო! გთხოვ შეისმინო,
ამბავი ჩემი მწუხარებისა.

საოცარი სამყარო

ჩემს გულში თუ ჩაიხედავ მზე ანთია,
ვით ზამბახი აკრთობს ქარი და ნაზია,
მზის სხივებით გამთბარი და მოალერსე,
იქ ნათელი სიყვარულის დარბაზია.

სულში მარად აკოკრებულ ვარდს იხილავ,
მარადმწვანე ყვავილების ფერთა ხეა,
სიყვარულზე დაწერილი ჰანგები კრთის,
ლაჟვარდოვან დილის ცისკრის სამოთხეა.

საოცარი სამყაროა გადაშლილი,
სულის ფსკერზე დალექილა უკვდავება,
უკვდავებას სულ თან ახლავს დიდი სიბრძნე,
უფალს ვმადლოთ, ესეც არის უფლის ნება.

შენ ერთი ხარ, ვისაც გული გადვუშალე,
ვინც მივიღე მოზიარედ სიყვარულის,
მინდა შენგან გავიგონო მიყვარხარო!
რომ არ მქონდეს მღელვარება სინანულის.

ფ ი ქ რ ი ს ა მ ა რ ა

შენ ზღვის ნაპირთან განმარტოებით...
ფიქრებთან ერთად იდექი კენტად,
მდუმარე იყავ, მჭმუნვარე სახით
და სევდიანი იყავი მეტად.

თმებს გიწეწავდა ძლიერი ქარი,
შენც უნებურად ქარს მიჰყვებოდი,
თითქოს მოგნუსხა მისმა სიბრაზემ,
ისე მორჩილად მიუყვებოდი.

თითქოს ხარობდი, მაგრამ არ ვიცი...
რატომ, ან ვისთან მიგიხაროდა,
ჩემსკენ მოჰყავდი ალბათ ამ ქარებს,
და შენი ხილვა მეც მიხაროდა.

მაგრამ რატომღაც გეზი იცვალე,
შორს გაგიტაცა ძლიერმა ქარმა
და, რომ ველოდი მე ჩემს სიყვარულს,
ზურგი მაქცია ლამაზმა ქალმა.

მაღლა ღრუბლებში ცას შესცქეროდი,
შენ მიილტვოდი ცისკენ ანაზდად,
ხელებგაშლილი, მშფოთვარე სახით,
მიუყვებოდი ქარებს ამაყად.

მივხვდი დაქკარგე, ვეღარ გნახავდი...
დაჰქროლა ქარმა, შეჰკრა კამარა,
შორს გაგიტაცა, ვერ დაგეწიე...
და დავრჩი მარტო, ფიქრის ამარა.

ქ ა ლ დ ა ო

აგრე რადა მწვავ ქალაუ!
რად მეფინები ნისლადა,
ვარდი ხარ ეკლად ნაქცევი,
გულსაც მისერავ ფიქრადა.

მიყვარხარ, გეტრფი შორიდან,
ფშაველო! ლამაზ ხმიანო!
ფანდურს, რომ დააგურგურებ,
ბაღში ვარდები კრთიანო.

აგრე ამაყი რამ გშობა,
არა გაქვს ცოდვა – ბრალიო,
თუ შემიყვარდი ბეჩავსა,
რაში მიმიძღვის ბრალიო.

თუ ნებით არ გამამყვები,
ძალით წაგიყვან ქალდაო!
გულს ვერ დავუშლი სიყვარულს,
ლაშარის ჯვარის მადლმაო.

ხევსურეთს წასვლა მწადია,
ერთად გადვივლით ფერდობებს,
გუდანის ჯვართან ჯვარს დაგწერ,
დავიპატიჟებთ მეგობრებს.

მერე კი, ერთნი ვიქნებით,
ჩემს გულს გაჩუქებ მზესაო,
შენც შემიყვარებ ქალდაო!
ვფიცავ შენს თავს და ღმერთსაო!!!

მე განა მართლა ღვინო მწყურია

ღამის წყვდიადმა ჩამძირა ფიქრში,
გული აჩქროლდა სიყვარულისგან,
ღვინო მომწყურდა, ღვინო დავლიე...
ცრემლი მდიოდა სინანულისგან.

თქვენ არ იფიქროთ, მართლა ლოთი ვარ...
ანდა, სიმთვრალე დამასამარებს,
მე სიყვარულმა დამათრო მხოლოდ,
და სიყვარული მალაპარაკებს.

თქვენ, არ იფიქროთ, ალმასი მხიბლავს,
თვალ – მარგალიტი, ფირუზ – ლალები,
მე, საქართველო შემყვარებია,
ჩემი მამული სათაყვანები.

ჩემი დარდი ხარ, ჩემო ქვეყანა!
ჩემი ფიქრი და ჩემი გოდება,
შენა ხარ ჩემი სიცოცხლის წყარო,
ჩემი ტრფიალი, ჩემი ოცნება.

მე, განა მართლა..., ღვინო მწყურია...
ანდა, ლოთი ვარ გადარეული,
მე თავთავი ვარ, პურის მარცვალი,
ქართულ მიწაზე გადაბნეული.

წ მ ი ნ დ ა გ ი ო რ გ ი

კაბადოკიას მიწაზე,
წმინდა გიორგი შობილა,
ქრისტიანი და მორწმუნე,
მხედართმთავარიც ყოფილა.

ქრისტიანობას დიდ რწმენას,
რომ ქადაგებდა მეფესთან,
არ მოუწონეს, აწამეს,
ბორბალს დააკრეს მესერთა.

მრავალნაწილად დასერეს,
მოწამის მთელი სხეული,
ღმრთის ანგელოზის გარდმოსვლამ,
გადაარჩინა გრძნეული.

სცადეს წამება ახლიდან,
კირში ჩააგდეს სამი დღით,
ამ განსაცდელსაც გაუძლო,
გიორგიმ ტანჯვით, შავიდღით.

ლურსმანგაყრილი ფეხსაცმლით,
მას აიძულეს სირბილი,
გაშოლტეს, მწარედ აწამეს,
პირზე შემორჩა ღიმილი.

ბევრი ტანჯეს და აწვალეს,
ბევრ განსაცდელში მოცელეს,
ბოლოს რომ ვერა დააკლეს,
გიორგის თავი მოჰკვეთეს.

გიორგი არის მფარველი,
მოგზაურთა და მხედართა,
მფარველობს ომში მებრძოლებს,
მფარველობს უფლის მხევალთა.

წმინდა გიორგი შემწეა,
ქალაქისა და სოფლისა,
შემწე ქართველთა ლაშქარის,
შემწე დიდგორის ბრძოლისა.

ქვეყნის მფარველო წმინდანო!,
მფარველად ყველგან დიოდი,
შემწე ხარ საქართველოსი,
დიდება წმინდა გიორგი!!!

ნუ მ ი მ ა ტ ო ვ ე ბ

უფალო შეგთხოვ! ნუ მიმატოვებ,
ტკივილს ნუ შემყრი, გთხოვ მანუგეშო,
გზა გამინათე, ნუ დამაბრმავებ,
მტირალს მივხედო და ვანუგეშო.

ძალა მომეცი! სევდით მოვლენილს,
ცით გაყინული გზები გაულღო,
სიკეთის სხივი ვასხივო მინდა,
სული დავუტკბო, გული გავუთბო.

არ მიმაჯაჭვო სასთუმალს არა,
ვერ გაგეცლები სხვაგან შორს სადმე,
გონს ნუ დამიხშობ, მადლით შემმოსე,
მაკეთებინე კეთილი საქმე.

თორემ, ვერ მოვალ შენთან სხვაგვარად,
არ მინდა მქონდეს მე ვინმეს ვალი,
არ მწამს უმიზნოთ ცხოვრება ქვეყნად,
თუ არ ვარიგე გზადაგზა მადლი.

ფიქრმა შემაკრთო, დამღალა ფიქრმა,
ღამეც დამთავრდა მდუმარებისა,
უფალო, ღმერთო! გთხოვ შეისმინო,
ამბავი ჩემი მწუხარებისა.

სიცრუე თუ სიმართლე

იოლია ეს ცხოვრება...
თუ გაგიწყდა შუბლის ძარღვი,
გრძნობა სირცხვილ – ნამუსისა,
ეს არ არის დასაკარგი.

სძლიე შენს თავს, ნუ იცრუებ,
და იცოდე ცოდვა – ბრალი,
ნუ იქნები გულზვიადი,
ლაჩარი და მუდამ მხდალი.

ტყუილი არ დაიჯერო...
არც შენ დაგცდეს რამე მცდარი,
სასიკეთოდ თუ იცრუე,
საქმე არის გასახარი.

ცბიერ სიტყვას თან მოჰყვება,
ბოროტება, გულის ტკენა,
ნუ ინებებ, არ დაუშვა...
მეგობრის და ძმობის წყენა.

ტყუილის თქმას სიმართლე სჯობს,
სიმართლეა უფლის მცნება,
სიკეთე და სიყვარული,
ყველა არის უფლის ნება.

შენ შემეწიე უფალო!

არ მინდა მოვკვდე ხიზანი,
იმქვეყნად წასვლის მრცხვენოდეს,
მინდა სიცოცხლეს ვუყვარდე,
სიცოცხლეს ვენანებოდე.

მე სიყვარულით ვიცხოვრე,
გულს ყველა შეჰყვარებია,
გულს ვერ ვუბრძანებ სხვაგვარად,
მტერიც კი დამნანებია.

მამულზე ფიქრმა დამღალა
და დამეწურა სულიო,
მე ვერ ვუწამლე ბეჩავმა,
მთლად დამესერა გულიო.

მოვილტვი შენსკენ უფალო!
შენ გამინათე გონება,
მაკეთებინე სიკეთე,
შემომითვალონ ცხონება.

იმედად შენ მეგულები,
დავრჩი სნეული, უძალო,
ხელს ნუ გამიშვებ, ამას გთხოვ...
შენ შემეწიე უფალო!!!

კობა ადეიშვილი
დაბადების ადგილი – სამტრედია

* * *

მზის ბაღდადო, საოცნებო მარგალიტო!
ავგაროზო ! სულის თბილო მალამო.
რენესანსის მოპარულო ჩქამო წვეთო.
ივერიის მშობლიურო ქალაქო.
არსებულო, სიყმაწვილე თეთრო ვარდო...
მისხალ, მისხალ, წითელ ზღვაში გეძებდი!
ერთი მითხარ თუნდაც უკვე იყოს გვიან.
ლეონარდოს ნახატივით მშვენდები.
იმ დღეს ვფიცავ, ცეკვის როლი ანათებდი.
ელვარება ელავს, ცაზე მნათობი.
საიდუმლო მაპატიე, ვიყავ მონა!
შავი ზღვა და შორეული გედები.
ვარსკვლავებით მოჭედილა ჩუმი ღამე.
ია მორცხვად, ცას უღიმის თავნებობს.
ლამანშის გზას, სრუტეს, ბუღი დარდანელის
იასამანს ქრიზამთემებს ატმის რტოს.

, , , , , ,

კორითეს რაშს, ველურ ვნებას კვირტი მკერდის!
ოვალური ტრიუმფი და ბეწვის ზნე.
ბატალიის სანავარდო ელენგანტი!
ატმოსფეროს ასუფთავებს შინდის მზე!

ჰე!

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ!
მჭახედ ისმის
გონება ცისა!
შენ, შეუდექი
აღმაცხოვრდი!
ზეციურ ზღვისა!.
შენით იწყება,
გ ა ლ ა კ ტ ი კ ი ს!
მთვარის ვენერა.
მ ე რ ი! იწყება
განაბული,
არ დავიწყება!.
მარადისობას
მიუძღვენი,
ტანჯული თავი!
შენ! მითი იყავ
გულთმისანი!
მთის კიდობანი.
ნათელში სხივი
:უ კ ვ დ ა ვ ე ბ ი ს“
მეფე გენია!.
დაფნის გვირგვინი
კალმის ღმერთი
და! ი მ პ ე რ ი ა.
.. – – –
ქუჩებში ქრიან
გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი ს.
ჩუმი ქარები !
შენით მიაპობს
ზეცას მერანი
ტატოს თვალები...
ხიდთან ანთებულ,
ცეცხლის დინებად,
ღვინის კასრებად !.
ჰე ე! გალაკტიონ
ლამპიონები: ““
ბრწყინავს ასლებად.
სულ სადღაცა ხარ !
მიცურავ ნისლში
დიდო მგოსანო !
შენ !, ფიროსმანის
მუზარადით
აბჯაროსანო !.
იღვრები ცრემლში.
როგორც, საბა !
გურამიშვილი !
დაგეძებთ ყველა,
ო კ ე ა ნ ე ს !
როგორც მზის შვილი.
გალას ხვედრია !
გოლგოთაზე
ჯვარის აზიდვა.
გრიგოლის ხანა
მისტრალიდან
ვაზის დაწინდვა !.
შენით ირწევა,
პოეზიის ცხელი
აკვანი!
შოთა, ილია, აკაკი!
და! ასათიანი.
სილუეტი ხარ!
გ ა ლ ა ქ ტ ი ო ნ!
მელნისფერ რთველის.
თვრებოდა ქარი
სარდაფიდან!
ტიროდი სველი...
მუხის შრიალი
დიდ ღელეზე,
ნოქალაქარი
გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი.
დააბიჯებს ვითარც
ფრთიანი !.
დარბიხარ დღეში
გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ!
წყნარი შეშლილი.
მისტიურ დილის
გათენება.
ღამის ძებნილი!.
ცა მეტი ტყვია!
სამიზნე და როგორც
გჩვევია-თ!
გალაკტიონით პოეზია
და ! ი ვ ე რ ი ა !.

* * *

ა – ბრეშუმივით გაწელილა დროის სადავე!
ბ – ატონყმობისგან აჯანყებულა, ლაშქარი სრული.
გ – ადაღლილსა და დამონებულ მცირე სავანეს,
დ – ააბიჯებდა უჰაერობა, ცხოვრება მტრული.
ე – გებებიან, ეფერებიან ღამის კოშმარებს!
ვ – ედრება მწველი, უხალისოდ დათარეშობდა.
ზ – არმაც გუნებას, თავშესაფარს მოხუცის როლში,
თ – ავის უფალი იხრწნებოდა მრუში გონება!
ი – ხსნება არზა, დედამიწას მუქი კადრები!
კ – ალიბრის ტყვია, სიმყუდროვეს ჩუმად დარაჯობს.
ლ– ონგინოზის ხმას, შიშველ მკერდზე, ორნამენტებით,
მ – ღელვარე პორტრეტს დაემსგავსა მთელი სამყარო!
ნ – ეიტრალური წითელი ზღვის ადვოკატები...
ო – ფიციალურ ობიექტივს მიზანში იღებს!
პ – ატიმრის როლში მოქცეულა, ლეში! სულელი,
ჟ – ამიან დროში გაჩერებულ საათის ისრებს!..
რ – ადიკალურად შეცვლილია უხმო მაყრები!
ს – ოციალური ფენა ითხოვს თვით–დანაყრებას.
ტ – ონიან მრიცხველს, ჩასაფრებულან ლაწირაკები.
უ – ლტიმატებით ნებდებოდნენ, უცხო პალიტრას!.
ფ – არდულში ხანჯალს აელვარებს, ნადიმი ბნელი.
ქ – ალღმერთი დალი, ცრემლში მარხავს უბიწოებას.
ღ – ამის ჩვილ ლანდებს მოაშრიალებს, ქომაგი ძველი.
ყ – ინვის პერანგით, გათიშული! ბედნიერება.
შ – აირს იტყვიან, მოგიწოდებთ! ბრძანება! მედგრად.
ჩ – უმი ქაოსში აირია უცხო ნივთები.
ც – იურ სხეულებს, მოლეკულებს, მზის ნაწილაკებს,
ძ – ახილით მინდა, მოგიხატოთ ოქროს მძივები.––––,,,
წ – ამზომი ითვლის უმოწყალოთ დროის ნაპირებს!
ჭ – ვავისფერ ყანას ნერვიული ქუხდა ბეღელი.
ხ – ალვათი სუნთქვა, თეთრ საყელოს მიჭერს მარწუხებს!
ჯ – ამში წვეთავდა ნატურალური თიხის ქვევრები!. –
ჰ – ო! „ჩუმი ფიქრი ორიგინალი“, ღამის ბრენდია...

* * *

ზეცა ნატრობდა დილის სინაზეს,
ჩუმი ტაროსი შემოფეთებას,
შემომაღამდა ფიქრში სიცხადე,
შეიცან თავი! დღე გევედრება.
ზღვის მელოდრამა ქალი დავლური,
ღრუბელთა დარდი სიმშვიდე მერმის,
ვიღაც იღიმის, ამშვენებს ატლასს,
ვიღაც კი სულში! მაფურთხებს მერჩის.
ნატრობდა ზეცა ეიფორიას,
ღვინის დოქებით ვავსებთ ფიალებს,
ირმების გუნდი წყარო ანკარას,
მთებში მყინვარი ცივს და, მძვინვარებს!
მთვარემ მიამბო წუხელ ზღაპარი,
მითხრა ბოდვაა მაგრამ მიყვარხარ!
მზის საგალობელს, კამარას წვიმის,
თაფლის თვალები ცას შეედარა..
ვმღერი ვარსკვლავი, ვამეტებ დროში!
ცხოვრებამ ფრთხილად დამიგო მახე,
ეხლა ის დროა ავიღოთ ხელში,
რითმები ლექსის, დღე მოდი მნახე.
სიმღერა,გრძნობა, დარდი სიცილი!
არეულია ღამის სონატა,
ლოდინი ერთის, ღეღვაა ზეცის!
ბალზაკი ,,ხატავს“ რაც კი მებადა.
მწერს და მისტირის ყოველ ზმანებას!
წერილს გიგზავნი ღია ბარათებს
ზეცა ნატრობდა დილის არენას–
თბილისურ ფონზე დღის ბაითებს.
„ვდგევარ და ვფიქრობ სად შემეშალა“.

* * *

სილუეტი ცის გუმბათი ლერწმის სტვირი.
მხატვრის ფუნჯი, მწერლის სისხლი კალამი.
ქალაქში თოვს. სირონერა ათევს ღამეს
ერთურთს ვხდებით, ვეხუტებით სალამი.
კარადის კარს ვახედებდით უცხო ვნებას.
სველ მინაზე ვხატავთ ხელით ორთქლის გულს.
ოკეანეს ზვირთი ტალღა ემეტება.
მკერდზე კოცნით ქარიზმატიზმს დაფნის რგოლს.
გამოსავალს ხალიჩაზე მაგის სტრანტებს
გვირილაში მოძებნილი ქების რტო.
მარიამი მაგდალენას ცრემლის მკლავებს...
ამშვენებდა სანტიმეტრი ვბედავ ბროლს.
ჭალის თვალებს ავგაროზის ტანის რხევა.
ჭაღის მინდვრებს გალაკტიკის საყანოს !
იბადება მარიამი,, მერის “ ნაცვლად.
სანაცვალოთ ეფიცება ვეზირთ ბრბო.
თავდახრილი მოაბიჯებს ჯებირს არღვევს.
არღვევს მითებს შექმინლს გმირთა გორიდან !
საზღაპარო ყელის ნაკვთი გიჩანს /ქალო!
ვიღაც მაინც ვიტყვით ვიყავთ მოდიდან.
თეთრ შუქურებს მოანათებ ამრთელ ცნობარს.
რკინის აბჯარს ჯარისკაცთა სატახტოს.
ქარავანი შემოუდგავთ გირწევთ რითმებს.
მრავლად ღმერთო შემოქმედთა სრასახლო.
ალაზანზე ტივზე უკრავს ქსოველები.
მთის კაცები შენ გიძღვნიან ყვავილებს
მზე დაგყურებს შავარდენის ათინათი...
კაბის კალთებს ! ვარცხნილობა
,, მეფის მტრედს”.....

* * *

რა გვიანია შენზე ფიქრი
ჩემო კესანე,.
დამიგვიანდა მოსასვლელი
ვრცელი ბილიკი,
გხედავ თვალებში დაგინთია
ცეცხლის მესალმე
გადარაზული ბედნირება
ზღვის ლაბირინთი.
ეძღვნება რუსას ხსოვნას

ევას უარყოფა

ვწერ ღამის ვნებას, არშემდგარი თმების შევარდე.
ბუნების ცოდნას, მეტეორის სიყრმის სამთავროს.
ქარების ჩრდილში მოციმციმე ვმღერ ალვისხებას,
ვთვლი სუროს ნამყენს, სამართებელს,წმინდა სატაროს.
ათვლილი თემი, ვსიმღერობდით ტივზე. მორები.
ნამორალ კედელს შევეკედლეთ მზისფერ ბორანზე...
ცალ მუხლზე ვდგები, კალმითრხევას შევკადრებ მგოსანს.
და მეც ვღაღადებ შექსპირივით, უძვლო მორალზე !..
მოცარტი უკრავს ესენინი გაჰყვირის რითმებს.
ვიღაც დამცინის მანუგეშებს,, გალაკტიონო" !
ვწერ ღამის ვნებას !, შემეცნებით არღვეულ არაგვს.
სამარიტელი ლექსს მიკითხავს სამარიტელო.
,, მილეულ მთვარეს "‚,ლურჯა ცხენებს "‚, მესაფლავე "‚, ქალს "...
თბილი მუზების, მუზის გროვას თეთრი პერანგი.
შეფილდის მკლავი.თვალების ლტოლვა. ანდამატის დღე.
გაკოცებ მუხლზე, ბრძოლა იყოს თუნდაც ვერაგი.
ვწერ ფანტაზიას, ავსტრალიის მწვანე ამაზონს.
მუხების ტყეში აკრეფილი გოდრით რკოები...
სულიკო უკრავს, შაშვის ჩხართვი აჟღერებს ნოტებს.
მონადირესთან დაბერტყილი მთის სოკოები.
ვწერ ! ღამის ვნებას, შევერცხლილი თმების შავარდენს.
ბუნების ცოდნას, მეტეორის სიყრმის სამთავროს.
ქარების ჩრდილში მოციმციმე ვმღერ ალვისხებას.
ვთლი სუროს ნამყენს სამომავლო წმინდა სამყაროს.

* * *

მზის ბაღდადო, საოცნებო მარგალიტო !
ავგაროზო ! სულის თბილო მალამო.
რენესანსის მოპარულო ჩქამო წვეთო.
ივერიის მშობლიურო ქალაქო.
არსებულო, სიყმაწვილე თეთრო ვარდო...
მისხალ, მისხალ, წითელ ზღვაში გეძებდი!
ერთი მითხარ თუნდაც უკვე იყოს გვიან.
ლეონარდოს ნახატივით მშვენდები.
იმ დღეს ვფიცავ, ცეკვის როლი ანათებდი.
ელვარება ელავს, ცაზე მნათობი.
საიდუმლო მაპატიე, ვიყავ მონა!
შავი ზღვა და შორეული გედები.
ვარსკვლავებით მოჭედილა ჩუმი ღამე.
ია მორცხვად, ცას უღიმის თავნებობს.
ლამანშის გზას, სრუტეს, ბუღი დარდანელის
იასამანს ქრიზამთემებს ატმის რტოს.
–
კორითეს რაშს, ველურ ვნებას კვირტი
მკერდის!
ოვალური ტრიუმფი და ბეწვის ზნე.
ბატალიის სანავარდო ელენგანტი!
ატმოსფეროს ასუფთავებს შინდის მზე!

* * *

ბედის ჭიდილში ვახმოვანებ ციფრებს ნამიანს.
ქარბორბალაში ჩაბწნილი მყავს მუზის მარაგი.
შემოვეტმასნე შკერის ფოთოლს, ცაცხვებს, მთაწმინდას.
ევკალიპტებში საორფერო ქრეშის ბადანტი.
ვჯდები წვალებით, თან ვიტოვებ უსულო ხედვას.
ჩემეულია ყველაფერი მე, რასაც ვფიქრობ.
გადამხვევია ამ ცხოვრების ფერების გამა.
კოშკში ხელმწიფე მუშაობდა, ვეწევი თითქოს.
ვეწევი ჭაპანს. მსახიობი მჩრდილავს ზომიერ.
ქვიშის საათის ციბერპლატი მაშორებს ისრებს.
გაჩერებაა დედამიწა მიწონებს წესებს.
მე !, ლექსად ტრფობას,, პოეტებო " თავიდან ვიწყებ.
ვეტრფი მარინეს ჩვენ მენდალზე სამი ქარია.
უხერხულია სიყვარულში გადმოსცე ზომა.
დედაღვთისაში გაჯერებულ ღვთისმოსავ კოცნას.
მთვარეს ვიტაცებ, ნიკეოსის მთის მწვერვალ ბორგვას.
შველი თვალები შემომყურებს მიწონებს ტიტრებს
ვიღაც მიწონებს როგორ მე თუ საშუალოდ ვსუნთქავ.
მიყვება კითხვებს, გაზონები ლამაზად ღელავს.
მე და მარინე ცას ხელთ ვწვდებით, ვანათებთ მოცხარს...

* * *

ზღვას გაჰყურებდა ეს პ ო ე ზ ი ა...
მთაში ტაროსი იდგა უეკლო!
ენთო ფიქრები რეალისტების...
ზმანებასავით რეკდა სამრეკლო.
სხვა ღამის ფიქრში გადამასახლეს.
იქ ყველაფერი წარსულს ჩაბარდა !
ვფიქრობ დუმილი აწყდება კედლებს!
ყრუ ამოკვნესა, ვფიქრობ გადარჩა.
გამოწვევაა ვით მოგონება...
სხვა სურნელს აფრქვევს..ცისკარი დოღში!
პესიმისტობას !! შევხედე მშვიდათ.
ე პ ი დ ე მ ი ი ს.. ამ ნახგრძლივ ომში!..

* * *

ვღელავ ოკეანის მრიცხველს
ცას ავჰყვები თანაბრად.
მარში მფეთქავს, სულში ვთვრები
ფიანდაზად ლამაზად.
დროის ეროტიკულ ღამეს,
მზე ვარსკვლავი მოვწვიტე.
მათრობს, შარბათს მასმევს ლოლა.
მარისაბელ ზემფირებს.
დღეს, ეროსის შემრთეს წვიმა.
ექსკლუზივი ნიჟარა.
მაგიდაზე მიმოყრილან
ვიყავ ბინდის მშიშარა,
ფილაქანზე დავრგე პალმა
ეროზია ტიტრები.
მითვალთვალებს მარიანა
სიყმაწვილის ციფრები.
აგურის ზეს ' მკალი კოლას.
იეროგლიფს მეფურად.
ღრუბლების ფერს წაბლის ფოთოლს,
ტივზე ვლექსავთ შეფურად...
ვანსხვავებდით ქვიშის ღამეს !
აიწონას სასწორი.
ქარის დარდში გავეჭედეთ.
ხიბლი ჩვენი პატრონი.
ვხატავ, სადღაც ვიღაც უკრავს.
მიმეორებს მკარნახობს.
სათვალავში არ ეტევა
მირაჟები ალმასობს.
მკერდზე მინდა ჩაგეხუტო.
ისევ ისევ მიმიკრა.
მთვარიან მზეს შემოგწირავ
ვიალერსოთ დილიჟანს.

* * *

საამებლად მეძავი
ასიწიგნის შეცვლილებს.
დრო ჩერდება ბორანი.
ვხატავ, ვხატავ მეწყვილეს.
უზენაეს სამყაროს
ცის აკიდოს აკორდი.
გამისამდა მერანი
ტატოს საბალახოთი.
ვდგევარ! ვდგევარ. შევყვირებ
უარზეა სამყარო!
იერალაშ ვიღვიძებ
კეისარის ბახმარო!
თევზის აკვარიუმი
ურმის ბოგა ჭრიალებს.
ჭავჭავაძის პერანგი
ნიანგები ხარხარებს.
დრო მოვიდა ჭაობის
წაგიკითხავთ წილია!
სიყვარულში ვბღაოდი
მომენდობა თბილია.
ტანწერწეტა მეწყვილე
დახეული ჯინსებით.
გამოვსტაცე ბორკილებს,
გამოვთხოვე რითმები.
როიალზე დაუკრავ
ავამღერებ ჩონგურებს.
ლაზის სიმზე მოვმართავ
ფერეიდანს მესტვირეს.
ხმაურობენ კიბეზე
ცხენის ნალი გავარდა.
დაშიფრული ბინდდები
საბარგული ჩაბარგდა.
ერთიც შევთქვათ გენიავ.
როიალობ ჭოჭმანობ.
ფიჭვის ნაკრძალს გავმართავთ.
გადამკიდე ფოხანო!
ადეიშვილი კობა

* * *

დავდივარ და ქუჩებს ვეტრფი!
პოეტური ქარია.
ოკეანეს გადავხედე, დღის
ტალღები მწვანეა.
გადავხედავ დროის წარსულს,
ზღვის სამკუთხა ბარათებს.
შუაგულ მზეს დავემონე –
დავემონე შამათებს.
ღრუბლებს მთვარე, ართობს ნაზი.
სიყვარულის ხიდია.
პალმის ბაღში აფრიკოსი,
ყვავილობდა მისიად.
პოეზიის ლაბირინთებს,
ჩავეჭიდე მარაო,
ვსულდგმულობდი ღამის ვნებას,
შევღაღადებ მარადორს.
დავდივარ და მივაბიჯებ, ქარი
არ თმობს წერტილებს.
ამ ბობოქარ მუზის რიტმში,
სამყაროზე მეწყვილე.
დროის ღამე, ისვრის ტალღებს,
უსასრულო მითია..
სანთლის შუქზე, ვითბობ თითებს!
მუქთახორა ნისია.
ჩუმად წმინდას, ვევედრები
შემიწყალე განგებავ.
უამრავი ცოდვის ფონზე,
უსუსური არსება.
სიყვარულის დამწვი ხიდად,
გამიძარცვეთ საფლავი.
აკლდამაში გამომკეტეთ,
მიყვავილეთ წამწამი.,
დავდივარ და ქუჩებს ვეტრფი !
“პოეტური ქარია“.
დედამიწავ!
ჩემი მუზა უსასრულო ქალია....

* * *

ვცდი ღამის სევდას,
თავს ვაწვიმვარ ცაზე ქალამნად !
იალბუზების ქუხილია
ნათელი ბნელი.
შორეულ ქუჩას მივაბოტებ
ასე თამამად.
ასე შაურად ხურდა ფული,
მონეტა ძველი.
თრითინებს ღამე,
კალაპოტი მოხეთქა წვიმამ.
მყინვარის წვერზე სანთებელა
აშრობს სათაურს.
ბედის ხურჯინი მოვიკიდე
ავწონე ფილთა.
საპირწამალე სალაშინეთ
სათავგადასვლოდ.
ჩუმს ღამე, ნეტა ფიქრობს
მიმზადებს მითებს.
უსირცხვილო ბინდს, ცივ ზმანებას
ტრფობის შინდებად.
ამეთვისტომი ამერია მარგალიტებში...
პროზაიკოსი პოეტი ვარ !
ვისთვის ლიტერა.
ხელს ჩამოვართმევ,
შეუფიცებ მარადისობას.
ოსანა შინა შემციცინებს
კეთრის საზღაურს.
გადახდილია წერტილმძიმე
მოლბერტის მდივანს !
შემოვეხვიე სუროს ფოთლებს
მარჯნის სამაჯურს.
ეხლა ის დროა დედოფლები
მოდიან ბრენდად.
ყვითელ ჭადრაკზე გაუშლიათ
ეტლის მძივები.
ლაზიერი მყავს სადარბაზო
ედემსა შინა.
თავს მოგახვიეთ, საარაკოთ
ჩემი რითმები.
მეძახი ! მმართებს, სიყვარული
ცისფერი ტრიო.
ტიანშანის მთებს ვით ქორბუდა
ირემი ძველი.
მარტის ამინდმა დაისადგურა
მომყვება წვიმა,
ქუჩის ნაპირებს სასწაულად
ცრის ვარდისფერი.
ვრეკავთ,ვათენებთ, ცა მდარაჯობს
ნუგეშად მგეშავს.
საოფლე სოფელს ოფელია,
აღვევს ჯებირებს.
ვიღაც ცილინდრში, სეფე ქალი,
მიტოვებს ლოცვად.
ცრემლი ცრემლად მდის,
სველ თვალებზე ვიფარებ კითხვებს.
ვცდი ღამის სევდას, ცას
ვაწვიმვარ თავზე ქალამნად!
ასე კონტურში შავთეთრფონზე,
სიტყვის მარწუხებს.
მას დამიხედეთ, თავს რომ იგდებს.
აბუჩად მწერალს.
ასე სამსჯავრო, სასიტყვეთში
ფილმის ხელმწიფეს !.
გავყურებ ისევ, ამერია გრძნობა
მრიცხველად.
წითელი ტუჩი ფერუმარილ
იანკერებად.
ღმერთო დამხატე, ოქროს საწყმის
მოვტაცებ რიცხვებს.
ფუნჯი კალამში აურიე
მეტალფერებად.

* * *

წამით იმერში გადასახლდი გვიტოვებ
იმედს.
უტას ბგერები მოგყვებიან ია, ზღვის
ფერით.
თოვლი აპრილის ამცხუნვარებს შენ იერ
სახეს.
იდეალური ორნამენტი ია ! მოლბერტი..
ეკალ ვარდებში ანათებდი ია მთის
ერთო !
რომეოს როლი ჯულიეტას ძველი
რომანსით.
ია ვარდებით მოფენილო, იმ ერში
ღმერთო,
ადიდე ია ! ზღვა ღელავდა მწუხრის
მონეტი.
ღარიბის მინდორს, ამშვენებდი ია
მგოსანო !
ერთგულ სანიფხვოს ! სიყვარულის
მქადაგებელო.
ლაბირინთებში გაიარე ია ! იმ
ღამეს....
დასაბამიდან დასაბამის ყვავილის
დენთო.
ემშვიდობები აქეთ სოფელს გვიტოვებ
ნაღველს.
ბულბულის ენას იადონის ხმების
რაობას.
აგუზგუზებულ ბუხრის პირას რამსების
ღვინოს.
ზურმუხტის ერას, გამოწყობილ ამ ორ
სხვაობას.
ედემის ბაღჩა, სამოთხის ხე
უნარჩოებით.
ცამდე აზიდულ იას ! ეტრფის
შთამომავლობა.
იგულე დღეო ამიშალე ფიქრის
სავანე !.
ია მიყვარხარ ! სამუდამოდ მარადჟამობა....

* * *

ღამეს ვუძღვნი დილის ლანდებს.
ევკალიპტებს ჩრდილ ბაღნარში.!
თეთრი ვარდებს... მოციმციმე
გალაკტიკის სამალავში.
უძღებ ვუძღვნი მარად მევარს.
მსტოვარს, მშვილდებს, ცის წამწამებს.
მერისა და ფიროსმანის
ოცდაორდღე, მზის სავანეს.
მთაწმინდაზე ველურ თხილში,
ფოთლებს ნამი დასცვენიათ.
ლურსმანს ვჭედავთ, სახატეში
ნაზღაურის მოდემია !.
ჯოკონდას ყელს, მყვირვალს მკერდზმანს
ფიანდაზად მეფის როლში.
ბონაპარდეს შემეცნება
ჟოზეფინას მონოლოგში... ‘
მაგიდაზე უხმარ სიტყვებს.
“ ცურტაველი ჭირთა გვემა “
მარაბდაზე ღოღობლორში,
ჯვარს გავყურებთ ბეთლემცემა.
ბუმბერაზი პოეტები
ღვინოს სვამენ ქრიათრია,
ანდერძი ბლის, პეტრეს მცნება,
ზეთის ცხება კრეატრია.
დედამიწას ვუძღვნი ლანდებს,
ევკალიპტებს ჩრდილ ბაღნარში.
თეთრი ვარდებს... მოციმციმე
გალაკტიკის სამალავში.

Natia Leone

– დღეს რიგია ყვავილების საოცარო!
შენი ტრფობა თავიდანვე ნათელია,
სიყვარული დაიმკვიდრე სანუკვარი,
ეს ცხოვრება, რა რთული და, სანთელია..
დაბადება შენი იყო ათინათი !,
შენით ხარობს მთელი რიგი მწერლობის!
გამოგიტყდი სევდას მალავს გაელვება.
მე, ვიქნები შენი ფიქრის პატრონი..
დღეს დღეა, და ! სიხარული ცრემლიანი
შენი სული ეტრფის ზეცის ესკიზებს.
ხელს ჩაგკიდებ, გამომყვევით ვისეირნოთ,
მაგიდაზე დაგილაგებ ფეირვერკს.
დაბადება შენი იყო ! ა ღ მ ა ვ ლ ო ბ ა.
შევეკითხე, ვბედავ ბიჭი თავხედი!
ეხლა შენი აღელვება მანებივრებს...
მაგ თვალების ! ეშხის ტევრის სინდრომი.
დაბადება მოგილოცე ასი წელი,
გისურვებდი მიზნის ტილო ამწუთას–
გხედავ, გხატავ, წამს გაჩუქებ საყვარელო.
იმპერატორს მივაგენი თავიდან.
დავანებოთ საგანძური რეკვიემს...
დღეს რიგია შენით ვყვარობ წამწამებს
ხელს მოგხვევ და, მოგილოცავ საყვარელო
სიტყვით ვბედავ სიყვარულით ნაწამებს...
შენ ხალისი დაიმკვიდრე სანატრელო.
ეხლა ვხედავ შენსკენ ჯართა რიგია..
დაიფიცე ხომ გიყვარვარ თუნდაც ერთხელ!
ეშხით ნაბავ თვალებს,, ქალო ნიბლია”
– – დღეს რიგია ყვავილების საოცარო– –

* * *

მზის სავანეს,ცისკრის
დღეში სიოს თვლემას.
ალმაცერად მოელვარე
ეშხის დრამას.
მთელი ჩემი მონატრება
მელოდება !
მელოდება კამათელი
ფერთა გამა.
ხელს ვაწერდი,
ვიტოვებდი ღიად ბეჭდებს.
ზეცისაკენ მიმავალში
მქროლავ რაშებს.
ნეფერტიტის შემოუდგამს
შემოდგომა.
ცვრიან კალმახს აწითლებენ,
მინდვრის შაშვებს.
ჰე ! ღმერთებო შეიყვირეთ
ვკივით, ვლეწავთ.
მოედანზე გაუშლიათ მეიდანი.
ჰე !, დროშები შეიღება
შეიკვეცა.
პირამიდის ჯვარს დასწამეს
დედოფალი !

კატო თავბერიძე – იურისტი
დაბადების ადგილი – თბილისი

* * *

მე კატასავით სახურავზე ჯდომას ვაპირებ
და მთვარე მინდა სიყვარულზე ვალაპარაკო,
შენ დაწანწალებ ქუჩაში და შუქზე რამპების ,
სონეტებივით ისმენ წვიმის აღებულ აკორდს.
წვიმას სუნი აქვს დავიწყების და უფრო მეტი...
შენ თითებივით ითვლი დღეებს ჩემგან მალულად
ემიგრანტი ხარ უსამშობლო, თანაც პოეტი
ამოგარჩია უცხო მხარეს მსხვერპლად ამურმა.
შემოიხვიე სველი კაშნე წვიმის მოთხოვნით,
მეც დამივიწყე ცოტახნით და ჩემი ღალატიც,
თოვლი რომ იყო მაინც სადმე ახლოს მოთოვდი,
პრინცი რომ იყო იომებდი როგორც ჰამლეტი.
მე კი რატომღაც სახურავზე ჯდომას ვაპირებ,
მთვარიან ცაზე ვარსკვლავების პრეროგატივა,
მინდა და კიდევ ზღვას უჩანდეს გლუვი ნაპირი
და გადავწყვიტო ყველაფერი ასე მარტივად...
შენ გიტრიალებს ერთი აზრი ისევ ბურღივით
რომ ხარ პოეტი ზიხარ ვიწრო კაფეში მარტო
და სიყვარული ბევრად უფრო მეტი ფულიღირს
ცარიელ ჯიბეს ამუნათებ გაქუცულ პალტოს.
მოკლედ მანდ ალბათ ნისლია და უკვე აცივდა
და მე არ ვიცი დედამიწას რად ვერ ვეტევი...
“მიყვარხარმეთქი მინდა გითხრა და შენ არ გინდა
რომ სამუდამოდ გაგიჩერდე გულში ბელტივით”...

ბედუინივით უდაბნოში სიკვდილს ვაპირებ

ჩვენს შორის გზები მონატრების ქარავანია,
ცხრა მთის გადაღმა გელოდება ფიქრთა მეზღაპრე.
შავი მელანი დილამ მთვარის ყანწით დალია,
ცამ აალაგა ნასუფრალი ღამის აღაპის.

სიარულისგან შემოაცვდა ძირი ქალამანს....
ხურჯინს ამძიმებს აბლაბუდა ძველი ამბები.
არ დაიჯერო, რომ შაჰრაზადს გული არა აქვს,
თუ შეგიყვარა, შენც ზღაპრულად შეუყვარდები.

მე დავაჩოქე შენს კარებთან სევდის აქლემი.
ბედუინივით უდაბნოში სიკვდილს ვაპირებ.
ყველა ოაზისს შენს საოცარ სახელს ვარქმევდი
და ახლა მხოლოდ მონატრება თუ ამატირებს.

მღამიობი ვარ–მე, წყვდიადის უფრთო მერცხალი,
მუზების სევდა, უძინარი ღამის მელექსე.
შენს დაბრუნებას მეათასედ კიდევ ვეცდები
და არასოდეს დავაღამებ ათასმეერთეს.....

წავედი შენგან ...

მე, დავწერ ანდერძს რომ ვარ თანახმა,
მანამდე ვიდრე კიდევ ვიქნები ...
ის დარჩენილი წლები თანაბრად,
ეპიტაფიის რიცხვის მიხედვით,

გაანაწილო უჩემო წლებზე და
აურიო ლექსების დავთარს,
დაუწერელი სუფთა ფურცლები,
რომ ცხოვრებაში პირველად, მართლა,
წავედი შენგან, არდაბრუნებით...

შენ,– გატეხილი ძილის ზარდახშა
და ვარსკვლავების "კარამელები"...

ამოალაგე ხოლმე ხანდახან,
კვლავ შენებური თავდაჯერებით.

იცოდე, ის რაც სიცოცხლედ ღირდა,
ერთად განვლილი წლები იქნება...
გამომასახლო თუნდაც ფიქრიდან,
რომელსაც მაშინ სევდა ერქმევა.

დაუწერელი დოგმის თანახმად
ჩემი, შენდამი გრძნობის მიხედვით!–
ავბრიალდები ცეცხლად ხელახლა,
როცა შენ სადმე ახლოს, იქნები!

დამალე თვალები ...
(შაჰრაზადის ზღაპრებიდან)

უდაბნოს მთვარეა ცაზე და შაჰრაზად,
თვალები მოუჩანს ჩადრიდან შენფერი...
ღამე დგას ვარსკვლავთა
მუდმივი ჩაროზით
და ტანზე აყრია ქვიშების, შხეფები...

მოველით სისხლისგან ალესილ ალიონს,
ჯაჭვებით ნაცემი მუსლიმთა "აშურა"
შაჰიდის ქალივით ნერვებზე ნადირობს...
და სიკვდილს თვალები
უელავს ბავშვურად.

უდაბნო ჰკიდიათ არაბულ ფაშატებს.
ლაჯები უძლებენ ოფლიან ოხშივარს,
მოჭრილი მკერდივით დამშრალს
და დაშრეტილს,
ქალწულებს ძირს ყრიან
"სიკვდილის კოშკიდან."

დღეს ვნებას ჰაშიშის ძალით
ვერ დავჯაბნი,
მეკუთვნის დღეს შენი სხეულის წყალობა...
თუ გინდა დამალე თვალები ჰიჯაბში..
და მე ცას შევხედავ მთვარე რომ ამოვა.

აქლემის კუზივით მძიმეა საჰარა...
წლებია მე უკვე უთქმელი ჯავრი მკლავს..
ათას ერთ ღამეში სულყველა შენა ხარ
და აღარ თენდები "ლაილაჰ ჯამილა"

"კარაკალები" დაძრწიან გარშემო,
და მუცლებს ფატრავენ დაწოლილ
ფაშატებს..
მე ვიღებ კალამს რომ რაღაცა დავწერო..
და მელანს გულიდან,
სისხლის წვეთს ვამატებ ...

სიყვარული ლაქებად
(შაჰრაზადის ზღაპრებიდან)

ზღვა მთვარის სხივმა უცნაური შუქით ალეწა,
ზღვა გავდა ღამე მოლოდინით
დაღლილ ეშაფოტს,
არ ბობოქრობდა ღელვის
გრძნობით დიდი არენა,
მთვარეს ეტრფოდა შავ ზვირთებში
ლურჯი ვეშაპი.

და ყოველ ღამე გრძელდებოდა ასე ამრიგად,
ცქერა, მთვარისკენ დამღუპველი
ჟინით, სულელურ....
მთვარე კი გავდა ტახტრევანზე
მორჭმულ ხალიფას
და ღიმილს გვრიდა შორეული
ლტოლვა, სურვილი.

ვეშაპის მზერა სიყვარულის სევდამ დანისლა
და როცა მთვარე პირზე ჩვეულ
ღიმილს ირგებდა,
ნაპირთან ახლოს მთელი ძალით
შეხტა მთვარისკენ
და ვნებიანი კოცნა მოწყდა ვეშაპს ბაგიდან.

მთვარემ ვერ იგრძნო ვერც შლეგური
ძალა ამბორის
და მერე დილა, ვიდრე ვერცხლის
სხივებს აკრეფდა,
სახეს დააჩნდა თეთრ ლოყაზე კოცნა ობოლი,
მთვარეს დაეტყო სიყვარულის
კვალი ლაქებად...

ზღვა გავდა ღამით მოლოდინით
დაღლილ ეშაფოტს,
(და დაათენდა ზღაპრის თხრობით
გართულ შაჰრაზადს....)
ნაპირზე იწვა უსიცოცხლოდ ლურჯი ვეშაპი
და ზღვის ტალღები, მთვარის შუქზე
ქვიშით მარხავდა.

გაგიშვი...

ქალაქი, საღამო, ქუჩები, სიფხიზლისგარეშე.
ვიტრინა შეშლილი, სილუეტს მაინც რომ დაიტევს...
მომინდა მომწყურდა შეხება და მერე გაგიშვი,
მინები, გამვლელით აჩერებს სიგიჟის, ფრაგმენტებს..

თვალები შენი და შიშნარევ სიხარულს კივიან.
გეძებენ, გეძებენ, ნეონის რეკლამის ფერები.
გუგები ეგ, ფართეთ გახსნილი ყვითელი გვირილა.
გუგები დამფრთხალი, ბავშვური, გამოხედვებით.

შენ ხედავ: ქალაქი იწვის და დაანთე ხანძარი...
ცეცხლია ყველგან და შეეხე, ხელებით შეეხე!
და გული, რომელიც შენ ახლა საგულეს დასძარი,
ეს გული, ბრძოლისგან დაღლილი ბებერი ქვემეხი.

ნეონი, რეკლამა, შეშლილი ქუჩები, გამვლელი.
შემორჩა გრძნობების ანარეკლს ჩამქრალი ვიტრინა.
დახუჭე ჩემსავით ცის ძებნით დაღლილი თვალები...
მეჯლისი დამთავრდა კონკიას, ზღაპრიდან მივდივარ.

* * *

დასავიწყებელ ღამეებში ჩაწერე ის დღე,
მერე რაა რომ მთვარეს ჰქონდა ფერი ამარტის...
მე, სიყვარულის პატიმარი ვიყავი ვიდრე,
სამუდამოდ არ მომისაჯეს შენი ღალატი...

მიასვენებენ ღამეები ეულ ბალდახინს...
(მთელი ცხოვრება ზღაპარივით როგორ მოგითხრო...)
მომცეს უფლება თვეში ერთხელ შენი დანახვის,
ოღონდ ვერასდროს შეწყალებას ვეღარ მოვითხოვ...

თვალის, ჩინია სიყვარულის ბნელი საკანი.
სულმა სხეული დაფლეთილი ხორცით შერისხა...
მე, უნდა ვზიდო ჩემი მხრებით გადასატანი
და სულ მახსოვდეს რომ შენ ჩემი ძველი მტერი ხარ....

მე შენ მიყვარხარ

ერთი ღიმილით დამიამებ
ყველა ნატყვიარს,
მზე თაფლისფერი თენებაა
უსაზღვრო სივრცის.
იდუმალება მაგ თვალებში
სევდად გატყვია,
მე შენ მიყვარხარ....
და ეს, ასე უბრალოდ ითქმის...

შენზე ფიქრია იმედების ბოლო
ნაპირი,
თოლიებივით რომ შემორჩა
ზღვას უნაპიროს,
შენ სამუდამო ერთგულებას
ერთხელ დამპირდი
და ღმერთმა ნუ ქნას
უჩემობა რომ დააპირო...

როცა ქვიშებზე შიშვლდებიან
ნაფეხურები,
დრო სწრაფად გადის და ტკივილებს
ნელა აყუჩებს,
ზღვის ტალღებივით შფოთიანი
სულ მენატრები,
და უნაპირო მონატრებას
ბოლო არ უჩანს...

ახლა აქ ცივა, იანვარი
სულ ვერ აპრილობს,
ჩრდილებს წელავენ ზღვის სიღრმეში
შავი ბინდები...
შენ ზღვაში შესვლას სიკვდილის
წინ თუ დააპირებ,
მე შენს თვალებში
სევდასავით ჩავიძირები.

კინაღამ....

გამოვლილია ყველა გზა და ყველა ბილიკი..
დაჭერილია ყველა ტონი, ჟესტი, მიმიკა
და რაც გვეგონა ყველაფერი მოხდა პირიქით,
ეს გზა ტაძრამდე, რომ გვინდოდეს ვეღარ მიგვიყვანს.

ქარია, ჟინჟლავს შენ იტყოდი გაწვიმდებაო
სულით ამაყი და კლდესავით შეუდრეკელი
და როგორც წინათ მე კი ისევ მეგონება რომ,
სითბოს ვალი მაქვს შენი როგორც ცივი დეკემბრის.

ახალი წელი რას მოგიტანს ასე მოწყენილის,
თოვლისპაპების არ ეყოფა მთელი პლეადა
მე ერთხელ ალბათ ვარსკვლავივით ციდან მოვწყდები,
ჩამოვარდება როცა მთვარე საქანელადან.

იანვრის ნაძვებს ძარღვებივით უჩანთ ფესვები...
ბნელი ტყეები ორმოებით სხეულს ინაღმავს...
ჩვენ ვიცოდით, რომ სიყვარულსაც ჰქონდა წესები
და უწესებოდ დავასრულეთ მაინც კინაღამ...

მე არ მიყვარხარ ...

“მე არ მიყვარხარ”-ეს თამაში შენ მოიგონე,
რომ ბავშვებივით ვითამაშოთ მხოლოდ სიტყვებით.
“მე არ მიყვარხარ”- ისე გულში დარდად გიგროვებ. . .
და სიყვარულშიც ვერასოდეს გამოგიტყდები.

ძებნაც არ გინდა ყველგან ნახავ ალბათ უამრავს,
ვინც დაიფიცებს ერთგულებას და მოგატყუებს.
როცა სურვილებს საკუთარ თავს ასე უმალავ,
შენ მხატვარივით დიდხანს არჩევ ახალ “ნატურებს”

რომ ძველ ადგილზე არ დატოვო სიცარიელე,
ათასმეერთე შტრიხით ხაზავ ათას მონახაზს.
მე ღმერთი მხოლოდ თამაშისთვის არ გამიმეტებს,
მოგენატრები და ზღაპარშიც ვეღარ მომნახავ.

“მე არ მიყვარხარ!”-სადღაც კარგავს “ექოს” უდაბნო.
ღამემ დალექა ტკივილები სულში ქანებად,
ხანდახან ალბად გამიხსენებ ისე უბრალოდ,
ხან ეს “უბრალო” გახსენებაც მოგენატრება.

შავლეგ შენი შავი ჩოხა ბიჭო...

“შავი ჩოხა და გიხდებოდა”
ამბობობენ შავლეგ,
ჟამსა მოსვლისა მტერსა ზედა, შეიბ მახვილი!
შენი ლეკვები იზრდებოდნენ უმამოდ ალგეთს,
ჩასძინებოდა დედას ცეცხლთან
თვალებ გახელილს..
“მტერთან ბრძოლა და გიხდებოდა”
ამბობენ შავლეგ...
როს შემუსრილი მტერის შენგან დადგა გორები,
ვეღარ გითვლიდნენ ბრძოლის ველზე
ჭრილობებს რამდენს...
ხანდაზმულები, უხუცესნი, შენი ტოლები...
“მაშველი აღარ გჭირდებოდა”
მღერიან შავლეგ,
მიაგელვებდი შავ ცხენს და მტერს,
თავსზარს დასცემდი.
და შენი შიშით არ ეძინა ვინიცის რამდენს,
ან რამდენის ცოლს არ შეაშრა
თვალზე ცრემლები.
და ვინ იყავი ბიჭო ნეტავ დედასა შენსას,
სატრფოს შენსასა ყველა ქალი
გენაცვლა აგრემც
ვინც შენ როდისმე ნეტარების ბანგი შეგასვა
ან დაგიშანთა ცხელი კოცნით ლოყა და ბაგე...
“ყაწიმები და გიხდებოდა”
ამბობენ შავლეგ. ..
როს შენი ცხენი იმ ბრძოლიდან
მარტო დაბრუნდა,
ქალ-რძალმა, შენმა სწორფერებმა
თმა გაიშალეს
და იდგნენ ზარად. ანგელოზთა
გუნდი გალობდა
იქ, ცათაშინა.
და შავი კაბა უხდებოდა შენს სატრფოს
შავლეგ....

ჩემი უშენობა ...

მოდი დაალაგე დარდი,
ტაბლა გაშალე და ხონჩას,
მარილ მობნეული მადლით,
ცოტა ოცნებაც თუ მორჩა,
მისხალს ვამყოფინოდ იქნებ.
ხმაში შევურიოთ სევდა
გრძნობას, ერთმანეთზე ფიქრის,
ჩვენი მარტოობის სვედან.
მხარზე მომაყრდენი თავი,
ღამე დაეკიდა გიშერს.
ცაა დეკემბერით მთვრალი
და ჩვენ ვარსკვლავებით გვიშენს.
სადმე წაგიყვანდი ახლა,
ზღაპრულს აგიგებდი კოშკებს,
ვიდრე ფესვებიდან გახმა,
ვიდრე ტოტებივით მოსჭრეს
ჩემი უშენობა კარგო.
დამაქვს დამტვრეული ფრთები.
გეძებ, გპოულობ და გკარგავ,
ვკვდები, უშენობით ვკვდები.
ბრბოს ის ურჩევნია ვძულდე,
ჩვენ რა გვირჩევნია ვიცით..
ცრემლი ჯერჯერობით უძლებს,
პირზე ამოტეხილ სიცილს.
ოღონდ კარგად მყავდე შენ და
წვიმას შევაგროვებ საცრით.
ან მხნედ დავუწვები ურდოს,
ფეხქვეშ მონღოლის და თათრის.
შენ მზეს გაუღიმე ვიდრე,
გრძნობა სასწაულებს სჩადის.
გულში ჩამეღვარე სითბოდ,
სულში დაისივით ჩადი...

ატრაქციონი...

მე დავიბადე ერთხელ წვიმად მოსვლის იმედით,
ზღვის სიყვარულით ალბათ უფრო ვგავდი თოლიას,
დაბადებამდე დარდი დამყვა სწორედ იმდენი,
სიცოცხლეში რომ ჩემზე მეტი თქვენ არ გქონიათ.
ცხოვრება ჩემი, ერთი დიდი ატრაქციონი,
ბრბოს იზიდავდა მოკაშკაშე მკვეთრი ფერებით
და მე ჯადოსნურ კარუსელად გადაქცეული,
გაუჩერებლად ვტრიალებდი მთელი დღეები...
გაუჩერებლად გადაღლამდე,
გადაღლის შიშით,
ვგრძნობდი, რომ დაღლილს უეჭველად მიმატოვებდნენ,
ადამიანის მოღალატე მოდგმა და ჯიში,
უამრავ ჩამქრალ ატრაქციონს ტოვებს ყოველდღე....
მე, დავიღალე და აღარ მაქვს ძალა ტრიალის,
მე თქვენ გხიბლავდით ანთებული ათას ფერებად.
ატრაქცონად დაბადებულ ადამიანებს,
სიცოცხლე ხშირად სხვაზე უფრო ჩქარა გვბეზრდება.
მე დავიბადე ერთხელ წვიმად მოსვლის იმედით,
ზღვის სიყვარულით ალბათ უფრო ვგავდი თოლიას,
ატრაქციონი არ ვყოფილვარ დანამდვილებით,
არა და მისი ბედისწერა გამომყოლია.
და დავასრულებ ასე ამბავს,
აქ და ამრიგად
(ცხოვრება ლამაზ სიურპრიზებს უხმოდ გვპირდება,)
ატრაქციონი კვლავ დაიწყებს ტრიალს თავიდან,
ოღონდ უთქვენოდ და თქვენ ეს ნუ გაგიკვირდებათ...
მე დავიბადე, შემდეგ წვიმად მოსვლის იმედით,
ზღვის სიყვარულით ალბათ უფრო ვგავდი თოლიას...

თქვენ ვერ გრძნობთ და ამ ქალაქში აღარ ცივა

დამირეკე! – დუმილია უსასრულო
მიილია ბაღში მთვარის ჰაბიტუსი,
მე უშენოდ მეზღაპრე ვარ უწარსულო,
გათენების უსაშველო დარდით გულში.

დამირეკე!–ახლა მხოლოდ მე არ მძინავს
ქუჩებს ვათბობ არეული ნაბიჯებით
წეღან ისე ნერვიულად გამეცინა,
რომ არ გნახო, უეჭველად გავგიჟდები.

სიგარეტით ბოლო სუნთქვას ვანაფაზებ,
არ დავრეკავ არასოდეს ვიცი მეტად.
იღიმება ვიღაცა ჩემს დანახვაზე,
მე კვლავ სხვისი, სიბრალული დამებედა . . .

თქვენ ვერ გრძნობთ და ამ ქალაქში აღარ ცივა
ქუჩებს, ვათბობ გაყინული ნაბიჯებით,
შენ არ ჩანხარ, უშენობას განვიცდი და
რომ არ გითხრა, უთქმელობით გავგიჟდები.

მეზღაპრე ვარ, დამათენდა... დამირეკე!
“ჭირი იქ და...” ახლოს არის დასასრული.
მზის ამოსვლას აქ შევხვდები და ღამე კი....
დამირეკე! – მეზღაპრე ვარ მარტოსული.

სპარტაკ ლაცაბიძე – ეკონომისტი
დაბადების ადგილი – ხარაგაული

ზამთრის ფიქრები

რაღაც მახარებს,ფანჯრებს სუსხი სწვევიათ წუხელ,
ალბათ ის რაღაც,სიკეთეს რომ გარეთ ვჭირდები,
მოფუზულ ჩიტებს აივანზე ფანჯარას ვუღებ,
ვუყრი ნამცეცებს,გამოცოცხლდნენ თითქოს ჩიტები.

ყინვის ფუნჯები ფიგურებით ფანჯარებს მოსავს,
თუმცა თოვლისგან ჯერ ფეხია მიწას უდები,
მოკუნტულ ცუგრებს რომ წაუვათ იმედი ყნოსვას,
დავუყრი პურს და გააცოცხლებს ქიცინს კუდები.

გათანგულს სიცხით,თოვლი მახსოვს ლოგინში წოლით,
მსუყე ზამთარი ხანდახან რომ მგუდავს ხველებით,
დაკიდებს ალბათ სიმძიმეებს ტოტებზე თოვლი,
ჩამოვბერტყ ტოტებს და აუშვებს სუნთქვას ხეები.

მეზობლის ძალით,ზოგს ზამთარი იმედით გაჰყავს,
ღამემ თოვლის რომ გუდის იცის მოლევა, მოცლა,
გავთოვლი ალბათ მოხუცისთვის ჭიშკარის გზა–კვალს,
დამლოცავს ბებო,როგორ მიყვარს მოხუცის ლოცვა...

ასე ფიქრებით დროს წინასწარ ღიმილით გავცდი
და იმედებით გამიდია ჭირთან ხიდები,
მადლობა ღმერთო! რამდენ რამეს მიუსწრებს კაცი
და ცოტა რამით რაღაცას რომ დიდად ვჭირდები.

წყარო

სოფლის წყარო შენზე ფიქრებს აშლის,
სიყვარულის ტრიალებდა კალო,
გვწყუროდა და თუ არ გვწყუროდა მაშინ,
შუამავლად გვეძახოდა წყარო.

რომ გვეგონა სატრფიალო მალვას,
წყალს ყოველთვის მოუტანდა კოკა,
თვალი მოგვკრა მეზობელის ქალმა
და ნაკოცნი აგიწითლდა ლოყა.

იყო თითქოს იმედისთვის ხვალის,
რომ გაჩუქე სამახსოვროდ ჯაყვა,
იქნებოდა რა ვიცოდი წყალის
სულ ტყუილად ოცნებებით ნაყვა.

რა ქნას გულმა გაცვლილია სხვაზე,
მაგრამ შენზე მოგონებებს ყვარობს,
ამას ქვია კაცს ჩაიყვან წყალზე
და მწყურვალს რომ შეატოვებ წყაროს.

დრო ბუნების მხატვარი

მახსენედება ფერები,გაზაფხულის მთაბარის,
ტანზე გამოეყარა არემარეს აპრილი,
მოდიოდა სიტურფე თვალის როგორც ზღაპარი,
თითქოს გამოეფინა დროს ბუნების აკრილი.

და მეორე მხატვარი,ერთი ხელის ჩამოსმით,
მალე ჩადგა სინორჩის და სიბერის შუაში,
შემოვიდა ზაფხული,ტყეს ჩააცვა სამოსი,
მწვანე ფერით მიდამოს გადაუსვა გუაში.

დღეს კი ვუმზერ ბუნების შემოპარულ სიბერეს,
წვიმის ფონზე ტილოზე თითქოს აკვარელია,
მთები თითქოს ხეების თაიგულებს იფერებს,
ალაგ-ალაგ სიყვითლით ძალზედ საყვარელია.

შორით უფერულება,ქედებისკენ გასდევს მთებს,
მოდის უკვე ზამთარი,ფერებისგან უცვლელი,
დროის კორექტორივით მთა-ველს გადაათეთრებს
და გარემოს დარჩება ისევ თეთრი ფურცელი.

საზღვარი

მიწა მიწას განაშორა ტყვიამ
და სიავემ განაშორა ზღვა ზღვას,
დიდზე დიდი სატკივარი ჰქვია,
აფხაზეთო, ენგურისპირს საზღვარს.

მოგონებებს ალბათ ცრემლში გარევ,
ცრემლი გახრჩობს ალბათ ისე გველი,
არ გეწყინოს მშობლიურო მხარევ,
ვერ მოგხვიე მონატრების ხელი.

არ იშიშო, ჩვენს სიყვარულს ენდე
და შეურყევ დაბრუნების მიზანს,
საქართველო ეფერება დღემდე,
აფხაზეთო, შენზე ნანახ სიზმარს.

აეშვება გულს სიმძიმის ძალი,
ჩვენს იმედზე ნისლივით რომ მიწვა,
მოვა დრო რომ დაგიბრუნოთ ვალი
შენახული ერთი მუჭა მიწა.

მოვა დრო რომ ნაოცნებარ დღეთა,
დააბრუნებს ერთად ყოფნის ბედი,
აფრინდება ჩვენი ხელით ერთად---
შენს საზღვარზე ზეცისაკენ მტრედი.

ხანდების კლდეები

ჟამთან მებრძოლო ქვათა ,,დევებო''
მეხზეც რომ არ კრთის თქვენი გუმანი,
წელგამართულო ზორბა კლდეებო,
გაგქვავებიათ ჟამი მდუმარი.

თვალს დროის ისარს თითქოს უნელებს,
მარადისობა ფეხთან დაბმული,
რა მშვიდად შთანთქავს საუკუნეებს,
თქვენი პირღია გამოქვაბული.

ფერთა სიტურფეს ცივად ელევით,
ბედი მოგსჯიათ ავით ნარევი–
არ გიშრიალებთ ტანზე ტყეები,
მკერდს არ გიმოსავთ ყვავილნარები.

გაჩენის დღიდან სხეულს სირბილის
მსუბუქი ხვედრი გაკლდათ ბუნების,
არ იცით რაა მინდვრის ბიბინი
და გულს გადავლა ნაკადულების.

ბევრისთვუს გითქვამთ კარით უარი,
წინდაწინ ვინ სცნოს თურას ჰპირდებით,
თუ ვინმე გახდა თქვენი სტუმარი,
,,ცეცხლთან თამაშით'' უმასპინძლდებით.

თქვენი ბებერი შუბლის ნახაზებს,
იერი გასდევს შეურყეველი,
სულ რომ დადუღდეს ხანი ქვა–ქვაზე,
და გადაიწვას უღრანს ტყე–ველი.

რომ ჩამოიქცეს მთაზე ფერდები,
რომც ღვარცოფებმა ჩაჭრან ხევები,
თქვენ მაინც ქვეყნად არრას ნებდებით
და მაინც დგახართ ქვების დევები.

თვალმა, გიგანტი გადაგიზომათ
ცა და ლოდების სართულს ყურენი,
ღმერთმა შეგარგოთ მარადისობა
და მზით გაცვითეთ საუკუნენი!.

,მე თქვენ მიყვარხართ''

არ მინდა ვიყო სიტყვაში მეტი,
თუმცაღა სიტყვა სახოტბეს მძალავს,
ხარაგაულში ქალია ერთი,
სულ სხვა მზისგულით გვიგზავნის სალამს.

ერთი რამისას სიდიდეს ვხვდები
და რომ ეს ასე არ იყოს,იმ წამს
და რომ სიყვარულს არჰქონდეს ფრთები,
გოლიათსაც კი გააკრავს მიწას.

ქართველ ქალობას აშუქებს ერთობ,
ქვეყნებს შორისაც ჩააგდებს მანდილს,
ალბათ ამიტომ,მადლობა ღმერთო,
წარსულთა დღეთა დიდებით დადის.

წინაპართ ხსოვნა როდესაც მიჰყავს,
წარსული აწმყოს მიჯრილად თუთქავს,
არცეთი ფიქრი,არცეთი სიტყვა,
უსიყვარულოდ არასდროს უთქვამს.

ბალახიც კლდეებს ნაზად და რბილად,
სიყვარულისთვის მზისაკენ ხეთქავს.
ჯერ არ ყოფილა არცეთი დილა,
,,მე თქვენ მიყვარხართ'' არ იყოს ეთქვას.

არ მინდა ვიყო სიტყვაში მეტი,
თუმცაღა სიტყვა საქებარს მძალავს.
ხარაგაულში ქალია ერთი,
სულ სხვა მზისგულით გვიგზავნის სალამს.

* * *

ახლა ლექსის მიგნება
ბევრისთვის ჩანს იოლი,
რა ვქნათ რომ ვერ იქნება
ყველა გალაქტიონი.

თბილი ქვეყნისკენ...

ცივა,სახსრებმა იგრძნო სიმძიმე,
დროა ბუხართან ცეცხლის მონთების,
მთებსაც მოადგა კარზე სიცივე,
ემშვიდობება ტყეებს ფოთლები.

თვალს შეანელებს ტყეთა მხილველი,
სამზერს უღვიძებს მადას ფერები.
ემშვიდობება ზეცას ფრინველი,
თბილი ქვეყნისკენ გადამფრენები.

რადგან დროს მიაქვს წყნარი მზეკარა
და ყინვებს აფრენს ნიავ-ქარობა,
მოსაძებნი აქვთ თბილი ქვეყანა,
რომ კვლავ შეეძლოთ დილას გალობა.

მე კი მამულთან მახსოვს გაცლიდან,
მონატრებები მხრავდა იმხელა,
რომ ,,თბილი ქვეყნის'' ბედში აცივდა
და გააჩერა გულმაც სიმღერა.

ქედის წმინდა სალოცავო!

აქ ებრძოდა მიწას კევრი,
ლეწდენ ქედის ძირას კალოს,
ყველა მტერზე დიდი მტერი,
დრო ყოფილა წინაპარო!

ახლა მიაქვს ზოგს ეკალა,
და ზოგს იწვევს მთას ომბალო,
უწინ ტყე ვერ მოგეკარა,
დღეს ხავსიც გკბენს ნასოფლარო!

ძველისძველი რაც ვერ მოკლა
დრომ რა ჩანს რომ ჩამოვთვალო?!
გენატრება ალბათ კოკა,
გოგო-ბიჭი წყაროს თვალო!

ბარში ურტყამს მოხნულს სხივი,
მთას ნისლი გსურს გამოცალო,
გზას გაჰყურებ მოხუცივით,
ქედის წმინდა სალოცავო!

კრწანისის მებრძოლებს

ჩვენს ისტორიის ფურცელს,ხალხში არასდროს არ ვშლი,
ეს ის არაა ფიქრი გადაკითხვით რომ ართო,
როცა წამოვშლი გმირებს წარბშეუხრელებს, მაშინ
რა ვქნა მინდება ამ დროს ყველასგან ვიყო მარტო.

რადგანაც მტერი იყო ერთზე მოსული ათი,
და თავზე ტრიალებდა წისქვილის ქვა და კევრი,
რადგან ყიჟინა მაინც ლომგული იყო მათი,
მარტო ყოფნა მსურს რადგან,თვალებს გორდება ცრემლი.

ბაკურიანში თოვლი...

ფიფქი კიარა ციდან,თოვს და იმედებს ბარდნის,
თითო სასტუმროდ იქცა, თითო მოსახლე კომლი,
აქ წყალობაა სუსხი და დიდთოვლობა მადლი,
როგორც უდაბნოს წყალი,ბაკურიანს სურს თოვლი.

მთელი ღამეა ბუბნის,თეთრად გასქელდა ხედი
და ბუნებამაც თოვლით,იკისრა დროსთან ვალი,
სტუმრებისათვის თოვლი,კომფორტია და ბედი,
მასპინძელისთვის თოვა_ხვავი და მოსავალი.

ხიდი

ზოგი შემდგარა ბურჯებით,
ზოგიც თოკებზე ჰკიდია,
ზოგს გაუდია ქუჩები,
ზოგიც ბილიკა ხიდია.

ზოგი ვიწროდ ჩანს ნაშენი,
ზოგს ლაღად მიდი-მოდიან,
ყველა, გზისა ჩანს საშველი,
ბოგირია თუ ბონდია.

ერთი იქითაც საშველოდ,
ქვეშ რომ ბუგრი და ბინდია,
გადაგვატარე გამჩენო,
ბოლოს რომ ბეწვის ხიდია.

ძაღლი ჰყეფს და ქარავანი მიდის...

ვერ ვიპოვე ჯერ დიდების ლექსი
და მწამს მაინც პოეზიის დიდის,
კვლავ იმას ვწერ რაც გულიდან მესმის–
ძაღლი ჰყეფს და ქარავანი მიდის.

გულში ვიტყვი რა ღირსია კაის?!
ვინც პატივზე დაივიწყებს სინდისს,
ხელს ვუმართავ გასაჭირში მაინც–
ძაღლი ყეფს და ქარავანი მიდის.

ზოგს რომ ლუკმა გავუყავი ქადის,
ვიგრძენი რომ ზურგის უკან მყიდის,
ქვაზე მაინც უნდა დადო მადლი–
ძაღლი ჰყეფს და ქარავანი მიდის.

ეჭვი გამკრავს–ტაძრის გზამ რა მომცა?!
თავს მაყრია ფიქრი ბედის ბინდის,
მაგრამ მაინც არ ნელდება ლოცვა–
ძაღლი ყეფს და ქარავანი მიდის.

ძველ გზის გარდა სხვა გზის ვიტყვი წანწალს...
წინაპრის კი ბურჯი ირყა ხიდის,
მათ მივყვები რადგან სხვა გზა არ მწამს,
ძაღლი ყეფს და ქარავანი მიდის.

ვაქებ მართალს,გადის დრო და ხანი,
მაგრამ მაინც სიტყვა ფარავს მდიდრის,
მგლის შიშით ვის გაუწყვია ცხვარი,
ძაღლი ყეფს და ქარავანი მიდის.

აფერისტი ირგებს დროს და ფულსაც,
მე კი სახე რომარ მეგმო ფლიდის,
ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფთა თუმცა...
ძაღლი ჰყეფს და ქარავანი მიდის.

უკან ვეღარ დააბრუნებ ისარს,
გასროლილი მოჭიმული მშვილდის,
და მივყვები ჩემ ზნესა და მიზანს.
ძაღლი ჰყეფს და ქარავანი მიდის.

წისქვილი

ზემოდან ცოფს ყრის ხევში კაპანი,
ყურს არ იბერტყავს დაბლა წყლის პირი
და მოლივლივე ბროლის ზღაპარით,
ჩაძინებულა ძველი წისქვილი.

შრომა და ჯაფა ჰქონდა ღიმილად,
ბედნიერებად სოფლის ხორაგი,
დღეს სიღარიბეს გლოვობს ხვიმირა,
დადუმებულა წლებში დოლაბი.

ნაპირს თამაშობს წყალი კეკელა,
ფრთიან ბორბალზე ჩქეფით დამცემი.
ნატრობს აცეკვდეს ქვას სარეკელა
და დაპატიჟოს წვეთ-წვეთ მარცვლები.

ღაფავს სულს, წლობით შემხმარი ღარი...
წყალსაც ტყუილად წყალის ნაყვამდი
ჩაკეტილ ღართან გადააქვს ღვარი
და კისერს იტეხს ხერგილს ნაკადი.

მარცვალს არ აძლევს ახლა დრო ღუნწი,
თავად ზღვად გასცა ფქვილი,ბურღული,
ახალგაზრდობას როგორც მოხუცი
წისქვილს გულს აწევს ძველი გუგუნი.

ხევში დროება ხმაურით მიდის,
ჟამთან უბარი დარდობს მუნჯივით,
მოაგონდება გაცემულ ,,მინდის ''
ბოლო წაღება თეთრად ხურჯინით .

უბეს ტრიალით დოვლათს აბნევდა,
დრო არ მიჰყავდა სოფლის ტიალად
და კაცის თავზე რამდენს ავბედად
წისქვილის ქვა არ დაატრიალა.

როგორ იხარებ ჯაფას ოღონდ და
იყო და ძილის გქონდეს არ მოცლა,
თუ დრომ კვლავ შენი ქვები მოკოდა
და შენმა ყბებმა ხვავი გამოცრა

წყარო

თაკარა მზე ყანებს,უკვე აღარ სწყალობს,
ისევ გაგრილება, წყურვილისა ვიცხრე,
ხშირად მივალ დოქით,ჩემი სოფლის წყაროს,
მზე შარაზე წვება, ისეთია სიცხე.

რამდენს უთენდება ზღვასთან გარიჟრაჟი...
მე კი მიმყავს ტყისკენ ნიკორა და ნიშა,
ჩემგან შორს ჩანს მზეზე მოლივლივე პლაჟი,
აგორგლილი ტალღა,ნიჟარა და ქვიშა.

კიდევ რამდენ ნატვრას, უბრალოს და სადას,
გვერდზე მატოვინებ, ოცნებების გემო,
სხეულს ახსოვს ზღვაზე,გაგრილების მადა,
წაცდენილი პირს კი მლაშე წყალის გემო.

თუმცა გიწევს როცა თაკარა მზეს დაღლა
და წყურვილის ბედი გინდა გაახარო,
ტანის გაგრილებას თუ მოგიტანს ტალღა,
გულის გაგრილება,შენ გეკუთვნის წყარო!

მარილი

საკითხავი ალბათ მხოლოდ აქ არის–
ენაზეა როცა გადმოტანილი,
რატომაა გატკბობს მარტო შაქარი
და ტანში კი გზარავს მარტო მარილი?

მაგრამ ლხინსაც კი წაუხდენს ხასიათს,
მოტანილი მწვადია თუ მწვანილი,
თუ აკლია სუფრას რაღა ფასი აქვს,
ერთი ფინჩხა რომ არ იდოს მარილი.

ჩამაფიქრებს ხალხის წესად ნათქვამი,
კაცის საქმეს როცა გულში გაცრიან...
უნდა იყო შაქარივით დამტკბარი
რომ არა თქვან ,,უმარილო''კაცია.

მგელი

ნისლებიდან გამოვიდა მთვარე
ბუჩქნარევი გაინაბა ველი,
უცებ მგზავრის გადიდებულ თვალებს,
საცალფეხოს,შეეჩეხა მგელი.

ორთავეა განსაცდელში მყოფი,
ორივეა ელდა გულზე ყრილი,
კაცი ფიქრობს გადატენოს თოფი,
მგელი ფიქრობს შეამზადოს კბილი.

ახლა შიში გულისცემას შეცვლის,
ჩამდენია არ იციან იქ რის,
მაგრამ თითქოს სათქმელს ეძებს მხეცი,
და იმატებს სიტყვა გულის ფიქრის.

აირჩია თავის ბედი განა,
საბრძოლველი დაჰყოლია გენი,
რა ქნას ღმერთმა განა მისცა ყანა
და მარჯვენა საშრომელად ხელი.

ღმერთმა იცის ვინ უფროა გულქვა,
ვის მეტი აქვს სასიკვდილო ცელი,
გულში ეტყვის–თუ მაღირსეთ ლუკმა
სანაცვალოდ ხომ გალიას ველი.

სუფრას კაცი დღეშიც რამდენს იშლის,
რამდენ სისხლში გაგისვრიათ ლხინი,
მე კი როცა დავატარებ შიმშილს,
მხოლოდ მაშინ მაბოროტებს კბილი.

უნდა ვლიო უღრანი და ტევრი,
რომ ავივსო ეს მშიერი ფერდი,
თქვენ განცხრომა გაბადიათ ბევრი,
ღიმილიც კი არ ჩანს ჩემი ბედი.

წუთი დადგა ერთმანეთის გაცლის,
სამშვიდობომ წამოიდგა წელი,
იქნებ მეტად მგელში იყოს კაცი,
იქნებ კაცში მეტად არის მგელი?!

იმერული ადათი

მეზობელთან მიდის კაცი,სათხოვარი თოხია.
მეზობლისას საუზმეა გაწყობილი კარად კი.
გაიცვალა სალამი და სტუმარს ხელი მოჰხვია
მასპინძელმა, და დაუსხა ასი გრამი არაყი.

დილის მადლი შეიწიეს,დაილოცა გამჩენი,
ეზო-კარში ყვავილების აუშვია დროს სუნი,
-ორი ჭიქა უნდა შესვა ვიცი არ ხარ დამრჩენი,
სტუმარი ხარ რადგან კარზე ორი ფეხით მოსული.

კაციც სვავს და იქვე დასძენს-გუშინ ძაან
გადავთრი,
სამეზობლოს ლხინი იყო კარგი უფლის წყალობით,
შეაპარებს მასპინძელი კვლავ ბობოქრობს ადათი
-ერთი ჭიქაც გაიყოლე, ღმერთი არის სამობით.

ხაჭაპურიც გამომცხვარა უკვე კეცზე დასმული,
ამ მთისა თქვეს იმ მთისა და ცოტაც იყო ქაქანი,
აბა სუფრა რა სუფრაა არ ახსენო ,,წასული''
და მეოთხეც სულ ბოლომდე შევსებულა სტაქანი.

უკვე გასცდა ალიონს ანთებული მზე დილით,
უკვე ფერდებავსილი იალაღზე ძოვს ხარი,
მაგრამ ვის გაუგია გარდაცვლილზე წერტილი?!
ჭიქა ისე გაგორდეს რომ არ ითქვას ცოცხალი.

ასე თითო-ორორით,სადრეგრძელოს ხათრობით,
მოდის მძიმე გრადუსი ფეხზე ყოფნას რაც არევს,
უკვე კარგად არიან საუზმეზე დათრობით,
ისე კარგად არიან ვახტანგურიც დაცალეს.

გარეთ მზეა თაკარა,იხუთება დღის სული,
შიგნით ცხრება ადათი, იმას რასაც ვერ მოშლი,
მზე კი თოხის ტარზეა რომ იტყვიან მისული
და თოხი კი ისვენებს არხეინად ჩეროში.

ნამუსის ქუდი

დახლიდარს ერთი კლიენტიც არ ჰყავს
და წინ მრავალი სავაჭრი უდევს,
ვათვალიერებ ფორმას და მარკას
და ნაირნაირს ვიზომავ ქუდებს.

სახეზე ატყობს როგორი ვის სურს,
(მე კი ერთ ადგილს არჩევით ვტკეპნი)
და მეკითხება საყიდლად მისულს,
-,,ცილინდრა'' გინდათ? ან იქნებ
,,კეპი''?

მეც ისე ავყევ...ვივიწყებ მოდებს,
შევუქე-არ ჩანს არცერთი ცუდი,
მაგრამ შემთხვევით იქნება გქონდეთ
შემორჩენილი ნამუსის ქუდი?

პასუხზე ბრენდმა დაკარგა მადა, -
მას არჩევანი სადა აქვს ბევრი?!
ის არის ხშირად უბრალო,სადა,
ან გაცვეთილი ეტყობა ფერი.

ხელმოკლე კაცთან უფროა მშვიდი,
მდიდარს ერთ ქუდთან როდი აქვს ზავი,
არ უყვარს როცა ფასი აქვს დიდი
და არც მეძვირედ წარმდგარი თავი.

ის ფუფუნების ვერ ხდება გუდა,
როცა გულაღმას,მოუდის ხვედრი,
მასში შეიძლებ აღმოჩნდეს ხურდა,
მაგრამ არცერთი არამი თეთრი.

გეფაროს ,,ჭილის'' კაცს თავზე თუნდაც,
არ უნდა გქონდეს გზა-კვალი მრუდი,
ჯერ თავი,თავი დაიდგა უნდა,
რომ ქუდი გახდეს ნამუსის ქუდი.

ბუდე

ფრინველების შემოისმის ლხენა,
რია–რიას გაუმბია ფლირტი,
სიყვარულში აუტეხავთ ფრენა,
სახლს იშენებს ხის კენწეროს ჩიტი.

ჩიტის გულში მომავალი ღვივა,
მალე თბილი დაუდგება კერა,
კედლებად აქვს ყვავილების თივა,
სარეცელად ბუმბულების ფენა.

წყურვილისთვის ღმერთმა მისცა ბედი,
ნისლის საცერს თითქოს წვიმა ეცრა,
წყაროდ წვიმის ჩამოუდის წვეთი,
ეზოდ თვალწინ გაშლილი აქვს ზეცა.

არ ჭირდება თუნუქი და ლარტყი
და საფარი ,,თავზე'' ქუდად მდები,
თვალს გაახელს ერთხელ როცა ბარტყი,
სახურავად გამოჩნდება ფრთები.

ვერცხლისფერად აივსევა არე,
შებინდების რომ მოდგება ძალა,
ჭაღად თავზე დაადგება მთვარე,
სიოსაგან ჩაესმება ნანა.

გალობს ჩიტი,მომავალი მღერის,
ცასთან უდევს სახლის კარის ზღუდე.
იქნებ ასე ბედნიერი ჭერის
დიდი არის სასახლეზე ბუდე?!

ხალხი

წლები მიდის ასე ამყვა ნირი,
ბედის ისე დატრიალდა ჩარხი,
როცა დამაქვს ჭირია თუ ლხინი,
მუდამ ვფიქრობ თუ რას იტყვის ხალხი.

ბატონივით ხალხს ფერება უნდა,
არ მოაკლდეს უნდა გულის ჩანგი,
თორემ კარგი ახსენდება ცუდად
და ცუდზე კი თვალყური აქვს კარგი.

ცხრა მთას იქით ჭორმა იცის ფრენა,
ხელიდან ხელს ატარებენ მომხდარს,
მათრახივით იშხუილებს ენა,
ხალხის ყბაში ჩემი მტერი მოხვდა.

თუ ცხოვრება შეგიმჩნიეს ლხინის,
თუ კალოში დოვლათს ლეწავს კევრი,
მაშინ ნაკლებს იმეტებენ ღიმილს
და გულუხვი აბადიათ ცრემლი.

ბევრ კაი კაცს გროშის ედო ფასი,
როცა იყვნენ დიდკაცობის დარი,
ცოცხალს ხვედრის დაკარგვია შანსი
და დიდებით იმოსება მკვდარი.

მაგრამ ხელი, დრომ პატივზე თუ მჰკრა,
თავს არ ვეტყვი მაინც,იყოს ახი...
რადგან ყოფის შეგერგება ლუკმა,
როცა ღიმილს გაგიმეტებს ხალხი.

დავით სულამანიძე – ეკონომისტი
თერჯოლის რაიონი – ზედა სიმონეთი

* * *

იცი რა ძალიან მინდა ახლა შენთან ყოფნა,
გარეთ დეკემბერის სუსხი დათარეშობს,
გრძნობა შემინახე,წმინდა ნორჩი ქორფა,
მინდა ეს ვნებები ქარში ვათარეშო-

ბინდი მოსწოლია ფანჯრის მუქ მინაზე,
ცხადად მელანდება თითქოს ეგ ტუჩები,
ნაზად გამიღიმე გახსოვს რომ წინაზე
და ახლა კი ფიქრებს უყუჩდები-

შენი გულისცემა თითქოს ჩამესმის და---
ლამის შევიგრძენი ვნება არეულმა,
თუკი უშენობა ქვეყნად არმესმის და
ღამეს მივაშურე როგორც მთვარეულმა-

ლურჯმა ვარსკვლავებმა გზები დამილაგეს,
გზები ავდრიანი შენსკენ სავალები,
თითქოს მოვედი და სუფრა გამილაგე
უკვე შემოგხვიე ჩემი მხარმკლავები-

ვახშმად დამახვედრე მორცხვი მონატრება,
მზერით ჩამომისხი თითქოს სიხარული,
წლებში გაბნეული გრძნობა რომ არ კვდება
სწორედ მაგას ქვია იცი სიყვარული-

ვნებით შეზავებულ კოცნას დაგიტოვებ
აცახცახებული ღამეს შევერევი,
რადგან ქვეყანაზე სხვა გზას არ მიტოვებ
მე ამ მონატრებას შენით მოვერევი-

სატრფიალო

მთვარის გულში ჩატეული ფიქრი ხარ,
ნეტავ ერთი მაცოდინა ვისი ხარ,
ვინ შეგიხსნა დღეს შენ მკერდის საკინძე,
შენზე ტრფობა რითმა რითმა ავკინძე-

ვინ დაითრო მაგ ტუჩების ალერსით,
ბროლის ყელზე მოთარეშობს ვნებები-
შენ თვალთაგან გადმოფრქვეულ ვნებას კი
ამ წამიდან მე უთქმელად ვნებდები-

რომ შეგეხო,ფიქრით მაინც გეფერო,
წამით მინდა დაგეუფლო ბოლომდე,
მაღლით მთვარე გვინათებდეს სარეცელს
შენს გულში კი ვთარეშობდე მხოლოდ მე-

მთელი ღამე ჩემს მკლავებში ბორგავდე,
და ვნებებმა წვიმასავით იდინოს,
არ განელდეს ცეცხლი ტრფობის დილამდე,
ღამემაც კი გათენება ითმინოს-

და აისის ცელქმა სიომ მაუწყოს,
შენ რომ გახდი ჩემი ზღაპრის ფერია-
იცი კარგო? ქვეყნად ყოფნა უშენოდ
გეფიცები, ჩემთვის არაფერია

ბედისწერის მსახიობები...

მეკითხებიან ხშირად ფიქრები,ჩვენ ბედნიერი როდის ვიქნებით!?
ჩემი პასუხი მუდამ ერთია,ჩვენი მფარველი მოწყალე ღმერთია!
ოცნებას გავყვები მადლიანს,წარსულს გადავხედავ დარდიანს,
გულს თითქოს სითბო აკლია... ეს ამ ცხოვრების ნაკლია.
თუ მოინდომებ ამ ქვეყნად,სიკეთით,რწმენიდ იარო,
უფალი შეგაძლებინებს, სევდის ზღვაც გადაიარო!
ხანდახან მინდა რომ მუზად მექცე..
ფიქრში გულიდან რომ არ გამექცე,
ცხოვრებაც მინდა ლექსად ვაქციო...
არცერთი წვეთი არ დავაქციო,
ბედნიერების,სიტკბოს,სიამის,
გადაშლა მინდა წარსულ სიავის.
სიკეთით ვივლი და ამას შევძლებ,
თუმცა ძნელია და მარტო ვერ ვძლებ.
დაველოდები ნელი სვლიდ მავალს,
ბედნიერებას ჩემსკენ მომავალს!..
მაგრამ...სულს სტკივა და ხან მგონია უსხეულოდ დავიარები,
ღმერთო მაღალო...შენ მომიშუშე ამქვეყნიური ეს იარები.
რწმენა მომმადლე,ძალა,იმედი ისე მატარე,
ყველა აღმართი შენი ნებით გადამატარე.
დაუკვალავი ეს ბილიკები ნეტავ სად მიდის,
სიმტკიცე მინდა ამ ცხოვრებაში მე ბეწვის ხიდის.
მთავარი ძალა ადამიანში მისი რწმენაა,
რადგან ცხოვრებაც თეატრია...თითქოს სცენაა,
ჩვენკი უბრალო და პატარა მსახიობები...
და ვცდებით ხშირად ბედისწერას წინ ვეღობებით
დასაბამიდან ასე იყო...ასე იქნება,
აქ სუფლიორი...დუბლიორი არ შეიძლება.
სიცოცხლის როლი,შეუცვლელი...მხოლოდ ერთია,
რადგან ცხოვრების რეჟისორი თავად ღმერთია!!!

თენგიზ პაპაშვილი – სამართალმცოდნე
დაბადების ადგილი – ტაბახმელა

რამდენჯერ...

რამდენჯერ შევაგდე სიცოცხლე,
ყოფნის და არყოფნის პინაზე.
რამდენჯერ მიმუხთლა ცხოვრებამ,
დაწყვეტილ ნერვების ჯინაზე.

ცხოვრებამ რამდენჯერ გამთოკა,
გრძნობების ნაპირზე სივაშის
და შევრჩი ლაბირინთს მარტოკა,
წლების და ფოთლების წვიმაში.

მღვრიე წყალს ვატანდი ჩემს ნაღველს
და დღესაც სტრიქონში "რაფერ" დის.
მაგ გულს კი არარა ანაღვლებს,
სულს ნეკნი ემსხვრევა ნაფერდლის.

სადღაა, ნეტარი წუთები,
ამ გულში ურვა და ვიშია.
მაგ ბაგეს ვერ ვესათუთები,
ამბორს რა უაზროდ მიშლიან.

ვიხსენებ გიშრისფერ ნაწნავებს
და ზეცის ნაწვიმარ საკინძეს.
ბწკარებად გიბრუნებ ვარსკვლავებს,
მოდი და მძივებად აკინძე.

ცხადია, აქ ყოფნა არ მინდა,
ფრესკებიც წვიმებმა დაღარეს.
სტრიქონებს უშენოდ აწვიმდა,
დეკემბრის ამინდს კი რაღა რევს.

ცხოვრებამ მარადის გამრიყა,
გრძნობების კუნძულზე სივაშის.
სტრიქონებს შემოვრჩი ამრიგად,
წლების და ფოთლების წვიმაში.

უშენოდ მივყვები ბილიკებს,
ლოდინით დავღალე თემშარა,
ხვალ მტკვარიც მე გამაქილიკებს,
უზომო ტრფობამ, რომ შემშალა.

* * *

მშვენი მბრწყინავ
ვარსკვლავად,
ჩემი ფიქრის კაბადონს.
რა იქნება გამჩენმა,
შენი კოცნით დამათროს.

თუ არ ჩემი სიმორცხვე,
სხვა ძვირფასო ვინა მტრობს,
შენ ერთადერთს
გნატრულობ,
სხვა ან როგორ ვინატრო.

ჩემი ხსოვნის დაფაზე,
ყველა სახელს გადავშლი
და ვილოცებ სულ შენი,
სიყვარულის ტაძარში.

ტ. გრანელს!

ყორნისფერი ღამეა...

გარეთ წყნარი საღამო და მაისის წვიმები,
სულში ისევ ქაოსი, უცნაური ფეთება.
უნდობლობა, წუხილი ისევ გულის სიმების,
განწირული დღეები და ყრუ სულისკვეთება.

ისევ დარდი, წუხილი ისევ მწველი იარა,
ისევ ხელში გაკვდება მოწყენილი საღამო.
ბედის ეშაფოტებზე მწუხრმა გადაიარა,
შენ კი სტრიქონს მიენდე,დარდი რომ
დაგიამოს.

სული გადაღლილია და მწუხრის შეღამება,
ცაში დაწყებულია ისევ ფერთა გამაში.
ლურჯი მარადისობა ასე რად გეხამება,
ღამე ლაგამს უშვებს და გხვდება ცეკვა-
თამაშით.

ყორნისფერი ღამეა, მწუხრის ფრესკებს ვერ
უმზერ,
სულის ეკლით ნაკაწრებს, ვეღარ შველის
საღამო,
არეულა გულისთქმა ლურჯი მარადისობის,
მთვარემ სხივი მოგტაცა, ზეცა გახდა საამო.

ახლა ისევ ღამეა, სულს ნაღველი
გიზაფრავს,
ყორნისფერი ღამეა, შენ კი მწუხრის
ფარაონს
ვეღარ ემშვიდობები და არც გიღირს
არაფრად,
რადგან წლები ჩავლილი ღმერთმა
დაგიფარაო.

რამ დამავიწყოს....

რამ დამავიწყოს, ვით დავივიწყო,
ვნებით მიმქრალი გიშრის თვალები.
ეს შემოდგომაც ადრე დაიწყო,
ჩემი ხორცის და სულის წვალების.

ლექსად მეღვრები სულის რაფაზე,
ლოდინმა გახრა სულის დილემა,
არ ვერიდები მტანჯველ ნაფასებს,
მომისაკლისა შენმა ჩრდილებმა.

რა სანუკვარი მიზანი გვქონდა,
როგორ წამლობდი ლექსის იარებს,
ასგზის გვემული ხორცი მომქონდა
შენსკენ, დამეწყრილ გზებით ვიარე.

თავს დატეხილი ვნებების დელგმა,
ანგრევს სტრიქონებს- სულის ნაპირებს,
უძლური არ ვარ, უზომოდ შლეგმა,
შემოვიძარცვე სულის საპირე.

დღეს უშენობა ეკლად მესობა,
გამიასკეცა სულის დირენი,
გათვალულია უმეტესობა,
არ მოსწონს ჩემი "ნანადირევი".

დრო-ჟამი მიწერს იღბალს დაფაზე
და უშენობის მწარე დილემას,
ვისრუტავ ტკივილს, სულის რაფაზე,
კვალი დატოვეს შენმა ჩრდილებმა...

* * *

სულს მისჯილი აქვს დღეს სიმარტოვე,
გაცრეცილ ფრესკებს შენი მზერა შლის,
ურცხვად წახვედი და შემატოვე,
გაყინვარების ბოლო ერაში.....

კრძალვით ვიხსენებ...

მკაცრი ზამთარი დაუდგათ ვერხვებს,
ზამთარი მოდგა გაღმა ტივითა,
ტრფობის ბადეში ვერასგზით ვერ გხვევ,
ნაპირს მომწყდარი კალმახივითა.

დღეს უშენობამ გამინაპირა,
ჩაქცეულს სულში, ვერ ვთმობ კართაგენს,
თვალებს კი დღემდე კრძალვით ვიხსენებ,
თვალებს, წლებია მე რომ დამდაგეს.

ჩამომენაცრა მწარედ წარსული,
დაღმართს შევუდექ აღმართივითა,
ძველ დახავსებულ კედლებს ვემსგავსე,
ჩაქცეულს სულში, ხახმატივითა.

დღეს ხსოვნაც ეგზომ გაუფერულდა,
მკრთალი ფერები ჩნდება ტილოზე,
დარჩა ხატება იმ წლების ხურდა,
აქ, სულის ცისფერ მარმარილოზე.

შენთან ეს ლექსიც მოვა ეგების,
მტკვარს გამოვატან გაღმა ტივითა,
მე უშენობის რიფებს ვეგები,
ანკესზე მოსულს, კალმახივითა...

* * *

ჩემთვის გაზაფხული, ნუთუ აღარ მოვა,
სულში გაგიხუნდნენ ჩემი ლავანდები,
მათოვს უშენობა, ჯვარცმის საღამოა,
სტრიქონს მონატრების ფიფქად დავადნები...

გარეთ ყინვაა და კვდომის საღამოა,
დღემდე მოგელიან მკრთალი მიმოზები,
ალბათ, გაზაფხული ჩემი აღარ მ

თუ სიკვდილია...

შენსკენ სავალი გზები დაწვრილდა,
გზები უშბის და მყინვარ-ზეკარის.
თუ სიკვდილია, მიჯობს ასწილად,
ისევ და ისევ შენ მოგეკალი.

შენით გალეშილ ლექსის ფილაქანს,
მწარედ აწამებს ვნების ფიქალი
და ენარცხება ზეცა ლილა-ქანს,
სიზმრებში ისევ მსტუმრობს ის ქალი.

ღამით მოვარდნილ სტრიქონის დელგმას,
ვერრას ვუხერხებ ბედით უნალავს
და მზერას შენსას ჩემსავით შლეგს და
ეგ სილამაზე გადაუმალავს.

სტრიქონს მიშანთავს დღეს უშენობა,
მებრძვის პირისპირ შლეგს და უტეხარს
და სიჭაბუკის ლამაზი წლები,
სიზმრების სხვენში გამოუკეტავს.

გავეცი ტრფობის უზომო ხარკი,
ლექსით გისტუმრებ ტრფობის მე ღალას.
იწვის სტრიქონი, ვით ჟანა დარკი,
გულიც ლოდინით გადამეღალა.

დრო ურცხვად მნაცრავს ტრფობის კალოზე,
ვეღარც გუმანი მწყალობს მაყრისა.
ვერც ოცნებების სასაფლაოზე,
მაგ გულმა დღემდე ვერ მისაყდრისა.

ვერ მისაყდრისა და დღეს ღაწვილთან,
სტრიქონს დაგიფენ, ნისლად ზეკარის.
თუ სიკვდილია, მიჯობს ასწილად,
სტრიქონის წერის ჟამს მოგეკალი....

დეკემბრის ღამეს...

დეკემბრის ღამეს ჩემს ფიქრებთან აღვესრულები,
ვზივარ უხმოდ და იმ გარდასულ წლებთან ვკამათობ.
მწარედ გაფრინდა სიჭაბუკის წლები ულევი
და შენი მზერაც გაიყოლა უმისამართოდ.

ხსოვნის ფილაქანს ეხეთქება შენი ხატება,
წარსულის ფრესკებს ხავსიანი ექო მინაცრავს.
საწუთრო მწარედ ო, რა მწარედ მეთამაშება,
მე ბედის მდურვით ჯვარზე ოთხი ლურსმნით მიმაკრავს.

წარსული მათოვს, მოგონების მდევნის ლანქერი,
ხსოვნის ფრესკიდან დღეს აღარ კრთის შენი ნათება.
საწუთრო ახლა დასისხლული თვალით დამცქერის,
აღარ ვაპირებ კიდევ მასთან შეკამათებას.

დეკემბრის ღამეს, სუსხიანი დეკემბრის ღამეს,
ვიდრე სხეული დაასრულებს სულთან ბორიალს
ვერც უშენობით ვეღარ იგრძნობს გული სიამეს,
სულის კლავიშიც ჩასტეხია ცისფერ როიალს.

დეკემბრის ღამეს, კვლავ ბობოქრობს ნახვის სურვილი,
დღეს უსათუოდ უშენობის ფიფქი დამათოვს.
დეკემბრის ღამეს აირია სულში აპრილი,
ხსოვნის ფრესკებიც დამეფანტნენ უმისამართოდ.

დეკემბრის ღამეს, სუსხიანი დეკემბრის ღამეს,
შენი ღიმილიც დამეკარგა უმისამართოდ.

* * *

დრო-ჟამი ნაცრავს სიზმრების ურდულს,
მოგონებების მდევნის კოჰორტა,
შენ ჩემი გული წაიღე ქურდულ,
წლების წინ, მე რომ ნებით მომქონდა....

* * *

თუ ხარ პოეტი,სულ არ გინდა ეგ ჩინ-მედლები,
წერე ხალხისთვის,გახდი ხალხის დიდი მესია.
შენ არ იფიქრო ნამთვრალევი დღეს გევედრები,
ტრფობა მამულის, ყველა ჩინზე უკეთესია...

გულო ეულო

სულ გავერანდა,
გაუდაბურდა,
ხსოვნამ დაბურდა,
სულის ვერანდა.

სული გრძნეულობს,
ყველა მიყენებს,
ჟამიც მიყელებს,
გულო ეულო !

ვინღა მიგიღებს,
ტრფობით " დაბოლილს",
ნაზი ამბორით,
იცვლი მიმიკებს.

ხსოვნამ დაბურდა,
სულის ვერანდა,
სულ გავერანდა,
გაუდაბურდა...

სიჩუმე მეფობს...

ირგვლივ სიჩუმე მეფობს ღამისა,
მოგონებების ყრუ აკლდამაში.
ნახევარია ახლა სამისა,
მე კი შენს სახელს ვამბობ დამარცვლით,

ისევ ძველ წლებთან ვიწყებ მასლაათს,
მონატრებასაც ჩაუწყდა ძარღვი.
მზერას ვაყოლებ კედელზე საათს,
მოთმინებით და ლოდინით დაღლილს.

ჩურჩულით ვმარცვლი ისევ შენს სახელს,
შენს სახელს ფუნჯით წერენ ღრუბლები.
ო, სათქმელს მაინც დღეს ვერ გავამხელ,
ვერა ძალით და ვერა უფლებით.

აღარ დამიტოვე სხვა გზა...

როგორ ამერია თავგზა,
სტრიქონს შევალიე წლები,
დღემდე დამატარებ გზა-გზა,
ტრფობის ნაღვერდალზე ვდნები.

ისევ უშენობას ვჩივი,
გულიც მარტოობას ჩემობს,
ბედი ამიმხედრდა იცი ?
შარბათს ვერ გავუგე გემო.

ახლა მინავლული წლების,
ტკივილს ვიხსენებ და ვგოდებ,
ისევ უშენობა ზაფრავს,
სულის ძგიდესა და კბოდეს.

უძოს ეპარება ბინდი,
ღამე ყორნისფერი მოდის,
ისევ მარტოობით ვუძლებ,
ლოდინს, უსაშველო ლოდინს.

როგორ ამირიე თავგზა,
ტანზე შემომაცვდა წლები,
აღარ დამიტოვე სხვა გზა,
ლექსად სანთელივით ვდნები...

* * *

გვირაბის ბოლოს მოსჩანს სინათლე,
ალბათ ის არის, რაც მე მგონია.
ვერ მოვასწარი მონანიება
ცოდვებიც უკან გამომყოლიან.

როცა წავრსდგები სამსჯავროს კართან
სულ მისხალ-მისხალ მომეკითხება.
ვერ შევინანე და ვიცი ახლა
ეს სინანული გვიან იქნება.

მდუმარედ ვიხსენებ....

ქარი დღეს დილიდან შენსავით ანცია
და სტრიქონს მიბორგებს ამ წვიმის
თქეშები,
ეს ხმელი ფოთლებიც ქარს გაუტაცია,
მე კი უშენობას ვსვამ აზარფეშებით.

სიგიჟის ზღვარზე ვარ, შენს ამბორს
ვიგონებ,
ბაგე-ცეცხლოვანი, კოცნა რომ სწადია,
ტკივილად დააჩნდი რითმას და
სტრიქონებს,
დუმილთან ვზიარობ, რაც წლები გადიან.

არც კი მეკითხები ან კი როგორა ვარ,
დღემდე მონატრების მდაღავს მისტერია
და თუ მწარე მერგო ხვედრი სიყვარულის,
მაინც უშენობა ლექსად მიწერია.

დაწყვეტილ ნერვებზე თამაში გწადია,
გულს, რომ ვერ უბრძანებ, ეტყობა არ იცი,
იცი, დავიწყების მტვერი რომ ედება,
იმ ჩვენს დატოვებულ ფსკოვსა და
“ცარიცინს”.

არ ვიცი გულწრფელად, კოშკებს ვინ სად
აგებს,
ჟამთა სვლას უტიფრად, რომ წაუხვეტია,
მდუმარედ ვიხსენებ ჩავლილ წლებს
სადაგებს
და ისევ თავსხმაში ვაგრძელებ ხეტიალს.

ახლა მეკითხები: “თენგო როგორა ხარ ?
ჩემზე ეს რამდენი ლექსი გიწერია “,
იცი როგორა ვარ? დღეს აღსდგა
ფერფლიდან,
ჩემი მარტოობის ძველი იმპერია...

მთვრალი ვარ შენებრ....

გალას!

განთქმული სიტყვით,
ჯიშით, გვარ-ტომით,
მოსწყდი ფანჯრიდან,
ერთი ნახტომით,

მარადისობის,
"მთაწმინდის მთვარე"-ს,
მოტრფიალე და
ბატონ- პატრონი...

ვით სველ ფილაქანს,
შეერწყა ვარდნა
და მშრალ სილაში
ვარდები დადნა,
მათაც მზის სხივი
დააკლდათ რადგან...

დარჩა დამჭკნარი,
ვარდი სილაში,
იყო ცხადი,თუ
იყო მირაჟი...

უგულო ვარდნა,
დამჭკნარ იებად,
ასე სიკვდილიც,
გეპატიება...

მთაწმინდა შენებრ,
ფეხით მივლია,
"ლურჯა ცხენები"
რბიან უბელოდ,

მთვრალი ვარ შენებრ,
რაღა მიკლია,
მანდ მთაწმინდაზე
" შემოვუბერო"...

შენს ძეგლთან ვდგევარ,
დე, ჩემზე იყოს
დღეს ასანთები,
თაფლის სანთელი,

დიდება შენ და
ხსოვნა მარადის

იქ ზეციურში
გქონდეს ნათელი...

რჩეული, ლექსით,
გენით, გვარ-ტომით,
მიწიდან მოსწყდი,
ერთი ნახტომით,

"იისფერ თოვლის"
მოტრფიალე და
დიდი მთაწმინდის
ბატონ-პატრონი...

მოსწყდი მიწიდან,
დიდი ნახტომით,
მოუხელთავი
ერთი "ატომი",
ზეცად ამაღლდი
მეფე...ბატონი....

ეს მცირედია.....

შენსკენ საფრენად სივრცე არ მყოფნის,
სამყარო გახდა ჩემთვის გალია,
მწარედ ვიგემე ტრფობის ნაყოფი,
მით თავს მანატრებ უფრო ძალიან.

ახლა დაღუპვა მელის ცხადია,
კიდეც დასრულდა წლებთან თამაში,
უკვე რამდენი წელიწადია,
სული იხრჩობა ტრფობის ლავაში.

შენი ფრესკებიც დღემდე მით ფასობს,
თუმც დავასრულე წლებთან ლაციცი,
ეს მცირედია, თუმცა ძვირფასო,
ძველი წლებიდან ახლა რაც იცი.

დღეს კი სიკვდილსაც თვალებში ვუმზერ,
იქ სამარესთან სამი კაცია,
პულსის სიხშირე დაეცა ნულზე
და სიყვარულის გრავიტაცია.

დღემდე ტკივილით და უშენობით,
ნაზამთრალ სულში ძველი ბზარია,
გთხოვ, დაიფარე ძველი მიჯნური,
ჩემი ტრფობისგან, მზეო მარიამ !

რამ დამავიწყოს....

რამ დამავიწყოს, ვით დავივიწყო,
ვნებით მიმქრალი გიშრის თვალები.
ეს შემოდგომაც ადრე დაიწყო,
ჩემი ხორცის და სულის წვალების.

ლექსად მეღვრები სულის რაფაზე,
ლოდინმა გახრა სულის დილემა,
არ ვერიდები მტანჯველ ნაფასებს,
მომისაკლისა შენმა ჩრდილებმა.

რა სანუკვარი მიზანი გვქონდა,
როგორ წამლობდი ლექსის იარებს,
ასგზის გვემული ხორცი მომქონდა
შენსკენ, დამეწყრილ გზებით ვიარე.

თავს დატეხილი ვნებების დელგმა,
ანგრევს სტრიქონებს- სულის ნაპირებს,
უძლური არ ვარ, უზომოდ შლეგმა,
შემოვიძარცვე სულის საპირე.

დღეს უშენობა ეკლად მესობა,
გამიასკეცა სულის დირენი,
გათვალულია უმეტესობა,
არ მოსწონს ჩემი "ნანადირევი".

დრო-ჟამი მიწერს იღბალს დაფაზე
და უშენობის მწარე დილემას,
ვისრუტავ ტკივილს, სულის რაფაზე,
კვალი დატოვეს შენმა ჩრდილებმა...

* * *

უშენობამ გამაწბილა წვა - დაგვაში,
ჩატყდა სულის გაბზარული კლავიშები,
რომ მცოდნოდა, როცა ჩემთან იყავ მაშინ,
ამ გულიდან, არასოდეს გაგიშვებდი....

როგორ ვირწმუნო...

ვედიდგულები ახლა სტრიქონებს,
შენ კი მიმზადებ გულის მოლს ბერტყვით,
გული ჩემთან თუ ვერ მოიფონებს,
გამიხუნდება ხსოვნის მოლბერტი.

სტრიქონს მინაღმავს გაქრობის შიში,
ყორნისფერ ღამეს სად არ ვემალე..
სულ გაფერმკრთალდა შენამდე ნიში,
ამოვიარე მწუხრის ტყეც მალე.

ვნებაარეულს ცეცხლი მედება,
წახველ და ბედი სად არ ეძიე.
სივრცის კარები შეხსნეს გედებმა
და ჩამავალ მზეს იქ დაეწიე.

ჩემთვის იმეხა დღეს ყველა მეხმა,
ბოლო არ უჩანს, ვფიქრობ წამებას.
შენი ჩურჩული არც სტრიქონს ესმა,
სიცოცხლე მრჩება როგორც ამებას.

ჟამის ტრამალებს ხავსი ედება,
როგორ ვირწმუნო შენ და უარი,
ცრემლის შხეფები ღაწვზე ბერდება,
დღეს უშენობას შენაგუარი...

* * *

ჩემთვის გაზაფხული, ნუთუ აღარ მოვა,
სულში გაგიხუნდნენ ჩემი ლავანდები,
მათოვს უშენობა, ჯვარცმის საღამოა,
სტრიქონს მონატრების ფიფქად დავადნები...

გარეთ ყინვაა და კვდომის საღამოა,
დღემდე მოგელიან მკრთალი მიმოზები,
ალბათ, გაზაფხული ჩემი აღარ მოვა,
მე კი მოწყენილი, თალხით ვიმოსები...

ახლა სტრიქონს გეშავენ...

ეს საღამო ილევა, მწუხრს გაუდის განგაში,
დარდის პარაკლისია, მწუხარების სავანე,
ღამის ტკბილი სიზმარი ანგელოზთან ფრთებს გაშლის,
შენზე მოგონებები, რით ვერ დავასამარე.

მწარედ ზეობს ივნისი, დარდი ვით დავიამო,
ყავლი გასდის ღამეს და დღეა მიუსაფარი.
შენს ლოდინში სულს ღაფავს შფოთიანი საღამო,
მე კი სიზმრებს ვაცილებ,დაფითა და ნაღარით.

ახლა ისევ მარტო ვარ,სული შფოთავს დაღლილი,
წუხილს მიერეკება სევდის სანაპიროზე.
ისევ თავს შემახსენებს, წლები უხმოდ ჩავლილი
და შენი გაღიმება ჩემს გაცრეცილ ტილოზე.

სულს წუხილი მიზაფრავს, სიოც კი მღლის სავანის,
მწუხრის ზარებს რეკავენ არის ყრუ მისტერია.
რად ვარ ჩემი ლექსივით დღემდე მიუსაფარი,
შენთვის ვითომ ეს ლექსი, არც კი დამიწერია.

ახლა სტრიქონს გეშავენ,ლექსის ნიამორები,
შენზე სიზმრებს გამიქრობს, მოწყენილი საღამო.
თვალის მოკვრა არ მინდა, აჩრდილს ვეამბორები,
იცი, რომ შენ სიყვარულს, ვანაცვალე სამყარო ?!

* * *

ჩემს სტრიქონებში იცოცხლებ მარად,
ჩემი " ჯოკონდა" და " მონა ლიზა",
ახლა სტრიქონში დენთის სუნი მცემს
და შენი ბაგის ამონალისა...

* * *

მე სიყვარულში დავთმე დიდგორი,
იყო კრწანისი, იყო მარაბდა,
ეს მისხალ- მისხალ დაცლილი გულიც,
ამ სტრიქონივით დაპატარავდა....

რაა სიცოცხლე?

რაა სიცოცხლე?-სულის კივილი,
დღისა და ღამის ურჩი ზმორება.
წამოგვეწევა ცელი სიკვდილის,
არაფრის გვაცლის განმეორებას.

რაა სიცოცხლე?- ბედთან ჭიდილი,
მკერდზე დაცემა დარდის მჯიღისა.
ვართ სიცოცხლეში სიკვდილმისჯილი
და თუ სხეულმაც ჯვარცმა იღირსა?!

წავალთ, რამე თუ ყალბი საწუთრო,
შეგვხსნის არტახებს ისევ ზმორებით.
შანსს არანაირს არ დაგვიტოვებს
ძველი კადრების განმეორების.

მთელი სიცოცხლე ყალბი ღიმილი,
ერთხელ შეზელვა სველი თიხისა,
მწუხარე განცდა და სიმძიმილი,
ან სტრიქონები ახლა მიღირს რად?!

სიცოცხლით ტკბობა მაინც სულ სხვაა,
ვერ გაჯერება ტრფობით გულისა.
სულის ნაკაწრი ჟამის ნუსხაა,
ვით ძველი ფირი დასასრულისა.

რაა სიცოცხლე?-შენც კარგად უწყი,
თვით შემოქმედმა ასე ინება:
მარადიული დიდი ძილის წინ,
ერთი უიღბლო გასეირნება.

* * *

ბოლოს სამყაროს დაღალულ რინგზე,
დაწვება ღამე,მწუხრი საზარი,
საუკუნეებს გაყვება ცოდვად,
შენი " იპონი", ჩემი "ვაზარი"...

თუ სიკვდილია...

შენსკენ სავალი გზები დაწვრილდა,
გზები უშბის და მყინვარ-ზეკარის,
თუ სიკვდილია, მიჯობს ასწილად
ისევ და ისევ შენ მოგეკალი.

შენით გალეშილ ლექსის ფილაქანს,
მწარედ აწამებს ვნების ფიქალი
და ენარცხება ზეცა-ლილა ქანს,
სიზმრებში ისევ მსტუმრობს ის ქალი.

ღამით მოვარდნილ სტრიქონის დელგმას,
ვერრას ვუხერხებ ბედით უნალავს
და მზერას შენსას ჩემსავით შლეგს და
ეგ სილამაზე გადაუმალავს.

სტრიქონს მიშანთავს დღეს
უშენობა,
მებრძვის პირისპირ შლეგს და უტეხარს
და სიჭაბუკის ლამაზი წლები,
სიზმრების სხვენში გამოუკეტავს.

გავეცი ტრფობის უზომო ხარკი,
ლექსით გისტუმრებ ტრფობის მე ღალას,
იწვის სტრიქონი, ვით ჟანა დარკი,
გულიც ლოდინით გადამეღალა.

დრო ურცხვად მნაცრავს ტრფობის კალოზე,
ვეღარც გუმანი მწყალობს მაყრისა,
ვერც ოცნებების სასაფლაოზე,
მაგ გულმა დღემდე ვერ მისაყდრისა.

ვერ მისაყდრისა და დღეს ღაწვილთან
სტრიქონს დაგიფენ ნისლად ზეკარის,
თუ სიკვდილია, მიჯობს ასწილად,
სტრიქონის წერის ჟამს მოგეკალი...

უღვთოდ მენატრები

უღვთოდ მენატრები, სტრიქონს
ვეფერები,
სულში საოცარი ლურჯი ცის ფონია.
რითმა ტორტმანებს და სტრიქონს
ემსგავსება,
შენთვის დაწერილი ღამის სიმფონია.

უღვთოდ მენატრები, ლექსად
ვიღვენთები,
სულში მწარედ მაწვიმს, გლოვის
ამინდია.
ჟამით დაისრული წლები მონატრების,
ფიფქით მავსებენ და არსად არ მიდიან.

წლებმა ვერ განკურნა დროის
მდინარება,
ისევ ბორგნეული სიზმრის კართან გელი.
სისხლი ამიჩქროლე გულში მდინარეთა,
სულში ჩამიქციე ვნების კართაგენი.

ვეღარც მონაბერი, ვერ მცემს სიო
გულზე,
სულში ზვავი მოწყდა, უშბის და
ზეკარის...
და როს სიკვდილი მოდგება ზღურბლზე,
ასწილ მიჯობდა შენ მოგეკალი...

* * *

მთრთოლავ დუმილით მოფარფატებს
ფიფქები ციდან,
გახარებული ხიდან ხეზე ხტოდა მესკია.
ნუ სძებნი ნურას, სიკვდილამდე იქნები
მშვიდად,
თუ სიცოცხლეში არაფერი დაგითესია.

ნუ გამიწყრები...

შენ რას გაუგებ ამ გულის მინორს,
ჟამი დამიდგა მკაცრი გამოცდის,
ბაგეთა შენთა დანაღმულ მინდორს,
ვერასდიდებით ჯერ ვერ გამოვცდი.

ვერ გამოვცდი და სული დავღუპე,
გრძნობებს ვაძევებ ლაქაშებიდან,
გამოვიყვანო, რომ თვალთა უპე,
ცრემლის უეცარ დამლაშებიდან.

დრო იყო ძილშიც, რომ გაღმერთებდი,
როცა ვმწყემსავდით სიზმრის ქარავანს.
ვაგლახ, გამიწყრნენ მუზის ღმერთები,
ძერაც სულს მკორტნის დაუფარავად.

ვარ გალეშილი ტრფობის თრიაქით,
გულმა დღემდე ვერ მოგისაკლისა.
უიღბლოდ მდევნის ბედი – "იაქი"
და ანარეკლი ძველი სარკისა.

ნისლის ფარდაგი ღამემ აკეცა,
რითმები მრჩება ამოდ ნაყარი
და შერჩი ჩემი იმედის ზეცას
ლექსად, სულიდან ამონაყარი.

უხმოდ მივყვები წლების ქარავანს
და უშენობის წამი მაბრუებს,
სამყარო მებრძვის დაუფარავად,
ბუმერანგივით შენსკენ მაბრუნებს.

გადახსნილი მაქვს კვლავ სულის მაჯა
ლოდინმა გახრა სულის ქამანჩა
და მეწამული შენი დელგმიდან,
ეს სტრიქონებიც ვეღარ გადარჩა.

როდი მიმტყუნა დღეს მუზის გეშმა,
თუმც ჩამიქციე სულის საძვალე.
შემომჩენია მაცდური ეშმა
და უშენობით თრობას მაძალებს.

ვერ გაპატია გულმა ნატკენმა,
ნუ გამიწყრები : უფალს გაფიცებ !
მე კი დღეიდან შლეგ მონატრებას
და უშენობას ვუძმადნაფიცებ !

გალეშილია ღამე თრიაქით...

მზე გადაეშვა უხმოდ დასავლით,
ღრუბლის ქულებზე მთვარე ბანაობს.
ქარმა წამართვა ბოლო ნადავლი,
ვემშვიდობები მწუხრის ფარაონს.

ჯერ ღამეს ისევ ბურანში სძინავს,
სულს ვერ მიბორკავს დარდის მჭიდები.
ვით უბინაო, დაეძებს ბინას
გული ჩემი, თუ ისევ გჭირდები.

მაინც გიგულებ ისევ საგულეს
და რადგან ასე არ მემეტები.
შენ ჯვარცმის მეტი არა მარგუნე
ვერც ძველებურად მეიმედები.

ღამე უძილო თავზე დამატყდა,
სულს მიბოჭავენ სიზმრის ღვედები.
ჩემი ნაწერი სტრიქონის რა ვთქვა,
თორემ მე და შენ ერთად ვბერდებით

ჯერ ღამეს ისევ ბურანში სძინავს,
შემრჩა წუხილი სევდით ნაფერი
და გადანისლულ სავანის ნიავს
მოაქვს ნაღველი სხვა არაფერი.

უფალი ტრფობას მიზომავს მისხლით
ვნების მორევში ლამის დამახრჩოს.
ტაბახმელიდან ნაჟური სისხლით,
კრწანისის ველზე გიზრდი ყაყაჩოს.

გალეშილია ღამე თრიაქით,
ღრუბლის ქულებზე მთვარე ბანაობს,
დალალს იგრიხავს სული ტრფიალით
და გული კვდება უიარაღოდ...

ლიკა ფარცვანია – სამართალმცოდნე.
დაბადების ადგილი – ზუგდიდი

7 წლის წინ დაწყებული ციკლი:

,,თავაწყვეტილი კაფიები”...

თუშს...

შენ, ახალს ვერას მპირდები,
რად დუმხარ, ბღვირობ, ნეტავი.
ვატყობ, აღარა გჭირდები
ბეჩავ – ქალ, გაუბედავი.

დარდ რად გაგიჩნდა თოლებში ,
ნაცრისფერს ირჩევ იალაღს.
გშინობს ნადირთა თარეში,
მუდმივად ლესავ იარაღს.
მე სითბოს ნატრულ გიკვდები,
ცეცხლ მიკიდია იარას...
ხის ფოთლებს სული ელევა,
სიკვდილმა აქ ჩამაირა...
სად გაჰქრი პირველ თოვლივით,
მთაში სად უნდა დიოდე
და მე რად გნატრობ ცოლივით...
ბარს მინდა ჩამადიოდე...

ა მ ე კ ვ ი ა ტ ე...

ა მ ე კ ვ ი ა ტ ე...
შენ ხომ წვიმის ხარ დედოფალი...
შენს ირგვლივ ფერთა სილამაზეა, მაგრამ ხარ სხვისი.
დარდად ნუ დამცემ... იყო დრო, როცა გიყვარდი.
ახლა კი, ჩემდა საცდურად, მაოცებ ფიცით...
კვლავ განიბანა დედამიწამ ცოდვა სულთაგან
და შეიმოსა ცის მანანით ჩვენი სულები...
იქ, დაუბელავ ველზე უხედნავი ხომ დარბის კვიცი.

ა მ ე კ ვ ი ა ტ ე...
მაპატიე, რომ უკვე მოვკვდი, მაგრამ ზოგჯერ
ვსტუმრობ სამყაროს წვიმის წვეთებად და...
მონანული წვიმა არის ჩემი საფარი.
უსხეულოა საპირწონე სულის ფეთება...
ეს უსარგებლო ფიქრები ხომ სურვილს მიკრძალავს
და სახეს მალავს ჩემსას – ნამდვილს ხო, არა ადვილს...
ვერ ვიკლავ წყურვილს – ისევ წვიმას თუ ვებრალები!
დრო კი უსიტყვოდ ზეცისაკენ ბილიკს მიკვალავს...

ა მ ე კ ვ ი ა ტ ე...
რომ სევდისფერ სურნელს დაემატოს წლების მიქარვა...
რომ უსასრულოდ გადმოდინდეს სიყვარული „ცათა შინა”...
და დედამიწას შეეყაროს სენად სიკეთეც...

ხელებს ვწევ მაღლა...

ხელებს ვწევ მაღლა!არც მე მიმაქვს იმქვეყნად რამე,
დავთმე სიცოცხლე და მივდივარ მშვიდად, გულღიად.
მადლით დავმუხტავ უბერებელ საყვარელ წამებს,
შემეგებება იმიერი ალალს სრულიად...

ვტოვებ სიყვარულს, უფერებელს, დარდიანს, დაღლილს,
სუნთქვა გაუთბეთ, ნუ დატოვებთ ქუჩაში მარტოს.
ხშირად ეფერეთ მოგონებას წუთის წინ ჩავლილს,
უსიყვარულოდ ფაქიზ გრძნობას ზაფხულშიც ათოვს.

ხელებს ვწევ მაღლა! მინდა მთვარეს მივუალერსო,
მხოლოდ მან იცის ჩემი სულის ბოლო სურვილი.
თმენის ფიალა რახანია უკვე ამევსო,
მიზეზს დაეძებს მაღლა ფრენის დიდი წყურვილი...

ჩამოუქროლებს ცივი ქარი ქუჩებს ნაღვლიანს,
გაღიმებული შემოდგომის ფიქრებს წაიღებს.
შესაწირავი მიუვიდა ვიღაც მადლიანს,
მჯერა წყალობას ცოდვილთათვის
ღმერთი გაიღებს.

მემწარა სიცივე...

მემწარა ნოემბრის სუსხი და სიცივე,
არ მინდობს ცხოვრება, მაწვალებს გამჩენი.
დავფრინავ ღრუბლებში, დრო უხმოდ მიცილებს,
ვატყობ, რომ არა ვარ, აქ დიდხანს დამრჩენი...

ჩამიქრა ლოდინით დაღლილი თვალები,
მიწაზე დასრესილ გრძნობასაც შესცივდა.
ჩემს მუზას ლექსებით ვუხადე ვალები,
ბედ- იღბალს მესმის, რომ ვერავინ შეცვლიდა...

დღეს დროში აცდენილ სულების ამქარმა,
ცხოვრების დინებას დაადო ბორკილი.
კონკიაც გაყინა უგულო ზამთარმა,
აღსავლის კარებთან ლოცულობს მორჩილი...

თუშის პასუხი მეგრს...

ცხრა პარასკევა ქალი ხარ,
შენი ვერ გამიგია მე...
ხან ცეცხლობ, განზე გარბიხარ,
ხანაც ჭრილობას მიამებ.
სულს მიკვნესს შენზე ფიქრები,
თვალს ცივად ნუ მიბრიალებ.
ღადარო ნუ ჩამიქრები,
აზრებს ნუ მაყრი ტიალებს.
ე მანდ არ ჩამაგივარდე,
თორო შინ წაგაწიალებ...
დაგმალავ მთაში ქალაუ...
დედულეთს აგიწრიალებ,
მერე იცრემლე, ივახე,
მაყარ გავუვსებ ფიალებს!

რად დუმხარ საეჭვოდ შენ ადამიანო!...

ერთი დღის სიცოცხლე არგუნა განგებამ...
ის მაინც ხალისობს, ფარფატებს, მზიანობს.
დაგღუპა შურმა და მახების დაგებამ,
პეპელა გჯობია შენ! ადამიანო!

ამქვეყნად უკვდავი არავინ დარჩება,
ამინდიც გაგიჟდა, მზეც ვეღარ მზიანობს ...
ხვალ ყველა შეგრძნებაც უკლებლივ გაქრება...
რად დუმხარ საეჭვოდ შენ! ადამიანო!..

კალამი ტყვიაზე სწრაფი და მწარეა,
ჯარისკაც პოეტსაც იარა ასტკივდა.
ღალატის მოწმე კი ახალი მთვარეა...
ზაფხულის ღამეში რატომღაც აცივდა...

დრო მიდის, მიფრინავს, წამებიც
არ იცდის,
მომავლის იმედო ნეტავ სად ხმიანობ?
ბუნება ჩვენს ცოდვებს უსიტყვოდ
განიცდის,
რად დუმხარ საეჭვოდ! შენ ადამიანო!...

გმადლობ, უფალო!...

გმადლობ, უფალო ! ნაჩუქარი მზიანი დღისთვის,
გმადლობ, ცოდვილი შეგვიფარე, შენს თბილ უბეში...
გულით ილოცა ანგელოზმა, ჩვენი სულისთვის,
ხორცით დაცემულს- წამლად მოგვცა, დიდი ნუგეში...

შენს მეტი ვერვინ, ვერ უწამლებს ერის სატკივარს,
ძმებს შორის ღალატს ნუ დაუშვებ- მოგვეცი ძალა!
სულის მდინარეს ნუ დაუშრობ ხვალის სატივარს!
თორემ დუშმანი თავის ზრახვებს, უკვე არ მალავს...

დრომ მოგვაჩეჩა სატარებლად სოდომის ცოდვა...
უსიყვარულო დღეებს სულში სიცივე ათოვს...
სიმართლეს იტყვი ჩაგითვლიან უაზრო ბოდვად,
უფლის სასჯელი დღეს რატომღაც, არავის ახსოვს...

დედების ლოცვა შეისმინე უფალო ღმერთო,
ქართვლის მომავალს გაუნათე გზები სავალი.
სულით დაცემას მტკივნეულად განვიცდით ერთობ,
გზააბნეულებს დაგვანახე გამოსავალი...

მუზა- სალოსი...

ეს დაბრუნება დასასრულის დასაწყისია,
ჩემი გრძნობა კი... როგორც იქნა დაღვინდა დროში...
რაც არ მეკუთვნის, ყველაფერი ალბათ სხვისია,
პატივს მიაგებს ჩემს სისუსტეს, პატარა ,,გროში”...

არავინ იცის რას განვიცდი, რა არ მაძინებს ...
ღამის ჩრდილიც კი აფათურებს ხელებს ჩემს სულში.
გახელებული უთავბოლო ქარიც მაშინებს,
დაბორიალობს მარტოობა ფერმკრთალ სხეულში...

შემოახია დრომ შეგრძნებებს, თეთრი სამოსი
და სიყვარულის მხევალს მომცა სასჯელად ნიჭი.
დადის ავქარში ჩემი მუზა-მუზა სალოსი...
მე მის გარეშე არსებობა ძალიან მიჭირს...

აღარ მასვენებს, მასნეულებს, სული სხეულის,
წამოაფიფქა წლების მწარე მტკივან იარებს,
იქნებ ბოდვაა, ან შეგრძნება გადარეულის,
სიყვარული, რომ განშორებას გააპიარებს...

მაგრამ მე მახსოვს...

გადაუქროლა ქარბორბალამ ცივ შემოდგომას,
შემოვეხიზნე შენს სამყაროს, გრძნობადაცლილი...
ვეღარ ვახერხებ დაცემული კვლავ წამოდგომას,
გზა გააგრძელო... არ ყოფილა თურმე ადვილი...

შემოვუარე ამ ჩემს სხეულს... შესასვლელს ვეძებ...
იქნებ დავტოვე ღიად სულის ფანჯარა ძველი,
ხორცის ტკივილი დავივიწყე, გადავდე გვერდზე...
სულის ტკივილის მოშუშება ვეღარ შევძელი...

და ვიარები წარსულიდან ისევ წარსულში,
ლამაზ მომავალს ვეღარ ვხედავ, თვალებში მათოვს.
გადაინაცვლა შეგრძნებებმაც ,,ვადაგასულში",
მაგრამ მე შენი მოფერება ყოველ წამს მახსოვს...

თვალებში ვმალავ...

ვერ გიერთგულე შენ ჩემო გულო!
თავს მოგახვიე ცოდვის მანდილი.
შენც მენანები დროვ დაკარგულო,
აქ სიკვდილია თურმე ადვილი ...

ბრძოლის ველია მთელი სამყარო,
სულში ქაოსი ადუნებს ფიქრებს...
ვიღაცა ცდილობს რწმენას გაგვყაროს
და უღმერთობა კვლავ ძალას იკრებს...

ვერ გაგიფრთხილდი შენც ჩემო სულო!
ლაბირინთებში მართალთ გზას ვკვალავ.
ჩემო მამულო! შენ მარტოსულო!
მე შენს სიყვარულს თვალებში ვმალავ...

შარმიან მზერას...

ფერთა სიჭრელე სურვილივით ცვივა მიწაზე,
მონუსხულ მზერას კვლავ ვარიდებ პარპაშს ქარისას,
ჰაერში ფრთხილად გაირინდა ვნებათაღელვა,
და ვეფერები შენს ნაჩუქარ ლამაზ თალისმანს...

შენც დროს მიჰყვები და მიტოვებ მინორულ წარსულს,
მძიმე ნისლი კი კვლავ ჩამოწვა მთაში ადრიან,
მე გადავმალავ ამ შენს სურნელს სულის მარაგად,
რომ წამლად ექცეს მოფარფატე გვემას დარდიანს...

სხეულში შენი სუნთქვის პულსი ძლიერ გახშირდა,
შორიდანაც კი ფორიაქობს აზრთა სიჭრელე,
ნაფერებ წუთებს ჩაეკეტათ დროის კარები,
წვიმა გულუხვად ისევ მჩუქნის ლამაზ სისველეს...

ვერ გავმარტივდი...ისევ ვრჩები უცნობ სამყაროდ,
ცას ჩავიხუტებ უპრობლემოდ ყველას ჯინაზე,
ძლიერ ქალსაც აქვს დამალული სუსტი წერტილი,
შარმიან მზერას დაატარებს სულის სინაზედ...

არ მიყვარს...

არ მიყვარს, არა! უნამუსო, აშარი ქარი,
სად დაწანწალებს და ბობოქრობს, არავინ იცის...
წუხელაც ღია დამიტოვა ეზოს ჭიშკარი,
უკვე არ მჯერა მოთარეშე ავყიას ფიცის...

ჩამოუქროლებს დაგეშილი, ყვითელ ხეივანს,
განწირულ ფოთლებს გადაუთვლის სიცოცხლის წამებს.
არეულობას და ფორიაქს სულშიც შეიტანს,
გააკანკალებთ მის ხმაურზე, მინორულ გამებს...

ქვეყნის ნეგატივს დაატარებს ურჩი სხეულით,
მთვარეულივით უშიშარი, ღრუბლებსაც აფრთხობს.
ჩამოიფერთხავს ყველა ტკივილს- ვითარც გრძნეული
და მორიდებულ ნიავს- ცხელი ჭორებით ართობს...

ლექსის მუსიკა...

ვიღაცის სულში გავიხლართე, ლექსის სტროფებში...
მოძალადე დრო უმღეროდა მუზას სონეტებს.
არარსებული შეგრძნებები ეწყო ნოტებში...
ფიცხი მაესტრო, დასტიროდა ლამაზ მომენტებს...

იწერებოდა მუსიკა და სციოდათ რითმებს,
ჩამოინაცრა ცის საბანი ჰანგის ლოდინში.
ამაღლებული ჰარმონია ხვდებოდა თითებს,
უხმოდ კვდებოდა უძინართა ღამე, ლოგინში...

გარინდებული მზერა თვალებს უკეტავს კარებს,
დაუწერელი ლექსის ფიქრი გაივსო დარდით.
წვიმის მუსიკას ღრუბელი, ხომ თან დაატარებს,
სურნელს გამოსცემს უკანასკნელს... ველური ვარდი...

ო! ეს მითები...

ეს ერთი ღამე, როგორ უნდა დაანაწევრო,
რომ ყველა წამში ჩაატიო წლების ალერსი...
შენ თანახმა ხარ, რომ ცხოვრება გაგინახევრონ
და მისი სული ჩაისახლო ზღვისფერ თვალებში...

ამორძალობა სატკივარი... სხეულის გვემა...
სასტიკ სამყაროს გამიჯნული იმედი ხვალის.
უცხო ტომიდან წამოსულთან აქ ღამისთევა...
გათენებას რწყავს არემარეს ცრემლები ქალის...

დაუსრულებულ სიყვარულზე მუდმივი ფიქრი ,
ძლიერ ქალსაც კი სულ უახლებს მტკივან იარებს...
სულის ჭიდილში უწერტილო დროც სწრაფად მიჰქრის,
ვაი, რომ დარდსაც აქ ვერავის გაუზიარებს...
მითებში ვეძებ ულამაზეს და მებრძოლ ქალებს...

მათი სამყარო შეუცნობად სურვილებს კრძალავს.
მე დავხატავდი შეყვარებულ, ცრემლიან თვალებს,
სულის კარებთან ამორძალის ფიქრებს, რომ მალავს...

უძილო მუზა...

რაც შენ წახვედი... შემოდგომაც აღარ მახარებს,
თითქოს შემცვალეს... უცხო ქალი ჩასახლდა ჩემში.
ისე ადვილად გაიხურავს ის სულის კარებს,
გაორებული აზროვნება ვატყობ, რომ შემშლის...

დღეც ბინდისფერად იმოსება, ცოდვილობს მზერა,
მძიმე ტალღები წალეკავენ უფრთო თოლიებს.
გაივლის ალბათ სატკივარი... მეც ამის მჯერა,
გული გონებას სულთან ზავზე დაიყოლიებს...

ვერ გავცდი მინორს... სხვის თვალებში ვინახავ ფერებს,
ძილი გამიკრთო ალიონზე მუზის ფიქრებმა.
ისევ ჩავხედავ გულის წიგნში რითმებს, ნაფერებს,
ამოვთქვავ ლექსს და შენზე დარდიც სადღაც მიქრება...

და ჩუმად...

მე ჩუმად ვმარხავ საღ გონების მტკივან უჯრედებს,
არ მინდა ლექსის ჰარმონიას გზაში შესცივდეს ...
მუზას უფალი განსაცდელებს მუდამ უბედებს,
რა იქნებოდა სულის ლექსი დროს რომ შესცვლიდეს...

გაორებული ამ ყოფაში სხვა ასტრალს ვხედავ,
შემომეპარა უნდობლობის სენი ტიალი
და მერე როგორც ამორძალი შეტევას ვბედავ,
სულ არ მანაღვლებს უკეთურთა თვალის ბრიალი..
.
ასე ვიწრთობით მე, ლექსი და მუზის ფიქრები,
ხვალინდელი დღის გათენებას შიშით მოველი.
მოდით ჩამქოლეთ! თუ მართალი აღარ ვიქნები,
ისედაც ბორკილს აჟღარუნებს წამი ყოველი.

შემოგიტყუე ლაბირინთებში...

შემოვატარე ჩემს სამყაროს ლაბირინთები,
ეკლიან ქუჩებს დასასრული, ბოლო არ უჩანს...
შემოგიტყუე, დავამსხვრიე, ყველა მითები
და შემოდგომამ აყვავილა ისევ ალუჩა...

მომეკითხება... ჩემი ყველა ნაბიჯი მაკრთობს,
დრო ულიმიტოდ მანებივრებს შენი წყალობით.
შემოდგომის მზე ჩვენს სიყვარულს მჯერა გაათბობს,
აისს ტოროლა გაანაზებს მშვიდი გალობით...

კვლავ მოწიწებით ვიყურები სულის სარკეში,
შენს ციფერ თვალებს ზღვის ფერიც კი ეალერსება.
ქვიშას მომაყრის ცხელი ქარი, ურცხვად სახეში
და შეგრძნებები აიკინძა ლამაზ ლექსებად...

ლაბირინთებში შეგიტყუე, მრუში ქალივით,
რითმებს ავუნთე სიყვარულის დიდი სანთელი.
დავატრიალე ჯოჯოხეთი, აშარ ქარივით,
ბედსაც მივანდე ბოლო სიტყვა... ღმერთთან სათქმელი.

არავინ უწყის...

აქ მოლოდინით გადავიღალე,
თვითონ არ ვიცი ვის
ველოდები.
წლები ათასჯერ
გადავითვალე...
გულზე დავიწყე ფიქრის
ლოდები.

შეუცნობელი აზრები
მთრგუნავს,
გონების უჯრედს ცეცხლი ედება.
მწამს ზიარება სხეულსაც
ჰკურნავს,
რწმენა არასდროს არ
დაბერდება.

და მაინც სადღაც, უცხო მიწაზე,
მუდმივად, მყარად მინდა
დარჩენა.
თუ მოვალ ისევ დედამიწაზე,
ადამიანად მინდა გაჩენა...

წუთისოფელში მოკლეა წამიც...
ბობოქარ სულს ხომ ვეღარ
ვერევი.
აზრის სიქველეც ვერ მიქმნის
ამინდს,
სიცოცხლის სურვილს ვეღარ
ველევი...

არავინ უწყის როდის მორჩება,
ამ ჩვენი ბედის სულის იარა
და მოსახდენი მაინც მოხდება,
ამინმა გვერდით თუ ჩაგვიარა...

მიყვარხარ ჩემო!

დამწუხრებული ნუღარ მიხმობ ჩემო სხეულო!
მე ჩემს სამყაროს ვანებივრებ, შენს მტკივან გულში.
მახსოვს მაჩუქე საოცარი დღე, უჩვეულო,
მაგრამ წარსულმა ჩაიბარა მაშინვე... გუშინ...

არ დამიტოვა სიყვარულმა არცერთი წამი...
ტაბუ დაადო საფერებელ სიტყვებს ნიავმა.
ყველა შეგრძნება გააყოლა არეულ ამინდს
და გადათელა მონატრება ვნების პიარმა...

რას მერჩი გულო?მე სული ვარ, შენი სხეულის...
მე და შენ მუდამ რატომ გვიჭირს მისი ტარება,
რატომ გვაქვს შიში ბოროტის და ჯადო- გრძნეულის,
ყველაფერს რად შლის უმადური დრო უკარება...

მსუბუქად ვეღარ ვიღიღინებ ამ მძიმე დროში,
სადაც ცხოვრების ყველა ფერმა დაკარგა გემო,
სადაც მოკვდავის სიცოცხლე ღირს სულ ერთი გროში...
სადაც არავინ დაგიძახებს ,,მიყვარხარ ჩემო!...

დავიგვიანე...

დავიგვიანე...ისევ მწარედ დავიგვიანე,
უკვე დასრულდა წინაპართა ცოდვის შენდობა.
ნეტავ მე დამწვას ცეცხლის ალმა და ვიბრიალებ,
ოღონდაც იყოს კაცთაშორის რწმენა- ერთობა .

დავიგვიანე. მეც ცოდვილი შევყევ საცდურებს
და დაიხურა ცოდვილთათვის აღსავლის კარი.
ზეცის მანანით სინანული აღარ მაპურებს,
არ არის რწმენა უფლის მიმართ დღეს ისე მყარი...

დავიგვიანე. ტაძრად მისვლა და გზად დავეცი ,
რა უსუსური და უსახო გახდა ცხოვრება.
ბოლო ლუკმაც კი შესაწირად ვეღარ გავეცი...
შიშით უსიტყვოდ როგორ დავთმე სულის ცხონება...

დავიგვიანე, გთხოვ უფალო! ნუღარ გამწირავ!
კეთილ არს შენი ზრახვანი და მადლი მომაგე.
ნუ გაგვიმეტებ, კაცთა მოდგმას უვიცთ, დამცინავთ,
ზეცის სამოსი საუკუნოდ ჩემს სულს მოარგე...

,,ვერსადარები”...

გავიადვილებ უშენობით გაჩენილ ტკივილს,
ცივ შემოდგომას დავაბრალებ მინორულ ლექსებს.
აღარ ვაპირებ არავისთან დარდებზე ჩივილს,
წითელს ავუნთებ ამ ცხოვრების არეულ წესებს...

ვივლი იმ ბაღში,სადაც ხეებს არასდროს სცივათ,
სადაც გუგული დღედაღამე ჩვენს წლებს ითვლიდა.
ჩემს მოგონებებს დაზაფრული წუთები სცვივა
და ქუჩის ხმაურს გამოვყავარ მძიმე ფიქრიდან...

წვიმიან ამინდს ნოსტალგია ურითმავს ფიქრებს...
წელსაც უშენოდ გაიხსნება მარნის კარები.
ვეღარ დაიტევს შემოდგომა სხვა ლამაზ სიტყვებს
და შენს ხსოვნაში მე დავრჩები ,,ვერსადარები'' ...

წვიმას ნატრულობს...

შენ, ისევ ჩუმად თავდახრილი მარიდებ სახეს,
გზა ჩაიხერგა და ჩვენ დავრჩით სხვადასხვა მხარეს.
მე ვაკოწიწებ უშედეგოდ ჩემს სულის ნახევს,
ბოლო მონოლოგს წავუკითხავ სევდიან მთვარეს...

ბრმა დეპრესია მიკაკუნებს უხილავ კარზე,
ფიქრებს დავმალავ, უსასრულო თმენის იმედით...
ვიცი უშენოდ არ შეშრება ცრემლები თვალზე,
მიკვირს მე და შენ ღალატამდე როგორ მივედით...

გაოგნებული სულის ტკივილს ძნელად ვერევი,
წვიმიან ღამეს გაანათებს ჭექა-ქუხილი.
ვერა შენს სითბოს, შენს ფერებას, ვერ შეველევი....
ბოლოს მომიღებს დავიწყების გლოვა- წუხილი.

სიცარიელემ დაიმონა ჩემი სამყარო,
ჩამოიარა ალილოზე ავი ქარივით.
ეჭვებმა შავი დღე და ღამე უნდა გაჰყაროს,
წვიმას ნატრულობს სიყვარული ერთი ქალივით...

უსათაურووووو..

წლები ვერაფერს
გვთავაზობს...
ყველა შეგრძნება ძველია,
მუზას ნაფიქრალს
მივანდობ,
ლექსის კალამიც სველია,

ფიფქიას ღამის ზღაპარში
სიყვარულს ისევ ელიან,
დარდობს მტირალა
ტირიფი,
ხეს ცრემლი შემოელია,

აქ შემოდგომის ფერები,
კვლავინდებურად
ჭრელია.
სიცარიელეს ვერ ვიტან,
სურვილიც შემომელია,

და რომ გაუძლო ამ
ყოფას,
უნდ იყო მწარე მგელია,
ქალი რომ ჭაპანს
მიათრევს,
წინ შარა უდევს გრძელია,

კაცს სუნთქვა
გასძნელებია,
ქვეყნის პატრონი
გველია...
ასეთ ყოფაში სიცოცხლის,
ძალა სულ გამომელია...

რითმები მალავს...

დარს ისევ ცივი ავდარი შესცვლის,
ღრუბლებიც მშვიდად დაიცლებიან.
ლექსი ჩაიკრავს ჩემს მუზას, შეშლილს
და ღვინით მთვრალნი დაიშლებიან...

ბახუსის გრძნობებს რითმები მალავს,
უსიყვარულოდ წელს ძლივს მიათრევს.
მარადისობა ბრმად გზას იკვალავს,
ბედი, კი ადამს ევას მიართმევს.

სიფხიზლეს ლოთის აწუხებს დარდი,
ჩემს ნაოცნებარ ფიქრებსაც აწვიმს.
შემოდგომაზეც ყვავილობს ვარდი,
ჩასძინებია ბარში მთის არწივს...

დარშიც, ავდარშიც, სიცოცხლეს ვუმღერ,
მიყვარს სურნელი გამხმარი თივის.
უიმედობას შეფარვით ვუმზერ,
ჩანს ამორძალის სისხლი მიყივის.

მე ,,სუსტი" ქალი...

წარსულს ვაჩუქე შენი ფუჭი დანაპირები...
უმთვარო ღამეც გავაპარე სულის ფანჯრიდან...
წვიმის ცრემლებად მოვაგროვე შესაწირები...
სხვაგვარად ბედი სიცრუისთვის ალბათ დამსჯიდა.

მომენატრე და გაუსაძლის სიცარიელეს,
ვავსებ ჩავლილი ნაფერები ლამაზ წამებით...
გადაუხუნდათ ფერი ჭალის ყვითელ იელებს,
დგანან ამაყად ქარისაგან განაწამებნი...

არაფერია ის ტკივილი, რაც ერგო სხეულს ,
აუტანელი მარტოობის, ღამეა მთვრალი...
კვლავ უძილობა მიალერსებს მარტოსულ ეულს,
მუზის ხუშტურებს ღალას ვუხდი მე ,,სუსტი" ქალი.

დიდობაშიც...

დიდობაშიც ამიწითლდა ღაწვი,
გამახსენდა შენი ტუჩის გემო...
მოგონებებს უსაშველოდ აწვიმს,
ნეტავ სად ხარ ,,მაფშალიავ" ჩემო?

გაირინდა ჩვენი ეზოს მუხა,
გაუკვირდა რომ მიხილა მარტო.
ნეტავ სად ხარ? ან ცოცხალი თუ ხარ,
იქნებ ვინმე ლამაზმანი გართობს...

აწრიალდა გულის კარის მცველი,
,,ახლა მაინც დაოკდიო გოგო"...
ის წავიდა ნუღარ! ნუღარ ელი!
აპატიე? ვერ გავიგე, როგორ?...

ვაპატიე...მერე ბევრჯერ მოვკვდი...
ფიქრმა მისი დავიწყება მთხოვა.
ერთხელ ძილში მის საფლავთან მოვხვდი,
მივატოვე სიყვარულის გლოვა...

დიდობაშიც ამიწითლდა ღაწვი,
მეფერები თუ... სიზმრების დროა.
ახლა უკვე სიბერესაც აწვიმს
და ქარს შენი გულის ფეთქვა მოაქვს...

გიგა ვეფხვაძე – ეკონომისტი
დაბადების ადგილი – რუსთავი.

* * *

აისი. სხივი. მზის თვალები.
ცის კიდე. ხევები. ტყეები.
მწვერვალი. უდაბნო. ჭალები.
მინდვრები. სერები. კლდეები.

სოფელი. სახლები. ოდები.
ორღობე. შუკები. შარები.
მესერი. ნაშალი ლოდები.
ჭიშკარი, სულ ღია კარები.

ძაღლი ყეფს. მამალმა იყივლა.
პირჯვარი. გვილხინე, უფალო!
აკვანი. ბადიში ტიტინა.
დილაა. სიმშვიდე უბრალო.

ეზოში მაღლარი. ხარდანი.
ურემზე წალდი და ფუჩეჩი.
ნალია. ფეხებად ლატანი.
ბაბუის გუთანი კუთხეში.

რქებს შორის სანთელი ანთია.
ნიშა და ნიკორა ხარები.
გუთანის დედა აქ კაცია!
ბელტები. თოხები. ბარები.

სურნელი მიწის და ბალახის.
წინაპრის სისხლი და ნაცარი.
აქა–იქ ჯერ კიდევ ტალახი,
შუაში სიმინდის მარცვალი.

მზე მიწვა. სახნავი გასრულდა.
გასწორდა დღეს სოფლის ვალები.
ჭის წყალი მკლავებზე აცურდა.
ხელები სუფთა და თვალები.

ბუხარი. მჭადები. კეცები.
წიწილა. ლობიო. ჯონჯოლი.
დერგიდან ყველი და კვერები,
ცოცხალი. სალათის ფოთოლი.

ჭურები. ორშიმოდ აყირო,
ორხელი. დოქები. ჩაფები.
კრახუნა, ციცქა, ან საჩინო.
სულ ცოტა ოცხანოს ნაფერი.

უფალი. მშობლები. ბავშვები.
ცოცხლები. ასულნი ზეცაში.
ჭინჭილით. ფიალით. ყანწებით.
ბოლოში ფუძე და ზედაშე.

სიმღერა. კვინიხში ასული.
გიტარა."რერო" და "რანინა".
ცეკვები ცერებზე გასმული.
და ბოლოს ისევე – "ნანინა".

საღამო. ეზოში ჭრიჭინა.
გულაბზე ვასაკა, თავნება.
მთის წვერი. მთვარემაც იძინა
და კიდევ ერთი დღე მთავრდება..

* * *

გარეთ ამინდია –
 სტუმარს მოგანდომებს,
სუფრას გაუშლი და ბუხარს,
წიფელს შეუკეთებ,
პირჯვარს გადისახავ,
პირველს ადღეგრძელებ უფალს.

კეცზე ახალ დასმულ
მჭადებს მოეწევა,
პრასი, ეკალა და ყველი,
სიკეთეს უსურვებ
ყველა გაჭირვებულს –
ღმერთო მოუმართე ხელი.

მერე ნელა ნელა
თიხის ფიალებით,
ოჯახს დალოცავ და სტუმარს,
წიწილს გადაუღებ,
როგორც იმერელი,
არც ერთს არ მიიღებ უარს.

მომცრო ჭინჭილები
ტიტინს მოგანდომებს,
უფრო – მოგუდულად ღიღინს,
ყველით გაბესკილი
ცხელი ხაჭაპური
სულში აგიტეხავს ღიტინს.

კაი შეკმაზული,
სადილს მოუხდება,
ქამა, მიქლიო და ნიყვი,
უნდა ადღეგრძელო,
ყველა ვინც კი გიყვარს
გულით, სულითა და სიტყვით.

ასე ქეიფ ქეიფ
კეფა გახურდება,
ციცქა იპუტუნებს ყანწში.
ცოცხლებს რომ მორჩები,
მერე მოიგონებ
სულებს აფრენილებს ცაში.

დიდებას შეუთვლი
გმირებს შეწირულებს
ვინც მტერს არ დაუდო ზავი,
ლოცვად მოეფინოთ
რაც ჩვენს ეკლესიებს
წირვის შემოუკრავთ ზარი.

მუხლსაც მოიდრიკავ
დედის წინაშე და
ლექსსაც კი მიუძღვნი ქალებს,
მკლავებს გადაშლი და
ჰოი სანატრელი
ქვეყნის სადღეგრძელოს დალევ.

ფუძის ანგელოზთა
ლოცვას შეიწევ და
სასმისს ყოვლადწმინის დალევ,
მთები გადათეთრდა,
უფრო საღამოსკენ,
აქაც ითოვებს და დადებს.

* * *

ყველა ქართველს გილოცავთ ხვთისმშობლობას უკლებლივ.
გადაგვეგდოს ხვთის მადლით, ჩვენ ცოდვების უღლები.
წმინდა დედამ გაგვიხსნას, სიკეთისთვის სულები.
ხვავითა და ბარაქით, გაგვიხაროს გულები!

ჯანი არ მოგვკლებოდეს, ხალისი და სტუმრები.
ოჯახებში სიმშვიდე, ასულები, წულები.
სიმართლის გზით გვევლოს და ნაღდი სიყვარულებით.
ყველა ქართველს გილოცავთ ხვთისმშობლობას უკლებლივ!

ადრე აღდგომა სხვანაირი იყო ზეიმი

ადრე, აღდგომა სხვანაირი იყო ზეიმი,
მოწიწებული, მოზომილი და სულ სხვა ფერი.
სადღაც, ბუნდოვნად მახსენდება ჩემი სოფელი,
რეალობასთან არეულა იქ ყველაფერი.

ბებიაჩემი ალაგებდა კალათში კვერცხებს,
წითლად შეღებილს, ენდროთი და ხახვის ნაფცქვენით.
პატარა კვერებს, წასულების სახელზე თითოს,
ფითქინა ცომით გამოცხობილს და ჭყინტი ყველით.

პასკის ნაჭრები, ეკალა და ძმრიანი პრასი,
დედალი ცივად მოხარშული, ახალი ტყემლით.
პური, მწვანილი, ნაზამთრალი ნაჭერი ლორის,
შემწვარი ღორჯო, ან ტაფელა, ფოთლებში თხმელის.

ბაბუაჩემი დილიდანვე მოხდიდა ჭურებს,
პკეს მოაცლიდა, აქა იქა, თუ იყო, ხელით.
ჯერ გასინჯავდა მადლიანი ვენახის ნაჟურს
და მერე ნელა ივსებოდა ორშიმო ძველი.

გადაიტანდა დიდრონიდან მომცროში უფრო
და იმ პატარას აგლისავდა აყალოს ფეხით.
დაიტოვებდა საქეიფოდ, სახარჯოდ, იქვე
სამ ცალ მოზრდილ დოქს გაავსებდა
"ცოლიკოს" ცრემლით.

ჯერ ეკლესიას შეწირავდა, დანგრეულს თუმცა,
მღვდელი თუ არ გვყავს მერე რაო, იქ ცხოვრობს ღმერთი.
მოიკითხავდა გაჭირვებულს სოფელში ოჯახს
და მისთვის ქონდა გამზადილი მას დოქიც ერთი.

მესამე დოქი სასაფლაოს მიჰქონდა თავად,
უნდა აევლო იქ მისვლამდე ვეება ფერდი.
კალათს ბადიშებს გვენდობოდა მახსოვს და რაღაც
სიამაყისგან გვევსებოდა ყმაწვილებს მკერდი.

თითო საფლავთან აგორებდა თოთო კვერცხს წითელს.
გიხაროდენო! აღმდგარაო უფალი მკვდრეთით.
გაგანათლოთო! წაუქცევდა თიხის ჯამს თითოს.
დარჩენილს ჯამში დაუსხამდა თავთან და ფეხთით.

ვალმოხდილივით ბრუნდებოდა იქიდან სახლში
და როგორცაა განსაზღვრული ქართველთა წესით.
ბიის ჩეროში გაშლილ სუფრას უჯდა თავში და
არც იმ სუფრაზე დავიწყნია როდესმე ღმერთი!

* * *

სოფელი. ჭიშკარი ზამბარით,
აქა იქ შემხმარი ხეები,
ძნელია მარტო, თან ზამთარი,
როცა ვერ გევლება ხელები.

კოინდრის ადგილას ჭინჭარი,
ნალია მცივანა თაგვებით,
საქათმე, დაცლილი ბოსელი,
ნიშა და ნიკორა ხარების.

მუხლებზე დამდგარი მაღლარი
და ზედვე შემხმარი მტევნები,
ხარდანი აკლია ტალავერს,
უმიწოდ მოჩანან ფესვები.

ჭურისთავს გამტყდარი ორშიმო,
მიწაში გამქრალი ქვევრები,
არა და დრო იყო სკდებოდნენ,
ალუბლის სარცხელის ფერებით.

კიბეზე ხავსი ან ბალახი,
ქვებს შორის ბებერი გვიმრები,
კუთხეში ამძვრალი კრამიტი,
ბედი რომ არაა წვიმები.

სარდაფთან გოდორი საბუდრად,
დირეზე ჭიისგან ხვრელები,
ბოქლომი, ჩაშლილი საკეტი,
სახლკარის ბებერი მცველები.

ტირილს ვერ იკავებს თითქოსდა,
აქა იქ ჩამტყდარან ფანჯრები,
ჟანგდება დანესტილ კედელზე,
ბაბუის ნაჭედი ხანჯლები.

დგახარ და გსურს მიხვდე რა იყო,
ის წლები, იქნება სიზმრები,
როცა ვერ ბრუნდები წარსულთან,
გახჩობენ ბოღმა და ფიქრები...

* * *

– გემუდარები, გამიშვი, ნენა! –
ჯერ უწვერული ითხოვდა ვაჟი.
– შენი თავიც რომ წამართვას ზენამ? –
დედის გულიც კი გამხდარა კაჟი.

მაგრამ ტირილით, საომრად მტერთან,
მოჰქონდა გორდა – ნაქონი მამის
და ჩუმად დებდა, ლოცვანთან ერთად,
აბგაში საგზლად პურსა და მარილს.

მჭედელი სწრაფად აქრობდა ღუმელს,
მთიბავი ჩქარა ზვინავდა ზვინებს,
პირჯვარს იწერდნენ ტაძარში მწუხრზე,
ღამით მძინარეს კოცნიდნენ შვილებს.

ულაყს კაზმავდა ნაომარს ზოგი,
სხვა კი ასხამდა შავ ღვინოს ტიკში,
ტიროდა სატრფო, წაწალი, ცოლი,
იკრიბებოდა დიდგორზე ჯიში!

თვალუწვდენელი ლაშქარის მტვერი
ჯერაც სწვდებოდა თონეთს და მანგლისს,
გაუმაძღარი სისხლის სმით მტერი
ელოდებოდა იმ ღამით აისს.

ელოდებოდნენ ქართველნიც დილას –
გამწარებულნი სელჩუკთა ტანჯვით,
გაგრილებულნი ხეკორძის პირას,
ხელდაკოჟრილნი უზომო გარჯით.

ელოდებოდა განთიადს მეფეც –
წელზე ხალიბთა ნაჭედი ხმალით,
სინანულშიაც უფლის წინ სეფე,
მიწის და ხალხის წინაშე ვალით!

უკვე გავიდა ცხრაასი წელი,
აქ კი დავითი ისევე დიდობს!
აბჯრად ნაქსოვი ვენახის წნელით,
შემოსდგომოდა ქართველი დიდგორს...

შიომღვიმეში კიოდა ზარი
და ქარს მოჰქონდა ბერების ლოცვა!

წმინდა გიორგი თეთრ ცხენზე ჯვარით
იდგა, ქართველნი დაიძრენ როცა...

გადადო თავი ორასმა ვაჟმა
და შეიპარა მტრის ჯარის გულში,
არ სჭირდებოდათ მათ დიდი აზმა,
"გზების ჩახერგვა" არ ედოთ სულში!

უწვერულ ყმაწვილს სხვა ბევრი მიყვა,
მათ სადიდებლად ცაში ჟღერს ჩანგი.
ქართველის გვერდით ყივჩაღი იდგა,
ქართველის გვერდით იბრძოდა ფრანგი!

იბრძოდა მედგრად, ომობდა რიხით,
მეფის წული თუ ჭაღარა ბერი.
დაუნამავი ურჯულოს სისხლით
არ დარჩენილა ახლოში სერი!

ქეიბურებმა დახიეს ზეცა!
მუზარადები შუბებმა გლიჯეს!
კოლხური ცული არღვევდა ბეგთარს
და თავგანწირვა სცდებოდა მიჯნებს!

მტრის ყველა შამშირს დაემტვრა ვადა
და დაილეწა სულ ყველა ფარი!
ასობით ქვეყნის მაოხრებელი
თავლაფდასხმული გარბოდა ჯარი!...

ეს ბრძოლა ქვეყნის დიდებად დარჩა,
თუმცა კი ბევრი გავიდა წელი.
აქვე უარყო ოსმალოს ფარჩა,
ცხირეთს ამაღლდა თევდორე მღვდელი.

ისევ აგვისტოს, ბიჭები მედგრად,
სამშობლოს სისხლით წმინდავდნენ სინდისს,
აქ უსახელო გმირებთან ერთად,
შიშველი ხმლები გლოვობენ შინდისს!

კვლავ გაიზრდება ათასი მართვე,
არ დაივიწყებს ქართველი დიდგორს!
დიდგორზე დიდი გული აქვს ქართველს
დიდგორზე ყველა ქართველი დიდობს.

* * *

მინდა, გაგიტაცო ჩვენთან იმერეთში,
ფეხით მოგატარო მთელი მთა და მდელო,
მინდა, დაინახო მისი მშვენება და
მიხვდე, რომ აქ უცემს გული საქართველოს.
მინდა, ხელაობით ჩაყვე ჩხერიმელას,
გზები ცხენისწყლამდე ფეხით გადასერო,
ზურგზე დაწოლილი რიონს დაუყვე და
მიხვდე, რომ აქ უცემს გული საქართველოს.
მინდა გუთნისდედას უკან აედევნო,
კვალში ჩაუდგე და მიწას მოეფერო,
მინდა, ჩაისუნთქო მისი სურნელი და
მიხვდე, რომ აქ უცემს გული საქართველოს.
ხელით მოეფერო უნდა ცოლიკოურს,
ციცქას ახალშენი ფეხზე დააყენო,
ხარდანი შეუდგა ბებერ ტალავერს და
მიხვდე, რომ აქ უცემს გული საქართველოს.
მინდა, საწნახელში ფეხით ჩახვიდე და
ოქროს მოსავალი მაჭრად ააჩქეფო.
იგრძნო, როგორია ნიგვზით ფელამუში,
მიხვდე, რომ აქ უცემს გული საქართველოს.
მინდა, ჭურის თავზე ერთად ვიქეიფოთ,
ჭინჭილით დავლიოთ ყველა სადღეგრძელო.
სტუმარ-მასპინძელი გულით დავლოცოთ და
მიხვდე, რომ აქ უცემს გული საქართველოს.
მინდა, შემოვძახოთ "მრავალჟამიერი",
ანდა იმერული "ნანა" დავამღეროთ.
თბილი ჰანგები რომ ზეცას შეუერთდეს,
მიხვდე, რომ აქ უცემს გული საქართველოს.
მინდა, გლეხის ოდას ღვთისად მიუხვიდე,
იქნებ, აკვანთანაც თეთრად გაათენო.
მინდა, გენი იგრძნო ნაღდი ქართული და
მიხვდე, რომ აქ უცემს გული საქართველოს.
იქნებ, კიდობანი ერთად მოგვეძებნა,
მერე ლურჯა ცხენი მაღლობს გავაჭენოთ.
მინდა გამოიცნო ფიქრი იასონის,
მიხვდე, რომ აქ უცემს გული საქართველოს.
მინდა, გელათი რომ ფეხით მოილოცო,
იქნებ უბისადან ფრესკაც გადაწერო
მღვიმევს დაიჩოქო, კაცხზე ამაღლდე და
თქვა: "შენ გენაცვალე ჩემო საქართველო!"

* * *

იცი,რა მინდა?! - რითი ვარ,
იგრძნონ შვილებმა - დაჭრილი...
მიხვდნენ, სამშობლო გიყვარდეს,
სულაც არაა ადვილი!

მიცნონ, ამ ქვეყნის შვილი ვარ!
კუმურდოს თავზე არწივი!
„ვარ ძია " -ს სისხლად ვყივივარ,
ზარზმას ზარებად გავკივი!

მესხური ვაზის ჯიშის ვარ,
დაკოჟრილ ხელით დამყნილი,
ტერასებს ცეცხლმოდებული,
ასჯერ დამწვარიც - არ ვტირი!

ამაყი ოქროს ციხით ვარ,
საროს ქარაფს - მხრებგაშლილი.
აღუდგენ ჭულევს ვჩივივარ,
ვაჰანში ქვაბებ ჩაშლილი.

ხერთვისის მცველი გმირი ვარ!
ქვაბისხევს ფერად დაღვრილი.
საფარას მფრთხალი შვილი ვარ
- მტერთან ომებში გაზრდილი!

ჭობარეთს ხორბლად ვღვივივარ,
საკირეს ვდივარ თაფლივით.
აბულისავით ცივი ვარ.
ფოკას - ჯვრით ხელში გავლილი.

თმოგვის ციხისა ძირი ვარ,
დაბის კარიბჭე გათლილი!
რუსთავს - უბრალოდ დიდი ვარ,
აწყურში ლოცვად დაცლილი....

იცი, რა მინდა?! - რითი ვარ,
იგრძნონ შვილებმა -დაჭრილი,
მიხვდნენ, სამშობლო გიყვარდეს,
სულაც არაა ადვილი!

* * *

შენ მაშინა ხარ ქართველი, როცა
გტკივა დაშლილი ციხის ქონგური,
მაშინ, როდესაც შენ გულში მღერის
სიმდაჭიმული ძველი ჩონგური.

თუკი შენია სულ ყველა ერთად,
ცას აზიდული სვანური კოშკი,
თუ არ ივიწყებ და გესიზმრება,
ჯერ უნახავი ბანა და ოშკი.

თუკი გაწუხებს შენ გაზაფხულზე
გადაუხნავი ქართლის მინდვრები,
თუ ნიკორწმინდას ჩუქურთმებს კოცნი,
პირჯვარის წერით სიონს მდიდრდები.

თუ ტერასებზე ვაზად გსურს მოსვლა,
თუკი კალმახად თავს გრძნობ არაგვის,
თუ მყინვარწვერის თოვლი ხარ გულში
და ქართულ მიწას კოცნი ბარამდის.

თუ საწნახელში ცქრიალებ მაჭრად,
ქვევრში კი დგახარ ქრისტეს სხეული,
თუკი მეგობარს უდგახარ მაყრად,
თუნდ მტერი იყოს ათასეული.

თუკი რუსთაველს ასწავლი შვილებს,
სტუმარ მასპინძლით მაგალითს აძლევ,
თუკი ექვთიმეს გინდა მიბაძოს
და არ ეძებდეს ამაო განძებს.

თუ სხვის ცეკვაზე ცერები გეწვის,
თუ სხვის ტკივილზე გცვივა ცრემლები,
თუკი დავარდნილს არ მიატოვებ,
ააყენებ და თავზე ევლები.

თუ შენში ქალი სახეა დედის,
ნიშანი ზავის მისი მანდილი,
თუ დაიბადე სამშობლოს მცველად
და სადარაჯოდ იყავ გაზრდილი.

თუკი მაისის წვიმები გიყვარს
და ჯარისკაცის მამა გწამს მამად,
თუკი სიყვარულს გაუნაწილებ
და ყველა მცირეს გაუყოფ ჭამადს.

შენ ქართველი ხარ, თუ ხარ ამაყი,
როცა ჩაკრულოს დასჭექავს ბანი,
თუკი ღელავდი როცა პირველად,
კალმით მოხაზე ანი და ბანი.

თუ გიხარია დიდგორზე გავლა
და გულში გტკივა აჭარის ჯვარი,
შენ თუკი რწმენა აისხი აბჯრად
და სათნოებად ალესე ხმალი.

თუ შეგიძლია მეტეხის ხიდზე
“არა!” შეიგრძნო ასი ათასი,
თუ ბეთანიის ფრესკები შენთვის
ვით “აი ია” არის ლამაზი.

დემეტრეს გვერდით თუ წევხარ ფიქრში,
ანდა აგვისტოს გმირებთან ერთად,
თუკი სამშობლოს ტკივილით ერთი,
სულ ერთი ღამე ათიე თეთრად.

თუ საინგილოს გსურს დადო ლელო.
სადღეგრძელოში ლოცვას აგრძელებ,
სამანებს იქით საფლავებს დარდობ
და გადახვეწილ ბედით ქართველებს.

თუკი გრძნობ როგორ დაეცი კრწანისს,
ან მცხეთას როგორ მოგაჭრეს ხელი,
თუ აფხაზეთი შენი დაღია,
სხვის ხელში გოჯი მიწა – ნაღველი.

თუკი მაიას შენ დად გრძნობ – წყნეთელს
და ცხრა ძმის დედა დედაა შენი,
შენ განწირული პაატა თუ ხარ,
ან აკუწული თევდორე მღვდელი...

თუ ქვეყნის ბედი დარდია შენი,
თუ გიხარია ყოველი რთველი,
მაშინ ყოფილხარ ამ მიწის შვილი,
სისხლით და ხორცით ნაღდი ქართველი!

* * *

ღმერთო სად აღარ გეძებე,
მთა, ტყე და ველი ვიარე,
კიდით კიდემდე ქვეყანა,
სულ ფეხით გადავიარე.

არსად დავტოვე უდაბნო,
კლდის ფერდები და ხევია.
შენ სანახავად ცოდვილსა,
ღამეც არ დამიხევია.

ას ზემოთ კიდევ მაგდენი,
შემოვილოცე საყდარი,
სუყველას ვეკითხებოდი –
ჩემი უფალი სად არი?

პირველად მცხეთას მოვდრიკე
მუხლი და მერე ვიარე,
ძამას ხეობა მოვლიე,
სრულიად შემოვიარე.

ლომისის წვერზე გელოდე,
მუცოს აღვაპყარ ხელები,
მოხისის, რუის, ურბნისის,
ბრეთის მოვლიე ველები.

ჯვარზე ვიწერე პირჯვარი,
არ მექნა რა ვიქნებოდი?
თელეთს შვილები ვავედრე,
მანგლისს გალობით ვკრთებოდი.

გერგეტს ავლალე მოზვერი,
თუმცა სისხლი არ დავღვარე.
ავს გავექეცი, ბოროტსა
თავი საფარას ვაფარე.

არსად დავტოვე ქვაბული,
მღვიმევი არცა ვარძია.
არც სვეტი დამიტოვია,
მარტყოფი, არცა კაცხია.

ცამეტ ასურელ მამათა
ყველა ვიხილე ტაძარი.
ყველგან სანთელი ავანთე,
რისი მადლიც კი დავძარი.

შემოვილოცე გელათი,
ნოქალაქევი, ჯუმათი,
ცაში ავსტყორცნე ლოცვები,
ვით ალავერდის გუმბათი.

ილიურთადან დავეშვი,
არ ჩავუარე გუდარეხს,
შუა ვიხილე ბოჭორმა
და მოვეფერე ფიტარეთს.

წმინდა ქალწულის კვალდაკვალ
ცრემლი დავღვარე ფოკაში.
ბოლნური ჯვარი ამბორ ვყავ,
ღამე ვათიე კომანში.

ატენში ხატებს ვემთხვიე,
ნიკორწმინდაში ჩუქურთმებს.
უფალი ყველას მარჯვენას
კეთილისათვის უკურთხებს.

წმინდანებს ვეცი თაყვანი,
სამთავროში და ზარზმაში.
არც ბეთანია დავტოვე,
თავი მეგონა ზღაპარში.

არ დამიკლია მცდელობა,
გძებნე უბისის ფრესკებში,
სარკის გიორგის ვევედრე,
ყინწვისს გავხელდი ფერებში.

დავით გარეჯში ავტირდი,
ვეღარ გადმოველ საზღვარი.
ასი ათასჯერ ვიკითხე –
ჩემი უფალი სად არი?

შავნაბადაზე ამღერდნენ
უფლის დიდებით ზარები
– კაცია უფლის ხატი და
გული სამოთხის კარები.

შიგ ჩაიხედე სად ეძებ,
რისგან გაქვს ნაიარები,
თუ ღმერთი შენში არაა,
სხვაგან რას დაიარები?...

* * *

ჩემს სამშობლოს გაუმარჯოს!
ლამაზსა და პატარას,
ღმერთო ნეტა ყველა კუთხე
ფეხით შემომატარა!

მინდა ვნახო აფხაზეთში
ათონი და კოდმანი,
რიწის ტბაში ვიბანაო,
ზღვასთან ვუკრა ორღანი.

სამეგრელოს ჩამოსულმა
დიდოუ ნანა ვისმინო,
ლამაზ ქალთა გოგმანით და
ოჯალეშით ვილხინო.

ლეჩხუმს მინდა ხვამლის მთაზე,
საიდუმლო ვიხილო,
ნეტავი ვინ მოიფიქრა
იწილო და ბიწილო.

სვანეთს მინდა ლილე დავცხო,
უშგულს კოშკებს ვუყურო.
კოდორს მინდა ისევ ისე
მშვიდი ძილი ვუსურვო.

აჭარაში მტირალადან
დავიძახო – ჩემი ხარ!
მჭადებს გულში ჯვარს უსვამ და
კვლავ ქართულად მღერიხარ!

გურიაში სუფსას ვუთხრა
კრიმანჭულად ხმიანობ,
გენაცვალე ჩემო კარგო
მთიანო და მზიანო!

იმერეთში საპოვნელა
მსურს რომ ვნახო პატარა,
წყალტუბოდან ქუთაისში
ქარმა ხელით მატარა...

კაცხის სვეტი მოვილოცო,
რაჭას დინჯად ავიდე.
ნიკორწმინდა ვინ ააგო
ვერაფრით ვერ გავიგე.

ერწოს ტბიდან გადმოვიდე,
მინდა ჯავას ვეწვიო.
სამაჩაბლოს მინდა უკვე,
რომ მშვიდაბა ეწვიოს!

ქართლში გორს რომ ვინახულებ,
უფლისციხეს ვეწვევი.
დღემდე ყველას აოცებენ,
ატენური ფრესკები.

სამცხეს – აწყურს მივევლები,
ჯავახეთში ვარძიას!
რუსთავს ვაჟი დაიბადა
და საფარამ არწია!

ქვემო ქართლში ზეზვა ვნახო,
ეს ხომ ჩვენი განძია.
სიონის ჯვრით დიდგორს ვიგებთ!
საბას გვიშობს ტანძია!

მარტყოფიდან ქიზიყისკენ
უდაბნოზე გავივლი,
ბოდბეს წყაროს გავევლები
და სიღნაღში ჩავივლი.

იყალთოდან ყვარლის მთამდე
მიმიყვანა ნეტავი,
ალავერდში გადავალ და
და დამათრობს თელავი.

თუშეთს გუდას დავაგორებ,
ვნახავ იქით ალაზანს.
კესელოებს ხელს ავუწევ,
მთას ასულან ლამაზად.

ხევსურთ ნაბადს მოვიხურავ
და ვიჩუქებ მანდილსაც,
მთებით მუცოს გადავალ და
მივაკითხავ შატილსაც.

ფშავში ხინკალს მივირთმევდი,
ფიქრად არაყს ვაყოლებ.
ვაჟას საფლავს ჩამოვუვლი,
ჩემს ლექსს მისას ვამონებ.

მთიულეთში, ანანურთან
დავიჭერდი კალმახებს,
ლომისიდან გავხედავდი,
ჩემი გენის სანახებს.

ხევს ასული ვისურვებდი
მყინვარწვერის დაპყრობას,
გერგეტს მუხლზე დაცემას და
ხელის ცისკენ აღპყრობას.

ჯვრიდან ქვემოთ გადმოვხედავ,
მტკვარს რომ ერთვის არაგვი.
სვეტიცხოველს ულევი აქვს
სიყვარულის მარაგი!

მზის და ვარდის მხარეს ვიყო,
სიხარულის ტირილში.
მთაწმიდაზე ავმაღლდები
ბოლოს დედათბილისში!

* * *

ხახაგამშრალი დევებივით
პირდაღებული,
შემომცქერიან წინაპრების
ჭურისთავები.
როგორც შრომისგან გადაღლილი
მოხუცებული,
გულაბის ხეზე მიწოლილან
ძველი ბარები.
შაფრანის ტოტზე გაუდია
ცხვირი დაღლილ ცელს,
გამოლეულა ჭურის ფხანით
მამის სარცხელი.
სარებს შორის აქვს გაკიდული
თავი ორშიმოს,
მთვრალი კაცივით გაფარჩხულა
იქვე ორხელი.

ღობის თავებზე შეუწყვიათ
ბადიმები და
დევის თვალებად ანათებენ
შავი სარქვლები.
გაზეპილია აყალოთი
ყველა კუნჭული,
ძველი ჩაფი კი, გაბზარული,
თაფლის სანთელით.
ბიის ტოტებზე შეუკიდავთ
სქელი გოდრები,
ყურძენის ნაცვლად გაუვსიათ
ახლა ფუჩეჩით.
ჩამოუკრეფავთ ხეებიდან
უკვე კაჭიჭი
და საწნახელიც მიუდგიათ
სადღაც კუთხეში.

მზითვად მოტანილს უჭრიალებს
კარი ნალიას.
უტყვი მცველივით რომ დაყურებს
ავსებულ ჭურებს.
ატალახებულ კარის ნაპირს
ვაშრობ ნაქურჩლით
და თვალით ვარჩევ შემონახულ
ათასგვარ სმურებს.
ნალიაშივე გაჯგიმულა
ქვაბი დიდრონი
ჭაჭის სახდელი, შესკუპული
რკინის სამფეხზე.
თოკი, ნამგალი, ნივრის გალა,
ლამპა, ნალები,
შეუკიდია ბაბუაჩემს
მაღლა ლამფებზე.
გარეთ ხარდანზე კისერს იფხანს
ხარი დიდრონი
და ტალავერზე კონწიალობს
კვახი ყვითელი
გუთანზე რკინით შეუცვლიათ
ურთხმელის კავი,
ასეთ ადგილას დაიბადნენ
ალბათ მითები.
ბაბუაჩემი სანამ იყო
ცოცხალი მახსოვს,
ღობეს იქიდან თუ გვაწვდიდა
ბებო ხელადას.
თვითონ არასდროს შემოსულა
ამ ჭურის თავზე,
გობით მოქონდა ყველაფერი
რაც კი ებადა.
გიორგობაზე იხსნებოდა
ადრეც ჭურები,
მანამდე ღვინო ბავშვიაო
ბაბუ ამბობდა.
წყნარი ღიღინით ქეიფობდა
ჭურის თავი და
იქვე ხურმაზე შემომჯდარი
შაშვი გალობდა...

* * *

ოქტომბერია – ღვინობისთვე, მიყვარს ძალიან.
აფეთქებულა ათასფერად მთა და ველები,
ეჯიბრებიან სიჭრელეში დიდი ხანია,
ქარვადნარეკლი ვენახი და წიფობელები.

მზე ოქროსფერში გაეხვია, კვირაძალია.
დილით რთველია, გაგვახარებს სავსე მტევნები.
ალავერდია, უბისაა, მრავალძალია...
იქაც ქართული ამღერებენ ზარებს ხელები.

ისე ლამაზი – გეგონება პატარძალია.
გულგადაშლილი ისე როგორც მასპინძელები.
ეს რომ არ გითხრა არ იქნება, არა ძალია...
ჩემო სამშობლო მიყვარხარ და შემოგევლები!

მალვინა ჭელიძე

* * *

თითქოს, შემოდგომის ფერებს შეგადარე,
ზაფხულის ვარდებში დაგაბრუნე,
ზამთრის სუსხს ვეღარ გაგაკარებ,
გულში ჩაგიკრავ და დაგაპურებ.
გაზაფხულის იებად აგაყვავებ,
დარდებს სიყვარულით გაგიქარვებ,
დღეებს შემორაგულს სევდის თალხით,
შევებრძოლებით და გაგიქარწყლებ.

თუკი ჩაიძირე სევდის ტბაში,
ისევ ხელმეორედ აღმოგაჩენ,
ფეხთით ფიანდაზად დაგეგები,
ჩემი სიყვარული გადაგარჩენს.
დარდებს, დაგივარცხნი ფაფარაშლილს,
ჩრდილში, მზის სხივებსაც მოგანათებ,
გულში ჩაგიხუტებ როგორც ბავშვი,
ზამთრის სილამაზეს მოგანატეებ.
ყველა სევდას უმალ გაგიქარვებ,
ფიქრებს სიყვარულით დავადუმებ,
ფეხთით მე დაგიფენ წითელ ვარდებს,
უღონდ მთელი გულით შეგიყვარდე.
ისევ ჩაგიქროლებ შორი ახლოს,
ლოცვად დაგადნები ბევრის დამთმენს,
თუკი დამეკარგე სადმე გზაში
ისევ ხელმეორედ აღმოგაჩენ!.

* * *

მეოცნებე ქალის გულმა,
ღამე სად არ იარა,
ხან ზეცაში დაფრინავდა,
ხან ძირს იხოხიალა.

მაჯის ცემას აყოლილი,
თითქოს სუნთქვა ეკვროდა,
სიმშვიდისკენ მიილტვოდა,
ერთგულებას ეტრფოდა.

მოწყენილი ,დარდის მტვერში....
სევდა, მკლავზე ეწვინა,
მასთან მშვიდად ნებივრობდა,
მასთან მშვიდად ეძინა.

თითქოს დარდი, უსამართლო...
დაჰყვებოდა აჩრდილად,
ერთგულება გადაიქცა
თითქოს
დროდ და მანძილად.

გული სანთლად ანთებული,
მოგონილი სიმშვიდით,
ნაბიჯ –ნაბიჯ დაჰყვებოდა,
სიკაშკაშით ....სიწმინდით.

უსამართლოდ მიყენებულ
ტკივილებზე ვდაობდით,
ის მე მეპაიქრებოდა....
მე კი მასზე ვჯავრობდი.

გულო ჩემო, განსაცდელი
თუკი შემოგეყარა,
გაყუჩდი და გაირინდე
ნუ შეჰყარე ქვეყანა.

მინდა გულში ჩაგიხუტო
ჩემო ტკბილო..... ნეტარო,
მეშინია უგულობას
არსად გადაეყარო.

გულო, დარდებ შეპარულო
მოვლენილო წვიმებად...
ყველა წრფელი სიყვარული,
შენგან მოედინება.

გულზე ჯვარი დაიბნიე
ჯვარი ... უფლის ნაკურთხი,
საიმედო სურვილებით,
მილულე...გაყუჩდი.

გულო, ჩემო სიყვარულო,
ერთგულების ნექტარო,
გიფრთხილდები ბოროტებას
რომ არ გადაეყარო.

გული, ჩემო საიმედოვ....
დარდი .....შენი მტერია,
ბევრჯერ გაგიხარიადა
ხშირად..... ბევრი გწყენია.

გეწეოდეს უფლის მადლი,
ჯვარი ...უფლის ნაკურთხი,
სიკეთისთვის მოვლენილო
მიილულე...გაყუჩდი!...

უშბას ისე ჩაუქროლა სიომ

უშბას ისე ჩაუქროლა სიომ
 მონავარდემ,
ღვინით სასმისები
უხმოდ ივსებოდა,
უფლის სადიდებელს
სიყვარულით სვამდნენ,
მრავაჟამიერიც
ხმებში იცვლებოდა.
სივცეს ისევ მიაპობდა
 აქ არწივთა გუნდი ,
მე კი უხმოდ შევცქეროდი
ვტკბებოდი და ვდუმდი.
თიქოს მთები შეიმოსა
ღრუბლის თეთრი პერანგით,
განაბულა მის კალთაში
ქარიშხალი ვერაგი,
გაუკვალავ ბილიკებით
მთის სიტურფე იპყრობდა,
ზეცა ცისფრად დაჰნათოდა
მზის სხივებში იწვოდა.
თიქოს ირგვლივ ყველაფერი
ღმერთის ენით უბნობდა,
ბობოქრობდა უშბის კალთა,
მთის არწივებს უხმობდა.
საქართველოს სადიდებელს,
ამ საოცარ მხარეს,
ცის კაბადონს მიბჯენილი
სავსე ჭიქით სვამენ!.

* * *

გულო შემოდგომის ფერებს შეგადარე,
სევდიან ღამეში მშვიდად შეგიფარე,
მინდა ყველა დარდს და სევდას აგაცდინო,
იქნებდა ერთ დღეს, გულწრფელად გაგაცინო!

არ ვიცი ალბათ ტანგოს ცეკვავდა!

ხეივანს ისე ჩამოუფრინა,
მისი დაჭერა ძალზე მეწადა,
იბნევდა ყელზე ოქროსფერ მძივებს,
ვიფიქრე, ალბათ ტანგოს ცეკვავდა.
მზის სხივებს ისე აეთამაშა,
თითქოს ზეცამდე აჭრა ეწადა,
ქარი არხევდა ლამაზად ტოტებს,
ლამაზ ხალიჩას მშვიდად კემსავდა.
იფურცლებოდა ოქროსფრად მდელო,
ქარი უნდობლად დარდებს ლეწავდა,
მიუყვებოდა ქუჩას ფოთოლი
ალბათ სიტურფის ფერებს ძერწავდა.
ფოთოლცვენაში მოყოლილ განცდებს,
ფერადი ფუნჯით ნაზად ხატავდა,
დაუღალავი იტანდა რამდენს
 გზის დასასრული ისევ არ ჩანდა.
მე შევცქეროდი შორიდან ტრფობით,
მისი დაწევა ძლიერ მეწადა,
ის კი მზის სხივებს აეთამაშა,
და მთელი გრძნობით ტანგოს ცეკვავდა.!

გულო ჩემო

ნუ აყვები გულო ჩემო
შემოდგომის
განცდებს,
ბევრი რამე მიუტევე,
ბევრი რამე დათმე.

* * *

ძაღლმა, რომელმაც პატრონი მატარებლამდე მიაცილა,
პატრონი რომელიც უამრავ მგზავრთან ერთად
სამწუხაროდ მატარებლით დაიღუპა, ძაღლი რომელიც
მარტო დარჩა მატარებლის ლიანდაგებთან
პატრონის მოლიდინში....,ბევრი ლოდინის შემდეგ იქვე
დალია სული!....

რამდენმა....
სევდიანმა მატარებელმა უხმოდ ჩაიქროლა,
ვინ მოთვლის,
რამდენი ბედნიერი,
ანდა სევდიანი
მგზავრი გაიყოლა,
ისე უდიერად გაჰკიოდა გზაზე მიმავალი,
სივრცეს მიაპობდა,
როგორც ფრინველთა ურჩი
ქარავანი,
არც კი უკითხია
ვინ იყო მისი მგზავრი,
ვინ სად მიდიოდა,
მისთვის არც იყო ეს კითხვა მთავარი.

ვინ ახალგაზრდა იყო,
ვინ ასაკში,
ვინ კიდევ ბავშვი,
ვინ ახლოს ჩამოვიდა,
ვინ ბოლომდე გაჰყვა,
ვინ შუა გზაში,
ფიქრები ამედევნა,
დარდისგან ლამის
გული გამიჩერდა,
ფიქრი გამიჭირდა,
დღის სინათლე
რამდენჯერ ჩამობნელდა,
დედა ხვთიშობელი რამდენჯერ
აგვიხირდა,
რამდენჯერ აგვიტირდა,
სად მიემგზავრება
ამდენი,ერთად,
გვაგუებს ცხოვრება უმართავ
ბედთან.

ლიანდაგებიდან
ძაღლმა დაიყეფა,
პატრონს აედევნა,
სადდღაც დაეძებდა,
მის გზას გაეკიდა,
თიქოს უიმედოს
გონება დაებინდა,
ელოდა მატარებელს,
და მის გამოჩენას,
დავრდომილს და დაღლილს
იქვე ჩაეძინა,
ლოდინით დაღლილმა სული განუტევა.

მგზავრებით სავსე მატარებელმა,
უხმოდ ჩაიქროლა,
ცრემლებით ლიანდაგი ბევრჯერ დაიტბორა,
სინანულმა ჩემი გული უმალ დაიმონა,
ვინ მოთვლის,
რამდენი ბედნიერი,
ან ბედისგან დაწიხლული
ადამიანი გაიყოლა!.

ვარ ვინმე მესხი მელექსე...

ჩემი აწ სცანით ყოველმან,
მას ვაქებ ვინაც მიქია,



შოთა ლომსაძე – პოეტი - ისტორიკოსი.
ასოცირებული პტოფესორი

ვნერ ვინმე მესხი მელექსე

თუ ღვთის წყალობით იმ მესხთა
წყალი ჩვენც გადაგვესხმება,
ჩვენს ხეს აქამდის რაც ესხა,
იგივ ნაყოფი ესხმება.
ვენახი ავად ნასხლავი,
თუ აღარ გამოგვესხლება,
იგივ ხმა გამოგვასხივებს
რა ხმითაც სული მზეს ხვდება.
დარჩება მესხი მესხადვე,
მესხი არ გადამეს დება.
შენ მამაღმერთო, უფალო,
ვინც ეს ბაღნარი შენარა,
ზოგი ქმნა უგზო- უკვალო,
ზოგი აფრინა ზენარა,
ზოგს მიუჩინა ბაღდადი,
ზოგს შირაზი და ბენარა,
მაგრამ ეგ შენი ბაღნარი
ვერვინ ვერ გადიშენარა.

შენ მზე ხარ ამა სამზეოს,
მაღალი, მიუწვდომელი,
სიცოცხლის გადასამზერო,
გვერდს მოგიდგება რომელი?
ვინა თქვა შენებრ საზეო
სიტყვა ცათაცა მძრომელი,
სიმღერით შემომხაზველი
გზა დროთა გადამდგომელი.
დიდების ტახტზე დამჯდარო
ბალიშითა და ნატითა,
ფერხთ გისხედს მეფეთ სამსჯავრო,
პორფირ- ბისონით მათითა,
ფართოა შენი დარბაზი
კარაპნებ წანამატითა,
მოგიდექ კარსა ამბავი
მე ჩემი გითხარ პატივთა:
ვერსად წაგიველ, დავბმულვარ
მაგ თქმათა ანდამატითა.

შენ პაპის პაპის პაპა ხარ,
რჩეულთა ზედან რჩეული,
მე შვილიშვილი ვაგლახად,
ვერაფრით გამორჩეული,
დავდივარ როგორც შემთვრალი,
სიტვით აცრილი გრძნეული,
ერთი მოლაშქრე ნესტანის
საძებრად გამოსეული.
ბევრს რომა არა სწამს, ისა მწამს,
დღეთა ზღაპრული დინება,
ჩემთა ფიქრთა და მიზანთა
აფრენა, აღორძინება.
შემობრუნება ზაფხულის,
 გზად უჩინართა ჩინება;
და სიყვარულის დაფლულის
ხელახლა გადმოფინება.
დღეს ეს ხმა გზად რომ შემექცეს,
მოგეგებები მე რითა?
ვარდი გაყრია ხელებზე,
ვსუნთქავ მით მონაბერითა.
შენს სტრიქონს, როგორც ელექსირს
ვსვამ, თუ სათქმელი ვერ ითქვა,
ვლოცულობ სამცხის სერებზე,
ცრემლებს ვიმშრალებ მღერითა...
დავდივარ, როგორც ერეკლე,
სულზე ასპინძა მერითმა,
ვნერ ვინმე მესხი მელექსე
ამ ჩემი ბედისწერითა.

აუგი როგორ შევკადრო



იმ მესხს, ვინც შენით იწვოდა,
ვინც ეგ სახელი, მზეკაცო,
ჩემად სახელად მიწოდა.
შენს კვალზე გამომიძახა,
მწვრთნა, მცემა, არ შემიცოდა,
საძრახი მიგმო, მიძრახა,
მასწავლა რაც რამ იცოდა.
ჩუნჩხა მინჩხობით ჯავახეთს
იქნებ იცოდე, იმისნო,
ხსოვნის კარები განახვნეთ,
ფიქრნო ჩემნო და იმისნო!
რახან მართლის თქმას დავხარბდი,
ღმერთო, მეც მომეც იმის შნო!
ფეხზე შემდგარი ჩახმახი
პირდაპირ გულში ვიმიზნო.

იქიდან ავდექ სამსჯავროს
ჯავრნი ჩემსავ თავს შევაბი,
თუმც საქართველო აღარ მაქვს
დარუბანდიდან სპერამდი.
შევლით შემოველ სამყარო
ვერ მოვაღწიე შენამდი...
გულო, ფიქრებში დამჭკნარო,
ვარდის წყლის ნამით შენამდი,
ეპკურე ტრფობას ცოცხლებად
მას, ვისც ულექსოდ შენანდი,
ვის მნათი თავზე ევლება:
მე დაბლა ჩავალ, შენ ადი,
იმის ნაფეხურს კოცნიდე
ახლის მზის გამოჩენამდი.

მასწავლებელო მასწავლე
ამა სურვილთა მხილება,
სისხლი ლექსებში გავცვალე,-
მაკლია გამოცდილება.
დავალ, ხან რითმა მაწვალებს,
ხან ხმებში ფერთა ცილება,
სიტყვისთვის ისე ვკანკალებ,
რო მნახო, გაგეცინება.
ცხავს არ ვხმარობდი, ცხრილით მაქვს,
ეს ხვავი გამოჩელხული,
მაგრამ ბედმა ვერ მირითმა,
ვერ დავუარე ფერხული.
ვერ ვაფრიალე ბაღდადი
წითელ- ყვითლითა შესხმული,
თავს ჭირის ოფლი გადამდის,
ვერ ვთქვი შენებრი მესხური.

რაცა ვთქვი, იქნებ სათქმელად
არცა ღირდა და არცა ღირს,
ესე ცნოს ჩემმა მაცნემამ,
არც მათრახს ვხმარობ, არც აღვირს.
მივდევ მიშვებულ ავ-შარას,
სულს არ უხდება არტახი,
ზე სავარძელზე დამსხდართა
ძირს ვერ მიუველ თავდახრით;
ამად მაქვს დაბლა გაშლილი
მე ეს ფიჩვი და ფარდაგი.
ხსოვნით რომ მაინც გვახსოვდეს
ამა ქსლისა და ბეჭვისა,
ვქმენ ორი ძაფით ნაქსოვი
სახე, ღმრთით ანაბეჭდისა.

მისი, ვინც მოგვცა სახსოვრად
უჭკნობი ტყავი ვეფხისა,
თვით დაუწყვილდა მაცხოვარს
გაბრწყინებულის ეტლითა
და მეთორმეტით აცნობა
ხალხს უკვდავება ლექსისა.
ვინც სახე ისე სახოვნად
სახა დღესაც რო ვეტრფი და...
ხან ცით გალობის ხმა მესმის,
ხან მტრის მხარეში შეჭრისა...
რა შორს რეკავენ ზარები
გამარჯვებულის ქვეყნისა!..
გუშინდელსა ვჭვრეტ, ხვალესაც,
ნეტა მენახა, მეჭვრიტა.

მე ჩემი ნათელ- მირონით
ვარ მტვერი მისი ხრმალისა,
ვა, ვა რა ტყვილად ვყვიროდი,
ხვალემ იკითხოს ხვალისა.
დღეს ხვალეს ვჩივი, ის მტკივა-
ვიყო მძებნელი სხვა რისა?
სიცოხლე დამაქვს ვისთვიღა,
თუ მან არ გამახალისა,
თუ რუსთველური ქართული
არ მესმა მომავალისა.
ზემო მხრისა თუ ქვემო მხრის
ახალგაზრდებო შემოკრბით,
წინ ვეფხვის ტყავი იმძღვანეთ,
აღფრთოვანებას ეგ მოგგვრით;
სჭექეთ ქართული სიმღერა
ძლევის ზარების შემოკვრით,
ცა იწმინდება, დღე ცხრება,
მეოცდაერთის მზე მოქრის!...

ელენე დიდიმამიშვილი – პოეტი

ახალციხე

საღამოს ბინდი ნელა ეხვევა
ძველი მესხეთის ციხის ქონგურებს,
წარსულს ფიქრები ისე ეფრქვევა
როგორც შაირი ქართულ ჩონგურებს.

აქ წინაპართა ხმლით და მახვილით
უკუქცეულა მტერი უგულო,
დიდი ქართველის გმირთა სახელი
კედლებს შეზრდია აქ საუკუნოდ.

ჩემი სამშობლოს სხივი ნათელი
ზედ შერჩენია სვეტთა სიმაღლეს,
შორეულ დროთა კორიანტელი
შთაუნთქავს მღვრიე ფოცხოვის
ტალღებს.

მაგრამ ძველ ყოფას სიახლე შვენის,
თუმცა წარსული უფრო შორს იხევს...
ციხე, უძველეს მესხთა ნაშენი,
შემორჩენილა კვლავ ახალ ციხედ“

ყვავილების ღიმილს მოვიპარავდი

ისე როგორ წავიდოდი ბაღიდან,
რომ შორიდან მაინც არ დამენახე,
ცის სილურჯე ვიდრე ფიქრებს დაღლიდა,
აქ შენს სახელს ჩურჩულებდა ყველა ხე.

ფირუზების დარი იდგა მარადის,
დაგეძებდი ყოველ დილაადრიან...
ყვავილების ღიმილს მოვიპარავდი –
არ მინდოდა შემხვედროდი დარდიანს.

ახლაც ვუმზერ ღიღილოს და გვირილებს,
ფიქრით მივდევ ყრმობას ოქროს
ფრთებიანს...
თითქოს ახლაც მოხვალ, კვლავ გამიღიმებ,
თითქოს ყველგან თვალთა ლაჟვარდებია.

ხეივანი აბა როგორ დამღლიდა,
აქ შენს სახელს ჩურჩულებდა ყველა ხე...
... ისე როგორ წავიდოდი ბაღიდან,
რომ შორიდან მაინც არ დამენახე.

სამშობლოვ ჩემო

სამცხეში, როცა მომხდურთა
იწყეს რბევა და თარეში,
დედას პირმშონი მოუკლეს,
თვალი აუვსეს კაეშნით,
ვაზი თუ ყანა ნაჩეხი,
ასე ამბობდა ყოველი:
ასჯერ სიკვდილიც გვიპირონ,
მაინც სიცოცხლეს მოველით.
ნეტავ რა ძალა ჰქონია
ქართულ მიწას და იალაღს,
რამდენჯერ მკერდი უსერს,
იმდენჯერ გაჰქრა იარა,
ვეღარ გაუძლო დუშმანმა,
მთა მთაზე გადაიარა,
ქართველნი ისე ომობდნენ,
ჟანგი არ ედო იარაღს.
ისევ აყვავდა მესხეთი
კვლავ ახალ ოდებს ვაშენებთ,
ბაღებს, გულსავსეს დოვლათით,
შრომის დიდება ამშვენებს.
ძილი ვერ მისწვდეს ბერკაცსაც,
მიწას ჭაბუკურ ბარავდეს,
რომ ყანამ ისევ იხაროს,
მარცვალი ისევ გალაღდეს.
მარად უტკბესო მთა-ველო,
გულში ოცნება ბრწყინდება,
სამშობლოს შუქით დამტკბარო,
ახალი სამცხის დიდებავ,
მიწაც შენია, ამაგიც,
სხვას რაღად დაესესხები,
ისევ კაჟნი და ლომგულნი
დაგვეზრდებიან მესხები.

უკვდავა

როცა ვარძია ვინახულე, თამარ მეფის გამოქვაბულთან მინდვრის ყვავილი უკვდავა ამოსულიყო.

აქ კლდის გულში
მიდგას ფესვი,
სხივჩაუმქრალ ბედით ვხარობ,
სათუთ წყურვილს
ნაზად მიკლავს
კლდე-ვარძიის წრფელი წყარო.
აქ მზე-ქალის გამოქვაბულს
შევრჩი, როგორც სახსოვარი,
თამარივით უკვდავი ვარ,
თამარივით სხივმთოვარი!
თვალს ვუსწორებ გაღმა ხევებს,
ჟამდანისნულ მთის ორწოხებს,
მშობლიური ლხენით მავსებს
ცის მოლურჯო მინანქარი.
მთვარე ვარსკვლავთ კრიალოსნით
გადამიშლის ფარჩა-ნოხებს
და ტკბილ ნანას მეუბნება
ფრთანარნანარი ნიავ-ქარი.
ობოლი ვარ, მაგრამ მუდამ
სხივჩაუმქრალ ბედით ვხარობ,
სათუთ წყურვილს ნაზად მიკლავს
თამარ-მეფის წრფელი წყარო.
აქ ხანდაზმულ წელთა ჯირითს
შევრჩი, ვითა სხსოვარი,
თამარივით უკვდავი ვარ,
თამარივით სხივმთოვარი!

შურიანს

შურს შენი არსის დაცემა სურს,
და მისცემია სინდისი წუნს...
არის ერთი რამ, რაც იხსნის სულს, –
უნდა შეიყვარო ის, ვისიც გშურს.

ჩემი სიმდიდრე ალალი...

ვინა ვარ? – ერთი ტრფიალი
ჩემი სამშობლოს მთა-ბარის,
გული – ვარდების ზიარი,
მზის ჩანჩქერებით ნაბანი.
მე სიყვარულის მონა ვარ,
ალმოდებული მზესავით,
მივყვები ნიავს ონავარს
მარადის დაუკვნესარი.
მე მიყვარს ვრცელი ტრამალი,
ჩემი გზა – შრომით სავალი,
ჩემი სიმდიდრე ალალი –
ჩემი პატარა კალამი.
მე სიხარულის წამი ვარ,
გამთბარი მზის მხურვალებით,
გულიდან ვერსად წამივა
ჩემი ცის ლურჯი თვალები.
ყვავილნი ფერებს აფრქვევენ, –
ხატავენ ამ მთებს, ამ ველებს.
ხან სიხარული მამღერებს,
ხან ტრფობის დარდი მამღერებს.
გული, ფიქრების ამყოლი,
ყრმობა, გამქრალი ჩრდილივით,
იასამანთა ამბორი,
აკაციების ღიმილი...
ფიქრები, ისევ ფიქრები,
ვარდები ყოველ ცისმარე,
ვარდები, წითელ-წითლები
და გაზაფხულის სიზმარი.
მე კვლავ ბავშვი ვარ... სიამით
ისევ ამ ცაცხვს რომ ვწვევივარ,
მარადჟამს ოცნებიანი –
მე ის პატარა ელი ვარ.
მე ლაღი სამხრეთელი ვარ,
მინდვრის უბრალო ყვავილი,
მწვანე ხის ერთი ღერი ვარ,
სათუთად ამოყვანილი.
მე ლექსის ერთი სუნთქვა ვარ,
მე ლექსის ერთი პწკარი ვარ,
ხან ნაკადულზე სუფთა ვარ,
ხან ზღვისებრ ბობოქარი ვარ.
მე ჩემი ქვეყნის ნათელი
სულში მზის დარად მესხივა...
მე – გულის დიდი სათქმელი,
ერთი პატარა ლექსი ვარ!
დაგინახე, გიცანი

დაგინახე, გიცანი
ყვავილების მდელოთი,
ხეივანო, ზურმუხტო,
ვიცი, გზად რომ მელოდი.
დღეებს დავაღამებდი
მარად შენთან ყოფნითა,
უწინ დიდი მეგონე,
რა პატარა ყოფილხარ!
ჰეი, რა დრო გასულა,
ყრმობა რარიგ შორს არი,
ისევ ლაღად დავკოცნე
ღიღილო და სოსანი.
გახსოვს, როგორ მიხმობდი
აკაციის ჩეროდან,
მე რომ ძლიერ მიყვარდი,
განა არა გჯეროდა?
შენს ბუჩქებში შემოველ,
გამობრწყინდა თვალები,
მოვალ – გამეხარდება,
წავალ – დამენანები.

შენ მეუბნები

შენ მეუბნები, რომ ვარ კეთილი,
ბრძენთან ბრძენი ვარ და ბავშვთან
ბავშვი...
რომ მტკიცე ნებით გამობრძმედილი
 უცვლელი დავრჩი...

ამბობ, სიოსთან – სიო ვარ ნაზი,
და ქარიშხალთან – მხოლოდ ავდარი,
რომ ვიცი, ქვეყნად სიკეთის ფასი,
არ მინატრია ყოფა სხვაგვარი...

მინახავს ბევრი შური უმწეო,
როცა ალალ გულს ბოღმით ხვდებიან,
მაგრამ დანთქმულან ბნელში უდღეოდ
და მეც კეთილად გამღიმებია...

მცირე ჭინჭარი ჭკნება უმალვე,
უქმია, მისი სუსხი და თრთოლვა,
რადგან სიმაღლით ჩვენთა გულამდე
 ვერასდროს მოვა...

მივყვები დიდ გზას, ცხოვრების მბეჭველს,
ჩემი აღმართი ვრცელზე ვრცელია...
მე დავუღლივარ, ჩემს გზაზე კენჭებს, –
და მაინც, ფეხქვეშ მომიქცევია!...

შენ იცი ჩემი მთა-ველის ტრფობა –
გულს ჩაყოლია უცხო ალერსით...
შენ იცი ჩემი ფიქრი და გრძნობა
და ლექსთა ცეცხლი უანკარესი...

სიმშვიდე სულის ვინ მისცა პოეტს...
იცი, რომ უქმად ვერსად მიგულებ...
მე გული ჩემი თვით ხალხში ვპოვე, –
ხალხია ჩემი მესაიდუმლე!..

სამშობლო

სხვა უტკბილესი რა უნდა მეთქვა,
ვარ შენზე ფიქრით ღამისმთეველი...
ათასი ლექსი რომ გითხრა ერთად, –
შენ ზღვა განცდა ხარ დაულეველი.

შორიდან ბავშვურ ზმანებას ვხედავ,
აქ სხვა სითბოა, რაც ენით ვერ ვთქვი...
ასეთი ლაღი რა არის ნეტავ! –
– მოგონებაა... – შრიალებს ვერხვი.

მთებს ვეკითხები: ასე გუნდებად
რას ჭიკჭიკებენ მერცხლები გრძნობით?!
ფიქრთა ღიმილში მთა მეუბნება:
– ეს სიმღერაა გაფრენილ ყრმობის.

მე ვეკითხები მდინარის ტალღებს,
დროის საათი ასე რომ მიჰქრის,
შენს ნაპირებზე ვინ სთესავს ვარდებს?
– სიყვარულიო, – ჩურჩულებს ზვირთი.

ქარვის ხეივნის ფერით ვირთვები,
მზე ოქროს ფოთლებს ღიმილით კეცავს,
– შემოდგომაა? – მზეს ვეკითხები,
– გაზაფხულია! – მპასუხობს ზეცა.

გაზაფხულია იმ პირველ ტრფობის,
პირველი ვარდის ღამის მთეველი...
წმინდაო მიწავ, ყრმობიდან – წლობით
ჩემი ლექსი ხარ დაულეველი!

ასე სჯობია

საქმე სადაო საჩხუბრად არ ღირს
ჰქმნის მძიმე ჰავას, მავნეს, შფოთიანს...
ილაპარაკოთ ერთმანეთზე – ვერ არის მარგი.
ილაპარაკოთ ერთმანეთთან – ასე სჯობია.

გახსოვარ...

გახსოვარ... მე სხვა რა მინდოდა
უმეტეს ამის...
გახსოვარ... ეს ხომ სიმღერაა
უვნებელ ღამის, –
რომ დამაძინოს უშფოთველი,
მსუბუქი ძილით,
რომ ამ სიზმარმა უტკბილესი
მაჩუქოს ღიმი...
გახსოვარ... განა გული ისევ
ცახცახებს რიდით?
... ახლა შუადღის მზით დამცხრალი
მშვიდია იგი.
უფრო ნაზია, ვიდრე ფეთქვა
ადრეულ დღეთა,
და უფრო ღრმაა სიყვარული
უნაზეს ფერთა...
გახსოვარ... მე სხვა რა მინდოდა
უმეტეს ამის...

* * *

შენ ისე შორს ხარ, ძახილი ჩემი
ვერ აღწევს შენთან...
წინ ვერ დაგხვდება ჩემეულ დღეთა
სიმღერა მწველი...
მე მესმის შენი ნაბიჯიც, სუნთქვაც...
ჩამქრალი გული, სიმრავლე წელთა...
მე ვხედავ თავლებს, ბობოქარ სულთან,
სიამეთ ჩემთა...
გიხმობ გადამქრალს (და მაინც
მზისფერს)...
მათრთოლებს სიზმრის ობოლი კვნესა...
მე გიხმობ ძლიერს, მე გიხმობ ისეთს,
როგორიც იყავ... როგორიც დღეს ხარ...
ქარი-ავქარი სუსხავს ია-ვარდს,
და ისევ ფიქრთან ვრჩები მოღლილი...
... მთების უსაზღვრო ლოდინს მიაგავს –
ჩემი ლოდინი...

საქართველო

გზაზე მინათებენ დედის ნათელივით
მუდამ იდუმალი უცხო შთაგონებით –
დიდი ფიროსმანის ყალმით დაწერილი
ჩემი მზე და მიწა, ჩემი მთა-გორები...
მრავლით დარბეული, მრავლით აღდგენილი
მარად ბრძენთა ბრძენი, მარად გმირთა
გმირი,
უხვი მადლიანი შრომით აღვლენილი...
სულით უმტკიცესი, გულით პირდაპირი...
მწვავდა ჩემი ზეცა მუდამ ლურჯთვალება,
რაღაც სიდიადით, რაღაც თილისმებით...
ლოცვით მინატრია მისი უკვდავება,
ლოცვით მომივლია მისი დიდი გზები...
მთათა ორწოხები მხედრებს ედრებიან...
მათმა მოგონებამ ღამე დამათენოს...
უცხო წალკოტია, უცხო ედემია,
ჩემი ერთი მუჭა – დიდი საქართველო!..

არც ისე პატარაა საქართველო...

არც ისე პატარაა საქართველო –
დიდი აქვს გული, მტკიცეა ძლიერ...
არც ისე პატარაა საქართველო,
უხსოვარ დღიდან რა ცეცხლებს ვძლიეთ.
არც ისე პატარაა საქართველო,
ვითარც ჰგონიათ ქვემძრომთა მტერთა,
არც ისე პატარაა საქართველო,
ოღონდ შეიკრას ერთად!
სიმართლე ჩვენი მსოფლიოს სჯერა,
მრისხანებს ზღვა და შმაგი აქვს ღელვა,
არც ისე პატარაა საქართველო,
კვლავაც დაუდგება დარები მშვიდი...
არც ისე პატარაა საქართველო –
ღვთისმშობლის წილხვედრია იგი!

როდესაც ჩემი დადგება ჯერი...

როდესაც ჩემი დადგება ჯერი...
როცა სიკვდილი გამიხმობს ჩუმად,
როს დამედება უსულო ფერი,
როცა მიხილავთ ცივსა და მდუმარს,
გააღეთ სახლის ყველა ფანჯარა,
რომ ერთხელ კიდევ დამხედოს დილამ...
უთხარით ყველას: დიდს თუ პატარას,
მამულის ტრფობა მიმყვება სხივად...
რომ საბოლოო იმედის მცველი –
არა ტირილი, შენდობაც კმარა...
მე დამიღვრია იმდენი ცრემლი, –
რომ ჩემდა გლოვად მეყოფა მარად...
ოღონდ ახსენონ ალალდღიანი
მუდამ მართალი ჩემი გზა-ძნელი...
დარიანიც და ავდარიანიც –
დაე, ახსოვდეთ სიცოცხლე ჩემი...
ვიცი, საფლავით ისევ თავიდან
გული – უძირო, დაიწყებს ფეთქვას...
ვიცი, ამოვალ ცისფერ ყვავილად,
რომ მარადისი სიცოცხლე მერქვას...
რომ ისე უხვად მეფინოს სხივი,
რომ დამაცხუნოს ზეცამ იმდენად, –
რომ ვეღარ მომწვდეს უგულო ჩრდილი,
რომ აღარ შეწყდეს ჩემი სიმღერა!..
... ჰოი, როცა ჩემი დადგება ჯერი,
როცა სიკვდილი გამიხმობს ჩუმად,
როს დამედება უსულო ფერი,
როცა მიხილავთ ცივსა და მდუმარს,
გააღეთ სახლის ყველა ფანჯარა,
რომ ერთხელ კიდევ დამხედოს დილამ...
უთხარით ყველას: დიდს თუ პატარას,
მამულის ტრფობა მიმყვება სხივად...

სიავე

სიავის სწრაფას არა აქვს ბოლო,
მიექანება ყოველი ხიდით...
და რომ შეჩერდეს მხოლოდ და მხოლოდ,
სიკეთემ უნდა დაჯაბნოს იგი.

მადლობელი ვარ

მადლობელი ვარ ყოველი წუთის,
(და არც აროდეს არ დავკნინდები)...
მადლობელი ვარ მე შენი სუნთქვის,
და ჩემი ბედის ავლადიდების...
მადლობელი ვარ მწუხრი დღეების –
შენს უნებურად გარს რომ მეხვია...
იმ უეცარი უცხო ფერებით
შენი მზე თავს რომ გადმომეფრქვია...
მე მაშინდელი მინდა იები,
(სხვა სანატრელი რა გინდაც მქონდეს)...
მადლობელი ვარ იმ ყვავილების –
ღიმით მკერდზე რომ იბნევდი ოდეს...
მადლობელი ვარ სავსე ოცნების,
შენი ღიმილის, მკაცრი თვალების...
იმ წამიერი გასხივოსნების
გულის, წამიერ გაბრწყინვალების...
ჩემი ზღაპრების უდროო სევდის,
ან თუ, მცირე რამ სიხარულისთვის,
ქვეყნად რაც კი რამ მივიღე ჩემთვის,
მინდა, მადლობა გითხრა ურიცხვი...
რომ აღმაფრენის უზადო ცეცხლით,
მე მხოლოდ შენით ვარ გაძარცული...
რომ შენი სიმით აჟღერდა ლექსი,
ცა დღეისა თუ, ცა გარდასული...
რაც კი მივლია სიავდარეში
იმ ჩემი ყალყზე შემდგარი გზებით,
უნისლო ფიქრთა იმავ თარეშით,
მე ახლაც შენთან მომიწევს ფრთები...
... და უშენობით თუკი ჩემს გზაზე
მარტო ვშთენილვარ, შენი ხმა ყველგან
ნათელით მავსებს, მადლობელი ვარ,
მადლობელი ვარ!..

* * *

სახელის მოხვეჭა გიზიდავს?
ნუ გინდა სიტყვები ლიტონი...
თუ კი რამ დიდების ღირსი ხარ, –
სახელი თავისით გიპოვის...

შენ მეუბნები

შენ მეუბნები, რომ ვარ კეთილი,
ბრძენთან ბრძენი ვარ, და ბავშვთან ბავშვი...
რომ მტკიცე ნებით გამობრძმედილი
უცვლელი დავრჩი...
ამბობ, სიოსთან – სიო ვარ ნაზი
და ქარიშხალთან – მხოლოდ ავდარი...
რომ ვიცი ქვეყნად სიკეთის ფასი,
არ მინატრია ყოფა სხვაგვარი...
მინახავს ბევრთა შური უმწეო,
როცა ალალ გულს ბოღმით ხვდებიან...
მაგრამ დანთქმულან ბნელში უდღეოდ
და მეც კეთილად გამღიმებია...
მცირე ჭინჭარი ჭკნება უმალვე,
უქმია, მისი სუსხი და თრთოლვა,
რადგან სიმაღლით ჩვენთა გულამდე
ვერასდროს მოვა...
მივყვები დიდ გზას, ცხოვრების მბეჭველს,
ჩემი აღმართი ვრცელზე-ვრცელია...
მე დავუღლივარ ჩემს გზაზე კენჭებს
და მაინც, ფერხქვეშ მომიქცევია!..
შენ იცი ჩემი მთა-ველის ტრფობა –
გულს ჩაყოლილი უცხო ალერსით...
შენ იცი ჩემი ფიქრი და გრძნობა
და ლექსთა ცეცხლი უანკარესი...
სიმშვიდე სულის ვინ მისცა პოეტს...
იცი, რომ უქმად ვერსად მიგულებ...
მე გული ჩემი თვით ხალხში ვპოვე,
ხალხია ჩემი, მესაიდუმლე!..

* * *

შენ ყვავილების პოეტი გერქვა
გხიბლავდა მარად ყვიროდი გრაცია,
მაგრამ გრიგალმა უეცრად, ერთხმად –
მედგარ მეომრად გადაგაქცია!

მეკითხებიან...

– ისევ ლაღი ხარ?
– მხნეც და ფხიზელიც...
– სადაური ხარ?
– მე? – თბილისელი!
– სამცხეს რას ეტყვი, ის ხომ შენია?
– მე იქ სიზმარი შემომრჩენია...
– შენი ვარძია?
– ის გულში ბრწყინავს,
სულში ანთია ახლაც, ვით წინათ...
– რა გატკბობს?
– სამცხის ლურჯი თვალები –
აღორძინების მშვიდი დარები.
– ვის ეტრფი?
– ვჩემობ თბილისის ქუჩებს,
ვეტრფი მისი მზის ცეცხლოვან ტუჩებს.
– კიდევ?
– მთაწმინდის უტკბილეს კალთებს,
რისიც მარადის დიდება გვმართებს...
მავსებს უთუოდ დიდება გვმართებს...
მავსებს უთუოდ დიდი ამაგი –
ზღვაზე უვრცესი დედაქალაქი!...
– რა გიხარია?
– ქართველი კაცის შნო და სინდისი –
ჩემი თბილისი...

* * *

ერთხელაც ჩრდილი
გაჰქრება დილით...
ერთხელაც მოვა
სხივების თოვა,
თალხს შესცვლის თეთრით –
ბრწყინვალე ჟამი,
ჩვენთან არს ღმერთი, ამინ!

* * *

სთქვა რამ ახალი და იდგე კენტად,
იყო ამაყი, ეს არ გჩვევია...
საქმე ის არის, სთქვა რამე ქვეყნად, –
რაც მარადი და შესამჩნევია...

* * *

გზა იყო ნაწამები, კრული...
არ შეგისვენია თითქმის...
და გიკვირს უნაზესი სულით,
ვით ზიდე – უმძიმესი ტვირთი.

მივდევ ქროლვას დედამიწის...

დავიღალე, გესმის, სულო,
არ თავდება აღმართები,
სვლა გამიხდა უსასრულო,
კვლავ შორსაა ალბად გზები.
დარიც, ჯანღიც შორს ჩქეფს მთებით
წესი ზეცის ყველამ იცის...
მაინც მძლეა ყოფა ნების, –
მივდევ ქროლვას დედამიწის.
ყოველ წყენას, ყოველ ქებას,
გული მაინც ჩუმად იტევს...
და კვალვ მინდა ნება-ნება
მივეახლო მე ჩემს მკითხველს, –
მან ხომ იცის დარდი ჩემი,
მან ხომ იცის ლხენა ჩემი –
იცის ჰანგიც მართლის მფრქვევი –
ბიწიერთა გულის მკვლელი.
დარდიც, ჯანღიც შორს ჩქეფს მთებით
წესი ზეცის ყველამ იცის...
მაინც მძლეა ყოფა ნების, –
მივდევ ქროლვას დედამიწის...

* * *

მოკლე აქვს ყოფა ცბიერს თუ მავნეს,
ვიცი, ჩაქრება ცეცხლის ენებიც...
„აწ და მარადის
უკუნითი – უკუნისამდე – "
ივლიან ჩემი წრფელი გენები.

* * *

იყავ სინდისით რჩეული,
და ვერ იტანდი ვერაგს,
დაგისახიჩრეს სხეული, –
მაგრამ სული კი ვერა!..

ახლა... იმ სახლში...

აჰა, იგივ საოცნებო სახლი...
აჰა, სარკმლის დარაბები იგი...
... ახლა მხოლოდ
ქარიშხალი დაძრწის,
და თან მიაქვს იმ ზღაპართა რიგი.

სად წასულან დედა... ან და-ძმები?..
ვუხმობ შორით და
ლოდინში ვდგები...
მარტოს არსად დამტოვებდნენ უწინ,
როს სულს ასე უჭირს...

... მაგრამ, ვაი... ვერ ვიქნებით ერთად...
სხვა გზები გვაქვს დებს, ძმებსა და
მშობლებს.
... ჩვენ ცალ-ცალკე
ვიბადებით ქვეყნად...
და... ცალ-ცალკე ვტოვებთ
წუთისოფელს...

შალვა კეღოშვილი (ჩიხორიშელი) – პოეტი

ღმერთო, მაცხოვრე საქართველოში

– ღმერთო, მაცხოვრე საქართველოში,
ქართული მიწის სითბო მომინდა.
ღმერთო, მაცოცხლე ამ ჩემს მამულში,
შენ დათქვი წელი, ასი არ მინდა.
– მახეტიალე მესხეთში ქვებზე,
ხერთვისი ვნახო მხოლოდ დაბლიდან,
ცრემლი ვადინო კედელზე, კირზე...
თუ შესვლა გთხოვო, მომკალ, რა გინდა.
რა მთაზეც გინდა იქ ამოგვყვები,
ოღონდ ვარძიის ვნახო ალაგი,
ვფიცავ, ერთ ტოლად გამოგადგები,
ოღონდ მაჩვენე ციხე-ქალაქი.
– ნუ მომკლავ ასე, დედაო ღვთისავ,
სულს ხომ არა გთხოვ, გულს ხომ არა გთხოვ.
ნუ გადამკარგავ ქართულო მიწავ,
ჩემს საფლავს სხვაგან თავს ნუ დაათოვს.
ჰოდა, მესხური შავლეგო როცა
შესძახებს ყანებს, ბაღებს, ვენახებს,
მე საფარაში დავიწყებ ლოცვას,
ჩემი ვედრება შესძრავს ყველაფერს.
მაშინ ეს ცრემლი თვალს დაშორდება,
როგორც ოდესღაც ზღვა და ხმელეთი,
ქართული მიწა დაილოცება
ბაღით, ვენახით, ჩვენ-ერთმანეთით.
ღმერთო, მაცხოვრე საქართველოში,
ქართული მიწის სითბო მომინდა,
ღმერთო, მაცოცხლე ამ ჩემს მამულში,
შენ დათქვი წელი, ასი არ მინდა.

გორის ბიჭებო!

ბ. მიხანაშვილს
გ. ბერუაშვილს

– მზე აიტაცეს გორის ბიჭებმა
და სადღაც მაღლა გორი-გორ მალეს,
ეს რა ქნეს, ღმერთო, ქართლის გიჟებმა
და აუთრთოლდათ ძუძუნი ქალებს.
– დაიღრიალეს სადღაც ლომებმა
და შეტორტმანდა მიწა წამიერ,
ეს ზღაპარია თუ შთაგონება,
თუ სიგიჟეა გიჟთა ჟამიერ!
– მეოხ ყავ, ღმერთო, ყველა მათგანი
დღეის-დღეობით დუღს და იწრთობა,
შენ მიუტევე ნაბიჯ-მტკაველი,
მაჭრის თვეობა, თითო ბიჭობა!
– გადმოსკდებიან, თუ სურს შენს ხვალეს,
თერგად, ლიახვად, მტკვრად და ალაზნად;
კრწანის-დიდგორად, შამქორ-მარაბდად
და საქართველოვ, შენ სიგრძე განედს,
როგორც სუფრასთან ღვინით ფიცავენ,
ცხადში იზამენ მწარეზე მწარეს,
დედას ვფიცავარ, თავს გასწირავენ.
ნუ დაიჭირვებ ჩემო მფარველო,
თორემ რა არის ერთხელ გიჟობა.
ჩვენ ხომ სისხლში გვაქვს ეს საქართველო,
ერისკაცობა და ვაჟკაცობა.
დაიღრიალეს სადღაც ლომებმა
და შეტორტმანდა მიწა წამიერ,
ეს ზღაპარია თუ შთაგონება,
თუ სიგიჟეა გიჟთა ჟამიერ.
მეოხ, უფალო, ყველა მათგანი
დღეის-დღეობით დუღს და იწრთობა,
შენ მიუტევე ნაბიჯ-მტკაველი,
მაჭრის თვეობა, თოთო ბიჭობა.
ცოტა მაცალეთ, –
ჯერ შალვას თქვენთვის
არ ულექსია, –
მერე რა მოხდა? ჩემს სიჭაბუკეს
ჭაღარა მალე გამორევია.
ვარ გატყორცნილი ზოგჯერ სადაღაც
ზოგჯერ ფიქრებში მიმობნეული,
ბოლო მომიღო ბევრჯერ ბადაგმაც,
ბევრ ქალისგანაც დავრჩი ეული.
– მაგრამ ეს ჩემი შნო და გუნება
უთქვენოდ არსად არ მეგულება.
– ლექსი გავჩეხე შუა ბიჭებო
და სიტყვა ვტკიცე ცისა კაბადონს,
თქვენ გაგიმარჯოთ, გორის გიჟებო!
ალგეთის მგლებმაც ბევრი დაბადონ
თქვენნაირები, ქართლის ბოკვრები.
ჩვენს მიწას ბევრი, უნდა ბიჭებო,
ერთხელ კი არა, ასჯერ შევძახებ:
თქვენ გაგიმარჯოთ, გორის გიჟებო!
გორის გიჟებო! გორის გიჟებო!

ადიგენში

თ. მ-ს.

– ადიგენში, ჭულეს ახლოს,
სოსნისთავლა გოგო სახლობს,
ვინძლო, ვინმემ ხელი ახლოს,
გადავუწვავ სამოსახლოს.
– ზარზმის ბოლოს, იქვე ტაფობს,
ატამს სახლეჩს, საკბეჩ-საპობს,
სურნელება ისე სჭარბობს,
ფერთა ზღვაში ხევებს ახრჩობს.
გოგო ფიქრობს,
ბიჭი დარდობს,
ერთი ყვავის,
ერთი ვარდობს.
ისიც ნატრობს,
ესეც ნატრობს,
მათი ცრემლი
ქვა-ლოდს ადნობს.
მზე გაზაფხულს ძუძუს აწოვს,
– ფუტკარი კი აპრილს თაფლობს,
მე რად მაწვიმს, მე რად მათოვს
ამისთანა გოგოს პატრონს.
– ადიგენში, ჭულეს ახლოს,
სოსნისთვალა გოგო სახლობს.
ვინძლო, ვინმემ ხელი ახლოს,
გადაუწვავ სამოსახლოს.

სხვები დანარჩენია

„მერე რა რომ დიდი გვებრძვის!
დიდი არა, ბევრი, –
ვაგლახ მტერიც რომ არა გვყავს
ჩვენი შესაფერი“.
– როდესაც გვაქვს ჩვენ, ქართველებს
განძად შოთას გენია,
რაა, მითხარ, ქვეყანაზე
სხვები დანარჩენია?!
– როცა ვამბობთ ქვეყნად სიტყვას
შამქორად და მარაბდად,
ცა ქუდად არ მიგვაჩნია,
დედამიწა – ქალამნად,
– როცა მესხეთ-ჯავახეთი
თორელთ ძუძუს აწოვებს,
როცა კიდევ ქრისტე იშვა
და ქართლს შემოგვატოვეს,
– კახეთში, რომ მზე ანთია,
ო, იდიდოს, იდიდოს!
კახელი რომ არ იქნება,
ვაზებს ცრემლი ვინ სწმინდოს!
სხვის მონები არ ვყოფილვართ,
კრწანის-დიდგორს მოვდივართ,
საფლავშიც რომ ვიყოთ ყველა,
სხვების ცოცხლებს ვჯობივართ.
ვინ თქვა, ღმერთო, საქართველო,
ქართველები მცირდება,
შენ ასე გსურს შვილნი, თორემ
შენ რა გაგიჭირდება.

* * *

აპრაჭიჭა ჭიჭდებოდა
– მოფრინავდა გაზაფხული
აპრაჭიჭა-ჭიჭდებოდა,
სადაც შალვა მიდიოდა
ყველგან სუფრა იშლებოდა.
– სავსე ქვევრი იცლებოდა,
თასი, ყანწი, ივსებოდა...
ქეიფი და დროს ტარება –
სულ თავიდან იწყებოდა.
– ყვავილები იპნეოდა, –
თაიგული იწნებოდა
ჩითის კაბას შეტკლეცილი, –
სავსე მკერდი ირწეოდა
ირხეოდა, სოსნის ტანი,
გიშრის სირმა იბნეოდა,
მოფრინავდა გაზაფხული
აპრაჭიჭა ჭიჭდებოდა.

* * *

– მაშ ვარძია არაფერი?
უფლისციხე არასმთქმელი?
არც სამასი არაგველი, –
ვის გამოაქვს განაჩენი?
– ჰოი, ვახტანგ! ვაი, თამარ!
დაკარგულის ძებნად დავალ,
ქეთევანის ძვლებს დავეძებ,
მინდორ-მინდორ, ტრამალ-ტრამალ.
– გადი! გადი! კვალი თორემ,
არ დაგვინდობს – მტერი ხარო!
ჯერ ხომ ისევ ტაოს ხევში
არ დამშრალა ნეფისწყარო.
– მერე რა რომ მუხებს მუმლი
ცოტა მეტი მოგვიმძლავრდა
ამის მეტი არ გინახავთ?
სულ რომ გვხრავდა, მთლად რომ გვჭამდა!
– საფლავიდან წამომდგარა
ერი ჩვენი, ენა ჩვენი...
ისევ, ისე უკივლია...
ვის გამოაქვს განაჩენი?
ისევ, ისე წალკოტს ღობე
უდუღაბა, უკოწიწა
და ქვეყანას ურჩევნოდა
საქართველოს მუჭა მიწა.
– გადახედე, დალოცვილო,
რად ივსები შურით, ბოღმით,
ჩვენ არავის არ ვეკუთვნით,
ღმერთის სისხლი მოგვდგამს მოდგმით.
ჩვენ არ ვიცით მტრობა არვის,
მტერი ბევრი კი გვყოლია
ისიც ვიცით, რომ ქართველი
მტერს საფლავში ჩაჰყოლია,
გადი! გადი! კვალი თორემ,
არ დაგვინდობს – მტერი ხარო!
კიდევ ერთხელ დაიკივლე
თმოგველების ნატერფალო.

„რა კარგი ხარ, ჩიხორიშო“

„რა კარგი ხარ, ჩიხორიშო,
არ გერიოს ხვილიშაო“.
ხალხური
– ერთ ხევზე დის ნეფის წყარო,
მეორეზე ირმისაო,
ჭალა-ჭალა გაწოლილა
ხიზის გაღმა ჯოლდისაო.
– შუახევზე ფიქლის, ფიქრის,
მუხლისა და ცვარისაო,
ბილიკ-ბილიკ გეცეკვება
კატრისა და ხვლიკისაო,
– ნაჩეხ-ნაკაფს გაჰკივიან
იდაყვის და ობლისაო,
ჩახლარძულა ტაფის ბოლოს
დამწვარ დედოფლეთისაო,
– სისხლუანებს წაჰკიდიათ
ცეცხლი თხილნარებისაო,
კლდე წითლებს კი ლოკავს ფერდის
მართლა წყარო მეხრისაო,
– წისქვილებში ჩაკარგულა
წვერისა და ღართისაო,
ტუჩ-ნიკაპზე დაკიდულა
ცრემლ უკვდავებისაო,
– ლოდის ხევში გახიდულა
კოდისა და ფერდისაო,
მაგრამ უფლის ნაბოძვარი,
გამკურნავი სულისაო.
– არის ჩემი ჩიხორიში,
შესვა უნდა დილისაო.
ხვილიშას არ გაეკარო,
მომგვრელია ძილისაო,
– არც ერთმანეთს აურიო
ხმობა იცის პირისაო.
მხოლოდ მარტო ჩიხორიში,
მალამოა ჭირისაო.

მამულო ჩემო, ვისით იწვები...

მეც დამჭრეს გულში თქვენთან, ბიჭებო, –
მეც ამომწოვეს სისხლი წვეთებად,
მეც მჯიჯგნეს, მკორტნეს მამულისათვის,
სამშობლოსათვის აღარ ნელდება –
ურიცხვი მტერის ბოღმა ნაგები.
აღარ თავდება თითო ბიჭების...
ჭრილობა, მკერდზე შემონადული...
ვაი, მამულო, ვისით იწვები,
ვისია ნეტა, ეს საქართველო,
სისხლო, სანამდე არ დაიცლები
უღრან ტყეებში უნდა ვათენო.
უნდა ვიკივლო... როგორც მარაბდა,
როგორც შამქორი, როგორც მარტყოფი,
აქოჩრდა ყველგან მოყმის ბალადა,...
დიდგორის ველის შემონაყოლი...
ვაი, მამულო, ვისით იწვები,
ვისი კლანჭებით გცვივა ჭაღარა,
სული ღმერთების მონანიჭები?
ძმადნაფიცობამ უკვე დამღალა
და ლეგენდების არ მწამს, აღარა...
ვაი, მამულო ვისით იწვები...
ყორნების კორტნამ როგორ დაგღალა!
მოვა უფალი, ისევ იქნები,
ღვთისმშობლის მიწავ, ვინ არ გაწამა!
კვლავ გაიზრდება შენი დიდება,
ალგეთის მგელმა ლეკვნი დაჰყარა...

ცოტაც დაქალდი და მერე

ქუჩას მიდიხარ და
მკერდზე იყურები,
კი არ დადიხარ და
დაფრენ,
ახლად გიგროვდება
ბულულები,
ლამის ამოგიხტნენ
სამგლე.
ტანი სატაცურის
ცაში აგისვრია –
ფრთხილად!
არ დაგემტვრეს ქალო!
თმები აისივით გაგიშლია,
სახე დაისისა დარო!
საით მიიჩქარი –
ნუში არ დამსკდარა
ჯერა!
უბე შეიკარი, ყველა
შენ გიყურებს,
ყველა!
არვინ გადმოგიხტეს
ქუჩის შაითანი,
ეზო სავსეა და ღელე,
წადი შინისაკენ,
დამიჯერე!...
ცოტაც დაქალდი და...
მერე.

* * *

უკვდავი შენ ხარ უფალო,
ცოტა მაცოცხლე მეცა,
მიწა ქალამნად მეცვას და
ქუდად მეხუროს ზეცა.
– ამ ქვეყნად მიტომ მოვედი
ვიღაც მიყვარდეს მეცა
და ნუ, გამიშვებ იმ ქვეყნად
უსიყვარულოდ მეცა
მინდა მიყვარდეს ვუყვარდე
ყველას გვეყოფა ეს ცა
და ერთნაირად გვათბობდეს
მთვარე, ვარსკვლავნი, ზეცა.
სიყვარულისთვის მოვედი
ამ ქვეყანაზე მეცა
იმასაც ისე ვუყვარდე
როგორც ის მიყვარს მეცა.
ერთად გვაწვიმდეს
გვათოვდეს
ყოველთვის ღამე-დღეცა
ნეტას ხომ ყველას უსრულებ
მეც შემისრულე მეცა.

ილიასადმი

– საქართველოს ტახტს არ ფლობდი,
არც გვირგვინი გედგა მეფის,
მარტო ხვალეს გაჰყურებდი
და გჯეროდა მისი ფეთქვის.
– გწამდა, უღრანს გაჰკაფავდა
ერთი მუჭა შენი ერი,
ბეწვის ხიდის გაღმა დასდე
ნაკოწიწი ყველაფერი.
– ეს არავინ არ იცოდა
საიდუმლო, მთების გარდა,
მხოლოდ მთებმა, ყვარლის მთებმა,
რა ღადარიც შენს გულს სწვავდა.
როგორ სჭვრეტდი საარწივოს
ახალ კვირტებ ამონაყარს,
ვის უტოვდი ამ სამოთხეს
წინაპრების ნაამაგარს.
რას არქმევდი ამ სახატეს,
ამ სალოცავ ღმერთის კერას,
ოთხივ კუთხის ამერ-იმერ...
რუსთაველის დედა ენას.
რითი გსურდა გაგეკურნა,
რა მალამოს ამზადებდი,
რომელ სასწორ ზურგით ზიდე
ალგეთელი მგლების ბედი.
ალბათ, იყო ყველაფერი.
ალბათ, იყავ ერის მხსნელი,
ალბათ, ცაში ღმერთს სწვდებოდა
დიდი მნათი სული შენი.
მაგრამ ვაი, ქართვლის მზეო,
შინაურთა არ გაცალეს...
შენ კი არა, საქართველოს
გულში ტყვია დაახალეს.

სტუდენტები მოდიან!

ეს ნათელი, უფალო,
მზის და მთვარის როდია,
ახალციხის ქუჩებში
სტუდენტები მოდიან!
რეკავს ზარი ჭულევის,
თორს ეღვრება ო, დიადს,
სალოცავში, უფალო,
სტუდენტები მოდიან!
წყვილთა წყებით გაივსო
გზაა, შარა, კბოდეა,
ჩემი დიდი მესხები
სალოცავად მოდიან!
ღმერთო, ერთო გამჩენო,
ერთმანეთზე მჯობია,
ჯიშით ბაგრატოვანთა
ქართველები მოდიან!
ხმა საფლავში ჩასძახის
თმოგველს, რუსთველს, ჭყონდიდელს,
ო, ამდენი ვარსკვლავი
ზეცას როგორ მოსწყვიტეს!
ძალავ შეუჩერებო!
გრიგალებო ბრძოლისა,
ყველგან ხატი გფარავდეთ
კლარჯეთელი ლომისა.
წინ გიძღოდეთ შეკრული
საქართველო მთლიანი,
ისევ დაუძლეველი,
ისევ ომახიანი!
რეკავს ზარი ჭულევის,
თორს ეღვრება, ო, დიადს,
სალოცავში, უფალო,
სტუდენტები მოდიან!

ერთი საქართველო

ერთი წვეთი ზღვა გვაქვს,
ერთი ციდა ცა,
ერთი მუჭა მიწა
დაგვაქვს გზა და გზა! –
ერთი ქართლი, კახეთი და...
ფშავი-ხევსურეთი,
გურია და სამეგრელო,
რაჭა-აფხაზეთი, –
სვანეთი და იმერეთი,
აჭარა და მესხეთ-ჯავახეთი!
– ერთი ოშკი, ზარზმა,
ხახული და ბანა,
იყალთო და გრემი,
ვარძია და თმოგვი,
ბაგრატი და ტბეთი,
მუცო, ალავერდი.
– ერთი თერგი,
ალაზანი,
რიონი და მტკვარი!
– ერთი საქართველო
მკვდრეთით წამომდგარი.
– ერთი ანი, ბანი,
ვეფხისა და მოყმის
ბალადა და...
„ვეფხისტყაოსანი“.
ერთი ნანა, ლილე, ჩელა,
კრიმანჭული –
ცხრა ხმა შავლეგო და
შენ ხარ ვენახი
უფლის გალობა!
– ერთი ცეკვა ქართვლის,
როკვა, გულის
შემაზრზენი,
ერთი საქართველო –
ღვთისმშობლის ერი.
ჯიშით, მოდგმით, გენით,
სამშობლოა ჩემი
იმერ-ამიერი!
დიახ! –
გულის ნაწილს მისცემს
სტუმარს-მასპინძელი,
– შეასკდება ზეცას –
მრავალჟამიერი,
დაერევა ფერებს
ფიროსმანის ფერი,
თუ დასჭირდა მამულს –
დააკვდება ცხრაჯერ
არაგველები და
ხერხეულიძენი.
აი ვინ ვართ!
რა ვართ!
ჯიშით, მოდგმით, გენით.
ერთი საქართველო!
იმერ-ამიერი!
სამშობლოა ჩემი.

ერთიან საქართველოსი

ზარზმის ზმანების ზარი ვარ!
ხმა საქართველოს მდელოსი,
ჩემი სამშობლოს ლოცვა ვარ
ერთიან საქართველოსი.

მესხი ვარ, მესხის გული მაქვს,
ძარღვებს სისხლი სჩქეფს მესხების,
მშობელი მიწის ხნული ვარ!
ტოტი ვარ მუხის ფესვების.

რა არ მაქვს, შეხე რა არ მაქვს,
ცა, მიწა, ზღვა და მდინარე,
მე ჩანჩქერი ვარ ღვართ-ქაფი
ჭულეში ჩამომდინარე.

მე სიმღერა ვარ, ლექსი ვარ,
ძახილი მესხთა ლელოსი,
ერთიან საქართველოსი,
ერთ-მთლიან საქართველოსი.

ღმერთო, რა ბევრი მტერი გყავს

მხრებზე მასხია მთები და...
ციხენი ტანზე მაცვია
მოვდივარ ერუშეთიდან, –
სულთანს, რომ გაუტაცია.
– თვალ-უწვდენელი ველები, –
ავსილა სოსნის ფერებით
ტრამალში, გადაკარგულან
ბილიკნი ჭენებ-ჭენებით.
გული ასე არ მოკლულა,
სული ასე არ დამწვია,
აუ! რამდენი ხერთვისი,
თმოგვი, საფარა, ვარძია.
იმ ნამსხვრევებზე ვაბიჯებ
ოშკი რომ, დაულეწიათ
ღმერთო რა ბევრი მტერი
გყავს, –
პირწავარდნილი მხეცია.
ჩამოხევ-ჩამოფლეთიათ
ტაძრიონს უბე-კალთანი,
ჩაურაზ-ჩაუკეტიათ
ოშკი, ხახული, პარხალი;
მშველელი არვინ არ არი!
პატრონი არვინ არ არი!
ვინ მოუშუშებს ჭრილობას,
ვინ არის სულის ღადარის
განმკურნებელი დედაო –
გიყურებ, ვერა გხედაო,
ჩურჩულებ შენი კვნესა მე
ვინ დაგიბნელა მზედაო
– რა არ უქმნიათ სულმნათებს.
გადასარჩენად ერისა
მამულის, სარწმუნოების,..
და ღმერთებისა ენისა!
შეუკონ-შეუჭედიათ,
დიდ მესხებს, კლდეში
ტაძრები. –
უფლის ოცნება გგონია
ჩუქურთმა, ლოდზე ნადები.
– მანათობელი დაუდგამთ
ცაში ასული სულისა,
მხსნელისა კაცთმკურნალისა
ძისა უფლისა გულისა.
ოსტატნო! როგორ მოსჭერით
ჩუქურთმა არვის სადარი,
და დააკვდინეთ ზედ ფერი
ჩემი სამშობლოს სადარი.
ხუროთ-მოძღვარნო, რა
გენით,
ქმენით, უქმნელი ქმნილება!
ჩვენ თუ არა ვართ ღვთის
შვილნი
მაშ სიდან მოედინება...
სად არის ჩვენი სათავე
ქართველი ერის ნიჭისა.
თქვით! ყველა გზები
გვასწავლეთ
იქნება ვინმემ იცისა?!
სამყაროს მღაღადებელნო,
მეტყველნო დედა-ბუნების
შენ ხარ ვენახის გალობა
ლოცვა ექექის, ჭულევის
„დიდება მოთმინებასა“
ბაგრატოვანთა მთის წყარო. –
ერის განძო და ტკივილო
შატბერდო, ტბეთო, იშხანო,
„დიდება მოთმინებასა“
ქართულო, გულის ღადარო
უფლის წილხვედრო მამულო,
არსად არც ერთის სადარო.
იბადებოდნენ მღეროდნენ!
კვდებოდნენ, მაინც
მღეროდნენ!
შეურცხვეს ქართველს ულვაში
თუ ვეღარ შესძლებს
თქვენოდენს.
რომელ ერს ააქვს შამქორი
კრწანის-დიდგორი, მარაბდა,
სად დაწერილა ამ ქვეყნად
ვეფხის და მოყმის ბალადა.
ჩაკრულო, ღმერთო, სად
მღერის
ვინ არის ამის გამგონი,
ვინ არის ვინა ამ ქვეყნად
„ვეფხისტყაოსნის“ პატრონი.

ეს ყველამ უნდა იცოდეს

ეს ყველამ უნდა იცოდეს,
რომ საქართველო დიდია!
დიდია ქართვლით, კახეთით,
ფშავ-ხევსურეთით, თუშეთით,
დიდია რაჭით, ლეჩხუმით,
სამეგრელოთი, გურიით,
იმერეთით და სვანეთით,
აფხაზეთით და აჭარით,
ჯავახეთით და მესხეთით.
ეს ყველამ უნდა იცოდეს
ამერ-იმერი ერთია,
ზღვაში ჩადგმული წვეთია
და იქაც ერთად-ერთია.
„არავინ არ ჰყავს პატრონი
მისი პატრონი ღმერთია“.
მერე რა რომ წეწავენ,
მერე რა რომ ჰყიდიან,
მისი დიდების დიდება
ზენა ცას აუზიდია.
არა ყოფილა ჯაბანი,
არც მშვილდი მოსაზიდია.
არც თავის მოსაქიქია,
არც ხელის მოსაჭიდია,
დიდია თამარ ქალებით,
ქეთევანებით დიდია,
დიდია სალოცავებით,
ლოცვა-კურთხევით დიდია.
არა ჰყოლია უფალო,
ღვთისმშობლის მეტი მფარველი,
ის უფრო დიდზე დიდია
რო დარჩეს ერთი გოჯი და
რო დარჩეს ერთი მტკაველი.
დიდია სიგრძივ-განედით,
მზით, ვარსკვლავებით, მთვარეთი,
ზღვით, წყაროებით, მდინარით,
ლურჯი ცით მოკამკამეთი,
დიდია კრწანის-დიდგორით,
შამქორ, მარაბდით, მარტყოფით,
ვარძიით, თმოგვით, ხერთვისით,
რომ თვალოთ მაინც არ გვყოფნის.
იმაზე უფრო დიდია,
რასაცა ნატრობს დუშმანი,
რასაცა ფიქრობს ფლიდია
და შენაც, შენაც მკითხველო
და იმის იმან იმანაც,
ვინაც მოდიან-მიდიან!
მტერო ნუ გაგიკვირდება
არასდროს წაიქცევა და
არასდროს დანაწილდება.
უფლის წილ-ხვედრი მიწაა
ყველა ხართ ამის გამგონი,
ვეფხის და მოყმის შემქმნელი,
„ვეფხისტყაოსნის“ პატრონი.
აქ სხვანაირად იღვრება
ღვთისმშობლის კალთის წყალობა
აქ სხვანაირად გაისმის
„შენ ხარ ვენახის“ გალობა!
ეს ყველამ უნდა იცოდეთ
სხვა მოდგმა ჯიშის ერია,
სულ სხვანაირად ცეკვავენ!
სულ სხვანაირად მღერიან!
ეს ყველამ უნდა იცოდეთ,
ქართველი კაცის გმირობა
ზნე, ჩვეულება, ადათი,
გენი და გვარიშვილობა.
ყველა ვართ ქრისტეს მორწმუნე,
აქა, იქა გვყავს ჭრელია
ჩვენთან სტუმარი ღვთისაა,
სუყველა მასპინძელია.
ეს ყველამ უნდა იცოდეთ
ენა გვაქვს ფარნავაზისა
და კულტები ვართ ოდითგან

შვილის, დედის და ვაზისა.
ეს ყველამ უნდა იცოდეთ,
ბრძენმა, ბერმა და ყმაწვილმა
გმირმა, ქურდმა და როსკიპმა,
ვისაც მოუნდა გოლგოთა
ვისაც მოუნდა მთაწმინდა.
უფალი ყველას უყურებს,
უფალი ყველას მოჰკითხავს.
ეს ყველამ უნდა იცოდეს,
სახვნელ-სათესმაც, სამკალმაც.
ვარდების ფერთა დამღვრელმა
ოცდამეერთეს მაყარმაც!
ეს ყველამ უნდა იცოდეს,
რომ საქართველო დიდია,
არც თავის მოსაქიქია,
არც ხელის მოსაჭიდია,
არც მშვილდი მოსაზიდია.
მისი დიდების დიდება,
ზენა ცას აუზიდია,
ნურავის ნუ შეეშლება
ნურავინ ნუ გაკვირდება
„ნიკოფსით დარუბანდამდე“
იყო, არის და იქნება!

ხიზაბავრავ ლეგენდა ხარ

სამყინვაროს კაკაბია,
გნოლი ხმელ-ხევს კივისაო
აგერ! ჩემი ჩიხორიში, –
– აი, ჩემი ხვილიშაო.
ობლის ხევზე ფუტკარია,
თაფლი წვეთავს ივლისსაო,
გაშხლართულა წვერზე ვაკე
ნისლი აწევს დილისაო.
სატაცური, ატაცულა,
ხარ-ირემი ყვირისაო!
„რა კარგი ხარ ჩიხორიშო
არ გერიოს ხვილიშაო“.
ვენახებში დარანია –
საწურავი ღვინისაო,
იღვენთება, დალოცვილი,
ტუჩ-დამსკდარი ხიხვისაო.
ხიზაბავრავ ლეგენდა ხარ
ჭირისა და ლხინისაო
„რა კარგი ხარ ჩიხორიშო
არ გერიოს ხვილიშაო“.



ვაჟა სამსონიძე (სამცხელი) – პოეტი
დაბადების ადგილი – ქ. ახალციხე

მიწა არს ღმერთი!

„მიწა არს ღმერთი, იწამეთ მიწა!“
მესხეთის დრამატული თეატრის
სპექტაკლიდან „თედორე“

რაც დავიბადე,
რაც თავი მახსოვს,
ამ მთებს შევყურებ ხავერდით ნაქსოვს,
ვისმენ მტკვრის დუდუნს,
ფოცხოვის ჩხრიალს,
ამ ბაღთა ჩურჩულს,
ამ ტყეთა შრიალს, –
ზოგან წიწვიანს, ზოგან არყიანს...
სამშობლოს გარეთ არარა ჰყრია! –
ჩემი უდაბნო მიჯობს სხვის წალკოტს,
ჩემი კლდეები – სხვის ცათამბჯენებს;
ამ მიწის მიღმა სულს ვერ გავართობ, –
აქ უცხოვრიათ მამა-პაპათა,
მმუსვრელებს მტერთა, ფლიდთა, მზაკვართა;
აქ უმღერია დედას აკვანთან...
ვერა, ვერ წავშლი მე მათ გზა-კვალთა! –
აქ ჩვენი ენა ამაღლებულა,
აქ ჩვენი სისხლი გალაღებულა,
აქ ჩვენი მტერი წყალწაღებულა...
„მიწა არს ღმერთი!
იწამეთ მიწა!..“

სიმღერა საქართველოზე

ო, როგორ არ მოგეფერო,
საქართველოს მთა და ბარო, –
საბაღევ და სავენახევ,
გაზაფხულო დაუმჭკნარო!

ლექსი როგორ დავუშუროთ
მესხეთს, კოლხეთს, ქართლს ან
კახეთს...
ო, რამდენი გვიბრძოლია
და რა მტრები გადავლახეთ!..

საქართველოს ზღვისპირეთო,
მთხოვე, მზად ვარ, რაც ინებო,–
ჩაისა და ციტრუსების
აქოჩრილო ნაპირებო, –
თქვენი დამყვა სიყვარული,
ლექსი გრძნობადათაფლული, –
ასე დავალ მოხიბლული
საქართველოს გაზაფხულით!..

* * *

ათასგზის დასეტყვილს, ათასგზის ნამეხარს
ღირსეულს რას ეტყვი – ეს გქონდეს ვალად:
ადიდე მესხეთი, თავისი მესხებით
გულოვან ლექსებით – თუ შეგწევს ძალა!

მიყვარს მესხეთი

ვუძღვნი ამ ლექსის დეკლამატორ ზაალ სამსონიძის ხსოვნას

მიყვარს მესხეთი, ვეტრფი ამ მთა-ველს,
აქ რომ ზეცაა, აქ რომ სერია...
აქ ხომ რუსთაველს, ჭაბუკ რუსთაველს
დიდ სიყვარულზე დაუმღერია!

გული დამყვება გრძნობებით სავსე,
არ მწამს ოდესმე თუ მეც მოვკვდები, –
ყოველ ხევში თუ ყოველ კლდის თავზე
ზეაღმართულან ციხე-კოშკები!..

მე აქ ამ მხარის მთა-ხევ-ქვაბები
სულ მარტოდმარტო ფეხით მივლია;
მშობელ მხარეზე ასე გაბედვით
ლექსი არ ვწერო, არ შემიძლია!

დილაა... გახეთ სამხრეთის ქედებს,
მზემ მთებს მოავლო ოქროს არშია, –
მარტო ეს მთები დამიჩრდილავენ
მთელ სილამაზეს, რაც რომ ბარშია!

ამ მიდამოშიც დილის ცვარ-ნამი
მარგალიტებად მიმობნეულა...
ბაღში ნესტანი მიდის ნარნარით,
მიდის, მიღელავს ტანდარხეულად...

მე ხომ ვარძიაც ბევრჯერ მინახავს,
არც ვარ მძებნელი ძვირფას სამარის,
რადგან კვლავ მეფობს, კვლავ მესხეთშია,
კვლავ ჩვენთან არის ჩვენი თამარი!..

მწვანექოჩრიან მთის უბეებში
კვლავ იხსნებიან ტაძართ კარები, –
ზესიამაყით, დინჯი ღიმილით
გვეგებებიან ოპიზარები!..

იშხანი, ხანძთა, ოშკი, ხახული,
შატბერდი, ბანა... და სხვა მრავალი, –
ქართველს ქართული არ მაქვს ნახული
და ვწუხვარ მათთან ფიქრით მავალი.

რაბათი მაინც კვლავ მეციხოვნებს,
თმოგვს, ხერთვისს შვენის მხედრის ფარაჯა;
კვლავ მაწყვერელობს ძველი აწყური,
ახალ დროებას უდგას დარაჯად!

დროჟამს თორნიკეც დაუთოვლია,
მისი კვლავ ისმის ხმა სიმართლისა, –
თუმც მთაწმინდელთა გზას გაჰყოლია,
კვლავ შესწევს ძალა, ნიჭი სარდლისა!

შალვას, ივანეს და ზაქარიას
ხმლით დაუსერავთ დიდი ერანიც;
დამწვარ ტრამალებს დღესაც ატყვია
ნაფლოქვარები მათი მერანის!

მარტყოფით მოქრის ლომი გიორგი,
ხმალი დუშმანზე აქაც გასინჯა...
კაცი, ხმალკაცი ყველგან მიმორბის,
მეფურ დაჰყურებს მაღლით ასპინძას!..

შინა თუ გარეთ, სადაც ვიარეთ,
ბრძოლის, შენების თან გვდევს სახელი;
სამცხევ, იყავი, ხარ და იქნები
მრავალ დროთაგან დაუძრახველი!

მე აქ შობილი აქვე დავრჩები,
ახალი ქვეყნის ზღვართან, ტიხართან;
შენთვის ვიგალობ, შენთვის დავშრები,
გეტყვი: მესხეთო, მსურხარ, მიყვარხარ!

რად არ მიყვარდეს მხარე გმირების,
რად არ მიყვარდეს მიწა მესხისა! –
ამ სიყვარულით გავიგმირები,
ვერას დამაკლებს მტრობა მე სხვისა!

ჩემი ლექსებით ვერ გაოცდებით,
დიდი სიმღერა მაინც მწყურია, –
რადგან აქ იშვნენ ბრძენნი, მგოსნები...
აქ ყოველივე პოეტურია!..

ჩემი ელადა

„მესხეთი ქართველებისათვის სწავლა-განათლების საქმეში ის არის, რაც საბერძნეთი კაცობრიობისათვის“

აკად. მოსე ჯანაშვილი

კვლავ აელვარდა ჩემი ელადა
თავისი ხალხის ნიჭით, სიუხვით...
ამდევნებიხართ, მესხნო, მე ლანდად
თქვენი ველ-მინდვრით,
მთით და ჭიუხით...

მე თქვენ მახსოვხართ! –
ვით ტკბილ სახსოვარს,
ვიგონებ იმ თქვენს სიმხნე-სიქველეს;
მზემ ყვავილები გადმომათოვა,
ამაბობოქრა,
ვეღარ ვისვენებ:

ვარ შეჯავშნული თმოგვით, ვარძიით,
ამაღლებული – ზარზმით, საფარით;
ვდგავარ კლდის თავზე, როგორც არწივი,
დიდი რუსთველის ნამოწაფარი!

ასე ვიმღერებ, ალბათ, ბოლომდე,
ვიდრე „წყალთაგან ქვანიც გამოსხდეს“...
ღმერთო, მოხედე,
არვის ჰმონებდეს
შენი წილხვედრი – ჩემი სამოთხე!

* * *

ვაჟა მზის შუქია,
მხნე და მამაცია;
ხან რა პირქუშია,
ხანაც რა ნაზია!

ვაჟა ათლეტია,
ვეფხვი – გავაზია;
ჩოხა დაფლეთია,
მაინც ლამაზია!..

ეღირსებაო ლუხუმსა?!..

„კამეჩი წევს და იცოხნის,
თავის ამინდი ჰგონია“...
იქნება მართლაც ასეა,
სხვაგვარად რატომ გგონიათ?...

„გადი, გამოდი, გუთანო,
ღირღიტავ, ბანი უთხარო“...
ის კი არ არის ბიჭობა,
ქვეყანას ძირი უთხარო!

„მთაწმინდა ჩაფიქრებულა,
ისმენს დუდუნსა მტკვრისასა“...
ილია მართლის სახელით
საქმეს რადა ვიქმთ მტრისასა?

„სამშობლო, დედის ძუძუი
არ გაიცვლების სხვაზედა“
ვამბობთ და ამ შეგონებას
მაინც გავურბით განზედა!

„სადილობიდან სამხრამდინ
დავით აიღო ქალაქი“,
ჩვენ კი რით ვგავართ წინაპარს,
მე მგონი, ბევრით არაფრით!

„ერთმანეთისა ბაძვითა
სახლი აივსო ნაგვითა“,
თუ გონს არ მოვალთ – სხვა მოვა
და ნაგვიანად გაგვიტანს!

ახლა კი, ისევ ვკითხულობ
(დაგვღუპავს განზე გადგომა!):
ეღირსებაო ლუხუმსა
ლაშარის გორზე შადგომა?!“

* * *

საქართველოს

ვაჟა-ფშაველამ შენ შეგწირა დრო და საათი
შენს დიდებაში თავისი დღე მოჰკლა, გალია, –
შენ კი, დაღამდი, ერთი ჩოხაც ვერ გადააცვი,
ჰაუ, ძვირფასო, ეგ რარიგი სამართალია?!.

ავტოპორტრეტი

ხან დინჯი, წყნარი,
ბრძენთ მიმბაძველი,
დიდ წინაპართა ხან მოთაყვანე, –
გულს უხატია აწმყო და ძველი,
არ გამოილევს ლექსის საფანელს.

ხან გახელდება, ვით შავი ზეცა,
მზემ,
ზღვამ,
ხმელეთმა თითქოს დალეწა...
დაუცდა ფეხი,
ადგა,
დაეცა...
და ლამაზ თვალებს ვერსად გაექცა!

ეტრფის ველ-მინდვრებს,
მთა-ხევ-მდინარეს,
უყვარს ქალაქიც, დაბა-სოფელიც, –
ყველგან ქართველი შუქმომფინარე,
ცხელი გულივით განუყოფელი!..

გურჯიბოღაზამდე

ნაბრძოლ-ნაჯაფარნი დრონი რო დაზავდნენ,
მიწა ჩამომგლიჯეს გურჯიბოღაზამდე, –
ასე გავიწირე ბედით უკუღმართით,
ასე დამიობლეს ჩემი ზემო ქართლი!

იცით – მე ჩემს მოდგმას აჩრდილივით თანვდევ,
ევფრატიდან დაძრულს, მოსულს თვით მცხეთამდე, –
მაგრამ იმას ვწუხვარ, მხოლოდ იმას ვდავობ,
რომ ხმას ვეღარ ვაწვდი კლარჯეთსა და ტაოს!

უპატრონოდ დამრჩა ძეგლთა ოაზისი,
მისი ტკბილქართული თითქმის აღარც ისმის, –
ბინდი მორევია აქ რუსთველის ენას,
ფრთები შემსხვრევია იმ ძველ აღმაფრენას!

თუმც ვეღარას ვშველი, ვეკედლები იმედს
და ჯიუტად ვწელავ რწმენის ჩანგზე სიმებს;
ჰეი, ჩემო სამცხევ, როგორ იტან ამდენს,
რომ მხრებს ვეღარა შლი გურჯიბოღაზამდე!..

ვაჟა-ილია-აკაკის

(ჩემს პატარა შვილიშვილებს)

ვაჟა, ილია, აკაკი
მოდიან წყაროს რაკრაკით,
წყაროს წყალივით ბიჭებით,
ვიცი, რომ არ ჩავიჭრები, –

გამიმართლებენ მოლოდინს
მკვირცხლნი, თევზივით სწრაფები...

მინდა გავშალო ბოლომდის
ახალ ცხოვრების აფრები.

ხმა მესმის ზღაპრულ სიმების
და არ მაშინებს ასაკი,
რადგან მაქვს რწმენა, იმედი
ვაჟა-ილია-აკაკის!..

ქართული პოეზიის ტარიელი „მეცხრამეტე საუკუნის ბუმბერაზებს შორის გამოირჩევა მთის არწივი ვაჟა-ფშაველა, რომლის სახელი საქართველოს ფარგლებმა ვერ დაიტიეს“...

აკადემიკოსი აკაკი შანიძე

ვაჟა-ფშაველას
100 წლისთავზე თქმული

ბევრჯერ ავლიე მთაწმინდა
მუხლში მთის ძალის მოდებით,
ჩოქით ვსდექ წმინდა საფლავთან, –
მკერდს გიმშვენებდნენ ლოდები!

ეს ის ლოდია, მგოსანო,
ლექსს რომ გასძახდი მეხურად;
ის მთაა, შენ რომ, ფრთოსანო,
ქარ-ცეცხლში ნაბდად გეხურა!

წუთით გახედე მყინვარეთს,
ლაჟვარდში აშლილს ზვირთებად;
მამული პირმოცინარე
შენს სადიდებლად ირთვება!

როგორ უხდებათ ბაღნარებს
მთის ლექსთა ასიმღერება, –
მტკვარიც ხომ მას იმეორებს,
მდინარი ტალღა-სერებად.

შენი უჭკნობი დიდება –
ლექსი ამ მთებსაც ესხურა...
მიყვარს ლექსთ გამოკიდება,
როს გიძღვნი ფშაურ-მესხურად!

ვაჟავ, არწივო მთებისა,
მთის ვარდნილ წყალთა სილაღევ, –
მამულს ვარდობა ეღირსა,
შენ მთისებრ მუდამ იმაღლებ!..

ქართული პოეზიის ტარიელი „მეცხრამეტე საუკუნის ბუმბერაზებს შორის გამოირჩევა მთის არწივი ვაჟა-ფშაველა, რომლის სახელი საქართველოს ფარგლებმა ვერ დაიტიეს“...

აკადემიკოსი აკაკი შანიძე

ვაჟა-ფშაველას
100 წლისთავზე თქმული

ბევრჯერ ავლიე მთაწმინდა
მუხლში მთის ძალის მოდებით,
ჩოქით ვსდექ წმინდა საფლავთან, –
მკერდს გიმშვენებდნენ ლოდები!

ეს ის ლოდია, მგოსანო,
ლექსს რომ გასძახდი მეხურად;
ის მთაა, შენ რომ, ფრთოსანო,
ქარ-ცეცხლში ნაბდად გეხურა!

წუთით გახედე მყინვარეთს,
ლაჟვარდში აშლილს ზვირთებად;
მამული პირმოცინარე
შენს სადიდებლად ირთვება!

როგორ უხდებათ ბაღნარებს
მთის ლექსთა ასიმღერება, –
მტკვარიც ხომ მას იმეორებს,
მდინარი ტალღა-სერებად.

შენი უჭკნობი დიდება –
ლექსი ამ მთებსაც ესხურა...
მიყვარს ლექსთ გამოკიდება,
როს გიძღვნი ფშაურ-მესხურად!

ვაჟავ, არწივო მთებისა,
მთის ვარდნილ წყალთა სილაღევ, –
მამულს ვარდობა ეღირსა,
შენ მთისებრ მუდამ იმაღლებ!..

დგას წიწვნარეთში თეთრი ტაძარი

დიდთა, სწავლულთა, მხატვართ, მგოსანთა
ნიჭს რომ დიდების შუქით მოსავდა, –
იყო იყალთო
იყო გელათი! –
„ათინას მჯობნი“ თითქმის ყველაფრით.
მაგრამ ეს იყო დავითის დროში,
ეს იყო შოთას, თამარის დროში,
ძველი ცხოვრების ბრწყინვალე დრო-ჟამს,
როს გამარჯვების გვფარავდა დროშა!
ვრთავდით ქვეყანას ნაირ-ნაირი
ფრესკით, ჩუქურთმით, ლექსით, შაირით...
მერე კი, თავის ველურ უფლებით
ყოვლგნით გამოტყვრნენ შავი ღრუბლები, –
მზის და მშვიდობის ყველა სიკეთეს
ყველა გზა-კარი გადაუკეტეს –
დაცხრა იყალთო,
სდუმდა გელათი, –
ვერ აღვადგინეთ დიდხანს ვერაფრით.
მაგრამ ვერც მტრობამ
ვერც ბნელმა ღამემ
ვერ დაუბინდა ქართველს იმედი;
ბრძოლის, შენების ვითვლიდით წამებს
და ბოლოს მაინც მზესთან მივედით!
დგას წიწვნარეთში თეთრი ტაძარი
გაბრწყინებული სახით, იერით;
იმის შეგრძნებით, იგი რაც არი,
ხდები ამაყი და სულძლიერი.
აქ მისწავლია...
მეთქმის მადლობა,
აქ ნახულს, განცდილს გული ვერც იტევს;
სიცოცხლით სავსე ახალგაზრდობა
შემოხვევია უნივერსიტეტს.
აზრთა სამყარო ყოვლისშემძლები
ამაღლებულა, როგორც ოცნება
და მიტომ მისი თეთრი კედლები
წრფელი ამბორით დაიკოცნება.
მას შემოეტრფის ყველა ქართველი,
ცოდნის მძებნელი, დაუდეგარი, –
შუქად ჰფენია, როგორც სანთელი,
დიდი ივანეს ნამოქმედარი!..
კვლავაც იმრავლოს მისმა სახელმა,
ლამაზ ფიქრს, სურვილს გული ვერც იტევს, –
ვამბობ და ამ თქმას აჰყვება ღელვად:
სალამი დედა-უნივერსიტეტს!..

* * *

გრძნობავ, დაძრულო კვლავაც ზვირთებად,
მტკვარზე დაეშვი ვიწრო ბილიკით;
მთებო, ვიცი, არ გაგიკვირდებათ,
ასე რად უყვარს სამცხელს თბილისი!

გულო, მტკვრის ტალღებს მივყვეთ, მივბარდეთ,
ციხევ აწყურის, ნუმც გვეფიქრები...
ბორჯომის ტყეში გავუჩინარდეთ,
ვით სატრფოს თმებში – თოვლის ფიფქები.

ჩოქით მოვლიოთ ქართლის ველები,
ბაღი დავლოცოთ ამაყ გორისა;
გარს სვეტიცხოველს შემოვევლებით,
ღირსეულს ქების და ამბორისა.

აი თბილისიც – ჩვენი დიდება,
აჰა მთაწმინდაც ტატოს ბილიკით...
სამცხევ, ვიცი, არ გაგიკვირდება,
ასე რად უყვარს სამცხელს თბილისი!..

პირველი ლექსი

ილია ჭავჭავაძის „ყვარლის მთების“ მოტივზე

სამშობლოს მთებო, უკვდავებო,
ცამდის შეზრდილნო,
თქვენი სინაზე, სილამაზე გულს ჩამესახა, –
მინდოდა თქვენი მწვერვალების
კალმით დაპყრობა,
რომ გამარჯვება მგოსნებისთვის გადმომეძახა!

როგორ გამშვენებს მზე-სხივოსანს
ბაღი და მდელო,
ზურმუხტოვანო ჩემი მთიდან ჩემსავ ბარამდი...
შენს ხმაზე ვმღერი მე სიმღერას,
ჰე, საქართველოვ,
განუყოფელო, როგორც გული,
ჯუბოს კარამდი!..



ვახტანგ მელიქიძე – ფილოლოგი, პოეტი

* * *

მახსოვს ის დღე, აბასთუმნის
ნაცვარევი
ზეცა,
დაღამება,
ვარსკვლავებზე
მონადირე მთვარე,
მე უსიტყვოდ
მიგამსგავსე
შავთვალება
მერცხალს,
მოვა და კვლავ გაფრინდება,
ჩემთვის უცხო მხარეს.

* * *

მსაყვედურობ,
მეუბნები:
რაც მოხდა, –
არა თქვა!
– რა ვქნა, თუკი
შემიყვარდი,
მიყვარხარ და
რა ვქნა?!
– სიყვარულს რომ
ფარვა უნდა,
შენც ხომ იცი?!
– დიახ, უნდა...
აბა რა?!

* * *

დიდო პაოლო,
ბრძენო ტიციან!
რა ცეცხლი
გინთიათ რა?!
რა გზებით
გივლიათ,
რა გზნებით
გიქმნიათ....
ეჰ, რა გიმკიათ
რა?!
სად რა ხდებოდა,
ვის რა ხვდებოდა,
ან კი რად
ხვდებოდა
რად?!–
– არც მაშინ
იცოდნენ,
არც ახლა
იციან,
ან იციან
და რა?!

მონატრება

შენს სიყვარულს
ვერაფერი წაშლის,
შენს ნათებას
რა ჩააქრობს ნეტავ?!
მე შენს ლეჩაქს
ზენაქარში გაშლილი
ვლოცულობ და
სიზმარშიაც ვხედავ!
დათაკრულა წლები
მოგონებად,
ქვეშა ჭალას
დასწოლია ნისლი,
რა ვუშველოთ
ჯავახეთის ზეგანს,
რა ვუშველოთ
გულს დაკოდილს
მისით?!
ვერნისტანზე
კვლავ თუ
დაჰქრის ქარი,
თეთრკარკლებთან
თუ სძოვს ცხვარი
ნეტავ?!
სკოლის ზარი,
როგორც ტკბილი
ქნარი,
შენს სახებას
მაგონებენ დედა!
ჩვენს გვერდაზე თუ
აძოვენ ნახირს,
ყვავილები თუ
იშლება ისევ,
ზენა ქარი ღრუბლებს
როცა აშლის,
კვლავ თუ მღერის
მთებში სიო ისევ?!
მე შენთან ვარ,
შენში ვსახლობ
მარად!
შენ კი ჩემი არსობის
ხარ ღმერთი.
თუ დაგჭირდე,
მომიხმარე ფარად,
შენ გეკუთვნი
ჭკვიანიც და შეთიც!

გამოსათხოვარი

– დრო მოსულა
ჩემი წასვლის,
უნდა წავიდე!
ამაზე ფიქრს
მოანდომა
ბარე სამი თვე!
– ეს კარები
გავიხურო,
უხმოდ გავიდეს,
ხელს თუ რამე
გავატანო,
ხელი გამიხმეს!
– არა, მე არ
მეხუმრება,
თუ კი გამიგებთ!
– როცა მსურდა არ
მქონია,
ეს ვერ შევიძელ...
ახლა თუნდაც
ზღვა მაჩუქონ,
ოქრო მაწვიმდეს,
ყოველივეს ზურგს
შევაქცევ,
ხანძარს გავუჩენ,
ამენ რომ არავინ
შეწუხდა და
არვინ დამცირდეს!
დრო მოსულა ჩემი
წასვლის
უნდა წავიდე!

გული

სადღაც გაჩერდება
გული,
სადღაც მეტყვის
იგი
უარს.
მოხდება
სასწაული?!
მოსასვლელს
ვევედრები
უფალს!
ო, როგორ
მემსახურა
დღემდე,
მწვავდა და
იწვოდა
თავად,
იღვაწა, იშრომა
და შემდეგ
წავიდა, გამშორდა
წყნარად.
სადღაც გაჩერდება
გული,
სადღაც მეტყვის
იგი უარს,
რა არის აქ
სასწაული?!
ასე სურს ჩვენს
გამჩენ უფალს!
ვიღაცა სიცოცხლეს
ძერწავს,
ვიღაცას ართმევენ
მასვე,
მწამს და ეს მუდამ
მჯერა,
რომ ერთი მეორეს
ავსებს!

წყურვილი

ქლიავისფერ თვალები
თუ იისფერი ტბა?!
ვარდებში ბროლის
რაზმი და
სადაფისფერი ცა,
მკერდი– სპეტაკი,
ფიქალი...
ლაღ ოცნებათა
ზღავა...

– ორი მნათობის
სამყარო,
ორი მნათობის
ხმა!
– მე რას მიპირებ?!
– მითხარი,
სხვამ, რაც უნდა
ის თქვას!
ცხადი იყო თუ
სიზმარი?
– ვეღარ გავედი თავს!
უწყლოს მწყურია,
კარგს იზამ,
თუკი შემასმევ წყალს!
იფიქრე, ჩემო
ცისმნათო
და დამაწიე ხმა.

* * *

შევინარჩუნოთ
საქართველო,
ქართული, თორემ
საკუთარ სახეს
დავკარგავთ და
გავსხვაკაცდებით,
უფრო მრისხანეს
მოგვაგონებს
– წარსული შორეთს
მშობლიური კი მუდამ
გვზრდიდა
მებრძოლს და
მშრომელს!
მერე რაა, რომ ვერ
დავაღწიეთ ახლაც
თავი
მტარვალს და
ოხერს!

* * *

ის ლამაზი წარსული;
ტკბილითა და
მწარითა,
იყო რაღაც ზღაპრული,
რასაც ვერ ვთმობ
წამითაც,
რაც ჯერ კიდევ არ
ქრება,
რაც ჯერ კიდევ არ
მითქვმს,
მაისად რომ მესტუმრა,
მაისად რომ მაწვიმდა,
შემდეგ ფრთები
გაშალა,
– მერცხალივით
გაფრინდა!

* * *

ვალი და
– მოვალეობა

რომ ჩვენი
ქვეყნის
ვჭედავდეთ
დიდებას,
ამას ვინატრი
ყოველ ხანიერ,
თუმც სიკვდილამდე
კიდევ შორია,
ზოგჯერ მსურს,
მოვკვდე
ყველას მაგიერ!

ოცნება

ვიცი, რომ ცრემლით
თბილით და მწველით
შენ დამიტირებ
ჩემო ასულო!
და გულით მთელით,
და სიტყვით წრფელით
შემამკობ ჩემო
სიდის– ნამუსო!
ვინატრი, მხოლოდ,
ალბათ, მიუღწევია,
რომ ისე ნელა
დავხუჭო თვალი!
თუ ეს ოცნება
გამჩენს მიაღწევს,
წამით მანახოს
ის გლოვის ზარი!

მოციქულთა სწორს

წმინდა ნინოს

როცა ქვეყნად:
შუკებსა და სახლსა
შინა,
ჩაუქრობლად
წარმართობის
ცეცხლი წვიმდა,
მარიამის წილხვედრ
მხარეს – წმინდა მიწას,
ღვთისმმოსავი
წმინდა ნინო
მოევლინა!
ნინო ერქვა, როცა
მიწას ქართლოსისას
ფეხშიშველამ ფეხი
კრძალვით დააბიჯა;
შემდეგ საქმით,
დიდი საქმით,
რაც მან იქმნა,
წმინდა ნინო შეუწონა
ერმა სხივმნათს!

ამონარიდი

ილიას „აჩრდილის“
მონოლოგიდან...

მე წიწამურთან
რაღაც დავკარგე,
და იქვე აღვსდექ
ჯვარზე გაკრული!
ის, ვინც მიმიხვდა
მაშინ საწადელს,
მასაც სტანჯავდა
ბედი მაცდური!
– მე წიწამურთან
გზად შემაჩერეს,
დრო შეაჩერეს
და მე კი არა,
განმგე, ციერი
მას შეაჩვენებს,
ჩემს გამართლებდ
ესეც კი კმარა!
მე წიწამურთან
კი არ მოვმკვდარვარ,
ბერდანის ტყვიამ
როდი გამწირა,
როგორც ცთომილი
სივრცეს მოვმწყდარვარ,
დედასამშობლოს
წვიმამ ვაწვიმავარ!

ვალი სიყვარულისა

მე ვალს ვუხდი
სიყვარულს
ამ პატარა
ფურცლებით,
გაუხუნარ სიხარულს
შევრჩი ასე უცვლელი,
დავალ და დავატარებ,
არასოდეს ვიღლები.
მე ამ განცდებს
სანატრელს
ვუძღვენ ტკბილი
ფიქრები!
ასე ჩამოეცალა
კრიალოსანს მძივები,
თუ დრომ არ
დამაცალა
და მე აღარ ვიქნები,
ამ ლექსით
გამიხსენეთ,
მუდამ თქვენთან
ვიქნები.

* * *

როცა ლექსზე
ვფიქრობ

როცა ლექსზე
ვფიქრობ,
ლექსის ბედზე
ვფიქრობ,
მე ამ ფიქრით
თითქოს
გულში ტკივილს
ვიქრობ,
როცა ტკივილს
ვიქრობ ,
ყველა ფიქრზე
მეტად
ლექსზე ფიქრი
მიხმობს!
რადგან ლექსზე
ვფიქრობ,
გულს ამ ლექსით
ვითბობ,
საწუხარიცა მაქვს,
არ მსურს,
მაგრამ ვფიცხობ.
როცა ლექსი
ჩემი
ჩემს საფიქრალს
იძმობს,
ლექსის ცეცხლი
დამწვავს,
და ამიხდენს
ნატვრას
სიკვდილი თუ
დამწვდა
ჩვეულებრივ
მოკვდავს,
დაე, მოვკვდე
ოღონდ
ლექსზე ფიქრმა
მომკლას!

მუზას

ბგერა– ბგერა,
 მაცვალ– მარცვალ
ხან მშლი, ხან კი
 მაერთებ:
– ხან მაცინებ,
 ხან მატირებ,
ხან ცერებზე
 მაცეკვებ,
მე შენ ხელში,
 ღმერთო,ჩემო,
 ვგავარ უცხო
 ნაერთებს!
– მართალს ვამბობ,
 დამიჯერე,
არაფერს არ ვამეტებ!

– ეს ყოფილა, შენი
 ჯიშის
მკაცრი ფილოსოფია:
– რუსთაველი სად
 განდევნე,
– გალაკტიონს რა
 უყავ,
მთის არწივს რა
 დააწი,
ან კი ხევის
 ბეთჰოვენს, –
ტატოს რაღა ბრალი
 ჰქონდა –
პოეზიის ჯდოქარს?!
აბა, მაშინ მე რაღა
 ვთქვა?!
ისინი ვინ!!! მე ვინა?!
პოეზიის იმ
 ღმერთკაცთა
შენ უწყობდა
 აღსასრულს:
როგორც გსურდა,
 სადაც გსურდა
კურიოზულს,
 დანავსულს:
იმათ გვერდით მე
ვინა ვარ?! რა–
ღირსი ვარ მე მათი?!
“ ათჯერ მოსვლა
 არ მეყოფა,
რომ მივიდე
 მათამდის”.
არა, მაინც
 ვიცოდვილებ
ჭიანჭველას არაკით,
რომ მეცა ვთქვა
ორი სიტყვა –
 ჩემეული
 სავალ გზით!

ჩემი საგალობელი

მზე ჩადის, მზე
კვლავ
 ამოვა,
არ შეყვარება
წამითაც,
მეც მზის
კვალდაკვალ
 წამოვალ,
გზა დამილოცეთ,
 ოღონდაც,
სხვა საჩუქარი არ
 მინდა.
 მზე ჩადის, მზე
კვლავ
 ამოვა,
მაცოცხლებელი
 ყოვლისა,
თუ მზეს არა სურს,
 არ მოვა,
სარჩო –
სამყოფო
 სოფლისა...
მზე არის
 მაცოცხლებელი
სათავე არსად
არსისა,
დამდები კანონისა
და
მოწყალე
 ცოდვა– მადლისა.
თუ ის არ
 ამობრწყინდება,
არა ღირს ყოფნა
 კაცისა,
მზე ჩადის, მზე
კვლავ
 ამოვა,
მზე ჩემიცა და
შენიცა.
მზეს გაუმარჯოს
 საფიცარს,
მმუსრავი არის
 ბნელისა!

ვახტანგ მელიქიძის ლექსები

რა გზებით გვივლია

– დააფასეთ
ქართველებო,
ჯავახეთის ჯავახი...
ჯიშით, მოდგმით, ენით,
რწმენით,
მრწამსითა და
ადათით,
რომ გაუძლო ათასეულ
– წელთა რისხვას
ბობოქარს...
ჰკლავდნენ,
სწვავდნენ,
გლეჯდნენ,
ხრავდნენ,
ჰყრიდნენ,
სცვლიდნენ და...
მაინც...
ვერ შეცვალეს,
ვერ გარდაქმნეს,
ვერა ძალით ვერას
გზით!
ართმევდნენ და ვერ
წაართვეს
ყველაფერზე
ძვირფასი...
სადაც ცხოვრობს,
რითაც ცოცხლობს, –
საფიცარი მთა– ველით,
ქრისტეს მცნებით,
წმინდა ჯვრით
და ყველაფრით რაცა
ვთქვი,

და რაც არ ვთქვი–
– იმითაც : –
ბრძოლით, შრომით,
სისხლით, ოფლით –
იმითაც და ამითაც...
– ვინც, რომ შესძლო
და რწმენისთვის
ყველაფერი
გასწირა!
ეწამა და ცხელი
სისხლი
ამ მიწაზე აწვიმა...
სამი რამის საზღაურის
ხმალს იქნევდა
გმირულად...
– კიდევ ჰქონდა უცხო,
რაღაც, –
– უხილავი თილისმა,
რაც სხვებისგან
განარჩევდა
ამითაც და იმითაც....
– ამის შემდეგ
ჯავახობით
ნუ ხართ ჩემი
მძრახველი...
– ვინც მინდოდა
იმად დავრჩი,
ამ გვარით,
ამ სახელით!

მერაბ ბერიძე – დიდი მესხი
ახალციხის და ასპინძის საპატიო მოქალაქე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დამფუძნებელი, პროფესორი

გაზაფხულამდე

მინდა უაზროდ ვვლო და
ვერიდო ცაში ცქერას,
ვიცი, სულ მალე სულში
ქარბუქი დაუბერავს.
ვიცი, მოვიწყენ ისევ
შემოდგომურა ტყეზე,
რა ჩიტის გული ჰქონდა,
იტყვიან, ალბათ, ჩემზე.
ისევ შევყვები ხევებს,
ლიკლიკა წყაროს პირებს,
ავედევნები ნიავს,
შვლის ნუკრთან დავიძინებ.
სიზმარში პეპლებს ვნახავ,
ციცინათელებს ვეტრფი,
ჭიამაიას ვუქშევ,
რომ არ დავადგა ტერფი.
ასკილს და კუნელს შევთხოვ,
გამომაზამთრონ მადლით,
ვემშვიდობები ზაფხულს,
წლებს გაზაფხულზე დავთვლი...
რაო, არ გჯერათ ვინმეს,
მიწა დედაა ჩვენი,
მიწის შვილობა მინდა,
ცას მიტომ დავეხსენი.

სლესის ციხესთან

სლესის ციხესთან დამათენდა ნისლების ჩრდილში,
მოქცევთან ვხვრიპე წყალი ჩემი, ნაკალმახარი,
კოშკებს ავხედე, დავითრგუნე, თრგუნვა რაც არი,
ვიდექი, როგოც სამცხის გულში მტკვარი შემდგარი.

ვიდექ, ვიძლიე, უმთენაროდ დილა დამეწვა,
დალეწილ კედლებს თანაუგრძნობს ლანდი აწყურის.
პირუბანელი, მურიანი მზეც კი დაბერწდა,
რიჟრაჟის პირზე დაუკარგავს ვაზის ნაჟური.

კაკლის ტოტებში გახლართულა დილა ცრიატი,
ჩემივე კივილს დასწევია შორი ძახილი,
ამ ოხრობაში მჭირს ტკივილი იმ განთიადის,
კახპა ქალივით, რომ დამდგარა კაბა გახდილი.

P.S. რად მებუტები სლესის ციხის მძიმე ქონგურო,
რად დამიმალე საკუთარი შენი ნისლები,
ძალიანა გთხოვ, ამ სისხამზე არ დამემდურო,
ჩემი დასჯისთვის ასე მკაცრად ნუ გაირჯები.

შენთან მომყავდა დილის მზისთვის შესავედრებლად
ვარსკვლავეთისთვის წილნაყარი გზის ანგელოზი,
ურა კვიცებით მოვდიოდით მარად მხედრებად,
ფიქრი მოგვდევდა გარდასული საქართველოსი.

მაინც ვერა ვთქვი სათქმელი

ვარძიას ვანთე სანთელი,
ვანის ქვაბებში ვილოცე,
კუმურდოს მადლი ვიწიე,
ვაქე მაცხოვრის სინორჩე.
წყაროსთავს ძალა შევთხოვე,
ფოკას დავკოცნე ნინოს გზა,
საღამოს სამთა ტაძართა
ვუპნიე ველის მიმოზა.
სათხის ტაძარზე ნათალი,
უცხო დამცქერის ლოდები,
ბურნაშეთ-სამსრის სალოცავთ
ახლავთ წინაპართ გოდება.
ღრტილას ხანძთელმა დამლოცა,
არსენს უკურთხა საფარა,
ლაშა-გიორგი ბარალეთს
თვით დანთებია ლამპარად,
მაინც ვერა ვთქვი სათქმელი,
ღმერთმა მქნა მიუსაფარად.

მოდის ხანძთელი

მოდის გრიგოლი თეთრი ჩოხით, თერწვეროსანი,
შარავენდედით, სვეტი ნათლით, სხივდაფრქვეული,
მოდის გრიგოლი, მოაქვს ძალა და სილამაზე ...
ბერ-მონაზონნი ჯოროსანნი შემოჰკრებიან,
„გარდარეული“ სილამაზე და ძალა მოაქვს,
მოდის გრიგოლი _
ხორცითა თხელ და სულითა უბიწო,
რისხვა მტერთა ჩვენთა,
მოდის გრიგოლი!
იყავნ ნათელი, იყავნ ლხინი, სულის ზეიმი,
მირონცხებულო, სულკურთხეულო დიდო მესხეთო,
ფეხზე აღუდექ, დაუჩოქე, სულს მიეფერე ...
ლანდი კი არა, ხსოვნა კი არა გარდასული ან დაქცეული,
ისევ ცოცხალი, ისევ მკვიდრი და სახიერი –
ძალი ძალათა, მამა მამათა,
სვეტი ნათელით, შარავანდედით
მოდის გრიგოლი,
მოდის გრიგოლი!

მხსნელი ანგელოზი

მტკვრის ხეობას აყოლილი
ბავშობიდან დავდევ ტალღებს,
მაშინ მზე რომ მალაღებდა,
ახლა სულ სხვა რამ მალაღებს.

მტკვარის წყლისპირ ბორიალში
ბავშვობაში დავიკარგე,
ყველაფერი წყალს მივანდე,
ჩემი ტყავიც ,,საკურტაკე~.

საკუთარ თმებს შეფარული
ლოდზე მჯდომი ალი ვნახე,
მტკვარს ვეფერე და მის ნაწნავს,
დამგებია თურმე მახე...

ამ დროს ჩემი ანგელოზი
ალთან მხსნელად მომევლინა,
ამარიდა ცოდვის ტაძარს
და დაიდო ჩემთან ბინა...

1999 წელს ბაბილონის სცენაზე მოცეკვავე ახალციხელ სტუდენტებს

კაცის სილამაზის და
ვაჟკაცობის ეტალონად
აქ უთქვამთ გურჯი,
ქალის კდემის და
ერთგულების საზომად
ქცეულა გურჯი,
ტიგროსი გადაუცურავს
არაერთ გურჯს და დღესაც,
როდესაც ერაყი მარტო დარჩენილა
დანარჩენ სამყაროსთან
ბრძოლაში,
როდესაც ულეწიათ მისი გული
და ბურჯები,
გურჯის ხსენებაზე ფეხზე დგება
ბაღდადელი
რომ პატიცი სცეს
მისი ქალაქის ქალაქად მქცეველს,
დიდ გმირსა და კაცს,
დავითს.
და მაინც რა გვაქვს სადაო,
და მაინც საიდან სადაო,
და, მაინც...
ყველაფრის თავი და თავი
არის პატივი წარსულის,
ხსოვნა იმისა, რის დავიწყებაც
ძნელი კი არა, არ შეიძლება,
როდესაც ბევრგან ქართველი
გამხდარა სიტყვა სალანძრავი,
თითქოს და მართლაც
ვითომ საიდან სადაო,
მაგრამ დღეს რომ ბედი წყდება
ჩვენიც და მათიც,
ბაბილონის კედლებთან კვლავ მოიქნია
ხმალი ქართველმა,
ოღონდ ბუტაფორია
და იქნება საქართველო ბუტაფორია,
რომ გვავსებს და გვასულდგმულებს
ბაღდადელი გურჯების
გმირობათა მთელი წყება,
გული არ დაგწყდეს,
ხმლით იწყება,
სცენაზე მოქნეული ხმლით წყდება
ბედი ჩვენიც და ბედი ბაღდადის.

დამალა

(მესხეთში ორი დამალაა – არტაანსა და ასპინძაში)

აქ დამალა დამალულა,
ხანაკს ბრძოლა მოუგია,
დამალელი აჯაგრულა,
კოხტას ციხის ენერგიას
ცოტნეს გულში გაუვლია...
ქართველობა დაგვიბრუნდა,
სხვა მესხებიც ამოსულან,
ზოგი ისე, შეფარული,
ზოგი ისე, გარდასული,
მესხები თუ ნამესხრები
დამალელი დამამული,
ცოტა ნაზი, ცოტა ბრძენი,
ცოტა მხნე და მთლად ლომგული,
ერუშელნი და ჯავახნი,
დღეს სხვა თარგზე გამოჭრილნი.

ახალციხე

მეჩეთის თავზე ფრიალებდა
ხუთჯვრიანი დროშა,
თოვლი და ქარი
დაიძრა ხეობით,
ციხის ქონგური სილუეტად
დააჩნდა როცა,
ნახევარ მთვარეს მიეძინა
გზად დღეს დღეობით.
იმ ღამეს ნათლის სვეტს ელოდა
კოშკი მთავარი,
წმინდა გიორგი დარაჯობდა
თავს გველეშაპის,
იქვე მუჰამედს მოეყარა
მუხლი ჯავარი,
დრო იდგა თითქოს დუალიზმის
და რენესანსის.
გული გულს სცნობდა და
ღონეს ღონე,
მესხეთში იდგა ჟამი ჭიდილის,
აქ ქრისტე ჩანდა ცად ასული
და თავმომწონე
განკაცებისას თან ეახლა
ზღვა სიმძიმილი.

საქართველოს

ვაი მოსვლია ჯავახეთს,
დამშრალან დიდნი წყარონი,
წამოქცეულა აბული,
მთათ წვერნი შეუდარონი.

ვაი მოსვლია საქართველოს,
დამჭკნარა მთათა ყვავილი,
ძმის მკვლელის ხარხარი ისმის,
ყელგამოჭრილის – ხავილი.

ვაი მოსვლია სასულეთს,
ცოდვა ტრიალებს უძღები,
ძირს წაქცეულზე იწევენ,
დრო დადგა გამოუცნობი.

ვაი მოსვლია მომავალს,
შობა არ ითქმის ბავშვისა,
სამყარო მყარად დაგვცინის,
ნათელი არ ჩანს დახსნისა.

არტაანში

არტანულას სათავეებს
თოვლი აძლევს სიყმის ნათელს,
მხოლოდ სტუმრის სტატუსი აქვს
აქ ამოსულ ყველა ქართველს.

ხმალ-კეჭნობის ჯიშისანი
შევექცევით ლახათ-ლუხუმს,
ზოგჯერ უხას ვაგემოვნებთ,
საჯის პირზე გამოხუხულს.

ხოჯა ,,პრივეტ" – მესალმება
ყირიმელი თათრის ქალი,
თან სურნელი მოჰყოლია
რუსეთიდან მომავალი.

პაპა- გუთნისდედა

სადღაც პაპის გუთანს გაჰყვა
ჩემი ოცნება ბავშვური,
აქვე მთების ძირზე გაწვა
ივლისში თოვლის ნაჟური.

გვერდმორღვეული ბუხარი,
წივით გამთბარი ზამთარი,
ღრუბელი დაუქუხარი
და ნაგუზალი ჩამწვარი.

გარეთ ყმუილი მგლებისა,
კვარით დამდგარი ნათელი,
ლანდებად გამოეგლისა
ერდო ქაჯებით ნაფენი.

წყლის წყურვილს შემოყოლილი
მეზობლის ქალი მელანო,
გულაჩქარებით რონინი,
მოქირქილენი ყველანი...

დიდ-პატარობის სასწორი,
ყმაწვილის ამორბედება
და განა ერთი და ორი,
სიმრავლე გადმოგვედება.

გუთნისდედობით დაღლილმა
ამოილოღნა ხმიადი,
წყლის მიყოლების მაგივრად
წაესწრო კვლავ განთიადი.

კვალში და ჯიბრში ჩამდგარი
პაპა წელაუმართავი,
სახნის-საკვეთის მომვლელი,
ხვნის კანონების დამცავი.

მერე სამკალი და კალო,
ნაზაფხულ-ნაიმედარი,
სარჩო ბეღლამდე მისული,
თავად დამცველი მხედარი.

მომხვდურის ათარეშება,
ქვაბში ნამალი წვრილშვილი,
მოკვლა ძარცვა და ტაცება
და გარდუვალი შიმშილი.

ყაყაჩო ქვაზე

ყაყაჩო ქვაზე სიცოცხლეს ელტვის,
ქვას ამოქაჩა მძიმე ნარჩენი,
მე ქვისაც მესმის, ყაყაჩოსი მესმის და მესმის
და ამიტომაც ქვის ყაყაჩოს გამოვესარჩლე.
ხავსმოდებული მძიმე ლოდი, უძრავი მასა.
მიწის ნაგრამი, ჩიტის ნისკარტს ნარჩენი მიწა,
სიცოცხლისათვის მსგავსი ბრძოლა კიდევ სად არი?
ყაყაჩოსათვის საკუთარი ქვამაც კი გასცა...

სამცხე

მე შეგისუნთქავ, როგორც სურნელს, როგორც სიკეთეს,
როგორც შორიდან მონაბერი სიოს სინაზეს,
ამ შავგულეთში ოცნებებს, რომ გრძნობით მიფეთებს
და ცისარტყელას ფერებისკენ კვლავაც მიმამზერს.

მერე ყველაფერს დაერქმევა ზუსტი სახელი,
გასამმაგდება მთაზე მდგომის ყმუილის განცდა,
გამიკვირდება უამმთებოდ, როგორ გავძელი,
ან ეს სათიბი ჩემ გარშემო როდისღა გაჩნდა.

მყის დაემხობა მოზომილი ლათაიები,
სიველურეში რეესტრები გადიხლართება,
ქვაბლიანს ვეტყვი, ასე ნუღარ გადაირევი,
მე დაგიდგები სიყვარულის ბებერ თავდებად.

მოდი, წავშალოთ მოწყენილი გუშინდელი დღე,
დღევანდელს მივცეთ საჯიჯგნელად ჩვენივე სული,
მტკვარს ვეხვეწები: წასაღები დროზე წაიღე,
რომ არ მეტკინოს საკუთარი ისევ წარსული.

ქალი და ბავშვი

მოდიოდა ქალი გზაში _
სამზეურო ცისკარი,
მოჰყვებოდა ციცქნა ბავშვი,
ახდენილი სიზმარი.

ახდენილი სილამაზე,
მიხრა-მოხრა `პანტერის~,
ერთი თვალის შევლებაზე
მიფიქრია რამდენი.

ბავშვი დედას ჰგვანებია,
სითამამით აზარტით,
რა ღვთიური წამებია,
თავს ნათელი გადასდით.

ქალაქის რიტმს მიჩვეული,
თვით ნაწილი ქალაქის,
სიარული მისეული
არ მენახა მანამდის.

ქუჩას ქალი ამშვენებდა
დედობით და ქალობით,
შემოდგომაც თავს იწონებს
მხოლოდ მათი წყალობით.

გოგრა, მთვარე, თოვლი

თოვლისფერი ღამე იყო,
მტკვარს წასთვლიმა წამით,
წარმართებმა მთის ძირს მთვარეს
გოგრა დავუკალით.

გოგრისფერი მთვარე ცაზე
ღრუბელს დაჰკანკალებს,
თოვლზე ტურის ნაკვალევი
დაგიელმებს თვალებს.

მანქანის შუქს მოერიდა
ხროვა მაწანწალა,
ხროვის ასე სიახლოვემ
ღამე წაამწარა.

გოგრა ცაზე, გოგრა თოვლში,
გოგრა მოხარშული ...
მთვარე ცაზე, მთვარე თოვლში,
მთვარე მოქანცული.

აქ დაგაფრთხობს ღამის ცქერა,
დიდი თვალი ზეცის,
სურვილების მოძალებას
ლამის გული ეწვის.

შეწირული გოგრა გლოვობს
გახდა სხვათა ლუკმა,
რიტუალის შესრულება
წაღმა და უკუღმა ...

გოგრა ისე ჩამტკბარიყო,
ფერს კარგავდა მთვარე,
ტურაც, სადღაც დაიკარგა,
ტურა მოწანწალე.

გოგრა, მთვარე, ტურა, თოვლი,
ჩემი მტკვართა მტკვარი,
ზემოთიდან წამოსული,
ქვემოთ მომავალი.

ლეკვი

დაძაღლებასაც ვერ ასწრებს, ისე
კვდება ლეკვი,
მოკუნტულს კუდი ამოუდია
საცოდავი ყბის ქვეშ,
ისე ჩავუვლი, არ მტკენოდეს
თითქოს და ნეკიც.
ლეკვი მიწიდან შველას ითხოვს,
მიცქერს და მიცქერს,
მიცქერს უაზროდ მინაბული
შავი თვალებით,
იმას დღე ადგას, ჩემს მტერს
და მის მტერს...
კვდება ლეკვი,
არ მტკივა ნეკიც.
არც აშენდება, არც დაინგრევა
ეს ქვეყანა,
მოკვდება ლეკვი.
მე რატომ მიცქერს,
მე რას ვერჩი,
მე რატომ მიცქერს,
ან რატომ კვდება საცოდავი
შავთვალა ლეკვი?
მე დამანებოს თავი და მოკვდეს!
ო, რა დღე ადგას,
ჩემს მტერს და მის მტერს...
მოკვდება,
უეჭველად მოკვდება ლეკვი.

ანგელოზი წყაროზე

გზააბნეულ ანგელოზს
წყალი მოსწყურებია,
წყურვილს დიდი იმედი
ახლავს, მუდამ ხლებია...
ანგელოზმა წყაროსთან
ჩაიმუხლა სურვილით,
წყაროს წყალს ეწაფება
ვნებით გამოწურვილი.
მთვარე ტყეში იცინის,
ნაცნობი სურათია,
ანგელოზის თვალებში
დიდი ცეცხლი ანთია.
წყარო გულში იხუტებს
მთვარესა და აჩრდილებს,
წყაროს პირის ზღაპარი
წავა, გაინაპირებს.
გადასწვდება შორეთებს,
მთვარე წაიჭორიკნებს,
იქვე ჭინკაც გაჩნდება,
თავის ადგილს მოირგებს.
ღვთის ხელი ურევია,
ალბათ არ გათენდება,
არც ზღაპარი ძველდება
და არც გული ბერდება.

სალაღობოდ

შენს ქუჩაზე დაცვის ბიჭი
ვითომ რატომ დააბოტებს?
შეშას გიპობს? გიხერხავს თუ
ღუმელთან ყრის მსხვილ ნაფოტებს?

იქნებ ღუმელს გამონაცრავს?
წყალს მოგიტანს სარეცხისთვის?
ანდა უთოს შეაკეთებს
საუთოოდ სარეცლისთვის?

ალბათ, კიდეც გეგზავნება,
რომ გიყიდოს მწვანე ხახვი?
თან გდარაჯობს, რომ ჩააცვას
შენს მოქიშპეს ჩოხა თალხი!

ფიქრები ჯავახეთის გზაზე

მტკვარს შევუყევი,
აღმასვლა მიყვარს,
ოფოფთა გუნდი
ჯავახეთს მიმყავს.

მეთევზეს ვხედავ,
სველია წყალში,
თითო ოფოფი
მასაც ჰყავს თავში.

ხიზაბავრასთან ვეტრფი ტერასებს,
ეს ენერგია გრძნობით შემავსებს.

როცა ხერთვისსაც
ავცდები აღმა,
სადღაც უაზროდ
დამყეფა ძაღლმა.

ავთანდილ ბერიძე

მე სამცხე მტკივა

მე სამცხე მტკივა,
ჩემი ტაო, ჩემი შავშეთი,
მე არტანუჯის სანახები
მტკივა და მტკივა,
დღეს წაქცეული საქართველოს
ტკივილით ვცხოვრობ,
უიმედობის მოლოდინშიც
არავინ მკილავს.

დასაბამიდან
ასე მოველ, –
სისხლი მრავალი
სად არ მიღვრია ჩემი მიწის
გადასარჩენად.
თუმც ვაჟკაცობა,
მკლავის ძალა, არასდროს მაკლდა,
მიტომ არაფრით შემიძლია
ასე დარჩენა.

მე წაქცეულიც,
მომაკვდავიც,
ბევრჯერ მიხილეს,
ბრძოლის ველიდან გაქცეული კი–
არასოდეს!
თურქის, არაბის
ხელით ბევრჯერ სისხლი მადინეს,
მამლუქსაც ჩალმა არაერთხელ
თავზეც დამხურეს.

წამებით ვთესე
წინაპართა ნაპოხ მიწაზე,
ცრემლით და სისხლით
მიზიდია ეს მძიმე
ჯვარი,
რომ ჩემი მიწის –
ქართველობის გადასარჩენად
მკერდით დამეცვა
საქართველო, დასაფიცარი!

სამშობლოს

ვისთვის ახლა ჩირად ღირხარ,
ვისთვის ხარ და აღარა ხარ,
ღმერთო, იმ დღეს ნუ მომასწრებ,
რომ არა ვთქვა, არ მიყვარხარ!

სონეტი

გული ერთი მაქვს,
ორგულობა რატომ დამწამე,
შენს სიყვარულში ვიცი, ისიც
გაჭაღარავდა,
რომ არ მიყვარდე,
ამ სიცოცხლეს რა გაათავებს,
ნუთუ ეს გრძნობა
შენში ასე დაპატარვდა?

რაც რომ დრო გადის,
ეჭვები რად გაგიათკეცდა,
უტყვი ბაგენი რად შიშობენ
ამის გამხელას,
თუ სიყვარული წლებთან ერთად
ასე გაცვდება,
მითხარი, მაინც,
რა დავარქვათ ამას სახელად.

მე თუკი შენში
სიყვარული ასე ვიწამე,
ასჯერ გავზომე,
გულის ძირში ერთხელ გავჭერი,
უძირო ზეცა შენს ფიქრებში
რომ დავაღამე,
ამ სიყვარულში ნეტავ ისევ
რად მევაჭრები!

მადლიერების ნაცვლად ნეტავ
ასე რად მკიცხავ,
ნამდვილ სიყარულს ნურასოდეს
ნუ განიკითხავ!

***

როგორ არ მინდა დავიჯერო,
რომ ის აღარ ხარ,
ეჰ, „ფურთხის ღირსო საქართველოვ“,
როგორ მიყვარხარ!

***

ერთ წელწადში სამნაირად
შეიცვალა სოფელი,
ერთი კაცი სამნაირად
დავინახე მყოფელი, –
მოცინარი,
მხრებგაშლილი,
ამაყი და ნეტარი;
გულო ჩემო,
შენ რას ელი,
რას კირკიტობ ნეტავი.

გახსენება

რამ გამახსენა დღეს წიწამური, –
ეს მერამდენედ მოკლეს ილია,
ჩემი სამშობლოს ცა მეწამული,
შავ ღრუბელს რატომ დაუჩრდილია.

ვინ მოგვიმრავლა ასე ცხედრები,
კაენის გზებით რატომ გვივლია,
რისთვის გვტოვებენ ნეტავ მხედრები,
ქონდრისკაცები რატომ „გვივლიან!“

წუთისოფელი

შენ რომ ერთს ფიქრობ,
მე მგონია, მეც იმას ვფიქრობ,
შენ რომ ერთს დარდობ, –
ჩემიც არის სადარდებელი...
როცა მჯიღს ვიცემ,
მე მგონია,
სხვას ყველას სძინავს...
ჰაი,
ჰაი რომ,
ასეთია წუთისოფელი.

რა ვქნა უფალო

როცა სასწაულს სასწაულზე ახდენდა ღმერთი,
როს ცა და მიწა გაიმეტა წილხვედრად ჩვენთვის,
ის კი არ უთქვამს, მხარ-თეძოზე წოლა ირჩიეთ,
ანდა ერთმანეთს დაუშინეთ ტყვია და დენთი.

როდესაც ღმერთის სადიდებლად სიტყვა დავძარით,
უფლის სახელით ავაშენეთ საყდარ-ტაძარი,
ახლა რა ხდება, რატომ მძლავრობს ისევ კაენი,
სისხლმა და ცრემლმა რისთვის მორწყო ტურფა მთა-
ბარი.

უღმერთო ღმერთის მოციქული როდი წამხდარა,
ზეცას ღრუბლები ასე ვიღამ ჩამოაფარა,
რომ მზის სხივები ვეღარ ატანს ძვალსა და რბილში
და სათნოება ბოროტების მონა გამხდარა.

თუკი სამყაროს შემოქმედი მაღლა ღმერთია,
მისგან შობილნი ნეტავ უფალს რაღად ებრძვიან,
თუ ყველაფერი მაინც ხდება მისი ხელდასმით,
მის უარმყოფელთ ღატაკები რატომ ეტრფიან.

ღმერთო მაღალო, განკითხვის დღე ყველას
მოგველის,
ჩვენ აქ ვინა ვართ, მოკვდავნი ვართ მაინც ყოველი,
პირჯვარის წერით სტომაქები ვინც გადაივსო,
შენგან შენდობას ნეტავ მაინც რატომ მოელის.

უიმედოთა იმედი ხარ, თვალის ამხელი,
გმონებს, გმორჩილებს, შენითაა ის მუდამ ხელი,
უპოვართათვის შემწეობაც მათი ვალია,
ვისაც სულ პირზე აკერია შენი სახელი.

სამშობლო მოგვეც, რომ იმისთვის გავწიროთ თავი,
მამულისათვის მოვილოცოთ წმინდა ტაძარი,
თუკი გვარგუნე, სამუდამოდ, დაგვწერე ჯვარი,
მერე, უფალო, რად წაგვართვი, რად გაგვიყავი.

მტყუან-მართალის გარჩევა ხომ შენი ვალია,
ცხოვრება ჩვენი წამია და წარმავალია,
ადამის ძენი იმედით რომ შეგღაღადებენ,
უგუნურები გონიერთა წინ რად არიან!

თუკი იმედი ჩაგვისახე, რატომღა გვართმევ,
რად არ ვუსწორებთ ჩვენც სიმართლეს
ყოველთვის თვალებს,
მართალი კაცი რატომ არის მუდამ დევნილი,
რატომ ანიჭებ არაკაცებს მეტ სითამამეს.

ადამ და ევას ერთი ცოდვაც კი არ შეუნდე,
აქ ყველა ცოდვილს რად ჰპატიობ, ჩემო მეუფევ,
ნუთუ სამოთხის ერთი ვაშლი სამყაროდ ღირდა,
რომ არ დაინდე, გაწირე და შხამად შეურგე.

როცა ყველაფერს თავის სახელს მაშინ არქმევდი,
კეთილს და ბოროტს ერთურთისგან რად არ არჩევდი,
ყველას რომ ერთად მიუჩინე ამქვეყნად ბინა,
კეთილს რატომღა აწყევლინე მერე თავბედი?

შიშველ-ტიტველი მომავლინე ქვეყნიერებას,
მეც ჩემი წილი ხომ მინდოდა ბედნიერება.
მადლი, უფალო, შენეული არ იწონება,
გზა ახლობელი შორეულად რად მეჩვენება.

მე, მონა ღვთისა რატომა ვარ მუდამ მოშიში, –
რაც ჩამინერგე, მას ვერასდროს ვეღარ მოვიშლი,
შენს მაგინებელს რად აყენებ მაინც ჩემს წინა, –
ხვალის იმედით ამომხადე სული ლოდინში.

ნეტავ რად გინდა დამავიწყონ ჩვევა, ადათი,
რომ შხამის შემდეგ მომაწოდონ ტკბილი შარბათი?
შენ გეაჯები, მოწყალეო, მონა ვარ შენი,
რაც კი მომეცი, მერე ისევ რატომ წამართვი.

ბედნიერებამ თუკი ჩემთან დაისადგურა,
შვება მომგვარა, სიყვარულთან მომიმსახურა,

რად არ მასვენებ, ხვალინდელის დარდს რად მიმატებ
რატომ მაბრუნებ ზეციერო, წყეულ წარსულთან.

რა ვქნა, უფალო, არ მასვენებს ფიქრი და დარდი,
ცოდვილ მიწაზე შენ ყოველთვის იმედად მყავდი,
როცა უგუნურს წამიერად გამექცა სიტყვა,
შემინდე, ღმერთო, სითამამე წრფელი და ნაღდი!

შენი ქართველობა მტკივა

ორჰან ბერიძეს

საფლავში რომ მამას ჩასძახოდი,
ქართულად რომ სიტყვა უთხარ, ძმაო,
შენი ქართველობა მტკივა,
ჩემი დაკარგული ტაო.

თითქოს ახლოსა ხართ ახლა, –
თითქოს დაგვიმოკლდა გზები,
მაინც თქვენზე ფიქრი მტანჯავს, –
ჩემი „თურქეთელი“ ძმების.

თქვენი ქართველობა მიყვარს,
მაგეთ დაძახილი „ნენე“,
როცა ქართველურად უქცევთ, –
როცა ქართველურად მღერენ.

ახლაც სისხლი მოსდის ტაოს,
კლარჯეთს არ აშრება ცრემლი,
მე ხომ შენითა ვარ ასე,
შენც ხომ სევდა გტანჯავს ჩემი.

***

რა ადვილია შეყვარება,
გადაყვარება რა ძნელი,
ნეტავი მთელი ცხოვრება
უშენოდ როგორ გავძელი.

აქ მინდა მოვკვდე და დავიმარხო

აქედან გაქცევას არ ვაპირებ,
არასდროს ვყოფილვარ უილაჯო,
აქ ვდგავარ ბებერი მეციხოვნე,
ჩემი საქართველოს სადარაჯოდ.

ეს მიწა ათასჯერ ნაოხარი
არ მინდა ოდესმე დამეკარგოს,
მე მისი ტალახი მირჩევნია,
სხვის ედემს, მწველსა და საარაკოს.

ბელტს ბელტზე კვლავ ისევ გადავაწვენ,
მიწას მოვამზადებ სავენახოდ,
მე სხვა არაფერი არ მადარდებს, –
აქ მინდა მოვკვდე და დავიმარხო.

ომარ ხაიამ

წესი, წესია, ნაბოძები ციურ-ღვთიური,
რაც ღმერთმა მოგვცა, ვერ ვიქნებით მისით
უარზე,
თუ ყველაფერი მართლა არის
ამქვეყნიური,
მაშ, რად დავდივართ მხოლოდ ერთი
კაცის ჭკუაზე?

მესხეთო ჩემო

მესხეთო ჩემო,
აღარ ვიცი, რა ვთქვა, რა გითხრა,
რით დაგიამო
უკურნელი სულის იარა,
საღათას ძილი გაგიგრძელდა
ვაი, რა დიდხანს,
საფერებ მკერდზე
ვინ არ აღარ გადაგიარა.

მესხეთო ჩემო,
უწინ დიდო და მხრებგაშლილო,
მიწავ აღმზრდელო რუსთაველის,
თორელ-თმოგველთა,
მესხეთო ჩემო,
ოპიზართა ტკბილო სავანევ,
დიდო აკვანო,
გამჩენელო გმირთა
ყოველთა.

რა არ გინახავს,
რისი მომსწრე აღარ ყოფილხარ,
სისხლის ღვარებსაც წაულეკავს
ეგ მთა-ველები,
ზარზმით, საფარით
და ვარძიით დამშვენებულო,
თუგინდაც მტანჯონ
და ჩამქოლონ,
ვერ შეგელევი.

როგორ გამშვენებს
დანგრეული ციხე-კოშკებიც,
იავარქმნილი გოჯი მიწაც
რარიგ ტკბილია,
შენი კუმურდო,
შენი თმოგვი,
შენი შორეთი,-
ესაა ჩვენი სიამაყე
და იდილია.

მუდამ
საფიცრად წილხვედრილო
ახალციხელთა,
და შენ,
ჭეშმარიტ ათაბაგთა მიწავ,
დიადო,
მეწინავეთა აღმზრდელო და
გზების გამკვლევო,
შავშეთის მთებით მოქარგულო
საგანთიადოდ.

აღარც ოპიზა...
აღარც ოშკი...
აღარც პარხალი...
ქართული გენის ნატამალი
რა შერჩენიათ?
მშობლიურ მესხეთს დაუკარგავს
ძველი დიდება,
ღმერთო,
ესაა ისტორიის
განაჩენია?!

ახლა
ძაძებით შემოსილა ბებერი ტაო,
იმედიც,
ალბათ,
აღარა სჩანს,-
ირგვლივ კი ბნელა,
საღათას ძილი მორევია
რუსთველის მამულს
და დღეს ნეტავი ვიღას ძალუძს
იმისი შველა?!

***

ავ-ზრახვანი
ავ, ავ, ავ-ად, –
ავ-თვალ,
ავ-გულ,
ავ-სულ თანა,
ავად, თავად, ავად ტანად,
გვიმრავლდება ავად,
შავად ...

ავ-კაც,
ავ-ხორც,
ავ-დარ ჩინად,
მოდებია ჩვენდა ჭირად...
მეტასტაზი ავ-ხორც,
ავ-სულ ...
არსით ხსნა და ...
ავ, ავ ...
კი– სულ ...

ღმერთო!

მათ ვინ მოკითხოს
წინაპართა ზნე და ადათი,
ახლა მე ისევ სანთლით ხელში
ვეძებ სამართალს,
ეს ხეტიალი გაგრძელდება
ნეტავ სადამდის,
ცხოვრება ჩვენი
მიიწურა,
ალბათ, გათავდა.

სიმართლის მძებნელს
დასდგომია დარი ოდესმე?
მეც ხომ ვიცოდი
განსაცდელი გზად რომ მელოდა,
ფიქრების ნიჭი,
ასე უხვად
რატომ მომმადლე,
მამულზე დარდი რად მიქციე
ნეტავ ხელობად?!

აქეთ არაფერი მრჩება

გული არ გქონია,
ვგრძნობდი,
რატომ მომიმატე დარდი,
მე აქ შევეჩვიე ლოდინს, –
დრო რა უმოწყალოდ გადის.

თავზე კაეშანი მადგას,
თითქოს იხურება ფარდა,
აქეთ არაფერი მრჩება,
შენი სიყვარულის გარდა.

***

ტირილი მინდა
და ვერ ვტირივარ,
შურისძიების
ძალაც არ მყოფნის...
თავს რად გვახსენებს
ასე ხშირ-ხშირად,
იქით გარნისი,
აქეთ მარტყოფი!..

მუქარა საკუთარ თავს

ბევრისთვის ბრმა იარაღად
რატომ გამოდექ, გულო.
ამიერიდან იცოდე,
მეც უნდა გიორგულო.

ნეტავ

ნეტავ იმ დღეს მომასწრო,
ჩემს ეზოში გხვდებოდე,
აღარ მედარდებოდე,
აღარ მესიზმრებოდე.
აღარ მეფიქრებოდე,
აღარ მერიდებოდე,
აღარ მესიტყვებოდე,
აღარ მენატრებოდე.

ო, მეუფეო!

ჯვრის მონასტერში ვანდალებმა გადაფხიკეს
რუსთაველის ფრესკა

ო, მეუფეო,
ჩემო ხატო,
ჩემო ღვთაებავ,
მუხლმოდრეკილი შენდობას გთხოვ,
მე უმეცარი,
იმ არაკაცთა,
გარეწართა
და იმათ გამო,
ვინაც წაბილწეს შენი ხატი
და
სალოცავი.

უგუნურთ საქმეს
ხომ ოდესმე განიკითხავენ,
თუმცა, შეუნდობ
უწმინდურთა საქმეს ბიწიერს,
რადგან უფალი თავად ხედავს
და თვით განაგებს
აქ,
ამქვეყნიურ ყოფას ჩვენსას,
ყოფას მიწიერს.

ისევ ბრძენთაგან ნათქვამია
კაცთ-კაცთაგანზე,
ადამის ძეთა ნახელავთა,
ბრიყვთა მოდგმაზე, _
თუნდაც დაატყდეს ქვეყნის რისხვა
ავის მდომელთა,
ვერარა შეცვლის
ბოროტების
ზრახვას ყოველთა.

ღმერთმა შეუნდოს
უცხო თესლის ქმედებას კაცთა,
სახე უგვანოს,
უსახოთა,
ხელით ნახელავს,
რად არ მოდიან
უგუნურნი აზრად აროდეს,
რატომ სჩადიან ქვეყანაზე
ცოდვას ამხელას.

იქ,
უცხო ცის ქვეშ,
ერთი იყავ გამორჩეული,
სახება შენი თვალს უთხრიდა
ვინ იცის,
რამდენს,
„შენ სამშობლოსთვის, სამშობლოსთვის,
იყავ მლოცველი“
და ჭეშმარიტი მომავლისთვის
სხვა ხიდი გასდე.

ციცქნა გოგო

ციცქნა გოგო შემიყვარდა,
სულ პატარა ფერია,
სახლის კარებს ძლივს მივაგენ,
ფეხი მთლად ამერია.

ერთი ჭიქა ღვინო მოვსვი
(ღამე ვერ მოვისვენე),
რა ყოფილა ამისთანა,
აღარა ვარ მის მერე.

ნაპოლეონი

ბრძოლის ველს მაღლით გადავყურებ
ნაპოლეონი,
სისხლი მწყურია,
დენთის სუნი,
ვაი და ვიში,
ვის რაში უნდა ობელისკი
და პანთეონი,
მთავარი არის გადავურჩე
სიცივეს,
შიმშილს.

მერე კი,
მერე ისტორია იტყვის თავისას,
ათასი მითი გაქარწყლდება
ვით ფანტაზია,
ვის რად ჭირდება, _
ვინ ვიყავით,
ახლა რანი ვართ,
თუ დაემხობა შორეული ეს ევრაზია.

ღმერთები თავად დამადგამენ
თავიანთ გვირგვინს,
სატანაც, ალბათ, ჩემთან მოვა
მუხლებმოყრილი,
ფიანდაზებად დამიგებენ
ვარდსა და გვირილს
და დედამიწაც დაწყნარდება
იავარქმნილი.

***

„პრომეთემ ღმერთებს ცეცხლი წაართვა“
შ.ნიშნიანიძე

პრომეთემ ღმერთებს ცეცხლი მოსტაცა,
ცეცხლად აენთო თავად პრომეთეც,
შენ კი, ძვირფასო, გული მომტაცე
და მერე სითბოც ვერ გაიმეტე.

ტროა

მინდა მჯეროდეს,
მინდა მწამდეს,
მინდა, ჰო, მინდა,
რომ დავიჯერო,
უკეთესი მზე ამოვა,
დათბობის დროა,
მაგრამ კი რა ვქნა,
ვინუგეშო
მე გული რაით?
ყველგან,
სულ ყველგან
მელანდება ცხენი და ტროა!

***

მამა-პაპის ნაჯაფ-ნაოფლს,
უსირცხვილოდ ვინ არ ჩემობს,
დღეს წარსულზე ვიღა დავობს,
დაკოდილო მიწავ ჩემო.

თვალწარმტაცი, ნაირფერი,
ერთიორად თვალს ჭრის ყველას,
ჩემი მამა-პაპის მკვლელმა
შიგ თბილისში მოიყელა.

კოშკურებზე ცეცხლს ვინ ანთებს,
ვიღა იცავს ამ მთა-ველებს,
„ბრძოლის ველზე ღამენათევ
სძინავთ დაღლილ არაგველებს“!

ძნელი ყოფილა

სამშობლოს ჭაპნის გაწევა
ვაი, რა ძნელი ყოფილა,
მიწა სისხლ-ოფლით ნაპოხი
ოი, რა თბილი ყოფილა.

მის მკერდზე დადინებული
ცრემლი რა მწარე ყოფილა,
მამულისათვის სიკვდილი
ღმერთო, რა ტკბილი ყოფილა.

ის ვთესე, რაც გულმა მირჩია

დავბერდი,
და მაინც არ ვიტეხ
იხტიბარს _
წლები რომ მამძიმებს,
არც დარდი გულს შემოწოლილი,
ღამე რომ სულ აღარ მაძინებს.

რამდენი განვლიე წლები და
უკან არც მოხედვა მაშინებს,
ისა ვარ,
რაც ვიყავ გუშინ და
მე ჩემი წარსულიც მამშვიდებს.

ის ვთესე,
რაც გულმა მირჩია,
მოვიმკე,
რასაც რომ ვთესავდი,
ჩემს იმედს _ ცხოვრების ციტადელს
ჭკუით და გონებით ვკვესავდი.

წარსული აწმყოში ცოცხლდება,
დრო მოვა დადგება დაისი,
და ჩვენი კაცური კაცობის
დღეებიც ნელ-ნელა ჩაივლის.

***

მინდორ-მინდორ,
ყანა-ყანა,
ქარი ქროდა,
განდა-განა,
დარდმა როგორ აგიტანა,
შეგაშინა, მართლა, განა?
ღობე-ყორე,
ალთა-ბალთა,
მოიარა მთების კალთა,
ვერსად ნახა დასადგომი,
მერე, სადღაც გადიკარგა.

კიდევ გაუძლებს ქართველი რამდენს

9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას

ბევრი ვებრძოლე სევდას წუხელის,
უცრემლოდ გული რარიგ ტიროდა,
სულს ისევ ღრღნიდა იმ დღის წუხილი,
მეძახდა ვიღაც სანაპიროდან.

სხეული გაჰყვა ჰანგებს სევდიანს,
გაჰქრა ოცნება რარიგად მწველი,
თქვენი თვალები მელანდებიან, _
გულს ჩამრჩენია ღიმილი თქვენი.

ლოცვით დაიდგით გვირგვინი დაფნის,
ისე აღზევდით მეწამულ ცამდე,
გულს ისევ გვიკლავს სევდა და დარდი,
კიდევ გაუძლებს ქართველი რამდენს!

ვასილ კვინცხაძე – პოეტი

ღაღადისი

ღმერთო! ღმერთო თუ მართლა ხარ ქვეყნად ღმერთი,
თხოვნა მაქვს და შემისრულე არ იფიქრო არის ერთი,
ჯერ მშვიდობა დაამყარე, იყოს ყველას საფიცარი
ოდა სახლით დაამშვენე, სადაც იყოს ნაფიცრალი.
ქართველ ისე გაამრავლე ზღვაში რამდენ ცვარიც არი,
აუყვავე ბაღ-ვენახი მუდამ ქონდეს კარგი დარი
ჩაის სუნი დაუბრუნე ქართულ ჩაის შესადარი,
უვაჟკაცე ქალ-ვაჟები, როგორც მუხა და ჭადარი,
გაუმრავლე ავთანდილი, ტარიელი და თამარი,
მოუშუშე თუ ჭრილობა ჩემი ქვეყნის ტანზე არი.
მესხეთს შვილნი დაუბრუნე, გაბნეული ბევრი არი,
ივსებოდეს ქართველებით ჯავახეთის მთა და ბარი,
ისევ იყოს საქართველოს სამხრეთული წინა მხარი,
და ერთ ცათა შიგან რეკდეს ოშკისა და ზარზმის ზარი,
გვაპოვნინე თამარ მეფე და ვარძიის ოქროს კარი.
კვლავ გმირობდეს ივერია, ამირანის შესადარი,
უთხარი ჩვენი ამბავი, სადაც მზე და მთვარე არი
უთხარი, ღმერთო, საქართველო, ისევ შენი ძალით არი,
ისევეა ეს ქვეყანა არწივების შესადარი,
ყანიანი ყვავილნარი, ყურძნარი და ნარინჯნარი,
ათას წელწადს შენ მიცოცხლე ჩემი ხალხი ძირმაგარი,
ერთი შვილი კიდევ მოგვეც, დიდ ილიას შესადარი.
ესე ჩემი ღაღადისი, აჰა, ღმერთო, შენს წინ არი,
შემისრულე, იგი შენთვის არც თუ ძნელი საქმე არი,
ამის შემდეგ არ დავეძებ, ცოცხალ ვიყო, გინდა მკვდარი.

შალვა ახალციხელს

შენ ემსახურე სამ მეფეს
თამარს,ლაშას და რუსუდანს,
შიშისზარსსცემდი სამშობლოს
მტრებს... ქრისტიანსთუმუსულმანს!
ბასიანსმტერი შემუსრე,
შამქორსაელვემახვილი,
დიდ საქართველოსესმოდა
შენი ბუკი და ძახილი.
მხარსგიმშვენებდა შენი ძმა. . .
გმირი გამრეკელ თორელი,
და ქმნიდნენ ლექსთა გვირგვინებს
რუსთაველიდა თმოგველი.
განა სუყველას მოსწონდა
თქვენი მხედრული ტლანტი,
გელოდათ საუბედუროდ
ქართული მოდგმისღალატი!
გარნისთან მტერიშებოჭე
ოთხი ათასი მესხითა,
ურიცხვმტერსვეღარ გაუძელ
ასჯერ ნაცადი ხერხითა.
არ მოგაშველა მაშველი
შურით გაბღენძილ მხარგრძელმა,
ცხენ განგინგმირეს, ხმალ გატყდა
ვაჟკაცსრით გინდაგაძლება?!
მერე ივანეც მოგიკლეს
კლდეზე მებრძოლი ვეფხვია,
არ შედრკა! სანამ სულ ედგა
სანამ გარსმტერი ეხვია.
შენ დაგატყვევესწაგგვარეს
გელოდა მელა... ყაენი,
აქ ხითხითებდა მხარ-გრძელი
როგორცგამყიდველკაენი.
ცხრა საუკუნე დაგვყურებს,
ცხარე ბრძოლებისცახცახით,
დაგვნათისშენი ხატება
ხმალშემართულიმათრახით.
დრომ ვერწაშალა დიდება,
ვერცვერ-ვინ დაგვაშორისა
თქვენი ჭირიმე ბიჭებო-
თქვენაც ხართშალვასგორისა!

30 ივნისი,შალვა ახალციხელის
(წმინდანად შერაცხულის) ხსენების დღეა

დამილოცეთ საქართველო

(წარმოთქმული თბილისობაზე1996წ)

დამილოცეთ,დამილოცეთ, ერთიანი საქართველო,
მაღლა ღმერთო, გევედრები, ძველებურად გაგვამთელო,
რომ ხვალ ჩვენი მხარ-მკლავები დარუბანდსდასოჭასგასწვდეს,
ირგვლივ ძმობა დაგვიმკვიდრე, აგვაშორე ბოროტზრახვებს,
მღერისსამცხე-ჯავახეთი, ზარზმისზარი ჰანგებსარხევს,
წმინდა ნინო ტბა-ფარავნობს, თამარმეფე ხიბლავსმნახველს,
იქ ვარძია სანთლსაკმევს, ჯვარი ჯავრსაღარ იკარებს
აქ ბრწყინვალე თბილისობა, ყველა მნახველსუღებს კარებს.
მაშ, დიდება, ჩვენსსამშობლოს, რუდუნებით ვინც თავკაცობს,
თქვენთან ერთად საქართველოს დღესმსოფლიოსვინაც აცნობს,
ვინაც მოჰფენსივერიასკვლავ სხივნათელ შარავანდედს,
კათოლიკოს-პატრიარქსდა ედუარდ-გიორგი შევარდნაძეს.

ზეიმი ვარძიაში!

გამოჩდნენ (მესხეთს) მესხეთისგზაზე
ძველიქართველი (გმირები) გმირები
ვარძიაში აქვთდღეობა(დიდი)
საკლავად მიჰყავთ (ირმები)ირმები!
იმონადირეს გზა და გზა
მხეცები ხოცეს ტყისანი,
ტყორცნეს, დალახვრეს ისრებით,
სისხლი აქციეს მტრისანიც.
მივიდნენ (დახვდათ) დახვდათ გაშლილი
სუფრა ნანატრი (ენითა)ენითა
თამარსლოცავენ (ლოცვენ) გმირები
ვერა ძღებიან (ცქერითა)ცქერითა
თამადად დასვეს ლამაზი,
ჯერ ახალგაზრდა ყმაწვილი,
ყანწი გაავსო დალოცა,
ქართული პური, მარილი.
შეხედა თბილისის მამას,
გორგასლანს მუზარადიანს,
უღიმის ლაშას დედას და
არც ერთი გვანან დარდიანს.
ყურს უგდებ მესმის ძახილი,
ციხე ქალაქის ძველისა
რვაასი წელი შესრულდა,
დღეს შოთა რუსთაველისა.
რვაასი წელი, რვაასი,
შოთას, ვარძიას, თამარის,
გმირთა მხარეო, მესხეთო,
შენ იდღეგრძელე მარადის.

ქართულ ანბანს!

ა ათონისმთამდე ავმაღლდეთ
ბ ბერებისდასადარისად,
გ გადავარჩინოთ ქვეყანა,
დ დავითისშესადარისად!
ე ერთი სამშობლო გახსოვდეს,
ვ ვარძიისოქროს კარები,
ზ ზარზმისზარებისჰანგები,
თთამარისნატერფალები
ი იყალთოსაკადემია,
კ კანკელზე წმინდა სანთლები!
ლლილეოსადაჩაკრულოს
მ მღეროდესყველაქართველი!
ნ ნიკორწმინდა და გელათი,
ო ოროველა დაურმული
პ პატიოსნებასვერმოსპობს,
ჟ ჟანგი მიწა და ურდული:
რ რამდენი გმირი გავზარდეთ,
ს სახელოვანი სარდალი!
ტ ტანმორჩილ .. .გოლიათები,
უ უებრო,მტკიცე მართალი.
ფ ფერეიდანში ფაქიზი-
ქ ქართველი კაცისფიქრები. . .
ღ ღამეუძილო ნათევი
ყ ყრმავ!შვილოშენ სად იქნები?!
შ შავშეთს, ერუშეთს,მოვივლი,
ჩ ჩუმად თეთრონი ცხენითა,
ც ცა მომეგებოს. . მგოსნები,
ძ ძირძველი ქართულ ენითა.

წ წინშემხვდეს მწვანე ბაღნარი,
ჭ ჭიუხებითდა ველითა,
ხ ხარები გუთან- მეხრითა
ჯ ჯაჭვი უღელზე კევრითა,
ჰ ჰარი-ჰარალეღმერთითა!

არის უკვდავება!

მიჯაჭვული გმირის
ყვავ-ყორნებთან შებმა,
ვახტანგ გორგასლანის
თბილისს გამგზავრება,
არის უკვდავება!
ქვაში სულის ჩადგმა
მისი ამღერება,
საფარის გუმბათთა
ყელის მოღერება
არის უკვდავება!
დედა საქართველოს,
ერთად აღშენება,
ვეფხისტყაოსანის
აზრით დამშვენება,
არის უკვდავება!
დიდ თამარის დროში,
ბასიანში, თმოგვში,
დაბაძველში, ძველში,
ქვაბისხევში, ნეძვში,
აფხაზეთის მთებში,
ერზრუმ-ერევანში,
ვხედავ საქართველოს,
ზღვიდან ზღვამდე გაშლილს.
თურქ-ოსმალო აღსდგა,
თავს დაგვესხა როცა,
ფეხშიშველიმეფე
თავის ლაშქარს ლოცავს.
დღესაც მისი ეშხი
მესხელ ქალებს მოსავს,
და დგას როგორც ღმერთი,
ქალი ერთადერთი,
ქალი მეფე დედა,
არის უკვდავება!
ვარძია თუ ვანი,
ბუმბერაზი მთანი,
ხახული და ოშკი,
უთვალავი კოშკი,
ციხისჯვარი, ჯვარი
უამრავი ჯავრით,
დღეს რომ შემოგვყურებს
ციხეების ჯარი
უკვდავება არის!
ჯვარი სინას მთაზე,
კალო ქართლის თავზე,
გველეშაპთა სრბოლა,
საქართველოს ცაზე.
დაქცეული სისხლი,
თავი მოკვეთილი,
გაჩნდა ნასოფლარი,
ქალაქების ჩრდილი
მტერმა გადაგვიწვა,
ბაღ-ვენახი გრილი,
საქართველო იბრძვის,
საქართველო შფოთავს,
საქართველოს ქალებს
გლოვის თალხი მოსავს.
მაშინ მეფე კახის,
სხივი გაბრწყინდება,
საქართველო ნებით,
რუსეთს უერთდება,
და ეს შეერთება
ძვირი დაგვიჯდება
აბობოქრდა ხალხი,
ამოხეთქა ტალღამ,
მზისკენ წარიმართა,
სულ მაღლა და მარლა,
გორის ციხე ფრთებს შლის
ფრენენ არწივები,
და მათ ცაში სრბოლას
დღესაც თავს ვევლები.
ეჰეი!
საქართველოს ხალხო!
აზიდულო მთებად,
ღმერთი ცაშიაო,
ღმერთი თქვენ ხართ
ქვეყნად,
ჰოდა სასწაული
მხოლოდ თქვენით ხდება,
თქვენი გამარჯვება,
არის უკვდავება!
ღმერთი შეგეწიოთ,
ვისაც შემოგხვდებათ!

ვ ე დ რ ე ბ ა

ამ ახალწელსმაღლაღმერთო,
უწმინდესო ყოვლისშემძლევ,
შეგავედრებ ჩემსსამშობლოს
ხელაპყრობით, როგორც შევძლებ,
ნუღარმოსთხოვ საქართველოს
სამშვიდობო საღმთო მძევლებს,
შენ მშვიდობა დაუმკვიდრე,
ბარში-ხალხსდა მთეში-ველებს.
ვინღა მოგვცემს, რაცვაჩუქეთ
ანუ ძალით წარიტაცეს,
გადმოხედე საინგილოს,
არტანუშსდა ტანჯულსამცხეს
სად მირონისწმინდაადგილს,
შხამიაცხეს, ტყვიადასცეს,
შენ გვაკმარე, რაცა გვტანჯეს,
გვაწამეს დაჯვარზე გვაკრეს.
ხელაპყრობით გევედრები
ამ ახალწელს მაღლა ღმერთო,
ჩემი ხალხისსამსახურში
სანთელივით დავიღვენთო,
გევედრები ყოვლადწმინდას,
უსპეტაკლესნათელ უფალს,
შემასწარი საქართველოს
მთლიანსადა თავისუფალს!

გილოცავთ 2020 წლის შემობრძანებას!

ამ ახლ წელს მოგილოცავთ
სავეს ხურჯინ კალათითა,
თქვენი სახლ-კარი აივსოს,
დოვლათით და ბარაქითა!
ფქვილითა და კარაქითა
ლარითა და დოლარითა !!!
უკეთესი მომავლითა!
ძველ წელს გაყვეს მიტინგები,
დოლითა და დადაფითა!
ჯაჟა-ექიმს ველოდებით,
თავის თეთრი ხალათითა,
ყველას ერთად გაგვიმარჯოს,
ჭრფელი გულით ალალითა
გამთლიანდეს საქართველო!
ღვთისმშობელის ღაღადითა!
მაშ დიდება ჩვენს სამშობლოს
ჩვენს ხალხსა და ჩვენს მთა ველებს,
ხუთჯვრიანი დროშის ფრიალს,
სამშვიდობოდ გაშლილ ხელებს
ჩემს ქვეყანას ვერასოდეს
ვერც რა მტერმა ვერა ავნოს
რომ მშვიდობამ, ხალხთა ძმობამ,
სამუდამოდ დაივანოს.

სადღეგრძელო

ვსვამ სადღეგრძელოს, გულში სიამე რომ ამიფეთქა,
სიტყვის ნაკადი პირზე მომადგა და გადმოხეთქა,
გულიც მიმღერის და ღიმილმა ბაგე გახეთქა,
მე ვერ გავძლებდი, ეს სადღეგრძელო,
დღეს რომ არ მეთქვა.
თუ კი სიყვარულს გადმოუსვრია მხნედ ნაპერწკალი,
მისგან მიჯნურებს მოსდებიათ სიამის ალი,
ამათზე ითქმის ღიმილით რომ ბაგე უსკდებათ,
აბა, შეხედეთ ერთად ყოფნა როგორ უხდებათ!
მაშ, დღეგრძელობა, მრავალჟამიერ, ამათ ცხოვრებას
ლხინი ჰქონოდეთ შორით ევლოს მათგან გოდებას!
მრავალჟამიერ! ბედნიერად იყავით მარად,
წყვილად იარეთ, არ გაგევლოთ არასდროს ცალად,
ეკლიანი გზა გაგხდომოდეთ, განიერ შარად,
ერთად იცხოვრეთ და იცოცხლეთ მარად და მარად!
თუმცა მოხუცები ვიქნებით მაშინ,
თეთრი გაჩნდება შავ გიშრის თმაში,
მაინც მექნება მე ღონე მკლავში,
მაშინაც ვიტყვი სიმღერას ხალხში.
ვსვამ სადღეგრძელოს, გულში სიამე რომ ამიფეთქა,
სიტყვის ნაკადი პირზე მომადგა და გადმოხეთქა,
მე ვერ გავძლებდი, ეს სადღეგრძელო,
დღეს რომ არ მეთქვა!

ვუძღვნი ჩემს მასწავლებლებს

„ ქვეყნად არც ერთი ბრძენი არ იყო.
მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“
ი.ნონეშვილი

ძველ საბერძნეთში კეისარები
შვილებს ურჩევდნენ „ პაიდაგოგებს“ ,
რაც დღეისათვის ქართულ ენაზე,
ნიშნავს წინამძღოლს ან პედაგოგებს.
„ პაიდაგოგე“ შემდეგში გახდა,
ბავშვების აღზრდის სრული მფლობელი
და დღეს ყველაზე საყვარელ სიტყვად,
რომ ისმის არის მასწავლებელი.
ცოდნა, წვალებით შენაძენია,
გზაზე არ არის ნაპოვნი მუქთად,
იცით! რამდენი შრომა ჭირდება,
რომ შეკრა სწავლების ძვირფასი ფუთა.
წამოიზარდნენ ფარაონები,
წამოიმართნენ პირამიდები,
უზარმაზარი ისე დიდები,
რომ უთვალავი ეწყო“თ ფილები.
ვინ ააშენებს უფრო დიდს ლამაზს,
ვინ არის ქვეყნად ყველაზე ბრძები
ვინ არის იგი, ვინც კარგად იბრძვის,
ვისა ჰყავს ლაღად გაწვრთნილი ცხენი?!
ვინ დაამტკიცებს, ამოხსნის დაწერს,
ვინ ტყორცნის ისარს ყველაზე ზუსტად?
თითქმის წაგებულ ომს ვინ მოიგებს,
ვის არ ჩაუვლის ცხოვრება ფუჭად?
ვინ არის ჩვენთან ყოვლად ჭკვიანი,
ვინ არის ქვეყნის აზრის მპყრობელი?!
ვინაც მოისმენს, ვინაც შეისმენს,
ვისაც ყავს კარგი მასწავლებელი!
ნახეთ ეგვიპტის პირამიდები,
ვინ არის მისი ამშენებელი,
იმ საოცრების შემქმნელს ხომ ჰყავდა
ყველაზე ბრძენი მასწავლებელი!
იქით იყალთო, აქეთ ვარძია,
ამოქარგული ჩემი მთა-ველი
ყველა ქართველის მასწავლებელი
დიდი თამარი და რუსთაველი
როცა სამშობლოს ურჩხული მოსწვდა
მოჰქონდა წარღვნა და ღამე ბნელი
მოსკოვი. . . კრემლი ვინ არ დატოვა
ხომ იყო ბრძენი მასწავლებელი?!
ხან გვიჯავრდებით, ხანაც უნაზეს
გვატკბობთ მშობლიურ ფერებ-ფერებით,
ნეტავ მხატვარი გამოვიდოდე,
შეგამკობთ ათას ლამაზ ფერებით.
სხვას, რომ ვერ ვეტყვით იმას თქვენ
გიმხელთ,
მუდამ ოცნების სატარებელო,
ჩემი სიცოცხლის მესაიდუმლევ,
შენ საყვარელო მასწავლებელო!
მასწავლებელი მუდამ მზრუნველი
მასწავლებელი დაუდგრომელი
სიტყვა არ ვიცი სხვა უკეთესი
და მსურს გიწოდოთ დედა მშობელი.



ვლადიმერ ველიჯანაშვილი – ისტორიკოსი,
ფილოლოგი, პოეტი
დაბადების ადგილი – გორი

მგელი

ნელ-ნელა ცვდება დღეებით თოვლი,
ხევის ქარს მუდამ მიიჩნევ ხატად,
მიზანთან მისვლა გწამს გარშემოვლით,
ყოველ დღე ახალ ბილიკებს ხატავ.
გუმანი გახლავს მეტად მაღლივი
ო,ძალზედ სწუხან თუ ვერ დაგთოფეს,
მიტომ დაგდევენ,მურა ძაღლივით,
სახლის დირესთან რომ ვერ გაგთოკეს.
ხშირად უმიზნო სამსახურისთვის
შუბლის ძვალს გიმსხვრევს ბედის ჩაქუჩი,
ბევრს არ უყვარხარ,ლუკმა პურისთვის
რომ არ გჩვევია პირში ლაქუცი.
ვერაფერს გაკლებს მტრობა და შუღლი,
შიმშილობ მაინც არ დამათხოვრობ,
მხოლოდ საკუთარ ცხოვრებით ცხოვრობ.
ჟამსა უამურს შენ რომ გაექცე,
მუდამ საკუთარ ვნებებით როკავ,
მოწყალებისთვის,პატივს მიტომ გცემ,
ხელს რომ არავის არ აულოკავ.
არამ ლუკმისკენ ვერ შეგაბრუნა
ვერრა ხიფათმა და ვერცრა წყენამ,
შენით ჰპოებდე, ასე გარგუნა
მხოლოდ შენმა სვემ და ბედისწერამ.
შენ მუდამ ეძებ თოვად თუ წვიმად....
და როგორ არ ვთქვა...ტკბილმა ძიებმა
გადაგვაჩვიეს დიდი ხნის წინათ
ჩვენ შენებურად ლუკმის ძიებას.
შენ შენებურად უნდა ცხოვრობდე,
თუმც გჩხვლეტს ცდუნების ბასრი აკიდო,
მგელს მგლობა უნდა შეგრჩეს ბოლომდე,
თუნდაც რომ ქვეყნის ცოდვა აგკიდონ.
იმედით მუდამ ხვალეს შეჰყურებ,
რომ ჩამოსამარცვლ დღეებს გაუსწრო
და როცა მწიფე მთვარეს შეჰყმუვლებ,
პროტესტს უცხადებ ამ ცრუ საწუთროს.
დღეებს წასასვლელს დათქერავს ჟამი,
შენ კი ვერ გნახავს იგი ფერმიხდილს,
შენ მუდამ გაფრთხობს გაკრთომა ჩქამის,
მაგრამ არასდროს არ უფრთხი სიკვდილს.
ქარი კი კლდეთა ნაფშვენებს გაშლის,
შენ არ გჩვევია კუდის ქიცინი
და არც ნაკვალევს არასდროს არ შლი.
...
მოირჩენ ლოკვით კლდე-ღრეთა
ნაშხვლეპს,
ხვალის დღეს ღრენით გახედავ ცერად,
ბევრჯერ გაექეც დაძაგრულ სასხლეტს
და მაინც, ბოლოს მისი ხარ წერა.

ძაღლი

შენ ერთგულება ოდითგან მოგდევს
შენ გრძნობებს ანთებ უქრობ მაყლებად.
გაქვს ჭირთა თმენა ისე ვით მოგვებს,
შენს, მოდგმას სულ, რომ ეამაყება.
გამოგაბამენ სადმე კიბის ქვეშ,
მოგანატრებენ მინდვრად ხეტიალს,
ჩასძინებოდეს იქნებ ფხიზელ გეშს
  და ვისაც რა სურს,ის რომ ემტვრია.
რომ გეწკმუტუნა,როგორც მათ სურდათ,
  როგორც ენებათ ისე გეყეფა.
დაგცვივდებოდა თვალთაგან ხურდად
ცრემლები.....შენ ჯიშს სულ რომ ეყოფა.
  მოგინაცვლებენ თუმცა სამყოფელს
ჟამს მაინც მისდევ წკმუტუნ წკმუტუნით.
  მარტოობაში დიდხანს გამყოფეს,
  იმედს ეძებდი ღამით, უკუნით.
ხშირად შიგ თვალში ბეწვი გაჩრილი,
  გიმოკლებს დროის გზათა სიშორეს.
ვიცი რომ გაფრთხობს შენივ აჩრდილი,
  მაგრამ ვერა და ვერ მოიშორე.
არვინ გაცხოვრა როგორც შენ გსურდა,
  თუმცა მტერსა და მოყვარეს არჩევ.
 გადმოგიგდებენ ერთ ლუკმა პურს და
მაშინ მაგ მომცვდარ კბილს გამოაჩენ.
ხანდახან ღრენით ბეწვსაც აიშლი,
  ისევ და ისევ ხდები მორჩილი,
ძაღლი ძაღლობას მაინც არ იშლი,
რომც იყო მუდამ ფეხდაბორკილი
  გილაქუცია ხშირად ინახად,
  როცა გშიოდა,როცა გწყუროდა,
შენ გაბრიყვებულს ბევრჯერ გინახავს
  უკაცურ კაცთა უკაცურობა.
წკმუტუნით,გრძნობის მირახუნებით,
  წევხარ კარებთან დიდი ყურებით,
 მავანსაც ჩვენ ხომ ვემსახურებით,
ძაღლურ მოთმენით და ერთგულებით.
 უნდა ვთქვა, უნდა,უხეშად,მკვეთრად.
  ძველთა ძველია ეს შეგონება.
მაწანწალობა მაშინ გვაქვს ხვედრად,
პატრონი როცა არ გვეყოლება.
ყოველთვის გვერდით გიდგას სოფელი,
ლუკმა პურისთვის სულ რომ შრომობდე,
 შენ, შენი ბედის უარმყოფელი
 იყავი,ხარ და რჩები ბოლომდე.
მაგ შენს ეზოში სიკვდილს არ ნატრობ,
 ჭრილობებს ირჩენ მუდამ ლოკვებით,
 გარემომ შენმა თუ ვერ დაგატკბო,
გახვალ და სადმე უცხოდ მოკვდები.

მეფეო თამარ!

შემოიკრიბე ქართველნი ერთად,
დღეს კი დავდივართ ტრამალ და ტრამალ,
ამიტომ ხალხმა მიგიღო ღმერთად,
მეფეო თამარ!
გაგვინაწილე სიკეთე სრულად,
სიკეთით შენით ეახლე თავანს,
შენ ხარ, ოცნება ვინც აგვისრულა
მეფეო თამარ!
შენი გარჯითა და შენი ღვაწლით,
გზა გაუხსენი ოცნებას ფრთამალს,
გვითხარით, თქვენით იცხოვრეთ აწი,
მეფეო თამარ!
რომ ყოფილიყო მტკიცე საწყისი,
შენ მისხალ-მისხალ ძეწავდი თამალს,
გლოცავს ჯილაგი და გასაგისი
მეფეო თამარ!
შენ იმსახურებ სამარადჟამოდ
სიყვარულს ჩვენსას,ყველაზე მთავარს,
შენს ნატერფალებს ვეხვევით ამოდ
მეფეო თამარ!

ქართული მიწა

ყველას გაჰქონდა:
ამვლელს, ჩამვლელს,
მწირსა და ყარიბს,
მეგზურს, მათხოვარს, მოგზაურსა,
მდიდარს და ღარიბს,
ყმასა და ბატონს
ლტოლვილს, ხიზანს,
მწყემსსა და სამწყოსს
უცნობს და ნაცნობს,
მტერს, მოყვარეს, მომხვდურს და
დამხვდურს,
ყველას გაჰქონდა:
ფრჩხილით, მუჭით,
ჯიბით, ხურჯინით,
უბით, მანდილით, ბოღჩით,
კალთით, უგზო ქარავნით,
წყლით და ხმელეთით უცოდველი,
ცით და ხმელეთით.
ფიქრით,გონებით, აზრით,
თვალით,ქუდით,ქალამნით,...
განუზოგავად,
დაუნდობლად,განუკითხავად,
ცრემლით,დიდებით, ხორცის გვემით,
სულის კელაპტრით,
ძალით თუ ნებით,უნებლიეთ,
შიშით ვედრებით,
ყველგან,ყოველთვის,განურჩევლათ
ყველას, ყველაფრით
და ...ქართულო ცავ!
ასე ალბათ მიტომ ამაღლდი!

იმედი

მე უნდა ვხრა ლაგამივით შენი ცოდვები,
შენი გაუთენებელი ღამეები გავათენო,
რომლებიც გრძელნი არიან გაუსაძლისად
და სავსენი ტკივილითა და მწუხარებით.
მე უნდა ვღეჭო შენი დაუღეჭავი ლუკმა,
მე უნდა ავხსნა შენი ამოუხსნელი
სიზმრები,
მე უნდა ავახდინო შენი აუხდენელი
ოცნებები...
მე არ ვარ პირველი, არც უკანასკნელი,
ჩემამდე ბევრმა ხრა,
ბევრმა ღეჭა,
ბევრმა ათენა
და ჩემს შემდეგაც რამდენმა უნდა
გაიაროს
ეს გზა წვრილი?
მე უნდა შევამშრალო შენი გაუთავებლად
მომდინარე ცრემლი,
შევაგროვო სიხარულითა თუ სინანულით
სად არ დაღვრილი სისხლი,
შენს ყველა ჭრილობას ღირსეულსა თუ
უღირსს
მე უნდა ჩავუფინო საფენი, რომ პირი
შეეკრას,
მე უნდა ვსდიო შენს ნაკვალევს,
დაგიბრუნო მამული თუ მამულს
დავუბრუნო შენი თავი,
რადგანაც მამულისათვსი საკმარისი
არასოდეს
გაკეთებულა და არც გაკეთდება;
მე უნდა დაგწვა და მევე უნდა აგანთო
და ტაბუ,
შენს გამო თუ შენს მიერ დადებული,
მე უნდა ავხსნა,
რამეთუ მე ვიყავი შენი იმედი და სასოება,
იმ სუნთქვის იმედი
შენი – ჯამბაზის თოკივით დაჭიმულ
ხორხიდან,
რომ ამოთქრიალდა და
სამუდამოდ მინებდი.

ხორუმი

დარდი, ო, დარდი, დარდუბალა დევთა მდევარი,
ამაღლებულა მთის კორტოხზე ხელთ სატევარით.
ოდეს,ვარდივით,დარდუბალი დგას დადაფნული,
მალ-მალ ფანდურით უვლის დავლურს ცრემლში
დაფლული.
გამჭოლ სისინით შეაშფოთა ინდი-ბინდები,
შიშით შენეულ სიშიშვლესთან რისთვის ფითრდები?
ისევ ჭრიალებს საჭრეთელი საჭეთ მჭედავი,
ისევ დიდგულობს...დაიბრუნოს ისევ ბჭე დავით.
აქ,დაფნის ფერი,დაისი დგას დასანთხეველი
და გადაჩრჩილულ ჩალის ფუჩეჩს მითმობს მთნეველი.
წამით წამგლიჯეს წარმართული უბიწოება
სისხლგამოცვლილმა,უსაფლაო,უმიწოებმა.
სადღაც სივრცეში გაჩხერილა ჩემი პროფილი,
დედიშობილი მომტირალი,პირველყოფილი.
...
ვერ განმიმქრალებს ქართა ქირქილს?
ქორთა ქვორუმი,
კარგა ხანია მიმიხოხდა,ხორხთან ,,ხორუმი,,!

ხანდახან

წესებისათვის უწესობს წესი
ხანდახან.
გაიაფდება უძვირფასესი
ხანდახან,
კაცივით ფიქრობს
დაღლილი ხარი
ხანდახან.
თვით მზეც კი ჩასთვლემს
მშფოთვარე წამით
ხანდახან.
დაგახრჩობს უცებ ყვავილთა ნამი
ხანდახან.
დამავიწყდები,დაგავიწყდები
ხანდახან...
უკანონობას კანონიც სჩადის
ხანდახან.

რომ არ ყოფილიყო ქრისტე

რომ არ ყოფილიყო ქრისტე,
ვინ ეწამებოდა წმინდად
სურვილთა სხვათ?
რომ არ ყოფილიყო ქრისტე,
ვინ გაედებოდა ხიდად
მიწად და ზღვად?
რომ არ ყოფილიყო ქრისტე,
ვინღა მოთოკავდა მძიმეს
არყოფნის აზრს?
რომ არ ყოფილიყო ქრისტე,
ვიღას ექნებოდა რიდი
სირცხვილის წილ?
რომ არ ყოფილიყო ქრისტე,
ვინღა იქნებოდა მშვიდი
სიკვდილის წინ?

მამულო ჩემო

თუ რამეს ვწერდი,
ვშლიდი თუ ვწერდი
სულ ჩემთან იყო
კაცი და ღმერთი.
თუ რამეს მისხლით
ვკინძავდი, ვჭედდი -
კვლავ გვერდით მედგა
კაცი და ღმერთი.
თუ სასხლავს ვსხლავდი,
თუ სამკალს ვმკიდი,
მამულს ვიცავდი
რწმენით თუ მკერდით...
ძველის და ახლის ვიყავი მკვიდრი
ისევ და ისევ შენ მყავდი გვერდით
მამულო ჩემო, მთელი ხმით მჭექარ
შენს დიდ სიმღერას ჩემი ხმაც ერთვის -
მამულო ჩემო, ორივე შენ ხარ,
ორივე შენ ხარ- კაციც და ღმერთიც.

არსუკიძის მონოლოგი

მოკვეთილ მკლავის სამკერდულით ვკიდივარ კედელს
და უხერხულად გადახერხილ სახმილით ხმებით
ამ დაწმენდილი, ნაწვიმარი წარბ წახრით წავალ
წიწამურისკენ,ნაწიწმატარ ჩემ წილი ხმებთ.
განკიდეგანდა განმჩხრეკელი განძის, განდობის
და დამაშვრალი დაღმაურმან დამადაისფრა.
ვერ მოვესწრები ვიცი კაცის მუნახათობით
აფრთამალებას აღმა ახალ აზრის აისფრად.
მაციმციმებდა ცდომილები სივრცით,რას ვცნობდი
თუ მიმაქცევდა მისაქცეველს მიმაქცეველი.
მძიმეა ძალზე შეუძლებლის შეძლების გრძნობა,
მესამძიმრება უსულგრძელეს ძალის მძლეველი.
მიმობნეული ბოდვა ბინდის ბაგეზე ბნდება ~
და ფერმკრთალდება
ფერი ფაფუკ ფეფებით ფრთხალი,
ტანსრული ტოტი ტირიფივით ტიტინით მტყდება,
მჭირს შეჭირვება მოჭრიალე,გამჭრელი ბრჭყალით.
შენ შემოდიხარ,შეშინებულ შემოსვლას შენსას
შუქნიშანივით შიშნარევი მანიშნებს ფშვინვა.
ამ აყვავებულ ყვავილნარში გეყოო ყოფნა,
ყვითელი ყელით შემომყივნებს მყივანი ყინვა.
თურმე სათუთი თოთო რთოლვა მითრთოდა თითნში
და მოსათრთვილავ თუთასავით მომესათუთა,
მაპილპილებდა პიტალოზე ნაპოვნი პიტნაც
მეპირებოდა უნაპირო ნაპირსაც ტუტად.
ასისინებულ საღამოურ სიმარტოვეში
სიცოცხლის სვეტის სხივის სხივი ასგზის მათბობდა.
ჯგროდ ჯიბრში მეჯდა მიჯაჭული ჯახუნი ჯავრის
და უსულგულოდ, უსუსური დახალვათობდა.
ზარი და ზათქი, ზარ-ზეიმი ზარად სდევს ახალს,
წამით დრო-ჟამი იღიღინებს ღამის ღიღინით.ჩუმი
ჩურჩულით ჩამომაშლის ჩემს ნაჩიჩახვარს-
მიმქრალ ჩუქურთმას, მომქროლელი ქარი ქირქირით.
იქ იისფერი იმადგარად იმღერებს იმდენს,
რომ განიმქრევა მორონინე ღრუბლებად რული.
ნაკადულივით, სინარნარით ანკარა იდენს,
სინათლესავით ისუფევებს სიმშვიდე სრული.

მე ვარ ტაძარი

მე ვარ ტაძარი, ჩემი ფრესკები
ათასნაირი ხილვებით გავსებს,
დაბადება თუ გარდაცვალება
შენ ჩემში ხარ და პირთამდე სავსე.
მე ვარ ტაძარი, ჩემი სანთლების
დაუმწვარი და დამწვარ მძივებით
და მათი ვნება შენში ფეთქავს და
ხმაურობს როგორც სულში წვიმები...
ჩემი ზარია შენ რომ გაღვიძებს,
შენ რომ გაძინებს ტკბილი სიზმრებით,
ეს მე ვარ შენი ყველა ტკივილი,
რომ ვერ ვისვენებ,რომ მესიზმრები...
მე ვარ ტაძარი,
მე ვარ მზე შინა
და თუ რამ ჩემში მოდის მორევად,
შენში გადმოდის, შენში იღვიძებს
დავიწყებად თუ გამეორებად
და ჩემმა მუდმივ დაუცლელობამ
უნდა გაუძლოს ყველა დროებას,
შენა ხარ ჩემი დროსთან ნამცეცით
დაშორებაც და მიახლოებაც.

უფრთხილდი

უფრთხილდი წამით შვილწართმეულ
ძუ ვეფხვის ნახტომს,
უფრთხილდი წყალბადს და ამ რიგით
უფრთხილდი ატომს,
სხვის ნახნავებში ვინც რომ კრეფას
დაუწყებს ატოლს,
ქვეშეცნეულად,თუმცა მშვიდად,
უფრთხილდი ამ ტომს,
უფრთხილდი მზის სხივს იმისასას
ვისაც სულ ათოვს; –
ვინც არ უარყოფს უარყოფილს
არასდროს არამს,
არად მიიჩნევს შეუჩვეველ
შენს ჭირს და ვარამს,
შენთვის ვინ მხოლოდ გაიმეტებს
უკუნეთ წკვარამს,
ვინც სახეს თვისას სულ სხვადასხვა
ნიღბებით ფარავს
ნუ მიენდობი! ნუ ეძმობი!
არამც და არამც!...
უფრთხილდი, ჩემო კართაგენო
და ჩემო ტროავ!
სანამდის დროა,
სიმშვიდისა სინამდის დროა!

ციური მესხიშვილი – პედაგოგი - პოეტი

ლექსი გამოქვეყნებულია გაზეთ ,,ლიტერატურულ მ ე ს ხ ე თ შ ი“ № 5 მაისი (282) 2022 (გაზეთში, ბოლო ორი სტროფი არ არის, რადგან, რედაქტირებისას შემდგომში მივამატე)

მ ე ს ხ თ ა მემუარები

ეჰეჰეი! - მე მესხი ვარ, გესმით, მთებო ჩემი ხმა ?!
მუმლი მუხას არ შორდება, -მუხის ტოტი შემიხმა!..
ეჰეჰეი!-მიტომ გიხმობთ, ამირანის გორიდან,
წუხელ, რაღაც უცნაური, თოვლის წვიმა მოვიდა!..
აბულზე მზე ამოვიდა,- წვიმით გაჩნდა ღარები,
სამსრის სერზე გადავშალე მესხთა მემუარები...

ეჰეჰეიი!-ბანს მაძლევენ: ჩახრუხაძე, თმოგველი,
ვ ა რ ძ ი ა შ ი მოდიოდნენ, შობის ღამეს, მოგვები...
მოეწონათ ჩემი მხარე,- ,,გვაქვს უთვალავ ფერითა,“
,,დავჯექ წერად ანდერძისად“-რუსთაველის ენითა:
მინდა ცხენით ავაფუტო, თორელების თავლები
და ყიჟინით გავაღვიძო დიდი მხედართმთავრები!.

ეჰეჰეიი!- დავძახო და ავამღერო ხეობა:
,, ვარძიობა-ძიობასა,“- თამარ მეფის დღეობას...
შენ, ძვირფასო, ალმაცერად და ირიბად ნუ მიმზერ!
მე მესხი ვარ, კერპი ქალი,- ვარძიის კლდის პირიმზე!..
ხან ჩიტიც ვარ, ხარისთვალა, აქ მაქვს ჩემი ბაღდადი,
მონასტრებად გამოვთალე სამცხის ქვათა ღაღადი!..

ვანის ქვაბზე ჩიტი რომ ზის, ყელი მოუღერია...
მონაზონი სატრფო იყო, ერთხელ არ უმღერია!..
ეკლესიის თაღს შესწირა ფატა-ლურჯი წულისა,
ეს ქვაბები თვალებია დემნა უფლისწულისა!..

ყაყაჩონი რად ტირიან დღემდე, ბერთა ყანაში?!-
უფლისწულმა, ვერ მოასწრო დედოფალთან თამაში!..

იქნებ ჯობდა, ან არ ჯობდა?!-ეჭვი შემაქვს ამაშიც,
დიდმა მეფემ რომ დასაჯა, ის ლიპარიტ ბაღვაში?!..
დღეს ჯავახეთს ისევ უჭირს, ცოცხლობს, მხოლოდ ლოცვებით,
მეფისნაცვალი რომ ვიყო, ისევ გავაცოცხლებდი!..
შენ, ძვირფასო, ალმაცერდ და ირიბად ნუ მიმზერ!
მე მესხი ვარ კერპი ქალი, ვარძიის კლდის პირიმზე!..

ვინ გაიგო, აბა, მესხის ღალატი და სიმცირე?
შინ რომ ცრემლად ვიღვრებოდით,-გარეთ გამოგიცინეთ!..
შენ რა გესმის, რა სევდაა, ლაკლაკების ღაღანში,
ან მზე რატომ იმალება ჭანჭკარების მარანში?!..
ყველა მესხი გმირი იყო, განა ნაცარქექია,
ხერთვისში რომ თუთა მწიფობს, -შემოდგომით ღმერთს მიაქვს!..

თუთის ტყლაპის ეტრატებით, თამარ მეფის დროშებით,
ბასიანში ფეხაკრეფით მიდიოდნენ ქოშებით...
ცხრაფურცელა უფლის ქადა,სეფისკვერს რომ უდრიდა,
ზიარებად მიჰყვებოდა, მეფის ლაშქარს წუნდიდან!..
დიდი ბექას სამოსახლომ,-ჯაყელების საფარამ,
ღ მ ე რ თ ი, მტერს რომ გამოექცა, მაშინ აქ შეაფარა!..

შენ, ძვირფასო, ალმაცერად და ირიბად ნუ მიმზერ!
მე მესხი ვარ, კერპი ქალი,- ვარძიის კლდის პირიმზე!..
ახლაც ვტირი და მივტირი, არჯანაში-არჯაკელს,
როსტევანის თინათინი,-მტერთან უნდა ავჯანყდე!..
მე დედა ვარ, ბრწყინვალისა,- დიდი ბექას ნათელა,
ლომსიიდან - საფარაში მთვარის ამონათება...

მ ე ს ხ უ რ მრავალჟამიერით მზე მღეროდა ,,დილოვდას,"
ღვთით გიორგი, მბრწინავ მეფედ, სამცხეს აღიღილოვდა!
ფარავანის ცრემლში ცურავს დღემდე, ფოკა-ხერთვისი,
ქრისტე ღმერთმა დაიფაროს, მისი აწმყო, მერმისი!..
დრო იყო და თავის ჯავშნით გაუმკლავდა კუ-ურდოს,
ღმერთი, ჭოგრიტით უმზერდა გუმბათმოხდილ კუმურდოს...

დაუძლურდა, მიწად იქცა, ობისაგან ზარები,
მნათეებად მაინც სხედან ოშკში, ოპიზარები!..
ჭრელ ჩიქილას აფრიალებს: ჭულე, ზარზმა, ჩორჩანი,
შორეთში რომ ისევ ყვავის ოქროს ციხის შროშანი...
შენ, ძვირფასო ალმაცერად და ირიბად ნუ მიმზერ!
მე მესხი ვარ, კერპი ქალი,- ვარძიის კლდის პირიმზე!..

ჰო! კრავაი ჯაყელი ვარ, -დაგავიწყდეთ არვისა!
და მშვიდობის მოციქული, თამარ მეფის კარვისა!..
ვარდს ბულბული შეუყვარდა, მზეს ცეცხლი სწვავს ალვისა,-
ლიონიძეს ტრფობა ჰკლავდა, ათაბაგის ქალისა!..
რაა?- აწყური დაგავიწყდათ, თუ ერეკლეს ასპინძა?!
ხიზაბავრის მზე რომ ჰყავდა, მეფის ლაშქარს მასპინძლად!

ჰო, მოიცა!- შიკრიკია, თეთრი ცხენით მოვიდა...
სლესის ციხეს უკაკუნებს,-სტუმარია თორიდან!!..
ხედავ?!- ჩემი მაშველია, ალმაცერად ნუ მიმზერ!
მე მესხი ვარ, კერპი ქალი,- ვარძიის კლდის პირიმზე!..
განა კოცნით გადამიცვდა კაბის თეთრი საყელო?!..
ხან ,,მზეშინას" გიმღეროდით,- ხან ვმღეროდი

,,სამყრელოს"...
შავლეგომაც შემოსძახა ერთ დროს ,,მამლი მუხასა,"
წონწილებს,- ვერ წაიქცევა!..ხმალს მოიქნევს უხმარსა!..
ეჰეჰეიი!-გაიღვიძე, პაწაწინა ნამყენო!-
შ ა ვ ლ ე გ ო და მისი ცხენი, უნდა გადააყენო!
ალმაცერად რად მიცქერი, ვერ მიცანი ღიმილზე?!
ჰო, ვარძიის შროშანი ვარ,- სისხლიანი პირიმზე!

ეჰეჰეიი!- მე მესხი ვარ და ვირჩევი სიფრთხილით
გახსოვთ? რუქნადინის ლაშქარს, როგორ გადმოგიფრინდით?!
სიზმარში მყავს მხოლოდ სატრფო, - ცხადში, მსგავსი,სად არის?!..
შ ა ვ ლ ე გ ო და გ ე ლ ა ბიჭი,- მესხთა მთავარსარდალნი!..
თეთრი ცხენი დამესიზმრა, წუხელ, ფაფარაშლილი!
დიდუბიდან მომძახოდა დიდი თამარაშვილი:..

სულ გახსოვდეთ!- მესხი იყო დავით გურამიშვილიც,
გუარამის სისხლი სუთა და სიყრმის შვილიშვილი...
მირგოროდში სძინავს,მლოცველს მიძინების ტაძარში,
მტერი იქაც ემუქრება, ზარს ვარისხებ განგაშის!..
ეჰეჰეი!- თქვენც მესხნი ხართ, გესმით მთებო, ჩემი ხმა?!
მუხას მუმლი არ შორდება, -მუხის ტოტი შემიხმა!..

ეჰეჰეი!-მიტომ გიხმობთ ამირანის გორიდან,
მ ე ს ხ ი- არასდროს გასულა ზურგშემქცევად ომიდან!
თუმცა ტ ა ო შ ი დავეცი, ვიყავ რკინისმკვნეტელი,
ვახტანგ მეფის მეუღლე ვარ, სითი ფანასკერტელი!..
თქვენ, ძვირფასნო, ალმაცერდ, ცოტა ეჭვით კი მიმზერთ?
მ ე ს ხ ი ვარ და ფოლადი ვარ, -ვარძიის კლდის პირიმზე!

ი ვ ლ ი ტ ა

სადედოფლო ქალი იყო შვლისთვალება ივლიტა,
უთენია ადგებოდა მზე რომ ჩამოივლიდა!
შავ დალალებს(რა დალალებს!) შარად ჩამოიშლიდა
თავშავა რომ უღებავდა შელოცვილი გიშრითა...
შავი დანა, შავი ტარით მუდამ ჰქონდა ჯიბეში
ფეხშიშველი მიდიოდა შალვას ახალციხეში!
ერთხელ, გზაზე მიმავალი ვარსკვლავებს რომ ითვლიდა,
გიშრისთვლიანი ბეჭედი უცებ წასძვრა თითიდან...
ციხის კოშკზე ცეცხლი ენთო, ცას შეხედა შიშითა,
ციდან მთვარე ჩამოიღო და მე გამომიშვილდა!
მშვილდი მხარზე გადვიკიდე, ხმალიც გამოვიშიშვლე,
მალემსრბოლი გავუგზავნე თამარ მეფის ძმის შვილებს...
ბასიანში გამარჯვება, ზოგს ზღაპარი ეგონა,
შ ა ვ ლ ე გ ო ზ ე ოცნებობდა ის და ყველა გოგონა!..
მეც ვიყავი მეოცნებე, ვამაყობდი იშხნითა,
რა ვიცოდი, მერე, მტერი კედლებს ჩამომიფშხვნიდა!..
ხან მზის ათინათი ვიყავ, ხან შროშანი ნესტანის,
სიყვარულმა მეც ჩამასო შხამიანი ნესტარი...
ზოგჯერ შუშანიკი ვიყავ, ხანაც ლაღი ფატმანი,
მონასტერში ხატს შევწირე საქორწინო თათმანი...
წუხელ კიდე ვნახე სიზმრად თავს ვიკლავდი კვეტარში,
ჩემი უტა მომკვდარიყო ჩუქურთმების კვეთაში...
უფლისაგან მოსდიოდა მეფეს სადილ-სამხარი,
როცა სურდა მისი იყო ტურფა ვარდისახარიც...
აღარ მახსოვს, რა დღე იყო: თუ შაბათი თუ კვირა?!..
ის კი მახსოვს ძუძუს თავზე, მეფემ, როგორ უკბინა!..
ბადელაში ბადე ვქსოვე და ფოცხოვში ფაცერი,
ვარძიაში, მტკვრის ნაპირას, კალმახები გავცერი ...
ბადრის ბადე მოვიპარე, ავიფარე პირს რიდედ...
ზოგჯერ მინდა (შუაღამით!) ისიც შემომივლიდეს!!!..

ვ ა რ ძ ი ა

მწიფობის თვეა, მტკვრის ხეობაში,
შემომცინიან მორცხვად ქაცვები,
ისე დიდია, ჩემი ვარძია,
რომ სჩანან, როგორც ქონდრისკაცები...
და უფრო დიდი ყოფილა ოდეს,
ვიდრე მიწისძვრამ კალთა ურღვია,
მთვარის ნატეხად ჩამოსტყდა კბოდეს
და დაგვიტოვა კარი გულღიად.
შირიმისფერი სამოსი მოსავს,
ნადიმს უმზადებს ცაში არწივებს
და თ ა მ ა რ მეფეს, უფლით,
ღვთისმოსავს,
მზე აკემსინებს ჩოხის ყაწიმებს.
აქ სალოცავად მოსულა, მე ს ხ ი ც,
ავთანდილის ცხენს გასძვრა ნალები...
დოლაბებიდან, შავ შაშვებივით,
მოსჩანს შავლეგოს ნატრეფალებიც...
მწიფობის თვეა, მტკვრის ხეობაში,
ისრებს მართავენ მტრისკენ ქაცვები,...
ისე დიდია, ჩემი ვარძია,
რომ სჩანან როგორც ქონდრისკაცები!...

შენი თორი გადაწვეს!..

სად ხარ, ბიჭო, შავლეგო?
სად ხარ?-არ გეყურება?!..
შენი თორი გადაწვეს
უსამშობლო ტურებმა!..

იწვის შენი სლესა და
ცას შეჰბღავის შვლის ნუკრი,
მომე ხმალი სლესართა
და მტერს გულში გავუყრი!..

მინდა მკერდით დავიცვა,
სლესის სათოფურები,
ირმისა და ნიკორას
მაკე, სათნო ფურები!..

სად ხარ, ბიჭო, შავლეგო?
სად ხარ?- არ გეხუმრები!
მიწისაგან აღგავეს
შენი ნაფეხურები!..

ვაი, დედააა!- ვბღავი და
ტყეში ბღავის ირმისა,
ვერაფრით ვერ ჩავიდა
ის საბრალო წყლის პირსა!..

შავლეეეგ!-შენ თუ მიშველი,
გააღვიძე უფალი!
მიეც ხმალი შიმშერის
და ჩემს ნაცვლად უთხარი:

რომ ღმერთს, როცა ეძინა,
მტრებმა მაშინ იხუვლეს
და მესხეთის სამოთხეს
ფარდა ჩამოუხურეს!..

გევედრები, შავლეგო!-
მეფე როსტევანივით,
ქვაბისხევის ქვაბულში
დამწვით ქეთევანივით!..

შენც ხომ გახსოვს შოთაი?!
შენც ხომ გახსოვს იაი?!..
მომივლინეთ წვიმა და
ცრემლიანი ნიავი!..

სად ხარ ბიჭო, შავლეგო?
სად ხარ? - არ გეხუმრები!
მიწისაგან აღგავეს
შენი ნაფეხურები!!!..

თ მ ო გ ვ ი ს ც ი ხ ე ს
(სარგის(გ ე ლ ა) თმოგველს)

იცოდე რომ ამაღამ,შენთან, ჩუმად დავრჩები,
ქარავანი გავძარცვე,-მოგიტანე ფარჩები,
როგორ ჩამოგძონძია, ის ლამაზი ქობანი,
ალბათ,გამვლელს ჰგონიხარ, ვიღაც მწყემსი, ჩობანი...

კვლავ თავს რომ არ დაგესხას, მგელია თუ ხონთქარი,
უნდა ვთხოვო ღვთისმშობელს,წაგიკითხოს ტროპარი!..
წუხელ ვნახე სიზმარში, გელა ბიჭი ტიროდა,-
მიცურავდა კალმახი,მტკვარის სანაპიროდან....

ნეტავ,მაშინ,იმ დროში, ღმერთო,რად არ მაცხოვრე?!
ვიქნებოდი იმ გმირის ღირსეული საცოლე!..
ვინც რომ თავის ლურჯათი,ქარაფიდან იფრინა,
მტერი, საოცარ გმირებს, თითზე, ვეღარ ითვლიდა!..

მიწაზე არ დაეშვა,მისი დროშის ტარია!..
ჰაერში შეასრულა თორმეტჯერ მეტანია!..
ნეტავ,მაშინ,იმ დროში,...ღმერთო,რად არ მაცხოვრე?!
ვიქნებოდი ამ გმირის ღირსეული საცოლე!!!..

ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს ს ა ე ლ ჩ ო

ციდან მოფრენილ პეპელას,
ჩემს დოქში თავი ჩაეხრჩო,
შოთას წყაროსთან გავხსენი,
დღეს, სიყვარულის საელჩო...

საცაააა მობრძანდებიან,
თამარ მეფე და სოსლანი,
სეფე ქალებად ხლებიან:
ანა-გვირილა, სოსანი...

ციდან მიღიმის ფერია,
კალთანაქარგი შროშანი,
ვარძიის ღვთისმშობელია,
განა, აქედან შორს არი?!

პალესტინიდან გვეახლნენ:
ელჩი, შიკრიკი,-უსტარით,
რუსთველის მალემსრბოლია
და გზას კითხულობს, რ უ ს თ ა ვ ი ს ...

,, ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ი ს " ეტრატი
და მგალობელი ფრთოსანი,
მოგართვით, დიდო მეფეო!
მოკითხვას გითვლით მ გ ო ს ა ნ ი !!!.

ხ ი ზ ა ბ ა ვ რ ი ს გალალია ღამე

ზამთარია!-სცივა ხიზაბავრას ,
მთელი ღამე განუწყვეტლივ ბარდნის,
არემარე თოვლმა გადაფარა,
მე,- დარდი მკლავს აყვავებულ ვარდის...

სიცივისგან აცახცახებს რცხილას,
თოვლისაგან თეთრი არის სკამი,
გამახსენდა ბავშვობა და დილა,
რცხილის ქვეშ რომ
ვთამაშობდით სამნი...

ნეტავ ისევ, ის ძველი დრო იყოს,
ხიზაბავრის გალალია ღამე,
ორღობეში დამიჭერდე ბიჭო...
მაკოცებდე და მეტყოდე რამეს!...

ცივ წყაროსთან, რაც მითხარი მაშინ,
საიდუმლოდ რომ გავანდეთ მერცხალს,
მოცხარზე რომ ჭახჭახებდა შაშვი
და კოცნის დროს ,ჩვენს მაგივრად შერცხვა.

ახლა, შორს ვარ,
კარი დამრჩა ღრიჭოდ,
თოვლი კოცნის მიტოვებულ კარებს,
ვერაფრით ვერ დავივიწყე ბიჭო,
ხიზაბავრის გალალია ღამე!..

ხ ე რ თ ვ ი ს ი ს ციხეს

შენ ისეთი ლამაზი ხარ,
რომ ჩემს სატრფოს მიგამსგავსე,
ორივე რომ გადღეგრძელოთ
ჭიქას ავწევ ღვინით სავსეს!..

შენი ციხის ფუძეს ახსოვს,
მისი ხმა და სიკასკასე,
ალბათ, მიხვდი, ახლა უკვე,
რომელ სატრფოს მიგამსგავსე?!...

წუნდის ტბასთან შორიახლოს,
დაჩოქილა თეთრი ცაცხვი,
უპოვია დალალი და
თამარ მეფის კულულს ვარცხნის.

წეროების მოსაწვევად
დაუდგიათ ქერი ვარცლით,
ჩამოსულა ანგელოზი
და სტრიქონებს მარცვლის:

,,კარვის კარი ჩახლართული,
ჩავჭერ ჩავაკარაბაკე“...
ისტორიამ, რაც დამალა,
თქვენ, რად აალაპარაკეთ?!

– ერთხელ,როცა გადმოვფრინდით
ცამდე აწვდილ ქარაფიდან,
ნატკენ ხელზე მოწიწებით,
ცხელი ბაგე დამაფინა.

იმის მერე სიყვარულით,
გავხდი ციხის პატიმარი,
წუნდის ტბიდან- ვარძიამდე
წყალი დამაქვს საზიდარით.

ცაცხვი როცა მეფერება,
ცელქი ქარი სულ აშარობს,
რომ მივტირი ვარდის ფურცელს,
გადახვეწილს გულანშაროს.

აღარ მხიბლავს ოქრო-ვერცხლი,
აღარ ვეტრფი, აღარც მძივებს,
რა მოხდება, ერთი ღამით,
შენს უბეში დამაძინე!..

შენ ისეთი ლამაზი ხარ,
რომ ჩემს სატრფოს მიგამსგავსე,
ორივე რომ გადღეგრძელოთ
ჭიქას ავწევ ღვინით სავსეს!!!..

შ ო თ ა ს კიბე
(სალაღობო)

მზესუმზირა მქვია თორემ,
მზექალა ვარ ცოლი- ქმრისა,
მზის ჩასვლისას, ქმრის წინაშე,
მუდამ, მორცხვად თავს რომ ხრისა....

ერთ დროს ვიყავ დევის ქალი,
ქვაბისხევის ქვაბებისა,
ქაჯთა ციხეში ქორწილი,
არაფრით რომ არ მეღირსა.

მომიტაცა მონადირემ,
ვიღაც უცხო მხარეთისამ,
წყალი მასვა სულ კამკამა,
დამყურებდა მთვარე მთისა...

მიმიყვანა მიწურ ქოხში,
მე, შინ დავწექ,- ის გარეთა,
იქ შეიქმნა ლოცვასავით:
,,მზე შინა და მზე გარეთა"...

მალე აკვანს მივუჯექი
და მოვუხმე ჯადო- მისნებს,
ვარსკვლავები ციდან ყრიდნენ
ძველ, ბიბლიურ აფორიზმებს...

მარცვალ- მარცვალ ვკრიფე მძივად
და აკვანზე ჩამოვკიდე
შოთამ ენა ამოიდგა...
დაიძახა: -კი- ბე, კი- ბე!..

გავვარდი და მოვიტანე
მტკვრის პირიდან ძეწნის წნელი,
ყრმა კიბეზე ფეხით შედგა,
შეაშველა, ღმერთმა ხელი...

შემეშინდა, დავიძახე:-
მზევ! შინ შემო! მზევ! გარედან!
ანგელოზმა ჩაიმღერა:-
,,მზე შინა და მზე გარეთა"...

შოთა, უფლის სკამზე დაჯდა,
დავადექი მე გზას გზირად.
გზაზე მოვკვდი, ამოვედი
იმ გზაზევე მზესუმზირად...

მზესუმზირა მქვია თორემ,
მზექალა ვარ, ცოლი- ქმრისა,
მზის ჩასვლისას ქმრის წინაშე,
მორცხვად, მუდამ თავს რომ ხრისა...

სანამ გვირგვინს დამაცლიდნენ,
სანამ კბილი დამცვივდება,
დამეკარი ცხელ ტუჩებით
სავსე მკერდზე ყანიმებად!!!...

ა ს პ ი ნ ძ ი ს ომის ფრთოსნები

მაშინ, როცა, აპრილის თვეს, იღვიძებდა მთა
და ველი,
მზემ, მდინარე, შემიღება ლილისფერი
აკვარელით!
მტკვარს ვენები დაებერა,
დავით მეფის ცისფერ სისხლით,
დენთის სუნი დატრიალდა,- დაიფარა ზეცა
ნისლით...

გაზაფხულზე, იგრიკის თვეს,
მზემ რომ მარსში გაიღვიძა,
მეფე ერეკლეს წინაშე,
ტოტლებენი გაიბღინძა...
დედოფალი, ოსმალებთან ბრძოლას, ისე
ავალებდა:
,,რუსულ სულით, ქართულ ხორცით,"
როგორც რუსეთს აამებდა!..

თუმც, ე რ ე კ ლ ე, მწყრალად იყო,
ტოტლებენის ღალატითა,
ტანს, მაინც, არ იმშვენებდა,
ხანის გრძელი ხალათითა.
მას პატარა კახი ერქვა, ჰქუხდა დიდის არაკითა,
პრუსიის და ფრანგთა მეფეს,
არ რჩებოდა არაფრითა!..

სავსე იყო სიქველით და ნათელს ჰფენდა გზას
გავლითა,
(გრაფისაგან განსხვავებით,-
არ ხარბობდა ნადავლითა!..)
ეტყობა, რომ ზეცაშივე, მფარველობდა დიდი
ზევსი,
უფლისწულად დაბადებულს,
ძალა ჰქონდა ჰერაკლესი!..

მხარზე ანგელოზი ესვა,
ხმალი ჰქონდა შიმშერისა,
ნადირ-შაჰის ნაჩუქარი,

ვით ბეჭედი გიშერისა.
,,ხმალი წუნკლებს!"-რომ დასძახა და
აღმართა ბაირაღად!-
მორახტული ბედაურით,
ბრძოლაში რომ გაილაღა...

ლოცვას სთხოვდა თამარ მეფეს, -შემწეობას
დავით სოსლანს,
ნმლით ეკვეთა ურჯულოს და შეებრძოლა ლეკს
და ოსმალს...
სულ თავ-ბედი აწყევლინა ახალციხის გოლა
ფაშას,
ჩალმით ყველა გამორჩეულს,-
აფარებდა ქალის თავშალს!..

ბეგებიც წყალს გაატანა:
ქურმუხ, არტან, შავშეთისა,..
მხოლოდ ღმერთით თუ იცოდა განსხვავება
შავ-თეთრისა!
კოხტა ბელადს რომ ეძახდნენ დაღესტანში
მალაჩილას,-
ერეკლესთან ,,დავლურის"დროს,
ისიც აღარ ღირდა ჩირად!..

ღამით ხიდი ჩამოშალეს:
სვიმონ, აღაბაბ, ხუდიამ!..
თანაც ისე, მტრის ბანაკში, ვერაფერი
გაუგიათ...
მტკვარს მიჰქონდა ცოცხალ-მკვდარი წივილ-
კივილ-ტირილითა,
მალაჩილას შავი რაშიც მიცურავდა ტივივითა!..

მეფე ერეკლეს ბრძანებით, დაეწერა ჯვარი
მზესა
და გადასცეს მესხთა გმირებს: ნებაძეს და
ჯვარიძესა!..
დიდი წვლილი მიუძღოდათ
ღამით ხიდის ჩახერხვაში,
მთვარემაც ხელი შეუწყო,-
დაიმალა როგორც ბავშვი...

,,მატყუარა მებადურებს",
რა ბრალს დასდებთ? აბა,რაში?
დღეს, ლაჩრების საუკუნევ! შეეჯიბრე
გმირობაში!..
თავის ცხენიც რომ არ ჰყავდათ,
ვერ დაჰქროდნენ თეთრი რაშით,
მაგრამ ქრისტეს სული ედგა ყველა ქართველს
თავის ხმალში!..

ამ ბრძოლაში, იღვრებოდა,
უფრო მეტად ძმათა სისხლი,
არემარეს აყრუებდა
,,ვ ა ი! დ ე დ ა ს !" ღაღადისი...
მზე და მთვარე დაეჭირა მეფეს ხელში
დაფდაფებად,
თევზი აღარ დგაფუნობდა!-
ხიდთან წყალი ქაფქაფებდა...

მაშინ,როცა აპრილის თვეს, იღვიძებდა მთა და
ველი,
ასპინძასთან შეიღება
მტკვარი წითელ აკვარელით!..
თვალზე ცრემლი მოსდიოდა
ფუძეს მიკედლებულ მერცხალს,
მთვარეს ხმალი დაუვარდა და ლომთა მზეს
ამის შერცხვა!..

უფლისჩიტა ჩაფრენოდა
თეთრი არაბულას ფაფარს,
ჩიტბატონას უყვებოდა კახთა მეფის ახალ
ამბავს:
ხერთვისთან რომ გაიმარჯვა
და აფრინა მალემსრბოლი,
როგორ ჩამოაგდო ციდან, მთვარე
-მშვილდისარის სროლით...

ნიშს უგებდა ახლა, მეფე,
(გრაფს!), ოსმალთა ალაფითა,
(სურამში რომ დაბანაკდა
თავის ურცხვი მარაქითა)...
პეტერბურგში გაუგზავნა ოცდახუთი(!)..
თურქთა დროშა,
სამი ლეკიც მიაყოლა,-
რაც უღირდა მეფეს გროშად!..

სწამდა მეფეს, ერთმორწმუნე მოუტანდა საქმეს
,,ტკბილსა,
რა იცოდა, მის შვილიშვილს,
რომ მოსჭრიდა მერე კბილსა?!..
მანაც სცადა გასწორება
შეცდომის თუ იმ ნაკლისა...
კახთა მეფის მსგავსი მეფე,
ერმა ბევრჯერ ისაკლისა...

ძველ სამცხეში, ივერთ მეფეს, უმზადებდა
ნადიმს ქარი
და მზად იყო საზეიმოდ ნარიყალაც,-
ნადიკვარიც...
ძოვნად მიართვეს ჯავახებმა ფურირემი
(მეწველი თან)-
ქრისტეს დროშა აფრიალდა, ღვთისმშობელის
შეწევხითა!..
.....
ასპინძის მთებს, ექოსავით,
ახლაც ესმით მოთქმა მტრისა
და სევდიანი დუდუნი მრავალჭირნახული
მტკვრისა.
არც, არავის ავიწყდება თქმა-წარწერა მეფის
ხმლისა:
,,მე ვარ ავი მუსაიფი,
კახთ ბატონის ირაკლისა!..''

ბიჭო, ზ ა ნ ა ვ ი ს ციხეო!
(სალაღობო-ხალხურ მოტივზე)

ბიჭო, ზანავის ციხეო!
მითხარი, რისთვის მიხმეო?
ნეტავ ხომ არ მოგენატრა,
ერთად რომ დავრგეთ ის ხეო?!..

თუ გინდა ღამით ამოვალ,
თეთრ შროშანებს თუ მიკმევო,
თუ ჩოხის ღილს არ გაიხსნი,
ძუძუზე თუ არ მიკბენო!..

მთაში ირემი მყვირალობს,
ფურებს ასკდებათ ჯიქნები,
თოფს, ნუ გაისვრი ფირალო
ოღონდ და შენიც ვიქნები...

გეტყვი რომ მხოლოდ სხვა მიყვარს,
სატრფოდ მყავს ციხე ზანავის,
პირველად მასთან ვიწექი,
სხვა არც მყოლია არავინ!..

ვერ დავივიწყე ამ ციხის
შავთვალა სათოფურები,
ირმისფეხება ნუკრები
და მოლზე სათნო ფურები.

ხავსის ულვაშით მომნუსხა,
თვითონ შევიხსენ ღილები,
იმ ხესთან ერთად დაგვმარხეთ,
კოცნისგან გადაღლილები!..

ბიჭო, ზანავის ციხეო,
მოდი რა, ისევ მიხმეო!..

ო ქ რ ო ს ც ი ხ ე ს

ჩემი სახლის აივნიდან,
ოქროსციხე ისე მოჩანს,
გეგონება დაირიდან
გაუშლია კვირტი შროშანს.

ადრე, როცა თამარ მეფე
შორიახლოს ჩაივლიდა,
ციხის მცველი ვარდთა ნეფე
დასცქეროდა აივნიდან.

ახლაც ასდით ის სურნელი,
ძველი ციხის სათოფურებს
და ნიავი მთის სურნელით
კოცნის მეფის ნაფეხურებს.

ძველი მესხი თავადები,
დრო იყო და მზეს
ეტრფოდნენ,
ოქროსციხის ავარდებით
ადიოდნენ მის ერდომდე.

ერთ დროს სეფე ქალი ვიყავ,
სიყვარულით ვაბოდებდი,
ციხის ძირში, - დალივითა
ვთალე ოქროს ნაფოტები...

ვთალე ოქროს
ფიქალი ქვა,
ოქროსციხე ავაშენე,
ვსინჯე ოქრო სინჯარითა
და ოქროთი დავამშვენე!..

თეთრი მანდილით ჩავდექი,-
თავადები გავაშველე,..
ხან თავადებს ვეხვეოდი,
ხან ვკოცნდი გზად
მაშველებს...

სადღაც გაქრა ის დროება ,
ახლა, ქაცვიც აღარ ქაცვობს,
ყელყარყარა ციხე მიყვარს,
იქნებ, ამან მომიტაცოს?!..

კობა მოდებაძე – ბუნების მცველი. პოეტი

სამცხეს

თუ შეგიღია სამცხის კარები,
თუ შეგიგრძვნია ციხე მოქცევის,
თვით მეციხოვნეს დაემგვანები
გადიადდები და გაოცდები.

ისევ დარეკენ აწყურს ზარები,
სამ ციხის ამგებს ეთაყვანები,
აღრფთოვანებით და დანანებით
ამ მიწას ეგმირთშთამომავლები.

ჭ უ ლ ე

ჭულეში მზე, რომ ანათებს
ჯერ ქვაბლიანზე ნისლია,
ამ ტაძრის მადლი ფარავდეს
ვინც ამ მამულის ღირსია!

ისე გადავალ ზანავებს
სული სავსეა ოცნებად,
ამ ტაძრის ხატი ფარავდეს
ვინც გულით მოილოცება!

სამცხელად ყოფნა მალაღებს,
-აქ ლოცვა-ღაღადისია,
ყველას უფალი ფარავდეს
ვინც აქ ცხოვრების ღირსია!

ვ ა რ ძ ი ა

ერუშეთის მხრიდან ცოცავს მტკვარი,
ნაპირიდან კლდესაც ვხედავ ცოცხალს,
ამ წიაღში ცოცხალია მკვდარიც,
ამ შრიალში ყველა სწავლობს ლოცვას.
ზეგნებისკენ ეშურება მგზავრი
და ქალაქთან განშორებით შფოთავს,
აათრთოლებს მზისფერ ფანდურს ქალი,
ვარძიაში ზეიმია როცა.
ჰა,სალბუნებს სულსაგრილოდ წყალი,
ვერცხლის თასი ტუჩს მეკმევა კოცნად,
წყალს ქვაბულში არ წაუვა თვალი,
კლდის შევსებას არ სჭირდება მოცდა.
ფრთები ვკოცნე ანგელოზთა,მკრთალი,
-უკვდავება სცოდნებია მოკვდავს,
კიბე ვთვალე,ვით გათლილი რვალი
და დგანდგარი ზარის ვთხოვე მოძღვარს...
საოცარი იყო ექო ზარის,
-კლდის გალობა-შარავანდი დროთა,
თუ წიაღში როგორ ცოცხლობს მკვდარიც,
თუ წარსული როგორ გაიფოთლა.
რომ სისხლისგან დაწმენდილა მტკვარი,
რომ თაღებში კლდესაც ვხედავ ცოცხალს,
ვარძიაში ისევ ცოცხლობს ქალი...
ფეხშიშველი კვლავ აღავლენს ლოცვას.

ზამთრისპირული

ყინულ-ბროლი ფენა-ფენა
გადიფარა ბინულმა,
ფოთოლცვენის ვერმოთმენა
იცის ზამთრისპირულმა.

ხევ-ხევ,სერ-სერ ქარი დაჰქრის,
ფოთოლთ მფრინავ ხალიჩით,
ვერმოთმენის ფრთებს გადაშლის
ყველგან ფერი ნარინჯის.

წლები ისე იფანტება,
თითქოს სიზმრად ხილულა,
გაზაფხულის მონატრება
იცის ზამთრისპირულმა.

ოცნება ქალური

იდეალური ოცნება ქალური;
-იყოს ლამაზი და ჰქონდეს სიყვარული.
თვალთა გამოწვევა,ტრფობის სამუმი,
ქართველ ქალობაში ძალა ძალუმი.
უფრო ძლიერია,როცა დედა ჰქვია,
უფრო ლამაზია ფონზე სიყვარულის,
რა ბედნიერია,როცა ჩუქნი იას,
როცა შინ და გარეთ ავსებს გაზაფხული.
იდეალური ოცნება ქალური;
- იგრძნოს დედობა და ნაღდი სიყვარული.

შენ რომ ოქროს გული გაბადია

განა ქვეყანაზე რაც კამკამებს,
ყველა მადლია და მირონია?
შენ ,რომ ოქროს გული გაბადია,
ყველა ოქროსგულა ნუ გგონია!

შენ,რომ კაცის ქუდი დაგიხურავს,
ქუდქვეშ ყველა კაცი ნუ გგონია!
შენ ვინც უპუროდაც დაგაპურა,
ნაღდი მეგობარიც ის გყოლია.

ნეტავ ამ უთვალავ ენამზეში
გული მზით მოსილი ვის ჰქონია?
შენ,რომ ოქროს გული გაბადია,
ყველა ოქროსგულა ნუ გგონია!

ქვეყნად სტუმრად ყოფნა ასეთია,
ბეწვზე ღვთის იმედად მიმოვიარ,
სითბო გულში,რომ არ დამეტია,
ირგვლივ სხვა გულებიც მიპოვნია.

ქართულ ენას

რა გვჭირს სასესხები სხვისგან,
გინდ სიტყვის და გინდ ანბანის?
სხვაგან როგორ უნდა ითქვას
“გენაცვალეს”შესადარი?

სხვა ვინ ეტყვის გზაში შემხვედრს:
“-გამარჯვება! -გაგემარჯვოს”?
ვინ შეჰვედრის ჩვენებრ ძე ღმერთს:
“-უფალო,გთხოვ შეგვიწყალო”?

რა გვჭირს სიტყვის ვალი სხვისი
სამი დამწერლობის პატრონთ?!
ღალატია ჩემთვის ისიც,
ქართველში,რომ ქართულს ვნატრობ...

* * *

ისე ნუ მომკლავ ღმერთო ჩემო,
ლოცვის ჩურჩულით,
–არ მოვიარო საქართველოს
ყველა კუნჭული.
ვერც რა სამანი,
ვერც ჟამთა სვლა
ვერ გადაჰკარგავს,
ფერეიდანში ქართულ სულის
არადამკარგავთ...
შვილნო ჰერეთის,
ტაოს,
სპერის,
კლარჯეთ,
შავშეთის,
ნიშნავს გმირობას,
შეძელით და არ გადაშენდით!

ხეს შერჩენილო ფოთოლო

ნარინჯისფერო ფოთოლო,
კენწეროს შერჩი მუმიად,
ეს,ხისთვის მიძინებაა,
შენთვის კი დასასრულია.
ისე ფარფატებ სიოთი,
მზის სხივს ცოცხალი ჰგონიხარ,
ვიღაც შენს მწვერვალს შენატრის,
ვერ გრძნობს შენს ტკივილს შორიდან.
ხეს შერჩენილო ფოთოლო,
ასეა,სანამ მოთოვოს,
ფარფატებ,მაგ კენწეროსაც
სანამდე გამოეთხოვო.

შ ი ნ ა მ ტ ე რ ი

ვინ ვის დასცინოს,
ვინ ვინ დაჩაგროს,
გული ატკინოს ვინ ვის,
შენ შენი მიწის დიდო ვაჭარო,
გზა ამირიე რისთვის?!
თუ იჩანჩალო,
გეტყვის:ლაჩარო,
წინ წახვიდე და რისხვით,
ან ზურგით ჩუმად დაგეხანჯალოს,
ან მოგანთხიოს ზიზღი.
ჰოი,ქართველო!
ჰოი,ასეთო,
რად მომეკიდე მტრად მე?!
შენს სიყვარულად მინდა ავენთო,
შენ კი მოსისხლედ დამდევ.
მტერმა შინამტრად როგორ გადაგრგო?!
ძმავ ძმის სისხლი,რომ ღვარე,
ამით შენს თვისტომს თუკი დაკარგავ,
საგმიროს რას ჰფენ ხვალეს?!
ვინ ვინ მონუსხოს ფარისევლობით,
ვინ რით შეირქმევს ჯალათს,
ვისაც კი ასე თავზე ვევლები,
ხაფანგად მიგებს ღალატს.
...და ყოველდღიურ მოთმინებაში,
გამთენიისკენ ვილტვი,
უფლის რწმენაში,მიტევებაში
სულს დასცვენია ფითრი.

* *

ამას ვჩივი;
ქართულს ტალახს,
რომ ესვრიან...
წინაპართა საყვედურად
ჩამესმის.
აღრევაა,
ენას მტერი
მოესია,
ქართველს ვუსმენ
და ქართულად
არ მესმის...

უფალო

ჩემო მართალო უფალო
და მაინც,როგორ შეგცოდე...
ასე შემწემ და უბრალომ
თმენა მასწავლე ესოდენ...
ჩემო ძევ ღვთისავ - იესო,
როგორ არ უნდა მეწამე?!
-ვინც ეძიებდეს,ჰპოვებდეს,
ერთსაც კიდევ ვცდი მესამედ...
ჩემო მართალო უფალო
და მაინც როგორ გაწამეს...
ასე,შემწემ და უბრალომ
-მიტევებაში გაცვალე...

ხერთვისს

დილავ,ახლა მტკვრის ხეობას
ნეტავი არ შენისლავდე,
სულში ჩაგიცხრაკლიტულებთ,
ვინც წამყვებით ხერთვისამდე.
მესხის მაცნე-მოდარაჯევ,
ღრუბელთ ქონგურსავარცხელავ,
სიამაყით,რომ დამსაჯე,
უსასრულოდ ხარ დღეგრძელად.
მტკვარ-ფარავნის მაჭანკალო,
ფერი ფერთან აქორწინე,
დიდებული მიწა მესხის,
ღმერთო,უფრო აღორძინე.
მტერი ნეტავ მტკვრის ხეობას
აწ ვერასდროს შერისხავდეს,
როგორც კირის გამძლეობა,
ისეთი აქვს გული ქართველს.
ისეთი ჰყავს ხურო ხერთვისს,
წყლიდან ასდევს კიბე კბოდეს,
არ მოშლოდეს მადლი ღმერთის
ქართულ მიწას არასოდეს!

ურავლის ხევში

ურავლის ხევში წყურვილისკვლად
სიცოცხლე ღირდა,
ჩემს ხეობაში ნაკადული
სულს მათქმევინებს.
კვლავ მათქმევინეთ სადღეგრძელო
მდინარის პირთან
და რიყის ქვებში წითელფორა
შემამჩნევინეთ!..
გამაზეგანე ერუშეთზე უფალო,დიდხანს,
ზეგნებიდანაც საქართველო სულ
მალოცვინე,
დამაბერე და ნაახლოვებს სიკვდილის
კართან
უკანასკნელად ჩქერში ბადე
გამასროლინეთ.
რამ დაგანება ურაველავ ერუშეთს,მითხარ?!
დამაშვრალ სულის სავანისას
გვიმხელ ხვაშიადს,
ანკარა,რომ ხარ,წყურვილისკვლად
მიტომაც ღირხარ,
ახდენა თუა,
აქ მიხდება რაც მინატრია.

ცირცელო

ნეტავ გვიანი გრძნობის ცირცელო
მზეს შემახედა შენი თვალებით,
გამაგებინა,მაგ შენს კენწეროს
რად ვერ აშინებს ცივი ქარები?

ანდა დროებამ რით ვერ მოღალა
ყოფა ტკბილ-მწარე,როგორც იელი,
რომ განერიდოს ფერთა მუქარას
შემოპარება გადამთიელის.

დროა გვიანი,გრძნობა ცირცელის,
ფოფინა რტოთი ვუმზერ განთიადს,
აღარ გაკლია ფერი წითელი,
აღარც ღიმილი აღარ გაკლია.

ნეტავ გვიანი გრძნობის ცირცელო
მზეს მომახვია შენი მკლავებით,
აგერ ნიავი ისე პირფერობს
ვით კაცისმკვლელი ხელთათმანებით.

ვიცი,ამ ყინვას გაუძლებ დიდ ხანს,
მიტომაც მცირე ვარ შებრალებით,
რომ პეპლებივით დღემოკლე ფიფქვას
დარჩები მარად მიუკარები.

ნაგვიანებო ჩემო ცირცელო,
რად ვერ გაშინებს ღია კარები?
შენ იცი ალბათ რა უძირძველო
ჟინით დაჰქრიან ცივი ქარები.

მ ე გ ო ბ რ ო ბ ა

შეფერავს დრო თავის მინანქარს,
დრო ფერით იგრძნობა სოფელში,
მოქარავს წარსულის მინაქარს
შეხვედრა ძირძველი ძმობილის.

შეფერა დრომ მთაში ცირცელი
ნათიბარ ზეგნების ნაპირას,
მონავდა ნიავი პირფერი,
ფოთლები ღრეებში ჩაფინა.

ჩაფინა და მაინც ისეთი
სიყრმული ოცნება ანთია.
ხატავდა დღემოკლე მილეთი
ფერადი ტყეების განთიადს.

და მაინც რაღაცას მალავდა
ფრთასავით ფოფინა ნიავი,
ჰყვებოდა ცხოვრების ბალადას
ლეკების ლეკური შრიალი:

შეფერავს დრო თავის მინანქარს,
დრო ფერით იგრძნობა სოფელში,
მოქარავს წარსულის მინაქარს
შეხვედრა ძირძველი ძმობილის.

*

რად სხვისჭირღობესჩხირება,
როცა ვიღაცას სტკივდება?!
როცა ერთურთი გვჭირდება,
მაშინ გული რად ცივდება?!
მაშინ არ გვეტკივილება,
არ ვჩივით,არ გვეცოდება
და როცა უკვე გვშორდება,
ოხ,ეს სპექტაკლი გოდება...

შემოდგომა

შემოდგომა,შემოდეგი,
მარნის კარგად შემოვდექი,
ზვრებს გავსტაცე ჭირნახული,
ქვევრის ძირი ვინახულე.
ჭრელაჭრულად ტყე და ბაღი
დრომ დაქსოვა ყაისნაღით.
შეიგრძნობა დრო ფერებით,
შემოდგომას ვეფერები.
ფერი ყვირის ფურის ხმითო,
ყველა მარად გასტანს თითქოს.
ყველა წარსულს ჩაბარდება
მოგონების ათინათით,
ვიცი ,მალე დაზამთრდება,
კარგად უნდა დავბინავდე,
გაზაფხულზე მეოცნებე
შემოდგომით დავიბადე.

აგარის მონასტერთან

აქ ჩემი ხევის ჩქერია
და მშობლიური მიდამო,
რაც ბავშვობიდან მჩვევია,
როგორ არ უნდა ვიწამო.
აქ მუხნარს სალოცავიანს
როგორ არ უნდა ვეტრფოდე,
აქ შოთას ნატერფალია,
აქ სიწმინდეა ესოდენ.
ნატვრა ახდენად მქცევია,
ძირს ბარი ხარობს,მაღლა მთა,
აქ კვლავ ზარების ხმებია,
ისმის გალობა მამათა.
აქ ჩემი სამცხის ხიბლია
და კურთხეული მიდამო,
სად ნატვრა-ნატვრით მივლია,
როგორ არ უნდა ვიწამო.

მუზის პაუზა

ფიქრის გალაქტიკიდან დაშვებული წამიერ,
წმინდა რეფერატების საგანძურის მიგნება...
სანამ დავიარები ამ ძიებით ამიერ,
ალბათ მუზის ამბოხი სიბერემდე მიმყვება.

ალბათ აღარასოდეს მუზა არ მეღირსება
ფიქრით დედამიწაზე ბოლომდე,რომ დავეშვე,
არა,არ იწერება ლექსით მარადისობა
ელდაშემორეული განსაცდელის გარეშე.

არც ბოლომდე მისტიკურ ბუმში გადავეშვები,
ამ ჩემს ქრისტესთვალება ალიონის შემყურე,
ამ ჩემს მესხურ დიდებით და იმერთა ფესვებით
ახალი საუკუნის ახალ სიტყვას ვაპკურებ.

განა დავთმე სიმღერა ნათელ სიახლეების?!
მხოლოდ მუზის პაუზა წამიერად მეწვია.

ყალბი ერისკაცების დათვლილია დღეები,
მიწის გაზაფხულამდე მხოლოდ ერთი ბეწვია.

ლექსი შემოდგომაა,ქვეყნად ჩემი გაჩენის
და დღემდე უჩინარი ეს მე ვარ მოლეკულა,
მუდამ ახლის ძიება წილად მხვდა განაჩენი,
ყოფა უბრალოებად მიჯობს,ვიდრე მეფურად.

სანამ დავიარები ამ ძიებით ამიერ,
ჩემი მარადიული გრძნობაა პოეზია,
დაკარგული მუზების კართან ავიტუზები
და ისევ მაპოვნინებს გზამართალი მესია.

ჯ ა ვ ა ხ ე თ ი

არ იქნება ტბებს
თვალებში არ ჩახედო,
-ზეგნებიდან უფალს
ნატვრა-იმედებით,
ვევედრები:ქართველებით
გავმრავლდეთო,
ჯავახეთო ნუ გაუკაცრიელდები!
ქართულ სიტყვას და
სიმღერას შემაგებე,
კუმურდოში მალოცვინე
ძველ მესხივით.
წმინდა ნინოს
ნაფეხურებს ვემთხვევი და
სამადლობელს მოგაგებებ
გულგახსნილი.
დაგიმწიფდნენ თავთავები
მაინც ყანობს,
ჯავახეთო,თუმც ნაადრი
სუსხი გმტერობს,
მადლიანი მიწა
ვით არ შევიყვარო!
გამაგონე აქაც "მრავალჟამიერო"!

ღიმილ-ღიღილო

ღიმილ-ღიღილო,
მომაწონე თავი ყანაში,
მრავალ ყვავილში
აგირჩიე ლამაზ-ლამაზში.
რომ ვიღიღინო,
სიო მინდა, ცეკვად აგრიოს
და გვირგვინების სურნელება
სულს დამაბნიოს.
ღიმილ-ღიღილო,
როს გიხილო ნეტავ ჰყვაოდე,
შენი თვალები სევდიანი
ვნახო აროდეს.

იმერეთში

იმერეთში ამერეთლებს
ღვინო უსვამთ ციცქასი,
შებახუსდნენ,ამოღერღეს
როგორ,როგორ ძვირფასი
ხალხი ცხოვრობს იმერეთში
გულთბილი და სათუთი,
პურ-მარილსაც სულ ხელათში
შლიან სამი სართულით...
მერე,სანამ იმღერებდნენ
"გოგოს პრასიპარიას",
გოგო მოდის,-ვისიაო?
რა ლამაზი ხალი აქვს.
მერე,სანამ დააცხობდნენ
მჭადს ნეშოთი შემოსილს;
მოაქვთ მწვადი წერეთლისა,
დარჩეული ბებოსი.
იმერეთში ამერეთლებს
ღვინო უსვამთ ციცქასი,
ყველა კუთხე მოჰგავს ედემს,
ერთმანეთზე ძვირფასი.
იმერეთშიც,ამერეთშიც
სულ მშვიდობა გვენახოს!
არ მოშლოდეს მადლი ღმერთის,
ქართულ მიწის ყველა გოჯს!

ჩემო შვილებო

ჩემო შვილებო,
თქვენით მიყვარს დილა-საღამო,
-- ყვავილობაა სიხარულის
მთელი სამყარო.
წამად სიშორით ნატრული ვარ
თქვენს სიახლოვეს,
რაღა მასევდებს,რა მაშფოთებს
თქვენს მამა-მშობელს?!
უფლისა მიმართ მადლიერი
ზეცას ავხედავ,
შვილებო,თქვენით
ბედნიერი მქვია სახელად.

შველი

უშველებელი შველია
გადარბენილი შველი,
მოჰკლავ და არაფერია,
ციდა,ციაგა ცრემლით.

რა საკოცნელი ყელი აქვს,
რა გარინდება იცის,
ხატავს სისხლიან პეიზაჟს
კაცი საფანტის რისხვით...

უშველებელი დარდია
განზრახ შთენილი ცოდვა,
რამდენი წელიც გადიარს
გახსენდება და ოხრავ.

ვაჟას

თუმც დიოდა ქესატად,
მადლს კი მაინც თესავდა,
ლექსით დავნათესავდი
ვაჟკაცობის მკვესავთან.
მთაზე მთის არწივობას,
ბარიდან გულცივობა
ვერა და ვერ სტეხავდა.
...და ჰყვებოდა გმირობებს
ლამაზ ფშაურ კილოზე,
ლოცულობდა სტუმრისთვის
და შედგა ამბიონზე
ვაჟკაცობის კუმირი.

მესხურ მიწას

ვინ არ ეტრფის მესხურ მიწას,
ვინ არ ლოცავს,
ერუშეთის იალაღზე
ავლენ როცა...
სულს სისევდე მოსცილდება,
-მთას აჰყვება,
მწყემსი ნაბადს ნამძინარი,
წვიმით სველი.
და ერთი რამ:
-დათბება და განათდება,
გამოჩნდება მცირე კავკასიონწვერი.

-ნატრობს მწყემსი
ფარა-ფარა მომთაბარე
და ცაც მალე
ნათელი, მზე-ბუმერანგით
ცვრის ფარდაგებს
მაღლით ორთქლად ააქარვებს,
-გაახარებს,ო,რა ძლიერ გაახარებს.
ვინ არ ეტრფის
მესხურ მიწას სასიმღეროდ?!
-ერუშეთის მთიდან ხილულ
საქართველოს?!

მ ე ს ხ ე თ ი

მეხერთვის-მევარძიება,
მესაფარება მეც ჩემთვის,
ასპინძის ომი,რომ არა,
რა იქნებოდა მესხეთი?..

ან ერუშეთი რას მალავს?
ან ფრესკებს ხავსი რად ერჩის?
ან დრომ სად დაასამარა
მესხი გმირების მხარ-ბეჭი?

ან ფოცხოვ-მტკვარო მტარვალთა
ტორტმანი რად გეზმანებათ?
მუხლამდე შემოგივალთ და
ცოდვანი განმებანება.

მესამცხელ-მეჯავახება,
მათზე ვლოცულობ მეც ჩემთვის,
ამ ორი მხარის ამარა
უწინ არ თქმულა მესხეთი.

უწინ არ თქმულა სამანი;
ხოზაფინსა და ჯაყისმანს,
დაკარგულებზე ვარამი
რწმენის არქონას არ ნიშნავს.

უფალი ისე გვწყალობდეს,
როგორც თამარის სამეფოს,
ნეტავი ოშკი ბანობდეს,
ზარზმას რომ ზარი დავრეკო.

მექართველ-მემესხელება,
მეამაყება მეც ჩემთვის,
თვით რუსთაველი რომ არა,
რა იქნებოდა მესხეთი?..

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს

ხმაურიანი ოცნება ფეთქავს,
შენზე ვედრებით შევცქერი ზეცას.
ათასჯერ მითქვამს:აქ ყოფნას გიძღვნი,
ღამეებს გითევ,კოწიწში ვიწვი.
დაე ვცხოვრობდე ნაღდ ქართველივით,
შენზე ოცნება მაქვს გამხელილი.
ხმაურიანად მინდა მიყვარდე,
თევდორესავით მტერი მიმყავდეს...
ამ წვიმიანში შენთვის მოვიცლი,
მძიმე ლაბადა ისევ მოვიცვი...
სიტყვა ქართული ვით დავიჩრდილო?!
რწმენა როგორ არ გადავირჩინო?!
ასიათასი მოწამის მოდგმამ,
გადაგვარების არა ჰქნა ცოდვა!!!

* * *

ჩემი წილი ჭაღარით და
ჩემი წილი სიკეთით,
სანამ ღმერთი არ წამიყვანს,
ჩვეულ შარას მივყვები.

ჩემი წილი ცა და მიწა,
ჩემი წილი სათქმელი...
მონატრებად გადაიქცა
დრო ნაკლებად ნაფერი.

ჩემი წილი ქართველობა,
ჩემი წილი მესხობა,
არასოდეს დამეთმობა,
საამაყოდ მეყოფა.

ჩემი წილი ლექსითა და
ჩემი წილი სიკეთით,
ჯერ თუ ღმერთი არ წამიყვანს,
ჩვეულ შარას მივყვები.

ჩემი ბია

ფერაღაღანა ბაღში ხარობს დედოფალი,
-მღიმარეო,ტანი როგორ აგიყრია,
უახლესი შენ ხარ ჩემი მეგობარი,
ყველა ნარი,ყველა შენი ტარიგია.

თაიგულით შემეგება შეუმკრთალი,
მესალბუნა,თავი კრძალვით დამიქნია,
-შენ ახსოვხარ სიჭაბუკეს,მეც ვუთხარი,
ყველა ნარი,ყველა შენი ტარიგია.

სამზეოსთან ჟამი მოდგა შერიგების,
ის იცოცხლებს,რის იმედიც გამიქრია,
-ამ ბაღჩაში რტოგაშლილი შენი იქნები,
ყველა ნარი,ყველა შენი ტარიგია.

ყვავილებში ინაზება დედოფალი,
-მღიმარეო,ტანი როგორ აგიყრია,
სიკვდილამდე მე ვარ შენი მეგობარი,
ყველა ნარი,ყველა შენი ტარიგია.

ვარდის ყვავილი

ვარდის ყვავილო გვირგვინგაშლილო,
სულში გავლილო,უმალ მცვივანო,
როს დაეშვები, დატოვებ მაღლით
უზადო სურნელს პირმომცინარო.

ვარდის ყვავილო, ტრფობის ყვავილო,
ფიქრი იმაზე სულ არ გაივლო,
დანატოვარი შენი სურნელი
თითქოს ბორიომ უნდა წაიღოს.

ვიცი და მჯერა, რა გელის ვიცი,
შენც კარგადა გრძნობ დაუძინარო,
როს დაეშვები, დატოვებ მაღლით

დ რ ო

ვერ გამოაბამ ჯაჭვზე ძაღლივით
ისე გისხლტება არ იყეფება,
თვალს ვერ შეასწრებ ისე ჩაგივლის,
ისე მალულად კატისფეხება.

და მერე ფერში იგრძნობ ოინებს,
როგორ გაგყიდა და შეგაჩვენა,
ვინ შეგიბრალებს?ვინ გაპოვნინებს?
ან ვითღა ძალგიძს გამოსარჩლება?

რომელს კუმპალი შერჩება სუსტი,
ან რომელს დღენი გამოელევა,
პანტა დაცვივა კვლავ პანტაპუნტით
ადრე თუ გვიან დრო მოგვერევა.

დრო ფერით ისევ,დრო ფერით მაინც
გეტყვის რაოდენ აზრით გივლია,
გახედე წარსულს,თუ მოჩანს კვალი,
თუ ყველა ვალი გადახდილია.

ვერ გამოაბამ მზის სხივს მდელოზე
დღე-ღამეები ისე მირბიან,
არ უნდა შეგრცხვეს,გარდასულ დროზე
-ამაყად მოჰყვე როგორც გივლია.



ბადრი თამაზაშვილი (ხიზაბავრელი) – პოეტი

ღირსეული

ქართველების ხსოვნა

ნახევრად მიწისა ვარ და
ნახევრად კიდევ ცისაო,
ისე დავტოვებ სოფელსა,
ვალს არ წავიღებ სხვისასო.

შენ ჩემო ტკბილო მშობელო,
მადლობელი ვარ ღვთისაო,
რომ გამაჩინა ამ ქვეყნად,
თანაც ქართველთა ძისაო.

ქედს ვუხრი ჩემს დიდ წინაპარს,
მათსა დაღვრილსა სისხლსაო,
მართლმადიდებელ სამშობლოს,
ღვთისმშობლის წილხვედრ მიწასო.

ასიათასსა წმინდანსა,
სამას არაგველ გმირსაო,
დემეტრე თავდადებულსა,
ექვთიმეს კაცსა ღვთისასო.

თეიმურაზსა, არჩილსა,
ვახტანგსა მეექვსესაო,
აღმაშენებელს, თამარის
ქართველთა გადამრჩენსაო.

ხერხეულიძეებს ცხრა ძმასა,
ექვსიათასსა ბერსაო,
პეტრე იბერს და ქეთევანს,
გიორგი მთაწმინდელსაო.

შოთას, ვაჟას და ილიას,
მრავალ ქართველსა გმირსაო,
შენ ჩვენო ტკბილო სამშობლო,
ჯვარი გეწეროს ხვთისაო.

მშვიდობის ფასი

ო, რა კარგია სიცოცხლე,
ღმერთო გვაცოცხლე ასი,
ჯერ კიდევ კაცობრიობამ
არ ვიცით მისი ფასი.

იქნებ შევიცნოთ, ვისწავლოთ,
რაც მთავარია ქვეყნად,
რასაც, რომ ყველა სიმდიდრე,
ვერ შეედრება ერთად.

მშვიდობის ფასიც ვიცოდეთ,
ვძლიოთ სიხარბეს ჩვენსას,
მაღალი ღმერთი ვიწამოთ,
შუქი მოვფინოთ ზეცას.

სამყარო, კაცობრიობა
გადავარჩინოთ ერთად.

წუთისოფელი

შენ ჩვენო წუთისოფელო,
რა დამტანჯველი რამ ხარო,
გვატარებ აღმა, დაღმართებს,
შენ კი ვაკეზე დახვალო.

წელში, რომ გავიმართებით,
მაშინ დაგვადგამ თვალსაო,
აღარ დაგვაცლი სიხარულს,
აგერ მომდგარსა კარსაო.

მუხთალო წუთისოფელო,
ხარბო და გაუმაძღარო,
გაჩენის დღიდან ასე ხარ,
რაც კი შექმნილა სამყარო.

ყველას ჩაყლაპვას გვიპირებ,
ოკეანე ხარ, ზღვა ხარო,
ვერ გაგვიგია სად გვიცდი,
ჩასაფრებული სად ხარო.

ამ ქვეყნად ერთხელ მოსულსა
მუდამ გვახსოვდეს ღვთისაო,
რასაცა დასთეს მოიმკი,
ცუდს ნუ ინდომებ სხვისასო.

შენ ჩვენო წუთისოფელო,
სასწორო სიმართლისაო,
ყველას თავისას მოგვიზღვავ,
საიქიოსა გზისაო.

როცა...

სიცოცხლე მუდამ კარგია,
როცა გახარებს რაღაც,
როცა სავსე ხარ მიზნებით
და ცხოვრებისთვის მზად ხარ.

როცა იმედით იძინებ,
მკლავს ნაწნავები გარტყავს,
როცა მეგობრებს უყვარხარ
და როცა მტრებიც არ გყავს.

როცა ღამეულს შენს ბავშვებს,
გადახდილ საბანს აფარებ,
თუ გაჭირვებულს შეხვდები
და კალთას გადააფარებ.

როცა ადრიან ადგები,
ყვავილს დაუსხავ წყალსა.
როცა სავსე ხარ სიკეთით,
ზიანს არ უზავ სხვასა.

როცა ვარდისფრად შეღებილს,
ცისკარს შეხვდები საღად,
ფეხნატკენ მგელს, რომ არ ესვრი,
ხაფანგს გაუხსნი დათვსაც.

აი, ეს არის სიცოცხლე,
აი, ეს არის რაღაც
ბედნიერება წილხვედრი,
ყველას ცხოვრება სადღაც.

განგება

არ დაბრუნდება არასდროს,
ის, რაც დღეები გასულა,
რაც ტკბილი მოგონებები,
დაისაკუთრა წარსულმა.

თურმე რა ძნელი ყოფილა,
ცხოვრება ბედის ჭიდილში,
ვერ გაიმარჯვებ ვერა დროს,
ვმარცხდებით ბედთან ჭიდილში.

წუთისოფელი ასეა,
დრო გადის მამლის ყივილში,
თენდება, ისევ ღამდება
სიხარულსა და ტირილში.

ასე გრძელდება მარადის,
გაჩენის დღიდან, რაც არი,
განგებას ვერსად წაუხვალ,
ბოლოს მიწა ხარ, ნაცარი.

ღმერთო ჩვენო გადმოგვხედე

ვაი ჩემო საქართველო,
თავღიავ და ფეხშიშველო,
რა ვქნა ჩემო სიხარულო,
რა ვიღონო, რით გიშველო.

ისევ ღმერთის იმედით ვარ,
წინაპრების ფესვზე ვდგავარ,
აწმყოსი დღეს მე არ მჯერა,
ვარ მომავლის ანაბარა.

ეს რა ხალხი მოგვევლინა,
ვერ გავიგე ვინ არიან,
მტრულად რატომ გვექცევიან,
ქართველები თუ არიან.

შენი გულის კვნესა მესმის,
მხრებგაშლილი ვეღარა ხარ,
აფხაზეთი გამოგგლიჯეს,
სამაჩაბლოც გვერდზე დაგრჩა.

ახლა სულში ხელს გიყოფენ,
გულის ამოგლეჯვა უნდათ,
ადათ-წესებს გილახავენ,
ეკლესიაც აღარ უნდათ.

ვეფხისტყაოსნის სამშობლო
ვერ გავიგე ვის ხელშია,
ღმერთო ჩვენო გადმოგვხედე,
ერი ისევ ღრმა ძილშია.

მთაწმინდიდან გადმოდექით,
დიდო ქართველთა გულებო,
საქართველოს შეეწიეთ
მისთვის ტანჯულო სულებო.

დღეს დავითი, თამარი და
ილია და ვაჟა გვინდა,
მერაბი და ზვიადი ხომ,
ზვარაკია წმინდათ, წმინდა.

ჩემო ნაღდო ქართველებო,
ივერთ მიწა-წყლის შვილებო,
იბერიას შველა უნდა,
ჯერი თქვენზეა ბიჭებო.

წვერის წყარო

წვერის მთიდან მორაკრაკე,
ნაკადულო ანკარა,
მითხარ, მითხარ გენაცვალე
თავქვემ ხომ არ დაგღალა.

წვერის წყარო როგორ არის,
შენი დედა - მშობელი,
რა ხანია არ მინახავს
და მის ნახვას მოველი.

სოფლის ჭალას ჩამოსულმა,
თუ, რომ რუზე იდინო,
პაპათ ბახჩა კარგად მორწყე,
მომიკითხე ციცინო.

თეთრიმიწის თავსაც გასწვდი,
შეუერთდი წყაროებს,
წიპათ ხევშიც ჩაიარე,
დაესხურე კალოებს.

წვერის წყაროს ნაკადულო,
სხივო ნათელ მიზნისავ,
ნეტავ საით მირაკრაკებ,
ნატვრავ ჩემო ფიქრისავ.

მესხეთო ჩემო

ეს გაზაფხული კიდევ დაგვიდგა
და მერამდენედ ვინ იცის ნეტა,
ჭექა-ქუხილმა შესძრა მთა-ბარი,
ია-ენძელა სურნელს, რომ ჰფენდა.

კვლავ შეიმოსა მწვანედ მიდამო,
მუხამ დაიწყო ისევ შრიალი,
იასამნების კვირტებს გაშლილებს,
ლამაზმანების ერწყმის ტრფიალი.

ვარდს კვლავ უმღერა ბაღში ბულბულმა,
კვლავ დაესხურა მიწას ცვარ-ნამი,
სოსნებს, გვირილებს და ღიღილოებს
კვლავ ისევ შვენით ველად
ნარნარი.

ობოლეთის ტყეც კვლავ გაიშალა,
ლარებს ჯეჯილმა ამოჰყო თავი,
ვერხვნალს ფიჭვნარმა
დაჰბერა სიო,
ორმანიებში ჩაუბეს კავი.

გაზაფხულია ხარობს გულები,
ნაკადულების ისმის რაკ-რაკი,
რა ლამაზია მესხეთო ჩემო
აყვავებული შენი მთა-ბარი.

სისხლით მორწყულო, მიწავ ნატანჯო,
განახლებულო ფეხზე დამდგარო,
მრავალ გაზაფხულს, მრავალ გაზაფხულს,
შეჰგებებოდე ერით ამაყო.

გაზაფხულები კვლავ მოვლენ შენთან
და მერამდენედ ვინ დათვლის ნეტა,
მე კი ამ ქვეყნად აღარასოდეს,
ვერ დავბრუნდები, რომ წავალ შენგან.

სიყვარული კი გამყვება დიდი,
შენი ხალხის და მათი მომავლის,
მწამს კვლავ იჟღერებს ღმერთის
ნაკურთხი –
მარად უკვდავი ენა ქართული.

ვარდს კვლავ უმღერებს ბაღში
ბულბული,
შეიმოსება მწვანედ მიდამო,
მარად იხარე მესხეთო ჩემო,
მუდამ სამღერო და სადიადო.

ცხოვრების განძი

მე ყველა მიყვარს, ყველას ვცემ პატივს,
რაც შემიძლია, ყველას ვარგივარ,
ეს არის ჩემი ცხოვრების განძი,
რომ სიყვარულით სავსე დავდივარ.

არ ვიცი შური, არ ვიცი მტრობა,
ბოღმას არასდროს გულს არ ჩავიდებ,
თუ პირში ვეტყვი, ვინმეს სიმართლეს,
ეს ყველაფერი მე არ მაშინებს.

რადგან სიცოცხლე ერთხელ გვერგება,
უფალი არის ჩვენი გამჩენი,
სიკეთე ვთესოთ ამ ქვეყანაზე,
არვინ არა ვართ ჩვენ აქ დამრჩენი.

შემოდგომა ხიზაბავრის

შემოდგომა ხიზაბავრას,
რომ დადგება იცოდეთ,
მეც თქვენთან ვარ სოფლელებო,
თქვენი გულის სიცოცხლე.

მეც მახარებს თქვენი ზვრების,
დოვლათი და ბარაქა,
მოწეული მოსავალი
ხიზებსა და ვარანტას.

ორმანიებს კარტოფილი
დახვავდება გორებად,
გაიხარებს გამრჯე გლეხი
და გამორწყავს ტომრებად.

აჭრელდება ობოლეთი,
ნაი-ნაირ ფერებით
და ვერ აღწერ მის მშვენებას,
ათასგვარი ენებით.

ირმის კოტაკს გავხედავ,
ჩემი გულის სატკივრად,
ერთ დროს სულმნათ მამაჩემს
იქ დავყავდი სათიბად.

თივის სუნი დაგათრობთ,
ლარებს დადგმულ ზვინების,
შემოდგომავ ლამაზო,
ფიქრთა გორავ მიზნების.

ოქროსფერო მთა-ბარო,
საბურთლებო, ბრაწნალო,
ბრმა ხევს, ალოთ სახლებო,
ეხ, ნანატრო წანწალო.

ჩიხორიშო ლამაზო,
სამოთხეო სულისავ,
სამყინვაროს ბილიკო
დამქანცველო გულისავ.

ქვაბისკარო მფარველო,
ერთ დროს ჩემი ხალხის,
შენსკენ სავალი ბილიკი
იქნებ აღარც არის.

ქარაფებო თქვენს კორდზე,
ბავშვები თუ დადიან,
კევს თუ კიდევ ეძებენ
გემრიელ ფამფარის.

ან, თუ კიდევ ვერ ვთქვა,
ის, რაც სათქმელი არის,
მოსაგონრად მუდამ
ჩემთვის ტკბილი არის.

კლდეწითლები ლამაზი
პოტოს წყარო ცივი,
ვერხვნალების სოკო,
ობოლეთის თხილი.

ოსკერია, გომი,
კუროსთავი ლაღი,
ვენახების თუთა,
შვიდრავანტის ბალი.

საბუზარა ჯოლდას,
ასავლელი ნელა,
თამაზათ ყანებთან
ქერის მაწონელა.

რომელ ერთზე რა ვთქვა,
ყველა მიყვარს გონჯიც,
ჩემი სოფლის სივრცის,
მიწის ყველა გოჯი.

შემოდგომა ხიზაბავრის,
რომ დადგება იცოდეთ
მეც თქვენთან ვარ სოფლელებო
ხიზაბავრის სიცოცხლე.

მადლობა უფალს

საქართველო – ეს სიწმინდეა,
აქ წუნდა არის, აქ კუმურდოა,
ეს ნანგრევები თმოგვის ციხეა,
აქ ვარძიაა, აქ ხერთვისია.

საქართველო – ეს სიწმინდეა,
ჯვრის მონასტერი, შიომღვიმეა,
სვეტიცხოველი ქართველთ გულია,
კვართი უფლისა შენახულია.

საქართველო – განა სხვისია,
უფლისციხეა, აქ ყინწვისია,
ნიკორწმინდაა, აქ ხოტევია,
ზედაზენია – სამთავისია.

საქართველო – ეს სიწმინდეა,
აქ იყალთოა, ალავერდია,
აქ შუამთაა, აქვე გრემია,
აქ ჩაკრულოა, აქ ურმულია.

საქართველო – აქ სიწმინდეა,
ეს ასპინძაა, ძმობის ხიდია,
აქ დამალაა, იდუმალაა,
ერეკლეს ხმალი ალესილია.

ხიზაბავრა – აქ დარნებია,
ქვაბისკარია აქ ვენახების,
აქ ხვილიშაა, ჩიხორიშია,
ეკლესიები მესხი მამების.
საქართველო – ეს სიწმინდეა,
აქ მოქცევია, აქ აწყურია,
ღვთისმშობლის ხატის
კვლავ დაბრუნება,
ქართველებს მუდამ ისევ გვწყურია.

აქ საფარაა, აქ ჭულევია,
ზარზმას – ზარზმელის,
კვლავ ისმის ლოცვა,
მადლობა უფალს ყველაფრისათვის,
რომელმაც ქართველთ
ეს მადლი მოგვცა.

საქართველოვ!

საქართველოვ, ჩემო დედავ,
ჩემო ივერო,
საქართველოვ, ჩემო მამავ,
ჩემო იბერო.

მშვიდობით და სიყვარულით,
სულ მხნედ იყავი,
დაგეძლიოს ყოველივე,
მტრების ნიძლავი.

კვლავ მხრებგაშლილი მენახე,
თვალით ნახული,
ნიკოფსიით, დარუბანდით,
ოშკით, ხახულით.

მომავალი თაობები,
ღმერთმა გიმრავლოს,
წმინდანები აღეზარდოს,
ბებერ იყალთოს.

რუსთაველი, ზარზმელი და
სარგის თმოგველი,
ხანძთელი და მთაწმინდელი,
იყალთოელი.

თამარ ანთაძე – პოეტი

სულ აირია...

სულ აირია, ყველაფერი სულ აირია,
ვეღარ გავიგე ამ ცხოვრების თავი და ბოლო
თავი კარგი გვაქვს, წინაპარიც კარგი გვყოლია,
საკითხავია, ქართველების რა არის ბოლო?!
ადამიანში მომენატრა ადამიანი
ქართველთა სხეულს ჩაუსახლდა ბოროტი სული
უწინ სამასი არაგველი მტერთან იბრძოდა,
დღეს ერთმანეთის ხოცვით ვეღარ იჯერეს გული.
ვეღარ, გავიგე ამ მადლიან ღმერთს
ჩვენთვის რა ბედი დაუწერია
თანდათან შლიან იმ ყველა ასოს,
რაც კი წინაპარს დაუწერია.
მამულს ყიდიან, ენას იცვლიან
და ასე მიდის საწუთროება
არავის ახსოვს ილიას სიტყვა:
„ენა, მამული, სარწმუნოება“.
სულ აირია, ყველაფერი სულ აირია,
ვეღარ გავიგე ამ ცხოვრების თავი და ბოლო,
თავი კარგი გვაქვს, წინაპარიც კარგი გვყოლია
საკითხავია ქართველების რა არის ბოლო?!

მე, რომ შემეძლოს ხატვა

მე,რომ შემეძლოს ხატვა
დავხატავ იმდენ რამეს,
დავხატავ ფერად დღეს და
დარდებით სავსე ღამეს
დავხატავ თვალებს მამის
შვილს, რომ ციმციმით უცქერს
დავხატავ დედის ტკბილს ხმას
შვილებს, რომ „ნანას“ უმღერს.
მე, რომ შემეძლოს ხატვა
შევქმნი ნახატებს იმდენს,
დავხატავ მშობლის სახეს
სიამაყით, რომ მიმზერს
დავხატავ დედის ჭაღარებს
თვალთან ნაოჭებს ახალს
უხეშ, დაკოჟრილ ხელებს,
შრომისგან, რომ აქვს მამას.
ნეტავ შემეძლოს ხატვა
დავხატავ ნახატს ფერადს,
სულ ახალგაზრდა მამას,
სულ ახალგაზრდა დედას.

უბედურების ზარი

ზარმა ჩამოჰკრა საქართველოში,
უბედურების ზარმა,
ქართველთა ამხელა სიყვარული
თითქოს წაიღოო ქარმა.
ჩემი საქართველო მტკივა
დარდი დამიგროვდა დიდი,
ქართველობა ლამის შეულახეს
ხალხი როგორ იყოს მშვიდი?!
ვაი, რომ ქართველები დამიტანჯეს,
ქართველ დედებს ვხედავ ნამტირალევს,
გულს ვერ მოიშუშებს ჩემი ერი
თორე, ეშველება ნატყვიარებს.
ზოგი დამიბრმავეს, ზოგი ამიცრემლეს,
ზოგს გაუხეთქეს ტკივილით გული,
ქართველები ერთმანეთს გადაჰკიდეს,
ჩააგდეს ქართველებში შუღლი.
ჩემი სამშობლო მებრალება,
ჩემი ქართველი ერი,
თუმცა იმდენად ძლიერი ვართ
ვერ გადაგვაშენებს მტერი.
ღმერთო, მოარიგე, ქართველს
ქართველი და
ქართველის ხელით ნუ მოჰკლავ
ქართველს,
სამშობლოს აღარ ჰყავს დასაკარგი
შვილი,
რაც ჰყავს იმასაც მტერი გვართმევს.
ღმერთო, ქართველები დაიცავი,
ჩემი სამშობლო წმინდა,
ღმერთო, ეს ნატვრა შემისრულე,
მეტი არაფერი მინდა.

***

მტკივა დღევანდელი საქართველო,
მტკივა დღევანდელი რეალობა,
მე ეს რეალობა მეფიქრება,
მე ამ ფიქრებიდან ვერ ამოვალ.
რა გვჭირს ქართველებო?! გონს მოვეგოთ!
ყველამ გავიაზროთ ეს პრობლემა
თითქოს ერთმანეთის ჯიბრი გვახრჩობს
ყველა ბოროტებას ემალება
მინდა ვიყვირო და გავაგონო,
ყველას მივაწვდინო ჩემი ხმები
რადგან ქართველები მედარდებით,
რადგან ქართველები მეფიქრებით.
დროა გონს მოვეგოთ,ქართველებო!
ნუ მტრობთ ქართელებო ერთმანეთსა
თორე, სადაცაა გადავშენდით
უკვე აღარ ვგავართ იმ ძველ ერსა.
ქართველობა თითქოს გვეკარგება
ნელა-ნელა გვეკარგება „ადათებიც“
ბოლოს სულ ყველანი ვინანებთ და
აღარ გვეშველება არაფერი.
ჰოდა, ქართველებო გამოვცოცხლდეთ
ყველა აღარა ვართ პატარები
თვალი გავახილოთ, გონს მოვეგოთ
თორე, აღარ დაგვრჩა არაფერი.
ნელ-ნელა წაგვართვეს ჩვენი მიწა
ტაო, ოსეთი და აფხაზეთი
დაგვრჩა ერთი მუჭა საქართველო
მეტი აღარ დაგვრჩა არაფერი.

დედა

ჩემო ერთადერთო, ჩემო სანუკვარო
მუდამ საყვარელო დედა,
შენი სიტყვები და შენი იავნანა,
არ დამავიწყდება დედა!
როცა პატარა ხარ და თავს, რომ გევლება
ნეტა, ეს ვინ არის ? – დედა
მუდამ სანუკვარი, მუდამ საყვარელი,
ჩემი ერთადერთი დედა!
უშენოდ სიცოცხლე ჩემთვის რა არისო
ვერ წარმოვიდგინე, დედა!
მუდამ შენზე ვფიქრობ, ჩემო საყვარელო,
ჩემო ერთადერთო, – დედა.
თუკი გაგიჭირდეს, ჩემო საყვარელო,
მითხარ, რომ გჭირდება შველა.
არ დაგზარდები და მაშინვე მოვირბენ
ჩემო ერთადერთო, – დედა.
ჩემო ძვირფასებო, დედა დააფასეთ,
სულ მუდამ გიყვარდეთ დედა,
და რომ დაბერდება, ზურგი არ აქციოთ,
აი, მაშინ სჭირდება შველა.
მაშინ გაუწოდეთ ხელი დახმარების,
როცა დასჭირდება შველა,
მუდამ გიყვარდეთ და მუდამ დააფასეთ
თუნდაც დაგვიბერდეს დედა.
ქართველები სხვანაირი ხალხი ვართ
არ ვღალატობთ პრინციპსა და ენას
ვერ ავიტანთ ვერასოდეს, ვბრაზდებით
უცხოელი შეგვაგინებს დედას.
მაგრამ აბა ჩაიხედეთ გულებში,
სულ ბოლომდე შური ვართ და ბოღმა,
დედის ამაგს ვერ ვაფასებთ ვერავინ
ყველას თვალი დაგვიბრმავა ბოღმამ.
როცა ბავშვი ენას იდგამს გაიძახის დედას
პატარები ფეხს გადადგმენ უხარია ყველას
შველას ითხოვს, არ წავიქცე, დამეხმარე დედა
ხელს მოგკიდებს, გეფერება, არ წაიქცე ნელა!
ერთი წლიდან ათ წლამდე,
გეფერება დედა
ყველაფერში მხარში გიდგას,
გეხმარება ყველგან.
თხუთმეტი წლის, რომ გახდები
ვეღარ ამჩნევ დედას,
ეუბნები: კმარა! მორჩა!
ნუ ყვირი ხარ დედა!
თვრამეტი წლის, რომ გახდები
უბრაზდები ყველას,
წასვლა მინდა სახლიდანო,
ეუბნები დედას.
ოცდაათის, რომ გახდები
გენატრება დედა
დედის სითბოც გენატრება,
მშობლიური კერაც,
დედა, მინდა თქვენთან ვიყო
მომენატრეთ ყველა,
მაგრამ უკვე ოჯახი მყავს
ვერ მოვდივარ, ვერა.
სამოცი წლის, რომ გახდები
გაიხსენებ დედას
დედი, რას არ გავიღებდი,
ჩემთან იყო ნეტა,
ჩემთან იყო, გამიღიმო,
მომეფერო ნელა
და თუ რამე გაგიჭირდეს,
მე, მე მთხოვო შველა.
თუკი გინდათ არასოდეს
დაგვიანდეს შველა
არასოდეს არ დაზარდეთ
დედა, რომ გთხოვთ შველას!
გაუფრთხილდით, თქვენს ერთადერთ,
თქვენს საყვარელ დედას,
თორემ თქვენც, რომ დაბერდებით
დაგჭირდებათ შველა.

ტირიფი

რატომ ატირდა ნეტავ ტირიფი?
ალბათ ტკივილებს ვეღარ გაუძლო,
ვეღარ დასტია გულში ტკივილი
და გულიც ვერვინ ვეღარ გაუთბო.
როგორ თუ ტირის? ნუთუ, ვერავინ,
ვერ, შეძლებს ტირიფს ცრემლი მოსწმინდოს ?
მის გვერდით მდგომმა ერთმა ტირიფმა,
გაამხნეოს და ხელი მოჰკიდოს.
ნუთუ ცოდვა? ნუთუ ვერ შეძლებს?
ერთი სიტყვის თქმა ასე რთულია?
ერთი შეხედვით ასე წყნარად დგას,
ფიქრით კი სხვაგან გადართულია.
ტირის ტირიფი, არვიცი რატომ?
სულ რა ატირებს? რატომ სდის ცრემლი?
ტირიფი ტირის, არვიცი რატომ
ალბათ ტკივილი აწუხებს ბევრი!

მე ქართველი ვარ

მე ქართველი ვარ, დავიბადე საქართველოში,
მე ქართველი ვარდა მე ვცხოვრობ, ჩემს სამშობლოში.
მეამაყება ქართველობა, მე ვარ ქართვალი,
ეს ხომ ძღვენია, ღვთისგანთუნდაც გერქვას ქართველი.
მარტო სულით ვარ? განა მარტო სულით ქართველი?
სულით ვარ, გულით, სისხლით, ხორცით წმინდა ქართველი.
და ნუღარ იტყვით რაღაც უცხოს, რაღაც უცანაურს,
მე ქართველი ვარ, ეს ნიჭია გერქვას ქართველი.
და კიდევ ვიტყვი, ქართველი ვარ, სულით ქართველი,
სულით ვარ, გულით, სისხლით, ხორციითწმინდა ქართველი,
მე დავიბადე, ღვთისგან რჩეული საქართველოში
ეს ხომ ძღვენია ღვთისგან თუნდაცგერქვას ქართველი.

****

წვიმიან გზაში, მოსეირნე ქალ-ვაჟის ცქერით,
ჩემს დარლილ თვალებს სიხარულის ცრემლი,
ნელი ნაბიჯი, გზა კი გრძელი და საამური,
მოგონებები წარსულის კი ძალზედ ბევრია.

***

მორეული სევდა, დათოვლილი მთები,
თითქოს უსუსური, შეკვეცილი ფრთებით.
ყინულიან მთებში ქროლვა ცივი ქარის,
გათოშილი ხელი უსურსური ქალის.
ვერ გამთბარი გული, სუსხიანი ქარი.
სახლში ბუხრის ძირას ცრემლიანი ქალი.

და იმ ღამეს...

ნაზი სიო მისი ნებით აფარფატებს,
დაობლებულ, მარტოხელა, ყვითელ ფოთოლს,
ისე როგორც შემოდგომის მკაცრი ქარი
თმას უწეწავს მოსეირნე ქერა გოგოს.
ფოთოლს ჩუმი ქმედებები, რომ სჩვევია
ისე ნაზად, ისე ჩუამდ ეფერება
ფოთოლი კი ამბებს ზიდავს იქით-აქეთ
ბიჭს და გოგოს სიყვარულზე ემღერებათ.
საუბრობენ, ჩურჩულობენ სიყვარულზე
ფოთოლი კი მათ შორიდან აკვირდება,
თუ რამ მოხდა ამ ორ შორის და ატირდნენ
ის ფოთოლიც უნებურად ატირდება.
ნაზი სიო მისი ნებით აფარფატებს
დაობლებულ, მარტოხელა ყვითელ ფოთოლს
და რამხელა სიყვარული აკავშირებს,
ბნელ ღამეში მოსეირნე ბიჭს და გოგოს.

ციცო მაისურაძე – პოეტი

ვერგაგვტეხეს

დაგვანაწილეს, დაგვამტვრიეს,
წელშიგაგვტეხეს,
როგორცკალოზეკევრმაპური
ისეგაგვლეწეს,
სისხლისმდინარედგადგვიქციეს
ჭოროხიმტკვარი,
ეხლაცარვიციითღვთისწინაშე
ვინიყომცდარი.
იბადებოდნენ, იზრდებოდნენ,
მხოლოდგმირებად.
ისტორიკოსიაღარწერდა
ამასწიგნებად.
ქართველთახვედრი ამ მიწაზე
მძიმედსატარი,
იფერფლებოდა, ენთებოდა,
კერასღადარი.
შავსუდარაშიეხვეოდნენ,
წლობითსოფლები,
აღარყიოდამამალი,
აღარცხოხბები.
დაგვანაწილეს, დაგვამტვრიეს,
დავერგაგვტეხეს.

ბახტრიონი

დადუმებულა ცა ბახტრიონის,
აღარცლელა ჩანს, არც მაყრიონი.
ცაზებატონობსშავლეგაფერი
არცქორწილია, არც ბრძოლისველი.
აქდაუდიასიკვდილსსავანე,
დროსაუყრია, თითქოს, სადავე.
გაცრეცილიაქვსსიცოცხლესფერი,
საფლავისქვაზეყვავილობსმტვერი.
ჟამს წაუშლიაქონგურიციხის,
მიმოფანტულანკენჭებირიყის.
ქვითინებსქარი, უცხოგოდებით,
სდუმსსასაფლაო, მძიმელოდებით.
იმწინაპრებისგაპოხილსისხლით,
იმდალეწილიბიჭებისრისხვით,
დედისთვალებშიჩაწოლილნისლით,
ცრემლებით, ძაძით, ტაძარშინიშით.
სდუმსბახტრიონისბებერიციხე.
სიკვდილიმწვავედუკვანძავსარტახს.
გამოიღვიძე, ქართველოერო,
პატარაკახო, შენც, მეფევახტანგ.
კვლავაცშესძახეთომახიანად,
ხელთდაიკავეთჯურხაისფარი,
ჩემოქართველნო, რამ ჩაგაძინათ,
ხომგიცემთგული და გიჭრითმკლავი.

ვიცი, ვისი გორისა ვარ

ვიცი, ვისიგორისავარ,
ვისიქვა და ფიქალი,
ისევისეიზრდებიან,
ალგეთსლეკვნიმგლისანი.
ბებერკრწანისსისევესმის,
არაგველთაყიჟინა,
სულერთიარაყვავილობს,
იქყაყაჩო, გვირილა.
მირიანისცხენისფლოქვის
არწაშლილანაკვალი,
აქდაირწანინოსხელით,
ქრისტესრჯულისაკვანი.
მიყვარსთერგისგულისჩქერა,
მთასყვირალასძახილი,
მტკვრისნარნარი, ტანისრწევა,
მთებშიმწყემსისძახილი.
ვიცი, ვისიგორისავარ,
რომელხის და ფესვისა,
მილამუნებსნაზისიო,
მონაქროლინოსტისა.
გორისციხისსიამაყით,
გადავყურებმიდამოს,
დაე, ჩემმაერმაისევ
სიამაყითიაროს.
ტაშისკართანძველებურად
შემოვირტყათაბჯარი,
დე, ვიბრძოლოთსამშობლოსთვის
არჩავაგოთხანჯალი.
ჩვენიგენიკვლავგენობდეს,
სწამდეთჩვენიფიცისა,
არდავკარგოთსიყვარული,
ჩვენიწმინდამიწისა.
ვიცი, ვისიგორისავარ,
ვისიქვა და ფიქალი,
დაე, ისევიზრდებოდნენ,
ალგეთსლეკვნიმგლისანი.

მამულიჩემისიყვარულია

მამულიჩემისიყვარულია,
რწმენაკიჩემისულისჩამდგმელი,
მისსიყვარულითჩამძინებია,
მითენებიაღამერამდენი.
განთიადივითშევგეგებივარ,
ვარძიისთავზე, არწივთკამარას,
ფიქრისმორევშიჩავუძირივარ,
თმოგვისციხიდანწუნდასჩამოსვლას.
იმნაკვალევზეცრემლითმივლია,
სადდადიოდნენოპიზარები,
ძველფარჩასავითჩამოძენძილა,
ჩუნჩხა, ოხერის, ტბეთთაკარები.
ცხელიცრემლებითდამიტირია,
მამა-პაპათაძვალთსაცავები.
მოვფერებივარმიწაშიჩაზრდილ,
რიგოლხანძთელისძეგლთანაკვალევს,
ღმერთო, გამჩენო, დიდიმადლობა,
ამჩემსსიყვარულსრაძალადალევს.
მამულიჩემისიხარულია,
რწმენაკიჩემისულისჩამდგმელი,
ღმერთოძლიერო, შენ მანდმიკურთხე,
ჩემწინაპართადედა - გამზრდელი.
არვიცი, საიდანიწყებასამშობლო
არვიცი, საიდანიწყებასამშობლო,
ქურანიცხენიდან, დამკალოსველიდან,
იქნებრიყიდან ან ბებრისციხიდან,
დედისცრემლიდანთუგლეხისცელიდან.
იქნებბალანთიდან, ერისბარაქიდან,
მთაკოდიანიდან, გიჟმაჟარაგვიდან,
იქნებალაზნიდან, მთათაქარაფიდან,
იქნებუბრალოდ, ლამაზარაკიდან.
იქნებგრდემლიდან, დაკოჟრილხელიდან,
იქნებიწყებაქართულიგენიდან,
წმინდასისხლიდან, რუისისნისლიდან,
ხახულისციხიდან ან იქნებიშხნიდან.
იქნებმდელოდან, წარსულისლელოდან,
იქნებდარიალისთვალწარმტაცჩეროდან.
იქნებოშკიდან, ცრემლიანნოსტედან,
ჩემიწინაპრებისღაღად-ლოცვიდან,
არვიცი, საიდანიწყებასამშობლო,
იქნებკავკასისმაღალიმთებიდან,
იქნებპაპებისჭაღარათმებიდან.

ჯანაქედი

ჯანაქედში რომ დამენახა
ჯანიგავარდეს,
როგორაწვენდნენხნულს-ხნულებზე
წაბლახარები,
პატარამეხრისშეძახილი
გამამხნევებდა,
ცასშესწვდებოდალოცვით სავეს
ჩემითვალები.
თვალუწვდენელიქვების ყორე
ფიქრს, რომ მოგტაცებს,
შლეგურჯირითითგაიელვებს,
წარსულიაწმყო.
პაპაჩვენებისძლიერნაკვეთ
ჯვარს და ჩუქურთმას,
ლოცვასუკითხავს, ზენაქარის
ჩურჩულიმარტოს.
ჯანაქედზე რომ დამენახა
ჯანიგავარდეს,
ასეთიდიდისიყავრული
მიწისამარტო
ცათაციალიდაწოლილი
მთებზეჯიქურად,
ამაყიმზერით, რომ დაჰყურებს
რუსთავისტაფობს,
ო, ესგრძნობებისიყვარულის
აენთებოდა
დადამფერფლავდასანთელივით,
მე, მარტოდმარტოს.
ჯანაქედში, რომ დამენახა
ჯვარივაზისა,
როგორლოკავდაყოველთქეშში,
ჯვარსწვიმამარტოს
პაპაჩვენებისსაჭრეთელით
ნაძერწ, ნაოფლარს,
ვინდატოვებდაასეობლად
როგორ? ანრატომ...

მონატრება

მეშენიზეცის
ჭექვამომენატრა,
თალხიღრუბლებიცაზე,
დილისრიჟრაჟი,
მზისსხივთთამაში
ცვრიანბალახისთავზე.
ქარაფზეღიღილოს
ღელვამომენატრა,
ცელქ, ურჩსიოზერწევა.
ხევშიგაწოლილი
წყალიმომენატრა,
ტანისზღაპრულირხევა.
ჯიქურგადმომდგარი
ციხემომენატრა,
ურჩიმრავალისმთქმელი.
მზისსხივიმომენატრა
სულშიჩასაღვრელი.
სხეულისგამთბობი, მწველი.
შენიბილიკებიმომენატრა
ქვა-ღორღრიანი, სველი,
ლოდებიმომენატრა,
გულზედადებული
ჩემიწინაპრებისძველი,
ყანამომენატრა
პურისთავთუხებით
ყაყაჩოებთანერთად,
ჩემომესხეთო,
შენ ჩემოსუნთქვავ,
შენ შეგავედრებღმერთთან...

გაინაწილეთ

ჰა, სიყვარულიმომიცია,
გაინაწილეთ,
ქარო, ხეებო, კაცნო, მხეცნო,
მტერს ნუ აცინებთ,
ჰა, სიყვარულიმომიცია,
გაინაწილეთ.
აზრიჭეშმარიტი, გულიმტკიცე,
ზოგსრააცინებს?
დარდი, ჭირთაძლევა, მოთმინება,
ზოგჯერგვადიდებს,
ჰა, სიყვარულიმომიცია,
გაინაწილეთ.

ნათლისღება

კონკადქცეული, ჩამოძენძილი,
შავიმანდილითიდგაახდილა,
გადათეთრებულსალტიისქედებს
არეთმობოდა არც დღე, არც დილა.
თოვლისბილიკზეშავილანდები,
მიმოდიოდნენხელშისანთლებით,
სამეფოტახტზეიჯდასიჩუმე,
სიოდაქროდახევში ამ დილით.
ანდრიაწმინდასზარებსრეკავდნენ,
ღრომისსალოცავსმზეეპყრახელში,
ბერთასბერები, სანთელსანთებდნენ
ნათელიიდგა, ფუღუროსხევში.
მამულისათვისლოცვა-კურთხევა
ცასედებოდათაფლოსხევისა,
შავიმანდილითიდგაახდილა
ღამედგებოდანათლისღებისა.

ზღაპარი

ისევნაცნობიბილიკები,
ობლადდარჩენილიჭადარი,
ეზოშიგაბმულისარეველა,
საწყლადმომზირალისახლ-კარი.
ბუხარშიჩამწვარინაკვერჩხალი,
დიდიხნისჩამქრალილამპარი,
პაპისეულისაძირკველი,
დედისგამზადებულისაგზალი.
მივიწყებულისალოცავი,
სინესტითმოცულიტაძარი,
შეუკავებელიცრემლები,
შემაშფოთებელიამბავი.
უდროოდშეწყვეტილისიმღერა,
უდროოდჩამქრალილამპარი,
ო, ესქვეყანარაყოფილა,
ზღაპარი, ნამდვილიზღაპარი.

კამარა

აფნიიდანვარძიამდე
არწივსგააქვსკამარა,
რავიყავითამასკარგო
სულარუნდადამალვა.
მდუმარებითმოცულია,
თოკი, ჩუნჩხა, დამალა,
ავბედობამ, ჟამბედობამ,
ჯავახეთიდაღალა.
ტერასებზევაზიხარობს
ბეჩავმტრისგანაჭრილი,
გულიფეთქავსბალანთაში
ვაჟკაცებისდაჭრილი.
ხერთვისსთავზედასწოლია,
ნისლიფაფარაშლილი.
ცისკიდემდევაიოა,
დიდიველიგაშლილი,
თრიალეთისქედზემოჩანს
თმოგვისციხეწაშლილი
ვარძია და ვანისქვაბი
არისარწივთამარა,
რავიყავითამასკარგო
რაღადუნდადამალვა.

ქორწილი

ღრომისფერდობზე
ღიღილოთაქორწილიარის,
ყაყაჩოებიმოჯარდნენ და
ფერხულსუვლიან.
სიოსდაკრულზე
ირწევიანნაზადძეწნები,
დატაშსუკრავენ
ჩოხოსანიშავიგლერძები.
ღრომისველებზე
ყაყაჩოთაქორწილიარის,
თამადასავითწამომდგარა
ზეზეელია.
მზე, ზეცისაგანმოგზავნილი
ნათელციალით,
რაბრწყინვალეა,
რალაღი და საკვირველია.
ღრომისველებზე
ღიღილოთაქორწილიარის,
მღერისფუღურო,
სიხარულითდაიხჩოსლამის.

თორნიკე ბერიძე

„სიყვარულია, სიყვარული გრძნობის ძახილი
სიყვარულია თვით უფსკრულიდან ამოძახილი“

***

ვეტრფი გრძნობებით გაჟღენთილ სტროფებს,
ვეტრფი პოეტის დაუშრობ კალამს,
გალაკტიონის “მამულსა” ვეტრფი,
დილით ალიონს და ცვრიან ბალახს.
ვაჟას – ბუნებას მესაიდუმლეს,
ბევრ საიდუმლოს, ინახავს მალავს,
არ დავიწყებულს საშვილიშვილოდ,
აკაკის – „გამზრდელს“, გზას რომ მიკვალავს.
ვაჟას – ბუნებას მივეკედლები,
დავლევ მთის ძირას, წყარო–ანკარას
მერე, შვლის ნუკრსაც მოვეფერები ,
გულში ჩავიკრავ, დარდებს გაქარავს.
ქართულ სხეულში, ქართულ სულს ვეტრფი,
რომ გვაძლიერებს, სწორედ იმ ძალას,
როგორც ამბობენ – „სხეული გვტოვებს“ ,
სულს კი მოკვდავი, ვერასდროს კრძალავს.

ძალაუფლება

ძალაუფლებაროდია!
„დიდიკაცობისნიშანი“,
თავიარასდროსგეგონოს!
„არწივი,ვითარცმთისანი“..
ფრთამოტეხილიმინახავს,
მთაშიცმრავალიფრთოსანი,
გამოლეულისტროფებით,
დაღონებულიმგოსანი.
თავიარცმეფედმოგქონდეს,
თუმცარცთხაიყოკლდისანი,
ნუდაივიწყებ,გახსოვდეს!
შვილივართჩვენმიწისანი.

***

მოდით გავილეშოთ კვლავაც პოეზიით ,
წრფელი სიტყვები კი სტროფში ავამღეროთ,
გული გადავუხსნათ,კვლავაც სიყვარულს და
გრძნობით მღელვარე ზღვა უფრო ავაღელვოთ...
ძლიერ გავუფრთხილდეთ ქვეყნად სიყვარულს და,
წრფელი სიყვარული,არც კი დავაბეროთ,
ჩავრგოთ სამყაროში,ნერგი სიყვარულის
ვცადოთ სისპეტაკე, იქნებ გავაბევროთ.

მესხეთი

დედამიწა რომ შემოიარო,
მხარე ვერ სჯობნის ქვეყნად ვერცერთი,
მზით მოქარგული საქართველოში,
შენ დამილოცე, ღმერთო, მესხეთი.
შენ დამილოცე ჩემი ხერთვისი,
საფარა ჩემი, ჩემი ვარძია,
ღმერთო დალოცე მათი ხელები,
გმირთა აკვნები ვინც დაარწია.
ზეცად ასწიე ციტადელები,
ციხე-ქალაქი - ხერთვისი ჩემი,
კვლავ გააღვიძე მარანი, ქვევრი.
ვაზი ქართული - ღვთის განაჩენი.

მტკვარს გადავყურებ, თამარს ვიხსენებ,
აქ არ გაისმა - „აქა ვარ, ძია?!"
გმირთა საუფლო - ჩემი ასპინძა
„პატარა კახის" შენაკვანძია.
ღმერთო დალოცე ხერთვისის ციხე,
პიტალო კლდეზე ნაშენი მყარი,
შენ დამილოცე ასპინძის ცენტრში,
მეფე ერეკლე კვარცხლბეკზე მდგარი.
შენ დამილოცე მიმოქარგული,
თვალუწვდენელი ვაიოს ველები,
ღმერთო ქვეყანას კვლავ აღუზარდე
დიდ შოთას მსგავსი რუსთაველები.
შესდექ ქართველო, ხელი ხმალს იკარ,
კვლავ გესალმება შენი ასპინძა,
შენი გულისთვის - საქართველოსთვის,
რა ქრონიკები ერთად აკინძა.
მრავალჟამიერ, ჩემო ხერთვისო,
ცამდე ასულა შენით ასპინძა,
ამცნე სუყველას - განახლებულმა,
ციხე-ქალაქმა რომ გიმასპინძლა.

ასპინძა - სოფელი ოშორა

ყველაფერზე ვწერ, ვწერ განურჩევლად,
ვწერ უსასრულოდ, ვწერ არ ვჩერდები
ჩემოკალამოდაწერეისევ,
დაწერეისევნუგაჩერდები.
ადგილი, სადაც მე გავიზარდე,
ხვალის იმედით ვსახე მიზანი,
მესხეთისგულშიგადაშლილიხარ,
მადლობაღმერთს,რომშენგაგიცანი.
ჩემო სოფელო. შენზე ვღიღინებ!
ჩემოლამაზოლეგენდადთქმულო,
"ორაშორია'' თუმცაკარგიხარ,
ყველაფრითკარგითსახელგანთქმულო.
ეს არის ჩემი ტურფა სოფელი,
ზრდიან,გაზარდეს ერის კაცები,
სამშობლოსათვისთავსვინცსწირავდა.
აგვისტოსომისჯარისკაცები.
ირწეოდადაკვლავდაირწევა,
„დიდ ოშორაში" მრავლად აკვნები,
ჩემისოფელის "ზე" აღმატება,
ისემინდარომსტროფებსვაკვდები.
ყველადარდებსდაყველატკივილებს,
აქ მტკვარი ფანტავს,არარიონი,
მესხეთის ტურფა ,ლამაზისოფლით,
თავადამაყობსკავკასიონი.
ჩემოოშორა, ჩემო სოფელო,
ლექსითცოტააშენიდიდება,
შენიშვილივარ,ვიქნებიმუდამ,
წერა შენზედ მე ,არმომწყინდება.

ჩემო აფხაზეთო

დღეს, ყველა მითი, სამწუხაროდ რეალურსა ჰგავს,
ვაჟკაცურ ცრემლით, უნუგეშოდ ისევ ვიღვრები,
აფხაზეთია საქართველო, ვიტყვი მრავალჯერ!
და ჩემს სამშობლოს სიყვარულში,არ დავიღლები.

დღეს, სამწუხაროდ,ქართულ მიწას კადრებში ვუცქერ,
დაღად ასვია ქართულ სხეულს, ბასრი ისრები
სიზმრადაც გნახე აფხაზეთო,მე მჯერა იმის,
ქართულ ტალახით, აფხაზეთში რომ დავისვრები.

კადრებში მაინც ვეფერების,შენს სილამაზეს,
რიწის ტბას,როგორ ეხვევიან ნაზად ნისლები,
ქართულ მიწაზე მოელვარე, წითელო ვარდო!
უფრო თამამად იმედი მაქვს,ხვალ გაიშლები.

ისტორიები იწერება...

ისტორიები იწერება ჩვენი სახელის,
ითვლიან, რამდენს ჩავუნაცვლეთ ღრუბელი დარით,
არ შეგვიბრალებს ისტორია ! ცუდსაც დაწერენ !
ყველა ვფასდებით ჩვენ,ჩვენივე ნამოქმედარით.
სადაც გავივლით სამყაროში,კვალსაც იქ ვტოვებთ,
თითოეული შევფასდებით დატოვილ კვალით,
მონადირესაც შეაქებენ თავის ნადავლით,
“ადამიანი არ ფასდება, ცოცხლებში მკვდარით”
აღმაშენებლის ისტორიებს დღეს ვიმეორებთ,
დიდი თამარის ნამოღვაწარ მიწაზე დავალთ,
ვეფხისტყაოსანს სიამაყით გულში ვიხუტებთ,
და ჩვენს გმირების ისტორიით, დღეს მყარად ვგავართ.
წიწამურის ხმაც ჩაიწერა ისტორიაში,
და ჩვენ არვიცით სამომავლოდ,რა კარში გავალთ ,
არ შეგვიბრალებს ისტორია, გავიცხრილებით !
ჩვენ წარმავალნი, ხვალინდელებს იმედად ვყავვართ .
ისტორიები იწერება, ჩვენი სახელის,
ითვლიან, რამდენს ჩავუნაცვლეთ ღრუბელი დარით
არ შეგვიბრალებს ისტორია, ცუდსაც დაწერენ,
ყველა ვფასდებით ჩვენ,ჩვენივე ნამოქმედარით.

პოეტები

ჰო ,პოეტები ზღვას უთვლიან,
დაუთვლელ ტალღებს!
ჰო, პოეტები აუდიან,
ტკივილებს დამღლელს !
ჰო, შემოქმედნი,შუა ღამით,
ახელენ თვალებს,
ჰო, პოეტები, ცას უთვლიან,
ნათელ ვარსკვლავებს .
ჰო, პოეტები, მასპინძლობენ,
ღამითაც მუზას!
ჰო, შემოქმედნი, ყველას გულში,
უშვებენ ღუზას!
ჰო, პოეტები ოცნებობენ,
ათასგვარ რამეს!
ჰო, პოეტები ათენებენ ,
სტროფებთან ღამეს!
თან სიყვარულშიც არუდებენ,
არავის ბადალს,
და აღმერთებენ,ამ დიდ გრძნობას,
ალალს და მართალს .
ჰო, შემოქმედნი არ რაცხავენ,
წმინდანად გამვლელს!
და შემოქმედნი ყოველ წუთას,
ამბობენ სათქმელს.

როცა პოეტი, თხრობის ბოლოს,
თვალს მშვიდად ახელს,
ამ დროს პოეტის საიდუმლოს,
სტროფები ამხელს.

ქალი

საოცრებაა მერვე, მსოფლიოს
მანათობელი არსება ქალი,
ფასდაუდები სამკაულია,
არგახუნდებაესნატვრისთვალი
გაზაფხულობითვარდისგაფურჩქვნა,
დაიასამნისყვავილიარის,
მაისობისას,წვიმისწვეთია
დაამწვიმაში,იმედიხვალის
ზოგჯერზაფხულისთბილიდღეარის,
ზოგჯერკისუსხი,გაყინულზამთრის
შემოდგომისასჩუმისიცივე,
ხოლოსხივიკი,წვიმაშიავდრის
ქალიარსებაძლიერიათუმც,
გარედანარსჩანს,შიგნიდანარის
ქალიარსებაყველაბუდეში,
საძირკველია,ოჯახიმყარის
ესისვარდიაყვეყნადრომელსაც,
ყოველწამს,წუთასსურნელიასდის
ქმნილებაარისქვეყნადრომელსაც,
წლებიმატულობს,ვადაარგასდის
ზოგჯერნორჩია, როგორცყვავილი
ხოლოზოგჯერკი,ეკალივარდის
ზოგჯერფიქრებისკორიანტელი,
ზოგჯერმქარწყლელისევდისდადარდის.
ამოუცნობიამოცანაა!
თუკიდასჭირდაბავშვიაკვნის,
ამოუხსნელიფენომენია!
ვერცკიგაუგებ,ამღმერთისგზავნილს.

დედა ძვირფასი საგანძურია

დედა ძვირფასი საგანძურია,
რომელსაც ქვეყნად ფასი არ ადევს,
ზრუნავს ის ჩვენზე,დღისით თუ ღამით ,
და ამ ყველაფერს, ის არ გმადალებს.

ნეტავ შემეძლოს! ძალა შემწევდეს !
ულევ სიცოცხლეს ვუბოძებ დედებს
ჩემს სიცოცხლესაც მათ ვანაცვალებ,
სიტკბოს,სიკეთის მათ გადამდებლებს.

დედა,მშობელი წმინდათა წმინდა.
შენ დამილოცე მაღალო ღმერთო!
რაც სიცოცხლე მაქვს შენ განაცვალებ,
მიყვარხარ დედავ, შენ ერთადერთო.

იფეთქე მარად! არ გამიჩერდე!
არ გამიჩერდე! შენ დედის გულო ,
მუდამ იყავი! გვაბედნიერე!
შენი შვილების,შენ თაიგულო.

თმაში ჭაღარაც შემოგეპარა,
განა, ყველას აქვს ასეთი ბედი ?
ჩემთან იყავი! არ გამიფრინდე!
არ გამიფრინდე! არასდროს დედი .

ვიცი შენს ამაგს ვერ გადავიხდი,
ვერ გადავიხდი ვერასდროს ვხვდები,
მაგრამ გახსოვდეს შენი გულისთვის .
გავწირავ თავსაც,თუგინდ მოვკვდები .

საქართველო

ჩემს მეხეთიდან ვეფერები, ჩემს ტკბილ ქვეყანას,
იმ მესხეთიდან, სადაც მრავლობს ძველი აკვნები,
სადაც ქვეყანას ეგულება სამშობლოსათვის,
გულანთებული,შეუდრეკი ახალგაზრდები.

ღმერთო, მადლობა, გამაჩინე,მქვია ქართველი,
თან ამაყი ვარ, – შენს მიწაზე,მერგო ვიარო,
ჩემს ქვეყანაზე უსასრულოდ შეყვარებულმა
მინდა სტროფებით,ყველა კუთხე შემოვიარო.

ჩემო თბილისო, გადღეგრძელო,ლექსით გადიდო,
ყველას იზიდავ სიყვარულით,ჩემო ქალაქო
ბევრი ვაების გამოვლილო,არა და მაინც,
უდრეკად მდგარო,ქვეყნის გულო, დედაქალაქო.

აქეთ კახეთო,სიყვარულის ალაგო წმინდავ
მინდა შეგიმკო შენი ბოდბე,შენი იყალთო
და დაგილოცო შენი მცველნის ბოლო სიტყვები
„აჰა კახეთი გაუფრთხილდით, ჩვენ კი მივალთო“

შენ, იმერეთო,გახარებავ,ტაბიძის ბუდევ
და საამაყო წერეთელის დიდო გამზრდელო,
ასათიანის შენი მადლით გაცისკროვნებავ,
გაფრინდაშვილის ჰალალ კაცად შენ გამოზრდელო.

ფშავ-ხევსურეთო,მთიულეთო,რაჭა-ლეჩხუმო
და სიყვარულით გაჟღენთილო შენ „სამარგალო“,
შენით ვსულდგმულობ,ჩემი ქვეყნის ყველა ღურდანო
თქვენ სიყვარულში,უფალს შევსთხოვ, არ გადამღალო

შენც კი მახსოვხარ,გადღეგრძელებ დიდო აჭარავ,
„მუხის ფესვებო,საძირკველო,შენ ქვეყნის ძირო
ლეჩაქში მყოფო,დაფარულო,ნენეს ჭაღარავ
ხულო,ბეშუმო,საამაყო შენ ლოდიძირო.

შენ აფხაზეთო,ჩემი ქვეყნის გულის ნაწილო,
ქვეყნის ცრემლებო,შეუშრობო დიდო ტკივილო,

სისხლის წვეთებით წართმეულო,მტრის ხელში მყოფო,
დაგვიბრუნდები,ჩვენო გულო,ჩვენო ღიმილო

ჩემო გურიავ,შენც გახსენებ,შენც გადღეგრძელებ,
ლანჩხუთის ცენტრში,შენც მახსოვხარ გურულის ძეგლო,
შენს სიყვარულში დავიხარჯე, სტროფს ვერ ვაგრძელებ,
ადათ-წესების, ქართულ მოდგმის მარად დამცველო.

ჩემო სვანეთო,ჩემი ქვეყნის სულის სიწმინდევ,
მინდა დაგლოცო,გიდღეგრძელო მრავლად კოშკები,
მინდა გადმოვცე სიყვარული, რასაც განვიცდი
ამ სიყვარულში არასოდეს არ დავმორცხვდები.

ჩემს მესხეთიდან მოვეფერე ჩემს ტკბილ ქვეყანას
იმ მესხეთიდან, სადაც მრავლობს ძველი აკვნები,
სადაც ქვეყანას ეგულება სამშობლოსათვის,
გულანთებული,შეუდრეკი ახალგაზრდები.

***

სხვებისთვის სამარის გათხრას რომ დაიწყებ,
ზედმეტი სამარე,შენთვისაც გათხარე,
იქნება იმ ყორანს შვილები შემორჩა ,
რომელსაც უღმერთოდ ,თვალები დასთხარე.

ზურგს უკან აუგად, თუ ვინმეს ახსენებ
შენცა გაქვს ზურდი და ყველა სვლა გათვალე,
ცხოვრების ბილიკზე თუ ფეხი დაგიცდა,
სწორედ ის სამარე გაივსო „ჩათვალე“

თუ ბოღმა და შური ,შენს სხეულს ამძიმებს
შენს სახელს სარკეთი, თვალებში ჩახედე,
რჩევები სულისგან ძახილად მიიღე,
შენს სხეულს ცოდვებით რომ აღარ არხევდე.

თუ შიშიც დაკარგე და რწმენაც შეირხა,
ზეცა კვლავ საბნად გაქვს,ზეცაში ახედე,
მესაფლავეებს გაყევი ხანდახან ,
მიოწიერ სასახლეს ,ზოგჯერაც ჩახედე.

ქალი

ქალი სხივია, მცხუნვარე მზისა
გათენებისას თვალის ახელა,
ფიქრები არის ძილისწინ ღამის,
ვარსკვლავებისთვის გრძნობის გამხელა.
ნათება არის ღამით ვარსკვლავის,
საკუთარ თავთან ფიცის დადება
ეშხიც აქვს, სითბოც, მოგაჯადოვებს
მოვა და გულზედ დაგეტაკება.
გათენებაა ნაწვიმარ ღამის,
მინდორზე კოხტად ცვარის დაგება,
ქალი ერთია დედამიწაზე,
მას ორეული არ ებადება.
ნაყოფი არის ხის კენწეროში,
ფოთლებშემკული არ გენახება,
სწორედ ისეთი ნაყოფი არის,
მისწვდე,მოწყვეტა დაგენანება .
ქალი ზამთარშიც გაზაფხულია,
ცისარტყელების ფერთა ნათება,
ადამიანის ოცნებებია,
წლები, რომელსაც არ ემატება

***

ცხოვრებაში დამიკარგავს ბევრი.
დრო და ხალხი, ცხოვრებიდან ქრება,
ზოგჯერ ვდარდობ,ზოგჯერ არც კი
ვღელავ,
„დასაკარგი მუდამ იკარგება“.
სიკეთისთვის გამზადებულ მზერას,
საპასუხო, სიბოროტე ხვდება,
სიცივისგან იყინება სული,
სწორედ მაგ დროს, უსროლელად კვდება.
ფუჭად ნახარჯ, ყველა საათს ვნანობ,
ყველასათვის მომღიმარე მზერას,
წავაგავარ მყინვარწვერზე მებრძოლ,
ცხოვრებისგან დატყვევებულ მზვერავს.

***

გვირილებს დავუხატავდი
ფუნჯით მინდორ-ველებს,
ფუნჯით ავაყვავილებდი,
დედის დამჭკნარ ხელებს.
ფუნჯით მაინც გავაქრობდი,
ბურუს ნარევ ფერებს
ფერადს,ნათელს ჩვენს სამყაროს,
რაღა დააბერებს?
არწივს დაჭრილს დავხატავდი,
მარად როდი იფრენს? !
ცხვარს გვირგვინით დავხატავდი,
დრო თუ ჩაიფიქრებს.
უღალატოს დავხატავდი,
ორპირსა და ცბიერს,
ხიდის თავთან ჩამომჯდარი,
ლუკმას უყოფს მშიერს.

***

გზად ბევრი მაცდური მელია შეგხვდება,
შეგხვდება ტურა და შეგხვდება სატანა,
ძნელია ცხოვრების ქარტეხილს გაუძლო,
ძნელია კარებში გოლების გატანა.
როდესაც, სიცივე თარეშობს სხეულში,
ძნელია გაგათბოს, სიცივით ზამთარმა
სადაა ვარდები, უეკლოდ დაკრიფო?
ძნელია ყოველთვის იარო მართალმა.
ძნელია ცხოვრების ბილიკზე დაეცე,
მწვერვალზე ასულმა ,სიცოცხლით გამთბარმა
ძნელია უგრძნობი სტროფები დაწერო
სტროფებთან ბრძოლაში,გრძნობებით
დამთვრალმა.

***

ღმერთო შეგვიბრალე,კალთა დაგვაფარე,
ღმერთო აგვაცილე მწარე განსაცდელი,
ღმერთო გვაპატიე, მაშინ გვახსენდები,
როცა ბეწვის ხიდზე ვხდებით გასავლელი.
ღმერთო გვაპატიე ჩვენი შეცდომები,
ნებით,უნებლიედ რაც კი გვიდენია,
კალთა დააფარე ღმერთო დედამიწას,
ტანჯვა,წამებები ბევრი გვიგემია.
ისიც გვაპატიე ღმერთო ოდესღაც რომ,
შენთან მოსასვლელად კოშკი აგვიგია,
ასი ნერგის დარგვა, ვიცით რა მადლია,
ერთი ღვთის მიწაში, არც კი ჩაგვირგია.
ღმერთო გვაპატიე, როცა უჭირდათ და
ხელში ფული გვქონდა,გვერდი აგვივლია,
ღმერთო გვაპატიე, ყველა ის ნაბიჯი,
რასაც გავივლით და, რაც კი გაგვივლია.
ისიც გვაპატიე ღმერთო მოწყალე ხარ,
თუკი ვინმესთვისაც მახე დაგვიგია,
უნდა გველოცა და ჩვენ კი ვხალისობდით,
ღმერთო გვაპატიე, რომ არ გაგვიგია.
ღმერთო დედამიწა, ისევ დაიფარე,
ისევ შენს მიწაზე, ზარდე გასაზრდელი
ღმერთო მოწყალე ხარ, ისევ შეგვიბრალე
ღმერთო აგვაცილე მწარე განსაცდელი.


ნურვინ გარევთ
ერთმანეთსა,
გესმათ ჩემი ნაუბარი!

მისთვის ჭირი ლხინად
უჩნდეს,მისთვის ცეცხლსა
მოიდებდეს.

მიბრძანეს მათდა საქებრად
თქმა ლექსებისა ტკბობისა,

მადლობა ზე-მაღალი ჩართულობისთვის...

პირველი ტომის ხილვის დროს, მესხმა სამხედრო პირმა, მაიორმა ელგუჯა ველიჯანაშვილმა გამოთქვა სურვილი, რომ კრებულის მეორე ტომში რამდენიმე გვერდი დაგვეთმო მესხი პოეტებისთვის...

თვითონ დაიწყო პოეტების მოძიება, დაუკავშირდა სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმში მეცნიერ-თანამშრომელს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს უნიჭიერეს, უკეთილშობილეს ქალბატონს ნატო ყრუაშვილს – ეწინამძღოლა, კორექტირება გაეკეთებინა თავისი კუთხის პოეტების შემოქმედებისთვის და დახვეწილი ფორმით წარმოეჩინათ მესხი პოეტები კრებულში...

ასეც მოხდა: ქალბატონი ნატო აქტიურად ჩაება ამ მეტად საშვილიშვილო, უკვდავ საქმეში და მესხი პოეტების გვერდები წარმოადგინა ზე-მაღალი ფორმით – როგორც შინაარსობრივად, ასევე ლიტერატურულად დახვეწილი და გამართული ენით. ასევე თანაავტორთა მოძიება-წარმოჩენაში აქტიურად მონაწილეობდა უნიჭიერესი პოეტი, ერის სასიქადულო მამულიშვილი ციური მესხიშვილი.

დღეს დიდი შოთას მონაგარს სამი დიდებული ადამიანის ხელი ატყვია: ბატონი ელგუჯა ველიჯანაშვილის, ქალბატონი ნატო ყრუაშვილისა და ქალბატონი ციური მესხიშვილის, რომელთაც მარადჟამს უნდა ემადლიერებოდეს თავიანთი კუთხე, წარმოჩენისთვის.

მადლობა ძვირფას ადამიანებს მონდომებისა და ძალისხმევისთვის.

ავტორისგან

ნანა მეფარიშვილი – ფილოლოგი
დაბადების ადგილი – ჩოხატაური

მინდა გაგეცნოთ

მე რუსთაველის სამშობლოდან ვარ,
იქ შემასწავლეს ლოცვა და რწმენა,
ვაჟას მიწაა ჩემი საძვალე,
გოგებაშვილმა ამიდგა ენა.

აღმაშენებლის სამშობლოდან ვარ,
იქაა ჩემი სულის საუფლო,
სადაც სიმღერით ომებს იგებენ,
სადაც ყოველი ლექსად საუბრობს.

მე სააკაძის სამშობლოდან ვარ,
თამარის სისხლი გადამდის გულზე,
უფლის სიყვარულს თავს რომ სწირავენ
და რწმენას არვინ არ ჰყიდის ფულზე.

მე და ფიროსმანს ერთი მიწა გვაქვს,
გალაკტიონის დამყურებს ღამე
სწორედ იქაა ჩემი სამშობლო,
დედა ღვთისმშობლის რჩეული მხარე.

მე ქეთევანის სამშობლოდან ვარ,
მისი სისხლი ვარ, შვილი ვარ
და ვარ, აკაკის ნასუნთქ ჰაერს ვისუნთქავ,
ილიას გავლილ მიწაზე დავალ.

ჩემი სამშობლო ვერ ითვლის ასაკს,
კაცობრიობის დღეთა შექმნიდან.
დიახ, გახლავართ საქართველოდან,
გენიოსთა და გმირთა ქვეყნიდან!

ჯერ სამშობლო, დანარჩენი მერე

გეფერები, გელექსები ჩემო,
შენს მიწაზე ანგელოზნი მღერენ,
ჩემს ტკივილზე აბა როგორ ვწერო,
ჯერ სამშობლო, დანარჩენი მერე.

ღვთისმშობელის გაფარია კალთა,
ის გიფანტავს ტკივილიან ფერებს,
გეფარებით გადაგვირჩე რათა,
შენ სამშობლოვ, დანარჩენი მერე.

სთქვი სად გტკივა,გენაცვალო დაღლილს,
გემსხვერპლები ჩემო, დამიჯერე,
სხვა რამ ნატვრა სათქმელადაც არ ღირს,
ჯერ სამშობლო, დანარჩენი მერე.

ბილიკ-ბილიკ დაგირბინო უნდა,
მოვიფერო მთა, წყარო თუ ღელე,
ოცნებებიც ნუ ახდება თუნდა,
ჯერ მამული,დანარჩენი მერე.

არად მიღირს სხვა რამ აღმა-ფრენა,
არც ის ჩემო, რაც ლექსებად გწერე,
ჯერ უფალი და ღმერთების ენა,
ჯერ სამშობლო, ყველაფერი მერე!

„მწყურის“ – ამბობდა ქრისტე

შვილი, ცხრათვალა მზის მტე,
მიწას მადლად რომ ეშვა,
„მწყურის”– ამბობდა ქრისტე,
ძმარი! – ჰყვიროდა ეშმა

საბედისწერო ღამის,
გამოტანილი მსჯავრი
და ზეციერი მამის,
ცრემლით მორწყული ჯვარი.

ნალუსმნი გული ხელის,
წილით ნაყარი კვართი,
სამყარო ვერცხლის-ფერის,
მზეში გაცვლილი ჯართი.

კაცობრიობის ბედი,
უკანასკნელი წამი,
შუბ-განგმირული ფერდი,
დროი მეექვსე ჟამი.

გულ ცრემლიანი დედა,
სისხლ-ჩაქცეული თვალი,
ვერცხლ-მოყვარეთა ხედვა,
დემონთა მოკლე ბალი.

ზეცა სამ-ების ფერი,
შვილი, ცხრათვალა მზის მტე,
მიწას გაუშრა ყელი,
“მწყურის” – ამბობდა ქრისტე.

თქვენ ისევ სცდებით

თქვენ ალბათ ფიქრობთ დავქალდი რადგან,
მზერა ნაპერწკლებს ვეღარ აკვესებს,
რომ ჩემში უკვე გრიგალი ჩადგა,
რომ მივეჩვიე სევდიან ლექსებს.

თქვენ ალბათ გახსოვთ ზღვის ჰორიზონტი,
გახსოვთ ოცნება წუთით ვნებული
და ნაწვალებიმიმოზის ტოტი,
ხელებში კრძალვით მოწოდებული.

არ ვსაუბრობდით თქვენობით მაშინ,
მაშინ მოვგავდით შეშლილ ამინდებს,
ჩვენ ალბათ ღამემ დაგვტოვა ვალში
და მთვარე დღემდე მზერას გვარიდებს.

დღეს კი, მე თქვენი სახე დავლანდე,
შევტოკდი გულით დანაფიცარით,
თქვენ ისიც გახსოვთ გრძნობა რომ განდეთ,
მე თქვენ ჯიუტი მზერით გიცანით.

ბედი ნელ-ნელა გვიტეხავს ლუკმებს,
ნეტავი ეს დროც რამ შეამოკლა,
თქვენ ალბათ ფიქრობთ დავქალი უკვე,
ან განშორების ტკივილმა მომკლა.

ვიღაცას წლების სიმრავლე ზარავს,
ზოგჯერ ყმაწვილიც ხდები ხნიერი,
მე შეგახსენებთ ყველაზე მთავარს,
ქალი ტკივილით ხდება ძლიერი .

თქვენ ახლაც სცდებით, ისე ვით მაშინ,
მე სიყვარულმა შემმატა ღონე,
ამოვაფარე ნაოჭებს ბავშვი
და წლის მეხუთე დრო მოვიგონე.

მესროლეთ

მესროლეთ, სიცოცხლეს დაემსხვრას ბორკილი,
გამუქდა ზეცა და ცოდვილი სამყარო,
ყორანო, შენ დღესაც რა ცივად მომკივი,
მესროლეთ, რომ სიკვდილს სიცოცხლე გავყარო.

დაღლილი ნატვრები უფლის წინ დავაწყვე,
სამშობლო ამტკივდა შორი და უჩემო,
არც არა ვეცადე, ვერც ვერა გავაწყვე,
მესროლეთ, იქნება ტკივილებს ვუშველო.

სისხლი და ცრემლები ქართველთა ხვედრია,
ღალატში გაცვლილი ბინძური ქაღალდი
და როცა ურცხვობა სინდისზე მეტია,
არც არსად გაისმის შენდობის ღაღადი.

დაცალეთ ვაზნა და ის ერთი ჩატოვეთ,
მე, უკვე ვიწვნიე ცამეტჯერ სიკვდილი,
მესროლეთ, მე გუშინ სამშობლო დავტოვე,
ახლა კი, უზნეოდ ნატვრებში მისვტირი.

დავტოვე წყალობა, შორიდან ვღაღადებ,
ან მშობელის ტკივილი როდემდე მესმოდეს,
ოღონდაც, მტრის ხელით მესროლეთ მანამდე,
ვიდრე ხვალ ქართველი ზურგიდან მესროდეს.

მესროლეთ, რა მოხდა სიკვდილიც წესია,
მიბორგავს სული და უკუნეთს მიაპობს
მე ვინ ვარ, მოვკალით წმიდანი მესია,
ჩემში კი, მისხალი შუქიც არ ჰკიაფობს.

ამ ტყვიით, რამდენჯერ დამიჭრეს მამული,
დღეს ყველა მათგანი გულზე მაქვს დაყრილი,
უძღები შვილი ვარ, ვერ ვიცავ, არ ვუვლი,
საკუთარ ცოდვებზე ხმამაღლა გავჰყვირი.

არც ცრემლის ღირსი ვარ, არც ვინ გამაცილოთ,
მკვდარიც კი ჩამქოლეთ, კვნესა თუ აღმომხდეს
მესროლეთ, ოღონდაც გულს არ ააცილოთ,
უკან სამშობლო დგას და იმას არ მოხვდეს.

ახალი ერა

მიწიდან ზეცად აჭრილმა ორთქლმა,
დაჰფარა მზე და ღამეა ბნელი,
დუღს დედამიწა და ისმის მოთქმა,
უკუნეთიდან ამონაბერი. ზანზარებს,

ტოკავს სამყაროს ღერძი,
ვინ შიშით მუხლზე უდგება დემონს,
ზოგი გამხდარა ეშმაკის კერძი
და წმინდა სულის ტარებას ჩემობს.

იყოფა ორად, ვით ვაშლი ცოდვის,
შიშველ სხეულებს როკვა აქვთ ბილწი,
თეთრი და შავი, ქუხილით მოდის,
დგას არჩევანი, ვინ, სად და ვის წინ.

სამოთხის მიწას, ღმერთების ედემს,
შემოხვევია ცხრა-თავა გველი,
კაცთათვის მხოლოდ სიკვდილს იმეტებს,
საგანძურების წყეული მტერი.

ორთა კი არა, ოთხ ზღვათა შუა,
წევს და უფეთქავს დაჭრილი გული,
ახლა ნამდვილად ის ჟამი თუა,
როს დასაწყისთან დგას დასასრული!

გაიღვიძებენ გოლიათები,
ბორკილებიდან გაჟონავს სისხლი,
დაიქუხებენ მდუმარე მთები,
გაიფანტება ჯანღი და ნისლი.

მზიდან მიწამდე დადგება სვეტი,
ტანჯვა-გამოვლილ მამულის კართან,
შემოადგება თვით მეფე-ღმერთი, ყოფნა,
არ ყოფნის გარჩევის ზღვართან.

ღალატისათვის ავსა, თუ ბოროტს,
თავისი წილი ერგება დასჯის,
გაიხარებენ ბოლოს და ბოლოს,
მართალნი, ვინც გზა არჩიეს ტანჯვის.

აგუგუნდება ძველი სიმღერა,
ნათელს მოიფენს ერი რჩეული
და დაგვიდგება ახალი ერა,
ბედნიერების ათასწლეული!

წარსულის ექო

მზე გაეჩხირა ნიგვზიან ფერდობს,
შარას შეადგა ნაცნობი მგზავრი
და მიტოვებულ ხავსიან ერდოს,
ცრემლებით სავსე მოავლო თვალი.

დრო ახსენებდა ლხინსა და ვარამს,
კაცს ბებერ წელზე ეკიდა ხმალი,
ცარიელ სახლებს აძლევდა სალამს,
დაცლილი სოფლის ჭირისუფალი.

მოგყვები რადგან
(მამა ნიკოლოზ მაქარაშვილს)

მოგყვები, ვტოვებ ამა სოფელს ცრუს და ვნებიანს,
მოგყვები, მჯერა გამიკვალავ სიმართლის ბილიკს,
ვიცი იტყვიან გიჟიაო და შეკრთებიან,
რომ დამიწყებენ განსჯას, მწარე ღიმილით ქილიკს

მოგყვები, დაე, მიმატოვოს ირგვლივ ყოველმა,
ვერავინ გასტეხს ამ სიმტკიცეს, გარეშე უფლის,
შენებრი ჯვარი ვინ იტვირთა, აბა რომელმა?!
ყველას პირველი თამადობა სწადია სუფრის

წელში გატეხილ საუკუნეს მოვათრევ მხრებით,
ვირწმუნე ბევრის, უიმედოდ შემოვრჩი ბოლოს,
შენთან იმხელა კოცონია შორითაც ვთბებით
და მაინც გვიჭირს გავეცალოთ საკუთარ სოროს.

ყველაში ღმერთი დავინახე, დაბნეულს ვგავდი,
(არ სძინავს ბოროტს, ტყუილების ბადეში გვართავს)
ბრმად მივუყვებით უფსკრულისკენ, არადა ცამდე,
არის ნაბიჯი, თუ ვიპოვით წინამძღოლს მართალს.

ყველა გულისთქმა ჩემი, შენსკენ მომიმართია,
შენში სამყაროს აკვანს ვხედავ, სულით რომ ფასობს,
ღვთიური მიწა, სადაც უფლის წმინდა კვართია,
ისე უბრალო გაგვიხადეს, აღარც კი გვახსოვს.

მოგყვები, თვალებ-დახუჭული (ჩანს ჟამიც დადგა)
თავად ბრმას, სხვათა სიბრმავეზე მატირებს მე რა?!
ამაო სოფელს არ ვინანებ, დავტოვებ, რადგან
ბევრის სიტყვაზე მეტად შენი დუმილის მჯერა.

მამის სიყვარული
(ფილმიდან "ჯარისკაცის მამა")

ქართველი ხარ ბიჭო?" – დაჭრილი ხარ განა?!
გაახილე თვალი, არ ჩასულა ეს მზე,
შენხელა მყავს ვაჟი, გენაცვალოს მამა,
ადე, ამბავს გეტყვი საქართველოს მთებზე.

ქართველი ხარ ვიცი, მხრები მეცნო შენი,
აღნაგობას თქვენსას ვინ მასწავლის ვინა,
შენს ტკივილებს ახლა, თუ გრძნობს დედაშენი,
ცრემლიანი თვალით რომ მოგელის შინა.

აქ, არ არის შენი სამშობლო და მიწა,
წამო შვილო ადექ, შეგიყენო მხრები,
ის აკვანი შენი სადაც გადაირწა,
წამო გენაცვალე იქ გაშალე ფრთები.

შენი მტრის სისხლს დავლევ, დაუჭრიხარ სამგან,
ქართველს მკვდარსაც იცნობ დაბერილი მყესით,
აბა, ასეთ ოხვრას სად გაიგებ სხვაგან,
ქართველები ომშიც სხვანაირად ვკვნესით.

შემომხედე მოხუცს, შვილს დავეძებ მეცა,
მხცოვანს ნუთუ ახლა მიმატოვებ განა,
ერთი შვილის დარდი ასად გადამეცვა,
სად ამოგდით სული, გენაცვალოთ მამა.

იქნებ ახლა დედის იავ-ნანის ხმაზე,
გებინდება ფიქრი და ბავშვობას ერთვის,
მიუყვები ბილიკს წინაპართა კვალზე,
სად გმირები მიჰყავს საუფლოში ღმერთის.

მომისმინე შვილო, ჩუმად გეტყვი ამას,
ქართველობა მუდამ ვამაყობდით რწმენით,
დედას ვინ აჯობებს, თუმცა იავნანას,
თუ დაგვჭირდა ბიჭო, მამებიც კი ვმღერით.

პ.ს.
გმირთა სხეულებზე ღამე დაწვა მკაცრი,
ისტორიის ფურცელს შლიდა ომის ხანა,
დაჭრილ მკერდზე ჩუმად ქვითინებდა კაცი,
"ქართველი ხარ ბიჭო?" – გენაცვალოს მამა.

არ მყოფნი

უშენო წამები გადიქცა წამებად,
უშენო სოფელიც წუთივით მცირეა,
მექეცი სიცოცხლის ახდენილ ზმანებად
და ახლა ჩვენ შორის პატარა ტირეა.

ტირე – ვით სიკვდილთან სიცოცხლის გამყოფი,
სხვა სევდის მიზეზი აღარ მაქვს ნამდვილად,
ჩემთან ხარ, ჩემში ხარ და მაინც არ მყოფნი,
სამყარო არ მყოფნის შეხვედრის ადგილად.

სულიდან ვიშორებ ცოდვიან ნარჩენებს,
ჩანს ამ სიყვარულში ღმერთია მთავარი,
პირ-აღმა მივყვები დავარდნილ ჩანჩქერებს,
ყელიდან ღიმილით მაწყდება ჯავარი.

ზეცისკენ გავუშვი მზისფერი ბურთები,
სინათლეს გადავფენ მთებიან, გზებიან,
გაიფანტებიან უშენო წუთები,
უშენო დღეებიც გაიცრიცებიან.

ჩვენს შორის ღმერთია – ფესვი და ნაყოფი,
ლოცვებად, წყურვილად, ნატვრების წადილად,
ჩემში ხარ და მაინც არ მკმარა, არ მყოფნი,
სამყარო არ მყოფნის შეხვედრის ადგილად.

სხვანაირად მიხვდებოდა მამაჩემი

სხვანაირად მიხდებოდა მამაჩემი,
კაცი მაინც სხვანაირი არის ძალა,
მისი წასვლა იყო უფლის განაჩენი,
წავიდა და გულში რაღაც დაიცალა.
სხვანაირად ვეყრდნობოდი ბაბუს ტორებს,
და მის სიტყვას მთის კაცისას, ნამუსიანს,
ახლა კედელს აღარავინ დამატოლებს,
გავიზარდე, სევდას სული აუვსია.

სხვანაირი ძალა მქონდა, კაცის ძალა,
დიდ ხელებში ჩადებული ციცქნა თათი,
აწ გარდასულ წლებზე სევდა მომეძალა,
რასაც გაჰყვა ის მზერა და ათინათი.

სხვანაირად მიხდებოდა ძმის თვალები
, ის უმცროსი, მაგრამ მაინც ჩემზე დიდი,
თითქოს გზები გავიარე ნათვალევი,
ყველა სათქმელს ტკივილიან გულში ვცლიდი.

სახლს სხვაგვარად უხდებოდა კაცის სახე,
მამის მკერდზე პაწაწინა მუშტებს ვცემდი,
ალბათ უფალს თუ უნდოდა დავენახე,
მარტო მყოფი როგორ ვიდედა-კაცებდი.

წასლვა არის ამა სოფლის განაჩენი,
(წუთი ღმერთო, მართლა ძალზედ მცირედია...)
სხვანაირად მიხდებოდა მამაჩემი,
კაცი მაინც სხვანაირი იმედია.

ენა მხსნელი

Შ-ანი, Կ-ბანი, Ղ-განი, Ծ-დონი, ჩუქურთმების თეთრი რკალი,
ენა -აზრი, ენა -გონი, დაფარული ღმერთის კვალი.
ესეც Ղ-ენი, Դ-ვინი, Խ-ზენი, ფეთქვას, ფეთქვს,
როგორც გული, ასოები, როგორც მზენი, დაცული და შენახული.
Ի-ჰეი, Հ-თანი, Ղ-ინი, Կ-კანი, ასო-წყობის დიდი ძალა,
ჩუქურთმაში ეს აკვანი, პაპამ ლოცვით გამოთალა.
Ղ-ლასი, Մ-მანი, Ն-ნარი ცისა, სანანაო ასო-ბგერა,
გამკვალავი ბნელის გზისა, ნეტავ როდის დაიწერა?
Ն-იოტა და Շ-ონი, Ս-პარი, მარცვლებია მარგალიტის,
საგალობელისა მგვანნი, ამოფეთქვა ხეში კვირტის.
Կ-ჟანი, Ժ-რაე, Ս-სანი, Ք-ტარი, ჰოი, დედეს ბაგით მღერა,
ატლასებზე მზის მაქმანი და ან-ბანი ბედის-წერა.
Շ-უნი, Փ-ფარი, Ч-ქანი, Ո-ღარი, მობიბინე თავ-თავები,
წინაპართა მტკიცე კვალი, მთები ოქრო ნართავები.
Կ-ყარი, Ყ-შინი ესეც Հ-ჩინი, წმინდავს, წმინდავს ცოდვის ნარჩენს,
ერთადერთი თვალისჩინი, ის გვიხსნის და გადაგვარჩენს.
Ց-ცანი, Ժ-ძილი, Ք-წილი, Տ-ჭარი, მოელვარე დანის პირი,
დუღდა, დუღდა, ვით მაჭარი, ვაზის ჭიგო, ვაზის ძირი.
Ք-ხანი, Կ-ჴარი სულის Ձ-ჯანი, Ղ-ჰაე, კვალში ხარო ნიშა,
წყალობა და დიდი ჯვარი, ქალში განკაცდა და იშვა. Ճ-ჰოე,
ური, ფონი, Ռ-ალი, კლდეთა ნაპრალები ძველი,
"ელი, ელი, საბაქთანი" დედა-ღმერთი(ს) ენა- მხსნელი.

**

წელს ველოდები სხვანაირ ზამთარს,
უფრო ცივსა და უფრო თოვლიანს,
როცა ფიფქები ღამეებს ართავს,
გადაათეთრებს ეზოს ყორიანს.

მოირთვებიან მერე ხიდები,
მთლად დედამიწა თეთრია ამ დროს,
ზამთარში როგორ ადრე ბინდდება,
ზამთარში გულიც სხვაგვარად ავდრობს.

დაუგრძელდება ღაამეებს ყელი
ქარი სარკმელთან ასტეხს ფორიაქს,
წელს სულ სხვანაირ დეკემბერს ველი,
უფრო ცივსა და უფრო თოვლიანს.

იესოს ხელია

როდესაც განსაცდელს გიგზავნის ღმერთი და სავალზე ბინდია,
როდესაც გგონია არსაით არ არის იმედის მარცვალი,
როდესაც ფიქრობ, რომ შენი ცა დაიქცა, სხვისი კი მშვიდია,
დასტირი შენივ თავს, გოდებ და არ გახსოვს არც ლოცვა, არც ვალი.

როდესაც გგონია, მთავრდები, გადიხარ ცხოვრების როლიდან,
ცისფერებს, მზისფერებს, ვერ ხედავ, გგონია უკუნში დაგმარხეს,
იმედად არ გიჩანს სინათლის წერტილი, რომ მოსჩანს შორიდან,
ვერ ვხდები იმ ციცქნა შუქიდან ღმერთი რომ სამყაროს განახებს.

შენს სხეულს ცოდვების ბუდედ რომ ძერწავენ სული აქვს იცოდე,
გამოდი ლეშიდან, შენივ თავს იხილავ ნამდვილს და საშინელს,
გრიგალი რომ იყოს, ან სულის გამოცდის კოცონში იწვოდე,
მაშინ რას შესძლებდი, როდესაც პატარა ნიავი გაშინებს.

როდესაც გგონია, მორჩაო, დამთავრდა დაეშვა ფარდები,
თვალების გახელა არ გინდა რადგანაც გვირაბი ბნელია,
სიცოცხლით გადაღლილს, როდესაც გგონია სიკვდილთან ბარდები,
ამ დროს რომ გაფხიზლებს და ფეხზე გაყენებს იესოს ხელია.

ნუ სტირ დედაო

შენი ცრემლებით მორწყულია მიწა ქართული,
რამდენ ტკივილად გაგიხდია მხარე წილხვედრი,
ჩვენ სხვა მისია გვაკისრია, მძიმე და რთული,
ჩანს ქართველობა შემთხვევითი არ არის ბედი.

ჰოი, დედაო, ესე ძალა სამყაროს მართავს,
შენ საქართველო შეარჩიე შენებრ მწუხარე,
მისთვის ნასროლი ყველა ტყვია გიჭრიდა კალთას
და სისხლის ნაცვლად გეღვრებოდა ცრემლი მდუღარე.

არ გვაპატიებს ალბათ ღმერთი ამ გულისტკენას,
ადამის მოდგმის შენ ხომ იცი ცოდვა და სევდა,
განსაცდელებმა აგვაცილა სხვა ბედისწერას,
როს საქართველოს დედაც გახდი, იესოს დედავ.

ნუ სტირ დედაო, ეგ ცრემლები გვიხსნის იარებს,
ქართველი კაცი უგულოა, ვინ იტყვის ამას...
და მაინც ვგავართ სინანულში დანაგვიანებს,
ამდენ წყალობას ვერ ვაფასებთ, ცოდვები გვძალავს.

შენს გარდა სხვა ვინ გვიმფარველებს, სინდისი გვეწვის,
დადიხარ ცრემლით, წმიდა ცრემლით მადლის მმოსავით,
შვილის წამება არ გაკმარეთ, ახლა კი შენს წინ,
დგას საქართველო ჯვარს გაკრული იესოსავით.

იმღერე გიორგი

იმღერე გიორგი, რომ ბოლო ნატვრასაც დაუსკდეს მყესები,
იმღერე ქართველო, რას გვარგებს მარტოდენ მდუმარე ლექსები.
იმღერე გიორგი, შენი ცა, შენი მზე სხვა სევდის ფერია,
როდესაც ქართველებს სამშობლო ეძახის –ლალეო მღერიან.

ადექი ფეხზე და ხმამაღლა იმღერე, იქუხე გიორგი,
იცოდე სამშობლოს ყოველთვის სისხლში და ძარღვებში სდიოდი.
ეს შენი მიწაა, ღმერთების სატახტო (დღეს ვხედავთ დაყოფილს)
იმღერე პატარავ, ჩვენ უცხო მიწაზე ჰაერი არ გვყოფნის.

თან ყური დაუგდე ბანს გაძლევს პაპა და იმათი პაპანი,
დაგვირჩი კაცად და ნამუსით გასწიე ქართველის ჭაპანი.
სიმღერით მომავალს გუგუნით შეგხვდება სიონის ზარები
, (გვაკმარე უფალო, გვაკმარე პაატას წლიანი თვალები...)

ქართველი სახლიდან მიდის, თუ ბრუნდება სულ ღმერთის სჯეროდა,
როდესაც ტკივილი გულს აუდუღებდა –ლალეო მღეროდა
. შენც მისი ყლორტი ხარ, მიწისა, რომელსაც ყოველთვის სტკიოდი,
ხმა რომ შემოესმა, ფეხზე წამომდგარა –მოდისო გიორგი.

ხმამაღლა იმღერე, დღეს შენი სიმღერა გვჭირდება კვლავაც და,
აყარე ყლორტები, სანამდე ღირსება გაქრა და ჩანაცრდა.
დასჭექე ბოლომდე, იდინე, იქუხე ძარღვების ხეთქვამდე,
ცოდვილთა ხმები რომ შენმა ხმამ დაჰფაროს, მივიდეს ღმერთამდე.

ეს აწმყო შეგვინდე, წინაპრის სანთელო სისხლში რომ გვიბორგავ,
შენი ხმა გვჭირდება, ხმა მომავალისა, იმღერე გიორგავ!
ხომ გახსოვს ის ქეთო, მამამ რომ იპოვა დიდი და ზრდასრული
, დედის ხმამ, ქართულმა სიტყვამ და გალობამ გაუხსნა წარსული.

გახსოვდეს, სამშობლო ყოვეთვის გეძახდა, გნატრობდა, სტკიოდი,
გული რომ მოურჩეს, შემოდექ მთებზე და იმღერე გიორგი!

სპარტაკ ბრეგაძე – ელექტრო ინჟინერი
დაბადების ადგილი – ქუთაისი

კვლავ დავაბიჯებ დედამიწას

კვლავ დავაბიჯებ დედამიწას უცხო მგზავრივით
და გასასვლელიც სამყაროდან მხოლოდ ერთია
და ეპიზოდებს კვლავ ვიხსენებ განვლილ ცხოვრების,
უკან რაც მრჩება ,აღარ მადარდებს ეს სულერთია.

და ლაბირინთებს ბილიკებად გზაზე მოფენილს
გავდივარ ,როგორც უსინათლო ფრთხილად დერეფნებს
კვლავ მიახლებენ ძველ იარებს თითქმის მორჩენილს
ვხედავ ჩემს ირგვლივ ყოველივე როგორ იცვლის ფერს.

მთვარიან ღამეს ჩემს ანარეკლს კვლავ ვერიდები
ან შენს ტკივილებს ,შენს გარდა მითხარ სხვა ვინ იდარდებს
და უიმედოდ დარჩენილი ,ხავსს ვეჭიდები
და იმედი მაქვს რომ ოდესღაც გამოიდარებს.

კვლავ დავაბიჯებ დედამიწას უცხო მგზავრივით
ვეძებ და ვპოვებ იმედი მაქვს ალბათ დანარჩენ,
ს ვით მჯავრდებული მოლოდინში ფიქრით დაღლილი
კვლავ უსასრულოდ ველოდები ბედის განაჩენს!

საქართველო

მამა პაპების დანატოვარი
ჩვენთვის ყოველთვის სანაქებოა,
ქართული სულის მონაპოვარი
ჩვენი სამშობლო საქართველოა,

სადაც ცხოვრობდნენ დიდი ქართველნი,
სადაც მიწაზე ფეხი დაუდგამთ
მათი ვაჟკაცი გულის მფარველი,
ზეცას შვილები გულში ჩაუკრავს.

ასე ლამაზი სამშობლოს შვილებს
გული უაბჯროდ, ბევრჯერ დაუცავთ
და ვაჟკაცურად დაღუპულ გმირებს
ხმალი ქარქაშში, არც კი ჩაუკრავთ.

ქართველი დედის დალოცვილ შვილებს
რწმენა იმედი გულს უმაგრებდათ,
ძველი ჩონგურის მომღერალ სიმებს
მტერი ჯაბანი ვერას აკლებდა.

რადგან სიმღერა ქართველი ხალხის,
არის რწმენა და თავისუფლება,
მათი ხმამაღალ ბგერების ძახილს
ვერვინ აჩერებს, არ აქვთ უფლება.

ცა და ბუნება ზეცას აორებს,
აერთიანებს უსასრულობას
რა შეედრება მხატვრულ მთაგორებს,
არწივი გვიწევს ცად მეგზურობას.

მეფე დავითის თამარის მხარეს ,
ლაჟვარდ სხივები ამობრწყინდება
და მამაცურად შემოჰკრენ ზარებს,
ხო, ივერია კვლავ გაბრწყინდება .

წმინდა გიორგის მადლით მოსილებს
გმირად სიკვდილი სანატრელია,
ქართველი დედის მუცლად შობილებს
მათ გაუმარჯოს ვინც ქართველია.

ეს პატივია იყო ქართველი,
ძარღვში გიჩქეფთეს ქართული სული,
მუდამ ბრძოლაში იყო ჩართული
რეალობაა არ არის მითი .

ზოგჯერ ვაჟკაცნი ქართულ ჯვრით ხელში,
უიარაღოდ ბრძოლას წასულან,
რადგან მამულის სითბო მათ მკერდში
სიცოცხლეზე წინ ,რომ გადასულა.

მამა პაპების დანატოვარი
ჩვენთვის ყოველთვის სანაქებოა,
ქართული სულის მონაპოვარი
ჩვენი სამშობლო საქართველოა!

მომღიმარი გოგონა

ფანჯრიდან მომღიმარი გოგონა
მეჩვენება თვალში ფერები მაქვს თითქოს
არეული,
ვეღარ გავიგე ვგრძნობ თუ მეჩვენება
თითქოს მგზავრი ვიყო გზა კვალ არეული.

ფიქრებში გართულს, ბუნებაც მეჩემება,
ვეღარ გავიგე რისთვის ან რატომ
ღამით სიზმრები რომ ჩუმად მეფერება
აი, ამიტომაცა ვარ მარტო.

ნიღაბი არ მაქვს, მაგრამ მაქვს ნიღბები,
რომელთაცვცდილობ ცალ-ცალკე მოვირგო
იცოდე კარგო,, მარტო შენ მჭირდები,
ყველა ასპარეზი შენს გამო მოვიგო.

გრძნობას გავურბი და ფიქრს კი ვემალები,
ყველა დანარჩენი ზეცას მომიკითხავს,
წვიმას ხის ფოთლებში ,ისე ვემალები
ვარდი უეკლოდ კი ,არც მე მომიკრიფავს.

გრძნობებით ნასვამი, კი მოკვდავთ ვემალები
მათთან ცივი და თბილი მზერა იყო,
ჩვენ ხომ ნიღბის უკან ყველანი ვიმალებით
ამბობენ ,გიჟი ვარ ხოდა, გიჟი ვიყო.

მარტოდ მყოფსაც კი ბუნება მეჩემება,
ათასი ფიქრები მაქვს თავში არეული
ვეღარ გავიგე, ვგრძნობ თუ მეჩვენება,
ნისლში წვიმა იყო,ცრემლად გარეული.

პატიებას ითხოვ?!- ეს არის სინანული,
მოგონებებმაც ბევრი მაწვალეს
გატაცებაა ხო, ეს სიყვარული
ამ ტუჩებს კოცნა გრძნობებმა ასწავლეს.

ისე შემიყვარდი როგორც

ყოველი დღე და ყოველი საათი,
მზის ამოსვლიდან უკან ჩასვლამდე
მე, შეგიყვარე შენ სამუდამოდ
დედამიწიდან ბოლოს წასვლამდე.
დროც მიდის,
გავუშვათ ნუ გავეკიდებით ,
გავუშვათ, წავიდეს, იაროს იმდენ ხანს,
რომ მოიხედავს უკან დარჩენილს
რამის თქმასაც კი,
ვერ გაგვიბედავს .

თუ კი მიპოვი ,გრძნობებით ნასვამს
გთხოვ, ნუღარ მეტყვი რამეს
იცი ,ვდუმდები, როცა ვუყურებ
შენს ზურმუხტისფერი თვალებს.
მათი ცქერა და მათი ფერება
მე, არასოდეს მკმარია
მე, შემიყვარდი
სწორედ ისე, როგორც მოდილიანს ჟანა .
რომელი საათია ,იცი?!
თვალზე მონატრების ცრემლი
უკვე მოთბინებაც კმარა.
შენთვის სათქმელი მაქვს ბევრი
დაცემულს თუ მიპოვი გთხოვ,
გამომიწოდა ხელი.
ისე შემიყვარდი, როგორც
ნასვამ გალაკტიონს მერი
მე ,შენ მოგიძღვნი.
ლექსებს ჩვენთვის ავაშენებ,
სახლ-კარს შვილებს .
კი, ძილისპირულს ამბებს
მოვუყვები მართალს.
გავაცნობ ქართველ გმირებს
და შევასწავლი დიდოსტატს,
ისე შემიყვარდი როგორც
მარგარიტა ფიროსმანს. .

როგორც შემოდგომა ხიდან ფოთლებს ტირის
მე, კი დანარჩენი სხვა რა დამრჩენია,
ეს არის ცხოვრების მწარე განაჩენი,
რომელიც ყოველივეს თავად გასჩენია.

სიცოცხლე ,სიყვარული ჩვენი ნაწილია,
შური, ბოროტება ჩვენი ნარჩენები,
სიტყვა ენით ითქმის ხო, ეს ადვილია,
უბრალოდ ვწერ და მაინც არა არ ვჩერდები.

გოგონა მომღიმარი აღარ მეჩვეება,
აღარც ფერები მაქვს თავში არეული,
უბრალოდ თვალებს ვხუჭავ და ის მეფერება
მგზავრიც, აღარავარ გზა კვალ არეული!

ხანში შესულ გოეთეს ,
ახალგაზრდა ულრიკე
მე მოგიძღვნი სამყაროს
შემეძლება თუ კი მე.
გზა შენამდე შორია
გზები არ არს მიუვალი
მე ,შენ ისე შემიყვარდი,
როგორც ბოდლერს დიუვალი
ხო, გიჟი ვარ და შე შლილი
ჩემს ფიქრებში დაგხატეო,
ტილოს ფარდას ,რომ ჩამოხსნი
მიმამგვანებ ამადეოს.
ბოლოს გეტყვი, რომ
ჩვენ გვქონდეს ერთმანეთის რწმენა
მე ,ხომ ისე შემიყვარდი, როგორც ადამს ევა!

ჩემი სამყაროა უცოდველი

როგორც ამედეო ჟანას თვალებს
და გალაკტიონის ლექსი მერის,
დილის საათები ითვლიან წამებს
ქარი იავნანას ისევ მღერის.

გამზრდელს საფარბეგი აღარ არცხვენს,
დათას გუდუნა, რომ აღარ ესვრის,
მურტალო კვლავ მიუტანს ინგას ვარდებს
ბეთჰოვენს ჰანგები რომ ისევ ესმის.

ტერენტი ჩემთვის ჩუმად ლექსებს მღერის,
ცისფერ ყანწელებს ,რომ გალა უყვართ,
ვაჟას ნუკრის დედა ცოცხალია,
იუდას იესო, რომ არ გაუთქვამს.

ფიროსმანს სიცოცხლეში აფასებენ
და მას კიბის ქვეშ, რომ აღარ სძინავს,
ქვეყნად მშვიდობაა სამუდამოდ
გიორგი პატას თავს ,რომ აღარ სწირავს.

იესოს ჯვარზედ არ აცვამენ
სამყარო მხოლოდ ჩვენთვის სუნთქავს ,
კარგად გავიაზროთ ყველაფერი
გიყვარდეთ ერთმანეთი ქრისტეს უთქვამს!

ჩემი სამყაროა უცოდველი, სადაც
ლექსებს ვწერ და დედამიწას ვწყდები
ვიცი, ბევრს არ ესმის არაფერი
წერას ვასრულებ და ისევ თქვენთან ვჩნდები!

ბებო და ბაბუ

წყლიან თვალებით შეჰყურებს ბილიკს
და ჩვენს ლოდინში გარბის დღეები,
მოხუც სახეზე სევდიან ღიმილს
ფარავს ტკივილით სავსე ცრემლები.

მონატრებულნი ცქერენ ერთმანეთს
და იხსენებენ დღეებს გრძელს, ხნიანს,
სიზმრებს უმხელენ კრძალვით ერთმანეთს,
სადაც გვნახეს და სადაც ჩვენ გვზრდიან.

თეთრი თმა- წვერით შემოსილ ბაბუს
მხარს ,რომ უმშვენებს ბებო ამაყად
ჩვენ ვურჩევნივართ იმ, პატარა გულს,
რომელიც ძგერს და მღერის ხმამაღლა.

იმ, დიდ სიყვარულს ნაოჭი სახე ,
ვერ ატყობს ტკივილს და ვერც იარებს
ვიცი ,პირველად მათ დაგვინახეს
და სიხარულიც გაიზიარეს.

დაგვინახავენ ენთებათ გული,
მათთვის ცხოვრება ახლით იწყება
მათში იღვიძებს ბავშვური სული
მინდა ვუყურო, არ მომწყინდება

მათი თვალებით დანახულ სახეს,
მათ დედურ რჩევას სხვა რა სჯობია,
ცხოვრება ყველას, რომ უგებს მახეს
მათ ეს ცხოვრება გადავლილი აქვთ.

მოხუცი ბებოს დაკოჟილ ხელებს
კვლავ, რომ აქვს სითბო დიდი ალერსი,
ამათით ვხედავთ ჩვენ ნათელ ფერებს,
ვინც კი ვერ ხედავს ,მათი არ მესმის.

ჩვენს დანახვაზე ანთილი სახე
ძალზედ ძნელია სიტყვით აღვწერო,
მათ თვალებში ხომ, ბევრი რამ ვნახეთ
ცხოვრება მინდა ძალზედ გავწელო.

ბავშვის მხიარულ, პატარა გულში ,
ეს სიყვარული როდი ეტევათ,
მათში ფარული დროის ტკივილი
გაუჩერებლივ მიწას ეცემა.

ზოგჯერ რთულია ,იყო მოხუცი ,
მაგრამ ამასაც პატივი უნდა,
რადგან ყოველი მომავალს უცდის,
რადგან მომავლებს ერთი რამ უთხრას.

გაივლის დრო და ჩვენც დავბერდებით ,
გაივლის დრო და მივხვდებით ალბათ,
ბავშვობის გვარად ვერ ავმღერდებით
და ვეღარც ვირბენთ ფიქრებში მარდად .

მაგრამ ამბობენ გული ცოცხლობსო
ის, ჩვენთან არის მუდამ აქ, ბარად,
სიკვდილს არავინ ,არვინ გლოვობსო,
რადგან ქრისტესთან ვიცხოვრებთ მარად!

ის ოცნება, რომ არ ახდა

ნურაფერს მეტყვი
მე, არ მინდა სიტყვათა წყობა,
მხოლოდ მიყურე
და შენს თვალებში ვიპოვი სათქმელს,
დამავიწყდები,
ეგ დღე ვიცი ,არასდროს მოვა
ბოლო სურვილი გთხოვ,
მაპატია მე ეხომ შენ დაგთმე.
სცივა დეკემბერს,
მერე რა ,,რომ თვე არის ზამთრის,
ელის იანვარს
ვიცი, უნდა აჩუქოს სითბო ,
შენც დეკემბერში წახვედი მაშინ
და იანვარშიგელოდი თითქოს .
ვგეგმავთ შეხვედრას
პირველს თან ბოლოს .
საათმა უკვე დაიწყო ათვლა,
შენ ისევ ჩემში, ჩემს გულში ცხოვრობ,
გინდა წახვიდე, უბრალოდ არ თქვა ,
კვლავ ირევიან ისევ დღეები,
მოგონებები სულს ,რომ აჩნდება
ეს იყო ჩვენი ტკბილი ამბავი
და ის ოცნება ,რომ არ ახდება ,
შენი თვალები ბოლომდე ჩემში
შენი ტუჩების გემო არ ქრება.
ბევრი სათქმელი
რომელიც ვერ ვთქვი
და ის ოცნება ,რომ არ ახდება,
უსიყვარულოდ,
მზე არ სუფევს ცის კამარაზე
მე, როგორ გავძლო ეს სიგიჟე ჩემში არ ქრება,
მე, შეგიყვარე და ნასვამი ამ, ლექსებს ვმღერი,
გულში მე, მეწვის, ის ოცნება რომარ ახდება .
და ბოლოს ისევ თორმეტზე რომ ჩამოჰკრა ზარმა,
ჩემგან ხარ შორს და ოცნებებიც აქ, რომ მთავრდება ,
ის ყველაფერი, რაც ჩვენ გვქონდა წაიღო ქარმა
მე, გული მწყდება ის ოცნებ,ა რომ არ ახდება!

გადარეგ

გადარეგ მოცარტის უკვდავ სონატებს
გადარეგ, პიკასოს აუხსნელ ნახატს ,
გადარეგ, იუდას ვერცხლის მონეტებს
გავხარ მარიტას სახეზე ტალახს.

გავხარ მწვერვალებს ცამდე აზვირთთულს
ღრუბლებს, რომლებიც თავზე დაგვიყურებს,
მნახავ ღვინისგან ნასვამს გარინდულს
გხედავ ყვავილად სურნელს აპყურებ.
გადარეგ და ვინჩის ქრომატულ ფერებს
რაფაელ,ი რომ გხატავს ტილოზე
მე, შენ გადარეგ ბახის მძაფრ ბგერებს
ფიროსმანს ძინავს უხმოდ ჭილოფზე.
გადარეგ ვაჟას, ბუნებას გაშლილს,
გადარეგ შოთას ვეფხისტყაოსანს
არწივი ცაში ფრთებს ,როცა გაშლის
მე მი,წოდებულ ფიქრების მგოსანს.
გადარეგ ნიავ,ს ჩემს გულში დარდს ,
ჩემი გულიდან წამოსულ ფიქრებს,
გავხარ ეკლიან ,მინდვრად მყოფ ვარდს,
რომელიც მარტოდ ყოფნას ვეღარ უძლებს .
გადარეგ ჩემს თავს, მაგრამ არა ხო ,
როგორ შეგედარო მითხარი, აბა იცი?!
რომ მე შენ არა არ დაგთმობ
დროც უერთმანეთოდ არასდროს გავა.
ხშირად ვეფერები მე, შენზე სიზმრებს
და ყოველღამით მიტაცებს შიში
გალაკტიონის გადარეგ ფიქრების
ფანჯრიდან მიხმობს შავ თეთრი ნისლი!

ზაფხულმა ,რომ შემოდგომა გვახარა

ზაფხულმა რომ შემოდგომა გვახარა,
ხიდან იწყებს ისევ ცვენას ფოთლები
,ცაზე ღრუბლებს ,რომ შეუკრავთ
ამალა
ზამთარს ველი და ფიქრებად
ვთოვდები.

გზას გავცქერი, სანამ ბინდი წაიღებს
და თვალებში გარდასული ცხოვრების,
ხმას არ ვიღებ ვიცი ,ვერვინ გამიგებს
ჩუმად მოდის სურნელებაც ნოემბრის.

წვიმის წვეთად გარდაქცეულ
ცრემლიდან
კვლავ ვიხსენებ ღრმად დალექილ
მომენტებს
მე ,არ ვიცი რას ელიან ჩემიდან
ვესალმები მივიწყებულ პოეტებს.

ფურცელზე კი გარდმოქცეულ
გრძნობიდან
სტრიქონებად გათხაპნილი მელანი,
ეს სიგიჟე ,ჩემში თავად მოვიდა
და მიწოდეთ მე უცნობი მწერალი.

ზაფხულმა, რომ შემოდგომა გვახარა
ხიდან იწყებს ისევ ცვენას ფოთლები,
სიმარტოვემ ჩუმად თავი დახარა
ველი ზამთარს და ფიქრებად
ვთოვდები!

მიყვარხარ

მიყვარხარ.....
მიწიდან უსაზღვრო ცამდე ,
ზღვის ნაპირიდან
ჰორიზონტსმივდივარ.....
ცაში გაფრენას იმდენჯერ ვეცადე,
გრძნობებით ნასვამი არც ისე მშვიდივარ.
მხატვარი, რომ ვიყო აგრევდი ფერებში,
დაკარგულ სამოთხის გიწოდებ
დედოფალს
და ამ, სამოთხის ვიქნები მძებნელი
გზას არ დავუთმობ მე, არცერთ მეომარს.
მიყვარხარ .....
სამყაროს შექმნიდან იმ წამის,
იმ წუთის, საათის აღრიცხვის დროიდან
დედამიწაზე სიცოცხლის გაჩენის
ადამ და ევას პირველი გრძნობიდან.
ვათენებ ღამეებს, ნეტავი ვინ დათვლის
ან ჩვენს სიყვარულს ოდესმე ვინ აღწერს,
ოთახში სხივი ხარ მთვარიდან სინათლის,
რომელიც ღამეებს უთქმელად მინათებს .
ფიქრი ხარ სიგიჟის, სიტყვებიც არ
მყოფნის,
ვფიქრობ და ვფიცავ, ვერც კი ვიგონებ,
შენ დედოფალი
მე, კი უბრალოდ ბიჭი ,
რომელიც გიძღვნის სტრიქონებს.
მიყვარხარ .....
მიწიდან უსაზღვრო ცამდე
ზღვის ნაპირიდან ჰორიზონტს მივდივარ,,
ცაში გაფრენას იმდენჯერ ვეცადე
გრძნობებით ნასვამი, არც ისე მშვიდივარ!

ასე ჩუმად რომ ხმაურობს

ასე ჩუმად ,რომ ხმაურობს, სული გადარეული,
ეს ფიქრები და გრძნობები ერთმანეთს არეული
ასე ჩუმად სულ ,რომ მებრძვის, მებრძვის და არ ჩერდება,
მერამდენედ კალმით ხელში თავზე რომ მათენდება.

ყოველ ღამით მე ,ისევ ვწერ ის კი ჩუმად მიცქერის,
ფანჯრიდან კი მთვარე თითქოს, იავნანას მიმღერის
ქარსაც ვიცი, სათქმელი აქვს, მაგრამ თან ერიდება,
მე ,კი ისევ კალმით ხელში ვწერ და თვალთმებინდება.

ასე ჩუმად, რომ ხმაურობს ჩემში ყველა სათქმელი,
იცი ვსვამ და ღვინით არა ამ გრძნობებით დავთვერი
სულ მეძახის, სულ თან დამდევს თავსაც კი არ მანებებს ,
მე, კი ვებრძვი ჩემში ისევ, მიმოფანტულ ზმანებებს.

ვიცი ბევრი ვერ გამიგებს, ბევრსაც გაეღიმება
მე, მოგიძღვნი ყველა ჩემს ლექსს, მაგრამ თან მერიდება
მე ,უცხო ვარ სრულიად სხვა ,მჯერა ალბათ გამიგებ,
ის კი ისევ, კვლავ ხმაურობს, თავს არასდროს მარიდებს.

ასე გადის ყოველი დღე, დრო, წუთი და საათი,
მერამდენედ სიჩუმესთან დიალოგი გავაბი,
მთვარის შუქზე, როგორც ადრე ისევ წერა მინდება
აივნიდან სული ისევ, მერამდენედ ფრინდება.

დაბნელებულ ბილიკებზე მკრთალად ჩნდება სინათლე,
ალბათ ხდება ,რაც ოდესღაც საბოლოოდ ვინატრე,
წერის ბოლოს ფურცელს ვუცქერ ყველაფერი ირევა
ვიცი, ბევრი ვერ გამიგებს, ბევრსაც გაეღიმება!

გიყვარდეთ ერთმანეთი

გაზაფხული ,ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი
წელიწადის ოთხი დრო, ოცნებებში გამქრალი ,
ვხედავ ორგულ ქვეყანას, კაცი კაცის მტერია,
აღარ უნდათ სიცოცხლე ორნი ერთად კვდებიან.

აღარ უნდათ ერთურთი, აღარა აქვთ დარდებიც
იმას სულ ვერ ხედავენ უფსკრულში ,რომ ვარდებით,
ტაძარს გვერდს, რომ ჩაუვლის ,პიჯვარსაც კი არ იწერს
შემდეგ ქრისტეს ცხოვრებას ტკბილი ენით აგიღწერს .

მოდ,ი ერთად წარსული გავიხსენოთ ბოლომდე,
ვის უნახავს ბარაბა ,ვის უნახავს ჰეროდე ,
ქრისტეს გვერდით იყვნენ და ქრისტეს გვერდით ცხოვრობდნენ,
მაგრამ სიყვარულისთვის ხომ არც ერთი ბრძოლობდნენ.

მოდი, გავყვეთ უფრო შორს, გავაჩეროთ დროებაც
ეშმაკს იუდა ჰყიდის, ვერცხლად მთელ მის ცხოვრებას,
ცრემლი მოდის მარიამს, ცრემლად მოდის მდინარეც
ხელიც დაუბანია თურმე თასში პილატეს.

არ იციან რას ქმნენ და მაინც იმას ჩადიან
ქრისტეს გვერდით უსირცხვოდ თავმომწონედ დადიან,
დროა თურმე წაყვანის, ზედ ჯვარზედ რომ გააკრან
,და მის სხეულს ლურსმები უცოდველად დააკრან.

მოდით, გვეყოს, გავჩერდეთ გრძნობა ფიქრში გაიქცა,
აღარ მინდა წარსული ,ცოდვამ ტანზედ ჩაიცვა,
ჩავიხედოთ გულებში ,დავინახოთ რა ხდება,
ცა ხომ უსასრულოა ,არასოდეს მთავრდება.

დრო, რომ ჩქარა გარბის და ღამეს დღენი მიჰყვება,
ღამით ციცინათელა ,ისევ ზღაპარს მიყვება
დავამთავრე წერა და გვერდით მივდე ფურცელი
გრძნობა დამრჩა უხვად და გულში მყოფი სიტყვები.

დრო მოვა და ოდესღაც თქვენთან აღარ ვიქნები
შეიყვარეთ ერთურთი ბედნიერნი იქნებით!

მე ,მთვარე და გალაკტიონი

მოხუცი კაცი გვერდით მიზის,
ცოტა არეული
და საუბარში შემოგვეცალა ღვინის
ბოთლები,
ოროვე, თითქოს ღამე ნათევს ვგავართ,
მთვარეულს
შემოდგომაა ოცნებებად სცვივა ფოთლები.
კითხულობს საათს
ღამის სამსაც გადასცდა უკვე,
მიყვება ქალზე მგონი, მერი თუ სწორად
მახსოვს,
მთვარეც მშვიდია,
მორიდებით გვინათებს ღამეს
და ეს სასმელიც
თეთრ ღამესთან ერთად რომ გვათრობს
უსიყვარულოდ,
მზე არ სუფევს ცის კამარაზე,
თქვა და სასმელი ,
ჭიქა ღვინო მაღლა ასწია,
ლურჯა ცხენები
ირგვლივ ყველა კარი დარაზეთ
და მორიდებით
მთვარისაკენ მზერით გასწია
ხშირად .ახსწნებს მესაფლავეს,
ამბობს რა იცის,
რჩევად მარიგებს ,
რომ მიყვარდეს ჩემი სამყარო.
უეცრად
დგება ხელებს შლის და
ხმამაღლა ყვირის,
რომ პოეზიის შემოქმედი და მეფე ვარო,
ვუსმენდი ,კრძალვით ყველა სიტყვას
გრძნობით ნაფერებს
მე,გათენების არც კი მქონდა დიდი
სურვილი,
კვლავ დაღლილ თვალებს
მერამდენე ღამე ნათენებს
და რამდენ სათქმელს დაიტევდა ჩემი
დუმილი.
მონეტას ვაგდებთ ,
ძირს ეცემა ,კვლავ არიოლი
შემოგვეპარა ისე ჩუმად თავს ალიონი,
გვესაუბრება მის წარსულზე ბრძენი რიონი,
ვიყავით სამნი
მე ,მთვარე და გალაკტიონი!

დარეჯან მაჭარაშვილი – იჟინერი
დაბადების ადგილი – საჩხერე

* * *

როცა შენს ტკივილს არავის უმხელ,
სხვისი ტკივილი გტკივა.
ტანზე გაიხდი და სხვას ჩააცმევ,
როცა შენ თვითონ გცივა.

როცა გაუყოფ ლუკმას უქონელს,
ჩუმად ცრემლს დაღვრი ღამე.
როდესაც გზაზე ეკალს აბარდავ,
სხვამ არ იტკინოს რამე.

როცა სხვის თვალში ბეწვს არ დაეძებ,
ბოღმა არ გიცვლის სახეს,
როდესაც პირში ეფერები და
ჩუმად არ უგებ მახეს.

ცდილობ, პირველმა შენ გაიარო
ჯერ გაუკვალავ გზაზე,
როცა წაქცეულს წამოაყენებ
თუ წაადგები თავზე.

ყალბი ნამდვილში რომ არ გერევა
ფასი რომ იცი სიტყვის,
მაშინ სიკვდილსაც თვალს გაუსწორებ,
“მიცხოვრიაო”-იტყვი.

* * *

მინდა, ბავშვი ვიყო ისევ,
გულს არ გავაკარო სევდა.
ჩანთამოკიდებულს მხრებზე,
ბაფთებს მისწორებდეს დედა.

დილით ვიღვიძებდე მზესთან,
ღამით ვეჭორავო მთვარეს,
უხვად ვურიგებდე ღიმილს,
ყველა გამომვლელს და გამვლელს.

ანდა ცისარტყელა ვიყო,
მაცნე ნაწვიმარზე დარის.
ბევრი დავარიგო სითბო,
ბევრიც შევინახო ხვალის.

მინდა, გაზაფხული ვიყო,
იის სურნელით და ეშხით,
თან თოვლს მოვეფერო ნაზად
სადღაც-შემორჩენილს მთებში.

მინდა, გავუფრთხილდე წამებს,
დღეებს შეემატოს სიტკბო
და თუ მომერევა რამე
ისიც სიყვარული იყოს.

ნეტავ...

ნეტავ გვიმზადებდეს ღამე
დილის საოცნებო ფერებს.
ნეტავ ვიგონებდეთ ზღაპრებს,
ჩვენვე ვიჯერებდეთ მერე.

ნეტავ შეგვეყაროს სენი
რაღაც სიყვარულის მსგავსი.
ნეტავ მიხვდებოდეს ბევრი,
ვინ გვყავს ერთმანეთის ფასი.

ნეტავ სამუდამოდ გაქრეს,
ყველა ტყუილი და ფარსი.
ნეტავ მამა-პაპის სახლ-კარს
არასდროს დაედოს ხავსი.

ნეტავ არ ინებოს ბედმა,
ეკლად გადაგვექცეს ვარდი.
ნეტავ დრომ წაიღოს ჩვენი
ყველა წუხილი და დარდი.

* * *

ჩემი მიწის სურნელება ვიგრძნო,
არ მანატრო მე სამოთხე სხვა.
ძალა მომეც, გევედრები ღმერთო
გავარჩიო ეკალი და ბზა.

ამარიდე უგულოს და ორგულს,
გამაგონე საიმედო ხმა,
რომ დაცემულს დახმარების ხელი,
უანგაროდ გავუწოდო კვლავ.

სიკეთეში მომახმარე ძალა,
რომელიც რომ ზოგჯერ აღმართს ხნავს.
არ მაჭამო ლუკმა სხვაზე მეტი,
უხერხულად რომ არ ვგრძნობდე თავს.

ია-ვარდით ნუ მომიფენ სავალს,
ამაშორე სიყვარული ბრმა.
თავაწეულს, შეურცხვენელს, ამაყს,
გამატარე ამ ცხოვრების გზა.

მონატრება

ძლიერ მომენატრე ბავშვობავ,
სად უნდა გეძებო ნეტავ?
იქნებ მიტოვებულ ეზოში,
იქნებ „საბირჟაო'' ხესთან.
იქნება ბებიას კალთაში
მოკალათებულხარ თბილად,
იქნება მამიკოს ზღაპარში
ისევ ჩაგეძინა ტკბილად.
ვინ იცის, იქნება საბნის ქვეშ
ისევ დაიმალე ცელქი,
მთელი ოჯახი რომ დაგეძებს
„ვითომ" ვერ გპოულობს ვერვინ.
იქნება ურემს გაჰყევი,
დედიკოს ბოდიშიც უთხარ,
იქნებ ორშარის ტალახში
ამოიგანგლე სულმთლად.
იქნებ ფეხბურთის თამაშში
ისევ გაეჯიბრე ბიჭებს,
იქნება ღამის წყვდიადში
ციცინათელებს იჭერ
.....
ვერსად ვერ გპოულობ ბავშვობავ,
მონატრებას არ უჩანს ბოლო,
სიცოცხლესაც ჩავდებ თავდებში,
ერთხელ დამენახე მხოლოდ.

მერე რა

მერე რა-ნებით თუ უნებლიედ
ისევ გაგიხსნეს ძველი იარა,
მერე რა-ვისაც არ დაეზარა
ყველამ შენს გულზე გადაიარა.

მერე რა-სიტყვა კარგად ნათქვამი
ცუდად გაიგეს, კარგად კი არა,
მერე რა-თუკი შხამით აგივსეს
სიყვარულის და ძმობის ფიალა.

მერე რა-თუკი სიკეთე თესე,
ეკალი მომკე, ვარდი კი არა,
მერე რა-კარგი რაც გააკეთე
უმადურობამ შთანთქა მთლიანად.

მერე რა-ჭორმა ძირგამოცლილმა
გული გატკინა, ბევრი იარა,
მერე რა-ნდობა თუ დაიკარგა,
ცხრა მთა და ცხრა ზღვა გადაიარა.

მერე რა-გრძნობამ სითბოთი სავსემ
ვერ იგაზაფხულ- ვერ იმზიანა,
ლუკმას უყოფდი, სანამ შეგეძლო,
წაიქეცი და გადაგიარა.

ღმერთი ხომ ხედავს მტყუანს და მართალს
აწონ-დაწონის სამართლიანად,
გაგაფხიზლებს და ძალას შეგმატებს,
რომ დარჩე მუდამ ადამიანად.

.....

მაინც მთავარზე არის მთავარი,
იყავი...დარჩი ადამიანად!

სულის ტკივილი

გადაკარგული სულის სიმშვიდეს
ვეძებ ამაოდ,
ვიღაც ჩამძახის,
"ეს ცხოვრება დიდი ომია"!
ნატკენ წყლულებზე
სიყვარულს თუ დამდებ მალამოდ,
ამაზე მეტი არ მინდა და
არცა მდომია.

მოურიდებლად, დაუნდობლად
დამაჭრეს ფრთები,
ახლა მხოლოდ-ღა ოცნებაა
ცაში აფრენა,
უცხოსი რა ვთქვა,
შინაურმაც რომ არ დამინდო,
მცხეთას მოჭრილი-
არსაკიძის მტკივა მარჯვენა.

ვიღაცის თითის მისაშვერი
ნეტავი რა გვჭირს?
ბრძოლას ნაჩვევი სისხლი ძარღვში
ადუღდა თითქოს.
მინდა მჯეროდეს,
ერთმანეთის გატანა ძალგვიძს,
მაგრამ როგორღა,
როცა ვხედავ ძმა ძმას არ ინდობს.
იქნებ დრო არის,
რომ შემოვკრათ განგაშის ზარებს
და იქნებ დროა,
რომ ვისწავლოთ ყველამ შენდობა?!
როგორც ზვირთები
ქარიშხლის დროს არღვევს ჯებირებს,
ისე გაარღვევს უნდობლობა
ძმათა ერთობას!

* * *

ცაში ვარსკვლავები ვკრიფო,
სანთლად დავიღვარო- მსურს.
დარდო, გაიპარე სადმე,
როცა ემღერება გულს.

მინდა, ავუარო გვერდი,
ცხოვრებას-ბილწსა და მრუშს.
ბევრი დავინახო კარგი,
თვალი ავარიდო ცუდს.

ღიმილით ვპასუხობ ღიმილს,
განა ვინმეს რამე მშურს?
ჯანდაბას წასულხარ დარდო,
დღეს არ გაეკარო გულს!

უნდა მოვეფერო ყველას,
სითბო გამოვტაცო მზეს.
გვერდი ამიარე დარდო,
შენთვის არ მცალია დღეს!

რაც გულში აღარ გეტევა

აღმართები მუხლისჩოქვით ამივლია,
არასოდეს მინანია დაღლა,
სადარდელი არავისთვის გამინდია,
ჩემი გულის და გონების გარდა.

ფრთებდაჭრილი ფრინველივით დავცემულვარ,
შურდულივით რომ ეშვება დაბლა.
წამოდგომა არავისთვის მითხოვია,
შეწუხება არ მინდოდა რადგან.

გაკაწრული გულიც ბევრჯერ უტკენიათ,
ვხედავდი და ვიბრმავებდი თვალებს,
წყენა გულში არასოდეს ჩამიდვია,
ყველაფერი წარსულს მივაბარე.

თვალცრემლიანს ღამეებიც მითევია,
წუხილისთვის დამიშვია ფარდა,
არავისგან არაფერი არ მდომია,
ერთი მუჭა სიყვარულის გარდა.

მიყვარს

...
დრო-
რომელსაც ყოველთვის ვნატრობ,
ფიქრი-
როდესაც დავრჩები მარტო,

გული-
რომელიც სიკეთით ფეთქავს,
სიკეთე-თუ ვერ გაყიდეს ვერცხლად.
შეხვედრა-
როცა გულს იცნობს გული,
სიმართლე-
ნაღდი და ჯერ ართქმული.

ფული-
თუ ვხედავ ღარიბის ხელში,
წყალი-
როდესაც ჩადგება ხეში,
ღამე-
როდესაც არ ჭედენ ბორკილს,
მთვარე-
როცა არ უნათებს ცოდვილს.
ზამთარი-
როცა ლამაზად ათოვს,
ღიმილი-
როცა ვიღაცას ათბობს.

ჩვენ რომ დავბერდებით

შენ რომ დაბერდები,
მე რომ დავბერდები,
მაჯებს მოაკლდება სისხლი.
შენ ჩემს საქციელზე,
მე შენს საქციელზე,
ვეღარ შევიკავებთ სიცილს.

შენ რომ დაბერდები,
მე რომ დავბერდები
და თვლა აგვერევა წლების.
ხან მე გაგახსენებ,
ხან შენ გამახსენე,
ჩვენი გამოვლილი გზები.

მინდა, სიბერეში,
როგორც ახალგაზრდას,
ღიმილებს გპარავდე კვლავაც.
ხელჩაკიდებულმა
სულ ერთად ვიაროთ,
ვიდრე იმ ქვეყანას წავალთ.

მინდა შენი ხელით
თმები დამისწორო,
ლუკმა მომაწოდო მშიერს,
მინდა ბერიკაციც,
როგორც ახალგაზრდა,
ტყის პირს მიკრეფავდე იებს.

მერე ჩამოვსკუპდეთ ერთად,
ერთ დიდ ქვაზე,
გვირილა ჩამიწნა თმაში.
მინდა გამამხნევო
სიბერით გადაღლილს
ბზარი თუ გამიჩნდა ხმაში.

სიცოცხლის ბოლომდე
ვეყოფით ერთმანეთს,
უსიტყვო იმედად, ფარად.
ოღონდ არ გაბედო
ჩემი მიტოვება,
ოღონდ არ დამტოვო ცალად.

შენ რომ დაბერდები,
მეც რომ დავბერდები,
ღმერთს შენს გამძლეობას შევთხოვ.
მერე შვილიშვილებს
ჩუმად მოვუყვები,
რა ბიჭი იყავი ერთ დროს.

* * *

ერთი უბრალო ვინმე გახლავართ,
არ მიძებნია ლალი, ალმასი.
უბრალოება დედის გამომყვა
და დიდი გული უფრო-მამასი.

ცხოვრებამ თავის გზებით მატარა,
ბევრჯერ მიჭირდა, ბევრჯერ მილხინდა.
ის, რაც სხვებისთვის ოცნება იყო,
მე ერთ გროშადაც კი არ მიღირდა.

ჩემს გულში ჩემი სამყარო შევქმენ,
ცოტას გავუღე კარები გულის,
მინდოდა ისე გადამეკეტა,
ვერ შესულიყო ბოღმა და შური.

გზადაგზა ბევრი ჩამოვიშორე,
(რომ არ მყოლოდა, ალბათ მერჩივნა,)
მუდამ ვცდილობდი, რომ ჩემი სული
დაბინძურებას გადამერჩინა.

ცხოვრებამ ბევრი რამე მასწავლა,
მაგრამ რაღა დროს-უკვე ვბერდები.
ახლაღა ვხვდები მთელი ცხოვრება,
რომ სიყვარულს და სითბოს ვეძებდი.

ვედრება უფლისადმი

დამილოცე
ბედნიერი გაზაფხული,
სიყვარულით დაწყებული დილა,
დამიკოცნე
ავთვალისთვის არნახული
მშობლიური მზით გამთბარი მიწა.
გამიმრავლე
სიხარულის ღიმილმჩენი
გულიანი, მადლიანი ერი.
დამიმარცხე
ჩემი ქვეყნის მოღალატე,
უმადური, ორგული და მტერი.
გამიმთელე,
შემიხორცე, გევედრები
დაჭრილი და მოგლეჯილი მიწა,
გამიხარე,
აძლიერე, გამარჯვებით
ვინც ამ მიწას უანგაროდ იცავს.
დაუბრუნე
ჭიშკარ გარეთ გადასული
ყველა შვილი-მომლოდინე დედას.
გამიკვალე
გასავლელი ბილიკები,
პირნათელი მომიყვანე შენთან.
დამიყენე
გზას ამცდარი ყველა ბავშვი
სიკეთის და გამარჯვების გზაზე.
გამიზარდე
თვალმახარა გოგონები
და ბიჭები- შენი რწმენით სავსე.

* * *

მეგობრობას დაეკარგა ფასი,
პირფერობა დანარნარებს ურცხვად,
გაგიღიმებს, თვალს გაგიყრის თვალში
გაივლი და ფეხს დაგიდებს ჩუმად.

ცხადად ვხედავ, გული აღარ გულობს,
ქადა ორი ხელით ვეღარ ვჭამე,
სიყვარულს თუ კეთილი აქვს ბოლო,
მე ეს ბოლო ვერსად დავინახე.

წინ თუ წახვალ, გშორდებიან ნელა,
იტყვი რამეს? აფეთქდება ნაღმი,
არა უშავს, ერთი-ორიც კმარა,
სამეგობროდ ალალი და ნაღდი.

კმარა, ხელს ვინც გიფათურებს სულში,
მოიშორე! გადაუშვი გზიდან!
გაატანე სადარდელი ჩუმი
და ცხოვრება გააგრძელე მშვიდად.

მეგობარი უსიტყვოდაც გიგებს,
არ აძინებს მშვიდად შენი დარდი,
მეგობარი ერთი-ორიც კმარა,
ოღონდ მართლა ალალი და ნაღდი.

ვაჟა ოთარაშვილი – პოეტი, თეოლოგიის
დოქტორი, პროფესორი
დაბადების ადგილი – ქ. კასპი

* * *

გაივლის დრო და...
თაობები შეიცვლებიან,
დაილექება დასალექი
ოქრო და რკინა...
ა, იმ ქედებზე
პაპიჩემის პაპის ძვლებია,
და ბერ თევდორეს
ხავსმოდებულ საყდარში სძინავს...
გადაწინწკლულან ყაყაჩოთი
ქართლის ველები,
თურქთა ჯარივით
ჩამომდგარა თრიალეთს სიცხე,
ჩაუყვანიათ ნოსტელ ბიჭებს
წყალზე ცხენები,
გააგელვებენ მერე რაშებს
რკონისკენ ფიცხელ...
ა, იმ ქედებზე,
პაპიჩემის პაპის ძვლებია,
ქარმა ნისლები
საფლავებთან მიაფარფატა...
გაივლის დრო და...
ეგ ბიჭებიც დაიზრდებიან,
კაცმა არ იცის,
ვინ იქნება მათში პაატა...

არ შეგეშინდეს, საქართველოვ!

ვერ დაგვაჩოქებს
ვერა რუსი, ვერა ურჯულო,
ქართლის ქედებო,
ბარბაროსთა გადარუჯულო!

ყველა გორაზე
წინაპართა წმინდა ძვლებია,
კი არ მომკვდარან,
ომით დაღლილთ ჩასძინებიათ...

იბერთ ველები
როცა გმირთა სისხლს
ვერ იშრობენ,
იცოდეთ, მაშინ
ცრემლი სცვივა
დედაღვთისმშობელს...

ყველა სააყდართან, მონასტერთან
გალობს ხანძთელი...
არ შეგეშინდეს, საქართველოვ,
ღმერთით გასძელი!

სასწაული

არ გავჩენილვარ ამქვეყნად ჯერაც
და დედაჩემი კვლავ ცოცხალია...
ამ სასწაულის მე თვითონ მჯერა,
მე თვითონ მჯერა, წმინდა მარიამ...

ჩითის კაბის ქვეშ ჯერ ისევ დედა
ატარებს სხეულს ავსებულს ჩემით...
უკვე ვუყვარვარ, თუმცა ვერ მხედავს,
თუმცა ვერ მხედავს მორცხვი და ჩუმი...

რა ბედნიერი ვიყავი მაშინ,
გაჩენილი რომ არ ვიყავ ჯერაც...
და დედაჩემი როს იყო ბავშვი,
მეც მასთან ერთად ვიყავი, მჯერა...

მერე კი დედა იყო ბავშვივით,
ხატივით წმინდა და უცნაური...
დატოვა მშვიდად თავის ქმარ-შვილი
და კუბოს თავზე მიწის ხმაური...

სანთლების შუქზე ნათდება ჯვარი
და დედაჩემი კვლავ ცოცხალია...
სასწაულების ხომ დავიჯერო,
ხომ დავიჯერო, წმინდა მარიამ...

მგონია, ჯერ არ დავბადებულვარ,
დედას უბრწყინავს ლალის საყურე,
კაბას ისწორებს თავისებურად
და ჩემით სავსე სხეულს დაჰყურებს...

* * *

და გიხაროდა თვალის გახელის,
როცა ნახავდი ნიშებს სანთლიანს...
მიწაზე რჩება მხოლოდ სახელი,
ცა - ჩვენი სულის მისამართია...

ხეკორძულელის აღსარება

არ უნდა ჩანდე ოსტატზე მეტი,
ბრძენი იყავ და ჩაგთვალონ შლეგად...
მე უფლის ნებით ჩუქურთმას ვკვეთდი,
ხეკორძულას წყალს მასმევდა დედა...

მოეკვეთება ყველას მარჯვენა,
მეფეზე მეტად ვინც იარწივებს!
მაცხოვრის კვართის გადასარჩენად,
ფარისეველთა ვძლიე ქარ-წვიმებს...

მადლობა, ღმერთო, ჩემი მარჯვენა,
ღირსი გახადე ტაძრის კედლისა...
ივერთა რწმენის გადასარჩენად,
ხუროთმოძღვრობა რომ დამეკისრა...

დაე, მომკვეთონ მეორე მკლავიც,
ოღონდ ერთობა იყოს ქართველთა...
ვერც წიწამურთან ვეღარ მომკლავენ
თუ საქართველოს სული გამთელდა...

* * *

იმაზე ცოტა მეტი ვარ,
შენ რომ გგონია, მტერო...
შენთვის რომ დედა მეტირა,
დღეს იქნებოდი მტვერი...
იმაზე ცოტა თბილი ვარ,
შენ რომ გგონია, ძმაო...
რა მწარე გაკვეთილია,
არტანუჯი და ტაო...
იმაზე კარგად ვმღერივარ,
შენ რომ გგონია, ქალავ,
ლერწამის ორი ღერი ვართ,
გვწვავს სიყვარულის ძალა...
ქარი ვარ შარახვეტია,
გზები რომ აგიმტვერო,
იმაზე ცოტა მეტი ვარ,
შენ რომ გგონია, მტერო...

ვედრება

კლდემაღალას ციხიდან
სხვილოს ციხეს გავყურებ...
ირანელმა იყიდა
მიწა ოქროს საყურედ...

იქით თურქის ტრაქტორმა
ქართლს ველი გახაზა –
გული ვინც დაუტორა
გივი ამილახვარსა...

ინდოელი, არაბი,
რუსიც ჩვენ შეგვესია...
ხალხმა სული განაბა –
ელოდება მესიას...

იესო მაცხოვარო,
ღვთისმშობელო ქალწულო,
ერი– შენი ცხოვარი,
იქნებ კვლავ დაარწყულო...

იქნებ ისევ გადარჩეს
იბერიის თავთავი...
ველი უფლის განაჩენს –
ხელაპყრობით სამთავისს...

არასდროს გავქცეულვარ
წინაპართა მიწიდან...
ვიყავ ბედით ეული,
მილხინდა თუ მიჭირდა...

ისევ ვაზის ჯვარს ვკოცნი,
თეთრ გიორგის ბედაურს...
ღმერთო, ძალა მოგვეცი,
მტერს ვუტიროთ დედაო...

წერილი მეგობარს

ამ ნასესხებმა
ამინდები არივ-დარია,
ასათიანის აბასთუმანს
ცისმარე ვნატრობ...
ო, ღვთიურ ქვითინს
ვინ უწოდა `ავე მარია~
თუ ქარიშხლებმა
ვარსკვლავები მოგლიჯეს ტატნობს...
როგორ მაკლიხარ,
როგორ მსურხარ,
როგორ მწყურიხარ,
შენამდე მოსვლა დღეს არ არის,
ვიცი, მარტივი...
დედაქალაქის ქაოსიდან
და სიმწუხრიდან,
გიგზავნი წერილს,
კვლავ წვიმების რეჩიტატივით...
აბასთუმანში შეეჩეხე ლადოს, სიცხიანს?
ან ჭლექიანი თუ შემოგხვდა
შალვა კარმელი...
თუ `ტრავიატა~ და `კარმენი~
გვერდით გიწყვია,
დედათ სავანეს მიაშურე,
სადაც არ მელი...
აქ ნასესხებმა ამინდები არივ-დარია
და დიდი ლადოს აბასთუმანს
ცისმარე ვნატრობ...
ო, ღვთიურ ქვითინს
ვინ უწოდა `ავე მარია~
თუ ქარიშხლებმა ვარსკვლავები
მოსწყვიტეს ტატნობს...

მეგობრის გახსენება

(გურამ მღებრიშვილს, ნუკრი ბაქაქურს)

გაიელვა ქეიფების კოცონმა,
ჩაიქროლეს მოთარეშე ქარებმა,
მოგონება მუცალივით მოცოცდა
და ძმაკაცის ლანდი მემუდარება...

ქვათახევში, გახსოვს, როგორ დავთვერით,
რამდენ ლამაზს ავურიეთ თავგზა და...
მერე წყვილი რომ დავანთეთ სანთელი,
ბაღდადურით ღამის ბნელი გაზავდა...

მომენატრა სიჭაბუკის დღეები –
ჩხუბითა და ტრფობით სავსე ყოჩები...
ღვინოსა ვსვამ, სევდით განახელები,
თქვენთან მოვალ, სიცოცხლეს რომ მოვრჩები...

კვლავ მარტო ვარ და ვერ მიგებს ვერავინ,
სიყვარულის შხამ-ტკბილსა ვცლი ფიალას...
ბარათაშვილს გამოექცა მერანი
და ზედ გულზედ დარდად გადამიარა...

* * *

მოგონება დაღვენთილი სევდებად,
თვალებშიაც ცრემლებს ააელვარებს...
იქნებ ჩვენი სიყვარულიც ბერდება,
როგორც თოვლი უბერდებათ მწვერვალებს...

რეკდა ჟამი – ცისფერი მისტერია,
ბიჭს და გოგოს ერთურთს ანაცვალებდა...
გადაჭრილი სიცოცხლის არტერია,
თუ მზის ჩასვლა– ჩვენი გარდაცვალება...

ხატების წინ აღვლენილი ვედრება,
ვერ აოკებს სულს – შმაგსა და მღელვარეს...
სიყვარული – არასოდეს ბერდება,
მხოლოდ თოვლი უბერდებათ მწვერვალებს...

სასაფლაოზე კასპში

(დედას)

თებერვლის ქარი საფლავებს ვარცხნის,
ყოჩივარდები მზეზე თბებიან...
იქ ზოლა-ზოლად ნამქერი ჩაცხრა
თუ დედაჩემის თეთრი თმებია?!
კვირტი შეიხსნა იასამანმა
და ვიცი, ყინვა ამოდ დათუთქავს...
აქ ამობურცა იამ სამარე
თუ დედაჩემმა ამოისუნთქა?!

* * *

უნდა მენატრებოდე,
რომ არ ჩაქრეს კოცონი,
სიზმრებს უნდა ველოდო,
როგორც ღვთიურ სასწაულს...
უნდა ვეომებოდე დარდებს,
გულზე მოწოლილს,
რომ შენს თვალებს როგორმე
სიყვარული ვასწავლო...
ჯერ მე უნდა დავიწვა
მეტეორის წამებით,
ჯერ მე უნდა შევასკდე
კლდეებს – ქარით ალესილს,
სულში უნდა მტკიოდეს
უხილავი გამები,
რომ შენს სხეულს
როგორმე შევაჩვიო ალერსი...
ჯერ მე უნდა წავიდე
ამქვეყნიდან სულეთში,
პირველმა გამოვცადო
დედამიწის სიგრილე,
რომ შენ მიხვდე,
სიცოცხლე არ ყოფილა სულერთი,
ჩემამდე და ჩემს შემდეგ,
არ ყოფილა იგივე...

* * *

მელაპარაკე:
დრო და მანძილი,
ხომ არ არსებობს სიყვარულისთვის...
სიჩუმეს ვიღებ, როგორც სამძიმარს
და მეშინია ჩემივ გულისთქმის...
მელაპარაკე:
რომ ისევ ერთად
ვიქნებით დღესაც, ხვალაც... მუდამაც,
რომ შეისმინა მაღალმა ღმერთმა,
ჩვენი ლოცვები, ჩვენი მუდარა...
მელაპარაკე:
რომ ჩემთან გინდა
და გეშინია მარტო დარჩენის...
მელაპარაკე:
თუ როგორ წვიმდა,
წვიმისგან ცრემლებს როგორ არჩევდი...
მელაპარაკე:
დრო და მანძილი
გულში ტკივილებს როგორ ალაგებს...
რადგან ძილშიაც ვიღებ სამძიმარს,
სიზმრებში მაინც
მელაპარაკე...

* * *

მადლობა სულო, სხეულს რომ ზიდავ
და ყველა ნება-სურვილს უსრულებ...
იქნებ სიცოცხლე მოფრინავს ციდან
და საით მივალ, ნეტა, უსულოდ?
ინავლებოდა გული დარდებით:
`მიწა იყავ და მიწად იქეცი...~
სული მონისლულ ცას ჩაბარდება,
მიწა გამოგხრავს შენ უგრილესი...
აუსრულებელს ატარებ წადილს
და მისი ვნებით სხვა სხეულს ეკვრი...
და შენც იღლები... წლები კი გადის,
თავს ვეღარ იცავს ყვავილი ეკლით...
ჩემო სხეულო, დიდი მადლობა,
რადგან ცხოვრებას ერთად ვეომეთ...
სიზმარი სულის იყო აღდგომა,
შენ გარდასული გაიმეორე...

ლოცვა რუსთაველზე

ვიცი, ღამე ცუდად გძინავს, შფოთავ,
ხან საკუთარ თავს უწყრები ბრაზით...
რუსთაველზე ვნახე წუხელ შოთა
გვერდით ედგა მეფე ფარნავაზი...
ილიას და წერეთელის ძეგლთან
თერგდალეულ ერის მამებს შევხვდი,
„ვაჟა არ ჩანს“... - დავაპირე მეთქვა
და შეირხა მთაკაცივით ვერხვი...
გურამიშვილს მხარში ედგნენ ლეკნი,
უფიცავდნენ ერთგულებას ყონაღს...
სჭექდნენ სამას არაგველთა ლეკვნი:
„არ ვიქნებით არავისი მონა!“
აქ სრულიად საქართველო იდგა,
წმინდანები ირგვლივ ჰფენდნენ ნათელს...
დავით მეფე დიდგორულად, მედგრად,
კვლავ ბრძოლისკენ მოუხმობდა ქართველს!
გაბრწყინებულ ივერიას ვხედავ!
თეთრ გიორგის ქაშუეთის კართან,
ქრისტეს ლაშქრის სწორუპოვარ მხედარს,
კვლავ იფარავს ღვთისმშობელის კალთა...
ვიცი, ღამე ცუდად გძინავს, შფოთავ,
ხან საკუთარ თავს უწყრები ბრაზით...

სვეტიცხოველს ჯანღი გადაშორდა,
საქართველოს ღვთის ბეჭედი აზის!

სატრფო და ფიროსმანი

...კი არ გძინავს, გსურს – სამყაროს გაექცე,
გაერიდო დარდებსა თუ პრობლემებს...
მიდი ისევ იმერეთი გალექსე,
სანამ ტყემლებს ქარით დააობლებენ...
ფიროსმანზე ცხოვრობ ფიროსმანივით,
სიღარიბეს გრძნობ საკუთარ მალებზე...
გესიზმრება – ნიკალა პურ-მარილით,
მთაწმინდაზე თავის საფლავს დაეძებს...
...კი არ გძინავს, გსურს – სამყაროს გაექცე,
ნუ დამტოვებ... გევედრები... იყავ რა...
მოდი ისევ ფიროსმანი გალექსე –
შენს ქუჩაზე მობარბაცე ნიკალა...

გალაქტიონის წერილი მერის....

ქარი ქრის... დაგლიჯა ღრუბლები...
დათეთქვა... დაძენძა... დაფლითა...
ო, მერი მომეცი უფლება,
ეგ ბაგე აგივსო თაფლითა...
ნეტა თუ იხსენებ იმერეთს
და ღამის ზღაპარში ჭინჭრაქას...
სჯობია პარიზულ ქიმერებს
ნატვრების დანთება იმ ჭრაქად,
ერთად რომ უსხედით ყველანი
მამიკო... დედიკო... ბებია...
და ცრემლად იქცევა მელანი –
იქამდე დარდების მთებია...
ქარი ქრის... ბობოქრობს აქ მარტი...
მე არაყს... შენ მანდ სვამ კვლავ „მარტინს“...
ქარი ქრის... დაგლიჯა ღრუბლები...
დათეთქვა... დაძენძა... დაფლითა...
ო, მერი მომეცი უფლება,
ეგ ბაგე აგივსო თაფლითა...

ლაზარე - საქართველო

იქნება მალე დალპეს ლაზარე!
იქნებ ლაზარე მალე გაიხრწნას...
მისი აღდგომა შეაზანზარებს –
ცოდვებით სავსე ამ დედამიწას...
ბეთანიაში სნეულ ლაზარეს
დები იესოს მოსვლას ელიან...
უძლურება კი ცრემლს შეაზავებს
და სასთუმალი სნეულს სველი აქვს...
"დიდება უფალს!" –
თრთის მომაკვდავი...
ძმას დასტირიან მართა-მარიამ...
გადის ოთხი დღეც... ლოდი... საფლავი...
კი არა სძინავს, მართლა მკვდარია...
მოდის იესო და თავის რჩეულს –
(ანუ "რომელი გიყვარს", უფალო...)
ამ ქვეყანაზე მართალს და ეულს
მოღაღადე ხმით ტკბილად უგალობს:
"აღსდეგ, ლაზარე,
გამოვედ გარე!"
ხელფეხშეკრული დგება ლაზარე...
და გაცოცხლების ღვთიური წამი
მთელს დედამიწას შეაზანზარებს...

დიდი მოურავის დაბრუნება

სულ ჩემია ეს პატარა მიწა-წყალი
მაგრამ ამ გულს ჩახუტებად არ ჰყოფნის...
ივერიის სიცოტავე ნუ გაწვალებთ,
მოვიგონოთ გამარჯვება მარტყოფის...
ტაო-კლარჯეთს იმდუღრება აზრი ქვაში,
საგალობლებს კვლავ აძლევენ ბანას გულში...
ისევ ვხედავ მაუზერით მაზნიაშვილს,
ქართულ ჯარით თურქით სავსე ბათუში...
ვერ ჩააქრეს აჭარული ნაღვერდალი,
ბებერ ლაზეთს ვენაცვალე სარფიდან...
ამ მიწაში დევს მატათას ორივ თვალი,
თუმცა სული უფლისაკენ გაფრინდა...
ჭოროხს იქით სიო ისე ქართულია,
პონტოს ზღვაზე კვლავ ტალღების დოღია...
ვაზის ჯვარი ზეცად კვლავ აღმართულია,
წმინდა ნინო უმზერს კაბადოკიას...
ვერ წაგვაქცებს მოძალადე ქარიშხალი,
ყური ვუგდოთ ნენეს – ტკბილად მოუბარს...
საქართველოს კვლავ უელავს ქარში ხმალი,
გაუმარჯოს ხმალშემართულ მოურავს!...

NOTRE-DAME DE PARIS...

(ხანძარი პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში
2019 წლის 15 არპილი)

მე მაგონდება წყნარი დღეები... ლუვრი...
სხვანაირია მაინც პარიზი ღამით...
სენა... ვერსალი... ცაში ეიფელს ვუვლით,
ფრანგთ სიამაყე ცეცხლშია დღეს ნოტრ-დამი...
ვინ აგიზგიზებს ბოროტ ენებით კოცონს?
ვინ შეეხება ქრისტეს უწმინდეს გვირგვინს?...
ლიბერალიზმი მხოლოდ ურწმუნოთ მოსწონთ
და ცეცხლის ენებს ატრიალებენ ირგვლივ...
ვერ გავექეცით ცოდვის გომორს და სოდომს
და დამნაშავე ყველა ჩვენგანი არის...
შენ მეუბნები ტიროდა კვაზიმოდო,
მე კი სრულიად მიუსამძიმრებ პარიზს...

მაგდა ჩანქსელიანი – ფილოლოგი
დაბადების ადგილი – ლენტეხი

თეთრი ღამეები

გადის თვეები ზეცა არხევს თოვლში წამწამებს,
უკვე ვეღარც ვწერ და რითმებიც სადღაც გარბიან,
იმ შემოდგომის არეულ და აშლილ ამინდებს
დეკემბრის თეთრი ღამეები ენაცვლებიან.

თუმც ყოველი დღე შენზე ფიქრში ათენებს ღამეს,
მე სიმარტოვის ბულბული ვარ, როგორც გრანელი
კვლავ შენს სარკმელთან მოსეირნე მთვარეზე ვბრაზობ,
თეთრ სასთუმალთან მომილაგა ღამემ დარდები...

მწვერვალთა კიდეს ვერ ეხება სხივთა ალერსი ,
ზამთრის სილურჯე ბილიკებზე ფიფქებად ცვივა,
ფიქრთა აკლდამას ცივ ზეწრებში ახვევს სიშორე ,
უშენოდ ყოფნა რომ იცოდე სულ უფრო მტკივა....

საათმა თითქოს ახლებურად ჩამოკრა თორმეტს,
ეს დეკემბერიც მიილია თეთრ ღამეებში ,
შორიდან ვითვლი ათრთოლებულ წამწამთა ფეთქვას ,
უძირო მზერა იზმორება ზღვისფერ თვალებში.

გადის თვეები ზეცა არხევს თოვლში წამწამებს,
უკვე ვეღარც ვწერ და რითმებიც სადღაც გარბიან,
იმ შემოდგომის არეულ და აშლილ ამინდებს,
დეკემბრის თეთრი ღამეები ენაცვლებიან.

***

ლურჯი ხატება ზეცას ეკვრის , როგორც ციალი,
ლოდინს უწესებს შემოდგომა მთვარის ორეულს,
სადამდე ივლის მარტოობის ეტლი უმზეო,
არავი იცის, არვინ უწყის არავის ესმის....

კედლებს აწყდება მონატრების მძიმე ხუნდები,
ფიქრთა რელსებზე დაცვენილი დარდი მწიფდება,
სადამდე ივლის მარტოობის ეტლი უმზეო ,
ჯვარცმული სული ყველა მხრიდან რად იდევნება.

ზღვარგადასული გრძნობით შევსვამ სავსე ფიალას ,
რომ დავივიწყო ამ ცხივრების ამაო მზერა,
შევერცხლილ მთებზე გადაწოლილ ზეცას შეჰყვირის ,
ტკივილიანი ხმით ნათქვამი ქალის სიმღერა.

იდუმალი ღამე

ღამეა, ისევ ცოცხლდებიან ლურჯი ჩრდილები,
ჩამავალი მზე ერეკება სარკმელთან წყვდიადს,
ამ შემოდგომის ღამეებში შემოჩვეული,
მოჩვენებები ბნელ ოთახში იწყებენ რიალს.

ფიქრები უკვე სიბნელეშიც მიღრღნიდნენ სხეულს,
ისე მიმძიმდა უშენობით ღამის გატანა,
მენატრებოდი და სიგიჟის ზღვრამდე მისული,
ვეღარ ვამჩნევდი დავემსგავსე,თურმე ავაზაკს.

ბნელში სარკმელთან აჩრდილები ჩურჩულს იწყებდნენ,
ქანცქაცლილ დღეებს იანვარი ნისლებში ხვევდა,
ამ უღიმღამო სიბნელეში დაქროდა ქარი,
მე კი ოთახში არსებული სიჩუმე მეცვა.

თებერვლის ფიფქით მევსებოდა სულში ფიალა,
მე ღამეები უშენობის შემოვიკედლე,
როგორც იუდამ საკუთარი თავი გავეცი,
და ამ ოთახში თვითმკვლელობის გრძნობა ვიგემე.

შუაღამისას შეარხევდა წყვდიადს ნიავი,
ამ უღიმღამო სიბნელეში გაიჭრა მთვარე,
მოჩვენებებიც გაიპარნენ ღია კარიდან,
ვითარსი შუქი აცოცხლებდა იდუმალ ღამეს.

ენგურს გადაღმა, ჩემს მიწაზე

(ეძღვნება დედაჩემს, რომელმაც აფხაზეთის ომი გამოიარა)

ეკლის გვირგვინი შემოავლეს დედა სამშობლოს,
ცა ჩირაღდნებით ავსებულა ენგურს გადაღმა,
დილა გათენდა უჩვეულო სველი ყლორტებით,
ზეცა დაგვტირის... დაუსველდა ღვთისმშობელს კალთა.

ყაყაჩოსფერი ელვარებით გვიმზერდა ზეცა,
ტყვიების წვიმა ანგელოზებს გულში ხვდებოდათ,
ცრემლები სწვავდნენ ქუთუთოებს წითელ ზოლებად,
იყო სისხლისღვრა...შეწყალება არვინ იცოდა.

იუდას მსგავსად...არაერთხელ გაგვყიდეს, გაგვცეს,
და მამლის პირველ ყივილამდე გავარდა ტყვია,
აბობოქრებულ ზღვის ტალღებში გაცურდა ნავი,
და ამის შემდეგ ჩემს მიწაზე დევნილი მქვია.

უფლის ტაძრამდე ადიოდა ხალხის გოდება,
გვსურს მხურვალება კვლავ შევიგრძნოთ ქართული მიწის,
გახსნილ ჭრილობებს დრო როგორღაც განკურნავს მაგრამ,
რაღა ვუშველოთ იმ ტკივილებს სულში რომ ღვივის.

მთებს დაეხურათ ბინდისფერი ლეჩაქი თმებზე,
სისხლიან ზეწრებს დაეფარა ენგურის ველი,
ტროტუარებზე გაისმოდა დედების გმინვა,
ხარ გოლგოთისკენ მიმავალი ჯვარცმული ღმერთი.

***

რაღაც საამო მდუმარებით იწვის ღრუბლები,
ჩანაცრულ ზეცას შეეფაკლა მწუხრი იისფრად
და თავსაბურავს შემოიხვევს მთების კალთები,
თუკი წვიმები გადაიქცა გოროზ დინებად.

ღამის ნარჩენებს მიმოფანტავს დილა აისით,
ქედებს სიყვითლე ისევ ათოვს, მზე იწვერება,
ზღვისფერ ტალღებად გადაქცეულ ცის კაბადონზე
მარადიული ტრფობის კვირტი კვლავ გაღვივდება.

სვანეთს

ზეცამ ნისლებში გაახვია სვანეთის მთები,
ცამდე აზიდულ მწვერვალებზე ღრუბლები წვანან,
მიიჩქარიან მაღლობისკენ სავალი გზები,
სად გულისცემას აჰყოლია სვანური ნანა.

თავზე დაგყურებს მდუმარება ალესილ კლდეთა,
აკვანს დაგირწევს ანგელოზი ცისფერი ფრთებით,
ჩანგის სიმები უხსოვარ დროთა მორევში ფეთქავს,
კოშკებს ამშვენებს ბუდეები ჩუქურთმებივით.

ცისფერ კალაპოტს გაარღვევენ კლდეთა სვეტები,
ნისლად დაღვრილი მთების სუნთქვა ხეობას ატკბობს,
ისე ამაყად გაგიტაცებს სიძველის სუნი,
თეთნულდის ზეცა შარავანდედს მოჰყენს სამყაროს.

***

ხიდის მოაჯირს დაყრდნობოდა ნოემბრის ღამე,
მდინარის პირას მიცურავდნენ თეთრი გედები,
სიგიჟის როლი თუ მოირგო იქუხებს ცამდე,
ღრუბელთ აკლდამას გადაივლის დროთა რელსები.

მტკვრის შეძახილებს ყურს უგდებდა ღამის მნათობი,
გალაკტიონი ხიდზე მდგომი სტრიქონებს თხზავდა,
ჯერ კიდევ მაშინ, პოეზიის სხივით მოსილმა,
კარგად იცოდა ,რომ ეს ღამე ჩვეულს არ ჰგავდა.
ქარი ფანტავდა ათრთოლებულ ფერად ზამბახებს,
მოვერცხლილ მდელოს მოელოდა სიტყვათა თქეში
და ახლა როცა თეთრი მთვარე ანგრევს დარაბებს,
ნატრობს მთაწმინდა , რომ მიართვან ლექსები პეშვით.

***

ჯერ ისევ მახსოვს არშემდგარი ჩვენი შეხვედრა,
და დღე როდესაც უსიცოცხლოდ დავმარხე ნატვრა,
მე მონატრების სუდარაში დარდებს ვეწვიე
ეს განშორება სიგიჟეა არ უნდა ახსნა.

ფიქრთა ტალღები ასკდებოდა ღამით საფეთქლებს,
სველი ქუჩები ხეტიალში მარტომ გავთელე
რომ მთვარე ცის ქვეშ , განაბული ხარბად სუფევდეს,
ეს სიმარტოვე გალაკტიკას შემოვათენე.

სილურჯე დაკრავს აზვირთებულ ფიქრთა ლაჟვარდებს,
ახლა დეკემბრის სუსხი ატანს გადაღლილ მკერდში,
მომენატრები ,სხვა რა გითხრა სიჩუმის გარდა,
თოვლით ნაშენებ პირამიდებს სულიდან ვერ ვშლი.

***

წვიმდა ,უაზროდ ტორტმანებდა სხეული თქეშში,
ნოემბრის ოცი შეშლილივით ითვლიდა წამებს ,
ხელები თრთოდა სიმარტოვის ცივ მარწუხებში
და ალბათ იმ დღეს ბედისწერაც ებრძოდა ქარებს .
ღამემ კაბადონს კვლავ წარსტაცა მთვარის სილურჯე,
ხეთა რიგებში დამალულა ნისლი ვაებით ,
რომ ვეღარ ვუძლებ ისეთია შენგან სიშორე,
ლამპიონები დაზაფრულან ბნელში ზმანებით ...

და ახლაც ცივა, როგორც იმ დღეს ,იმ თეთრ ღამეში ,
თოვლი ნაფერებ იამსამნებს უცქერდა გზიდან ,
შენ ალბათ უკვე აღარც გახსოვს იმათი ფერი ,
მალე დეკემბრის ფიფქი მოთოვს ლურჯთვალა ციდან.

**

სიყვითლე ოქროსფერ ზეწრებად ედება,
მიწაზე დაფენილ ოქტომბრის სიცივეს,
მზის პირმა ღრუბელთა დარბაზში იარა,
ბროლის ყელს უმშვენებს ვარსკვლავი ცის კიდეს.
მთვარე ხომ უძირო სივრცეში აბნევდა
სხივების მანდილზე დაწერილ სონეტებს,
ფერმკრთალი წამები მოლოდინს ძერწავენ,
საღამოს ქალაქზე სიჩუმე იმეფებს.

ნეტავ ვის ელიან ყვითელი ფოთლები,
მალე ხომ ფიფქები გზებს გადაივლიან,
უდროოდ დაფენილ ოქტომბრის სიცივეს,
ფოთლები ოქროსფერ ზეწრებად ეკვრიან.

***

ნეტავ ვიცოდე რა გაცინებს ადამის შვილო,
იუდას მცნებებს ასრულებ და სამშობლოს გვაცლი,
ზეცა გააპო ბოროტების ბასრმა მახვილმა,
რად გვაიძულებ მივატოვოთ ედემის ბაღი.

ხორბლისფერ ყანებს დრომოჭმული ცელით მუსრავენ,
ნაცრისფერ ღრუბლებს შეეფაკლა ზღვისფერი ზეცა,
და იმეორებს ციფერბლატი ღამის მოსვლამდე,
სულმდაბლობაა ოკუპანტის სახელი გერქვას.

თეა ბარბაქაძე – ბუღალტერი
დაბადების ადგილი – ხაშური-ბეკამი

* * *

უნდა გამევლო გზა ჯვარცმამდე, ბუნდოვნად ვგრძნობდი
და ამიტომაც არ მინდოდა მოსვლა სამზეოდ...
შენ შემიყვარე, ვინ ვიყავი - ქვიშა და ღორღი
და ცდილობ ჩემი შინაგანი გამოამზევო.

ნაბიჯებსაც ვგრძნობ, რა ძალითაც მიახლოვდები
და ბეთაბრამდე ვზომავ მანძილს - სულის სამზეოს
და შენი ძალა, იცი ახლა, რაში ვლინდება?
არ მაძლევ ნებას, რომ დავეცე და დრომ გამთელოს...

მხრებმოტეხილის გმინვას ჰგავდა უფრო მუდარა,
სხვას ვის უვლია ბეწვის ხიდზე, მე რომ გამევლო...
მომარგეს როლი, მომახვიეს ცოცხალს სუდარა,
რომ საკუთარი თავის რწმენა გულს არ გამევლო.

ღმერთი არ მოდის ჩვენნაირებთან - ასე გგონია,
მე ჯვარს ნაცვამი მდუმარება უფრო მაოცებს...
მოდის და როგორ...სანამ სხეულს ისევ გონი აქვს
და არითმია პოეტური ჟინის მაოსებს...

ჯერ მიწად გაქცევს და სარკოფაგს შემოგილეწავს,
მკვდარს უფრო ძვირად გაგყიდიან, ვიდრე ფასობდე...
შენ გონებაში ოცდაათი ვერცხლი გიელავს,
მე ჯვარს ნაცვამი მდუმარება უფრო მაოცებს.

თუ მიწიერის, ლაჟვარდია - შენი არენა,
ჯერ უნდა სისხლი მიწიერის გამოიცვალო,
თუ ლაჟვარდებში, მიზანია - ღმერთთან აფრენა,
სანამ აღსდგები, ჯერ ჯვარცმაზე გარდაიცვალო...

ღირს გაჩენა

დავიბუდებდი შენს უბეში – ჩიტის ბარტყივით
და შენს თვალებში დავიწყებდი ზღაპრის ახდენას...
თუ დავიბადეთ ამ მიწაზე, თუნდაც ტანჯვისთვის,
ისე ვიცხოვროთ, ქუხდეს ჩვენი გარდაცვალებაც!

ხატავს ოცნებებს – გაურანდავს, სადღაც ტირიფიც,
თუ უწერია ზღვა ოცნებებს ნეტავ ახდენა?
მაინც არასდროს არ გაივლო ფიქრი – ირიბი,
რომ გარკვეული მისია გვაქვს და ღირს გაჩენა.

ამიფეთქდება ალიონი დილის სისხამზე...
შორს – ჰორიზონტზე აპოკალიფსს სურდა დანთება...
სანამ მაჯებში ჩემს ბავშვობას გადამისხამდნენ...
სიზმრადაც ვნახე – მპირდებოდი ლექსად აღდგენას.

რა ახლოსა ხარ მზის სხივივით, სუნთქვას მიმალებ
და ყოველ ღამით მშობიარობს ჩემზე – ზმანება...
აკი დამპირდი: – წითელ მელანს გადამისხამდი...
რა გადამისხეს, თუ ვიცოდე...გავდა წამებას.

ანგელოზები დამყვებოდნენ არა მიწიერს,
მუზადამშრალი სადღაც ვეგდე და დროც გაჩერდა...
რა გადამისხეს, თუ ვიცოდე... ვგავდი მიღმიერს...
არადა ვნახე – მპირდებოდი ლექსად აღდგენას.

**

მოდილიანის მოლბერტივით დგანან ვერხვები
და ლიტურღიის ბოლო აკორდს ელოდებიან...
და ცივ ტილოზე მიხატული ჟანას თვალები
გრაციოზული ხელებიდან ატირდებიან...

ქარი გარდმოხსნის ხეებიდან კვართის ნაგლეჯებს
და ვის წილ-ხვედრად აფარფატებს ქანც გალეული...
რა ჩამოღვრილი პალიტრა და აკვარელები,
განა მიწიერს შეუძლია დახატვა სულის?

"ვითანამშრომლო ჩემს სინდისთან - უკეთესია."

ვერაფრით ვგუობ ამ სამყაროს ჟამების ღრიალს,
ნეტავ გამხადა, დედამიწის - ბედის მისანი,
წელში გატეხილ თვეებიდან ეჭვები მღრღნიან,
აზრი არა აქვს - ხისგან ჩორკნო ადამიანი.

შეხიზნული ვარ სხვის სხეულში - ხორცის ხიზანი
და ჩემი სული სხეულიდან გაქცევას ლამობს,
თუ ვერ ვეტევი უსასრულო დედამიწაზე,
ჩემს გულისტკივილს ალბათ ისევ ჩემს ღმერთთან ვამბობ...

თუ ჩემი ჯვარცმა ფარისეველთ არის მიზანი
და თქვენც - თითო ქვა ხომ გაიღეთ, ესეც ბევრია,
ბევრია, რადგან საკუთარი ცოდვების არსი,
ვერ გააზრებულ სამსჯავროზე უარესია.

მერე ჩემს სულში შენც ღმერთივით შემოიჭრები,
შემიოჭრები შენი ცით და ესეც წესია,
შენი ეკვდერი ჩემი ცაა და ჩემი ჭერი,
ვითანამშრომლო ჩემს სინდისთან უკეთესია...

მტვერიც არა ვარ, დრო მოვა და სადღაც გავქრები...
ღვთის მოვალე ვარ, რასაც ვთესავ ჩემი მხსნელია,
ხელში აყვანილს დამატარებს ჩემი მფარველი,
წარმოუდგენლად შემიყვარა ჩემმა მესიამ.

შეხიზნული ვარ სხვის სხეულში - ხორცის ხიზანი,
ვერ ვგრძნობ სამყოფელს, შემაშველე ხელი მესია,
თუ ჩემი ჯვარცმა ფარისეველთ არის მიზანი,
ვითანამშრომლო ჩემს სინდისთან - უკეთესია...

* * *

მალე მზეს კანი დაეწვება და ფერს შეიცვლის,
ფერისცვალება განა მარტო უფალს სჭირდება...
თუ შენს სიყვარულს გადავურჩი მეც ფერს შევიცვლი,
ჯვარცმაზე მეტად უშენობა გამიჭირდება...

**

ჭკუიდან შემშლი – მოწოლილი მუზის ღვარცოფით
და შენი მადლი ჩემს ძარღვებში დადის და გჩემობ,
თუმც სულ ახლახანს გადამისხეს, უკვე გავცოფდი,
დღეს ჩემს სიკვდილის სარეცელზე სტრიქონი მეტობს...

ლექსი მეტია, ვიდრე ჩემი ყველა ვენდეტა,
ან უბადრუკი ეს სიცოცხლე, ვიდრე შენამდე...
უშინაარსო არსებობა, ან ეს ქმედება –
როცა გგონია, ღმერთის თვალებს სხვაში ხედავდე...

მჯიჯგნი შიგნიდან, რა ვნებების ატყდა გრიგალი,
ღიად დარჩენილ სარკმელივით ნერვებს აწვალებ,
ჩაშმორებული ბუხარივით შემინთე ალი
და ზედ ნერვები მიაყარე, იქნებ აალდეს...

იქნებ გამოშრეს ჩემი ტანი შენი სტროფებით,
იქნებ ნერვებიც არ დააწყდეს რძისფერ განთიადს,
ოთახში ხჩოლავს ჩაშმორებულ ნერვის რიფები
და ოხშივარი ასდის მთვარეს – ჩემებრ ცოფიანს...

იყო დრო, როცა ბოდვას ჰგავდა ჩემი ხელწერა,
ახლა გადაღლილს ბოდვის თავიც აღარ მაქვს ღმერთო,
თუ შენი ტრფობა ჯვარცმასავით შუბლზე მეწერა,
ყველა გოლგოთა გავიარე, შენამდე მევლო...

ნეტავ ვის ნეკნით გამომძერწე, არ ეწვის კანი?
როცა სხეულზე ყველა დროის სტიგმებს მკემსავდნენ...
იმიტომ შეგვქმნა – ვიქალღმერთოდ და იღმერთკაცონ,
არა იმიტომ – ტილოსავით ფეხით გვთელავდნენ...

* * *

“ისე პატარა ვარ – ჩემო ხელთუქმნელო,
შენი სიდიადით ჩემში გელოდები...
როგორც შთამაგონებ, ისე გადაგიწერ,
რადგან ჩემში რაც ხარ – ღმერთში მეორდები...”

* * *

მომკლეს და მერე ჩემი ლეში დადეს საჯიჯგნად,
ჩემგან ელოდნენ პატიებას ქრისტეს მგმობელნი...
ყველა საკუთარ შეცდომებზე ჯოჯოხეთს ზიდავს,
მე არც ღმერთი ვარ მოგიტევოთ და არც პოეტი.

* * *

ცელქი ბავშვივით ხალისით ვდევ ამ ცხოვრების გზებს,
რა მოხდებოდა ედემიდან რომ არ გაგეშვი...
მოგიპარავდი უფლისაგან ათივე მცნებად,
რომ ამ გონიდან არასოდეს აღარ გამეშვი.

შენი წყლულები მოვიძიო საკუთარ ტანში
და ვაპატიო – ღალატისკენ ვინც მომიწოდა...
ნამცეცი როგორ გაკმარო და ვიყო მართალი
ღმერთთან, რომელმაც მაღიარა – შვილი მიწოდა.

რომ ხორცში მყოფი უძლურ ვიყავნ შენს გზას შედგომის,
რომ უუნაროც აღარ მერქვას, შენში დამტიო...
ყველა განსაცდელს შეშლილივით გამოვექეცი
და თუ დაგროვდა წყენა, ლექსად ამოვანთხიო...

და მიტოვებულ ტაძარივით შემოგენთები,
ახლა მზადა ვარ ყველა წყენა ჩემში დავძლიო,
რომ გოლგოთამდე დატყავებულ მუხლისთავებით,
შენი ცოდვები, უფალივით, მეც გაპატიო.

**

ისე მარტო ვარ, ვით სამრეკლო სოფლის მახლობლად,
ჩამომალეწა დრომ ტოტები, ქარი ყიალობს...
და ღვთისმშობელიც ვიცი ახლა ისე ახლოა,
არ დამჭირდება ქარაფი და მთების ფრიალო...

ამოვარდები ამაღამაც გასულ მწუხრივით,
გადაიქროლებ ჩემს სულზე და ტოტებს დალეწავ
და მერამდენედ გადანაქროლ ქარის ყმუილით,
ღამეს რაც შერჩა რიჟრაჟისპირს მასაც დალეწავ...

შემომეჩვიე, ძარღვებიდან ცდილობ ამოსკდე,
კანი დამდუღრა მოვარდნილმა შენმა შტორმებმა,
უსუსური ვარ, თუმც არ მინდა ჟამი დამოკლდეს
და "– შემწედ მეყავნ..." გამათენეს ბევრჯერ ბოდვებმა...

მიძინებამდე ჩამოგლიჯე რიჟრაჟს საკინძე
და დედაჩემიც მიაძინე – მსგავსად ღვთისმშობლის
და რა პალიტრით მომიყვები – როგორ ამკინძე
და ფეხაკრეფით მოპარული დილით ვით მშობდი.

**

გადამიმალეს მზე, ჰორიზონტს გადამიცილეს,
ციდან მიწამდე, სივრცე მალეს, შავი ფარდებით...
მომიწყვეს რაღაც მასკარადი, დღემდე მაცილებს
ვიცილებ, მაგრამ ვერც ვიცილებ – სულის წვალებით...

ამბოხდებოდა სული ჩემი ალბათ ოდესღაც,
გადალეწავდა ცის ტატნობზე ნამყოფ სიდინჯეს,
ძაღლებს მიუგდეს ჩემი ძვლები ბურჯად მყოფებმაც,
თუმცა მანამდე ჩანასახში გამომიტირეს...

ემბრიონს ვგევარ, შენს მკლავებში ვწევარ ბავშვივით
და გეფიცები შენს სიცოცხლეს – ჩემში ბინადრობ...
გადავაქოთე გონებაში ყველა ბილიკი,
იმ ბავშვს ვეძებდი, დამალულს რომ ღმერთმა მიაგნო –

სადღაც ბაგაში, თუმც მანამდე ბევრჯერ უარმყვეს,
ბევრჯერ ჩამქოლეს, მეც მაფურთხეს როგორც მესიას
და დედაჩემის – ღვთის მშობელის მსგავსი თვალები,
არსად მინახავს ათენებდეს ყოველ განთიადს

და მამაჩემის – ამ ღმერთკაცის ძლიერ მკლავებით
ცად აზიდული...სანთელივით ისევ ანთიან
და ნაწნავები – ცას მიბმული ვაზის კავები,
სანამ მომკვეთდნენ ქალღმერთივით აჩნდა განთიადს...

**

ჩამოეღვარა უფალს პალიტრა...
ღრუბლები სდუღან როგორც შტორმები...
მიწას აკრილი ფუნჯიდან ცვივა,
ვით მელოდია – მთვარის სონეტის...

ცას ბორკილები ადევს მაჯაზე,
როგორც ჩემს გულზე – სევდის ღრუბელი,
ნაიარევი აღარ შუშდება,
შემოვიგლიჯე – სიმწრის უღელი.

გაშიშვლებული ხესავით მითრთის,
დღეს ოქტომბერი – ფერთა საუფლო...
რა ჩემნაირი დადგა ამინდი –
ჩემი სულივით ღმერთთან საუბრობს.

**

ჰგავხარ ქალღმერთს და ღმერთკაცნიც კი შენზე ბოდავენ,
ამ ნიღაბის ქვეშ რა იმალვის არავინ იცის,
მანძილს შენამდე სივრცით კი არ, დროით ზომავენ
და რა იციან, რომ ამ სულში მესიად იშვი.

რანაირი ხარ, მე კი არა, ღმერთსაც აოცებ,
ხან ჯვარს მაცვეს და ხან გარდმომხსნეს შენმა თვალებმა...
შენში მცხოვრები ღმერთიც ახლა ისე მაოცებს,
როგორც სამყარო გააოცა ცისკრის ზარებმა...

ღმერთს უმადლოდე, რომ აქამდე ჩემში გაცხოვრე,
რომ შენს თვალებში სულს ღაფავდა ჩემი სხეული,
საუკუნენიც რომ გავიდეს მინდა გახსოვდე,
რომ იყო ევა – შენს თვალებზე შეყვარებული.

რომ სამოთხისთვის არ შემინდეს შენმა თვალებმა,
მარტომ ვერ ვზიდე სტროფები და სული სნეული,
თუკი ნეკნისგან ღმერთი მქმნიდა მე,შენს ნახევრად,
რად მიმატოვე, ჯოჯოხეთის კართან ეული.

ყველაზე ბოლოს გამომძერწე, თუმცა ქალღმერთად,
სიოზეც, ქარზეც და გრიგალზეც აღმატებული...
ქერუბიმები თუ მიხსნიან ვნების შტორმებთან,
ახლა ისე ვარ ვულკანივით აქაფებული.

**

ჩემს სულის ტაძარს ნაცრემლარი დღეებით ვწმენდდი
და ეს ჭურჭელიც წასაბილწად როდი გეთხოვა...
მუხლზე მოხვეულ მათხოვარს თუ გადააბიჯებ
და ვერც ხვდები – გადააბიჯე თავად მაცხოვარს...

მუხლზე მოხვეულ მათხოვარს თუ გადააბიჯებ,
ნეტავ თუ ფიქრობ – რას ეტყოდი ახლა მაცხოვარს,
ასტრალში მყოფი საკუთარ თავს აკვირდები და
ეკითხები: – ნეტავ სინდისმა როდის დაგტოვა???

**

გამერინდები – უსუსური, ცელქი ბავშვივით
და იდუმალი სამყაროსგან ვითხოვ – დამინდე!
როგორ დამტბორე უჩვეულო შენი ამინდით,
აცვიათ ხოლმე ვარდისფერი კაბა ამინდებს...

რა დამადუმებს, ღაღადებენ ჩემი ლექსები,
ყველა სტრიქონში, ვით ლოცვის დროს, ვიყავი ღმერთთან,
ამოვულეწე საძირკველი წარსულის ნაშთებს,
რომ სუფთა სულით შემძლებოდა შენდობა მეთქვა.

უნდა შემინდო, შეუნდობელ ღალატზე ვჩივი,
მეც ვერ შევძელი პატიება უცხოვრებ დღეთა...
მოჰგავდა მირაჟს უცხოვრები დღეთა მანძილი,
ასე დაკემსილს და გატანჯულს ნუ მიშვებ ღმერთთან...

ისე დიდი ხარ, რას შეგწვდები თიხით ნაშობი,
გულში კი არა, ამ სივრცეშიც კი ვერ დაგტიე,
გამომეცხადე უდაბნოდან სულით ნაწრთობი,
ახლად შობილიც, ცოდვილ სულით – შენში ჩამტიე.

რა ტრანსცედენტი, ვერ გავარღვევ სულის მარწუხებს
და შედევრიდან ისევ თიხად როგორ ვიქეცი,
ადამიანად ყოფნა ახლა ისე მაწუხებს,
რომ ლამისაა ტანიდანაც გამოვიქეცი...

რა აბსტრაქტული ოცნებებით გამიღმერთდი და
ვაღმერთებ ბილიკს, ლოცვისას რომ მოვყევარ შენთან,
არ მოგიკვდები, არ გაგვწირავს ასე ღმერთი და
ასე დაკემსილს და გატანჯულს ნუ მიშვებ ღმერთთან...

***

შორიდან როგორ მოჰგავდი ღმერთს და
რა მისტიური იყო წუთები,
არ მინდა ახლოს – ადამიანად
გგრძნობდე და ასე გეჩურჩულები...
აგიყოლებდი ცაში საფრენად,
ჩამორთმეული შენზე უფლებით,
ჩათვალე, თითქოს სადღაც ვარ – ღმერთთან,
სხვა სამყაროდან გესაუბრები...

იქმენ ნათელი!

სხვენს შეყუჟული გდარაჯობდი – ნამცეც მარცვალზე,
გულის წასვლამდე ნუ მიმიყვან – ღმერთის სადარო,
შენს თბილ თითებში, თუ მოვკვდები, მოვკვდე ამაყი,
თუნდ მაგ თითებში გულწასულიც გამასამართლო...

ცა მეძუძური დედასავით თავზე დაგვხარის,
ჩვილი ბავშვივით მკერდს შეყუჟულთ მედგრად გვდარაჯობს...
სული, რომელიც ამომგლიჯეს, დღესაც აქ არის,
ისევ ჩემში და ისევ შენი ყოფნით ამაყობს.

ცა ისეთია – დავხატავდი სვეტიცხოველს და
ქვასაც სული აქვს, რადგან ქვაა ტკივილს არა გრძნობს?
უფალმა ისიც ადამივით მოაქანდაკა,
მასაც შთაბერა არსებობის სული სადარო...

ჩამომეღვარა – ფერწასული გრძნობის ლანქერი,
ცაზე იწყება ფოთოლცვენის ლიტანიობა...
მომხვიე ხელი, სანამ მარჯვენს ძირში მოგკვეთენ
და ეს სეზონიც საბოლოოდ გამიცრუვდება...

გავიქცეთ შორს, რომ ამ ოქტომბრის ამინდს დავუსხლტეთ...
გავიქცეთ შორს, რომ ბაგეს სწვავდეს შენი ამბორი...
გავიქცეთ, რომ არ შევეგუოთ დროის მარწუხებს...
გავიქცეთ შორს, რომ სივრცეს გავცდეთ მხოლოდ ჩვენ ორნი.

ნუ მიმატოვებ მხრებჩამოყრილს დროის მიჯნასთან,
არ გამიცრუვდე ამინდივით, ჩემში ღვინდები...
გადმოგასახლებ, საუკუნედ გაქცევ – ფიცარნაგს...
გაურანდავი სტროფებიდან დელგმად იღვრები...

ამიგიყვანდი ნათლის სვეტად, განა მართლა ქვებს,
შანდალზე სანთლებს ავანთებდი დროის ჩირაღდნად
და უტასავით, თუ არავი მარჯვენას მოჰკვეთს –
გაშიშვლებულ ვერხვს და ჯვარს აცვავს აყრილ ფილაქანს..

ქარი წამიღებს უცხო მხარეს, მუხთალი ბედი...
ახლაც გაცრეცილ ფოთოლივით საით მივყავარ...
ტაძრად აგაგე ჩემს სუნთქვაში და დარანები –
ტაძრის პერანგად მოგაქსოვე სულის მინანქარს...

მოგხსნი ხარაჩოს შემოჭდობილს გულზე მარწუხად,
ჟამთა დინებამ ვერ დაჩრდილოს შენი ნათელი...
ვერც მე შევძელი სუსტი მხრებით, ძალიან ვწუხვარ,
სრულყოფილისთვის მაინც მეთქვა: – "იქმენ ნათელი!!!"

სანამ ხელოვანთ მარჯვენს ჰკვეთენ ისევ ქარები
და ბოროტება სულის კართან ისევ ბინადრობს...
ძლივს გაათრია ღამემ ჩემი ნატანჯი სული
და გააცილა გამოფიტულ სულის მიდამოს.

მხოლოდ ლექსები დარჩებიან ნათლის სვეტივით
და ქვად ქცეული – სული ჩემი, ვიდრე წარღვნამდე...
მზემ გამოგაშროს გალუმპული პატარძალივით,
მიძინებიდან დაწყებულო – სულის ღელვამდე.

**

გახედე ზეცას, აპრილივით ყვავის აისი...
დაგიკოცნიდი ახლა ლაჟვარდს – ცელქო, უზადო...
და თუ ასეთი საოცარი დადგა დაისიც,
შევიშლებოდი – სხვა რა გზა მაქვს, ჩემო უფალო?!

აღარ დავეძებ, ახლა თუნდაც გიჟად შემრაცხეთ,
ქვებიც მესროლეთ – შევეჩვიე სხვისგან ჩაქოლვას...
გათენებამდე თუ გავატან ჩემი ღმერთსავით,
ხვალ მოგიყვები – რას ნიშნავდა შენი არყოლა...

საკმეველივით დაუნთიათ ახლა ფოთლები
და ჰგავს სამყარო, რაფაელის – "სიქსტის მადონა"-ს,
რა – "საიდუმლო სერობა"-ა, ფოლიანტები
– აცვივა ქუჩას, ფოთოლცვენის დგება ეპოქა...

შექუჩულ გრძნობებს ასდით ახლა ღმერთის სურნელი...
აქ იყო ღმერთი, როცა სიო ხედნიდა ქარებს...
აქ იყო ღმერთი – ჩურჩულებდა ყველა ფოთოლი
და კვლავ აღდგომის მოლოდინში ხუჭავდა თვალებს.

ლუკა ქურციკიძე – პოეტი
დაბადების ადგილი – ქუთაისი

პოეზია

გეფიცები სიყვარულს, შეგადარებ წმინდანებს,
ლექსი არაფერია, პოეზიის ამ საკნებს
როგორ უნდა გავექცე, როცა პატიმარი ვარ,
პოეზია მაწამებს და მე ავადმყოფი ვარ.
პოეზია ცარიელ, შველის სიღრმის არიებს,
პოეზია წარსულის, ბნელ ნაწილებს მაცილებს,
და ყოველი პოეტი, მუდამ ასე განილევს
და ყოველი პოეტი, თვითმკვლელობას აპირებს.
შენი სინანულია, ცარიელი კედლები,
ქაღალდები უაზრო და მტვრიანი წიგნები,
წიგნი წაუკითხავი, საქართველო მთლიანი,
მინდა ისევ რომ მწამდეს, ყველა ადამიანის...
მუდამ ასე ამბობენ, ჩემზე, შენზე, იმაზე,
აღარავინ აღარ წერს ლექსებს თოვლზე, წვიმაზე,
აღარავინ აღარ წერს, ყაყაჩოზე, გვიმრაზე,
აღარავინ საუბრობს, ასე პოეზიაზე.
მე და პოეზია ვართ, უსაბუთო გიჟები,
თეთრი ფერის ხალათი, პალატები ათასი,
მე და პოეზია ვართ, ავსებული თასები,
ორივენი მთვრალები, ორივენი ლოთები.
ეს ლექსია ასეთი, ეს ლექსია ისეთი,
სიტყვის რახარუხია და ბნელეთის შუქია,
ჩემში დაქარგულია, უამრავი წუხილი,
ჩემში დაკარგულია, უამრავი სურვილი.
მე და პოეზია ვართ, მუდამ ასე მშვიდები,
მე და პოეზია ვართ, დედამიწის გმირები...

ვფიქრობ

ვფიქრობ,მოდი ლექსს დავადგამ უღელს,
დაფასება მოვა მერე სხვა დროს,
ლექსის წერით გავათიე წუხელ,
ლექსის წერა მათევინებს ვატყობ.

მაგრამ რა დროს ლექსებია ახლა,
ახლა უფრო შაირები ფასობს,
პოეზიას კვლავ ასობენ ლახვარს,
პოეზიას, უვიცობა ახშობს...

წერით ახლა ვერ იშოვნი რამეს,
ამბობენ რომ რჩენა უნდა ოჯახს,
სულ მოასწრებ მაგ ლექსების წერას,
წადი, ახლა რომ გავათბო კერა...

ვფიქრობ, აღარ გავათენებ ღამეს,
აღარ გავლევ სტრიქონებში წყვდიადს,
ლექსის წერით რას მოიმკის კაცი,
თუ არ გმობას და დაცემას ძლიერს.

ახლა ლექსებს არ კითხულობს არვინ,
ლექსებს ახლა ურჩევნიათ მტრობა,
მაგრამ, მე არ მინახია არსად,
დასანანი იყოს პოეტობაც!

აბა ახლა ვინ აიღებს კალამს,
ვინ გადახევს შუაზე ამ მთვარეს,
ვინ შეამკობს საქართველოს ალამს,
ჩვენს ბუნებას, ამ ჩვენს ლამაზ მხარეს.

მაგრამ ჩემთვის სულ ერთია ახლა,
ფული, ოქრო ვერცხლი თუნდაც სხვა რამე,
ლექსის წერით ამოვდივარ გულიდან,
ლექსის წერით გავათენებ ამ ღამეს.

ვფიქრობ, მოდი ლექსს დავადგამ უღელს,
დაფასება მოვა მერე სხვა დროს,
ლექსის წერით გავათიე წუხელ,
ლექსის წერა მათევინებს, ვატყობ.

ყველანი გვატყუებდნენ

ჩემში ზამთარივით არეული,
სულში ხვავრიელი თოვლით, თოვდა,
ეხლა ისე ვარ გადარეული,
ეხლა ისე ცხარედ მინდა ლოცვა...
ვნებით შეპყრობილი ქალაქები,
გული, ღამით ისევ მთვარეს ხევდა,
ისევ დამიბერდა შემოდგომა,
მინდა შემამჩნიონ გამვლელებმა.
მინდა, შეკვეცილი ფრთებით ისევ,
შენთან მოვფრინავდე დასერილი,
ეხლა ისე მწარედ მინდა კოცნა,
მინდა რომ შევიგრძნო ტანი თლილი...
სად არ წამიყვანა ბედისწერამ,
სად არ გავიარე... ბეწვის ხიდზე,
მინდა დრო დაიხრჩოს ჩვენთან ერთად
მინდა, დაბეჩავდეს ერთიანად...
მინდა რომ დაინგრეს ეს ზღაპრები,
მინდა, განადგურდეს ეს მითები,
ისევ მოვახლოვდე შენთან ახლოს,
ისევ დაგიკოცნო ეგ თითები...
მე ვარ ზამთარივით არეული,
სულში სანთელივით ვიღვენთები,
მინდა, ამ ზამთართან შეჩვეული,
სითბო, უამრავი კლიმატები...
და როგორ ყველანი გვატყუებენ!
და როგორ სულ ყველა გვატყუებდა!
უამრავ ცოდვებსაც გვადარებდნენ,
ჩვენ ხომ ამაზე გვეცინება...
ვნებით შეპყრობილი ქალაქები,
შენით ქროლვა ქარის ვნებიანი,
როგორ არ ვიქნები ბედნიერი,
როგორ არ ვიქნები სევდიანი...
ჩემთან, უამრავი ამბებია,
შენთან, უამრავი ტრაგედია,
ჩემთან, უცნაური დღეებია,
მე კი უცნაურად დაგებედე.
მე კი უცნაურად დაგებედე,
ღიმილი ვეღარ გაგიბედე,
როგორ ყველანი ჩვენ გვატყუებდა,
როგორ სულ ყველანი გვატყუებდნენ!...

ორიათას რვა წელი

დაობლებული ბავშვი,ერთი მტკაველი მიწა,
მიტოვებული სახლი,დასრულებული ომი,
ციდან ბომბების ცვენა,მსგავსი თოვლიან ზამთრის,
სიმღერა ნანა ან კი, წყალში ჩაყრილი შრომა.
დამთავრებული ლექსი,ფურცლები ნაკუწ-ნაკუწ,
იმ შენობების ფერფლი,წყალწაღებული სისხლი,
ზავდადებული მხარე,სულ ზევით თეთრი დროშა!
მიტოვებული სისხლი,წყალში ჩაყრილი შრომა.
მე მსგავსად თოვლის, წვიმის,
მოვკვდები მერე,ხოდა!
ვერ შევედრები ვიცი,
ისეთ სიკვდილად თოვდა!...
დადუმდა უცებ ყველა და შეკრეს ირგვლივ რკალი,
ასე გაცივდა კერა,ჩემი სამშობლოს მხარე,
ასე ატირდა წუხელ,დაქვრივებული ქალი,
ასე გაჩერდა გული,ასე ტკბილად და მწარედ!
უგაზაფხულო წელი,წიგნები ძველისძველი,
მიტოვებული მხარე,სისხლი მჟავე და მყრალი,
პოეტი მიდის ომში,რომ პოეზიით მთვრალი,
შეაკვდეს ტყვიას ცხარეს,თუ პოეზიას ვერა.
გამარჯვებული მტერი,დამარცხებული მუზა,
უჭირისუფლო მკვდარი,დანარცხებული დროშა,
განრისხებული ღმერთი და განწყობილი მტრულად,
მიტოვებული სახლი,წყალში ჩაყრილი შრომა...
ძირს დამხობილი კაცი,ორიათას რვა წელი
მირონ ნადენი ხატი,ირგვლივ მრავალი მკვლელი,
გაშავებული დღე და გათეთრებული ღამე,
დაბლა,ეს მყრალი ცოდვა,მაღლა-სიწმინდის გამო!
აფხაზეთი და კიდევ, კიდევ მრავალი მხარე,
შენ დაიფარე ღმერთო,ის დაკარგული არე!

რიონი

გაზაფხული რომ მოვა,
მე ლამაზ იებს დავკრეფ,
კვლავ დავდუმდებით ორნი,
ჩუმად შევხედავთ ტალღებს.
მომიახლოვდი... მოდი!
გხედავ, სიჩუმის ტყვე ხარ,
მომიახლოვდი... მოდი!
რიონის პირას დგეხარ.
და ხმას არ იღებ... ვიწვი,
შენ ხმას არ იღებ კარგო,
მხოლოდ ჩვენ ორნი ვხედავთ,
რაც გააქვავებს აწმყოს.
მე გაგიცანი ახლა,
ზამთრის სიცივე გახლდა
და შენი სითბო მაინც,
ჩემი ნუგეში გახდა...
სიტყვა მელევა ფიქრში,
18 სიტყვა დამრჩა,
18 ტყვია მჭიდში,
უძვირფასესი ფარჩა...
გაზაფხული რომ მოვა,
მე ლამაზ იებს დავკრეფ,
კვლავ დავდუმდებით ორნი,
ამ გაქვავებულ ტალღებს
აოცებთ, ჩვენი ყოფნა,
შენი ხელები, თბილი,
ჩემი ამბორი, კოცნა
და სასთუმალთან ძილი...
სიტყვა მელევა ფიქრში,
თვრამეტი სიტყვა დამრჩა,
თვრამეტი ტყვია მჭიდში,
უძვირფასესი ფარჩა...

ღვთისმშობელო

ღვთისმშობელო შემეწიე,
ღვთისმშობელო შემიბრალე,
დასარბევი დავარბიე,
ღვთისმშობელო მაპატიე...

* * *

პაპაჩემის მაჯები მაქვს მოწყვეტილი ციდან,
ახლა სუფთა ფოთოლს ვგავარ ჩამოვარდნილს ხიდან.
მორიგი დღე აივანთან პალატები, ხატები,
ჩემში ისევ თოვლის მსგავსად გაბნეული აზრები.

ყველა ჩემი მოგონება ქაღალდებზე გადამაქ,
ასე ვწერ და მწერლებთან მე კავშირები არა მაქვს,
მე რომ დღემდე პოეტი ვარ,დაფასება არა მაქვს,
არ მსურს, რომ ეს პოეზია შემრჩეს ბოლოს არამად...

ასე ლექსად მოსვლა მსურდა,ასე ლექსად მოვედი,
ალბათ ყველა ასე იყო, მწერალი თუ პოეტი,
ალბათ ადრე აფასებდნენ აკაკის და გოეთეს,
ახლა ფასი აღარა აქვს, პოეზია გათელეს...

პაპაჩემის მაჯები მაქვს მოწყვეტილი ციდან,
ახლა სუფთა ფოთოლს ვგავარ ჩამოვარდნილს ხიდან.
მორიგი დღე აივანთან პალატები, ხატები,
ჩემში ისევ თოვლის მსგავსად გაბნეული აზრები.

სახლი

ჩვენ ორს სახლი რომ გვქონოდა სადღაც,
შეგიქმნიდი, იცი როგორ კომფორტს,
მე, რომ ღვინოს დავწურავდი ყურძნით,
შენ მანამდე მოხუფავდი კომპოტს.
შენ ზამთარში გამითბობდი ხელებს,
მე თაროზე შემოვდებდი წიგნებს,
ასე ორნი ვიცხოვრებდით ერთად,
დაგიწერდი, დაგიწერდი ლექსებს.
მერე შენ დამიწუნებდი ნაწერს,
უიმედოდ გადავხევდი ფურცელს,
მე რომ მთლიანი კაცი ვარ ახლა,
წამართმევდი შენ ნახევარ ნაწილს.
ბუხრის პირას დავჯდებოდით ორნი,
ბუხარში კი ენთებოდა ცეცხლი,
გაჩუქებდი ათ ლარიან მძივებს,
მე სანაცვლოდ ოქროსა და ვერცხლის.
მერე გეტყოდი რომ ფული არ მაქვს,
ასეთია დღეს პოეტის ბედი,
მაგრამ შენ არ აყვებოდი ამას,
მაგრამ შენ არ გამწირავდი, მესმის...
მერე ჩუმად მოვიდოდი ღამით,
დაგიწყებდი ხვევნასა და კოცნას,
გავიდოდით შორს სახლიდან სადმე,
სიცივეში დავანთებდით კოცონს.
ჩვენ ორს სახლი რომ გვქონოდა სადღაც,
ჩვენ ორს სადღაც რომ გვქონოდა სახლი,
ბედნიერი ვიქნებოდი რადგან,
შენთან ერთად გაივლიდა დარდი...

მე მწერალი არა ვარ

დაღამდა. კალამი ავიღე,
ვნებდები...
მე ღამით ლექსი ვერ დავწერე,
„ვბერდები"...
გათენდა, ჩიტები გალობენ,
თითქოს და ჩემს ლექსებს მღერიან
და ირგვლივ ყვითელი ფოთლები,
მავსებენ, მართობენ, მშვენიან...
მე ვდგევარ დარაბებს მიღმა
და ეს ლექსი ძვირფასო ჩემია,
დაღამდა და ღამის წყვდიადში,
ანათებს... ეს ღამე ძნელია...
მე ეხლა მწერალი არა ვარ,
არც პოეტი, არც მგოსანი,
მე ამ სამყაროს წინ ვდგევარ,
ვით ანგელოზი, ფრთოსანი.
სიმღერებს ამკობენ, ამბობენ,
მრავალ ლექსებს და გალობებს,
უამრავ წერილებს სწერენ
და პასუხს არ ელიან... დარდობენ.
გათენდეს, ეს ღამეც გათენდეს,
დაიხეს ეს ღამეც მალევე,
გაფითრდეს, დემონი გაფითრდეს,
ცდუნება, კოშმარად გარდიქცეს...
მე მსურდა სპეტაკი ფიქრებით,
წმინდა ლექსები მეწერა,
გაუკვალავი ქარები,
გადამელახა... მერე რა?!
თუმცა, ჯერ ისევ ღამეა,
ვარსკვლავნი მართობენ, მამკობენ,
მერე რა, თუ სიბნელეა,
მერე რა, პასუხს თუ არ მთხოვენ...
დაღამდა. კალამი ავიღე,
ვნებდები...
მე ღამით ლექსი ვერ დავწერე,
„ვბერდები"...
ეს ღამე ვიცი მცირეა,
ეს ღამეც გადავიდოდეს,
როგორ მინდოდა მემღერა
მე, კვლავაც მინდა მინდოდეს,
ის, რაც გაჰყვება თაობებს,
დაარბევს სვავებს და ორბებს,
გამოანათებს, მაოცებს,
ჩემი ლექსები მაკოცებს,
საუკუნეთა მხილება,
ლექსს არ მოელის მშვიდობა,
ლექსს მოაქვს ჩემთვის დიდება,
ლექსები არ იყიდება...
მე ეხლა მწერალი არა ვარ,
არც პოეტი, არც მგოსანი,
მე ამ სამყაროს წინ ვდგევარ,
ვით ანგელოზი, ფრთოსანი!...

პოეზია

პოეზია, ბილიკია ეკლიანი,
პოეზია, ეს ტყე არის გაუვალი
და როდესაც ჩემს ფიქრებთან ვრჩები მარტო,
პოეზია არის ჩემი მოსასხამი...
ტყვედ ჩავვარდი, დაუსერავ ნერვებს ვიჭრი,
პოეზია, არის ჩემი დამპყრობელი,
მე უსისხლო კალამს ისევ სისხლით დავსვრი,
პოეზია, არის ზოგჯერ ჩემი მკვლელი...
უზარმაზარ სამყაროში დავრჩით ერთად,
უსასრულოდ, დედამიწას ვესალმები
და თუ მერე გამიტანონ დემონებმა,
გოლგოთაზე, ქრისტესავით ვეწამები.
ჩემს ლექსებსაც სისულელედ თვლიან ახლა,
ახლა უფრო უვიცობას ემხრობიან,
უვიცობას, ჩემი ნიჭი ვეღარ ახშობს,
უვიცობას ვეღარ ახშობს პოეზია...
უსასრულოდ, ვესალმები დედამიწას,
ეს ტალღები თითქოს არის შენი თმები
და თუ მერე გამიტაცონ ამ ფიქრებმა,
პოეზიის, კვლავ დამიპყრობს ეს წუთები.
უზარმაზარ სამყაროში დავრჩით ერთად,
უსასრულოდ, დედამიწას ვესალმები
და თუ მერე გამიტანოს დემონებმა,
გოლგოთაზე, ქრისტესავით ვეწამები...

რომ მესაუბრა ღმერთთან

მე თვალებში გიყურებ,
ეგ თვალები მახელებს,
ღმერთს რომ შენზე ეკითხა
,ვეტყოდი რომ გაღმერთებ.

რომ ლექსებს ვწერ შენზე და
თეთრ ღამეებს ვათენებ,
რომ გადაღლილ ამ თვალებს
,მუდამ შენსკენ ვაცეცებ...

კალმით გადავიჭრი ვენას
,,ფურცლებს გავუთენებ ღამეს,
ციდან ვარსკვლავების ცვენას
,ვხედავ,კიდევ დავწერ რამეს.

მე რომ მესაუბრა ღმერთთან
მას მოვუყვებოდი შენზე,
ვამცნობ,რა კარგია შენთან
,რომ არც მეფიქრება სხვებზე.

აღარც ცოტა ვარ და არც ბევრი,
დაბერდნენ ძველი ჭადრები,
შენ წუხელ ცრემლად დაიღვარე,
მე კი პოეზიად ვიღვრები.

მე, რომ ერთხელ მაინც მესაუბრა
მე, რომ ერთხელ ღმერთთან მესაუბრა,
ვეტყოდი როგორ გაღმერთებდი,
რომ ბნელ ღამეებსაც ვათენებდი.

მაგრამ თავადაც კი იცის ღმერთმა,
მუხლმოდრეკილი რომ ვევედრები,
მანაც იცის როგორ მინდა შენთან,
და არც სიკვდილისთვის ვემეტები.

იმას ვფიქრობ რასაც ვწერ,
არაფერს არ ვამეტებ,
ღმერთს რომ შენზე ეკითხა,
ვეტყოდი რომ გაღმერთებ!...

ცხოვრების საგზალი
(ეძღვნება ბაბუაჩემს)

რომ ყოფილიყო ცოცხალი,
გაიხარებდა საწყალი,
ჩემი ზნე-ჩვეულებით და
ჩემი ცხოვრების საგზალით.

მაგრამ დრომ არ დააცადა,
თავზე დაესხა აფთარი,
ხმამაღლა გამოაცხადა,
გარდაცვალების ამბავი.

კიდევ ცოტა ხნით გეცოცხლა,
ცხოვრებით დამტკბარიყავი,
მე კი ყოველთვის ვიტყვი რომ,
დიდი პოეტი იყავი!

ეხლა ქარები მშვენიან,
ვით ხეებს, ისე მარხევენ,
ჩემს ლექსებს და პოეზიას,
მწუხრის ჟამს ისევ მართმევენ.

ჩემს გრძნობებს ლექსით ვმართავდი,
თავს არასოდეს ვკარგავდი,
დროს წუხილს არ დავუთმობდი,
შენ რომ ცოცხალი მყოლოდი.

მაგრამ შევხვდებით ოდესმე,
დასრულდება ეს სამყარო,
მსურს, შემოდგომის ფოთლები,
ბინდისფრად გადმოგაყარო.

რომ ყოფილიყო ცოცხალი,
გაიხარებდა საწყალი,
ჩემი ზნე-ჩვეულებით
და ჩემი ცხოვრების საგზალით.

სხვაში შემეშალე

ზამთრის ამინდივით,ისევ შევეჩვიე დუმილს გამუდმებით,
ისევ დავითვალე ცაზე ვარსკვლავები ჭკუიდან შემშალე,
როგორ ვიფიქრებდი, ისევ შევხედავდი ვინმეს შეყვარებით,
მაგრამ ამის მერე არასდროს ვიფიქრებ- სხვაში შემეშალე...
ჭკუიდან გადასულს,ისე მაწყნარებდი ბოლო შეხვედრისას,
ისე ალმაცერად თვალებს აცეცებდი ჩემსკენ ღამესავით,
ამ პირველ შეხვედრას ისევ, შენი ფერი ადევს- გაზაფხულის,
წამი დავითვალე, წუთი დავითვალე შენთან შესახვედრად.
ახლა ჩვენ შევხვდებით, სადაც გაზაფხული მართლა სხვაგვარია,
მეორე შეხვედრას, უკვე ვხედავ კარგო ვეღარ გადავრჩებით,
ჩემი მოწონება შენთვის გაზაფხულის ერთი ამინდია,
მე კი გაკვირდები, როგორ მიყვარდები, როგორ მესიზმრები.
მაგრამ ეს სიზმრები,თეთრ ანგელოზივით ჩემში გროვდებიან,
და თუ გათხოვდები, არ დამელოდები, ქარსაც წაუღიხარ,
მაგრამ მოწონება პოეტისთვის არის სულის სანუგეშო,
ერთადერთი რამე რაც ბედნიერს გამხდის ამ წუთისოფელში.
ისევ მოვწყვიტავდი გვირილაზე ფოთლებს,
ისევ დავითვლიდი... მაგრამ აღარა ვარ ბავშვი, ციცქნა, თანაც საყვარელი,
ისე ავკეკლუცდი შენ რომ დაგინახე ვეღარ მაწყნარებენ,
ვერც ის ხეები და ვერც ის გვირილები, სიმწრით დანაკრეფი!
მინდა, რომ გიამბო ჩემი საწუხარი, ჩემი ტრაგედია,
მინდა, რომ იცოდე თავზე რა გადამხდა- რაა სამწუხარო,
მინდოდა მეამბო, როგორ მიმატოვეს, მაგრამ ვერ გავბედე,
ახალ სიყვარულთან, ჩემი ტკივილები ასე დამეთვალა.
ქარსაც წაუღია, ძველი მოგონება, ძველი ამინდები,
ახლა მხოლოდ შენით ვარ გაქვავებული, შემოდგომის თვეში,
ახლა შენთვის ვცხოვრობ,ცაზე ვარსკვლავივით, გინდა ავინთები,
შენ, თუ მოგაწონებ პოეზიით ჩემს თავს ლექსებსაც დაგიწერ...
იცი მომანდომე წუხელ, რომ მენახე სიზმრად მომევლინე,
მაგრამ გაიქეცი, საით წახვედი და რა გზა გაიარე,
წერილიც მოგწერე, თითქოს ჩემო ღმერთო-ისე მომეწონე,
ისე შემიყვარდი, დამწვარ შენობებსაც წყლებად მოვევლინე...
ზამთრის ამინდივით, ისევ შევეჩვიე დუმილს გამუდმებით,
ვფიქრობ ამ ღამესაც ისე მომინდები, როგორც არასოდეს,
მაგრამ შენ თუ მართლა, ღმერთად გაღიარე ვერ გადამირჩები,
და არასდროს ვიტყვი, ვფიცავ არასოდეს- სხვაში შემეშალეს!

* * *

სევდიან ღამეს, ისევ ველი რაიმე ჩვეულს,
რაც უკვე იყო, ან იქნება მერე, ოდესღაც
აგერ ქუჩაში, ვხედავ მოხუცს სძინავს ჭადართან
და ტირიფები დასტირიან მოხუც მამაკაცს.

დღეებში ვხედავ ჩვეულ სიზმრებს არეულ ტონით,
რომ დამყურებენ ღამეები, როგორც რითმები,
თვითონ ვარ მშვიდი, ამ სიზმრებთან ვრჩები ცოტა ხნით,
მერე არ ვიცი საით წავლენ ჩემი ლექსები.

ამ ლექსით ვამბობ, იმას რასაც ბევრი ვერ იტყვის,
ეს ლექსი რჩება, როგორც გუბე თავსხმა წვიმაში,
მე უნებლიედ დავიკარგე, დავკარგე ყველა,
ახლა მჭირდება უეცარი გამოცოცხლება.

კვლავ განუყრელად მივუყვები გზას უნაპიროს,
ეს ღამეც ვიცი, ამ სიტყვებსაც დაიზეპირებს,
მე გზა აბნეულს, დაბინდულსა და უნაიროს,
ეს ღამეც ვიცი უდაბნოში ბილიკს გამიკვლევს...

„ქართველო"

ქართველო, ტყვიას ნუ მესვრი!
ტყვიის გარეშეც მკვდარი ვარ,
ქალო, სიყვარულს ნუ მჩუქნი,
უსიყვარულოდ მთვრალი ვარ.

აღარ თარეშობს სიმართლე,
ახლა ტყუილი ხმალია,
ერთი რამ არის ქართველებს,
რაც ოდითგანვე გვაკლია.

ქართველო, ტყვია მესროლე!
ისეც ხარ მოძმის მკვლელი,
მე ერთი დავრჩი ამ ქვეყნად,
დიდი სიმართლის მთქმელი.

ქართველი კალამს აღარ სწევს,
ბასრი საგანი მეტად ჭრის,
ვისაც მხნეობა არ შესწევს,
კალამის ღირსი არც არის!

ქართველო, ტყვიას ნუ მესვრი!
ამ სიბინძურით მკვდარი ვარ,
ქართველო, სიტყვით მებრძოლე!
სიტყვა მეტად ჭრის ამ ქვეყნად!

ტერი გრინი

* * *

ისმენს ჭოტი ღამის დუმილს,
აკვირდება თრითინებს,
გირეკავ და კიდებ ყურმილს,
უსასრულოდ ქვითინებ.

აირია ნისლი, ბინდი,
ყინვა ირგებს თარიღებს,
სულზე ფიქრით ჩამაფრინდი,
ღამესთან მომარიგე.

შემაჩვიე მარტვილობას,
ჩემო დარდო, ვარამო,
მე ვასრულებ ყმაწვილობას,
შენც გადაგდებ – კალამო.

ღამის დუმილს არღვევს ჭოტი,
აკვირდება თრითინებს,
აღებული ყველა ნოტი,
ახლა მხოლოდ ქვითინებს.

შემოდგომის ყველა ფერი,
შევძელი და მოგარგე,
დადგა ჩემი წასვლის ჯერი,
კარი შენ გამოაღე.

ახლა ველი ზამთრის ყინვას,
თეთრ, ქათქათა თრითინებს,
მე მივდივარ, მივალ, მაგრამ,
ვიღაც გულში ქვითინებს.

* * *

მაშინებს მარტის შემოსვლა,
რა ვუთხრა უშენო აპრილს?
ხეების კვირტებით შემოსვა...
მახსენებს გრძნობათა ნაპირს.

უშენო გაზაფხულს რა ვუთხრა,
რა ვუთხრა უშენო მაისს...
რა ვუთხრა მითხარი რა ვუთხრა,
რატომ ჰგავს სხივები დაისს?

პასუხი აღარ მაქვს კითხვებზე,
მერცხლებიც სულ მალე მოვლენ,
რა ვუთხრა გაზაფხულს რითმებზე,
როგორ მსურს მუდამ რომ თოვდეს.

რა ვუთხრა აპრილის საღამოს,
შენთან რომ დავპირდი სითბოს,
გულს როგორ დავმალავ ამ ღამეს,
გული რომ შენს გულში ითხოვს?

რა ვუთხრა მაისის წვიმებში,
ოხშივარს ავარდნილს ცამდე?
ვეტყოდი თუ გამიღიმებდი...
ოცნებაც ღმერთივით გწამდეს...

ახლა კი, არ ვიცი რაღა ვთქვა,
თავსაც მოვატყუებ მაგრამ...
გაზაფხულს ან მის მზეს რა ვუთხრა,
შენთან სიცოცხლის რომ სწამდა.

* * *

ამ დილით, ჩემი სიკვდილი ვნახე,
მხრებზე მოეგდო შავი ლაბადა,
ნაღველი აჩნდა სევდიან სახეს,
ცუდი მეგონა, მკვლელი არადა...

არ მოეწონა დილა ნანატრი,
ჩაფიქრებული მქონდა თავიდან...
ალბათ მიმიხვდა ისიც ჩანაფიქრს,
ახლოს მოსული, უკან დაიძრა.

– სიკვდილო, შენი შიში არა მაქვს..!
ღიმილმორეულს მომხედა ერთი,
– მაინც გავივლი ეკლის შარაგზას..!
უფლის შეწევნით, სახელით ღმერთის..!

ჩაეღიმა და თავი ჩაჰკიდა...
– ეჰ, თქვენ რა იცით, რაა სიცოცხლე...
ამდენმა შურმა ძმები წაჰკიდა,
ადამიანო..! რად გაიოცე?!

–არა..! არა მჭირს სიკვდილო შური..!
ეს რა შეცდომა შემოგპარვია?!
ღვინოა ჩემი სისხლი და პური
–იესოს ხორცის წილნაყარია..!

კვლავ გაეღიმა... ჩაფიქრდა თითქოს,
ცა მოიქუფრა, აჩხავლდა ყვავი,
ხრამთან მელოდა, ახლა კი მიხმობს,
ალბათ სურს, ცოცხლად გამაძროს ტყავი.

–მოდი აქ..! მითხრა..? მიბრძანა მგონი...
ახლოს მივედი, რა უნდა ნეტავ...
თვალებში ჰქონდა ტკივილის ფონი,
ვერ გავუბედე შეხედვა მეტად...

–აჰა! ჩახედე, რას ჰხედავ მითხარ..!
მაჯას შეეხო ხელგაყინული...
ან იქნებ ერთიც არა გაქვს სიტყვა,
შევჩერდით ორივ, თვალ–გარინდული...

მაღლა, შავ ცაზე ფრენდნენ ორბები,
დაბლა ისმოდა ყვავთა ჩხავილი,
–უსმინე, აი თქვენი გრძნობების
ხმები... ჰო, ხმები ისმის ბღავილის...

დავმუნჯდი... აღარ ვიცი რაი ვთქვა,
ან სათმელად კი – დამრჩა უფლება?
ქვეყნად მოვსულვართ და სიკეთის ქმნას,
ვარჩიეთ ვითომ თავისუფლება...

–ახლა რას მეტყვი?! მკითხა და ისევ...
მხრების აწევით მომაპყრო თვალი,
ხრამს მოვერიდე და პასუხს მყისვე,
გონი ჩავჭიდე, მეგონა რვალის...

–სიკვდილო, განა სული რამედ ღირს?!
უფსკრულს ჩავხედე გგულმოსულ მზერით,
და გავაგრძელე მცირედი რიხით...
–მე რომ ვინატრე, იმ სიკვდილს ველი..!

უცნაურ ღიმილს ურევდა სახეს,
სიკვდილი, არცთუ ისე ბოროტი...
ამ დილით, სახლთან მოსული ვნახე,
ვინატრე, გვერდით ისევ მყოლოდი...

კვლავ შემომხედა მშვიდი თვალებით,
ცრემლი გაუკრთა თვალის კუთხეში...
მითხრა: – იარე ძველ ნაკვალევით,
ვიდრე არ მიხვალ ნავსაყუდელში..!

თან დააყოლა: –ასეა წესი...
შიში არ გქონდეს, მოვა შენი დროც,
მითხრა რომ, მისი არასდროს მესმის,
მიტომ მოვგავარ ღრუბელს საავდროს...

მერე კი გაქრა, ქარს გაჰყვა ზევით,
არ მარიდებდა ნაწვიმარ სახეს,
ღრუბლები უმალ გაფანტა ხელით,
ამ დილით, ჩემი სიკვდილი ვნახე!

* * *

რა მშვიდია დღეის მთვარე, მშვიდზე უფრო მშვიდია,
ღრუბელთ ჯარი შეკრებილა, ნეტავი სად მიდიან?
არ ადარდებთ ვნებათღელვა, არც უძირო ცის კიდე,
მათ შემყურეს ნეტავი რა... ნეტავი რა მიკვირდეს?!

ღამე ბნელში იპარება, იმალება დაისი,
აქ მაისიც არ სცოდნია, ვარდობისთვე, მაისი,
ისიც მიკვირს, რად დახტიან, მოუსვენრად შაშვები,
ანდა რატონ არ ლაღობენ, აქაური ბავშვები?!

შეშინებულ იხვებს, ტბაში დაჰკარგვიათ შვილები,
აქ გრძნობებიც არ არსებობს, ძრწიან ნაშიმშილები.
უცნაური ღამე დადგა, მთვარე ისე მშვიდია,
ღრუბლებიც არ ჩერდებიან, მიდიან და მიდიან.

აქაურ ზღვას პატრონობენ, ალისფერი აფრები,
ფრეგატების გუნდის ნახვა, ღირს... დრო დგება
აფრენის.
ყველა წამი, ყველა წუთი არის თურმე გათვლილი,
სანაპიროც ხელოვნური, უცნაურად გათლილი.

მშვიდი არის ახლა მთვარე, მშვიდზე უფრო მშვიდია,
ღრუბლების არ ერიდება და ისინიც, მიდიან.
მიდიან და შავ-შავ ცაზე, არ ტოვებენ ნაკვალევს,
მთვარეს მშვიდად უღიმიან, ხან უხვევენ შავ თვალებს.

მაინც ბინდისფერი არის, ყველა ღამის სიზმარი,
მენატრება ალისფერი, მშობლიური ცისკარი,
აქაური მთვარე ისევ, მშვიდზე უფრო მშვიდია,
ღრუბლებიც არ ჩერდებიან, სრიალებენ, მიდიან!

* * *

ნაადრევად ამოქროლდნენ,
შემოდგომის ქარები
ღმერთო - როგორ მომენატრა,
მთა - ველები, ჭალები.

სექტემბერიც მიილევა,
ოქტომბერი დადგება,
ნეტავ ეს სხვისი ქვეყანა,
მე რა შავად მადგება?

დავიღალე ისე ძლიერ,
ისე მიგისავათდით,
უსამშობლოობამ მძლია,
უმისოდ გავსამართლდი.

ღმერთო - ერთხელ დამილოცე,
გლეხი კაცის მარჯვენა,
სხვისთვის გთხოვ და გაიოცე?
ქვეყნის გადასარჩენად.

დავიღალე მონატრებით,
გაცრუებულ იმედით,
ჩემს ერს ქედი მოვუხარე,
სამსხვერპლოზე მივედი.

სახრჩობელას გავუსწორე,
ყულფი, თავიც გავყავი,
საქართველოს მზე და ზეცა
ღმერთო - რატომ გაყავი?

მე კი - წავალ, მე რას მერჩი,
უნიათოდ ვწანწალებ,
მაგრამ, ღმერთო - სხვა დროს
ნუღარ
სხვას ნუღარ გააწვალებ!

უცხო ქალაქი

უცხო ქალაქში გაჩერდა შობა,
ზურგით მივათრევ დროის გასაღებს,
აქ გამიჭირდა სიცოცხლით თრობა,
აქ, საკუთარ თავს უცხოდ ვასაღებ.

უცხო ქალაქის არ მიყვარს მტვერი,
აქ ხომ, ფოთლებიც უცხოდ შრიალებს,
სარკიდან მიმზერს ბოროტი მტერი,
უცხოურ დანით ხელში ტრიალებს.

ქარსაც ვეღარ ვცნობ, ვერც წვიმას, დილას,
ჩემი არ გახლავთ უცხო ქალაქი,
ავლაპარაკდი ათას დღის წინათ,
უცხო ქალაქზე ავლაპარაკდი.

რა მომიტანა? რა მივიტანე?
არა ვარ მისი და არც ჩემია,
ვილოთავებ თუ, არ ვილოთავებ,
ვერ ვხვდები, აქ მე რა დამრჩენია!

* * *

დავიღალე, დავიქანცე ერთობ,
საწამებელ ფიქრთან ვდგავარ თრთოლვით,
აპრილამდე გაგრძელდება ღმერთო
ეს ამდენი ჩამობარდნა თოვლის?

დავიღალე, ბრძოლით არა – ომით,
ყველა ომში ჭრილობები დამრჩა,
ვგავარ ფიტულს ფაფარაშლილ ლომის,
არ მადარდებს ოქრო–ვერცხლი, ფარჩა.

იარებზე ჩამომისვით ხელი,
შეიგრძენით სისველე და სიღრმე,
ამ დროს – ჩემი ნერვიული ხველით,
ვცდილობ ყოველ მიუწვდომელს მივწვდე.

ვიქართველე... არ ვიცოდი დაღლა,
ჩემი თავის, თვითონ ვიყავ მტერი,
მივიწევდი სულ მაღლა და მაღლა,
მიწას ჩემი შერჩენოდა მტვერი.

დავიღალე, მოვიქანცე ერთობ,
ყველა აღმართს დავუთვალე ქვები,
ნეტავ როგორ დავასრულებ ღმერთო,
კარგად არა, რა ხანია ვხვდები...

* * *

როგორ ვიტანდი სიცრუეს,
როგორ ვუძლებდი თავს,
ახლა ვნებივრობ ეული,
მთვარე მიდის და მგავს.

როგორ მიტანდნენ ჩემები,
ან რისთვის ვღვრიდი სისხლს?
მტკივა კოჟრები ხელებზე,
ვგრძნობ ვეგებები ნისლს.

დასრულდა ჩემი ეპოქა,
წავალ, გავყვები ქარს,
დარდად წარსული მეყოფა,
მთვარეც სულ ჩემთან მყავს.

არ მიბრუნებენ თვეები,
ყოველ დაკარგულ დღეს,
ჩამქრალი სინათლეები,
ვერ მახსენებენ მზეს.

ასე სრულდება ზღაპრები,
უიმედობა თრთის,
მე წავალ, ქარებს გავყვები,
უმიზეზოდ რომ ქრის!

* * *

შენი მკერდი, საალერსოდ მოწეული,
თავგზას მირევს, როგორც ტკბილი ნესვები,
ეგ ტუჩები, როგორც მწიფე ბროწეული,
მეხება და გულში სისხლად მევსები.

შენი კანი როგორც თეთრი მარმარილო,
კაპილარებს თუმცა ვეღარ აკავებს,
მოიწიე, ახლოს მოდი ჩემო თბილო,
ვნება ჩემსკენ, კოცნას გამოატანე.

სქელი ნოხი ვერ აკავებს ჩვენს სხეულებს,
ბუხარში კი კვლავაც ცეცხლი ანთია,
ვნებისაგან შეშლილებს და არეულებს,
დაგვავიწყდა რომ ჯერ ისევ მარტია.

ალი თითქოს შეშინდა და ხმებზე კრთება,
და ეს ღამეც გულმოსული ჩერდება,
შენს ამბორში ეს ტუჩები ისევ დნება,
სიამისგან სხივებშიდაც ბნელდება.

მზერით მიხმე, მეალერსე მაგ თვალებით,
ხანაც ყელზე აატარე ტუჩები,
დაგიპირებ დაგიპყრო და განაწამებს,
კვლავაც გეტყვი, ახლა ნუ მეურჩები.

შემოხვეულს, ვერ მიცილებ მაგ მკერდიდან,
როგორც ბორცვებს ისე თავზე ვევლები,
და ეგ მხრები? მოლოდინით გარინდებულთ,
ავათრთოლებ ბაგის ნაზი შეხებით.

თითი თითთან ჭიდილშია მთელი ღამე,
აკვნესებულ ქნარს რარიგად შეჰფერის,
გაკვირდები და შენს სხეულს ცეცხლის ალზე.
დასდებია მარმარილოს ელფერი.

ფიალით ხელში

უუჰ... შე მადლიანო შენა!..
უუჰ... შე ჯიშიანო შენა!..
ასე მრავლად ქართლის გულში,
რა განგებამ მოგაშენა?!

კახელების ცრემლებია...
ქართლელების ცრელმებია...
ამიტომაც ორთავ კუთხით,
ტკბილად თავზე გევლებიან.

რაჭველების ცრემლებია,
იმერლების ცრემლებია,
ციცკა – ცოლიკაურია,
ბაბოს ტკბილი ხელებია!

უუჰ... ,,ბარაქიანო შენა”!..
აპრილის ცრემლებო შენა!.,
ატენსა და ხიდისთავში,
რა მარჯვენამ მოგაშენა?!

ახალდაბის ვენახებში,
მიტო პაპამ მოგაშენა?!
ალაზნის ველს დაგრეხილო,
ტკბილ – ბადაგიანო შენა!

ჩემო ლოცვავ, ჩემო სუნთქვავ,
ქართველების გულისცემავ,
ტანგრეხილო ,,ჩინებულო”,
ქართველების ზნევ და ზენავ!

გაზაფხულის დედოფალო,
მომიარე მუდამ შეშლილს,
რქაწითელით ვილოცები,
პაპის ფიალებით ხელში!

უუჰ... შე მადლიანო შენა!..
უუჰ... შე ჯიშიანო შენა!..
ასე მრავლად ქართლის გულში,
რა განგებამ მოგაშენა?!

* * *

ნუ მებუტები, თორემ არ ვიცი,
აპრილის მერე რა შეგვარიგებს,
იცი ძვირფასო? ძლიერ განვიცდი,
უშენობისგან გასულ თარიღებს.

არ მიმატოვო... თორემ ცოდვების,
გამანადგურებს მთელი არმია,
აღარასოდეს განმეორდება –
ის, რამაც ჩემში, ერთხელ აგრია.

მთელი უდაბნო ფეხით მოვლილი,
ახლა ლანდებად დამყვება ისევ,
ვით საკინძედან აწყვეტილ ღილის,
პოვნას ეცდები, გაფატნავ ნისლებს.

მაგრამ, მე აღარ დაგიბრუნდები,
თუ ერთხელ გაჩნდა გულზე ბზარები,
იცი ძვირფასო – მე ისე წავალ,
როგორც წავიდნენ მარტის ქარები.

მერე შენს ცრემლებს, დასთვლი ნამიან –
ვარდის ფურცელზე წვეთად შერჩენილს,
იფიქრებ: – ნეტავ რამ გადარია,
(ხომ გთხოვე: – ასე ნუ შემეჩვევი)

არ გამებუტო... თორემ, რა ვიცი...
აპრილი გავა, რა შეგვარიგებს,
ძვირფასო – ისე ძლიერ განვიცდი,
უშენო წუთებს, დღეებს, თარიღებს!

მიტოვებულ ოდას

ნუ აციებ მიტოვებულ ოდას,
ბუხარს ისევ მიუმატე კუნძი,
დაუბრუნდი პაპის ფესვებს, ჰოდა...
იგრძნობ, რარიგ ტკბილი იყო უწინ.

ხავსი ფრთხილად მოაცილე ეზოს,
პანტის ძირი კვლავ შეღებე კირით,
სცადე კედელს კუთხე შეულესო...
გარჯას, შრომას რა სჯობია დილით.

ტყეში, ფიჭვნარს ასდიოდეს სუნი,
ცოტა შორით გადმოსჩქეფდეს წყარო,
ბავშვურ ანცობით გიძგერდეს გული,
გახარებდეს... პაპის კერას ვარო...

ნუ დატოვებ გაციებულს, ოდას,
ქალაქი ნუ მოგიხურავს მხრებზე,
წლები გავა, მოგწყინდება ტკბობა,
ვერცხლისფერი დაგედება თმებზე.

მოიკითხავ... – მონატრებულ პაპას
– მის სამარეს, ბალახიანს, მტვრიანს,
მიხვდები, რომ უქმი იყო ნაყვა,
კვიცები ხომ, მუდამ გვარზე ხტიან.

ახლა იცი, შებერებულ გონით,
რა სუნი აქვს, პაპისეულ ოდას,
ვიდრე დროა გელოდებათ, მოდით...
ნუ დატოვებთ, ნუ დატოვებთ, ჰოდა...

დავით ძნელაძე – თეატრის რეჟისორი
დაბადების ადგილი – ქობულეთი

* * *

ტურფა ქალაქის ზღურბლთან ვდგავარ ქედმოდრეკილი,
მინდა შევიდე, მაგრამ რაღაც ძალა მაჩერებს.
ვიცი, თბილისში მე ულექსოდ არავინ მელის...
და მეც აქ ვრჩები, სანამ მუზა არ გამახელებს.

... აი, დაბრუნდნენ თბილ ქვეყნებში უკვე ჩიტები;
ზეცა მშვიდდება – სიყვარულის ქარავანს უმზერს.
მუზას უჭირავს თაიგული ჩემი ვედრების...
და ყველა ლექსი საქართველოს დიდებას უმღერს.

ალვის ხეები

უნდა წიგნიდან დღესდღეობით გამოვაღწიო,..
მსურს ნაყოფიერ ბუნებაში ფეხით გავიდე.
ალვის ხეები აწოწილან ეზოს გარშემო,
ახლაც კი მიკვირს, აქ მე ბინა როგორ დავიდე.

გულის ჩურჩული გამახელებს ამოდენა კაცს,..
შორს რაღა მინდა, აქაც ბევრი საქმეა კიდევ.
ნაყოფის მსხმელი ნერგი უნდა მიწაში ჩავფლო,
რომ მომავალში ხის ტოტებმა – ნახოს ცის კიდე.

კოჰაბიტაცია

რა ვქნა რომ ამევსო,
მოთმინების ფიალა...
თავი მომაბეზრე –
ჩემო თვალებბრიალა.

კოჰაბიტაცია
არ გამოგვდის ციალა...
შენმა კაპრიზებმა
მომსპო, გამატიალა.

დილიდან ფეხზე ვარ,
ვმუშაობ ციალა...
ამ წუთისოფელმა
სად არ მაპორწიალა.

ცოტა დამასვენე
ჩემო სახლის ბზრიალა,
თორემ,,მაჭახელამ“
იქუხა – იგრიალა.

კინტრიშისთვის სულერთია

მდინარეში,,ჩალბობილი“
ლამაზმანის სხეული...
მხოლოდ მისთვის მისაწვდომი,
ვისაც ჰქვია რჩეული.

კინტრიშისთვის სულერთია,
როგორ სხეულს ეხება,
გაგრილების ყველა მსურველს
იგი ეალერსება.

ლამის არის გაველურდეს
მკერდში გული ეული,
რა ვქნა სხვისთვის მენანება
ლამაზმანის სხეული.

მასწავლებელო

მასწავლებელო, ჩემო!
ოცნებავ ცისფერ დღეთა.
ეს გაზაფხულიც გავა,
მე ვეღარ მოვალ შენთან.

მეხოტბევ ჩემი კარის!
შუქურავ, ღრუბელთ ზღვაში,
იქნებ დავშორდეთ ისე,
რომ ვეღარ მიცნო გზაში.

ჩემი თეთრონი მოვა,
უნდა ვიარო ქარში...
და შენი სახე ჩუმად,
ვეძებო ყველა ქალში.

სინაზევ თეთრი გედის,
თოლიგევ, ცისფერ დღეთა.
ეს გაზაფხულიც გავა,
მე ვეღარ მოვალ შენთან.

გიჟი ქალი

იმ პატარა სახლის მადლი,
მუდამ გაღებული კარი...
ვიცი ისევ დამპატიჟებს
იმ ოჯახის გიჟი ქალი.

ჩემს ვნებებზე მოთამაშე
,,მორკინალი ამორძალი"...
სიურპრიზების ფეირვერკი
არანორმალური ქალი.

მთელი ღამის ნეტარება,
სიახლოვის ცხელი ქარი...
ქალის უნახავს რომ გაგხდის
ეს ოხერი გიჟი ქალი.

რაგინდ კარგი ცოლი გყავდეს,
გულს წაგართმევს სულ სხვა ქალი...
ჩიკორივით გაბზრიალებს
არანორმალური ქალი.

გაზაფხული

გაზაფხულდა, გაზაფხულდა,
გარეთ უკვე დარია...
გოგო შენმა სიყვარულმა
ჩემი გული დალია.

გაზაფხული დღეს შენსავით
ახატულ-ჩახატულა...
ველ-მინდვრები, ბაღჩა, ბაღი,
იებით დაქარგულა.

თუ გაზაფხულს შეგადარე
მხოლოდ შენი ბრალია,
გაზაფხულიც ლამაზი და
ჭირვეული ქალია.

როგორ მიყვარს ღმერთო ჩემო
ცაში, მერცხლის ჭიკჭიკი,
საქართველოს გაზაფხული,
ყვავილების კისკისი.

რა საამო სურნელია
და რა მშვიდი ფერები,
ახლა მხოლოდ შენთან მინდა
მოვალ მოგეფერები.

სიყვარული მომეძალა,
ჩემ გულშიც გაზაფხულდა...
ფიქრი, ნატვრა და ოცნება,
როგორც იქნა ასრულდა.

პოეტი

მაშ მიცნობდეთ, მოწოდებით პოეტი ვარ
და ამ ყოფას უსასრულო ტანჯვა ერთვის...
რადგან ნიჭი ერთობ დიდი სანქციაა,
თვით მამულიც საკანია უკვე ჩემთვის.

სიყვარულით ქვეყანაზე რაც არ ქმნილა,
მე არ მძალუძს მივიღო და ის არ დავგმო.
სანამ ერი საბოლოოდ არ გარყვნილა,
გარყვნილები სამშობლოდან მსურს ავლაგმო.

ჩემი ბრძოლით იმ წმინდა ჯვარს ვაქანდაკებ,
ჯვარს, რომელიც ამ ქვეყანას მოჰფენს ნათელს...
სანამ ვცოცხლობ ამ სიყვარულს ვაფარდაგებ,
მოვკვდები და მეც ამინთებს ვინმე სანთელს.

ხელოვნება

ლექსის წერა არის ჩემთვის უმთავრესი ხელოვნება,
ირეალურ სამყაროში ყველა მუზა მემონება.
ყველა სტრიქონს ისე ვძერწავ სიყვარული გეგონება,
რა კარგია როცა ვიცი ჩემი ხალხის გემოვნება.

რა კარგია როცა მესმის ჩემი ხალხის გულის ხმები,
ჩვენ მეფობას ვიმსახურებთ და არ გვინდა ვიყოთ ყმები.
რა კარგია როცა მტკივა იარები მებრძოლ ძმების
და ვერ ვითმენ როს მიდიან წინააღმდეგ ჩვენი ნების.

რადგან თაღი მაღალია, მაღალია ჩემი მზერაც,
ამიტომაც გამომარჩევს კარგი ლექსი, კარგი მღერა.
სიყვარული ასეთია უნდა გახდე მისი წერა,
ხელოვნება მარად მწამს და მისი უკვდავების მჯერა.

* * *

დაბორიალობს ფოთოლი ქარში...
ერთი ნატვრა აქვს ოქროსფერ ფოთოლს,
გაუთელელი დარჩეს ზამთრამდე,
ზამთარში ისეც მოთოვს და მოთოვს...
(ასატანია თოვლის სიმძიმე).
... ფოთოლის ნატვრა – ნატვრადვე რჩება.

სილამაზე

ბუნებრივად ლამაზები,
სადღაც გაქრა ქალები...
თოჯინებს მივშტერებივარ,
დამეღალა თვალები.

მექალთანე არ გეგონოთ,
მაგის სად მაქვს ძალები...
ბუნებრივად ეშხიანი
მენატრება ქალები.

პირსინგები გაგიყრიათ:
ცხვირში, წარბში, ჭიპშია...
ინსტაგრამზე სურათებს ყრით,
სხვებს უდგახართ ჯიბრშია.

... უნახავმა რა ნახა?..
ვერაფერიც ვერ ნახა.
ვიცი, ვერც მე შევცლი რამეს,
გაგრძელდება,,წყლის ნაყვა".

ისევ სინდის-ნამუსს ვეტრფი,..
და ქალს ჩითის კაბაში.
ღმერთო, ის დრო მოაბრუნე,
ნუ ჩატენავ ნაგავში.

* * *

დროა უსასრულო,
სიცოცხლე – სასრული.
მტკივა მოგონება,
ლამაზი ქალწულის.

სივრცე – უსასრულო,
ტკივილი – სასრული,
ცრემლის საფასური –
ხანმოკლე წარსული.

* * *

სიკეთის გზაზე დაბრკოლებაც ძალას მანიჭებს
და ამიტომაც მოწაფეც ვარ, მასწავლებელიც...
ვივლი ამ გზაზე სანამ რამე არ შემაჩერებს
და სანამ ჩემ გულს მიეცემა სადარდებელი.

რადგან შევქმენი, საკუთარი ძალაც ვიწამე,
სულ ისე ვცხოვრობ, რომ ბოლომდე არ ვიშიფრები...
მე ხომ კალამი ამოვავლე ჯერ ჩემ გონებას
და მერე თაბახს ვანაცვალე ჩემი ფიქრები.

მე კარგად ვიცი, რომ სიბრძნეში ბევრი დარდია,
არაფერია ცის ქვეშეთში უკვე ახალი...
ცხოვრებამ ჩემმა საუკუნოდ გამომაჩინოს
და ღვთის წინაშე შევეცდები ვიყო მართალი.

დედის ლოცვა

არაფერი არ მთავრდება, გული არ გაიტეხო,
უფროსები მივდივართ და თქვენ კი რჩებით შვილებო.
არ იფიქრო საყვარელო, რომ მიწაში ჩავედი,
მე ზეცაში, დიდ ტაძარში, სალოცავად წავედი.

აქ, ძვირფასო, მხოლოდ შენთვის, მხოლოდ შენთვის ვილოცებ.
და ამ ლოცვის საპირწონედ, ტკბილად, დიდხანს იცოცხლებ.
დედის ლოცვა წამალია, მიწიერი ყოფისთვის...
სულ სიკეთის გზებით გევლოს, ჩემი მოგონებისთვის.

ნატვრა

ხელში კალამს არ ავიღებ,
თუ მშვენებას არ ვხატავ...
თუ სიყვარულს არ ვუმღერი
და თუ ღმერთის არა მწამს.

მოლიცლიცე სანთლის შუქზე
ნატვრა ჩემი თანა მდევს,
ამ სულს რწმენა ასაზრდოებს,
ამ გულს
ღმერთი განაგებს.

ჩემი ნატვრა თავს ევლება
საქართველოს სანახებს,
მწამს სახატეს აყვავებულს
ხვალ ცისკარი მანახებს.

... იქარგება ცისარტყელით
ჩემი ამერ-იმერი,
ამდენ დაღვრილ
სისხლის ფასად
კვლავ აღსდგება ივერი.

* * *

გ – ადალახეთ ეტაპები
უ – რთულესი ცხოვრების...
ლ – ურჯ ოცნებას ვერ შეეხო
ნ – იაღვარი დროების.
ა – მობრწყინდა მარგალიტი
ზ – ეციური გრძნობების,

ხ – ალხს აჩუქეთ პოეზია
ა – ღმაფრენა გონების.
რ – ოცა მუზა გეწვეოდათ
ა – რ დევნიდით, წყალობდით...
ი – მ სტრიქონად იღვრებოდით
შ – ვილივით რომ ჰყვარობდით.
ვ – ინც შეიგრძნო ლექსის ძალა –
ი – დუმალი დიდება,
ლ – ამაზ სტროფებს თქვენგან ელის
ს – იცოცხლისთვის სჭირდება.

* * *

(მ. წ.-ს)

მარწყვობის თვეს შენთან ვიყავ,
დიდი სიყვარული ვნახე...
ჯარში წასასვლელი ვიყავ,
ღვინის ჭიქა ცრემლით ვნამე.

მერე ბედის ირონია,
– ყვავილს მოწყვეტილი ნამი.
სანაპიროს ერთ კუთხეში,
პირაღმა წევს ჩვენი ნავი.

მენატრება, მენატრება,
შენთან ყოფის ყველა წამი,
გედი ხარ და თეთრ გედივით –
მზის ბილიკით – მზესთან წადი.

უკან-უკან იხედები,
ხელის სითბო ჩაგრჩა თმაში.
მე ყოველდღე შენსკენ ვივლი,
მაინც დაგეწევი გზაში.

ვაშკაცის ვალი

თავისუფლება გერჩიოს
საპყრობილეში ძღომასა,
განდეგილობა გერჩიოს
შენი მტრის გვერდში დგომასა.

ჯობს ყველაფერი გეტკინოს
ვიდრე ჯანმრთელი კვდებოდე,
სამშობლო უნდა შეიგრძნო
და გმირი მერე ხდებოდე.

თუ სიძულვილი არ იცი
ისე სიყვარულს ვერ ჰპოვებ,
გაჭირვებაში ქვეყანას
ნურასდროს ნუ მიატოვებ.

ნუღარ დაკარგავ მიწა-წყალს,
ზღუდე-გალავნად ჩადექი,
მოატრიალე ფორტუნა,
სიცოცხლის წყაროდ დადექი.

თვითმფრინავის ლოდინში

კოპიტნარის აეროპორტს
შესევია მგზავრები,..
ხელში დიდი ჩემოდნებით,
გულში მძიმე დარდებით.

ევროპაში მიფრინავენ:
გურულები, სვანები,
მეგრელები, აჭარლები,
კახელები, ფშავები.

რაჭველები იგვიანებს,
დროს წელავენ ზოზინში...
იმერლები ტრაპზე დგანან,
თვითმფრინავის ლოდინში.

... ქართველებო
სად მიფრინავთ,
ვის უტოვებთ ქვეყანას...
ეშმაკები შეესევა,
თქვენს სახლებს და
თქვენს მარანს.

ქორწილი

ბედნიერი დღე გათენდა,
ნათელი და მზიანი,
ამ ოჯახში ქორწილია,
მიდის ცეკვა, გრიალი.

საქორწილო სამზადისი,
მოკეთეთა ბზრიალი...
მუსიკა და სიხარული,
დოლარების ფრიალი.

დიდებული ქორწილია,
ულამაზეს მხარეში...
ნეფე-დედოფალს ჩახედავს
მაყრიონი თვალებში.

ფახლავით და შექერლამით
სავსეა კალათები...
ათასნაირი ნუგბარი,
მილოცვის ბარათები.

სუყველამ დაალაიქეთ,
აჭარული ქორწილი...
პუტკუნა ინდაურები,
ბაჟეში ჩაწყობილი.

თამადა, ტოლიბაშები,
მერიქიფე, ლოთები...
სიყვარულით გადაპწნილი
ყანწები და ბოთლები.

აურაცხელი მზითევი,
ზედ,,ვეფხვის ტყაოსანი“...
მოოქროვილი საათი,
შავი კრიალოსანი.

აკვანიც კი შეუფუთავთ,
ლამაზი და პატარა.
დევიზი კვლავ უცვლელია:
„გავამრავლოთ აჭარა“.

შენ

(ვუძღვნი მეუღლეს)

შენ არა გყავს ორეული,
ისე როგორც მონა ლიზას,
თუ გვერდით არ დამიდექი
ვერ მივაღწევ მე ჩემს მიზანს.

იმედი და სიცოცხლე ხარ,
სანთელი ხარ ჩემი რწმენის,
მირაჟი და ჰარმონია,
ხარ საზღვარი ჩემი თმენის.

ჩემი ლექსის სტრიქონი ხარ,
დამქარგველი მუზის, რითმის,
ხარ მფარველი ანგელოზი
ჩემი ჭმუნვის, ჩემი ფიქრის.

მიყვარხარ და მეყვარები,
სანამ დავალ, სანამ ვიღწვი,
შენ ხარ ჩემი შთაგონება,
შენთვის ვდნები, შენთვის ვიწვი.

ინდი მინდი ფერად შინდი,
დავიღალე ძლიერ მინდი,
გთხოვ გამხადო შენი ღირსი,
ათრთოლებულ ხელებს გიწვდი.

შენ არა გყავს ორეული,
ისე როგორც მონა ლიზას.

შეგონება

სადაც კი წახვალ, ყველგან
ისწავლე,
დღეები გედგას მუდამ მზიანი...
ცოდნის გარეშე ვერ იარსებებს
ამ ქვეყანაზე ადამიანი.

მტკიცე ბიზნესის სადარაჯოზე

რამდენი საქმეა, რამდენი ფული მიდის,
რა მალე გაილია ბენზინი...
ნერვებს ვერ ვითოკავ, ტვინი მიყანყალებს,
პირში გაჩრილი მაქვს რეზინი.

დრო არაფრის მრჩება, ბიზნეს ვერ ვღალატობ,
ფულმა პატიება არ იცის...
ალბათ, ვენატრები ქალებს რა თქმა უნდა,
მაგრამ საქმეები არ იცდის.

ბიჭები მეძახიან,,ივანე კალიტას“,
ის კი არ იციან, დღესაც რომ ვალი მაქვს...
ფული ოხერია, ვინ არ მომამდურა,
ჩემი ახლობლები მოსპო უმადურმა.

მე კი ვერ მიმეტებს, ჯიბეს მეხუტება,
-,,ჩემზე ჭკვიანი ხარ“- ასე მეუბნება.
ისე გამამხეცა, მისმა ერთგულებამ,
გვერდით მოყვარეც კი აღარ მეგულება...

და მზე სიჭაბუკის ფულმა შეიწირა,
ჩემი მისამართით ბევრმა შეიგინა...
უსაქმურს არ ვატან, გაჭირვებულს ვაცლი,
მტკიცე ბიზნესი მაქვს, არაფერზე არ ვცვლი...

მცირე ვაჭრობა რომ დიდით შეიცვლება,
მგონი ამაშიაც ეჭვი ეპარებათ,
მაგრამ ჩემნაირი ბევრი თუ აღმოჩნდა,
მალე დაინახავთ ყველას ეშველება...

ხშირად წონაში დაზოგჯერ ფულშიც ვცდები,
გადარჩენისათვის, ცოდვაშიც კი ვდგები.
ვკითხულობ ,,შავ სიას“ - დიდია გავალება...
ღმერთო შეისმინე ჩემი აღსარება.

სამოთხის ჩიტები

ცისქვეშეთში მარადისი რა არის?..
იქნებ გვითხრათ თქვენ - სამოთხის ჩიტებო?
-სიყვარული, სათნოება, სიკეთე
და მომავლის დიდი რწმენა ბიჭებო.

გაუღიმეთ, მოეფერეთ ერთმანეთს,
ვინ რა იცის ხვალ რა გელით შვილებო.
უღალატოთ იცხოვრეთ და იმრავლეთ,
იბერიის ჯიშიანო წყვილებო.

გაუღიმეთ, მოეფერეთ ერთმანეთს,
მიტევების და შენდობის დღე არის.
სიყვარული, სათნოება, სიკეთე,
საქართველოს გამარჯვებაც ეს არის.

მჯერა მალე გაბრწყინდება მთა-ველი,
გაიხარებს ღვთისმოსავი ქართველი...
დასრულდება შუღლი - მტრობა მტანჯველი,
დღეები კი გათენდება ნათელი.

პირბადე

დისტანციას ვეღარ ვიცავთ,
არ ვართ გარიყულები...
თუმცა თავზე გვახვევია,
მუდამ ავი სულები.

ფიქრებით და ოცნებებით
მაინც შორს ვიყურებით,..
სამყარო კი გვემუქრება
უკვე განადგურებით.

მოგვენატრა დროსტარება,
მოფერება, გართობა,..
კაფეები, რესტორნები,
ქეიფი და დათრობა.

სიყვარული მოგვენატრა,
სიმღერა და გალობა,
ქვემოთ, კაცის ერთგულება,
ზემოთ, ღმერთის წყალობა.

განთიადი

ამბობენ,რომ ყველასათვის
ერთნაირად თენდება...
აღვირს ქაჩავს ტოროლა და
ალიონი ჭენდება.

განთიადი ვარდისფერი
ყველას ერთად ალაღებს,
სასახლეებს მზე უცინის,
მზე უცინის ბარაკებს.

ვის იგავებს მოუყვება
და ვის კიდევ არაკებს,
სილაჟვარდე ეფერება
საქართველოს სანახებს.

განთიადი ლამაზია,
მირაჟია ნამდვილი...
ღმერთო, ხელი გაუმართე
ყველა ქართველს ამ დილით.

და რა ქალი

აწეული წარბები და
აპრეხილი წამწამები,
რის თვალები, რა თვალები,
ორი ტბაა კამ-კამები.

გედის ყელი, საროს ტანი,
თეთრი კანი, ტუჩთან ხალი.
ფეხი გინდა, მკერდი გინდა,
მოკლედ ქალი და რა ქალი.

წვიმა, ქარი.. გაქრა დარი,
ზღვა აღმუვლდა, როგორც ხარი.
ვისკენაც კი გავიხედე,
შემაქცია ყველამ მხარი.

ჩემი ბრალი, მქონდა ვალი,
დამეკარგა მე ის ქალი.
ვერა და ვერ დავივიწყე,
საროს ტანი, ტუჩთან ხალი.

დავიგვიანე

ბოლოს მოვედი შენთან,
კაცი გავგიჟდი ლამის,
ნელსურნელება მახსოვს
იმ დღევანდელი ღამის.

ჩემი უმანკო ხიბლი
შენ თავს მაყვარებს ქალო,
მაგრამ არ დამხვდი სახლში,
ვბორგავ, მოგელი, ვწვალობ.

... შორი ძახილი მიწყდა,
ხმა აღარ მესმის შენი,
მირაჟთან ერთად გაქრა
ზღვა სიყვარულის სენი...

და საზღაურად ცრემლის
კვდება ოცნება ჩემი.
დავიგვიანე ალბათ
უკვე ზღვაშია გემი.

ასაკი

ასაკს ბევრჯერ დევემალე,
ფარაც ბლომად დავხარჯე...
ჯეელობა ვეღარ დავთმე,
საყვარლები დავტანჯე.

წელს ზევით თბილი ვიყავი,
წელს ქვევით გაყინული,..
თავს ვეღარ ვაკონტროლებდი
ცხოვრებით დაჯილული.

ვაიმე, ანავ სიბერე,
ჩუმად შემოპარულა...
წაღია სიმშვიდე და
წარსულში ჩაკარგულა.

ვაიმე, ანავ სიმშვიდე,
რამდენ ხანს მემსახურა...
პულსი თუ ესინჯებოდა,
გული რეიზა დახურა.

ქალებს ვერ ვეთამაშები,
ვეღარ ვეკურკურები...
უკანა ეზოში ვზივარ
ჩემთვინ ვეთუთუნები.

... თუთუნის ბოლს გავაყოლე
სურვილები, ნატვრები,..
ჩემს ბადიშებს მივეფერე
მოვუყევი ზღაპრები.

* * *

შემოდგომას, ოქროცურვილს,
ქარი მძივებს სტაცებს.
ზეცა ისე იბურცება
– ალბათ ზამთარს ბადებს.

ზამთარი კი თეთრ ანდამატს
ჩაუყენებს სოფლებს.
დრო იცინის, დრო ხითხითებს,
დრო გულს უკლავს ობლებს.

შურისმაძიებელი

ერთი თასიდან შევსვით შარბათი,
ერთად გვეძინა მთელი ზამთარი...
მერე მოვიდა ოხერი მარტი
და აგვირია ტკბილი სიზმარი.

ჩვენ ერთმანეთი ისე გვიყვარდა,
თვით სიყვარულმა იძია შური.
კაცს არ მოუკლავს – სადღაც დაკარგა,
დღეს ხარ-ირემმა ლამაზი ფური.

ის ხომ სხვა მარილს ლოკავდა წუხელ,
სულ სხვა იმედი ესახა თვალში
და სიყვარულით გაჩენილ ცოდვამ, –
გაცვლევინა ზურმუხტი ლალში.

მეც დამემართა ხარ-ირემივით,
ძნელი ყოფილა ორგან ცხოვრება...
ოცნებისათვის გაჭრილი ყოფა,
შენი დაკარგვით მემახსოვრება.

... გამოგიტყდებით ვყოფილვარ ბავშვი
და მოკლედ რომ ვთქვათ –
ბედი მწყალობდა.
ჩემთვის ყოველთვის ჰყვავოდა ვარდი,
ნაზი ბულბული ბაღში გალობდა.

როს ოცნებათა ნაბადი მომხსნეს
და რეალური შემრჩა ქონება,
მე შენში ვპოვე სხვა ზოდიაქო
და გავიწვალე შენით გონება...

უზომო იყო ეს სიყვარული,
ვერ უთანაგრძნო გრძნობამ გონებას,
ცხოვრებამ სანთელს ჩაუქრო ალი,
სანთელიც მორჩა თავის გოდებას.

მანათობელი მზე დანაწევრდა,
გაზაფხულის ცას გაევსო,,ცური“,
ჩვენ ერთმანეთი ისე გვიყვარდა,
თვით სიყვარულმა იძია შური.

* * *

წუხელ იუდამ ოცდაათ ვერცხლად –
ხალხის მფარველი გაყიდა – ქრისტე.
დილით მომვარდა კაცი დემონი,
მე დავუყვირე: – ვინა ხარ,,მისტერ“!

მკერდს მომაბნია წითელი ვარდი,
– ვარდის ქუთუთოს სწყდებოდა ნამი.
როცა სიცოცხლე ძლიერ მომწყურდა,
მაშინ მაჩუქეს სიკვდილის წამი.

ვგრძნობ, რომ მთავრდება –
ცხოვრების კადრი;
–,,ვეღარ გავლიე ეს ძველი წელი“.
ვდგავარ სარკმელთან და სასოებით,
ხელისმომკიდე ანგელოზს ველი.

ხალხო! სათქმელი ერთიღა მრჩება:
– თავი არ მისცეთ უიმედობას,
თუ სიყვარულის გუთანი გიდგათ,
ნუ დაიზარებთ გუთნისდედობას.

მჯობნის მჯობნი არ დაილევა

ჯერ იყო ნაირა, მერე კი იაჩო,
შემდეგში ქეთინო მაჩვენა ერთმა.
მარინამ მომატყუა, მაია მოვატყუე,..
ბოლოს კი თამარი მაჩუქა ღმერთმა.

ირმა გამებუტა, ხათუნა ატირდა,
გულში ვარ დაჭრილი, მითხარით რა ვქნა?
ერთმა შეხვედრამ და ერთმა შემოხედვამ
ჩემი იდილია ერთბაშად შთანთქა.

მე ყველა მომწონდით კოხტა გოგონებო,
წამლეკა სიყვარულის ბორბალა ქარმა...
მე რა შუაში ვარ, თქვენი რა ბრალია,
უბრალოდ გაჯობათ გოგავას ქალმა.

1999 წლის 13 აპრილი

როგორც ყოველთვის, მამაჩემი მთვრალი მოვიდა,
როგორც ყოველთვის საწოლამდე ვეღარ მივიდა.
თვალი გამირბის უნებურად სურათისაკენ
და მაგონდება დედაჩემი როგორ გვივლიდა.

ბებია ტირის, – ენანება ვაჟკაცი სიძე,
მას შვილი ტკივა, მამას ცოლი, მე კიდევ დედა...
ჩვენ ხომ ერთმანეთს სანუგეშოს ვერაფერს ვეტყვით,
უზენაესო, ჩვენ გაჭირვებას, ნუთუ ვერ ხედავ?!

ძილში დაკლული ხარივით რომ ხროტინებს მამა,
ყოველ დილით რომ ბებიაჩემს უპე აქვს სველი,
ვისი ბრალია, ვინ დაგვწყევლა, ვინ გაგვიმეტა,
უბედურების ვინ დარია ჩვენ ოჯახს ხელი.

თილისმად ნოხზე ფანდურია ჩამოკიდული
და სამი სიმი კვლავ თითების შეხებას ელის,
რა დამავიწყებს წკრიალა ჰანგს – მშობელი მღერის,
გამიგეთ, ხალხო, უდედობა ყოფილა ძნელი.

ჩემზე ამბობენ, დიდიაო მაგრამ ცდებიან,
რადგანაც მშობლის გამოჩენას ბავშვივით ველი,
ის კი მიღიმის სურათიდან და არც კი მჯერა,
რომ ამ ლოდინში გაილია დღეს ათი წელი.

* * *

ათინათებას რომ გამოჰყვება
ულამაზესი არსება ღვთისა,
ნაქანდაკარი ტანი – კენარი,
ასხივოსნდება კიდესთან ცისა.

მთვარე მთვარეულს გაებუტება,
აცახცახდება ფოთოლი ხისა
და საქორწილო პატარძალივით
გაფერმკრთალდება საუფლო მზისა...

დადგება ჟამი, ჟამი გაყრისა,
ღამის და დღისა, ღამის და დღისა.

ს. ტ. უ. ჯგ. 813

ლექციაზე პატ. ლექტორი
კითხულობდა სიას,
სტუდენტები გათხოვებას
ულოცავდნენ ლიას.

– აბულაძე! აქ ვარ.
– მეტრეველი! არ არის?!
– წუხელ დენმა დაარტყა,
ახლა სილაში არის.

–შაღაშვილი!.. და სიცილი
წუთიერად გაწყდა...
დგება გოგო ტანკენარი,
ნაზად ამბობს – აქ ვარ.

ყველა ბიჭი ფეხზე დგება,
– ჩვენც გეთაყვა აქ ვართ!

იმ ბიჭების გასაგონად
ტანკენარმა რა თქვა?
–თუ ბევრს იმაიმუნებთ,
ყველა გარეთ გახვალთ.

სათვალის ზემოდან გვიმზერს
,,გამოსული“ ლექტორი
და ყბას სინქრონულად იქნევს
სუნი ასდის მენთოლის.

სანამ სია ჩაიკითხა,
ქება იწყო კლინტონის...
ბოლოს ყველას შემოგვესმა
ხმა ,,ძვირფასი“ ლითონის.
ზრ... ზრ...

ახალი წელი

ძველი წელი გაილია,
მობრძანდება ახალი...
ბედნიერების ხურჯინი,
ბავშვების ნატვრისთვალი.

სამყაროა მოხატული,
ჯადოსნური ფუნჯებით.
თეთრ სამოსში გახვეულა
სახლები და ქუჩები.

თოვლი მოდის, თოვლი მოდის,
დღეს ახალი წელია.
ისტორიას ჩავაბაროთ,
უკვე ის რაც ძველია.

დავისახოთ მიზნები და
შევასრულოთ პირობა,
ამ ახალ წელს ჰქონებოდეს
ჩვენს ქვეყანას მშვიდობა.

ჭრელა-ჭრულა საჩუქრებით,
გავსებული მარხილით,
ფიფქია და თოვლის ბაბუ,
კარს მოგვადგნენ ამ დილით.

თოვლის ბაბუს დანახვაზე,
გახალისდნენ ბავშვები...
ნაძვის ხეზე აბრჭყვიალდა,
მოციმციმე სანთლები.

თოვლის პაპა ასე მოძღვრავს
საახალწლოდ პატარებს:
-,,გარჯითა და კარგი სწავლით,
სამშობლო გაახარეთ".

ყველანი მხიარულობენ,
ნაძვის ხეს გარს უვლიან,
ფიფქია და შვიდი ჯუჯა
ახალ წელს უმღერიან.

* * *

მ – არგალიტები მოვაპნიე ცოლქმრულ სარეცელს,
ა – პეირონი დავიფრქვიე თავზე გრძნობების.
ი – აჟუჟუნა ყვავილების ღმერთად მოვნათლე,
კ – ორიდასავით გადავთელე სხვათა დოგმები.
ო – ცნების მწამდა, მზის ფლისებში ვიდექ მდუმარე,
მ – არიონეტი არ ვყოფილვარ არასდროს სხვების,
ჭ – ილყვავებს თოფი დავუმიზნე ჩემი მქუხარე,
ე – რუდიციით გავიკვლიე სავალი გზები.
დ – აე, დიდებამ აგვირგვინოს მუდამ ღირსება,
ლ – აშარის ჯვარი მფარველობდეს ამ ჩვენს სიყვარულს.
ი – ყოს ძეობა, ასულობა, თავდავიწყება,
შ – ეშლილი კოცნით ვახარებდეთ ერთმანეთის გულს.
ვ – არსკვლავთა წვიმას ვეგებები ხელებგაწვდილი,
ი – სევ შენ გნატრობ, ისევ შენთან ყოფნა მწადია.
ლ – არნაკით ცისფერ მიხაკების თაიგულს გჩუქნი,
ს – აცოლევ ჩემო, ბედო ჩემო, ჩემო მაია.

* * *

სილამაზის სალონია ქუჩის ბოლოს,
იმ სალონში სილამაზეს მეც,,ვიპარავ"...
სამი თვეა დაკვირვებას ვაწარმოებ,
გეფიცებით გაკვირვებას ვეღარ ვმალავ.

მოვარდება,,გაპუტული გლეხის ქალი",
უღიმღამოდ სავარძელში ჩაეფლობა.
წამოდგება,,შანტეკლერის დედოფალი"
და ჩემს თვალწინ სილამაზე გაერთობა.

... სილამაზით ტრფობის ნიჭი გამაჩნია,
ქართველისთვის – პოეტისთვის მთლად საჭირო...
არ შეცდებით, თუ ამაღამ ზღვას დამარქმევთ,
ან მდინარეს, – სიყვარულით უნაპიროს.

ნინო ქანთარია – ფილოლოგი
საცხოვრებელი ადგილი – წალენჯიხა, ჯვარი

დღეს ბევრმა ზურგი მაქცია

დღეს ბევრმა ზურგი მაქცია,
თუმც აღარ მაქვს რეაქცია,
რადგან დრომ უკუაქცია,
ყველა ფლიდი და მაქცია.

სიხარულით ფრთებსაც გავშლი,
გულიდან არავის არ ვშლი,
წავალ ცრემლს გავფანტავ ქარში,
დარდს მოვიცილებ და წავშლი.

გიჟი

მისი თვალები გიშრის
ესალმებოდნენ ზეცას,
ის არ ყოფილა გიჟი,
გიჟის ხალათი ეცვა.

ყურში ძაღლები ყეფენ
და დაულურჯდა მაჯა,
ის დაიბადა მეფედ,
თუმცა არჩია ტანჯვა.

ნუ ეკითხებით, რატომ,
არ გაიხედავს უკან,
მან ერთი იცის მარტო,
დროს არ ეყოფა ლუკმად.

უთენია მოგონებებს ვკეცავ

უთენია მოგონებებს ვკეცავ,
ქარს კი ტანზე არაფერი ეცვა,
განაწყენდა თურმე დარდზე ზეცა,
დამნაშავე ყველაფერში მეც ვარ.

ბაღში სულ გახმა წითელი ვარდი,
მოლოდინია რატომღაც ავდრის,
შემომეჩვია უგულო დარდი,
თუმც ეს ყოველივე დარდად არ ღირს.

აბობოქრდა უკვე რიწაც

აბობოქრდა უკვე რიწაც ,
გული მტკივა, ერო, ვფიცავ,
ნუ გაყიდით ქართულ მიწას,
მტერს ურჯულოს ნუ დაიცავთ!

აფხაზეთიც ტირის უკვე,
ყოველი დღე გახდა უქმე
და რა გაგვხდის ნეტა უკეთ,
გვაყვედრიან როცა ლუკმებს.

ცოცხლობს ძალა ჩვენში ჯერაც,
გული დარდით ძლიერ ღელავს,
თუმცა მაინც ისევ მჯერა,
გაფრინდება მალე ძერა.

ცოდვებს ეტრფიან

ვით ზღვაში დიდი ტალღა,
დამღუპველია ვნება,
როცა გრძნობაზე მაღლა
დგება სხეულის ნება.

ბევრია ირგვლივ დანტე,
სულს გაყიდიან ძვირად,
ვიცი, ტანში არ ამტვრევთ,
ტოდვებს ეტრფიან ხშირად.

გულში გესლი ეზრდებათ,
მიკვირს ისევ სრულებით,
როგორ არ უმძიმდებათ
ცრუ ორპირებს სულები.

თუმცა,ვინ იცის, ღმერთო,
ვინაც იშოვა ვერცხლი,
როგორ სულდგმულობს ერთობ,
როცა გულში აქვს ცეცხლი.

* * *

ო,მივუძღვები ფიქრების ფარას
და უეცრად თავის შეცვლა ვცადე,
სულის სილამაზე სხეულს ფარავს,
მინდა მხოლოდ სულს ეტრფოდნენ ცამდე.

ფიქრი უკერავს განთიადს კაბას,
ახლა ღრუბლებს, გავაყოლე მზერა,
უსიყვარულოდ, სული სულს ღაფავს,
თუმცა იმედი არსებობს ჯერაც.

ხელში პატარა, ლურჯი იებით
სულს შეუხორცდა ყველა იარა,
მეგონა, რომ ვერ ვაპატიებდი,
მაგრამ სული, სულს შეეზიარა.

მე დავკეტე სხვებისთვის კარები

მე დავკეტე სხვებისთვის კარები,
შენი თვალებით სამყაროს ვუმზერ,
ხელს ნუ გამიშვებ, გემუდარები,
ნუ გადამივლი ნამტირალ გულზე.

განცდას, მადლიანს, ხანდახან ვჩემობ,
მე სიყვარული მესწავლა მსურდა,
სულ მეყვარები, იცოდე, ჩემო,
ათასჯერ მოვკვდე ამქვეყნად თუნდაც.

დღეს სულში ისევ ქარია

დღეს სულში ისევ ქარია,
ხან წვიმს, ხან კიდევ დარია,
ნეტა რა ჩემი ბრალია,
გულს რომ უყვარხარ ძალიან.

სულ სიყვარულს ხედავს თვალი,
დავამჩნიე ბევრსაც კვალი,
მე ვარ ვნება, მე ვარ ქალი,
მე ვარ ცეცხლის მწველი ალი.

მე ბედს საერთოდ არ ვერჩი ახლა

მე ბედს საერთოდ არ ვერჩი ახლა,
თუმც, არ ვიცი, რა იქნება მერე ,
სანამ დღეს წუხილი აღარ მახლავს,
მოდი, მაკოცე და მომეფერე.

სიყვარული გაიმარჯვებს, მჯერა,
დღეიდან დუმილი აღარ მთხოვო,
გულის სიღრმეში რატომღაც ჯერაც
მინდა მეძებდე, მინდა, მიპოვო.

* * *

ქარი წუხელ ცრემლებს ცრიდა,
ფიქრებს არ უჩანდა ბოლო,
ჩამოფრინდა სული ციდან,
სული სულს გაუგებს მხოლოდ.

* * *

დედამიწაზე
ტრიალებს ცოდვა,
მყარად მიწაზე
გაყენებს ცოდნა.

ბუხართან დაღლილს
მახარებს მეტად,
ერთგული ძაღლი
რომ მთვლის პოეტად.

ცაში,ვით წერო,
მინდება ფრენა,
თან ისე ვწერო,
გამყარდეს რწმენა.

ინგრევა ხიდი,
გამომეცალა
მოთმენის დიდი
ღვთიური ძალა.

ფიქრები მღლიან
მე, ერთი სიტყვით,
ადრე თუ გვიან
ჩემს სათქმელს ვიტყვი.

ამოუცნობი

ბალახზე ცვარით
მორთული ველი,
ბობოქრობს ქარი,
ქრება ღრუბელი.

ლურსმნით დავკიდე
კედელზე სევდა
და ახლა კიდევ
უფრო მეტს ვხედავ.

ხანდახან ვგრძნობდი,
რომ სხვა ვარ სხვებთან,
ამოუცნობი,
სულ მახლდა სევდა.

არ ვიცი, ახლა
რა არის შიში,
გადაწყდა მაღლა,
ლექსებში ვიშვი.

ორსული მთვარე

ჩამოვარდება
ორსული მთვარე,
ტანჯვით ღამდება,
ვერ ახელს თვალებს.

ახრჩობს წყურვილი,
თან ცოტას ითხოვს,
ლუკმაპურივით
პატარა სითბოს.

ტკივილი ავსებს,
რთულია მეტად,
იარო ასე,
სულ მარტო,კენტად.

ახლა კი ნანობს,
მოტყუვდა ასჯერ,
სიწრფელის გამო
სულ იხდის სასჯელს.

* * *

დღეს ერთმანეთის უჭირთ მოსმენა,
ლამის დაჩაგრონ სიმართლის მთქმელი,
დაჩაგრულია პატიოსნება
და რამდენია კიდევ სათქმელი.

* * *

სადღაც ტირის ცრემლის ასული და
სულს დაეტყო უცნაური დაღლა,
არავინ იცის, ზღვას რა აწუხებს,
ან ტკივილს როგორ ინახავს ტალღა.

ძლიერსაც უნდა მოფერება და
ზოგჯერ ჩუმად, უაზროდ ტირილი,
ვინ იცის, გულში რა უტრიალებს,
ან როგორი აქვს ჩუმი ტკივილი.

* * *

სავსე დარბაზი,
ნიღბების ცვენა,
ბევრი ჯამბაზი
და ვითომ რწმენა.

ტვირთია მძიმე,
ატარო ჯვარი,
გაუძლო წვიმებს,
არ გქონდეს ჯავრი.

* * *

ვიცხოვრებ ქოხში,
იქნება რთული,
მექნება გროში,
მექნება სული.

სურვილმა მძლია,
ვეძახი ნიავს,
ფიქრები მღლიან,
ქარს დარდი მიაქვს.

ია სულაბერიძეს

იას გამსგავსებ,
ლამაზი სული
და როცა მავსებ,
ცოცხლდება გული.
ჩავკეტავ კარებს,
ბევრია გესლი,
მე კი მახარებს,
ჩემი რომ გესმის.
გაქვს დიდი გული,
მიყვარხარ, ჩემო,
ეს სიყვარული
მსურს ავიჩემო.
ვერ დამეტია,
ახლა ეს ვიცი,
ჩემზე მეტია,
რასაც განვიცდი.
სიმართლე მეთქმის,
მიქრება სევდა,
ვიცი, რომ ჩემთვის
ხარ სულის დედა.
მაფიქრებს ფიცი
ბევრ რამეს ვამჩნევ,
შენ გამო, იცი,
ვუმადლი გამჩენს.
ნაკლია ჩემი,
ზოგჯერ ვარ ურჩი,
ხომ იცი,შენით
დარდს გადავურჩი.
ახლოს ხარ სულთან,
მაოცებს მზერა,
კავშირი სულთა
არსებობს მჯერა.
ჩამჭიდე ხელი,
არაფერს ვითხოვ,
ზღვაა სათქმელი,
ვარიგებ სითბოს.
ზეცას გამსგავსებ
უძირო სულით,
ხომ იცი,მავსებ
სხვა სიყვარულით.

სულის განცდა

მე ვამბობ ურჩად,
უკვე აღარ მწყინს,
სველდება ქუჩა
და სულსაც აწვიმს.

მშველის ტირილი,
სიტყვას ვასრულებ,
ვებრძვი ღიმილით
ირგვლივ ავსულებს.

იურჩა ბედმა,
მე არ დავნებდი,
მომნახა სევდამ,
ვერას ვავნებდი.

მთლად გავითიშე.
უკრავს გიტარა,
სულმა სიგიჟე
გადაიტანა.

ცოცხლობს სიმართლე
არ ქრება კვალი,
მუდამ მინათებს
შარას უფალი.

მაფიქრებს მუზა

მაქციეს ზურგი,
მესროლეს ტყვია,
ახლა კი უკვირთ,
არაფრად თვლიან.

სულ არ მატყვია
ჭრილობა სულზე,
ახლა ნატყვიარს
შორიდან ვუმზერ.

ზღვა ისევ ღელავს,
დავუშვი ღუზა,
ვერ ვუგებ ყველას,
მაფიქრებს მუზა.

დუმილი ამხელს,
სული კვლავ გოდებს,
ქარი კი არხევს
ნელ-ნელა ფოთლებს.

არ მიკვირს,რატომ?
ტვირთი აქვს პოეტს,
დარდი მას მარტო
არასდროს ტოვებს.

* * *

ლოცვის გარეშე,დღე დაკარგული,
არ დაანგრიოთ სულში ტაძარი,
სული შიშველი,შიშველი სული,
ხოლო სხეული – თავშესაფარი.

ხათუნა ელიაშვილი – დიასახლისი
დაბადების ადგილი – მცხეთა, მისაქციელი.

გ ა ლ ა კ (ქ) ტ ი ო ნ ი!

(ჩემში გასულია გალაქტიკაში)

იყო და არის გალაქტიონი
იყო მერი და გრძნობის მორევი,
ლურჯა ცხენებზე მშფოთვარე განცდა,
გურიის მთებზე მოჯადოვებით.

იყო და არის გალაქტიონი!
მთაწმინდის მთვარე ფიქრებში დარჩა,
აფეთქებული ყაყაჩოს გული
მინდორზე ველად
ცეცხლის ალს რგავდა.

იყო და არის გალაქტიონი!
უკვდავებაში დახატა მუზა,
ზამბახში გახსნა საკინძე მკერდის
და სიყვარულის სურნელში დაგვრჩა!

* * *

სულის ყვავილობა!

ყვავილს საოცარს ვამსგავსე სული,
მის ყვავილობას ველოდი მუდამ,
ცის საოცრებამ ამინთო გული
სული საიდუმლო სურვილით სუნთქავს.

მესმის ჩურჩული და გულის ფეთქვა,
უსასრულობას სამყარო იძენს,
დროსთან კავშირში ვლინდება მუდამ
ადამიანი – სამყაროს ფუძე.

სანამ ლექსებად იქცევა გრძნობა
გონების ძალა ბრწყინდება ჩემში,
ცნობიერებით გავზომე მზე და
სამყაროს ისე შევეწყე ფერში.

ჩურჩულს იწყებენ ჩემში აზრები,
იდუმალ განცდას აწეწავს ფიქრი,
მიუახლოვებს ზეცის ღვთაებას
სული სიმაღლით ყვავილობს ცისთვის!

რ ი თ მ ე ბ ი!

ვარდის რტოები ლაჟვარდებს
აზრთა ბადეში იზიდავს,
სხივშეპარული ოცნება
გულის ბაგესაც იხილავს,
მიწას კვლავ უნდა სიცოცხლე,
ფესვები მისი განძია,
მკერდიდან ამოიყლორტა
იდუმალების ნათლია.
დედაო მიწავ იკურთხე,
მზევ შეიმოსე ნათელში,
სულის და გულის მეუფედ
ღმერთო შენს ძალას დავნებდი!

* * *

მე ვარ გული ცისა
ხე ვარ ნაძვის ხისა,
სიყვარულის ცეცხლი
დამაქვს მზის სხივისა.
მე ვარ ქრისტე ღვთისა
შობა დეკემბრისა,
გულში ვიმყოფები
გზა ვარ სინათლისა!

* * *

სიცოცხლის ფასი
ნაყოფი დიდი,
უნარმა უნდა
გაგვიდოს ხიდი.
მუდმივად მზარდი
გონება მშვიდი
სივრცეს და მანძილს
ხელახლა ვშლიდი!

აზრების საწმისი!

ვარსკვლავებს ვეცეკვე
სურვილის წყაროში,
სიცოცხლედ ჩავიცვი
სხივების სამოსი,
გრძნობების მეგზური
დღე გახდა სამოთხის,
აზრების საწმისი
გულიდან გადმომდის.
მზემ ღამეს სინათლე
სიზმრებად ჩაუწნა,
გრძნობამორეული
მდელოზე გაუშვა,
ოცნებებს ავყევი,
მეც შევსვი ფიალა,
სამყაროს აზრებში
ღმერთმა მაზიარა.
ციური ღვთაება
ცნობიერს ადიდებს,
მზის მკრთალი სხივები
ღამესაც აღვიძებს,
ამ სხივში ვიპოვე
დროთა სინამდვილე,
სულში ხეტიალის
გზებს რომ მიადვილებს.
მომავლის სინათლეს
დიდებულ სივრცეში,
შევეწყვე გრძნობებით
უხილავ სინთეზში,
უკვდავი სიმები
სიცოცხლის საწყისებს
ნოტებში ჩააწნავს
სინათლეს აღირსებს.
სიწმინდის მნათობი
სხეულის განძია,
გულიდან გულებში
მარად რომ ანთია,
უხილავს ვუწოდე
აზრების საწმისი,
სამყაროს შემომქმედს
სამების ხმას შევწვდი!

აი გამოცანა!

სიღრმევ უსასრულოვ
თვალსაზრისს შენ ქმნიდი,
საწყისთა ძალებთან
თვალისჩინს ეძებდი.
შენაძენს უკეთესს
აღვიძებ მუდმივად
ძარღვი ხარ ძლიერი
მკვებავი სულისა.
დროა ვარსკვლავური....
ბროლია მისია,
უნდა გარდაიქმნას
ღმერთი ხომ მზისია!
შენ ხდები მთესავი
დროის ამოცანა,
მისი გამკლავება
ყველას გამოცანა!

* * *

ქ. მაყვალა გონაშვილს!

სხივო ნაქარგო გულში
ყაყაჩოების კოცნა,
შემოდგომაა სულის
შემოქმედების პოვნა.

საფიქრალია დიდი
კოცონში დანთებული,
გიშრის თმებში აქვს ცოდნა
ნინოს ჯვრით ანთებული.

უხედნავ ქარებს გვანან
სიცოცხლე ცად ასული,
კაცობრიობის მადლი
მირონში გადასხმული.

წვიმავ ჩამოდი მიწად
შენ გწყალობს მიწის გული,
მდინარე წუთისოფლის
მასშია ჩამალული.

ფოთოლცვენა და ქარი
დროს მუდამ ეყვარება,
თავგანწირვაა პოვნა
სიყვარულს ენატრება.

მზის სხივებს ია გვჩუქნის
სურნელით არ ნახულით,
მავედრებელი დედა
ქართველთა სასწაული.

ჭეშმარიტების გზაზე
ჰპოვებდე ნათელ სულებს,
ცნობიერების მაცნე
შენ ხდები გაზაფხულზე!

მე და ვაჟა!

"გველისმჭამელის " შემდეგ.

შენმა ნაწერმა ვაჟაუ
მე გვერდით ვერ ჩამიარა,
ამ შენმა გველისმჭამელმა
ცოდნის გზა დამიტრიალა.

ავყევ და დავყევ სტრიქონებს
როგორც ყვავილნი მთისანი,
ცოდნა ყოფილა სხვაგვარი
ჩავფიქრდი, გამოგიცანი.

ვაჟაუ გულით მიყვარხარ
მეწამლე როგორც წამალი,
ცას ვარსკვლავები შეენთო
ჩემს წინ განათდა გზაკვალი.

ეს რა პოემა შაქმენი
სულმაც რომ გადაიარა,
ზღუდე გამაგრდა მრავალი
დრომ დროზე სწრაფად იარა.

ვინ რასა სთესავს ვინ იცის,
მაღლა სულია ყველგანა,
კლდის პირს მოსულსა პირიმზეს
ცოდნით უვლია ყველგანა.

შენი ვარსკვლავი ცაშია,
ლაღი არაგვი თამადა,
ეხლაც ცოცხლდება ნისლები
ღმერთი განაგებს თავადა.

ცოდნა ყოფილა ულევი
მაცოცხლებელი ცვარიო,
გველისმჭამელით ბუნება
აღარ ყოფილა მკვდარიო.

უფლისგან მომადლებულო
ამომავალო მთვარეო,
მზის სინათლეში ივსები
ცოდნაც კი დაიმგვანეო!

ჩემი სოფელი!

სულის სილამაზეს ხატავს ანგელოზი,
ციდან დაშვებულა უცხო ზიარება,
მთებზე გალეწილი ხვდება განთიადი
გრძნობას უდიდესი ძალა ემატება.

ველად გადიშალა სული მდინარეთი,
თითქოს სიყვარულის გრძნობას ეპარება,
ისე შემოჭრილა ჩვენშიც სიყვარული
უფლის დიდი ძალითყველას ენაცვლება.

თვალთა სინათლეში მზერა გამოვლინდა,
აზრთა სიმართლეში გული ამოფრინდა,
მზეში მიმალული სხივთა სინარნარე
მზერით უთქმელ გრძნობას სიტყვით გადმოშლიდა.

ასე მომიფრინდა მცნება მათხოჯისა,
სურვილს გადმოსცემდა ღმერთთან განდობისა!

**

ჩვენ კი ვსწავლობთ და მაინც.....
უსწავლელები ვრჩებით,
თითქოს ვლოცულობთ კიდეც
მაინც ცოდვებით ვკვდებით.
რაღაც არ არი სწორი,
რასაც ვერ მივაგენით,
ფიქრო მომეცი ძალა
შენ ხომ ყველაფერს ხვდები.

* * *

სიბრძნეს იძლევა უფალი
მისი ბაგიდან შენდება,
განძივით დაუვიწყარი
ჭკუა გონების შეძენა.

ღვთის შემეცნების გაგება
ფარი უმწიკვლო ეს არის,
იცავს სიმართლის გზებსა და
მადლიან სავალს იფარვის.

თუ სიბრძნე შევა ჩვენს გულში
ცოდნა დაატკბობს სულიერს,
გონიერება დაფარავს
შეგნება აღწევს სიყვარულს!

* * *

წვიმა ზეცის თვალია,
ქარი მთათა ნავარდი.
წყალი პირმა დალია
იყოს, იყოს მრავალი.

მზე ხომ სიყვარულია,
სიყვარული მთავარი,
სხივით უკვდავებისა
იყოს, იყოს მრავალი.

თოვლის ფიფქის პეპელა
ხედავ რა ფაქიზია,
სათნოების უნარით
სულის შემომქმედია.

წვიმა ზეცის თვალია,
ქარი მთათა ნავარდი.
ცნობიერი გონებას
სიყვარულით გარდაქმნის!

ბ ი ბ ლ ი ა!

სულის სიბრძნე, იდუმალი ზრახვების მოწმე,
მგალობელი და მეთვალყურე ბგერების ძალა,
შემიყვარეო, შემიცანი შენ სულის სიგრძევ
და წრფელი გულის სიკეთეში ჰპოვებდე მარადს.

უკვდავებისა ძლიერებას ამხელდე მუდამ,
მაცოცხლებელი სული წარმტაცი უნდა,
მარად ნათელი ფიქრი აღავსებს გრძნობას,
სიბრძნე ნამღერი გულით ქადაგებს ხოტბას.

ნეტარდებიან დრონი დამცველნი დღეთა
ამაღლებაში მოვალთ მსახურნი ღმერთთა,
გულში ჩაგვიკრავს ყველას ნათელი მზეში,
დღის დადგომამდე ძალას შევივსებთ მკერდში.

ლამაზ გვირგვინში მორთავს სწორ ბილიკს გზაზე,
შენარჩუნდება ცოდნა ლამპარი ცაზე,
სინათლის სჯულის სხივი ყვავილი ღმერთის,
სიბრძნით ნაშენი სახლი გაშლილი სვეტი.

გზა სიყვარულით სავსე მჩქეფარე მოლზე,
ღვთის მგალობელი ბრძენი, მართალთა მცოდნე,
სათავე არის უფლის სიწმინდის ლოცვა,
საგანძურია ძალა უკვდავი ყოფა.

გული ბრძენი დასული გონებას ავსებს,
კურთხეულ უფლის ძალას სიყვარულს ვარქმევთ,
სიღრმევ ინახე მარად, მთავარი გრძნობით
რადგან სიცოცხლის ძალა ამ სიბრძნით მოდის!

შუამავალი!

მიწას და ზეცას
ვეხები გრძნობით,
საკუთარ ნებას
ვუწოდებ მიზანს,
პირადი გზები
ვაშენე ცისკენ
საწყისთა ძალას
ვუწოდე სიტყვა.
წყურვილი დიდი
სურვილებს ერწყმის,
ვარსკვლავთა ციმციმს
გაედო ხიდად,
არსებულ ძალას
შევარქვი ღმერთი
და დედამიწის
სიყვარულს იცავს.
შუამავალი
მუდმივი აზრი,
მუდმივი გრძნობა
მუდმივად მესმის.
უხილავს ისევ
შემორჩა მხოლოდ
აზრები სუფთა
აზრები ღმერთის,
კვლავ შეიქმნება
სამება მარად
მიწა, ზეცა და ჩვენ მხოლოდ
ღ მ ე რ თ ი თ!

შობა!

სულს სიკეთის სხივი ანთებს,
შობის აზრით გულში,
გაიხსნება გაიშლება
ვარდი არის რგული.

დაბადება გაბრწყინება
სიყვარულით მოვა
თავში არის ეს სინათლე,
თუ კი აზრმა ჰპოვა!

ვედების ფილოსოფია!

მზის დაბადებას შევესწარი
ეს რა ყოფილა,
ღმერთის გულიდან
წამოსული სრულყოფილება.
საწყისის ძალა დასაბამით გამოვლენილი
უკვდავ ქმნილებად საძირკვლიდან
კვლავ აიზიდა.
პირველსაწყისად მზის სხივები
სულის სამკობი,
ღირებულების შთაგონების სულიკვეთება,
ევოლუციის სამყოფელში დაბადებული
კაცობრიობის აღდგენისთვის
კვლავ გამობრწყინდა.
გახსნილა სივრცე, იდუმალი ხილულ ფერებში,
სიცოცხლის წყურვილს ცნობიერი
კვლავ შეეჭიდა,
მარადიული წინსვლისათვის დაბადებულმა
სრულყოფილებამ სიყვარულში გამოიღვიძა.
და ძალა სხივი უმაღლესი სულიერების,
ემოციური სიდიადის განზომილება
უკვდავებისთვის დაგვანახა კვლავ
სიყვარული,
კვლავ სიყვარული მუდამ აწყმოს ბედნიერება.
ჭეშმარიტია მზე სიცოცხლის ბატონ-პატრონი,
სამყარო კიდევ საიდუმლო გულის
ავტორი,
სიყვარული კი ქალღმერთია უკვდავებისა
და ჩვენ შვილები ღმერთის
განძი უსასრულობის!

მასწავლებელს!

მზის სხივებს ჩამოჰყვა
გრძნობების ძალწირი,
მარცვალი სიბრძნისა
და სულის ნაწილი.

სიცოცხლის ტკბობისთვის
დაეძებს ნიადაგს,
ცნონიერს ამაღლებს
ღირსებად ინახავს.

ერთადერთ გზამკვლევად
გულს შერჩა უნარი,
უფლების განსაზღვრა
და სხივი მკურნალი.

ზევრცელი აზრების
საფეხურს აშენებს
სასურველ გრძნობებთან
სულს ფეხზე აყენებს.

მზის სხივებს ჩამოჰყვა
გრძნობების ძალწირი
სიცოცხლის ღირსება და
ოქროს არწივი.

უკვდავი ძალაა
უწყვეტი კავშირი.
მკაფიო მიზანი
რწმენაში გავსილი!

სოლომონის სიბრძნე!

/ბიბლია/

ლეღვმაც გამოიღო თავისი ყვავილი,
ვაზმა ყვავილებით სითბო,
ჟამი გალობისა დროის სიმფონია
სულით შეყვარებას ითხოვს.

მტრედი შეხიზნულა კლდეთა სიშორეში
პირი მშვენიერი იცნო,
რადგან აყვავილდნენ დროის ყვავილები
გულით მოტრფიალეს იხმობს.

ვიდრე სუნთქავს დღე და ჩვენი სურვილები
ჩრდილში იძვრებიან დღენი,
მთებზე ნაპრალები ირმებს გააცოცხლებს
გულში იფანტება ხმები.

ტყეში ჩამალულა სხივთა მისწრაფება
სარკმელს შეასკდება ნებით,
ჟამი სიყვარულის გრძნობებს მოიზიდავს
სულის აფეთქებებს ელის.

ლეღვმაც გამოიღო თაფლივით ნაყოფი,
გული სიყვარულის ძალად,
ყველა ძლიერთაგან აღძრულ სინამდვილით
დრომაც გაისწორა კაბა.

ძალა სოლომონის გრძნობის ველზე დადის
ყოველ არსებულზე ფიქრობს,
ჟამმა გალობისამ უკვე მოაღწია
ხმათა სინამდვილის სიტკბოდ.

ვიდრე სუნთქავს დღე და ჩრდილნი იძვრებიან
მთებსაც ნაპრალები მორთავს,
გრძნობის სარეცელზე სული იყვავილებს
გვირგვინს დაუმშვენებს დროსაც.

სიტყვა სოლომონი გულზე იქარგება
სული, სიყვარულის მტრედი,
ყოვლად მშვენიერი, დროში
გადაშლილა
სურვილს გაეშალა ფრთები.

სული მიზანია, წინსვლის საფეხური
გულში ჩამალულა ღმერთი,
დროის ეპოპეა ზეცას მოფენილი
მიწას დაფრენილა მტრედი!

სული ქარზე ძლიერი!

ხმის ჟღეადობა- სიჩუმე
ჩამოფენილა მთებზედა,
ნისლები რძისფერ ოცნებას
დადუმებული ნებდება.

ნაპრალთა,ლოდთა ღიმილი
მყუდროებაში ნათდება,
იმქვეყნიურთან შეხებით
საკუთარს ჩაუღრმავდება.

სიბრძნით სავსეა ბუნება,
თავში, თავისთავს ამაღლებს,
ამაყი თავისუფალი
გრძნობებსაც სულ გვილამაზებს.

უღელტეხილის სიდინჯე
ნისლის ფარდებში გამქრალა,
გადამალული ტაძარი
უსაზღვრო ძალა გამხდარა.

მარადისობის სამოსელს
ნატვრისთვალივით ინახავს,
უზარმაზარი გული აქვს
სრულყოფილების წინაპარს.

მდუმარებაში სუნთქავენ
მშვენიერების შეგრძნებით,
თავბრუდამხვევი სიმაღლე
გახსნილი გულით შენდების.

* * *

სულში ფოთოლთა ჰანგია
რადგან სიყვარულს ატარებს,
გული გონების სარკეა
და ნუ უწოდებ განსაცდელს,
რადგან სიყვარულს ეხები
მიწიერ განცდას გაშორებს
ცაშია მუდამ, მარადის
მაღალი სული განაგებს.

მთელი ცხოვრება ზღაპარში,
ვარსკვლავებს გული პოულობს,
პოეტი ზეცის მშვენება
მუდამ სიყვარულს მოუხმობს.
სტრიქონი ბევრი ვფიქრია,
ბევრი აზრი და სურვილი,
ირგვლივ მაღლდება ფერები
ჩამოვქნათ სიბრძნის მტევნები!

ფორმა უხილავობის!

უსასრულობის დროა
უხილავობის ფორმის,
სამყაროს უბე მზეა
მზე კი გულიდან მოდის.

სიცოცხლის ალი სიბრძნე
მნათობი ვარსკვლავებით,
ჭვრეტენ იდუმალ სიბრძნეს
პირდაპირ გახსნილები.

გამორჩეული გენი
ეძებს სულიერს ზრდაში,
ეს მადლი არის ყველგან
თუ შეხვდი გადასახლდი.
გულში მყოფია იგი,
უხილავი აქვს გრძნობა
მხოლოდ მან იცის გზები
სიყვარულითვე მოვა.
ახალი არის ვიღაც
მერე უხილავს ხვდები,
გიზიდავს როგორც მწყურვალს
წყაროა შენი ბედის.

მარტო არ გტოვებს არა
ამას მალევე ხვდები,
უსასრულობის დროა
უხილავობის ფორმის!

ტალღებს დავუდგი კიბე,
ნარნარით მივაბიჯებ!

მარადისობის ნათელს გადმოსცემს
ჯვარი გრძნეული გრძნობადობისა,
შემოკალმულა ვაზის ლერწამით
და ავმაღლდებით სიყვარულითა!

* * *

ყოველ ცისმარე დღეს,
მზეს ჩამოვართმევ ხელს
და მოვუყვები ამბავს
ლექსით, რასაც კი ვწერ.
ყოველ ცისმარე დღეს,
ღმერთს ველოდები ჩემს.....

* * *

ხე-ში ალია,
სულით მნათობით,
დედამიწისთვის გულის ატომით,
სასწაულია სივრცის საზომით,
და გაზაფხულით, გამოსაცნობით!

* * *

მშვენიერებას არ სჭირდება არც არაფერი,
უფერულ ქაღალდს ამჩნევია
სულ სხვა კალამი!

* * *

ატმის ყვავილთა
ფურცელთა თოვა,
ბედნიერება სულ ახლოს მოვა,
მიწაზე დაწვა გრძნობის მეუფე
და შეასრულა
მან ზეცის თხოვნა!

* * *

წვიმის წვეთებს გაეშალათ თმები,
გრძნობით იწყეს თმაგაშლილით ცვენა,
მუზას აღძრავს და გულიდან მღერის
მეფე ვარო!
იქნებ იგრძნოთ ყველამ!

მეფობის არსი!

ზეგარდმო მადლი უსასრულო ყოვლისმომცველი,
მტკიცე ზღუდობა იდუმალი, ცათა სწორია,
კავკასიონი მთათა სივრცე უსასრულობის
ცხოველმყოფელი სიყვარულის თანასწორია.

ლეგენდარული ტროელებიც აქა შობილან,
ზეციურ ძალთა ყოვლის მაცნეთ შემორჩენილნი,
ირგვლივ ჩასახლდა ციხე გრძნობა უმისამართო
აღთქმულა მიწა და დაერქვა დიდი სახელი.

მარადიული ტრიალია მარადისობა!
თვითონ შობილი, სხვასაც მოსავს უსასრულობით,
გადაძახილი მწვერვალების საიდუმლოა
შემოზღუდული ყორღანების ხმები გაისმის.

დიდი ცოდნაა მიწის არსი და უკვდავება,
მითიურია იალბუზის სუნთქვის აისიც, იბერიული,
ქურუმული დროის მოწმობა
განუწყვეტელი ბრწყინვალებით ექოდ გაისმის.

მარადიული სამოთხეა ეს დედამიწა
უსასრულობის ცნობიერი მხოლოდ მან იცის,
ჯვარი დიდება, ოქროს საწმისს კვლავ გვაახლოვებს,
ეს ჩაკრულოა სხეულში და სულიც განიცდის.

ღვთაებრივობა, მისტერია, დროა სიფხიზლის
ისევ აღდგომა და ცხოვრება ღმერთის მიზნისთვის,
ყოვლის მიზანი გამოცნობა, გამოსაცნობის,
ამომავალი მზის სხივები მხოლოდ გვენ გვიცდის!

მზია ელიაძე – პედაგოგი
დაბადების ადგილი – დედოფლის წყარო

სიმღერა

სივრის ჭალებში ხოხბის აფრენა თუ არ გიხილავს,
არ დაგილანდავს კაკაბ-გნოლის ცაში ლივლივი.
მიმინოს, ძერას ზეცად ირაო თუ არ გიზიდავს,
არ შეგიგრძვნია ავი მზერით გაყინვა სისხლის!..

ცელქი და ანცი ნიავის ცეკვა მზესუმზირებში
და თვალხატულა ყვავილებში განავარდება.
ჯეჯილში ღელვა,ნაზი ღიღინით მინდორ-ველებში
და ვნების ცეცხლში გახვეული ცა-მიწის შერწყმა!..

ყოფნით კეკლუცი, უკიდეგანოდ ტკბობა მამულში,
კავკასიონის გიჟმაჟი ქარით ქოჩრის აწეწვა.
ადრიან, დილით მზის თვალის ჩაკვრა ცვრიან ჯეჯილში
ალმას-ლალ-ზურმუხტ-მარგალიტად შვიდფერას ცეკვა!..

თუ

თუ გოგლასავით "ლექსქართულობა"
გულის ჩუქურთმად არ გასდევს ჩემ რითმს,
ვერ დავბრკოლდები, მის ბრძწყინვალებას
გავეფინები კრძალვით და რიდით!..

თუ ჩემი სიტყვის გამართულობა
არ მიიღება ერში და ბერში
არც ვითხოვ, ვინ ვარ? მხოლოდ მწურია
ლექსით თრობა და ტრფობა ქართული!..

გიჯობს იფიქრო შენს თავზე

მზემ მთის წვერს სხივი ესროლა
ცრემლი ადინა მწველი
და მარგალიტად გაფანტა
ფერდობი, კალთა, ველი...

ტყე შარიშურობს და ღელავს
შავ მთას შეჰყურებს წყენით,
იბრალებს:-რა გეშველება,
რა უყავ თეთრი წვერი?

მთამ ტყეს ზემოდან დახედა
- დარდი ნუ გაქვსო ჩემი.
თმა-წვერი კვლავ მომერთვება
ქათქათა, თეთი ფერით!..

გიჯობს იფიქრო შენს თავზე,
რომ გაშიშვლდები მწარედ
და გაზაფხულის მოსვლამდე
ზამთარი ცრემლებს გადენს...

იქ, შორს, თვალსაწიერს მიღმა

მზე ისვენებს სანახებში, იქ, შორს, თვალსაწიერს მიღმა,
გული კი ძგერს გამალებით და ოცნების ფარდას კინძავს.
ნისლი ცურავს ცად, რძისფერი, უხილავს ხდის მზის მშვენებას,
გრძნეულ მთვარეს კოცნის ტუჩით და ვნების ცეცხლს უღვივებს თავს...

ქარი დაჰქრს გამალებით, ღრუბელთ ფანტავს იალ-ციალ,
ცრემლის ნამში არეული მზე პირს იბანს, იწონებს თავს...
მწვანე მიწა, კოხტა კაბით გულზე ისხამს მარგალიტს, ლალს.
ნაირნაირ ყვავილთ გუნდიც დილის ნამით ტუჩს იხატავს!..

მზე ისვენებს სანახებში იქ, შორს, თვალსაწიერს მიღმა;
თითქოს ბატონობს ცად დევი და განაგებს ზეცას,მიწას,
მაგრამ დისკო- მზე იმედი ჩვენთან არის ყველგან,მარად
ბრჭყალად გაჰკრას ერთი სხივიც, ჰყოფნის მამულს უფლის სადარს!..

მზე გაშოტილა ჰორიზონტზე

მზე გაშოტილა ჰორიზონტზე და
გადაუღეღავს ფართოდ გულ-მკერდი.
მწველი სხივებით გალაღებულა,
ამცვრევს და აფრქვევს მიწას მშვენებით.

კაშკაშებს ზეცა და ზღვისფერ თვალებს
ო, აფახულებს ვნებიან შმაგად.
მიწა საოცრად გადაბარდნილა
ფერად-ფერადი ყვავილთ სიტურფით...

მზე გაშოტილა ჰორიზონტზე და
მშვენიერება მიწად მოსულა.
უსიტყვოდ, უხმოდ მიმოფანტულნი
ყვავილნი ამბორს გზავნიან ზეცად!..

"თოვლი უმღერის" ყოჩივარდებს

(ნუცას სიტყვები)

თოვლი უმღერის ნაზ ყოჩივარდებს
და ეფერება იებს, ენძელებს:
-მორთეთ, მოქარგეთ მამული ჩემი
დარი და მსგავსი ქვეყნად არაფრის!..

მე, სიყვარულის მოტრფიალე ვარ,
ყოჩივარდა ვარ, მართლაც რომ ყოჩი
და გაზაფხულის ლამაზ მარხილში
ფეხმარდ ყვავილთა დამყვება ჯოგი!..

გალობს ტოროლა დილის სისხამზე
ქვეყანას ამცნობს მარტის შემოსვლას.
ეს ძოწისფერი მზეც ჯდება ტახტზე
გრძნობით ხატავს და ლამბავს ქვეყანას!..

ბუნიობა

დედამიწას დაემცვრია გულზე ია, ვარდი
და ზღაპრული სილამაზით მოიქარგა ტანი.
მარტის თვეა, – ბუნიობა, დრო დღეღამტოლობის
და ბუნებაც ოჰ, ზეიმობს, ქარგავს მიწას გრძნობით!..

დახეთ, ქარის უზნეობას-უგვანის, უქცევის!
მთლად გაგიჟდა, საწყალ ხეებს თვალს ადინა ცრემლი!
ქულაჯს-ხის ქერქს, უხეშ მერქანს კოკორთ, ყვავილთ ახლის...
– რაღა მაინც მარტის ამ დღეს, როს დღე ღამეს ეტრფის?..

დღეღამსწორობის ლოდინში მზეც დაღლილა ცაში,
მთელი წელი ნატრობს ნახოს ორივ ერთად კრძალვით.
ერთმანეთის მოყვარულნი, პატივისმცემელნი,,
ვით ცა-მიწა მარად, ერთად შეხმატკბილებულნი!..

განთიადი

ცად გვირგვინად შემომჯდარა დედა, ქვეყნის დედა მზე,
მხრებზე ნაბადს, ქართულ ნაბადს იხდენს, მეტად იფერებს.
ოქროს სხივებს გვამცვრევს უხვად, ღრუბელთ ჯიქანს ცრემლად ჰფენს
და სამოთხეს-დედამიწას გვიქარგავს და გვალაღებს...

ტყეს მეჯლისი გაუმართავს, ვერ აუდის ოჰ, სტუმრებს
ზურმუხტისფერ ტანს, საოცარს ნიავი უნანავებს.
რუ რაკრაკრაკებს, მთათ ვერცხლისფერ ლაბირინთებს მოაფენს,
ლაჟვარდ სივრცეს მზე კაშკაშა ბროლის მძივად თავს გვამცვრევს...

წყლის სარკეში* მდგარ ტირიფმა მშვენიერმა, მკერდსავსემ
ნამი ტანზე დაიმშვენა, ცრემლი თვალს უკიაფებს.
ჰა, მერცხალიც მოფრენილა, სერავს მამულს სისხამზე
ჭიკჭიკებს, ზეცას ასკდება, გულ-მკერდს უკოცნის ტყე-ველს...

ცა გვირგვინად დამჩნევია დედას-ქვეყნის დედა მზე,
მხრებს უმშვენებს მხარბეჭიანს სხივი-ქვეყნის სიცოცხლე!
ნაკეც-ნაკეც ზურმუხტ კაბას ცელქი ქარი აცეკვებს
და მიქარგავს მამულს-ნეტარს მზე-მთვარედ პლანეტაზე!..

მზესუმზირებში ჩამდგარა ქარვა

ზესუმზირებში ჩამდგარა ქარვა
ქარვა, ზეციდან მზედ ჩამოღვრილი...
დილის ცვარ-ნამი ხასხასა ბალახს
ნაზ ტუჩს უკოცნის დიადი გრძნობით...

ქარი ნავარდობს ყვავილთა ბრბოში
და ტანწერწეტა ტანზე ეხვევა.
ელამუნება ურცხვად, რა ტრფობით,
ვით გველი კლაკვნით, მსხვერპლს რომ ედება!..

ქარვის გულ-მკერდში მწერთა არმია
ყირას გადადის მწველი ქცევებით
და ლამაზ თვალ-წარბს, ქარვისა სადარს
თვალს არ აცილებს მზეც მშვენიერი...

ჰა, ჩამოდგება კვლავ შემოდგომა
მთები ჩაიცვამს ფერებს ნაღვლიანს
ცა, ავდრიანი მზეს დაჯაბნის და
იქ, თვალსაწიერს, მიმალავს უმალ...

ქარი კი, ქარი, ყირას გადავა
თავზე დაიმხობს ფოთოლთა ფარჩას,
ფრინველთა გუნდი გზას დაადგება
და საქარავნოს მოქარგავს ფარდაგს!..

ყორყოტ-ყიოტით ხმასევდიანნი
გაბმულ სიმღერით დატოვებენ სახლს.
გაუყვებიან თვალცრემლიანნი
უსასრულ, რთულ და მშფოთვარე დიდ გზას!..

მზესუმზირებში ჩამოდგა ქარვა,
შემოდგომამაც არ დაახანა...
ჰოდა ყოველი ლამბა და ქარგა
ოქროს ფერები თავს დაანათლა!..

მიყვარს...

მიყვარს შემოდგომა მადლიანი
კოხტა, მდიდარი და ხვავიანი.
მიყვარს ფერთაღრევა, სურნელება
ცაში მონარნარე ფრინველთ ცეკვა!..

მიყვარს ჩხა-აკიდო დედა ვაზის
მარცვალმადლიანის, მტევანდიდის.
მიყვარს მაჭრის სუნი-ტკბილსურნელი
ათრობს და აბრუებს ყველას გრძნებით!..

მიყვარს კაჩხებზე დაკიდებული
ხახვის და ნივრის დალალ-კავები.
სიმინდ-წიწაკებით, ჩირ-ჩამიჩით
ფერად-ფერადად მორთული სახლი!..

მიყვარს ჩურჩხელების ხარიხაზე
ცეკვა და კეკლუცი რიგ-მწკრივებად.
თრთვილით შეჭირხლული ალიონზე
სხივში რომ ლივლივებს ნაზ მძივებად!..

მიყვარს გლეხის მაჯა კოჟრიანი
ნაჯაფ-ნაშრომი და მადლიანი.
ჭირნახულ-მდიდარ-ბარაქიანი
ღვთით დაფასებული,ხვავიანი!..

* * *

მზე გვირგვინია ქვეყნის
სხივი-სიცოცხლე მისი.
მიწა -დედაა ტკბილი,
ზეცა- მფარველი დიდი.

მთვარე-მეგზური ღამის,
გამნათებელი ბნელის
უფალი ზეცად მჯდარი
ბატონ-პატრონი ქვეყნის!..

ზეცამ კაბა შეიკერა

ზეცამ კაბა შეიკერა არნახული, საოცნებო
და სიყვარულს ეფიცება მიწას ძვირფასს, სანეტაროს.
ვნების ცეცხლით გათანგულა, მხოლოდ მისთვის ლაღობს, ხარობს
ზღვისფერ თვალებს ცივს, კამკამას უფახულებს ნეტარ სატრფოს!..

ცა-მიწის ტანდემს საოცარს შეჰფოფინებს ეს სამყაროც,
შავთვალწარბა დედამიწა ზეცის ფერებს გულზე იმკობს.
ზეცამ კაბა შეიკერა, რომ შავ მიწას გაეპრანჭოს,
მიწაც ფართო გულ-მკერდს იჩენს, სატრფო ვნებით დაამუნჯოს!..

ვაზის ბწკარი

ვაზის ბწკარი მორჩი, ციცქნა, სათუთი
ნაზი, ქორფა ჩახვეული ჭიგოს
ხარო მადლით ნაჯერი და საღუტყვი*
გააგრძელე, ჩემო, ასე გიჯობს!..

შენი ფესვით, მრუდი ტანით, მირონით*
იბერთ გულ-გონს ამხნევებდი მარად,
ამიტომ ვართ ერთგულნი და მიმნდობნი
გივლით, გეტრფით, დაგილოცავთ კალამს!..

გაზაფხულზე-კალამს გამძლეს, მადლიანს
ცოტაც-მტირალს, დედის უბეს ჩამდნარს...
შემოდგომით-ჯიქანსავსე, მარცვლიანს
ზამთრის პირზე- ვალმოხდილს და ჩამქრალს!..

ვაზის ბწკარი საუკუნენანახი
დაჩეკილ სარს ჩახვეული მყარად;
ღვთის მირონით ნაჯერი და ნანატრი
სიმბოლოა ქართველთ გასახარად!..

ლექსის სუნი

ნიავს მოჰყვა ჰა, კვლავ ისევ ლექსის სუნი,
მოვიდა და მომეფერა ლამაზ რითმად.
მომეხუტა მომეტმასნა ვითა მუნი
თავი წარმომადგენინა უცებ გმირად!..

ძოწისფერი მოსასხამი-მზის საცდური
გადმომედო; ოცნებებით დავფრენ სხივად...
მწვანე ხავერდის სამოსი ო, მაცდური
მისალბუნებს, მეფერება ვნებით, ტკბილად!..

ნიავს მოჰყვა ჰა, კვლავ ისევ ლექსის სუნი,
მოვიდა და მომეფერა მეტად თბილად.
ძვირფას გრძნობას, გაუმხელელს ვეტრფი უტყვი,
რითმები არ შემილახონ უგვან სიძვად!..

ჩანახატი

უკუნეთი ღამე არის, მთვარე კლდეზე ჰკიდია
ცად ვარსკვლავმა, როგორღაც, ძლივს, გაანათა ცის ფარდა
და მკერდსავსე ზაფხულდედამ პურში გაინავარდა...

გაუსინჯა ფხა, მარცვალი, ეფერა, ესალბუნა...
თბილ გულ-მკერდში ჩაიხუტა, დაპურებას შეჰპირდა
და დიდ-დიდი ნაბიჯებით პურს მიაპობს ღაღანას.

მძინარ თავთავს აფხიზლებს და რძეს უყენებს ნოყიერს
მიწას ათრობს სურნელება-რძის სურნელი ცის ქვეშეთს
და შიმშილი დაძრწის ისე,სულთამხუთავს მაგონებს!

ქარი ითმენს, ვეღარ ითმენს სიწყნარეს და სიმშვიდეს
და ხის ტოტებს აქანავებს, ფოთოლთ ერთურთს ახეთქებს;
აცახცახებს ცად ღრუბელთაც იალ-ციალ მოაბნევს...

სანეტარო ტკბილ რძის სურნელს ცხვირწინ აიფრიალებს...
მზის ხვატისგან გათანგული ქარი ცხრება თავნება,
მთიდან მონაბერ ნიავით იცხრობს გრძნობებს, ნელდება!..

მზის და
მთვარის
ტანდემი

მზემ თვალები გაახილა უთვალავი, ციმციმა.
ნაღამევი გააცილა მილეული*, ცივ-ცივა.
ცას გაკრული, უცნაური მიწას წამით არ ტოვებს
უფერული, უსახური მეგზურობას უმოწმებს!..*

ცად შერჩენილ მთვარის კაბას მზე სხივებით აქარწყლებს,*
მწველი ნემსით ქარგავს, ლამბავს;
თაღის მიღმა ათავსებს...
...მერე, ისევ მოვა ღამე, შავტუხა და გრძნეული
შემოჯდება მთვარეც ცაზე, მუდმივ საქმეს ჩვეული...

ხან დიდია, და დიდრონი;
კოხტა, ბადრი, პირსავსე,
ხან ნამგალა ო, ძლივს მყოფი, უხილავი ცის კარზე...
აი, სწორედ მაშინ ირგებს მზისა ნემსით მოქარგულს
მიმქრალ კაბას, გრძნობით იღებს, ეფრება მოხატულს!..

...და ასეა, სულ ასეა
მზის და მთვარის ტანდემი...
ცა და მიწა სულ სავსეა
ორი და-ძმის ნაცეკვით...
მიწაც, მადლით დაღვენთილი, ღვთის განგებით ნაჯერი
ცვარ-მანანით გაჟღენთილი, ჭირნახულით ნამცვრევი!..

მზემ თვალები გაახილა იკეკლუცა, იცინა
ნაღამევი გააცილა
სავსე მთვარე, ციმციმა..
...ეს მადლია-დროთ ცვლილება; მოძრაობა მზე-მთვარის.
მარადია ღვთის დიდება;
უკვდავის და ნეტარის!..

ენძელა

არ ვუშინდები თოვლის თეთრ ნაბადს
მშვენიერ სახეს ვირთავ, თვითნაბადს...
ცივ გზას ვუკვალავ ლურჯთვალა იას
ვეძახი:-მოდი, კარი გაქვს ღია!..

მოვრთოთ, მოვკაზმოთ მინდორ-ველები;
შეხედე, როგორ თრთიან ღელენიც!..
გავახალისოთ მარტი, ლამაზი
ძალა შევმატოთ, გახდეს მამაცი...

არ ვუშინდები თოვლის თეთრ ნაბადს
სახეს ვიფერებ, სახეს-თვითნაბადს...
ენძელა,ია და ყოჩივარდა
გაზაფხულისთვის ვართ ფარად, ხმალად!..

მე პოეზიას ვადარებ ფრენას

მე პოეზიას ვადარებ ფრენას
მუზათ პალიტრა ზეცას რომ ღებავს...
რითმათა ჯარი, ფერით ზენაარს
ელიცლიცება, უქარგავს ზეწარს!..

მე პოეზიას ვადარებ ფრენას
მზედ, ცისარტყელად, ვარსკვლავთ ჯარებად...
პირსავსე მთვარედ, ხანაც ნამგალად;
ხან კი წათვლემილს; მიწის დარაჯად!..

მზე ჩამოსულა მიწად ყვავილად

ჰა, შეჰპარვია ხეებს სიმწვანე
ვეღარ მალავენ კოკრები გრძნობას.
ერთი სული აქვთ, ვნებით გადმოსკდნენ
ჩქარობენ მოსვლას, ტოტთა მოხატვას...

მზე ჩამოსულა მიწად ყვავილად
და განა ერთად, ათასფერებად.
ვერცხლის საკინძე გახსნია მწველად
შავ მიწას გულზე გრძნობით ემცვრევა...

ღამის დარაჯი- პირსავსე მთვარე
მშვენიერებით დამუნჯებულა
და ნათელი დღის მოსარკულ ცაზე
თვითონაც ხარობს, ისწორებს ნაწნავს.

კვლავ შეჰპარვია სიმწვანე ხეებს
კვირტნი ხარობენ და კეკლუცობენ.
ფოთოლთ შრიალი საამო ჰანგს ჰგავს
და შენც გიჩნდება სურვილი აჰყვე!..

მარტის ცრემლები

მარტის ცრემლიან თვალებში ჩამახედა ნეტავ!
მეც შევიგრძნო მისი დარდი, ტკივილი და კვნესა...
ტანმშვენიერ აპრილს უკვე ყინვა ვერას აკლებს,
იმიტომ, რომ მარტი ზამთარ აპრილთან არ უშვებს!..

მე დავიბადე

მე დავიბადე ცივი ზამთრის დეკემბრის თვეში
თეთრ თექას ტანზე რომ იხდენდა მთელი სამყარო.
მსხვილად ფიფქავდა; ფთილა-ფთილა ნაზ ფიფქთა თქეში
ცეკვა-შრიალით ედებოდა:სახლს, ქუჩას ეზოს!..

მრისხანე ყინვა მდუმარებდა მკაცრი პირ-სახით
გარინდულიყო ო, საოცრად ისეც მდუმარე...
დღის დროსიმცირით, გრძელი ღამის სრული სისავსით
განადიდება ცად შემომქმედს ლოცვით მხურვალე!..

მე დავიბადე ცივი ზამთრის დეკემბრის თვეში
დაბადებიდან უკვე მერქვა მწარე ობოლი...
ეჰ, სიყვარულით, ცით მოსული ფიფქთ ნაზი თქეშიც
იყო გულცივი, უსახური, ისიც ობოლი!..

ზეპურ მანანას

გადაბიბინდა მწვანე ჯეჯილი,
ლივლივ-ლიცლიცებს სიოს ნამღერზე.
ხავერდის ფარჩით მზეს ჩაექარგა
და ოქროსფერი მოირგო მხრებზე.

ლივლივ-ლიცლიცი ქორფა ჯეჯილის;
ო, აჩხრიალდა* დილის ნამქერზე.
გზას ბილიკ-ბილიკ მოიკვლევს, მოდის
აგვისტოს ხვატი ალმასნამცვრევზე*!..

...ნატიფი ხელით, სულით ნამზეურს*
მწველ მზის ღადარში იწნავს დალალებს;
პური-ჯეჯილი-ყანა ნაჭდეურს
ზეპურ მანანით თავსაც გვაწონებს!..

ხმალს

შემმოკლებია ბეჩავს სიცოცხლე,
ნელ-ნელ მივიწევ იმ დიდ სამყაროს.
ჯაჭვის პერანგი მაცვდება ტანზე
მეტიც, ჟანგი მჭამს, მიმოკლებს ვაჰ, დროს!..

აჩრდილთ ლანდები დაჯლიგინობენ
და მახსენებენ დიდრონ, ურიცხვ ომთ.
მამულს-სანატრელს, მამულს-საყვარელს
რამდენი მკერდზე ზედ მტლად დაედო!..

საბრალო, ლამის ვადაში გავტყდე
და ნაბრძოლ-ნატანჯ გმირ-ვაჟკაცთ ვგლოვობ!
ეჰ, ხმალი მქვია, ქარქაშს ვერ ვავსებ
მთლად დავლეულვარ ბრძოლებში როგორ!..

---

*აჩხრიალდა-აქ;დაპურდა და გახმა
*ალმასნამცვრევი-აქ;დილის ნამიანი, ცვრიანი
*ნამზეური-აქ; მზის თანაზიარი, მზით გაჯერებული, მადლცხებული

* * *

– ტყის მშვენება, სიხასხასე, მწვანე ფარჩით მოხატვა
სად წასულა, სად გამქრალა, ვინმე მეტყვით, გეთაყვა?
– ზამთარია და სიცივემ თოვლის ტახტი დაიდგა.
სადეფოფლო თეთრ კაბაზე თოვლის ქურქი ჩაიცვა!..

"ჩემი ვედრება"
(ვაჟა-ფშაველას)

როგორ დავიწყო, არ ვიცი,"ვაჟას ვედრება" ლექსშია
ბალახი იყოს სათიბი, არ სწადის, ბეჩავს, მგელობა...
-რარიგ ცხვარს ჰნატრობ, ტილალო, ოღონდ აგშორდეს მგელობა.
ცად რომ ვარსკვლავი კიაფობს, შენგნით მოველით მხნეობას!..

შენ, სიყვარულის შვილი ხარ! უფლით, ნაპერწკლად ვარდნილი...
გულ-გონ-სულ-ხორცით მთა-ხევთა ვუმზერ, ნიადამ*ვართ დიდნი!..
ვაჟკაცო, მთისა მშვენებავ ნიბლიავ, წყაროვ, ხან იავ
მარად გადიდო ეს მნებავს თოლჭრაქიანო* ხატებავ!..

ვაჟავ, სამშობლოს მგოსანო, კალმით მტერ-დუშმანთ მმუსვრელო,
ნუ ემსგავსები მოკვდავთ, გთხოვ, ნუ, ნუ გახდები ლუკაო!..
შენი მისია დიდია ამ ტიალ წუთისოფელში,
ერთ სანთელაი გვინთიხარ მტრით დახშულ ვაი, გონეთში!..

---

*ნიადამ – აქ; ფშაურად რა თქმა უნდა
*თოლჭრაქიანო – ჭრაქის შუქზე თვალებდაღლილი
*მტრით დახშულ ვაი, გონეთში--აქ;მტრით გახიზნულ-დაქსაქსული ქართველები

სარჩევი

პოეზიის კორიფეები! 5

იოანე ზოსიმე 6
დემეტრი მეფე 7
შოთა რუსთაველი 8
ილია ჭავჭავაძე 9
აკაკი წერეთელი 10
ვაჟა-ფშაველა 11
გალაკტიონი 12
რაფიელ ერისთავი 13
ლადო ასათიანი 14
იოსებ ნონეშვილი 15

ჩვენი დროის ქართული პოეზია 17

მამა ამირან ამირანაშვილი 18
დეკანოზი ილია (ნუგზარ) ჩიკვაიძე 24
არქიმანდრიტი სერაფიმე (გოგი) ფილია .. 32
მაყვალა გონაშვილი 42
გულნაზი ხარაიშვილი 46
ნინო უძილაური 56
მაგდა გოშნიაშვილი 60
ეთერ ჭელიძე 70
დოროთეა 80
მანანა სამყურაშვილი 88
ნელი საგინაძე 96
თენგიზ ფანცულაია 104
ნინო კობახიძე 112
მიხეილ გელაძე 116
თამარ ფიცხელაური 126
თენგო ავსაჯანიშვილი 136
ლალი ორმოცაძე 140
სულიკო ჯამალაშვილი 150
დავით ლომიძე 156
გურამ სახვაძე 166
ვერიკო პარწიკანაშვილი 176
ეთერ ბერიშვილი 186
ნიკოლოზ ღვინიანიძე 196
ეკატერინე ბუღაძე 204
გიორგი ზუბიტაშვილი 214
მირზა ვარძუკაშვილი 224
ლილი გულბათაშვილი 234
ცაგო აბაშმაძე 244
ეთერ გოგეშვილი-ისაკაძე 248
ზაზა მედულაშვილი 256
ნატალია სამუშია 266
ზურაბ გოგრიჭიანი 272
ირა სოფრომაძე 282
თემო არაბული 288
ეკა ნადირაშვილი 296
ზურაბ მამულაშვილი 304
ლია სანაძე 310
ნელი გიუნაშვილი 318
კობა ადეიშვილი 328
კატო თავბერიძე 338
სპარტაკ ლაცაბიძე 346
დავით სულამანიძე 354
თენგიზ პაპაშვილი 356
ლიკა ფარცვანია 366
გიგა ვეფხვაძე 376
მალვინა ჭელიძე 386

ვარ ვინმე მესხი მელექსე 391

შოთა ლომსაძე 394
ელენე დიდიმამიშვილი 396
შალვა კეღოშვილი 404
ვაჟა სამსონიძე (სამცხელი) 414
ვახტანგ მელიქიძე 420
მერაბ ბერიძე 426
ავთანდილ ბერიძე 434
ვასილ კვინცხაძე 444
ვლადიმერ ველიჯანაშვილი 450
ციური მესხიშვილი 456
კობა მოდებაძე 466
ბადრი თამაზაშვილი 476
თამარ ანთაძე 482
ციცო მაისურაძე 486
თორნიკე ბერიძე 490

ნანა მეფარიშვილი 502
სპარტაკ ბრეგაძე 512
დარეჯან მაჭარაშვილი 522
ვაჟა ოთარაშვილი 528
მაგდა ჩანქსელიანი 534
თეა ბარბაქაძე 540
ლუკა ქურციკიძე 550
ტერი გრინი 558
დავით ძნელაძე 564
ნინო ქანთარია 574
ხათუნა ელიაშვილი 578
მზია ელიაძე 588

დამკაბადონებელი
ნანა დუმბაძე

ყდის დიზაინერი
მანანა სამყურაშვილი

მესხი პოეტების გვერდებზე წარმოდგენილი ფოტოები და აფორიზმები,
ამოკრეფილია გენიალური „ვეფხისტყაოსანი“-ს მიხედვით –
მანანა სამყურაშვილის მიერ – 1956 წლის კრებულის მიხედვით.

გამომცემლობა **„უნივერსალი“**

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com